იოსებ იმედაშვილი

# უცხო სიტყვათა ლექსიკონი

ახლად შევსებულ-შესწორებული და გადამუშავებული

მესამე გამოცემა

პროფ. გ. ახვლედიანის (ა—პ), დ. ონიაშვილის (ჟ—ჰ)
და ე. ტატიშვილის (უცხ. ან.-თქ.)
რედაქციით

ტფილისი
გამოცემა სილ. თავართქილაძის
1928 წ.

პირველი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, არსებობის ათის წ. (1918-X-1928) შესრულების სახსოვრად, და მის მესაძირკვლე მეცნიერ-მუშაკთ.

იოსებ იმედაშვილი

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხან. პრ. № 91.

30/XI—26. შეკ. № 274. მთავარლიტი № 1183. დაიბეჭდა 5000.

# წინასიტყვაობა

(პირველი გამოცემისა).

გასული საუკუნის უკანასკნელს ხანებში ჩვენს მწიგნობრობას, განსაკუთრებით დრო-გამოშვებითს, საოცარი სისწრაფით შეეპარა უცხო სიტყვები და უამისობაც არ შეიძლებოდა, რადგანაც ჩვენი მწიგნობრობაც, როგორც სხვა დაქვემდებარებულ ერისა, ვითარდებოდა და ვითარდება უცხო მწერლობის ზეგავლენით და, რა გასაკვირველია, რომ ჩვენც ვერ ავცდით ამ ზეგავლენის საერთო კანონს! მხოლოდ სავალალო ის არის, რომ ჩვენი ზოგიერთი მწიგნობარნი ხშირად ისეთს „უცხო სიტყვებს“ ხმარობენ, რომელთა მაგიერი თუ არა, შესაფერი მაინც მოგვეპოვება. ამითი საქმე უპირდება ქართველს მკითხველს, რომლისთვისაც თითქმის ყოველი ახალი სიტყვა საიდუმლოებითაა მოცული და იმ სიტყვებით გამოხატული აზრი კი მისთვის ბინდ-ბუნდშია გახვეული. ჟურნალ-გაზეთები და სახალხო საკითხვი წიგნები სავსეა მკითხველთა უმრავლესობისათვის უცნობი სიტყვებით, რომელთა გამოცნობა, ცოტად თუ ბევრად, თვით განვითარებულ მკითხველსაც უძნელდება. რა ქნას ჩვენმა მდაბიო მკითხველმა, რომელსაც წესიერი სწავლა არ მიუღია და რიგიანად არ განვითარებულა?

ალარავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ ბოლო წლებში გაჩნდა ახალი მდაბიო მკითხველი, რომელიც ქართული მწიგნობრობის საშუალებით ცდილობს (რადგანაც სხვა ენა არ იცის) თვითგანვითარებასა და ცხოვრებისთვის მომზადებას. და, აი, სწორედ ჩვენი მწიგნობრობის მკითხველთა ამ ნაწილისთვის, როგორც სხვა ბევრი სასარგებლო წიგნის, აგრეთვე უცხო სიტყვათა ლექსიკონის უქონლობა დიდს დანაკლისს შეადგენდა.

იმ დღიდანვე, როდესაც ეს დანაკლისი სავსებით გავითვალისწინე (ეს იყო ამ ათი თერთმეტი წლის წინად), გავიჩინე უბის წიგნაკი და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ამოკითხული ყოველი უცხო სიტყვა შიგ შემქონდა და რუსული ლექსიკონების საშუალებით ვმარტავდი: ზოგჯერ (ძალიან იშვიათად) უკვე განმარტებული სიტყვები მხვდებოდა და ისინიც შეუსწორებლივ ანუ მცირე შესწორებით, წიგნაკში შემქონდა. ორი წლის განმავლობაში ბლომა სიტყვები შევაგროვე და ჩვენი ძველი ჟურნალ-გაზეთობა ხელახლად გადავათვალიერე ზოგიერთი სიტყვების ამოსაკრებად. ამგვარად საკმაო მასალა შემიგროვდა, რომელიც ქართული ანბანის რიგზე დაწყობის შემდეგ, ყოველთვის საუკეთესო მცოდნე მეგობარივით მეხმარებოდა გაზეთის ანუ წიგნის კითხვაში.

დროის განმავლობაში შეგროვილს მასალას ვამუშავებდი, ერთსა და იმავე სიტყვას რამდენსამე ლექსიკონში ვსინჯავდი და ამგვარად ვცდილობდი, რაც შეიძლება ახსნა გამეპარტივებინა და ენა გამეფაქიზებინა.

რაც ხანი გადიოდა, ვუკვირდებოდი და ვხედავდი, რომ ჩვენს მწერლობაში უცხო სიტყვები უფრო ხშირად იხმარებოდა და იხმარება; გულითაც რომ მოვინდომოთ, ჩვენ ამ უცხო მწერლობა-ცხოვრების ზეგავლენას ვერ ავიცილებთ, თუ გვსურს, რომ საზოგადოებრივ-გონებრივს ცხოვრებას არ ჩამოვრჩეთ. ის-ღა დაგვრჩენია, დროების მოთხოვნილებას შევეწყოთ, მის შესაფერად მოვემზადოთ და ხალხსაც (რომ ის შეგნებით კითხულობდეს ამა თუ იმ წიგნს ანუ ჟურნალ-გაზეთს) საჭირო ცოდნის შესაძენი გასაღებიც მივაწოდოთ.

ამ გარემოებამ გამაბედვინა, რომ ეს მცირე, ხოლო ხანგრძლივი შრომის ნაყოფი, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ ცალკე წიგნად გამომეცა იმ ქართველ მკითხველთა სასარგებლოთ, რომელნიც ჟურნალ-გაზეთობასა და წიგნებს ეწაფებიან და მისთვის შესაფერი, უცხო სიტყვათა განმარტველ-ამხსნელი სახელმძღვანელო კი არა აქვთ *).

---

*) ჩემის ხელმოკლეობისა და აგრეთვე ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ წიგნის ადრე გამოცემა ვერ მოხერხდა.

დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი მხოლოდ ნედლი მასალაა, რომელსაც ჯერ კიდევ კარგი შემუშავება-შევსება ეჭირვება; არც შეცდომებსაა აცილებული, მაგრამ ვნუგეშობ იმითი, რომ ქართულად პირველად დაბეჭდილი ეს წიგნი ჩვენს მდაბიო მკითხველს რამდენადმე მაინც მოუკლავს წყურვილს, აუხსნის უცნობ სიტყვებს და წანაკითხის შეგნებას გაუადვილებს; ნათქვამია: საცა არ იყოს, ცოტა კმარიყოსო. რაც შემეძლო, მთელი ჩემი ძალღონე მოვიკრიბე, რომ წიგნი ყოველმხრივ უნაკლულო გამოსულიყო, როგორც სიტყვების ახსნა-განმარტებით, აგრეთვე ბეჭდვით და ხალხისთვის ხელმისაწვდენ ფასით. შევასრულე თუ არა ჩემი განზრახვა და მივახწიე თუ არა მიზანს — ამას მომავალი და საზოგადოების პირუთვნელი განსჯა-განხილვა გვიჩვენებს.

ამ წიგნის შედგენის დროს უმთავრესად ვსარგებლობდი რუსულად გამოცემული უცხო სიტყვათა ლექსიკონებით (იხ. წყაროები); სიტყვების გრამატიკულის მნიშვნელობის ასახსნელად ხელთა მქონდა: ლათინურ-რუსული ლექსიკონი გ. შულცისა, ფრანგულ-რუსული — ნ. მაკაროვისა, ბერძნულ-რუსული — ვეისმანისა. ზოგიერთი სამეცნიერო სამწიგნობრო სიტყვათა ახსნის დროს ვიხელმძღვანელე ქართული ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით: ზოგი განმარტებანი სიტყვა-სიტყვით ამოვწერე, ზოგი შევამოკლე ანუ შევაკეთე. აგრეთვე საჭიროთა ვსცანი ამ წიგნის ბოლოზე დამერთო უცხო ანდაზები და წინადადებები, რომლებიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს მწერლობაში.

აქვე მადლობას ვუცხადებ ჩვენს იმ მწიგნობართა და მასწავლებელთ, რომელთაც წაიკითხეს დასაბეჭდად მომზადებული ამ ლექსიკონის ზოგიერთი ასოები და შიგა და შიგ შემასწორებინეს.

დასასრულ უმორჩილესად ვსთხოვ ყველას, რომელიც კი რაიმე ნაკლს შენიშნავს ამ წიგნს, წერილით ანუ პირადათ მაცნობოს, რითაც დიდათ დამავალებს.

იოსებ იმედაშვილი.

24 მარიამობისთვე — 1904 წ.

## ორიოდე სიტყვა მეორე გამოცემის შესახებ.

ამ წიგნის პირველი გამოცემა 1905 წ. მიწურულს დაილია და მეორე გამოცემის საქმეს 1906 წ. შევუდექი, მაგრამ სხვადასხვა გარემოებამ ხელი შემიშალა. 1910 წ. ზაფხულში უკვე გასწორებული და შევსებული ერთ კერძო გამომცემელს გადავეცი გამოსაცემად, იმ პირობით რომ ბოლო კორექტურა მევე გამესწორებინა; სამწუხაროდ იმავე 1910 წ. შემოდგომაზე მეტეხის ციხეში მიკრეს თავი და განზრახული საქმე ჩაიშალა. ციხეში კიდევ უფრო ბეჯითად შევუდექი ლექსიკონის დამუშავებას, შევავსე და ციხის სტამბაშივე ვფიქრობდი მის აწყობა-დაბეჭდვას, მაგრამ აქაც „ბედმა მიღალატა": ციხის ერთერთმა გამგემ გამომცემლისაგან (ასოს შესაძენად) გადაცემული ფული გაფლანგა და წიგნიც გამოუცემელი დარჩა.

როდესაც ციხის კედლებს თავი დავახწიე, 1914 წ. გადავსწყვიტე წიგნი ხელის მოწერით გამომეცა. საქმეს შევუდექი, საჭირო მასალა დავიკვეთე, წიგნის გამოშვების ვადაც დავნიშნე, მაგრამ საერთაშორისო ომიანობამ იფეთქა, ქაღალდი დროზე ვერ მივიღე, შემდეგ მიღებულმა ქაღალდის ღირებულებამ და მუშის ხელფასმა საარაკოდ აიწია... ორი ასოთამწყობი, რომელთაც ეს წიგნი უნდა აეწყოთ, ბრძოლის ველმა გაიწვია და ერთი მათგანი — პრ. ხომერიკი — შორეულ ქვეყანაში ომის ღმერთს შეწირა; შემდეგ ქალს შევასწავლე ასოსაწყობა, აწყობაც დავაწყებინე, მაგრამ ვერც მან გაატანა ბოლო... ყოველივეს ფასმა მამასისხლად აიწია... ერთი სტამბიდან მეორეში გადვიტანე, საკუთარი ასო შევიძინე, — მოკლედ რომ ვსთქვა, ამ წიგნის ბეჭდვამ აუარებელი ხარჯი მომთხოვა; იძულებული შევიქმენ, თვითონ შემესწავლა აწყობის საქმე და წიგნის ბეჭდვაც, როგორც იქმნა, დავაგვირგვინე.

ეს გამოცემა პირველ გამოცემასთან შედარებით ბევრად შევსებული შესწორებულია, ხოლო ვინაიდან ქაღალდი ძნელი საშოვარი იყო და დასაზოგავი, კაბადონების სიგანე 6 კვადრატი დავიჭირე (წინად 5 იყო) და უშპონოთ ავაწყე, რისგამოც სვეტმა ჩაიტია 45 პწკარი (წინად 27). წიგნის დამუშავების დროს ვხელმძღვანელობდი სხვა ენებზე არსებული უცხო სიტყვათა ლექსიკონებით, ენციკლოპედიით, ჟურნალ-გაზეთებით და არალეგალური გამოცემებითაც: ბევრი ასეთი სიტყვა შემოვიტანე, ქართულ მწერლობაში ნახმარი, რომლებიც სხვა ლექსიკონებში არაა შესული ანუ თუ შესულა — მოკლედ და ცალმხრივად ახსნილი. მართლწერა და გამოთქმა ისეთივე დავტოვე, როგორც ჩვენს მწერლობაშია მიღებული. ზოგიერთი მათგანის საბოლოო დამუშავება ჩვენი მომავალი ენათმეცნიერების საქმეა.

ძლიერ ვეცადე შეცდომები თავიდან ამეცილებინა: თუ სადმე შეცდომები მაქვს, ეს ან უნებლიეთი, ანუ პირველ წყაროებიდან შემოპარული. ყოველ შეცდომის ჩვენებას, თუკი ვინმე ინებებს, დიდი მადლობით მივიღებ, რომ შემდეგ გამოცემაში გავასწორო.

აქვე მოვიხსენიებ, რომ ეს „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" ჩემ მიერ შედგენილ და მოკლე ხანში გამოსაცემად განზრახულ ლექსიკონების პირველი ტომია. მეორე ტომად გამოვა „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი", ანბანური და ჟამთრიგობის წესით შედგენილი, ქრისტეს უწინარეს მესამე საუკუნიდან ჩვენს დრომდე (დასაბეჭდათ თითქმის მზათაა); მესამე ტომად — „შესანიშნავ ადამიანთა ლექსიკონი", ესეც ზემორე წიგნის წესით. ორივე წიგნი შემკული იქნება ორი ათასზე მეტი სურათით.

ჩვენი განთავისუფლებული სამშობლო ამიერიდან უნდა შეუდგეს ეროვნულ ნიადაგზე სწავლა-განათლებას და მისთვის ასეთი თვითგანვითარების წიგნები აუცილებელია. ამ წიგნთა დროით გამოცემაც საზოგადოების თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

დასასრულ დიდს ბოდიშს ვიხდი პატივცემულ ხელის მომწერთა წინაშე, რომელთაც თავისი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარებით ამ წიგნის გამოცემაში ხელი შემიწყეს, მეკი დღემდის ვერ მოვახერხე მისი გამოცემა. გაუზვიადებლად ვაღიარებ, რომ უკანასკნელი ოთხიოდე წლის განმავლობაში ამ წიგნის გამოცემაზე დღე-ღამ შეუჩერებლივ ვმუშაობდი და ვქმენ ის, რაც შემეძლო!..

აწ მსჯავრი მიუდგომელ მკითხველს ეკუთვნის.

იოსებ იმედაშვილი.

1918 წ. მკათათვის 9 (ახ. სტ.)
დედა ქალაქი.

## მესამე გამოცემის წინასიტყვაობა

პირველად (1902-04 წ.) და მეორედ (1916-18 წ.) რომ ეს წიგნი დავბეჭდე, მაშინ არა თუ უნივერსიტეტი და სამეცნიერო დაწესებულებანი, — საშუალო სასწავლებლებიც-კი არ მოგვეპოვებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტფილისის და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებს; უცხო ენაზე აღზრდილი ახალგაზრდობა კი აგრე რიგად არ ეტანებოდა სამშობლო მწიგნობრობას. ჩემი ლექსიკონის მხმარებელი უმთავრესად იყო სამშობლო ენაზე თვითგანვითარების მიმდევარი ქართველი მკითხველი, — თვითნასწავლი მუშა, გლეხკაცობა და ნაწილი მოსწავლე თაობისა. ამიტომ ამ ლექსიკონის პირველი და მეორე გამოცემანი თავისი შინაარსით და სიტყვათა განმარტების წესით, უმეტეს შემთხვევაში, მკითხველის დონესა და მოთხოვნილებასთან იყო შეფარდებული: ბევრი სიტყვა გახალხურებული, გამდაბიურებული მქონდა მრავალმეტყველებით, ზოგ შემთხვევაში — სააგიტაციო მიზნით განმარტებული... თუ რა ფართედ სარგებლობდენ ამ ლექსიკონით, რა დიდი სამსახური გაუწია თვითგანვითარების მიმდევარ

ქართველ მკითხველს და რა უსაჭიროეს სახმარ სახელმძღვანელოდ გადიქცა იგი, — ამაზე მე აქ არ ვილაპარაკებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ორივე გამოცემა სწრაფად გავრცელდა, აუცილებელი სახელმძღვანელო შეიქმნა არა მხოლოდ მოსწავლეთა და თვითგანვითარების მიმდევართათვის, არამედ მასწავლებელთათვისაც და ბოლო ხანებში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ითვლებოდა.

დღეს, როდესაც იმ ბედნიერ დროს მოვესწარით, რომ ჩვენი სახელმწიფო ტფილისის უნივერსიტეტი თავისი არსებობის უკვე 10 წ. თავს დღესასწაულობს, მთელი საქართველო გადიქსელა დაბალ და საშუალო სასწავლებლებით, სადაც ახალი მოსწავლე თაობა მეცნიერების საფუძველთ სამშობლო ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოებითეცნობა, საძირკველი ეყრება მეცნიერულ, ფილოსოფიურ და ლიტერატურულ თვითშემოქმედებას და ყოველგვარი ღირებულების გადაფასება ხდება, რა თქმა უნდა, ჩემი ლექსიკონიც ამ მეცნიერულ-ლიტერატურულ მუშაობასთან და შემოქმედებითი მოთხოვნილებასთან შეფარდებით უნდა დამუშავებულიყო და მასში მრავალი ცვლილება მომხდარიყო, როგორც შინაარსის, ისევე დალაგების წესშიაც. ამას წინასწარ ვგრძნობდი, როდესაც მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში (6 გვ.) ვამბობდი, რომ ზოგი სიტყვის საბოლოო დამუშავება მომავალის (ე. ი. დღევანდელი და შემდეგის) ენათმეცნიერების საქმე იყო და არის.

ეს ლექსიკონი ოდნავ სცილდება ვიწრო სპეციალ „უცხო სიტყვათა ლექსიკონი"-ს საზღვარს იმ მიზნით, რომ თანამედროვე ქართველ მკითხველს კვალ და კვალ მიჰყვეს კითხვის დროს ყოველ აღძრულ საკითხის გარკვევაში... ხშირად მომდის წაკითხულ გაზეთებიდან ამოკრებილი უცხო სიტყვები, — მთხოვენ ეს სიტყვები ავხსნა და შემდეგისათვის წიგნში შევიტანო. ზოგი უბრალო განმარტების გარდა მთხოვს სხვადასხვა მსოფლიო კრებათა და სოციალისტურ ყრილობათა დადგენილებათა თუ ისტორიულ შემთხვევათა, პირთა ვინაობის და სხ. ახსნას. ამ მოსაზრებით, რამდენათაც შემეძლო, ქართველი მკითხველის სურვილი დავაკმაყოფილე.

ეს (მესამე) გამოცემა ბევრი ახალი ტერმინით შეივსო. წინათ გამოცემიდან ზოგი გამოვუშვი, ზოგი ახლად შევიტანე... ყველა შემოტანილი სიტყვა ისეა ჩაწერილი, როგორც ქართულ მწერლობაშია დამკვიდრებული, თვითეული სიტყვა პირველ წყაროებთან შედარებული; ბევრი ისეთი ტერმინიც შემოვიტანე, რომელიც სხვა ერთა ლექსიკონებში არ მოიპოვება: ესენი შემოტანილია ქართულს და რუსულს ენებზე უკანასკნელ ხანებში გამოცემულ სხვადასხვა სამეცნიერო შრომებისა და სახელმძღვანელოებიდან. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საზოგადოებრივ მეცნიერებათა ტერმინოლოგიას — სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას, ხელოვნებათა დარგებს, აგრეთვე ტექნიკასა და სხ. წიგნს ბოლოზე დართული აქვს შევსებული სახით, ძველებურადვე, „უცხო ანდაზა-თქმები".

ამგვარად ლექსიკონი გადავამუშავე 5 წ. წინად.

სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტმა, პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენების თანახმად. ამ ლექსიკონის საჩქაროდ დაბეჭდვა სასურველად სცნო საფუძვლიანი რედაქციით.

გამომცემლობამ სათანადო რედაქციისთვის გადასცა პროფ. გ. ახვლედიანს, რომელმაც ჩემთან წინასწარ დასახულ და შეთანხმებულ გეგმის (ძირფესვების, დაწერილობის, საერთო ხასიათის, შემოკლების წესის, საჭირო სიტყვათა შემოტანის და სხ. შესახებ) თანახმად დაიწყო მუშაობა და რედაქცია გაუკეთა ა-დან პ-დე; ამის შემდეგ რედაქცია განაგრძო და დაამთავრა დ. ონიაშვილმა (ჟ-დან ჰ-დე), ხოლო „უცხო ანდაზა-თქმებს" — ერ. ტატიშვილმა. უცხო სიტყვათა დაწერილობა ესაბამება ამა თუ იმ უცხო ენის სწორე გამოთქმასა და ქართული ენის ბუნებას, როგორც უმეტესად წინა გამოცემებში მქონდა. ი-ნით დაბოლოვებულ სიტყვებში, რომელთა დედნის ძირფესვს ი-ნი არ ახლავს, ამ გამოცემაში ეს უკანასკნელი ასო (ი) დიფუზით დაშორებულია, ზოგიერთ უცხო სიტყვაში შემოტანილია (პროფ. გ. ახვლედიანის მიერ) ზმნის ახალი წარმოება (-ი რ ე ბ ა, ჩემი დიდი ხნის განზრახვა „შესანიშნავ ადამიანთა ლექსიკონი"-ს გამოცემის შესახებ ოდნავ შესრულებულია ამ გამოცემაში ზოგი-

ერთ გამოჩენილ პირის მოკლე ცნობათა შემოტანით. (ვფიქრობ შემდეგში ამ მიმართულებით, გეოგრაფიულ და სხ. მხრივ გავაფართოვო ეს ლექსიკონი. მხედველობაში მაქვს აგრეთვე ჩემი შრომანი: 1) „საყოველთაო ჯიბის უცხო სიტყვათა ლექსიკონი", 2) „ვრცელი უცხო სიტყვათა ლექსიკონი ანუ მცირე ენციკლოპედია" და სხ. იხ. ჩემ ნაშრომთა სია ამ წიგნის ბოლოზე).

ბოლო ხანებში მუშაობა სწარმოებდა ბევრის მხრივ მძიმე პირობებში, რის შედეგი შესაძლოა სადმე შეჰყოლოდეს.

უეჭველია ამ გამოცემასაც ექნება ნაკლი, რომლის შესწორება და შევსება მომავლის საქმეა.

ჩემს წმიდა მოვალეობად მიმაჩნია აქვე მადლობა გამოვუცხადო პატ-თ პროფ. გ. ახვლედიანს, დ. ონიაშვილს და ერ. ტატიშვილს სარედაქციო მუშაობის გაწევისათვის, აგრეთვე პირველი სტამბის ამხ.-მუშებს — სტამბის ტეხნიკურ ნაწილის გამგეს ალ. მჭედლიშვილს; ლინოტიპის ოსტატს მაკ. გოგუაძეს (მის ხელმძღვანელობით მომუშავეებითურთ: ვ. ბენიძეს. ბ. მალსაგოვს, ლ. ვადაჭკორიას, ს. დათეშიძეს, ს. იაშვილს, კ. ბაქრაძეს); ფაქტორებს — გ. ინოზემცევს, ვ. დოლიძეს; მეტრანპაჟებს: იოსებ მაჭავარიანს, ილ. ტატიშვილს, გ. მახარაძეს, ი. ფურცელაძეს, ე. ფერაძეს; ასოთამწყობთ: იოს. ბაბილოძეს, გ. ხუციშვილს; მტვიფრავებს: ილ. ხოსროშვილს, კ. ხარაშვილს, დ. ხიმშიაშვილს, მ. ხეჩანოვს, ალ. მინდიაშვილს; ვ. ნასიძეს და ყველა იმათ, რომელთაც რითიმე ხელი შემიწყეს ამ წიგნის ბეჭდვის საქმეში.

1928 წ. იან. 18. იოსებ იმედაშვილი.

## წინასწარი შენიშვნები. *)

1) წინამდებარე ლექსიკონი განსხვავდება ჩვეულებრივი უცხო სიტყვათა ლექსიკონისაგან მით, რომ უცხო სიტყვასთან დაკავშირებით მასში მოცემულია უფრო მეტი, ვიდრე ეს საჭიროა ამ სიტყვის გასაგებად; ლექსიკონში შეტანილია აგრეთვე ფრიად გამოჩენილ უცხო პირთა საკუთარი სახელები (ბაირონი, გოეთე, ენგელსი, ვაშინგტონი, მარქსი და სხვ.); ამდენად ამ ლექსიკონს აქვს ნაწილობრივ ენციკლოპედიური განხრა.

2) ერთიერთ ჩემს მიზანს შეადგენდა უცხო სიტყვების მართებული დაწერილობა ქართულად; როგორც მკითხველი დაინახავს, ამ მხრივ ძალიან ბევრი რამაა შეცვლილი ქართულში ხმარებულთან შედარებით, მაგ.: ათლეტი, ანთრაციტი, აპათია, ენთუზიაზმი, კონტრაჰენტი, ლუთერი, მოჰიკანი, მალთუსი, ოთელო, პროგნათიზმი და მრ. სხვა. ზოგიერთის გასწორება შეიძლება ზედმეტად ეჩვენოს კაცს, მაგ. ოთელო: არ არის არცერთი კულტურული ენა, რომელსაც არ ჰქონდეს ამ სიტყვაში თ, თუ კი ამ ენაში არსებობს ნიშანი თ-სათვის (ასეა ფრ., გერმ., სომხურში და სხვ., რადგან დედანშია th).

3) ლექსიკონში გამოყენებულია უცხო სიტყვათაგან ზმნის ისეთი წარმოება, როგორიცაა, მაგ.: დეკლასირება, დეკორირება, დელეგირება, ლოგარითმირება, ლორნირება და სხვ. **)

4) ი-ზე დაბოლოებულ სიტყვებში გამოყოფილია ი, როცა ის არაა ფუძისეული, არამედ მიმატებულია ქართულში, მაგ. დეკან-ი, დეკრეტ-ი, მონსტრ-ი, მოპასან-ი და სხვ. (ეს სიტყვები იბრუნვის კაც-ის მსგავსად); ბოლოკიდური ი არაა გამოყოფილი, როცა იგი ფუძისეულია, მაგ. დელი, ლუდი, მონტესორი და სხვ. (ეს სიტყვები იბრუნვის ირაკლი-ს მსგავსად; შეად. დეკანმა, მაგრამ ლედიმ; კაცმა, მაგრამ ირაკლიმ).

5) ამ ლექსიკონის ერთ დიდ ნაკლად ჩაითვლება ის, რომ მასში ნაკლებად ჩანს ე. წ.

---

*) ეს შენიშვნები შეეხება ლექსიკონის 1 — 646 გვ. (ა — პ), რომელიც დამუშავებულია ჩემს მიერ; საერთოდ იგივე ითქმის, როგორც ჩანს, პატივც. დ. ონიაშვილის მიერ დამუშავებული ნაწილის შესახებაც, რომლის რიგიანად გაცნობა მე ვერ მოვასწარი.

**) ასეთი წარმოება მიღებულია ცენტრ. სარესპუბლ. სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ არნ. ჩიქობავას მოხსენების თანახმად.

აღმოსავლური (ჩვენთვის სამხრული) ენებიდან (არაბ., თურქ.-ოსმალ., სპარს., სომხურ.) ჩვენს ენაში არა ევროპა-რუსეთის გზით შემოსული სიტყვები; ასეთი სიტყვების შეტანა არ ჩავთვალეთ აუცილებელ საჭიროებად შემდეგი მოსაზრებების გამო: ა) მრავალი მათგანი იმდენად მოუნელებია ქართულ ენას, რომ უკვე თავისად სთვლის მათ; მაგ. ალალი, ალყა, თოფი, ნავთი, ტაშტი, კარბი და მრავ. სხვა; ბ) იმ საჟურნალ-გაზეთო და სამეცნიერო პოპულარულ მწერლობაში, რომლის მკითხველისთვისაც განზრახულია ეს ლექსიკონი, ძალიან იშვიათია ასეთი სიტყვები; გ) ამ ლექსიკონს არა აქვს სისრულის პრეტენზია, თუმცა ჩვენ (გ. ახვ.) იმ აზრისა ვართ, რომ არც სრულ უცხო სიტყვათა ლექსიკონშია საჭირო ისეთი უცხო სიტყვების შეტანა, რომლებიც ყველა ქართველისათვის გასაგებია, — თუ, რა თქმა უნდა, ლექსიკონი პრაქტიკულია და არა მეცნიერული.

6) სტამბაში არ აღმოჩნდა ზოგიერთი საჭირო ნიშანი, ამიტომ: ა) იოტის ნაცვლად ნახმარია ι; ბ) ბერძ. სიტყვებში ου იკითხება, როგორც ქართ. უ, ხოლო ch, როგორც ქ (ან ხ); გ) у-ზე სამახვილო ნიშნები არაა; დ) ბერძ. სიტყვებში ბერძნული ცირკუმფლექსის ნაცვლად ნახმარია ფრანგული; იგივე ნიშანია ნახმარი გრძელი e და o-სათვის.

7) განსაკუთრებულად აღსანიშნავია შემდეგი შემოკლებანი და პირობითი ნიშნები და სიტყვები: ა) ევროპ. (ევროპული) ნიშნავს: ევროპის ყველა ენებში ან ორ უმთავრეს მათგანში (ფრ., გერმ., ინგლ.) ხმარებული სიტყვა; ბ) ბერძ.-ლათ. ნიშნავს ბერძნულიდან ლათინურის მიერ ნასესხები, ან ბერძნულისა და ლათინური ელემენტის შემცველი სიტყვა: ბერძ.-ევროპ. ან ლათ.-ევროპ. ნიშნავს: ბერძნულიდან ან ლათინურიდან ერთერთ ევროპულ ენაში ნასესხები და შემდეგ დანარჩენებში გავრცელებული სიტყვა; ლათ.-ფრ. ნიშნავს: ფრანგულის მიერ ლათინურიდან ნასესხები სიტყვა (გენეტიური ნათესაობის გარეშე); გერმ.-ფრ. ნიშნავს: გერმანულიდან ფრანგულში ნასესხები სიტყვა; გერმ.-რუს.: გერმანულიდან რუსულში ნასესხები და სხვ.; გ) ხელოვნ. (ხელოვნური) ნიშნავს: ეს სიტყვა ამ ფორმით არ ჰქონია იმ ენას, რომლისაგანაც იგი მომდინარეობს, მაგ. ასთენოპია, ასეპტინი და სხვ., რომლებშიც ელემენტები ბერძნულია, მაგრამ ამ ფორმით ისინი ძვ. ბერძნულში არ ყოფილა, არამედ შექმნილია ახალ დროში ხელოვნურად; დ) ფჩხილებში ჩაწერილი უცხო სიტყვა თავისი მნიშვნელობით არ უდრის ყოველთვის შავით აწყობილ ქართულ სიტყვას, არამედ გვიჩვენებს სესხების წყაროს; ე) უცხო სიტყვები იწერება ზოგჯერ ქართული ასოებით (უმეტესად მაშინ, როცა მათი გადმოცემა შესაძლებელია ქართული ასოებით), ზოგჯერ კი ლათინურით; ვ) „აქედან“ არ ნიშნავს ყოველთვის, რომ მომდევნო სიტყვა წარმოშობილია წინასაგან, არამედ ნიშნავს: ამასთან კავშირი აქვს; ზ) ბჯალებში ჩასმა შავით აწყობილი იმ სიტყვებისა, როგორიცაა, მაგ. „ზავოდი“, „აპეკუნი“, „პოდიეზდი“ და სხვა ასეთი, ნიშნავს: ეს სიტყვა უვარგისია ქართულში სახმარებლად.

8) ვსარგებლობდი რუსულ ენაზე არსებული ენციკლოპედიური ლექსიკონებით; აგრეთვე — გერმ. ენციკლ. ლექსიკონით Meyer, Grosses (აგრეთვე Kleines) Konversations-Lexicon (1907 — 1910). გამოვიყენე რუსულსა და სხვა უცხო ენებზე (განსაკუთრ. გერმ. და ფრანგ.) არსებული უცხო სიტყვათა და ამგვარი განხრის (როგორიც ეს ლექსიკონია) ლექსიკონები. მათ შორის განსაკუთრებით: Вайсблит (1926 წ.). „Настольный словарь“ (изд. „Прибой“, 1926 წ.), „Настольный энциклопедический словарь-справочник“ (изд. „Прометей“, 1926 წ.), „Nouveau Petit Larousse illustré“ (1926 წ.); Heyse-Lyon, Fremdwörterbuch (1903 წ.): Meyer, Handlexicon (1920 წ.); და სხვ.. ვისარგებლე აგრეთვე რუსულად არსებული სპეციალური ლექსიკონებით, როგორიცაა მაგ.: Дурново. Грамматич. словарь: Малая биологическая энциклопедия, под ред. Шмидта (1924 წ.); Философский словарь. под ред. Радлова და სხვ.

გ. ახვლედიანი.

# ა

**აამ-ი**, ჰოლ., სითხეთა საწყაო.

**აბადონ-ი** (ებრ. აბადდონ), დამღუპველი; უფსკრულის (სიკვდილის) ანგელოზი; ჯოჯოხეთის ულრმესი ადგილი.

**აბაზია**, იხ. აბასია.

**აბანდონ-ი**, ფრ., პატრონის მიერ ქონების მიტოვება; დაზღვეული ხომალდისა და საქონლის გადაცემა დამზღვევი საზოგადოების ან კრედიტორის საკუთრებად.

**აბაჟურ-ი** (ფრ. à bas jour), ლამპის ჩამოსაფარებელი; სინათლის მიმმართველი რომელიმე მხრისაკენ; შუქფარი.

**აბარბეი**, სპ., ფული — დაახლოებ. 60 კ.

**აბასამენტო** (იტ. აბბასსამენტო), დაშვება, დაწევა ხელისა დირიჟორის მიერ; ხმის დადაბლება.

**აბასია**, ბერძ., სიარულის უნარის დაკარგვა.

**აბასიდები** (მრავლ.), აბასის (მაჰმადის ბიძის) შთამომავალი გვარეულობა: მეფობდა ბაღდათში და ეგვიპტეში 749 — 1258 წწ., სპარსეთში 1500 — 1736 წწ.

**აბატ-ი** (იტ. აბბატე), კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვარი; **აბატისა** — წინამძღვარი ქალი.

**აბგრეგაცია**, ლათ., გამორიცხვა; საზოგადოებიდან გაძევება.

**აბდალაჰ-ი**, არაბ., მონა ღვთისა; აქედან: **აბდალა** — მწირი.

**აბდერიტ-ი**, ქალაქ აბდერის (თრაკიაში) მცხოვრები; **აბდერიტები** განთქმულნი იყვნენ სისულელით, აქედან:

**აბდერიტიზმ-ი** — სისულელე, გულუბრყვილობა.

**აბდესტ-ი**, სპ., ხელის (დასაბანი) წყალი; ხელპირის დაბანა ლოცვის წინ (მაჰმადიანებში).

**აბდიკაცია**, ლათ., რაიმე თანამდებობაზე ნებაყოფლობით უარის თქმა; მეფის ტახტიდან გადადგომა.

**აბდომენ-ი**, ლათ., მუცელი, მუცლის ღრუ; **აბდომენური** ან **აბდომინალი** — მუცლისა, მუცლის შესახები, ან მუცლური, მაგ. **აბდომენური** სუნთქვა — მუცლით სუნთქვა.

**აბდომინოსკოპია**, ლათ.-ბერძ.. მუცლის ღრუს კვლევა.

**აბდულ მესია**, არაბ., მონა ქრისტესი.

**აბდუქტორ-ი**, ლათ., გამწევი კუნთი, რომელიც ერთს რომელსამე ორგანოს აშორებს სხეულის მეზობელი ნაწილისაგან.

**აბდუქცია**, ლათ., მოშორება, დაცილება; ფიზიოლოგიაში: ერთი ორგანოს დაშორება მეორისაგან; ლოგიკაში: სილოგიზმი, რომელშიც უფროსი წინნამძღვარი ჭეშმარიტია. ხოლო უმცროსი სათუო.

**აბერაცია** (ლათ. აბერრაციო). გზას გადაცდენა, გადახრა, შეცთომა; მოვლენის არასწორად აღქმა; ფიზიკაში: სხივთ-განბნევა.

**აბზაც-ი**, გერმ., ხარვეზი სტრიქონის დასაწყისში; სტრიქონის შეწევა: ორ შეწეულ სტრიქონ შუა მოთავსებული ნაწყვეტი; კითხვის დროს უდრის დასაწყისს პაუზის შემდეგ.

**აბიოგენეზის-ი**, ბერ., თვითჩასახვა.

**აბიოლოგია**, ბერძ., მეცნიერება არა ცოცხალი სხეულების შესახებ.

**აბირიტაცია** (ლათ. აბირრიტაციო), სასიცოცხლო მოქმედების შესუსტება.

**აბისტ-ი**, არაბ., ფული არაბეთ-ისპანიაში — დაახლოებ. 35 კ.

**აბიტურიენტ-ი**, ლათ. საშუალო სკოლის მოწაფე. რომელიც კურსს ამთავრებს.

**აბიურაცია**, ლათ., თავისი რწმენისა ან სარწმუნოებისაგან საჯაროდ ფიცით გადგომა.

**აბლატივ-ი** ან **აბლატივუს-ი**, ლათ., დაწყებითი ბრუნვა.

**აბლაუტ-ი**, გერმ., ხმოვანთ-მონაცვალეობა.

**აბლაქტაცია**, ლათ., 1) ძუძუს გაშვებინება. 2) ერთმანეთთან ახლო მდგომი ორი ხის მყნობა ერთმანეთზე.

**აბლაცია**, ლათ.. გადაცლა დედამიწის ზედაპირისა ბუნების მოვლენათა ზეგავლენით (გეოლ.).

**აბლეგატი**, ლათ., მეორე ხარისხოვანი დიპლომატიური აგენტი, განსაკუთრებით რომის პაპისა, საგანგებო შემთხვევისათვის.

**აბლეგაცია**, ლათ., სამშობლოდან განდევნა კეთილსახიერი საბაბით (რომში იცოდენ).

**აბლეპსია**, ბერ., სიბრმავე; გონების სისუსტე.

**აბლუცია**, ლათ., განბანა (კათოლიკეთა წესით).

**აბოლიციონისტები** (მრავლ. ლათ.), მომხრენი რაიმე დაწესებულების, წესის ან კანონის გაუქმებისა; ცნობილნი არიან, მაგ., ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც მებრძოლნი მონობის მოსპობისათვის: მიაღწიეს მიზანს 1863 წ.

**აბომინარი** ან **აბომინარიუმ-ი**, ლათ., წყევათა წიგნი; **აბომინაცია**—სიძულვილი, ზიზღი.

**აბონემენტ-ი** (ფრ. abonnement), ფულის წინასწარი გადახდა განსაზღვრული ვადით სარგებლობის უფლების მოსაპოებლად თეატრში, წიგნთსაცავში, ტრამვაიზე და სხვა.

**აბონენტ-ი** ფრ., ხელის მომწერი, დამკვეთი ადგილისა თეატრში, წიგნებით სარგებლობის უფლებისა წიგნთსაცავში და სხვა.

**აბორდაჟ-ი** (ფრ. abordage), ორი სამარი გემის კავებით ურთიერთ გადაჭდობა ხელჩართული ბრძოლისათვის (ძველი წესია ბრძოლისა).

**აბორიგენ-ი**, ლათ., მკვიდრი, — ამა თუ იმ ქვეყნის თავდაპირველი მცხოვრები.

**აბორტ-ი**, ლათ., ვადაზე ადრე (ხელოვნურად) შობა; მუცლის ხელოვნურად მოშლა.

**აბრა**, თურქ.: 1) სასწორის საჭარბი; 2) ოსმალური ფული — 25 კ.

**აბრაამის წიაღი**, ებრაელთა შეხედულობით: სიკვდილის შემდეგ უმაღლესი ნეტარება.

**აბრაამიტები** (მრავლ.): 1) რელიგიური სექტის მიმდევარნი სირიაში (9 საუკ.), რომელნიც უარჰყოფდენ ქრისტეს ღვთაებრიობას; 2) ბოჰემიის დეისტები 18 ს. გასულს, რომელთაც უარყვეს სამება, ნათვლა და სხვა საღვთო წესები.

**აბრაზია**, ლათ., 1) გეოლოგიაში: ტალღათა ტყორცნით ზღვის ნაპირის მოფლატვა; 2) მედიცინაში: ძლიერად მოქმედი წამლის მიერ კუჭის გალიზიანება.

**აბრაკადაბრა**, სპ., სამკუთხედად გამოსახული სპარსული თილისმური უაზრო სიტყვა, ციებ-ის შესალოცავი.

**აბრაქსას-ი**, ღვთაების მისტიკური გამოსახულება, უმეტეს ნაწილად, ყელზე შესაბმელ თილისმებზე.

**აბრახია** ან უკეთ **აბრაქია**, ბერძ., თანდაყოლილი უქონლობა ხელებისა.

**აბრევიატორ-ი** (ლათ. აბბრევიატორ), ქარაგმით დამწერი, სიტყვების შემკვეცი წერაში.

**აბრევიატურა** (ლათ.), ქარაგმა, სიტყვების შემოკლებით წერა; **აბრევიაცია** — იგივეა.

**აბრეკ-ი**, კავკას. (ოსური?); 1) უშიშარი, თავზე ხელაღებული მებრძოლი; 2) ცხოვრების სიამოვნებათა განშორებისა და მტერთან თავგანწირვით ბრძოლის აღთქმის დამდები; 3) ქართულში: **აბრაგი** — ავაზაკი.

**აბრეჟე**, ფრ., შემოკლება; თხზულების მოკლედ გადმოცემა.

**აბრის-ი**, გერმ., სურათის პირველი მონახაზი; საგნის ზოგადი გამოხატულება; კონტური.

**აბროგაცია**, ლათ., გაუქმება (კანონისა): უკან წაღება.

**აბრუპცია**, ლათ., სწრაფი შეწყვეტა, დადუმება (მუსიკაში).

**აბსენთ-ი** ან **აბსინთ-ი**, ლათ.: 1) ერთერთი მცენარის სახელია; 2) მაგარი სასმელი, მწარე არაყი.

**აბსენტეიზმ-ი** ან **აბსენტიზმ-ი**, ლათ.: 1) თავისი მამულის გარეშე მუდმივი ცხოვრება; 2) საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გულგრილობა; 3) არჩევნებზე არ გამოცხადება; **აბსენტეისტი** ან **აბსენტისტი** — ვინც მამულის გარეშე ცხოვრობს, არჩევნებზე არ ცხადდება და სხვა.

**აბსოლუტ-ი**, ლათ., თავისთავადი, სრული; პირველი, დასაბამითი ჭეშმარიტება. ფილოსოფიაში: ყოვლად დამოუკიდებელი, დაუსაბამო და დაუსრულებელი საფუძველი ქვეყნიერებისა.

**აბსოლუტიზმ-ი**, თვითმპყრობელობა; განუსაზღვრელი და თვითნებური უზენაესი ხელისუფლების უფლობა-ბატონობა; **აბსოლუტისტ-ი** — აბსოლუტიზმის მომხრე.

**აბსოლუტური**, სრული, ყოვლად დამოუკიდებელი, თავისთავადი; ამა თუ იმ თვისების სავსებით მქონე; **აბსოლუტური იდეალიზმი** —

მოძღვრება, რომლის თანახმადაც ყოველისავე დასაბამი არის იდეა, ხოლო მსოფლიო — მისი განსახიერება; **აბსოლუტური ობიექტივიზმი** — მოძღვრება, რომლის თანახმად ცხოვრების მიმდინარეობაში ადამიანის მონაწილეობა უმნიშვნელოა; **აბსოლუტური რიცხვი** — შედარების გარეშე აღებული რიცხვი; **აბსოლუტური ჭეშმარიტება** — უეჭვო, უთუო, აუცილობელი ჭეშმარიტება.

**აბსოლუცია**, ლათ., ცოდვათა მიტევება აღსარებისა ან მონანიების გამო; ბრალდებულის გამართლების ცნობა.

**აბსორპცია**, ლათ., შეწუწვნა, შთანთქმა (სინათლისა, სითბოსი და სხვა).

**აბსტინენტი-ი**, ლათ., თავდაჭერილი, თავშეკავებული, ზომიერების დამცველი; **აბსტინენტები** (მრავლ.) — ქრისტიანული სექტის (3 საუკ. ისპანიასა და გალიაში) მიმდევარნი, რომელნიც უარჰყოფდენ ცოლქმრობას და ხორცის ჭამას; **აბსტინენცია** — თავდაჭერილობა, ზომიერება (სქესობრივსა და მაგარი სასმელების სმის საქმეში).

**აბსტრაქცია**, ლათ., განყენება, ე. ი. გამოყოფა აზრით საგნისაგან ისეთ ნიშანთა, რომელთაც სინამდვილეში ამ საგნისაგან დამოუკიდებლივ არსებობა არ შეუძლიათ; აქედან **აბსტრაქტული** — განყენებული, განყენებითი; **აბსტრაქტული მეთოდი** — მოვლენათა განყენებითი კვლევის წესი; **აბსტრაქტული მეცნიერება** (მაგ. მათემატიკა); **აბსტრაქტული რიცხვი** — ალგებრაში ასოებით გამოხატული რიცხვი.

**აბსურდ-ი**, ლათ., უაზრობა, შეუსაბამობა; **აბსურდული** — უაზრო, შეუსაბამო.

**აბსცეს-ი** (ლათ. აბსცესსუს), სიმსივნე, მუწუკი; ჩირქგროვა (ქირურგიაში).

**აბსცისა** (ლათ., აბსცისსა), ერთი კოორდინატთაგანი, რომელიც განსაზღვრავს წერტილის მდებარეობას სიბრტყეზე.

**აბულია**, ბერძ., ნებისყოფის უქონლობა: ავადმყოფობაა, რომელიც გამოიხატება ნებისყოფის დასუსტებასა და დაკარგვაში.

**აბუნდანცია**, ლათ., სიუხვე, სიმდიდრე; სიუხვის ქალღმერთი (რომაელებში), წარმოდგენილია ყანწიდან საუნჯის უხვად მფანტველის სახით.

**აგათოლოგია**, ბერძ., ეთიკის ერთი ნაწილი: მოძღვრება კეთილისა და კეთილმდგომარეობის შესახებ.

**აგალაქტია ან აგალაქსია**, ბერძ., დედის ძუძუში რძის უქონლობა რაიმე ავადმყოფობის მიზეზით.

**აგამია**, ბერძ., დაუქორწინებლობა; **აგამისტ-ი**, უცოლო, უქმრო.

**აგასფერ-ი**, ებრ.: 1) სპარსეთის მეფის ქსერქსის სახელია ბიბლიით; 2) სახელია ებრაელისა, რომელიც გადმოცემით მაცხოვარმა შეაჩვენა და საუკუნო ხეტიალი მიუსაჯა; 3) გადატანითი მნიშვნ.: დაწყევლილი უკუნისამდე.

**აგატი**, იხ. აქატი.

**აგევზია ან აგევსია**, ბერძ., გემოს შეგრძნების უქონლობა პირის ლორწოვანი გარსის ავადმყოფობის გამო, იხ. გევმატიკა.

**აგენეზია ან აგენესია**, ბერძ., ქალის ან ვაჟის უნაყოფიერობა, უშვილობა.

**აგენტ-ი**, ლათ., მოქმედი ძალა, მიზეზი: რწმუნებული, წარმომადგენელი, შუამავალი.

**აგენტურა**, ლათ.: 1) აგენტის საქმიანობა. 2) აგენტის კანტორა.

**აგვისტოს კანონი**, 1905 წ. 6 აგვისტოს კანონი რუსეთში სახელმწ. სათათბიროს დაარსების შესახებ.

**აგინია**, ბერძ., უცოლობა.

**აგინიკური მცენარენი**, არასანაყოფო მცენარენი.

**აგიოგრაფია**, იხ. ჰაგიოგრაფია.

**აგიტატორ-ი**, ლათ., ის პირი, ვინც აგიტაციას აწარმოებს.

**აგიტაცია**, ლათ., ვისიმე სამოქმედოდ წაქეზება, ამოძრავება; ჩვეულებრივ: ხალხის წაქეზება პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ხასიათის საქმის შესასრულებლად; **აგიტაციური** — აგიტაციის ხასიათის მატარებელი; **სააგიტაციო** — აგიტაციისათვის გამოსადეგი ან დანიშნული: **სააგიტაციო ლოზუნგი** (მოკლედ: **აგიტლოზუნგი**); **სააგიტაციო პუნქტი** (მოკლედ: **აგიტპუნქტი**).

**აგლომერატ-ი** (ლათ. აგგლომერარე — შეერთება), სხვადასხვაგვარ ნაწილთა შენაერთი; **აგლომერაცია** — სხვადასხვაგვარ ნაწილთა ურთიერთთან შეერთება, შეკოწიწება.

**აგლოსია**, (ბერძ. აგლოსსოს — უენო). ენის უქონლობა — თანდაყოლილი, სნეულების ან ამოჭრის გამო.

**აგლუტინაცია** (ლათ., აგგლუტინარე — მიწებება): 1) ჭრილობის ზრდა უჩირქოდ; 2) სიტყვის ფორმის წარმოება აფიქსების საშუალებით, ფუძეთა უცვლელად; **აგლუტინანტური** ან **აგლუტინური ენა** — ენა, რომელშიც ფორმები იწარმოება აგლუტინაციით.

**აგნი**, ინდ., ცეცხლის ღვთაება ინდოელთა.

**აგნოსტები** (მრავლ.), ბერძ., მიმდევარნი სექტისა (5 ს.), რომელიც უარჰყოფდა ყოვლისმცოდნეობას ქრისტესას.

**აგნოსტიკ-ი**, ბერძ., აგნოსტიციზმის მიმდევარი.

**აგნოსტიციზმ-ი**, ბერძ., ფილოსოფიური მიმდინარეობა (ინგლისში), რომლის თანახმადაც შეუძლებელია შეცნობა ისეთ მოვლენათა, რომელნიც გამოცდილების მიღმა (გარეშე) არიან, მაგ. სული, ღმერთი და სხვა.

**აგომეტრ-ი**, იხ. რეოსტატი.

**აგონ-ი**, ბერძ., საზეიმო თამაშ-კამათობა და შეჯიბრება (ძველ საბერძნეთში), რომლის მონაწილენი აჩვენებდნენ დამსწრეებს თავიანთ ძალღონეს, სიმარდეს და სხვა; **აგონისტ-ი** — ასეთი შეჯიბრების მონაწილე; **აგონისტიკა** — შეჯიბრების მცოდნეობა; **აგონოგრაფია** — შეჯიბრებათა აღწერა.

**აგონია**, ბერძ., მომაკვდავის ტანჯვა, სულთბრძოლა.

**აგორა**, ბერძ.: 1) შესაკრები ადგილი ძვ. საბერძნეთში, მოედანი სახალხო კრებისათვის; 2) სავაჭრო მოედანი.

**აგორაფობია**, ბერძ., ავადმყოფობა, რომლის დროსაც ავადმყოფს ეშინია მანძილის გავლა უგამყოლოდ.

**აგრარი**, ლათ., მიწათმფლობელი მემამულე; **აგრარიები** (მრავლ.) — 1869 წ. დაარსებული პოლიტიკ. პარტია გერმანიაში, მსხვილი მიწათმფლობელობის დამცველი.

**აგრარიზაცია**, ლათ., სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარება.

**აგრარული**, ლათ., ის რაც ეხება მიწათმფლობელობასა და მიწათმოქმედებას; **აგრარული კანონები** — ძველს რომში: დაპყრობილი მიწების განაწილების წესები; **აგრარული კანონმდებლობა** — რუსეთში: მიწათმფლობელობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ 1905 — 06 წლებში გამოცემული კანონები; **აგრარული კრიზისი** — მიწათმფლობელობის საქმის გამწვავება; **აგრარული მოძრაობა** — რუსეთსა და საქართველოში გლეხთა მღელვარება და მებატონეთა და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება 1905 — 06 წწ.; **აგრარული პოლიტიკა** — მთავრობის ღონისძიებანი მიწათმფლობელობის მოსაწესრიგებლად და მიწის მეურნეობის გასავითარებლად; **აგრარული პროგრამა** — მთავრობის ან რომელიმე პარტიის მიერ შემუშავებული გეგმა მიწით სარგებლობისა და მიწის მეურნეობის გაუმჯობესებისა; **აგრარული საკითხი** — 1) საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ფლობდეს მიწას და რა წესით; 2) მეცნიერული თეორიები იმის შესახებ, თუ როგორია ბუნება და განვითარება სასოფლო მეურნეობისა; **აგრარული ტერორი** — მიწის სიმცირით შევიწროებულ გლეხთა მიერ მებატონეთა ხოცვა-ჟლეტა; **აგრარული უწესობანი** — უკმაყოფილო გლეხთა მიერ თვითნებურად მიწების დატაცება, ტყეების გაჩეხა, მემამულეთა სახლ-კარის აწიოკება, ღალის გადახდაზე უარის გამოცხადება და სხვა.

**აგრაფ-ი**, ფრ.: 1) ბალთა, საკინძი, შესაბნევი; 2) თაღის კლიტე (არქიტექტურაში); 3) ხელსაწყო ჭრილობის ნაპირების შესაერთებლად (ქირურგიაში).

**აგრაფია**, ბერძ., წერის უნარის დაკარგვა (ფსიქიატრიაში).

**აგრეგატ-ი** (ლათ., აგგრეგარე — გაერთიანება), განცალკევებულ ნაწილთა შეერთების შედეგი; **აგრეგაცია** — ფიზიკური სხეულის მდგომარეობა, რომელიც დამოკიდებულია მისი შემადგენელი ნაწილაკების მეტნაკლები შემჭიდროებისაგან; **აგრეგატული მდგომარეობანი**: მაგარი, თხევადი და აირადი.

**აგრერგოგრაფია**, ბერძ., სამიწათმოქმედო იარაღების აღწერა.

**აგრესია** (ლათ., აგგრესსიო,), შეტევა, თავდასხმა, მიხტომა; **აგრესიული** — შეტევითი, თავდასხმითი, დაპყრობითი, მტრული, მაგალითად: **აგრესიული პოლიტიკა**.

**აგრესტ-ი**, იტ., ისრიმის, უმწიფარი ყურძნის წვენი, რომელიც იხმარება ძმრისა, ლიმონათისა და სხვ. მოსამზადებლად.

**აგრიკულტურა**, ლათ., მიწათმოქმედება; სასოფლო მეურნეობა.

**აგრიკულტურისტები** (მრავლ.), პარტია ინგლისში, რომელიც მიწათმოქმედებას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ვაჭრობა-მრეწველობას.

**აგრიკულტურული**, სამიწათმოქმედო, სასოფლო-სამეურნეო; **აგრიკულტურული სისტემა** — მოძღვრება, რომლის თანახმად მიწათმოქმედება უმთავრესი წყაროა ხალხის სიმდიდრისა (იხ. ფიზიოკრატები); **აგრიკულტურული ქიმია** — მეცნიერება, რომელიც იკვლევს მცენარეთა მოყვანისა და ცხოველთა მოშენების ქიმიურ (იხ.) პირობებს.

**აგრიმონია**, ლათ., ჯიშია ერთი მცენარეთა.

**აგრიპნია**, ბერძ., უძილობა (ავადმყოფობაა).

**აგროლოგია**, ბერძ., მიწათ-მცოდნეობა, მიწის დამუშავების მეცნიერება.

**აგრომანია**, ბერძ., მიწათმოქმედების გატაცებითი სიყვარული.

**აგრონომ-ი**, ბერძ., სწავლული მეურნე, სასოფლო მეურნეობის მეცნიერებათა მცოდნე.

**აგრონომია**, ბერძ., კრებული იმ მეცნიერებათა, რომელნიც შეეხებიან სასოფლო მეურნეობას: ზოგნი მათგანნი იკვლევენ ბუნების მოვლენებს, რომელნიც გავლენას ახდენენ სასოფლო მეურნეობაზე, ხოლო ზოგნი ითვალისწინებენ სასოფლო მეურნეობის ეკონომიურ მხარეს (იხ. ეკონომია.); **აგრონომიული** — ის, რაც შეეხება აგრონომიას ან აქვს აგრონომიის ხასიათი; **აგრონომიული ინსტიტუტი** — სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება, რომელიც ზრუნავს აგრონომიის წარმატებისათვის; **აგრონომიული პროპაგანდა** (მოკლედ: **აგროპროპაგანდა** — აგრონომიისადმი ინტერესის გაღვიძება და შესაფერი ცოდნის გავრცელება სიტყვით, ბეჭდვით, სურათებით, გამოფენით და სხვა); **აგრონომიული პუნქტი** (მოკლედ: **აგროპუნქტი**) — დაწესებულება, რომელიც აწვდის მიწის მშრომელთ საჭირო ცნობებს, იარაღებს, თესლებს, ნერგებს და სხვ.

**აგროსტოგრაფია**, ბერძ., სამეცნიერო დარგი, რომელიც აწარმოებს მცენარეთა აღწერას.

**აგროსტოლოგია**, ბერძ., მცენარეთ-მეცნიერება, — მცოდნეობა

**ადაგია** (მრავლ.), ლათ., ანდაზები, ბრძნული სიტყვები.

**ადაგიოლოგია**, ლათ.-ბერძ., ანდაზათ-მცოდნეობა; ანდაზათა კრებული.

**ადამანტ-ი**, ბერძ.: 1) უძლეველი; 2) ალმასი. ძვირფასი მაგარი ქვა; 3) გადატანითი მნიშვნ.: ძლიერი ნებისყოფის ადამიანი; 4) ქართულად ამბობენ: **ანდამატი** — მაგნეტის მნიშვნელობით. აგრეთვე: მიმზიდველი.

**ადამ-ი**, ებრ.: 1) კაცი, 2) ბიბლიის გადმოცემით — პირველშექმნილი კაცი.

**ადამიტები** (მრავლ.), მიმდევარნი II და XIII საუკუნეებში წარმოშობილი ქრ. სექტისა, რომელიც ქადაგობდა პირველყოფილ მდგომარეობაში დაბრუნებას (სიშიშვლეს, ქალისა და ქონების საერთო საკუთრებად გახდომას).

**„ადამის ვაშლი"**: 1) **ხორხი**, 2) ფარისებრი ხრტილის შესახებად გამოშვერილი ნაწილი.

**ადაპტაცია**, ლათ., შეგუება, მიყენება.

**ადაჯიო**, იტ.: 1) მუსიკალური ნაწარმოების მძიმედ, წყნარად, ნელა შესრულება; 2) სიმფონიის ან სონატის ნელი ტემპით დაწერილი ნაწილი; ადაჯისიმო, (იტ. ადაჯისსიმო) — ძალიან ნელა და სხვ.

**ადეკვატ-ი**, იხ. ადექვატი.

**ადეკვატური**, იხ. ადექვატური.

**ადელოპოდ-ი**, ბერძ., ფეხდამალული ცხოველი, თითქოს უფეხო.

**ადელფია**, ბერძ.: 1) დაძმობილება; 2) ყვავილის ზროთა ურთიერთ შეხება: **ადელფიზმ-ი** — დაძმობილება; **ადელფისტ-ი** ძმობის ორდენის მიმდევარი (იტალიაში).

**ადემონია**, ბერძ., მოწყენილობა, მოუსვენრობა; მძიმე სულიერი განწყობილების ქონა.

**ადემცია**, (ლათ. ადემციო), წართმევა.

**ადენალგია**, ბერძ., მტკივნეული სიმსივნე ჯირკვალთა.

**ადენ-ი**, ბერძ., ჯირკვალი; **ადენიტ-ი**, ლიმფატიურ ჯირკვალთა ანთება.

**ადენოგენეზის-ი**, ბერძ., ჯირკვალთ წარმოქმნა.

**ადენოგრაფია**, ბერძ., ჯირკვალთ-აღწერა; **ადენოლოგია** — ანატომიის დარგია, რომელიც შეეხება ჯირკვლებს.

**ადენოიდები**, (მრავლ.), ბერძ., ჯირკვლის მსგავსი სხეულები.

**ადენომ-ი**, ბერძ., ჯირკვალთ დასიება.

**ადენოტომია**, ბერძ., ჯირკვალთ ამოჭრა ან განკვეთა.

**ადეპტ-ი**, ლათ.: 1) ამა თუ იმ მოძღვრების მიმდევარი, მის საიდუმლოებათა მცოდნე; 2) გრძნეული, მისანი.

**ადესენერები** (მრავლ.), ლათ., მიმდევარნი ქრისტ. სექტისა (16 საუკ.), რომელიც უარყოფდა ზიარების დროს პურისა და ღვინის ქრისტეს სისხლ-ხორცად გადაქცევას.

**ადესპოტონ-ი** (მრავლ.: ადესპოტა), ბერძ., უპატრონო ქონება ან ნამოქმედარი, მაგ., — თხზულება

**ადეფაგ-ი**, ბერძ., ბევრის მჭამელი, გაუმაძღარი, ღორმუცელა; **ადეფაგია** — გაუმაძღრობა, ღორმუცელობა.

**ადექვატ-ი**, ლათ., სავსებით შესაბამი, შესაფერისი, შესატყვისი; **ადექვატური** — იგივეა.

**ადვაიტა**, ინდ., ინდოელთა ფილოსოფიური მოძღვრება მსოფლიოს ერთიანობის შესახებ, მონიზმი (იხ.).

**ადვენტისტები** (მრავლ.), ლათ., ქრისტეს ახლო მომავალში მეორედ მოსვლის მომლოდინე სექტა (ინგლ. და ამერიკაში).

**ადვერბ-ი** ან **ადვერბიუმ-ი**, ლათ., ზმნისართი.

**ადვერზატივ-ი** ან **ადვერზატიული**, ლათ., წინააღმდეგობითი, მოპირისპირე (მაგ. გრამატ. კავშირი: მაგრამ).

**ადვოკატ-ი**, ლათ., ვექილი, ნაფიცი ვექილი, სხვისი საქმის დამცველი მინდობილობით.

**ადვოკატურა**, ლათ., დამცველთა წრე; ადვოკატის საქმიანობა.

**ადიაგნოსტური**, ბერძ., გამოუცნობელი ან ძნელად გამოსაცნობი (მედიცინაში).

**ადიაფონ-ი**, ბერძ., როიალის მსგავსი საკრავი. რომელშიც ბგერის წყარო კამერტონებია.

**ადიაფორა** (მრავლ.), ბერძ., განურჩეველი, ე. ი. რაც არც სიკეთეა და არც ბოროტება.

**ადიაფორია**, ბერძ., განურჩევლობა.

**ადინამია**, ბერძ., უღონობა, სხეულის დაუძლურება სისხლის დაკარგვის ან რაიმე ავადმყოფობის გამო; **ადინამიური** — უღონო, სხეულდაუძლურებული.

**ადიპალ-ი** ან **ადიპალური**, ლათ., ქონიანი, მსუქანი.

**ადიპსია**, ბერძ., უმწყურვალობა, წყურვილის დაკარგვა.

**ადიტიური** (ლათ. ადდიტივუს), მისამატებელი, დამატებით; მისათვლელი (იხ. ადიცია).

**ადიულტერ-ი**, იხ. ადულტერი.

**ადიუნქტ-ი**, ლათ., დამხმარე, მოადგილე; უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო დაწესებულებაში; პროტესტანტთა ეკლესიაში პასტორის თანაშემწე; **ადიუნქტ-პროფესორი** — პროფესორის თანაშემწე.

**ადიუტანტ-ი**, ლათ., სარდალთან მიჩენილი ხელქვეითი აფიცერი მის განკარგულებათა შესასრულებლად; სამხედრო ნაწილის საქმის წარმოების ხელმძღვანელი; **ადიუტანტურა** — ადიუტანთა უწყება.

**ადიუტორ-ი**, ლათ., დამხმარე, თანაშემწე.

**ადიქცია** (ლათ. ადდიკციო). მისჯა.

**ადიცია** (ლათ. ადდიციო), მიმატება, დამატება, მითვლა.

**ადიციონალური** ან **ადიციური აქტი**, ლათ., ძირითად სახელმწიფო კანონთა დამატებითი აქტი: ამ სახელწოდებით ცნობილია კანონი, გამოცემული (1815 წ. 22 აპრილს) ნაპოლეონ პირველის მიერ კუნძულ ელბიდან დაბრუნების შემდეგ; ეს კანონი უნდა ყოფილიყო დამატება საფრანგეთის კონსტიტუციისა.

**ადლერდოლარ-ი**, ინგლ., ჩრ.-ამერიკის ოქროს ფული არწივის სურათით, უდრის 10 დოლარს (დაახლ. 20 მან.).

**ადმინაცია**, ლათ., დამუქრება (იურიდ.).

**ადმინისტრატიული**, იხ. ადმინისტრაციული.

**ადმინისტრატორ-ი**, ლათ., გამგე, მმართველი.

**ადმინისტრაცია**, ლათ.: 1) გამგებლობა; მართვა-გამგეობა კერძო, საზოგადო ან სახელმწიფო საქმეთა; 2) კრებული იმ პირთა, რომელნიც განაგებენ.

**ადმინისტრაციული**, ლათ., გამგებლობითი, მმართველობითი; ადმინისტრაციის ხასიათის მქონე ან ადმინისტრაციის შესახები; **ადმინისტრაციული ხასჯელი**, სასამართლოს გარეშე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშნული სასჯელი (გადასახლება, დაჯარიმება, დაპატიმრება და სხვა).

ადმირალ-ი, არაბ.: 1) საზღვაოსნო ჯარისა და გემების უფროსი; 2) ჯიშია ერთი პეპელათა; 3) ქაღალდის ერთგვარი თამაში.

ადმირალიტეტ-ი, საზღვაოსნო უწყება, კრებული გემთუფროსებისა.

ადმონიცია, ლათ., გაფრთხილება, დარიგება ალსარების დროს (აღიაროს ცოდვები).

ადნოტაცია, ლათ., აღნიშვნა, შენიშვნა.

ადოლფსდორ-ი, გერმ.-ფრანგ., შვეციაში ოქროს ფული — 3 მან. 25 კ.

ადონაი, ებრ., უფალი, ღმერთი.

ადონის-ი, ბერძ.: 1) მითიური მშვენიერი ჭაბუკი, აფროდიტას მიერ შეყვარებული; 2) ერთი ჯიშის მცენარეა; 3) პეპელათა ერთი ჯიში.

ადოპტაცია, ლათ., შვილად აყვანა.

ადოპტატორ-ი, ლათ., შვილად ამყვანი.

ადოპტიანიზმ-ი, ქრისტ. სექტის მოძღვრება (8 საუკ.), რომლის თანახმად ქრისტე, მისი ადამიანური ბუნების მიხედვით, მხოლოდ ნაშვილებია ღვთის მიერ.

ადოპტიანისტ-ი, ადოპტიანიზმის მიმდევარი.

ადოპცია, იხ. ადოპტაცია.

ადორაცია, ლათ., თაყვანისცემა, ხვეწნა, ვედრება.

ადრამელექ-ი, ებრ., ასურელთა კერპის სახელია.

ადრესანტ-ი, ფრ.: 1) წერილის გამგზავნი პირი; 2) თამასუქის გამცემი (იხ. ადრესი)

ადრესატ-ი, ფრ.: 1) ის პირი, ვისაც ეგზავნება წერილი; 2) ვის სახელზედაც გაცემულია თამასუქი (იხ. ადრესი).

ადრეს-ი (ფრ. adresse): 1) მისამართი, განსაზღვრული პირის ადგილ-სამყოფელის აღნიშვნა; 2) კოლექტიური (იხ.) წერილობითი მიმართვა რაიმე საზეიმო შემთხვევის გამო განსაზღვრული პირისადმი (მილოცვა, მისალმება და სხვ.); 3) საკანონმდებლო კრებულის პასუხი მეფის სიტყვაზე.

ადრეს-კალენდარ-ი, ამა თუ იმ ქალაქის მცხოვრებთა ან ხელობის პირთა ადგილ-სამყოფელის მაჩვენებელი წიგნი.

ადროგაცია, ლათ., მამის ხელქვეით უკვე აღარ მყოფის შვილად აყვანა.

ადულტერ-ი, ლათ., ცოლქმრული ერთგულების დამრღვევი ვაჟი; ადულტერა — ასეთივე ქალი; ადულტერიუმ-ი — ცოლქმრული ღალატი.

ადულტერაცია, ლათ., ყალბის ქმნა, განსაკუთრებით, ფულისა; ადულტერატორ-ი — ყალბი ფულის მომჭრელი.

ადუქტორ-ი, (ლათ. ადდუკტორ), კუნთი რომელიც ერთ რომელსამე ორგანოს ახლოვებს სხეულის მეზობელ ნაწილთან (აბდუქტორის საწინააღმდეგო კუნთი, იხ. აბდუქტორი).

აერიანები (მრავლობითი), მღვდ. აერიუსის (IV საუკ.) მიმდევარნი, რომელნიც უარყოფდენ მარხულობას, უცოლ-ქმრობას, მიცვალებულთა მოხსენებას და სხვ.

აეროგრაფია, ბერძ., ჰაერის მეცნიერული კვლევა-აღწერა.

აეროდინამიკა, ბერძ., მოძღვრება აირთა შესახებ.

აეროდრომ-ი, ბერძ., აეროპლანების გამოსაცდელად და ასაფრენ-დასაფრენად მოწყობილი მოედანი.

აეროთერაპია, ბერძ., განსაზღვრული ჰაერის სუნთქვით წამლობა.

აეროლითები (მრავლ.), ბერძ., ჰაერის ქვები, ე. ი. მინერალური მასები, ჩამოვარდნილი დედამიწაზე პლანეტთაშორისი სივრციდან.

აეროლოგია, ბერძ., მეცნიერება ჰაერის შესახებ (მისი შემადგენლობისა, მოძრაობისა და სხვ.).

აერომობილი, ლათ., საჰაერო ეტლი, რომელსაც მიწაზედაც შეუძლია მოძრაობა.

აერონავტ-ი, ბერძ., საჰაერო ნავი.

აერონავტიკა, ბერძნ., ჰაერნაოსნობის მეცნიერება და ხელოვნება.

აეროპლან-ი, ბერძ., ჰაერზე უფრო მძიმე საფრენი მანქანა; ფრანი.

აეროსტატ-ი, ბერძ., ჰაერზე უფრო მსუბუქი საფრენი ბურთი.

აეროფიტები (მრავლ.), ბერძ., ჰაერის მცენარენი.

აეროფობია, ბერძ., ჰაერის შიში.

აეროსტატიკა, ბერძ.; 1) მეცნიერება აირთა წონასწორობის კანონების შესახებ; 2) ჰაერნაოსნობა.

ავალ-ი, ფრ., თამასუქით თავდებობა.

ავანგარდ-ი, ფრ., მოწინავე რაზმი.

ავანზალ-ი, ფრ., წინა დარბაზი, რომელიც მდებარეობს მთავარი დარბაზის წინ.

ავანპოსტ-ი, ფრ., მოწინავე სადარაჯო რაზმი, მტრის უეცარი თავდასხმისაგან დამცველი.

ავანს-ი, ფრ.: 1) ბე, წინასწარ მინაცემი თანხა ჯამაგირის ან საგნის ღირებულობის ანგარიშში; 2) შენობის წინწამოწეული ნაწილი.

ავანსცენა, ფრ., სცენის წინა ნაწილი ფარდასა და ორკესტრს შუა.

ავანტაჟ-ი, ფრ., კარგი, ხელშემწყობი, სარგი მდგომარეობა; სარგებლიანი, უპირატესი შემთხვევა.

ავანტიურა ან უკეთ ავანტურა, ფრ., თავგადასავალი; სათუოდ გადადგმული გაბედული ნაბიჯი; თავზე ხელაღებული მოქმედება.

ავანტურისტ-ი, ფრ., ავანტურის ჩამდენი: სახიფათო თავგადასავლის მაძებარი; თავზე ხელაღებული; ჩვეულებრივ: არა საიმედო კაცი.

ავანტიურული რომანი, რომანის (იხ.) ერთი სახეობა, რომელშიაც აღწერილია გმირთა თავგადასავალი.

ავარია, იტ., მარცხი, დაზიანება ხომალდისა ან გემისა მგზავრობის დროს.

ავგურ-ი (ლათ. აუგურ). ქურუმი (ძველ რომში), რომელიც წინასწარმეტყველობდა ფრინველთა გაფრენისა და ცხოველთა შიგნეულობის მიხედვით.

ავგუსტინელი, ავგუსტინის ორდენის წევრი.

ავგუსტინის ორდენი, ბერთა ძმობა, დაარსებული XIII საუკ. პაპის ინოკენტი მეოთხის მიერ და ავგუსტინე ნეტარის სახელით წოდებული; გაუქმდა 18 საუკ. დამლევს.

ავდიომეტრ-ი ან აუდიომეტრ-ი, ლათ., მსმენელობის საზომი.

ავენტინ-ი, რომის ერთი ბორცვთაგანი.

ავეროიზმ-ი, არაბთა გამოჩენილი მკურნალის ავერროესის ფილოსოფიური მოძღვრება (12 საუკ.); ავერროესი საერთოდ მიმდევარია არისტოტელისა; კერძოდ კი უარჰყოფდა სულის უკვდავებას.

ავერს-ი (იტ. ავვერსო). ფულის ან მედლის პირმხარე (შეად. რევერს-ი — უკანა მხარე).

ავერსია, ლათ., ზიზღი ვისმესადმი ან რასმესადმი.

ავესტა, ძველ აღმოსავლურ-ირანულ ენაზე დაწერილი რელიგიური წიგნები: შექმნილია არა უგვიანეს 7 საუკუნისა ქრ. წინ; მიაწერენ ზარათუშტრას (ანუ ზოროასტრს); დაწერილი ყოფილა გაცილებით გვიან (აქამანიდთა დროს), მაგრამ დაკარგულა; ხელახლა შეუკრებიათ სასანიდთა დროს, როდესაც ზარათუშტრას რელიგია (მაზდაპიანობა) სახელმწიფო რელიგიად აღიარეს.

ავთადია, ბერძ., თვითკმაყოფილობა, გულზვიობა.

ავთენტია, ბერძ., ძლევამოსილობა, უზენაესი ხე[illegible]ისუფლობა.

ავთენტიკა (მრავლ.), ბერძ., დედანი.

ავთენტიკური, ბერძ., ნამდვილი, სარწმუნო.

ავიახპორტ-ი, ლათ.-ინგლ., საავიაციო გართობა (პირველი სიტყვა ხელოვნურადაა შემოკლებული).

ავიატორ-ი, ლათ., აეროპლანის მმართველი გაფრენის დროს.

ავიაქიმი, ავიაცია-ქიმია (ორივე სიტყვა შემოკლებულია ხელოვნურად); ასე ეწოდება საზოგადოებას, რომლის მიზანია ავიაციისა და ქიმიის განვითარებისა და გამოყენების ხელის შეწყობა.

ავიაცია, ლათ., აეროპლანით ფრენის ხელოვნება.

ავივაჟ-ი, ფრ., განცხოველება, მაგ. შეღებილი მატერიისა.

ავიზაცია, ლათ., 1) ცნობება, 2) გაფრთხილება ცრუ ფიცის თქმისათვის (იურ.)

ავიზ-ი, ფრ., ცნობება, უწყება საქონლის ან ფულის გაგზავნის შესახებ.

ავიზო, იტ., დავალებათა გადამცემი მაუწყებელი გემი.

ავიოქიმი, იხ. ავიაქიმი.

ავკსომეტრ-ი, იხ. აექსომეტრი.

ავრალ-ი, (ინგ.), გემის ყველა მოსამსახურეთა მოხმობა შეკრება ბაქანზე; ავრალური—საერთო ძალ-ღონით შესრულებული (საქმე), რომლისთვისაც გემის ყველა მოსამსახურენი იკრიბებიან ბაქანზე.

ავრისკალპ-ი ან აურისკალპ-ი, ლათ., ყურში ჩავარდნილი საგნის გამოსაღები ხელსაწყო (ქირურგიაში).

ავრისკოპ-ი ან აურისკოპ-ი, ლათ.-ბერძ., ყურის საკვლევი ხელსაწყო (მედიც.).

ავრისტ-ი ან აურისტი, ყურის ექიმი.

**ავრორა** ან **აურორა**, ლათ.; 1) დილის ცისკარი, განთიადი; 2) განთიადის ქალ-ღმერთი (ძვ. რომში).

**ავსპიცია** ან **აუსპიცია** (მრავლობ.), ლათ.: 1) მკითხაობა ფრინველების გაფრენის მიხედვით ძველ რომში — შეადგენდა მაღალი წოდების პირთა უფლებას; აქედან 2) უზენაესი ხელმძღვანელობა.

**ავსტრალური** ან **აუსტრალური**, ლათ., სამხრეთის, სამხრული.

**ავსტრალოპითეკ-ი**, ლათ.-ბერძ., ასე ეწოდება სამხრეთ აფრიკაში გათხრის დროს (1924 წ.) აღმოჩენილ ნაშთებს კაცის მსგავს მაიმუნისას.

**ავტ(ო)** ან **აუტ(ო)**, ბერძ., ნიშნავს რთულ უცხო სიტყვებში: დამოუკიდებლობა გარეშე მიზეზებისაგან; ქართულად ითარგმნება ხშირად: თვით.

**ავტარკია**, ბერძ., თავისი თავით კმაყოფილება, დამოუკიდებლობა.

**ავტარქია**, ბერძ., თვითმპყრობელობა; **ავტარქ-ი** — თვითმპყრობელი.

**ავტენტია**, იხ. ავთენტია.

**ავტენტიკა**, იხ. ავთენტიკა.

**ავტენტიკური**, იხ. ავთენტიკური.

**ავტობიოგრაფია**, ბერძ., საკუთარი ცხოვრების აღწერა; თხზულება, სადაც აღწერილია თვით დამწერის ცხოვრება.

**ავტობიოგრაფ-ი**, ბერძ., საკუთარი ცხოვრების აღმწერი; **ავტობიოგრაფიული** — ავტობიოგრაფიის ხასიათის მქონე ან მის შესახები.

**ავტობუს-ი**, ავტომობილ-ომნიბუსი (იხ.).

**ავტოგამია**, ბერძ., თვითგანაყოფიერების წესი უმარტივეს ცხოველთა და მცენარეთა.

**ავტოგნოზია** ან **ავტოგნოსია**, ბერძ., თავის თავის შესწავლა, თვითშემეცნება.

**ავტოგრაფ-ი**, ბერძ.: 1) თვით ავტორის ხელნაწერი; 2) ნაწერის გადამღები მანქანა.

**ავტოგრაფია**, ბერძ., ნაწერისა და ნახატ-ნახაზთა ქაღალდიდან ქვაზე გადაღების ხელოვნება.

**ავტოგრაფომანია**, ბერძ., დედანთა და ხელნაწერთა ძიების ავადმყოფური სურვილი; **ავტოგრაფომან-ი** — ასეთი სურვილით შეპყრობილი კაცი.

**ავტოდაფე**, იხ. აუტოდაფე.

**ავტოდიდაქტ-ი**, ბერძ. თვითაღმზრდელი, თავის თავის მასწავლებელი; **ავტოდიდაქტიკა** ან **ავტოდიდაქსია**, ბერძ., თვითაღზრდა, თავის თავის განვრთნა.

**ავტოდინამური**, ბერძ., თვითმოქმედი.

**ავტოთეიზმ-ი**, ბერძ., თვითგაღმერთება; მოძღვრება ღვთაებისა და ადამიანის ერთგვარობის შესახებ.

**ავტოთერაპია**, ბერძ., თვითმკურნალობა, თვითწამლობა ბუნების ძალებით.

**ავტოკეფალ-ი**, ბერძ., ვისაც (ან რასაც) დამოუკიდებელი უფროსი ჰყავს; საერთოდ: დამოუკიდებელი.

**ავტოკეფალია**, ბერძ., დამოუკიდებელი უფროსის ყოლა; საერთოდ: დამოუკიდებლობა; ეკლესიის ადგილობრივი უფროსის (ეპისკოპოსის, მიტროპოლიტის...) დამოუკიდებლობა პატრიარქისაგან ან პაპისაგან; საერთოდ: ეკლესიის დამოუკიდებლობა.

**ავტოკეფალური**, ბერძ., ავტოკეფალიის ხასიათის მქონე; **ავტოკეფალური ეკლესია** — ისეთი ეკლესია, რომელიც არ ემორჩილება მის გარეშე მყოფ სასულიერო ხელისუფლებას; **ავტოკეფალისტ-ი** — ავტოკეფალიის მომხრე.

**ავტოკლავ-ი**, ბერძ.-ლათ., სქელკედელა ქვაბი (ჩვეულებრივ თუჯისა), რომელიც იხმარება ქიმიურ სხვადასხვა სამუშაოთა დროს; სხვათა შორის იხმარება სხვადასხვა საგანთა გაუნაყოფიერებისათვის მათზე არსებულ მიკრობთა (იხ.) დახოცვის საშუალებით.

**ავტოკრატ-ი**, ბერძ., თვითმპყრობელი; განუსაზღვრელი უფლების მქონე.

**ავტოკრატია**, ბერძ., თვითმპყრობელობა, იგივეა, რაც აბსოლუტიზმი (იხ.).

**ავტოკრატიზმ-ი**, ბერძ., თვითმპყრობელის აზროვნება-მოქმედების მიმართულება.

**ავტოკრიტიკა**, ბერძ., ავტორის მიერ თავისი საკუთარი თხზულების კრიტიკული განხილვა; თვითკრიტიკა.

**ავტომატ-ი**, ბერძ.: 1) თვითმოძრავი, თვითმოქმედი; ისეთი მანქანა, რომელიც მექანიზმის საშუალებით მოძრაობს და ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს ადამიანის დაუხმარებლივ; 2) გადატან. მნიშვნ.: მომართული მანქანის მსგავსად შეუგნებლივ მოქმედი ადამიანი.

**ავტომატიზმ-ი**, ბერძ., თვითმოძრაობა, თვითმოქმედება; შეუგნებლივი მოძრაობის უნარი; მოძღვრება თვითმოძრაობის შესახებ.

**ავტომატური**, ბერძ., ავტომატის მსგავსი; ავტომატის ხასიათის მქონე, მაგ.: **ავტომატური კასა** — თვითმოძრავი კასა, რომლიდანაც მსურველი მიიღებს ბილეთს სათანადო ღირებულების ფულის ჩაგდებით; **ავტომატური სასწორი** — თვითმოძრავი სასწორი, რომელიც ასწონის საგანს სათანადო ფულის ჩაგდების შემდეგ და სხვ.

**ავტომატური მოძრაობანი**, უნებური, ნებისყოფისგან დამოუკიდებელი მოძრაობანი.

**ავტომობილ-ი**, ბერძ.-ლათ., მექანიკური მამოძრავებელის საშუალებით მავალი ეტლი.

**ავტონომ-ი ან ავტონომური**, ბერძ., თავისი საკუთარი კანონის თანახმად მოქმედი, დამოუკიდებელი.

**ავტონომია**, ბერძ.: 1) თვითმართველობა ქვეყნისა, ოლქისა, ქალაქისა, წოდებისა ან დაწესებულებისა; 2) ფილოსოფ.: **ნებისყოფის ავტონომია** — ნებისყოფის თავისუფლება.

**ავტონომისტ-ი**, ბერძ., ავტონომიის მომხრე; **ავტონომისტები** — პოლიტიკური პარტია საქართველოში (1903 წლიდან).

**ავტონომიური**, ბერძ., ავტონომიის ხასიათის მქონე.

**ავტოპლასტიკა**, ბერძ., ქირურგიაში: სხეულის ნაწილის ან ქსოვილთა აღდგენა იმავე სხეულის მეზობელ ქსოვილთა საშუალებით (მაგ., ცხვირის აღდგენა შუბლის კანის საშუალებით).

**ავტოპსია**, ბერძ.: 1) თავისი საკუთარი თვალით ნახვა, დაკვირვება; 2) გვამის გაჭრა იმის გამოსაკვლევად, თუ რა ავადმყოფობა უძლოდა წინ სიკვდილს.

**ავტორ-ი**, ლათ., ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების შემთხზველი ან რაიმე მანქანის ან ხელსაწყოს გამომგონი.

**ავტორიზაცია**, ლათ.-ფრ., ავტორის მიერ ვისიმე რწმუნებულობით აღჭურვა, ნებართვის მიცემა (მაგ. თხზულების გადათარგმნის უფლების მიცემა ავტორის მიერ).

**ავტორიტარული**, ლათ.-ფრ., ავტორიტეტზე დამყარებული.

**ავტორიტეტ-ი**, ლათ.-ფრ., ისეთი პიროვნება ან დაწესებულება, რომლის მნიშვნელობაც საყოველთაოდ ცნობილი და მიღებულია, რომელსაც ყველანი პატივისცემით ეპყრობიან და უკრიტიკოდ ემორჩილებიან; **ავტორიტეტიანი** — ავტორიტეტის მქონე; **ავტორიტეტული** — ავტორიტეტის ხასიათის მქონე.

**ავტოტიპ-ი**, ბერძ., პირველი ამონაბეჭდი.

**ავტოტიპია**, ბერძ.: 1) ხელნაწერის ან სურათის ტიპოგრაფიულ კლიშეზე გადაღება; 2) ასეთი კლიშის ამონაბეჭდი.

**ავტოტომია**, ბერძ., თვითმოგდებინება, თვითმოწყვეტა; საკუთარი სხეულის ნაწილის მოგდებინება გაცხარების ან გაჭირვების დროს სიცოცხლის გადარჩენისათვის (მაგ., ხვლიკი მოიგდებინებს კუდს, თუ კუდით რისმე ქვეშ მოყვა).

**ავტოქირ-ი ან ავტოქეირ-ი**; ბერძ., თავისმკვლელი; **ავტოქირია ან ავტოქეირია**, ბერძ., თავისმკვლელობა.

**ავტოხთონ-ი ან ავტოქთონ-ი**, ბერძ., ამა თუ იმ ქვეყნის თავდაპირველი მცხოვრები, მკვიდრი.

**ავქსონ-ი**, იგივეა რაც ავტორი (იხ.)

**ავქსომეტრ-ი**, ბერძ., ტელესკოპის (ჭოგრის) გამადიდებლობითი ძალის საზომი.

**აზარტ-ი**, არაბ.-ფრ., შემთხვევა, იღბალი; გატაცება; **აზარტიანი ან აზარტული თამაში** — ყომარბაზობა, იღბალზე თამაში, როდესაც მოგება დამოკიდებულია არა მოთამაშის ხელოვნებაზე, არამედ შემთხვევაზე.

**აზატ-ი**, სპ., თავისუფალი.

**აზბესტ-ი ან ასბესტ-ი**, ბერძ., ბოჭკოიანი, ცეცხლგამძლე და მჟავეებში უხსნადი მინერალი; მისგან ამზადებენ ცეცხლგამძლე (უწვავ) ქსოვილებს.

**აზ-ები, უკეთ ას-ები ან ოს-ები**, (მრავლ.), გერმ., ძველ სკანდინავიელთა მითოლოგიას ღმერთები, ოდინ ღმერთის ჩამომავალნი, ცხოვრობდენ აზგარდში, უკეთ ასგარდში ან ოსგარდში.

**აზიატიზმ-ი**, ბერძ.: 1) აზიელობა; 2) გადატ. მნიშვნ.: დესპოტობა, ხასიათის სიმკაცრე, სისასტიკე და სხვ.

**აზილ-ი ან უკეთ ასილ-ი**, ბერძ., თავშესაფარი, სადაც შეფარებული (დამალული) ხელუხლებელი იყო.

**აზიმუტ-ი**, არაბ., ცის მნათობის ან დედამიწის საგნის აზიმუტი არის კუთხე მერიდიანის სიბრტყესა და შვეულ სიბრტყეს შუა, რომელიც გაივლის მნათობსა ან საგანზე.

**აზნავთი**, შემოკლებულია ხელოვნ.: აზერბაიჯანის ნავთის სამრეწველოების გამგეობა.

**აზნეფტი**, იგივეა რაც აზნავთი..

**აზოტ-ი**, ბერძ., უფერო, უსუნო და უგემური (გემოს არმქონე) აირი (გაზი), რომელიც შეადგენს ჰაერის თითქმის $^4/_5$ ნაწილს.

**აზოტის მჟავა**, მწვავე უფერო სითხე, რომელიც მიიღება ხოლმე გვარჯილისა და გოგირდმჟავის გამოხდის საშუალებით.

**აზოტომეტრ-ი**, ბერძ., აზოტის საზომი.

**აზოტურია**, ბერძ.-ლათ., ჩვეულებრივზე მეტი აზოტის შემცველი შარდის გამოდენა — ავადმყოფური მოვლენაა.

**აზურინ-ი**, ცისფერი საღებავი.

**აზურიტ-ი**, ქვა-ლაჟვარდა.

**ათანასია**, ბერძ., უკვდავება.

**ათანატიზმ-ი**, ბერძ., უკვდავების რწმენა.

**ათანატოლოგია**, ბერძ., მოძღვრება უკვდავების შესახებ.

**ათეიზმ-ი**, ბერძ., ღვთის უარყოფა.

**ათეისტ-ი**, ბერძ., ღვთის უარისმყოფელი; **ათეისტური** — ღვთის უარმყოფელობითი.

**ათენა**, ბერძ., ძველი საბერძნეთის მითოლოგიაში: ქალაქ ათენის (ან ათინის) მფარველი ქალღმერთი.

**ათლეტ-ი**, ბერძ., ფრიად ღონიერი ადამიანი; მოჭიდავე საჯარო გასართობების დროს.

**ათლეტიკა**, ბერძ., ჭიდაობის ხელოვნება.

**აიაქს-ი**, ლათ., ან **აიას-ი**, ბერძ.: 1) საკ. სახ. ჰომეროსის გმირისა; 2) „აიაქსი" ეწოდება სოფოკლის ერთერთ ტრაგედიას.

**აიდ-ი** ან უკეთ **აიდეს-ი**, ბერძ.: 1) სიკვდილის ღმერთი (ამ მნიშვნელობით აქვს ჰომეროსს); 2) ქვესკნელის სამყარო, ჯოჯოხეთი; 3) გადატ. მნიშვნ.: სიკვდილი.

**აისბერგ-ი**, გერმ., ყინულოვან ზღვაში მოტივტივე ყინულის მთა — ხშირად უზარმაზარი.

**აკადემია**, ბერძ.: 1) პლატონ ბრძენის ფილოსოფიური სკოლა ათენის ახლოს. ზღაპრული გმირის აკადემოსის ბაღში; 2) საერთოდ უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი ან სამეცნიერო დაწესებულება; 3) აკადემიური ასოები (ან მოკლედ: აკადემია) — რუსეთის სამეცნ. აკადემიის მიერ შემოღებული ბეჭდური ასოების ერთერთი სახეობა.

**აკადემიზმ-ი**, ბერძ., მხატვრულ-სტილისტური მიმართულება, რომელიც ცდილობს დაამყაროს შემოქმედების წესები ისეთ ნაწარმოებთა მიხედვით, რომელნიც სანიმუშოდ არიან ცნობილნი (ეს სახელწოდება წარმოიშვა 19 საუკუნის მეორე ნახევარში).

**აკადემიკოს-ი**, ბერძ., სამეცნიერო აკადემიის წევრი.

**აკადემისტ-ი**, ბერძ.: 1) აკადემიის მსმენელი ან სტუდენტი; 2) ეწოდებოდა მემარჯვენე სტუდენტს რუსეთის უნივერსიტეტებში მეფის რეჟიმის დროს.

**აკადემიური**, ბერძ.: 1) აკადემიის ხასიათის მქონე; 2) წმინდა მეცნიერული, მაგ. აკადემიური გამოცემა რომლისამე მწერლის თხზულებათა: 3) **აკადემიური წელი** — სასწავლო წელი ზაფხულის დასასვენებელ თვეთა გამოკლებით; აკადემიური წელიწადი შედგება ორი სემესტრისაგან: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან.

**აკათისტ-ი**, ბერძ., საეკლესიო გალობა ქრისტესა. ღვთისმშობლისა და სხვა წმიდანთა მიმართ. რომლის შესრულების (გალობის) დროს აკრძალულია ჯდომა.

**აკათოლიკ-ი**, ბერძ., არაკათოლიკე — ასე ეძახდენ წინეთ ავსტრიის პროტესტანტებს.

**აკანთ-ი** ან **აკანთუს-ი**, ბერძ.-ლათ.: 1) ხმელთაშუა ზღვის არემარეში გავრცელებული მცენარის ჯიში; 2) სახუროთმოძღვრო სამკაული აკანთის ფოთლების ფორმისა.

**აკანთობოლ-ი**, ბერძ., წვეტიან საგანთა ამოსაღები ხელსაწყო (ქირურგ.).

**აკანთოლოგია**, ბერძ., გონება-მახვილი ეპიგრამების კრებული.

**აკაცია**, ბერძ., მცენარეთა ერთი ჯიში, ქართ. ლობიოხე.

**აკეფალები** (მრავლ.), ბერძ.: 1) უთავო მახინჯი არსებანი, რომელთაც თავი სრულებით არ აქვსთ. ან აქვსთ მხოლოდ ნაწილი: 2) ერთერთი მონოფიზიტური სექტის სახელწოდება (V საუკ.).

**აკეფალია**, ბერძ., თავის უქონლობითი სიმახინჯე.

**აკვამარინ-ი**, იხ. აქვამარინ-ი.

**აკვარელ-ი**, იხ. აქვარელ-ი.

**აკვარელისტ-ი**, იხ. აქვარელისტ-ი

**აკვარელური**, იხ. აქვარელური.

**აკვარიუმ-ი**, იხ. აქვარიუმ-ი.

**აკვედუკ-ი**, იხ. აქვედუკ-ი.

**აკიეზია** ან **აკიეზის-ი**, ბერძ., ქალის უნაყოფიერება, დაუორსულებლობა.

**აკინეზია**, ბერძ., უძრაობა, არასრული დამბლა.

**აკიურგია**, ბერძ., მოძღვრება ქირურგიულ იარაღთა ხმარების შესახებ ანუ ქირურგიულ ოპერაციათა შესახებ.

**აკლამაცია** (ლათ. აკკლამაციო): 1) თანხმობის ან მოწონების წამოძახება; 2) ვისიმე არჩევის დროს საერთო აზრის (ხმის) გაზიარება, მიმხრობა.

**აკლიმატიზაცია** (ან აკკლიმატიზაცია), არაბ.-ბერძ.-ლათ., ადამიანის, ცხოველის და მცენარის უნარი უცხო ქვეყნის კლიმატურ პირობებთან შეთავსებისა (იხ. კლიმატ-ი).

**აკმე**, ბერძ.: 1) მწვერვალი. უმაღლესი წერტილი. სიმწიფე. აყვავება; 3) მედიცინაში: ავადმყოფობის უკიდურესი საფეხური.

**აკმეიზმი**, ბერძ., რუსული ლიტერატურული მიმართულება, რომლის მიმდევარნიც საჭიროდ სცნობენ რუსულ სიმბოლიზმში (იხ.) ცვლილებათა შეტანას.

**აკმეისტები** (მრავლ.), აკმეიზმის მიმდევარნი.

**აკოლადა** (აკკოლადა), ბერძ.-ფრ.: 1) ხელის მოხვევა. გულზე მიკვრა; 2) რაინდის ორდენში მიღების წესი (გულს მიიკრავდა უფროსი); 3) მუსიკაში: ნოტების შესაერთებელი ფრჩხილები.

**აკომოდაცია** (ლათ. აკკომოდაცია), შეგუება. მიჩვევა; თვალის აკომოდაცია — თვალის მიჩვევა (შეგუება) სხვადასხვა მანძილისათვის.

**აკოლოგია**, ბერძ., მოძღვრება სამკურნალო საშუალებათა (წამალთა) შესახებ.

**აკომპანიმენტ-ი** (ფრ. accompagnement), ერთის სიმღერაზე ან დაკვრაზე აყოლა რაიმე ერთ ან რამდენსამე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრით.

**აკონიტ-ი**, ბერძ., ტყის შხამიანი მცენარე, რომელიც იხმარება მკურნალობაში.

**აკონიტინ-ი**, აკონიტიდან მიღებული ძლიერი შხამი.

**აკორდ-ი** (იტ. აკკორდო): 1) ერთდამიერად წარმოებულ მუსიკალურ ბგერათა ჰარმონიული შეერთება. შეთანხმიერება; 2) საერთოდ: შეთანხმება; ერთსულოვნობა.

**აკორდეონ-ი** ან **აკორდიონ-ი**, ჰარმონიკის მსგავსი ლითონის ენებიანი სამუსიკო ინსტრუმენტი (იხ. აკკორდო).

**აკორია**, ბერძ., სიმაძღრის უგრძნობელობა; გაუმაძღრობა (ავადმყოფობა).

**აკორპორაცია** (ლათ. აკკორპორაციო), შეერთება, შერიცხვა; შემადგენლობაში ჩარიცხვა.

**აკოსმია**, ბერძ.: 1) უწესოება, უსუფთაობა; 2) მედიცინაში: სახის მკრთალობა, ავადმყოფური გამომეტყველება.

**აკოსმიზმ-ი**, ბერძ.: 1) ქვეყნიერების უარყოფა; 2) ფილოსოფიაში: გარემო ქვეყნის რეალობის (სინამდვილის) უარყოფა.

**აკრატია**, ბერძ., თავის დაჭერის უუნარობა, თავაშვებულობა.

**აკრედიტივ-ი** (ლათ.-ფრ. აკკრედიტივ), რწმუნება, რწმუნების ბარათი.

**აკრ-ი**, ინგ., მიწის საზომი ინგლისსა და ამერიკაში (იხმარებოდა მეტრულ საზომთა შემოღებამდე).

**აკრიბია** (ბერძ., აკრიბეია), ზედმიწევნილობა, სიზუსტე.

**აკრიბოლოგია**, ბერძ., ზედმიწევნილობა მეტყველებაში, კვლევაში და საერთოდ ცხოვრებაში.

**აკრიზია** (ბერ. აკრისია): 1) გამოურკვევლობა; 2) მედიცინაში: ავადმყოფობის გამოურკვეველი მდგომარეობა; **აკრიზიული** — გამოურკვეველი, აკრიზიის ხასიათის მქონე.

**აკროამა**, ბერძ., მოსასმენი; სმენისათვის სასიამოვნო რამ; **აკროამატიკული** — მოსასმენად განკუთვნილი; **აკროამატიკული სწავლა** — გადაცემითი სწავლება, როცა მასწავლებელი უხსნის, ხოლო მოსწავლე მხოლოდ ყურს უგდებს.

**აკრობატ-ი**, ბერძ., ჯამბაზი; თოკზე მავალი; ისეთი ტანმოვარჯიშე (გიმნასტი), რომელიც ასრულებს ფრიად რთულსა და ძნელ სხეულმოძრაობას.

**აკროლით-ი**, ბერძ., ძველ ბერძენთა ქანდაკება, რომელიც გაკეთებული იყო სხვადასხვა მასალისაგან: ჩვეულებრივ — ტანი ხისაგან, ხოლო კიდურები (ხელები, ფეხები) და თავი — მარმარილოსაგან.

**აკრომეგალია**, ბერძ., ავადმყოფური მოვლენაა, რაც გამოიხატება კიდურთა გადაჭარბებულ ზრდაში.

**აკროპოლ-ი** (ბერძ. აკროპოლის), ციხე-ქალაქი; ქალაქის ამაღლებულ ადგილზე აშენებული ციხე-სიმაგრე: ცნობილი იყო, განსაკუთრებით, საბერძნეთის ათენ ქალაქის აკროპოლი.

**აკროსოფია**, ბერძ., უმაღლესი სიბრძნე.

**აკროსტიხი** ან **აკროსტიქი**, ბერძ., ისეთი ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდურ (დასაწყის) ასოთაგან შედგენილია მთელი სიტყვა ან წინადადება.

**აკროტერია**, ბერძ., ფრონტონის (შუბლანის) მწვერვალსა და მის კიდეებზე მოთავსებული მორთულობა შენობისათვის დასრულებული სახის მისაცემად.

**აკროტიზმ-ი**, ბერძ., მისწრაფება უმაღლესისადმი; უპირველეს მიზეზთა კვლევა.

**აკს-**, იხ. აქს-.

**აკტ-**, იხ. აქტ-.

**აკუმულატორი** (ლათ. აკკუმულატორ), დამაგროვებელი, მაუნჯებელი; ხელსაწყო მექანიკური ენერგიის დასაგროვებლად; **ელექტროაკუმულატორი** — ელექტრული ძალის დამაგროვებელი.

**აკუმულაცია**, ლათ., ძალის დაგროვება ორგანიზმის ნაწილში ან საგანგებო ხელსაწყოში.

**აკუომეტრ-ი**, ბერძ., სმენის სიმახვილის საზომი იარაღი.

**აკუპუნქტურა** ან უკეთ **აკუპუნქტურ-ი**, ლათ.: 1) ნემსით ჩხვლეტა; 2) მკურნალობა ზოგიერთ ავადმყოფობათა ჩხვლეტის საშუალებით.

**აკუსტიკა**, ბერძ.: 1) მეცნიერება ბგერის შესახებ გაგონების თვალსაზრისით; 2) ბგერის გაგონების სმენითი პირობები.

**აკუსტიკური**, სმენითი, სმენის შესახები.

**აკუშერ-ი** ან **აკუშორ-ი**, ფრ., მშობიარობის დროს დახმარებაში დახელოვნებული (სპეციალისტი) ექიმი ვაჟი.

**აკუშერკა** ან **აკუშორკა**, ფრ.-რუს., ბებია ქალი, მშობიარობის დროს დახმარებაში დახელოვნებული ექიმი ქალი.

**აკუშორობა**, მეცნიერება ორსული ან ნამშობიარევი ქალის ორგანიზმის მოვლენათა შესახებ; მეანობა.

**აკც-**, იხ. აქც-.

**ალაბასტრ-ი**, ბერძ.: 1) თეთრი ფერის თაბაშირი (გიპსი), რომელიც იხმარება ქანდაკებაში და სახუროთმოძღვრო სამკაულებში; 2) სურნელოვანი საცხებელი ძველ საბერძნეთში.

**ალამ-ი**, არაბ., დროშა.

**ალამდარ-ი**, არაბ.-სპ., მედროშე.

**ალარმ-ი**, ფრ., განგაში, შესაიარაღებლად მოულოდნელი მოწოდება.

**ალარმისტ-ი**, განგაშის ამტეხი, არეულობის გამომწვევი ხმების გამავრცელებელი.

**ალაროდიელები** (მრავლ.), სახელწოდება ჩრდ. მცირე აზიაში ძველ დროს მცხოვრები ხალხისა (ბერძნულად ალაროდიოი); ზოგი მეცნიერი მათ მიაკუთვნებს ქეტებს, ქალდებს, ეტრუსკებს და სხვათა.

**ალაფ-ი**, არაბ., ბრძოლის დროს ნაშოვარი, ნადავლი.

**ალახ-ი** ან უკეთ **ალაჰ-ი** (არაბ. ალლაჰ, არაბთა ღვთაების სახელი; მაჰმადის შემდეგ — მუსლიმანთა ღმერთი, „ჭეშმარიტი ღმერთი".

**ალბა**, პროვანს.: 1) კათოლიკე მღვდელთა თეთრი ტანსაცმელი მღვდელთმსახურების დროს; 2) განთიადი, ცისკარი; 3) განთიადის სიმღერა (საშუალო საუკუნოებში ტრუბადურების ლექსის ერთი სახე).

**ალბანია** ან **ალბანეთი**, რესპუბლიკა ბალკანეთის ნახევ.-კუნძულზე დასავლეთით.

**ალბანელები** ან **ალბანიელები** (მრავლ.): 1) ევროპის ერთერთი უძველესი მოსახლე ტომი ინდოევროპული შთამომავლობისა; 2) ისტორიაში ცნობილია აგრეთვე კავკასიის ალბანლები ანუ ალვანლები.

**ალბიგოელები** (მრავლ.), ქალაქ ალბი-ს (სამხრ. საფრანგეთში) მცხოვრებნი, რომელთაც საშ.-საუკ. (12 — 13 სს.) შექმნეს რელიგიური სექტა: უარყოფდნენ რომის პაპის უფლებებს, არ სწამდათ ზოგიერთი საეკლესიო წესები და სხვა.

**ალბინიზმ-ი**, ლათ., ავადმყოფური მოვლენა ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში უპიგმენტობის გამო (იხ. პიგმენტი): დამახასიათებელია თმის სითეთრე, კანის სიმკრთალე და სხვა.

**ალბინოს-ი**, ლათ.-ისპ., ალბინიზმით შეპყრობილი ადამიანი (ან ცხოველი).

ალბიონ-ი, კელტ., ძველი სახელწოდება ინგლისისა და შოტლანდიისა.

ალბიფიკაცია, ლათ., გათეთრება, განსაკუთრებით სპილენძისა; სპილენძის ვერცხლად ყალბი გადაქცევა.

ალბომ-ი (ლათ. ალბუმ): 1) სუფთა-ფურცლებიანი წიგნი, სადაც ჩაიწერება ხოლმე ლექსები, შენიშვნები, სურათები და სხვა; 2) სურათების, მარკების და სხვ. კრებული წიგნის სახით.

ალბუმინ-ი, ლათ., ცილოვანი ნივთიერება.

ალგებრა, არაბ., მათემატიკური მეცნიერება რაოდენობით თანაშეფარდებათა შესახებ; ასოებით გამოხატული რიცხვების საშუალებით იგი სწავლობს ყოველ სიდიდეთა ზოგად თვისებებს, მათი რიცხვობრივი მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლივ.

ალგებრაისტ-ი ან ალგებრისტ-ი, ალგებრის სპეციალისტი, — ზედმიწევნით მცოდნე.

ალგებრაული ან ალგებრული, ალგებრის ხასიათის მქონე ან ის, რაც ალგებრას შეეხება.

ალგეზიმეტრ-ი, ბერძ., ტკივილის გრძნობის საზომი ხელსაწყო (იხმარება მედიცინაში).

ალგვაზილ-ი ან ალგვასილ-ი, არაბ.-ისპ., პოლიციის მოხელე ისპანიაში.

ალგოლაგნია, ბერძ., პათოლოგიური (ავადმყოფური) მოვლენა, რაც მდგომარეობს სქესობრივი აღძვრის დაკავშირებაში ტკივილის გრძნობასთან: თუ ადამიანი თვითონ იწვევს თავის თავში ტკივილს სქესობრივი აღძვრის მიზნით, ამას ეწოდება მაზოხიზმ-ი; ხოლო თუ სხვაში — სადიზმ-ი.

ალგოლოგია, ბერძ., ბოტანიკის დარგი, რომელიც იკვლევს წყალმცენარეებს.

ალდერმენ-ი, ინგლ., მამასახლისი, ქალაქის საბჭოს წევრი.

ალეა (ფრ. allée), ორივე მხრივ ხეებ ჩამწკრივებული სასეირნო გზა, ხეივანი.

ალეატორ-ი, ლათ., კამათლით ალალბედზე მოთამაშე.

ალეატორიუმ-ი, ლათ., სათამაშო სახლი.

ალებარდა, ფრ., გრძელტარიანი ნაჯახის (ცულის) მსგავსი საომარი იარაღი: იხმარებოდა საშ.-საუკუნოებში.

ალეგორია (ბერძ., ალლეგორია), ჩამოარაკებითი, არაპირდაპირი თქმა; განყენებული აზრის ან ცნების მხატვრულ ცოცხალ სურათებში გამოხატვა, მაგ. სიკვდილის გამოხატვა ჩონჩხის სახით; ალეგორისტ-ი — ალეგორიით მოლაპარაკე ან ალეგორიების მწერალი; ალეგორიული — ალეგორიის ხასიათის მქონე.

ალეგრი (იტ. ალეგრია), იაფი ლატარია საჯარო სეირნობის ან საღამოების დროს საქველმოქმედო მიზნით.

ალეთოლოგია, ბერძ., მოძღვრება ჭეშმარიტების შესახებ.

ალეთოფილ-ი, ბერძ., ჭეშმარიტების მოყვარული ან მომხრე.

ალემბიკ-ი, არაბ.-ფრ., მომცრო ამბუხი ანუ რეტორტი სითხეთა გამოსახდელად (იხმარება ქიმიაში).

ალექსანდრიის ეპოქა, ასეთი სახელი ეწოდება იმ ხანას (3 საუკ. ქ. წ.—7 საუკ. ქრ. შემდ.) ფილოსოფიის, მეცნიერების და ხელოვნების განვითარებისას, რომელიც დაკავშირებულია ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიასთან (დაარსებ. ალექსანდრე მაკედონ. მიერ 331 წ. ქ. წ.); აქედან: ალექსანდრიის პოეზია, რომელსაც ახასიათებდა ხელოვნურობა, მწიგნობრულობა და მიმბაძველობა ძველი ბერძნული პოეზიისადმი; ალექსანდრიის ფილოსოფია, რომელსაც ახასიათებს უმთავრესად ეკლექტიზმი (იხ.); სხვათა შორის ამ ფილოსოფიის ერთერთი მიმართულება — ნეოპლატონიკურია; ალექსანდრიის წიგნთსაცავი — ძველ ქვეყნებში ყველაზე მდიდარი და შესანიშნავი წიგნთსაცავი, დაარსებული 3 საუკ. ქ. წინ; შეიცავდა რამდენიმე ასიათას ტომს ხელნაწერს; საუკუნეთა განმავლობაში დაზიანდა რამდენჯერმე, ხოლო 4 საუკ. გასულს საბოლოოდ განადგურებულ იქნა ქრისტიან-ფანატიკოსების მიერ.

ალექსანდრიული ლექსი, 12 მარცვლოვანი ლექსი ფრანგულ ლექსთა წყობაში (იხმარებოდა 19 საუკ. დასაწყისამდე); ასეთი სახელწოდება მიიღო ძველი ფრანგული პოემისაგან ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, სადაც ეს ლექსთწყობა პირველად გვხვდება.

ალექსია, ბერძ., ტვინის დაზიანების ერთერთი სახე, რაც გამოიხატება კითხვისა და დაწერილის გაგების უნარის დაკარგვაში.

ალიანს-ი (ფრ. alliance): 1) კავშირი, მაგა-

ლითად, სახელმწიფოთა შორის; 2) ქაღალდის (ბანქოს) ერთგვარი თამაში.

ალიაჟ-ი (ფრ. alliage), ნარევი, შენადნობი; სხვადასხვა ლითონთა შენადნობი.

ალიბი, ლათ., სადმე სხვაგან; იურისპრუდენციაში: დამტკიცება იმისა, რომ ბრალდებული იმყოფებოდა სადმე სხვაგან იმ დროს, როცა დანაშაული ჩადენილ იქნა, და არა დანაშაულის ჩადენის ადგილას.

ალიგატორ-ი, ისპ., ნიანგის ერთ-ერთი გვარი, ამერიკული ნიანგი.

ალიდადა ან ალჰიდათ-ი, არაბ., მოძრავი ნაწილი კუთხსაზომის ხელსაწყოში.

ალიენაცია, ლათ.: 1) ჩამორთმევა, გასხვისება; 2) ბუნებრივ მდგომარეობას გადაცდომა, სულიერი მდგომარეობის აშლა.

ალიზარინ-ი, ისპ., ენდროს ძირებისაგან მომზადებული საღებავი ნივთიერება.

ალიკვ-, იხ. ალიქვ-.

ალიმენტ-ი (ლათ., მრავლ.: ალიმენტა), სარჩო ან საზრდო, რომელიც ცოლქმარმა, მშობლებმა და შვილებმა უნდა აძლიონ ურთიერთს კანონის თანახმად; ალიმენტაცია—რჩენა, გამოკვება.

ალიტერაცია (ლათ.-ფრ. allitération), ერთისა და იმავე თანხმოვნის განმეორება სხვადასხვა სიტყვაში: მოხდენილი ალიტერაცია აჩიჰებს ლექსს კეთილხმოვანობას.

ალიუმინ-ი, იხ. ალუმინ-ი.

ალიქვანტ-ი, ლათ., მთელი რიცხვის ისეთი ნაწილი, რომელზედაც ეს რიცხვი არ იყოფება უნაშთოდ; ალიქვოტური სიდიდე — იგივეა.

ალიქვოტ-ი, ლათ., მთელი რიცხვის ისეთი ნაწილი, რომელზედაც ეს რიცხვი იყოფება უნაშთოდ; ალიქვოტური სიდიდე — იგივეა.

ალკაზარ-ი ან ალყაზარ-ი, არაბ., სასახლე, ციხე-სიმაგრე; ხშირად იხმარება ისპანიაში, როგორც საკუთარი სახელი.

ალკალდ-ი ან ალყადი (არაბ.), თანამდებობის პირი ისპანიაში: მამასახლისი, სოფლის მოსამართლე და სხვა.

ალკალოიდები (მრავლ., არაბ.), ორგანიული ნივთიერებანი, რომელნიც შედგებიან ნახშირბადისა, წყალბადისა და აზოტისაგან, ზოგჯერ მჟავის შერევით.

ალკიდ-ი ან ალკიდეს-ი (ბერძ. ალკეიდეს), ზედმეტი სახელი ჰერკულესისა, როგორც ალკეოსის შვილიშვილისა.

ალკმეონიდები (მრავლ.), ათინის ერთი გავლენიანი გვართაგანი, თითქოს ზღაპრული ალკმეონის ჩამომავალი.

ალკოგოლ-ი ან უკეთ ალკოჰოლ-ი, არაბ., უფერო, მწვავე გემოს სითხე, რომელიც მზადდება შაქროვან და კრახმალოვან ნივთიერებათაგან გამოხდის საშუალებით; ალკოჰოლი აქვს ყველა სპირტიან (მაგარ) სასმელებს.

ალკოვ-ი (არაბ.-ფრ. alcôve): 1) კედელში გამოჭრილი ადგილი სარეცელისათვის, წალო; 2) გვერდის ბნელი ოთახი, რომელშიც სინათლე შედის მეორე ოთახის კარებიდან ან ფანჯრიდან.

ალკოჰოლიზმ-ი, დასნეულება, რომელიც გამოწვეულია მაგარი სასმელების (ღვინის, არაყის და სხვ.) ხშირი სმისაგან; ალკოჰოლიკ-ი — მაგარი სასმელისაგან დაავადებული.

ალმა მატერ-ი (ლათ. alma mater): 1) მასაზრდოებელი დედა; 2) გადატ. მნიშვნ.: საერთოდ სასწავლებელი, განსაკუთრებით უნივერსიტეტი სტუდენტთათვის, როგორც მათი სულიერად მასაზრდოებელი.

ალმანახ-ი: 1) საშუალო საუკუნოებში ასტრონომიული კალენდარი; 2) ყოველწლიური კრებული სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებთა; წელიწდეული.

ალმას-ი, არაბ., ძვირფასი ქვა, რომელიც აღემატება ბრწყინვალებით, სიმაგრით და სილამაზით ყველა დანარჩენ ძვირფას ქვებს.

ალოგია, ბერძ., არასწორი მსჯელობა, უგნურობა.

ალოგიზმ-ი, ბერძ., ლოგიკის კანონების გადახვევა, დარღვევა.

ალოგიკური, სწორი მსჯელობის საწინააღმდეგო, უაზრო.

ალოგოტროფია, ბერძ., სხეულის ნაწილთა არათანასწორი კვება (მედიც.).

ალოგრაფ-ი (ბერძ.-ლათ. ალლოგრაფუმ), სხვისი (არანამდვილი) ხელნაწერი.

ალოდ-ი (ლათ.-გერმ.), საშუალო საუკუნოებში მიწის სრული დასაკუთრება.

ალოე, ინდ.-ბერძ., ტროპიკული (ცხელი ქვეყნების) ზამბახის ოჯახის მცენარე.

ალოკუცია (ლათ. ალლოკუციო), სიტყვით მიმართვა ვისმესადმი, განსაკუთრებით: რომის პაპის სიტყვა კარდინალთა კრებულისადმი.

ალოპათია (ბერძ., ხელოვნ. ალლოპათია), ჩვეულებრივი მკურნალობა: ისეთ საშუალებათა (წამლებისა და სხვ.) ხმარება, რომელნიც იწვევენ სნეულების საწინააღმდეგო მოქმედებას; აქედან ალოპათ-ი — ალოპათიური წესით მკურნალი; ალოპათიური — ალოპათიის ხასიათის მქონე ანუ მის შესახები.

ალოპატია, იხ. ალოპათია.

ალოტრია (მრავლ., ბერძ. ალლოტრია). გარეშე ან მეორე ხარისხოვანი საგნები, არაუმთავრესი; აქედან: ალოტრიოლოგია — საუბარში ისეთი რისამე ჩართვა, რასაც კავშირი არა აქვს საუბრის საგანთან ან დედა-აზრთან.

ალოტროპია (ბერძ., ხელოვნ. ალლოტროპია), ზოგიერთ ელემენტთა უნარი მოგვევლინოს სხვადასხვა ურთიერთისაგან განსხვავებული სახითა და თვისებით, თუმცა მათი შედგენილობა იგივე რჩება (მაგ. ნახშირბადი გვევლინება ალმასის, ნახშირისა და სხვა სახით).

ალპაკა, პერუან.: 1) სამხ. ამერიკაში ცხვრის მსგავსი ცხოველის (ლამის) ერთერთი ჯიში, რომლის მატყლისაგან ამზადებენ მშვენიერ ქსოვილებს; 2) ახალი ვერცხლის ერთერთი სახე, ჩინური ვერცხლი.

ალპები (კელტ.-ლათ., მრავლ. ალპეს), ყველაზე მაღალი მთების სახელწოდება შუაევროპაში: აქედან: ალპინისტ-ი — ალპებზე (და საერთოდ მაღალ მთებზე) მავალი და მათი მკვლევარი; ალპიური ან ალპური — ალპების (და საერთოდ მაღალი მთების) ხასიათის მქონე, მაგ. ალპური მცენარეები — ისეთი მცენარეები, რომელნიც იზრდებიან მთებზე ტყის საზღვარს ზევით.

ალტაზიმუტ-ი, ლათ.-არაბ., სიმაღლისა და აზიმუტის საზომი ხელსაწყო.

ალტაისტ-ი, ურალურ-ალტაურ ხალხთა და მათი ენების მცოდნე და მკვლევარი (ურალურ ენებად ითვლება უნგრულ-ფინური ოჯახის ენები. ალტაურ ენებად — თურქულ-მონღოლურ-მანჯურულ ოჯახთა ენები).

ალტერაცია, ლათ.: 1) საერთოდ: ცვალება, ცვლილების მოხდენა; 2) კერძოდ მუსიკაში: ტონის სიმაღლის ცვალება დიეზისა ან ბემოლის მიმატებით.

ალტერ ეგო (ლათ. „მეორე მე"), ასე ეწოდება იმ პირს, რომელსაც მრწმუნებელის მიერ მიეცა სრული რწმუნებულობა იმოქმედოს მისი სახელით.

ალტერნატ-ი, ლათ.: 1) რაიმე უფლებით რიგრიგობით სარგებლობა; 2) დიპლომატიური ჩვეულება, რომლის მიზანია თავიდან აცილებულ იქნეს დავა თანასწორ სახელმწიფოთა შორის უფროს-უმცროსობის შესახებ.

ალტერნატივა ან ალტერნატივ-ი, ლათ., ერთერთის არჩევის აუცილებლობა ისეთ ორ მოვლენათა (შეხედულებათა ან საგანთა) შორის, რომელნიც ურთიერთს გამორიცხავენ; აქედან: ალტერნატიული — ალტერნატივის ხასიათის მქონე.

ალტერნატორ-ი, ლათ., ელექტრო-მანქანა, რომელიც მუშაობს ცვლადი დენით.

ალტერნაცია, ლათ., კანონზომიერი მონაცვალეობა ბგერათა ერთსა და იმავე (ან ერთისა და იმავე ფუძის) სიტყვაში.

ალტ-ი (იტ. ალტო): 1) ტენორსა და დისკანტს შუა საშუალო ხმა; 2) სამუსიკო ინსტრუმენტი ვიოლინოს გვარისა; ალტი ეწოდება აგრეთვე სპილენძის ერთერთ სამუსიკო საბერავ ინსტრუმენტს.

ალტიმეტრ-ი, ლათ.-ბერძ., სიმაღლეთა საზომი ხელსაწყო; აქედან: ალტიმეტრია — პრაქტიკული გეომეტრიის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს სიმაღლეთა გაზომვას.

ალტიტუდ-ი, ლათ., წერტილის სიმაღლე ზღვის დონესთან შედარებით.

ალტრუიზმ-ი, ლათ., კაცთმოყვარეობა, სხვის საკეთილდღეოდ უანგარო ზრუნვა; ზნეობრივი მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად ცხოვრების წესად უნდა იყოს სხვისთვის თავის განწირვა; აქედან: ალტრუისტ-ი — ალტრუიზმის მიმდევარი.

ალუვი ან ალუვიუმ-ი (ლათ. ალლუვიუმ), გეოლოგიაში: მიწის ქერქზე დანამატი ფენი, რომელიც წარმოიქმნება ხოლმე უფრო ძველ ფენთა გადარეცხვისა და გამოფიტვის გამო; აქედან: ალუვიური ან ალუვიალური ეპოქა — ასეთად სთვლის ზოგიერთი გეოლოგი თანამედროვე ეპოქას.

**ალუმინი** ან **ალუმინიუმ-ი**, ლათ., ვერცხლებრ თეთრი ლითონი, — იხმარება სხვადასხვა ჰურჭლეულობისა და ხელსაწყოთა გასაკეთებლად.

**ალურ-ი** (ფრ. allure), ცხენის სიარულის გვარობა: ნაბიჯით, თოხარიკით და სხვ.

**ალფა**, ებრ.-ბერძ.: 1) ბერძნული ანბანის პირველი ასოს სახელი; 2) გადატან. მნიშვნ.: დასაწყისი; რადგანაც ომეგა არის ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასოს სახელი და მისი გადატან. მნიშვნ. არის დასასრული, ბოლო, ამიტომ 3) **ალფა და ომეგა** — დასაწყისი და დასასრული ანუ თავი და ბოლო; 4) ალფა ან უკეთ **ჰალფა** — ბალახია ერთნაირი, რომლის გრძელი ფოთლები გამოყენებულია როგორც საწნავი და ქაღალდის მოსამზადებელი მასალა; გამოაქვსთ ისპანიიდან, ალჟირიდან და მაროკოდან.

**ალფაბეტ-ი** ან **ალფაბეტა**, ბერძ.: 1) ანბანი ანუ 2) რომლისამე ენის ბგერათა ნიშნები (ასოები), დალაგებული ამ ენისათვის მიღებულ რიგზე; აქედან: **ალფაბეტურად დალაგება** — ანბანურად ანუ ანბანის რიგზე დალაგება; **ალფაბეტური სისტემა**, ასე ეწოდება ფონეტიკაში (იხ.) ბგერათა გამოხატვას ჩვეულებრივი ანბანებით, რომელთაც ზოგჯერ მიუმატებენ ხოლმე განმასხვავებელ ნიშნაკებს, თუ ჩვეულებრივად სახმარებელი ანბანები საკმარისი არ არის (იხ. ანალფაბეტური სისტემა).

**ალფავიტ-ი**, იხ. ალფაბეტი.

**ალფენიდ-ი**, თეთრი ლითონი, რომელიც შედგება 6 წილი სპილენძისა, 3 წილი თუთიისა და 1 წილი ნიკელისაგან; მისგან აკეთებენ ჰურჭლეულობას და ვერცხლავენ გალვანური წესით.

**ალფონსინ-ი**, ჭრილობიდან ტყვიის ამოსაღები (ქირურგიაში სახმარებელი) ხელსაწყო.

**ალფრესკო**, იტ., კედლის მხატვრობა წყლიანი ფერადებით უშუალოდ ლესილზე.

**ალქიმია**, არაბ.-ბერძ.: 1) ქიმიის სახელწოდება 17 საუკუნემდე; 2) საშუალო საუკუნოების არამეცნიერული ქიმია, რომლის მიზანი იყო გადაექცია „არაკეთილშობილი" ლითონები ოქროდ, მოენახა საშუალება სიცოცხლის გაგრძელებისა და გაახალგაზრდავებისა; აქედან: **ალქიმიკ-ი, ალქიმიკოს-ი, ალქიმისტ-ი** — ალქიმიის მცოდნე და მიმდევარი.

**ალყორან-ი**, იხ. ყორანი.

**ამაზონ-ი**, (ბერძ. ამაძონ, ნიშნავს: უძუძუო): 1) მხედარი ქალი, ამორძალი; 2) ქალის საცხენოსნო კაბა (ქართულად უმართებულოდ იხმარება აგრეთვე ამაზონკა რუსულის მიხედვით); აქედან: **ამაზონები** (მრავლ.) — ძველ ბერძენთა ზღაპრული თქმულებით წარმოადგენდენ მხოლოდ ქალებისაგან შემდგარ ხალხს, რომელიც ცხოვრობდა თითქოს სკვითთა ქვეყანაში; ამაზონები იყვნენ ფრიად განთქმული მეომრები; ამოიწვავდენ ხოლმე მარჯვენა ძუძუს, რომ უფრო მარჯვედ დაეჭიმათ მშვილდი.

**ამაზონკა, ამაზონკები**, იხ. ამაზონი.

**ამალგამა** ან უკეთ **ამალგამ-ი**, ბერძ.-არაბ., ლითონთა ნაერთი ვერცხლის წყალთან; აქედან: **ამალგამაცია** — ლითონების ვერცხლის წყალთან შეერთების პროცესი, რომელიც გამოყენებულია მადანიდან ოქროსა და ვერცხლის გამოღების საშუალებად; **ამალგამირება** — რაიმე ნივთის ამალგამით დაფარვა, მაგ. სარკისა.

**ამანათ-ი**, არაბ., მძევალი, საწინდარი; ვისთანმე გაგზავნილი ნივთი.

**ამარანტ-ი**, ბერძ., მცენარეა მრავალგვარი სახისა: ზოგი მათგანი გამოყენებულია სადეკორაციო მიზნებისთვის (ე. ი. რისამე მოსართველ-შესამკობად); ზოგის ფოთლები იხმარება მწვანილად; იჭმება აგრეთვე მისი მარცვალი. იზრდება, მაგ., ინდოეთში, სამხრ.-ამერიკაში და სხვ.; აქედან: **ამარანტის ფერი** — მუქი წითელი, რომელსაც იისფერი გადაჰკრავს.

**ამაუროზის-ი**, ბერძ., თვალთდაბნელება, სრული სიბრმავე.

**ამბა** ან **ამბო**, ლათ.: 1) შეერთებათა თეორიაში (მათემატ.) ეწოდება წყვილს; 2) ლოტოს თამაშში — ორი ნომრის ერთ რიგში მოთავსება.

**ამბალაჟ-ი** (ფრ. emballage): 1) შეკვრა-შეხვევა, ჩაწყობა; 2) შესაკრავ-შესახვევი მასალა; 3) შეკვრა-შეხვევის ფასი.

**ამბან-ი**, ჩინეთის უმაღლეს მოხელეთა ტიტული.

**ამბარგო** ან უკეთ **ემბარგო**, ისპ., უცხოელ სავაჭრო გემთა დაკავება ნავთსადგურში: ამ ზომას მიმართავენ ხოლმე სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის დროს.

**ამბარკაცია** (ფრ. embarquer-დან): 1) გემის საქონლით დატვირთვა; 2) გემზე დესანტის (იხ.) მოთავსება.

**ამბიგენ-ი**, ლათ. ორსქესოვანი.

**ამბილოგია**, ლათ.-ბერძ., ორაზროვანი გამოთქმა, ორაზროვნობა.

**ამბიცია**, ლათ., თავმოყვარეობა, თავისი ღირსების გადაჭარბებული გრძნობა.

**ამბლიოპია** ან **ამბლვიოპია**, ბერძ., მხედველობის სისუსტე, გამოწვეული ტვინის განსაზღვრული ნაწილის დაზიანების გამო.

**ამბლომა** ან **ამბლოზის-ი**, ბერძ., იგივეა რაც აბორტ-ი.

**ამბრაზურა** ან **ამბრაზურ-ი**, ფრ., სათოფური: გამტანისი ხვრეტილი კედელში ან მიწაყრილში თოფ-ზარბაზნებისათვის; დოლაბი.

**ამბარა**, ინდ.-არაბ., ნაცრისფერი ფისისებრი სურნელოვანი ნივთიერება.

**ამბროზია** ან **ამბროსია**, ბერძ.: 1) ძველი ბერძნების მითოლოგიაში: უკვდავებისა და მუდმივი ახალგაზდობის მიმნიჭებელი საჭმელი ღმერთებისა; 2) სურნელოვანი ნელსაცხებელი ძველ დროში.

**ამბულანს-ი**, ფრ., მოძრავი საავადმყოფო.

**ამბულატორია**, ლათ., სამკურნალო დაწესებულება გარედან დროგამოშვებით მომსვლელთათვის; აქედან: **ამბულატორიული წესი მკურნალობისა** — წამლობა დროგამოშვებით სამკურნალოში მომსვლელთა, ე. ი. არამუდმივ იქ მყოფთა (შეად. სტაციონარული წესი მკურნალობისა)

**ამბუშურ-ი** (ფრ. embouchure): 1) სატუჩე; 2) ლაგამი; 3) ზარბაზნის ხახა; 4) რაიმე ხელსაწყოს ის ნაწილი, რომელიც ტუჩებზე უნდა მიიდგა ან პირში ჩაიდო, მაგ. სასულე სამუსიკო ინსტრუმენტის მუნდშტუკი

**ამება** ან უკეთ **ამოება** (ბერძ. ამოიბე), მიკროსკოპიული (ე. ი. უიარაღოდ თვალით უხილავი) ერთუჯრედიანი უსახური ცხოველი, რომელიც შედგება ერთგვაროვანი ცილოვანი ნივთიერებისაგან, — მრავლდება განივად ორნაწილად გაყოფის საშუალებით (ჩვეულებრივ იხმარება მრავლობითში: ამოებები); აქედან: **ამოებიაზ-ი** ან **ამოებიაზის-ი** — ერთგვარი ამოებებით ავადობა.

**ამეთისტ-ი**, ბერძ., ნახევრად ძვირფასი ქვა, — კვარცის ერთერთი სახე ღია იისფერისა.

**ამეთოდური**, ბერძ., უწესური, უსაფუძვლო, არამეთოდური (იხ. მეთოდი,-ური).

**ამელიორაცია**, ლათ.-ფრ., რისამე გაუმჯობესება, უკეთეს მდგომარეობაში მოყვანა; კერძოდ: სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება სხვადასხვა მხრივ, მაგ. ჭაობების ამოშრობა, მიწის მორწყვისა და სხვ. მოწყობა (იგივეა რაც მელიორაცია).

**ამენია**, ბერძ., იხ. ამენორეა.

**ამენომანია**, ბერძ., სულიერი აშლა, ამენორეის (თვიურის უქონლობის) დროს.

**ამენთეს-ი**, საიქიოს სახელწოდება ძველ ეგვიპტეში.

**ამენორეა** (ბერძ., ხელოვნ.), თვიურის უქონლობა ან შეწყვეტა იმ დროს (მომწიფების ასაკში), როდესაც ქალს იგი რიგით უნდა ქონოდა; ამენორეა შესაძლებელია ფიზიოლოგიური (ორსულობისა ან ძუძუს ჭმევის დროს) და პათოლოგიური (თანდაყოლილი ან სხვადასხვა ავადმყოფობით შეძენილი); იგივეა რაც ამენია.

**ამენცია**, ლათ., ძლიერი სულიერი აშლა, ცნობიერების დაბნელება (ფსიქიატრიაში).

**ამერიკანიზაცია**, ამერიკული მეთოდების შეტანა ვაჭრობა-მრეწველობაში; მექანიზაცია.

**ამერიკანიზმები** (მრავლ.), ამერიკის ინგლისური ენის (ლექსიკური და გრამატიკული) თავისებურობანი, რომელიც განასხვავებენ მას (ე. ი. ამერიკის ინგლისურს) ძირითადი ინგლისურისაგან.

**ამერიკანიზმ-ი**, სისწრაფე და სიზუსტე (ზედმიწევნილობა) რაიმე საქმის შესრულებაში.

**„ამერიკანკა"**, მომცრო საბეჭდი მანქანა, გამოგონებული ამერიკაში 19 საუკ. ნახევარში, რამოდენიმე სისტემისა.

**ამერიკული დუელი**, ერთგვარი დუელი, როცა მოწინააღმდეგენი შეთანხმდებიან კენჭის ყრით თავის მოკვლაში.

**ამეტრია**, ბერძ., თანაშეუზომლობა; უთანაბრობა.

**ამეტროპია**, ბერ., საერთო სახელია სიბეცისა და შორს მხედველობისა (თვალის ავადმყოფობა).

**ამიანტ-ი**, ბერძ., ერთგვარი ასბესტი (იხ.).

**ამიმია**, ბერძ., მიმიკათა და სხეულმოძრაობით აზრების გამოხატვის უუნარობა.

**ამიობა**, იხ. ამება.

**ამნეზია** ან **ამნესია**, ბერძ., მეხსიერების დაკარგვა, — დასუსტება.

**ამნიონ-ი**, ბერძ., სიფრიფანა აპკი ჩანასახის გარშემო დედის საშვილეში (აპკის კედლებსა და ჩანასახს შუა არის სითხე, ამნიონის წყლად წოდებული); აქედან: **ამნიოტები** (მრავლ.)— ასე ეწოდება საერთოდ ხერხემლიან ცხოველებს, რომელთა ჩანასახი ვითარდება ამნიონში, სახელდობრ: ქვემძრომნი, ფრინველნი და ძუძუმწოვარნი; **ამნიტის-ი** — ზემოხსენებული აპკის ანთება.

**ამნისტია** (ბერძ. ამნესტია — დავიწყება, პატიება), უზენაესი მთავრობის მიერ დამნაშავეთა და ბრალდებულთა პატიება, რომელიც ცხადდება ჩვეულებრივ რაიმე ღირსშესანიშნავ საზეიმო შემთხვევასთან დაკავშირებით.

**ამოკ-ი** (იაპ. კვლა), ერთგვარი მძაფრი სულიერი აშლა, რომლით შეპყრობილიც, მაგალითად, დარბის იარაღით ხელში და არავის ზოგავს; მას ეკარგვის უნარი ანგარიში მისცეს თავის თავს თავის მოქმედებაში. ამოკი გავრცელებულია ყველაზედ მეტად მალაიელთა შორის.

**ამონ-ი** (ბერძ. ამმონ), ქალაქ თებას (ძველ ეგვიპტეში) ერთერთი ღვთაება, რომელიც თება ქალაქის გაძლიერებასთან ერთად იქცა მთავარ ღვთაებად; ამონს ბერძნები აიგივებდენ ძევსთან.

**ამორალიზმ-ი**, ბერძ.-ლათ., ზნეობის ყოველგვარი კანონებისა და მოძღვრების უარყოფა; უზნეობა. აქედან: **ამორალური** — არა ზნეობრივი, უზნეო.

**ამორტიზაცია**; ლათ.-ფრ.: 1) ქონების ეკლესიის საკუთრებად გადასვლა, რის გამოც ეს ქონება განუსხვისებელი ხდება, ესე იგი თითქოს „კვდება“ გაყიდვისა ან გაცემისათვის და სხვ.; 2) რაიმე საბუთის გაბათილებულად (ძალას მოკლებულად, „მკვდრად") გამოცხადება მისი დაკარგვის გამო იმ პირის მიერ, ვისაც ეკუთვნოდა: 3) განსაზღვრული წესით ნაწილ-ნაწილობითი დაფარვა სახელმწიფოებრივი (ან კერძო) ვალისა, ან რაიმე საწარმის მოწყობაზე გაწეული ხარჯისა; 4) განსაზღვრული თანხის პერიოდულად გამორიცხვა რაიმე საწარმის საერთო შემოსავლიდან ძირითადი კაპიტალის (შენობის, მანქანის და სხვ.) ასანაზღაურებლად — იმის გამო, რომ ეს კაპიტალი დროთა განმაელობაში ცვდება ან უფასურდება.

**ამორფიზმ-ი**, ბერძ.: 1) უსახურობა, უფორმობა, ე. ი. რაიმე გარკვეული სახის ან ფორმის უქონლობა; 2) არაკრისტალური ანუ არდამნური ნივთიერების აგებულობა; არდამნობა.

**ამორფული**, ბერძ.: 1) უსახური, გარკვეული ფორმის ანუ სახის არმქონე; 2) არაკრისტალური აგებულობის მქონე; არდამნური.

**ამოქოსია** ან უკეთ **ამოქოსის-ი** (ბერძ. ამმოს + ქოსის), ავადმყოფის ცხელ სილაში ჩაფლვა, სილა-აბანო (მედიცინაში).

**ამპელ-ი**, ლათ.-გერმ., მრგვალი სანათური, ხომლი (ლუსტრა).

**ამპელინ-ი** (ბერძ., ხელოვნ.), ზეთია ერთგვარი.

**ამპელოგრაფია**, ბერძ., ყურძნის ჯიშების აღწერა-მცოდნეობა.

**ამპელურგია**, ბერძ., მეცნიერება მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ.

**ამპერ-ი** (ფრ. Ampère), გალვანური (იხ.) დენის ძალის ერთეული (ასეთი სახელწოდება მიიღო ამ ერთეულმა შესანიშნავი ფრანგი მეცნიერის, ფიზიკოსისა და მათემატიკოსის, Ampère-ს (1775 — 1836) პატივსაცემად); აქედან: **ამპერმეტრ-ი** — ამპერის საზომი ხელსაწყო, ამპერმზომი (იხ. გალვანომეტრი).

**ამპირ-ი** (ფრ. empire), ნაპოლეონის იმპერიის დროის სტილი მხატვრობაში, ხუროთმოძღვრებაში და სხვ., რომლის დამახასიათებელია მკაცრი, მასიური და მარტივი ფორმები.

**ამპლიტუდა** ან უკეთ **ამპლიტუდ-ი**, ლათ.-ფრანგ.: 1) გაქანების სიდიდე ქანქარას რხევის დროს; რხევადი წერტილის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან (ფიზიკაში): უდიდეს და უმცირეს სიდიდეთა შორის განსხვავება (მეტეოროლოგიაში); 2) ყუმბარის სროლის სიშორე (არტილერიაში).

**ამპლიფიკაცია**, ლათ.-ფრ.: 1) გავრცელება, გადიდება; 2) მეტყველებაში: მრავალსიტყვაობა, სიტყვის გაგრძელება რაიმე საგნის ან მოვლენის დაწვრილებითი, ზოგჯერ ზედმეტი, აღწერით.

**ამპლუა** (ფრ. emploi), იმ როლის ხასიათი, რომელსაც ასრულებს ესა თუ ის მსახიობი; მაგ., ამბობენ: ამა თუ იმ მსახიობს აქვს მოხუცის, არშიყის და სხვ. ამპლუა, ე. ი. მას უხდება მოხუცის, არშიყის და სხვ. როლი.

**ამპულა** (ლათ. ამპულლა): 1) მრგვალი ვიწრო-ყელიანი ჭურჭელი სითხეთა შესანახავად (ძველ რომში); 2) ჭურჭელი მირონისათვის კათოლიკურ ეკლესიებში; 3) ჰერმეტიკულად (ჰაერშეუვალად) დარჩილული (დაწებილი, დაკეტილი) ჭიქლა (შუშის პატარა ჭურჭელი) წამლების შესანახად.

**ამპუტაცია**, ლათ.-ფრ., სხეულის დაზიანებული ან მოწამლული ასოს ან მისი ნაწილის მოკვეთა (ქირურგიაში).

**ამრიტა**, ინდ., ღმერთების უკვდავების მიმნიჭებელი სასმელი ძველ ინდოელთა მითოლოგიაში (იგივეა, რაც ძველ ბერძენთა ამბროზია, იხ.).

**ამსტერდამის ინტერნაციონალი**, ასე ეწოდება პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ფედერაციას, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი არის ქ. ამსტერდამში (ჰოლანდიაში); დაარსდა 1919 წლის ივლისში.

**ამსტერდამის კონგრესი**, მეორე ინტერნაციონალის მეექვსე ყრილობა ქ. ამსტერდამში 1904 წლის აგვისტოში.

**ამუზია ან ამუსია**, ბერძ., უმუზობა (მუზის არ ყოლა), ხელოვნებაში ნიჭის ან გემოვნების უქონლობა.

**ამულეტ-ი**, არაბ.-ლათ, ტანის რომელსამე ნაწილზე (მკლავზე, გულზე, ზურგზე) დასაკიდი ნივთი, ზედ წარწერით ან რაიმე ნიშნებით, რომელსაც ატარებენ ცრუმორწმუნოების გამო სხვადასხვა ავადმყოფობის და უბედურების თავიდან ასაცილებლად; ავგაროზი.

**ამუნიცია** (ლათ.-გერმ. ამმუნიციონ), ჯარისკაცის აბჯარ-საჭურველი, — ტანსაცმელ-იარაღი, — კაზმულობა.

**ამურ-ი**, ლათ.-ფრ.: 1) სიყვარული, მიჯნურობა, ვნებიერი სიყვარული; 2) სიყვარულის ღმერთი ძველი რომის მითოლოგიაში — ვენერას ვაჟი.

**ამფიბი** (მრავალ.: ამფიბიები), ბერძ., ორგვარად, ე. ი. ორ სხვადასხვა გარემოში (წყალში და ხმელეთზე) მცხოვრები ცხოველი და მცენარე: ამფიბიებს შეუძლიათ იცოცხლონ როგორც ხმელეთზე, ისე წყალში; აქედან: **ამფიბიოლითები** (მრავლ.) — გაქვავებული ამფიბიები; **ამფიბიოლოგია** — მეცნიერება ამფიბიების შესახებ.

**ამფიბოლ-ი**, ბერძ., საერთო სახელწოდება ლითონთა იზომორფული (იხ.) ჯგუფისა.

**ამფიბოლია**, ბერძ., ორაზროვნობა; აქედან: **ამფიბოლიური** — ორაზროვნული.

**ამფიბრახ-ი** ან უკეთ **ამფიბრაქ-ი**, ბერძ., სამმარცვლოვანი მუხლი ლექსთა-წყობაში, სადაც პირველი და მესამე მარცვალი მოკლეა (ან-უმახვილო), ხოლო მეორე მარცვალი გრძელი (ან მახვილიანი).

**ამფიგურია**, ბერძ., არეული, გაუგებარი, უაზრო ლაპარაკი, როშვა; აქედან: **ამფიგურისტ-ი** — არეულად მოლაყბე, მროშავი.

**ამფითეატრ-ი**, ბერძ., 1) წრიული ან ნახევარ-წრიული სახის შენობა თანდათან (ზედიზედ) ამაღლებული რიგებით მსმენელ-მაყურებელთა მოსათავსებლად (ძველ საბერძნეთსა და რომში); 2) ნახევარ-წრიული დარბაზის ნაწილი, სადაც გამართულია თანდათან ამაღლებული საჯდომი რიგები მსმენელ-მაყურებელთათვის.

**ამფიკტიონები**, იხ. ამფიქტიონები.

**ამფიონ-ი**, ბერძ., ძველი საბერძნეთის მითოლოგიური მემუსიკე, რომელიც ჩანგზე დაკვრით ქვებსაც ამოძრავებდა (ქვები თავისთავად იწყობოდენ თება ქალაქის კედლებისათვის).

**ამფიპოდები** (მრავლ.), კიბოს ერთი გვარი.

**ამფისმილა**, ბერძ., ორპირიანი დანა (იხმარება ანატომიაში).

**ამფიტრიტე**, ბერძ.: 1) ზღვის ქალღმერთი, პოსეიდონის მეუღლე (ბერძნულ მითოლოგიაში); 2) ზღვის ჭიის ერთი გვარი.

**ამფიტრიონ-ი**, ბერძ.: 1) თება ქალაქის მეფე, რომლის მეუღლემ ძევსისაგან შვა ჰერკულესი (ძვ. ბერძნ. მითოლოგიაში); 2) მოტყუებული ქმრის ტიპი პლავტუსისა და მოლიერის კომედიებში; 3) გადატან. მნიშვნ.: სტუმართ-მოყვარე მასპინძელი.

**ამფიქტიონები** (ბერძ., მრავლ.), ძველი საბერძნეთის რამდენიმე ტომის კავშირი საერთო სალოცავი ადგილის, განსაკუთრებით დელფის

ტაძრის, დაცვის მიზნით (ამფიქტიონების ყრილობაზე ირჩეოდა სხვა საქმეებიც).

**ამფიქტიონია**, იხ. ამფიქტიონები.

**ამფორა**, ბერძ., თიხის ორყურა ჭურჭელი ძველ საბერძნეთსა და რომში ღვინისა ან სხვა სითხეთათვის. ამფორას ჰქონდა ვიწრო ყელი და ტანდათან ვიწროვდებოდა ფსკერისაკენ (ქართული ქვევრისაგან განსხვავდებოდა მაღალი ყელითა და ყურებით). აქედან: **ამფორული** ან **ამფორისებრი** — ამფორის მსგავსი.

**ამფოტერ-ი**, ბერძ., ორმაგი, ორმხრივი: **ამფოტერული** — იგივეა; იხმარება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მაგ. გეოლოგიაში: **ამფოტერული წარმონაქმნები** (მრავლ.) — მთის ჯიშები, რომელნიც წარმოქმნილნი არიან წყლისა და ვულკანური ძალის ერთჟამიერი მონაწილეობით; ქიმიაში: **ამფოტერული რეაქცია** — ორმხრივი რეაქცია, ე. ი. ზოგიერთ სხეულთა უნარი გამოიჩინონ ერთჟამიერად მჟავე და მტუტე რეაქცია.

**ამშასპანდები** (მრავლ.), ავესტ., კეთილის მფარველი სინათლის სამყაროს შვიდი უზენაესი სული (ღვთაება), ზარათუშტრას (ზოროასტრის) რელიგიაში.

**ანაბაზის-ი** ანუ უკეთ **ანაბასის-ი**, ბერძ.: 1) ქვევიდან ზევით ასვლა: დაბლობიდან მაღლობზე ან ზღვის ნაპირიდან ქვეყნის შიგნით; 2) სახელწოდება ქსენოფონტის (V საუკ. ქ. წ.) თხზულებისა 10000 ბერძნის ლაშქრობის შესახებ; 3) მუსიკაში: აღმავალი ტონების გამა.

**ანაბაპტიზმ-ი**, ბერძ., სოციალურ-რელიგიური სექტის (რეფორმაციის დროს 16 საუკ.) მოძღვრება, რომელიც ქადაგებდა წესწყობილების კომუნისტურ საფუძვლებზე აგებას, უარყოფდა საეკლესიო წესებს და განსაკუთრებით ბავშვის ნათლავს: სექტის წევრნი ხელახლად უნდა გადანათლულიყვნენ; აქედან: **ანაბაპტისტები** (მრავლ.) — ამ სექტის მიმდევარნი (სახელწოდება ნიშნავს: „მეორედ გადანათვლა“).

**ანაბიოზ-ი** ან **ანაბიოსის-ი**, ბერძ., ბიოლოგიაში: გარეგნულად მკვდარი ორგანიზმის (მცენარის ან ცხოველის ან მათი ჩანასახის) გაცოცხლება სითბოსა, სინათლისა და სინოტივის ზეგავლენით.

**ანაბოლიზმ-ი** (ბერძ., ხელოვნ.). ბიოლოგიაში: იგივეა, რაც ასიმილაცია (იხ.)

**ანაგლიფ-ი**, ბერძ., ჩუქურთმოვანი მხატვრობა ძველ ბერძნულ ხუროთმოძღვრებაში.

**ანაგნოსტები** (მრავლ., ბერძნ.): 1) განათლებული მონები (ან უკვე განთავისუფლებული) ძველ რომში, რომელთა მოვალეობაც იყო მოსასმენად რისამე წაკითხვა, განსაკუთრებით სადილის დროს; 2) საღვთო წერილიდან ნაწყვეტების მკითხველები ღვთისმსახურების დროს ძველ ქრისტიანულ ეკლესიაში.

**ანაგრამა** (ბერძ. ანა-გრამმა). ასოთა გადასმა სიტყვაში ან წინადადებაში სხვა სიტყვის ან წინადადების გამოყვანის მიზნით: აქედან: **ანაგრამისტ-ი** — ანაგრამის შედგენაში დახელოვნებული.

**ანადიპლოსის-ი**, ბერძ., საერთოდ: განმეორება ერთისა ან რამდენიმე სიტყვისა; ლექსთწყობაში: მომდევნო ტაეპის თავში განმეორება წინა ტაეპის ბოლოსი.

**ანაერობები** (მრავლ., ბერძ.), უხილავი სხეულები, რომელნიც ცოცხლობენ და მრავლდებიან უმჟავებადოდ (იხ. აერობები).

**ანაზოტურია**, პათოლოგიური (ავადმყოფური) მოვლენა შარდის გამოშვების დროს: შარდი გამოდის ნაკლები, ვიდრე საჭიროა, ან სრულიად შეწყდება შარდის დენა.

**ანათემა**, ბერძ.: 1) ძველ საბერძნეთში რაიმე ნივთის შეწირვა ღმერთისათვის, რის გამოც შეწირული ნივთი ხელუხლებელი იყო; 2) ძველი ქრისტიანული ჩვეულებითაც ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ IV საუკუნიდან ანათემა ნიშნავს: შეჩვენებას, ეკლესიიდან განდევნას.

**ანაკრეონტული** ან უკეთ **ანაკრეონული** (იხ.).

**ანაკრეონული ლექსი**, ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მგოსნის **ანაკრეონის** (560—478 წ. ქ. წ.) მიმბაძველობით დაწერილი ლექსი; ანაკრეონი თავის ლექსებში უმღეროდა უმთავრესად სიყვარულს, ღვინოს და, საერთოდ, უდარდელად დროსტარებას.

**ანალგეზია** ან **ანალგესია**, ბერძ., ტკივილის გრძნობის დაკარგვა

**ანალგია**, ბერძ., იგივეა რაც ანალგეზია.

**ანალები** (მრავალ., ლათ. ანნალეს): 1) სხვადასხვა ამბების წლითი წლადი აღწერილი თხზულებანი. მატიანე; 2) მრავალ სამეცნიერო ჟურ-

ნალთა სახელწოდება; აქედან: **ანალისტ-ი** — ანალების შემდგენელი.

**ანალეკტები**, იხ. ანალექტები.

**ანალეპსის-ი**, ბერძ., ჯანსაღობის აღდგენა, მორჩენიერება.

**ანალეპტიკა** (მრავლ., ბერძ.), ჯანსაღობის აღმდგენი, ღონის მომცემი საშუალებანი; აქედან: **ანალეპტიკური** — ანალეპტიკის ხასიათის მქონე და მის შესახები.

**ანალექტები** (მრავლ., ბერძ. ანალექტა), რჩეული თხზულებანი ერთისა ან რამდენიმე მწერლის (ჩვეულებრივ ძველი საბერძნეთისა ან რომის მწერალთა); საერთოდ: კრებული.

**ანალიზ-ი** (ბერძ. ანალუსის): დაშლა, რისამე კვლევა შემადგენელ ნაწილებად დაშლის საშუალებით, მაგ. 1) ლოგიკაში: ცნებისა ან აზრის დანაწევრება შემადგენელ ელემენტებად და მათი ცალ-ცალკე შესწავლა; 2) ქიმიაში: გამოკვლევა ნივთიერებათა თვისებისა და რაოდენობისა სხეულის ნაწილებად დაშლის საშუალებით (ანალიზი იხმარება მეცნიერებათა მრავალ სხვა დარგში); აქედან: **ანალიზირება რისამე** — ანალიზის მოხდენა რაზედმე; **ანალიზური** — იხ. ანალიტიკური.

**ანალიტიკა**, ბერძ.: 1) ლოგიკის ის ნაწილი, რომელიც იხილავს მოძღვრებას ანალიზის შესახებ; 2) არისტოტელის (იხ.) თხზულება ლოგიკაში, სადაც გადმოცემულია დასკვნათა და დამტკიცებათა თეორია.

**ანალიტიკ-ი**, ბერძ., ანალიტიკური ან უკეთ ანალიზური მეთოდით მკვლევარი მეცნიერი.

**ანალიტიკური ან უკეთ ანალიზური**, ბერძ., ანალიზის ხასიათის მქონე: რისამე შემადგენელ ნაწილებად დამშლელი; აქედან: კვლევის **ანალიტიკური ან ანალიზური მეთოდი** — მოვლენათა დაშლის საშუალებით ზოგადი კანონის მიკვლევა; კერძოდ: **ანალიტიკური ენები** — ასე ეწოდება იმ ენებს, სადაც სიტყვათა ურთიერთ დამოკიდებულება წინადადებაში (ან შესიტყვებაში) გამოხატულია არა სიტყვათა ფორმებით, არამედ სიტყვათა რიგით, ინტონაციით, ნაწილაკებით და სხვ. (ასეთია, მაგ. ჩინური ენა).

**ანალოგი ან ანალოგიონ-ი**, ბერძ., მღვდელთმსახურების დროს სახმარი მაღალი ოთხკუთხი დაქანებული მაგიდა.

**ანალოგია**, ბერძ.: 1) საერთოდ: მსგავსება საგანთა ან მოვლენათა; 2) ლოგიკაში: მსგავსება ზოგიერთი მხრით, საიდანაც ასკვნიან მსგავსებას სხვა მხრივაც; 3) ენათმეცნიერებაში: ანალოგია ეწოდება ენის განვითარების იმ ფაქტორს, რომლის ძალითაც მსგავსება ზოგიერთის მხრივ იწვევს მსგავსებას სხვა მხრივაც; აქედან: **ანალოგიური წარმოებანი ენაში** — ანალოგიის ძალით ნაწარმოები ფაქტები ენისა.

**ანალფაბეტური სისტემა**, ასე ეწოდება ფონეტიკაში (იხ.) ბგერათა გამოხატვას არა ჩვეულებრივი ანბანებით, არამედ სამეტყველო ორგანოების (ბაგეთა, ენის, სახის და სხვ.) მუშაობის ფორმულებში გამოსახვით (ანალიტიკური სისტემა) ან თვით სამეტყველო ორგანოთა მდგომარეობის პირობითი გადმოცემით (სინთეტიკური სისტემა), იხ. ალფაბეტური სისტემა.

**ანამნეზ-ი ან ანამნესის-ი**, ბერძ., მედიცინაში: ცნობები ავადმყოფის წარსული მდგომარეობის შესახებ და მისი ავადმყოფობის ისტორია ავად გახდომიდან უკანასკნელ დრომდე (ანამნეზი ჰშველის ექიმს ავადმყოფობის გამოცნობაში).

**ანამორფოზ-ი ან ანამორფოსის-ი**, ბერძ.: 1) განზრახ დამახინჯებული გამოსახულების სწორად გამოჩენა საგანგებო სარკეში; 2) მცენარის ნაწილების არანორმალური განვითარება შემთხვევით ან განზრახ.

**ანანას-ი**, ერთგვარი მცენარეა სამხრეთ ამერიკისა სასიამოვნო სუნის და გემრიელ ნაყოფიანი.

**ანანიზმ-ი**, იხ. ონანიზმი.

**ანანკე** (ბერძ. ანაგკე), ბედისწერა, აუცილებლობა.

**ანაპესტ-ი** (ბერძ. ანაპაისტოს), ლექსთწყობაში: სამმარცვლოვანი მუხლი, რომელშიაც უკანასკნელი მარცვალი გრძელია ან მახვილიანი.

**ანარქია**, ბერძ., უუფროსობა, უმთავრობობა, უწესოება; საზოგადოების ან სახელმწიფოს ისეთი მდგომარეობა, როცა ხელისუფლება ან არ არის და ან უმოქმედოდაა; აქედან: **ანარქიული** — ანარქიის ხასიათის მქონე; აქედან, სხვათა შორის: **წარმოების ანარქია** — კაპიტალიზმის ერთერთი ძირითადი მოვლენა, რაც გამოიხატება იმაში, რომ თვითეული საწარმო (წამოწყება) ჰქმნის საქონელს სხვისაგან დამოუკიდებლივ — საერთო

სამეურნეო გეგმის გაუთვალისწინებლად, რასაც შედეგად მოჰყვება მრეწველობის კრიზისები (იხ.).

**ანარქიზმ-ი**, ბერძ., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც ქადაგობს ადამიანის სრულ თავისუფლებას, უარჰყოფს ხელისუფლების პრინციპსა და ყოველგვარ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ძალდატანებას; აქედან: **ანარქისტ-ი** — ანარქიზმის მიმდევარი; **ანარქისტ-ინდივიდუალისტი** — მიმდევარი ანარქიზმის იმ მიმართულებისა, რომელიც მოითხოვს პიროვნების განუსაზღვრელ თავისუფლებას და უარჰყოფს ყოველგვარი ნორმის (წესის) არსებობას საზოგადოებრივ ურთიერთობაში; **ანარქისტ-კომუნისტი** — მიმდევარი ანარქიზმის იმ მიმართულებისა, რომელიც უარჰყოფს კერძო საკუთრების გადასვლას სახელმწიფოს ან საზოგადოების ხელში, და სცნობს მხოლოდ უმთავრობო კომუნებს (იხ).

**ანარქო-სინდიკალიზმ-ი**, ბერძ., ანარქიზმის ერთერთი სახეობა — რევოლუციური სინდიკალიზმი (იხ.), — რომელიც ებრძვის კაპიტალისტურ წესწყობილებას პროფესიულ კავშირებზე დაყრდნობით და უარჰყოფს ყოველგვარ სახელმწიფოს; **ანარქო-სინდიკალისტი**—ანარქო-სინდიკალიზმის მიმდევარი; **ანარქო-სოციალისტ-ი**, ბერძ.-ლათ., გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარლამენტარიზმის უარმყოფელი ფრაქციის მიმდევარი. ბრძოლის უმთავრეს იარაღად ამ ფრაქციას მიაჩნია საყოველთაო გაფიცვა.

**ანარხია**, იხ. ანარქია.

**ანარხიზმ-ი**, იხ. ანარქიზმი.

**ანასტაზის-ი** (ბერძ. ანასტასის): 1) ადგომა ლოგინიდან, ავადმყოფობისაგან განკურნება; 2) გადარგვა ან გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე; აქედან: **ანასტატიკური ბეჭდვა** — ქაღალდზე გადაღება (აღდგენა) ნახატისა ან ნაბეჭდისა, რასაც წინასწარ გადაიღებენ ხოლმე ქვაზე ან თუთიაზე.

**ანასტალტიკა** (ბერძ., მრავლ.), სისხლის დენის შემჩერებელი საშუალებანი; აქედან: **ანასტალტიკური** — სისხლის შემჩერებელი.

**ანასტომოზ-ი** (ბერძ. ანასტომოსის), სისხლის ან ლიმფური ორი ძარღვის ერთმანეთთან შეერთება მესამის საშუალებით.

**ანასტროფა** (ბერძ. ანასტროფე), სიტყვების უჩვეულო დალაგება წინადადებაში აზრის შეუცვლელად (გრამატიკაში).

**ანატები** (მრავლ., ლათ. annatae), წლიური ან ნახევარწლიური გადასახადი რომის პაპის სასარგებლოდ იმ პირისაგან, რომელსაც მიეცა საეკლესიო თანამდებობა.

**ანატომ-ი** (ბერძ., ხელოვნ.): 1) საერთოდ: დამნაწევრებელი; 2) კერძოდ და განსაკუთრებით: ანატომიის (იხ.) სპეციალისტი,—მეცნიერი.

**ანატომია** (ბერძ., ხელოვნ.: განკვეთა, დანაწევრება), მეცნიერება ცხოველურ და მცენარეულ სხეულთა ფორმისა და აგებულობის შესახებ. მეთოდისა და მასალის მიხედვით, ე. ი. იმის მიხედვით, თუ როგორ და რას სწავლობს და იკვლევს, არსებობს: 1) **თეორიული ანატომია** — მას მოჰყავს სისტემაში (წესრიგში) ანატომიის სხვა დარგთა კვლევის შედეგები და გამოჰყავს ზოგადი დასკვნები; 2) **მიკროსკოპიული ანატომია** — გამადიდებელი შუშების საშუალებით იგი იკვლევს ქსოვილთა აგებულობას; 3) **პათოლოგიური ანატომია** — იკვლევს ქსოვილთა და ორგანოთა ავადმყოფურ ცვლილებებს; 4) **პლასტიკური ანატომია** — იკვლევს სხეულის გარეგნულ მოყვანილობას შინაგანი ნაწილების მდგომარეობასთან დაკავშირებით; 5) **პრაქტიკული ანატომია** — გადმოგვცემს მასალის კვლევის წესებს, ტექნიკურ საშუალებებს და სხვ.; 6) **ტოპოგრაფიული ანატომია** — იკვლევს სხეულის ნაწილებს იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაში არიან ეს ნაწილები მდებარეობის მხრივ; 7) **შედარებითი ანატომია** — იკვლევს შედარებითი მეთოდით მსგავსებასა და განსხვავებას ადამიანისა და სხვა ცხოველთა აგებულობის შორის (არსებობს კიდევ ანატომიის სხვა დარგებიც). — აქედან: **ანატომიური** — ანატომიის ხასიათის მქონე ან მის შესახები; **საანატომიო** — ის რაც განკუთვნილია, დანიშნულია ან გამოსადეგია ანატომიისათვის. მაგ.: **საანატომიო თეატრი** — დარბაზი, სადაც ასწავლიან ანატომიას, ჰკვეთენ მიცვალებულთ და სხვ.; **საანატომიო ხელსაწყო** და სხვ.

**ანაფორა**, ბერძ.: 1) ერთისა და იმავე სიტყვის (ან ბგერათა) განმეორება რამდენიმე ტაეპის ან ლექსის დასაწყისში; 2) მუსიკაში: უშუა-

ლოდ წინამავალი მუსიკალური ფრაზის განმეორება.

**ანაფროდიტიზმ-ი** ან **ანაფროდისია**, ბერძ., სქესობრივი ხალისის დაკარგვა; **ანაფროდიტ-ი** — შვილოსნობის უნარდაკარგული.

**ანაქორეტ-ი**, ბერძ., განდეგილი, მეუდაბნოე.

**ანაქრონიზმ-ი**, ბერძ., საერთოდ: შეცთომა ქრონოლოგიაში, დროთა აღნიშვნაში; კერძოდ: რაიმე მოვლენის ან ამბის მიკუთვნება ისეთი ეპოქისათვის (ხანისათვის, დროისთვის), როდესაც ეს მოვლენა ან ამბავი შეუძლებელი იყო მომხდარიყო.

**ანახორეტ-ი**, იხ. ანაქორეტი.

**ანახრონიზმ-ი**, იხ. ანაქრონიზმი.

**ანგაჟემენტ-ი** (ფრ. engagement): 1) საერთოდ: რაიმე ვალდებულობის დაკისრება; კერძოდ: 2) მსახიობის ან სხვა სასცენო ხელოვნის ძიწვევა ანტრეპრენერის (იხ.) მიერ განსაზღვრული პირობით ვადისა და გასამრჯელოს შესახებ.

**ანგარ-ი** (ფრ. hangar), საფრენ მოწყობილობათა შესანახავი გადახურული უგვერდისკედლებო ბინა.

**ანგარია** (ბერძ., ხელოვნ.): 1) საერთოდ: უცხოელთა ყოველგვარი მოძრავი ქონების განსხვისება (რეკვიზიცია, იხ.); 2) კერძოდ: უცხოელთა გემების განსხვისება.

**ანგიექტასია**, ბერძ., სისხლის ძარღვების გაფართოება (ავადმყოფობაა).

**ანგინა**, ლათ., სასისა და ხახის ღრუს სხვადასხვა სახის ანთება.

**ანგიოლოგია**, ბერძ., ანატომიის ერთერთი დარგი, რომელიც იკვლევს სისხლისა და ლიმფურ სისტემას.

**ანგიომა**, ბერძ., სისხლისა და ლიმფურ ძარღვთა სიმსივნე.

**ანგიონევროზ-ი**, ბერძ., ნერვული ავადმყოფობა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის ძარღვების ავადმყოფურ გაფართოებასთან ან დავიწროებასთან.

**ანგიოპათია**, ბერძ., საერთო სახელია ძარღვების ავადმყოფობათა.

**ანგლეზ-ი** (ფრ. anglaise), ინგლისური სწრაფი და მრავალფეროვანი ცეკვა.

**ანგლიკანიზმ-ი**: 1) ანგლიკანური ეკლესიის (იხ.) მოძღვრება: 2) ანგლიკანური ეკლესიის თავისებურობანი.

**ანგლიკანური ეკლესია**, რეფორმაციული ეკლესიის ერთერთი შტო, რომელიც შემოღებულ იქნა ინგლისში სახელმწიფო რელიგიად XVI საუკუნეში; საშუალოა კათოლიკობასა და პროტესტანტობას შორის, დაცულია ეპისკოპოსის თანამდებობა.

**ანგლიციზმ-ი**, რომელსამე სხვა ენაში შეტანილი თავისებურობა ინგლისური ენისა.

**ანგლო-ამერიკელი**, ინგლისური ჩამომავლობის ამერიკელი.

**ანგლომანია**, ლათ.-ბერძ., ინგლისელებისადმი ტრფიალი, მიმბაძველობა; სიყვარული ყველაფერი ინგლისურისა, მაგ. მათ ჩვეულებათა, მოდისა და სხვ.; აქედან: **ანგლომან-ი** — ის, ვისაც უყვარს ყველაფერი ინგლისური, ჰბაძავს მათ და სხვ.

**ანგლო-საქსური ენა**, ასე ეწოდება ძველ ინგლისურ ენას (დაახლოებ. V — XII საუკ.), რომელზედაც ლაპარაკობდენ ინგლისის დამპყრობელი (V საუკ. ქ. შემდეგ.) გერმანული წარმოშობის ტომები; აქედან: **ანგლო-საქსური ლიტერატურა** — ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებნი.

**ანგლოფილ-ი**, ლათ.-ბერძ., ინგლისელთა მეგობარი, მათი მომხრე.

**ანგლოფობია**, ლათ.-ბერძ., ინგლისელებისადმი სიძულვილი, ინგლისელთმოძულეობა; აქედან: **ანგლოფობ-ი** — ის, ვისაც ინგლისელები სძულს.

**ანგორა**: 1) ოსმალეთის ქალაქი მცირე აზიაში, ამჟამად ოსმალეთის რესპუბლიკის სატახტო ქალაქი; 2) სახელწოდება მთელი ვილაიეთისა, რომლის ცენტრია ქ. ანგორა; აქედან: **ანგორული თხა** — შინაური თხის ჯიშია, აქვს გრძელი და რბილი მატყლი; **ანგორული კატა** — შინაური კატის ჯიშია, აგრეთვე გრძელბალნიანი.

**ანგოფრაზია** (ბერძ., ხელოვნ.), ენაბრგვნილობის ერთერთი სახე, რომელიც გამოწვეულია შეკრთომით ან დარცხვენით და მდგომარეობს მეტყველების შეწყვეტაში განსაზღვრულ ადგილას.

**ანგრო-მაინიუ** (ავესტ. ანრო-მაინიუ), იგივეა, რაც აჰრიმან: ბოროტი სული, ბოროტების ღვთაება ძველ სპარსეთში.

**ანგუსტაცია**, ლათ., ადამიანის სხეულის სისხლის ძარღვების არაბუნებრივი დავიწროება (მედიცინაში).

**ანდაბატ-ი**, ლათ., თვალახვეული მებრძოლი; გლადიატორი, რომელიც იბრძოდა თვალახვეული.

**ანდამატ-ი**, იხ. ადამანტი.

**ანდანტე**, იტ., მუსიკალური ნაწარმოების შესრულება საშუალო ტემპით, ადაჯიოსა (იხ.) და ალეგროს შუა (ალეგრო — იტ. ალლეგრო, ნიშნავს: სწრაფად, ცოცხლად).

**ანდრაგათია**, ბერძ., სიმამაცე, ვაჟკაცობა.

**ანდროგენია**, ბერძ., ადამიანის, განსაკუთრებით, მამაკაცის შექმნა; პირველი მამაკაცის წარმოქმნა; აქედან: **ანდროგენური** — მაგ. **ანდროგენური კვერცხები** — ისეთი კვერცხები, რომელნიც წარმოქმნიან განაყოფიერების შემდეგ (ან უმისოდ) მამრობითი სქესის არსებას.

**ანდროგინია**, ბერძ., დედალი არსების მიერ შეძენა მამალ არსებათა ნიშნებისა. მაგ. დედაკაცს მოხუცებაში ამოსდის წვერი და სხვა.; აქედან: **ანდროგინ-ი**, ჰერმოფროდიტი, ორსქესიანი.

**ანდროლეპსია**, ბერძ., ადამიანის მოტაცება; ძველი ათენის სამართალში: უფლება ადამიანის მოტაცებისა იმ სახელმწიფოდან, რომელმაც არ გასცა ათენელი მოქალაქის მკვლელი.

**ანდროლით-ი**, ბერძ., ადამიანის გაქვავებული ჩონჩხი.

**ანდრომანია**, ბერძ., ავადმყოფური მოვლენა: დედაკაცის გადაჭარბებული სქესობრივი მოთხოვნილება; იგივეა, რაც ნიმფომანია (იხ.).

**ანდრომახე** ან უკეთ **ანდრომაქე**, ბერძ. საკუთ. სახელი, ჰექტორის ცოლი (ჰომეროსის ილიადაში).

**ანდრომედა**, ბერძ., ჩრდილო ცის ერთერთი ვარსკვლავედი; აქედან: **ანდრომედიდები** (მრავლ.) — ასე ეწოდება მოწყვეტილ ვარსკვლავთა ნაკადს, რომელიც ჩანს დედამიწიდან ნოემბრის დამლევ რიცხვებში, განსაკუთრებით ყოველი ცამეტი წლის გასვლისას.

**ანდროფაგ-ი**, ბერძ., კაცის მჭამელი.

**ანდროფობია**, ბერძ., დედაკაცის სიძულვილი მამაკაცისადმი; აქედან: **ანდროფობ-ი** — მამაკაცის მოძულე.

**ანევრიზმა** ან **ანეურისმა**, ბერძ., არტერიის (იხ.) ავადმყოფური ნაწილობრივი გაგანიერება.

**ანეკდოტ-ი**, ბერძ.-ფრანგ.: 1) პირვანდელი მნიშვნ.: ზეპირად გადმონაცემი, დაუწერელი, გამოუცემელი; 2) ახლანდელი მნიშვნ.: გონებამახვილური შინაარსის პატარა მოთხრობა; მოგონილი ამბავი; აქედან: **ანეკდოტური** — ანეკდოტის ხასიათის მქონე; დაუჯერებელი, არა სარწმუნო; **ანეკდოტომან-ი** — ვისაც უყვარს ანეკდოტების თქმა ან მოსმენა; **ანეკდოტომანია** — ანეკდოტების სიყვარული.

**ანემია** (ბერძ., ხელოვნ.: ანაიმია), უსისხლობა, სისხლნაკლულობა; **მავნე-თვისებიანი ანემია** — სისხლნაკლებობა, რომელსაც თან სდევს სისუსტე, ფერის სიმკრთალე და სხვა; აქედან: **ანემიური** — ანემიის (ხასიათის) მქონე; **ანემატურგია** — მოძღვრება უსისხლო ოპერაციის შესახებ.

**ანემოგრაფ-ი**, ბერძ., ქარის მიმართულების საზომი თვითმწერელი ხელსაწყო.

**ანემოლოგია**, ბერძ., ქართმცოდნეობა, მოძღვრება ქარის წარმოშობის, ძალის, სისწრაფის და სხვ. შესახებ.

**ანემომეტრ-ი**, ბერძ., ქარის ძალისა და სისწრაფის საზომი ხელსაწყო.

**ანემოპათია**, ბერძ., სუფთა ჰაერის საშუალებით მკურნალობა (მედიცინაში).

**ანემოსკოპ-ი**, ბერძ., ქარის მიმართულების გამოსაკვლევი საფიზიკო ხელსაწყო.

**ანემოქორდ-ი**, ბერძ., სამუსიკო ინსტრუმენტი, რომელიც გამოსცემს ხმას ქარის ქროლისაგან.

**ანენერგია**, ბერძ., ულონობა, ძალღონის დაკარგვა; უმოქმედობა: აქედან: **ანენერგიული** — ულონო, უმოქმედო.

**ანენკეფალია**, ბერძ., ტვინის უქონლობა, უტვინობა (ანატომიაში).

**ანენცეფალია**, იგივეა, რაც ანენკეფალია.

**ანეპია**, ბერძ., მეტყველების უუნარობა, სიმუნჯე.

**ანეპიგრაფა** (ბერძ., მრავლ.), უსათაურო თხზულებები.

**ანერითროპსია**, ბერძ., სიბრმავე წითელი ფერის მიმართ; წითელი ფერის დანახვის უუნარობა.

**ანეროიდ-ი** (ბერძ., ხელოვნ.), ლითონის ბარომეტრი (იხ.), რომელიც იძლევა ჰაერის წნევის უვერცხლისწყლოდ გაზომვის საშუალებას.

**ანესთეზია**, ბერძ., ხელოვნ.: ან+აისთესის), ავადმყოფური მოვლენა: უგრძნობლობა ტკივილისადმი, ტკივილის გრძნობის დაკარაგვა; ხელოვნურად უგრძნობლობის გამოწვევა სხვადასხვა საშუალებებით; აქედან: **ანესთეზირება** — ანესთეზიის გამოწვევა; **საანესთეზიო** ან **მაანესთეზირებელი საშუალებანი** — ტკივილის გრძნობის დამკარგველი საშუალებანი (მაგ. ქლოროფორმი, ეთერი და სხვ.).

**ანესთემათიკა** ან **ანესთეთიკა** (ბერძ., მრავლ.), საანესთეზიო საშუალებანი (იხ. ანესთეზია).

**ანესტეზია**, იხ. ანესთეზია.

**ანექსია** (ლათ. ანნექსიო), საერთოდ: მიკუთვნება, შეერთება; კერძოდ და განსაკუთრებით: სახელმწიფოს ან მისი ნაწილის ძალმომრეობით შეერთება სხვა სახელმწიფოსთან; აქედან: **ანექსიონისტ-ი** — ანექსიის მომხრე.

**ანთერიდიები** (მრავლ., ბერძ.), მამრობითი სასქესო ორგანოები სპორიან მცენარეთა; აქედან: **ანთეროზოიდები** (მრავლ.) — გამანაყოფიერებელი მამრობითი უჯრედები ზოგიერთ მცენარეთა (ბოტანიკაში).

**ანთესტერიონ-ი**, ბერძ., აყვავების თვე ატიკაში (ძვ.-საბერძნ.) შუა თებერვლიდან შუა მარტამდე; აქედან: **ანთესტერიები** (მრავლ.) — სამდღიანი დღესასწაული ამ თვეში.

**ანთვიპატოს-ი**, ბერძ., მთავარი, ოლქის მმართველი.

**ანთოლითები** (მრავლ., ბერძ), გაქვავებული ყვავილების ნაშთები.

**ანთოლოგია**, ბერძ., რჩეულ ლექსთა კრებული, განსაკუთრებით კლასიკურ (ბერძნულ და რომაულ) ავტორთა; ახლანდელი მნიშვნელობით: ქრისტომათია (იხ.).

**ანთოქლორ-ი**, ბერძ. ხელოვნ., ყვითელი მღებავი ნივთიერება.

**ანთოციან-ი**, ბერძ., მღებავი ნივთიერება წითელი, ლურჯი და იის ფერისა; გახსნილია უჯრედის წვენში.

**ანთრაკნოზ-ი**, ბერ. ხელოვნ., მცენარეთა (განსაკუთრებით, ვაზის) ერთერთი ავადმყოფობა.

**ანთრაკოზის-ი**, ბერძ. ხელოვნ., ფილტვების დაავადება, გამოწვეული ქვანახშირის მტვრით ფილტვების გაჟღენთით.

**ანთრაკოთერი** (ანთრაკოთერიუმ), გადაშენებული დიდი ტანის (მარტორქის ოდენა) წყვილჩლიქა ცხოველი.

**ანთრაციტ-ი** (ბერძ., ხელოვნ.), ქვანახშირის ერთი საუკეთესო ხარისხის სახე.

**ანთროპოგენია**, ბერძ., ადამიანთა ტომის განვითარების ისტორია.

**ანთროპოგეოგრაფია**, ბერძ., გეოგრაფიის ერთერთი დარგი, რომელიც იკვლევს დედამიწას იმის მიხედვით, თუ რა გავლენას ახდენს იგი (დედამიწა) ადამიანის ცხოვრებაზე, ზნეჩვეულებაზე, ისტორიაზე და სხვ.

**ანთროპოგნოზია**, იგივეა, რაც ანთროპოლოგია (იხ.).

**ანთროპოიდები** (მრავლ., ბერძ.), ადამიანისებური მაიმუნები.

**ანთროპოლით-ი**, ბერძ., იგივეა, რაც ანდროლითი.

**ანთროპოლოგ-ი**, ბერძ., ანთროპოლოგიის მცოდნე სპეციალისტი.

**ანთროპოლოგია**, ბერძ., მეცნიერება ადამიანის შესახებ: საბუნებისმეტყველო დარგი, რომელიც იკვლევს ადამიანის გავრცელებას დედამიწის სხვადასხვა ადგილას, მის წარმოშობას, მის კავშირს დანარჩენ ცხოველებთან და სხვ.; აქედან: **ანთროპოლოგიური** — ანთროპოლოგიის ხასიათის მქონე; **ანთროპოლოგიური სკოლა** — ასე ეწოდება სისხლის სამართლის მეცნიერების ერთერთ მიმართულებას, რომლის მიხედვითაც დანაშაულობის მიზეზები მდგომარეობს ადამიანის ფსიქიურ-ფიზიოლოგიურ ბუნებაში, ე. ი. არსებობს ბუნებით დამნაშავე და სხვ.

**ანთროპომეტრია**, ბერძ., ანთროპოლოგიის ერთერთი დარგი, რომელიც აწარმოებს ადამიანის სხეულის გაზომვას ადამიანთა შორის განსხვავების გამოკვლევის მიზნით, ე. ი. თუ რა განსხვავებაა აგებულობის მხრივ სხვადასხვა სქესის, ასაკის, ხელობის და სხვა ადამიანთა შორის.

**ანთროპომორფიზმ-ი**, ბერძ., ღმერთების წარმოდგენა ადამიანის სახითა და თვისებებით; აქედან: **ანთროპომორფები** (მრავლ.) — ადამიანისებური მაიმუნები (იგივეა, რაც ანთროპომორფული მაიმუნები).

**ანთროპონომია**, ბერ., მოძღვრება იმ კანონების შესახებ, რომელნიც განაგებენ ადამიანის ცხოვრებას.

**ანთროპოპითეკ-ი**, ბერძ., ისეთი არსება, რომელიც, ზოგიერთ მეცნიერთა აზრით, გარდამავალი საფეხური უნდა ყოფილიყო ადამიანისებურ მაიმუნსა და ადამიანს შორის.

**ანთროპოპლასტიკა**, ბერძ., ადამიანის სხეულის გამოქანდაკების ან ჩამოსხმის ხელოვნება.

**ანთროპოსოფია**, ბერძ., ერთერთი თანამედროვე რელიგიურ-მისტიკური ფილოსოფიური მოძღვრება (გერმანიაში).

**ანთროპოსოციოლოგია**, ბერძ.-ლათ., მოძღვრება, რომელიც ამყარებს სოციოლოგიას ფიზიკურ ანთროპოლოგიაზე.

**ანთროპოტექნიკა**, ბერძ.: 1) ბიოლოგიის დარგი, რომლის მიზანიცაა გააუმჯობესოს ადამიანის ტომი ფიზიკურად და სულიერად; 2) ადამიანისათვის შესაფერი ხელობის ამორჩევა ანთროპომეტრიულ და ფსიქოტექნიკურ გამოკვლევათა საშუალებით.

**ანთროპოფაგია**, ბერძ., კაცის-მჭამელობა.

**ანთროპოფობია**, ბერძ., სულიერი ავადმყოფობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ავადმყოფს ეშინია ადამიანის.

**ანთროპოცენტრიზმ-ი** (ბერძ., ხელოვნ.), შეხედულება, რომლის თანახმად ადამიანი არის მსოფლიოს ცენტრი და რომ ქვეყანა მისთვისაა გაჩენილი.

**ანიზომეტრიული**, ბერძ., უთანასწორო, თანაშეუზომელი.

**ანიზომეტროპია**, ბერძ., თვალებს შორის განსხვავება (უთანასწორობა) სხივთა გარდატეხის (სხივთტეხის) მხრივ; მხედველობის ნაკლი.

**ანიზოტროპული**, ბერძ., გეზრჩეული ანუ გეზგანმრჩევი; **ანიზოტროპული ნივთიერება** — ასე ეწოდება ნივთიერებას, თუ სხვადასხვა მიმართულებით იგი სხვადასხვა ფიზიკურ თვისებებს იჩენს.

**ანილ-ი** (ინდ.-არაბ.: ნილა, ანნილ) ინდიგო მცენარე (იზრდება ინდოეთში); აქედან: **ანილინ-ი** — ქიმიაში: ორგანიული ფუძე, რომელიც მიიღება ინდიგოსაგან და ქვანახშირის კუპრისაგან და წარმოადგენს უფერო ლვინის-სუნიან სითხეს; იხმარება საღებავების დასამზადებლად; **ანილიზმ-ი** — ანილინის ორთქლით მოწამლვა.

**ანიმალიზმ-ი**, ლათ.: 1) ცხოველის სხეულის თავისებურობანი, რომელნიც განასხვავებენ მას მცენარისაგან; 2) ცხოველური ცხოვრება — სულიერ ადამიანურ ცხოვრებასთან დაპირისპირებით; აქედან: **ანიმალიზაცია** — : 1) მიღებული საჭმლის იმ ნივთიერებად გარდაქმნა, რომლისაგანაც შედგება ცხოველის სხეული; 2) მღებრობაში: ბამბის ქსოვილის ისე შემზადება სხვადასხვა ნივთიერებათა საშუალებით, რომ მან დაიმაგროს (შეითვისოს) საღებავები ისე მტკიცედ, როგორც მატყლმა.

**ანიმალკულუმ-ი**, ლათ., ძალიან პატარა ცხოველი, რომლის დანახვაც შესაძლებელია მხოლოდ მიკროსკოპით (იხ.); აქედან: **ანიმალკულიზმ-ი** — მოძღვრება, რომ ცხოველის თესლში არსებობს უკვე დამთავრებული ჩანასახი მომავალი სხეულისა. (ეს მოძღვრება ძალიან გავრცელებული იყო XVII საუკ.); **ანიმალკულისტ-ი**, ანიმალკულიზმის მიმდევარი.

**ანიმალური ორგანოები**, ცხოველის ორგანოები (ნერვული სისტემა, გრძნობათა ორგანოები და კუნთები) — მცენარის (მომნელებელ, გამომყოფ და სასქესო) ორგანოებთან დაპირისპირებით.

**ანიმიზმ-ი**, ლათ: 1) ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ამტკიცებდა, რომ სხეულის ყოველგვარ მოქმედებას განაგებს სული; 2) პირველყოფილ ხალხთა მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად გარემო ქვეყნის მოვლენები და საგნები სულდგმულნი არიან; აქედან: **ანიმისტ-ი** — ანიმიზმის მიმდევარი.

**ანიონ-ი** (ბერძ., ხელოვნ.), მოლეკულის ნაწილაკი, დატვირთული უარყოფითი ელექტრობით (ელექტროლიზში, იხ.).

**ანის-ი**, ლათ., ქოლგისებრი ოჯახის ერთწლიანი მცენარე, რომლის თესლისაგან ხდიან სასიამოვნო სუნის ზეთს; აქედან: **ანისის ზეთი**.

**ანკერ-ი**, ლათ.-გერმ.: 1) ქანქარას მოძრაობის რეგულატორი (მომწესრიგებელი) საათის მექანიზმში; 2) ღვინის საწყაო ევროპის ჩრდილო ქვეყნებში (დანიაში, შვეციაში და სხვ.), უდრის 30 — 40 ლიტრს; 3) რკინის სამაგრი, ქვის შენობაში ჩატანებული.

**ანკერშტოკ-ი**, ფრ.-გერმ., ღუზის ძელი, რომლის დანიშნულებაცაა — არ დაანებოს ღუზას ზღვის ფსკერზე სიბრტყით დაწოლა.

**ანკეტა** ან **ანკეტ-ი** (ფრ. enquête): 1) საერთოდ: გამოკითხვა წერილობით ან სიტყვიერად, ცნობების შეკრება; 2) რაიმე საზოგადოებრივი საკითხის გამოკვლევა რამოდენიმე პირის წერილობით ან სიტყვიერად დაკითხვის საშუალებით; აქედან: **ანკეტური მეთოდი** კვლევისა: ამ მეთოდს ხშირად მიმართავენ ხოლმე სოციალურ-ეკონომიური მოვლენებისა და პედაგოგიური საკითხების გამოსარკვევად; 3) წინასწარ დამზადებული კითხვები ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, რომელზედაც პასუხი უნდა მიეცეს (საანკეტო ფურცელი).

**ანკილობლეფარონ-ი** ან **ანკილობლეფარია**, ბერძ., თვალის ქუთუთოების შეხორცება, რის გამოც თვალი ვიწროვდება ან სრულიად იხურება.

**ანკილოგლოს-ი** ანუ **ანკილოგლოსია**, ბერძ., ენის ავადმყოფური შეხორცება მეზობელ ნაწილებთან, რის გამოც დაბრკოლებულია ენის მოძრაობა ყლაპვისა, მეტყველებისა და სხვ. დროს; განკურნება მისგან შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ოპერაციით (იხ.).

**ანკილოზ-ი** ან **ანკილოს-ი**, ბერძ., სახსართა ბოლოების შეხორცებით გამოწვეული უძრაობა სათანადო ნაწილებისა; სრული ანკილოზის გამო მოძრაობის უნარი სრულებით ეკარგვის ავადმყოფს (ქირურგიაში).

**ანკილოსტომა**, ბერძ., პარაზიტული (იხ.) ჭია; აქედან: **ანკილოსტომოზ-ი** — ანკილოსტომის მიერ გამოწვეული ავადმყოფობა ადამიანის ნაწლავებში.

**ანოდ-ი**, ბერძ., გალვანური ელემენტის დადებითი პოლუსი (იხ.).

**ანომალ-ი** ან **ანომალური**, ბერძ., უწესური, არაწესიერი, წესგადახვეული, რაიმე წესის საწინააღმდეგო; აქედან: **ანომალა** (მრავლ.) — გრამატიკაში: მეტყველების უწესური ნაწილები, ჩვეულებრივ — ზმნები.

**ანომალია**, ბერძ., უწესურობა, ჩვეულებრივი წესისაგან გადახრილი, გამონაკლისი; აქედან: **ანომალისტური**, მაგ. 1) **ანომალისტური წელი** — მზის მოჩვენებითი მოქცევის ვადა; **ანომალისტური თვე** — მთვარის მოქცევის ვადა.

**ანონიმ-ი**, ბერძ.: 1) უსახელო ვინმე; 2) უსახელოდ გავრცელებული ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი, რომლის ფსევდონიმიც კი (მოგონილი სახელი) არ არის აღნიშნული ნაწარმოებზე; 3) ბარათი (წერილი), რომელსაც ან სრულიად არა აქვს მოწერილი შემდგენელის სახელი და ან მოწერილი აქვს მოგონილი სახელი; აქედან: **ანონიმური** — უსახელო, სახელ-აღუნიშნელი რამ; **ანონიმური საზოგადოება** — ისეთი საზოგადოება, რომლის მონაწილეთა სახელი აღნიშნული არ არის: ასე ეწოდება ზოგჯერ სააქციო საზოგადოებას.

**ანონს-ი** (ფრ. annonce). საჯაროდ წინასწარი განცხადება რისამე შესახებ, ცალკე ან ჟურნალ-გაზეთში, ჩვეულებრივ, სათეატრო წინასწარი განცხადება.

**ანოპლოთერი** ან **ანოპლოთერიუმ-ი** (ბერძ.-ლათ.: „უიარაღო ცხოველი"), უძველეს დროთა წყვილ-ჩლიქიან ძუძუმწოვარ ცხოველთა ჯიში, რომლის ნაშთები მოიპოვება გაქვავებულის სახით.

**ანოპსია**, ბერძ.: 1) სიბრმავე, 2) ზევით-ხედვითი ელამობა.

**ანორგანიზმ-ი**, ბერძ., არაცოცხალი, უსიცოცხლო ბუნება.

**ანორგანული**, ბერძ.: 1) არაორგანული, არაცოცხალი, უსიცოცხლო; 2) არაცოცხალი ბუნების შესახები, მაგ. **ანორგანული ქიმია** — იგივეა, რაც არაორგანული ქიმია: მინერალურ ნივთიერებათა ქიმია; აქედან **ანორგანოგრაფია** — არაცოცხალი ბუნების მცოდნეობა; **ანორგანოლოგია** — მეცნიერება არაცოცხალი ბუნების, განსაკუთრებით, მინერალთა შესახებ.

**ანორექსია**, ბერძ., მადის დაკარგვა, გულისრევა.

**ანორთოსკოპ-ი** (ბერძ., ხელოვნ.), ხელსაწყო, რომელშიც სწორად ჩანს არასწორად დახატული საგანი.

**ანორმალი** ან **ანორმალური**, ბერძ.-ლათ., უწესური, არაწესიერი, წესის წინააღმდეგი; აქედან: **ანორმალობა** — უწესურობა, წესს გადახვევა.

**ანორქია** ან **ანორქიდია**, ბერძ., მამაკაცის ნაკლოვანობა, რომელიც გამოიხატება კვერცხების სრულს უქონლობაში.

**ანოსია**, ბერძ., ავადმყოფობისაგან თავისუფლად ყოფნა.

**ანოსმია**, ბერძ., ყნოსვის ნაკლი, ყნოსვის შეგრძნების დაკარგვა; აქედან: **ანოსმინ-ი** — არასასიამოვნო სუნის მოსპობის საშუალება.

**ანოსფრასია**, ბერძ., იგივეა, რაც ანოსმია.

**ანოფელეს-ი** (ბერძ., ხელოვნ.), ერთი გვარის კოღო, რომელსაც გადააქვს მალარია ადამიანიდან ადამიანზე.

**ანოფთალმია**, ბერძ., თვალების უქონლობა დაბადებიდანვე ან მათი განუვითარებლობა.

**ანსამბლ-ი** (ფრ. ensemble), რაიმე მთლიანის ნაწილების მწყობრი ურთიერთ შეთანხმება, თანაშეწყობა; განსაკუთრებით: მსახიობთა ურთიერთ მწყობრად შეთანხმებული თამაში სცენაზე რაიმე პიესის შესრულების დროს.

**ანტაბლემან-ი** ან **ანტაბლემენტ-ი** (ფრ. antablement), შენობის ჰორიზონტალური ნაწილი (სამერხული, კოზმიდი და ლავგარდანი), რომელიც დაყრდნობილია სვეტებზე.

**ანტაგონიზმ-ი** (ბერძ., ხელოვნ.), მოპირდაპირე ძალთა ბრძოლა, მოწინააღმდეგეობა, მოქიშპეობა, მტრობა; აქედან: **ანტაგონისტ-ი** — მოწინააღმდეგე, მოქიშპე; **ანტაგონისტები** (მრავლ.) — ასე ეწოდება (ფიზიოლოგიაში) ურთიერთ საწინააღმდეგოდ მოქმედ კუნთებს (იხ. აბდუქტორი და ადუქტორი).

**ანტანტა** ან **ანტანტ-ი** (ფრ. entente): 1) საერთოდ: შეთანხმება; 2) ასე ეწოდება მსოფლიო ომამდე სამ სახელმწიფოს (ინგლის-რუსეთ-საფრანგეთის) კავშირს; ხოლო მსოფლიო ომის დროს მათ შეუერთდა სხვა სახელმწიფოებიც (ბელგია, იტალია და ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები); **მცირე ანტანტა** — ჩეხო-სლოვაკიისა, სამხრეთ-სლავიისა, რუმინიისა და პოლონეთის კავშირი, მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი.

**ანტარქტიკული**, ბერძ., სამხრეთ პოლუსთან მდებარე (არქტიკულის მოპირდაპირე, იხ.); აქედან: **ანტარქტიკული ოკეანე** — სამხრეთის ყინულოვანი ოკეანე; **ანტარქტიკული მატერიკი** — სამხრეთის პოლარული ქვეყნები.

**ანტაფროდიტული საშუალებანი**, სქესობრივი ავადმყოფური ალძერის შემნელებელი საშუალებანი.

**ანტევერსია**, ლათ., წინისაკენ დახრილი მდებარეობა საშვილოსნოსი (გინეკოლოგიაში).

**ანტეი** ან უკეთ **ანტეოს-ი**, ძველი საბერძნეთის მითოლოგიაში: პოსეიდონისა და გეას (მიწის) ვაჟი, რომელიც დაახრჩო ჰერკულესმა მიწიდან ზევით აწევით (რადგან მიწაზე მისი დამარცხება არავის შეეძლო).

**ანტენა** (ლათ. ანტენნა): 1) ანძა; 2) საჰაერო სადენი, შეერთებული ელექტრულად ან მაგნეტურად რადიომიმღებთან ან რადიოგადამცემთან.

**ანტერიდიები**, იხ. ანთერიდიები.

**ანტეფიქსა** (მრავ.) ან **ანტეფიქსები** (ლათ.), სამკაულები ტაძრების სახურავის კიდეზე (ფოთლების და სხვ. სახით) ძველ საბერძნეთში.

**ანტეფლექსია**, ლათ.: 1) წინისაკენ გადაღუნვა; 2) გინეკოლოგიაში: საშვილოსნოს წინისაკენ გადმოღუნვა.

**ანტეცედენტ-ი**, ლათ., წინამორბედი ანუ წინანდელი შემთხვევა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მსჯელობა მისი მსგავსი ახლანდელი შემთხვევის შესახებ; **ანტეცედენტური მდინარეები** — ისეთი მდინარეები, რომელნიც გადასჭრიან მთებს.

**ანტეცესორ-ი** (ლათ. ანტეცესსორ), წინამორბედი, წინამავალი, წინამოადგილე.

**ანტი-** ან **ანტ-** ბერძნული ნაწილაკია, რომელიც დაერთვის სიტყვას დასაწყისში (ე. ი. სიტყვის თავში) და ნიშნავს უარყოფას ან დაპირისპირებას; ქართულად ითარგმნება: „წინააღმდეგ", „საწინააღმდეგო", „მოწინააღმდეგე", „მოწინააღმდეგეობა" და სხვა, მაგ.: **ანტილეგალური** — არალეგალური, ე. ი. არა კანონიერი, კანონით ნებადაურთველი (იხ. ლეგალური); **ანტირელიგიური** — რელიგიის საწინააღმდეგო; **ანტისემიტიზმი** — ებრაელთა მოწინააღმდეგეობა, მათი მოძულეობა (იხ. სემიტიზმი) და სხვ.

**ანტიანექსიონისტ-ი**, ანექსიის მოწინააღმდეგე (იხ. ანტი და ანექსია)

**ანტიბაკხი** ან უკეთ **ანტიბაკქი**, ბერძ. ლექსთწყობაში: სამმარცვლიანი მუხლი, რომელშიც პირველი ორი მარცვალი გრძელია (ან მახვილიანი), ხოლო მესამე — მოკლე (ან უმახვილო).

**ანტიგონა** ან **ანტიგონე**: 1) ძველი საბერძნეთის მითოლოგიაში: სახელია თებე ქალაქის მეფის, ოიდიპოსის, ქალისა; ოიდიპოსი გაიგებს, რომ მას ცოლად შეურთავს თავისი საკუთარი დედა (იოკასტა), თვალებს დაიბრმავებს და გადის ქალაქიდან სახეტიალოდ — მას თან დაჰყვება ანტიგონე; 2) სოფოკლის ტრაგედია, სადაც გამოყვანილია ანტიგონე, როგორც მშობ-

ლების მოყვარული და მოვალეობის თავგანწირვით ამსრულებელი.

**ანტიდაქტილ-ი**, ბერძ., იგივეა, რაც ანაპესტი (იხ. ანტი და დაქტილი).

**ანტიდოტ-ი**, ბერძ., რისამე საწინააღმდეგო საშუალება, განსაკუთრებით შხამის საწინააღმდეგო (იხ. ანტი).

**ანტითეზა** ან უკეთ **ანტითეზის-ი**, ბერძ.: 1) ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, ცნების შეპირისპირება (იხ. ანტი და თეზისი); 2) ანტითეზისი დიალექტური განვითარების პროცესში: უარყოფითი მომენტი, რომელიც უპირისპირდება თეზისს, ე. ი. დადებით მომენტს.

**ანტიკვ-**, იხ. ანტიქვ-.

**ანტიკ-ი** ან **ანტიკური** (ლათ.-ფრ. antique): 1) ძველებური; 2) ძველებური ხელოვნების ნაწარმოები საგანი, განსაკუთრებით, ძველი ბერძნული ან ძველი რომაული ხელოვნებისა.

**ანტიკლერიკალიზმ-ი**, კლერიკალიზმის, ე. ი. სამღვდელოების გაძლიერებისა და გავლენის საწინააღმდეგო მიმართულება (იხ. ანტი და კლერიკალიზმი).

**ანტიკრიტიკა**, ბერძ., საწინააღმდეგო კრიტიკა, ე. ი. ავტორის კრიტიკა მისი ნაწარმოების კრიტიკისა; აქედან: **ანტიკრიტიკული** — მაგ., ანტიკრიტიკული ნაწარმოები (იხ. ანტი და კრიტიკა).

**ანტილეგალური**, ბერძ.-ლათ., არალეგალური, არაკანონიერი, კანონით ნებადაურთველი.

**ანტილეგომენა** (მრავლ., ბერძ.), ასე ეძახდნენ ძველი ქრისტიანები ახალი აღთქმის სადაო წიგნებს, რომელთა სინამდვილე არ იყო ყველას მიერ გაზიარებული.

**ანტილეთარგიული საშუალება**, ლეთარგიის საწინააღმდეგო საშუალება (იხ. ანტი და ლეთარგია).

**ანტილოპ-ი** (ბერძ. ანთილოპს: ყვავილთვალებიანი, ე. ი. ლამაზთვალებიანი), ირმის ჯიშის ცხოველი აზიასა და აფრიკაში.

**ანტიმერები** (მრავლ., ბერძ.), ცხოველის სხეულის ერთნაირი ან მსგავსი ნაწილები (თვალები, ხელები და სხვ.).

**ანტიმეფიტიური** ან **ანტიმეფიტისური**, ბერძ., ჰაერის გამწმენდი.

**ანტიმილიტარიზმ-ი**, ბერძ.-ლათ., მილიტარიზმის, ე. ი. სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალების გადიდების საწინააღმდეგო მიმართულება; აქედან: **ანტიმილიტარისტ-ი** — მილიტარიზმის მოწინააღმდეგე (იხ. ანტი და მილიტარიზმი).

**ანტიმინს-ი**, ბერძ., აბრეშუმის ან ტილოს ოთხკუთხი ნაჭერი, რომელზედაც გამოსახულია გარდამოხსნა ქრისტესი და რომელზედაც მართმადიდებელთა ეკლესიებში აკურთხებენ ხოლმე ნაწილებს წირვის დროს.

**ანტიმონარქისტ-ი**, ბერძ., მონარქისტულის, ე. ი. სახელმწიფოს თვითმპყრობელური მმართველობის, მოწინააღმდეგე (იხ. ანტი და მონარქისტი).

**ანტიმორალიზმ-ი**, ბერძ.-ლათ., მოძღვრება კეთილისა და ბოროტის განურჩევლობის შესახებ; აქედან: **ანტიმორალისტ-ი** — ასეთი მოძღვრების მიმდევარი; **ანტიმორალური** — არაზნეობრივი, ზნეობრივის საწინააღმდეგო.

**ანტინაციონალიზმ-ი**, ბერძ.-ლათ., ნაციონალიზმის, ე. ი. ეროვნულობის საწინააღმდეგო მიმართულება (იხ. ანტი და ნაციონალიზმი); აქედან: **ანტინაციონალისტ-ი** — ნაციონალიზმის მოწინააღმდეგე; **ანტინაციონალური** — ეროვნულის საწინააღმდეგო.

**ანტინომია**, ბერძ.: 1) წინააღმდეგობა ორ კანონს შორის, რომელნიც ერთსა და იმავე საგანს ეხებიან; 2) ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულება, რომელთაგან ორთავეს დამტკიცება შესაძლებელია.

**ანტინომიზმ-ი**, ბერძ.: 1) საერთოდ: კანონების უარყოფა; 2) კერძოდ: ძველი აღთქმის კანონების უარყოფა (მიმართულებაა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში).

**ანტიპაპა** ან უკეთ **ანტიპაპ-ი**, ბერძ.-ლათ., ასე ეწოდა რამდენსამე რომის პაპს, რომლებმაც თავისი თავი გამოაცხადეს (ან რომლებიც აირჩიეს) რომის პაპად იმისდა მიუხედავად, რომ ერთი პაპი უკვე იყო.

**ანტიპაპიზმ-ი**, ბერძ.-ლათ., რომის პაპობის საწინააღმდეგო მიმართულება; აქედან: **ანტიპაპისტ-ი** — პაპობის მოწინააღმდეგე (იხ. ანტი).

**ანტიპარლამენტისტ-ი**, ბერძ.-ფრანგ., პარლამენტური მმართველობის მოწინააღმდეგე (იხ. ანტი და პარლამენტისტი).

**ანტიპასატები** (მრავლ., ბერძ.-იტ., ხელოვნ. ანტიპასსატ-), ჰაერის მუდმივი მიმდინარეობა ატმოსფეროს მაღალ ფენებში დედამიწის ცხელ

ქართველში; მიმართულება — საწინააღმდეგოა პასატებისა (იხ. ანტი და პასატები).

**ანტიპატია** ან უკეთ **ანტიპათია**, ბერძ., შეუცნობელი ზიზღი ან სიძულვილი ვისმესადმი ან რასმესადმი; აქედან: **ანტიპათიური** — ზიზღის ან სიძულვილის აღმძვრელი, — გამომწვევი.

**ანტიპატრიოტიზმ-ი**, ბერძ., სამშობლოსადმი მტრული განწყობილება, სამშობლოს სიძულვილი; **ანტიპატრიოტ-ი** — სამშობლოსადმი მტრულად განწყობილი, სამშობლოს მოძულე.

**ანტიპედაგოგიური**, ბერძ., მიზანშეწონილი აღზრდისა და სწავლების საწინააღმდეგო (იხ. ანტი და პედაგოგია).

**ანტიპერისტაზ-ი** (ბერძ. ანტიპერისტასის), ბუნების ორი ძალის ერთიმეორის საწინააღმდეგო მოქმედება, — წნევა და უკუწნევა.

**ანტიპერისტალტიკური** (ბერძ.) მოძრაობა, კუჭისა და ნაწლავების მოძრაობა ჩვეულებრივის საწინააღმდეგო მიმართულებით; **ანტიპერისტალტიკური საშუალებანი** — ანტიპერისტალტიკური მოძრაობის გამომწვევი საშუალებანი, ან პერისტალტიკის (იხ.) შემამცირებელი საშუალებანი კუჭ-ნაწლავების მილში (მედიცინაში).

**ანტიპირინ-ი** ბერძ., მედიცინაში: სიცხის დასაწევი და ტკივილის შესამსუბუქებელი წამალი; აქედან: **ანტიპირეტიკული საშუალებანი** — სიცხის შესამსუბუქებელი და სხვ. საშუალებანი (იხ. ანტი).

**ანტიპლატონური**, პლატონურის (იხ.) საწინააღმდეგო, მაგ.: **ანტიპლატონური სიყვარული** — არაპლატონური, ე. ი. ხორციელი სიყვარული (იხ. ანტი).

**ანტიპოდები** (მრავლ., ბერძ.: ერთმანეთისადმი ფეხებით მიმართული, — ფეხებ - შექცევით): 1) დედამიწის მოპირდაპირე მხარეთა მცხოვრებნი; 2) გადატან. მნიშვნ.: ურთიერთ საწინააღმდეგო ხასიათისა ან შეხედულების ადამიანები; ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული ადამიანები; აქედან: **ანტიპოდური** — მოპირდაპირე, ძალიან განსხვავებული.

**ანტიპორტიკ-ი**, ბერძ.-ლათ., ტაძრის ღია კარიბჭე, სვეტებით მორთული.

**ანტირევოლუციონერი**, ბერძ.-ფრ., რევოლუციის მოწინააღმდეგე (იხ. ანტი); აქედან: **ანტირევოლუციური** — რაც ეწინააღმდეგება რევოლუციას, რევოლუციის საწინააღმდეგო მიმართული.

**ანტირელიგიური**, ბერძ.-ლათ., რელიგიის (სარწმუნოების) წინააღმდეგ მიმართული, მაგ.: **ანტირელიგიური პროპაგანდა** — პროპაგანდა რელიგიის წინააღმდეგ; განსაზღვრული გეგმით ბრძოლა სარწმუნოებრივი (რელიგიური) მსოფლმხედველობის წინააღმდეგ: ასეთი ბრძოლა გულისხმობს, რომ სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა აღარ შეეფერება კაცობრიობის კულტურულ განვითარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს; ამიტომ რელიგია მავნებელია კაცობრიობის წინსვლისათვის.

**ანტირენტერები** (მრავლ., ბერძ.-ინგლ.: ანტირენტერს), პოლიტიკური პარტია ჩრდ. ამერიკაში (1830 წლებიდან), მსხვილი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ მებრძოლი.

**ანტიროიალისტ-ი**, ბერძ.-ფრ., მეფის მოწინააღმდეგე; მეფობის უარმყოფელი (იხ. როიალიზმი).

**ანტისანიტარია**, ბერძ.-ფრ., სანიტარიის მოთხოვნილებათა საწინააღმდეგო პირობები, ე. ი. ისეთი პირობები (უსუფთაობა, ცუდი ჰაერი და სხვ.), რომელნიც მავნებელნი არიან მცხოვრებთა ჯანსაღობისათვის; აქედან: **ანტისანიტარიული** — არასანიტარიული, ე. ი. ჯანსაღობისათვის მავნებელი (იხ. სანიტარია).

**ანტისემიტიზმ-ი**, ბერძ., მტრული განწყობილება ებრაელებისადმი, სიძულვილი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ მათი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვაში და ზოგჯერ მათ დევნა-აწიოკებაში; აქედან: **ანტისემიტ-ი** — ანტისემიტიზმის მიმდევარი, ებრაელთა მოძულე; **ანტისემიტური** — ებრაელთა სამტრო, — საწინააღმდეგო.

**ანტისეპტიკა** (მრავლ., ბერძ.): 1) ლპობა-ხრწნისა და მოწამვლის პირობების (ბაქტერიებისა და მათი სპორების) მოსპობა სხვადასხვა საშუალებებით (იოდოფორმით, მაღალი ტემპერატურით, სულემით და სხვ.); ანტისეპტიკა სასტიკად სრულდება ქირურგიული ოპერაციებისა, მშობიარობისა და სხვ. დროს; 2) ლპობა-ხრწნისა და მოწამვლის ამცილებელი საშუალებანი (ამ მეორე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე: **ანტისეპტიკური საშუალებანი**); 3) მოძღვრება

ანტისეპტიკურ საშუალებათა ხმარების შესახებ.

**ანტისოციალური**, ბერძ.-ლათ., საზოგადოებრივი ცხოვრების საწინააღმდეგო (იხ. ანტი და სოციალური).

**ანტიტოქსინ-ი** (ბერძ.-ლათ.: „შხამის საწინააღმდეგო" ნივთიერება), ასე ეწოდება იმ ნივთიერებას, რომელიც წარმოიქმნება სხეულში ტოქსინის (იხ.) შეშხაპუნებით და უვნებლად ხდის ტოქსინის მოქმედებას; ანტიტოქსინები გროვდება შრატებში.

**ანტიტრინიტარიები** (მრავლ., ბერძ.-ლათ.), მიმდევარნი იმ ქრისტიანული სექტებისა, რომელნიც უარჰყოფდენ მოძღვრებას ღვთის სამპიროვნობის შესახებ.

**ანტიური**, იხ. ანტიკური..

**ანტიფებრინ-ი** (ბერძ.-ლათ., ხელოვნ.), კრისტალური თეთრი ნივთიერება, წყალში ძნელადხსნადი და მწვავე გემოსი; იხმარება მკურნალობაში, როგორც სიცხის დამწევი და ტკივილის შემამსუბუქებელი საშუალება.

**ანტიფემინიზმ-ი**, ბერძ.-ლათ., ფემინიზმის, ე. ი. ქალის მამაკაცთან თანასწორუფლებიანობის საწინააღმდეგო მიმართულება (იხ. ანტი და ფემინიზმი); აქედან: **ანტიფემინისტ-ი** — ქალის თანასწორუფლებიანობის მოწინააღმდეგე.

**ანტიფლოგისტიკურ-ი** (ბერძ.) საშუალებანი, საშუალებანი ანთების წინააღმდეგ.

**ანტიფონ-ი**, ბერძ.: 1) ფიზიკაში: ბგერის შემშთობი ხელსაწყო; 2) შენაცვლებითი გალობა ორი დასისა ეკლესიაში; აქედან: **ანტიფონალ-ი** ან **ანტიფონარიუმ-ი** — კათოლიკურ ეკლესიებში: წიგნი, სადაც შეკრებილია ანტიფონები.

**ანტიქვა** (ლათ.: „ძველი. ძველებური"), ასე ეწოდება ლათინურ სწორ შრიფტს — კურსივთან (იხ.) და გოთურ შრიფტთან დაპირისპირებით.

**ანტიქვარი** ან **ანტიქვარიუს-ი**, ლათ.: 1) ძველ რომში: ვინც ძველებურ გამოთქმებს ხმარობდა საჯარო სიტყვებში; 2) აღორძინების ხანაში: მეცნიერი. რომელიც იკვლევდა ძველი საბერძნეთისა და რომის სიძველეებსა და ხელოვნებას; 3) ახლა: ძველებური ნივთებით (წიგნებით, ფულებით და სხვ.) მოვაჭრე; აქედან: **ანტიქვარული** — ძველებური მაგ. ანტიქვარული ვაჭრობა (წიგნებით და სხვა), **ანტიქვარიატ-ი** — ძველებური წიგნებით ვაჭრობა, — სავაჭრო.

**ანტიქთონები** (მრავლ., ბერძ.), იგივეა, რაც ანტიპოდები (იხ.).

**ანტიქლორ-ი**, ბერძ., ნივთიერება, რომელიც ეწინააღმდეგება ქლორის დამშლელ მოქმედებას ქაღალდისა და ქსოვილთა გათეთრების დროს.

**ანტიქრისტე** ან **ანტიქრისტ-ი**, ბერძ., საღვთო წერილით: ქრისტეს მოწინააღმდეგე, რომელიც უნდა გამოცხადდეს ქვეყნის დასასრულის (მეორედ მოსვლის) წინ ქრისტიანობასთან საბრძოლველად, მაგრამ დამარცხებულ იქნება ქრისტეს მიერ.

**ანტიქრონიზმ-ი**, ბერძ., შეცთომა დროის გამოანგარიშებაში.

**ანტიცენზურული**, ბერძ.-ლათ., საცენზურო წესების საწინააღმდეგო.

**ანტიციკლონ-ი**, ბერძ., მაღალი ატმოსფერული (იხ.) წნევის არე; ციკლონის საწინააღმდეგო (იხ. ციკლონი).

**ანტიციპაცია**, ლათ.: 1) საერთოდ: წინადასწრება, რაიმე მოვლენის დროზე ადრე დადგომა; 2) ფილოსოფიაში: წინასწარი შემეცნება, ე. ი. შემეცნება, დაფუძნებული მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობებზე, გამოცდილებისა და დაკვირვების გარეშე; 3) სავაჭრო სამართალში: ვადაზე ადრე გადახდა; 3) მედიცინაში: რაიმე ნიშნების გამოჩენა უფრო ადრე, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო (იხმარება სხვა დარგებშიაც).

**ანტიხთონები**, იხ. ანტიქთონები.

**ანტოლით-ი**, იხ. ანთოლითები.

**ანტოლოგია**, იხ. ანთოლოგია.

**ანტონიანები** (მრავლ.), ანტონ უნტერნეჰრერის მიერ (XIX საუკ. დასაწყ.) შვეიცარიაში დაარსებული სექტის მიმდევარნი, რომელნიც უარჰყოფდენ სახელმწიფოს, ეკლესიას და ოჯახს და ქადაგობდენ თავისუფალ სიყვარულს.

**ანტოქლორ-ი**, იხ. ანთოქლორი.

**ანტოციან-ი**, იხ. ანთოციანი.

**ანტრაკნოზ-ი**, იხ. ანთრაკნოზი.

**ანტრაკოზის-ი**, იხ. ანთრაკოზისი.

**ანტრაკოტერი**, იხ. ანთრაკოთერი.

**ანტრაკტ-ი**, იხ. ანტრაქტი.

**ანტრაქტ-ი** (ფრ. entr'acte): 1) სათეატრო წარმოდგენის (კონცერტის, ლექციის და სხვ.)

დროს შეწყვეტა-დასვენება მოქმედებასა და მოქმედებას (ან ნაწილსა და ნაწილს) შუა; 2) ასეთი შეწყვეტა-დასვენების დროს შესასრულებელი მუსიკალური პიესა.

**ანტრაშა** ან უკეთ **ანტრშა** (ფრ. entrechat), ცეკვის დროს ზევით ახტომა ფეხის ფეხზე სწრაფი მირტყმით.

**ანტრაციტ-ი**, იხ. ანთრაციტი.

**ანტრე** (ფრ. entrée): 1) შესავალი, წინაოთახი, წინა-დარბაზი შენობაში; 2) საზეიმო სადილის დროს პირველი თავი სუფის შემდეგ; 3) მუსიკაში: იგივეა, რაც პრელუდია (იხ.).

**ანტრეკოტ-ი** (ფრ. entre-côte), ძროხის (ან ხარის) ნეკნებ შუა ამოღებული და მოხრაკული ხორცის ნაჭერი.

**ანტრეპრენიორ-ი** ან უკეთ **ანტრეპრენერ-ი** (ფრ. entrepreneur): 1) საერთოდ: რაიმე საქმის კერძო წამომწყები-მოთავე; 2) განსაკუთრებით: სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების და სხვ. მომწყობი კერძო პირი; კერძო თეატრის შემნახავი ან იჯარადარი, მსახიობთა დასის დამქირავებელი და სხვ.

**ანტრეპრიზა** ან უკეთ **ანტრეპრიზ-ი** (ფრ. entreprise), ანტრეპრენერის საქმიანობა (იხ.).

**ანტრესოლ-ი** (ფრ. antresol), დაბალი სართული (ნახევარ-სართული), რომელიც მოქცეულია ორ ჩვეულებრივ სართულს შუა და ან იმყოფება ყველა სართულებზე ზევით.

**ანტროპო-**, იხ. ანთროპო-

**ანტრშა**, იხ. ანტრაშა.

**ანტურაჟ-ი** (ფრ. entourage), გარემო, გარემოძღებარეობა, გარემოპირობები; გარე-მოკავშულობა.

**ანუბის-ი**, ეგვიპტ., ძველ ეგვიპტელთა ღვთაება, ოზირისის შვილი, რომელსაც მიჰყავდა ხოლმე მიცვალებული საიქიოს ოზირისის სამსჯავროში; გამოხატავდენ ტურის-თავიანი კაცის სახით.

**ანურია**, ბერძ., შარდის დენის ავადმყოფური შემცირება ან შეწყვეტა (მედიცინაში).

**ანუს-ი**, ლათ., უკანა გასავალი; სწორი ნაწლავის გასავალი იმ ადგილას, სადაც ლორწოვანი გარსი გადადის კანში; ყითა ნაწლავი.

**ანფას-ი** (ფრ. en face), საგნის პირ-შეხედვითი გამოსახულება, მაგ. ადამიანის გამოსახვა მაყურებლისაკენ პირ-მიქცევით.

**ანფილადა** ან უკეთ **ანფილად-ი** (ფრ. enfilade): 1) ხუროთ-მოძღვრებაში: სწორ ხაზზე ჩამწკრივებული ოთახების რიგი შენობაში; 2) მტრის მიმართ სროლა მისი ფრონტის სიგრძივ (სამხედრო ხელოვნებაში).

**ანშეფ-ი** (ფრ. en chef), მთავარსარდლის და შემდეგ გენერლის წოდება რუსეთში (XVIII-საუკუნეში).

**ანშლაგ-ი**, გერმ., თვალსაჩინო ადგილზე გაშოკრული განცხადება, განსაკუთრებით, თეატრის, ცირკის და სხვ. ადმინისტრაციისა იმის შესახებ, რომ წარმოდგენა გადადებულია ან ამ წარმოდგენისათვის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

**ანშპუგ-ი**, ჰოლ., ხის კეტი, რომელსაც ხმარობენ ბერკეტად სხვადასხვა მძიმე საგნის ასაწევად, გადასაბრუნებლად, დასაძრავად და სხვ., მაგ. რკინის გზის სადგურებზე და სხვ.; წინეთ ხმარობდენ (რკინით შემოჭედილს) სამხედრო გემებზე.

**ანჩარ-ი** (antiaris), შხამიანი მცენარე თუთის ოჯახისა; იზრდება ინდოეთში.

**ანჩოუს-ი** ან **ანშოვის-ი** (ისპ. anchova), ქაშაყის ჯიშის პატარა ნაზი თევზი.

**ანცეპს-ი** (ლათ.: „ორთავეა", ორმაგი), ლექსთწყობაში: მარცვალი, რომელსაც შეუძლია იყოს გრძელიც და მოკლეც.

**ანჰიდრია**, ბერძ., უწყლობა, წყლის არქონა; აქედან: **ანჰიდრიდები** (მრავლ.) — უწყლო ორგანული მჟავეები; **ანჰიდრიტ-ი** — უწყლო გოგირდმჟავა ჟანგი; **ანჰიდროზის-ი** ან **ანიდროზის-ი** — ოფლის დენის შეწყვეტა სხვადასხვა ავადმყოფური პროცესების გამო.

**აორისტ-ი**, ბერძ., ნამყო დროის ერთ-ერთი ფორმა ზმნაში.

**აორტა**, ბერ.-ლათ., სისხლის მიმომქცევის დიდი წრის უმთავრესი არტერია (იხ.); აქედან: **აორტეურიზმა** — აორტის ავადმყოფური გაგანიერება; **აორტიტ-ი** ან **აორტიტის-ი** — აორტის ანთება.

**აპაგოგია**, ბერძ., მტკიცება, რომელიც ემყარება საწინააღმდეგო დებულების შეუძლებლობაზე; აქედან: **აპაგოგიური** მტკიცება.

**აპათია** (ბერძ. აპათეია), მოდუნებული სულიერი განწყობილება; ყოველგვარი მოვლენის

გულგრილად. უინტერესოდ, განურჩევლად განცდა.

აპანაჟ-ი (ლათ.-ფრ. apanage). განსაზღვრული სარჩო, რომელიც ეძლევა სამეფო გვარეულობის წევრს უძრავი ქონების შემოსავლიდან.

აპარატ-ი (ლათ. აპპარატუს): 1) ხელსაწყო, მოწყობილობა რაიმე სამუშაოს ან ცდის შესასრულებლად: 2) გადატ. მნიშვნ.: რაიმე დაწესებულებაში მმართველი ორგანოები; 3) კრიტიკული აპარატი — რაიმე სალიტერატურო ან საისტორიო ტექსტის მეცნიერულ გამოცემაში სათანადო შენიშვნები და მსჯელობანი; აქედან: აპარატურა — მაგ. ქიმიის აპარატურა — ქიმიური კვლევის (ან ცდების) დროს საჭირო აპარატები და სხვა.

აპარელ-ი (ფრ. აპპარეილ): 1) დამრეცი მისავალი შენობის ამაღლებული ნაწილისაკენ; 2) დამრეცი მიწაყრილი მძიმე ზარბაზნებისა და სხვ. მიწიდან ასაღებად.

აპარტამენტ-ი (ფრ. appartement), სახლის კაპიტალურად რამდენიმე ოთახის შემცველი ბინა: ზოგჯერ ეწოდება ერთ დიდ ოთახსაც.

„აპეკუნ"-ი (რუს. опекун), მზრუნველი, მეურვე; მაგ. ობლის და მისი ქონების მომვლელ-მეთვალყურე.

აპელაცია (ლათ. აპპელლაციო). უმაღლესი საფეხურის სასამართლოსადმი მიმართვა (შუამდგომლობა) — უფრო დაბალი საფეხურის სასამართლოს განაჩენის დარღვევის ან ხელახლა გარჩევის შესახებ.

აპელ-ი (ფრ. აპპელ: მოწოდება, ძახილი): 1) სამხედრო ხელოვნებაში: სიგნალი (იხ.) ცხენოსანთა რაზმის შესაკრებად; 2) ერთგვარი ხერხი ფარიკაობის სწავლების დროს.

აპენდიქს-ი (ლათ. appendix): 1) საერთოდ: დამატება. დანამატი; 2) ანატომიაში: ბრმა ნაწლავის დახამატი. ჭია-ნაწლავი; აქედან: აპენდიციტ-ი — აპენდიქსის ანთება.

აპეპსია, ბერძ.. საჭმლის მოუნელებლობა კუჭში; საჭმლის მონელების მოშლა; აქედან: აპეპტიკური — საჭმლის მოხელების უნარმოკლებული.

აპერაცია, იხ. ოპერაცია.

აპერიოდული (ბერძ.-გერძ.): პერიოდულის საწინააღმდეგო: აქედან: აპერიოდულობა — ფიზიკაში: დროის განსაზღვრულ ხანებში განუმეორებელი მოძრაობა.

აპერცეფცია, (ლათ.-ფრანგ. apperception): 1) ფსიქოლოგიაში:. შეგნებულად აღქმა ანუ წარმოდგენა რაიმე საგნისა; ეს ტერმინი პირველად შემოიღო ლაიბნიცმა; შემდეგ ეს ცნება ფსიქოლოგიაში განავითარა ჰერბარტმა (ახალი წარმოდგენების ურთი-ერთობა წარსულ წარმოდგენებთან — აპერცეფციულ მასებთან) და ვ. ვუნდტმა, რომელმაც აპერცეფციის ცნებაში შეიტანა ნებითი ელემენტი: ა. არის ელემენტარული ნებისყოფითი აქტი, რომლის სუბიექტური მხარე ხასიათდება ძალის ხმევის გრძნობებით, ხოლო ობიექტური მხარე — წარმოდგენების სიცხადის და გარკვეულობის ზრდით; 2) ხელოვნებაში: მხატვრული ნაწარმოების შინაგანი წვდომა.

აპეტიტ-ი (ლათ. აპპეტიტუს). მადა; ჭამის სურვილი; სურვილი რისიმე.

აპიკალური ან აპიკალი, ლათ., მწვერვალზე მდებარე. მაგ. სხეულის ნაწილის მწვერვალზე მდებარე.

აპიოლ-ი, ოხრახუშის თესლიდან ამოღებული ეთერი, რომელსაც ხმარობენ ხანგამოშვებითი ციების წინააღმდეგ.

აპირექსია, ბერძ. ხელოვნ., ასე ეწოდება იმ ხანს, როცა ხანგამოშვებით ციებიანს არ აციებს.

აპის-ი, ეგვ., ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში. ფერად შავი, ოთხკუთხი თეთრი ნიშნით შუბლზე. განსახიერება ოზირისისა; აპისის ჰოვნას ძველ ეგვიპტეში ზეიმობდნენ, ხოლო სიკვდილს გლოვობდნენ.

აპლიკატურ-ი (იტ. applicatur). თითების განწყობა და მომარჯვება რომელსამე სამუსიკო საკრავზე.

აპლოდისმენტ-ი (ფარნგ., applaudissment), ტაშის დაკვრა მოწონების აღსანიშნავად.

აპლომბ-ი, ფრ.: 1) საერთოდ: ვერტიკალური მდგომარეობა, გამართულად დგომა; 2) გადატ. მნიშვნ.: მოქმედებასა და ქცევაში დარწმუნებულობა და გაბედულობა; ნათქვამის ხაზგასმა.

აპნოე, ბერძ., სუნთქვითი მოძრაობის სრული შეწყვეტა ან არქონა, მაგ. აპნოე აქვს ჩანასახს (ფიზიოლოგიაში).

**აპოგამია**, ბერძ., გამრავლება სქესობრივი აქტის გარეშე (ბოტანიკაში).

**აპოგეი-ი**, ბერძ.: 1) ასტრონომიაში: მთვარისა და მზის ორბიტების (იხ.) მიწისაგან ყველაზე უფრო დაშორებული წერტილები; 2) გადატ. მნიშვნ.: რაიმე მდგომარეობის უმაღლესი წერტილი.

**აპოდიქს-ი**, ბერძ., დამტკიცება, რომლის უარყოფა შეუძლებელია (ლოღიკაში); აქედან: **აპოდიქტური** — უთუოდ სარწმუნო, — უეჭვო: **აპოდიქტური მსჯელობა** — სადაც კავშირი სუბიექტსა და პრედიკატს შორის იაზრება, როგორც აუცილებელი (შეად. ასერტორული და პრობლემატური მსჯელობა ლოგიკაში).

**აპოთემა**, ბერძ., გეომეტრიაში: 1) წესიერი მრავალკუთხის ცენტრიდან ერთერთ მის გვერდზე დაშვებული პერპენდიკულარი; 2) წესიერი პირამიდის მწვერვალიდან მისი ფუძის წიბოზე დაშვებული პერპენდიკულარი.

**აპოთეოზ-ი** (ბერძ. აპოთეოსის): 1) გაღმერთება გმირებისა (ძვ. საბერძნეთში) და მეფეების (რომში) ღმერთებად შერაცხვა; 2) თეატრ.: პიესის ძირითადი იდეის გამომხატველი სურათი პიესის დასასრულს; 3) სახელოვან პირთა წარმოდგენა ცოცხალ სურათებში სიდიადის შარავანდით.

**აპოკალიპსის-ი**, ბერძ., გამოცხადება, სღვთო წერილის უკანასკნელი წიგნი — „იოანე ღვთის მეტყველის გამოცხადება", რომელშიც ნაწინასწარმეტყველებია ქრისტეს მოსვლა, რასაც წინ უნდა უძღოდეს მრავალი უბედურება და ანტიქრისტეს (იხ.) მოსვლა.

**აპოკატასთაზის-ი**, ბერძ., პირველ მდგომარეობაში დაბრუნება; მოძღვრება, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ყველა საგნები დაუბრუნდება პირველყოფილ სისრულესა და უმანკოებას.

**აპოკოპე**, ბერძ., სიტყვის ბოლოში ბგერის (ან ბგერების) დაკარგვა (გრამატიკაში).

**აპოკრიფები**, ბერძ. მრავალ., რელიგიური შინაარსის წიგნები და მოთხრობები, ძველი და ახალი აღთქმიდან, რომელთაც მართმადიდებელი ეკლესია არ სცნობს კანონიკურ წიგნებად: მათი ავტორები უცნობია; აქედან: **აპოკრიფული** — აპოკრიფების ხასიათის მქონე; აგრეთვე: საეჭვო, არანამდვილი.

**აპოკრითები**, იხ. აპოკრიფები.

**აპოლიტიზმ-ი**, ბერძ., პოლიტიკის გარეშე ყოფნა; პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უარყოფა; აქედან: **აპოლიტიკური** — მაგ. პიროვნება: პოლიტიკის გარეშე მყოფი პიროვნება, ე. ი. რომელსაც არ აინტერესებს პოლიტიკა ან არა აქვს გახსაზღვრული პოლიტიკური რწმენა.

**აპოლოგეტიკა**, ბერძ., ღვთისმეტყველების დარგი, რომელიც ემსახურება ქრისტიანული მოძღვრების დაცვას მოწინააღმდეგეთაგან.

**აპოლოგ-ი**, ბერძ., ლიტერატურული ნაწარმოების ერთი გვარი, რომლის მიზანია ზნეობრივი დარიგება, შინაარსით — ცხოველთა ცხოვრებიდან.

**აპოლოგია**, ბერძ.: 1) საერთოდ: ზეპირი ან წერილობითი დაცვა ვისიმე ან რისიმე; 2) კერძოდ: ქრისტიანობის დაცვა.

**აპოლოგეტ-ი**, ბერძ.: 1) ვისიმე აზრის ან მოძღვრების დამცველი: 2) ქრისტიანობის წერილობითი დამცველი, აპოლოგიის ავტორი.

**აპოლოგისტ-ი**, იხ. აპოლოგეტ-ი.

**აპოლონ-ი** (ბერძ. აპოლლონ), ბერძნულ მითოლოგიაში: ძევსისა და ლატონის შვილი, ღმერთი მზისა, სინათლისა, მეცნიერებისა და საერთოდ ხელოვნებისა და სიბრძნის. იგი დაჯილდოვებული იყო წინასწარმეტყველების უნარით და სილამაზით: მუსიკისა და პოეზიის გამომგონებელი. მისი ტაძარი იყო დელფში.

**აპოლონ ბელვედერელი** ანუ **ბელვედერისა**: 1) ძველი დროის შესანიშნავი ქანდაკება აპოლონისა (ვატიკანში), რომელიც გვიჩვენებს აპოლონს მომქმედსა და გამარჯვებულს: შესანიშნავია, როგორც ძველი დროის ქანდაკების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში.

**აპოლონური დასაწყისი**—გერმანელი ფილოსოფოსის ნიცშეს შემდეგ ხმარებაშია ფორმის, ზომიერების და დასრულებულობის აღსანიშნავად—წინააღმდეგ დიონისური დასაწყისისა (იხ.).

**აპოლოლია**, იხ. აპოლოგია.

**აპონევროზ-ი**, ბერძ., ანატომიაში: შემაერთებელი ქსოვილის აპკი, რომელიც გადაფარებული აქვს კუნთებს და ამ უკანასკნელებს ამაგრებს ძვლებზე.

**აპოპლექსია**, ბერძ., დამბლა: წვეთის დაცემა: ტვინის მუშაობის შეჩერება ტვინის ქსოვილ-

ში სისხლის ჩანთხევის ან სხვა რაიმე დაზიანების გამო (მედიცინაში); აქედან: აპოპლექს-ი — ბერძ., წვეთ-დაცემული; დამბლა-დაცემული.

აპორემა, ბერძ.. სადაო საკითხი; — იჭვი; სიძნელე.

აპოსპორია, ბერძ., ხელოვნ., უსპორებოდ განვითარება (ბოტანიკაში).

აპოსტაზია, ბერძ., სარწმუნოებიდან განდგომა; აქედან: აპოსტატ-ი — სარწმუნოებიდან განდგომილი; იმპერატორ იულიანე განდგომილის სახელწოდება.

აპოსტერიორი (à posteriori): 1) არისტოტელის გაგებით: დასკვნა შედეგიდან მიზეზისაკენ—წინააღმდეგ აპრიორულისა (იხ.); 2) კანტმა სხვა მნიშვნელობა მისცა ამ ცნებას: ის, რაც ცდისაგან გამოიყვანება და არ ატარებს საყოველთაო-სავალდებულო ხასიათს; აქედან: აპოსტერიორული, მაგ. — დასკვნა

აპოსტროფა, ბერძ., ორატორთა ხერხი: მიმართვა უსულო საგნებისადმი, როგორც სულიერისადმი, ან არდამსწრესადმი, როგორც დამსწრესადმი.

აპოსტროფ-ი, ბერძ., ნიშანი, რომელიც ისმება სიტყვაში გამოტოვებული ასოს მაგივრად (მაგ.: ეანნა დ'არკ; l'homme).

აპოტომ-ი, ბერძ., მუსიკ.: ინტერვალი მთელ ტონსა და მომდევნო ნახევარ ტონს შუა.

აპოჯიატურა (იტ. appoggiatura), შემმკობი წვრილი ნოტები (მუსიკაში).

აპრაქსია, ბერძ. ხელოვნ., ავადმყოფური მოვლენა, როცა ავადმყოფს ეკარგება უნარი მისთვის ჩვეულ მოძრაობათა, მაგ., კერვისა, ქსოვისა, რეცხვისა და სხვა სქმიანობისათვის საჭირო მოძრაობათა.

აპრეტურა (ფრ. ხელოვნ. apprêter-საგან): 1) ქსოვილის საბოლოო ვამზადება; 2) ფეხსაცმლის გასაპრიალებელი წამალი.

აპრიორ-ი (à priori), ფილოსოფიაში: არისტოტელის გაგებით: დასკვნა მიზეზიდან შედეგისაკენ. ახალ ფილოსოფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა კანტმა: საყოველთაო სავალდებულო და ცდისაგან დამოუკიდებელი — წინააღმდეგ à posteriori-სა. აქედან: აპრიორული — ცდისაგან დამოუკიდებელი; ცდის უწინარესი, მაგ. აპრიორული მეთოდი — რაიმე ჭეშმარიტების დასაბუთება ცდისაგან დამოუკიდებელი დებულებებიდან დედუქციურად გამოყვანის გზით.

აპრობაცია (ფრ. approbation), მოწონება, დადასტურება.

აპროპრიაცია (ლათ. appropriatio), მითვისება, განსაკუთრებით, უძრავი ქონებისა.

აპტერები, მრავლ. ბერძ., ზოოლოგიაში: უფრთო მწერები.

აპტერიქს-ი, ბერძ., ფრინველთა ჯიში, რომელნიც ფრთების განუვითარებლობის გამო ვერ ფრინავენ, — ცხოვრობენ ახალ-ზელანდიაში.

აჟიოკონტ-ი, იტ., თამასუქების, ფულის და სარგებლიანი ქაღალდების გაცვლის დროს მოგება-ზარალის ანგარიში (კომერციაში).

აჟიოლაჟ-ი, იტ., სარგებლიანი ქაღალდების ან ერთი გვარის ფასიანი ქაღალდების მეორე გვარზე გადახურდავების დროს გადასდილითანხა (კომერციაში).

აჟიოტაჟ-ი, იტ.-ფრ., საბირჟო კომბინაციები; ფასიანი ქაღალდებისა და ქაღალდის კურსის რყევის ხელოვნურად გამოწვევა და მით სპეკულაცია.

აჟიოტერ-ი (იტ.-ფრ. agioteur), ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებითა და ქაღალდის ფულებით მოვაჭრე.

აჟიტატორ-ი (ფრ. agitateur), მღელვარების გამომწვევი; რაიმე აზრის გავრცელების ხელშემწყობი.

აჟიტაცია (ფრ. agitation), მღელვარება.

აჟურ-ი, აჟურული (ფრ. à jour): 1) საერთოდ: ბადისებრ გამჭვირვალე, მაგ. რაიმე ქსოვილი; ჭვირული; 2) საიუველირო საქმეში: ძვირფასი ქვის უქვეშსადებო სამოსი.

„არა", ასე ეწოდება ამერიკულ საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც დახმარებას უწევდა ომით დაზარალებულთ ევროპაში და დამშეულთ საბჭოთა რუსეთში („არა" წარმოადგენს ამ ორგანიზაციის სახელწოდების პირველ ასოებს).

არაბები (მრავლ.), სემიტური წარმოშობის ხალხი, რომელსაც ისტორია იცნობს უძველესი დროიდან; მათ პირველ სამშობლოდ ითვლება

არაბეთი. საიდანაც შემდეგ გავრცელდენ წინა აზიასა და ჩრდილო აფრიკაში.

**არაბესკები** (მრავლ. იტ.). ორნამენტი (იხ.) ხუროთმოძღვრებაში და მხატვრობაში; შეხამება ფოთლების, ყვავილების, ცხოველების და იარაღის, ხშირად — ადამიანების და ფანტაზიით შექმნილი ფიგურების; შემოიღეს აღორძინების ხანაში არაბების ორნამენტის მიბაძვით.

**არაბიზმები**, მრავლ., სხვა ენაში შესული არაბული ენის თავისებურობანი.

**არაბისტ-ი**, არაბული ენის მცოდნე მკვლევარი.

**არაბიტ-ები** (მრავლ.). ქრისტიანული სექტა არაბეთში (III საუკ.), რომელიც ასწავლიდა, რომ ადამიანის სული სხეულთან ერთად იბადება და კვდება, ხოლო მეორედ მოსვლის დროს სხეულთან ერთადვე სულიც გაცოცხლდებაო.

**არაბული ენა**, სემიტურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი, ყველაზე მეტად გავრცელებული შტო; ამასთანავე იგი ყველაზე მდიდარია როგორც ბგერითი შემადგენლობით, ისე ფორმებითა და ლექსიკით; არაბული ენა იყოფა მრავალ კილოებად; სალიტერატურო ენად ყველა არაბთათვის მიჩნეულია ძველი არაბული, რომელიც გრამატიკულად ჩამოყალიბდა 8 საუკუნის გასულს ქრისტეს შემდეგ.

**არაბული ლიტერატურა** — არაბთა მწერლობა, რომელსაც საფუძვლად დაედო ჯერ კიდევ მაჰმადამდე ფართოდ განვითარებული პოეზია. — ყოველმხრივი ზრდა განიცადა ყურანის დაწერის შემდეგ, განსაკუთრებით, აბასიდების დროს არაბეთში და იმავე დროს ისპანიაში კორდოვის დაცემამდე (1236 წ.), ხოლო შემდეგ აზიისა და აფრიკის სამფლობელოებში. არაბული ლიტერატურა შეიცავს ნაწარმოებებს ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან და აგრეთვე სიტყვაკაზმული მწერლობიდან.

**არაბული ფილოსოფია** — განვითარდა არისტოტელის მოძღვრებიდან, რომლის თხზულებებიც ყველაზე ადრე იყო გადათარგმნილი არაბულ ენაზე (სირიული თარგმნებიდან). არაბთა ცნობილი ფილოსოფოსები თვით უკეთებდენ კომენტარიებს არისტოტელის თხზულებებს და ავითარებდენ მის მოძღვრებას. არისტოტელის თხზულებები მათ მიერ გაკეთებული კომენტარიებით გადმოვიდა დასავლეთში.

**არაბული ციფრები** — დღეს ხმარებული არაბულ-ინდური წარმოშობის რიცხვთა აღმნიშვნელი ნიშნები: 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9.

**არამეული ენა** — სემიტური წარმოშობის ხალხის, არამიელთა, ენა: დასავლურ-არამეულ ენაზე დაწერილია ძველი აღთქმის ზოგიერთი ადგილები, ხოლო ჩრდილო-არამეულზე — ბიბლიის თარგმანები და დიდი ქრისტიანული ლიტერატურა.

**არამიელები** (მრავლ.). სემიტური წარმოშობის ხალხი, რომელიც უძველეს დროს ქრისტემდე გავრცელდა არაბეთიდან სირიასა და მესოპოტამიაში.

**არაქნიდები**, მრავლ. ბერძ., ობობასებური აგებულების ცხოველები, რომელთაც უჭირავსთ საშუალო ადგილი მწერებისა და კიბოსებრ ცხოველებს შორის, როგორც, მაგ. მორიელი და სხ.

**არაქნოლითები**, ბერძ. მრავლ., გაქვავებული ობობასებრი ცხოველები.

**არაქნოლოგ-ი**, ბერძ., მეცნიერი ნატურალისტი, რომელიც იკვლევს ობობებს.

**არაქნოლოგია**, ბერძ., ობობათ-მეტყველება, მოძღვრება ობობებისა და მათი მსგავსი მწერების შესახებ.

**არბიტრაჟ-ი**, ლათ.-ფრ.: 1) შეფასება მედიატორული წესით; 2) მედიატორეთა სამართალი; 3) ამა თუ იმ სავაჭრო საქმეში ხელსაყრელობის შედარებითი შეფასება.

**არბიტრ-ი**, ლათ., მედიატორი; რომის სამართალში: მსაჯული-შუამავალი.

**არგო**: 1) ბერძ. — არგონავტების ხომალდის სახელი; აქედან: სამხრეთის ცის ერთი-ერთი უდიდესი ვარსკვლავედი; 2) ფრანგ. argot — საიდუმლო შეთანხმებითი ენა (მეტყველება), მაგ. ქურდებისა და სხვ.

**არგონავტები**, მრავლ. ბერძ., ძველი ბერძნული მითოლოგიით: გმირები, რომელნიც ხომალდი არგოთი იაზონის მეთაურობით წამოვიდენ კოლხიდას ოქროს ვერძის საძებრად.

**არგუმენტაცია**, ლათ., დასაბუთება; საბუთების წამოყენება ამა თუ იმ აზრის დასამტკიცებლად; მტკიცება.

**არგუმენტ-ი**, ლათ., საბუთი ამა თუ იმ დებულების სასარგებლოდ; მათემატიკაში: დამოუკიდებელი ცვლადი.

**არგუს-ი**, ბერძ.-ლათ.: 1) ძველი სახელწოდება ვარსკვლავიანი ცისა; 2) ბერძენთა მითოლოგიაში: ასთვალა ბუმბერაზი, რომელიც მიჩენილი ჰყავდა მცველად იოს; ჰერმესმა მოკლა იგი, ჰაერმა კი აქცია ფარშავანგად; 3) გადატ. მნიშვ.: ფხიზელი დარაჯი. აქედან: **არგუსის თვალები** — მარად ფხიზელი თვალები.

**არეალ-ი**, ლათ. ხელოვნ., რაიმე მცენარისა ან ცხოველის ბუნებრივი (ადამიანის დაუხმარებლივ) გავრცელების არე.

**არეთოლოგია**, ბერძ., მოძღვრება სათნოების შესახებ (ეთიკის დარგია.)

**არენა**, ლათ., ასპარეზი: მოედანი: რომის ამფითეატრის შუა ადგილი. სადაც წარმოებდა გლადიატორებისა და მხეცების ბრძოლა.

**არენდა** ან **არენდ-ი** (საშ. საუკ. ლათ. arenda). იჯარა: მამულის დაქირავება განსაზღვრული ვადით — მისი შემოსავლის სარგებლობის უფლებით: იჯარით აღებული მამულის შემოსავალი; აქედან: **არენდატორ-ი**, მოიჯარადრე: მამულის არენდით ამღები.

**არეოგრაფია**, ბერძ. ხელოვნ., პლანეტი მარსის (ე. ი. არესის) ზედაპირის აღწერა.

**არეოლა**, ლათ., ნათელი პატარა წრე; მოწითლო ადგილი ძუძუს გარშემო; ნათელი წრე მთვარის გარშემო.

**არეომეტრ-ი**, ბერძ., სითხის საზომი ინსტრუმენტი. რომლითაც არკვევენ ამა თუ იმ სითხის სიმკვრივეს (იხმარება ფიზიკაში).

**არეოპაგ-ი**, ბერძ., უზენაესი სამსჯავრო დაწესებულება ძველს ათენში, რომელიც თავდაპირველად პოლიტიკური უფლებებითაც იყო აღჭურვილი.

**არესტანტ-ი**, ფრ., პატიმარი; ტუსაღი.

**არესტ-ი**, ლათ., სასჯელის ერთ-ერთი ფორმა თავისუფლების აღკვეთის სახით, დაპატიმრება; მამულის გაყიდვის ან მისით სარგებლობის აღკრძალვა.

**არეს-ი**, ბერძ., ომის ღმერთი, ძე ძევსისა და ჰერასი (იგივეა, რაც მარსი, იხ.).

**ართრონ-ი**, ბერძ.: 1) გრამატიკაში: არტიკლი ანუ წილაკი — ასე ეწოდება დამხმარე სიტყვას, რომელიც ზოგიერთ ენაში გვიჩვენებს არსებითი სახელის სქესსა და რიცხვს: ასეთია, მაგ. გერმ. der die das (განსაზღვრული ართრონი) და ein eine ein (განუსაზღვრ.); 2) ანატომიაში: სახსარი: წევრი; აქედან: **ართრალგია**, ბერძ. ხელოვნ. სახსრების ტკივილი, რომელიც არა ჩანს ქსოვილთა ცვლილებებში; **ართრიტი** — სახსრების დაავადება სხვადასხვა მიზეზების გამო; **ართრიტიზმ-ი** — ადამიანის სხეულის მემკვიდრეობითი მიდრეკილება სახსრების დაავადებისადმი; **ართრიტიკ-ი** — ართრიტიზმით შეპყრობილი; **ართროლოგია** — ანატომიის ერთი დარგი, რომელიც ეხება სახსრების აღწერას; **ართროპლასტიკა** — ქირურგიული ოპერაცია სახსართა ძრაობის აღდგენის მიზნით.

**არ-ი** ლათ.-ფრანგ., ზედაპირის საზომი მეტრული სისტემით: უდრის დაახლ. 22 კვ. საჟენს; 100 არი უდრის 1 ჰექტარს.

**არია**, იტ., ვოკალური ნაწარმოები, რომელიც იმღერება ერთი ხმით ორკესტრის თანხლებით; ხშირად წარმოადგენს ოპერის ნაწილს.

**არიადნე**, ძვ. საბერძნეთის მითოლოგიაში: კრიტოსის მეფის. მინოსის, ასული, რომელიც დაეხმარა თეზევსს ლაბირინთიდან თავის დაღწევაში: არიადნემ მისცა მას ძაფის გორგალი, რომლითაც თეზევსმა აღნიშნა გამოსავალი გზა; აქედან: **არიადნეს ძაფი** — გადატან. მნიშვნ: რაიმე აზრი ანუ სახელმძღვანელო იდეა, რომელსაც გამოვყავართ რთული მდგომარეობიდან.

**არიანიზმ-ი** — არიუსის (4 საუკ.) მოძღვრება: უარჰყოფდა ქრისტეს ღვთაებრიობას და სთვლიდა მას მხოლოდ ადამიანური ბუნების მქონედ; უარჰყოფდა აგრეთვე სამების პირველისა და მეორე პირის თანასწორობას; აქედან: **არიანელი** — არიანიზმის მიმდევარი.

**არიანობა**, იხ. არიანიზმი.

**არიელები**, სანსკრ., ხალხის სახელწოდება: 1) წინეთ იხმარებოდა ინდოევროპიელების აღსანიშნავად; 2) დღეს აღნიშნავს ინდო-ირანელებს (იხ.).

**არიერგარდ-ი** (ფრ. arrièregarde). ლაშქრის უკანა ნაწილი.

**არიეტა** (იტ. არიეტტა), პატარა არია (იხ.).

**არითმეტიკა**, ბერძ., მათემატიკის ერთ-ერთი ნაწილი: მეცნიერება ციფრებით გამოხატული რიცხვებისა და მათი გამოანგარიშების წესების შესახებ; აქედან: **არითმეტიკოსი** — არითმეტიკის მცოდნე; **არითმეტიკული პროგრესია** — რიცხვთა რიგი, სადაც ყოველი მომდევნო წევრი განსხვავდება წინა წევრისაგან ერთიდაიმავე რიცხვით, მაგ.: 1, 3, 5, 7.

**არითმია**, ბერძ., ხელოვნ., გულის წესიერი მოქმედების დარღვევა.

**არითმომეტრ-ი**, ბერძ., არითმეტიკული მოქმედებათა მწარმოებელი მანქანა.

**არილ-ი**: 1) დასასვენებელნი სიწმიდეთანი (საბა ორბ.); 2) პროფ. ივ. ჯავახიშვილის 25 წლის სამეცნ. მოღვაწეობის (1900 — 1925) აღსანიშნავად დაბეჭდილი მეცნიერულ გამოკვლევათა კრებულის სახელწოდება (ტფ. 1925 წ.).

**არიმან-ი**, ანუ უკეთ აჰრიმან-ი, იხ. ანგრომაინიუ.

**არიოზო**, იტ., პატარა სიმღერა ერთი ხმისათვის, მაგ. ოპერაში.

**არისტარქოს-ი**: 1) სამოსიდან: საბერძნეთის ასტრონომი, ცხოვრობდა IV-III ს. ქ. წ., აღიარებდა მიწის მოძრაობას მზის გარშემო და მიწის ტრიალს თავის ღერძის გარშემო; 2) სამოთრაკელი: დაახლოვ. III ს. ქ. წ., საბერძნეთის გამოჩენილი გრამატიკოსი ალექსანდრიაში, საბერძნეთის პოეტების კომენტატორი და კრიტიკოსი; მან აღადგინა და ჩამოაყალიბა ჰომეროსის ტექსტი; აქედან: გადატ. მნიშვ.: ხელოვნების მკაცრი კრიტიკოსი.

**არისტარხოსი-ი**, იხ. არისტარქოსი.

**არისტიდე** (ბერძ. არისტეიდეს): ძველი ათინის სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე (6—5 საუკ. ქ. წ.), რომელსაც ზედმეტ სახელად სამართლიანი უწოდეს; მას სთვლიდენ პატიოსანი სახელმწიფო მოღვაწის ნიმუშად.

**არისტოკრატია**, ბერძ.: 1) საუკეთესოთა მმართველობა, კეთილ-შობილთა მმართველობა; 2) კეთილ-შობილობა; მემკვიდრეობითი კეთილ-შობილობა; სულიერი კეთილ-შობილობა; აქედან: **არისტოკრატ-ი** — ასეთი მართვა-გამგეობის მომხრე; **არისტოკრატული** — კეთილშობილური, **არისტოკრატიზმ-ი**, — არისტოკრატელი წესწყობილების მომხრეობა; **არისტოკრატული რესპუბლიკა** — რესპუბლიკა, სადაც მართვა-გამგეობა ეკუთვნის არისტოკრატებს (საწინააღმდეგოა დემოკრატიული რესპუბლიკა, იხ.).

**არისტოტელ-ი** (ბერძ. არისტოტელეს), საბერძნეთის სახელოვანი ფილოსოფოსი და მეცნიერი, დაიბადა მაკედონიის ქალაქ სტაგირაში 384 — 322 წ. ქ. წ., პლატონის მოწაფე და ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი; დააარსა ახალი ფილოსოფიური სკოლა პერიპატეტიკოსებისა, საფუძველი ჩაუყარა მრავალ მეცნიერებას; მის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით ცნობილია: მეტაფიზიკა, ნაშრომები ლოგიკისა, ეთიკისა, ფსიქოლოგიისა, პოლიტიკისა, პედაგოგიკისა, ბუნების-მეტყველებისა და სხვ. შესახებ; აქედან: **არისტოტელიკ-ი** — არისტოტელის მოძღვრების მიმდევარი; პერიპატეტიკოსი; **არისტოტელის ფილოსოფია** — მოძღვრება ფილოსოფოს არისტოტელისა; ეს მოძღვრება განვითარდა პლატონის მოძღვრებიდან: არისტოტელი ცდილობდა დაეძლია პლატონური მოძღვრების დუალიზმი და კავშირში მოეყვანა იგი ცდისეულ ცოდნასთან და ემპირიულ რეალიზმთან. **არისტოტელისტ-ი** — არისტოტელის ფილოსოფიის მიმდევარი, იხ. არისტოტელიკი.

**არისტოფანე** (ბერძ. არისტოფანეს), ძველი საბერძნეთის მწერალი, ცნობილი თავისი კომედიებით.

**არიული ენები**: 1) გასულ საუკუნეში ასე ეძახდენ ინდო-ევროპულ ენებს; 2) თანამედროვე ენათ-მეცნიერებაში არიული ენები იგივეა, რაც ინდო-ირანული (იხ. არიელები).

**არკა**, ლათ., ხუროთმოძღვრებაში: თაღი: აქედან: **არკადა** — თანასწორი სიდიდის თაღების რიგი.

**არკადია**, ბერძ.: 1) ძველი სამხრეთ-საბერძნეთის ერთი ნაწილი, რომლის მცხოვრებნიც განირჩეოდენ ზნე-ჩვეულების უბრალოობით და გულ-უბრყვილობით: 2) გადატ. მნიშვნ.: წყნარი, ბედნიერი ცხოვრება და ადგილი, სადაც ამ რიგად ცხოვრობენ.

**არკან-ი**, თურქ., გრძელი თოკი, რომლითაც იჭერენ გარეულ ცხენებს და სხვ.; საგდებელი თოკი, ქამანდა.

**არკებუზა** (ძვ. ფრანგ. arquebuse), ძველებური თოფი (პატრუქიანი), რომელსაც ხმარობდენ XV-XVI საუკ.

**არკტიული,** იხ. არქტიკული.

**არლეკინ-ი** (იტ. arlechino): 1) იტალიურ ხალხურ კომედიაში მოქმედი კომიკი, ხუმარა, რომელსაც ჭრელი ტანისამოსი აცვია და ხალხის სასეიროთ თამაშობს; 2) გადატან. მნიშვნ.: ხუმარა, ტაკი-მასხარა; აქედან: **არლეკინადა** — პატარა მხიარული პიესა, რომლის მთავარი მოქმედი პირიც არლეკინია; საერთოდ: მასხარაობა.

**არმადა,** ისპან.: 1) საერთოდ: დიდი სამხედრო ძალები; კერძ.: სამხედრო ფლოტი; 2) **უძლეველი არმადა** — ისპანიის მეფის, ფილიპე II-ს. დიდი სამხედრო ფლოტი, რომელიც მან 1588 წ. გაგზავნა ინგლისის წინააღმდეგ და რომელიც მოსპეს — ნაწილი ინგლისელებმა, ხოლო ნაწილი დაამსხვრია ქარიშხალმა.

**არმაზ-ი** (ძვ. სპარს.): 1) ციხე არმაზის ხევში, მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; 2) სახელწოდება კერპისა, რომელიც გადმოცემის თანახმად იდგა აქვე და რომელიც დაამხო წმ. ნინომ.

**არმატოლები,** ბერძ. მრავლ., ბერძნებისაგან შემდგარი მილიცია, რომელიც შექმნეს ოსმალებმა კლეფტების (ავაზაკების) წინააღმდეგ, ხოლო ბერძნების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს გადაჭრით დადგენ ბერძნების მხარეზე (იხ. კლეფტები).

**არმატორ-ი,** ლათ.-ფრანგ.: 1) პირი, რომელიც ომის დროს თავისი ხარჯით შეაიარაღებს გემს მოპირდაპირეთა სავაჭრო გემების ხელში ჩასაგდებად; 2) სავაჭრო გემის პატრონი.

**არმატურა,** ლათ.: 1) საერთოდ: მოკაზმულობა, მორთულობა, მოწყობილობა; 2) კერძოდ: მაგ. სამხედრო მოწყობილობა, სამოსელი, შეიარაღება და სხვა; ელექტრო-ტექნიკაში: ელექტრო-განათებისათვის საჭირო მოკაზმულობა, მაგ. როზეტები, ამომრთველები, ლამპები და სხვ.; იხმარება აგრეთვე სხვა დარგებშიაც.

**არმენია,** უძველესი სახელწოდება სომხეთისა; აქედან: **არმენისტ-ი** — სომეხთა ისტორიის და მწიგნობრობის მცოდნე-მკვლევარი; **არმენოლოგ-ი** — სომეხთა ენის, მწიგნობრობის და წარსული ყოფა-ცხოვრების მკვლევარი; **არმენოფილ-ი** — სომეხთა მომხრე - მოყვარული; **არმენოფობ-ი** — სომეხთა მოძულე.

**არმია** (ფრ. armée): სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, უმთავრესად სახმელეთო; 2) ჯარის ნაწილი, რომელიც ცალკე მოქმედობს ცალკე უფროსის ხელმძღვანელობით.

**არნაუტები,** მრავლ., ასე უწოდებენ ოსმალოები ალბანელებს.

**არომატ-ი,** ბერძ.-ფრ.: 1) კეთილსურნელება; 2) სასიამოვნო სუნის ნივთიერება; აქედან: **არომატული** — კეთილსურნელოვანი.

**არპან-ი** (ფრ. arpent), მიწის საზომი ძველად საფრანგეთში; შემოღებული იყო აგრეთვე ბელგიაში და შვეიცარიაში. მეტრული სისტემის შემოღების შემდეგ არპანის მაგიერ მიღებულია ჰექტარი (იხ.).

**არსაკიდები,** მრავლ., პართელების დინასტია, რომელიც დაიწყო არსაკ I-საგან ქ. წ. III საუკუნიდან.

**არსენალ-ი,** ფრ., შენობა, სადაც მზადდება და ინახება სამხედრო იარაღები.

**არსენიკ-ი** (ბერძ. არსენიკონ), დარიშხანა; აქედან: **არსენიდები** (მრავლ.), დარიშხანის შენაერთები ლითონებთან; **არსენიატები,** დარიშხნის სიმჟავისაგან მიღებული მარილები.

**არტეზიული ჭა,** ფრ., ბურღით ამოთხრილი ხელოვნური ჭა-შადრევანი; პირველი ასეთი ჭა ამოთხარეს საფრანგეთში არტუას ოლქში; აქედან წარმოდგა მისი სახელწოდება.

**არტელ-ი,** თათ.-რუს., ერთისა და იმავე ხელობის მუშებისა და ხელოსნების საზოგადოება, საერთო საქმის ან მეურნეობის საწარმოებლად შემდგარი; წევრები იღებენ მონაწილეობას ფულით და შრომით; ნადი.

**არტემიდ-ი** (ბერძ. არტემის), ძვ. ბერძნული სახელწოდება ნადირობის მფარველის ქალღმერთისა; უდრის რომაელთა დიანას (იხ.).

**არტერიები,** მრავლ. ბერძ. (მხოლ. არტერია), სისხლის ძარღვი, რომელსაც მიაქვს გაწმენდილი, ჟანგბადიანი სისხლი გულიდან სხეულის ყველა უჯრედებთან. აქედან: **არტერიოგრაფია** — არტერიების აღწერა; **არტერიოლოგია** — არტერიების შესწავლა, არტერიათმცოდნეობა.

**არტერიოსკლეროზ-ი** (ბერძ. სკლეროზის), არტერიების შიგნითა გარსის ქრონიკული ანთება, რომელიც იწვევს გარსის ალაგ-ალაგ გასქელებას და შემდეგ მისი ქსოვილის სრულს გადაგვარებას.

**არტიკლ-ი**, ლათ.-ფრ. (article), იგივეა, რაც ართრონი (გრამატიკაში).

**არტეფაქტ-ი**, ლათ. ხელოვნ., პათოლოგიური ან ბიოლოგიური პროცესები, გამოწვეული ხელოვნურად.

**არტიკულ-ი**, ლათ., რომელიმე წესდების მუხლი.

**არტიკულაცია**, ლათ.-ფრ.: 1) ანატომიაში: სხეულის ასოთა შეწევრება, სახსარი; 2) ფონეტიკაში: სამეტყველო ორგანოთა მოქმედება, რომლიც საჭიროა ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისათვის: ბგერის წარმოება.

**არტილერია** (ლათ.-ფრ. artillerie): 1) ზარბაზნები, სამხედრო ცეცხლ-სასროლი იარაღები; 2) ჯარის ნაწილი, რომელიც მოქმედობს საარტილერიო იარაღებით; **არტილერიის ბატარეა** — არტილერისტების და საარტილერიო იარაღების განსაზღვრული ჯგუფი, რომელიც ერთ ადგილზე არის გამაგრებული; **არტილერისტ-ი** — ჯარის საარტილერიო ნაწილში მოსამსახურე სამხედრო პირი, — ჯარის-კაცი.

**არტისტ-ი**, ლათ.-ფრ., ხელოვანი, მსახიობი; ხელოვნების რომელიმე დარგში მომუშავე, შემოქმედი; გადატ. მნიშვნ.: 1) თავისი საქმის კარგად მცოდნე, კარგი შემსრულებელი; 2) არა-გულწრფელი; პიროვნება, რომელიც გარეგნულად განზრახ სხვა-გვარად გვაჩვენებს თავს, ვიდრე ის ნამდვილად არის; აქედან: **არტისტული** — ხელოვნური. მხატვრული.

**არტიშოკ-ი** (არაბ.-გერმ. Artischoke). ბოსტნეული მცენარის ერთ-ერთი სახე.

**არტრ-**, იხ. ართრ-.

**არფა** (ლათ. harpa, იტ. არპა), სამკუთხედის მსგავსი უძველესი სიმებიანი სამუსიკო ინსტრუმენტი, არათანასწორ სიმებიანი; აქედან: **არფისტ-ი** — არფაზე დამკვრელი.

**არქაიზმ-ი**, ბერძ.: 1) ხმარებიდან გამოსული ძველი სიტყვების ან ფორმების ხმარება; 2) ძველებური ნიმუშების მიბაძვა ხელოვნებაში ან ჩაცმა-დახურვაში; აქედან: **არქაიული** — უძველესი; ხმარებიდან გამოსული.

**არქაისტიკა**, მიმართულება ხელოვნებაში, რომელიც გამოიხატება ძველი ფორმების მიბაძვაში.

**არქეოგრაფია**, ბერძ., საისტორიო მეცნიერების ერთი დარგი, რომლის მიზანიცაა ძველი წერილობითი ძეგლების შეკრება, აღწერა და გამოცემა; აქედან: **არქეოგრაფი** — სიძველეთა აღმწერი; არქეოგრაფიაში მომუშავე.

**არქეოლოგია**, ბერძ., მეცნიერება, რომელიც იკვლევს ძველ ძეგლებს, როგორც წერილობითს, აგრეთვე ნივთიერს; აქედან: **არქეოლოგ-ი** — სიძველეთ-მეტყველი, ძველი ძეგლების მკვლევარი; **არქეოლოგიური** — არქეოლოგიის ხასიათის მქონე; **არქეოლოგიური ძეგლი** — სიძველე, რომელსაც არქეოლოგია იკვლევს; **საარქეოლოგიო ანუ არქეოლოგიური ინსტიტუტი** — უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომლის მიზანიცაა არქეოლოგ-მკვლევართა მომზადება; **საარქეოლოგიო ანუ არქეოლოგიური საზოგადოება** — უძველესი ძეგლებისა და ნაშთების შემკრებ-შემსწავლელი საზოგადოება.

**არქეოპტერიქს-ი**, ბერძ., განათხრებში აღმოჩენილი ხერხემლიანი ცხოველი, მტრედის ოდენა, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ფორმას ქვეწარმავალთა და ფრინველთა ზოოლოგიურ კლასებს შორის.

**არქი-**, ბერძ., თავსართია, რომელიც აღნიშნავს უმაღლეს თანამდებობებს: სიტყვებს ამ თავსართის მეოხებით ეძლევა შემდეგი მნიშვნელობანი: მთავარი, პირველი, უმაღლესი და სხვა, მაგ.: **არქი-დიაკონი**, — მთავარ-დიაკონი; **არქიელი** — (გაქართულებული ბერძ. არქიერეუს) მღვდელ-მთავარი; **არქიეპისკოპოსი**, — ბერძ., მთავარ-ეპისკოპოსი და სხვა.

**არქივარიუს-ი**, ბერძ.-ლათ., არქივის გამგე.

**არქივ-ი**, ბერძ.-ლათ., სიძველეთა საცავი, სადაც ინახება ხელნაწერები, სიგელები და სხვა საბუთები.

**არქიმანდრიტ-ი**, ბერძ., მონასტრის წინამძღვარი.

**არქიმედის კანონი**, სირაკუზელი მათემატიკოსის არქიმედის მიერ (III საუკ. ქ. წ.) აღმოჩენილი კანონი: ყოველი სხეული წყალში ჰკარგავს იმდენ სიმძიმეს, რამდენსაც იწონის იმავე მოცულობის წყალი.

**არქიპელაგ-ი**, ბერძ.: 1) ზღვა, რომელსაც წინეთ ეწოდებოდა ეგეის ზღვა; 2) ერთმანეთის ახლო მდებარე კუნძულთა ჯგუფი.

**არქისტრატიგ-ი**, ბერძ.: 1) მხედართ-მთავარი; 2) ზოგიერთი მთავარ-ანგელოზის სახელწოდება, მაგ. მიქელ მთავარ-ანგელოზის.

**არქიტექტონიკა**, ბერძ.: 1) ხუროთ-მოძღვრების თეორია; 2) აღნაგობა ანუ წყობა მეცნიერული სისტემის ან სხვა რაიმე მიზან-შეწონილი მთელის.

**არქიტექტორ-ი**, ბერ.. ხუროთ-მოძღვარი.

**არქიტექტურა**, ბერ.. ხუროთ-მოძღვრება. შენობათა აგების ხელმძღვანელობა.

**არქიტრავ-ი**, ბერძ.-ლათ.. ანტაბლემანის (იხ.) სამ ნაწილთაგან ყველაზე ქვედა, რომელიც სვეტებზე ეყრდნობა.

**არქონტ-ი**, ბერძ. (პირდაპირი მნიშვნ. „მმართველი"), არქონტები იყვნენ უმაღლესი თანამდებობის პირები ძველს ათენში, გადმოცემის თანახმად, მონარქიული წეს-წყობილების გაუქმების შემდეგ (1068 წ. ქრ. წ.); მათ თავდაპირველად სიკვდილამდე ირჩევდნენ, შემდეგ ათი წლით, ხოლო VII საუკუნის შემდეგ, როდესაც მათი რიცხვი ცხრამდე ავიდა — თითო წლით.

**არქტიკული**, ბერძ.. ჩრდილო პოლუსთან მდებარე (ანტარქტიკულის მოპირდაპირე, იხ.); აქედან: **არქტიკული ოკეანე** — ჩრდილოეთის ყინულიანი ოკეანე; **არქტიკული ქვეყანა** — ჩრდილოეთის პოლუსის მახლობლად მდებარე ქვეყანა.

**არშაკიდები**, იხ. არსაკიდები.

**არშაკუნიანები**, იხ. არსაკიდები.

**არშინ-ი**, თურქ.-რუს.. სიგრძის საზომი, რომელიც უდრის 71,12 სანტიმეტრს.

**არხი-**, იხ. არქი-.

**არხაიზმი**, იხ. არქაიზმი.

**არხეოგრაფია**, იხ. არქეოგრაფია.

**არხივარიუს-ი**, იხ. არქივარიუსი.

**არხიმანდრიტ-ი**, იხ. არქიმანდრიტი.

**არხიპელაგ-ი**, იხ. არქიპელაგი.

**არხიტექტონიკა**, იხ. არქიტექტონიკა.

**არხიტექტორ-ი**, იხ. არქიტექტორი.

**არხიტექტურა**, იხ. არქიტექტურა.

**არხივი**, იხ. არქივი.

**არხონტი**, იხ. არქონტი.

**ასბესტ-ი**, იხ. აზბესტი.

**ასები**, იხ. აზები.

**ასეიტეტ-ი** (ლათ. ascitas), არსებობა თავის თავად ანუ თავის თავადი არსებობა; სქოლასტიკურ თეოლოგიაში აღნიშნავდა ღვთაების აბსოლუტურ დამოუკიდებლობას, რის მიხედვითაც იგი არის ერთად ერთი მიზეზი თავისი თავის.

**ასენიზატორ-ი**, ლათინ.-ფრ. (ფრ. assainir გაჯანსაღება), გარემოს ჰიგიენურად გამასუფთავებელი, გამაჯანსაღებელი.

**ასენიზაცია**, ლათ.-ფრანგ., ადგილმდებარეობის, გარემოს გასუფთავება, გაჯანსაღება; ჰიგიენურად გაუმჯობესება.

**ასეპსის-ი**, ბერძ., ქირურგიაში: ჭრილობის დაუბალღმებლად განკურნება.

**ასეპტიკა**, ბერძ.. ჭრილობების ისეთი მკურნალობა, რომ ადგილი არ ექნეს ლპობა-ხრწნის პროცესს; ამისათვის, როგორც ჭრილობების მკურნალობის დროს, აგრეთვე ქირურგიული ოპერაციების მოხდენისას, კეთდება სტერილიზაცია (იხ.) იარაღებისა და ყოველგვარი სხვა მასალის (მედიცინაში).

**ასეპტინ-ი**, ბერძ. ხელოვნ., საშუალება, რომელიც იფარავს რამეს აჭრისაგან: უმთავრესი მისი შემადგენელი ნაწილი არის ბორის სიმჟავე.

**ასეპტიკური**, უხრწნელი, ულპობელი; **ასეპტიკური პირობები** — ისეთი პირობები, რომლებიც იფარავენ ორგანიზმს დალპობისაგან; **ასეპტიკური საშუალება** — ისეთი საშუალება, რომელიც ორგანიზმს იფარავს გახრწნა-დალპობისაგან.

**ასერტორული მსჯელობა**, მსჯელობა, რომელიც აღიარებს განსაზღვრულ ფაქტებს ანუ საგანთა ვითარებას, როგორც ნამდვილს და არა როგორც აუცილებელს ან შესაძლებელს (ლოგიკაში).

**ასესორ-ი** (ლათ. ასსესსორ), ძველ რომში, დასავლეთ ევროპაში და პოლონეთში სამოსამართლო დაწესებულებათა წევრები; რუსეთში პეტრე დიდის შემდეგ კოლეჟსკი ასესორი — სამოქალაქო სამსახურის VIII-ე კლ. ჩინი, 1845 წლამდე აძლევდა მემკვიდრეობითი აზნაურის ღირსებას.

**ასთენია**, ბერძ. ხელოვნ.. სხეულის სისუსტე, უღონობა, გამოწვეული მოხუცებულობით, მძი-

მე ავადმყოფობით და სხვ.; აქედან: **ასთენიური** — სუსტი, ულონო.

**ასთენოპია**, ბერძ. ხელოვნ., მხედველობის დასუსტება თვალით ახლო მანძილზე მუშაობის გამო.

**ასთმა**, ბერძ.. პერიოდული სულის ხუთვა: განასხვავებენ 1) გულის დაავადებით გამოწვეულ და 2) სასუნთქი ორგანოების დაავადებით გამოწვეულ ასთმას.

**ასიგნაცია**, (ლათ.-ფრ. assignation). ქაღალდის ფულის ნიშნები, რომელსაც აწესებს სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება ლითონის ფულის მაგივრად.

**ასიზები**, (მრავლ. ლათ.-ფრ. assises): 1) დასავლეთ ევროპაში (უმთავრესად ინგლისსა და საფრანგეთში) სისხლის სასამართლო, რომელიც შედგება მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთაგან; 2) სასამართლო დადგენილებების და კანონების კრებული; **იერუსალიმის ასიზები** — კანონების კრებული, რომელიც შეადგინეს ჯვაროსნებმა XI-საუკ. პალესტინაში.

**ასიმეტრია** (ბერძ. asymmetria), სიმეტრიას მოკლებულობა, უსიმეტრიობა, უთანაბრობა; (იხ. სიმეტრია.); აქედან: **ასიმეტრიული** — უსიმეტრიო.

**ასიმილაცია** (ლათ. assimilatio): 1) დამსგავსება; ენათმეცნიერებაში: ერთი ბგერის დამსგავსება მეზობელ ბგერასთან; განასხვავებენ **რეგრესიულს და პროგრესიულს ასიმილაციას**; 2) ბიოლოგიაში: საკვებ ნივთიერებათა შეთვისება ორგანიზმის მიერ: 3) ეთნოლოგიაში: ერთი ერის გათქვეფა მეორე ერში მათი თანდათანობითი დაახლოების გზით.

**ასიმპტოტა** ან უკეთ **ასიმპტოტ-ი**, ბერძ., სწორი ხაზი, რომელიც განუწყვეტლივ უახლოვდება მრუდს და გადაჰკვეთს მას მხოლოდ უსასრულობაში (მათემატიკაში).

**ასიმფონია**, ბერძ. უკეთილხმოვნობა; აქედან: **ასიმფონიური** — უკეთილხმოვნო.

/**ასირიოლოგია**, მეცნიერება, რომელიც იკვლევს ასურეთის წარწერებს. ენას. ისტორიას და სიძველეებს. **ასირიოლოგ-ი**, ასურეთ-ბაბილონის სიძველეთა მკვლევარი. — მცოდნე.

**ასისტენტ-ი** (ლათ. assistens), დამსწრე, თანაშემწე.

**ასისტენცია**, მოძღვრება ასისტენციის შესახებ: მოძღვრება. რომელიც აღიარებს, რომ მიზეზობრივი ურთიერთ-ზეგავლენა სულის და სხეულის მოდუსებს შორის წარმოებს ღვთაების განუწყვეტელი ჩარევით ბუნების მოვლენათა მიმდინარეობაში.

**ასისტოლია**, ბერძ. გულის შეკუმშვათა შესუსტება (მედიცინაში).

**ასკეტ-ი**, ბერძ. საერთოდ: სათნოებასა და თავშეკავებაში მოვარჯიშე; კერძოდ: მეუდაბნოე; განდეგილი; ბერი, რომელიც აწამებს სხეულს ხორციელ *ვნებათა დაცხრომისა და სულიერი სიწმინდის მოპოვების მიზნით; აქედან: **ასკეტიზმ-ი** — ასკეტობა.

**ასკლეპიოსი**, ბერძ.. ჯანმრთელობის ღმერთი ძველი საბერძნეთის მითოლოგიით, აპოლონის ძე (უდრის რომაულ ესკულაპის, იხ.): აქედან: **ასკლეპიადები** — (მრავლ.) ქურუმები ასკლეპიოსის ტაძართან. სადაც ჰკურნავდენ სნეულებს და ასწავლიდენ მკურნალობას.

**ასოკა**, იხ. აშოკა.

**ასონანს-ი** (ფრ. assonance). ლექსთწყობაში: ერთნაირ ხმოვანთა განმეორება. რომელიც ლექსის ბოლოში წარმოადგენს არა სრული რითმის ერთ სახეს.

**ასონაცია**, ლათ.-ფრ., ბგერითი მსგავსების ნიადაგზე მოხდენილი დაახლოვება ორი სხვადასხვა სიტყვისა. მაგ. „ველოსიპედი" და „ელისაბედი" (ხალხურად).

**ასორტიმენტ-ი** (ფრ. assortiment): 1) საქონლის დანაწილება ხარისხის (სორტის) მიხედვით; 2) ერთგვარი საქონლის სხვადასხვა ხარისხების (სორტების) გადარჩევა სავაჭრო დაწესებულებაში.

**ასოციაცია**, ლათ.-ფრ. (association): 1) კავშირი; ამხანაგობა; რამოდენიმე ან მრავალ პირთა შეკავშირება რაიმე საერთო მიზნისათვის; 2) **მუშათა ასოციაციები** — მუშათა საზოგადოება. კავშირი; 3) **ასოციაციების უფლება** — დასავლეთ ევროპაში ეწოდება მოქალაქეთა უფლებას საზოგადოებების და კავშირების თავისუფალი შედგენისას; 4) ფსიქოლოგიაში: **იდეების ასოციაცია** — კანონზომიერი კავშირი ფსიქიურ ელემენტებს შორის, რის მეოხებითაც ისინი იწვევენ ერთი მეორეს; განასხვავებენ ორ მთავარ ფორმას იდეათა ასოციაციისას: **მსგავსების და მოსაზღვრეობის** ასოციაციებს.

**ასპექტები**, ლათ. მრავლ., პლანეტებისა, მზისა და მთვარის განსაზღვრული შეფარდებითი მდებარეობა ერთმანეთის მიმართ; ასეთ მდებარეობას ასტროლოგიურ მნიშვნელობას აძლევდნენ (იხ. ასტროლოგია).

**ასპექტ-ი**, ლათ., თვალსაზრისი.

**ასპიდ-ი** (ბერძ. ასპის): 1) ერთგვარი შავი ქვა, რომლიდანაც სასკოლო დაფებს აკეთებენ; აქედან ასპიდის დაფა; 2) ქართულად ასპიტი — შხამიანი გველის ერთ-ერთი ჯიში; გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, 3) გადატ. მნიშვნ.: ბოროტი კაცი.

**ასპირანტ-ი**, ლათ.-ფრ., დიპლომის (მოწმობის), ადგილის ან სამსახურის მაძიებელი; კანდიდატი რაიმე თანამდებობაზე.

**ასპირატები**, ლათ.-ფრ. მრავლ.. ფონეტიკაში: მშვინავი თანხმოვნები, ჩვეულებრივ, ხშული თანხმოვნები. მაგ. ქართული ფ თ ქ ასპირატებია.

**ასპირატორ-ი**, ლათ.: 1) ჰაერის ნაკადის ან სხვა აირთა განმწოვი ხელსაწყო; 2) მედიცინაში: ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც გამოსწოვენ სითხეს სხეულის ამა თუ იმ ღრუდან; აქედან: **ასპირაცია**: 1) ფონეტიკაში: შეწოვა: 2) მედიცინაში: სითხის გამოწოვა.

**ასპირინ-ი**, წამალი, რომელიც იწვევს ოფლს და ანელებს სიცხეს (მედიცინაში).

**ასპიტ-ი**, იხ. ასპიდი.

**ასტაზია** ან უკეთ **ასტასია**, ბერძ., ფეხზე დგომის უუნარობა; აქედან: **ასტატიკური** — დაუდგრომელი, უმდგრადი, ადვილ-მოძრავი.

**ასტარტა**, სემიტ.-ბერძ., ძველი სემიტების მთავარი ქალ-ღმერთი, მფარველი სიყვარულისა და ნაყოფიერების, აგრეთვე ომისაც.

**ასტატიკური**, იხ. ასტაზია.

**ასტენია, ასტენიური**, იხ. ასთენია.

**ასტენოპია**, იხ. ასთენოპია.

**ასტეროიდ-ი, ასტეროიდები**, ბერძ., მცირე პლანეტები, რომლებიც გარს უვლიან მზეს დიდი პლანეტების მსგავსად: უდიდესს მათ შორის აქვს 400 კლმ. დიამეტრი; ჯერ აღმოჩენილი ასტეროიდების რაოდენობა აღწევს 1000-დე.

**ასტიგმატიზმ-ი**, ბერძ., მხედველობის ანორმალური მდგომარეობა: თვალის უუნარობა შეაერთოს ერთ წერტილში მაზედ დაცემული სხივი. რის გამოც საგნები ჩანს ბუნდოვანად ან დამახინჯებულად.

**ასტმა**, იხ. ასთმა.

**ასტრალური** (ბერძ. ასტერ „ვარსკვლავი"). ვარსკვლავის, ვარსკვლავური, მაგ. **ასტრალური სინათლე** — ვარსკვლავის სინათლე; ხილული და უხილავი ვარსკვლავების სინათლე. რომელიც განფენილია ცაზე. **ასტრალური სულები** — საშ. საუკ. დემონოლოგიაში ცეცხლის სულები. დაცემული ანგელოსები და სხვ.: **ასტრალური სხეული** — ოკულტისტურ (საიდუმლო) მოძღვრებათა თანახმად: ფიზიკურ სხეულებზე უფრო თხელი, უხილავი სხეული. რომელიც იმყოფება ადამიანის სხეულში და წარმოადგენს სულიერი მოქმედების ცენტრს.

**ასტრეა** (ბერძ. ასტრაია), ძველი საბერძნეთის სამართლიანობის ქალ-ღმერთი.

**ასტროგნოზია**, ბერძ., ვარსკვლავთ-მცოდნეობა.

**ასტროგრაფ-ი**, ბერძ., საერთოდ: ხელსაწყო ცის მნათობთა ფოტოგრაფიით გადასაღებად.

**ასტროგრაფია**, ბერძ., ვარსკვლავების აღწერა.

**ასტროლაბ-ი**, ბერ.. კუთხის მზომი იარაღი. რომელსაც ხმარობენ გეოდეზიური და ასტრონომიული დაკვირვების დროს.

**ასტროლატრია**, ბერძ., ვარსკვლავთ-თაყვანისცემა; ვარსკვლავთ-მსახურება.

**ასტროლოგია**, ბერძ.: 1) მეცნიერება ვარსკვლავების შესახებ, ასტრონომია, ვარსკვლავთ-მრიცხველობა; 2) საშ. საუკუნოების ცრუ მეცნიერება, რომელიც არკვევდა ადამიანის ბედს ცის მნათობების მდებარეობის და მათი სხვა თვისებების მიხედვით; აქედან: **ასტროლოგ-ი** — ასტროლოგიის მცოდნე. ვარსკვლავთ-მისანი.

**ასტრონომია**, ბერძ., ვარსკვლავთ-მრიცხველობა; მეცნიერება. რომელიც იკვლევს ცის მნათობთა მოძრაობის კანონებს. მათ სიდიდეს. მანძილს და მათ ფიზიკურ თვისებებს; აქედან: **ასტრონომ-ი** — ვარსკვლავთ-მრიცხველი, ასტრონომიის მცოდნე მკვლევარი; **ასტრონომიული**—მაგ.: **ასტრონომიული საათი**—განსხვავდება ჩვეულებრივი საათისაგან თავისი უაღრესი სიზუსტით; **ასტრონომიული წელი** — წელი. რომლის ხანიერობაც გამოანგარიშებულია არა მხო-

ლოდ დღეებისა, არამედ საათებისა და წუთე-ბის მიხედვით და სხვა.

**ასტროფიზიკა**, ბერძ., მეცნიერება ციურ სხეულთა აგებულობის შესახებ, ე. ი. ასტრონო-მიის ის ნაწილი, რომელიც იკვლევს ციურ სხე-ულთა ფიზიკურ-ქიმიურ შემადგენლობას.

**ასტროფოტოგრაფია**, ბერძ., ფოტოგრაფიის გამოყენება ციურ სხეულთა შესწავლისათვის.

**ასტროფოტომეტრია**, ბერძ., მეცნიერება, რომელიც იკვლევს ცის მნათობთა სიკაშკაშეს; აქედან: **ასტროფოტომეტრ-ი** — ინსტრუმენტი, რომლითაც ზომავენ ცის მნათობთა სიკაშკაშეს.

**ასფალტ-ი**, ბერძ., მინერალების ერთ-ერთი წარმომადგენელი, ფისისებური ნივთიერება; თავისი ქიმიური შედგენილობით წარმოადგენს მრავალ ორგანულ ნივთიერებათა შენაერთს.

**ასფიქსია**, ბერძ., ადამიანისა ან ცხოველის სულის ხუთვა და სუნთქვის შეწყვეტა, რასაც ადგილი აქვს რაიმე მიზეზის გამო (ყელში წაჭერა, სასუნთქი კუნთების დამბლა და სხვა) სასუნთქში ჰაერის შეუსვლელობის დროს. ზოგ-ჯერ ბავშები იბადებიან ასფიქსიით: საჭიროა დაუყონებლივი დახმარების აღმოჩენა.

**ატავიზმ-ი**, ლათ., ასე ეწოდება ბიოლოგია-ში ისეთ მოვლენას, როცა მომდევნო შთამო-მავლობას გამოჰყვება ისეთი ნიშნები, რომლე-ბიც ჰქონდათ მის უძველეს წინაპართ, მაგრამ არ ჰქონიათ მის მშობლებს ან უახლოეს წინა-პართ; აქედან: **ატავისტური**—უძველეს წინაპარ-თაგან მემკვიდრეობით მიღებული.

**ატაკა** (ფრანგ. attaque), მტერზე თავდა-სხმა, შეტევა; სწრაფი, შეუჩერებელი და ერთ-სულოვანი მოძრაობა ჯარის ნაწილებისა მტრის წინააღმდეგ.

**ატამან-ი** (გერმ. ჰაუპტმანნ?): 1) წინამძღო-ლი, მეთაური; 2) დონისა და უკრაინის ყაზახე-ბი ატამანს უწოდებენ არჩეულს უფროსებს; 3) ავაზაკთა ბრბოს მეთაური.

**ატარაქსია**, ბერძ., აუღელვებლობა; სრული სულიერი სიმშვიდე და სურვილთა ალკვეთა, როგორც წყარო ნეტარებისა.

**ატაქსია**, ბერძ., კუნთების შეთანხმებული მოძრაობების დარღვევა, რასაც იწვევს თავისა და ზურგის ტვინის დაავადება.

**ატეიზმ-ი**, **ატეისტ**, **ატეისტური**, იხ. ათე-იზმი, ათეისტი, ათეისტური.

**ატელიე** (ფრ. atelier), საერთოდ: სახელო-სნო; კერძოდ: მხატვრის ან მოქანდაკის სამუ-შაო ოთახი.

**ატესტატ-ი** (ლათ.-გერმ. attestat), წერი-ლობითი მოწმობა სასწავლებლის ან სამსახურის შესახებ; აქედან: **ატესტაცია** — დამოწმება; და-მოწმება უნარის, ცოდნის ან სხვა რაიმე მხრით გამოსადეგობის შესახებ.

**ატეტიზაცია** ან უკეთ **ათეტიზაცია** (ბერძ. ათეტესის „უარყოფა. უკუგდება, მოსპობა"). რაიმე ნაწარმოებიდან ყალბად მიჩნეული ნაწი-ლების განდევნა; აქედან: **ათეტიზატორ-ი** — ვინც განდევნის თხზულებიდან ყალბად მიჩნე-ულ ნაწილებს.

**ატილა** (ატტილა), ჰუნების მეფე, V საუკ. პირველ ნახევარში მართავდა ჰუნებს პანონიაში (თანამედრ. ჰუნგრეთში); შეაერთა ჰუნების და გერმანელების ტომები ვოლგიდან დონაუმდე; რამდენჯერმე გაილაშქრა რომაელთა წინააღ-მდეგ; ისტორიაში ცნობილია უდიდესი ბრძოლა რომაელებსა და ატილას შორის კატალაუნის ველზე, სადაც ატილა სასტიკად დაამარცხა რომის გამოჩენილმა სარდალმა აეციუსმა 451 წ. ქ. შ.

**ატიკა** (ბერძ. ატტიკე), ძველი საბერძნეთის შუა ნაწილი, რომლის მთავარი ქალაქიც ათე-ხია; აქედან: **ატიკური** — ატიკის ხასიათის მქო-ნე ან ატიკიდან წარმოშობილი რაიმე; **ატი-ციზმ-ი**—ატიკის ბერძნული ენის თავისებურობა.

**ატლანტ-ი**, ბერძ.: 1) ბერძნულ მითოლო-გიაში: დევგმირი, ძე იაფეტისა; ტიტანების ბრძოლაში მონაწილეობის გამო მისჯილი ჰქონ-და ცის კამარის მხრებზე პყრობა; 2) ხუროთ-მოძღვრებაში: ლავგარდანის დამჭერი მამაკაცის ქანდაკება; 3) ანატომიაში: კისრის პირვე-ლი მალი.

**ატლანტიდა** (ბერძ. ატლანტის). ზღაპრული დიდი კუნძული, აფრიკის დასავლეთით (დასა-ხელებული აქვს ფილოსოფოს პლატონს).

**ატლანტის** ანუ **ატლანტიკური** ოკეანე, ერთ-ერთი ხუთ ოკეანეთაგანი ევროპასა, აფრიკასა და ამერიკას შუა მდებარე.

**ატლას-ი**: 1) არაბ., მბზინვარე ქსოვილი; 2) ბერძ. გეოგრაფიული, ისტორიული, ასტრო-ნომიული, ანატომიური და სხვ. რუკების კრებული.

ატლეტ-ი, ატლეტიკა, ატლეტური, იხ. ათლეტი. ათლეტიკა, ათლეტური.

ატმოლიზ-ი, ბერძ. ხელოვნ., ფიზიკაში: არა ერთნაირად მკვრივი გაზების შენაერთიდან შემავალი ნაწილების გამოყოფის მეთოდი.

ატმოლოგია, ბერძ., მოძღვრება ორთქლების შესახებ.

ატმომეტრ-ი, ბერძ., წყლის ორთქლების საზომი იარაღი.

ატმოსფერო ან ატმოსფერა, ბერძ.: 1) დედამიწის ჰაეროვანი გარსი. ჰაერეთი; 2) წნევის ერთეული; 3) გადატ. მნიშვნ.: საზოგადოებრივი წრე, გარემო პირობები; აქედან: ატმოსფერული,—მაგ. ატმოსფერული წნევა — ეწოდება იმ წნევას. რომელსაც განიცდის მასში მოთავსებული სხეული; ატმოსფერული ნალექები — წვიმა. ნამი, თოვლი, სეტყვა და ნისლი.

ატომ-ი (ბერძ. ატომონ „განუკვეთელი, გაუყოფელი"), ელემენტის უმცირესი ნაწილი, რომლის უშლადობაც (დაუშლელობა) უარყოფილია ელექტრონული თეორიით (იხ. ელექტრონი); აქედან: ატომიზმ-ი, ატომისტიკა, ატომისტური — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს, რომ მსოფლიო შედგება განუკვეთელი მატერიალური ერთეულებისაგან; ატომისტური მოძღვრების დებულებები: 1) მსოფლიოს საფუძველი არის მრავალი (ატომები) და არა ერთი; 2) ატომებს გარდა არსებობს ცალიერი სივრცე. სიცალიერე; 3) ატომები განსხვავდებიან მხოლოდ მოყვანილობით და არა ნივთიერების მიხედვით; 4) გარდა ატომებისა, მათი აგრეგატებისა და მოძრაობისა არ არსებობს არავითარი მამოძრავებელი, მოქმედი პრინციპი ბუნებაში. ატომისტური მოძღვრების დამაარსებლად ითვლება საბერძნეთის ფილოსოფოსი ლევკიპოსი, ხოლო დასრულებული, კლასიკური სახე მას მისცა მისმა სახელოვანმა მოწაფემ დემოკრიტოს აბდერელმა.

ატონია, ბერძ., მოდუნებულობა, ბუნებრივი დრეკადობის დაკარგვა, განსაკუთრებით, კუნთებში; აქედან: ატონიური — მოდუნებული.

ატრაქცია (ლათ. attractio), საერთოდ: მიზიდულობა. მიზიდულობის ძალა; გრამატიკაში: წინადადების ისეთი აგებულობა, როდესაც წინადადების წევრთა შორის არაა სინტაქსური დაკავშირება.

ატრაქციონ-ი (ლათ.-ფრ. attraction), განსაკუთრებით საყურადღებო ნომერი გასართობი სანახაობისა, რომლის მიზანიც მსმენელ-მაყურებელთა მიზიდვაა.

ატრიბუტ-ი (ლათ. attributum): 1) საერთოდ: თვისება, ნიშანი; 2) ფილოსოფიაში: სუბსტანციის ძირითადი თვისება, ძირითადი გარკვეულობა, ურომლისოდ სუბსტანცია არ შეიძლება არსებობდეს. წინააღმდეგ მოდუსისა. კ) გრამატიკაში: განსაზღვრება, მსაზღვრელი; აქედან: ატრიბუტული — ატრიბუტის ხასიათის მქონე, მისაგან გამომდინარე, ატრიბუტად ხმარებული; ატრიბუცია — ხელოვნების ანონიმური ნაწარმოების მიკუთვნება რომლისამე ხელოვნისადმი.

ატრიუმ-ი, ლათ.: 1) ძვ. რომაული სახლის მთავარი ნაწილი, სადაც კერა იმყოფებოდა; 2) ტაძრის დერეფანი, მისავალი ნაწილი; 3) წინა-გული, გულის ნაწილი, სადაც შედის ვენის სისხლი; იხ. არტერიები.

ატროფია, ბერძ., სუსტი ანუ რეგრესული განვითარება სხეულის ორგანოების და ქსოვილების ცუდი კვების ან ავადმყოფობის ნიადაგზე; რაიმე ორგანოს თანდათან დაკარგვა მისი უხმარებლობის გამო.

აუდიენცია, ლათ., მეფის ან წარჩინებული პირის მიერ მიღება უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების, მოხელეების ან კერძო პირების.

აუდიომეტრ-ი, იხ. აუდიომეტრი.

აუდიტორ-ი, ლათ., მსმენელი; აქედან: აუდიტორია — დარბაზი, სადაც იმყოფებიან მსმენელები; ასე ეწოდება გადატ. მნიშვნ. აგრეთვე თვით მსმენელთ.

აუდიფონ-ი, ბერძ., ხელსაწყო ყრუთათვის ან სუსტად გამგონთათვის.

აუკც-, იხ. აუქც-.

აულ-ი, თურქ., ყაზანისა და ყირიმის თათრების და კავკასიის მთიელთა სოფელი.

აურის-, იხ. ავრის-.

აურამაზდა, იხ. აჰურამაზდაჰ-ი.

აუსკულტაცია, ლათ., გულის ან ფილტვების მოქმედების გასინჯვა სტეთოსკოპით (იხ.) ან შეუიარაღებელი ყურით.

აუსპიცია, იხ. ავსპიცია.

აუტენტია, — იკა, — იკური, იხ. ავთენტია,— იკა, — იკური.

**აუტო-და-ფე** (ისპ. Auto da Fé) ინკვიზიციის მიერ დასჯილ მწვალებელთა საზეიმო საჯარო დაწვა (იხ. ინკვიზიცია).

**აუტოფსია,** იხ. აუტოპსია (ან უკეთ ავტოფსია).

**აუქციონ-ი** (ლათ. auctio,-onis). უძრავი ან მოძრავი ქონების საჯარო ვაჭრობით ყიდვა ან გაყიდვა; ვაჭრობა იწყება დაბალი ფასებიდან და ქონება რჩება იმას, ვინც მეტს აძლევს; აქედან: **აუქციონისტ-ი** —თანამდებობის პირი, რომელიც აუქციონით ჰყიდის ქონებას.

**აფაგია,** ბერძ., ყლაპვის უუნარობა.

**აფაზია,** ბერძ., ფსიქიური ავადმყოფობა, რაც გამოიხატება მეტყველების უნარის სრულს დაკარგვაში ან მის შესუსტებაში სამეტყველო ორგანოების დაუზიანებლივ; განასხვავებენ აფაზიის რამდენსამე სახეს.

**აფეკტ-ი,** იხ. აფექტი.

**აფელი,** ბერძ., პლანეტის ან კომეტის წერტილი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაშორებული მზისაგან.

**აფერა** (ფრ. affaire), საქმე; მოსაგები სარისკო საქმე, თავზე ხელ-აღებული წამოწყება. რომლის შედეგიც შემთხვევისაგან არის დამოკიდებული; კომერციული წამოწყება ადვილად გამდიდრების იმედით, ჩვეულებრივ არაკეთილსინდისიერი; აქედან: **აფერისტ-ი,** აფერების ჩამდენი.

**აფერეზის-ი,** ბერძ., მოკლე ხმოვნის დაკარგვა სიტყვის დასაწყისში (ფონეტიკაში).

**აფექტ-ი** (ლათ. affectus). ძლიერი სულიერი მოძრაობა. აღელვება, აგზნება; ფსიქოლოგიაში: სულიერი მოძრაობა, რომელსაც უმთავრესად ახასიათებს ინტენსიურ გრძნობათა ნაკადი და გამოსახულებითი მოძრაობები, მაგ. შიში, მრისხანება, სიხარული და სხვ.: აფექტების დროს სუსტდება ნათელი აზროვნების უნარი. ამიტომ აფექტურ მდგომარეობაში ბოროტმოქმედების ჩამდენთ სასამართლო ხშირად ათავისუფლებს ან სასჯელს უმსუბუქებს; აქედან: **აფექტური** — მაგ. აფექტური მდგომარეობა, აფექტის გავლენის ქვეშ მყოფობა; **აფექტაცია** — არაბუნებრივი მგრძნობიარობა.

**აფირმაცია** (ლათ. affirmatio), მტკიცება; დადასტურება; აქედან: **აფირმატიული** ანუ უკეთ აფირმაციული მსჯელობა — ლოგიკაში: დადებითი მსჯელობა; მტკიცება. დადასტურება.

**აფიქს-ი** (ლათ. affixum). საერთო სახელწოდებაა თავსართისა. ჩასართისა და ბოლოსართისა: ქართულად: სართი (გრამატიკაში).

**აფიშა** ან **აფიშ-ი** (ფრ. affiche). საჯარო განცხადება. რომელსაც აკრავენ კედელზე. სვეტზე და სხვ. და შეეხება ჩვეულებრივ წარმოდგენას ან სხვა რაიმე გასართობ სანახაობას (იგივეა. რაც ანშლაგი).

**აფიცერ-ი,** იხ. ოფიცერი.

**აფონია,** ბერძ.. ხმის დაკარგვა.

**აფორია,** ბერძ.. უნაყოფობა.

**აფორიზმ-ი,** ბერძ. მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმული აზრი: აქედან: **აფორისტული** — მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმული.

**აფრიკატ-ი** (ლათ. affricare-დან). რთული თანხმოვანი ბგერა, რომლის პირველ შემადგენელ ელემენტად ითვლება ხშული თანხმოვანი და მეორედ — იმავე ადგილას ნაწარმოები ღრიჭოვანი (სპირანტი). მაგ. ჩ=თ+შ, ც=თ+ს და სხ.: ქართულის აფრიკატებია: ჩ. ც. ძ. წ. ჭ. ჯ.

**აფროდიტე,** ბერძ.. სიყვარულისა და სილამაზის ქალ-ღმერთი (აგრეთვე ვნებიერი სიყვარული); უდრის რომაულ ვენერას: აქედან: **აფროდიტული საშუალებანი**—ისეთი საშუალებანი. რომელნიც აღძრავენ სქესობრივ მოქმედებას.

**აფრონტ-ი,** ფრ.. შეურაცხყოფა. მარცხი.

**აქეოს-ი,** ბერძ., ძვ. ბერძენთა ტომის. აქეველების. ზღაპრული წინაპარი.

**აქვამარინ-ი,** ლათ.. „ზღვის წყლის ფერი", მომწვანო ძვირფასი ქვა. ბერილის ერთ-ერთი სახე.

**აქვარელ-ი** (იტ. aquarello): წყლიანი ფერადები: 2) მხატვრობა წყლიანი ფერადებით; 3) წყლიანი ფერადებით შესრულებული ნაწარმოები: აქედან: **აქვარელისტ-ი** — მხატვარი. რომელიც ხატავს აქვარელით: **აქვარელური** — აქვარელის ხასიათის მქონე.

**აქვარიუმ-ი,** ლათ.. 1) ხელოვნურად გაკეთებული წყლის სათავსი წყლის ცხოველთა და მცენარეთა შესანახად: 2) დაწესებულება. სადაც ახდენენ ბიოლოგიურ დაკვირვებებს წყლის ცხოველებსა და მცენარეებზე.

**აქვედუკ-ი,** ლათ.. „წყალსადენი": საამშენებლო საქმეში: ხიდი. რომელიც მოწყობილია

წყლის გასაყვანად, მაგ. კლდიან ადგილებში, გზებზე და სხვ.; ბელღარი.

**აქილეხ-ი**, იხ. აქილევსი.

**აქილევს-ი** (ბერძ. აქილლეუს), ჰომიროსის ილიადის უმამაცესი გმირი, ეწოდება „ფეხმარდი აქილევსი".

**აქილევსის ამოცანა**, საბერძნეთის ფილოსოფოსის, დიალექტიკის მამამთავრის ძენონ ელეელის, ამოცანა: ფეხმარდი აქილევსი ვერასოდეს ვერ დაეწევა კუს, რომელიც ათჯერ მასზედ ნელა მოძრაობს; ამ ამოცანის გადაჭრის ცდებს შორის ცნობილია ცდები: არისტოტელის, ჯონ-სტუარტმილის და სხვათა; უკანასკნელი გენიალური ცდა ეკუთვნის საფრანგეთის ფილოსოფოსს, ანრი ბერგსონს, მოძრაობისა და დროის ახალი თეორიის ნიადაგზე.

**აქილევსის ქუსლი** — : 1) აქილევსს სხეულზე ჰქონდა მხოლოდ ერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა რაიმე იარაღით მისი დაჭრა, სახელდობრ, ქუსლი; 2) გადატ. მნიშვნ.: სუსტი ადგილი, სუსტი მხარე ხასიათისა და სხვა.

**აქსელბანდ-ი**, გერმ., სამხედრო სამკაული, რომელიც შედგება ოქროს, ვერცხლის ან ძვირფასი მატერიის ზონარებისაგან.

**აქსესუარ-ი** (ფრ. accessoire), მეორე-ხარისხოვანი მნიშვნელობის საგანი, რომელიც ემატება მთავარ საგანს; დამატებითი მორთულობა; რისამე კუთვნილება: მაგ. სათეატრო წარმოდგენის მოწყობილობა, მორთულობა.

**აქსიომა**, ბერძ.: 1) ჭეშმარიტება, რომელიც დასაბუთებას არ საჭიროებს; აშკარა ჭეშმარიტება; 2) რომლისამე დამტკიცებითი მეცნიერების უმაღლესი დებულება, რომლისაგანაც გამოიყვანება ამ მეცნიერების ყველა შუალობითად დასაბუთებული დებულებები; აქედან: **აქსიომატური** ან უკეთ **აქსიომური** — აშკარა; რაც დასაბუთებას არ საჭიროებს.

**აქსონ-ი**, ბერძ., ნერვული უჯრედის მორჩი, რომლის გზითაც აღძვრა ვრცელდება ცენტრიდანი მოძრაობით ნერვული უჯრედიდან სხვა ნერვული ან კუნთებრივი უჯრედისაკენ.

**აქტ-ი** (ლათ. აქტუს): 1) მოქმედება; 2) საზეიმო კრება სასწავლებელში; 3) ოქმი; 4) იურისპრუდენციაში: ყოველგვარი წერილობითი პირობა და აგრეთვე დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებენ იურიდიული ერთეულის დამოკიდებას ქონებისადმი; 5) დრამატიული ნაწარმოების ნაწილი; 6) ისტორიული დოკუმენტი, —საბუთი.

**აქტივ-ი**, ლათ., მთელი უძრავი და მოძრავი ქონების და აგრეთვე ფასიან ქაღალდების ჯამი, რომელიც ეკუთვნის ამა თუ იმ იურიდიულ ერთეულს, წინააღმდეგ პასივისა; ბალანსის მარცხენა მხარე (კომერციაში).

**აქტინოგრაფია**, ბერძ. ხელოვნ., ფიზიკაში: სინათლის სხივების აღწერა; აქედან: **აქტინოგრაფ-ი** — ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ზომავენ ქიმიურად მოქმედი სხივების სიძლიერეს; **აქტინომეტრ-ი** — მზის სხივების თბობითი ძალის ან ქიმიური მოქმედების გასაზომი ხელსაწყო.

**აქტიორ-ი** (ლათ.-ფრ. acteur), მსახიობი, არტისტი.

**აქტიური**, ლათ.: 1) მოქმედი, პასიურის საწინააღმდეგო; 2) სამხედრო საქმეში: აქტიური მოქმედება — თავდასხმითი; შეტევითი მოქმედება; 3) ფილოსოფიაში: აქტიური დასაწყისი — მოქმედი, მამოძრავებელი და გამაფორმიანებელი დასაწყისი მსოფლიოში, წინააღმდეგ პასიური დასაწყისისა.

**აქტრისა** (ფრ. actrice), მსახიობი ქალი.

**აქტუალური** (ლათ. actualis), ნამდვილი, ამ ჟამად მოქმედი, მოქმედებაში მყოფი, პოტენციალურის საწინააღმდეგო.

**აქტუარიუს-ი** (ლათ. actuarius), ოქმის შემდგენი, მწერალი, სამდივანმწიგნობროს მოხელე.

**აქცელერაცია**, ლათ.-ფრ. (accélération): 1) აჩქარება; სისწრაფის მომატება; 2) მექანიკაში: სისწრაფის ცვლილება დროის გარკვეული ერთეულის განმავლობაში; აქედან: **აქცელერატორ-ი**, ლათ.: 1) სწრაფმავალი ეტლი; 2) მედიცინაში: მოძრაობის ამაჩქარებელი კუნთი.

**აქცენტ-ი** (ლათ. accentus): 1) მახვილი სიტყვისა, დამყარებული: ა) ამოსუნთქვის სიძლიერეზე (ექსპირაციული მახვილი), ან ბ) ხმის ტონის სიმაღლეზე (მუსიკალური მახვილი); 2) მახვილის წერითი ნიშნაკები; 3) რომლისამე ენის (ან კილოს) გამოთქმის თავისებურობანი; აქედან: **აქცენტუაცია** — ამა თუ იმ ენის მახვილთა სისტემა.

**აქცეპტ-ი** (ლათ. acceptus), კომერციაში: 1) ვექსილის მიღება, წარწერა ვექსილზე იმის დასტურად, რომ წამწერელი ვალდებულია გაა-

ნაღდოს ვექსილი ვადაზე; აქედან: აქცეპტანტ-ი — პირი, რომელიც ვალდებულია გაანაღდოს ვექსილი; აქცეპტაცია —: 1) მიღება, 2) კომერციაში: ვექსილის მიღება.

**აქცესია** (ლათ. accessio), დანამატი; ის, რაც მთავარ საგანს დაემატება; აქედან: **აქცესიური** ხელშეკრულება, საერთაშორისო სამართალში: საერთაშორისო ხელშეკრულება, როდესაც ერთი სახელმწიფო უერთდება სხვა სახელმწიფოების მიერ უკვე მიღებულ ხელშეკრულებას; სახელმწიფოთა კავშირი, როდესაც ერთი სახელმწიფო უთმობს მეორეს მართვა-გამგეობის ძირითად უფლებებს, თუმცა სავსებით მას არ ემორჩილება.

**აქცია** (ლათ. actio-დან), ფასიანი ქაღალდი, რომლის შეძენაც მფლობელს აძლევს სააქციონერო საზოგადოების წევრობის უფლებას; აქციის შეძენა შეიძლება ყიდვით ან ძირითადი თანხის განსაზღვრული ნაწილის შეტანით საზოგადოებაში; აქცია აძლევს მფლობელს საზოგადოების საქმეთა მართვაში მონაწილეობის, შეტანილი საწევრო ფულის შესაბამად საზოგადოების მოგებით სარგებლობის და ლიკვიდაციის დროს საზოგადოების ქონების კუთვნილი ნაწილის მიღების უფლებას; აქედან: სააქციო ან სააქციონერო საზოგადოება.

**აქციდენცია** (ლათ. accidentia): 1) საერთოდ: შემთხვევითი, არა-არსებითი ნიშანი, — თვისება; 2) ფილოსოფიაში: **აქციდენციები** — საგნის არა არსებითი ნიშნები (ესენციიურის საწინააღმდეგო); აქედან: **აქციდენციური** — შემთხვევითი, არა არსებითი, მაგ. შემოსავალი, სამუშაო და სხვ.

**აქციდენტალური**, იხ. აქციდენცია, აქციდენციური.

**აქციზ-ი**, ლათ.-ფრ. (accise), არა-პირდაპირი გადასახადების ერთ-ერთი სახე; სახელმწიფოს შინაური წარმოების საგანზე დადებული გადასახადი, რომელსაც იღებენ არა პირდაპირ მომხმარებლისაგან, არამედ თვით მწარმოებლისაგან, რომელსაც შემდეგ საგნის გაძვირების სახით გადააქვს იგი მომხმარებელზე; აქციზს ადებენ, მაგ. სპირტს, თუთუნს და სხვა.

**აქციონერ-ი** (ლათ.-ფრ. actionnaire), აქციების პატრონი; სააქციონერო საზოგადოების წევრი; აგრეთვე აქციებით მოვაჭრე; აქედან: **აქციონერული** — იხ. აქცია, სააქციო.

**აღა**, თურქ., ბატონი, უფროსი; მიმართვის ფორმა; დაბალ მოხელეთა და ოფიცერთა ტიტული ოსმალეთში.

**აღალმა** ან **აგალმა**, ბერძ., მორთულობა, ქანდაკება.

**აღაპ-ი** (ბერძ. აგაპე): 1) ძველ ქრისტიანთა ძმური სერობა; 2) ძველ საბერძნეთში: სალამოს კრებები, სადაც ეძლეოდენ ვნებიერ დროსტარებას; 3) მიცვალებულის სულისმოსახსენებელი წვეულება.

**აშერა**, არამ., წმინდა ხე, რომლის თაყვანისცემა დიდ როლს თამაშობდა ქანაანის რელიგიაში.

**აშუღ-ი**, არაბ., „შეყვარებული", ხალხური მგოსანი, რომელიც ამღერებს თავის ლექსებს რაიმე საკრავზე, მაგ. თარზე; ცნობილია აშუღი საიათნოვა (18 ს.), ჰაზირა (1845-1922) და სხ.

**აშოკა**, ჩრდ. ინდოსტანის მფლობელი (III ს. ქ. წ.), ცნობილია ბუდიზმის გავრცელების ხელის შეწყობით; მის დროს ეკუთვნის უძველესი წარწერა ინდურ ენაზე.

**აცეტილენ-ი**, ლათ.-ბერძ., ხელოვნ.: უფერული მკვეთრი სუნის აირი (გაზი); ფართოდ გამოყენებულია, როგორც გასანათებელი საშუალება.

**აცეტომეტრ-ი**, ლათ.-ბერძ., ხელოვნ.: ძმრის სიძლიერის საზომი ხელსაწყო.

**აცეტონ-ი**, ლათ., ხელოვნ., ძმრის სპირტი.

**აცტეკები** (მრავლ.), ჩრდილო ამერიკის ერთ-ერთი ადგილობრივი ტომი, რომელმაც XIV საუკ. დაარსა ქალაქი მექსიკო; სხვა ქალაქებთან ერთად აცტეკებმა შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, კულტურით მაღალ საფეხურზე მდგომი; ისპანიის მიერ მათი დაპყრობის შემდეგ გადარჩა მხოლოდ მათი ნაწილი.

**ახერონ-ი** ან უკეთ **აქერონ-ი**, მდინარეა ჩრდ. საბერძნეთში, რომელიც მითოლოგიით ითვლებოდა ქვესკნელის ერთ-ერთ მდინარედ, რომელზედაც უნდა გადასულიყვნენ მიცვალებულთა სულები.

**ახილეს-ი**, იხ. აქილევსი.

**აჰრიმან-**, იხ. ანგრო-მაინიუ.

**აჰურა-მაზდა** ან უკეთ **აჰურა-მაზდაჰ-ი**, ავესტ., ძველ სპარსელთა უზენაესი ღვთაება, სინათლისა და კეთილის ღმერთი; იგივეა, რაც ორმუზდი.

# ბ

**ბაალ-ი,** სემიტ., „ბატონი“, „უფალი“; წარმართ სემიტელთა ღვთაება ძველად, თავდაპირველად სინათლის ღმერთი, შემდეგ — ქვეყნის გამჩენი და განმანაყოფიერებელი ღმერთი; გადატანითი მნიშვნ.: ღმერთი ოქროსა და სიმდიდრისა.

**ბაბილონ-ი** (Babylon), უძველესი ქალაქი მესოპოტამიაში მდინარე ევფრატზე, აშენდა 4000 წლის წინეთ ქრისტემდე; ბაბილონეთის სამეფოს სატახტო ქალაქი; განთქმული იყო უდიდესი კედლებით, სასახლეებით, ტაძრებით და სხვ.; აქედან: **ბაბილონის გოდოლი** — ბიბლიით: ნოეს შთამომავლობა აშენებდა უდიდეს კოშკს, ცამდე მაღალს, მაგრამ ღმერთმა აურია მშენებელთ ენა, რის გამოც მათ აღარ ესმოდათ ერთმანეთის და გაიფანტნენ სხვადასხვა ქვეყნებში; გადატან. მნიშვნელობით: ენათა აღრევა, ურთიერთ გაუგებრობა, არეულ-დარეულობა.

**ბაბეფ-ი,** გრაკხ (Babeuf, Gracchus: 1760 — 1797), საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, კომუნისტი და რევოლუციონერი; დასჯილ იქნა სიკვდილით.

**ბაბიდები ან ბაბისტები** (მრავლ.), სპარსელი რეფორმატორი **ბ ა ბ ი ს** (1820 — 1850) მიმდევარნი.

**ბაბუ,** ტიტული პატივსაცემი მამაკაცისა ინდოეთში; ქართულად: ბატონი, ბატონო.

**ბაბუვიზმ-ი,** ბაბეფის უტოპიური კომუნისტური მოძღვრება; აქედან: **ბაბუვისტები** — ამ მოძღვრების მიმდევარნი.

**ბაგაჟ-ი,** ფრ., სამგზავრო ან სალაშქრო ბარგი.

**ბაგეტ-ი** (ფრ. baguette), ხის ვიწრო ფირფიტა, უფრო ხშირად მოჩუქურთმებული ან მოვარაყებული, — იხმარება ჩარჩოებისათვის, კედლების შესამკობად ოთახში და სხვ.

**ბავარდაჟ-ი,** ფრ., ხმამაღალი ლაყბობა.

**ბაზა,** ბერძ.: 1) ფუძე, დასაყრდნობი წერტილი; 2) ლაშქრობაში: ის ადგილი, სადაც მოთავსებულია სათადარიგო ჯარები, იარაღისა და სანოვაგის მარაგი და სხვ.

**ბაზალტ-ი,** ლათ., ვულკანური წარმოშობის შავი ფერის ქანი.

**ბაზარ-ი,** სპ., სავაჭრო, საღებ-მიცემო ადგილი.

**ბაზედოვის სენი,** ექიმი ბაზედოვის მიერ (1840 წ.) გამოკვლეული სენი, რომელსაც ახასიათებს ჩიყვიანობა და თვალების ჭყეტა.

**ბაზელის კონგრესი:** 1) პირველი ინტერნაციონალის მეოთხე ყრილობა ქ. ბაზელში 1869 წ.; 2) მეორე ინტერნაციონალის ყრილობა ქ. ბაზელში 1912 წ. ბალკანეთის ომთან დაკავშირებით: ერთხმად მიღებული სოციალისტური მანიფესტით ყრილობამ მოუწოდა ყველა ქვეყნის პროლეტარიატს ომის ჩაშლისათვის.

**ბაზილევს-ი** ან უკეთ **ბასილევს-ი,** ბერძ.: 1) მეფე; 2) ერთერთი არქონტის სახელწოდება ძვ. ათინაში (საბერძნ.), განაგებდა სასულიერო საქმეებს.

**ბაზილიკა ან ბასილიკა,** ბერძ.-ლათ.: 1) თავდაპირველად: მეფის საცხოვრებელი ბინა; 2) შემდეგ: შენობა, სადაც მოქალაქენი თათბირობდნენ, ასამართლებდნენ, აწყობდნენ მხატვრობის ნაწარმოებთა გამოფენებს და სხვ. 3) იმპერ. კონსტანტინეს დროს ბაზილიკები გადაკეთებულ იქნა ქრისტ. ტაძრებად; აქედან წარმოიშვა თავისებური აგებულობის ეკლესიები ბაზილიკის ფორმისა.

**ბაზის-ი,** ბერძ.: 1) სვეტის საფუძველი; 2) სამხედრო ხელოვნებაში: **საოპერაციო ბაზისი** — ადგილი, რომელიც წარმოადგენს სამხედრო მოქმედების გამოსავალ წერტილს.

**ბათომეტრ-ი,** ბერძ.: 1) წინეთ: სიღრმის საზომი იარაღი; 2) ეხლა: წყლის ნიმუშების ამოსაღები ხელსაწყო სიღრმიდან და ტემპერატურის საკვლევი იარაღი სიღრმეში.

**ბაიადერები** (მრავლ.), პორტ., ინდოელი საჯაროდ მომღერალ-მოცეკვავე ქალები, ზოგნი მათგანნი იმყოფებიან ტაძრებთან, ხოლო ზოგნი მოგზაურობენ სხვადასხვა ადგილას და ხელმისაწვდომნი არიან კერძოდ დროს ტარებისათვის.

**ბაიკა,** ინგ.-რუს., მაუდის მსგავსი ქსოვილი: მატყლისა, ნახევრად მატყლისა ან ბამბეულის, რომლის ორივე მხარე ხაოთია დაფარული.

**ბაიონეტ-ი** (ფრ. bayonnette), შუბი.

**ბაირამ-ი**, თურქ., მუსულმანთა ორი მთავარი სარწმუნოებრივი დღესასწაულის სახელწოდება: დიდი ბაირამი და მცირე ბაირამი.

**ბაირახტარ-ი** (თურქ.-სპ. ბაირაქდარ), მედროშე; მეთაური, წინამძღოლი.

**ბაირონ-ი** (Byron, 1788—1824), ინგლისის შესანიშნავი პოეტი, პიროვნების საზოგადოებისაგან დამოუკიდებლობის მომღერალი; მის შემოქმედებაში გამოხატულია მისი პირადი ფრიად რთული განცდები; დამახასიათებელია: უკმაყოფილება გარემო პირობებით, სასოწარკვეთილება და პროტესტის სული; გარდაიცვალა საბერძნეთში, სადაც გაემგზავრა საბერძნეთის დამოუკიდებლობის იდეით გატაცებული აჯანყებულ ბერძენთა დასახმარებლად. მრავალ შესანიშნავ ლექსებს გარდა, დიდ ნაწარმოებთაგან განთქმულია მისი: „ჩაილდ-ჰაროლდი", „მანფრედი", „კაენი", „დონ-ჟუანი" და სხვ.; ზოგიერთი მათგანი თარგმნილია ქართულად.

**ბაირონიზმ-ი**, ასე ეწოდება ბაირონის სახელთან დაკავშირებულს ლიტერატურულ-საზოგადოებრივ სულიერ განწყობილებასა და მიმდინარეობას XIX ს. პირველ მესამედში, რასაც ახასიათებს: სასოწარკვეთილება, პიროვნების თაყვანისცემა, მსოფლიო სევდა, წარსულისა და საერთოდ შორეულის გაიდეალება და მისდამი მისწრაფება; ბაირონიზმი დაკავშირებულია საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიულ რეაქციასთან და სამრეწველო კაპიტალიზმის გაძლიერებასთან.

**ბაკალავრ-ი** (საშ. საუკ. ლათ. baccalaureus), ასე ეწოდება ევროპაში პირველს (უდაბლეს) სამეცნიერო ხარისხს,— ასეთი ხარისხის მიმღებს.

**ბაკალი-ი**, იხ. ბოკალი.

**ბაკენბარდ-ი,-ები** (გერმ. Backenbart), ლოყებზე მოშვებული წვერი.

**ბაკბორტ-ი**, ჰოლ., გემის მარცხენა კიდე (ბორტი).

**ბაკტ-**, იხ. ბაქტ-.

**ბაკუნიზმ-ი**, ასე ეწოდა თანამედროვე ანარქიზმის (იხ.) ერთერთი მამამთავრის, ბაკუნინის (1814—1876), მოძღვრებას, რომლის მთავარი დებულებებია: სავსებით უარყოფა სახელმწიფოებრიობისა (გარდამავალი ფორმისაც კი), უარყოფა პოლიტიკური ბრძოლისა და უარყოფითი დამოკიდებულობა მუშათა კლასის დიქტატურისადმი; აქედან: **ბაკუნისტები** (მრავლ.)— ბაკუნინის მიმდევარნი.

**ბაქქ-ი** (ბერძ. ბაკქოს), **ბახუს-ი** ან უკეთ **ბაკქუს-ი** (ბერძ.-ლათ. ბაკქუს): 1) ძველ ბერძენთა (და შემდეგ რომაელთა) ღვთაება, რომელმაც ასწავლა მათ ღვინის კეთება და სმა; ღვინის ღმერთი; აქედან: **ბაკქანალია** (მრავლ.) — ბაკქუსის საპატივცემო დღესასწაული, თავაშვებული დროსტარება ძველს იტალიაში; **ბაკქანტ-ი** — ასეთი დღესასწაულებისა და დროსტარების მონაწილე; 2) **ბაკქი**, ლექსთაწყობაში: სამმარცვლიანი მუხლი, რომელშიაც პირველი მარცვალი მოკლეა (ან უმახვილო), ხოლო მომდევნო ორი — გრძელი (ან მახვილიანი). იხ. ანტიბაკხი.

**ბალაგან-ი**, თათრ., სახელდახელოდ აგებული შენობა სხვადასხვა მიზნებისათვის (სავაჭროდ, სახელოსნოდ, საწყობად და სხვ.), განსაკუთრებით დაბალი ხარისხის, ტლანქი გასართობებისათვის.

**ბალადა** (ძვ. პროვან. ბალლადა): 1) ძველი პროვანსის (საშ. საუკ.) პოეზიაში: პატარა მარტივი საცეკვაო სიმღერა; 2) ახლა: პოეტური მოთხრობა ლექსად, რომლის შინაარსიც აღებულია ხალხური გადმოცემებიდან. ზღაპრებიდან და ან ისტორიიდან.

**ბალალაიკა**, რუსული ხალხური სამ-სიმიანი სამუსიკო ინსტრუმენტი.

**ბალანიტ-ი**, ბერძ. ხელოვნ., სასქესო ორგანოს თავის მწვავე ანთება.

**ბალანოგლოს-ი** (balanoglossus), ზღვის ცხოველთა ერთი გვარია ნაწლავ-მსუნთქავის კლასისა.

**ბალანს-ი** (ფრ. balance): 1) წონასწორობა; 2) შემოსავალ-გასავლის შეწონასწორება, საბოლოო ანგარიშის გამოყვანა; აქედან: **ბალანსირ-ი** —: 1) ორმხრივანი ბერკეტი, რომელიც ქანაობს ყრდნობის წერტილზე; 2) მთავარი რეგულატორი საჯიბე საათში ან ქრონომეტრში (იხ.); **ბალანსირება** — ძალის-ხმევა წონასწორობის შესანარჩუნებლად.

**ბალასტ-ი** (კელტ.-ინგლ. ballast): 1) სამძიმი, რომელიც ანიჭებს გემს მდგრადობას; 2) **გზის ბალასტი** — ხრეში; რკინის-გზის ზედა ფენი. რომელზედაც იდება შპალები და რელსები; 3) გადატ. მნიშვნ.: ზედმეტი რამ საგანი.

**ბალატიროვკა**, იხ. ბალოტიროვკა, ბალოტირება.

**ბალდახინ-ი**, (არაბ.-იტ. baldacchino), საჩრდილობელი, გადასაფარებელი წარჩინებულ პირთა ტახტზე, სარეცელზე და სხვ.; აგრეთვე, ძიცვალებულთა გასასვენებელ ეტლზე გადასაფარებელი.

**ბალდურ-ი** ან **ბალდრ-ი**, სკანდინავიის მითოლოგიით: ოდინის ვაჟი, ერთერთი აზთაგანი — კეთილი და უწყინარი; მოკლა ძმამ.

**ბალერინა** ან უკეთ **ბალერინ-ი**, (ლათ.-ფრ. ballerine), მოცეკვავე, ბალეტში მონაწილე ქალი.

**ბალეტ-ი** (ფრ. ბალლეტ), სათეატრო წარმოდგენა, რომელიც შედგება ცეკვისაგან და უსიტყვო მოქმედებისაგან მუსიკის აყოლით; აქედან: **ბალეტომან-ი** — ბალეტის ძლიერ მოყვარული, ბალეტით გატაცებული; **ბალეტმეისტერ-ი** — ბალეტის შემდგენელი ან ხელმძღვანელი.

**ბალზაკ-ი** (Honoré de Balzac), საფრანგეთის რომანისტი 19 ს. პირველ ნახევარში, ერთი პირველ რეალისტთაგანი ფრანგ. მწერლობაში.

**ბალზამ-ი**, ბერძ.: 1) სქელი კეთილსურნელოვანი ფისისებრი ნივთიერება; 2) კეთილსურნელოვანი ზეთებისა და სპირტების შენაერთი; 3) გადატ. მნიშვნ.: ყოველგვარი სამკურნალო საშუალება; შვება, ნუგეში; აქედან: **ბალზამირება გვამისა** — სათანადო ზომების მიღება, რომ გვამი დაცულ იქნეს გახრწნა-ლპობისაგან.

**ბალ-ი**: 1) იტ. ბალლო: საცეკვაო საღამო; 2) ფრ. balle: საარჩევნო კენჭი, — ბირთვი, ამრჩევლის ხმა; 3) ციფრით აღნიშვნა რაიმე ხარისხისა, მაგ. მოწაფის წარმატებისა, ქარის სიძლიერისა, ზღვის ღელვის ხარისხისა და სხვ.

**ბალისტა**, ბერძ.-ლათ. (ბალლისტა), ძველი (საბერძ. და რომში) საალყო იარაღი, ქვებისა და შუბების სასროლი; აქედან: **ბალისტიკა** — მოძღვრება ტყვია-ყუმბარის სროლის კანონების შესახებ.

**ბალიუსტრადა**, იხ. ბალუსტრადა.

**ბალკანეთის** ან უკეთ **ბალკანის ნახევარკუნძული**, ევროპის სამხრ.-აღმოსავლეთის ნაწილი, სადაც მდებარეობს ოსმალეთის ნაწილი, ბულგარეთი, საბერძნეთი, სამხრეთ-სლავია და ალბანია.

**ბალ-მასკარად-ი**, იხ. ბალი (1.) და მასკარადი.

**ბალმონტ-ი** (Бальмонт), თანამედროვე რუსი პოეტი (დაიბ. 1867 წ.), სიმბოლისტი (იხ.); სხვათა შორის ცნობილია, როგორც შესანიშნავი მთარგმნელი რუსთაველის უცხო (დასავლ. და აღმოსავლ.) მწერლობათა; მან თარგმნა „ვეფხისტყაოსანი-“ს ნაწილი.

**ბალნეოლოგია**, ლათ.-ბერძ., ხელოვნ., მკურნალობის ერთ-ერთი დარგი, რომელიც ეხება ბუნებრივ სამკურნალო წყლებსა და ტალახს; ამ დარგთანაა დაკავშირებული: ბალნეოგრაფია, ბალნეოდიეტეტიკა, ბალნეოთერაპია, ბალნეოფიზიკა და ბალნეოქიმია. (იხ. ცალ-ცალკე ხაზგასმულები).

**ბალონ-ი** (ფრ. ბალლონ): 1) საერთოდ: ბირთვისებრი ბოთლი სხვადასხვა მაგარი მჟავების შესანახავად; 2) ჰაერო-ფრენოსნობაში: აირ-შეუვალი ქსოვილისაგან გაკეთებული გარსი, რომელშიაც იმყოფება მსუბუქი აირი (წყალბადი, სანათი აირი და სხვა); 3) ტექნიკაში: აირის შესანახავი სათავსი; აქედან: **ბალონეტ-ი** — აეროსტატის შიდა გარსი, ჰაერით გავსებული.

**ბალოტაჟ-ი** (ფრ. ballotage): 1) პირვანდელი მნიშვნელობით: კენჭით ხმის მიცემა; 2) ხმის უმრავლესობით ვისიმე არჩევა ან რისამე გადაწყვეტა.

**ბალოტირება** (ფრ.-გერმ. ballotieren), იგივეა, რაც ბალოტაჟი (იხ.).

**ბალოტიროვკა** ან უკეთ ბალოტირება, ბალოტაჟი (იხ.).

**ბალტიკური ენები**, ასე ეწოდება ინდო-ევროპული ოჯახის იმ ენებს (ძველ-პრუსიულს, ლიტაურ და ლატვიურს), რომელზედაც მეტყველობენ ბალტიის ზღვის სამხრ.-აღმოსავლეთ ნაპირზე ძველთაგანვე მოსახლე ხალხები; მათ შორის ძველი პრუსიული გადაშენდა 17 ს. ქ. შ., დანარჩენები ცოცხლობენ.

**ბალუსტრადა** (ბერძ.-ფრ. balustre-საგან), ხის, ქვის ან ლითონის მოაჯირი აივანზე, კიბეზე და სხვ.

**ბალუჯი**, ასე ეწოდება ნარევი წარმოშობის ხალხს, რომელიც მოსახლეობს ბალუჯისტანის, ავღანისტანის და სპარსეთის ნაწილებში; ენა ირანული წარმოშობისა აქვსთ.

**ბამბაზია** (ევროპ., რუს. бумазея), ბამბეულის ხაოიანი თბილი ქსოვილი.

**ბალშევიზმ-ი,** იხ. ბოლშევიზმი.

**ბამბუკ-ი,** მალ., ლერწმის ერთი გვარი, რომლისაგანაც აკეთებენ სხვადასხვა ავეჯეულებას.

**ბანალური** (ფრ. ბანალ), ნამეტნად ჩვეულებრივი, გაცვეთილი, რასაც დაკარგული აქვს პირვანდელი სიახლისა და ორიგინალობის ხასიათი.

**ბანან-ი** (ისპ.?), გემრიელ ნაყოფიანი მრავალ-წლოვანი ტროპიკული მცენარე.

**ბანდა,** იტ.-ფრ. (bande): 1) საშ. საუკუნოებში: თავგადასავლის მაძებართაგან შედგენილი რაზმი; შემდეგ: ბრბო, იარაღიან ყაჩაღთა გუნდი; 2) ჩასაბერ-საკრავებიანი სამუსიკო გუნდი.

**ბანდაჟ-ი** (ფრ. bandage), არტახი: 1) ქირურგიაში: მოწყობილობა ამა თუ იმ ორგანოს განსაზღვრულ მდგომარეობაში დასაკავებლად; 2) ტექნიკაში: ფოლადის ფერსო ვაგონის ან ორთქლმავალის : ბორბალზე; აქედან: **ბანდაჟისტ-ი** — ბანდაჟის (1.) მკეთებელი.

**ბანდეროლ-ი** (ფრ. banderole): 1) საშ. საუკუნოებში: ლენტი სურათებზე, ქანდაკებებზე და სხვ. მხატვრის ან მოქანდაკის გვარის წარწერით; 2) საგანზე დაკრული ნიშანი, რომელიც ადასტურებს, რომ საბაჟო გადასახადი გადახდილია; 3) გარეკანი, რომელიც იხმარება მსუბუქი ნივთების (წიგნების და სხვ.) ფოსტით გადასაგზავნად; აქედან: **ბანდეროლიანი ამანათი** — ასეთ-გარეკანიანი ან დაუხურავ კონვერტში ჩადებული ამანათი.

**ბანდიტ-ი** (იტ. ბანდიტო): 1) პირვანდელი მნიშვნ.: გაძევებული; 2) ავაზაკი, დაქირავებული მკვლელი; აქედან: **ბანდიტიზმ-ი** — ბანდიტობა, ავაზაკობა, ყაჩაღობა.

**ბანდო** (ფრ. bandeau), ქალის სამკაული ოაიმე ქსოვილისაგან თავზე ან ტანსაცმელზე.

**ბანდურა,** იტ., უკრაინული სამუსიკო ინსტრუმენტი, ბალალაიკის მსგავსი, მაგრამ მრავალსიმიანი (8 — 24-მდე), იგივეა, რაც კობზა (იხ.); აქედან: **ბანდურისტ-ი** — ბანდურზე დამკვრელი.

**ბან-ი,** სლავ., ოლქის მმართველის ტიტული სამხრეთ-სლავებში.

**ბანკა,** სლავ., ყელფართო მინის ან თიხის ჭურჭელი; ქილა.

**ბანკა** ან უკეთ **ბანკ-ი** (გერმ. Bank): 1) მეჩეჩი ზღვაში; 2) გრძელი სკამი ნავში.

**ბანკეტ-ი:** 1) ფრ. banquet: საზეიმო ნადიმი, რომლისამე პირის პატივსაცემად ან რაიმე შემთხვევის აღსანიშნავად; 2) ფრ. banquette: მიწაყრილით ან ქვაყრილით ამაღლებული მოედანი თოფის სასროლად.

**ბანკ-ი,** იტ.-ფრ.: 1) ხელისუფლების მიერ დამტკიცებული წესდებით ან მისი ხელმძღვანელობით არსებული დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ფულისა და საპროცენტო ოპერაციებს; 2) ქაღალდის ერთგვარი აზარტიანი თამაში; აქედან: **ბანკირ-ი** — ბანკის პატრონი ან ხელმძღვანელი; **ბანკნოტ-ი** — ბანკის ბარათი, ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი.

**ბანკროტ-ი** (ფრ. banqueroutier), შეუძლებელი მოვალე, ვალის ვერ გადამხდელი; ვინც ცნობილ იქნა ვალის ვერ გადამხდელად; კოტრი, გაკოტრებული.

**ბანტუ,** ასე ეწოდება ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის ნეგრთა ტომებს, რომელთა ენებიც წარმოადგენს ენობრივად ერთ დიდ ოჯახს ენებისას იმავე (ბანტუ) სახელწოდებით.

**ბაობაბ-ი,** უზარმაზარი ხის ჯიში (სისქით 6 — 7 მეტრ.), იზრდება აფრიკაში და სძლებს რამდენიმე ათას წელს; მისი ფოთლები და ნაყოფი იჭმება.

**ბაპტისტები,** მრავლ. ბერძ., მიმდევარნი ერთ-ერთი თანამედროვე ქრისტიანული სექტისა, რომელიც უარყოფს საეკლესიო ზოგიერთ წესებს და ბავშვების ნათვლას, რადგან ბავშვებს არ შეუძლიათ შეგნებულად მიიღონ ქრისტიანობა; ეს სექტა ჩაისახა ინგლისში 17 საუკ. დასაწყისში.

**ბაპტისტერი,** ბერძ.: 1) ძველ საბერძნეთისა და რომში — აბანოს თბილი განყოფილება; 2) ქრისტიანულ ეპოქაში — საგანგებო შენობა, სადაც ნათლავდნენ; აქედან: ასეთი შენობის ფორმა ხუროთმოძღვრებაში — მრგვალი ან რვაწახნაგოვანი.

**ბარაბან-ი,** თურქ.-რუს., დაფი, დოლი: 1) მუსიკაში: ერთი უძველესთაგანი დარტყმითი საკრავი; 2) იხმარება ტექნიკაში და ხუროთმოძღვრებაში.

**ბარაკ-ი** (ისპ. ბარრაკა), სახელდახელოდ აშენებული მსუბუქი შენობა სასწრაფოდ და მცირე ხნით ვისიმე მოსათავსებლად, მაგ. დაჭრილთა, ავადმყოფთა, მომუშავეთა და სხვ.

**ბარბარიზმ-ი,** ბერძ., სიტყვის ან მეტყველების ისეთი ფორმა, რომელიც უჩვეულოა ამ ენი-

სათვის და წარმოადგენს სხვა ენის კუთვნილებას; საერთოდ: ნასესხები სიტყვები.,

**ბარბარის-ი** (berberis), ბალის ბუჩქნარი (სილნარი), მჟავე და წითელ-ნაყოფიანი.

**ბარბაროს-ი**, ბერძ.: 1) პირვანდელი მნიშვნელობით — ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები ყველა უცხოელს, რომელიც ვერ ლაპარაკობდა ბერძნულად; 2) შემდეგ: ტლანქი, ველური, სასტიკი, უკულტურო; აქედან: **ბარბაროსობა** — ველურობა და სხვ.; **ბარბაროსული** — ბარბაროსის ხასიათის მქონე.

**ბარბეტ-ი** (ფრ. barbette), მიწაყრილი ციხესიმაგრეებში ზარბაზნებისათვის.

**ბარდები** (მრავლ., კელტ. bard „პოეტი"), კელტური ტომების (დასავლ. ევროპ.) ხალხური მგოსნები და მომღერლები ძველად; ბარდები ასრულებდნენ სხვადასხვა სარწმუნოებრივსა და პოლიტიკურ მოვალეობასაც და ჰქონდათ დიდი გავლენა.

**ბარელიეფ-ი** (ფრ. bas-relief), ამობურცვით საქანდაკები; ამობურცული გამოსახულება რაიმე საგნისა — გიპსისაგან, თიხისაგან, მარმარილოსაგან და სხვ.

**ბარეჟ-ი** (ფრ. barège), მსუბუქი ნახევრადგამჭვირვალე ქსოვილი მატყლისა.

**ბართლომეს ღამე ანუ პარიზის სისხლიანი ქორწილი** — ასე ეწოდა პროტესტანტების (ჰუგენოტების) ჟლეტას პარიზში (24 აგვ. 1572 წ.), დახოცილ იქნა 30.000 კაცამდე; მოხდა ჰენრიხ სავარიელისა და მარგარიტა ვალუას ქორწილის დროს.

**ბარ-ი**, ინგლ.: 1) ნარიყი მეჩეჩი მდინარის ზღვასთან შესართავში; 2) პატარა რესტორანი; 3) ბერძ. (barys „მძიმე") — ატმოსფერული წნევის ერთეული; 4) ინგ. barry: ამერიკული ვაზი, ფრიად ნაყოფიერი და ტკბილ-ნაყოფიანი.

**ბარი** (ბერძ. barys-იდან), ერთერთი ქიმიურ ელემენტთაგანი; აქედან: **ბარიტ-ი** ანუ **მძიმე შპატი** — საკმაოდ გავრცელებული მინერალი, იხმარება საღებავებისათვის და სხვ.; მოიპოება ინგლისში, უნგრეთში და, სხვათა შორის, საქართველოში (მაგ. ლეჩხუმში).

**ბარიბალ-ი**, ამერიკული დათვი.

**ბარიერ-ი** (ფრ. barrière): 1) საერთოდ: დაბრკოლება, თარჯი; 2) რიკულის, მოაჯირის ან მესერის სახით დაბრკოლება, მაგ. გზებზე; 3) სიმაგრიდან გამოსასვლელის დამკეტი კარები.

**ბარიკადები** (მრავლ., ფრ. მხ. barricade), სახელდახელოდ ქუჩებზე აგებული სიმაგრე შემთხვევითი საგნებისაგან (ქვისა, მიწისა, ავეჯეულობისა და სხვ.), უმეტეს ნაწილად აჯანყების დროს.

**ბარისტერ-ი** (ინგლ. barrister), ვექილი, რომელსაც უფლება აქვს დაიცვას საქმე ინგლისის უზენაეს სასამართლოში.

**ბარისფერო**, ბერძ. ხელოვნ., გეოლოგიაში: მიწის ცენტრალური გული.

**ბარიტონ-ი** (ბერძ. barytonos): 1) მამაკაცის საშუალო ხმა, მაღალი ბანი, რომელიც ესატყვისება მეცო-სოპრანოს ქალის ხმებში; 2) ზოგიერთი ჩასაბერი სამუსიკო საკრავის სახელწოდება.

**ბარიცენტრ-ი**, ბერძ. ხელოვნ., სიმძიმის ცენტრი.

**ბარკა**, იტ.-ფრ. (barque), იალქნიანი სატვირთო ნავი, ბრტყელ-ფსკერიანი.

**ბარკას-ი** (ისპ. barcaza), იალქნიანი ან ორთქლმავალი დიდი ნავი.

**ბარკაროლა**, იტ., მენავეთა სიმღერა; მუსიკაში: სიმღერის ერთ-ერთი ფორმა — ხმისათვის ან ფორტეპიანოსათვის.

**ბარნაბიტები** (მრავლ.), კათოლიკე ბერთა ორდენი (დაარსებ. მილანში 1530 წ.), რომელნიც ატარებენ სათნოიან ცხოვრებას: უვლიან ავადმყოფებს, ასწავლიან ახალგაზრდობას და სხვ.

**ბაროთერმომეტრი**, ბერძ. ხელოვნ., ხელსაწყო ჰაერის წნევის გამოსაკვლევად წყლის დუღილის ტემპერატურის მიხედვით.

**ბარომეტრ-ი**, ბერძ. ხელოვნ., ატმოსფერული წნევის ან ჰაერის დრეკადობის საზომი ხელსაწყო; აქედან: **ბაროგრამა** — თვითმწერი ბარომეტრის მიერ დაწერილი მრუდი; **ბაროგრაფ-ი** — თვითმწერელი ბარომეტრი.

**ბაროკო** (ბაროკკო), ევროპის მხატვრული სტილი ხელოვნებაში აღორძინების დასასრულიდან 18 საუკუნემდე; დამახასიათებელია: ზვიადობა, მედიდურობა, დეკორატიული წვრილმანების სიჭარბე და სიმძიმე.

**ბარონ-ი**, ევროპ., აზნაურის ტიტული დას. ევროპაში, საშუალოა უბრალო აზნაურსა და უფრო მაღალ ხარისხებს შორის (მაღალი ხარის-

ხებია: ჰერცოგი, მარკიზი, გრაფი); აქედან: **ბარონესა** — ბარონის ცოლი ან ქალი; **ბარონეტ-ი** — აზნაურის ტიტული ინგლისში.

**ბარჟა ან ბარჟ-ი** (ფრ. barge). სატვირთო ბრტყელ-ფსკერიანი საბუქსირო (იხ. ბუქსირი) ნავი; თვითმავალი — მიმდინარეობის მიმართულებით.

**ბასეინ-ი** (ფრ. bassin): 1) წყლის საცავი, აუზი; 2) ფიზიკურ გეოგრაფიაში: მიწის მოედანი, რომელიც შეიცავს მდინარეს ან ტბას ყველა მათი შენაკადებით; 3) განსაზღვრულ ქანოა (მთის ჯიშთა) გავრცელების არე.

**ბას-ი** (იტ. basso): 1) მამაკაცის დაბალი ხმა; 2) სამუსიკო ინსტრუმენტი, რომელიც ანსამბლში ასრულებს დაბალ ხმას; 3) ჰარმონიაში: აკორდის (იხ.) ძირითადი ნოტი.

**ბასკაკ-ი**, თურქ., დამორჩილებულთაგან ხარკის ამკრები თათრის მოხელე.

**ბასკები** (მრავლობ.), უძველესი ტომის ნაშთი დასავლ. პირენეის მთებში; ნაწილი საფრანგეთშია (115.000), ნაწილი ისპანიაში (440.000); აკად. ნ. მარრის აზრით, ბასკები ენათესავებიან, სხვათა შორის, კავკასიურ ხალხებს, მათ შორის ქართველებსაც.

**ბასმა**, თურქ.: 1) ოსმალური ჩითი; 2) თათრის ხანის გამოსახულება.

**ბასტა**, იტ., კმარა.

**ბასტარდ-ი** (ძველი ფრ. bastard. ახალი ფრ. bâtard): 1) პირვანდელი მნიშვნელობით: უკანონო, ქორწინების გარეშე დაბადებული; 2) ბიოლოგიაში: სხვადასხვა სახის ცხოველთა ან მცენარეთა შეერთების (გადაჯვარედინების) ნაყოფი; 3) ამღვრეული ფერის ქარვა; 4) დაბალი ხარისხის შაქრის ფხვნილი (ბადაგისაგან მიღებული).

**ბასტილია ან უკეთ ბასტილ-ი** (ფრ. bastille „ციხე, სიმაგრე"), სახელმწიფო საპყრობილე პარიზში; როგორც სიმაგრე, აშენებულია 14 საუკუნეში; აჯანყებულმა ხალხმა დაამხო 14 ივლისს 1789 წ. (=საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისს). ბასტილიის აღების დღე ითვლება საფრანგეთის სადღესასწაულო დღედ.

**ბასტიონ-ი**, ფრ., ციხე-სიმაგრის გამოწეული ნაწილი.

**ბასტონად-ი** (იტ.-ფრ. bastonnade), ზურგსა და ფეხის ქუსლებში ჯოხის ცემით დასჯა.

**ბატალიონ-ი** (ფრ. bataillon). ოთხი როტისაგან შედგენილი სამხედრო რაზმი, ათასეული.

**ბატალური მხატვრობა** (ფრ. bataille „ბრძოლა, შებმა, შებრძოლება"), ისეთი მხატვრობა, რომლის შინაარსიც აღებულია სამხედრო მოქმედებიდან; აქედან: **ბატალისტ-ი** — ბატალურ მხატვრობაში დახელოვნებული მხატვარი.

**ბატარეა** (ფრ. batterie): 1) სამხედრო საქმეში: ერთ ადგილას მოქმედ ზარბაზანთა ერთობლიობა; საარტილერიო ერთეული (იხ. არტილერია). ზარბაზანთა ჯგუფი; ზარბაზანთა კრებული გემის ბანზე; 2) ფიზიკაში: გალვანურ ელემენტთა სხვადასხვაგვარი (მიმდევრობითი, პარალელური და შერეული) შეერთება (გალვანური ბატარეა): ლეიდენის ბანკების (ქილების) შეერთება.

**ბატისტ-ი** (ფრ. batiste). თხელი, ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილი სელისა ან ბამბისა.

**ბატომეტრ-ი**, იხ. ბათომეტრი.

**ბატრაკ-ი**, თათრ.-რუს., დაქირავებული მუშა სოფლის მეურნეობაში, ბოგანო გლეხი, თავისი მეურნეობის არამქონე (საბჭოთა ქვეყნებში ბატრაკები შედიან მიწაწყლის მუშაკთა კავშირში).

**ბაუერ-ი, ოტტო** — ავსტრიის სოციალდემოკრატიის თეორეტიკოსი და ბელადი; ერთერთი მისი შრომათაგანია „ეროვნული საკითხი და სოციალდემოკრატია".

**ბაქტერია** (ბერძ. ბაკტერია „ჯოხი"), უიარაღო თვალით უხილავი (მიკროსკოპული) ცოცხალი არსება. გავრცელებული ყველგან (ჰაერში, წყალში, მიწაში); ბაქტერიები არიან გამომწვევნი დუღილისა, ლპობა-ხრწნისა და გადამდებ სნეულებათა; არსებობს მრავალი სხვადასხვა ფორმის ბაქტერიები, რომელთაც ჰყოფენ სამ ჯგუფად: კოკკები (coccus). ბაცილები (bacillus) და სპირილები (spirillum). იხ. ესენი.

**ბაქტერიოლოგია** — მეცნიერება ბაქტერიების შესახებ.

**ბაქტრია** (ბერძ. ბაკტრია) ან **ბაქტრიანა** (ბერძ. ბაკტრიანე), აზიის ძველი ქვეყანა, რომლის მთავარი ქალაქი იყო ბაქტრა (ახლა ბალხ-ი): ბაქტრიელები ეკუთვნოდნენ ინდო-ირანულ ტომს.

**ბაშიბუზუკები** (მრავლ. თურქ. „თავზე-ხელაღებულები"). ასე ეწოდება ოსმალეთის ლაშქარში გაუწვრთნელ რაზმებს, შედგენილს უმთავ-

რესად ალბანელთა და მცირე აზიის მცხოვრებთაგან; ცნობილნი არიან უდისციპლინობით და მშვიდობიან მცხოვრებთა ძარცვა-გლეჯით.

**ბაცილა** ან უკეთ **ბაცილ-ი** (ლათ. bacillum „პატარა ჯოხი"), ბაქტერიების ერთერთი ფორმა — ჩხირის მსგავსი, იხ. ბაქტერია.

**ბახუხ-ი**, იგივეა, რაც ბაკქი (იხ.).

**ბეატიფიკაცია** (ლათ. beatificatio), წმინდანთა შორის ჩარიცხვა კათოლიკურ ეკლესიაში.

**ბებელ-ი**, ავგუსტ (1840 — 1912), გერმანიის სოც.-დემოკრატული პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი და მისი ბელადი, ხელობით — ხარატი. ქართულად ცნობილია მისი წიგნი „დედაკაცი და სოციალიზმი".

**ბეგემოტ-ი**, იხ. ბეჰემოტ-ი.

**ბეგ-ი, ბეი** ან **ბეკ-ი** (თურქ. „თავადი"): 1) მთავარი, თავადი; 2) ტიტულია წარჩინებულ პირთა; იხმარება აგრეთვე ზრდილობიან მიმართვაში (უდრის ქართულ „ბატონს").

**ბეგიხტუნ-ი**, იხ. ბეჰისტუნი.

**ბედლამ-ი** (ინგლ. Bedlam — Bethlehem-ისაგან): 1) სულით ავადმყოფთა სახლის სახელწოდება ლონდონში; 2) გადატან. მნიშვ.: სულით ავადმყოფთა სახლი, საგიჟეთი; არეულ-დარეულობა.

**ბედუინები** (მრავლ., არაბ. ბედავი „უდაბნოში მცხოვრებნი"), მომთაბარე სემიტური ტომები არაბეთსა, სირიასა და ჩრდილო აფრიკაში: ეწევიან მეჯოგეობას და ვაჭრობას, არიან მამაცნი, სტუმართმოყვარენი და სისხლის ამღებნი.

**ბეზე** (ფრ. baiser „კოცნა, ალერსი"), ტკბილი ნამცხვარი გათქვეფილი კვერცხის ცილისა და შაქრისაგან.

**ბეზმენ-ი** (არაბ.-თურქ.?), ერთგვარი მარტივი სასწორი, ძველი წარმოშობის; ცალსასწორი.

**ბეზიკ-ი** (ფრ. bésigue), ქაღალდის ერთგვარი თამაში.

**ბეთოვენ-ი** (Beethoven), შესანიშნავი გერმანელი კომპოზიტორი, ავტორი მრავალ მუსიკალურ ნაწარმოებთა (1770 — 1827), რომელთა დამახასიათებელია ოპტიმისტური სულისკვეთება.

**ბეთხოვენ-ი** ან უკეთ **ბეთოვენი** (იხ.).

**ბეილისის პროცესი**—ასე ეწოდა კიეველი ებრაელის, ბეილის-ის, გასამართლებას (1912 წ.) მეფის მთავრობის მიერ: ბეილისს ბრალდებოდა რიტუალური მიზნით ქრისტიანი ბავშვის მკვლელობა (ბეილისი გამართლდა).

**ბეკარ-ი** (ფრ. bécarre „უარი"), მუსიკაში: დადაბლებული ან ამაღლებული ტონის აღმდგენი ნიშანი.

**ბეკას-ი** (ფრ. bécasse), ჭაობისა და ნოტიო ადგილების პატარა ფრინველი, რომლის ხორციც იჭმება და ძალიან გემრიელადაც ითვლება; ქართულად: ჩიბუხა.

**ბეკ-ი**, იხ. ბეგი.

**ბეკონ-ი** (ინგლ. Bacon): 1) როჯერ (Roger): გამოჩენილი ინგლისელი ბუნებისმეტყველი და მათემატიკოსი; ებრძოდა სქოლასტიკას (იხ.) და სამღვდელოების უვიცობასა და უზნეობას (1214 — 1294); 2) ფრანცის ვერულამელი: შესანიშნავი ინგლისელი ფილოსოფოსი, თანამედროვე ემპირიზმის (იხ.) დამაარსებელი; მისი მოძღვრების მიზანი პრაქტიკულია — ადამიანის მიერ ბუნების დაპყრობა; ეს კი შესაძლებელია ცოდნით. მეცნიერება უნდა გაეთიშოს რელიგიას და დაემყაროს ახალ მეთოდს — დაკვირვებას და ცდას.

**ბელადონა** (belladonna), მკურნალობაში გამოყენებული შხამიანი მცენარეა; ბალამწარა.

**ბელა-კუნ-ი**, უნგრეთის სოც.-დემოკრატიის ერთი ყოფ. ბელადთაგანი; ამჟამად კომუნისტური ინტერნაც. აღმასრ. კომიტეტის წევრი.

**ბელამი** (Bellamy), ედუარდ (1850 — 1898), ამერიკელი მწერალი, ცნობილია, განსაკუთრებით, რომანით „ასი წლის შემდეგ", სადაც წარმოადგინა მომავალი სოციალისტური საზოგადოება (ეს რომანი თარგმნილია ქართულადაც).

**ბელეტაჟ-ი** (ფრ. „bel-étage"), საუკეთესო სართული შენობაში, ჩვეულებრივ — მეორე ქვევიდან; ლოჟების მეორე რიგი თეატრში.

**ბელეტრისტ-ი** (ფრ. belles-lettres-საგან), სიტყვა-კაზმული ნაწარმოებთა მწერალი; აქედან: ბელეტრისტიკა — სიტყვა-კაზმული მწერლობა (რომანი, მოთხრობა და სხვ.).

**ბელვედერ-ი**, იტ. (belvedere): 1) კოშკი სახლზე ან ცალკე შენობა, საიდანაც ჩანს კარგი სანახაობა; 2) მრავალ კოშკთა და სასახლეთა სახელწოდება; მათ შორის ცნობილია ბელვედერი ვატიკანისა რომში, სადაც იმყოფება აპოლონის ქანდაკება (იხ. აპოლონი).

ბელვიუ (ფრ. bellevue), ლამაზი სანახაობა; შენობა ლამაზ ადგილზე.

ბელზებელ-ი (ებრ. ბაალ-ცებუბ): 1) ძველი აღთქმით: სირიულ-ფინიკიური ღვთაების სახელწოდება; 2) ახალი აღთქმით: ჯოჯოხეთის უფალი, ავი სული.

ბელიი, ანდრეი (Белый, Андрей), თანამედროვე რუსი პოეტი (დაიბ. 1880), სიმბოლიზმის თეორეტიკოსი; აგრეთვე იკვლევს ლექსთ-წყობას, განსაკუთრებით, ლექსის მუსიკალობას.

ბელინსკი, ბესარ. (Белинский Виссар.), შესანიშნავი რუსი კრიტიკოსი (1811 — 1848); თავისს ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში ატარებდა მემარცხნე ჰეგელიანების იდეებს.

ბელ-ლანკასტერის სწავლების მეთოდი, ასე ეწოდებოდა ინგლისელი პედაგოგების ბელის (Bell) და ლანკასტერის (Lancaster) მიერ შემოღებულს, დღეს უკვე უარყოფილ მეთოდს: წარმატებული მოწაფენი ასწავლიან ჩამორჩენილ ამხანაგებს მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

ბელოდონ-ი (belodon), უძველესი დროის გადაშენებული ქვეწარმავალი, კროკოდილის მსგავსი.

ბელომანტია (ბერძ. ბელომანტეია), გასროლილ ისარზე მკითხაობა.

ბელონა (ლათ. Bellona), რომაელთა ომის ქალღმერთი.

ბელტოვ-ი (Бельтов), ფსევდონიმია პლეხანოვისა (იხ.).

ბელუჯისტან-ი ან უკეთ ბალუჯისტანი, აზიის ქვეყანა, რომელიც იმყოფება ავღანისტანსა, არაბეთის ზღვასა, სპარსეთსა და ინდოსტანს შუა; მოსახლეობა მისდევს უმთავრესად მეჯოგეობას; ქვეყანა ეკონომიურად განუვითარებელია, პოლიტიკურად — ინგლისის ძლიერი გავლენის ქვეშ (იხ. ბალუჯი).

ბემოლ-ი (ფრ. bémol), მუსიკაში: ნოტის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი.

ბენ- (ებრ. „შვილი“), ნაწილაკია, რომელიც ემატება ვისიმე სახელს და აღნიშნავს მამის სახელს.

ბენარეს-ი, ქალაქია ინდოეთში, მდინ. განგის მარცხენა ნაპირზე, ინდოელთა საღვთო ქალაქი; ცნობილია, როგორც ბრაჰმანთა (იხ.) სამეცნიერო ცენტრი.

ბენგალია ან უკეთ ბენგალი, ინდოეთ-ბრიტანეთის პროვინცია (75 მილიონი მცხოვრებით), მდინ. განგისა და ბრაჰმაპუტრის დაბლობებში; მთავარი ქალაქი კალკუტტა (Kalkutta); მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ ინდოელთა ტომები; აქედან: ბენგალური ცეცხლი — გვარჯილის, გოგირდის, ბერთოლეს მარილის და სხვ. შენაერთის წვით გამოწვეული კაშკაშა თეთრი ან ფერადი სინათლე; იხმარება საილუმინაციოდ (იხ. ილუმინაცია); გამოგონებულია პირველად ბენგალში.

ბენედიქტინელები (მრავლ.), დასავლ.-ევროპაში კათოლიკე ბერთა ერთი უმთავრესთაგანი ორდენი (წმ. ბენედიქტის წესდებით, VI საუკუნიდან); ასკეტურ ღვაწლთან ერთად ეწეოდენ სასარგებლო შრომასაც (ასწავლიდენ ახალგაზრდობას, ეწეოდენ მწიგნობრულ შრომას და სხვ.); აქედან: ბენედიქტინ-ი — ტკბილი სასმელი, რომელსაც ამზადებენ ბენედიქტინელები.

ბენეფის-ი (ლათ.-ფრ. bénéfice „მოგება“, „კეთილმოქმედება“), სათეატრო წარმოდგენა, რომლის შემოსავალი მიდის ამ თეატრის მსახიობის ან რომლისამე თანამშრომლის სასარგებლოდ; აქედან: ბენეფიციანტი — ის პირი, რომელსაც ეკუთვნის ეს შემოსავალი.

ბენეფიცია, ბენეფიციები (ლათ. მრავლ. beneficia „საჩუქრები“): 1) ასე ეწოდებოდა საშ. საუკუნოებში იმ მიწებს, რომელიც ეძლეოდა მაღალი წოდების პირებს პირობით მფლობელობაში, რის გამოც ედებოდა მათ სხვადასხვა ბეგარა უზენაესი მფლობელის (სუზერენის, მეფის) სასარგებლოდ. 2) აგრეთვე: საეკლესიო შემოსავალი განსაზღვრული მიწებიდან კათოლიკურ ეკლესიაში.

ბენეფიციანტ-ი, იხ. ბენეფისი.

ბენზინ-ი, ეთერის-სუნიანი უფერო სითხე, რომელიც მიიღება შავი ნავთისა, ფიჭალისა და კუპრის გამოხდისაგან; იხმარება, როგორც წვადი (საწვავი) მასალა — სხვადასხვა მანქანათა ასამოძრავებლად; როგორც ქონის გამხსნელი — ქსოვილების საწმენდად და სხვ.

ბენთამ-ი (Bentham), იერემია, ინგლისის გამოჩენილი ფილოსოფოსი, უტილიტარიზმის (იხ.) დამაარსებელი (1748 — 1832).

ბენუარ-ი (ფრ. baignoire „აბაზანა“), ქვედა სართულის ლოჟა თეატრში, პარტერის გასწვრივ.

ბენფეი, თეოდ. (Benfey), შესანიშნავი გერმანელი ენათმეცნიერი და ორიენტალისტი (1809 — 1881).

ბეოვულფ-ი (Beowulf), მერვე საუკ. ანგლოსაქსური პოემის სახელწოდება (იგივე ეწოდება მის მთავარ გმირს), წარმოადგენს გერმანული ეპოსის უძველეს მთლიან ნაწარმოებს.

ბეჟ-ი (ფრ. beige), თხელი ქსოვილი, ტილოს მსგავსად მოქსოვილი შეუღებავი მატყლისაგან.

ბერანჟე, პ. ჟ. (P. J. de Beranger), საფრანგეთის ცნობილი პოეტი (1780 — 1857), რომლის ლექსები, მიმართული მთავრობისა და ეკლესიის წინააღმდეგ, ძალიან გავრცელებული იყო ხალხში; მონაწილეობდა ივლისის რევოლუციაში. მისი ლექსების ნაწილი თარგმნილია ქართულად.

ბერბერები (მრავლ.), ქამატური ოჯახის ენაზე მოსაუბრე აფრიკის ჩრდილო ნაწილის მცხოვრები ტომები.

ბერდანკა ან უკეთ ბერდან-ი, თოფია ერთნაირი: დაერქვა სახელი ამერიკელი სამხედრო პირის, ბერდან-ისა, რომელმაც შეიტანა მასში ზოგიერთი გაუმჯობესება (ქართულად ეძახიან აგრეთვე ბერდენა თოფს).

ბერეიტორ-ი ან უკეთ ბერეიტერ-ი, გერმ., ცხენთგამხედნავი, ცხენოსნობის მასწავლებელი.

ბერეტ-ი (იტ. beretta), სხვადასხვა გვარად შემკობილი მრგვალი ქუდი, ფართე არეებიანი.

ბერთოლეს მარილი, ასე ეწოდება კრისტალურ ფხვნილს, რომლის მნიშვნელობაც, როგორც ფეთქადი ნივთიერებისა, აღმოაჩინა შესანიშნავმა საფრანგეთის ქიმიკოსმა ბერთოლემ (Berthollet, 1748 — 1829); ბერთოლეს მარილი ფართოდაა გამოყენებული მედიცინასა და ტექნიკაში.

ბერი-ბერი, თავისებური ავადმყოფობა უმთავრესად ტროპიკული ქვეყნებისა, სადაც ვრცელდება ენდემურად (იხ.); მდგომარეობს სისხლის მიმოქცევისა და ნერვულ სისტემათა დაზიანებაში.

ბერილ-ი (ბერძ. ბერილოს), ერთგვარი მინერალია, რომლის ერთ სახესაც, მომწვანო ფერისას, ეწოდება აქვამარინი; მეორეს — ზურმუხტი, დანარჩენებს — ჩვეულებრივი ბერილი.

ბერკოვეც-ი, შვედ., ძველებური წონის ერთეული რუსეთში, უდრის ათ ფუთს.

ბერკუტ-ი, თურქ.-რუს., არწივის ერთი ჯიში. დიდი ტანისა; არის ევროპაში და ციმბირში.

ბერნარ-ი, სარა (Bernhardt, Sarah), საფრანგეთის სახელგანთქმული დრამატიული მსახიობი ქალი (1844 — 1923).

ბერნს-ი (Robert Burns), შესანიშნავი შოტლანდიელი გლეხი-პოეტი; დამახასიათებელია: ხალხურობა და ბუნების ღრმა გრძნობა.

ბერნშტეინ-ი, ედუარდ, გერმანიის სოციალ-დემოკრატული პარტიის ერთი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი, შემქმნელი რეფორმიზმისა; ამტკიცებდა (90 წლებში), რომ კლასობრივი ანტაგონიზმი (იხ.) ნელდება და შესაძლებელია კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა სოციალისტურისად რეფორმების საშუალებით (აქედანაა „რეფორმიზმი“), საპარლამენტო ბრძოლის გზით. ბერნშტეინის რეფორმიზმს სასტიკად შეებრძოლენ პლეხანოვი, კაუცკი და ლენინი.

ბერსალიერ-ი (იტ. bersagliere), ქვეითი ჯარის მსროლელთა ნაწილის ჯარის-კაცი.

ბერსეზ-ი (ფრ. berceuse), ნანინა, საავნო სიმღერა.

ბერტოლეს მარილი, იხ. ბერთოლეს მარილი.

ბესემერირება, ასე ეწოდება საუკეთესო ფოლადის დამუშავების ერთ ხერხს, რომელიც მოიგონა შესანიშნავმა ინგლისელმა ტექნიკოსმა. ჰენრი ბესემერმა (Henri Bessemer, 1813 — 1898).

ბესტიარი (ლათ. bestiarius „სამხეცე“ bestia-დან): 1) ძველ რომში: მხეცებთან მებრძოლი ცირკში, ან დამნაშავე, რომელსაც მხეცებს აძლევდენ საგლეჯად; 2) ბესტიარიები (მრავლ.) საშ. საუკუნოებში: ზოოლოგიის წიგნები, სადაც აღწერილი იყო სხვადასხვა ცხოველები პროზით ან ლექსით.

ბეტონ-ი (ფრ. béton, ლათ. bitumen-ისაგან), ასე ეწოდება საამშენებლო მასალას, უაღრესი სიმტკიცისას, რომელიც წარმოადგენს შენაერთს ქვიშისას, ღორღისას და ცემენტისას (იხ.).

ბეტხოვენ-ი, იხ. ბეთოვენი.

**ბეჰემოტ-ი** ან უკეთ **ბეჰემოთ-ი**, ებრ., ძუძუს-მწოველთა ჯიშის დიდი ტანის (4 მეტრი სიგრძით და 1.5 მეტ. სიმაღლით) უშნო ცხოველი, წყვილ-ჩლიქოვანი. სქელტყავიანი (2 სანტ.): ცხოვრობს აფრიკის წყლებში; მის ხორცს სჭამენ.

**ბეჰისტუნ-ი**, სოფელია დასავლ. სპარსეთში: ცნობილია მით, რომ მის ახლოს არის კლდეზე ლურსმული წარწერები დარიოს ჰისტასპისა; აქედან: **ბეჰისტუნის წარწერები** (წაკითხულ იქნა პირველად 1835 წ.).

**ბი-** (ლათ. bis-ისაგან „ორჯერ"), ემატება უცხო სიტყვას თავში და აღნიშნავს: ორ-, ორმაგ-, ორჯერ- და სხვ.. მაგ.: **ბიანდრია** — ორქმრიანობა, **ბიარქია** — ორმართველობა, ე. ი. როცა ქვეყანას ორი მეფე ჰყავს; **ბიგამია** — ორცოლიანობა და სხვ.

**ბიბლია** (ბერძ. ბიბლია „წიგნები. ნაწერები"; ბიბლოს „პაპირუსის ქერქი", შემდეგ „ქაღალდი", რომელსაც ამ ქერქისაგან აკეთებდენ). ებრაელთა და ქრისტიანთა საღვთო წიგნები, რომელნიც შეიცავენ: 1) ლეგენდურ მოთხრობას კაცობრიობის წარმოშობისას და ებრაელთა ძველი ისტორიისას („ძველი აღთქმა"). 2) ქრისტეს მოძღვრებასა და ცხოვრებას და ამასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობას.

**ბიბლიოგრაფია**, ბერძ.: 1) საერთოდ: წიგნთ-აღწერა, წიგნთ-მცოდნეობა; წიგნის აღწერა: სრული სათაური, ავტორი, რედაქტორი (თუ ჰყავს), კომენტატორი ან მთარგმნელი (თუ ჰყავს), ადგილი და დრო დაბეჭდვისა, ზომა, ნაწილთა და გვერდების რიცხვი. დამატებანი (თუ აქვს); 2) **ზოგადი ან ეროვნული ბიბლიოგრაფია** — აღწერა ყველა დროისა და ხალხების ან რომლისამე ერის მწერლობის ნაწარმოებთა; 3) **სპეციალური ბიბლიოგრაფია** — აღწერა წიგნებისა ცალკე მეცნიერებათა ან კერძო საკითხების მისედვით; 4) **ბიბლიოგრაფია** ეწოდება აგრეთვე რაიმე ჟურნალის ან გაზეთის ერთ განყოფილებას, სადაც ჩამოთვლილია ან მოკლედ განხილული ახლად გამოსული წიგნები; აქედან: **ბიბლიოგრაფ-ი** — წიგნთ-აღმწერი.

**ბიბლიოთეკა**, ბერძ., წიგნთსაცავი.

**ბიბლიოლოგია, ბიბლიოლოგ-ი**, იგივეა, რაც ბიბლიოგრაფია და ბიბლიოგრაფ-ი.

**ბიბლიომანია**, ბერძ., წიგნების სიყვარული, ზოგჯერ გადაჭარბებული.

**ბიბლიომანტია**, ბერძ., წიგნით მკითხაობა, შემთხვევით გადაშლილი წიგნიდან ჩათქმულ აზრზე პასუხის მიღება (ძველად მკითხაობდენ ჰომეროსით და ბიბლიით).

**ბიბლიოფილ-ი**, წიგნების მოყვარული, ზოგჯერ გადაჭარბებულად; აქედან: **ბიბლიოფილობა** — იგივეა, რაც ბიბლიომანია.

**ბიგამია**, ბერძ., ორცოლიანობა (იხ. ბი-).

**ბიდე** (ფრ. bidet), პატარა აბაზანა ქალის სასქესო ორგანოებისთვის.

**ბიდონ-ი**, ფრ., თუნუქის ჭურჭელი ზეთის ან ნავთის შესანახად.

**ბივუაკ-ი**, (ფრ., bivac ან bivouac), სამხედრო ჯარის შესასვენებელი ან ღამის გასათევი ადგილი, ბანაკი.

**ბიფშტექს-ი** ან **ბიფშტეკს-ი** (ინგლ. beefsteaks), დაბეგვილი და მოხრაკული ხორცის ნაჭერი (ჩვეულებრივ ძროხისა).

**ბიზან-ი**, ჰოლ., უკანა ანძის ქვედა აფრა; აქედან: **ბიზან-ანძა** — უკანა ანძა ხომალდზე.

**ბიზანტინისტ-ი**, ბიზანტიის ისტორიისა, ხელოვნებისა, მწერლობისა და სხვ. მცოდნე და მკვლევარი.

**ბიზონ-ი**, ჰოლ., გარეული ხარის ჯიში; არის ამერიკული და ევროპული სახეობა.

**ბიკვადრატ-ი**, ლათ., „ორჯერ კვადრატი" ე. ი. კვადრატის კვადრატი; აქედან: **ბიკვადრატული განტოლება** (მათემატიკაში). იხ. ბი-.

**ბილაბიალური** ან **ბილაბიალი** (ლათ. labium „ბაგე, ტუჩი"), წყვილბაგის მიერი, მაგ. — ბგერა (ბილაბიალურია, მაგ. ქართული ბ პ ფ), იხ. ბი-.

**ბილატერალური** ან **ბილატერალი**, ლათ., ორმხრივი, მაგ. ბილატერალური მსგავსება ბავშისა (დედასაც ჰგავს და მამასაც).

**ბილბოკე** (ფრ. bilboquet), საბავშო სათამაშო: ძაფზე მიბმულ ბირთვს ზევით აისვრიან და იჭერენ მას ტარიან თასში.

**ბილეთ-ი** (ფრ. billet), ბარათი ან საბუთი, რომელიც ადასტურებს რაიმე უფლებას, მაგ. შესავალი ბილეთი, სამგზავრო, ვაჭრობის უფლებისა და სხვ.

**ბილ-ი** (ინგლ. bill), ინგლისში: 1) რაიმე იურიდიული საბუთი, განსაკუთრებით 2) პარლამენტში შეტანილი კანონ-პროექტი, რომელიც უნდა დაამტკიცოს ორთავე პალატამ; შემ-

დებ წარედგინება მეფეს ხელმოსაწერად და ამის შემდეგ იქცევა კანონად (აქტად).

**ბილიარდ-ი** (ფრ. billard): 1) 1000 მილიარდი; 2) სათამაშო მაგიდა, რომელზედაც აწყვია სპილოს ძვლის ბირთვები: საგანგებო ჯოხის კვრით მოთამაშეები აჯახებენ ბირთვს ბირთვზე ისე, რომ ბირთვი ჩავარდეს მაგიდის კუთხეებზე გაკეთებულ ბადისებრ პარკში.

**ბილიონ-ი** (ბილლიონ): 1) საფრანგეთში უდრის მილიარდს; 2) გერმანიაში — მილიონჯერ მილიონს, რასაც ფრანგები ტრილიონს (trillion) ეძახიან.

**ბილონ-ი** (ფრ. billon): 1) შენადნობი, რომელშიაც სპილენძი მეტია, ვიდრე ვერცხლი; 2) სპილენძისა და დაბალხარისხიანი ვერცხლის ფული; სახურდაო ფული.

**ბიმეტალიზმ-ი** (ლათ. ბი- და ბერძ. მეტალლონ „მადანი"), ფულის ორმაგი სისტემა (ოქროსა და ვერცხლის თანასწორ-ღირსებულებიან ფულად გამოშვება სახელმწიფოს მიერ, რაც გულისხმობს ოქროსა და ვერცხლის შორის კანონით დამტკიცებულს განსაზღვრულ შეფარდებას).

**ბიმს-ი**, ჰოლ., ხის ან რკინის კოჰი, რომელიც აერთებს ხომალდის ქიმებს (ბორტებს); ბიმსი წარმოადგენს გემის ბანის ფუძეს.

**ბინარული** (ფრ. binaire), ორ-წევრიანი, ორმაგი.

**ბინოკლ-ი**, ლათ.-ფრ. (binocle), შორს საჭვრეტი იარაღი: გასწვრივად შეერთებულია ერთიმეორესთან ორი საჭვრეტი მილი ორი თვალისათვის.

**ბინოკულარული მხედველობა**, ორივე თვალით მხედველობა.

**ბინომ-ი**, ლათ.-ბერძ., ორწევრა; მათემატიკაში: სიდიდე, რომელიც შედგება ორი წევრისაგან.

**ბინტ-ი**, გერმ., რაიმე ქსოვილის გრძელი ვიწრო ნაჭერი ჭრილობის, კომპრესის და სხვ. შესახვევად.

**ბიოარითმეტიკა**, ბერძ., ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის გამოანგარიშება.

**ბიოგენეზის-ი**, ბერძ., „სიცოცხლის ჩასახვა"; აქედან: **ბიოგენეტიკა** — მოძღვრება სიცოცხლის ჩასახვის შესახებ; გერმ. ზოოლოგის, ერნსტ ჰეკელის (Häckel) **ბიოგენეტიკური კანონი** — ყოველი ცხოველი თავის ჩანასახურ განვითარებაში გაივლის ყველა იმ ცვლილებებს, რომელიც გაიარა მან, როგორც სახემ, სხვა ცხოველებისაგან განვითარების დროს.

**ბიოგეოგრაფია**, ბერძ., მეცნიერება მცენარეთა და ცხოველთა გეოგრაფიული გავრცელების შესახებ.

**ბიოგრაფია**, ბერძ., ვისიმე ცხოვრების აღწერა; აქედან: **ბიოგრაფ-ი** — ბიოგრაფიის შემდგენელი.

**ბიოდინამიკა**, ბერძ., მოძღვრება ორგანიზმის სასიცოცხლო ძალების შესახებ; იგივეა, რაც ფიზიოლოგია (იხ.).

**ბიოლითები**, ბერძ. მრავლ., ორგანიზმებისაგან წარმოქმნილი ქანები (მთის ჯიშები).

**ბიოლოგია**, ბერძ., მეცნიერება ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის კანონების შესახებ: **ბიოლოგიური მეცნიერებანი**: ზოოლოგია, ბოტანიკა, ფიზიოლოგია და სხვ.; აქედან: **ბიოლოგ-ი** — ბიოლოგიურ მეცნიერებათა მცოდნე და მკვლევარი; **ბიოლოგიური სადგური** — დაწესებულება, რომელიც იკვლევს მეცნიერულად მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებას, აგებულებას და განვითარებას, ზოგჯერ პრაქტიკული თვალსაზრისით.

**ბიომაგნეტიზმ-ი**, ბერძ., ცხოველური ანუ ცხოველის მაგნეტიზმი (იხ. მაგნეტიზმი).

**ბიომანტია**, ბერ., მკითხაობა სიცოცხლის ხანგრძლიობის შესახებ.

**ბიომეტრია**, ბერძ.: 1) იგივეა, რაც ბიოარითმეტიკა; 2) დროის გონიერი განრიგება; 3) სტატისტიკური მეთოდის გამოყენება ბიოლოგიურ მოვლენათა კვლევაში.

**ბიონომია**, ბერძ., მოძღვრება ორგანიზმების გარემოსთან დამოკიდებულობის შესახებ.

**ბიოსტატიკა**, ბერძ., მოძღვრება ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლიობის შესახებ განსაზღვრულ პირობებში; აგრეთვე — მცხოვრებთა გამრავლების საშუალო რიცხვის შესახებ.

**ბიოფორ-ი**, ბერძ., უჯრედის შემდგენელი ფიზიოლოგიური ერთეული.

**ბიოქიმია**, ბერძ., მეცნიერება ორგანიზმის ქიმიური პროცესების შესახებ.

**ბიპედ-ი**, ლათ., ორფეხა ცხოველი (იხ. ბი-).

**ბიპლან-ი**, ლათ.-ბერძ. ხელოვ., აეროპლანი ორი დამჭერი სიბრტყით, რომლებიც ერთი-მეო-

რეზე მდებარეობს; აეროპლანი, რომელსაც აქვს ორი წყება ფრთებისა (იხ. ბი-).

**ბირჟა** (გერმ. Börse; საშ. საუკ. ლათ. bursa „ტყავის ჩანთა, ქისა"): 1) მსხვილ ვაჭართა კრებები განსაზღვრულ დღეს, საათსა და ადგილას საკომერციო საქმეების მოსარიგებლად (ყოველგვარი საქონლისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა — საქონლის თან უქონლად); 2) შენობა, სადაც ასეთი კრებები ხდება; 3) მეეტლეთა გასაჩერებელი ადგილი ქალაქში; 4) **შრომის ბირჟა** — დაწესებულება, სადაც ხდება უმუშევართა (სამუშაოს მაძებართა) რეგისტრაცია (იხ.) და მუშა-ხელის დაქირავება; აქედან: **ბირჟაზე თამაში** — ასე ეწოდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას — მათი ფასის აწევ-დაწევის ანგარიშით; ქაღალდების ფასის ასაწევ-დასაწევად ხშირად მიმართავენ არაკეთილსახიერ საშუალებებს (იხ. აჟიოტაჟი); **ბირჟის მაკლერი** — შუამავალი ბირჟაზე მყიდველსა და გამყიდველს შორის.

**ბის**, ლათ., „ორჯერ": 1) მუსიკაში: რაიმე ადგილის განმეორება; 2) ძახილი, რომლითაც მსმენელ-მაყურებელნი მოითხოვენ ნამღერის ან დაკრულის განმეორებას.

**ბისერ-ი**, არაბ., მძივი; მინის ან ლითონის მრგვალი ან მრავალწახნაგა მარცვლები, შუაში გახვრეტილი ძაფზე ასაცმელად; იხმარება ქალის ტანსაცმელის სამკაულად.

**ბისეგმენტაცია**, ლათ., ორ თანასწორ ნაწილად გაყოფა (იხ. ბი-).

**ბისექტრის-ა** (ლათ.-ფრ. bissectrice), კუთხის შუაზე გამყოფი წრფე ანუ სწორი ხაზი (მათემატიკაში), იხ. ბი-.

**ბისკვიტ-ი** (ფრ. biscuit), შაქრით, კვერცხით და ფქვილით მომზადებული ნამცხვარი.

**ბისმარკ-ი**, ოტ.-ედ.-ლეოპ. (1815—98), გერმანიის 19 საუკ. შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე, წოდებული „რკინის კანცლერად"; იმპერიის კანცლერად ყოფნისას, 19 წლის განმავლობაში, მას ჰქონდა გადამწყვეტი გავლენა გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე; მან შემოიღო მკაცრი კანონი სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ.

**ბისმუთ-ი**, მოწითლო რუხი ფერის ლითონი, — იხმარება საოპტიკო მინების დამზადებაში (იხ. ოპტიკა).

**ბისონ-ი** ან **ბისუს-ი** (ბერძ. byssos): 1) ძვირფასი ქსოვილი ძველ დროში საეკლესიო საჭიროებისათვის (მღვდელმთავრის ტანსაცმელისა, ტაძარში რისამე გადასაფარებლად და სხვ.); 2) აბრეშუმისებრი მკვრივი ძაფების კონა, რომელსაც აკეთებენ ერთგვარი მოლუსკები (იხ.) და რომლისაგანაც აკეთებდენ ძველად ძვირფას ქსოვილს; დღესაც აკეთებენ მისაგან იტალიაში ქისებსა და ხელთათმანებს; 3) ბისუს-ს ეძახდენ ძველად ეგვიპტიდან და ინდოეთიდან საბერძნეთში შემოტანილ ბამბას.

**ბისტრ-ი**, გერმ.-ფრ. (bistre), მუქი მიხაკის ფერი საქვარელო საღებავი (იხ. აქვარელი).

**ბისტური**, ლათ.-ფრ. bistouri), მოძრავ-პირიანი საოპერაციო პატარა დანა (ქირურგიაში), იხ. ოპერაცია.

**ბიტენგ-ი**, ჰოლ., ღუზის ბაგირების დასამაგრებელი ძელი ხომალდზე.

**ბიუვარ-ი** (ფრ. buvard), სამაგიდო საშრობქაღალდიანი პორტფელი (კარტონისა).

**ბიულეტენ-ი** (ფრ. bulletin): 1) ოფიციალური საჯარო მოკლე ცნობა რაიმე სახელმწიფო ამბების ან წარჩინებული ავადმყოფი პიროვნების შესახებ; 2) სამეცნიერო დაწესებულების ანგარიში; 3) საარჩევნო ფურცელი; 4) რომლისამე უწყების (დაწესებულების) საინფორმაციო გამოცემა (იხ. ინფორმაცია).

**ბიურგერ-ი** (გერმ. Bürger), გერმანიის ქალაქში მოქალაქეთა წოდების წევრი.

**ბიურეტ-ი** (ფრ. burette), მინის ჭდეებიანი მილაკი სითხეთა საწყავად.

**ბიურო** (ფრ. bureau): 1) საწერი მაგიდა; 2) კანტორა, კანცელარია; 3) რაიმე დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანო, შემდგარი რამდენისამე პირისაგან; აქედან:

**ბიუროკრატია**, ფრ.-ბერძ.: 1) სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მოხელეთა საშუალებით კანცელარიული წესით, რომლის დამახასიათებელია მოხელეთა თვითნებობა, ფორმალიზმი (იხ.) და ცხოვრების სინამდვილის უცოდინარობა; 2) მოხელეთა კლასი; აქედან: **ბიუროკრატ-ი** — ასეთი წესით მმართველობის წარმომადგენელი; **ბიუროკრატიზმ-ი** — ბიუროკრატობა, მართვა-გამგეობის კანცელარიულ წესზე დამყარება, ფორმალიზმი საქმის წარმოებაში და სხვ.

**ბიუსტ-ი** (ფრ. buste): 1) ადამიანის სხეულის ზედა ნაწილი სარტყლამდე; 2) ადამიანის ამ ნაწილის გამოსახულება ქანდაკებაში ან მხატვრობაში.

**ბიუჯეტ-ი** (ფრ. budget). შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა განსაზღვრული ვადით სახელმწიფოსი, დაწესებულებისა, წამოწყებისა ან კერძო პირისა: წინასწარი ანგარიში.

**ბიფურკაცია**, ლათ.-ფრ. (bifurcation), გაყოფა. ორად განშტოება, მაგ. მდინარისა, სისხლის ძარღვისა და სხვ. (იხ. ბი-).

**ბიფშტექს-ი**, იხ. ბივშტექსი

**ბიჩერ-სტოუ**, ჰარიეტ (Beecher-Stowe, Harriett). ამერიკელი მწერალი ქალი, რომელიც იბრძოდა ნეგრების მონობისაგან განთავისუფლებისათვის (1812—1896): სახელი გაითქვა რომანით „ბიძია თომას ქოხი“, თარგმნილია ქართულადაც.

**ბიცეპს-ი**, ლათ.. ორთავა კუნთი მხარსა და იდაყვს შორის (იხ. ბი-).

**ბიციკლეტ-ი**, ბერძ.-ფრ. (bicyclette), ორთვლიანი ველოსიპედი (იხ).

**ბიციკლ-ი**, ბერძ.-ინგლ. (bicycle): 1) ორმაგი წრე; 2) ორთვლიანი ველოსიპედი; აქედან: **ბიციკლისტ-ი** — ასეთი ველოსიპედით მავალი.

**ბიჰევიორიზმ-ი** (ინგ. behaviour „ყოფა-ქცევა“), მეცნიერული მიმართულება, რომელიც იკვლევს ცხოველთა ფიზიკურ მოძრაობებს (მათ ყოფაქცევას) და ამ გზით ცდილობს ფსიქოლოგიის ამოცანების გადაწყვეტას.

**ბლამანჟე** (ფრ. blanc-manger), ჟელეს მსგავსი ტკბილი საჭმელი.

**ბლანკეტ-ი** (ფრ. blanquette): 1) თეთრი ტკბილი ვაშლი; 2) სუსტი თეთრი ღვინო საფრანგეთში; 3) ზღვის მცენარეთა ნაცარი. რომლისაგანაც წინეთ სოდას აკეთებდენ, ახლა — იოდს.

**ბლანკ-ი** (ფრ. ბლანკ „თეთრი, სუფთა“), ქაღალდის დაბეჭდილი ფურცელი, რომელზედაც დატოვებულია თავისუფალი ადგილები საჭირო სიტყვების ჩასაწერად; არსებობს, მაგ., ბლანკი ვექსელისა, კვიტანციისა, რაიმე მოწმობისა და სხ.

**ბლანკიზმ-ი**, საფრანგეთის რევოლუციონერის სოციალისტის, ბლანკი-ს, სახელთან (Louis-Auguste Blanqui, 1805—1881) დაკავშირებული რევოლუციური მიმართულება, რომელიც პოლიტიკური გადატრიალებისათვის საკმარისად და შესაძლებლად თვლის ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას რევოლუციონერთა პატარა ჯგუფის მიერ; აქედან: **ბლანკისტ-ი** — ბლანკიზმის მიმდევარი.

**ბლეკპირლ-ი** (ინგ. black pearl), ამერიკული ვაზი, — იძლევა კარგ წითელ ღვინოს.

**ბლეკროტ-ი** (ინგ. black-rot), ვაზის ავადმყოფობა: ფოთოლზე უჩნდება პარაზიტული (იხ.) სოკო; საწინააღმდეგო საშუალება — ბორდოს სითხე (იხ.).

**ბლეკჯიულ-ი**, ინგ. ამერიკული ვაზის ერთი ჯიში, რომელიც უძლებს ფილოქსერას და სხვ. ავადმყოფობას; ტკბილია, — იძლევა კარგ თეთრ ღვინოს.

**ბლენორეა**, ბერძ. ხელოვნ., ლორწოს დენა ლორწოვანი გარსიდან (ავადმყოფობა).

**ბლერიო** (Bleriot), საფრანგეთის ავიატორი და კონსტრუქტორი აეროპლანებისა, რომელნიც ატარებენ მის სახელს.

**ბლეფარიტ-ი ან ბლეფარიტის-ი**, ბერძ. ხელოვნ., ქუთუთოების ანთება.

**ბლეფარონ-ი**, ბერძ., ქუთუთო.

**ბლეფაროპლასტიკა**, ბერძ.. ქუთუთოს ხელოვნურად შექმნა ქირურგიული ოპერაციის საშუალებით.

**ბლიკ-ი**, გერმ., მხატვრობაში: კაშკაშა ნათელი წერტილი სურათზე; საერთოდ: კაშკაშა ნათელი ადგილი.

**ბლინდაჟ-ი** (ფრ. blindage), სამხედრო საქმეში: ხის ან რკინის სიმაგრე, რომელიც იფარავს მტრის სროლისაგან.

**ბლინ-ი**, რუს., რძე-კვერცხში მოზელილი ფქვილი და ტაფაზე ერბოში გამომცხვარი პატარა მრგვალი ლავაში.

**ბლოკადა ან ბლოკად-ი** (ინგლ. blockade). სამხედრო ძალებით ალყის შემორტყმა ციხის, ქალაქის ან მთელი ქვეყნის გარშემო იმ მიზნით, რომ ალყა-შემორტყმული დანებდეს; აქედან: **ბლოკირება** — ალყის შემორტყმა; **ბლოკირებული** — ალყაშემორტყმული.

**ბლოკ-ი**, ევროპ.: 1) მოკლე და მსხვილი ძელი; 2) სიმძიმეთა ასაწევი მოწყობილება (უმარტივესი მანქანაა: წარმოადგენს უძრავ ღერძზე მოტრიალე გორგოლაჭს, რომლის ღარიან წი-

ბოძზე მისრიალებს თოკი); 3) პოლიტიკურ პარტიათა დროებითი შეთანხმება, თვითეული მათგანის შინაგანი ორგანიზაციის შეუცვლელად, რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად, მაგ. საარჩევნო ბლოკი, საპარლამენტო და სხვ.

**ბლოკნოტ-ი** (ინგლ.-ფრ. block-notes), ყოველგვარი შენიშვნების ჩასაწერი წიგნაკი, რომლის ფურცლები ადვილად ამოიხევა.

**ბლოკჰაუზ-ი**, ინგლ.-გერმ., სამხედრო საქმეში: ხის, რკინის ან ბეტონის შენობა მტრის მოსაგერიებლად; განსაკუთრებით გამოსადეგია სარკინიგზო ხიდების და ამგვარი ნაშენის დასაცავად.

**ბლონდა** ან უკეთ **ბლონდ-ი** (ფრ. blonde), აბრეშუმის მოყვითლო არშია (ბაფთა).

**ბლონდინ-ი**, ფრ., ქერა ვაჟი (blondin) ან ქალი (blondine).

**ბლუზა** ან **ბლუზ-ი** (ფრ. blouse): 1) ხალათი, პერანგისებური გარესაცმელი; 2) ქალის ზედატანის საცმელი.

**ბოა**, ევრპ.: 1) ვებერთელა გველი, რომლის სიგრძე აღწევს 6 მეტრამდე; ეკუთვნის ამერიკის ტროპიკულ სარტყელს; საზრდოობს ცხოველებით, რომელთაც წინასწარ ახრჩობს გარსშემოხვევით; 2) ასე ეწოდება აგრეთვე, გველთან მსგავსების გამო, გძელ და ვიწრო ბეწვეულს, რომელსაც ქალები ყელზე იხვევენ.

**ბობინ-ი** (ინგ. bobbin), გორგოლაჭი ზოგიერთ მანქანებში, მაგ. საფეიქრო მანქანაში; იხმარება აგრეთვე ელექტრო-მაგნეტურ ხელსაწყოებში: მაზე შემოხვეულაა იზოლირებული მავთული გალვანური დენისათვის (იხ. იზოლიაცია, იზოლირება და გალვანური დენი).

**ბოგდიხან-ი** ან **ბოღდიხან-ი**, ჩინეთის იმპერატორის ტიტული.

**ბოგემა**, იხ. ბოჰემა.

**ბოგჰედ-ი** (ინგლ. boghead), შოტლანდური ქვანახშირი,—მდიდარია აქროლადი ნაწილებით; გამოყენებულია სანათებელი აირის (გაზის) მისაღებად; მოიპოება აგრეთვე ბოჰემიაში (ჩეხიაში) და რუსეთში.

**ბოდლერ-ი** (Ch. R. Baudelaire, 1821—1867), საფრანგეთის პოეტი, ითვლება სიმბოლისტური მიმართულების შემქმნელად.

**ბოიარინ**, მრავლ. **ბოიარე** (თურქ.?), წარჩინებული მიწათ-მფლობელთა წოდების წარმომადგენელი ძველ რუსეთში; XV საუკუნიდან ასრულებდენ სხვადასხვა მოვალეობას მოსკოვის მეფეთა კარზე.

**ბოიკოტ-ი** (ინგლ. boycott), ბრძოლის ერთგვარი ხერხია, რომელიც გამოიხატება ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტაში რომელსამე პირთან, დაწესებულებასთან ან სახელმწიფოსთან (სახელწოდება წარმოიშვა ვინმე ბოიკოტის (Boycott) სახელისაგან, რომელიც იყო მამულის იჯარადარი და საერთო სიძულვილი დაიმსახურა ხალხისა); აქედან: **ბოიკოტირება** — ბოიკოტის გამოცხადება, ე. ი. ყოველგვარი კავშირის შეწყვეტა და სხვ.

**ბოი-სკოუტ-ი** (ინგლ. boy-scout „მზვერავი ბავში"), წევრი ახალგაზდათა ორგანიზაციისა (დასავლ. ევროპაში), რომლის მიზანიცაა ახალგაზდობის ფიზიკური და სამხედრო მომზადება.

**ბოილ-მარიოტ-ის კანონი**, ინგლისელი ფიზიკოსის, **ბოილ-ის** მიერ (Boyle, Rob., 1626—1691) 1660 წელს და რამდენისამე ხნის შემდეგ ფრანგი ფიზიკოსის, **მარიოტ-ის** მიერ (Mariotte, Edme, 1620—1684), პირველისაგან დამოუკიდებლად, აღმოჩენილი ფიზიკური კანონი.

**ბოკალ-ი**, იტ.-ფრ., ფეხიანი ჭიქა, ზევით ლანდათან გაფართოებული.

**ბოკს-ი, ბოკსიორ-ი**, იხ. ბოქსი, ბოქსერი.

**ბოლანდისტები** (მრავლ., ფრ. bollandistes). ასე ეწოდება ცნობილი „Acta Sanctorum"-ის (წმინდანთა ცხოვრების) გამომცემლებს, ბელგიელ ბერებს; გამოცემა დაიწყო 1643 წელს; პირველი გამომცემელი იყო **ბოლანდ-ი** (Bolland, Jean, 1596—1665); აქედან ეწოდა მის გამგრძელებლებს ბოლანდისტები. გამოცემა გრძელდება დღესაც.

**ბოლერო**, ისპ.: 1) ქალის ზედატანის უსახელოო ტანსაცმელი; 2) ისპანური ეროვნული ცეკვა.

**ბოლომეტრ-ი**, ბერძ., სხივური სითბოს საზომი ხელსაწყო, რომელიც ამჟღავნებს ტემპერატურის უმცირეს ცვლილებებს (ფიზიკაში).

**ბოლონური ძაღლი** („ბოლონკა"). ასე ეწოდება პატარა ტანის ძაღლის ჯიშს, რომელმაც სახელწოდება მიიღო იტალიის ქ. ბოლონიასაგან (Bologna): აქვს გრძელი აბრეშუმისებრი ბალანი, ჩვეულებრივ თეთრი ფერისა.

**ბოლტ-ი**, ინგლ., ჭანჭიკი; ლითონის ღერო, რომელსაც ერთ ბოლოში აქვს სამკუთხი ან კვადრატული თავი, ხოლო მეორეში — ნახრახნი (ვინტისებრი); იხმარება რაიმე მანქანის ნაწილების ერთმანეთთან მაგრად შესაერთებლად ქანჩის საშუალებით.

**ბოლვერკ-ი** (გერმ. Bollwerk), ხისაგან გაკეთებული საბჯენი კედელი; ჰიდრო-ტექნიკაში: ზღვის ნაპირების გასამაგრებელი ფარები.

**ბოლშევიზმ-ი**, რუსეთის კომუნისტური პარტიის მარქსისტული რევოლუციური მოძღვრება კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ; მან განსაკუთრებით გაალრმავა საკითხები — პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების, პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობისა და ეროვნული საკითხის მნიშვნელობის შესახებ სოციალისტური აღშენებლობისათვის.

**ბომბა** ან უკეთ **ბომბ-ი** (ფრ. bombe), ყუმბარა, ყუმბი.

**ბომბაზინ-ი**, ევროპ. (მაგ. ფრ. bombasin), თავდაპირველად: იტალიური აბრეშუმის ქსოვილი; ახლა ქსოვენ მატყლისაგანაც.

**ბომბანიერკა**, იხ. ბონბონიერ-ი.

**ბომბარდა** (საშ. საუკ. ლათ. ბომბარდა): 1) სალამურის ძველებური სახე; 2) ძველებური ზარბაზანი, რომლითაც ქვებს ისროდენ; 3) ორანძიანი სავაჭრო ხომალდი, ზარბაზნებით შეიარაღებული; აქედან: **ბომბარდირება** — ზარბაზნებით ყუმბარების დაშენა; **ბომბარდონ-ი**—ერთგვარი სამუსიკო ჩასაბერი ინსტრუმენტი.

**ბომონდ-ი** (ფრ. beau-monde), მაღალი წრე; საუკეთესო, არისტოკრატული საზოგადოება.

**ბონა** ან **ბონ-ი** (ფრ. bonne), მცირეწლოვანი ბავშის აღმზრდელ-მომვლელი ქალი; გადია.

**ბონაპარტიზმ-ი**: 1) ასე ეწოდება იმ პოლიტიკურსა და ადმინისტრატიულ წესებს, რომელიც შემოიღო ბონაპარტის დინასტიამ (იხ.), მაგ.: სამხედრო ძალაზე დაყრდნობა, ცრუ ეროვნული თავმოყვარეობის გაღვიძება, სინამდვილეში კი ეროვნული ინტერესების ჩაკვლა, გარეგნული ეფექტებით ხალხის გულის მონადირება და სხვ.; 2) ბონაპარტის გვარეულობის მომხრეობა; აქედან: **ბონაპარტისტ-ი** — ბონაპარტიზმის მომხრე.

**ბონბონიერ-ი** (ფრ. bonbonnière), კანფეტების (იხ.) ჩასაწყობი ლამაზი კოლოფი.

**ბონ-ი** (ფრ. bon), **ბონები**: ფასიანი ქაღალდების ერთი სახე; საკრედიტო საბუთი განსაზღვრული თანხის მისაღებად განსაზღვრულ ვადაზე ამა თუ იმ პირისაგან ან დაწესებულებისაგან; დროებითი ფულის ნიშნები, ადგილობრივი ან უზენაესი ხელისუფლების მიერ გამოშვებული.

**ბონტონ-ი**, ფრ., ზრდილობიანი ყოფაქცევა; მაღალ წრეებში გაწვრთნილობა.

**ბოპ-ი**, ფრანც (Bopp, Franz), განთქმული გერმანელი ენათმეცნიერი, შედარებითი (ინდოევროპიული) ენათმეცნიერების შემქმნელი (1791 — 1867).

**ბორდიურ-ი** ან **ბორდურ-ი** (ფრ. bordure), კიდე, არშია; აქედან: **ბორდირება** — მოარშიება.

**ბორდო** (Bordeaux), საფრანგეთის დეპარტამენტის, ჟ ი რ ო ნ დ ი-ს, მთავარი ქალაქი; აქედან: 1) **ბორდო** — ცნობილი წითელი ღვინო ბორდოს რაიონიდან; 2) **ბორდო** — მუქ-წითელი ფერი საერთოდ, კერძოდ — ამ ფერის საღებავი; 3) **ბორდოს ხითხი** — შაბიამნისა და კირის განსაზღვრული ხსნარი დაავადებული ვაზის საპკურებლად.

**ბორეი** ან უკეთ **ბორეას-ი**, ბერძ., ჩრდილოეთის ზამთრის ქარის ღვთაება ძველ საბერძნეთში; ასე უწოდებდენ ძვ. ბერძნები აგრეთვე თვით ამ ქარს.

**ბორ-ის სიმჟავე**, კრისტალისებრი ბრჭყვიალა ნივთიერება, რომელიც ადვილად იხსნება წყალსა და სპირტში; იხმარება როგორც ანტისეპტიკური საშუალება (იხ. კრისტალი და ანტისეპტიკა).

**ბოროტბისტ-ი** (უკრ. боротьба „ბრძოლა“), „უკრაინული კომუნისტური პარტიის“ წევრი (ეს პარტია წარმოადგენდა მემარცხენე სოციალისტური მიმართულების ორგანიზაციას ეროვნულის ელფერით; ახლა გაერთიანებულია უკრაინის კომუნისტურ პარტიასთან).

**ბორტ-ი** (ფრ. bord), კიდე, ნაპირი, გვერდი მაგ. ხომალდის კიდე, რომელსაც ქართულად ეწოდება ქ ი მ ი, — ბილიარდისა და სხვ.

**ბორშჩ-ი**, რუს., ხორცის მომჟავო წვენი, ჭარხლითა ან კომბოსტოთი და სხვადასხვა მწვანილით შეკაზმული.

**ბოსკეტ-ი** (ფრ. bosquet), ბაღის შეკრეჭილ-ხეებიანი ნაწილი.

**ბოსტონ-ი**: 1) ინგლისის ერთერთი ქალაქის სახელწოდება; 2) ჩრდილო ამერიკის ერთერთი შტატის მ ა ს ა ჩ უ ს ე ტ ს-ის (Massachusetts). მთავარი ქალაქის სახელწოდება. — ცნობილია როგორც ფრიად განვითარებული მრეწველობისა და განათლების (მრავალი სასწავლებლები. დიდი წიგნთსაცავი. სამეცნ. აკადემია, ჰარვარდის უნივერსიტეტი და მრავალი სხვა) ცენტრი; ფ რ ა ნ კ ლ ი ნ ი ს სამშობლო; აქედან: 3) **ბოსტონ-ი** — ქაღალდის ერთგვარი თამაშია, გამოგონებული ამერიკის ბოსტონში.

**ბოსფორ-ი** ან უკეთ **ბოსპორ-ი** (ბერძ. Bosporos-„ძროხის ფონი"). ასე ეწოდებოდა ძველად ორ სრუტეს: 1) თრაკიისა. რომელიც აერთებს მარმარილოს ზღვას შავ ზღვასთან და 2) კიმერიისა, რომელიც აერთებს შავს ზღვას აზოვის ზღვასთან.

**ბოტანიკა**, ბერძ. ხელოვნ. (ბერძ. ბოტანე „ბალახი"), მეცნიერება მცენარეთა შესახებ: 1) **თეორიული ანუ წმინდა ბოტანიკა** და 2) **გამოყენებითი ბოტანიკა**; ეს უკანასკნელი იყენებს მეცნიერული კვლევის შედეგებს პრაქტიკული მიზნებისათვის; აქედან: **ბოტანიკ-ი** ან **ბოტანიკოს-ი** — ბოტანიკის მცოდნე და მკვლევარი; **ბოტანიკური ბაღი** — დაწესებულება, სადაც აწარმოებენ სხვადასხვა მცენარეების გაშენებას სამეცნიერო და სასწავლო მიზნებით, ამუშავებენ თეორიული და გამოყენებითი ბოტანიკის საკითხებს და სხვ.; **ბოტანიკური გეოგრაფია** — მოძღვრება მცენარეთა დედამიწის ზურგზე გავრცელების შესახებ; **ბოტანიკური პალეონტოლოგია** — მოძღვრება წინანდელ გეოლოგიურ ეპოქათა მცენარეულობის შესახებ, — იკვლევს მცენარეთა ნაშთებს განათხრებში და მათ აღბეჭდილობას დედამიწის ქერქის სხვადასხვა ფენებში.

**ბოტანისტ-ი**, იგივეა, რაც ბოტანიკი. ბოტანიკოსი (იხ. ბოტანიკა).

**ბოტ-ი** (ჰოლ. ბოოტ), ერთ-ანძიანი ხომალდი.

**ბოტულიზმ-ი** (ლათ. botulus „ძეხვი"). ძეხვის შხამით მოწამვლა.

**ბოტფორტები**, მრავლ. ფრ., მაღალი მაგარყელიანი ჩექმები.

**ბოქს-ი**, ინგლ., მუშტით ბრძოლა განსაზღვრული წესების მიხედვით; გავრცელებულია განსაკუთრებით ინგლისსა და ამერიკაში; აქედან: **ბოქსერ-ი** — ბოქსის მოყვარული. ან ვინც იგი ხელობად გაიხადა.

**ბოქსერები** (მრავლ.). ასე ეწოდა (შემთხვევით) ჩინეთის ერთერთ საიდუმლო მრავალრიცხოვან საზოგადოებას, რომლის მიზანიც იყო ჩინეთის ევროპელთაგან განთავისუფლება; ბოქსერების აჯანყება (1900 წ.) ჩააქრეს ევროპის სახელმწიფოებმა სამხედრო ძალებით.

**ბოღაზ-ი**, თურქ., სრუტე.

**ბოშ-ი**, მრავლ. **ბოშები**, ასე ეწოდება ქართულად იმ მომთაბარე ხალხს, რომელიც X—XI ს. ს. ქ. შ. გამოსულა ინდოეთიდან და დასახლებულა სხვადასხვა დროს ევროპის. აზიისა და აფრიკის მრავალ ადგილას (რუსულად მათ ეძახიან Цыгане. ფრ. Bohémiens. გერმ. Zigeunervolk).

**ბოჩკა**, რუს.: 1) ხის ჭურჭელი სითხეთა ან ფხვიერად ნივთიერებათა შესანახად; 2) როგორც სითხის საწყაული, უდრის 40 ვედრას.

**ბოცმან-ი**, ჰოლ. (გერმ. Bootsmann). გემის უფროსი მატროსი (იხ.).

**ბოჰემა** ან **ბოჰემ-ი** (ფრ. bohême). ასე ეწოდა წარსულ საუკუნეში ერთმა ფრანგმა მწერალმა უზრუნველად და მოუწესრიგებლად დროსტარებას მიჩვეულ მწერლებს, მუსიკოსებს. მხატვრებს და მსახიობებს (სახელწოდება შემთხვევითია და დაკავშირებულია მომთაბარე ბოშების (იხ. ბოში) შესახებ წარმოდგენასთან: ფრანგულად ბოშებს ეძახიან Bohême-საც).

**ბოჰემია** (ლათ. Bohemie). ჩეხეთის სახელწოდება საშ.-საუკუნეებში; აქედან: **ბოჰემიზმ-ი** — ბოჰემური (ანუ ჩეხური) ენის თავისებურობანი რომელსამე სხვა ენაში; **ბოჰემიური მიწა** — ბუნებით მწვანე საღებავი: მოიპოება გერმანიაში, საფრანგეთში და სხვ.; **ბოჰემიური ქვები** — ბოჰემიის მთებში მონაპოვარი ძვირფასი ქვები.

**ბრა** (ფრ. bras „ხელი"), კედლის ანუ საკედლური შანდალი ბრინჯაოსი, თითბრისა, თუჯისა ან სხვისა; ბრა შეიძლება იყოს უძრავი ან სახსრიანი (შარნირიანი, იხ. შარნირი).

**ბრაბანსონ-ი** (brabançonne): 1) ბელგიური სარევოლუციო სიმღერა, შედგენილი 1830 წ.; 2) **ბრაბანსონები** (brabançons), მრავლ. — ნიდერლანდელი დაქირავებული მეომრები ინგლი-

სისა და საფრანგეთის სამსახურში XI — XII საუკუნეებში (ორივე სიტყვა წარმოშობილია ქალაქ ბ რ ა ბ ა ნ ტ-ის სახელწოდებისაგან).

**ბრადიზურია**, ხელოვნ. (ბერძ. bradys „ნელი, მძიმე“). შარდის ავადმყოფური დენა. რაც გამოიხატება აუვსებელი ბუშტის დაცლის მოთხოვნილებაში.

**ბრადიკარდია**, ბერძ. ხელოვნ. (იხ. წინა სიტყვა). პულსის შენელება ზოგიერთი ავადმყოფობის დროს (იხ. პულსი).

**ბრადიპეპსია**, ბერძ. ხელოვნ. (იხ. ბრადიზურია). საჭმლის მონელების ხანგრძლივი მოშლა.

**ბრავადა** (ფრ. bravade). დიდგული მკვეხარობა, უსაფუძვლო რიხიანობა და სხვ. ასეთი; აქედან: **ბრავირობა** — დიდგული კვეხნა, თავისი ძალების გაზვიადება, ხიფათის არაფრად ჩაგდება და სხვ. ასეთი.

**ბრავო** (იტ. „ძლიერი, მამაცი“): 1) მოწონების აღმნიშვნელი ძახილი: ვაშა! ბარაქალა! ამბობენ აგრეთვე: **ბრავისიმო** (ბრავისსიმო) მოწონების უმაღლესი ხარისხის აღსანიშნავად; 2) იტალიაში: გაბედული ბოროტმოქმედების ჩამდენი, დაქირავებული ავაზაკი კაცის მოსაკლავად ან სხვა რაიმე ბოროტმოქმედებისათვის.

**ბრავურა**, იტ.. საერთოდ: გაბედულობა, შეუპოვრობა და სხვ. ასეთი; მუსიკაში: განსაზღვრული ნაწარმოების ან მისი ნაწილის გაბედულად, რიხიანად შესრულება; აქედან: **ბრავურული არია** და სხვა.

**ბრაზილია** ანუ ბრაზილიის რესპუბლიკის შეერთებული შტატები სამხრეთ ამერიკაში: XVI საუკუნიდან — პორტუგალიის კოლონია, 1822 წლიდან — დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1889 წლის რევოლუციის შემდეგ — რესპუბლიკა; მთავარი ქალაქია რ ი ო-დ ე-ჟ ა ნ ე ი რ ო; უკანასკნელ ხანებში ბრაზილიაში სწრაფად ვითარდება მრეწველობა.

**ბრაიტ-ის ავადმყოფობა**, თირკმლების ანთება, რომელიც პირველად აღწერა (1827) ინგლისელმა გამოჩენილმა ექიმმა ბრაიტმა (Bright).

**ბაკეტ-ი**, იგივეა, რაც ბრა (იხ.).

**ბრაკ-ი** (გერმ. Brack). უვარგისი, დაწუნებული. მაგ. — საქონელი (ქართულად ამბობენ: დაბრაკვა რისამე, დაბრაკული).

**ბრაკონიერ-ი** (ფრ. braconnier, ძვ. ფრანგული bracon „მეძებარი ძაღლი“). სხვის მიწაზე პატრონის ნებადაურთველად მონადირე; აქედან: **ბრაკონაჟ-ი** ანუ **ბრაკონიერობა** — ამგვარად ნადირობა.

**ბრამა-**, იხ. ბრაჰმა-.

**ბრამსელ-ი**, ჰოლ., ანძის ზედა აფრა, მესამე ქვევიდან (საზღვაო).

**ბრანდერ-ი**, გერმ.: 1) ამფეთქებელი ნივთიერებით გატენილი ყუმბარა; 2) ამფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ნავი მტრის ხომალდებისა ან ხიდების ასაფეთქებლად.

**ბრანდეს-ი**, გეორგ (1842 — 1927), დანიის გამოჩენილი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი; ცნობილია მისი: „დასავლეთ ევროპის მე-19-ე ს. მთავარი მიმდინარეობა“ (ამ ნაწარმოების გამო ის იძულებული იყო დიდი ხნით წასულიყო დანიიდან), „შექსპირი“, „ფ. ლასალი“ და მრავალი სხვ.

**ბრანდვახტ-ი** (გერმ. Brandwache). სამხედრო სადარაჯო ხომალდი ნავსადგურთან ზღვაში ერთ ადგილზე („მკვდარი ღუზით“): იცავს ნავსადგურის შესავალს.

**ბრანდმაიორ-ი**, გერმ.-ლათ.. ხელოვნ. ცეცხლ-მქრობელთა რაზმების ყველა ნაწილების უფროსი ქალაქში.

**ბრანდმაუერ-ი**, გერმ.. ორ შენობას შუა ამოყვანილი კედელი, რომლის დანიშნულებაცაა დააბრკოლოს ცეცხლის გავრცელება ერთი შენობიდან მეორეზე.

**ბრანდმეისტერ-ი**, გერმ.. ცეცხლ-მქრობი რაზმის უფროსი.

**ბრასლეტ-ი** (ფრ. bracelet). სამაჯური.

**ბრაუნინგ-ი** (ბროვნინგ), ერთგვარი ავტომატური (იხ.) რევოლვერი, რომლიდანაც გასროლის შემდეგ დაცლილი მასრა თავისით გამოვარდება და ჩახმახიც თავისით შეიმართება.

**ბრაუნ-როტ-ი** (ინგლ. brawn-rot). ვაზის ერთერთი ავადმყოფობა: ყურძნის მარცვლის კანი ნაოჭიანდება, ხოლო შიგნი ჰკნება — ილპება დამწიფებამდე; წამლობენ ბორდოს სითხით (იხ.).

**ბრაშპილ-ი**, ფრ.-გერმ., ხელოვნ.. ღუზის წყლიდან ამოსაღები თარზული (ჰორიზონტალური) ოწინარი.

**ბრახი-** ან **ბრაქი-** (ბერძ. brachys „მოკლე“) — დაერთვის სიტყვას თავში და ითარგმნება ქართულად: მოკლე- ან მოკლედ-, მაგ.

**ბრახიგრაფია**—მოკლედ წერა, იგივეა, რაც სტენოგრაფია (იხ.); **ბრახიკეფალ-ი** — მოკლე-თავიანი და სხვ.

**ბრახიცეფალ-ი** ან **ბრაქიკეფალ-ი**, მოკლე თავიანი, მოკლე თავისქალიანი; აქედან: **ბრაქიკეფალია** — მოკლე თავისქალიანობა.

**ბრაჰმა**, ძე. ინდური, პირვანდ. მნიშვნელობით: მსოფლიოს სული; შემდეგ: უზენაესი სამების მთავარი ღვთაება, მსოფლიოს შემქმნელი; აქედან: **ბრაჰმან-ი** — ოთხ წოდებათაგან უმაღლესი წოდების წარმომადგენელი ინდოეთში, ქურუმთა კლასი; **ბრაჰმანიზმ-ი** — ინდოელთა რელიგია, რომლის გამოსავალი წერტილიც ვედებია (იხ.).

**ბრაჰმინ-ი**, იგივეა, რაც ბრაჰმანი, იხ. ბრაჰმა.

**ბრეგონები**, იხ. ბრეჰონები.

**ბრევე** (ლათ. ბრევის „მოკლე"): 1) პაპის მიწერილობა ხელმწიფეთა მიმართ; 2) საფრანგეთში (brevet): საერო ხელისუფლების წყალობითი მიწერილობა ვისიმე მიმართ — რაიმე წარჩინების ალთქმის შემცველი.

**ბრევიარი** (ლათ. ბრევიარიუმ): 1) ლათინური კურთხევანი კათოლიკურ ეკლესიაში; 2) ვრცელი შრომის შემოკლებული ფორმა.

**ბრეზენტ-ი** (გერმ. პრეზენნინგ), წყალ-შეუვალი ნივთიერებით გაჟღენთილი სქელი ტილო, რომელსაც ხმარობენ რისამე გადასაფარებლად წვიმისა ან მტერისაგან დაცვის მიზნით და სხვ.; საბრეზენტე სქელ ტილოს ეწოდება **ბრეზენდუკ-ი**.

**ბრეკვატერ-ი** (ინგლ. break-water), საგანგებო ნაშენი ტალღებისაგან ნავსადგურის, ნაპირის და სხვ. დასაცავად.

**ბრელოკ-ი** (ფრ. breloque), საათის ძეწკვზე დასაკიდებელი სამკაული ლითონისა, სპილოს ძვლისა და სხვ.

**ბრენდი** (ინგლ. brandy), ინგლისური არაყი; ასე ეძახიან ინგლისში აგრეთვე კონიაკს (იხ.).

**ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა** — 1918 წლის მარტში ქ. ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულობა, რუსეთისათვის ფრიად სამძიმო პირობებით, — გააუქმა იმავე წელს გერმანიასა და ავსტრიაში მომხდარმა რევოლუციამ.

**ბრეტიორ-ი** ან უკეთ **ბრეტერ-ი** (ფრ. bretteur), მოჩხუბარი, დუელისტი, უსაფუძვლო მიზეზით დუელში გამომწვევი.

**ბრეტონული ენა**, ბრეტანის ნახევარ-კუნძულზე (საფრანგეთის ჩრდ.-დასავლ.) შენახული კელტურ ენათა ოჯახის ერთერთი შტო; ამ ენაზე საშ. საუკუნეების დასაწყისში არსებულა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, რამდენადაც ეს ჩანს საშ. საუკ. ფრანგული რომანებიდან, რომელთა სუჟეტებიც ბრეტონულია (ასეთია. მაგ. მშვენიერი ფრანგ. რომანი „ტრისტანი და იზოლდი". — არსებობს ქართულადაც).

**ბრეშ-ი** (ფრ. brèche „ბზარი. ნაპრალი"). ციხე-სიმაგრის კედელში ზარბაზნის სროლით გამონგრეული, შტურმით (იხ.) მისულ მეომართა შესასვლელი ადგილი; აქედან: **ბრეშბატარეა** — ბატარეა, რომელიც შეიარაღებულია ციხის კედლების გამოსანგრევი დიდი ზარბაზნებით.

**ბრეჰონები** (მრავლ.), ძველ ირლანდიელთა მოსამართლეები; აქედან „Brehon-Law" — ასე ეწოდება ირლანდიელთა ძველ კანონთა კრებულს.

**ბრი** (ფრ. brie), ასე ეწოდება ერთგვარ ფრანგულ ყველს, რომელიც ახლა საფრანგეთს გარეთაც მზადდება.

**ბრიგადა** ან **ბრიგად-ი** (ფრ. brigade): 1) თანაგვარ-იარაღიანი ჯარის გაერთიანება, მაგ.: ქვეითთა ბრიგადა—ორი პოლკისაგან (ანუ 2 ლეგიონისაგან), ცხენოსანთა ბრიგადი—აგრეთვე, საარტილერიო ბრიგადი—6 ბატარეისაგან შედგენილი და სხვ.; აქედან: **ბრიგადირ-ი**—ბრიგადის უფროსი; 2) კონდუქტორთა ბრიგადა — მატარებლის მოსამსახურეთა სანაცვლო შემადგენლობა.

**ბრიგანდები**, **ბრიგანები** ან **ბრიგანტები** (მრავლ., ფრ. brigand, იტ. brigante): 1) ყაჩაღები; თავდაპირველად: დაქირავებული რაზმები საფრანგეთში (XIV — XV ს. ს.); 2) **ბრიგანტები** (ლათ. ბრიგანტეს) ეწოდებოდა რომაელთა დროს ერთერთ კელტურ ტომს ბრიტანიაში.

**ბრიგანდინ-ი** (ფრ. brigandine), ჯავშანი: ტყავის ან რაიმე სქელი მატერიის მორკინული პერანგი.

**ბრიგელა** (იტ. Brighella), იტალიურ ხალხურ კომედიაში მოქმედი პირი, ცბიერი და ხუმარა, მოსამსახურის როლში. მოქმედობს არლეკინთან (იხ.) ერთად.

**ბრიგ-ი**, ინგლ., ორ-ანძიანი ხომალდი; ასეთივე იყო **ბრიგანტინ-იც**.

**ბრიზანტული** (ან უკეთ **ბრიზანტო**) **ყუმბარა** (ფრ. briser „მტვრევა, მსხვრევა"), საარტილერიო ყუმბარა, ავსებული ძლიერად ასაფეთქებელი ნივთიერებით (პიროქსილინით, დინამიტით და სხვ.).

**ბრიზ-ი** (ფრ. brise), პერიოდული (წესიერად ხანგამოშვებითი) ნაპირის ქარი: დღისით ზღვიდან ნაპირისაკენ, ღამით — პირუკუ.

**ბრიკეტ-ი** (ფრ. briquette), წესიერი ფორმის ნაჭერი, დამზადებული მაღალი წნევის საშუალებით ფხვნილოვანი ან ბოჭკოვანი ნივთიერებისაგან (ქვანახშირისა, ტორფისა და სხვ.); იხმარება უმთავრესად, როგორც საწვავი მასალა; აქედან: **ბრიკეტირება** — ბრიკეტის დამზადება.

**ბრილიანტ-ი** ან **ბრილანტ-ი** — (ფრ. brillant), ლავისებურად მოხეხილ-მოწახნაგებული ალმასი (იხ.), რომელსაც ამის გამო ეძლევა უაღრესი სიბრწყინვალე და კრისტალის „თამაში"; ფასობს ძალიან ძვირად; აქედან: **ბრილიანტინ-ი** — თმის მბზინვარების მიმცემი სითხე.

**ბრინზა** ან **ბრინძა** (რუმ.-რუს. брынза), ცხვრის რძისაგან დამზადებული ყველი.

**ბრიოლოგია**, ბერძ. ხელოვნ. (ბერძ. bryon „ხავსი"), ბოტანიკის ერთი დარგი, რომელიც იკვლევს ხავსებს; **ბრიოლოგ-ი** — ხავსების მცოდნე და მკვლევარი ბოტანიკოსი.

**ბრისტოლის ქაღალდი**, მკვრივი კარტონის ქაღალდი სააქვარელო (იხ. აქვარელი) მხატვრობისათვის და ფანქრით სახატავად (სახელწოდება ქ. ბრისტოლიდან).

**ბრიტანია** (ბრიტანნია), დღევანდელი ინგლისისა და შოტლანდიის ძველი კელტური სახელწოდება, რომელიც იხმარებოდა იულ. კეისრის შემდეგ.

**ბრიტანიის** (ან **ბრიტანეთის**) **მუზეუმი**, ასე ეწოდება ინგლისის ეროვნულ დაწესებულებას (დაარსებ. 1753 წ. ლონდონში), რომელიც შეიცავს მსოფლიოში უმდიდრეს წიგნთსაცავს (2 მილიონზე მეტ ტომს), სხვადასხვა ხალხთა ხელოვნების ძეგლებს, ხელნაწერებს და მრავალ სხვას.

**ბრიუმერ-ი** (ფრ. brumaire), წლის მეორე თვე საფრანგეთის სარევოლუციო კალენდრით (23 ოქტომბრიდან 21 ნოემბრამდე); ცნობილია 18 ბრიუმერი (ე. ი. 1799 წ. 9 ნოემბერი), როცა ნაპოლეონ I-მა მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და თავისი თავი პირველ კონსულად გამოაცხადა.

**ბრიუნეტ-ი**, ფრ., შავთმიანი, შავგვრემანი ვაჟი (brunet) ან ქალი (brunette).

**ბრიუნეტიერ-ი**, ფერდ. (Ferd. Brunetière, 1849 — 1906), საფრანგეთის ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი, ზომიერი კლასიციზმის (იხ.) მომხრე და რეალიზმისა და სიმბოლიზმის (იხ.) მოწინააღმდეგე, ე. წ. „ევოლუციური მეთოდის" შემქმნელი (მის შესახებ სწერდა კიტა აბაშიძე).

**ბრიუსოვ-ი**, ვალ. იაკ. (Вал. Яков. Брюсов. 1874 — 1924), რუსი პოეტი-სიმბოლისტი, ლექსის ფორმის საუკეთესო ხელოვანთაგანი; ამასთანავე მკვლევარი ლექსთ-წყობისა და სხვ.; 1920 წლიდან იყო რ. კ. პ. წევრი

**ბრიჩკა**, რუს. (გერმანულიდან?), მსუბუქი თავსახურიანი ეტლი.

**ბრიჯ-ი** (ინგლ. bridge), ქაღალდის ერთგვარი ინგლისური თამაში.

**ბროკა**, პ. (1824 — 1880), საფრანგეთის გამოჩენილი ანთროპოლოგი, ფიზიოლოგი და ქირურგი, ანთროპომეტრიის (იხ.) დამაარსებელი; ცნობილია, განსაკუთრებით, ტვინის აგებულობის გაზომვებით თავის-ქალის აგებულობასთან დაკავშირებით და ტვინის ფუნქციათა გამოკვლევებით; სხვათა შორის, მან აღმოაჩინა ტვინში მეტყველების ცენტრი, რომელიც ატარებს „ბროკას ცენტრი"-ს სახელს.

**ბროკარ-ი** (ფრ. brocart), ოქრო-მკედით ამოქარგული აბრეშუმის სქელი ქსოვილი.

**ბროკატელ-ი** (ფრ. brocatelle): 1) ნახევრად აბრეშუმის ქსოვილი, სურათებიანი და ოქრო-მკედით ნაქარგი; 2) ჭრელი ჭარმარილო.

**ბროკატ-ი**, იტ.: 1) იგივეა, რაც ბროკარი; 2) სპილენძისა და კალას ან თუთიას შენადნობისაგან მომზადებული ფხვნილი, ბრინჯაოს ფხვნილი; 3) **ბროკატის ქაღალდი** — ოქროსა და ვერცხლის ნახატებიანი ქაღალდი, რომელსაც ხმარობენ, უმთავრესად, ყდებისთვის.

**ბროკენის მოჩვენება** (გერმ. Brockengespenst) — ჩრდ. გერმანიაში მდებარე ჰ ა რ ც-ის (Harz) მთის ერთერთ მწვერვალზე, ბ რ ო კ ე ნ-ზე (Brocken), მზის ჩასვლისას მაყურებელ-

შეუძლია დაინახოს მოპირდაპირე ღრუბლების ფონში თავისი საკუთარი უზარმაზარი აჩრდილი — „ბროკენის მოჩვენება".

**ბრომ-ი**, ბერძ., მუქ-წითელი სითხე, ქიმიურად მარტივი ნივთიერება; ბრომის მარილები ფართოდაა გამოყენებული მედიცინაში.

**ბრონზა** (იტ. bronzo), ქართულად: ბრინჯაო; **ბრონზირება** — ბრინჯაოს სახის მინიჭება ხის, ლითონის, გიპსის და სხვ. საგნების ზედაპირისათვის.

**ბრონტოლოგია**, ბერძ. ხელოვნ., მოძღვრება ქარიშხლისა და ჭექა-ქუხილის მოვლენათა შესახებ; **ბრონტომეტრ-ი** — ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად აღნიშნავს ქარიშხლის მოვლენებს; **ბრონტოფობია** — ქარიშხლისა და ჭექა-ქუხილის შიში.

**ბრონხები** ან უკეთ **ბრონქები** (მრავლ., ბერძ. ბროგქოს), სასუნთქი მილის განშტოებანი, რომელნიც შედიან ფილტვებში.

**ბრონხიტ-ი** ან უკეთ **ბრონქიტ-ი** — ბრონქების ლორწოვანი გარსის ანთება.

**ბროსე**, მარი (Brosset, Marie, 1802—1880), გამოჩენილი ორიენტალისტი; მრავალ სხვა დამსახურებათა შორის, დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესწავლაში.

**ბროუნისტები** (მრავლ., ინგლ. brownists), რელიგიური სექტა ინგლისსა და ჰოლანდიაში (დაარსებ. 1581 წ. ბროუნის მიერ), რომელიც უარჰყოფდა საეკლესიო ორგანიზაციას, წესებს და სხვ. და ქადაგებდა სრულს თემობრივ ავტონომიას; ინდეპენდენტების (იხ.) სახელწოდებით ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდენ ინგლისის ისტორიაში.

**ბროუნ-სეკარ-ი** (Brown-Séquard, 1817—1894), გამოჩენილი ფრანგი ფიზიოლოგი და ექიმი, ორგანოთერაპიის (იხ.) დამაარსებელი.

**ბროშიურა**, იხ. ბროშურა.

**ბროშკა** ან უკეთ **ბროშ-ი** (ფრ. broche), გულზე გასაკეთებელი ქალის სამკაული ოქროსი, ვერცხლის ან ძვირფასი ქვისა.

**ბროშურა** ან **ბროშურ-ი** (ფრ. brochure): 1) პუბლიცისტური ხასიათის პატარა ნაწარმოები; 2) პატარა წიგნი, რვეული; აქედან: **ბროშურირება** — წიგნის ფურცლების შეკერვა, აკინძვა.

**ბრუდერშაფტ-ი** (გერმ. Bruderschaft), ძმობა, დაძმობილება; **ბრუდერშაფტის დალევა** — ორი მეგობრის მიერ სმის დროს ურთიერთ ძმობის აღთქმა და „შენ"-ობით ერთი მეორესთან ლაპარაკის დაწყება.

**ბრულიონ-ი** (ფრ. brouillon), შავად ნაწერი ან შავად ნახატი, ე. ი. ნახატის წინასწარი სახე; აქედან: **საველე ბრულიონი** — ადგილის წინასწარი გეგმა, რომელიც საბოლოოდ შესრულდება თვით ადგილზე.

**ბრუნო**, ჯორდანო (Giordano Bruno, 1548—1600), იტალიელი შესანიშნავი მოაზროვნე-ფილოსოფოსი, სქოლასტიკის მოწინააღმდეგე; დასწვეს ინკვიზიციის წესით. მისი მოძღვრება ემყარებოდა კ ო პ ე რ ნ ი კ-ისას (იხ.), რომელიც მან შეავსო და გააფართოვა: მთავარია მის მოძღვრებაში მსოფლიოს უსასრულობა და აქედან გამომდინარე დასკვნები.

**ბრუსტვერ-ი** (გერმ. ბრუსტვეჰრ), მტრის სროლისაგან თავის დასაცავად გაკეთებული საფარი (მიწისა, ქვის ან რკინის), რომელიც აბრკოლებს მტრის მოქმედებას და ხელს არ უშლის ჩასაფრებულთ.

**ბრუტო** (იტ. ბრუტტო „ტლანქი, ნედლი, ვულური"), საერთოდ: მთლიანი; კერძოდ: 1) **ბრუტო წონა** — რაიმე საქონლის წონა იმ მასალასთან ერთად, რაშიც საქონელი იმყოფება; 2) მთლიანი შემოსავალი რისგანმე გასავლის გამოურიცხველად.

**ბუალო-დეპრეო** (Boileau-Despréaux, 1636—1711), შესანიშნავი ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი; განსაკუთრებით ცნობილია მისი თხზულება „L' Art poetique" (პოეტური ხელოვნება), რომლითაც მან დაადგინა წესები პოეტური ხელოვნების ყოველი დარგისათვის.

**ბუბონ-ი** (ბერძ. boybôn), ლიმფური ჯირკვლების ანთება და დაჩირქება, უმეტეს შემთხვევაში — საზარდულის ჯირკვლებისა.

**ბუდიზმ-ი** (Buddhismus), მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული რელიგია (იაპონიაში, ინდოჩინეთში, მონღოლეთში, ტიბეტში, ჩინეთში და სხვ.), რომლის დამაარსებლად ითვლება ლეგენდური ბუდა ან უკეთ ბუდდჰა, (სანსკრ. buddha „გაღვიძებული, განათლებუ-

ლი...“). იგივე შაკია-მუნი (VI-V საუკ. ქ. წ.); ბუდას მოძღვრებით სიცოცხლე ბოროტებაა, ადამიანი უნდა ისწრაფოდეს სრული სიმშვიდისაკენ და თავის სურვილთა და ვნებათა მოსპობისაკენ; იგი უარჰყოფს წოდებრივ დაყოფას, უზენაეს ღვთაებას და სხვადასხვა წესებს... შემდეგში თვით ბუდა იქნა დასახული უზენაეს ღვთაებად; აქედან: **ბუდისტ-ი** — ბუდიზმის მიმდევარი.

**ბუდუარ-ი** (ფრ. boudoir), ქალის ოთახი, სათანადოდ მორთული და მის კაბინეტად და მისაღებ ოთახად გამოყენებული.

**ბუერ-ი** (ინგლ. hoyer): 1) ძველად: ერთანძიანი ხომალდი; 2) ერთგვარი აფრიანი მარხილი ყინულზე სასრიალოდ.

**ბუი** (ინგლ. buoy), ხის ან ლითონის ტივტივა, რომელიც აღნიშნავს წყალში ამა თუ იმ ადგილს.

**ბუკეტ-ი** (ფრ. bouquet): 1) თაიგული, ყვავილების ან ვარდების კონა; 2) **ღვინის ბუკეტ-ი** — თვითეული ხარისხის ღვინისათვის დამახასიათებელი სუნი და გემო.

**ბუკეფალ-ი** (ბერძ. „ხარის თავის მქონე“), ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელწოდება (იგივეა, რაც ბუცეფალი).

**ბუკინისტ-ი** (ფრ. bouquin „სქელი დიდი წიგნი“), ძველებური ან ნახმარი წიგნებით მოვაჭრე.

**ბუკლ-ი** (ფრ. boucle): 1) ხელოვნურად დასუჭუჭებული თმა (de cheveux); 2) ერთგვარი სამკაული ხუროთმოძღვრებაში.

**ბუკოლიკა** (მრავლ., ბერძ.-ლათ.): 1) მწყემსური სიმღერები (ბერძ. boycólos „მწყემსი“); 2) ვირგილიუსის რამდენისამე ლექსის საერთო სახელწოდება; აქედან: **ბუკოლიკური პოეზია** — ვიწრო მნიშვნელობით: მწყემსური პოეზია; ხოლო ჩვეულებრივ ასე ეწოდება პოეზიას, რომელიც გადმოგვცემს სურათებს სოფლური მშვიდობიანი ცხოვრებიდან; ბუკოლიკური პოეზიის ფორმა შესაძლებელია ლირიკული, მოთხრობითი, დრამატიული და შერეული; ასეთი პოეზიის უძველესი და საუკეთესო ნიმუშები მოგვცა ბერძენმა პოეტმა, თეოკრიტოს სირაკუზელმა (III ს. ქ. წ.); მას ჰბაძავდა რომაელი პოეტი ვირგილიუსი (იხ. იდილია და პასტორალი).

**ბუკს-**, იხ. ბუქს-.

**ბულ** (ინგლ. bull „ხარი“) ან **ჯონ ბულ** (John Bull) — დაცინვითი სახელწოდებაა ინგლისელის მიმართ მისი მძიმე და ჯიუტი ხასიათის აღსანიშნავად.

**ბულა** (ლათ. ბულლა): 1) საშუალო საუკ.: ლითონის ყუთი, რომელშიაც მოთავსებული იყო ბეჭედ-მიბმული რაიმე საბუთი ან თვით ბეჭედი; შემდეგ: ბულა ეწოდა თვით საბუთს; 2) რომის პაპის სიგელი, წერილი, ბრძანება.

**ბულანჟიზმ-ი**, მონარქისტული მოძრაობა საფრანგეთში XIX საუკ. 90-იან წლებში გენერალი ბულანჟეს (Boulanger) მეთაურობით, — გათავდა დამარცხებით; აქედან: **ბულანჟისტ-ი** — ამ მოძრაობის მომხრე.

**ბულდოგ-ი** (ინგლ. ბულლ-დოგ): 1) მომცრო ტანის, მაგრამ ღონიერი ძაღლის ჯიში: მას აქვს მსხვილი თავი, მოკლე და სქელი პირი, გაბრტყელებული; 2) დიდი კალიბრის მოკლე-ლულიანი რევოლვერი.

**ბულე**, ბერძ., საბჭო ძველ საბერძნეთში; აქედან: **ბულევტერიონ-ი** — ამ საბჭოს სხდომის ადგილი; **ბულევტეს-ი** — საბჭოს წევრი.

**ბულვარ-ი**, გერმ.-ფრ. (boulevard): 1) თავდაპირველად: სიმაგრე ქალაქს გარეთ; 2) ფართე ქუჩა, იქეთ-აქეთ ხეებით შემორგული, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს სასეირნო ადგილს; აქედან: **ბულვარული** — ბულვარის ხასიათის მქონე; **საბულვარო** — რაც ბულვარისთვისაა დანიშნული ან გამოსადეგი, მაგ. **ბულვარული** ან უკეთ **საბულვარო რომანი** — რთული წარმტაცი შინაარსის რომანი (საყოველდღეო საუბარში ბ უ ლ ვ ა რ უ ლ ი და საბულვარო ნიშნავს: უშინაარსო, ქუჩური, უწმაწური და სხვ.).

**ბულიმია**, ბერძ., ავადმყოფური გადაჭარბებული ჭამის მადა, შიმშილის გრძნობა — ზოგიერთი სულიერი ავადმყოფობის დროს; გაუმაძღრობა.

**ბულიონ-ი** (ფრ. bouillon), ხორცის წყალში ნახარში (ჩვეულებრივ მარილიანი).

**ბულკ-ი** (რუს. ბულკა), მომრგვალო ფორმის თეთრი პური.

**ბულონის ტყე** (bois de Boulogne), პარიზელთა სასეირნო ადგილი, პარკი პარიზის დასავლეთით.

**ბუმერანგ-ი,** ავსტრალიელ ველურთა სატყორცნი იარაღი, რომელიც უკანვე ბრუნდება, თუ მიზანს არ მოხვდა.

**ბუნდ-ი** (გერმ. „კონა. შეკვრა, კავშირი"), ასე ეწოდება „ებრაელების მუშათა საყოველთაო კავშირს" რუსეთსა და პოლონეთში, დაარსებულს 1897 წ.; შედიოდა როგორც ავტონომიური ერთეული რ. სოც.-დემოკრ. პარტიაში; 1917 წ. შემდეგ ბუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის რუს. კომ. პარტიაში; აქედან: **ბუნდისტ-ი** — ბუნდის წევრი.

**ბუნტ-ი,** გერმ.-რუს., ამბოხება უზენაესი ხელისუფლების წინააღმდეგ; აქედან: **ბუნტარული** — ამბოხების გამომწვევი.

**ბუნჩუკ-ი,** თურქ., ჰეტმანის უფლების აღმნიშვნელი ნიშანი უკრაინაში: ხის გრძელ ტარზე მოოქრვილი ბირთვი და ცხენის კუდი.

**ბუჟი** (ფრ. bougie „სანთელი"), სხვადასხვა მასალისაგან (ცვილისა, კაუჩუკისა ან ლითონის) გაკეთებული წვრილი ჯოხი — საშარდე მილის გასაფართოებლად, საყლაპავი მილის გამოსაკვლევად და გასაფართოებლად და სხვ. (მედიცინაში).

**ბურან-ი,** თურქ.-რუს., თოვლის ქარბუქი.

**ბურბონები** (მრავლ., მხოლ. Bourbon), ფრანგული წარმოშობის სამეფო გვარეულობა, რომელიც მეფობდა საფრანგეთში 1593 წლიდან; საფრ. რევოლუციის მიერ განდევნილი ბურბონები ისევ მეფდებიან საფრანგეთში 1813 წელს; უკანასკნელი ბურბონი (კარლოს X) განდევნილი იქნა საფრანგეთიდან 1830 წ.

**ბურგერ-ი,** იხ. ბიურგერი.

**ბურგგრაფ-ი,** გერმ., საშ. საუკუნეებში: თანამდებობის პირი, რომელიც მართავდა ქალაქის ოლქს და აღჭურვილი იყო სამოსამართლო და სამხედრო უფლებებით; ხშირად ეს თანამდებობა იქცეოდა მემკვიდრეობითად.

**ბურგომისტრ-ი** (გერმ. Bürgermeister), ქალაქის თავი გერმანიაში; აგრეთვე: ადგილობრივი სათემო მმართველობის უზენაესი წარმომადგენელი.

**ბურები** (მრავლ., ჰოლ. Boers „გლეხები"), ჰოლანდიელ კოლონისტთა (1652 — 1807) შთამომავალნი კ ა პ-ის ქვეყანაში (სამხრ. აფრიკაში); 1836 წელს შექმნეს შიდა აფრიკაში ორი რესპუბლიკა; 1902 წ. დაიმორჩილა ინგლისმა.

**ბურიატები** (მრავლ.). მონღოლური ტომის ხალხი აღმოსავლეთ ციმბირში; აქვსთ მწერლობა; აქედან: **ბურიატ-მონღოლთა რესპუბლიკა** — შედის საბჭოთა კავშირში. შეიცავს ირკუტსკის გუბერნიისა და იმიერ-ბაიკალის ოლქის ნაწილებს. მთავ. ქალაქია ვ ე რ ხ ნ ე-უ დ ი ნ ს კ-ი.

**ბურიმე** (ფრ. bout „ბოლო", rime „გარითმული"), წინდაწინ მიცემულ რითმებზე შედგენილი ლექსი; ჩვეულებრივ ბურიმეს ამბობენ ექსპრომტად, ე. ი. მოუმზადებლად (იხ. ექსპრომტი); წარმოიშვა საფრანგეთში XVII ს.

**ბურლაკ-ი,** რუს.(?), მდინარეთა სამიმოსვლო ხომალდებზე მომუშავე, განსაკუთრებით ვოლგისა და მის შენაკადებზე; ჩვეულებრივ ბურლაკები მუშაობენ ნადურად (არტელით); უკრაინაში ბ უ რ ლ ა კ - ი ნიშნავს: დღიურად მომუშავე, სამშობლოდან გადახვეწილი.

**ბურმისტრ-ი** (გერმ. Burgmeister-ისაგან). ბატონყმობის დროს ასე ეწოდებოდა რუსეთში გლეხს, რომელიც განაგებდა ვისიმე მამულს ან სოფელს.

**ბურჟუა** (ფრ. bourgeois): 1) მესამე წოდების წარმომადგენელი — მიწის-მფლობელ აზნაურთან და სამღვდელოების წარმომადგენელთან დაპირისპირებით; 2) ქალაქში მცხოვრები შეძლებული მოქალაქე; 3) ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელი (იხ. ბურჟუაზია).

**ბურჟუაზია** (ფრ. bourgeoisie): 1) თავდაპირველად: მოქალაქეთა წოდება — მიწისმფლობელ აზნაურთა და სამღვდელოებასთან დაპირისპირებით; შემდეგ: კაპიტალისტთა კლასი — პროლეტარიატთან დაპირისპირებით; 2) კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასი, რომელიც ფლობს საწარმოო იარაღებს, ეწევა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას და ახორციელებს თავის პოლიტიკურ ხელისუფლებას ბურჟუაზიული სახელმწიფოს საშუალებით; აქედან: **ბურჟუაზიული** — ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი ან ბურჟუაზიის მიერ შექმნილი, მისი ნამოქმედარი, მაგ.: **ბურჟუაზიული დრამა** — დრამატიული ნაწარმოები, რომელიც განვითარდა XVII საუკუნეში ბურჟუაზიის გაძლიერებასთან დაკავშირებით; ბურჟუაზიული დრამის მთავარი თეორეტიკოსი და ცხარე დამცველი საფრანგეთში იყო დიდრო (Diderot. 1713—1784); **ბურჟუაზიული რევოლუცია** — ფეოდალური წეს-

წყობილების ან მისი ნაშთების წინააღმდეგ მიმართული რეაქციის (იხ.), რომელსაც ჩვეულებრივ ხელმძღვანელობს ბურჟუაზია და რომელიც მთავრდება მისი გაძლიერებით და სხ.: ბურჟუაზიული რესპუბლიკა — სახელმწიფოებრივი წესწყობილების ისეთი ფორმა, სადაც არ არის მეფე და ხელისუფლება ეკუთვნის ხალხის წარმომადგენლებს, მაგრამ არჩევის უფლება აქვს მესაკუთრეს ან გადასახადის გადამხდელს.

**ბურსა** (ბერძ. byrsa, ლათ. ბურსა „ტყავი, ქურქი"): 1) ძველ რომში: ტყავის ქისა; 2) საშ. საუკუნეებში: იგივე და შემდეგ: სალარო, უმეტეს ნაწილად, სამეფო სკოლის მოწაფეებისა; შემდეგ: ღარიბ სტუდენტთა პანსიონი, რომელიც ინახებოდა ქველმოქმედთა შეწირულებებით (იხ. კონვიქტი); უფრო გვიან: სასულიერო სასწავლებელი პანსიონითურთ: ბურსის მოწაფეთ ეწოდებოდათ **ბურსარი, ბურსარიები** ან **ბურსიატ-ი, ბურსიატები.**

**ბურსაკ-ი** (რუს. დაბოლოებით), იგივეა, რაც ბურსარი ან ბურსიატი (იხ. ბურსა); აქედან: **ბურსაკული** — ბურსაკისათვის დამახასიათებელი; გადატ. მნიშვ.: მოუხეშავი, ტლანქი და სხვ.

**ბურუნ-ი:** 1) თურქ., „ცხვირი", კონცხი; 2) ბურუნები (მრავლ., რუს.?) — ზღვის ფურთუნი: შემაღლებული და აქაფებული ტალღების ხეთქება ნაპირებზე და მეჩეჩებზე.

**ბურშ-ი,** ლათ.-გერმ.: 1) უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტი გერმანიაში, სტუდენტთა კავშირის წევრი; 2) საერთოდ, გადატ. მნიშვნ., ახალგაზრდა ვაჟი (იხ. ბურსა).

**ბუსოლ-ი** (იტ. bussola „კოლოფი", ფრ. boussole „კომპასი"), გეოდეზიური (სამიწათმზომელო) იარაღი, რომელსაც ხმარობენ მაგნეტური აზიმუტების (იხ.) გასაზომად.

**ბუტად-ი** (ფრ. boutade), გაჯავრებით ნათქვამი სიტყვა; თავისებური საქციელი; სათეატრო ხელოვნებაში: წინასწარ მოუმზადებლივ შექმნილი ბალეტი; მუსიკაში: ფანტაზია (იხ.).

**ბუტაფორ-ი** (იტ. buttafuori-საგან), თეატრის მსახური, რომელსაც ევალება თვალყურის დევნება წარმოდგენისათვის საჭირო ნივთებისა (დეკორაციებს გარდა); აქედან: **ბუტაფორია** — 1) სათეატრო წარმოდგენისათვის საჭირო ნივთეულობა (ავეჯეულობა, ტანსაცმელი, ჭურჭლეულობა და სხვ.); 2) გადატან. მნიშვნ.: გარეგნული, ყალბი მოკაზმულობა.

**ბუტერბროდ-ი** (გერმ. Butterbrot „კარაქიანი პური"), პურის ნაჭერი, რომელსაც წასმული აქვს კარაქი, ხიზილალა და სხვ. ან ზედ დადებული აქვს ყველის, შაშხის ან ძეხვის ნაჭერი და სხვ.

**ბუტონიერ-ი** (ფრ. boutonnière), პატარა თაიგული, რომელსაც იკეთებენ სალილეში ან გულზე.

**ბუფერ-ი** (ინგლ. buffer): 1) ზამბარიანი მოწყობილობა, რომელიც ასუსტებს დაჯახების ძალას, მაგ. ვაგონებისას, მატარებლის მოძრაობის დროს; 2) გადატან. მნიშვნ.: **საბუფერო სახელმწიფო** — ასე უწოდებენ ორ ძლიერ სახელმწიფოს შუა მდებარე (ზოგჯერ განზრახ შექმნილს) პატარა სახელმწიფოს, რომელიც ხელს უშლის ამ ორი სახელმწიფოს ერთიმეორესთან შეტაკებას.

**ბუფეტ-ი,** ლათ.-ფრ. (buffet): 1) სასმელ-საჭმელის ჭურჭლეულობის შესანახავი შკაფი; 2) პატარა რესტორანი, სადაც შეიძლება სახელდახელოდ სმა-ჭამა, მაგ. რკინისგზის ბუფეტი და სხვ.

**ბუფ-ი** (ფრ. bouffe) ან **ბუფო** (იტ. buffo), სასაცილო, კომიკური, მაგ. *ბუფი თეატრი* ან *ბუფი ოპერა* და სხვ.; აქედან: **ბუფონადა** — ოხუნჯობა, მასხარაობა, სასუმარო წარმოდგენა.

**ბუფი** (ფრ. bouffir „გაბერვა, გასიება"), ღრმა ნაოჭები, ჩვეულებრივ, ქალის ტანსაცმელზე.

**ბუქსა ან ბუქს-ი** (გერმ. Buchse), თუჯის კოლოფი, რომელშიც მოთავსებულია ვაგონის ღერძის ყელი.

**ბუქსირ-ი** (პორტ. puxar „თრევა", ჰოლ. boegseeren, გერმ. bugsieren): 1) თოკი, რომლითაც ერთი ნავი მიათრევს მეორეს; 2) გემი, რომლის დანიშნულებაცაა ბარჟების (იხ.) წაყვანა ბუქსირით; აქედან: **ბუქსირება** — ბუქსირით წაყვანა; **საბუქსირო გემი** — ბუქსირით წამყვანი გემი და სხვ.

**ბულალტერია,** იხ. ბუხჰალტერია.

**ბუშმენები** (მრავლ.), სამხრეთ აფრიკის მომთაბარე ტომი, ჰოტენტოტების (იხ.) მონათესავე, კულტურულად სრულიად განუვითარებელი.

**ბუცეფალ-ი**, იხ. ბუკეფალი.

**ბუხტ-ი**, გერმ.: 1) ზღვის პატარა უბე; 2) საიალდარიგო ღუზა (საზღვაო).

**ბუხჰალტერია**, გერმ.. მოანგარიშეობა. ანგარიშ-მცოდნეობა: ამა თუ იმ დაწესებულების ანგარიშის სწორად წარმოების წესები; აქედან: **ბუხჰალტერ-ი** — მოანგარიშე. ანგარიშ-მცოდნეობაში დახელოვნებული.

# გ

**გაბარა** (იტ. gabarra), ბრტყელფსკერიანი საზღვაო ნავი.

**გაბარიტ-ი** (ფრ. gabàrit). საერთოდ: რაიმე საგნის ხასჰი (მოდელი) მისი ბუნებრივი სიდიდით; კერძოდ: სარკინისგზო ვაგონების სიდიდის შესამოწმებელი მოწყობილობა.

**გაბელა** (საშ. საუკ. ლათ. გაბელლა): 1) არაპირდაპირო გადასახადი საშ. საუკუნეებში; 2) მარილზე დადებული გადასახადი იტალიასა და საფრანგეთში (გერმანიაში გ ა ბ ე ლ ა ეწოდებოდა გადასახადს. მემკვიდრეობასა და გადასახლებულთა ქონებაზე დადებულს).

**გაბელ-ი**, გერმ., ხუროთმოძღვრებაში: რომანული ან გუთური სტილით აგებული შენობის ერთგვარი სამკუთხი გრძელი შუბლანი (ფრონტონი), რომლის ბოლოც მორთულია თაიგულებით. ყვავილებით და სხვ.

**გაგატ-ი** (ბერძ. გაგატეს) ანუ შ ა ვ ი ა მ ბ რ ა, ქვანახშირის ერთი სახეობა, შავი ფერისა და მაგარი, — იტანს პრიალს: მისგან აკეთებენ სამაჯურებს, ბროშებს და სხვ. სამკაულებს; გიშერი.

**გავან-ი**, იხ. ჰავან-ი.

**გავოტ-ი** (ფრ. gavotte), ძველი ფრანგული ცეკვა.

**გაზავათ-ი** ან უკეთ **ღაზავათ-ი**, არაბ., მაჰმადიანთა საღვთო ომი სარწმუნოებისათვის, უმთავრესად ქრისტიანთა წინაამდეგ.

**გაზეთ-ი**, იტ.-ფრ. (gazette), წესიერად დროგამოშვებითი (პერიოდული) გამოცემა (ყოველდღიური ან ყოველ-კვირეული), რომელიც აღნიშნავს მიმდინარე ამბებს და მსჯელობს მათ შესახებ.

**გაზელ-ი**, არაბ.: 1) ანტილოპის ჯიშის ცხოველი (იხ. ანტილოპი): 2) **გაზელ-ი** ან უკეთ **ღაზელ-ი**, ლექსთაწყობაში: ლირიკული ლექსის ერთგვარი ფორმა. რომელიც გვხვდება არაბულსა და სპარსულ პოეზიაში.

**გაზ-ი**: 1) ევროპ.. ხელოვნ. (მაგ. ფრ. gaz). აირი; განსაზღვრული ფორმის არმქონე ნივთიერება, რომელიც მიისწრაფვის განუწყვეტელი გაფართოებისათვის: გაზებია, მაგ.: ჰაერი, მჟავბადი. წყალბადი, აზოტი (იხ.): **სანათი გაზი** — გასანათებელი საშუალება. რომელსაც პოულობენ ქვახანშირისა და სხვ. გამოხდის გზით: 2) **გაზ-ი** ან უკეთ **გაზა** — მსუბუქი გამჭვირვალე ქსოვილი, არის სხვადასხვა გვარი — მასალისა და ნაქსოვის მიხედვით (გაზის, როგორც ქსოვილის, სახელწოდება წარმოშობილია სამხრეთ პალესტინის ქალაქ გ ა ზ ა - ს სახელწოდებისაგან).

**გაზოლინ-ი** (ხელოვნ., იხ. გაზი 1.), ნავთის გამოხდის ერთერთი ნაწარმი (პროდუქტი). ადვილ-აქროლებადი..

**გაზომეტრ-ი** (ხელოვნ.. იხ. გაზი 1.): 1) მინის ან თუთიის ხელსაწყო გაზების შესაკრებად და შესანახავად; 2) მიღებული ან დახარჯული გაზის საზომი იარაღი.

**გაზომოტორ-ი** (ხელოვნ., იხ. გაზი 1.). გაზის საშუალებით მოძრავი მანქანა.

**გაზონ-ი**, გერმ.-ფრ., ბაღის ან პარკის ბალახით შემოსილი ნაწილი.

**გათები** (მრავლ.. ავესტის ენაზე gâthâs). ასე ეწოდება ავესტის (იხ.) რამდენსამე ჰიმნს, რომლებიც წარმოადგენენ მის უძველეს ნაწილს.

**გაიდამაკ-ი** ან უკეთ **ჰაიდამაკა**, თურქ.-უკრ. („ყაჩაღი“), პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული უკრაინელთა აჯანყების მონაწილე (18 საუკ.): უმთავრესად უკრაინის გლეხობა ებრძოდა პოლონელ მემამულეებს; ხშირად ჰაიდამაკებს მეთაურობდენ ქვემო დნეპრის კაზაკებ·

**გაიდუკ-ი** ან **ჰაიდუკ-ი**, უნგრ.: 1) უნგრეთში ოსმალეთიდან გამოქცეულნი და ოსმალეთის წინააღმდეგ პარტიზანულად (იხ.) მებრძოლნი: შემდეგ: უნგრეთის ჯარის ქვეითი ჯარისკაცი

2) ლაქია ან შვეიცარი უნგრული ტანსაცმელით, ჩვეულებრივ დიდი ტანისა.

**გაიკა** (რუს. гайка), ქანჩი.

**გალა** (იტ. გალლა), საზეიმო მოკაზმული ტანსაცმელი.

**გალაკტ-**, იხ. გალაქტ-.

**გალანტერია** (ფრ. galanterie „ზრდილობიანობა, თავაზიანობა; არშიყობა"), ფუფუნების, ტორთულობა-მოკაზმულობის საგნები; იგივეა საგალანტერიო საქონელი; **გალანტობა** — ყოფაქცევაში და გემოვნებაში ზედმიწევნით გაწვრთნილობა, უაღრესი ზრდილობიანობა; **გალანტური** — ზედმიწევნით ზრდილობიანი, გაწვრთნილი და სხვ.

**გალაქტომეტრ-ი** (ბერძ. gala, galactos „რძე"), ხელსაწყო რძის თვისების გამოსაკვლევად მისი სიმკვრივის მიხედვით.

**გალაქტორეა** (ბერძ. galactorrhoea), ავადმყოფურად გაძლიერებული დენა რძისა — ემართება მეძუძურ ქალს.

**გალენ-ი** ან **გალენოს-ი** (131 — 201), ძველი დროის შესანიშნავი ბერძენი ექიმი, რომელიც 17 საუკუნემდე ითვლებოდა ავტორიტეტად.

**გალერ-ი** (ფრ. galère), ძველებური (ძველი დროის და საშ. საუკ.) სანიჩბო ხომალდი, რომელზედაც მონიჩბეებად იყვნენ მონები, ტყვეები და დამნაშავენი; გალერზე გაგზავნა ითვლებოდა (საფრანგ. და ისპანიაში) უმძიმეს სასჯელად (იხ. კატორღა).

**გალერია** (ფრ. galerie): 1) საერთოდ: დახურული დერეფანი; 2) კერძოდ: **სამხატვრო გალერია** — შენობა, სადაც ინახება ხელოვნების ნაწარმოებები; თ ე ა ტ რ შ ი: ყველაზე ზედა სართული (იარუსი); ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ქ მ ე შ ი: მიწის ქვეშ დახურული სავალი და სხვ.

**გალეტ-ი** (ფრ. galette), გამხმარი ნამცხვარი პურის ან სხვა ფქვილისაგან, — იხმარება, უპთაერესად, ლაშქრობის ან საერთოდ შორეული მგზავრობის დროს.

**გალვანიზმ-ი**, მოძღვრება ისეთ ელექტრულ მოვლენათა შესახებ, რომელთაც ადგილი აქვსთ სხვადასხვაგვარ სხეულთა შეხების დროს; ასეთი მოვლენები პირველად შენიშნა (1790) შესანიშნავმა იტალიელმა მეცნიერმა გალვანი-მ (1737—1793); აქედან: **გალვანიზაცია**, **გალვანიზირება**,—გალვანური დენით ელექტრიზაცია (იხ.); **გალვანური ელემენტი** — ორი განსაზღვრული გამტარის შეერთება, რომელიც იძლევა ელექტრულ დენს; **გალვანური ბატარეა** — რამდენიმე გალვანური ელემენტის შეერთება განსაზღვრული წესით—მეტი სიძლიერის დენის მისაღებად: **გალვანური დენი**—ელექტრული დენი, რომელიც მიღებულია გალვანური ელემენტისა და ბატარეისაგან; **გალვანომეტრ-ი** — ელექტრული დენის სიძლიერის საზომი. ხელსაწყო.

**გალიზაცია**, ასე ეწოდება დოქტ. გალლის (Gall, 1791 — 1863) მიერ მოგონილ ხერხს — უმწიფარი ყურძნის ისრიმისაგან ღვინის დაყენებისას (ისრიმში გაურევენ წყალს, მიუმატებენ შაქარს და ადუღებენ); აქედან: **გალიზირებული ღვინო** — ამ ხერხით მიღებული ღვინო.

**გალიკანიზმ-ი** (ფრ. gallican, „გალიკური"). საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის მიმართულება (1789 წლამდე), რომელიც გამოიხატებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ეკლესიის რომის პაპისაგან დამოუკიდებლობის დაცვაში.

**გალიკანური ეკლესია**, იგივეა, რაც გალიკანიზმი (იხ. გალიციზმი, „გალური").

**გალილეი**, **გალილეო** (1564 — 1642), იტალიელი შესანიშნავი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ასტრონომი, რომელმაც აღმოაჩინა მრავალი მნიშვნელოვანი კანონი, მაგ. სხეულთა ვარდნისა, ქანქანის რხევისა, სიჩქარეთა შეერთებისა და სხვ, — ითვლება მექანიკის დამაარსებლად.

**გალიმათია** (გერმ. gallimathias), უაზრო, არეულ-დარეული ლაპარაკი.

**გალიონ-ი**, ისპ., ერთანძიანი ხომალდი ისპანიაში კოლონიებიდან ძვირფასი-ნივთების შემოსატანად.

**გალიოტ-ი**, ისპ., ბრტყელ-ფსკერიანი ნავი ჰოლანდიაში ზღვაში ნაპირ-ნაპირ საცურავად.

**გალიუცინაცია**, იხ. ჰალუცინაცია.

**გალიფე** (Galliffet). ფრანგი გენერალი, რომელმაც სახელი გაითქვა სისასტიკით პარიზის კომუნის დამარცხებაში.

**გალიციზმ-ი** (ფრ. gallicisme), ფრანგულისებურად სიტყვის მოქცევა; ფრანგული („გალური") ენისათვის დამახასიათებელ თავისებურობათა სხვა ენაში შეტანა (ფრანგული ამ შემთხვევაში წარმოდგენილია, როგორც „გალური").

**გალომანია** (ფრ. gallomanie), გადაჭარბებული სიყვარული ყოველისავე ფრანგულისა, მიმბაძველობა ფრანგულ ჩვეულებათა, მოდისა და სხვ.; **გალომან-ი** — ვისაც უყვარს ყოველივე ფრანგული და სხვ.

**გალოპ-ი** (ფრ. გალოპ): 1) ერთგვარი სწრაფი ცეკვა; 2) ცხენის ერთგვარი ჭენება; აქედან: **გალოპირება** — ცხენის გალოპით წაყვანა.

**გალოფილ-ი**, ლათ.-ბერძ., ფრანგთა მეგობარი, მომხრე.

**გალოფობია**, ლათ.-ბერძ., ფრანგებისადმი სიძულვილი, ფრანგთ-მოძულეობა; აქედან: **გალოფობ-ი** — ვისაც ფრანგები სძულს.

**გალსტუკ-ი**, იხ. ჰალსტუხ-ი.

**გალუნ-ი** ან **გალონ-ი** (ფრ. გალონ), ოქრომკედის ვიწრო ქსოვილი, რომელსაც ხმარობენ სამხედრო ტანსაცმელის სახელოებისა და საყელოს შემოსაკერავად.

**გამა** (ბერ. გამმა): ბერძნული ანბანის მესამე ასოს (გ-ანის) სახელწოდება; აქედან წარმოსდგა; 2) რიგი მუსიკალურ ტონთა, რომელნიც თანდათან მაღლდებიან ან დაბლდებიან.

**გამაკ-ი**, იხ. ჰამაკ-ი

**გამაშ-ი**, ისპ.-ფრ. (gamache), წვივებზე ჩასაცმელი სათბური ტყავისა, მაუდისა და სხვ.

**გამენ-ი** (ფრ. gamin), ქუჩის ბიჭი (საფრანგეთში).

**გამოლოგია**, ბერძ. ხელოვნ., მოძღვრება ქორწინების შესახებ; **გამონომია** — მოძღვრება ქორწინების კანონთა და ჩვეულებათა შესახებ (ეთნოგრაფიის დარგია).

**განგლი** ან **განგლიონ-ი** (ბერძ. გაგგლიონ) ანატომიაში: ნერვული უჯრედების შემცველი ნერვული ნასკვი.

**განგრენა** (ბერძ. გაგგრაინა), სხეულის რომელსამე ნაწილში სასიცოცხლო პროცესების შეწყვეტა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით, მაგ. სისხლის ადგილობრივი მიმოქცევის შეწყვეტით, ქსოვილთა შერყევით და სხვ.: დაავადებული ნაწილი ჰკარგავს მგრძნობელობის, მოძრაობის და მოქმედების უნარს.

**განზა**, იხ. ჰანზა.

**განიმედ-ი** ან **განიმედეს-ი** (ბერძ. Ganymedes), ძვ. ბერძენთა მითოლოგიით: ტროიას მეფის ვაჟი, რომელიც სილამაზის გამო მოტაცებულ იქნა ძევსის არწივის მიერ და ოლიმპზე შეიქნა ძევსის მეწდე.

**გაპონ-ი**, გ. (1873 — 1906), ცნობილი მღვდელი, რომელმაც 1904 წ. დაარსა პეტერბურგში (ლენინგრადში) მთავრობის ნებართვით „რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა საზოგადოება" მუშათა შორის რევოლუციური სულისკვეთების შენელების მიზნით; მუშებზე დიდი გავლენა მოიპოვა; 1905 წ. 9 იანვარს მისი მეთაურობით მუშები წავიდნენ პეტიციით ნიკოლოზ II-სთან: მუშები დახოცეს — 1000 კაცზე მეტი (ამ დღიდან იწყება 1905 წლის რევოლუცია); გაპონი გაიქცა საზღვარგარეთ; მოკლულ იქნა მუშების მიერ რუსეთში დაბრუნებისას (1906 წ.).

**გარანტია** (ფრ. garantie), საერთოდ: თავდებობა, უზრუნველყოფა; კერძოდ, მაგ. სამოქალაქო სამართალში: ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც ფიზიკური ან იურიდიული პირი თავმდებია სხვის წინაშე მესამე პირის მოქმედებისათვის, — თავმდები პასუხს აგებს არა ვალდებულობის შესრულებისათვის, არამედ იმ ზარალისათვის, რომელიც წარმოიშვება ვალდებულობის შეუსრულებლობისაგან; აქედან: **გარანტ-ი** — თავმდები; არის **ხაკონსტიტუციო გარანტია** — სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და კანონიერების დაცვის საშუალებანი, და **საერთაშორისო გარანტია** — საერთაშორისო უფლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფის საშუალებანი (იურიდიული).

**გარაჟ-ი** (ფრ. garage), მოსათავსებელი და სარემონტო ბინა ავტომობილებისა (ა ვ ტ ო გ ა რ ა ჟ-ი) და მოტოციკლებისათვის.

**გარდემარინ-ი** (ფრ. garde-marin), საზღვაო კადეტთა კორპუსის უფროსი კლასების მოსწავლე რუსეთში (მეფობის დროს).

**გარდეროპ-ი** (ფრ. garde-robe): 1) ტანსაცმელის შესანახავი ადგილი (შკაფი, ოთახი); 2) ამა თუ იმ პირის ყველა ტანსაცმელი; აქედან: **გარდეროპმეისტერ-ი**, ფრ.-გერმ., გარდეროპის მცველი მოხელე (თეატრში, სასახლეში და სხვ.).

**გარდინ-ი**, იტ.-გერმ. (gardine), ფანჯრის ჩამოსაფარებელი ფარდა.

**გარიბალდი**, ჯ. (1807 — 82), განთქმული იტალიელი პატრიოტი, რომელიც იბრძოდა იტალიის გაერთიანებისა და განთავისუფლებისა-

ოვის საფრანგეთისა და ავსტრიისაგან; მთელს იტალიაში ითვლება ეროვნულ გმირად; 1870 წ. საფრანგეთ-პრუსიის ომში იბრძოდა პრუსიის წინააღმდეგ: მომხრე იყო პარიზის კომუნისა.

**გარილა**, იხ. გორილა.

**გარნეც-ი**, პოლონ.-რუს. ჩანახი. ქვაბი, დიდი ქოთანი.

**გარნიზონ-ი**, ფრ., ციხე-სიმაგრე ან ქალაქის დამცველი ჯარის ნაწილი სამხედრო მოქმედების დროს: გარნიზონი ეწოდება აგრეთვე ჯარის ნაწილებს, რომელნიც იმყოფებიან მშვიდობიანობის დროსაც ამა თუ იმ ქალაქში ან სხვა დასახლებულ ადგილას.

**გარნირ-ი** (ფრ. გარნირ „შემკობა, მოკაზმვა“), დამზადებული საჭმლის შემკობა მწვანილეულობით: ჩვეულებრივ, შემწვარი ხორცის. თევზის და სხვ. მოკაზმულობა ხილის, მწვანილეულის და სხვ. სახით.

**გარნიტურ-ი** (ფრ. garniture), რაიმე საგნის დამატებითი ნაწილები, — როგორც აუცილებელი, აგრეთვე მოკაზმულობის ხასიათისა. მაგ. ორთქლის ქვაბის გარნიტური, ან ელექტრული ვანათების გარნიტური და სხვ.

**გაროტ-ი**, ისპ.-ფრ. (გაროტ), სიკვდილით დასჯის ერთი ფორმა ისპანიაში (სვეტზე მიკრულს ახრჩობენ რკინის რგოლით); აქედან: **გაროტერ-ი**, — (ფრ. garroteur), დამხრჩობი; ყაჩაღი, რომელიც ახრჩობს თავის მსხვერპლს.

**გარპუნ-ი**, იხ. ჰარპუნი.

**გარსონ** (ფრ. garçon „ბიჭი, ჭაბუკი. მსახური“ და სხვ.), ლაქია, მსახური (ჩვეულებრივ. საფრანგეთის რესტორანებში).

**გარუს-ი** ან უკეთ **ჰარუს-ი** (პოლონ ჰარუს, რუს. гарус), ფერადი მატყლის ძაფი საქარგავად ან საქსოვად; ლაზლი (ქართულად ამბობენ: გარუზი ან გაროზი).

**გასკონად-ი** (ფრ. gasconnade), გაზვიადება, გადაჭარბებითი მკვეხარობა (ეს სიტყვა წარმომდგარია სამხრეთ საფრანგეთის პროვინციის, გასკონ-ის (Gascogne), სახელწოდებიდან: გასკონელები. სიმამაცესთან და შრომის მოყვარეობასთან ერთად. ცნობილნი არიან თავისი მკვირცხლი გონებით და გაზვიადებისადმი მიდრეკილებით).

**გასტრალგია**, ბერძ. ხელოვნ. (გასტერ „მუცელი, კუჭი“), კუჭის მტკივნეული ნევროზი. რომელსაც ზოგჯერ თან სდევს კუჭის კრუნჩხვითი კუმშვა.

**გასტრილოგია**, ბერძ., მუცლით მეტყველება. ე. ი. მუცელში ლაპარაკის ხელოვნება; **გასტრილოგი** — მუცელში მეტყველი — ისე მოაჩვენებს მსმენელს, თითქოს მისი ლაპარკის დროს სამეტყველო ორგანოები არ მოქმედობდენ.

**გასტრიტ-ი**, ბერძ., ხელოვნ. (ბერძ. გასტერ „მუცელი. კუჭი“), კუჭის ანთების სხვადასხვა ფორმა. რომელთა შორის ჩვეულებრივია კუჭის კატარული ანთება (იხ. კატარი): აქედან: **გასტრიციზმ-ი** — კუჭის მწვავე კატარის მსუბუქი ფორმა (მედიცინაში).

**გასტროლ-ი** (გერმ. Gastrolle), მსახიობის ან სათეატრო დასის გამოსვლა არა იმ ადგილას (ქალაქში, თეატრში და სხვ.), სადაც ის (მსახიობი ან დასი) მუდმივად იმყოფება; აქედან: **გასტროლიორ-ი** ან **გასტროლერ-ი** —მსახიობი, რომელიც გამოდის არა თავის მუდმივ ადგილსამყოფელში.

**გასტრონომია** (ბერ. გასტერ „მუცელი, კუჭი“). სმა-ჭამის ავადმყოფური სიყვარული: გაუმაძღრობა: **გასტრომან-ი** — სმა-ჭამის გადაჭარბებით მოყვარული: გაუმაძღარი; **გასტრონომია** — საჭმელების მომზადებისა და მათი ჭამის ხელოვნება (გემოვნების გამოჩენა საჭმელების არჩევაში, დაფასებაში და სხვ.); აქედან: **გასტრონომ-ი** — გასტრონომიაში დახელოვნებული; **გასტრონომიული** — გასტრონომიის ხასიათის მქონე; **საგასტრონომიო**, მაგ. — **მაღაზია** — ისეთი მაღაზია, სადაც იყიდება დამზადებული საჭმელები და სხვ.

**გაუბიცა**, იხ. ჰაუბიცი.

**გაუპტვახტ-ი**, იხ. ჰაუპტვახტი.

**გაშიშ-ი**, იხ. ჰაშიში.

**გეგემონია**, იხ. ჰეგემონია.

**გედ-ი**, ჟ. (Guesde, J., 1845-1922), საფრანგეთის მარქსისტების ერთერთი მეთაურთაგანი: ებრძოდა ანარქიზმს, ბლანკიზმს (იხ.) და სხვ.; 1882 წ. ლ ა ფ ა რ გ თ ა ნ ერთად დააარსა „მუშათა პარტია“ (რომლის წევრებს შემდეგ ეწოდათ გედისტები); ებრძოდა ბერნშტეინის (იხ.) რეფორმიზმს და 1914 წლამდე იცავდა ორთოდოქსულ (იხ.) მარქსიზმს.

**გედისტები**, იხ. გედი.

**გედონიზმ-ი**, ის. ჰედონიზმი.

**გეენა**, ებრ.-ბერძ. (გეენნა), ახალი აღთქმით: ჯოჯოხეთი (თავდაპირველად: საკუთარი სახელი ადგილისა იერასულიმის ახლოს, სადაც წინეთ ადამიანის მსხვერპლი მიჰქონდათ ღვთისათვის; შემდეგ ამ ადგილის გასაუწმინდურებლად აქ ჰყრიდენ ნაგავს, ცხოველთა ლეშებს და სხვ.; საჭირო შეიქნა მუდმივი ცეცხლი ჰიგიენური მოსაზრებებით; აქედან რწმენა, რომ ჯოჯოხეთში (გეენაში) ცოდვილნი ცეცხლში იწვიან).

**გეიზერ-ი** (გერმ. გეიზერ, ისლანდ. geysir „ამოხეთქილი წყარო“), ცხელი ამომავალი მინერალური წყარო, რომლის ამოხეთქაც ხდება პერიოდულად (წესიერად ხანგამოშვებით); გეიზერები ცნობილია უმთავრესად ისლანდიაში. — გვხვდება აგრეთვე ახალ ზელანდიასა და ჩრდ. ამერიკაში.

**გეი-ლუსაკ-ი** (Gay-Lussac, 1778-1850), შესანიშნავი ფრანგი ქიმიკოსი და ფიზიკოსი, რომლის სახელიც ეწოდა მის მიერ აღმოჩენილ კანონს („გეი-ლუსაკის კანონი“) აირების (გაზების) შესახებ (აირების გაფართოების კოეფიციენტი არის მუდმივი სიდიდე, რომელიც ერთნაირია ყველა აირთათვის — დამოუკიდებლად მათი სიმკვრივისა და ტემპერატურისაგან).

**გეისლერის მილები**, ასე ეწოდება აირებით (გაზებით) სავსე მინის დარჩილულ მილებს შიგ ჩარჩილული ელექტროდებით (იხ.); მათში გალვანური დენის გაშვებისას სხვადასხვა გაზებს მიენიჭებათ სხვადასხვა ფერი (სახელწოდება წარმოსდგა გერმანელი მექანიკოსის, გეისლერის (Geissler, 1814 — 1879) სახელისაგან, რომელიც ამზადებდა ასეთ მილებს განსაკუთრებულის ხელოვნობით).

**გეიშა**, იაპონ., მოცეკვავე და მომღერალი ქალი იაპონიაში.

**გეკატ-**, იხ. ჰეკატ-.

**გეკსა-**, იხ. ჰექსა-.

**გეკტ-**, ჰექტ-.

**გეკუბა**, იხ. ჰეკუბა.

**გელ-**, იხ. ჰელ-.

**გემ-**, იხ. ჰემ-.

**გემინაცია** (ლათ. geminatio), გაორკეცება, გაორმაგება, მოჩობლობა.

**გემა** (ლათ. gemma „კოკორი“): 1) ფიგურებიანი ან წარწერიანი ძვირფასი ქვა; 2) სახელწოდება α ვარსკვლავისა ჩრდილო-გვირგვინში.

**გემაცია** (იხ. გემა), კოკრების წარმოქმნა.

**გენეალოგია**, ბერძ.: 1) გვაროვნული წარმოშობა; 2) მეცნიერება გვაროვნული წარმოშობის შესახებ. აქედან: **გენეალოგ-ი** — გენეალოგიის მკვლევარი; **გენეალოგიური** — გენეალოგიის ხასიათის მქონე, მისი მიხედვით წარმოებული და სხვ., მაგ.: გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა — ენათა განდასება (კლასიფიკაცია) მათი ნათესაობის (წარმოშობის) მიხედვით.

**გენეზის-ი** (ბერძ. გენესის), ჩასახვა, დასაწყისი; წარმოშობა; აქედან: **გენეზისური** — წარმოშობითი, ჩასახვითი, მაგ. — მეთოდი: რაიმე მოვლენის განხილვა მისი წარმოშობის თვალსაზრისით (იგივეა, რაც გენეტიკური).

**გენერალ-ბას-ი**, ლათ.-იტ., მუსიკალური ნაწარმოების დაწერის ერთგვარი ძველი (16 საუკუნიდან) წესი: იწერებოდა მხოლოდ ბას-ი (იხ.), ხოლო მასზე ან მას ქვეშ ციფრებით აღინიშნებოდა ჰარმონია.

**გენერალ-ი** (ლათ. გენერალის „საერთო, ზოგადი“), საერთო უფროსი; უმაღლესი სამხედრო ხარისხი (საბჭოთა კავშირის გარეშე ქვეყნებში): აქედან: **გენერალ-ადიუტანტ-ი** — გენერალთა საპატიო წოდება; **გენერალ-ადმირალ-ი** — სახელმწიფოს მთელი ფლოტის უფროსი (იხ. ადმირალი); **გენერალ-ანშეფ-ი** — იხ. ანშეფი; **გენერალი არტილერიისა, ინფანტერიისა ან კავალერიისა** — სრული გენერალი; **გენერალ-აუდიტორ-ი** — არმიის სასამართლო ნაწილის გამგე, **გენერალ-მაიორ-ი** — გენერლის პირველი (დაბალი) ხარისხი; **გენერალ-ლეიტენანტ-ი** — შემდეგი ხარისხი (გენერალ-მაიორთან შედარებით); **გენერალ-გუბერნატორ-ი** — უზენაესი უფროსი ერთისა ან რამდენისამე გუბერნიისა რევოლუციის წინა რუსეთში; **გენერალ-კონტროლერ-ი** — სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტთა სათავეში მდგომი პირის წოდება (იხ. კონტროლერი); **გენერალ-პროკურორ-ი** — ძველი თანამდებობა რუსეთში: სენატის მუშაობის ხელმძღვანელი და მეთვალყურე; **გენერალ-სუპერინტენდენტ-ი** — უზენაესი სასულიერო წოდება ლუტერანთა; **გენერალ-ფელდ-მარ-**

შალ-ი — საგენერლო ხარისხებში ყველაზე საპატიო წოდება.

**გენერალიზაცია**, ლათ.-ევროპ., განზოგადება; აქედან: **გენერალიზირება** — გენერალიზაციის მოხდენა.

**გენერალისიმუს-ი** (ლათ. გენერალისსიმუს), უმაღლესი სამხედრო წოდება; სახელმწიფოს (ან საკავშირო) ყველა სამხედრო ძალების მთავარსარდალი.

**გენერალ-მარშ-ი**, ლათ.-ფრ.. დაფის სალაშქრო ხმა, სამხედრო სიგნალი (იხ.).

**გენერალიტეტ-ი**, ლათ.-ევროპ., უმაღლესხარისხიან სამხედრო პირთა საერთო სახელწოდება: გენერალთა ერთობლიობა.

**გენერალური** (ლათ. გენერალის), საერთო, ზოგადი. უფროსი, მთავარი და სხვ.; აქედან: **გენერალური აგენტ-ი** — დაწესებულებისა ან რაიმე წარმოებების საერთო აგენტი (იხ.); **გენერალური ბალანს-ი** — იხ. ბალანსი; **გენერალური ბრძოლა** — ისეთი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მებრძოლ მხარეთა ყველა ძალები და რომელიც სწყვეტს მთელი ომის ბედს; **გენერალური პაუზა** — მუსიკაში: მუსიკალურ ნაწარმოებში ყველა მონაწილეთა (ხმებისა და ინსტრუმენტების) სიჩუმე (იხ. პაუზა); **გენერალური რეპეტიცია** — სათეატრო პიესის შესრულების წინასწარი საბოლოო შემოწმება; საბოლოო რეპეტიცია (იხ.); **გენერალური რუკა** — ამა თუ იმ ქვეყნის მთლიანი რუკა (კარტა); **გენერალური შტაბ-ი** — სამხედრო უწყების ორგანო, რომელიც განაგებს სამხედრო მოქმედებათა მომზადებასა და დამუშავებას (იხ. შტაბი); **გენერალური შტატები** — 1) სახელმწიფოს წარმომადგენელთა კრება ძველად ჰოლანდიასა და საფრანგეთში; 2) სამი წოდების (სამღვდელოების, აზნაურთა და ბურჟუაზიის) წარმომადგენლობითი კრება რევოლუციის (1789) წინა საფრანგეთში (Etats généraux).

**გენერატორ-ი**, ლათ.: 1) საერთოდ: წარმომშობი; 2) კერძოდ ტექნიკაში: საგანგებო ღუმელი, რომელშიც წვადი მასალის (შეშის, ქვანახშირის და სხვ.) არასრული წვისას მიიღება აირი (გაზი) — **გენერატორული აირი (გაზი)**.

**გენერაცია**, ლათ.: 1) მოდგმა; 2) შთამომავლობა.

**გენეტიკა**, ბერძ. ხელოვნ., ბიოლოგიის ერთერთი დარგი, რომელიც იკვლევს მემკვიდრეობისა და სახეთა წარმოშობის საკითხებს.

**გენეტიკური**, იგივეა, რაც გენეზისური; იხ. გენეზისი; გენეტიკური კლასიფიკაცია ენათა, იგივეა, რაც გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა; იხ. გენეალოგია.

**გენია** (ლათ. genius): 1) მფარველი სული: ძველ იტალიელთა რწმენით თვითეულ ადამიანს ჰყავს თავისი გენია, რომელსაც ზოგჯერ თაყვანსაც სცემდა; ხელოვნებაში გენიები წარმოდგენილნი არიან მითოლოგიის დაბალ ღვთაებათა სახით — ფრთებ-შესხმულნი; 2) ნიჭიერების უმაღლესი საფეხური (იგივეა, რაც გენიალობა); 3) **გენია** ან უკეთ **გენიოს-ი** — არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი; აქედან: **გენიალური** ან **გენიოსური** — არაჩვეულებრივად ნიჭიერი; აგრეთვე გენიისა ანუ გენიოსის მიერ შემონაქმედი, მაგ. რაიმე ნაწარმოები, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

**გენიოს-ი**, იხ. გენია (3).

**გენიტივ-ი** ანუ **გენიტივუს-ი**, ლათ., გრამატიკაში: ნათესაობითი ბრუნვა.

**გენუის კონფერენცია** — იტალიის ქალაქ გენუაში (იტ. Genova) 1922 წ. მომხდარი მთავარ სახელმწიფოთა (მათ შორის საბჭოთა კავშირის) კონფერენცია, რომლის მიზანიც იყო იმპერიალისტური ომის გამო დარღვეული წონასწორობის აღდგენა; კონფერენციამ უშედეგოდ ჩაიარა; ამ დროს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება.

**გეობოტანიკა** (ბერძ. ხელოვნ., გე „მიწა“ და ბოტანე „ბალახი“), ბოტანიკის (იხ.) დარგი, რომელიც იკვლევს მცენარეულობას ნიადაგთან დაკავშირებით.

**გეოგენია** ან **გეოგონია**, ბერძ. ხელოვნ., მოძღვრება მიწის წარმოქმნისა და მისი თანდათანი განვითარების შესახებ.

**გეოგრაფია**, ბერძ. („მიწათ-აღწერა“), საერთოდ: მეცნიერება, რომელიც იკვლევს დედამიწას, დედამიწის ზედაპირს და მის თვისებებსა და ფორმებს: **მათემატიკური გეოგრაფია** — იკვლევს დედამიწას, როგორც მზის სისტემის ნაწილს; **ფიზიკური გეოგრაფია** იკვლევს დედამი-

წის ზედაპირის თვისებებსა და ფორმებს; **პოლიტიკური გეოგრაფია** — იკვლევს დედამიწას, როგორც ადამიანის ადგილსამყოფელს (საზოგადოებათა და სახელმწიფოთა წარმოქმნასა და განვითარებას — მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის მიხედვით და სხვ.); აქედან: **გეოგრაფ-ი** — გეოგრაფიის მცოდნე და მკვლევარი; **გეოგრაფიული** — გეოგრაფიის ხასიათის მქონე ან გეოგრაფიის შემცველი და სხვ.; მაგ. **გეოგრაფიული რუკა** და სხვ.; **საგეოგრაფიო** — ის, რაც განკუთვნილია გეოგრაფიისათვის, მაგ. — საზოგადოება, — ის საზოგადოება, რომლის მიზანიცაა ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიის შესწავლა და სხვ.

**გეოდეზია**, ბერძ. („მიწათ-ზომვა"), მეცნიერება დედამიწის სიდიდისა და რელიეფის (იხ.) გაზომვის შესახებ: **უმაღლესი გეოდეზია** — მხედველობაში იღებს დედამიწის ზედაპირის სიმრუდეს; **დაბალი გეოდეზია** ანუ **ტოპოგრაფია** (იხ.) — იკვლევს დედამიწის საკვლევ ნაწილს, როგორც სიბრტყეს; აქედან: **გეოდეზისტ-ი** — გეოდეზიის მცოდნე და მასში მომუშავე.

**გეოთერმომეტრ-ი**, ბერძ. ხელოვნ., დედამიწის სხვადასხვა სიღრმეზე ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო.

**გეოლოგია**, ბერძ. („მიწათმეტყველება"), მეცნიერება დედამიწის შესახებ, რომელიც იკვლევს დედამიწის ქერქის შედგენილობას, აგებულობას და განვითარებას; გეოლოგიის დარგებია: ფ ი ზ ი კ უ რ ი ანუ დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი გ ე ო ლ ო გ ი ა — იკვლევს თანამედროვე გეოლოგიურ მოვლენებს; **პეტროგრაფია** — იკვლევს დედამიწის ქერქის შედგენილობას; **პალეონტოლოგია** — იკვლევს გადაშენებულ ცხოველებსა და მცენარეებს (პეტროგრაფია და პალეონტოლოგია წარმოადგენენ დამოუკიდებელ მეცნიერებებს); **ისტორიული გეოლოგია** (გეოგნოზია) — დედამიწის ქერქის ისტორია; **სტრატიგრაფია** — მოძღვრება ფენების წარმოქმნის შესახებ მათი ხნოვანობის მიხედვით; **გეოტექტონიკა** — მოძღვრება მთების აგებულობის შესახებ; აქედან: **გეოლოგ-ი** — გეოლოგიის მცოდნე და მკვლევარი; **გეოლოგიური** — გეოლოგიის ხასიათის მქონე ან გეოლოგიის შემცველი, მაგ. **გეოლოგიური გადაღება ადგილისა** — დაწვრილებითი გამოკვლევა ამა თუ იმ ადგილისა გეოლოგიის თვალსაზრისით და სათანადო (გეოლოგიური) რუკის შედგენა; **საგეოლოგიო** — გეოლოგიისათვის განკუთვნილი, მაგ. — მუზეუმი, სადაც ინახება კოლექციები (იხ.) პალეონტოლოგიისა, პეტროგრაფიისა; **საგეოლოგიო საზოგადოება** და სხვ.

**გეომეტრია**, ბერძ. („მიწისმზომელობა"), მათემატიკის ნაწილი, რომელიც იკვლევს სივრცის (წერტილთა, სწორ ხაზთა და სიბრტყეთა) თვისებებს — ფორმას, სიდიდეს და მდებარეობას; აქედან: **გეომეტრ-ი** — გეომეტრიის მცოდნე; **გეომეტრიული პროგრესია** — რიცხვთა რიგი, რომელშიც ყოველი მომდევნო რიცხვი უდრის წინას, გადამრავლებულს ერთსა და იმავე რიცხვზე.

**გეორამა**, ბერძ. ხელოვნ., დედამიწის გამოსახულება დიდი მაშტაბით (იხ.): წარმოადგენს ბირთვს, რომლის შიდა ზედაპირზეც გამოსახულია დედამიწის ზედაპირი.

**გეორგიკონ-ი** (ბერძ. „სამიწათმოქმედო", მრავლ. გეორგიკა), შრომის ლექსი მიწათმოქმედების შესახებ (ძველ საბერძნეთში ასეთ ლექსებს სწერდა ჰესიოდი, ხოლო ძვ. რომში — ვირგილიუსი).

**გეოსტატიკა**, ბერძ. ხელოვნ., მოძღვრება დედამიწის ქერქის წონასწორობისა და ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ.

**გეოტაქსის-ი**, ბერძ. ხელოვნ., ბიოლოგიაში: ზოგიერთ ცხოველთა მიდრეკილება განსაზღვრული მდგომარეობისადმი დედამიწის ცენტრის მიმართ და ამასთან დაკავშირებული მათი მოძრაობა.

**გეოტექტონიკა**, იხ. გეოლოგია.

**გეოტროპიზმ-ი**, ბერძ. (გე „მიწა" და ტროპოს „მიმართულება, მოქცევა"). მცენარეთა ან მის ნაწილთა თვისება — გაიზარდოს განსაზღვრულის მიმართულებით (დამოკიდებულია დედამიწის მიმზიდველობის გავლენისაგან).

**გეოფაგია**, ბერძ., მიწის-მჭამელობა (ავადმყოფური მოვლენა); **გეოფაგ-ი**—მიწის მჭამელი.

**გეოფიზიკა**, ბერძ., მოძღვრება დედამიწის შესახებ ფიზიკური თვალსაზრისით; მისი დარგებია: მოძღვრება მ ი მ ზ ი დ ვ ე ლ ო ბ ი ს ა, დ ე დ ა მ ი წ ი ს მ ა გ ნ ე ტ ი ზ მ ი ს ა და ე ლ ე ქ ტ რ ო ბ ი ს შესახებ, კ ლ ი მ ა ტ ო ლ ო გ ი ა (იხ.) და სხვ.

**გეოცენტრიზმ-ი** (ბერძ., ხელოვნ.), ძველი შეხედულება, რომლის თანახმად დედამიწა მსოფლიოს ცენტრშია მოქცეული (იხ. ანთროპოცენტრიზმი); აქედან: **გეოცენტრისტ-ი** — გეოცენტრიზმის მიმდევარი; **გეოცენტრისტული მსოფლმხედველობა.**

**გეოცენტრული** (ბერძ., ხელოვნ.), დედამიწის მიმართ. მაგ.: **გეოცენტრული მდებარეობა** — მნათობის მდებარეობა დედამიწის მიმართ.

**გეპარდ-ი** (ფრ. guépard, გერმ. Gepard), კატის ჯიშის მტაცებელი ცხოველი, გარეგნულად უფრო ჰგავს ძაღლს; ადვილი მოსაშინაურებელია და იყენებენ ნადირობაში (ამიტომ უწოდებენ აგრეთვე „მ ო ნ ა დ ი რ ე ლ ე ო პ ა რ დ-ს“).

**გეპატ-**, იხ. ჰეპატ-.

**„გეპეუ“**, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (ხელოვნური რუსული სიტყვაა და შედგენილია ამ დაწესებულების სახელწოდების პირველ ასოთაგან: Г. П. У.).

**გეპტ-**, იხ. ჰეპტ-.

**გერა**, იხ. ჰერა.

**გერალდიკა**, იხ. ჰერალდიკა.

**გერბარ-**, იხ. ჰერბარ-.

**გერბ-ი**, იხ. ღერბი.

**გერკულეს-ი**, იხ. ჰერკულესი.

**გერმანდად-ი**, იხ. ჰერმანდადი.

**გერმანიზაცია**, გაგერმანელება: გერმანული ენისა და საერთოდ კულტურის გავრცელება არაგერმანული ტომით დასახლებულ ადგილებში; აქედან: **გერმანიზირება** — გაგერმანელება.

**გერმანიზმ-ი**, არაგერმანულ ენაში შეტანილი გერმანულ ენის თავისებურობა.

**გერმანისტ-ი**, მეცნიერი, რომელიც იკვლევს გერმანულ ენებს, სიძველეებს ან გერმანულ სამართალს; აქედან: **გერმანისტიკა** — გერმანელთა ენისა, ლიტერატურისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერება (იგივეა, რაც გერმანული ფილოლოგია, იხ.).

**გერმანომანია**, ლათ.-ბერძ., სიყვარული ყოველისავე გერმანულისა; **გერმანომან-ი** — ვისაც უყვარს ყოველივე გერმანული.

**გერმანოფილ-ი**, ლათ.-ბერძ., გერმანელთა მოყვარული, — მომხრე.

**გერმანოფობია**, ლათ.-ბერძ., გერმანელთა მოძულეობა ან შიში: **გერმანოფობ-ი** — ის, ვისაც გერმანელები სძულს ან ეშინია მათი.

**გერმანული ენები**, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთი ჯგუფის განშტოება. სახელდობრ: 1) აღმოსავლ. გერმანული — გ უ თ უ რ ი, უკვე გადაშენებული; 2) ჩრდილო გერმანული: ისლანდური, ნორვეგიული, შვედური და დანიური, 3) დასავლ. გერმანული: ანგლო-საქსური (რომლისაგანაც დღეს გვაქვს ინგლისური), ნიდერლანდური (ჰოლანდური და სხვ.), ქვემო გერმანული და ზემო გერმანული (რომლისაგანაც დღეს გვაქვს სალიტერატურო გერმანული ენა).

**გერმანული კოალიცია**, სამხედრო კავშირი (1914 — 18) სახელმწიფოთა: გერმანიისა, ავსტრო-უნგრეთისა, ოსმალეთისა და ბულღარეთისა; კოალიცია დაიშალა ანტანტის (იხ.) გამარჯვების გამო.

**გერმანული ტომები**, ინდოევროპული წარმოშობის ტომები, რომელნიც უძველესი დროიდან მოსახლეობდენ დასავლ. ევროპაში (გუთები, ფრანკები, ლანგობარდები, ვანდალები, ტევტონები, საქსები და მრავ. სხვა).

**გერმ-**, იხ. ჰერმ-.

**გერნ-**, იხ. ჰერნ-.

**გერო-**, იხ. ჰერო-.

**გერონტ-ი** (ბერძ. გერონ, გერონტოს „მოხუცი“), გერუსიის (იხ.) წევრი.

**გერონტოკრატია**, ბერძ. („უხუცესთა მმართველობა“), ისეთი წესწყობილება, სადაც მმართველობაში მონაწილეობის მიღების უფლება დამოკიდებულია ხნოვანობაზე.

**გერუსია** (ბერძ. gerousia), უხუცესთა (გერონტთა) საბჭო ძველი საბერძნეთის ზოგიერთ სახელმწიფოში, განსაკუთრებით სპარტაში: საბჭო შედგებოდა 30 წევრისაგან, რომელნიც ირჩეოდენ სიკვდილამდე (არჩეული უნდა ყოფილიყო 60 წ. მეტი ხნისა); გერუსია განაგებდა სასამართლოს, საგარეო პოლიტიკას და შინაგან მიმდინარე სახელმწ. საქმეებს.

**გერშუნი, გ. ა.** (1870 — 1909), სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის (იხ.) ერთერთი დამაარსებელთაგანი, ტერორისტი; 1904 წ. მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, შეუცვალეს კატორღით; გაიპარა ამერიკაში.

**გერც-**, იხ. ჰერც-.

**გესპ-**, იხ. ჰესპ-.

**გესტა რომანორუმ** (მრავლ., ლათ. „საქმენი რომაელთა“), ასე ეწოდება საშუალო საუკუნეებში ძალიან გავრცელებულ კრებულს მოთხრობათა: მოკლედ მოთხრობილ რაიმე ამბავს დართული აქვს ვრცელი ქრისტიანული დარიგება; კრებული თარგმნილი იყო ევროპის ახალ ენებზედაც.

**გეტე**, იხ. გოეთე.

**გეტერ-**, იხ. ჰეტერ-.

**გეტმან-ი**, იხ. ჰეტმან-ი.

**გეტო** (იტ. ghetta-საგან), ასე ეწოდებოდა დასავლ. ევროპაში (უპირველესად იტალიაში) ებრაელთა უბანს, სადაც ცხოვრობდენ ებრაელები, ქალაქის სხვა მცხოვრებთაგან დაშორებულნი: სახლდებოდენ ზოგჯერ თავის ნებით, უმეტესად კი ასახლებდენ ძალით; არსებობდა XI საუკ. — XIX საუკ-მდე, — როცა აღიარებულ იქნა ებრაელთა სწორუფლებიანობა (სახელწოდება ghetta ნიშნავს: ზარბაზნის ქარხანას, რომლის ახლოც იმყოფებოდა ებრაელთა უბანი ვ ე ნ ე დ ი გ-ში (იხ.).

**„გეშეფტმახერ-ი“** (გერმ. Geschäft „საქმე, საქმიანობა, მოვალეობა, ვაჭრობა“ და სხვ., machen „კეთება“), საქმის მკეთებელი, — მომრიგებელი, მოსაქმე; გადატ. მნიშვნ.: ურიგო საქმის მკეთებლი (იგულისხმება უმეტესად სავაჭრო საქმეები).

**გვაიაკოლ-ი** (ხელოვნ., ლათ. guaiacum-ისაგან), უფერული სურნელოვანი სითხე, ადვილხსნადი სპირტსა და ეთერში; იხმარება ტუბერკულოზის მკურნალობაში.

**გვარდია** (იტ. guardia, ფრ. garde): 1) საშ. საუკუნეებში: მეფის ამალა, ტახტის მცველი რაზმი; შემდეგ 2) ჯარების საუკეთესო დარჩეული ნაწილი, რომელსაც ევალება განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულება და ამიტომ სარგებლობს უპირატესობით სხვა ნაწილებთან შედარებით; ცნობილია: **ნაციონალური გვარდია** საფრანგეთში: ა) 1789 წ. — წვრილი ბურჟუაზიისა და ხელოსნებისაგან შედგენილი სარევოლუციო გვარდია; ბ) 1848 წ. — ბურჟუაზიის ხელში მყოფი ნაციონ. გვარდია ებრძოდა მუშათა მოძრაობას; გ) 1871 წ. — ნაც. გვარდია შედგა მუშათა რაზმებისაგან; 3) გადატან. მნიშვნ.: გვარდია — რაიმე საზოგადოებრივი ჯგუფის საუკეთესო, მედგარი ნაწილი; აქედან: **გვარდიელი** — გვარდიაში მოსამსახურე, გვარდიის მონაწილე.

**გველფები** (მრავლ., იტ. Guelfi), საშუალო საუკუნეების ერთერთი პოლიტიკური პარტია იტალიაში, — იმპერატორის მოწინააღმდეგე და პაპის მომხრე (იხ. გიბელინები).

**გვერეცა** (guereza), აფრიკის მაიმუნების ერთერთი ჯიში.

**გვერილასები** (მრავლ., ისპ. Guerillas), შეიარაღებული რაზმები ისპანიაში, ისპანიის პარტიზანები (ცნობილნი არიან განსაკუთრებით ნაპოლეონთან ბრძოლაში 1808 — 1814 წ.წ.).

**გიალ-**, იხ. ჰიალ-.

**გიაურ-ი**, არაბ.-თურქ. Kiâfir „(ღვთის) უარმყოფელი“), ასე უწოდებდენ მუსულმანები არამუსულმანთ (ურწმუნოების გამო მათდამი სიძულვილის აღსანიშნავად).

**გიაცინტ-ი**, იხ. ჰიაცინთი.

**გიბელინები** (მრავლ., იტ., ფრ. Gibelins), საშუალო საუკუნეების ერთერთი პოლიტიკური პარტია იტალიაში, — იმპერატორის მომხრე და პაპის მოწინააღმდეგე; გიბელინები ებრძოდენ გველფებს (იხ.).

**გიბონ-ი** (Gibbon), ადამიანისებური მაიმუნის ერთი ჯიში, ცხოვრობს ინდოეთის ტყეებსა და მის მახლობელ კუნძულებზე.

**გიბრალტარ-ი** (ევროპ. Gibraltar), სიმაგრე და ქალაქი სამხრეთ ისპანიაში, — ეკუთვნის ინგლისს; **გიბრალტარის სრუტე** — აერთებს ხმელთაშუა ზღვას ატლანტიკურ ოკეანესთან და ჰყოფს ისპანიას აფრიკისაგან.

**გიბრიდ-**, იხ. ჰიბრიდ-.

**გიგანტ-ი** (ბერძ. გიგას, გიგანტოს): 1) ძველი ბერძნული მითოლოგიით: ბუმბერაზი, მდევი, ღმერთთა მონათესავე არსება; გ ი გ ა ნ ტ ე ბ ი აუჯანყდენ ღმერთებს და სურდათ ოლიმპის დაპყრობა; 2) გადატ. მნიშვნ.: ძალიან დიდი, უზარმაზარი ტანის ადამიანი; 3) ხელოვნებაში: გიგანტის გამოსახულება ქანდაკებაში ან მხატვრობაში; აქედან: **გიგანტომაქია** — გიგანტების ბრძოლა ღმერთებთან.

**გიგიენა** და სხვ., იხ. ჰიგიენა.

**გიგრო-**, იხ. ჰიგრო-.

**გიდალგო**, იხ. ჰიდალგო.

**გიდ-ი** (ფრ. guide). გამყოლი, გზის მაჩვენებელი, ხელმძღვანელი.

**გიდრ-**, იხ. ჰიდრ-.

**გიენა**, იხ. ჰიენა.

**გიერ-**, იხ. ჰიერ-.

**გილდია** ან უკეთ **გილდ-ი** (ინგლ. guild, გერმ. gild): 1) ძველი გერმანელების საერთო პურისჭამა ან ქეიფი რაიმე შემთხვევის გამო; 2) საშ. საუკუნეებში (დასავლ. ევროპაში): ვაჭართა ან ხელოსანთა კავშირი; საერთოდ: კავშირი — საერო ან სასულიერო ხასიათისა; 3) ვაჭართა ხარისხი რევოლუციამდე რუსეთში.

**გილზ-ი**, იხ. ჰილზ-ი.

**გილიოტინა** ან უკეთ **გილოტინ-ი**, თავის მომკვეთი მანქანა, შემოღებული საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს (1792 წ.) ექიმი გ ი ლ ო ტ ი ნ-ის (Guillotin) წინადადებით; იხმარება ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც; აქედან: **გილოტინირება** — გილოტინით დასჯა, — თავის მოკვეთა.

**გილოშირება** (ფრ. guillocher), ძალიან ნაზად და თხლად ამოჭრა რაიმე სურათისა ლითონის ფირფიტაზე, ხეზე, ქვაზე, ქაღალდზე და სხვ. საგანგებო მანქანით (ეს სიტყვა წარმომდგარია გამომგონის, Guillot-ის, სახელისაგან); აქედან: **გილოშაჟ-ი** — ეწოდება მოქმედებას და შედეგს და სხვ. (გილოშირებას მიმართავენ ჩვეულებრივ ქაღალდის ფულის ბეჭდვაში).

**გიმენ-**, იხ. ჰიმენ-.

**გიმნაზია** (ბერძ. gymnasion, ლათ. gymnasium): 1) ძველ საბერძნეთში: დაწესებულება, სადაც აწვრთნიდნენ ახალგაზრდობის ტანვარჯიშობას გონებრივ ვარჯიშობასთან ერთად; 2) ახლა დასავლ. ევროპაში (და რევოლუციამდე რუსეთში): ზოგადი განათლების საშუალო სასწავლებელი კლასიკური (ბერძნ. და ლათინური) ენების სწავლებითურთ; გიმნაზია ამზადებს (რუსეთში ამზადებდა) ახალგაზრდობას უნივერსიტეტისათვის; აქედან: **გიმნაზისტ-ი** — გიმნაზიელი, გიმნაზიის მოწაფე; **გიმნასტიკა** — სხეულის ვარჯიშობა განსაზღვრული წესების მიხედვით — სხეულის გასავითარებლად და გასამაგრებლად; ტანვარჯიშობა; **გიმნასტ-ი** — ტანვარჯიშობაში გაწვრთნილი, გიმნასტიკის მასწავლებელი.

**გიმნეტ-ი** (ბერძ. gymnês,-tos), მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცი ძველ საბერძნეთში.

**გიმნ-ი** და სხვ., იხ. ჰიმნ-ი და სხვ.

**გიმნოსოფისტები** (მრავლ., ბერძ. gymnosophistai), ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები ინდოელ ფილოსოფოს-განდეგილებს, რომელნიც ტანსაცმელსაც კი უარყოფდნენ.

**გინეკეი** ან უკეთ **გინეკეიონ-ი** (ბერძ. gynaikeion), საქალო, ქალისთვის დამახასიათებელი ან მისთვის განკუთვნილი (ასე ეწოდებოდა ძვ. საბერძნეთში სახლის საქალებო ნაწილს).

**გინეკოკრატია**, ბერძ., ქალთა მმართველობა (ოჯახში, სახელმწიფოში და სხვ.).

**გინეკოლოგია**, ბერძ., მეცნიერება ქალის სასქესო ორგანოების ავადმყოფობათა შესახებ; **გინეკოლოგ-ი** — გინეკოლოგიის სპეციალისტი, ქალის ავადმყოფობათა მკურნალობაში დახელოვნებული ექიმი, — მეცნიერი.

**გინეკომანია**, ბერძ., ავადმყოფურად გადაჭარბებული ვნებიერი მიდრეკილება ქალისადმი.

**გინეკომასტია**, ბერძ., მამაკაცის სარძევე ჯირკვლების არაჩვეულებრივი განვითარება.

**გინეკონომ-ი**, ბერძ., ძველ საბერძნეთში: მოხელე, რომელსაც ევალებოდა თვალყურის დევნება, რომ ზედმეტი ფუფუნება არ გავრცელებულიყო, განსაკუთრებით, ქალის მორთულობაში.

**გიპ-**, იხ. ჰიპ-.

**გიპერ-**, იხ. ჰიპერ-.

**გიპი-**, იხ. ჰიპი-.

**გიპნ-**, იხ. ჰიპნ-.

**გიპო-**, იხ. ჰიპო-.

**გიპს-ი** (ბერძ. gypsos „ცარცი"), თეთრი მინერალი, — იხმარება საძერწავად, ქანდაკებაში, ქირურგიულ შეხვევაში და სხვ.; ქართულად: თაბაშირი.

**გიპსო-**, იხ. ჰიპსო-.

**გირა**, სპარს.-რუს. (гиря), საწონი.

**გირლანდ-ი** (ფრ. guirlande), ლენტის მსგავსად დაწნული ყვავილები და მწვანეულობა.

**გირომეტრ-ი** (ბერძ. gyros „მრუდი, მოხვეული, ამოზნექილი", მეტრონ „ზომა, საზომი"), ბრუნვითი მოძრაობის სისწრაფის საზომი.

**გიროსკოპ-ი**, ბერძ., ფიზიკის ხელსაწყო: მბრიალა, რომელიც წარმოადგენს ღერძს საბ-

რუნი სხეულითურთ (იხ. გირომეტრი, ბერძ. gyros და scopeô „ეხედავ“).

გირშ-დუნკერ-ის კავშირები, იხ. ჰირშ-დუნკერის კავშირები.

გისტერ-, იხ. ჰისტერ-.

გისტო-, იხ. ჰისტო-.

გისტრიონ-ი, იხ. ჰისტრიონ-ი.

გიტარა (ბერძ. კითარა, ისპ. guitarra, ფრ. guitare), სიმებიანი სამუსიკო საკრავი, ჩვეულებრივ 6 და მეტ-სიმიანი (ჩვენში იხმარება 7 სიმიანი).

გიტოპადეშა, იხ. ჰიტოპადეშა.

გიჯრა, იხ. ჰიჯრა.

გლაგოლიცა, სლავ., ასე ეწოდება ერთერთ ძველ სლავურ ანბანს, რომლითაც დაწერილია ძველი სლავურის (საეკლესიო) ტექსტები (განსხვავდება მეორე ანბანისაგან, კ ი რ ი ლ ი ც ასაგან, იხ.).

გლადიატორ-ი, ლათ. („ხმლიანი“, gladius „ხმალი“), ძველი რომის ცირკებში საჯარო მეომრები (ებრძოდენ ერთმანეთს ან მხეცებს),— დაქირავებულნი ან უმეტესად მონებად გახდილი ტყვეები; გლადიატორობა ჩნდება რომში III საუკუნიდან ქ. წ. და მოისპო 5 ს. ქ. შ..

გლაზეტ-ი, ფრ. ქსოვილი, რომლის ფუძეც აბრეშუმია, ხოლო მისაქსოველი ვერცხლის ან ოქროს ძაფისა.

გლაზირება, იხ. გლაზური.

გლაზურ-ი (ფრ. glaçure, გერმ. glasur), მინისებური შენადნობის თხელი ფენი, რომლითაც მაღალ ტემპერატურაზე დაჰფარავენ თიხის (ან ლითონის) საგანს და რომელიც მიანიჭებს ამ საგანს ბრწყინვას, სიგლუვეს, წყალგაუვალობას და, ზოგჯერ, ამა თუ იმ ფერს; ქართულად: მ ო ჭ ი ქ უ ლ ო ბ ა ან ჭ ი ქ უ რ ი; აქედან: გლაზირება ან გლასირება — 1) მოჭიქვა ანუ გლაზურით დაფარვა თიხისაგან გაკეთებული საგნისა; 2) მომინანქრება ანუ ემალით (იხ.) დაფარვა ლითონისაგან გაკეთებული საგნისა;3) მხატვრობაში: ფერადების შემსუბუქება გამჭვირვალე ფერადების შერევით; გლაზურის ფერადი — მბზინვარე გამჭვირვალე ფერადი.

გლანდ-ი ან გლანდულა (ლათ. გლანდულა „ჯირკვალი“), გადიდებული ნუშისებრი ჯირკვალი.

გლანეც-ი (გერმ. გლანც), მბზინვარება, პეწი; აქედან: გლანცური — მბზინვარე, პეწიანი.

გლას-ი ან გლასე (ფრ. glacée), აბრეშუმის ბრჭყვიალა ქსოვილი.

გლასის-ი (ფრ. glacis), მიწაყრილი სიმაგრის თხრილის გარეთა ნაპირის წინ.

გლასონ-ი (ფრ. glaçon): 1) ყინული, ყინულის სხეპლა; 2) ყინულის სხეპლის მსგავსი სახუროთმოძღვრო სამკაული.

გლაუბერის მარილი, გოგირდმჟავა ნატრი (იხ.), — იხმარება მინის წარმოებაში და მკურნალობაში, მაგ. როგორც საფაღარათო საშუალება (მისი აღმომჩენია გერმანელი ქიმიკოსი გ ლ ა უ ბ ე რ-ი, 1603 — 1668).

გლაციოლოგია, ლათ.-ბერძ. („ყინულთ-მეცნიერება“), მოძღვრება გლეტჩერების (იხ.) შესახებ.

გლეტჩერ-ი (გერმ. Gletscher), მყინვარი, ყინულის ნაკადი, რომელიც მაღალი მთებიდან თანდათან ეშვება დაბლობებში.

გლიანეც-ი, იხ. გლანეც-ი.

გლიას-ი, იხ. გლას-ი.

გლინტვეინ-ი (გერმ. Glühwein), ცხელი წითელი ღვინო — შაქრიანი და სანელებლებიანი.

გლიომა, ბერძ. ხელოვნ. (ბერძ. გლია „წებო“), ნევროგლიისაგან (იხ.) განვითარებული სიმსივნე; ჩნდება თავისა და ხერხემლის ტვინში და ზოგჯერ თვალში.

გლიუკოზა, იხ. გლუკოზ-ი.

გლიუტენ-ი, იხ. გლუტენი.

გლისტ-ი (რუს. глиста ან глист), საერთო სახელწოდებაა სხვადასხვა სახის ჭიებისა, რომელნიც პარაზიტობენ (იხ.) ადამიანის და სხვა ცხოველთა სხეულში, განსაკუთრებით. კუჭ-ნაწლავთა მილში.

გლიფტიკა (ბერძ. glyptikê), ხელოვნება მოჩუქურთმებისა და ქანდაკებისა ქვასა და ლითონზე; აქედან: გლიფტოგრაფია — ჩუქურთმებისა და ქანდაკებათა აღწერა; გლიფტოთეკა — ჩუქურთმებისა და ქანდაკებათა კრებული, მათი შესანახი ადგილი (გლიფიკა — ქანდაკება).

გლიცერინ-ი, ბერძ. ხელოვნ. (glykys „ტკბილი“), ქიმიაში: ერთერთი სამ-ატომიან სპირტთაგანი; წყალში ხსნადი სითხე — სქელი და ტკბილი, რომელიც წარმოადგენს ყოველი ქონის შემადგენელ ნაწილს. მკურნალობაში

გლიცერინი იხმარება: სხვადასხვა საცხებელში (მაგ., დამსკდარი კანის დასაზელად), როგორც გამხსნელი საშუალება და სხვ..

გლობულინ-ი, ლათ. ხელოვნ. (გლობულუს „პატარა ბირთვი"), წყალში უხსნადი ცილოვანი ნივთიერება, — იხსნება ნეიტრალური მარილების სუსტ ხსნარში; წარმოადგენს სისხლის შრატის შემადგენელ ნაწილს, აქვს ზოგიერთ მცენარეს და სხვ.

გლობუს-ი, ლათ.: 1) დედამიწის ხელოვნური გამოსახულება ბირთვის სახით (დ ე დ ა მ ი წ ი ს გ ლ ო ბ უ ს ი); 2) ცის ხილული კამარის გამოსახულება ბირთვზე (ც ი ს გ ლ ო ბ უ ს ი).

გლორია, ლათ. („დიდება, სახელი"): 1) თეთრად ბრწყინვა ადამიანის ჩრდილის ახლოს ნამიან მინდორზე დილით; 2) ქსოვილი, რომლის ფუძეც აბრეშუმის ძაფია, ხოლო მისაქსოვლი ბამბისა; 3) კათოლიკური წირვის ნაწილი; აქედან: გლორიფიკაცია — ქება, დიდება.

გლოსა (ბერძ. glôssa „ენა"): 1) მოკლე ახსნა-განმარტება სიტყვათა და გამოთქმათა ძველი წერილობითი ძეგლების არშიებზე; 2) საერთოდ: რაიმე თხზულების გაუგებარი ადგილის განმარტება, რომელიც მიეწერება თვით ტექსტს; აქედან: გლოსარი ან გლოსარიუმ-ი — ლექსიკონი. სიტყვათა კრებული; გლოსოგრაფ-ი — ვინც ჰკრებდა და ხსნიდა გლოსებს.

გლოსოლალია (ბერძ. გლოსსა „ენა" და ლალეინ „ტიკტიკი"), ავადმყოფური მოვლენა: ავადმყოფი ლაპარაკობს თავისთავისვე გაუგებარ სიტყვებს — დამახინჯებულს ან მოგონილს და სხვ.; არის გლოსოლალიის რამდენიმე სახე (ლიტერატურაში გლოსოლალიას ეძახიან მიუიწყვებული შინაარსის სიტყვებს, მაგ. „ოდელია, დელია" ქართულ სიმღერებში).

გლოსომანია (ბერძ. გლოსსა „ენა" და მანია „სიგიჟე, ცოფიანობა"), უცხო ენათა შესწავლის ავადმყოფური სურვილი.

გლოსოპლეგია, ბერძ., ენის დამბლა.

გლოსოსკოპია (ბერძ. გლოსსა „ენა" და სკოპეო „ვხედავ"). ენის, როგორც ორგანოს, კვლევა.

გლუკოზ-ი, ბერძ. ხელოვნ. (glykys „ტკბილი"), ყურძნის შაქარი.

გლუტენ-ი, ლათ. („წებო"), პურეულის მარცვლის ცილოვანი ნივთიერება, წყალში უხსნადი, მწებვარე, — წარმოადგენს პურის სინოყივრის მნიშვნელოვან ნაწილს.

გმინა ან გმინ-ი, გერმ.-პოლონ. (გერმ. gemeine-საგან), უმცირესი ადმინისტრატიული ერთეული პოლონეთში; თემი.

გნეის-ი (გერმ. Gneiss), ერთერთი ძალიან გავრცელებული რთული, ფენოვანი მთის ჯიში (ქანი), წააგავს გრანიტს (იხ.).

გნომა, ბერძ.: 1) ნიშანი, აზრი, შეხედულება; 2) გნომები (მრავლ.): მოკლედ და მხატვრულად გამოხატული აზრი, ცხოვრების გამოცდილებიდან მიღებული სიბრძნის შემცველი, — დამახასიათებელია აღმოსავლურ მწერლობათა; ძვ. საბერძნეთში გნომიკური ლიტერატურა, ე. ი. გნომების შემცველი მწერლობა, ყვაოდა VI ს. ქ. წ.

გნომ-ი, ბერძ.-ევროპ. (ფრ. gnome), დასავლ. ევროპის ზღაპრულ თქმულებებში: ქვესკნელის სულები, რომელნიც იცავენ მიწის წიაღის განძეულობას.

გნომონ-ი, ბერძ., უძველესი ასტრონომიული იარაღი, მზის სიმაღლისა და ნამდვილი მერიდიანის მიმართულების განმსაზღვრელი; აქედან: გნომონიკა — მზის საათის მოწყობის წესთა კრებული.

გნოსეოლოგია, ბერძ. ხელოვნ. (gnôsis „შემეცნება"), ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც იკვლევს შემეცნების პირობებსა და ჭეშმარიტი ცოდნის შესაძლებლობის საზღვრებს; შემეცნების თეორია.

გნოსტიციზმ-ი, ბერძ. ხელოვნ. (ბერძ. gnostikos „შემცნობი, შეცნობის უნარიანი"), აზროვნების რელიგიურ-ფილოსოფიური მიმართულება ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, წარმოადგენდა სინთეზს (იხ.) აღმოსავლურ სარწმუნოებათა და იუდაიზმისას (იხ.) ქრისტიანობის ნიადაგზე; აქედან: გნოსტიკ-ი — გნოსტიციზმის მიმდევარი.

გობელენ-ი, ფრ., აბრეშუმისა ან მატყლისაგან მოქსოვილი სხვადასხვა ფერის ნახატებიანი ხალიჩა, კედლის ხალი და სხვ. (სახელწოდება მიიღო XV საუკ. პარიზელი მღებვარის, Gobelin-ისაგან).

გობოი, იხ. ობოე.

გობს-ი, იხ. ჰობს-ი.

გოგენცოლერნ-ი, იხ. ჰოჰენცოლერნი.

გოგ-ი და მაგოგ-ი, ებრ.: 1) ბიბლიით: გ ო გ-ი ზღაპრული მეფეთა მ ა გ ო გ-ებისა (მ ა გ ო გ-ები ჩრდილოეთის ზღაპრული ხალხის სახელწოდება), რომელნიც წარმოადგენენ ისრაელთა უკანასკნელ მტრებს; 2) გადატან. მნიშვნ.: ველური ხალხი.

გოგოლ-ი, ნ. ვ. (Гоголь, 1809 — 1852). შესანიშნავი რუსი მწერალი, რუსულ მწერლობაში რეალისტური მიმართულების შემქმნელი (ზოგიერთი მისი ნაწარმოები თარგმნილია ქართულად).

გოგოლ-მოგოლ-ი, გოგელ-მოგელ-ი ან გოგლი-მოგლი (გერმ.-ებრ. Gogel-Mogel), კვერცხის გული და შაქარი ერთად შეთქვეფილი, რომელსაც ხშირად შეურევენ რომს.

გოდვინ-ი, ვ. (Godwin, 1756 — 1836), ცნობილი ინგლისელი მწერალი და მოაზროვნე — სოციალური სამართლიანობის მქადაგებელი: მისმა აზრებმა გავლენა მოახდინეს XIX საუკ. სოციალისტურ და ანარქისტულ მოძღვრებებზე.

გოეთე, ვოლფგანგ (Goethe, Wolfgang, 1749 — 1832), უდიდესი გერმანელი პოეტი; მან შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული ტიპები (გ ო ე ც-ი, ვ ე რ ტ ე რ-ი, ფ ა უ ს ტ-ი, მ ე ი ს ტ ე რ-ი და მრავალი სხვა), რომლებშიც განასახიერა კაცობრიობის უმაღლესი მისწრაფებანი: პიროვნების ბრძოლა უფლებისათვის, ძიება განუსაზღვრელი ცოდნისა და კაცობრიობის ბედნიერებისა, ბრძოლა ბუნებასთან კაცობრიობის საკეთილდღეოთ და სხვ.; გ ო ე თ ე ცნობილია აგრეთვე, როგორც შესანიშნავი ბუნებისმეტყველი; თხზულებანი: „გოეც ფონბერლიჰინგენი", „ვერტერი", „ჰერმან და დოროთეა", „ფაუსტი" და მრავალი სხვა (ქართულად თარგმნილია მის თხზულებათა საკმაო რიცხვი).

გოთის პროგრამა, ასე ეწოდება 1875 წ. ქ. გ ო თ ა-ში (გერმანია) გამაერთიანებელ სოციალისტურ ყრილობაზე მიღებულ პროგრამას, რომელმაც გააერთიანა („სოციალისტური მუშათა პარტიის" სახელწოდებით) გერმანიის სოც.-დემოკრატიის ორი ფრაქცია: ლ ა ს ა ლ ი ს (იხ.) მიმდევარნი და ე. წ. ე ი ზ ე ნ ა ხ ე ლ ე ბ ი (იხ.).

გოთები, იხ. გუთები.

გოთური, იხ. გუთური.

გოლბახ-ი, იხ. ჰოლბახი.

გოლგოთა ან გოლგათა, ებრ.-ბერძ.: 1) გორაკი იერუსალიმის ახლოს, სადაც, გადმოცემის თანახმად, ჯვარს აცვეს ქრისტე; 2) გადატან. მნიშვნ.: სატანჯველი ადგილი; ტანჯვა.

გოლიათ-ი, ბერძ.: 1) საკუთარი სახელი ფილისტიმელი გმირისა, რომელიც დაამარცხა ბიბლიურმა დავითმა; 2) გადატ. მნიშვნ.: დიდი ტანის ადამიანი. დევ-გმირი.

გოლფსტრემ-ი ან გოლფშტრომ-ი, გერმ. Golfstrom), ზღვის თბილი მდინარეობა ატლანტიკურ ოკეანეში.

გომეოპატია, ინ. ჰომეოპათია.

გომერ-ი, იხ. ჰომეროსი.

გომილ-, იხ. ჰომილ-.

გომინდან-ი (ჩინ. გო „სახელმწიფო", მინ „ხალხი", დან „პარტია"), ხალხური სარევოლუციო მოძრაობის ხელმძღვანელი პარტია ჩინეთში, შექმნილი და სახელწოდებული 1912 წ. ს უ ნ-ი ა ტ-ს ე ნ-ის მეთაურობით; 1923 წ. მიიღო განახლებული პროგრამა, რომლის მთავარი პრინციპებია: ნაციონალიზმი, დემოკრატიზმი და სოციალიზმი. გ ო მ ი ნ დ ა ნ-ი სცნობს ჩინეთში დასახლებულ ყველა ერთა თანასწორუფლებიანობას, ებრძვის უცხოელთა გავლენას ჩინეთის საქმეებზე და სხვ.; უფრო ძლიერი გავლენა აქვს სამხრეთ ჩინეთში.

გომო-, იხ. ჰომო-.

გონაგრა, ბერძ. ხელოვნ. (gony „მუხლი"), მუხლების რევმატიზმი (იხ.).

გონალგია, ბერძ. (gony „მუხლი" და algos „ტკივილი), მუხლის ავადმყოფობა.

გონდოლა, იტ., მომცრო ბრტყელ-ფსკერიანი სანიჩბე ნავი, ვენეციური ნავი; გონდოლიერა — მენავეთა სიმღერა; გონდოლიერ-ი — გონდოლის მონიჩბე, მენავე.

გონვედ-ი, იხ. ჰონვედი.

გონიომეტრ-ი, ბერძ. („კუთხმზომი"), კრისტალების (იხ.) ორწახნაგა კუთხეთა სიდიდის საზომი იარაღი (კრისტალოგრაფიაში); კუთხმზომი; გონიომეტრია — კუთხმზომლობა.

გონოკოკ-ი (ბერძ.-ლათ. gonococcus), გონოკოკები, გონორეს (იხ.) გამომწვევი ბაქტერიები (იხ.).

გონორარ-ი, იხ. ჰონორარი.

გონორე, ბერძ. (gonorrhoe „თესლის დენა"). გადამდები ავადმყოფობა ადამიანის სასქესო ორ-

განოებისა: შარდსადენი მილის ლორწოიანი გარსის ანთება, რომელსაც იწვევენ გ ო ნ ო- კ ო კ ე ბ ი (იხ.).

**გონფალონიერი** (იტ. gonfalonieri), აღმასრულებელი ხელისუფლების არჩეული წარმომადგენელი იტალიაში საშ. საუკუნეებში. — იცავდა გონფალონ-ს — სამხედრო დროშას.

**გოპლ-**, იხ. ჰოპლ-.

**გორგო, გორგონები** (ბერძ. გორგოს „საშიშარი, მძაფრი"): 1) ჰომეროსით: გ ო რ გ ო ქვესკნელის საშინელი მდედრი არსებაა, განსაკუთრებით საზარელი აქვს თავი; 2) შემდეგ იყო სამი გ ო რ გ ო (გორგონები), რომელთა შორის ყველაზე საზარელი იყო უმცროსი და: მ ე დ უ ზ ა — თმის ნაცვლად თავზე გველებით; მისი ერთი შეხედვისაგან ადამიანი ქვად იქცეოდა.

**გორდიოს-ის ნასკვი**: 1) ფრიგიის ზღაპრული მეფის, გ ო რ დ ი ო ს-ის, მიერ ძევსისათვის შეწირული ეტლის რეილზე (შოლტაზე) მის მიერვე დახლართული ნასკვი, რომლის გამხსნელი უნდა გამხდარიყო აზიის მფლობელი: ალექსანდრე მაკედონელმა ხმლით გადაკვეთა იგი; 2) გადატან. მნიშვნ.: დახლართული, ძნელად შესასრულებელი საქმე.

**გორელიეფ-ი**, იხ. ჰორელიეფი.

**გორიზონტ-**, იხ. ჰორიზონტ-.

**გორილა** (gorilla), ადამიანის მსგავს მაიმუნთა ერთი სახე, უდიდესი მაიმუნთა შორის (2 მეტრამდე სიმაღლით); ცხოვრობს დასავლ. აფრიკის უდაბურ ტყეებში, იკვებება სხვადასხვა ნაყოფით (ზოგჯერ ხორცითაც); ახალგაზრდები ტყვეობაში მალე ითვისებენ ადამიანის ჩვეულებებს: ევროპაში (სადაც პირველად მოიყვანეს 1876 წ.) დიდხანს ვერ ძლებს.

**გორკი, მაქსიმ** (Максим Горький, დაიბ. 1869 წ.), ცნობილი რუსი მწერალი, რომელმაც მაღალი ღირსების მხატვრულ ნაწარმოებებში გამოხატა ე. წ. „საზოგადოების ნაძირალები" (ყოფილი ადამიანები) — უსაქმო, მოხეტიალე ტიპები, რომელთა წრეში გამეფებულია თავაშვებულობა. სიტლანქე და ზოგჯერ გარყვნილება, გამოხატულია ძლიერი პროტესტი იმ დროის ცხოვრების წესრიგის წინააღმდეგ (ზოგიერთი ნაწარმოები არის ქართულადაც).

**გორნ-**, იხ. ჰორნ-.

**გორჟეტ-ი** (ფრ. gorgerette), ყელზე მოსახვევი შარფი.

**გორჟ-ი** (ფრ. gorge „ყელი"), სიმაგრის უკანა ნაწილი.

**გოროსკოპ-**, იხ. ჰოროსკოპ-.

**გორტენზია**, იხ. ჰორტენზია.

**გორტი-, გორტო-**, იხ. ჰორტი-, ჰორტო-.

**გოსპ-**, იხ. ჰოსპ-.

**გოტები, გოტიკური ან გოტიური**, იხ. გუთები, გუთური.

**გოტენტოტ-ი**, იხ. ჰოტენტოტი.

**გოტის პროგრამა**, იხ. გოთის პროგრამა.

**გოფმანის წვეთები**, იხ. ჰოფმანის წვეთები.

**გრადაცია** (ლათ. gradatio „დასაფეხურება"), ერთი საგნიდან ან ერთი საფეხურიდან მეორეზე თანდათანობით გადასვლა.

**გრადიენტ-ი**, ლათ. ხელოვნ., რაიმე ფიზიკურ-გეოგრაფიული ელემენტის განსაზღვრული მიმართულებით ცვლილება მანძილის ერთეულით (მანძ. ერთეული უდრის მერიდიანის 1 გრადუსს); აქედან: ბარომეტრული გრადიენტი — არკვევს ხარისხს ატმოსფერული წნევის უთანაზომიერო განრიგებისას ჰორიზონტული მიმართულებით; თერმომეტრული გრადიენტი — არკვევს ხარისხს ტემპერატურის უთანაზომიერო განრიგებისას.

**გრადირება**, ლათ.-გერმ., მარილის ხსნარების შესქელება საგრადირო ხელსაწყოებში აორთქლების საშუალებით (იხ. საგრადირო).

**გრადუირება**, იხ. გრადუსი.

**გრადუს-ი**, ლათ. („ნაბიჯი, საფეხური"): 1) მათემატიკაში: წრეხაზის ერთი მესამასსამოცედი ($^1/_{360}$) ნაწილი; 2) ფიზიკაში: თერმომეტრისა, ბარომეტრისა და სხვ. ხელსაწყოთა დაყოფის თვითეული ნაწილი, რომელიც მიღებულია ტემპერატურისა, წნევისა და სხვ. საზომ ერთეულად; აქედან: გრადუაცია, გრადუირება ან დაგრადუირება — რაიმე საზომ ხელსაწყოზე ან ქურქელზე გრადუსების აღნიშვნა; საერთოდ: ზომის აღნიშვნა.

**გრავერ-ი** (ფრ. graveur), გრავიურის მკეთებელი.

**გრავიორ-ი**, იხ. გრავერი.

**გრავირება** (ფრ. graver „ამოჭრა, ამოკვეთა"), ამობურცულად ან ჩაღრმავებულად გამოსახულების ხელოვნება ლითონზე, ქვაზე, ხეზე

ან მინაზე სათანადო მჭრელი, მფხაჭნელი და სხვ. იარაღებით; აქედან ეს გამოსახულება გადააქვსთ ქაღალდზე საღებავების საშუალებით; გადანაღებს ეწოდება გ რ ა ვ ი უ რ-ი.

გრავიურა ან გრავიურ-ი (ფრ. gravure), გრავირების გზით მიღებული მხატვრული ნაწარმოები (იხ. გრავირება).

გრაკხ-ი ან გრაკქ-ი (ლათ. Gracchus), გრაკქები, ძმანი: ტ ი ბ ე რ ი უ ს და კ ა ი უ ს: ძველი რომის (II ს. ქ. წ.) ცნობილი მოღვაწეები, რომელთა მიზანიც იყო არისტოკრატიის დასუსტება და საშუალო კლასის აღდგენა რომში; სახალხო ტრიბუნებად არჩეულებმა, მათ გაატარეს რეფორმათა მთელი რიგი (ზედმეტი მიწის ჩამორთმევა და უმიწაწყლო მოქალაქეთათვის გადაცემა, პურის გაიაფება, სამხედრო სამსახურის შემსუბუქება ღარიბთათვის და სხვ.); არისტოკრატული რეაქციის დროს ორივენი მოკლულ იქნენ (ტ ი ბ ე რ ი უ ს ი 133 წ., კ ა ი უ ს ი 121 წ.).

გრამატიკა (ბერძ. გრამმატიკე „საწერა-კითხვო", იგულისხმება ტექნე „ხელოვნება"): 1) ძველად: წერა-კითხვა, წერაკითხვის ცოდნა; 2) შემდეგ: გრამატიკა შეიცავს შემდეგ დარგებს: ა) ფ ო ნ ე ტ ი კ ა ს ანუ მოძღვრებას სამეტყველო ბგერათა შესახებ; ბ) მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა ს ანუ მოძღვრებას სიტყვის ფორმათა შესახებ და გ) ს ი ნ ტ ა ქ ს ს ანუ მოძღვრებას წინადადებათა შესახებ; 3) ფონეტიკის დამოუკიდებელ მოძღვრებად გამოყოფის გამო: გ რ ა მ ა ტ ი კ ა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეიცავს მოძღვრებას სიტყვათა და შესიტყვებათა ფორმების შესახებ (შესიტყვება აქ გაგებულია როგორც სინტაქსი); აქედან: გრამატიკული — გრამატიკის ხასიათის მქონე; გრამატიკული კლასები სიტყვათა — ასე ეწოდება სიტყვათა ჯგუფებს, რომელთაც გრამატიკული (იხ. გრამატიკა 3.) ფორმები ერთნაირი ან თანაგვარი აქვსთ, მაგ. ქართულში არსებობს კლასი არსებით სახელთა, კლასი ზმნათა და სხვ.; მაგრამ ქართ., მაგ. ნაცვალსახელები არ წარმოადგენენ ერთ გრამატიკულ კლასს. არის: გრამატიკა აღწერილობითი ანუ სტატიკური — ითვალისწინებს ამა თუ იმ ენის სათანადო მოვლენებს ერთ განსაზღვრულ პერიოდში; გრამატიკა ისტორიული — ითვალისწინებს ენის სათანადო მოვლენებს ამ ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე; გრამატიკა შედარებითი — ითვალისწინებს ენის სათანადო მოვლენებს ამ ენის მონათესავე ენებთან შედარების საშუალებით და გამოჰყავს ამ შედარებიდან მათ შორის კანონზომიერი შესატყვისობანი.

გრამატიკოს-ი, ბერძ.: 1) ძველად: წერაკითხვის მცოდნე; 2) ახლა: გრამატიკის (იხ.) მცოდნე და მკვლევარი.

გრამ-ი (ფრ. gramme). ერთი კუბიკური სანტიმეტრი წყლის წონა, რომელიც უდრის 10 დეციგრამს ანუ 100 სანტიგრამს ანუ 1000 მილიგრამს.

გრამოფონ-ი, ბერძ. ხელოვნ. (გერმ. Grammophon), ხმის ჩასაწერი და ხმის გამომცემი მოწყობილობა.

გრანატ-ი, ლათ.. საარტილერიო ყუმბარა, წონით ერთ ფუთზე ნაკლები (ფუთზე მეტს ეძახიან ყუმბარას).

გრანდ-ი, გრანდები (ისპ. grandes), უმაღლესი წარჩინებული წოდება ისპანიაში.

გრანდიოზული ან გრანდიოზ-ი (ფრ. grandiose), უზარმაზარი, დიდებული.

გრან-ი (ლათ. გრანუმ „მარცვალი"), სააფთიაქო წონის ერთეული, უდრის გრამის $^{6}/_{100}$-ს.

გრანიტ-ი, ლათ.-ევროპ., რთული მარცვლოვანი ქანი (მთის ჯიში), რომელიც შეიცავს მინდერის შპატსა (იხ.), ქვარცსა (იხ.) და ქარსს (იხ. სლუდა); ბუნებაში გვხვდება მთების სახით, — იხმარება საშენებელ მასალად; გრანიტიტ-ი — გრანიტის ერთი სახეობა.

გრანულაცია (ლათ. granulatio „დამარცვლა"). ჭრილობის ზედაპირზე ახალი ქსოვილის წარმოქმნა.

გრანულირება, ლათ.-გერმ. (ლათ. გრანულუმ „პატარა მარცვალი"), ლითონის მსხვილ-მარცვლოვან ფხვნილად გადაქცევა მდნარი მდგომარეობიდან მაგარ მდგომარეობაში გადასვლის დროს.

გრასირობა (ფრ. grasseyer). რ ბგერის „მოქცეულად" წარმოთქმა, — ენის უკანა ნაწილით წარმოება.

გრატის, ლათ.. უფასოდ.

გრატიფიკაცია, ლათ., სამადლობელი ჯილდო, საჩუქარი.

**გრაფა**, ბერძ.-რუს., შვეული (ვერტიკალური) სვეტისებრი მანძილი (შუალედი) ორ პარალელურ ხაზს შუა; აქედან: **გრაფვა** — ასეთი ხაზების გაყვანა; **დაგრაფული**, მაგ. — ქაღალდი — ასეთ ხაზებიანი ქაღალდი.

**გრაფემა**, ბერძ., წერილობითი ასოს ზოგადი წარმოდგენა (ამ სიტყვას ხმარობს ზოგიერთი მეცნიერი ა ს ო-ს ნაცვლად).

**გრაფ-ი**, გერმ., საშ. საუკუნეებში: ფ რ ა ნ კ ე ბ ი ს სახელმწიფოში მეფის მიერ ოლქის მმართველად დანიშნული უმაღლესი თანამდებობის პირი; შემდეგ — უმაღლეს ფეოდალურ აზნაურთა ტიტული; **გრაფინია** — გრაფის ცოლი ან ქალი.

**გრაფიკა**, ბერძ., ძველად: დამწერლობის ხელოვნება; ახლა: საერთოდ დამწერლობა, ბგერათა წერილობითი გამოსახულება.

**გრაფიკ-ი**, ბერძ.-ფრ., 1) ამა თუ იმ სარკინისგზო ხაზის მატარებელთა მოძრაობის განრიგების თვალსაჩინო გამოსახულება ხაზების საშუალებით; 2) ამა თუ იმ მოვლენის თვისებათა და მოქმედებათა გამოსახულება ხაზებით, რომელნიც წარმოადგენენ რიცხვებს.

**გრაფიკული ხელოვნებანი** — წერა, ხატვა, გრავირება (იხ.) და სხვ.; გრაფიკულ ხელოვნებას ეკუთვნის ლ ი თ ო გ რ ა ფ ი ა (იხ.), ც ი ნ კ ო გ რ ა ფ ი ა (იხ.) და სხვ.

**გრაფინ-ი**, არაბ.-ევროპ. (მაგ. იტ. graffina), წყლის ან სხვა სასმელის მინის ჭურჭელი, ვიწრო-ყელიანი და მინისავე საცობით.

**გრაფიტ-ი**, ბერძ.-ევროპ. (მაგ. ფრ. graphite), რუხი ფერის მაგარი მინერალი, — შესდგება უმთავრესად ნახშირბადისაგან; გამოყენებულია მრეწველობაში, — იხმარება ფანქრების დასამზადებლად.

**გრაფოლოგია**, ბერძ., მეცნიერება ან უკეთ მეცნიერული ცდა ადამიანის ხასიათის თავისებურობათა გამოცნობისა მისი ხელნაწერის ანალიზის საშუალებით. — წარმოიშვა საფრანგეთში 19 საუკ.

**გრაფომანია**, ბერძ., ავადმყოფურად გადაჭარბებული სიყვარული წერისადმი; გადატ. მნიშვნ.: უნიჭო მთხზველობა.

**გრაციები** (მრავლ., ლათ. gratia-საგან), ასე უწოდებდნენ რომაელები ძველ ბერძენთა ქ ა რ ი ტ ე ბ ს, მშვენიერების ქალ-ღმერთებს; აქედან: **გრაცია** — სინარნარე, მიხვრა-მოხვრის მოხდენილობა და მიმზიდველობა; **გრაციოზული** — გრაციის მქონე.

**გრაციონული დღეები** — თამასუქის ვადის გასვლის შემდეგ მიცემული შეღავათიანი ვადა (10 დღე); საშეღავათო დღეები.

**გრეგორიანები** და სხვ., იხ. გრიგორიანები და სხვ.

**გრევ-ის მოედანი**, მოედანი პარიზში, რომელზედაც სიკვდილით სჯიდენ პოლიტიკურ დამნაშავეებს და მოღალატეებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს.

**გრენადერ-ი** (ფრ. grenadier): 1) უმამაცესი ჯარისკაცი, გრანატების (იხ.) სასროლად გამოყოფილი; 2) შემდეგ გ რ ე ნ ა დ ე რ ე ბ ი ეწოდა ჯარის რჩეულ ნაწილებს.

**გრენადინ-ი** (ფრ. grenadine): 1) მაგარი აბრეშუმი; 2) ტკბილი სასმელი, ბროწეულის წვენისაგან დამზადებული.

**გრენაჟ-ი** (ფრ. grenage „დამარცვლა“), ბრჭყვიალა მარცვლოვანი ვარაყის გაკეთების ხერხი.

**გრენ-ი** (ფრ. graine „თესლი“), აბრეშუმის ჭიის თესლი.

**გრეციზმ-ი** (ფრ. grécisme), **გრეციზმები**, ბერძნული ენის თავისებურობანი რომელსამე არაბერძნულ ენაში; **გრეცისტ-ი** — ბერძნული ენისა და კულტურის მცოდნე.

**გრიბოედოვ-ი**, ა. ს. (1795 — 1829), ცნობილი რუსი მწერალი; მისი „ვაი ჭკუისაგან“ წარმოადგენს რეალისტური ხასიათის ერთერთ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებს და ძლიერ სატირას რუსეთის ბატონყმობაზე აგებული საზოგადოების მიმართ (თარგმნილია ქართულად); გრიბოედოვი დასაფლავებულია ტფილისში, მამადავითის მთაზე.

**გრიგორიანები**, გრიგორიანთა ეკლესიის მიმდევარნი.

**გრიგორიანთა ეკლესია**, ასე ეწოდება სომხეთა ეკლესიის იმ ნაწილს, რომელიც 536 წ. საეკლ. კრებაზე მიემხრო მონოფიზიტებს (იხ.); სახელწოდება — გრიგოლ (სომხეთის) განმანათლებელისაგან.

**გრიგორიანული კალენდარი**, ეგრეთწოდებული „ახალი სტილი“, შემოღებული 1582 წელს რომის პაპის გრიგორი XIII-ის მიერ; მიღებუ-

ლია მთელს დასავლეთ ევროპაში და რევოლუციის შემდეგ 1918 წ. — ჩვენშიაც.

**გრიზეტ-ი** (ფრ. grisette), აბრეშუმის რუხი ფერის გლუ ქსოვილი.

**გრიზეტკა** ან უკეთ **გრიზეტ-ი** (ფრ. grisette); ახალგაზდა ქალი საფრანგეთში (განსაკუთრებით პარიზში), დაბალი წოდებიდან, — ცხოვრობს საკუთარი შრომით, მეგობრობს სტუდენტებს, მწერლებს, მხატვრებს და სხვ.

**გრილაჟ-ი** (ფრ. grillage), ხუროთმოძღვრებაში: ხის ან რკინის რიკული ტოტებისა და ფოთლების ორნამენტებით (იხ.).

**გრიმას-ი**, ევროპ. (მაგ. ფრ. grimace), სახის მანჭვა.

**გრიმ-ი** (ფრ. grime), სხვადასხვა წამლებისა, საღებავების და სხვა საშუალებებით სახის სათანადოდ გამოცვლა,— განსაკუთრებით მსახიობის მიერ; გ რ ი მ ი ეწოდება აგრეთვე საგრიმო მოწყობილობას და საშუალებებს; აქედან: გრიმირება — გრიმის გაკეთების ხელოვნება.

**გრიპ-ი** (ფრ. grippe), ინფექციური ავადმყოფობა: სასუნთქი მილებისა და ლორწოვანი გარსების ანთება, — თან ახლავს მაღალი ტემპერატურა, კუნთების ტკივილი და სხვა მოვლენები.

**გრიუნდერობა**, იხ. გრუნდერობა.

**გრიფელ-ი** (გერმ. Griffel), ფიქალის წვრილი ჯოხი ფიქალისავე დაფაზე საწერად.

**გრიფ-ი** (ბერძ. gryps,-os): 1) ზღაპრული საზარელი ოთხფეხიანი ფრინველი (საბერძნეთში); 2) დიდი ტანის მტაცებელი ფრინველი; 3) ხუროთმოძღვრებაში: ფოთლის მსგავსი სამკაული; 4) მუსიკაში: სიმებიანი საკრავის ტარი, რომელზეც დაჭიმულია სიმები; 5) თანამდებობის პირის ხელწერის მბეჭდავი შტემპელი (იხ.); აგრეთვე ეწოდება თვით ასეთ ნაბეჭდს.

**გრიფონ-ი**, ბერძ.-ფრ., სახუროთმოძღვრო სამკაული ცხოველის სახით, რომელსაც აქვს ფრინველის თავი, ფრთები და ძუ ლომის ტანი.

**გროგ-ი**, ინგლ., რომით, წყლით და შაქრით შეზავებული მაგარი სასმელი.

**გროსბუხ-ი**, გერმ., მთავარი წიგნი, მთავარი დავთარი (ბუხჰალტერია).

**გროს-ი** (გერმ. გროსს „დიდი“), ზოგიერთ საგანთა (ფანქრების, კოჰის ძაფების და სხვ.) საზომი ერთეული, უდრის 144 ცალს (თორმეტ დუჟინს).

**გროსმეისტერ-ი** (გერმ. Grossmeister), რაინდთა ორდენის უფროსი.

**გროტესკ-ი** (იტ. grottesca): 1) მხატვრობასა და ქანდაკებაში: საკვირველი, ფანტასტიური შეერთება ცხოველთა, მცენარეთა, ადამიანთა და სხვ. საგანთა სახეებისა; 2) საერთოდ: არაჩვეულებრივი საკვირველი რამ ხელოვნებაში.

**გროტ-ი** (იტ. grotta), გამოქვაბული, მღვიმე; 2) ჰოლ. groot — აფრა ხომალდის შუა ანძაზე.

**გროშ-ი** (ლათ. grossus, გერმ. Groschen). ვერცხლის ან სპილენძის ფული, — სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ღირებულობის.

**გრუმ-ი** (ინგლ. groom), მოსამსახურე, რომელიც თან ახლავს ბატონს ცხენით ან ეტლში.

**გრუნდერობა** (გერმ. Gründer „დამაარსებელი“), ასე ეწოდება კაპიტალისტთა ან ბანკების მოქმედებას, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო წამოწყებათა შექმნისაკენ სასპეკულაციო მიზნებით; გრუნდერობა ჩვეულებრივ ძლიერდება, როცა ამ ქვეყანაში ხდება ფულის დიდი დაგროვება.

**გრუნტ-ი** (გერმ. Grund): 1) მიწის მკვრივი ფენა; 2) ფერადთა პირველი ფენი მხატვრობაში.

**გრუპა** (ფრ. grouppe), ჯგუფი.

**გუანო** ან **ჰუანო**, ისპ., სხვადასხვა ზღვის ფრინველთა ნახევრად-გახრწნილი განავალი, რომელიც იხმარება მიწის გასანოყიერებლად (აზოტურ-ფოსფორული სასუქი); საუკეთესოდ ითვლება პ ე რ უ-ს გუანო (სამხრ. ამერიკაში). რომელიც შემოაქვსთ ევროპაშიც.

**გუაშ-ი** (ფრ. gouache), მხატვრობა წყლის საღებავებით, რომელსაც ურევენ წებოს.

**გუბერნატორ-ი**, ლათ., გუბერნიის მმართველი; უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენელი გუბერნიაში, — ინიშნებოდა (რუსეთში რევოლუციამდე) ხელმწიფის მიერ.

**გუბერნია** (ახალი ლათ. gubernium). ძირითადი საადმინისტრაციო ერთეული რუსეთში; მართავს მას ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი (რევოლუციამდე — გუბერნატორი); გუბერნიას აქვს საადმინისტრაციო ცენტრი—საგუბერნიო ქალაქი; გუბერნია იყოფა მაზრებად.

**„გუბკომ“-ი**, ასე ეწოდება შემოკლებულად საბჭოთა კავშირში ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო  კ ო მ ი ტ ე ტ ს.

**გუგენოტები**, იხ. ჰუგენოტები.

**გუდრონ-ი** (ფრ. goudron), მთის ფისი.

**გუვერნანტ-ი** (ფრ. gouvernante). ბავშის აღმზრდელი დედაკაცი კერძოდ ოჯახში.

**გუვერნიორ-ი** ან უკეთ **გუვერნერ-ი** (ფრ. gouverneur), ბავშის აღმზრდელი მამაკაცი კერძოდ ოჯახში.

**გუთები** (მრავლ., ლათ. Gothi, Gotones, Gutones), საშ. საუკუნეების გერმანელთა ერთ-ერთი ტომი, რომელიც იყოფოდა ო ს ტ-გ უ თ ე ბ ა დ (ე. ი. აღმოს. გუთ.) და ვ ე ს ტ-გ უ თ ე ბ ა დ (ე. ი. დასავლ. გუთ.): გადაშენდენ (ან გაითქვიფენ სხვა ტომებში) უკვე საშ. საუკუნეებშივე; უფრო დიდხანს დაიცვეს ეროვნულობა ყირიმის გუთებმა; აქედან: **გუთური ენა** — გუთების ენა, რომლის საუკეთესო ძეგლია მათი ეპისკ., ვ უ ლ ფ ი ლ ა-ს, მიერ (4 საუკ. ქ. წ.) თარგმნილი ბიბლია გუთურ ენაზე; **გუთური სტილ-ი** — საშ. საუკუნეების სახუროთმოძღვრო სტილი, რომელსაც ახასიათებს სივიწროვე და სიმაღლე შენობისა, სიმსუბუქე და მისწრაფება ზევით, ცისაკენ და წაწვეტილი შემკულობა; **გუთური შრიფტ-ი** — გუთური წერილობითი ძეგლების შრიფტი, რომელსაც ახასიათებს კუთხოვანობა; განვითარებულია რომანული შრიფტისაგან და იხმარება გერმანულ მწერლობაში.

**გულდენ-ი**, გერმ., თავდაპირველად: ოქროს ფული, შემდეგ: ვერცხლის ფული, გავრცელებული წინეთ მთელს გერმანიაში; ახლა იხმარება ჰოლანდიაში და უდრის 9,5 გრამს წმინდა ვერცხლისას (დაახლ. 78 კაპ.).

**გუმან-**, იხ. ჰუმან-.

**გუმი** (ლათ. გუმმი), გომფისი.

**გუმი არაბიკუმ**, ლათ., არაბული გომფისი. — იხმარება როგორც წებო (ქართულად ამბობენ: გ უ მ ე რ ა ბ ი კ-ი).

**გუმი-გუტ-ი** (ლათ. გუმმი, იხ. გუმი; გუტა „წვეთი“), გომფისოვანი ნივთიერება ტროპიკული აზიის ერთგვარი ხის წვენისაგან, იხმარება წებოსთვის, საღებავებისათვის და სხვ.; იხმარება აგრეთვე მკურნალობაში, როგორც ძლიერი საფაღარათო საშუალება.

**გური**, იხ. ჰური.

**გურმან-ი** (ფრ. gourmand), კარგიჭამის მოყვარული, პირის გემოს მცოდნე; საჭმელზე ხარბი.

**გურჯისტან-ი**, საქართველოს სახელწოდება სპარსულად.

**გუსარ-ი** ან უკეთ **ჰუსარ-ი** (უნგრ. ჰუსს „ოცი“, არ „ჯამაგირი“), თავდაპირველად (XV ს.): ცხენოსანი უნგრელთა ეროვნულ მხედრობაში, რომელიც იკრიბებოდა ომის დროს (ოც კაცზე ერთი); შემდეგ: უნგრული ჰუსარისებურად ჩაცმული ცხენოსანი ევროპის სახელმწიფოთა ლაშქარში.

**გუსიტები**, იხ. ჰუსიტები.

**გუტა-პერჩა**, მალ. (ფრ. goutta-percha), გამაგრებული წვენი გუტაპერჩის ხისა, რომელიც იზრდება მალაის კუნძულებზე, — ჰგავს კაუჩუკს (იხ.), გამოყენებულია მრავალგვარად (გაზის მილებისათვის, ჰურჭლისათვის, კბილის პლომბისათვის და სხვ.: დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საიზოლაციო მასალას კაბელების დამზადებაში და სხვ.).

**გუტენბერგ-ი**, იოჰან (1397 — 1468), გერმანელი, წიგნის ბეჭდვის გამომგონი და, ფ უ ს ტ-თან ერთად, 1450 წ. მაინცში (გერმანია) პირველი სტამბის მომწყობი. ამ სტამბაში პირველად დაიბეჭდა ლათინური წიგნი.

**გუტურალური** (ლათ. გუტტურ „ყელი, ხორხი“, ფრ. guttural „ხორხის მიერი“), ასე ეწოდებოდა შეცთომით (ზოგნი ახლაც უწოდებენ ტრადიციით) უკანა ენის მიერ თანხმოვან ბგერებს (მაგ.: გ კ ქ ხ).

## დ

**დაგეროტიპ-ი** (ფრ.: საკ. სახ. Daguerre და ბერძ. typos „ნიშანი, გამოსახულება“ და სხვ.): 1) ფრანგი მხატვრის, დ ა გ ე რ-ის, მიერ (1789 1851). აღმოჩენილი ხერხი ლითონის ფირფიტაზე საგანთა გამოსახვისა. — ფოტოგრაფიის პირვანდელი სახე; 2) ამ ხერხით საგნის გადასაღები ხელსაწყო.

**დაგონ-ი** (ებრ. dagôn), სემიტელთა ნაყოფიერების ღვთაება (მისი კერპი წარმოადგენდა თევზის-კუდიან ადამიანს).

**„დადა“**, მნიშვნელობის არმქონე ბგერათშეერთება. — დაირქვა ერთმა მწერალთა ჯგუფმა, რომელსაც ამის გამო ეწოდა დადაისტები (იხ. დადაიზმ-ი).

**დადაიზმ-ი**, მსოფლიო ომის დროს წარმოშობილი (შვეიცარიაში, შემდეგ პარიზში გავრცელებული) ხანმოკლე ლიტერატურული მიმართულება (უფრო სწორედ — ჯგუფი), რომელიც უარჰყოფდა ყოველსავე ადამიანურს: გონებას, საზოგადოებრიობას, კაცობრიობას და სხვ.; აქედან: დადაისტები — დადაიზმის მიმდევრები.

**დადუქ-ი** (ბერძ. dadoychos), ჩირაღდნის მატარებელი ელევსინის ზეიმობის დროს (ძვ. საბერძნეთში), — მაღალი თანამდებობა, რომელიც ცნობილ გვარიშვილებს ეძლეოდათ.

**დავიდ, ედუარდ** (დაიბ. 1863 წ.), გერმანელი მემარჯვენე სოც.-დემოკრატი, ცნობილი მოღვაწე პარტიისა, რევიზიონისტი (იხ.).

**დაზიმეტრ-ი**, იხ. დასიმეტრ-ი.

**დაიმიოსები**, იაპ., მსხვილ მემამულეთა სახელწოდება იაპონიაში ფეოდალიზმის ხანაში (1868 წლამდე).

**დაკრიადენალგია** (ბერძ. dakryon „ცრემლი“, იხ. ადენალგია), საცრემლე ჯირკვლის ტკივილი.

**დაკრიოადენიტ-ი** ან **დაკრიადენიტ-ი** (ბერძ. dakryon „ცრემლი“, იხ. ადენი), საცრემლე ჯირკვლის ანთება.

**დაკტილ-**, იხ. დაქტილ-.

**დალაი-ლამა**, მონღ.-ტიბეტ., ბუდისტების (იხ.) უზენაესი ქურუმი ტიბეტში, მონღოლეთში და მეზობელ ქვეყნებში; ტიბეტში იგი აღჭურვილია საერო ძალა-უფლებითაც; დალაი-ლამა ითვლება ბ უ დ ა-ს (იხ.) ერთერთ განსახიერებად

**დალმატიკ-ი** (ბერძ. დალმატიკოს „დალმაციური“): 1) ბიზანტიის იმპერატორის ერთგვარი სამოსი; 2) რომაული სახელოებიანი ზედა ტანსაცმელი; 3) კათოლიკეთა მღვდლის სამოსი.

**დალტონიზმ-ი**, ფერითი სიბრმავე, მხედველობის ნაკლი, რომლით დაავადებულიც ვერ არჩევს ურთიერთისაგან ზოგიერთ ფერს (უფრო ხშირად — წითელსა და მწვანეს); ამ მოვლენას პირველად მიაქცია ყურადღება ინგლისელმა ბუნებისმეტყველმა დ ა ლ ტ ო ნ-მა (Dalton, John, 1766 — 1844), რომელიც თვით იყო დაავადებული ნაწილობრივი ფერითი სიბრმავით (აქედან ამ მოვლენის სახელწოდებაც).

**დალტონ-ის კანონი**, ასე ეწოდება ქიმიაში „ჯერადი შეფარდების კანონ“-ს, რომელიც დაადგინა და ახსნა ატომისტური მოძღვრების (იხ.) ნიადაგზე ინგლისელმა ბუნებისმეტყველმა დ ა ლ ტ ო ნ-მა (იხ. დალტონიზმი).

**დალტონ-პლან-ი**, ამერიკის ქალაქ დ ა ლ ტ ო ნ-ის სკოლაში შემოღებული (ე. პ ა რ კ ჰ ო რ ს ტ-ის მიერ) წესი სწავლებისა, რომლის მიხედვითაც თვითმოქმედების გასავითარებლად მოზარდს ეძლევა დასამუშავებლად განსაზღვრული გ ა ნ ა კ ვ ე თ ე ბ ი, რომელიც მან უნდა დაამუშაოს დამოუკიდებლად (საჭირო დამხმარე წიგნებისა და ხელსაწყოების დახმარებით); ამ წესის მიხედვით მოწაფეს ეძლევა მხოლოდ საკითხი, ხოლო საკითხის გადაჭრა მისი საქმეა (ჩვეულებრივი წესის მიხედვით კი მოწაფეს მიცემული აქვს პასუხიც, რის დასწავლაც მას ევალება).

**დამა**: 1) ფრ. dame, წინეთ: მაღალი წრის ქალის საპატიო ტიტული; ახლა: ქმრიანი ქალი, ჩვეულებრივ, საზოგადოების საშუალო ან მაღალი წრიდან; 2) გერმ. Damast, ფრ. damas: წინეთ — ერთგვარი დ ა მ ა ს-ური ანუ დ ა მ ა ს კ-ური აბრეშუმის ქსოვილი; შემდეგ — მატყლის ან სელის ქსოვილი ავეჯეულობისათვის, სუფრისათვის და სხვ.

**დამასკ-ის** ან **დამასკ-ის ფოლადი**, ცნობილი დრეკადობითა და სიმაგრით ფოლადი, ჩვეულებრივ მოსახული, რომელიც წინეთ გამოჰქონდათ სირიის ქალაქ დ ა მ ა ს-იდან (დამასკიდან) და რომელსაც ახლა ამზადებენ ევროპაშიც: შენადნობი ფოლადისა რბილ რკინასთან.

**დამბა** (გერმ. Damm), ხელოვნური მიწაყრილი, ვიწრო და გრძელი, მდინარის ან ზღვის ნაპირზე — ნაპირის გასამაგრებლად; ჯებირი (დამბებს აკეთებენ სხვა ჰიდროტექნიკური (იხ.) მიზნებითაც).

**დამოკლე-ს** ან **დამოკლეს-ის მახვილი**, კარზე მომდგარი საშიშროება, მუდმივი საფრთხე (არსებობს თქმულება, რომ სირაკუზელი მთავრის, დ ი ო ნ ი ს ო ს-ის (4 ს. ქ. წ.), ბედნიერებას ძალიან აზვიადებდა ერთი მისი მეგობარი დ ა მ ო კ ლ ე ს-ი; ერთი ზეიმის დროს დიონისოს-მა დაუთმო მას თავისი ადგილი, მაგრამ წინასწარ დამოკლეს-ის თავის პირდაპირ ჭერზე ჩამოკიდა ცხენის ძუით ხმალი; დამოკლესი ბედნიერად გრძნობდა თავს, სანამ არ შეამჩნია ხმალი, რომელიც ყოველ წამს შეიძლებოდა ჩამოვარდნი-

ლიყო: ეს იყო სიმბოლო განუწყვეტელი საფრთხისა).

**დამონ-ი** და **ფინტიას-ი** (ან უკეთ პითიას-ი, Pythias), ორი სირაკუზელი ფილოსოფოსი, — ცნობილნი არიან, როგორც სანიმუშო მეგობრები: სიკვდილ-მისჯილი პითიასი, დროებით განთავისუფლებული, ბრუნდება სწორედ იმ დროს, როცა მის მაგიერ მძევლად აყვანილი დამონი უნდა მოეკლათ; დიონისოს მთავარმა პითიასიც აღარ დასაჯა და სთხოვა მათ მესამე მეგობრად მიღება, მაგრამ უარი მიიღო.

**დანაელთა საჩუქარი,** ასე ეწოდება მტრის ნაჩუქარს, რომლის მიზანიცაა მიმღების დაღუპვა (ბერძნებმა — დანაელებმა, ბერძ. danaoi — მოაჩვენეს ტროიელებს, ვითომ ალყა მოხსნეს ქალაქს, და დატოვეს უზარმაზარი ცხენი, რომლის შიგნიც ბერძენი ჯარისკაცები იყვნენ; ტროიელებმა ცხენი გალავანში შეიტანეს; ამ ხერხით აიღეს ბერძნებმა ტროია).

**დანაიდები** (მრავლ., ბერძ. დანაიდეს), ძვ. ბერძნ. მითოლოგიით: არგოსის მეფის 50 ქალი, რომელთაც თავისი ქმრების ამოხოცვისათვის საიქიოს სასჯელად უძირო კასრის წყლით ავსება დაევალათ; აქედან: **დანაიდების შრომა** — უმიზნო და უაზრო დაუსრულებელი შრომა.

**„დანოს"-ი** (რუს. ДОНОС), დასმენა, დაბეზღება; აქედან: **„დანოსჩიკ"-ი** — დამსმენი, მაბეზღარი (ორივე სიტყვა ხალხური გზითაა შემოსული და ლიტერატურაში მათი ხმარება არ შეიძლება).

**დანტე,** ალიგიერი (1265 — 1321), იტალიელი უდიდესი პოეტი, „ღვთაებრივი კომედიის" ავტორი; ამ ნაწარმოების (პოემის) ძირითადი აზრი მორალურ-თეოლოგიურია, მასში მხატვრულად წარმოდგენილია საშუალო საუკუნეების მსოფლმხედველობა და დანტეს დამოკიდებულება მის თანამედროვე პოლიტიკური მოვლენებისადმი, მაგრამ ამასთანვე მასში გამოსჭვივის აღორძინების ხანის დასაწყისი.

**დანტისტ-ი,** ლათ.-ევროპ. (მაგ. ფრ. dentiste), კბილის ექიმი.

**დანტონ-ი,** ჟ. (1759 — 1794), საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთერთი შესანიშნავი ბელადთაგანი; 1792 წ. იყო რესპუბლიკის მთავრობის მინისტრად; რობესპიერთან (იხ.) ერთად ჩააქრო მონარქისტთა გამოსვლები წითელი ტერორით (იხ.); ჟირონდისტების (იხ.) წინააღმდეგ ბრძოლაში ყოყმანისათვის სარევოლუციო ტრიბუნალის დადგენილებით დანტონს თავი მოჰკვეთეს 1794 წ.; აქედან: **დანტონისტები** — დანტონის პოლიტიკური მომხრენი.

**დაოსიზმ-ი** ან უკეთ **დაოიზმ-ი,** ჩინ. (ევროპ. დაბოლოებით, მაგ., ფრანგ. taoisme), ჩინეთის ერთერთი რელიგია, რომელიც ემყარება სხვადასხვა მოძღვრებებს — ყოველისავე არსებულის ზებუნებრივი წარმოშობის შესახებ (დ ა ო ნიშნავს „გზა"-ს).

**დარდანელის სრუტე** — აერთებს მარმარილოს ზღვას ეგეის ზღვასთან და ჰყოფს ევროპას აზიისაგან (ეძახიან აგრეთვე დ ა რ დ ა ნ ე ლ ე ბ-ს (მრავლ.), მაგ. ფრ. Dardanelles, იმის გამო, რომ მაზედ დგას ოთხი სიმაგრე — ორი ევროპის ნაპირზე და ორიც აზიისაზე), — იმყოფება ოსმალეთის ხელში და აქვს დიდი სტრატეგიული (იხ.) მნიშვნელობა; ლოზანის კონფერენციის თანახმად მშვიდობიანობის დროს იგი ღიაა ყოველი ქვეყნის სამხედრო გემთათვის, ხოლო ომიანობის დროს — სრულიად დაკეტილია.

**დარვინიზმ-ი,** შესანიშნავი ინგლისელი ბუნებისმეტყველის, დ ა რ ვ ი ნ ი ს (Darwin, Charles-Robert, 1809 — 1882), მოძღვრება, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ბუნებისმეტყველებას და რომლის მთავარი დებულებები ამტკიცებენ ევოლუციურ თეორიას; ეს დებულებებია: 1) მცენარეთა და ცხოველების სახეთა ცვალებადობა; 2) მემკვიდრეობა; 3) ცოცხალ არსთა უზადაჭარბებული მრავლება, რაც ჰქმნის 4) არსებობისათვის ბრძოლას, აქედან კი გამომდინარეობს 5) ბუნებრივი შერჩევა.

**დარვინისტ-ი,** დარვინიზმის (იხ.) მიმდევარი.

**დარიკ-ი** (ლათ. დარიკუს) ან უკეთ **დარეიკოს-ი** (ბერძ. დარეიკოს), ასე ეწოდება ძველ სპარსულ ოქროს ფულს, აქემენიდთა გვარეულობის დროს მოჭრილს (სახელწოდება დ ა რ ი ო ს-ისაგან).

**დასიმეტრ-ი** (ბერძ. dasys „მკვრივი" და მეტრონ „საზომი"), ჰაერის სიმკვრივის საზომი იარაღი.

**დატა** (ლათ. დატუმ-ისაგან), თარიღი; რაიმე მოვლენის აღმნიშვნელი რიცხვი (წელი, დღე და თვის რიცხვი) საბუთებზე, წერილზე და სხვ.; დ ა ტ ი რ ე ბ ა — დათარიღება.

**დატარია**, იტ., რომის პაპის კურიის (იხ.) ის განყოფილება, რომლიდანაც იგზავნება პაპის დეკრეტები (იხ.) კონსისტორიის (იხ.) გარეშე, **დატარიუს-ი** — დატარიის გამგე.

**დატივუს-ი**, ლათ. ან **დატივ-ი**, ევროპ., მიცემითი ბრუნვა.

**დაუეს-ის გეგმა**, ასე ეწოდება ანტანტის (იხ.) მიერ შექმნილი ექსპერტთა კომიტეტის გეგმას, რომლის მიზანიც იყო დაემუშავებია საკითხი — მსოფლიო ომით ანტანტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ გერმანიის მიერ; კომიტეტს თავმჯდომარეობდა გენერალი დ ა უ ე ს-ი (Dowes); გეგმა ითვალისწინებს შემდეგ ზომებს: 1) გერმანიის რკინის გზების გადაცემა კერძო საზოგადოებისათვის, რომელსაც ედება სარეპარაციო (იხ. რეპარაცია) ვალი (11 მილიარდი მარკა 38 წლის განმავლობაში დასაფარავად); 2) კერძო ქონების დაბეგვრა 5 მილიარდი მარკით საობლიგაციო ვალის სახით; 3) საემისიო (იხ., ემისია) ბანკის შექმნა — გერმანიის მიერ ყოველწლიურად გადახდილი 2½ მილიარდის გასანაწილებლად; 4) სესხის მიცემა გერმანიისათვის; 5) რურის დაუყონებლივი ევაკუაცია (იხ.).

**დაფნა** (ბერძ. დაფნე „დაფნის ხე"), ძვ. ბერძნული მითოლოგიით: მდინარეთა ღმერთის ქალი, რომელიც დედამ (გეამ) გადააქცია ქალისავე თხოვნით დაფნის ხედ, — ამით დ ა ფ ნ ა-ს სურდა თავი დაეხწია აპოლონის სიყვარულისაგან.

**დაფნის-ი**, ბერძ., მითოლოგიაში: სიცილიის მწყემსური პოეზიის გმირი,— ბუკოლიკური სიმღერების გამომგონი, რომელიც ნიმფამ ღლატისათვის ქვად გადააქცია.

**დაქტილ-ი**, ბერძ. (daktylos „თითი"). ლექსთწყობაში: სამმარცვლიანი მუხლი, რომელსაც პირველი მარცვალი გრძელი (ან მახვილიანი) აქვს, ხოლო ორი დანარჩენი მოკლე (ან უმახვილო).

**დაქტილიოგლიფიკა**, ბერძ. (იხ. დაქტილი და გლიფტიკა), ძვირფას ქვაზე მოჩუქურთმების ხელოვნება; **დაქტილოლოგია** — : 1) თითებზე თვლის ხელოვნება; 2) ყრუმუნჯთა მიერ ურთიერთისთვის აზრის გაზიარება ცალი ხელის თითებით (იხ. ქიროლოგია); **დაქტილოგრაფ-ი** — ბრმათა და ყრუმუნჯთა ურთიერთ აზრის გასაზიარებელი მოწყობილობა.

**დაქტილოსკოპია**, ბერძ. (იხ. დაქტილი; სკოპეო „ვხედავ, ვათვალიერებ"), ხელის თითების ანაბეჭდის შესწავლა — დამნაშავე-რეციდივისტთა გამოსაცნობად (თითების კანის მოსახულობა თავისებური აქვს ყოველ ადამიანს).

**დაშნაკცუთუნ-ი**, ოსმალეთში (1893 წ.) დაარსებული სომხური პოლიტიკური პარტია; ამიერკავკასიაში დაიწყო მოქმედება 1900 წ.. პროგრამით უახლოვდება სოც.-რევოლუციონერებს; 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გასაბჭოებამდე სომხეთის ხელისუფლება ამ პარტიის ხელში იყო; აქედან: **დაშნაკელი**, **დაშნაკი** ან **დაშნაკცაკანი** — ამ პარტიის წევრი.

**დეარტიკულაცია**, ლათ., განაწევრება, წევრებად დაშლა.

**დებაკლაჟ-ი** (ფრ. debâclage), განტვირთული ხომალდების გასვლა ნავთსადგურიდან.

**დებარდერ-ი** (ფრ. débardeur), ხომალდის განმტვირთველი მუშა.

**დებარკადერ-ი** (ფრ. débarcadère): 1) ის ადგილი რკინისგზის სადგურთან, სადაც ჩერდებიან მატარებლები; 2) მდინარის ნავსადგური.

**დებატ-ი** (ფრ. débat), კამათი, საჯარო დავა.

**დებეტ-ი** (ლათ. debet „მართებს"): 1) საბუხჰალტერო წიგნის მარცხენა გვერდი, სადაც შეაქვსთ შემოსავალი; 2) ვალად დარჩენილი თანხა. მიუღებელი ვალი.

**დებიტორ-ი**, ლათ., მოვალე, სესხის ამღები.

**დებიუტ-ი** (ფრ. début), საერთოდ: დაწყება, პირველი ნაბიჯი; კერძოდ: 1) პირველად გამოსვლა რაიმე ასპარეზზე, განსაკუთრებით, ხელოვნებაში, მაგ. თეატრის სცენაზე; 2) პირველი გამოსვლა ჭადრაკის თამაშში; აქედან: **დებიუტანტ-ი** — პირველად გამომსვლელი რაიმე ასპარეზზე; **დებიუტირობა**—პირველად გამოსვლა.

**დებლოკად-ი**, ფრ. (იხ. ბლოკადა), ალყის მოხსნა.

**დებორდირება** (ფრ. déborder), დადგენილი ხაზის გადასვლა, — გადალახვა.

**დებოშ-ი** (ფრ. débauche „გაუმაძღრობა, თავდაუჭერლობა, გარყვნილება"), უწესურობა, აურზაური, უწესო ქეიფი და სხვ. ასეთი.

**დებუშირება** (ფრ. déboucher), ლაშქრის გამოყვანა გახსნილ პოზიციებზე.

**დეგატირება**, იხ. დეკატირება.

**დეგენერაცია**, ლათ., საერთოდ: გადაგვარება, გადაშენება; კერძოდ ბიოლოგიაში: 1) ორგანიზმის ან მისი ნაწილის თანდათანობითი ცვლილება, რასაც თანსდევს მისი სრული დაღუპვა; 2) ორგანიზმის გადაქცევა უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ორგანიზმად: აქედან: **დეგენერატ-ი** — გადაგვარებული, გადაგვარების გზაზე დამდგარი.

**დეგრადაცია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. dégradation): 1) თანდათანობითი დაქვეითება; 2) ვისიმე ღირსების ან უფლების ჩამორთმევა.

**დეგუსტაცია** (ლათ. დეგუსტარე-საგან „გასინჯვა"): ღვინის გასინჯვა მისი ავკარგიანობის შესამოწმებლად; დაჭაშნიკება.

**დედალოს-ი** (ბერძ. Daidalos), ძვ. ბერძნული მითოლოგიით: განთქმული ხელოვანი, მრავალი იარაღების გამომგონი,—გაფრინდა თავის შვილთან, ი კ ა რ ო ს-თან, ერთად ხელოვნურად გაკეთებული ფრთებით; იკაროსი დაიღუპა მზესთან მიახლოვების გამო, თვითონ კი მიფრინდა იტალიაში.

**დედიკაცია** (ლათ. dedicatio „შეწირვა"): 1) რომში: ღვთაებისათვის ტაძრის ზეიმით გადაცემა სახელმწიფოსაგან; 2) მიძღვნა ვისთვისმე თხზულებისა.

**დედუქცია** (ლათ. deductio), ლოგიკაში: დასკვნა ზოგადი დებულებიდან კერძოს შესახებ. მაგ.: ყოველი ადამიანი მოკვდავია, სოკრატი ადამიანია: მაშასადამე, სოკრატი მოკვდავია; საერთოდ: ზოგადიდან კერძოზე გადასვლა; აქედან: **დედუქტიური** ან უკეთ **დედუქციური** — დედუქციის ხასიათის მქონე, დედუქციაზე დაფუძნებული.

**დევა**, ძვ. ინდ., ღვთაებათა სახელწოდება ძველი ინდოეთის მითოლოგიაში.

**დევალვაცია** (ახალი ლათ. devalvatio „გაუფასურება"), საერთოდ: ქაღალდის ფულის ნომინალური (იხ.) ღირებულების დაქვეითება — ლითონისასთან შედარებით; კერძოდ და განსაკუთრებით: გაუფასურებული ქაღალდის ფულის კურსისა და ლითონის ფულის კურსის შორის შესატყვისობის დადგენა ოფიციალურად, ე. ი. მთავრობის მიერ; აქედან: **დევალვირება** — დევალვაციის მოხდენა.

**დევანაგარი**, ძვ. ინდ., ასე ეწოდება სანსკრიტის (ძველი ინდური ენის) ერთერთ, ყველაზე უფრო ხმარებულ ანბანს.

**დევიაცია** (ახალი ლათ. deviatio „გზის გადახვევა"), საერთოდ: სწორი მიმართულების დაკარგვა; კერძოდ: კომპასური მერიდიანის სიბრტყის გადახრა მაგნეტურისაგან.

**დევიზ-ი**, ლათ.-ფრ. (devise): 1) ჰერალდიკაში (იხ.): მოკლე თქმა, წარწერილი ღერბზე (საგვარეულოსაზე, სახელმწიფოსაზე და სხვ.); 2) მოკლე თქმა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ პიროვნების ან ჯგუფის სახელმძღვანელო აზრს: 3) მოქმედების პრინციპი, დედააზრი და სხვ.

**დევოლუციური უფლება**, ლათ.-ფრ. (dévolution „გადასვლა, გადაცემა"), საერთოდ: რაიმე უფლების ან მფლობელობის გადასვლა ერთი პირისაგან მეორეზე კანონის ძალით; კერძოდ: 1) პირველ ქორწინებაში შეძენილი შვილების უპირატესობითი უფლება მამის მემკვიდრეობაზე (ამიტომ ეწოდა ლუდოვიკო XIV ომს ისპანიის წინააღმდეგ (1667—8 წ. წ.) დევოლუციური ომი); 2) უმაღლეს სასულიერო თანამდებობის პირთა უფლება—დაიკავონ ადგილი, უკეთუ განსაზღვრულ ვადაზე არ დაიკავა ეს ადგილი მან, ვისაც ეკუთვნოდა.

**დევონ-ის პერიოდი**, ასე ეწოდება იმ დროს, რომლის განმავლობაშიც წარმოიქმნა დ ე ვ ო ნ-ის ს ი ს ტ ე მ ა (იხ.).

**დევონ-ის სისტემა**, ასე ეწოდება გეოლოგიაში მიწის ქერქის პლასტებს (ფენებს), რომელნიც მდებარეობენ სილურიის სისტემის (იხ.) ზემოთ (სახელწოდება მიიღო დ ე ვ ო ნ-ის ანუ დ ე ვ ო ნ შ ი რ-ის საგრაფოსაგან (ინგლისში), სადაც იგი პირველად იყო შესწავლილი).

**დეზაბილე** ან უკეთ **დეზაბიიე** (ფრ. déshabillé), დილის ტანსაცმელი, საშინაო ტანსაცმელი.

**დეზაგრეგაცია**, ლათ.-ფრ. (désagregation „დანაწილება შემადგენელ ნაწილებად"), მაგარ ქანთა (მთის ჯიშთა) დაშლა გამოფიტვის გამო.

**დეზარტიკულაცია**, ლათ.-ფრ., სახსრების გაფცქვნა (ქირურგიაში).

**დეზერტირ-ი** (ფრ. déserter „მიტოვება"), სამსახურიდან გამოქცეული, ჩვეულებრივ —სამხედრო სამსახურიდან; აქედან: **დეზერტირობა** —

რაიმე მოვალეობის (ჩვეულებრივ — სამხედროსი) თავიდან აცილების მიზნით გაპარვა; სამსახურის ფარულად მიტოვება.

**დეზიდერატა** (მრავლ.-ლათ. desideratum-ისაგან „მონასურვები"), რაიმე ნაკლის ან ხარვეზის შევსების სასურველობა; სურვილის სახით გამოთქმული აზრი.

**დეზინსექცია**, ლათ.-ფრ. ხელოვნ. (insecte „მწერი"), პარაზიტ-მკბენართა მოსპობა ადამიანის სხეულზე (ტანსაცმელში, ბინაში და სხვ.).

**დეზინტეგრაცია**, ლათ.-ფრ. ხელოვნ. (ლათ. integer „მთლიანი, დაუზიანებელი"), მთლიანობის დაშლა, დანაწილება (იხ. დეზაგრეგაცია); აქედან: **დეზინტეგრატორ-ი** — სხვადასხვა მასალათა დასაქუცმაცებელი მოწყობილობა ქარხანაში, — უმეტესად აგურისა და საჩამომსხმელო ქარხნებში.

**დეზინფექცია**, ლათ.-ფრ. (désinfection), გადამდებ სნეულებათა გამომწვევი მიკრობების (იხ.) მოსპობა სადგომში, ტანსაცმელზე და სხვაგან — მაღალი ტემპერატურის ან ქიმიურ ნივთიერებათა საშუალებით; აქედან: **დეზინფექტორ-ი** — სადეზინფექციო ხელსაწყო ან ის პირი, ვინც დეზინფექციას ახდენს; **დეზინფიცირება** — დეზინფექციის მოხდენა. — გადამდები მიკრობების მოსპობა სხვადასხვა საშუალებით.

**დეზოდორაცია**, ლათ.-ფრ., ხელოვნ. (ლათ. odoratio „ყნოსვა"), რაიმე სუნის მოსპობა ან მისი ჩახშობა. რაიმე სხვა სუნით.

**დეზორგანიზაცია**, ლათ.-ფრ. (désorganisation), წესიერების დარღვევა, წესიერი ურთიერთობის დარღვევა, უწესურობის შეტანა რაშიმე; ორგანიზაციულობის (იხ.) დაშლა; აქედან: **დეზორგანიზირება** — დეზორგანიზაციის მოხდენა; **დეზორგანიზატორ-ი** — დეზორგანიზაციის მომხდენი; **დეზორგანიზატორული**, მაგ., მოქმედება — წესიერების დარღვევისაკენ მიმართული მოქმედება და სხვ.

**დეზუნია** ან **დეზუნიონ-ი**, ლათ.-ფრ. (désunion), განცალკევება, განთვითოება.

**დეი**, თურქ., ალჟირის მფლობელთა ტიტული.

**დეიზმ-ი**, ახალი ლათ.-ფრ. (déisme, ლათ. დ ე უ ს-ისაგან „ღმერთი"), ფილოსოფიურ-სარწმუნოებრივი შეხედულება, რომელიც აღიარებს ღმერთს. როგორც პირველ მიზეზს ყველაფრისას (ე. ი. რომ ღმერთი ყველაფრის შემოქმედია). მაგრამ უარჰყოფს მას, როგორც ცოცხალ ცნობიერ პიროვნებას. — უარჰყოფს აგრეთვე ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის ყოველგვარ ფორმას; აქედან: **დეისტ-ი** — დეიზმის მიმდევარი ან მომხრე; **დეიფიკაცია** და **დეიფიცირება** — გაღმერთება.

**დეიტეროგამია** (ბერძ. დეუტეროგამია). მეორედ დაქორწინება.

**დე-იურე** (ლათ. de-jure), კანონით, კანონის თანახმად, იურიდიულად: მაგალითად: ამა თუ იმ მთავრობის ცნობა დ ე-ი უ რ ე — ცნობა მისი კანონიერობისა.

**დეიფიკაცია, დეიფიცირება**, იხ. დეიზმი.

**დეკა** ან **დეკ-ი** (გერმ. Decke), სიმებიანი სამუსიკო ინსტრუმენტის ფიცარი, რეზონანსის გამაძლიერებელი.

**დეკა-** (ბერძ. დეკა „ათი"). ემატება, მაგ., მეტრულ სისტემაში საზომ-საწონის ძირითადი ერთეულის სახელს და შეადგენს სიტყვას, რომელიც აღნიშნავს ძირითადზე ათჯერ მეტს. მაგ.; დეკაგრამ-ი — ათი გრამი, დეკალიტრ-ი — ათი ლიტრი და სხვ.

**დეკაბრისტები** (მრავლ.), ასე ეწოდა რუსეთის საიდუმლო საზოგადოებათა (სამხრეთისა და ჩრდილოეთის) წევრებს, რომლებმაც (1825 წ. 14 დეკ.) მოაწყვეს აჯანყება პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში); აჯანყება ადვილად ჩააქრო მთავრობამ: მთავარი წევრები (პესტელ-ი, კახოვსკი, რილეევ-ი, ბესტუჟევ-რიუმინ-ი და მურავიოვ-აპოსტოლი) სიკვდილით დასაჯეს, ხოლო დანარჩენები კატორღაში გააგზავნეს. დეკაბრისტების მიზანი იყო: თვითმპყრობელობის დამხობა ან მისი შეცვლა შეზღუდული ხელისუფლებით და ბატონყმობის გაუქმება.

**დეკაგრამ-ი**, იხ. დეკა-.

**დეკადა** ან **დეკად-ი**, ბერძ.-ევროპ. (მაგ. ფრ. décade), ათეული; რაიმე ათი საგნის ერთობლიობა; ათ-დღიანი კვირის სახელწოდება (იყო ძველ საბერძნეთში და საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს); აქედან: რ იც ხ ვ თ ა დეკადური ს ი ს ტ ე მ ა — ალრიცხვის ათობითი სისტემა (ქართული თვლა მხოლოდ ნაწილობრივაა დეკადური).

**დეკადანს-ი** (ფრ. decadence). დაცემა, დაქვეითება, განსაკუთრებით — კულტურისა, განვი-

თარების შინაგანი ძალების დასუსტების გამო; აქედან: დეკადენტ-ი — დაქვეითებული პიროვნება, გადაგვარების ნიშნებიანი.

დეკადენტობა (ფრ., იხ. დეკადანსი), XIX საუკუნის 80-იან წლებში წარმოშობილი (პირველად საფრანგეთში) მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში, — მას ახასიათებს ახალ ფორმათა ძიება, რაც გამოიხატება მათ უკიდურეს მისტიციზმსა, ესთეტიზმსა და ინდივიდუალიზმში (იხ. ესენი).

დეკალიტრ-ი, იხ. დეკა- და ლიტრი.

დეკალკირება (ფრ. décalquer), სურათის გადახატვა გამჭვირვალე ქაღალდის საშუალებით, აქედან: სადეკალკირო ქაღალდი; დეკალკომანია — ფერადი სურათების გადაღება ქაღალდიდან მინაზე, ფარფორზე და სხვ.

დეკანატ-ი, ლათ.-ევროპ. (ფრ. décanat): 1) დეკანის თანამდებობა, დეკანობა; 2) ფაკულტეტის პრეზიდიუმი, რომელშიც დეკანი თავმჯდომარეა; 2) უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი სკოლის ყველა დეკანები.

დეკან-ი (ლათ. დეკანუს): 1) ძველ რომში: ათისთავი ჯარში; 2) ძველ ქრისტიანულ ეკლესიაში: დეკანოზ-ი ან დეკანოს-ი; 3) უმაღლეს სასწავლებელში: ფაკულტეტის ხელმძღვანელი პროფესორი.

დეკანტირება, ლათ.-ფრ. (décanter), ნალექისაგან სუფთა სითხის გამოყოფა.

დეკაპიტაცია, ლათ.-ფრ. (décapitation), თავის მოკვეთა; დეკაპიტირება — დეკაპიტაციის მოხდენა.

დეკაპირება (ფრ. décaper), ლითონების ზედაპირის წმენდა სხვადასხვა საშუალებებით.

დეკარბონიზაცია, ლათ.-ფრ. (ლათ. კარბო „ნახშირი“), ნახშირბადის გამოყოფა; დეკარბონიზირება — დეკარბონიზაციის მოხდენა.

დეკარტ-ი (Descartes, 1596 — 1650), საფრანგეთის შესანიშნავი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი, — ახალი ფილოსოფიის დამაარსებელი: ჭეშმარიტი ცოდნის ერთად ერთ საიმედო წყაროდ იგი სთვლის ადამიანის გონებას (რაციონალიზმი. იხ.); ცნობილია მისი თქმა („ვაზროვნობ — მაშასადამე ვარსებობ“), რომელიც მიმართული იყო სკეპტიციზმის (იხ.) წინააღმდეგ.

დეკატირება (ფრ. décatir), მატყლის ქსოვილზე ორთქლით ზემოქმედება იმ მიზნით, რომ ქსოვილმა არ დაკარგოს გლანცი (იხ.) და შეკერილმა არ დაიკლოს რეცხისა და დასველებისაგან.

დეკელ-ი (გერმ. Deckel „სახურავი“), საბეჭდი დაზგის (პრესის) ნაწილი, ლითონის ჩარჩოასოების ასაწყობად.

დეკვალიფიკაცია, ლათ.-ფრ., შრომის მაღალი თვისების ჩამოქვეითება, მაგ. დაუძლურების გამო.

დეკ-ი (გერმ. deck), გემის ბანი.

დეკლამაცია, ლათ.-ფრ. (déclamation), გამომხატველობითი მეტყველება; ხელოვნური კითხვა პოეტურ ნაწარმოებთა ჟესტ-მიმიკისა და ხმის მოდულაციის შემწეობით; აქედან: დეკლამატორ-ი — დეკლამაციაში დახელოვნებული; დეკლამირება — დეკლამაციისათვის საჭირო ხერხით წარმოთქმა.

დეკლარაცია (ლათ. declaratio), განცხადება, გამოცხადება; საპროგრამო ხასიათის განცხადება მთავრობის, პარტიის ან რომლისამე ჯგუფის მიერ და სხვ.; ცნობილია: 1) დეკლარაცია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა—გამოიცა საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ი ს მიერ (1791 წ.), რომლის ძირითადი დებულებებია: ადამიანთა თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა, ხალხის ხელისუფლება, კერძო საკუთრება და სხვ. 2) დეკლარაცია მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხისა — დამტკიცებულია საბჭოთა რუსეთში 1918 წ. და წარმოადგენს კონსტიტუციასთან ერთად საბჭოთა კავშირის ძირითად კანონს; ამ დეკლარაციის მიზანია მოსპოს ყოველგვარი ექსპლუატაცია ადამიანისა ადამიანის მიერ და შექმნას სოციალისტური საზოგადოება.

დეკლარირება, დეკლარაციით (იხ.) რისამე განცხადება და სხვ.

დეკლასირება (ფრ. déclasser „რიგთა ალრევა; თავის წრიდან გამოსვლა“), საზოგადოებრივ კლასს გარეთ დარჩენა: ერთი კლასისაგან ჩამოშორება და სხვა კლასში ვერ შესვლა; აქედან: დეკლასირებული — საზოგადოებრივ კლასს გარეთ დარჩენილი.

დეკლინაცია (ლათ. declinatio „დახრა, გადახრა“): 1) მაგნეტური ისრის გადახრა; აქედან:

დეკლინატორ-ი, დეკლინოგრაფ-ი, დეკლინომეტრ-ი — გადახრის ჩასაწერი და გასაზომი იარაღი; 2) ბრუნება ანუ კანკლედობა (გრამატიკაში).

დეკოკტ-ი, იხ. დეკოქტ-ი.

დეკოლტე, ლათ.-ფრ. (décolleté), ქალის ზედა-ტანის ტანსაცმელი, რომელიც არ ფარავს ყელს, მხრებს და მკერდისა და ზურგის ზემო საწილს; ქალის ყელ-გულღია ტანსაცმელი.

დეკოლორაცია, ლათ.-ფრ. (décoloration), გაუფერულება, ფერის მოსპობა; დეკოლორირება— დეკოლორაციის მოხდენა.

დეკომპოზიცია, ლათ.-ფრ. (décompsition), დაშლა შემადგენელ ნაწილებად; აქედან: დეკომპოზირება ან დეკომპონირება —დეკომპოზიციის მოხდენა (იხ. კომპონირება).

დეკორაცია, ლათ.-ფრ. (décoration): 1) ყოველგვარი ხელოვნური მორთულობა რაიმე საგნისა, უმთავრესად — შენობისა; 2) სათეატრო სცენის მოწყობილობა —პიესის შესაფერი ადგილის ილუზიის (იხ.) შესაქმნელად; 3) გადატ. მნიშვნ.: ლამაზი გარეგნობა, რომელიც არ შეეფერება შინაარსს; აქედან: დეკორატორ-ი — : 1) დეკორაციების მკეთებელი ხელოვანი; 2) ბინების მომრთველი ხელოსანი; დეკორაციული — დეკორაციის ხასიათის მქონე; ხადეკორაციო — დეკორაციისათვის საჭირო, გამოსადეგი ან მისთვის განკუთვნილი, მაგ.: 1) ხადეკორაციო მხატვრობა — ისეთი მხატვრობა, რომლის დანიშნულებაცაა შენობის შემკობა, უმთავრესად — შიგნი; 2) ხადეკორაციო მცენარეები — ბაღის ან ორანჟერიის მცენარეები, რომლებსაც აშენებენ მხოლოდ მათი სილამაზისთვის და სხვ.; დეკორირება — რაიმე საგნის ხელოვნურად მორთვა, დეკორაციის გაკეთება და სხვ.

დეკორტ-ი, (გერმ. დეკორტ ფრ. décourt), კომერციაში: ფასის დაკლება საქონელზე, როდესაც საქონელს აკლია ზომაში ან წონაში და ან საქონელი ნიმუშზე უფრო დაბალი ხარისხისაა.

დეკორუმ-ი, ლათ., გარეგნული რიგიანობა, რომლის მიზანიცაა შთაბეჭდილების მოხდენა ვიზედმე.

დეკოქტ-ი (ლათ. decoctum), სამკურნალო მცენარეთა გაწურული ნახარში.

დეკრედიტირება, ლათ.-ფრ. (décréditer), ვისმესადმი ნდობის შესუსტება,—კრედიტის შემცირება; დეკრედიტირებული — ნდობა-შესუსტებული, კრედიტ-შემცირებული.

დეკრეპიტაცია, ლათ.-ევროპ. (ფრ. décrepitation), კრისტალების დასკდომა გახურების დროს.

დეკრესჩენდო, იტ., თანდათანი დასუსტება, მაგ. ბგერისა (იხ. კრესჩენდო).

დეკრეტალები (მრავლ., ლათ. დეკრეტალეს). რომის პაპის წერილობითი დადგენილებანი ან განკარგულებანი რაიმე კერძო საკითხის გამო, რომელნიც შემდეგ იქცევ წესად; ცნობილია საშ. საუკუნეთა ისტორიაში ისიდორე ხევილგლის ყალბი დეკრეტალები (IX ს.), რომელთა მიზანიც იყო რომის პაპის პრეტენზიების (იხ.) დასაბუთება.

დეკრეტ-ი, ლათ.-ევროპ., უზენაესი ხელისუფლების დადგენილება ან განკარგულება დაწესებულებისადმი ან მთელი ხალხისადმი რაიმე კერძო შემთხვევის გამო (ამით იგი განსხვავდება კანონისაგან); აქედან: დეკრეტირება — დეკრეტის გამოცემა.

დეკს, იხ. დექს-.

დეკურია, ლათ. („ათეული"). ცხენოსანთა ათეული.

დეკურიონ-ი (ლათ. decurio.-onis), დეკურიის უფროსი.

დელაცია (ფრ. délation), დასმენა: დელატორ-ი — დამსმენი.

დელეგატ-ი, ლათ., რწმუნებული; არჩეული წარმომადგენელი რომლისამე ორგანიზაციისა, ჯგუფისა და სხვ. (დელეგატი ასრულებს განსაზღვრულ დავალებებს და პასუხის მგებელია მათი სათანადო შესრულებისთვის გამგზავნთა წინაშე, — ამით ის განსხვავდება დეპუტატისაგან).

დელეგაცია (ლათ. delegatio), დელეგატთა საერთო სახელწოდება, დელეგატთა კორპორაცია; დელეგირება — დელეგატად გაგზავნა.

დელი, თურქ. („გიჟი, თავზე ხელაღებული"), რჩეული ცხენოსანი რაზმები ოსმალეთში ძველად.

დელიბაშ-ი, თურქ. (იხ. დელი): 1) მამაცი ცხენოსანი, მხედართ-უფროსი; 2) სულტანის მცველი.

დელიკატეს-ი (ფრ. délicatesse „სინაზე, სირბილე..."), განსაკუთრებულად სასიამოვნო, —

ჩვეულებრივ — ზედმიწევნითი ხელოვნებით მომზადებული საჭმელი.

**დელიკატური** ან **დელიკატ-ი**, ლათ.-ფრ. (délicat), ნაზი, მგრძნობიერი, ზრდილობიანი; **დელიკატობა** ან **დელიკატურობა** — სინაზისა და მგრძნობიარობის გამოჩენა, ზრდილობიანობა.

**დელიმიტაცია**, ლათ.-ფრ. (délimitation), გამიჯნვა, საზღვრების დადგენა.

**დელტა**, ბერძ.: 1) ბერძნული ანბანის მეოთხე ასოს (დ-ონის) სახელწოდება; 2) ხმელეთის სამკუთხი არე, რომელიც წარმოიქმნება ხოლმე დიდ მდინარეთა შესართავთან მის განტოტებათა შორის (წააგავს ბერძ. დ ასოს მოხაზულობას, თუმცა თანამედროვე გეოლოგიაში დელტას უწოდებენ არა მხოლოდ სამკუთხი ფორმის არეს).

**დელფინ-ი**, ბერძ.-ლათ. (delphinus), ზღვის ერთგვარი ძუძუმწოვართა გვარის ცხოველი.

**დელფ-ის ორაკული**, ძვ. საბერძნეთში: ფოკიდის ქალაქ დელფის ორაკული (მისანი, სამისნო, იხ. ორაკული), რომელიც განთქმული იყო 8 საუკუნიდან ქ. წ. და დაიხურა 4 საუკ. ქ. შ.

**დელფტ-ი**, ცნობილი ქაშანური სამხრ. ჰოლანდიის ქალაქ დ ე ლ ფ ტ-ში ნაკეთები.

**დემაგოგია**, ბერძ. („ხალხის წაყვანა“): 1) ძველ საბერძნეთში: ხალხის ხელმძღვანელობა,— ბელადობა; 2) პოლიტიკური მიზნებით თავის მხარეზე გადმობირება ბრბოსი—მის გრძნობებზე ზედმოქმედებითი და სხვა არაკეთილსახიერი საშუალებებით; 3) გადატ. მნიშვნ.: საკითხის მიკერძებითი გაშუქება ან ფაქტების დამახინჯებულად გადმოცემა; აქედან: **დემაგოგ-ი** — დემაგოგიის გამწევი, — ჩამდენი; **დემაგოგიური** — დემაგოგიის ხასიათის მქონე.

**დემარკაცია**, ლათ.-გერმ. (ფრ. démarcation), საზღვრის დადგენა, ადგილის განსაზღვრა; აქედან: **დემარკაციული** — დემარკაციის ხასიათის მქონე; **დემარკაციული** ან უკეთ **სადემარკაციო ხაზი** — : 1) ორი მოპირდაპირე ჯარის ურთიერთისაგან გამყოფი ხაზი ზავის ჩამოგდების შემდეგ; ორ სახელმწიფოს შორის დროებითი ხაზი — საბოლოო საზღვრის დადგენამდე; 2) ორი საგნის ან ცნების განმსაზღვრელი ნიშანი; 3) **დემარკაციული ანთება** — ჯანსაღისა და ავადმყოფი (ან მკვდარი) ქსოვილის საზღვარზე მოქმედი ანთება.

**დემარკირება** (იხ. დემარკაცია), დემარკაციის მოხდენა.

**დემარქ-ი** (ბერძ. დემარქოს), დემის (იხ.) მმართველი ძველ ათენში.

**დემასკირება** (ფრ. démasquer „ნიღაბის მოხსნა“): 1) საფარში მყოფი ბატარეის მოულოდნელად გაშლა მტრის წინააღმდეგ (სამხედრო); 2) გადატ. მნიშვნ.: ვისიმე პიროვნების გამოაშკარავება.

**დემეტრა** ან **დემეტრ-ი**, ბერძ., ძველი ბერძნული მითოლოგიით: მიწათმოქმედებისა და სამოქალაქო წესიერების ქალ-ღმერთი.

**დემ-ი**, იხ. დემოსი 4.

**დემი-მონდ-ი** (ფრ. demi-monde): 1) საზოგადოების უცნობი („ნახევრად-ნაცნობი“) წრეები, რომელნიც ბაძავენ მაღალ წრეებს; 2) მსუბუქი ყოფაქცევის მოკეკლუცე ქალების წრე.

**დემილიტარიზაცია**, ლათ.-ევროპ., სამხედრო ძალების შემცირება.

**დემიურგ-ი** (ბერძ. dêmi-oyrgos): 1) ხელოსანი ძველ საბერძნეთში; 2) შემოქმედი ქვეყნისა, მსოფლიოს წესიერების დამდგენელი და სხვ.

**დემობილიზაცია**, ლათ.-ფრ. (démobilisation), სათადარიგო ჯარის დათხოვნა საომარი მდგომარეობიდან —სამშვიდობოსაზე გადასვლისას; **დემობილიზირება** — დემობილიზაციის მოხდენა; **დემობილიზირებული** —დემობილიზაცია ქმნილი.

**დემოგრაფია**, ბერძ. ხელოვნ. („ხალხთ-აღწერა“): 1) მოძღვრება ხალხისა და სახელმწიფოს შესახებ—სტატისტიკური, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით; 2) მცხოვრებთა აღწერილობითი სტატისტიკა (იხ.).

**დემოკრატ-ი**, ბერძ., დემოკრატიის მომხრე; გადატ. მნიშვნ.: მდაბიო; ხალხურ ზნეჩვეულებათა მატარებელი.

**დემოკრატია**, ბერძ. („ხალხის ხელისუფლება“): 1) ისეთი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელშიც ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს და რომელიც უზრუნველჰყოფს მცხოვრებთა მონაწილეობას საკანონმდებლო ორგანოებში და მოქალაქეობრივ თავისუფლებას (სიტყვისას, კრებისას, კავშირისას და სხვ.); დემოკრატია შესაძლებელია პროლეტარული (იქ, სადაც პოლიტ. ხელისუფლება პროლეტარიატის ხელშია) და ბურჟუაზიული (კაპიტალისტურ

ქვეყნებში); 2) დემოკრატია ეწოდება თვითონ ხალხს, რომელიც გაერთიანებულია საერთო ინტერესთა და უფლებათა ნიადაგზე და იბრძვის მათ დასაცავად; **დემოკრატიზაცია**—გახალხურება. გამდაბიოება; ხალხური მართვა-გამგეობის შემოღება; **დემოკრატიზირება** — დემოკრატიზაციის მოხდენა; **დემოკრატიზმ-ი** — დემოკრატიის დებულებათა მომხრეობა. **დემოკრატიული** — დემოკრატიის ხასიათის მქონე; მდაბიო.

**დემოკრატიული რესპუბლიკა** (იხ. დემოკრატია), ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელშიც მთელი ხელისუფლება, კონსტიტუციის თანახმად, ეკუთვნის ხალხის წარმომადგენელთ, არჩეულებს საერთო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული წესით.

**დემოკრიტე** ან უკეთ **დემოკრიტოს** აბდერელი, ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი (V—IV საუკ. ქ. წ.),—ითვლება მატერიალისტური ფილოსოფიის დამაარსებლად: მისი აზრით არსებობს მხოლოდ ატომები და მათი მოძრაობა ცალიერ სივრცეში, ყველაფრის წარმოშობა შედეგია ატომთა შეერთებისა და სხვ. (იხ. ატომი).

**დემოლირება** (ფრ. démolir), მტრის სიმაგრეების ნგრევა ზარბაზნებიდან სროლით.

**დემოლიცია** (ფრ. démolition), დანგრევა; აქედან: **დემოლიციური ბატარეები** —მოწინააღმდეგის ბრუსტვერთა (იხ.) და სხვა სიმაგრეთა დასანგრევი ბატარეები (სამხედრო). იხ. ბატარეა.

**დემოლოგია**, ბერძ. ხელოვნ., მოძღვრება ხალხის შესახებ; მეცნიერება სახელმწიფოს და სხვა საზოგადოებრივ ფორმათა წარმოშობისა, მათი ბუნებისა და ცვალებადობის შესახებ.

**დემონეტიზაცია** (ლათ. მონეტა-საგან „ლითონის ფული“), ლითონის ფულის მიერ ღირებულების დაკარგვა, რის შემდეგაც ეს ფული ფასობს მხოლოდ იმ მასალის მიხედვით, რისგანაც გაკეთებულია.

**დემონ-ი** (ბერძ. დაიმონ), თავდაპირველად: ღვთაება, შემდეგ — შუამავალი ადამიანსა და ღმერთს შორის; ქრისტიანობის ხანაში: ბოროტი სული; აქედან: **დემონიზმ-ი** —: 1) ბოროტ სულთა მორწმუნეობა; 2) დემონური ბუნება ადამიანისა: სხვის უბედურებაში სიამოვნების პოვნა; 3) საბედისწერო ძლიერების მქონებლობა; წარმტაცი, მაგრამ დამღუპველი ბუნება ადამიანისა; **დემონური**—დემონის, როგორც ბოროტი სულის, ხასიათის მქონე: წარმტაცი საბედისწერო ბუნების მქონე და სხვ.; **დემონოლოგია** — საშ. საუკუნეებში: ცრუმორწმუნეობაზე დამყარებული მოძღვრება ბოროტ სულთა და ადამიანთა ურთიერთობის შესახებ (დემონოლოგია ფრიად განვითარებულია აგრეთვე პარსთა რელიგიაში, იხ.); **დემონოლატრია** — დემონთა თაყვანისცემა; **დემონომანია** — რელიგიური სულიერი ავადმყოფობა, რაც გამოიხატება ბოდვასა და ავი სულების მოჩვენებაში; **დემონოფობია** — ავსულთა შიში.

**დემონსტრანტ-ი**, ლათ.. დემონსტრაციის მომწყობი, დემონსტრაციაში მონაწილე (იხ. დემონსტრაცია).

**დემონსტრაცია** (ლათ. demonstratio „ჩვენება, დამტკიცება. გადმოცემა“): 1) სასწავლო ან სამეცნიერო საქმეში: მეცნიერული ცდის ჩვენება მსმენელ-მაყურებელთათვის; 2) პოლიტიკური დემონსტრაცია: მოთხოვნილების, უკმაყოფილების ან პროტესტის საჯაროდ გამოცხადება სხვადასხვა საშუალებით (კრებებით, ქუჩებზე მასსურად სიარულით და სხვ.); 3) სამხედრო საქმეში: რომლისამე ქვეყნის სამუქარო მოქმედება სხვა ქვეყნის მიმართ (საზღვარზე ჯარების დაგროვება, ომისათვის მზადება და სხვ.); აგრეთვე ომის დროს: ჯარების ცრუ მოქმედება არა იმ ადგილას, სადაც ნამდვილად განზრახულია მთავარი მოქმედება; აქედან: **დემონსტრაციული** — დემონსტრაციის ხასიათის მქონე; **სადემონსტრაციო** — დემონსტრაციისათვის გამოსადეგი, მისთვის განკუთვნილი; **დემონსტრირება** — დემონსტრაციის მოხდენა.

**დემონტაჟ-ი** (ფრ. démontage), ტექნიკაში: მანქანების დაშლა.

**დემონტირება** (ფრ. démonter), სამხედრო საქმეში: სროლის შემწეობით მოწინააღმდეგის ზარბაზნების წაქცევისა და ბატარეების გაჩუმების მიზნით მოქმედება.

**დემორალიზაცია**, ლათ.-ფრ. (démoralisation): 1) ზნეობრივი დაქვეითება; 2) სულით დაცემა, წესიერების დარღვევა რაიმე მარცხის ზეგავლენით; აქედან: **დემორალიზირება**— ვისიმე ზნეობრივად გაფუჭება; ვისიმე შეშინება, იმედის დაკარგვინება და სხვ.; **დემორალიზირებუ-**

ლი — გარყვნილი, რაიმე მარცხის გამო დამფრთხალი და სხვ.

**დემოსთენე** ან უკეთ **დემოსთენეს-ი**, ძველი საბერძნეთის უდიდესი ორატორი (384 — 322); ცნობილია განსაკუთრებით მისი საჯარო სიტყვები („ფილიპიკები", იხ.) მაკედონიის მეფის ფ ი ლ ი პ ო ს-ის წინააღმდეგ.

**დემოს-ი**, ბერძ.: 1) ხალხი; 2) ძველი საბერძნეთის ქალაქის მცხოვრებნი; 3) ხალხის ყრილობა; 4) ატიკაში: მცირე საადმინისტრაციო ერთეული, თემი; აქედან: **დემოტ-ი** — დემოსის წევრი, მოქალაქე.

**დემოტიკური დამწერლობა** (ბერძ. dêmotikos „სახალხო", „ხალხური"), ჩქარი ხელით დამწერლობა ძველს ეგვიპტეში, — წარმოადგენს ძველი დამწერლობის განვითარებას,— წარმოიშვა იეროგლიფებისაგან.

**დენაზალიზაცია**, ლათ.-ფრ. ბგერის ცხვირისმიერობის დაკარგვა (ფონეტიკაში), იხ. ნაზალიზაცია.

**დემპფერ-ი** (გერმ. Dämpfer „ჩამქრობი, ჩამხშობი, შემნელებელი..."): 1) ფიზიკაში: რაიმე მოძრავი სხეულის რყევათა შემნელებელი ან გამჩერებელი მოწყობილობა; 2) სამუსიკო ინსტრუმენტში: ბგერის სიძლიერის შემასუსტებელი ან შემწყვეტი; აქედან: **დემპფირება** — შენელება ან შეწყვეტა დემპფერით.

**დენარი** (ლათ. დენარიუს), 1) ვერცხლის ფულის ერთეული ძველ რომში; 2) საშ. საუკუნეებში ყოველგვარი ფულის სახელწოდება.

**დენატურალიზაცია**, ლათ.-ფრ. (dénaturalisation), ესიმე ქვეშევრდომობიდან გამორიცხვა; აქედან: **დენატურალიზირება** — იგივე მოქმედება.

**დენატურირება**, ლათ.-ფრ. (dénaturer), რისიმე ბუნებრივ თვისებათა შეცვლა; რაიმე პროდუქტის (მარილის, სპირტის და სხვ.) უვარგისად გახდა განსაზღვრული მიზნით ხმარებისათვის — სხვადასხვა ნივთიერების შერევის საშუალებით, მაგ.: **დენატურირებული სპირტი** ანუ **დენატურატ-ი** — შინაგანი ხმარებისათვის გაუვარგისებული სპირტი, — იხმარება სხვადასხვა ტექნიკური მიზნებისათვის; **დენატურირებული მარილი** — გაუვარგისებული მარილი საჭმელში სახმარებლად და სხვა.; **დენატურაცია**—გაუვარგისება და სხვ.

**დენაციონალიზაცია**, ლათ.-ფრ. (dénationaliser): 1) ამა თუ იმ ხალხის მიერ ეროვნული თავისებურობის დაკარგვა; 2) ერის დაწესებულებათათვის ეროვნული სახის ჩამორთმევა (ენის, მიზნების და სხვ. მხრივ); 3) ქვეშევრდომობის გამოცვლა; 4) ქონების განთავისუფლება ნაციონალიზაციისაგან, რასაც ზოგჯერ თან ახლავს ამ ქონების დაბრუნება პირვანდელი მფლობელისათვის (იხ. ნაციონალიზაცია 2).

**დენდი** (ინგლ. dandy), ასე უწოდებდნენ ლონდონში 19 ს. დასაწყისს ისეთ პირს, რომელიც გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევდა გარეგნულობას (ჩაცმულობას, მაღალ წრეებში ყოფნისთვის საჭირო ყოფაქცევას და სხვ.).

**დენდიზმ-ი** (dandysme, ინგლ. dandy-საგან): 1) გადაჭარბებული ზრუნვა ისეთ რაზედმე, რაც საჭიროა მაღალ წრეებში (შესაფერი ჩაცმულობა, სათანადოდ თავის დაჭერა, ლამაზი მანერები და სხვ.); გარეგნულობით საზოგადოების ყურადღების მიპყრობა თავის თავზე და სხვ.; 2) ფსიქოლოგიური და ლიტერატურული მიმართულება 19 საუკ. მწერლობაში (განსაკუთრებით — საფრანგეთში), რომელსაც ახასიათებს: ზიზღი ბრბოსადმი, ხელოვნების მაღლა დაყენება ბუნებაზე და სხვ.

**დენდრიტ-ი**, ბერძ. ხელოვნ. (დენდრონ „ხე"): 1) ჰისტოლოგიაში: ნერვული უჯრედის მორჩი, რომელიც თვითონ შეიცავს ტოტისებრ მორჩებს და ნერვულ აგზნებას ატარებს უჯრედისაკენ (ამ თვისებებით იგი განსხვავდება ნევრიტისაგან, იხ.); 2) მინერალოგიაში: კრისტალური ნივთიერება, რომელსაც ტოტებისა დ̇ა ბუჩქის სახე აქვს.

**დენდროლითები** (მრავლ., ბერძ. დენდრონ „ხე" და ლითოს „ქვა"), ხის გაქვავებული ღეროები.

**დენდროლოგია**, ბერძ. („ხეთმცოდნეობა"). ბოტანიკის ერთი დარგი, რომელიც იკვლევს ხეთაგანთა და ბუჩქთაგანთა ჯიშების დამახასიათებელ ნიშნებს; აგრეთვე მათი მოშენებისა და მოვლის საკითხებს; **დენდროლოგ-ი** — დენდროლოგიის მცოდნე და მკვლევარი.

**დენდრომეტრ-ი**, ბერძ. (დენდრონ „ხე" და მეტრონ „საზომი"), ხის დიამეტრის საზომი ხელსაწყო ნებისმიერ სიმაღლეზე.

**დენდრომეტრია**, ბერძ. („ხის მზომელობა“), ტყის ტაქსაციის (იხ.) ერთერთი ნაწილი, რომელიც იკვლევს ხეების მოცულობისა და მასსის განსაზღვრის სხვადასხვა საშუალებებს.

**დენობილიზაცია**, ლათ.-ფრ., აზნაურობის წოდების წართმევა; **დენობილიზირება** — დენობილიზაციის მოხდენა.

**დენომინაცია**, ლათ.-ფრ. (dénomination): 1) დასახელება, მაგ. — მოწმეთა სასამართლოში; 2) მაღალ-ღირებულებიანი ფულის ნიშნების მცირე-ღირებულებიანად დასახელება უზენაესი ხელისუფლების მიერ (გამოწვეულია ფულის ნიშნების გაუფასურებით).

**დენსიმეტრ-ი**, ლათ.-ბერძ., სითხეთა სიმკვრივის განმსაზღვრელი ხელსაწყო (იხ. დასიმეტრი).

**დენტალური ან დენტალი ბგერები** (ლათ. dens,-tis „კბილი“), ქართულად: კბილის მიერი ბგერები, მაგ. თ დ ტ ს და სხვა, რომელთაც ფონეტიკაში ეწოდებათ წინაენის მიერნი.

**დენტიატრია**, ლათ.-ბერძ. (დენს,-ტის „კბილი“ და იატრეია „განკურნება“), მოძღვრება კბილების შესახებ, — მათი მოვლისა და მკურნალობის შესახებ; **დენტინ-ი**, ლათ. ხელოვნ., კბილის შემადგენელი ნივთიერება.

**დენუდაცია**, ლათ.-ფრანგ. (dénudation „გაშიშვლება“), ქანთა (მთის ჯიშთა) გაშიშვლება — გამოფიტვის პროდუქტების მოცილების გამო.

**დენუნციაცია**, ლათ., დასმენა, დაბეზღება; აქედან: **დენუნცირება** — იგივე მოქმედება.

**დეონტოლოგია**, ბერძ. ხელოვნ. (დეონ,-ტოს „საჭიროება, აუცილებლობა, ვალდება“), ეთიკის (იხ.) ნაწილი, — მოძღვრება მოვალეობის შესახებ.

**დეპარტამენტ-ი**, ლათ.-ფრ. (département): 1) საფრანგეთში: სახელმწიფოს ტერიტორიის საადმინისტრაციო დაყოფის მთავარი ერთეული; შემოღებულია 1789 წ. — ძველი (პროვინციებად) დანაწილების ნაცვლად; 2) რუსეთში რევოლუციამდე: უმაღლეს საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებათა (სამინისტროსი, სახელმწ. საბჭოსი, სენატის) განყოფილება.

**დეპეკორაცია**, ლათ. ხელოვნ. (პეკუს,-ორის „ცხოველი, საქონელი“), შინაური ცხოველების თანდათანი შემცირება მცხოვრებთა სივიწროვისა და ინტენსიური მეურნეობის გამო.

**დეპეშა ან უკეთ დეპეშ-ი** (ფრ. dépêche): 1) თავდაპირველად: საგანგებო (და სასწრაფო) წერილი, შიკრიკის ხელით გაგზავნილი; 2) ახლა: ტელეგრაფის საშუალებით გადაცემული ცნობა; ტელეგრამა (იხ.).

**დეპილაცია**, ლათ.-ფრ. (dépilation), თმის დაცვენა; ხელოვნური საშუალებით თმის მოსპობა; აქედან: **დეპილატორიუმ-ი** — საშუალება ხელოვნურად თმის მოსპობისათვის.

**დეპო** (ფრ. depôt): 1) საწყობი; საქონლის დასაწყობი ადგილი; 2) შენობა რკინის გზის სადგურთან, სადაც მოთავსებულია ორთქლმავლებისა და ვაგონების შესაკეთებელი სახელოსნოები.

**დეპოზიტ-ი**, ლათ.-ფრ. (déposer „დადება, შეტანა“ და სხვ.): 1) სახელმწიფო ან საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი რაიმე ღირებულება უკანვე მიღების უფლებით; 2) ვალდების შესრულების ერთერთი საშუალება (როდესაც კრედიტორს არ სურს მიიღოს ვალი); აქედან: **დეპოზიტორ-ი** — პირი, რომელიც აბარებს რაიმე ღირებულებას შესანახად ან ვალდების უზრუნველსაყოფად; **ხადეპოზიტო ბანკი** — საკრედიტო ბანკი, რომელიც იბარებს სხვადასხვა ღირებულებას; **ხადეპოზიტო ქვითარი** — ხელწერილი ბანკის მიერ მიღებული ღირებულებისათვის.

**დეპონენტ-ი**, ლათ. (დეპონენს,-ტის), იგივეა, რაც დეპოზიტორი (იხ. დეპოზიტი); აქედან: **დეპონირება** — რაიმე ღირებულების ჩაბარება განსაზღვრულ დაწესებულებაში შესანახად ან ვალდების უზრუნველსაყოფად.

**დეპორტაცია**, ლათ.-ფრ. déportation), გაძევება; სამშობლო ქვეყნიდან გადასახლება; **დეპორტირება** — იგივე მოქმედება.

**დეპოპულაცია**, ლათ.-ფრ. (dépopulation), ქვეყნის გაუკაცურება, მცხოვრებთა შემცირება; **დეპოპულირება** — იგივე მოქმედება.

**დეპრავაცია**, ლათ.-ფრ. (dépravation), გარყვნილება, გარყვნა.

**დეპრეკატურა**, საშ. საუკ. ლათ., ნაჩუქარი მიწის შემოსავლით სარგებლობის უფლება მთელ-სიცოცხლივ; მემკვიდრეობითი იჯარის უფლება.

**დეპრესია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. დეპრესსუს „დადაბლებული"): 1) ასტრონომიაში: მნათობის დაწევა; 2) ბარომეტრული დეპრესია — დაწეული ატმოსფერული წნევის არე; 3) მედიცინაში: დანაღვლიანება, სულიერად დაძაბუნება, — დაცემა; 4) წარმოებასა და მრეწველობაში: მოდუხებული, შეჩერებული მდგომარეობა და სხვ.

**დეპრეციაცია** ან **დეპრესიაცია** (ფრ. dépréciation), ფასის დაწევა, გაუფასურება (ეკონომიკაში).

**დეპუტატ-ი**, ახალი ლათ. (დეპუტატუმ), ამორჩეული წარმომადგენელი, რწმუნებული; ჩვეულებრივ — საკანონმდებლო დაწესებულების წევრი (დელეგატისაგან განსხვავდება მით, რომ დეპუტატი ხელმძღვანელობს არა მისი გამგზავნი ჯგუფის ინტერესებით, არამედ საერთო სახელმწიფოებრივით); აქედან: **დეპუტაცია** — დეპუტატთა კრებული.

**„დეჟურნი"**, ფრ.-რუს. (ფრ. de jour), მორიგე.

**დეჟერინ-ის ცენტრი**, ნაწერის აღქმისა და გაგების (ე. ი. კითხვის) ანატომიური ცენტრი თავის-ტვინის ქერქში (აღმოაჩინა ფრანგმა მეცხიერმა Dejérine-მა),—მისი დაზიანება იწვევს კითხვის უნარის დაკარგვას (იხ. ალექსია).

**დერბი**: 1) ლონდონის მახლობლად განთქმული დოღის სახელწოდება,—ხდება წელიწადში ერთხელ,— ასეთი სახელწოდება მიიღო დამაარსებელის, ლორდ დერბი (Derby)-საგან; 2) ამ დოღში მიღებული ჯილდო (ამგვარ დოღს საერთოდ ეწოდა დერბი, სადაც არ უნდა მოხდეს).

**დერვიშ-ი**, სპარს. („მათხოვარი, საწყალი"), მათხოვართა ორდენის წევრის სახელწოდება მაჰმადიანებში.

**დერივაცია**, ლათ.-ფრ. (dérivation); 1) წყალის გადაყვანა, — გადაგდება; 2) სხეულის გადახრა მისი ბუნებრივი მოძრაობისაგან (ეს სიტყვა იხმარება მრავალ სხვა დარგში, მაგ. ქიმიაში, მათემატიკაში, გრამატიკაში და სხვ.).

**დერმა**, ბერძ. (დერმა,-ტოს „ტყავი, კანი"); აქედან: **დერმატალგია** —კანის ტკივილი; **დერმატიტ-ი** — კანის ანთება; **დერმატოლოგია** — მეცნიერება კანის შესახებ, **დერმატოპათოლოგია**—მეცნიერება კანის ავადმყოფობათა შესახებ; **დერმატოპლასტიკა** — ქირურგიის ნაწილი, რომელიც მკურნალობს კანის დეფექტებით გამოწვეულ სიმახინჯეს.

**დესანტ-ი**, ლათ.-ფრ. (descente): 1) გემის კომანდის განსაზღვრული ნაწილი, რომელსაც გადასხამენ ნაპირზე რაიმე დამოუკიდებელი ოპერაციების საწარმოებლად; 2) ზღვით მოყვანილი ხმელეთის ჯარი; 3) ზღვით მოყვანილი ჯარის გადასხმა მტრის ტერიტორიაზე (იხ. ამბარკაცია).

**დესერტ-ი** (ფრ. dessert), ტკბილეულობა სადილის შემდეგ.

**დესეტინა** (რუს. десятина), რუსული (ძველი) ზომა მიწისა, უდრიდა დაახლოებით ორ დღიურს (რუსეთშიც დესეტინა სხვადასხვა ზომის იყო სხვადასხვა ადგილას).

**დესკრიპცია**, ლათ.-ფრ. (description), აღწერა; **დესკრიპციული** — აღწერილობითი.

**დესმოს-ი**, ბერძ. („შემკვრელი"), აქედან: **დესმალგია** — შენაწევრების შემკვრელთა ტკივილი; **დესმოგრაფია** — ანატომიის ნაწილი, რომელიც იკვლევს შემკვრელებს; **დესმოლოგია** — ანატომიის იგივე ნაწილი; **დესმოპათოლოგია** — მეცნიერება სახსრების შემკვრელთა ავადმყოფობის შესახებ; **დესმურგია** — ქირურგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს შეხვევის საკითხებს.

**დესპოტ-ი** (ბერძ. დესპოტეს): 1) ბიზანტიაში: იმპერატორის ტიტული; შემდეგ—თანამმართველი აღმოსავლეთ რომის იმპერიაში; 2) საშ. საუკუნეებში: სასახლის კაცის უმაღლესი წოდება; 3) ახლა საყოველდღეო ცხოვრებაში: თვითნებური მკაცრი ადამიანი; **დესპოტია** — სახელმწიფოს მმართველობის ისეთი ფორმა, როცა უზენაესი ხელისუფლება არაა შეზღუდული არც იურიდიულად და არც მორალურად; **დესპოტიზმ-ი** — : 1) დესპოტიის წესით მართვა-გამგეობა; 2) თვითნებურობა ხელქვეითთა მიმართ; **დესპოტური** — თვითნებური და სხვ.

**დესტ-ი**, სპარს. („ხელი"), ქაღალდის ზომა, უდრის ოზმის $^1/_{20}$ ან 24 თაბახს.

**დესტილატ-ი** (ლათ. სტილლა-საგან „წვეთი"), სითხის ნახადი; გამოხდის პროდუქტი; აქედან: **დესტილატორ-ი** — გამოსახდელი ხელსაწყო; **დესტილირება** —გამოხდა; **დესტილირებული**—გამოხდილი; **დესტილაცია** — სითხეთა გამოხდა; **სადესტილაციო ხელსაწყო** და სხვ.

**დესტრუქცია** (ლათ. destructio), დანგრევა, განადგურება; **დესტრუქტორ-ი** — ასე ეწოდება ნაგავის საწვავ ღუმელს.

**დეტალ-ი** (ფრ. détail), წვრილმანი; აქედან: **დეტალიზაცია** — დაწვრილებით განხილვა; **დეტალიზირება** — იგივე მოქმედება; **დეტალისტ-ი** — ხელოვნებაში: წვრილმანების ზედმიწევნითი ასახვის მომხრე; **დეტალური** — დაწვრილებითი.

**დეტექტივ-ი**, იხ. დეტექტივი.

**დეტერიორაცია**, ლათ.-ფრ. (détérioration), საერთოდ: დაზიანება, გაუარესება; კერძოდ აგრონომიაში: ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური ცვლილება, რომელიც იწვევს მიწის ნაყოფიერების გაუარესებას.

**დეტერმინაცია**, ლათ.-ფრ. (détermination), განსაზღვრა; აქედან: **დეტერმინანტ-ი** —განმსაზღვრელი (მათემატიკაში), **დეტერმინიზმ-ი**— ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც უარჰყოფს ნების თავისუფლებას; ამ მოძღვრების თანახმად ადამიანის ყოველი საქციელი შეპირობებულია შინაგანი და გარეგანი მიზეზებით, ე. ი. მიზეზობრიობის კანონი ვრცელდება ადამიანის ნებისყოფაზედ; **დეტერმინისტ-ი** — დეტერმინიზმის მომხრე; **დეტერმინისტული** — დეტერმინიზმის ხასიათის მქონე.

**დეტექტივ-ი**, ლათ.-ინგლ. (detect, detective), მაძებარი, აღმომჩენი; სამაძებრო მილიციის აგენტი ინგლისში; აქედან: **დეტექტური რომანი**—ეწოდება ისეთ რომანს, რომლის ფაბულადაც აღებულია რაიმე საიდუმლოება, რომელიც უნდა გამოირკვეს რომანის მსვლელობაში; ასე უწოდებენ აგრეთვე ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც მოქმედ პირად გამოყვანილია მაძებარი.

**დეტონატორ-ი**, ლათ.-ფრ., ამფეთქებელი ნივთიერება, რომელიც იწვევს დეტონაციას (იხ.).

**დეტონაცია**, ლათ.-ფრ. (détonation), ქიმიაში: ზოგი ნივთიერების სწრაფი (და არა თანდათანი) აფეთქება; აქედან: **დეტონირება** — 1) სკდომა, ფეთქება (ფრ. détoner), 2) მუსიკაში: ყალბი ტონის აღება (ფრ. détonner).

**დეტრამპ-ი** (ფრ. detrempe), წყლის ფერადებით ხატვა, აქვარელი (იხ.).

**დე-ფაქტო** (ლათ. de facto), ნამდვილად, სინამდვილეში (დ ე-ი უ რ ე-სთან დაპირისპირებით).

**დეფეკაცია**, ლათ.-ფრ. (défécation), საერთოდ: გაწმენდა ტალახისაგან; 2) შაქრის წარმოებაში: ზედმეტი ნარევებისაგან შაქრის გაწმენდა; მედიცინაში: ნაწლავების გაწმენდა, განავალის გამოყოფა.

**დეფეკტ-ი**, იხ. დეფექტი.

**დეფენდერები** (მოძველ., ლათ.-ინგლ. defender „დამცველი"), ირლანდის პოლიტიკური პარტია, რომელიც ჩამოყალიბდა 18 საუკ. გასულს და იბრძოდა ირლანდის ჩამოშორებისათვის ინგლისისაგან, აგრეთვე — დემოკრატიული რეფორმებისა და სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის.

**დეფექტ-ი** (ლათ. defectus): 1) ნაკლი, ზიანი, შეცთომა; 2) გემის დაზიანებული ნაწილების აღწერა შეკეთების მიზნით; 3) სსტამბო საქმეში: აწყობის დროს დანაკლისი ლიტერები (ასოები): აქედან: **დეფექტური**—ნაკლული, ნაკლოვანი.

**დეფიგურაცია**, ლათ.-ფრ., გაუსახურება, დამახინჯება; **დეფიგურირება** — იგივე მოქმედება.

**დეფილე**, ლათ.-ფრ. (défilé): 1) ვიწრო გასავალი, — ხეობა (სამხედრო); 2) საზეიმო სვლა; აქედან: **დეფილირება** — : 1) ჯარის გასვლა დეფილეში ან უფროსის წინ გავლა მარშით; 2) საერთოდ: ვისამე წინ საზეიმო სვლა.

**დეფინიცია**, ლათ.-ფრ. (définition), განსაზღვრა; ცნების განსაზღვრა გვარითი ცნებისა და ნიშანდობლივი თვისების დასახელების საშუალებით (ლოგიკაში).

**დეფიციტ-ი**, ლათ., ზარალი; გასავლის გადამეტება შემოსავალზე.

**დეფლაცია**, ლათ.-ფრ., ქარის დენუდაციური (იხ.) მოქმედება უდაბნოში, — გამოფიტვა.

**დეფლექსია**, ლათ.-ფრ. (déflexion), ფიზიკაში: სხივთა გადახრა; აქედან: **დეფლექტორ-ი**—: 1) მაგნეტური ძალის საზომი ხელსაწყო; 2) საკვამლური მილის დასაცობი ქარისაგან დასაცავად და წევის გასაუმჯობესებლად.

**დეფორმაცია**, ლათ.-ფრ. (déformation): 1) სხეულის ან მისი ნაწილების ბუნებრივი ფორმის, აღნაგობის, შეცვლა (ბიოლოგიაში): 2) სხეულის ფორმის ან მისი მოცულობის ყოველგვარი შეცვლა (ფიზიკაში); აქედან: **დეფორმირება** — იგივე მოქმედება.

**დექსიოგრაფია**, ბერძ. ხელოვნ. („მარჯვენისკენ წერა"), ისეთი წესი წერისა, როცა სტრიქონები იწერება ჰორიზონტულად და მარცხნიდან მარჯვენისკენ (მაგ. ევროპულ და ქართულ დამწერლობაში).

დექსტრინ-ი, ლათ. ხელოვნ., ნივთიერება, რომელიც მოიპოება კრახმალისაგან (სახამებლისაგან) მაღალი ტემპერატურით, — გამოყენებულია სამღებრო საქმეში.

დექსტროკარდია, ლათ.-ბერძ., ხელოვნ., ასე ეწოდება ისეთ იშვიათ შემთხვევას, როცა გული მოთავსებულია მკერდის ღრუს მარჯვენა ნახევარში.

დეცემვირ-ი, ლათ., ათი წევრისაგან შედგენილი მთავრობის კოლეგია ძველ რომში; დეცემვირატ-ი — ათი პირის მმართველობა.

დეცენტრალიზაცია, ახალი ლათ., სახელმწიფოს მმართველობის ისეთი ფორმა, რომელსაც ახასიათებს ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგიერთ ორგანოთა დამოუკიდებლობა (ცენტრალიზაციასთან დაპირისპირებით, იხ.); დეცენტრალისტ-ი — დეცენტრალიზაციის მომხრე.

დეცი- (ლათ. decem-ისაგან „ათი"), საზომსაწონთა მეტრულ სისტემაში: ემატება საზომსაწონის ძირითადი ერთეულის სახელწოდებას და აღნიშნავს მის მეათედს, მაგ.: დეციგრამ-ი — გრამის $^1/_{10}$; დეცილიტრ-ი—ლიტრის $^1/_{10}$; დეციმეტრ-ი — მეტრის $^1/_{10}$ და სხვ.

დეციმალური ან დეციმალ-ი (საშ. საუკ. ლათ. decimalis), ათობითი, ათეულობითი, მაგ.: დეციმალური სისტემა — ათეულობითი სისტემა; დეციმალური სასწორი — ისეთი სასწორი, რომლის გაწონასწორებაც ხდება ათჯერ ნაკლები წონის საწონებით, ვიდრე ტვირთის წონა.

დეციმაცია, ლათ.-ფრ. (décimation), დამნაშავეთა დასჯის ერთერთი წესი: ისჯება არა ყველა დამნაშავე, არამედ ათიდან ერთი.

დველ-ი, იხ. დუელი.

დიაბეტ-ი ან უკეთ დიაბეტეს-ი, ბერძ., ავადმყოფური მოვლენა, რომელიც გამოიხატება შარდის გადაჭარბებულ გამოყოფაში; დ ი ა ბ ე ტ ე ს-ის ერთერთ ფორმას ეწოდება შაქრის ავადმყოფობა.

დიაგნოზ-ი ან დიაგნოსის-ი, ბერძ., საერთოდ: გამოცნობა; მედიცინაში: ავადმყოფობის მეცნიერული გამოცნობა სათანადო ნიშნების მიხედვით; დიაგნოსტიკა — მედიცინის დარგი, რომელიც იკვლევს ავადმყოფობათა გამოცნობის, დ ი ა გ ნ ო ზ-ის, საფუძვლებს.

დიაგონალი, ბერძ.-ევროპ., ხელოვნ.: 1) გეომეტრიაში: წრფივი წირი (სწორი ხაზი), რომელიც აერთებს მრავალკუთხედის ორი არამოსაზღვრე კუთხის მწვერვალებს; 2) მატყლის ირიბზოლიანი ქსოვილი.

დიაგრამა (ბერძ. დიაგრამმა „სურათი, მოხაზულობა"), თვალსაჩინო გრაფიკული გამოხატულება რაიმე შეფარდებათა: ერთი მოვლენის ცვლილებათა სხვა მოვლენისაგან დამოკიდებულობის მაჩვენებელი ნახაზები (დ ი ა გ რ ა მ ე ბ ი ს შემწეობით იკვლევენ მეტეოროლოგიურს, ფიზიკურს, ფსიქოლოგიურს და სხვ. მოვლენებს).

დიადემა, ბერძ.: 1) მეფეთა თეთრი თავსახვევი ძველად — უზენაესი ხელისუფლების ნიშანი; 2) თვალ-მარგალიტებით შემკული თავსამკაული ქალისა.

დიადოქ-ი (ბერძ. დიადოქოს), მემკვიდრე; დ ი ა დ ო ქ ე ბ ი ეწოდათ ალექსანდრე მაკედონელის სარდლებს, რომელთაც ურთიერთ შორის გაიყვეს მისი სამფლობელოები.

დიაკონ-ი (ბერძ. დიაკონოს „მსახური"): 1) ქრისტიანობის პირველ ხანებში: ტაძრის წესიერების მეთვალყურე და სამეურნეო საქმეთა გამგე; 2) შემდეგ: სამღვდელოების უდაბლესი თანამდებობის პირი; დიაკონის-ი („მსახური ქალები") — ძველ ქრისტიანულ ეკლესიაში: ქალები, რომელნიც განაგებდნენ მოწყალების გაცემისა და ავადმყოფთა მოვლის საქმეებს (გერმანიაში — საგანგებო სახლებში აღზრდილი მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი ს და.)

დიაკრისის-ი, ბერძ. („გაყოფა, განსხვავება"). აქედან: დიაკრისისული ან დიაკრიტული ნიშნები — განმასხვავებელი ნიშნები ალფაბეტურ სისტემაში (იხ. ალფაბეტ-ი),—ასე ეწოდება ფონეტიკაში ბგერათა გამოხატვის ერთერთ საშუალებას, სახელდობრ: როდესაც ჩვეულებრივად სახმარებელი ასოები საკმარისი არაა, მიუმატებენ ასოებს რაიმე ნიშნაკს სხვა ბგერის გამოსახატავად; ასეთია მაგ.: სიგრძე-სიმოკლის ნიშნაკი, მახვილის, ნაზალობის (იხ.), მარცვლოვანობის და სხვ.

დიალექტ-ი (ბერძ. დიალექტოს), რომლისამე ენის კილო, მაგ. ქართული ენის იმერული კილო; აქედან: დიალექტოლოგია — ენათმეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს ამა თუ იმ ენის დიალექტებს; დიალექტოლოგ-ი —დიალექტების მკვლევარი.

**დიალექტიკა** (ბერძ. დიალექტიკე „მსჯელობითი", იგულისხმება ტექნე „ხელოვნება"): 1) თავდაპირველად ძვ. საბერძნეთში: მსჯელობისა და დარწმუნების ხელოვნება; 2) ფილოსოფიაში: აზრის ლოგიკური პროცესი, რომელშიც წარმოებს გადასვლა ერთი ცნებიდან მეორეზე — პირველის ნაკლისა და შინაგანი წინააღმდეგობის ძლევის საშუალებით; 3) აზრის შინაგანი თანდათანობითი განვითარების პროცესი (განსაკუთრებით ცნობილია ფილოსოფიაში ჰ ე გ ე ლ-ის დიალექტიკა, რომლის მიხედვითაც თვითეული ცნების განვითარებაში ურთიერთს თან სდევს სამი მომენტი: თეზისი, ანტითეზისი და სინთეზისი (იხ. ესენი); **დიალექტიკური** — დიალექტიკის ხასიათის მქონე, მისაგან გამომდინარე, მაგ. **დიალექტური** ან უკეთ **დიალექტიკური მატერიალიზმი**, იხ. მარქსიზმი.

**დიალექტოლოგია**, იხ. დიალექტი.

**დიალიზ-ი** ან **დიალიზის-ი** (ბერძ. dialysis „განთვისება. გაბნევა"): 1) ქიმიაში: გამოყოფა ხსნარიდან ამა თუ იმ ქიმიური ნივთიერებისა — ცხოველისა ან მცენარეული აფსკის საშუალებით (იხ. ოსმოსი); 2) ლექსთწყობაში: ერთი ვრძელი მარცვლის ორ მოკლე მარცვლად წარმოთქმა.

**დიალოგ-ი** (ბერძ. დიალოგოს): 1) საუბარი ორ ან მეტ პირთა შორის; 2) ლიტერატურული ნაწარმოები ან მისი ნაწილი, რომელსაც საუბრის ფორმა აქვს; **დიალოგური** — დიალოგის ხასიათის მქონე.

**დიამეტრალური**, იხ. დიამეტრული.

**დიამეტრ-ი** (ბერძ. დიამეტროს), წრფივი წირი (სწორი ხაზი), რომელიც გაივლის წრის ცენტრში და ჰყოფს მას ორ თანასწორ ნაწილად; **დიამეტრული** — დიამეტრის ხასიათის მქონე; **დიამეტრული წინააღმდეგობა** ან უკეთ **დიამეტრული მოპირმდებარეობა** — სრული წინააღმდეგობა ან მოპირმდებარეობა (იგულისხმება დიამეტრის ბოლოები, რომელნიც ურთიერთს უპირისპირდებიან).

**დიანა**, ლათ., ძველ რომაელთა ქალ-ღმერთი, — უდრის ძველ ბერძენთა ა რ ტ ე მ ი დ-ს (იხ).

**დიაპაზონ-ი**, ბერძ.-ევროპ.: 1) ოქტავის (იხ.) ბერძნული სახელწოდება; 2) ხმის ან ინსტრუმენტის მოცულობა (ე. ი. ბგერათა რიცხვი, რომლის წარმოთქმა ან გამოცემა შეუძლია ამა თუ იმ ხმას ან ინსტრუმენტს); 3) საფრანგეთში დ ი ა პ ა ზ ო ნ-ი ეწოდება აგრეთვე კამერტონს (იხ.).

**დიაპოზიტივ-ი**, ბერძ.-ლათ., ხელოვნ., პოზიტიური (იხ.) ფოტოგრაფიული გამოსახულება რაიმე გამჭვირვალე მასალაზე, ჩვეულებრივ — მინაზე, — ხმარობენ საპროექციო აპარატებისათვის (ბუნდოვანი ფარნისათვის), სურათების გასადიდებლად და სხვ.

**დიარეა** (ბერძ. დიარრეო „გავედინები"), ფაღარათი ნაწლავების ანთების დროს.

**დიარხია** ან უკეთ **დიარქია**, ბერძ., ორმეფობა; ერთსა და იმავე დროს ორი თანასწორ-უფლებიანი ხელისუფლების მართვა-გამგეობა.

**დიასპორა**, ბერძ.: 1) გაბნევა, გაფანტვა; 2) პალესტინის გარეშე მყოფი (გაფანტული) ებრაელები ან ის ქვეყნები, სადაც ცხოვრობდენ გაფანტული ებრაელები; 3) კათოლიკეთა მრევლები სხვა რწმენის ხალხთა შორის.

**დიასტოლა** (ბერძ. დიასტოლე „გაფართოება"): 1) მედიცინაში: გულის კუნთების გაფართოება; გულის მოქმედების წყნარი ფაზა, რომელიც მოსდევს მის შეკუმშვას (იხ. სისტოლა); 2) ბერძნულ ლექსთწყობაში: მოკლე მარცვლის გაგრძელება.

**დიათეზ-ი** ან **დიათეზის-ი**, ბერძ.: 1) მედიცინაში: ორგანიზმის წინასწარგანწყობილება რაიმე ავადმყოფობისადმი; 2) გრამატიკაში: ზმნის გვარი (მაგ. მოქმედებითი და საშუალო).

**დიატონიკა**, ბერძ. ხელოვნ., თანამიმდევრობითი გადასვლა ტონებისა ერთიდან მეორეზე; **დიატონიკური გამა** — ისეთი გამა, რომელშიც ტონები თანდათან მაღლდებიან ან დაბლდებიან მთელი ან მისი ბუნებრივი ნახევარტონებით; **დიატონიზმ-ი** — მუსიკალური სტილი, რომელშიც მელოდიისა, ჰარმონიისა და კონტრაპუნქტის ყველა ელემენტები გამომდინარეობენ დიატონიკური გამისაგან.

**დიატრიბა** (ბერძ. დიატრიბე), ლიტერატურული ნაწარმოები, — უმთავრესად პოლემიკური და სატირიკული ხასიათისა.

**დიაფორა**, ბერძ. („განსხვავება"): 1) ორ ცნებათა შორის განსხვავების გადმოცემა; 2) ერთისა და იმავე სიტყვის გამეორება წინადადებაში მნიშვნელობის გასაძლიერებლად.

**დიაფრაგმა**, ბერძ.: 1) გულ-მუცლის შუასაძგიდი; 2) ოპტიკურ ხელსაწყოთა (მიკროსკოპის,

ტელესკოპის და სხვ.) ნაწილი, რომელიც აკონცენტრირებს სინათლის სხივებს (იხ. კონცენტრირება).

**დიბრაქი**, ბერძ., ლექსთწყობაში: ორ-მოკლემარცვლიანი მუხლი.

**დიგამა** (ბერძ. დიგამმა „ორმაგი გამმა"), ბერძნული ანბანის მეექვსე ასოს სახელწოდება.

**დიგამია**, ბერძ., ორცოლიანობა; იგივეა, რაც ბიგამია (იხ.).

**დიგესტები** (მრავლ., ლათ. დიგესტა), რომის იურისტების გადაწყვეტილებათა და კანონთა კრებული, შედგენილი იუსტინიანე დიდის დროს (533 წ.), — რომის სამართლის მთავარი წყარო.

**დიდაქტიკა** (ბერძ დიდაქტიკოს „დამრიგებლობითი"), პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც შეიცავს მოძღვრებას სწავლების შესახებ; **ზოგადი დიდაქტიკა** — იკვლევს სწავლების მიზანს და საშუალებებს; **სპეციალური დიდაქტიკა** — წარმოადგენს ზოგადი დიდაქტიკის დებულებათა გამოყენებას ცალკე საგანთა სწავლებაში; აქედან: **დიდაქტიკოს-ი** — დიდაქტიკის მცოდნე, დახელოვნებული მასწავლებელი; **დიდაქტიკური** — : 1) დიდაქტიკის ხასიათის მქონე; 2) დამრიგებლობითი, მაგ.: **დიდაქტიკური პოეზია** — პოეზია, რომლის მიზანიცაა დამრიგებლობა, სასარგებლო ცნობების მიწოდება, მეცნიერულ ჭეშმარიტებათა გადაცემა და სხვ. (მაგ. არაკები, იგავები, ჰესიოდის პოემა „შრომანი და დღენი" და სხვ.).

**დიდასკალიონ-ი**, ბერძ.: 1) სათეატრო წარმოდგენების დადგმა ძველს ათენში (საბერძნეთში); 2) ოქმი, რომელშიც შეტანილია ასეთი დადგმისათვის ჯილდოს მიმღებ პირთა სახელები, დადგმულ ნაწარმოებთა სათაურები და სხვ.

**დიდახა** ან უკეთ **დიდა-ქა** (ბერძ. დიდაქე „მოძღვრება, სწავლება"), ახალი აღთქმის აპოკრიფული ლიტერატურის ერთერთი შესანიშნავი ძეგლი.

**დიდონა** ან უკეთ **დიდონ-ი** (ლათ. დიდო, -ონის): 1) პირვანდელი სახელი ასტარტისა (იხ.); 2) კართაგენის ზღაპრული დამაარსებელი ქალი; თავის ნებით დაიწვა თავი, რათა ინდოეთის მეფის ცოლად არ გაჰყოლოდა (ვირგილიუსის პოემით: მოიკლა თავი ხმლით — ენეასის ღალატის გამო).

**დიდრო**, დ. Diderot, D., 1713—1784), ფრანგი ფილოსოფოსი-რაციონალისტი, — ცნობილია მრავალმხრივი ნიჭითა და ცოდნით; ერთერთი დამაარსებელთაგანია ცნობილი „ენციკლოპედიისა" (იხ.), რომელმაც დიდი როლი ითამაშა საფრ. რევოლუციის იდეურად მომზადებაში.

**დიეზ-ი** (ბერძ. დიესის „გაშვება"), მუსიკაში: ნიშანი, რომელიც ამაღლებს ნახევარი ტონით ნოტს, რომლის წინაც ეს ნიშანი დაისმის.

**დიერეზ-ი** ან უკეთ **დიერესის-ი** (ბერძ. დიაირესის „გაყოფა, განსხვავება"): 1) გაჩერება ლექსში მუხლის ბოლოსთან დამთხვევით; 2) ერთი მარცვლის ორად გაყოფა (ამ გაყოფის ნიშანია 2 წერტილი მეორე ხმოვანზე, მაგ. ლათ. aër): 3) მედიცინაში: ძარღვების გაწყვეტა.

**დიეტა** (ბერძ. დიაიტა „ცხოვრება, ცხოვრების წესი"), შერჩეული სასმელ-საჭმელი, რომელსაც უნიშნავენ ავადმყოფს მისი ავადმყოფობის მიხედვით; აქედან: **დიეტეტიკა** — მედიცინის დარგი, რომელიც იკვლევს საკითხებს მიზანშეწონილი სმა-ჭამის შესახებ.

**დიეტები** (მრავლ., ლათ. dies-ისაგან „დღე", გერმ. Diäten), თავდაპირველად: დღიური ჯილდო მოხელეებს, ექიმებს და სხვ.; შემდეგ — პარლამენტის წევრებს.

**დივან-ი** (არაბ.-სპარს. dîwân): 1) მუსულმანთა ქვეყნებში: კანცელარია, სათათბირო; 2) ლექსთა კრებული რომლისამე ავტორისა; 3) ტახტი ნოხითა და ბალიშებით ან სკამი სხვადასხვა ზომისა, ჩვეულებრივ — რბილი.

**დივერგენცია** ან უკეთ **დივერგენც-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) საერთოდ: გაშლა, გადახრა; განსხვავება; 2) ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში და ენათმეცნიერებაში: ახლობელ წარმოქმნათა და ფორმათა ურთიერთ დაშორება განვითარების პროცესში.

**დივერსია** ან უკეთ **დივერსიონ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. diversion), სამხედრო საქმეში: ომის დროს ჯარის გადაჯგუფება მტრის ყურადღების მოსაშორებლად მთავარი სამოქმედო ადგილისაგან.

**დივერტირება**, ლათ.-ფრ. (diverter), ვისიმე გახალისება, გართობა; აქედან: **დივერტისმენტ-ი** (ფრ. divertissment) — სათეატრო წარმოდგენაში ჩართული ან ბოლოს მიმატებული რაიმე პატარა სამუსიკო ნაწარმოებები, კუპლეტები (იხ.) ან ცეკვა.

**დივთონგ-ი**, იხ. დიფთონგი.

**დივიდენდ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. dividende). სააქციო წამოწყების წლიური წმინდა შემოსავლის ნაწილი, რომელიც ერგება თვითეულ მონაწილეს მათმიერ შეტანილი თანხის შესაბამისად.

**დივიზია**, ლათ.-ფრ. (division-ისაგან), სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, შედგენილი რამდენისამე ბრიგადისაგან (იხ. ბრიგადა).

**დივიზიონ-ი**, ლათ.-ფრ. (division): 1) არტილერიისა და კავალერიის საშწყობრო ერთეულის სახელწოდება; 2) ერთი ტიპის სამხედრო გემთა შეერთების სახელწოდება.

**დიზართრია** ან **დისართრია**, ბერძ. (dys „ძნელ-", ართრონ, იხ.). მეტყველების გაურკვევლობა — ზოგიერთ ბგერათა წარმოთქმის გაძნელების გამო.

**დიზასოციაცია** ან **დისასოციაცია** (ლათ. დის- „გან"- გაყოფის ან დაშლის მნიშვნელობით, ასოციაცია, იხ.), „განკავშირება", კავშირის დაშლა, — დარღვევა, დაქსაქსვა.

**დიზელ-მოტორ-ი**, ასე ეწოდა გერმანელ ინჟ. მექანიკოსის, დ ი ზ ე ლ-ის (Diesel. 1858-1913) მიერ გამოგონებულ შიდაწვის მოტორს (იხ. მოტორი).

**დიზენტერია** (ბერძ. dys- „ცუდ"-, ენტერონ „ნაწლავი"), მუცელა; ნაწლავების გადამდები სნეულება, რომელსაც ახასიათებს სისხლიანი ფაღარათი.

**დიზიუნქცია** ან **დისიუნქცია** (ლათ. disjunctio), გაყოფა, განცალკევება; ლოგიკაში: ისეთ ცნებათა შეფარდება, რომელთა მოცულობაც სრულად არ ხვდება ურთიერთს, მაგრამ რომელნიც გაერთიანებულნი არიან გვაროვნული ცნებით.

**დითირამბ-ი** (ბერძ. dithyrambos); 1) ძველ საბერძნეთში: ღვინის ღმერთის, დ ი ო ნ ი ს ო ს-ის, საპატივცემო სიმღერა; 2) ახლა: ვისიმე გადაჭარბებული შექება; აგრეთვე ლიტერატურ. ნაწარმოები, სადაც გამოთქმულია ავტორის აღტაცებული განცდები.

**დიზურია** ან **დისურია** (ბერძ. dys „ძნელ"-. ovrein „შარდის დენა"), გაძნელებული და მტკივნეული შარდის დენა.

**დიკასტერი** ან **დიკასტერიონი**, ბერძ., ძველ საბერძნეთში, განსაკუთრებით, ათენში —სოლონის მიერ შემოღებული სასამართლო.

**დიკენს-ი**, ჩ. (Dickens, Ch.. 1812 — 1870), შესანიშ. ინგლის. მწერალი, რეალისტური რომანების ავტორი; დამახასიათებელია: უდიდესი ჰუმანურობა ჩაგრულისადმი და ულმობელი მოპყრობა ბოროტის მიმართ; უძლიერესი ჰუმორი; სიყვარული ბავშვისადმი (ზოგიერთი ნაწარმოები არის ქართულადაც).

**დიკეფალ-ი**, ბერძ., ორთავა.

**დიკტ-**, იხ. დიქტ-.

**დიკც-**, იხ. დიქც-.

**დილატაცია**, ლათ.-ფრ. (dilatation), გაფართოება, გაგანიერება; მედიცინაში: დავიწროებული მილების (მაგ. საშარდესი, საყლაპავისა) ხელოვნურად გაგანიერება ქირურგიული საშუალებებით; აქედან: **დილატატორები** (მრავლ.)—: 1) გამგანიერებელი კუნთები; 2) მილების გამგანიერებელი ქირურგიული იარაღები; **დილატომეტრ-ი**, ლათ.-ბერძ., ფიზიკაში: სითხეთა სითბური გაფართოების საზომი იარაღი (აგებულობით წააგავს თერმომეტრს).

**დილემა** (ბერძ. დილემმა): 1) ორი შესაძლო, ერთნაირად ძნელი გადაწყვეტილება, რომელთა შორისაც არჩევანი აუცილებელია; 2) დასკვნა, რომელსაც აქვს ორნაწევროვანი (დიზიუნქციური და ჰიპოთეტური) წინნამძღვარი.

**დილეტანტ-ი** (ფრ. dilettante), მოხალისე; რაიმე საგნის (ხელოვნების ან მეცნიერების) ზერელე მცოდნე; არასპეციალისტი; აქედან: **დილეტანტიზმ-ი** ანუ **დილეტანტობა** — მოხალისეობა; საგნის ზერელე მცოდნეობა, ან ამგვარი მოპყრობა ისეთი საგნისა, რომელიც ღრმა ცოდნას მოითხოვს.

**დილიჟანს-ი**, ლათ.-ფრ. (diliganse „სისწრაფე, გულმოდგინება"), სამოგზაურო ეტლი, რომელიც გარკვეულ დროს და გარკვეულ ადგილებს შორის მიმოდის და მგზავრების გადაყვანას აწარმოებს (ქართულად ამბობენ: დილიჟანი ან დელეჟანი).

**დილოგია**, ბერძ., ორაზროვნობა.

**დილუვი** ან **დილუვიუმ-ი**, ლათ. („წყალდიდობა, წალეკვა, წარღვნა"). ასე ეწოდება (ბიბლიურ წარღვნასთან დაკავშირებით) დედამიწის ქერქის განვითარების იმ ეპოქას, რომელიც წინუძღოდა თანამედროვეს; მასვე უწოდებენ აგრეთვე ყინულის ხანას; აქედან: **დილუვიალური** ან უკეთ **დილუვიური** — დილუვის დროის; დილუ-

**ვიანიზმ-ი** — მოძღვრება, რომლის თანახმადაც დედამიწის ქერქის შრეებში შენახული გადაშენებულ ცხოველთა გაქვავებული ნაშთები — შედეგია ქვეყნის წარღვნისა.

**დიმორფიზმ-ი**, ბერძ. (dis „ორჯერ“, „ორძაგ“-, მორფე „სახე“), ორმაგსახეობა; 1) ბოტანიკაში: ერთი სახის სხვადასხვა მცენარეზე ორგვარი ყვავილის წარმოქმნა; 2) ზოოლოგიაში: ერთისა და იმავე სახის ცხოველის ორგვარი ფეროვნობა ან ორგვარი აგებულობა.

**დინამის** (ბერძ. dynamis „ღონე“, „ძალა“); აქედან: **დინამიზმ-ი** — ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყოველი ნივთიერება წარმოადგენს მოქმედ ძალათა გამოვლენის ფორმას, — ყოველი მოვლენის მოქმედი მიზეზი მხოლოდ ძალაა; **დინამიკა** — : 1) მექანიკის ნაწილი, რომელიც იკვლევს კავშირს მოძრაობასა და მის გამომწვევ ძალებს შორის; 2) ჩვეულებრივ: ცვალება და მისი გამომწვევი ძალები; **დინამიკური** — დინამიკის ხასიათის მქონე, მისგან გამომდინარე და სხვ.; აგრეთვე — მოძრაობაში ყოფი; **დინამიტ-ი** — ძლიერი აფეთქებადი (ასაფეთქებელი) ნივთიერება, რომლის $^3/_4$ ნაწილი ნიტროგლიცერინია (იხ.); **დინამოლოგია** — იგივეა, რაც დინამიკა; **დინამო-მანქანა** — მექანიკური ძალის ელექტრულ დენად გარდამქმნელი მანქანა; **დინამომეტრ-ი** —: 1) ანთროპომეტრიაში: კუნთების ძალის, ღონის საზომი მოწყობილობა; 2) მექანიკაში: ძალის საზომი მოწყობილობა.

**დინარი**, იხ. დენარი.

**დინასტ-ი** (ბერძ. dynastês „მფლობელი“), აქედან: **დინასტია** — სამეფო გვარეულობა; მეფეთა რიგი ერთისა და იმავე გვარეულობიდან; **დინასტიური** — დინასტიის დამახასიათებელი; **სადინასტიო** — დინასტიისათვის განზრახული, განკუთვნილი და სხვ.

**დინოზავრები** ან **დინოხავრები** (მრავლ., ბერძ. deinós „საშიშარი“ და sauros „ხვლიკი“), უძველესი დროის ქვეწარმავალთა კლასის ერთერთი ჯგუფი, პოვნილია ამონათხრებში: უზარმაზარი ტანისა (მაგ. ამერიკისა აღწევს 40 მეტრს სიგრძით), აგებულობის ზოგიერთი ნაწილით უახლოვდება ფრინველს; უმრავლესობა დადიოდა უკანა ფეხებზე.

**დინოთერი** ან **დინოთერიუმ-ი** (ბერძ. deinos „საშიშარი“ და thēr „მხეცი“; ლათ. dinotherium), ამონათხრებში პოვნილი უზარმაზარი ძუძუმწოვართა კლასის ხორთუმიანი ცხოველი (4, 5 მეტრ. სიმაღლე), — ჰგავნდა სპილოს ხორთუმით და მორჟ-ს (ანუ მორზ-ს) ეშვებით.

**დიოგენ** (ან **დიოგენეს**) ს ი ნ ო პ ე ლ ი, ცინიკური ანუ კინიკური ფილოსოფიური სკოლის ერთი ცნობილი წარმომადგენელი (412 — 323), რომლის ძირითადი პრინციპი იყო: „უმაღლესი სათნოება მდგომარეობს სრულს დამოუკიდებლობაში — როგორც გარე სინამდვილისაგან, ისე საზოგადოებისაგანაც“; ამიტომ ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი მოთხოვნილებისაგან, რამდენადაც შესაძლებელია.

**დიონის-ი** ან **დიონისოს-ი**, ძველ საბერძნეთში: ღვინისა და მხიარულების ღმერთი, ძველ რომაელთა ბ ა კ ქ-ის შესატყვისი; დიონის-ის კულტისაგან (ე. ი. მის საპატივცემო დღესასწაულისაგან და სხვ.) წარმოიშვა სადრამო ხელოვნება.

**დიონისური დასაწყისი** — იხმარება ვნებიერობისა, უწესრიგობისა და დაუსრულებლობის აღსანიშნავად.

**დიოპტრ-ი** (ბერძ. დიოპტერ „ჯაშუში“), გეოდეზიაში: კუთხსაზომის ერთი ნაწილის რაიმე საგნისაკენ მიმმართველი მოწყობილობა.

**დიოპტრიკა** (ბერძ. დიოპტრიკე „შიგ გასახედი“), ფიზიკაში: ოპტიკის ერთი ნაწილი, — მოძღვრება შუქთ-ტეხის შესახებ.

**დიორამა**, ბერძ., გამჭვირვალე მასალაზე დახატული სურათი, რომელიც გვევლინება სხვადასხვა სახით იმის მიხედვით, თუ როგორ გავაშუქებთ მას.

**დიოსკურები** (მრავლ., ბერძ. Dioskoyroi), ძვ. ბერძენთა მითოლოგიით: ორი ტყუპი ძმა — კ ა ს ტ ო რ-ი და პ ო ლ ი დ ე ვ კ ე ს-ი (polydeukês). ძევსისა (გედის სახით) და ლედას ვაჟები, — ზღვაოსნობისა და სტუმართმოყვარეობის ღმერთები.

**დიოფანტ** ან **დიოფანტოს** ალექსანდრიელი, ბერძენი მათემატიკოსი (4 ს. ქ. შ.), მან პირველმა შემოიღო მათემატიკურ ამოცანებში შემავალ რიცხვთა და მოქმედებათა ნიშნები, — ალგებრის დამაარსებელი; ცნობილია განუსაზღვრელ განტოლებათა (დ ი ო ფ ა ნ ტ ო ს-ის ჰ ა ნ ტ ო-

ფ ე ბ ა ნ ი) ამოხსნით (დ ი ო ფ ა ნ ტ ო ს-ის ა ნ ა ლ ი ზ-ი).

**დიოფიზიზმ-ი**, ბერძ. („ორბუნებიანობა"), მოძღვრება, რომელიც სთვლიდა ქრისტეს ორი ბუნების (ღვთიურისა და ადამიანურის) მატარებლად; **დიოფიზიტები** (მრავლ.) — დიოფიზიზმის მიმდევარნი; **დიოფიზიტობა**—იგივეა, რაც დიოფიზიზმ-ი.

**დიოცეზ-ი**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. დიოიკესის „მმართველობა"): 1) რომის იმპერიაში: წინეთ სამოქალაქო, შემდეგ — სასულიერო-ადმინისტრაციული ერთეული; 2) კათოლიკურ ეკლესიაში: ეპისკოპოსს დაქვემდებარებული ოლქი.

**დიპლედეისკოპ-ი**, ბერძ. ხელოვნ. („ორმაგი სახის სახედავი"), ნამდვილი შუადღის გამომრკვევი ხელსაწყო.

**დიპლოკოკკები**, ბერძ.-ლათინ., ხელოვნ. („წყვილოვანი კოკკები"), მრგვალი ან ოვალური წყვილწყვილად შეერთებული კოკკები (იხ. ბაქტერია და კოკკები).

**დიპლომატ-ი**, ბერძ.-ევროპ. (იხ. დიპლომი): 1) ამა თუ იმ სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი სხვა სახელმწიფოში, აღჭურვილი განსაკუთრებული რწმუნებულობით (ამით განსხვავდება კონსულისა და აგენტისაგან); 2) გადატან. მნიშვნ.: მოხერხებული, გამოქნილი, არაგულწრფელი პიროვნება; აქედან: **დიპლომატური** — დიპლომატის დამახასიათებელი.

**დიპლომატია**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. diplomatie, იხ. დიპლომი), სახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთერთი დარგი, რომელიც განაგებს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საქმეებს; აქედან: **დიპლომატიური** — დიპლომატიის ხასიათის მქონე, მის შესახები და სხვ., მაგ.: **დიპლომატიური აგენტ-ი** — ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო ურთიერთობას სხვა სახელმწიფოსთან — გარეშე საქმეთა ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელობით; **დიპლომატიური კორპუსი** — დიპლომატიურ აგენტთა კრებული რომელსამე ერთ მთავრობასთან და სხვ.

**დიპლომატიკა**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. diplomatique, იხ. დიპლომი), ისტორიის მეცნიერების ერთერთი დარგი საბუთთა ფორმის შესახებ; სიგელთ-მცოდნეობა.

**დიპლომ-ი** (ბერძ. დიპლომა,-ატოს „ორად შეკეცილი"): 1) თავდაპირველად: ორ-ფურცლიანი ბარათი; 2) ახლა: მოწმობა; საბუთი, რომელიც მოწმობს უმაღლესი სკოლის გათავებას, რაიმე საზოგადოების (სამეცნ. ან სხვ.) წევრობას, რაიმე მიღწეულ წარმატებას და სხვ.

**დიპლოპია** ან **დიპლოპსია**, ბერძ. („ორმაგი ხედვა"), მხედველობის ნაკლი, რომელიც გამოიხატება საგნის გაორებაში.

**დიპსომანია**, ბერძ. (დიპსა „წყურვილი", მანია „სიგიჟე"), ლოთობისადმი ავადმყოფური მიდრეკილება.

**დირექტივა** ან უკეთ **დირექტივ-ი**, ლათ.-ევროპ. (გერმ. Direktive), განკარგულების ერთი ფორმა: სახელმძღვანელო ჩვენება ან დარიგება კერძოობითი საკითხების შესახებ — დაწესებულების, პარტიული ორგანიზაციის ან კერძო პირის მიმართ.

**დირექტორ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. directeur): 1) დირექტორიის (იხ.) წევრი; 2) რაიმე დაწესებულების (სკოლის, თეატრის, ფაბრიკის და სხვ.) ან წამოწყების სათავეში მდგომი პასუხისმგებელი პირი.

**დირექტორია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. directoire): 1) ისე ეწოდა საფრანგეთში 1795 წ. ხუთი პირისაგან (დირექტორისაგან) შედგენილს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელ კოლეგიას, — გაუქმდა 1799 წ. (იხ. ბრიუმერი); 2) დირექტორიის ეპოქა 1795 — 1799 წ. წ.

**დირექტრისა** ან **დირექტრის-ი**, ლათ.-ფრ. (directrice): 1) ქალთა სასწავლებლის გამგე; 2) მათემატიკაში: მეორე რიგის მრუდებში — წრფივი (სწორი) ხაზი, რომლის მიმართ მრუდის ყველა წერტილებს აქვსთ ერთნაირი თვისებები; 3) სამხედრო: სროლის მიმართულება.

**დირექცია** (ლათ. directio), მმართველობა, მმართველი ორგანო.

**დირიჟაბლ-ი**, ლათ.-ფრ. (dirigeable „რისმართვაც შესაძლებელია"), აეროსტატი (იხ.), რომელსაც მიმართავენ ნებისმიერი მიმართულებით.

**დირიჟორ-ი**, ლათ.-ფრ. (dirigeur „მმართველი"), დამკვრელთა ან მომღერალთა გუნდის და ან ცეკვის ხელმძღვანელი პირი; აქედან: **დირიჟორება** — დირიჟორის, როგორც ასეთის, მოქმედება.

**დისართრია**, იხ. დიზართრია.

**დისახოციაცია**, იხ. დიზასოციაცია.

**დისგრეგაცია**, ლათ.-ევროპ., განთეისება; ფიზიკაში: მოლეკულთა განთვისება (იხ. აგრეგაცია).

**დისენტერები** (მრავლ., ინგლ. dissenters), ინგლისში: ეწოდება იმ პირთ, რომელნიც არ ეკუთვნიან სახელმწიფო ეკლესიას.

**დისერტაცია**, ლათ.-ფრ. (dissertation „მსჯელობა"), რაიმე სამეცნიერო გამოკვლევა, წარდგენილი სამეცნიერო ხარისხის მისაღებად.

**დისექცია**, ლათ.-ფრ. (dissection), ადამიანის ან ცხოველის სხეულის (ან გვამის) გაკვრა სამეცნიერო მიზნით.

**დისიდენტ-ი**, ლათ.-ფრ. („სხვა-რჯულის"), პოლონეთში: არაკათოლიკე.

**დისიმილაცია**, ლათ.-ფრ. (dissimilation), განმსგავსება; ფონეტიკაში: ბგერათა-განმსგავსება: ერთ სიტყვაში ორ ერთნაირ (ან მსგავს) ბგერათაგან ერთის შეცვლა (მაგ. იმერული — იმეოური-ს ნაცვლად).

**დისიმულაცია**, ლათ.-ფრ. (dissimulation), დამალვა რაიმე არსებულისა, მაგ. დამალვა ავადმყოფის მიერ თავისი ავადმყოფობის ნიშნებისა; აქედან: **დისიმულირება** — იგივე მოქმედება.

**დისკანტ-ი** (ლათ. დისკანტუს „ორხმოვნობა"): 1) ხმის მსვლელობის ერთგვარი — ორხმოვნური — წესი; 2) ყველაზე მაღალი (წვრილი) სასიმღერო ხმა.

**დისკ-ი** ან **დისკო** (ბერძ. დისკოს): 1) ქვის ან ლითონის ბრტყელი წრე, რომელსაც ხმარობდენ ძველი ბერძნები ტანვარჯიშობის დროს — ჰაერში სასროლად და სხვ.; 2) მზისა და პლანეტების ხილული ფორმა.

**დისკობოლ-ი**, ბერძ., დისკის მსროლელი შეჯიბრების დროს ძველ საბერძნეთში.

**დისკონტ-ი**, იტ., პროცენტული დაკლება ვექსილის ფასზე განაღდების დროს; განაღდება; **დისკონტირება** — იგივე მოქმედება.

**დისკოს-ი**, ბერძ., ფეშხუმი.

**დისკრედიტ-ი**, ლათ. ხელოვნ., ნდობის დაკარგვა; **დისკრედიტირება** — იგივე მოქმედება.

**დისკრეცია** (ფრ. discrétion „თავშეკავებულობა, სიფრთხილე" და სხვ.); აქედან: **დისკრეციონული** ან **დისკრეციული უფლება** — მთავრობის, მოსამართლის და ადმინისტრაციის უფლება — იხელმძღვანელონ განსაკუთრებულ შემთხვევებში არა კანონის მიხედვით, არამედ პირადი შეხედულების თანახმად.

**დისკურს-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. discours), მეტყველება; საჯარო სიტყვა; **დისკურსიული აზროვნება** (ფრ. discursive) — ლოგიკაში: აზროვნების ისეთი გვარი, როცა მსჯელობის დროს იაზროვნება ყველა წინამძღვრები, რის გამოც მტკიცდება დასკვნის ყველასათვის საეალდებულო ხასიათი; **დისკურსიული შემეცნება** — ამგვარი აზროვნებით შემეცნება (უპირისპირდება ინტუიციურს, იხ.).

**დისკუსია**, ლათ.-ფრ. (discussion), რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა (სიტყვიერად ან წერილობით) — ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა აზრის მქონე პირთა მიერ; საერთოდ: დავა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა; აქედან: სადისკუსიო — სადაო, ჯერ კიდევ არგადაწყვეტილი, განსახილველი და სხვა.

**დისლალია** (ბერძ. dys „ძნელ-", ლალეინ „ტიკტიკი"), მეტყველების გაურკვევლობა წარმოთქმის მხრივ, — დამოკიდებულია სამეტყველო ორგანოთა (ბაგეთა, ენის, სასის და სხვ.) ნაკლისაგან.

**დისლოკაცია**, ლათ.-ფრ. (dislocation): 1) საერთოდ: გადაადგილება; 2) გეოლოგიაში: დედამიწის ქერქის ნაწილთა გადაძვრა — დედამიწის ბირთვის შეკუმშვის ან ფორმის ცვლის გამო; 3) ქირურგიაში: გადაადგილება ძვლის ნატეხებისა მოტეხის დროს ან სახსართა — ღრძობის დროს; 4) სამხედრო: ჯარების მდებარეობის განრიგება, ხომალდების განაწილება ნავსადგურებზე.

**დისოლუცია**, ლათ.-ფრ. (dissolution), ქიმიაში: გახსნა.

**დისონანს-ი**, ლათ.-ფრ. (dissonance), უთანხმოვნობა, შეუთანხმებლობა; მუსიკაში: ორი ტონის ისეთი შეერთება, რომელიც იწვევს უსიამოვნო გრძნობას და რომელიც ამიტომ მოითხოვს უფრო კეთილხმოვანზე გადასვლას.

**დისოციაცია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. dissociation): 1) საერთოდ: დაშლა შემადგენელ ნაწილებად, განკავშირება; 2) ქიმიაში: მოლეკულთა არასრული დაშლა გახურების გამო.

**დისპანსერ-ი**, ლათ.-ევროპ. (ინგლ. dispenser), „გამცემი, მიმცემი"), უფასო სამკურნალო, საიდანაც ღარიბებს ეძლევათ უფასო დარიგება და წამლები.

**დისპაშ-ი**, ლათ.-ფრ. (dispache), ავარიის მიერ მიყენებული ზარალის ოქმი, რომელსაც ადგენენ დისპაშერები (იხ.).

**დისპაშერ-ი** (იხ. დისპაში), ავარიის მიერ მიყენებული ზარალის დამფასებელი.

**დისპენსაცია**, ლათ.-ფრ. (dispensation): 1) ცოდვათა მიტევება; 2) კანონის მოქმედების გაუქმება კერძო შემთხვევისათვის; აქედან: **დისპენსირება** — იგივე მოქმედება.

**დისპეპსია** (ბერძ. dys „ძნელ"-, პეპსის „მონელება"), საჭმლის მონელების დარღვევა კუჭის წვენის არასაკმარისი მოქმედების გამო.

**დისპერსია**, ლათ.-ფრ. (dispersion „გაბნევა, გაფანტვა"), ფიზიკაში: შუქთ-გაბნევა.

**დისპოზიცია**, ლათ.-ფრ. (disposition „მდებარეობა, განწყობილება"): 1) წერილობითი განკარგულება უფროსისა ჯარებისადმი ბრძოლის წინ, სადაც ჩამოთვლილია მტრის მდებარეობა, ბრძოლის მიზანი და სხვ.; 2) წინასწარგანწყობილება.

**დისპუტ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. dispute): 1) პაექრობა, მეცნიერული კამათი; 2) სამეცნიერო ხარისხის მისაღებად წარდგენილი შრომის (იხ. დისერტაცია) საჯაროდ დაცვა.

**დისტილაცია**, იხ. დესტილატი.

**დისურია**, იხ. დიზურია.

**დისციპლინა** (ლათ. disciplina „სწავლა, დარიგება"): 1) მეცნიერება ან მისი ერთერთი დარგი; 2) ერთობლიობა წესებისა, რომლებიც სავალდებულოა ამა თუ იმ ორგანიზაციაში შემავალ წევრთათვის (აქედან: დისციპლინა სამხედრო, პარტიული და სხვ.); 3) გადატ. მნიშვნ.: უსიტყვოდ და ზედმიწევნით შესრულება მიღებული წესებისა და უფროსთა განკარგულებისა; აქედან: **დისციპლინირება** — წესების ასრულებაში გაწვრთნა; **დისციპლინარული** ან უკეთ **დისციპლინური** — დისციპლინის ხასიათის მქონე; **სადისციპლინო** — დისციპლინისათვის განკუთვნილი, მისთვის გამოსადეგი და სხვ.

**დისჰარმონია** (იხ. ჰარმონია), ჰარმონიის წესების დარღვევა, რომელიც იწვევს უსიამოვნობის გრძნობას (მუსიკაში); აქედან: **დისჰარმონიული** — არასასიამოვნო დარღვევა ჰარმონიის წესებისა.

**დიუიმ-ი**, იხ. დუიმი.

**დიუნ-ი**, იხ. დუინი.

**დიფამაცია**, ლათ.-ფრ. (diffamation), ვისიმე შერცხვენა, სახელის გატეხა; განსაზღვრული პირის სახელ-გამტეხი ცნობების გამოქვეყნება ბეჭდვითი სიტყვით; **დიფამირება** — იგივე მოქმედება; **დიფამატორ-ი** — ასეთი ცნობების გამომქვეყნებელი.

**დიფერენტ-ი**, ლათ.-ფრ. (différent), განსხვავებული, სხვა, არამსგავსი; აქედან: **დიფერენციალ-ი** (ფრ. différenticle) — მათემატიკაში: უსასრულოდ მცირე განსხვავების ზღვარი ცვლად ფუნქციასა, რომელმაც მიიღო უსასრულოდ მცირე ნაზარდი, და იმავე ცვლადის ფუნქციას შორის. **დიფერენციალური აღრიცხვა** — უმაღლესი ანალიზის დარგი, რომლის საგანსაც წარმოადგენს დიფერენციალები; **დიფერენცირება** — : 1) დიფერენციალურ აღრიცხვაში ანალიზის წარმოება; 2) მთლიანის დაშლა ნაწილებად (იხ. შემდეგი სიტყვა).

**დიფერენციაცია**, ლათ.-ფრ. (différentiation): 1) მოვლენათა გართულების პროცესი, რომელიც მდგომარეობს მთლიანის ნაწილებად დაშლაში — მთლიანობის დაურღვევლად; 2) გამოცალკევება, განსხვავების დამყარება განსაზღვრულ ფარგლებში; 3) საზოგადოებრივი დიფერენციაცია — ახალ კლასთა ან ჯგუფთა წარმოქმნა; **დიფერენცირება** — იგივე მოქმედება.

**დიფთერიტ-ი** ან **დიფთერია**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. diphthérie, ბერძ. დიფთერა-საგან „ტყავი, კანი"), ყელჭირვება; მძიმე გადამდები ავადმყოფობა — ლორწოვანი გარსის დაავადებით, განსაკუთრებით, ხახაში, ყელში და სხვ.

**დიფთონგ-ი** (ბერძ. დიფთოგგოს), ორხმოვანა; ორი ხმოვნის ისეთი შეერთება, რომელიც ქმნის ერთ მარცვალს (ფონეტიკაში).

**დიფირამბ-ი**, იხ. დითირამბი.

**დიფრაქცია**, ლათ.-ფრ. (diffraction), სინათლის სხივების გადახრა ვიწრო ხვრეტილებში გავლისა და არაგამჭვირვალე პატარა საგნების გარშემოვლის დროს.

**დიფტერიტ-ი**, იხ. დიფთერიტი.

**დიფუზია**, ლათ.-ფრ. (diffusion „გაფანტვა,

გაერცელება, მრავალსიტყვაობა"), 1) საერთოდ: ერთი რაიმე ნივთიერების ნაწილაკთა მეორისაში შესვლა, გაჯდომა (რწმა), რის შედეგადაც მიიღება ერთგვაროვანი სისტემა (ნარევი, ხსნარი); 2) სხვადასხვა ხვედრითი წონის აირთა (გაზთა) და სითხეთა შერევა; 3) სინათლის უთანაბრო არეკვა მქისე ზედაპირთაგან; აქედან: **დიფუნდირება** — იგივე მოქმედება; რწმა.

**დიქორდ-ი**, ბერძ., ორსიმიანი სამუსიკო საკრავი ძველ საბერძნეთში.

**დიქრომატული** (ბერძ. chrôma,-tos „ფერი"), ორფერიანი.

**დიქტანტ-ი**, ლათ., კარნახი; მართლწერის კარნახით სწავლების მეთოდი.

**დიქტატორ-ი** (ლათ. dictator): 1) ძველ რომში: რესპუბლიკის უფლება-შეუზღუდველი მმართველი, რომელიც ირჩეოდა განსაკუთრებულ შემთხვევაში 6 თვით; 2) საერთოდ: უფლებაშეუზღუდველი დროებითი მმართველი.

**დიქტატურა**, ლათ.-ფრ. (dictature): 1) დიქტატორობა; შეუზღუდველი მტკიცე ხელისუფლება; 2) ერთი საზოგადოებრივი კლასის გაბატონება—მეორე კლასის წინააღმდეგობის მოსასპობად; 3) **პროლეტარიატის დიქტატურა** — მუშათა კლასის შეუზღუდველი ბატონობა სახელმწიფოში ბურჟუაზიის წინააღმდეგობის მოსასპობად — კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტურისად შეცვლის ხანაში.

**დიქტოფონ-ი**, ლათ.-ბერძ., ხელოვნ., ლაპარაკის ჩასაწერი ფონოგრაფი (იხ.).

**დიქცია**, ლათ.-ფრ. (diction), წარმოთქმა; მეტყველების თავისებურობა წარმოთქმის მხრივ.

**დიხორდ-ი**, იხ. დიქორდი.

**დო** (do), თანამედროვე ძირითადი გამის პირველი ნოტი.

**დობლონ-ი**, იხ. დუბლონი.

**დოგარეს-ი**, იტ.-ფრ. (dogaresse), დოჟის ცოლი (იხ. დოჟი).

**დოგ-ი**, ინგლ. („ძაღლი"), ასე ეწოდება ინგლისური ან დანიური დიდი ტანისა და მძლავრ ძაღლს.

**დოგმა** (იხ. დოგმატი), იურისპრუდენციაში: დადებითი სამართლის სისტემატიური დალაგება (სამართლის ისტორიისაგან განსხვავებულად); იხ. დოგმატი 2.

**დოგმატ-ი** (ბერძ. დოგმა,-ტოს „აზრი, დადგენილება"): 1) საერთოდ: რაიმე მოძღვრების ძირითადი დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს და უცილობლად ითვლება; 2) ღვთისმეტყველებაში: ეკლესიის დოგმატი ანუ დოგმა — ჭეშმარიტება, რომელიც ითვლება ღვთის მიერ გამოცხადებულად, ემყარება საღვთო წერილზე და სავალდებულოა ეკლესიის ყველა წევრთათვის; აქედან: **დოგმატიზმ-ი** — არაკრიტიკული მიმართულება ფილოსოფიაში, რომელიც სწყვეტს სხვადასხვა საკითხებს—შემეცნების პირობების წინასწარ გამოურკვევლად; საერთოდ: არაკრიტიკული განწყობილება რაიმე საგნისადმი; **დოგმატიკა** — ქრისტიანული ეკლესიის დოგმატების დალაგება და დასაბუთება; **დოგმატიკური** — დაუმტკიცებლად მიღებული.

**დოვერ-ის ფხვნილი** (pulvis Doweri), ინგლისელი ექიმის მიერ (18 საუკ.) აღმოჩენილი — ხველების საწინააღმდეგო საშუალება.

**დოზა ან დოზ-ი**, ბერძ.-ფრ. (dose), მედიცინაში: კერძი; ერთ კერძად მისაღები წამლის ოდენობა: **დოზირება** — წამლის დოზებად დაყოფა; **დოზირებული** — კერძებად დაყოფილი.

**დოკ-ი**, ევროპ. (მაგ. ინგლ. dock), ნავსაყუდებელი; გემების გასაჩერებელი ადგილი (ხელოვნური წყალსათავი, არხი და სხ.), სადაც წარმოებს გემების დათვალიერება, შეკეთება და სხვ.

**დოკს-**, იხ. დოქს-.

**დოკტ-**, იხ. დოქტ-.

**დოკუმენტ-ი** (ლათ. documentum), საბუთი, მოწმობა.

**დოლარ-ი** (ინგლ. dollar), ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების მონეტის (ფულის) ძირითადი ერთეული (უდრის დაახლოებ. 2 მანეთს).

**დოლიხოცეფალ-ი ან უკეთ დოლიქოკეფალ-ი** (ბერ. დოლიქოს „გრძელი", კეფალე „თავი"). გრძელთავიანი, გრძელ-თავისქალიანი; აქედან: **დოლიქოკეფალია** — გძელ-თავისქალიანობა.

**დოლმან-ი**, უნგრ., ჰუსართა (იხ. ჰუსარი) საზეიმო ტანსაცმელი.

**დოლმენ-ი, დოლმენები,** (კელტ.?), წინარე ისტორიული გაუთლელი ქვის ძეგლები სხვადასხვა ქვეყნებში, მაგ. ინდოეთში, არაბეთში, ევ-

როპაში და სხვ., — წარმოადგენს პატარა ოთახებს მიწის ზედაპირზე ან ნახევრად მიწაში ჩადგმულს.

**დოლომან-ი**, იხ. დოლმანი.

**დომენ-ი, დომენები**, ლათ.-ფრ. (domaine „მამული, სამფლობელო"), სახელმწიფო ან საუფლისწულო მამულები; აქედან: **დომანიალიზირება**—საუფლისწულო ქონებად ჩარიცხვა.

**დომინიკანელები** (მრავლ.), წმ. დომინიკეს მიერ (1215 წ.) დაარსებული კათოლიკეთა ორდენის წევრები (ამ ორდენმა დიდი გავლენა მოიპოვა თავისი ქადაგებით, სამეცნიერო-სღვთისმეტყველო მოღვაწეობით და მწვალებლობასთან ბრძოლით).

**დომინიონ-ი**, ლათ.-ინგლ., კოლონიალური სამფლობელო, ფართო თვითმართველობის უფლებით.

**დომინირება**, ლათ.-ევროპ. (ფრ. dominer „ბატონობა"): 1) სამხედრო: მტრის ჯარზე უფრო მაღალი ადგილის დაკავება; 2) საერთოდ. ბატონობა, უპირატესობის ქონა; აქედან: **დომინანტ-ი** — აკორდის მთავარი ტონი (მუსიკაში).

**დომინო**, ლათ.-იტ.: 1) ერთგვარი თამაში; 2) სასულიერო პირთა საზამთრო ტანსაცმელი იტალიასა და ისპანიაში; აგრეთვე ერთგვარი სამასკარადო ტანსაცმელი (უსახელოებო ან ფართე სახელოებიანი).

**დომკრატ-ი** (გერმ. Daumkraft), დიდ სიმძიმეთა (ორთქლმავალთა, ვაგონთა და სხვ.) ასაწევი მოწყობილობა.

**დონ**, ისპ., ბატონი; აზნაურის ტიტული ისპანიაში; **დონა** (**დონნა**) — ქალბატონი; აზნაურის ქალის ტიტული ისპანიაში.

**დონატისტები** (მრავლ.), აფრიკაში (IV საუკ.) წარმოშობილი ქრისტიანული სექტის წევრები. (სახელწოდება — ეპისკ. დ ო ნ ა ტ უ ს-ისაგან).

**„დონბასს"** — ასე ეწოდება შემოკლებულად საბჭოთა კავშირში დონეცის საქვანახშირო ბასეინს, სადაც მოიპოვება მაღალხარისხოვანი ქვანახშირი და ანთრაციტი (იხ).

**დონკიხოტ-ი** (Don Quichote), ისპანელი მწერლის, ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი ს, ცნობილი რომანის გმირი, რომელიც მუდამ კეთილშობილური მიზნებით ებრძვის ცხოვრების უწესრიგობას სასაცილო საშუალებებით, რის გამოც მუდამ მარცხდება; აქედან დ ო ნ კ ი ხ ო ტ ი გადაიქცა საზოგადო სახელად კეთილ-განზრახვებიანი, მაგრამ გულუბრყვილო გამოუცდელი მებრძოლისათვის; აქედან: **დონკიხოტური მოქმედება, დონკიხოტობა** და სხვ.

**დონჟუან-ი** (Don Juan), ისპანურ თქმულებათა ერთი გმირი, რომელიც ხშირადაა გამოყვანილი ევროპის სხვადასხვა დროის სალიტერატურო ნაწარმოებებში (მოლიერის, ბაირონის, პუშკინის და სხვათა) და რომელსაც ახასიათებს მანკე ფუქსავატი დროსტარება; აქედან დონჟუანი იქცა საზოგადო სახელად და ეწოდება განსაკუთრებით მოარშიყე პირს; აქედან: **დონჟუანიზმ-ი** — დონჟუანობა და სხვ.

**დოჟ-ი**, იტ., უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენელი გენუისა და ვენეციის რესპუბლიკებში.

**დორიული** ან **დორიკული სტილი**, ხუროთმოძღვრებაში: ხასიათდება სვეტების სიგლუვით და ფორმათა სიმარტივითა და გამოკვეთილობით (სახელწოდება დაკავშირებულია ძველ ბერძენთა ერთერთი ტომის, დ ო რ ი ე ლ თ ა, სახელთან).

**დორმეზ-ი** (ფრ. dormeuse), ერთგვარი სამოგზაურო ეტლი, — დასაძინებლად გამოსადეგი.

**დორსალური** ან **დორსული ბგერები** (ლათ. dorsum „ზურგი"), ასე ეწოდება იმ ბგერებს, რომელნიც იწარმოებიან ენის ზურგის აწევით რბილი ან მაგარი სასის მიმართ (მაგ. კ, გ, ს, ზ და სხვა).

**დორტუარ-ი** (ფრ. dortoir), საერთო დასაძინებელი ოთახი.

**დოტაცია** (ფრ. dotation), სახელმწიფოს მიერ ფულადი დახმარება რაიმე დაწესებულებისათვის—ქონებრივ საშუალებათა გასაძლიერებლად ან დეფიციტის დასაფარავად: აქედან: **დოტირება** — იგივე მოქმედება.

**დოფინ-ი**, ლათ-ფრ. (dauphin), საფრანგეთში: ტახტის მემკვიდრეთა ტიტული ბურბონების დროს.

**დოქსოგრაფები** (მრავლ., ბერძ. doxa „აზრი, დიდება", graphō „ვწერ"), ძველ საბერძნეთში: მწერლები, რომელნიც აგროვებდნენ ფილოსოფოსთა აზრებს.

**დოქსომანია** (ბერძ. doxa „სახელი, დიდება", მანია „სიგიჟე"), ავადმყოფური სახელის-მოყვარეობა.

**დოქტორ-ი**, ლათ. („მასწავლებელი“): 1) საშ. საუკ.: მეცნიერთა საპატიო სახელი, შემდეგ — სამეცნიერო ხარისხი; 2) უმაღლესი სამეცნ. ხარისხი; აქედან: **დოქტორანტ-ი** — დოქტორის ხარისხისათვის გამოცდებ-ჩაბარებული, რომელსაც სადოქტორო დისერტაცია (იხ.) არ დაუცავს; 3) საყოველდღეო ცხოვრებაში: **დოქტორ-ი** — ექიმი.

**დოქტრინა**, ლათ., მოძღვრება; თეორია; აქედან: **დოქტრინერ-ი** —: 1) ის, ვინც მსჯელობს და აზროვნობს თეორიულად — შეუმოწმებელ ფაქტებზე დაყრდნობით — რაიმე მოძღვრების გამართლების მიზნით; 2) **დ ო ქ ტ რ ი ნ ე რ ე ბ ი** (ძრაველ.) — ასე ეწოდა საპარლამენტო ოპოზიციის წევრებს საფრანგეთში, — უარყოფდენ რევოლუციის პრინციპს, მაგრამ იცავდენ მის მიერ შექმნილ მიღწევებს, — ცდილობდენ ახალი წესწყობილების თეორიულად დასაბუთებას, — განსაკუთრებით ძლიერნი იყვნენ 1818 — 20 წ..

**დოღმა, დოღმატ-ი**, იხ. დოგმა, დოგმატი და სხვ.

**დოცენტ-ი**, ლათ. (დოცენს „მასწავლებელი“), მეცნიერი მასწავლებელი და ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; **დოცენტურა** — დოცენტობა, დოცენტის თანამდებობა; დოცენტის შესაფერი საშტატო ადგილი უმაღლეს სასწავლებელში.

**დრაგაჟ-ი** (ფრ. draguage), ზღვის ან მდინარის ფსკერის გაწმენდა ან გამოკვლევა; **დრაგირება** — იგივე მოქმედება.

**დრაგომან-ი**, არაბ.-ევროპ., თარჯიმანი.

**დრაგუნები**, ლათ.-ევროპ., ცხენოსანი ჯარისკაცები, რომელთაც შეუძლიათ ბრძოლის წარმოება ქვეითადაც; აქედან: **დრაგონადა** —: 1) დრაგუნთა ჩაყენება პროტესტანტთა სახლებში (საფრანგეთში ლუდოვ. XIV დროს) პროტესტანტიზმის აღმოსაფხვრელად; 2) გადატ. მნიშვნ.: სამხედრო ძალის საშუალებით რაიმე ზომების გატარება მთავრობის მიერ.

**დრაკონ-ი**, ბერძ.: 1) ათენის სახელმწიფო მოღვაწე (VII საუკ. ქ. წ.), ცნობილი სასტიკი კანონების შექმნით; აქედან: **დრაკონის წესები** — სასტიკი წესები; 2) ძველი საბერძნ. და აგრეთვე სხვა ხალხთა მითოლოგიაში: ზღაპრული ცეცხლის მფრქვეველი ცხოველი; ურჩხული; 3) ერთი გვარის ხვლიკი.

**დრამა**, ბერძ. („მოქმედება, საქმე“): 1) საერთოდ: სალიტერატურო ნაწარმოები, რომელიც გამოხატავს ცხოვრებას მოქმედებაში და რომელიც განკუთვნილია უმეტესად სათეატრო სცენაზე წარმოსადგენად, — შეიცავს სამ სახეს — ტრაგედიას, კომედიას და კერძოდ დრამას; 2) კერძოდ: ისეთი (უმთავრესად სასცენო) ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს მოქმედი პირის (გმირის) ღრმა განცდებს და ინტერესთა სერიოზულ შეჯახებას ანუ ბრძოლას; 3) გადატან. მნიშვნ.: შემაძრწუნებელი ამბავი ან ასეთივე შემთხვევა კერძო პირის ცხოვრებაში; აქედან: **დრამატიზაცია** — დრამის ფორმის ან ხასიათის მიცემა; **დრამატიზირება** — იგივე მოქმედება, გადრამება; **დრამატიზმ-ი** — დრამის (2) შესაფერი განვითარება მოქმედებისა; სადრამო სულიერი ბრძოლის გამოხატვა; **დრამატურგია** —: 1) დრამის შექმნა; 2) სადრამო ხელოვნების მოძღვრება; **დრამატურგ-ი** — დრამის შემქმნელი.

**დრაპ-ი**, ფრ., სქელი და მკვრივი ქსოვილი; მაუდი (ქართულად ამბობენ: **დ რ ა ფ ი**); აქედან: **დრაპირება** — რაიმე ქსოვილის ხელოვნურად დანაოჭება რაიმე საგანზე (ფანჯრებზე, კიდელზე და სხვ.) ან ადამიანის ტანზე.

**დრახმა ან დრაქმა** (ბერძ. drachmē): 1) ძველი ბერძნული მონეტის (ფულის) ერთეული ($37^1/_2$ კ.); 2) სააფთიაქო წონის ერთეული ($^7/_8$ მისხ.).

**დრედნოუტ-ი** (ინგლ. dreadnought „უშიშარი“), დიდი ტანის სამხედრო დაჯავშნული გემი.

**დრეზინა ან დრეზინ-ი**, რკინისგზის რელსებზე სატარებელი ურემი, — ამოძრავებს ზედმჯდომი განსაკუთრებული მექანიზმით (გამოგონილია Drais-ის მიერ 1817 წელს).

**დრეიფ-ი** (ინგლ. drift): 1) ხომალდის სწორი გზიდან აცდენა; 2) ხომალდის უძრავი მდგომარეობა ზღვაში.

**დრეიფუს-ი**, ა. (Dreyfus A., დაიბ. 1859), ელზასელი ებრაელი, საფრანგეთის ლაშქრის კაპიტანი, — ცნობილია მით, რომ მას დაბრალდა (1894 წ.) სახელმწ. ღალატი (გერმანიისათვის სამხედრო საიდუმლოთა გადაცემა): ხანგრძლივი და საქვეყნოდ გახმაურებული პროცესის (**დ რ ე ი ფ უ ს ი ს პ რ ო ც ე ს ი**) შემდეგ გამოირკვა, რომ ბრალდება ყალბია — მონარქისტულ-

ანტისემიტური წრეების შექმნილი (1906 წ. აღდგენილ იქნა უფლებებში).

**დრენაჟ-ი** (ფრ. drainage): 1) ჭაობების ამოშრობა წყალამქცევი მიწისქვეშა არხებით; 2) ქირურგიაში: ჭრილობიდან ჩირქის მოცილება მარლისა და კაუჩუკის მილების საშუალებით; **დრენირება** — ასეთივე მოქმედება.

**დრესირება** (ფრ. dresser): 1) ცხოველთა წრთვნა რაიმე მოქმედების შესასრულებლად, მაგ. საცირკოდ; **დრესირებული** — გაწვრთნილი; **დრესაჟ-ი** ან **დრესურა** — ასეთი წრთვნა და სხვ.; 2) ყოველგვარი მექანიკური (გარეგნული) გაწვრთნა.

**დრიადა** ან **დრიად-ი** (ბერძ. dryas,-ados „ხე"), ბერძნ. მითოლ.: ტყის ნიმფა.

**დროგისტ-ი** (ფრ. droguiste, ჰოლ. droog-ისაგან „მშრალი"), სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე.

**დრუიდები** (მრავლ., კელტ.-ლათ. druides), ძველი კელტების ქურუმები, რომელთაც ჰქონდათ თავისებური რელიგია (**დრუიდიზმ-ი**); დამახასიათებელია მათთვის ხალხში მოღვაწეობა (მათი ერთერთი ნაწილი იყვნენ ბარდები, იხ.).

**დრუმონდ-ი**, თ. (Drummond Th., 1797—1840), ცნობილი ირლანდელი ინჟინერი, — სინათლის ახალი წყაროს — დ რ უ მ ო ნ დ-ი ს ს ი ნ ა თ ლ ე — აღმომჩენი.

**დუალიზმ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. dualisme, ლათ. duo „ორი"): 1) საერთოდ: ორმაგობა; 2) ძველ ფილოსოფიასა და რელიგიაში: ორი დასაბამის — კეთილისა და ბოროტის — აღიარება; 3) ახალ ფილოსოფიაში: მოძღვრება, რომელიც აღიარებს არსებობის ორ დასაბამს — სულსა და მატერიას (იხ., 2), რითაც უპირისპირდება მონიზმს (იხ.); აქედან: **დუალისტ-ი** — დუალიზმის მიმდევარი; **დუალისტური** მსოფლმხედველობა და სხვ.

**დუბლ-** (ფრ. double „ორმაგი"), აქედან: **დუბლაჟ-ი** (ფრ. doublage) — ხომალდის ორმაგი შემოკვრა, შემოფიცვრა; **დუბლეტ-ი** (ფრ. doublet) — : 1) რაიმე საგნის მეორე ცალი; 2) ორლულიანი თოფიდან ზედიზედ ორჯერ გასროლა ხელჩამოუშვებლივ; 3) ბილიარდზე (იხ.) თამაშში ერთგვარი ჯახება; **დუბლიკატ-ი** — რაიმე საბუთის მეორე ცალი, რომელსაც პირველის მნიშვნელობა აქვს; **დუბლირება** — გამეორება, გაორება, გაორკეცება, მაგ. სცენიკური საქმეში: რამდენიმე ძაფის ერთად შეერთება და სხვ.; **დუბლურ-ი** (ფრ. doublure) —: 1) სარჩული; 2) მონაცვლე მსახიობი.

**დუბლონ-ი**, ისპ., ოქროს მონეტა (ფული) ისპანიასა და ამერიკაში (უდრის დაახლოვებ. 3 მან.).

**დუელ-ი**, ლათ.-ფრ. (duel), ორთა ბრძოლა რაიმე იარაღით გაწვევის თანახმად — ჩვეულებრივ, რაიმე შეურაცხყოფის გამო (არის უიარაღო დუელიც, იხ. მაგალ., ამერიკული დუელი); აქედან: **დუელანტ-ი** და **დუელისტ-ი** — დუელში გამომწვევი ან გამოწვეული; დუელის მოყვარული.

**დუეტ-ი** (იტ. duetto), მუსიკაში: 1) ორი ხმისათვის ან ორი ინსტრუმენტისათვის შედგენილი მუსიკალური ნაწარმოები; 2) ასეთის შესრულება.

**დუზენ-ი**, იხ. დუჟინი.

**დუიმ-ი** (ჰოლ. duim „გოჯი"), სიგრძის საზომი (უდრის 1/28 არშ.).

**დუინ-ი**, **დუინები** (ჰოლ. duin, ფრ. duine), ქარისაგან დაგროვილი სილაყრილი ზღვის ნაპირებზე ბორცვების სახით.

**დუკატ-ი**, საშ. საუკ. ლათ. (დუკატუს), ოქროს მონეტა (ფული) დასავლეთ ევროპაში (დაახლ. 3 მან.).

**დულცინეა**, ისპ., დონკიხოტის (იხ.) სატრფო, — გულის ვარდი; იქცა საზოგადო სახელად: სატრფო, მიჯნური.

**დუმ-დუმ-ი**, ევროპ. (მაგ. ფრ. dum-dum), გასასკდომი თოფის-ტყვია.

**დუჟინ-ი** (ფრ. douzaine, რუს. дюжина), თორმეტი ცალი, თორმეტეული.

**დუშეს-ი** (ფრ. duchesse „ჰერცოგის ქალი"), ერთგვარი მსხალი — მსხვილი და კარგ-სუნიანი.

**დუშ-ი** (ფრ. douche): 1) წყლის ჭავლი; 2) წყლით მკურნალობის ერთი ხერხი, როცა წყლის ჩხეფები ეცემიან სხეულს ზევიდან (არის სხვადასხვა სახის დუში).

**დუხობორები** (მრავლ., რუს. духоборы), ქრისტიანული რელიგიური სექტა რუსეთში 18 საუკუნიდან; არ სცნობენ ეკლესიას, საეკლ. წესებს, სამხედრო სამსახურს და სხვ.; იდევნებოდენ მეფობის ხანაში; მრავალი გადასახლდა კანადაში (ამერიკა).

# ე

**ებენ-ი** (ბერძ. ებენოს „შავი ხე"), ასე ეწოდება შავი ხის მერქანს, რომელიც წარმოადგენს ძვირფას სადურგლო მასალას; ცნობილია სიმაგრით, სიმძიმით და პრიალის ამტანლობით; აქედან: **ებენისტ-ი** (ფრ. ébeniste), ნაზი სადურგლო სამუშაოების ხელოსანი.

**ებონიტ-ი**, ბერძ.-ევროპ., ხელოვნ. (ფრ. ébonite). ვულკანიზირებული (იხ.) კაუჩუკი (იხ.), რომლისაგანაც აკეთებენ სავარცხლებს, ჯოხებს და სხვ.

**ეგალიტალური** ან **ეგალიტური** (ფრ. égalité „თანასწორობა") — გამათანასწორებელი, თანასწოროუფლებიანი; **ეგალიტარისტ-ი** — გათანსწორების მომხრე.

**ეგერ-ი**, **ეგერები** (გერმ. Jäger „მონადირე"), რუსეთში რევოლუციამდე: მსუბუქი ქვეითა ჯარი; ჯარის განსაზღვრული ნაწილები; **ეგერმეისტერ-ი** — სასახლის მოხელის წოდება.

**ეგერია**, ლათ., მითოლოგ.: ნიმფა, რომელმაც რომის მეფის. ნუმა პომპილიუსს, ჩააგონა კანონების შედგენა.

**ეგზალტაცია** (ლათ. exaltatio „ამაღლება"), აღტაცება, აგზნება; აღტაცებულობა; აქედან: **ეგზალტირება** — იგივე მოქმედება; **ეგზალტირებული** — აგზნებული და სხვ.

**ეგზამენ-ი** (ლათ. examen), გამოცდა; **ეგზამენატორ-ი** — გამომცდელი.

**ეგზაგერაცია**, ლათ.-ფრ. (exagération), გაზვიადება. გადამეტება.

**ეგზარქ-ი** ან **ეგზარქოს-ი** (ბერძ. exarchos): 1) ბიზანტიის იმპერატორის მოადგილის (იტალიაში) ტიტული; 2) მღვდელ-მთავართა უფროსის ტიტული; სასულიერო ოლქის გამგე; **ეგზარქატ-ი** — ეგზარქს დაქვემდებარებული, მისი სამწყსო; ავტონომიური საეპისკოპოსო.

**ეგზეგესის-ი** (ბერძ. exegesis „მარჯვა, განმარტება"), ახსნა-განმარტება, ჩვეულებრივ — ბიბლიისა; **ეგზეგეტიკა** — მეცნიერება რაიმე ნაწარმოების (ჩვეულებრივ, ბიბლიის) ახსნა-განმარტების შესახებ; **ეგზეგეტ-ი** — ეგზეგეტიკის მცოდნე.

**ეგზეკუტორ-ი** (ლათ. executor): 1) წესიერებისა და სამნეო ნაწილის გამგე რაიმე დაწესებულებაში; 2) სასამართლოს განაჩენის სისრულეში მომყვანი; **ეგზეკუცია** — : 1) რაიმე საჯარო დასჯის სისრულეში მოყვანა; 2) დამსჯელი რაზმის ჩაყენება მცხოვრებთა სახლკარში; 3) თვით ასეთი რაზმი.

**ეგზემა** (ბერძ. exema), კანის გადამდები სნეულება, რომელსაც თანსდევს ქავილი.

**ეგზემპლარ-ი** (ლათ. exemplar): 1) ნიმუში; 2) ერთგვარ საგანთა ერთი ცალი.

**ეგზოგამია**, ბერძ. ხელოვნ. („გარე-ცოლიანობა"), სხვა ტომის ქალის შერთვა პატრიარქატის (იხ.) ხანაში..

**ეგზოსმოს-ი**, ბერძ. ხელოვნ. („გამოძევებული"), ოსმოსურ წნევაზე (იხ.) დამყარებული მოვლენა: სითხის მიმდინარეობა შიგნიდან გარეთ — აპკით გაყოფილ ორ სითხეთა მიმოქცევის დროს (ე ნ დ ო ს მ ო ს-ი — სითხის მიმდინარეობა გარედან შიგნით იმავე მიმოქცევის დროს).

**ეგზოტერიკული**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. exotérique), ცხადი, ყველასათვის ხელმისაწვდომი და გასაგები (შეად. ეზოტერიკული).

**ეგზოტიკა** (ბერძ. exôtikós „უცხოური"), ისეთ თვისებათა ერთობლიობა, რომელნიც ახასიათებენ უცხო ქვეყნებს (იგულისხმება ჩვეულებრივ: არაჩვეულებრიობა, ვნებიერობა და სხვ.); აქედან: **ეგზოტიკური** — უცხოური, არაჩვეულებრივი და სხვ. (იგულისხმება ჩვეულებრივ: ცხელ ქვეყანათა, მაგ.: **ეგზოტიკური მცენარეები** — შორეული ცხელი ქვეყნებიდან მოტანილი მცენარეები, რომელნიც ცოცხლობენ, ჩვეულებრივ, მხოლოდ ორანჟერიებში (იხ.).

**ეგიდა** (ბერძ. აიგის,-იდოს „თხის ტყავი"): 1) ძევსის ან ათენის (საბერძ.) მფარველი ქალღმერთის, ა თ ი ნ ა-ს, საშიშარი ფარი; აქედან: 2) მფარველობა ძლიერის მხრივ.

**ეგიპტოლოგია** ან **ეგვიპტოლოგია**, მეცნიერება ეგვიპტის ენისა, რელიგიისა და სიძველეთა შესახებ.

**ეგოიზმ-ი** (ლათ. ეგო „მე" ბერძ. დაბოლოებით), თავისთავის სიყვარული; მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის ზრუნვა; აქედან: **ეგოისტ-ი** — ეგოიზმით გამსჭვალული, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე მზრუნველი.

**ეგოთეიზმ-ი** (ლათ. ეგო „მე", იხ. თეიზმ-ი), თავისი პიროვნების გაღმერთება (იგულისხმება. მუდამ თავისთავზე ლაპარაკი).

**ეგოტიზმ-ი**, ლათ.-ევროპ., ხელოვნ. (ფრ. égotisme „მეობა"), იგივეა რაც ეგოთეიზმი.

**ეგოცენტრიზმ-ი**, ლათ. ხელოვნ., მსოფლმხედველობა, რომლის თანახმადაც ადამიანის პიროვნება (ჩემი „მე") არის ყველაფრის ცენტრი, — წარმოადგენს უკიდურეს ინდივიდუალიზმს (იხ.).

**ედა** (ედდა), ძვ. ისლანდ., ასე ეწოდება ძველი ჩრდ. გერმანული (სკანდინავიის) ლიტერატურის ორ ძეგლს (უ ფ რ ო ს ი და უ მ ც რ ო ს ი ე დ ა).

**ედემ-ი**, ძვ. ებრ. („ნეტარება"), სამოთხე.

**ედიკტ-ი**, იხ. ედიქტი.

**ედილები** (მრავლ., ლათ. aediles), თანამდებობის პირნი ძვ. რომში (V ს. ქ. წ.—III ქ. შ.): განაგებდნენ პოლიციას (იხ.), სახალხო გასართობებისა და საგზაო საქმეებს და სხვ.

**ედისონ-ი**, თ. ა. (Edison, Th. A., დაიბადა 1847 წ.), შესანიშნავი ამერიკელი ფიზიკოსი, მრავალ ელექტრულ აპარატთა გამომგონი და გამაუმჯობესებელი; სხვათა შორის, მან გააკეთა პირველი ფონოგრაფი.

**ევა**, ებრ. („სიცოცხლე"), ბიბლიით: ადამის გვერდისაგან შექმნილი პირველი ქალის სახელი.

**ევაკუაცია**, ლათ.-ფრ. (évacuation „დაცლა, გაწმენდა"), ამა თუ იმ ადგილის დაცლა ხალხისაგან ან დაწესებულებათაგან — რაიმე საშიშროების ან სხვა მიზეზის გამო; უცხოური ჯარის გაყვანა ამა თუ იმ ქვეყნიდან; აქედან: **ევაკუირება** — იგივე მოქმედება.

**ევანგელიკები** (მრავლ., ბერძ. ევაგგელიონ „სახარება"), იგივეა, რაც პროტესტანტები (იხ.); **ევანგელისტები** — : 1) სახარების ავტორები; 2) ერთერთი ქრისტ. სექტის სახელწოდება.

**ევგენიკა** (ბერძ. eygenês „კარგი ჯიშის"), მეცნიერება, რომელიც იკვლევს მემკვიდრეობის საკითხებს, — იმ ფაქტორებს, რომლებსაც გავლენა აქვსთ შთამომავლობის შექმნაზე.

**ევდემონიზმ-ი** (ბერძ. eydaimonia-საგან „ბედნიერება, კეთილდღეობა"), ფილოსოფიურზნეობითი მოძღვრება, რომლის თანახმადაც ცხოვრების მიზანი და ზნეობის საზომი — ბედნიერების მიღწევაა.

**ევდიომეტრ-ი** (ბერძ. eydios „წყნარი, დარი", მეტრონ „საზომი"), მჟავბადისა და სხვა აირთა (გაზების) გამოსაკვლევი ხელსაწყო.

**ევკალიპტ-ი**, ბერძ.-ლათ. (eucalyptus), ხისებრი მცენარე, — იზრდება ავსტრალიაში, ახალ-ზელანდიაში და სხვ.; ზოგჯერ აღწევს უზარმაზარ სიმაღლესა და სისქეს; მისი ფოთლები მდიდარია ეთეროვანი ზეთებით; მერქანი, როგორც მკვიდრი მასალა, და ქერქი გამოყენებულია საამშენებლო და სადურგლო საქმეში; აგრეთვე — მედიცინაში.

**ევკლიდ-ი** ან უკეთ **ევკლიდეს-ი** (eykleidês), შესანიშნავი ბერძენი მათემატიკოსი (III ქ. წ.), რომელმაც მეცნიერულ სისტემაში მოიყვანა იმ დროის ცნობილი წმინდა მათემატიკა, — განსაკუთრებით ცნობილია გეომეტრიით.

**ევმენიდები** (მრავლ., ბერძ. eymenides), შურისძიების ქალ-ღმერთები (გველებით თავზე).

**ევნუქ-ი** (ბერძ. eynoychos „სარეცლის მსახური"), საჭურისი, ჰარამხანის მსახური.

**ევოკაცია** (ლათ. evocatio), გამოწვევა.

**ევოლუცია** (ლათ. evolutio „გაშლა"), თანდათანი განვითარება; თანდათანი და კანონზომიერი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში; აქედან: **ევოლუციონური** ან უკეთ **ევოლუციური** — ევოლუციის ხასიათის მქონე, მაგ.: **ევოლუციური თეორია** — მოძღვრება ცოცხალი ბუნების ფორმათა თანდათანი და კანონზომიერი განვითარების შესახებ, — იკვლევს მსოფლიოს, როგორც მუდმივი მოძრაობისა და გარდაქმნის პროცესში მყოფს. (იხ. დარვინიზმი); **ევოლუციონიზმ-ი** — იგივეა, რაც ევოლუციონური თეორია; **ევოლუციონისტ-ი** — ამ მოძღვრების მომხრე.

**ევპატრიდები** (მრავლ., ბერძ. eypatridai „კეთილშობილნი"), ძველი საბერძნეთის არისტოკრატია.

ევრაზია, ბერძ., ხელოვნ., ევროპა-აზიის მატერიკი.

ევრითმია (ბერძ. eyrythmia „თანაზომიერობა“), მოძრაობათა თანაზომიერობის დაცვა მუსიკაში, ცეკვასა ან მეტყველებაში.

ევრიკა (ბერძ. eyrēka „ვიპოვნე“), გადმოცემის თანახმად: ეს სიტყვა წამოიძახა არქიმედმა — მისი სახელით ცნობილი კანონის აღმოჩენის დროს (იხ. არქიმედი).

ევრიპიდ-ი ან უკეთ ევრიპიდეს-ი (Eyripidēs), ძვ. საბერძნეთის (V ს. ქ. წ.) ერთერთი უდიდეს დრამატურგთაგანი (ქართულად არსებობს მისი ტრაგედია „მედეა“).

ევრისტიკა (ბერძ. eyriskō-საგან „ვპოულობ, აღმოვაჩენ“), აღმოჩენის ხელოვნება; ჭეშმარიტების აღმოჩენის ხერხი; აქედან: ევრისტიკული —აღმოჩენითი, პოვნითი, მაგ. ევრისტიკული მეთოდი— სწავლების ერთი მეთოდი, რომლის მიხედვითაც მოწაფე თვითონ პოულობს ამა თუ იმ კანონს ან ამოცანის პასუხს.

ევროპეიზმ-ი ან უკეთ ევროპიზმ-ი — ევროპელობა; ევროპის კულტურის უპირატესობის ცნობა და სხვ.; ევროპისტ-ი — ევროპის მცოდნე და მკვლევარი; ევროპიზაცია — გაევროპიელება; ევროპიზირება — იგივე მოქმედება; ევროპული — ევროპიდან წარმოშობილი რამ ან მისი ხასიათის მქონე; ევროპელი — ევროპის მკვიდრი და სხვ.

ევსტაქი-ს მილი (tuba Eustachii), ასე ეწოდება მილს, რომელიც აერთებს შუა ყურს ცხვირხახის ღრუსთან (სახელწოდება XVI საუკუნის გამოჩენილი იტალიელი ექიმის, ე ვ ს ტ ა ქ ისაგან).

ევფემიზმ-ი (ბერძ. eyphēmeō „კეთილსახიერი ლაპარაკი“), კეთილსიტყვაობა: ერთგვარი მეტყველება, როცა რაიმე არასასიამოვნო გამოთქმას შესცვლიან სხვა გამოთქმით (ურწმუნო — გველის ნაცვლად და სხვ.).

ევფონია (ბერძ. eyphonia „კეთილხმოვნობა“), მოძღვრება პოეტური ენისა და ლექსის შესახებ ბგერითი მხრივ (კეთილხმოვნობის თვალსაზრისით).

ევფორიონ-ი (ბერძ. Eyphoriōn): 1) ძვ. ბერძნული მითოლოგიით: აქილევსისა და ელენეს ფრთოსანი ვაჟი; 2) გოეთე-ს „ფაუსტ-“ში: ფაუსტისა და ელენეს ვაჟი.

ევფუიზმ-ი, ხელოვნ. (ბერძ. eyphyia-საგან „სილამაზე“), გაზვიადებული სტილი ინგლისურ ლიტერატურაში XVI — XVII საუკ.

ევქარისტია (ბერძ. eycharistia „სამადლობელი“), ქრისტ. ეკლესიის ერთი საიდუმლოთაგანი — ზიარება.

ეზოპ-ი ან უკეთ ეზოპოს-ი (ბერძ. aisōpos), საბერძნეთის იგავ-არაკთა მწერალი (VI ს. ქ. წ.), გადმოცემით — მონა; აქედან: ეზოპისებური — ასე ეწოდება იგავ-არაკებით აზრის გამოთქმას, როცა რაიმე პირობების გამო (მაგ. ცენზურული) პირდაპირ თქმა სახიფათოა.

ეზოტერიკული, ბერძ.-ევროპ. (ფრ. ésotérique „შინაგანი, საიდუმლო“), საიდუმლო რამ მოძღვრება, რომლის გაცნობის უფლებაც ენიჭებოდათ მხოლოდ რჩეულთ (შეად. ეგზოტერიკული).

ეთერ-ი (ბერძ. aithēr,-eros „ჰაერის ზედა ფენი; ცა“): 1) აქროლებადი ორგანიული ნივთიერება, რომელსაც აქვს ძლიერი გამბრუებელი სუნი—იხმარება მედიცინაში, როგორც ტკივილის გამყუჩებელი საშუალება; 2) მსოფლიო ე თ ე რ ი (ფიზიკაში) — მსოფლიო სივრცეში გავრცელებული უხილავი ნივთიერება, რომლის არსებობაც ნაგულევებია, როგორც შემპირობებელი სინათლისა, სითბოსი, მაგნეტურ და ელექტრულ მოვლენათა.

ეთერიზაცია, ბერძ. ევროპ., ოპერაციის წინ ავადმყოფის უგრძნობლად გახდა — ეთერის შესუნთქვინებით; ეთერიზირება — იგივე მოქმედება.

ეთიკა (ბერძ. ēthikē „ზნეობა“), მოძღვრება ზნეობის კანონების შესახებ; ეთიკური — : 1) ეთიკის ხასიათის მქონე; 2) ზნეობრივი.

ეთილ-ი, ბერძ.-ევროპ., ხელოვნ. (ფრ. éthyle), ქიმიაში: ეთილის სპირტის ერთ-ატომიანი რადიკალი; აქედან: ეთილენ-ი — უფერული სუნიანი აირი (გაზი), — ნახშირბადისა და წყალბადის ნარევი, წვის დროს ანათებს კაშკაშით; ეთილ-ის სპირტი — ალკოჰოლის ქიმიური სახელწოდება.

ეთიოპია (ბერძ. Aithiopia): 1) ძველად ეძახდენ ეგვიპტის სამხრეთით და აღმოსავლეთით

მდებარე ქვეყნებს; 2) ახლა ეწოდება ა ბ ა შ ე თ ს; **ეთიოპ-ი** — ეთიოპიის მკვიდრი; **ეთიოპური ენა** — ქამიტურ ენათა ოჯახის ერთერთი ენა, რომელზედაც არსებობს საკმაოდ მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურა.

**ეთნიური** (ბერძ. ეთნოს „ხალხი, ტომი"), ამა თუ იმ ტომის შესახები ან დამახასიათებელი რამ; ტომობრივი; **ეთნოგრაფია** — მეცნიერება, რომელიც აწარმოებს ხალხთა სულიერი და მატერიალური კულტურის (ზნე-ჩვეულებათა, ყოფაცხოვრებისა, თქმულებათა, ენისა და სხვ.) აღწერას; აქედან: **ეთნოგრაფ-ი** — ეთნოგრაფიის მცოდნე და მკვლევარი; **ეთნოლოგია** — მეცნიერება, რომელიც იკვლევს ეთნოგრაფიაზე დაყრდნობით ხალხთა სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარების კანონებს; აქედან: **ეთნოლოგ-ი** — ეთნოლოგიის მცოდნე და მკვლევარი.

**ეთოგრაფია** (ბერძ. ეთოს „ზნე", გრაფე „აღწერა"), მეცნიერება ხალხის ან კერძო პირის ზნე-ხასიათისა და ცხოვრების პირობების შესახებ; **ეთოლოგია** — იგივეა, რაც ეთოგრაფია.

**ეიზენახელები** (მრავლ.), ასე ეწოდათ მარქსისა და ენგელსის მიმდევართ, რომელნიც 1869 წ. ეიზენახში (გერმანიის ქალაქია) შეიკრიბნენ ყრილობაზე სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის შესაქმნელად და რომელთაც მეთაურობდენ ვ. ლიბკნეხტი და ავგ. ბებელი; ეიზენახელები გაერთიანდენ ლასალის მიმდევრებთან 1875 წ. (იხ. გოთას პროგრამა).

**ეინშტეინ-ი**, ალბ. (Einstein, Alb., დაიბადა 1879 წ.), შესანიშნავი თანამედროვე გერმანელი ფიზიკოსი, რელატივობის (ფარდობითობის) თეორიის ავტორი.

**ეიფელ-ის კოშკი**, ინჟენერი ეიფელის მიერ (Eiffel) 1889 წ. აშენებული შესანიშნავი რკინის კოშკი პარიზში, — წარმოადგენს XIX საუკუნის ტექნიკის მიღწევათა გასაოცარ ნიმუშ (300 მეტრი სიმაღლე).

**ეკვ-**, იხ. ექვ-.

**ეკზ-**, იხ. ეგზ-.

**ეკივოკ-ი** (ფრ. équivoque), ორაზროვნობა; ორაზროვანი.

**ეკიპაჟ-ი** (ფრ. équipage): 1) სხვადასხვაგვარ ეტლთა საერთო სახელწოდება; 2) ხომალდის ან მთელი საზღვაო ნაწილის კომანდა; აქედან: **ეკიპირება** (ფრ. équiper)—საერთოდ: მოწყობა, მორთვა, მაგ. ტანსაცმელით; **გემის ეკიპირება** — გემის მოწყობა, წესრიგში მოყვანა და სხვ.

**ეკიუ** (ფრ. ecu), ძველებური ფრანგული ოქროს და ვერცხლის ფული (3 ფრანკი).

**ეკლამპსია**, ბერძ., ნერვული ავადმყოფობა, — გამოიხატება კრუნჩხვაში (ემართება უმთავრესად ბავშებს და მშობიარე ქალებს).

**ეკლეზიასტე ან ეკლესიასტე** (ბერძ. ეკკლესიასტეს), ბიბლიური მეფის, ს ო ლ ო მ ო ნ-ის, წიგნის ბერძნული სახელწოდება, — ეს წიგნი გამსჭვალულია პესიმისტური სულისკვეთებით.

**ეკლესია** (ბერძ. ეკკლესია): 1) სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში; 2) ქრისტიანთა შესაკრებელი ადგილი; შემდეგ—ქრისტ. ტაძარი, საყდარი.

**ეკლექტიზმ-ი** (ბერძ. ეკლეგო-საგან „ამოვარჩევ, ამოვკრებ"), სხვადასხვა წყაროდან (აზრთა, მოძღვრებათა ან დებულებათაგან) ამოკრება რაიმე მოძღვრების შესაქმნელად — საკუთარი დამოუკიდებელი სახელმძღვანელო შეხედულობის უქონლად; აქედან: **ეკლექტიკ-ი** — ამგვარად მოქმედი; **ეკლექტიკური** — ეკლექტიზმის ხასიათის მქონე, მაგ. **ეკლექტიკური ფილოსოფია** — ამგვარად შექმნილი ფილოსოფიური სისტემა (ამ სახელით ცნობილია განსაკუთრებით ფილოსოფია, რომელიც ცდილობდა გაერთიანებას არისტოტელის, პითაგორის და პლატონის მოძღვრებათა).

**ეკლიპტიკა**, ბერძ., წრე, რომელსაც აკეთებს მიწა წლიური ბრუნვისას მზის გარშემო.

**ეკლოგა ან ეკლოგ-ი**, ბერძ.: 1) საერთოდ რჩეული ნაწარმოები; 2) მწყემსური პატარა ლექსი.

**ეკონომ-ი** (ბერძ. ოიკო-ნომოს „სახლის გამგე"), სამნეო ნაწილის გამგე; აქედან: **ეკონომია** — : 1) მომჭირნეობა; 2) რევოლუციამდე: მემამულის სამეურნეო ერთეული; ახლა: სასოფლო მეურნეობის დიდი ერთეული.

**ეკონომიზმ-ი**, ბერძ. ხელოვნ. (იხ. ეკონომი), ასე ეწოდა რუსეთის სოც.-დემოკრ. პარტიის ერთერთ მიმართულებას (90 წლებში), რომლის მიხედვითაც მუშათა მოძრაობაში უპირატესი

მნიშვნელობა აქვს წმინდა ეკონომიურ ბრძოლას.

**ეკონომისტ-ი**, ბერძ. (იხ. ეკონომი), სახალხო მეურნეობის ზედმიწევნით მცოდნე, მისი სპეციალისტი.

**ეკონომიური მატერიალიზმ-ი**, კ. მარქსის ისტორიულ-სოციოლოგიური მოძღვრება, რომლის თანახმადაც ისტორიული განვითარების უპირველესი ფაქტორია — ეკონომიური მოვლენები და წარმოების ფორმათა ცვლილებანი.

**ეკრან-ი** (ფრ. écran „საფარი, ფარი"): ქსოვილ-გადაკრული ჩარჩო: 1) ბუხრის წინ ასაფარებლად; 2) რომელზედაც აჩვენებენ სინათლის შუქთა სხვადასხვა მოვლენებს, მაგ. კინემატოგრაფში და სხვ.

**ეკს-**, იხ. ექს-.

**ეკტ-**, იხ. ექტ-.

**ელადა** (ბერძ. ელლას,-ადოს), საბერძნეთის ძველი სახელწოდება.

**ელასტიური** ან **ელასტიკური**, ლათ.-ფრ. (élastique), დრეკადი; მოქნილი.

**ელდორადო**, ისპ. („მოოქრეილი, ოქროს ქვეყანა"), ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა, რომელსაც ეძებდენ ამერიკაში პირველი ისპანელი კოლონისტები.

**ელეგანტ-ი** ან **ელეგანტური**, ლათ.-ფრ.( élégant), ლამაზი, მოხდენილი.

**ელეგია** (ბერძ. ელეგეია), სევდიანი სულიერი განწყობილების გამომხატველი ლირიკული ლექსი; **ელეგიური** — სევდიანი.

**ელევატორ-ი** (ლათ. ელევარე-საგან „აწევა"): 1) აწევე; ასაწევი მანქანა; 2) მარცვლის დიდი მარაგის მოსათავსებელი ადგილი, სადაც იგი იწმინდება და ხარისხდება.

**ელევზინ-ის** ან **ელევსის-ის მისტერიები** (მრავლ.) ანუ ელევსის-ის საიდუმლონი — ასე ეწოდებოდა ძველ საბერძნეთში (ელევსის-ში, ათენის ახლოს) მისტიკურ ღვთისმსახურებას რჩეულთათვის (უმთავრესი ნაწილი შეიცავდა დრამას, რომელშიც გამოხატული იყო ურწმუნოთა დასჯა ქვესკნელში, მართალთა ცხოვრება საიქიოს და სხვ.).

**ელეკსირ-ი**, იხ. ელიქსირი.

**ელეკტ-**, იხ. ელექტ-.

**ელეკტრ-**, იხ. ელექტრ-.

**ელემენტ-ი** (ლათ. ელემენტუმ): 1) საერთოდ: რაიმე მთელის ნაწილი; 2) ქიმიაში: ძირითადი უშლადი ნივთიერება; 3) მათემატიკაში: ელემენტარული ან უკეთ ელემენტური — უბრალო, უმარტივესი; ძირითადი, პირველდაწყებითი.

**ელექტორ-ი**, ლათ., ამომრჩევი; **ელექტორალ-ი** ან **ელექტორული** — ამორჩევითი.

**ელექტრიზაცია**, ბერძ.-ევროპ. (იხ. ელექტრობა), სხეულისათვის ელექტრობის მინიჭება, ელექტრული დენის გატარება-გავლება; **ელექტრიზირება** — იგივე მოქმედება.

**ელექტრობა** (ბერძ. élektron-ისაგან „ქარვა", ელექტრული მოვლენები პირველად შემჩნეული იყო ქარვაზე), ასე ეწოდება ძალას, რომელსაც აქვს უნარი წარმოქმნას მაგნეტური და ელექტრული (ე. ი. მიმზიდველობისა, მოძრაობისა, სინათლისა და სხვ.) მოვლენები; ელექტრონის წყაროა, მაგ. ხახუნი (სტატიკური ელექტრობა) ან ქიმიური, სითბური, მექანიკური და სხვ. ენერგია (დინამიკური ელექტრობა).

**ელექტროდ-ი** (ბერძ. élektron „ქარვა" და odos „გზა"), ელექტრობის გამტარებელი.

**ელექტროდინამიკა** (იხ. ელექტრობა და დინამის), ფიზიკის ნაწილი, რომელიც იკვლევს ელექტრული დენის მოქმედებას.

**ელექტროთერაპია** (იხ. ელექტრობა და თერაპია), ელექტრული დენის საშუალებით მკურნალობა, განსაკუთრებით — ნერვულ ავადმყოფობათა.

**ელექტროკულტურა** (იხ. ელექტრობა და კულტურა), მცენარეულობის გაზრდა ელექტრული დენის ზედმოქმედებით.

**ელექტროლიზ-ი** (იხ. ელექტრობა, ბერძ. lysis „გაშვება, გაყოფა, განთავისება"), რთული ნივთიერების დაშლა — მასში ელექტრული დენის გატარებით.

**ელექტრომაგნეტიზმ-ი** (იხ. ელექტრობა და მაგნეტიზმი), ერთობლიობა ელექტრული დენით გამოწვეულ მაგნეტურ მოვლენათა.

**ელექტრონ-ი** (იხ. ელექტრობა): 1) უარყოფითი ელექტრობის მატარებელი უყოფადი ნაწილაკი; 2) ელექტრონები (მრავლ.) — ასე ეწოდება დადებითი და უარყოფითი ელექტრობის ნაწილაკებს, რომლებისაგანაც შედგენი-

ლია—ელექტრონული თეორიის თანახმად—ყოველი სხეულის ატომი.

**ელექტროფიკაცია**, ბერძ.-ლათ., ხელოვნ.: 1) ელექტრული ენერგიის მიწოდება; 2) ელექტრული ენერგიის გამოყენება ტექნიკისა და ცხოვრების ყოველ დარგში, სადაც ეს შესაძლებელია (განათება, გათბობა, მეურნეობა და სხვ.), ორთქლის ნაცვლად ელექტრობის გამოყენება და სხვ.

**ელექტრული მანქანები**, ეწოდება ისეთ მანქანებს, რომელნიც მექანიკურ ენერგიას გადააქცევენ ელექტრულად.

**ელზას-ლოთრინგ-ი** ან **ალზას-ლორენ-ი** (გერმ. Elsass-Lothringen, ფრ. Alsace-Lorraine), ზემო რეინის დასავლეთით მდებარე ყოფილი ნაწილი გერმანიისა,—ძველად გერმანიის მფლობელობაში; მე-XVII საუკ. გადავიდა საფრანგეთის ხელში, 1871 წელს ისევ გერმანიის მფლობელობაში; 1914—18 წ.წ. ომის შემდეგ ვერსალის ხელშეკრულების თანახმად მას ფლობს ისევ საფრანგეთი; მდიდარია, განსაკუთრებით. რკინით, ქვანახშირით. მარმარილოთი, ტყეებით და სხვ.

**ელიზია** (ლათ. elisio „გამოწურვა"), ფონეტიკაში: წინა სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა—მომდევნო სიტყვის ხმოვანთან შეხვედრისას; **ელიდირება**—იგივე მოქმედება.

**ელიზიუმ-ი**, იხ. ელისიონ-ი.

**ელიკსირ-ი**, იხ. ელიქსირი.

**ელიმინაცია**, ლათ.-ფრ. (élimination), გამორიცხვა, მოშორება; განდევნა; **ელიმინირება**—იგივე მოქმედება.

**ელინგ-ი**, გერმ.-ფრ. (élingue): 1) ხომალდის ასაშენებელი ადგილი; 2) აეროპლანების სადგომი დიდი შენობები.

**ელინ-ი** (ellên,-ênos): 1) ასე უწოდებდნენ ძველ ბერძნებს მითოლოგიური ელინისაგან ჩამომავლობის გამო; 2) ახალ აღთქმაში: წარმართი; **ელინიზმ-ი**—: 1) იმ თავისებურებათა ერთობლიობა. რომელნიც ახასიათებენ ძველ ბერძნულ კულტურას, ხელოვნებას, ენას, ზნე-ჩვეულებას და სხვ.; 2) სხვა ენაში შეტანილი ბერძ. ენის თავისებურობა; **ელინისტ-ი**—ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის მცოდნე და მკვლევარი.

**ელიპსის-ი** ან **ელიპს-ი** (ბერძ. ελλειψις „გამოშვება. ნაკლი"): 1) მათემატიკაში. შეკრული მრუდი წირი (ხაზი), რომელიც მიღებულია სიბრტყის მიერ ჩვეულებრივი კონუსის გარდაკვეთით; **ელიპსოიდ-ი**—გეომეტრიული სხეული, რომელიც მიღებულია ელიპსის ბრუნვით ერთერთი მისი ღერძის გარშემო; **ელიპტიკური** ან **ელიპსური**—ელიპსის ფორმის მქონე; 2) გრამატიკაში: წინადადების რომლისამე ნაწილის გამოშვება.

**ელისიონ-ი** ან **ელის-ი** (ბერძ. Elysion). ე ლ ი ს ი ო ნ-ის მ ი ნ დ ვ რ ე ბ ი: 1) ბერძნული მითოლოგიით: მართალთა სამყოფი ადგილი საიქიოს; ნეტარების ქვეყანა; სამოთხე; 2) ე ლ ი ს-ის მ ი ნ დ ვ რ ე ბ ი ეწოდება აგრეთვე ერთ-ერთ ბულვარს პარიზში. რომლის მახლობლადაც არის ე ლ ი ს-ის ან ე ლ ი ზ ე-ს სასახლე (palais de l' Elysée), პრეზიდენტის სამყოფელი.

**ელიქსირ-ი**, არაბ.-ევროპ. (ფრ. élixir): 1) სიცოცხლის წყარო,—სასმელი, რომელსაც ეძებდნენ ალქიმიკოსები (იხ. ალქიმია); 2) სპირტზე დანაყენი რაიმე წამალი.

**ელოგ-ი** (ლათ. ელოგიუმ): 1) ძვ. რომში: მოკლე წარწერა საფლავის ქვაზე, ძეგლზე და სხვ.; 2) შემდეგ: შექება.

**ელონგაცია**, ლათ. ხელოვნ. („დაშორება"), ასტრონომიაში: 1) ზღვარული კუთხე, რომელზე მეტად ცის მნათობი არ შორდება ამა თუ იმ წერტილს ან სიბრტყეს; 2) ასეთი დაშორების მომენტი.

**ელოქვენცია** (ლათ. eloquentia), მჭერმეტყველება.

**ელფ-ი**, ელფები, გერმ., მეორე ხარისხოვანი ღვთაებანი ტყეებისა, ყვავილებისა და სხვ. ჩრდილო-გერმანულ მითოლოგიაში,—ადამიანთა მიმართ, ჩვეულებრივ, კეთილნი.

**ემალ-ი** (ფრ. émail): 1) მინანქარი,—სხვადასხვა ფერის, მინისებური შენადნობის ფენი, რომლითაც ჰფარავენ ლითონის საგნებს; აქედან: **ემალირება**—ემალით დაფარვა, მომინანქრება; 2) მინანქრის მსგავსი ფენი, რომელიც ჰფარავს კბილის გვირგვინს (იხ. გლაზური).

**ემანაცია**, ლათ.-ფრ. (émanation „გამოსვლა, გამომდინარება"), წარმოშობა, წარმოდენა, გამოსხივება.

**ემანსიპაცია**, ლათ.-ფრ. (émancipation), განთავისუფლება, უფლებებში გათანასწორება, მაგ. ქალთა—მამაკაცებთან და სხვ.; **ემანსიპირება** — იგივე მოქმედება.

**ემბარგო**, იხ. ამბარგო.

**ემბლემა**, ბერძ.: 1) ძვ. საბერძნეთში: ლითონის რელიეფური ფირფიტა — ჭურჭლის სამკაულად; შემდეგ — გამოსახულება; 2) სიმბოლო ღვთაებისა ან სხვა განყენებული ცნებისა.

**ემბრიონ-ი** (ბერძ. embryon), ჩანასახი; აქედან: **ემბრიოლოგია** — მეცნიერება ორგანიზმის განვითარების შესახებ კვერცხოვანი უჯრედისაგან; **ემბრიოტომია** — ნაყოფის განკვეთა მშობიარობის დროს (მედიცინაში).

**ემერიტურა** (ლათ. ემერიტუს „დამსახურებული"), რუსეთში რევოლუციამდე: ზოგიერთ უწყებაში (სამხედრო, იუსტიციისა და სხვ.) მოსამსახურეთა ჯამაგირიდან სავალდებულო ანარიცხთაგან შედგენილი თანხა — დამატებითი პენსიის მიცემის მიზნით; **ემერიტული** ან **საემერიტო** კასა — იგივეა.

**ემიგრაცია** (ლათ. emigratio), თავისი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში გადასახლება, ან გახიზვნა, გამოწვეული ეკონომიური (სამუშაოს საძებრად), პოლიტიკური და რელიგიური (დევნის გამო) და სხვ. მიზეზებით; **ემიგრირება** — იგივე მოქმედება; **ემიგრანტ-ი** — ის, ვინც თავისი ქვეყნიდან გადასახლდა ან გაიხიზნა.

**ემირ-ი**, არაბ., ამირა, — დამოუკიდებელ ტომთა უფროსის ტიტული მუსულმანურ ქვეყნებში; ავღანისტანისა და ბუხარის მმართველთა ტიტული.

**ემისარ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. émissaire), მთავრობის ან კერძო პირთა რწმუნებული განსაკუთრებული საქმის გამო.

**ემისია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. émission „რისამე გამოშვება"), ქაღალდის ფულის გამოშვება სახელმწიფოს ან რაიმე საფინანსო დაწესებულებათა მიერ.

**ემოცია**, ლათ.-ფრ. (émotion „აღელვება, აგზნება"), საერთოდ: გრძნობა, განცდა; ჩვეულებრივ, რთული ხასიათის სულიერი მოძრაობა, მაგ. ესთეტიკური, მორალური და სხვა გრძნობები; აგრეთვე — სიხარული, აღფრთოვანება, მწუხარება, შიში და სხვ.; აქედან: **ემოციური** — ემოციის ხასიათის მქონე.

**ემპირეი** ან უკეთ **ემპირ-ი** (ბერძ. empyros „ცეცხლში მდებარე, ცეცხლოვანი"): 1) ძველ ფილოსოფოსთა აზრით: ქვეყნის უმაღლესი ნაწილი, ცეცხლის ცა, საიდანაც მოდიან სინათლის მოვლენები; 2) ძველ ქრისტ. ხანაში: ცა, წმინდანთა სამყოფელი.

**ემპირიზმ-ი** (ბერძ. ემპეირია-საგან „გამოცდილება, ცდა"), ფილოსოფიური მიმართულება, რომლის თანახმადაც შემეცნების ერთად ერთი წყარო არის ცდა, გამოცდილება; აქედან: **ემპირისტ-ი** — ემპირიზმის მიმდევარი; **ემპირიკ-ი** — 1) ემპირისტი; 2) ემპირიკები — ძველი მედიცინის ერთი მიმართულება, რომელიც უარყოფდა თეორიულ ცოდნას და ემყარებოდა მხოლოდ შემთხვევით დაკვირვებებზე; **ემპირიული** ან **ემპირიკული** — ცდაზე, გამოცდილებაზე დამყარებული; ცდითი.

**ემპირიოკრიტიციზმ-ი** (იხ. ემპირიზმი და კრიტიკა), ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ცდილობს შეარიგოს ისტორიული მატერიალიზმი (იხ.) და მახისა და ავენარიუსის იდეალისტური მოძღვრება.

**ემულსია**, (ახ. ლათ. emulsio), რაიმე წამალი, რომელსაც რძის ფორმა აქვს; **ემულსინ-ი** — აზოტისა და გოგირდის შემცველი ცილოვანი ნივთიერება.

**ემფაზის-ი** ან **ემფაზ-ი** (ბერძ. ემფასის „გამომხატველობა"), რისამე განზრახ გაზვიადებულად ან ძლიერად წარმოთქმა; **ემფატიკური** ან **ემფაზური** — განზრახ გაზვიადებული, ძლიერი.

**ემფიზემა**—(ბერძ. emphysaō „ვბერავ, ვსუნთქავ"), მედიცინაში: 1) ფილტვების ელასტიურობის დაკარგვა; 2) ორგანიზმის ქსოვილებში ჰაერის დაგროვება.

**ენგელს-ი**, ფრ. (1820—1895), გერმანელი განთქმული მეცნიერი, მეცნიერული სოციალიზმის თეორეტიკოსი; თავისი შრომით „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში" საფუძველი ჩაუყარა ისტორიულ მატერიალიზმს (1845); „კომუნისტური მანიფესტ"-ის შედგენისას მარქსის თანაავტორი; მის „ანტიდიურინგ"-ში მოცემულია მარქსიზმის ფილოსოფია.

**ენდემია** (ბერძ. ენდემოს-ისაგან, „შინაური. ადგილობრივი“), მხოლოდ განსაზღვრულ ადგილას გავრცელებული ავადმყოფობა; **ენდემიური ავადმყოფობა** — ადგილობრივი პირობებით გამოწვეული ავადმყოფობა.

**ენდოგამია**, ბერძ. („შინაცოლიანობა“), ქორწინების ისეთი ფორმა პატრიარქატის დროს, როცა ქალის ცოლად წამოყვანა შეიძლება მხოლოდ იმავე ტომიდან.

**ენდოსმოს-ი**, იხ. ეგზოსმოსი.

**ენდოსპერმ-ი** (ბერძ. ენდონ „შიგნი“, სპერმა „თესლი“), ბოტანიკაში: თესლის შიდა ნაწილი, რომელიც გარსახვევია ჩანასახს.

**ენდოსპორები** (მრავლ.), ბერძ. (იხ. სპორი), უჯრედის შიგნი წარმოქმნილი სპორები.

**ენეიდა** ან უკეთ **ენეიდ-ი** (ბერძ.-ლათ. Aeneis,-idis), რომაელი მწერლის, ვირგილიუსის (იხ.), პოემის სახელწოდება, რომელშიც აღწერილია ტროიას გმირის, ე ნ ე ა ს-ის (Aenéas), თავეგადასავალი.

**ენერგია** (ბერძ. ენერგეია „ძალა, ღონე“): 1) რაიმე სხეულის უნარი — აწარმოოს განსაზღვრული რაოდენობის მუშაობა ან დასძლიოს წინააღმდეგობა; 2) მოქმედების უნარი; ადამიანის სულიერი ძალა, რომელიც იწვევს მოქმედებისათვის და სხვ.; აქედან: **ენერგიული** ან **ენერგიანი** — ენერგიის მქონე; მარჯვე, მხნე; ძლიერი ხასიათის მქონე, მიზნის მიხწევაში დაუღალავი და სხვ. **ენერგეტიკა** — : 1) მოძღვრება ენერგიის შესახებ, — საფუძვლად უდევს დებულება, რომ ენერგია არც იქმნება და არც ისპობა, არამედ იცვლება სხვადასხვა სახისად, და ყოველი მოვლენა არის ენერგიის მოძრაობის შედეგი.

**ენერვაცია**, ბერძ-ფრ. (énervation „დასუსტება“), დაღლილობა, ღონის მიხდა ნერვული აგზნების შემდგომ.

**ენზიმები** ან **ენძიმები** (მრავლ.), ბერძ. ხელოვნ. (zyme-საგან „საფუვარი“), ხსნადი ფერმენტები. (იხ.).

**ენზოოტია**, ბერძ. ხელოვნ. (zôon-ისაგან „ცხოველი“), ცხოველთა ენდემია (იხ.).

**ენთიმემა** (ბერძ. enthymema), შეკვეცილი სილოგიზმი (იხ.), რომელშიც გამოშვებულია უფროსი ან უმცროსი წინნამძღვარი (ლოგიკაში).

**ენთუზიაზმ-ი** (ბერძ. enthoysiasmós „ღვთაებრივი შთაგონება, სიმხნევე, აღტაცება“), გამხნევების უმაღლესი ხარისხი, აღფრთოვანება; აქედან: **ენთუზიასტ-ი** — ენთუზიაზმით შეპყრობილი; ადამიანი, რომელსაც შეუძლია ძლიერად გატაცებულ იქნეს რითიმე.

**ენიგმა** (ბერძ. აინიგმა,-ტოს), ამოცანა, ბნელი სიტყვა; **ენიგმატური** — ენიგმის მსგავსი.

**ენკაუსტიკა**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. encaustique), მხატვრობა ცვილში გახსნილი საღებავებით.

**ენკლიტიკა**, ბერძ., გრამატიკაში: უმახვილო მომდევნო სიტყვა, რომელიც წინა სიტყვასთან ერთად წარმოადგენს ერთ მთლიანს წარმოთქმაში.

**ენოლოგია**, ბერძ.-ევროპ. (ბერძ. ოინოს „ღვინო“), მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; **ენოლოგ-ი** — მეღვინეობის სპეციალისტი.

**ენორმული**, ლათ.-ევროპ. (ფრ. énorme), უზარმაზარი, სიდიდით წრესგადასული; **ენორმიზმ-ი** — წრესგადასული სიდიდე.

**ენტელექია** (ბერძ. ენტელექეია): 1) არისტოტელით: საბოლოო მიზანი; უფორმო ნივთის მიერ ფორმიანობის შეძენის პროცესი; ფორმათა წარმოქმნის პროცესი განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად; 2) ვიტალისტურ მსოფლმხედველობაში: სასიცოცხლო პრინციპი, რომელიც აფორმიანებს და მართავს ორგანიზმთა განვითარებასა და მოქმედებას.

**ენტერიტ-ი**, ბერძ. (ენტერონ „ნაწლავი“), ნაწლავების ანთება (მედიცინაში).

**ენტობლასტ-ი** (ბერძ. ენტოს „შიგნი“, blastê „ყლორტი“), ცხოველთა ჩანასახ-უჯრედების შიდა ფენი.

**ენტოდერმა** (იხ. ენტობლასტი, ბერძ. დერმა „კანი, ტყავი“), იგივეა, რაც ენტობლასტი.

**ენტოზოონ-ი**, ბერძ. (ენტოს „შიგნი“, zôon „ცხოველი“), ცხოველი-პარაზიტი, რომელიც ცხოვრობს სხვა ორგანიზმის შიგნით.

**ენტომოლოგია**, ბერძ., ზოოლოგიის დარგი: მოძღვრება მწერების შესახებ; აქედან: **ენტომოლოგ-ი** ან **ენტომოლოგისტ-ი** — ენტომოლოგიის სპეციალისტი; მწერთა მცოდნე და მკვლევარი ზოოლოგი.

**ენტოპარაზიტები** (ბერძ. ენტოს „შიგნი“,

ის. პარაზიტი). ორგანიზმის შიგნი მცხოვრები პარაზიტები.

**ენტოფთალმია** (ბერძ. ენტოს „შიგნი", ოფთალმოს „თვალი"), თვალის შიდა ანთება.

**ენტუზიაზმ-ი**, იხ. ენთუზიაზმი.

**ენცეფალიტ-ი**, ბერძ.-ლათ. (encephalitis), თავის ტვინის ანთება, რომელსაც თან ახლავს მძიმე გართულებანი (უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად ენცეფალიტი გადამდები სენია).

**ენციკლიკა**, ბერძ.-ლათ., ეკლესიათა ურთიერთ მიწერილობა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხების გამო; ჩვეულებრივ, პაპის მიწერილობა კათოლიკური სამღვდელოებისადმი.

**ენციკლოპედია**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. enkyklios „მრგვალი, წრიული", paideia „აღზრდა, განათლება" — „განათლების წრე"): 1) ყოველ ცოდნათა (მეცნიერებათა) სისტემატურად დალაგება (ზოგადი ენციკლოპედია); 2) ერთი რომლისამე მეცნიერების (მაგ. ბუნებისმეტყველების, ისტორიის, ლიტერატურის და სხვ.) შესახებ ყოველგვარი ცოდნის სისტემატურად დალაგება (კერძო ენციკლოპედია); აქედან: **ენციკლოპედიზმ-ი** — მრავალმხრივი ფართე განათლების მქონლობა, მეცნიერების მრავალ დარგთა მცოდნეობა ან ასეთის შეძენის სურვილი; **ენციკლოპედისტ-ი** —: 1) მრავალმხრივ განათლებული ადამიანი; 2) **ენციკლოპედისტები** (მრავლ.) — ასე ეწოდათ 18 საუკუნის ფრანგ ფილოსოფოსებს (ვოლტერს, რუსოს, დიდროს და სხვ.), რომელნიც მონაწილეობდენ 1751 — 72 წ. წ. მეცნიერებათა, ხელოვნებათა და ხელობათა ენციკლოპედიის გამოცემაში; ამ ენციკლოპედიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეურად მომზადებისათვის; **ენციკლოპედიური** — ენციკლოპედიის ხასიათის მქონე, მაგ.: ენციკლოპედიური განათლება — მრავალმხრივი განათლება; ენციკლოპედიური ლექსიკონი — ეწოდება ისეთ ლექსიკონს, რომელიც შეიცავს ყოველი დარგის სამეცნიერო და პრაქტიკულ ცნობებს, დალაგებულს ანბანურ რიგზე.

**ეოლ-ი** ან **ეოლოს-ი** (ბერძ. აიოლოს), ძველ ბერძენთა ქარის ღმერთი; ე ო ლ ო ს-ის არფა ანუ ქნარი,—: 1) ზღაპრული ეოლოს-ის ქნარი, რომელიც გამოსცემდა ნაზ ხმებს მზის ამოსვლისას და მსუბუქ ნიავზე; 2) ყუთი, რომელშიც გაბმულია შეთანხმოვნებულად მომართული სიმები, — გამოსცემს ჰარმონიულ ხმებს ჰაერის ნაკადის გავლისას; 3) გადატ. მნიშვნ.: ადამიანის მგრძნობიარე გული.

**ეოლითები** (მრავლ., ბერძ.), დედამიწის ქერქის შრეებში პოვნილი ქვის იარაღები მესამეული ხანისა.

**ეოს-ი** (ბერძ. ēōs), ძველ ბერძენთა განთიადის ღვთაება. იგივეა, რაც ძველ რომაელთა ა ვ რ ო რ ა (იხ.).

**ეოცენ-ი**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. ēōs, იხ. ეოსი და kainos „ახალი"), დედამიწის ქერქის წარმოქმნის ერთ-ერთი ეპოქა — მესამეული სისტემის დასაწყისი (გეოლოგიაში).

**ეპარქია**, ბერძ.: 1) ძვ. საბერძნეთში: ოლქი, რომელსაც განაგებდა ეპარქოსი; 2) საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს მღვდელ-მთავარი; **ეპარქიული** — ეპარქიის ხასიათის მქონე; **საეპარქიო** — ეპარქიისათვის განკუთვნილი, მისთვის გამოსადეგი და სხვ.

**ეპენდიმა** (ბერძ. ეპი „ზედ", endyma „ტანსაცმელი"), თხელი გარსი, რომლითაც გამოფენილია ტვინის ღრუები (ანატომიაში).

**ეპიგენეზის-ი**, ბერ., მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ჩანასახი შეიცავს დედისა და მამის თვისებურობებს.

**ეპიგონები** (მრავლ., ბერძ. „შემდეგ შობილნი"), სახელოვან წინაპართა საქმის გამგრძელებელი შთამომავალნი, რომელთაც აკლიათ ახალის შექმნის უნარი; უარყოფითი მნიშვნელობით: თაობა, რომელიც იკვებება წინაპართა გონებრივი ნამოქმედარით.

**ეპიგრამა** (ბერძ. ეპიგრამმა): 1) ძველ საბერძნეთში: ლექსითი წარწერა რაიმე ძეგლზე; 2) ახლა: მოკლე გონებამახვილური დაცინვითი ლექსი ვისიმე მიმართ; სატირული ხასიათის მოკლე ლექსი; აქედან: **ეპიგრამატისტ-ი** ან **ეპიგრამისტ-ი** — ეპიგრამების მთხზველი; **ეპიგრამატული** ან **ეპიგრამული** — ეპიგრამის ხასიათის მქონე.

**ეპიგრაფ-ი**, ბერძ.: 1) ძველად: წარწერა რაიმე ძეგლზე; 2) ახლა: რაიმე მოკლე თქმა, რომელიც მოთავსებულია თხზულების ან მისი ნაწილების დასაწყისშივე და რომელიც შეიცავს

თხზულების ან მისი ნაწილების მთავარ აზრს; **ეპიგრაფიკა** — ისტორიის ერთერთი დარგი, რომელიც იკვლევს ძველ წარწერებს; **ეპიგრაფისტ-ი** — ეპიგრაფიკის მცოდნე და მკვლევარი.

**ეპიდემია**, ბერძ. ხელოვნ. (ეპი „ზედ, შიგნი", დემოს „ხალხი"), რაიმე გადამდები სნეულება, რომელიც ფართოდ ვრცელდება ამა თუ იმ მხარეში; აქედან: **ეპიდემიოლოგია** — მოძღვრება გადამდებ სნეულებათა შესახებ; **ეპიდემიოლოგ-ი** — ასეთ სნეულებათა სპეციალისტი მკურნალი; **ეპიდემიური** — ეპიდემიის ხასიათის მქონე.

**ეპიდერმა** ან **ეპიდერმის-ი** (ბერძ. ეპი „ზედ", დერმა „კანი, ტყავი"), კანის ზედა ფენი (ანატომია).

**ეპიდიდიმის-ი** (ბერძ. ეპი „ზედ", didymos „სათესლე"), ანატომიაში: ვაჟის სათესლის დანამატი; აქედან: **ეპიდიდიმიტ-ი** — ამ დანამატის ანთება.

**ეპიზოდ-ი** (ბერძ. ეპეისოდიოს „გარეშე, უცხო, ზედმეტი, ჩანართი..."): 1) ცალკე დამოუკიდებელი შემთხვევა, ამბავი, რომელიც შედის მთლიანში; 2) რაიმე მეორე ხარისხოვანი შემთხვევა; 3) მუსიკაში: ჩანართი მოტივი; ლიტერატურაში: ჩანართი მოთხრობა და სხვ.; აქედან: **ეპიზოდური** — ეპიზოდის ხასიათის მქონე.

**ეპიზოოტია**, ბერძ. ხელოვნ. (ეპი „ზედ, შიგნი", zōon „ცხოველი"), საქონლის ეპიდემია (იხ.)

**ეპითალამ-ი** (ბერძ. ეპი „ზედ", თალამოს „საქორწილო სარეცელი"), საქორწილო ლექსი ან სიმღერა.

**ეპითელიუმ-ი** ან **ეპითელი**, ბერძ., ქსოვილი, რომლითაც გამოფენილია ორგანიზმის შიდა ღრუები.

**ეპითეტ-ი** (ბერძ. ეპითეტოს „მიმატებული"), მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც თან ახლავს რაიმე საგნის სახელწოდებას — განსაკუთრებით, მხატვრულობის მიზნით.

**ეპიკა**, იხ. ეპოსი.

**ეპიკურეიზმ-ი** ან **ეპიკურიზმ-ი**, ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსის, ეპიკურ-ის (Epikoyros, III საუკ. ქ. წ.), მოძღვრება: სიცოცხლის მიზანია წყნარი სულიერი განწყობილება და გონებრივი სიამოვნება; შემდეგში ეპიკურეიზმი გაგებულ იქნა, როგორც ხორციელი სიამოვნებისადმი მისწრაფება; აქედან: **ეპიკურისტ-ი** ან **ეპიკური** — : 1) ეპიკურიზმის მიმდევარი; 2) ამქვეყნიური ხორციელი დატკბობის მომხრე.

**ეპიკური**, იხ. ეპოსი.

**ეპილეპსია**, ბერძ. („შეპყრობა"), ბნედა; ნერვული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობა, რომელსაც თანსდევს კრუნჩხვა და გულის წასვლა; აქედან: **ეპილეპტიკ-ი** — ეპილეპსიით შეპყრობილი; **ეპილეპტიკური** ან **ეპილეპსიური** — ეპილეპსიის ხასიათის მქონე.

**ეპილოგ-ი** (ბერძ. ეპილოგოს „ბოლოსიტყვა"): 1) მოთხრობის ან დრამის ბოლონაწილი, დასკვნა; 2) გადატან. მნიშვნ.: რაიმე ამბის ან შემთხვევის დასასრული.

**ეპილაცია**, ლათ.-ფრ. (épilation). თმის მოცილება, — ამოგლეჯა საგანგებო ხელსაწყოთი.

**ეპისკოპალური ეკლესია**, იხ. ანგლიკანური ეკლესია.

**ეპისკოპოს-ი**, ბერძ., უმაღლესი ხარისხი სამღვდელოებაში; მღვდელ-მთავარი, ეპარქიის გამგე: **ეპისკოპატ-ი** — საეპისკოპოსო ოლქი, ეპარქიის გამგებლობა.

**ეპისპადია**, ბერძ., ვაჟის სასქესო ორგანოს თანდაყოლილი ნაკლი, რომელიც მდგომარეობს შარდ-საშვების მილის ღიაობაში ასოს ზურგზე; **ეპისპასტ-ი** — ასეთი ნაკლის მქონე ადამიანი.

**ეპისტილ-ი** (ბერძ. ეპი „ზედ", stylos „სვეტი"), იგივეა რაც არქიტრავი.

**ეპისტოლე**, ბერძ., ბარათი; წერილობითი მიმართვა ვისმესადმი; **ეპისტოლარული** ან **ეპისტოლური ფორმა** — კერძო წერილების სახის: ასეთი ფორმა გამოყენებულია სხვადასხვა გვარ ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომელნიც იწერებიან კერძო წერილების სახით.

**ეპისტროფ-ი** (ბერძ. epistrophē „უკუქცევა, მობრუნება"). რამდენისამე წინადადების ბოლოში ერთისა და იმავე სიტყვის განმეორება შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით; აგრეთვე მუსიკაში: მელოდიის განმეორებული ტაქტი.

**ეპიტალამა**, იხ. ეპითალამა.

**ეპიტაფია** ან **ეპიტაფ-ი** (ბერძ. ეპი „ზედ", ტაფოს „კუბო"): 1) ძველად: საფლავთან თქმული სიტყვა; 2) შემდეგ და ახლა: საფლავის წარწერა.

**ეპიტელი**, იხ. ეპითელი.

**ეპიტეტ-ი**, იხ. ეპითეტი.

**ეპიტიმია** ან **ეპიტიმ-ი**, ბერძ., სასულიერო მთავრობის მიერ ცოდვის მომნანიებელისათვის დანიშნული სასჯელი.

**ეპიტრაქილ-ი**, ბერძ., ოლარი, მღვდლის ერთ-ერთი სამოსთაგანი.

**ეპიური**, იხ. ეპოსი.

**ეპიფიზ-ი** ან **ეპიფიზის-ი**, ბერძ., ტვინის ზედა დანამატი. კორძისებრი ჯირკვალი (ანატომიაში).

**ეპიფიტები** (მრავლ., ბერძ.), ბოტანიკაში: ერთგვარი მცენარეები, რომელნიც ცოცხლობენ სხვა მცენარეებზე, მაგრამ არ საზრდოობენ მათი წვენით.

**ეპიცენტრ-ი**, ბერძ.-ლათ., დედამიწის ზედაპირის ის წერტილი, რომელიც უთანასწორებს მიწისძვრის ჯახებათა ცენტრს მიწის სიღრმეში.

**ეპიციკლ-ი**, ბერძ.-ლათ., გეომეტრიაში: წრე, რომლის ცენტრიც მოთავსებულია სხვა წრის წრეწირზე (წრეხაზზე).

**ეპოდ-ი**, ბერძ., ლირიკული ლექსი, რომელშიც გრძელი და მოკლე ტაეპი ერთმანეთს ენაცვლება.

**ეპოლეტ-ი** (ფრ. épaulette), სამხედრო პირთა სამხრე ნიშნები — ქსოვილისა ან ლითონის.

**ეპონიმ-ი** (ბერძ. épônymos): 1) საბერძნეთში: ცხრა არქონტთაგან პირველის სახელწოდება, რომლის სახელითაც აღინიშნებოდა მიმდინარე წელი; 2) საერთოდ: ის, ვისი სახელწოდებაც სხვას ერქმევა; აქედან: **ეპონიმური** — რაიმე საგნის მიხედვით სახელწოდებული.

**ეპოპეა** (ბერძ. ეპოს „სიტყვა, მოთხრობა", პოიეინ „კეთება, შექმნა"), საგმირო პოემა; პოეტური თხრობა ამა თუ იმ ხალხის მნიშვნელოვანი და რთული შემთხვევისა და თავგადასავლის შესახებ; 2) გადატან. მნიშვნ.: რთული თავგადასავალი.

**ეპოს-ი**, ბერძ. (იხ. ეპოპეა): 1) ამა თუ იმ ხალხის საგმირო თქმულებანი (საგმირო ეპოსი); 2) მოთხრობანი ცხოველთა ცხოვრებიდან (ცხოველთა ეპოსი); 3) პოეზიის ერთი (სამთაგანი) დარგი, რომელსაც ახასიათებს მნიშვნელოვანი ამბის ობიექტიურ-თხრობითი ფორმით გადმოცემა; აქედან: **ეპიკური** ან **ეპიური** — ეპოსის ხასიათის მქონე, ეპოსისთვის დამახასიათებელი რამ, მაგ. **ეპიკური ნაწარმოები** — ისეთი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც შინაარსის მიმდინარეობა აღწერილია მიუდგომლად, გულგრილად, აუღელვებლად და რომლის ავტორიც წარმოგვიდგება, როგორც მიუდგომელი გარეშე დამკვირებელი მოთხრობილი ამბებისა; **ეპიკა** — ეპიკური პოეზია.

**ეპოქა** (ბერძ. ეპოქე): 1) საერთოდ: ხანა; 2) ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი; 3) დროის განსაზღვრული ხანა, ცნობილი რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენით; 4) ისეთი რამ შესანიშნავი შემთხვევა ხალხის ცხოვრებაში ან მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში, რომელიც მოასწავებს მათში ახალი ხანის დაწყებას; 5) გეოლოგიური პერიოდის ნაწილი; 6) მნათობის მოძრაობის დასაწყისი მომენტი; აქედან: **ეპოქალური** — ეპოქის ხასიათის მქონე; ეპოქის შემქმნელი, შესანიშნავი.

**ერა** (იხ. ლათ. აერა): 1) წელთაღრიცხვა; 2) შესანიშნავი ხანა კაცობრიობის ან ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში, საიდანაც იწყება ახალი წელთაღრიცხვა; 3) გეოლოგიაში — თვითეული პერიოდი, რომლის განმავლობაში წარმოიქმნა დედამიწის ქერქის ოთხივე სიზრქე.

**ერატიკული**, ლათ.-ფრ. (erratique „მოხეტიალე, ცთომილი"), მედიცინაში: არაწესიერი, ადგილცვლილი; გეოლოგიაში, მაგალითად, **ერატიკული ქვები** — უზარმაზარი ქვები, რომელნიც დაშორებიან თავის ადგილსაბადებელს რამდენსამე ასეულ და ზოგჯერ ათასეულ ვერსზე.

**ერატო**, ბერძ., ძველი ბერძენთა მითოლოგიით: ენებიერი სიყვარულის პოეზიის მფარველი ქალი-ღვთაება — ერთი ცხრათაგანი მუზა.

**ერგ-ი**, ბერძ. ხელოვნ. მექანიკაში: მუშაობის ერთეული ზომათა აბსოლუტურ სისტემაში, — უდრის ძალას, რომელიც საჭიროა ერთი მილიგრამის ასაწევად ერთი სანტიმეტრის სიმაღლეზე.

**ერებ-ი** ან **ერებოს-ი**, ბერძ., ძველ ბერძენთა მითოლოგიით: წყვდიადის ღვთაება; ბნელეთი, ჯოჯოხეთი, ქვესკნელის უბნელესი ნაწილი.

**ერეთიზმ-ი** (ბერძ. ერეთისმოს „რისხვა, გაღიზიანება, აგზნება"), ავადმყოფურად აგზნებული მდგომარეობა.

**ერეს-ი** (ბერძ. აირესის „არჩევანი, მიდრეკილება..."), მწვალებლობა; რაიმე მიღებული მოძ-

ღვრებისაგან, სარწმუნოებისაგან განდგომა, სექტა; აქედან: ერეტიკ-ი ან ერეტიკოს-ი — მწვალებელი, განდგომილი, სექტანტი (იხ.); ერესიარქ-ი — ერესის მეთაური, სექტის დამაარსებელი; ერესიოლოგია — მწვალებლობათა ისტორია.

ერეტიკ-ი ან ერეტიკოს-ი, იხ. ერესი.

ერექცია (ლათ. erectio „გასწორება“), ფიზიოლოგიაში: სასქესო ასოს აგზნება.

ერეტიზმ-ი, იხ. ერეთიზმი.

ერითრომელალგია (ბერძ. erythros „წითელი“), ხელ-ფეხის თითების სიწითლე და შესიება (მედიცინაში).

ერითროფობია, ბერძ., გაწითლების ავადმყოფური შიში.

ერითროციტები (მრავლ., ბერძ.), სისხლის წითელი პატარა სხეულები.

ერინიები (მრავლ., ბერძ. Erinys-ისაგან „შურისძიების ქალ-ღმერთები“), იგივეა რაც ევმენიდები (იხ.).

ერისტიკა, ბერძ., კამათის ხელოვნება, რომელსაც მიზნად აქვს არა ჭეშმარიტების გამორკვევა, არამედ მოწინააღმდეგის დარწმუნება, დაძლევა.

„ერკაპე“, რუს. ხელოვნ., რუსეთის კომუნისტური პარტიის შემოკლებული სახელწოდება (შავად აღნიშნული ასოების რუსული წარმოთქმა).

„ერკოოპ-“ი, რუს. ხელოვნ., მთლიანი მუშათა კოოპერატივის შემოკლებული სახელწოდება რუსულად (რუსული სახელწოდების პირველი ასოები: e, p, коoп); ქართულად: მუშკოოპ-ი.

ერლ- (ინგლ. earl), გრაფის ტიტული ინგლისურად.

ერმიტები ან ერემიტები (მრავლ., ბერძ. ერემოს-ისაგან „განმარტოებული“), ქრისტიანი განდეგილები ძველად; აქედან: ერმიტაჟ-ი (ბერძ.-ფრ. ermitage): 1) უდაბნო, განმარტოებული ადგილი; თავშესაფარი; 2) მრავალი განყოფილების შემცველი მდიდარი მუზეუმი ლენინგრადში.

ეროზია ან უკეთ ეროზიონ-ი, ლათ.-ფრ. (érosion): 1) გეოლოგიაში: ჩამორეცხა-დაშლის პროცესი — წყლისა, მყინვართა და ქარის ზემოქმედებით (იხ. დენუდაცია); 2) მედიცინაში: ლორწოიანი გარსის ზედაპირული დაწყლულება.

ეროს-ი (ბერძ. Eros,-otos), ძველ ბერძენთა მითოლოგიით: ვნებიერი სიყვარულის ღვთაება, ა რ ე ს-ისა და აფროდიტე-ს ვაჟი, რომელსაც აქვს ძალა როგორც ადამიანზე, ისე ღმერთებზედაც, — გამოისახებოდა ფრთებიანი ჭაბუკის სახით.

ეროტ-ი, იგივეა, რაც ეროსი (იხ.); აქედან: ეროტიზმ-ი ანუ ეროტომანია — : 1) საერთოდ: ვნებიერი სქესობრივი სიყვარულისადმი ავადმყოფური მიდრეკილება; 2) მედიცინაში: სულიერი დაავადება სქესობრივი აგზნების ნიადაგზე; ეროტიკა — სატრფიალო ლექსები; ვნებიერი სიყვარულის შემცველი პოეზია; ეროტიკ-ი — სატრფიალო ლექსების მწერალი პოეტი; ვნებიური სიყვარულით შეპყრობილი: ეროტიკული — ეროტიკის ხასიათის მქონე.

ერუდიცია (ლათ. eruditio), ფართე განათლებულობა, დიდი ცოდნის მქონებლობა; ამა თუ იმ საკითხის ან სამეცნიერო დარგის ღრმა ცოდნა.

ერფურტ-ის პროგრამა, ასე ეწოდება გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის მიერ ქალაქ ერფურტში (Erfurt) 1891 წ. ყრილობაზე მიღებულ პროგრამას, რომელმაც შესცვალა გ ო თ ა ს  პ რ ო გ რ ა მ ა (იხ.) და რომელსაც ახასიათებს, უმთავრესად, სამოქმედო პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა: პ რ ო გ რ ა მ ა-მ ი ნ ი-მ უ მ ი — შეიცავს მუშათა კლასის სამოქმედო გეგმას და მოთხოვნილებებს კაპიტალისტური ხანის ფარგლებში; პ რ ო გ რ ა მ ა-მ ა ქ ს ი მ უ-მ ი — საბოლოო მიზნებს და სოციალიზმისათვის ბრძოლის საშუალებებს.

ერცჰერცოგ-ი (გერმ. Erzherzog), ავსტრიის სამეფო გვარეულობის წევრთა ტიტული.

„ესდეკ“-ი, ხელოვნ., სოციალ-დემოკრატის შემოკლებული სახელწოდება.

ესენცია (ლათ. essentia): 1) მთავარი შინაარსი, არსი, არსობა; მთავარი შემადგენელი ნაწილი; 2) ეთერის აქროლებადი ზეთები, — მოიპოება ყვავილებისა და ხაყოფისაგან დესტილაციის საშუალებით; 3) შესქელებული ხსნარი, რომელსაც ხმარების დროს შეურევენ წყალს.

„ესერ“-ი, ხელოვნ., სოციალისტ-რევოლუციონერის შემოკლებული სახელწოდება.

ესთეტ-ი (ბერძ. აისთეტეს „მგრძნობიარე“): 1) მიმდევარი იმ მხატვრულ-ლიტერატურული მიმართულებისა, რომელიც ცდილობს აღადგინოს პირვანდელი ფორმები პოეზიასა და ხელოვნებაში გარეგნული საშუალებებით (ტანსაცმელით, მოწყობილობით და სხვ.); 2) გარეგნული მშვენიერების მოყვარული; აქედან: ესთეტიზმ-ი — სილამაზისა და მშვენიერების სიყვარული.

ესთეტიკა (ბერძ. აისთეტიკოს „მგრძნობიარე, გრძნობით დაჯილდოებული“), მოძღვრება მშვენიერების კანონების შესახებ; ესთეტიკ-ი ან ესთეტიკოს-ი — : 1) ის, ვინც მეცნიერულად ამუშავებს ესთეტიკის საკითხებს; 2) მშვენიერების მოყვარული და დამფასებელი; აქედან: ესთეტიკური — ესთეტიკის ხასიათის მქონე; ის, რაც აკმაყოფილებს ესთეტიკის მოთხოვნილებებს; ლამაზი, მშვენიერი.

ესკადრა ან ესკადრ-ი (ფრ. escadre), საზღვაო ან საჰაერო ფლოტის (იხ.) ნაწილი; ესკადრილ-ი — პატარა ესკადრი, ჩვეულებრივ — აეროპლანებისა; ესკადრონ-ი — კავალერიაში: ცხენოსანთა ასეული.

ესკალადა ან ესკალად-ი, ფრ., სიმაგრის აღება საერიშო კიბეების შემწეობით.

ესკარპ-ი (ფრ. escarpe), ციხის თხრილის დაქანება (დაფერდება) ბრუსტვერისაკენ (იხ.).

ესკვაირ-ი (ინგლ. Esquire, შემოკლებით Esk.): 1) ძველად: აზნაურის ტიტული; 2) ახლა: ყველა განათლებული პირის ტიტული (იწერება ჩვეულებრივ გვარის შემდეგ).

ესკიზ-ი (ფრ. esquisse), სახელდახელოდ, მაჟად შესრულებული რაიმე ნაწარმოები.

ესკორტ-ი (ფრ. escorte), ამალა, მხლებელი, მცირე რაზმი, რომელიც მცველად ახლავს დიდ პიროვნებას ან სამხედრო ტრანსპორტს; ესკორტირება — მცველად თანხლება.

ესკულაპი (ლათ. Aesculapius): 1) მკურნალობის ღვთაება ძველ რომაელთა; იგივეა, რაც ბერძენთა ასკლეპიოსი (იხ.); 2) გადატან. მნიშვნ.: დაცინვითი სახელწოდება ექიმთა.

ესპანოლ-ი (ფრ., espagnol), საერთოდ: ისპანური, მაგ. ისპანური ენა; კერძოდ: მოკლედ შეკრეჭილი წვერი.

ესპლანად-ი, ფრ., მოედანი რაიმე შენობის წინ; სასეირნო გაშლილი ადგილი.

ესპერანტო, ხელოვნ., ასე ეწოდება ვარშაველი ექიმის, ზამენჰოფ-ის, მიერ 1887 წ. ხელოვნურად შედგენილს მსოფლიო ენას, რომელსაც საფუძვლად უდევს ევროპულ ენათა შესწავლაც გაადვილებულია მარტივი გრამატიკის გამო, — გავრცელებულია კულტურულ ქვეყნებში; აქედან: ესპერანტისტ-ი — ესპერანტოს მომხრე და მცოდნე.

ესტაკად-ი (ფრ. estacade): 1) ჯაჭვებით შეკრული მსხვილი მორები წყალში — მტრის ხომალდებისაგან ნავსადგურის დასაცავად; ხიმინჯური ზღუდარი; 2) ხიმინჯებზე დადებული ხიდი ნავსადგურთან და სხვ.

ესტამპ-ი (ფრ. estampe), იგივეა, რაც გრავიური (იხ.).

ესტაფეტ-ი (ფრ. estafette), შიკრიკის ხელით გაგზავნილი სასწრაფო ცნობა.

ესტეტ-, იხ. ესთეტ-.

ესტოკად-ი (ფრ. estocade), ფარიკაობაში: პირდაპირი კვრა წვეტიანი ხმლით — ჩხვლეტი (გაგმირვის) მიზნით.

ესტრაგონ-ი, ფრ., ტარხუნა (მცენარე. მწვანილი).

ესტრადა ან ესტრად-ი (ფრ. estrade), ამაღლებული ადგილი სათეატრო დარბაზში, აუდიტორიაში და სხვ. — ორკესტრისათვის, კათედრისათვის, ტახტისათვის და სხვ.; ტექნიკაში: ფიცარნაგი.

ესქატოლოგია (ბერძ. eskhatos „უკანასკნელი, ბოლო-“), რელიგიური მოძღვრება ქვეყნის დასასრულისა და ადამიანის საიქიო ცხოვრების შესახებ.

ესქილ-ი ან უკეთ ესქილოს-ი (ბერძ. Aischylos), ძველი საბერძნეთის (VI — V საუკ. ქ. წ.) ერთი შესანიშნავი ტრაგიკოსთაგანი; დაუწერია მრავალი ტრაგედიები, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია შვიდმა; განსაკუთრებით ცნობილია „მიჯაჭული პრომეთე“.

ეტალონ-ი (ფრ. étalon), სანიმუშო რამ საგანი, რომელსაც ადარებენ ან რომლის მსგავ-

სადევე ამზადებენ სხვა საგნებს, მაგ. მეტრის ეტალონი და სხვ.

**ეტაპ-ი** (ფრ. étape): 1) ჯარის ან გადაგზავნილ პატიმართა შესაჩერებელი ადგილი; აგრეთვე მანძილი ორ შესაჩერებელ ადგილს შუა; 2) ერთი დღის სავლელი; 3) რაიმე მოძრაობის გამოსავალი წერტილი; აგრეთვე—განვითარების ცრთერთი საფეხური.

**ეტაჟერკა** ან **ეტაჟერ-ი** (ფრ. étagére), თაროებიანი ღია შკაფი წიგნებისათვის.

**ეტაჟ-ი** (ფრ. étage), სახლის სართული (ქართულად ამბობენ: ატაჟა).

**ეტიკა** და სხვ., იხ. ეთიკა და სხვ.

**ეტიკეტ-ი** (ფრ. étiquette): 1) სავაჭრო დაღი, რომელიც დაეკვრის ამა თუ იმ საქონელს ვაჭრის ან მწარმოებლის ფირმის აღსანიშნავად; 2) მაღალ საზოგადოებაში ან სასახლეში მიღებული ყოფაქცევის წესები.

**ეტილ-**, იხ. ეთილ-.

**ეტიმოლოგია** (ბერძ. étymos „ნამდვილი, ჭეშმარიტი", etymologia „სიტყვის წარმოშობისა და მნიშვნელობის ნამდვილი ახსნა"): 1) სასკოლო გრამატიკაში: გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეიცავს ფონეტიკასა და მორფოლოგიას (იხ.); 2) ენათმეცნიერებაში: მოძღვრება ცალკე სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ; აქედან: **ეტიმოლოგიური** — ეტიმოლოგიის ხასიათის მქონე ან სიტყვათა ეტიმოლოგიების შემცველი, მაგ. ეტიმოლოგიური ლექსიკონი.

**ეტიოლირება**, ლათ.-ფრ. (étioler), მცენარის სიბნელეში გაზრდა: ეტიოლირებული მცენარე თეთრი და მკრთალი ფერისაა.

**ეტიოლოგია** (ბერძ. aitia „მიზეზი, დანაშაული"), მედიცინაში: მოძღვრება სნეულებათა მიზეზების შესახებ.

**ეტიუდ-ი** (ფრ. étude „სწავლა, მეცადინეობა, ცოდნა" და სხვ.): 1) დაუმთავრებელი ნახატი; 2) სამეცნიერო ან სახელოვნო მოკლე ნაწარმოები, რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეს დამთავრებული სახე; 3) მუსიკაში: სავარჯიშო პიესა.

**ეტნო-**, იხ. ეთნო-.

**ეტო-**, იხ. ეთო-.

**ეფებ-ი** ან **ეფებოს-ი** (ბერძ. ephebos): 1) ძველ საბერძნეთში: მომწიფებული ჭაბუკი 18 წლისა, ქალი 17 წლისა; 2) პასიური პედერასტი (იხ.).

**ეფეკტ-ი**, იხ. ეფექტი.

**ეფემერ-ი** ან **ეფემერული** (ბერძ., ეპი „განმავლობაში". hēmera „დღე"): 1) ერთი დღისა, დღიური; 2) წარმავალი, წუთიერი; აქედან: **ეფემერები** (მრავლ.) — ბოტანიკაში: მოკლე-ხნიანი მცენარეები; **ეფემერიდები** (მრავლ.) — : 1) ენტომოლოგიაში: ნაზი აგებულობის მწერები, რომელნიც ერთ დღეზე მეტს არ ცოცხლობენ; 2) ასტრონომიაში: ტაბულები, რომლებიც იძლევიან ცნობებს მნათობთა ყოველდღიური მდგომარეობის შესახებ.

**ეფენდი**, ოსმ., სწავლულთა და მაღალ მოხელეთა საპატიო ტიტული ოსმალეთში.

**ეფეს-ი** (გერმ. Gefäss), ხმლის ტარი.

**ეფექტ-ი** (ლათ. effectus-ისაგან): 1) ძლიერი შთაბეჭდილება; 2) რაიმე ძალის მოქმედება; შედეგი რაიმე მოქმედებისა; აქედან: **ეფექტური** ან **ეფექტიანი** — ეფექტის ხასიათის მქონე; ძლიერი; რაც ყურადღებას იზიდავს და სხვ.

**ეფოდ-ი**, ბერძ., ძველ ებრაელთა მღვდლების ზედა სამოსელი.

**ეფოდ-ი**, ბერძ. ძველ ებრაელთა მღვდლესპარტაში: ხალხის მიერ ყოველწლიურად არჩეული საბჭოს წევრები.

**ეფრეიტორ-ი** (გერმ. Gefreiter-ისაგან), დაბალი სამხედრო ხარისხი რუსეთში რევოლუციამდე.

**ექვატორ-ი** (ლათ. aequator „გამათანასწორებელი"). წარმოსახვითი წრე დედამიწის ბირთვზე, რომელიც ჰყოფს ამ ბირთვს ორ თანასწორ ნაწილად: ჩრდილო და სამხრეთ ნახევარბირთვებად; აქედან: **ექვატორიალური** ან **ექვატორული** — ექვატორის არეში მდებარე.

**ექვატორიალ-ი**, ლათ. (იხ. ექვატორი), საასტრონომიო იარაღი — მნათობის მდებარეობის გამოსაკვლევად.

**ექვივალენტ-ი** (ლათ. aequivalere „თანასწორად დაფასება"), თანასწორღირებულებიანი, ტოლფასეული; ტოლფასი; აქედან: **ექვივალენტური**—ტოლმნიშვნელოვანი, შესატყვისი და სხ.

**ექვილიბრი** (ლათ. aequilibrium), წონასწორობა; **ექვილიბრისტიკა** — წონასწორობის დაცვის (შენარჩუნების) ხელოვნება; **ექვილიბრისტ-ი** — ვისაც აქვს უნარი წონასწორობის დაცვისა; ჯამბაზი; გადატან. მნიშვნ.: მერყევ შეხედულებათა მქონე ადამიანი.

**ექიდნა**, ბერძ.: 1) ზღაპრული ქმნილება — ნახევრად გველი და ნახევრად ქალი; 2) ზოოლოგიაში: ერთგვარი ძუძუმწოვართა გვარის ცხოველი, რომელსაც პირი ნისკარტისებრი აქვს, იკვებება მწერებით, სდებს კვერცხებს; 3) შხამიანი გველი; 4) გადატან. მნიშვნ.: გაიძვერა, ბოროტი ადამიანი.

**ექო** (ბერძ. ēchō): 1) ძველ ბერძენთა მითოლოგიით: ნიმფა, რომელიც დასჯილ იქნა ჰერას მიერ მით, რომ მას არ შეეძლო დაელაპარაკნა თავისით და არ შეეძლო გაჩუმება, თუ სხვა ვინმე ლაპარაკობდა; ნარცისის მიმართ უიმედო სიყვარულმა ისე დატანჯა, რომ მისგან დარჩა მხოლოდ ხმა; 2) ფიზიკაში: ბგერის ანარეკლი, ვამოძახილი; აქედან: **ექოლალია** — ისეთი ფსიქიური ავადმყოფობა, როცა ავადმყოფი იმეორებს მის გასაგონად თქმულს.

**ექს-** (ლათ. ex), სიტყვის თავსართია, რომელიც ზოგჯერ აღნიშნავს „ყოფილი", მაგ. ექსკაიზერი — ყოფილი კაიზერი (იხ.).

**ექსელბანდ-ი**, იგივეა, რაც აქსელბანდი (იხ.).

**ექსკომუნიკაცია**, ლათ.-ფრ. (excommunication), ეკლესიიდან განდევნა, განყენება.

**ექსკრემენტ-ი**, ლათ., ცხოველთა განავალი.

**ექსკრეცია**, ლათ.-ევროპ., გამოყოფა; აქედან: **საექსკრეციო** ან **ექსკრეტორული ორგანოები** — სხეულიდან მავნე პროდუქტების (შარდის, ოფლის და სხვ.) გამომყოფი ანუ გამომდევნი ორგანოები (თირკმლები, საოფლე ჯირკვლები და სხვ.).

**ექსკურსია**, ლათ., მოგზაურობა (ჩვეულებრივ — არა შორეული) სამეცნიერო სასწავლო ან სახალისო მიზნებით; აქედან: **ექსკურსანტ-ი** — ექსკურსიის მონაწილე.

**ექსმინისტრ-ი**, ლათ. ხელოვნ., ყოფილი მინისტრი (იხ. ექს-).

**ექსორია**, ბერძ., სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გაძევება რაიმე დანაშაულის გამო.

**ექსპანსია**, ლათ.-ფრ. (expansion), გაფართოება, გავრცელება; აქედან: **ექსპანსიური** ან **ექსპანსივ-ი** — გადაჭარბებულად მგრძნობიარე, თავშეუკავებელი, ადვილად აგზნებადი, გრძნობის უშუალოდ გამომმჟღავნებელი და სხ. ასეთი.

**ექსპატრიაცია**, ლათ., სამშობლოდან გაძევება ვისიმე, ან თავის ნებით სამშობლოს მიტოვება; **ექსპატრიირება** — ასეთივე მოქმედება.

**ექსპედიცია** (ლათ. expeditio): 1) ჯარების ან საქონლის გაგზავნა; 2) სამეცნიერო ან სხვა მოგზაურობა რაიმე წინასწარ დასახული მიზნის შესასრულებლად; 3) დამპყრობი ან დამსჯელი რაზმის გაგზავნა; 4) დაწესებულებათა განყოფილება, რომელიც განაგებს მიწერ-მოწერის მიღება-გაგზავნის საქმეს (პერიოდული გამოცემის ექსპედიცია უგზავნის ხელის მომწერლებს გამოცემებს და სხვ.); აქედან: **ექსპედირება** — საქონლის გაგზავნა ფოსტით, რკინისგზით ან ხომალდით; **ექსპედიტორ-ი** — ვინც განაგებს რაიმე საგანთა გაგზავნის საქმეებს.

**ექსპერიმენტ-ი** (ლათ. experimentum „ცდა, გამოცდილება"), სამეცნიერო ცდა: რაიმე მოვლენის შესწავლა ხელოვნურად შექმნილ პირობებში; აქედან: **ექსპერიმენტალური** ან **ექსპერიმენტული** — ექსპერიმენტზე, სამეცნიერო ცდაზე დამყარებული; **ექსპერიმენტატორ-ი** — სამეცნიერო ცდის მწარმოებელი.

**ექსპერტ-ი** (ლათ. expertus), მცოდნე პირი, რომელსაც იწვევენ რაიმე საგნის გამოსაკვლევად ან სადაო საკითხის გადასაწყვეტად; აქედან: **ექსპერტიზა** ან **ექსპერტიზ-ი** (ფრ. expertise) —: 1) რაიმე საგნის ან მოვლენის გასინჯვა-გამოკვლევა ამისათვის მოწვეულ მცოდნე პირთა მიერ; 2) ასეთ პირთა დასკვნა მათთვის მიცემული საკითხის გამო.

**ექსპირაცია**, ლათ., ამოსუნთქვა; **ექსპირაციული** — ამოსუნთქვითი.

**ექსპლიკაცია**, ლათ., ახსნა; **ექსპლიკატორ-ი** — ამხსნელი.

**ექსპლოატაცია** (ფრ. exploitation): 1) ბუნების სიმდიდრეთა დამუშავება, სასარგებლოდ გამოყენება; სარგებლობის მიღება რაიმე წამოწყებიდან; 2) სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება; დაქირავებული მუშა-ხელის გამოყენება რაიმე კერძო წარმოებაში ზედმეტი ღირებულე-

ბის მიღების მიზნით; აქედან: **ექსპლოატირება**— იგივე მოქმედება; **ექსპლოატატორ-ი** —ექსპლოატაციის ჩამდენი.

**ექსპოზიცია**, ლათ.-ფრ. (exposition): 1) გამოფენა, საჩვენებლად დადება; 2) რაიმე ნაწარმოების შესავალი, მისი მთავარი აზრის შემცველი; 3) ფოტოგრაფიული აპარატის (იხ.) მიერ საგნის ასახვისათვის საჭირო დრო.

**ექსპონატ-ი**, ახ. ლათ., გამოფენაზე წარმოდგენილი საგანი.

**ექსპონენტ-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) გამოფენაზე ექსპონატების (იხ.) წარმომდგენი ან გამგზავნი პირი ან დაწესებულება; 2) ალგებრაში: ხარისხის მაჩვენებელი .

**ექსპონირება**, ლათ.-გერმ., გამოფენაზე ექსპონატების წარმოდგენა.

**ექსპორტ-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) საქონლის საზღვარგარეთ გატანა; 2) გატანითი ანუ გაზიდვითი ვაჭრობა; 3) საზღვარგარეთ გატანილი საქონლის რაოდენობა და ღირებულობა; აქედან: **ექსპორტირება** — იგივე მოქმედება; **ექსპორტერ-ი** — ვინც ექსპორტს აწარმოებს.

**ექსპრეს-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. express), განსაკუთრებული სწრაფი სარკინიგზო მატარებელი — ყოველგვარი მოწყობილობით (საწოლები, სასადილო და სხვ.).

**ექსპრესია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. expression), გამომხატველობითი ან გამომეტყველობითი სიძლიერე, განსაკუთრებით — მუსიკაში, სასცენო ხელოვნებაში და სხვ.; აქედან: **ექსპრესიული** — სიძლიერით გამომხატველი.

**ექსპრესიონიზმ-ი**, ლათ.-ევროპ. (იხ. ექსპრესია), თანამედროვე ლიტერატურულ-მხატვრული მიმართულება, რომელიც მდგომარეობს შინაარსის გაძლიერებაში — თანამედროვე რთული და მღელვარე ცხოვრების მხატვრულად ასახვის მიზნით: ხელოვნის მიზანი არ უნდა იყოს სინამდვილის მიბაძვა ან მისი ყოველდღიურობის პასიურად გადმოღება, არამედ ცხოვრებაზე შემოქმედებითი ზედმოქმედება; **ექსპრესიონისტ-ი** — ექსპრესიონიზმის მიმდევარი ხელოვანი.

**ექსპრომტ-ი**, ლათ. (ex. promtus „მზა. აშკარა. გაბედული"), წინასწარ მოუმზადებლივ ნათქვამი სიტყვა ან ლექსი; უმზადლივი; აქედან: **ექსპრომპტად** — უმზადლივ, ანაზდად, მოულოდნელად.

**ექსპროპრიაცია**, ლათ.-ევროპ. (expropriation): 1) კერძო ქონების იძულებითი ჩამორთმევა და სახელმწიფოს საკუთრებად გადარიცხვა; 2) შეცვლილი მნიშვნელობით: კერძო ან სახელმწიფოებრივი თანხების ძალით გატაცება, წართმევა; **ექსპროპრიატორ-ი** — ექსპროპრიაციის მომხდენი; **ექსპროპრიირება** — ასეთივე მოქმედება

**ექსტაზ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. extase): 1) ავადმყოფურად აღფრთოვანებული, აგზნებული სულიერი მდგომარეობა: თავდავიწყება; 2) ფილოსოფიაში: სულის განთავისუფლება გარე-ბუნების ზეგავლენისაგან; **ექსტაზური** — აღფრთოვანებული, ექსტაზში მყოფობითი.

**ექსტემპორალე** (ლათ. extemporalis): 1) ექსპრომპტად თქმული; 2) წერითი საკლასო ვარჯიშობის ერთი სახე უცხო ენების (ჩვეულებრივ — ბერძნულისა და ლათინურის) შესწავლაში.

**ექსტენსიური**, ლათ.-ევროპ. (ლათ. extensus „გაჭიმული, ფართო, ვრცელი", ფრ. extensive), გაფართოებითი, გავრცელებითი, მაგ.: **ექსტენსიური მეურნეობა** — ისეთი მეურნეობა, რომლის წარმოებრიობაც იზრდება სახნავი სივრცის გაფართოებითა და შრომის გაძლიერებული ექსპლოატაციით (და არა ნიადაგისა და საწარმოო იარაღების გაუმჯობესებით).

**ექსტერიტორიალობა**, ლათ.-ევროპ. (ფრ. exteritorialité): 1) ამა თუ იმ ტერიტორიის (იხ.) გარეშე ყოფნა; 2) უცხოელთა დამოუკიდებლობა იმ ქვეყნის კანონთა მოქმედებისაგან, რომელშიც ისინი დროებით იმყოფებიან (მაგ. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელი და სხვ.); აქედან: **ექსტერიტორიალური**— ადგილობრივ კანონთა გარეშე მყოფი, მაგ. ექსტერიტორიალური პიროვნება, დაწესებულება და სხვ.

**ექსტერნ-ი** (ლათ. externus „გარეგანი, გარედან მომსვლელი"): 1) მოწაფე, რომელიც არ ცხოვრობს პანსიონიან სკოლაში; 2) ის პირი, რომელიც იჭერს გამოცდებს იმ სკოლაში ან იმ კლასის კურსში, რომელშიც მას არ უსწავლია.

ექსტირპატორ-ი, ლათ.-ფრ. (extirpateur „ამომფხვრელი"), მიწის ღრმად გამფხვიერებელი სამიწათმოქმედო იარაღი.

ექსტირპაცია, ლათ.-ფრ. (extirpation „ამოგლეჯა"), მედიცინაში: ამოჭრა, ფცქვნა.

ექსტრა- (ლათ. extra „გარეშე, ცალკე"), დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს: „გარე-, ზედმეტად" და სხვ.; აგრეთვე: „იშვიათი, არაჩვეულებრივი" და სხვ..

ექსტრაგირება, იხ. ექსტრაქტი, ექსტრაჰირება.

ექსტრადიცია, ლათ.-ფრ. (extradition), დამნაშავის გაცემა.

ექსტრავაგანტური (ლათ.,, იხ. ექსტრა, ვაგარი „ხეტიალი"), უცნაური, არეული, არაჩვეულებრივი, მაგ. ასეთი ადამიანი.

ექსტრაორდინარი (ლათ. extraordinarius), არაჩვეულებრივი, იშვიათი, საგანგებო; ექსტრაორდინარი პროფესორი — პროფესორის თანამდებობის ერთერთი (დაბალი) საფეხური.

ექსტრაქტ-ი (ლათ. extractum): 1) რაიმე მცენარეული ნივთიერებისაგან მიღებული პროდუქტი — გამოწურვისა, აორთქლებისა და შესქელების გზით; 2) რაიმე აზრისა ან ნაწარმოების მოკლედ გადმოცემა; აქედან: ექსტრაქტული — გამოწურვის, აორთქლების ან შესქელების გზით მიღებული; ექსტრაქტის ხასიათის მქონე; ექსტრაქცია—გამოწურვა, გამოღება (მაგ. ნაყოფისა საშოდან), ამოძრობა (მაგ. კბილისა) და სხვ.; ექსტრაჰირება — იგივე მოქმედება.

ექსტრემ-ი (ლათ. extremus), უკანასკნელი, უკიდურესი; აქედან: ექსტრემიზმ-ი —უკიდურესობა, უკიდურესობის მომხრეობა; ექსტრემისტ-ი — უკიდურესობის მომხრე.

„ექსტრენი" (ლათ.-ფრ. extreme?), საგანგებო, სასწრაფო, გადაუდებელი (ეს სიტყვა შემოსულა ქართულში რუსული დაბოლოებით — экстренный).

ექსუდაცია (ლათ. exudatio), სითხის ოფლად გამოსვლა (მედიცინაში).

ექსცენტრიკ-ი, ლათ.-ევროპ. (ფრ. excentrique): 1) მექანიკაში: ბრუნვითი მოძრაობის წრფიულ (სწორწირულ) მოძრაობად გადამქცევი მოწყობილობა; 2) უცნაური ხასიათის მქონე ადამიანი; უხიაკი; აქედან: ექსცენტრიკული ან ექსცენტრული — უცნაური, არაჩვეულებრივი და სხვ.

ექსცეს-ი, ლათ.-ფრ. (excès): 1) საერთოდ: გადაჭარბება, თავშეუკავებლობა; 2) კერძოდ: არაზომიერება მაგარი სასმელების სმაში, სქესობრივ ურთიერთობაში და სხვ.; 3) ძალადობა, უწესური საქციელი, ჭირვეულება და სხვ. ასეთი.

ექტაზია (ბერძ. ektasis), ღრუ ორგანოთა ან მილების გაფართოება, მაგ. კუჭისა და სხვ. (მედიცინაში).

ექტენია (ბერძ. ekténeia „დაჟინებული, გაუწყნარებელი"), შეგვიწყალენი (საეკლესიო).

ექტიპოგრაფია (ბერძ. ektypos „ცხადად ამობურცულად", graphō „ვწერ"), ამობურცული ბეჭდვა ბრმათათვის.

ექტობლასტ-ი, ბერძ., ჩანასახ-უჯრედთა შიდა ფენი; იგივეა — ექტოდერმ-ი (შეად. ენტობლასტ-ი).

ექტოპარაზიტები (მრავლ., ბერძ. ektos „გარეთ", იხ. პარაზიტი), გარე-პარაზიტები, რომლებიც ცხოვრობენ სხვა ცხოველთა ზედაპირზე (შეად. ენტოპარაზიტები).

ეშაფოტ-ი ან ეშაფოდ-ი (ფრ. échafaud): 1) ხარაჩო, ესტრადი (იხ.); 2) დამნაშავეთა სიკვდილით დასასჯელი ფიცარნაგი.

ეშელონ-ი (ფრ. échelon „საფეხური"), სამხედრო: გზაში მყოფი ან სხვა ადგილას გადასაგზავნი ჯარის ნაწილი.

ეხიდნა, იხ. ექიდნა.

ეხინოკოკკ-ი ან ექინოკოკკ-ი (ბერძ. echinos „ზღარბი, კუჭის შიდაკანი", იხ. კოკკ-ი), ლენტისებრი პარაზიტული ჭია.

ეხო, იხ. ექო.

# ვ

**ვაალ-ი** — იგივეა, რაც ბაალ-ი (იხ.).

**ვაბანკ-ი** (ფრ. va-banque), ქაღალდის თამაშში: მოთამაშის მიერ მთელი ბანკის (იხ.) ოდენა თანხით რისკება; გადატან. მნიშვნ.: სარისკო ნაბიჯის გადადგმა (იხ. რისკი).

**ვაგა** ან **ვაგ-ი** (გერმ. Wage): 1) დიდი სასწორი; 2) სიმძიმის ასაწევი ბერკეტი; 2) ეტლის საყევარი.

**ვაგაბუნდ-ი** (ფრ. vagabond), მოხეტიალე ადამიანი.

**ვაგანტები** (მრავლ., ლათ. vagantes), საშ. საუკუნეების მოხეტიალე სტუდენტთა ძმობის წევრები გერმანიაში (საფრანგეთში მათ ეწოდებოდა გ ო ლ ი ა რ დ ე ბ ი), — რომელთა მხიარული საერო ლექსები და სიმღერები მიმართულია სამღვდელოების წინააღმდეგ.

**ვაგზალ-ი** (ინგლ. vauhxall): 1) რუსეთში და ჩვენში: რკინისგზის სადგური; რკინისგზის სადგურის დარბაზი (თავდაპირველად — ერთი გასართობი ადგილის სახელწოდება ლონდონის ახლობლად); 2) ევროპაში: დარბაზი გასართობ ბაღში.

**ვაგინა**, ლათ., ანატომიაში: საშო; დედაკაცის სასქესო ორგანოს ნაწილი; აქედან: **ვაგინალური** ან **ვაგინური** — საშოს ხასიათის მქონე ან მის შესახები; **ვაგინიზმ-ი** — ქალის ავადმყოფობა — საშოს ავადმყოფური მგრძნობიარობა; **ვაგინოსკოპია** — საშოს გამოკვლევა საგანგებო სარკითა და სანათურით.

**ვაგნერ-ი, რ.** (Wagner, R., 1813 — 1883), გენიალური გერმანელი კომპოზიტორი, მუსიკალური დრამის შემქმნელი; განსაკუთრებით ცნობილია მისი ოპერები: „ლოენგრინი", „ტრისტან და იზოლდი", „ნიბელუნგთა ბეჭედი" და სხვ.; აქედან: **ვაგნერიზმ-ი** — ვაგნერის სამუსიკო სისტემა; **ვაგნერიანი** ან **ვაგნერისტ-ი** — ვაგნერიზმის მიმდევარი.

**ვაგონ-ი**, ინგლ. მგზავრებისა და ტვირთის მოსათავსებელი — რელსებიან გზაზე მოძრაობისას; **ვაგონეტ-ი** — რაიმე მასალის მცირე მანძილზე საზიდავი პატარა ღია ვაგონი; **ვაგონ-რესტორანი** — სასადილოიანი ვაგონი.

**ვაგრანკა** ან უკეთ **ვაგრან-ი** (გერმ.). თუჯის სადნობი ღუმელი.

**ვადემეკუმ**, ლათ. („იარე ჩემთან"), საჯიბე ცნობათა-წიგნი; გზის მაჩვენებელი.

**ვაზა**, ლათ., სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ჭურჭელი თიხისა, მინისა და სხვ. — იხმარება მორთვის მიზნით, მაგ. ყვავილების მოსათავსებლად.

**ვაზელინ-ი**, ახ. ლათ., უფერო ნახევრად-თხევადი ნივთიერება, რომელიც მოიპოვება ნავთისაგან, — იხმარება მედიცინაში და ტექნიკაში.

**ვაზომოტორები** (მრავლ., ლათ.), ნერვული ბოჭკოები, რომელნიც იწვევენ სისხლის მილების დავიწროებასა (ვაზოკონსტრიქტორები) და გაგანიერებას (ვაზოდილატატორები, იხ. დილატაცია).

**ვაკანსია** ან **ვაკანს-ი**, ლათ.-ფრ. (vacance). თავისუფალი ადგილი დაწესებულებაში, სასწავლებელში და სხვ.

**ვაკაცია** (ლათ. vacatio), არდადეგი; ყოველწლიური, განსაზღვრული ვადით შეწყვეტა მეცადინეობისა სკოლასა ან რაიმე დაწესებულებაში, — ჩვეულებრივ — დასვენების მიზნით.

**ვაკს-ი**, იხ. ვაქსი.

**ვაკუოლ-ი**, ლათ. ხელოვნ. (vacuus „ცარიელი, თავისუფალი"): 1) ბოტანიკაში: სიღრუე მცენარეთა უჯრედების პროტოპლაზმში, — სავსე უჯრედის წვენით; 2) ზოოლოგიაში: ბუშტულები პროტოპლაზმის უჯრედებში.

**ვაკუუმ-ი**, ლათ. (იხ. ვაკუოლი), ცარიელი, უჰაერო სივრცე: აქედან: **ვაკუუმეტრ-ი** — აირთა (გაზთა) გაუხშოების (დაიშვიათების) საზომი ხელსაწყო; **ვაკუუმ-აპარატი** — დაბალ ტემპერატურაზე ხსნართა ასაორთქლებელი და გამოსახდელი ხელსაწყო — უჰაერო სივრცეში.

**ვაკც-**, იხ. ვაქც-.

**ვაკხ-**, იხ. ბაკქ-.

**ვალანსიენ-ი**, ფრ., თხელი და ნაზი ბაფთა, რომელსაც ამზადებდნენ წინეთ ქალაქ ვალანსიენში (Valenciennes).

**ვალგალა**, იხ. ვალჰალა.

ვალგანგ-ი, გერმ., სამხედრო: მიწაყრილის ზედაპირზე მოწყობილი ბაქანი.

ვალდენსები (მრავლ., Waldenses), ვალდუს-ის მიერ XII საუკუნეში დაარსებული ქრისტიანული სექტა, რომელსაც სურდა აღედგინა პირვანდელი ქრისტიანობის ზნეობრივი სიწმინდე; განსაკუთრებით გავრცელდა საფრანგეთში, იტალიაში და ბოჰემიაში...

ვალდშნეპ-ი (გერმ. Waldschnepfe), ტყისქათამი.

ვალდჰორნ-ი (გერმ. Waldhorn „ტყის ბუკი"), თითბრის შთასაბერი სამუსიკო ინსტრუმენტი, — წარმოადგენს მოღუნულ მილს; ვალდჰორნისტ-ი — ვალდჰორნზე დამკვრელი.

ვალეზიანები (მრავლ.), ვალეზიუს-ის მიერ III საუკ. დაარსებული სექტა, რომელიც უარჰყოფდა სხეულს და ქადაგობდა ვეგეტარიანობას (იხ.), — შეაჩვენა ნიკეის საეკლესიო კრებამ.

ვალენტინიანები (მრავლ.), ალექსანდრიელი მეცნიერის, ვალენტინუს-ის, მიერ II საუკ. დაარსებული სექტა, რომელიც უარჰყოფდა მკვდრეთით აღდგომას.

ვალენტობა (ლათ. valere-საგან — „სიძლიერე, სიმაგრე") ანუ ატომურობა — ასე ეწოდება ერთი ელემენტის ატომის უნარს შეიერთოს სხვა ელემენტის ატომთა განსაზღვრული რიცხვი.

ვალერიანა, ლათ. ერთგვარი ბალახეული მცენარე, რომლის ძირებისაგანაც მზადდება ვალერიანის წვეთები — მოქმედობს, როგორც დამამშვიდებელი საშუალება.

ვალეტ-ი, ფრ. („მსახური, მხლებელი"), სათამაშო ქაღალდზე. უმცროსი ფიგურა.

ვალვაცია, ლათ.-ფრ. (évaluation „შეფასება"), უცხოეთის მონეტის (ფულის) ოფიციალური შეფასება იმის მიხედვით, თუ რამდენ წმინდა ლითონს შეიცავს იგი; ვალვირება — იგივე მოქმედება.

ვალი, არაბ., ოსმალეთში: ოლქის მმართველის ტიტული.

ვალიუტა, იხ. ვალუტა.

ვალკირიება (მრავლ., ძვ. სკანდ. walkyrjur), ძველი სკანდინავიის მითოლოგიით: ოქროს იარაღიანი გედის ფრთებიანი ქალწულები, რომელნიც სწყვეტენ ომის ბედს: ომში დაღუპული მეომრები მიჰყავსთ ვალჰალაში (იხ.) და იქ ალხენენ მათ.

ვალპურგის ღამე, ასე ეწოდება გერმანიაში 1 მაისის წინა ღამეს, როდესაც ხალხის ცრურწმენის თანახმად ჰარცის ერთერთ მწვერვალზე, ბროკენ-ზე, იკრიბებიან ავისულები (იხ. ბროკენი).

ვალს-ი, გერმ.-ფრ. (valse), ძალიან გავრცელებული ერთგვარი ცეკვა წყვილისა; აგრეთვე: ასეთი ცეკვისათვის შედგენილი მუსიკა; ვალსირობა — ვალსის ცეკვა.

ვალტორნ-ი, იხ. ვალდჰორნ-ი.

ვალტრაპ-ი (გერმ. waltrappe), სქელი მაუდი უნაგირისა ან საპალნის გადასაფარებლად.

ვალუა (ფრ. Valois), საფრანგეთის მეფეთა დინასტია 1328 — 1589 წლამდე.

ვალუტა, ლათ.-იტ.: 1) საერთოდ: ღირებულობა; 2) ფულის ერთეული, რომელიც მიღებულია ამა თუ იმ სახელმწიფოში საყოველთაო სავალდებულოდ ყოველგვარი ანგარიშ-სწორებისათვის; 3) ფასიან ქაღალდთა ნომინალური (იხ.) ღირებულობის შეფარდება მათ საბირჟო ღირებულობასთან; 4) ხმარებაში მყოფი მონეტის (ფულის) ღირებულობა ლითონის ფულის მიხედვით; 5) ვექსილში მოთავსებული თანხა ან ვექსილის ღირებულობა; აქედან: ოქროს ვალუტა — ფულის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ოქროს მონეტა (ფული).

ვალჰალა (Walhalla „მოკლულთა დარბაზი"), ძვ. სკანდინავიის მითოლოგიით: ოდინ ღმერთის სასახლე, სადაც ომში დაღუპულნი ლხინობენ (იხ. ვალკირიები).

ვამპირ-ი, ევროპ. (ფრ. vampire): 1) ხალხური ცრურწმენით: საფლავიდან ამოსული მკვდარი, რომელიც ადამიანს სისხლს სწოვს; 2) სისხლის მწოველი ღამურის ჯიში სამხრ. ამერიკაში; 3) გადატან. მნიშვნ.: შეუბრალებელი, სისხლის მწოველი მევახშე.

ვანა, ლათ.-ევროპ. (ფრ. vanne): 1) აბაზანი; 2) ტანის-ბანა (ამბობენ: ვანის მიღება).

ვანდალები (მრავლ.): 1) გერმანელთა მოდგმის ხალხი, რომელმაც V საუკუნეში დაიპყრო რომი და გაანადგურა მასში ხელოვნების მრავალი ძეგლი; აქედან 2) გადატან. მნიშვნ.: ვანდა-

ლ-ი — ტლანქი და უვიცი ადამიანი, რომელიც უაზროდ ანადგურებს ხელოვნების ან სხვა რაიმე ფასეულ საგნებს; ვანდალიზმ-ი — ვანდალობა, კულტურულ ღირებულებათა განადგურებისადმი მიდრეკილება; ვანდალური — ვანდალისათვის (იხ. 2) დამახასიათებელი.

ვანდეა (ფრ. Vandée): 1) ჩრდილო-დასავლ. საფრანგეთის ერთი დეპარტამენტი (იხ.), რომელიც ცნობილია კონტ-რევოლუციური მოძრაობით საფრ. დიდი რევოლუციის დროს; აქედან: 2) გადატ. მნიშვნ.: საზოგადოდ ეწოდება ამა თუ იმ კუთხის კონტრ-რევოლუციას სამოქალაქო ომის ხანაში.

ვანდემიერ-ი (ფრ. vendémiaire), წლის პირველი თვე საფრანგეთის სარევოლუციო კალენდრით (23 სექტ. — 21 ოქტ.).

ვანდრუთ-ი გერმ. („კედლის წნელი"), კედლის მორი მალაროში — ჩამოქცევის შესაკავებლად.

ვანილ-ი (ფრ. vanille), ტროპიკული მცოცავი მცენარე, რომლის უმწიფარი ნაყოფისაგან კეთდება სხვადასხვაგვარი კეთილსურნელოვანი საშუალება; აქედან: ვანილინ-ი — ვანილის კეთილსურნელოვანი ნივთიერება; აგრეთვე: ვანილის სუნიანი ხელოვნური ფხვნილი.

ვანტ-ი, ვანტები (გერმ. Wand-ისაგან), ანძის დამკავებელი ბაგირები; აქედან: ვანტ-ტრაპ-ი (გერმ. Wandtreppe-საგან), თოკის კიბე, რომლითაც შედიან ვანტებზე.

ვანტოზ-ი (ფრ. ventôse), წლის მეექვსე თვე საფრანგეთის რევოლუციის კალენდრით (19 თებერვ. — 20 მარტამდე).

ვანტრილოკ-ი, ლათ.-ფრ. (ventriloque), მუცლით-მეტყველი.

ვანტუზ-ი, ლათ.-ფრ. (ventouse): 1) მედიცინაში: სისხლის მწოვი ქილა; 2) ტექნიკაში: წყალსადენის მილებიდან ჰაერის გამომშვები მოწყობილობა; ჰაერ-მშვები; 3) გუტაპერჩის (იხ.) წრე, რომელიც მიეწებება გლუ კედელს (იხმარება, მაგ., საკედლური შანდლებისათვის).

ვაპ-ი ან უკეთ ბაპ-ი (ბერძ. baphé), თიხიანი წითელი ქვაკირი. — იხმარება სადებავად დაფანჯრების საკეთებლად.

ვაპორიზაცია, ლათ.-ფრ. (vaporisation), აორთქლება; განმტვერება (პულვერიზატორით, იხ.); ვაპორიმეტრ-ი — სითხეში ალკოჰოლის რაოდენობის გამომრკვევი იარაღი — ორთქლის სიძლიერის მიხედვით.

ვარანტ-ი (ინგლ. warrant „უფლება; თავდებობა"), საქონლის საწყობის მიერ გაცემული მოწმობა მიბარებულის რაოდენობისა და თვისების აღნიშვნით; ამ მოწმობით შეიძლება მასში აღნიშნულის გაყიდვა-დაგირავება.

ვარეკ-ი, ფრ.: 1) საფრნაგეთში: ზღვის ნაპირზე გამორიყული წყლის მცენარეები, რომლის ნაცრისაგან ამზადებენ სოდასა და იოდს; 2) დაბალი ხარისხის სოდა.

ვარვარ-, იხ. ბარბარ-.

ვარიაგ-ი, ვარიაგები (მრავლ., ძვ. ისლანდ. varingjar), სკანდინავიელი მეომრები, რომელთაც დაიპყრეს სლავური ტომები და წარმოქმნეს ძველ რუსეთში თავადთა პირველი გვარეულობა.

ვარიანტ-ი, ლათ.-ფრ. („ცვალებადი"), ერთისა და იმავე თემის (ამბის, მოთხრობის და სხვ.) სხვადასხვაგვარი გადმოცემა, სხვადასხვაგვარი წაკითხვა.

ვარიაცია (ლათ. variatio): 1) საერთოდ. ცვლილება; 2) ბიოლოგიაში: ცვლილება ცხოველთა და მცენარეთა ამა თუ იმ სახის ფარგლებში (ფერით, სიდიდით და სხვ.); 3) მუსიკაში: მუსიკალური თემის სახეცვალება; აქედან: ვარიირება — სახეცვალება, გამრავალფეროვნება, მერყეობა განსაზღვრულ ფარგლებში.

ვარიეტე (ფრ. variété „სხვადასხვაობა"), შერეული შინაარსის სათეატრო მსუბუქი სანახაობა.

ვარიოლა, ლათ., ყვავილი (გადამდები სნეულება); ვარიოლოიდ-ი — მსუბუქი ყვავილი

ვარლენ-ი, (Varlin, 1839 — 1871), პარიზის კომუნის (იხ.) ერთერთი ბელადთაგანი, — მუშა; I ინტერნაციონალის მონაწილე; იბრძოდა ბარიკადებზე ბოლომდე, დახვრიტეს.

ვარუნა, ძვ. ინდ., ინდურ მითოლოგიაში: წინეთ — ცის ღვთაება, შემდეგ — წყალთა.

ვასალ-ი, ლათ.-ევროპ. (ფრ. vassal), დას. ევროპაში ფეოდალიზმის ხანაში: მიწის პირობითი მფლობელი, რომელიც ამ მიწით სარგებლობის უფლებისათვის დაბეგრილი იყო სუზერენის მიერ (იხ.), განსაკუთრებით, სამხედრო სამსახურით; აქედან: ვასალური — დამოკიდებული, მაგ. ვასალური სახელმწიფო.

**ვასერმან-ის რეაქცია**, ათაშანგის გამოსაცნობი ხერხი — სისხლის შრატის გამოკვლევის გზით (ეწოდა ერთერთი აღმომჩენის, Wassermann-ის, სახელი, 1906 წ.).

**ვასილისკ-ი** ან უკეთ **ბასილისკოს-ი** ბერძ. basiliskos): 1) ზღაპრული საშიშარი ცხოველი, რომელსაც მომაკვდინებელი მხედველობა აქვს; 2) სამხრეთ-ამერიკის ხვლიკის ჯიში.

**ვატერკლოზეტ-ი**, ინგლ., ფეხისადგილი — პეპყის ჩასარეცხი მოწყობილობით.

**ვატერპას-ი**, ინგლ., საგანთა ჰორიზონტული (თარაზული) მდგომარეობის გამომრკვევი ხელსაწყო.

**ვატერპრუფ-ი** (ინგლ. waterproof), წყალგაუვალი პალტო; აგრეთვე: ქალის გრძელი პალტო.

**ვატიკან-ი** (იტ. vaticano): 1) რომის ერთერთი ბორცვი, რომელზედაც გაშენებულია 2) პაპის სასახლე; 3) გადატ. მნიშვნ.: პაპის მმართველობა. — ხელისუფლება.

**ვატმან-ი**, ინგლ. ხელოვნ. (wattman), ტრამვაის წამყვანი. — მმართველი.

**ვაფლ-ი** (გერმ. Waffel), თხელი ცომისაგან შემზადებული ტკბილი ნამცხვარი.

**ვაქს-ი** (გერმ. Wachs „ცვილი"), ტყავის ფეხსაცმლის გასაპრიალებელი საცხებელი.

**ვაქცინა** ან უკეთ **ვაქცინ-ი**, ლათ.-ევროპ., ხელოვნ. (ლათ. vacca-საგან „ძროხა"): 1) ძროხისა ან ხბოს ყვავილის ჩირქი, რომლითაც აწარმოებენ ყვავილის აცრას ადამიანზე; 2) საერთოდ: ხელოვნურად დასუსტებული შხამი გამომწვევი სნეულებისა, — იხმარება ასაცრელად; აქედან: **ვაქცინაცია** — აცრა.

**ვაშინგტონი, ჯ.** (Washington, G., 1732 — 1799), შესანიშნავი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩრდ. ამერიკის აჯანყებას ინგლისის წინააღმდეგ, — პირველი პრეზიდენტი შეერთებული შტატებისა; აგრეთვე: ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების სატახტო ქალაქის სახელწოდება, — საკავშირო მთავრობისა და კონგრესის ადგილსამყოფელი

**ვახმისტრ-ი** (გერმ. Wachmeister „ყარაულის უფროსი"), თანამდებობა ცხენოსანთა რაზმში, უდრიდა უნტერ-ოფიცერს.

**ვახტა** ან უკეთ **ვახტ-ი** (გერმ. Wacht): 1) გუშაგი ანუ ყარაული გემზე; 2) გუშაგთა გამოცვლის დრო; **ვახტერ-ი** — : 1) უფროსი დარაჯი დაწესებულებებში; 2) სალდათი, რომელსაც ევალებოდა ჯარის სურსათ-სანოვაგისა და სხვადასხვა ნივთების მეთვალყურეობა.

**ვეგეტარიანობა** ანუ **ვეგეტარიზმ-ი**, ლათ.-ევროპ. (ლათ. vegetalis „მცენარეული", ფრ. végétarisme), მოძღვრება, რომელიც უარჰყოფს ხორცეულს და სცნობს მხოლოდ მცენარეულ საჭმელს; **ვეგეტარიან-ი** — ვეგეტარიზმის მიმდევარი.

**ვეგეტაცია**, ლათ.-ფრ. (végétation), მცენარისებრი ცხოვრება, ზრდა; **ვეგეტატიური** ან **ვეგეტაციური** — ზრდითი; **სავეგეტაციო** — საზარდი; მაგ.: **ვეგეტაციური გამრავლება** — უთესლოდ გამრაელება. (მაგ. მყნობით); **სავეგეტაციო ორგანო** — საკვები და საზარდი ორგანო; **სავეგეტაციო პერიოდი** — ის დრო, რომლის განმავლობაშიც მცენარე იზრდება; **ვეგეტირობა** — ზრდა, აღმოცენება.

**ვეგნერ-ის ავადმყოფობა**, ახალშობილთა ძვლების ათაშანგი.

**ვედა, ვედები**, ძვ. ინდ. („ცოდნა"), ძველ ინდოელთა საღვთო წიგნები (რიცხვით—4 კრებული), — შეიცავს ბრაჰმანთა რელიგიის (ბრაჰმანიზმის) გამოსავალ წერტილს; ვედები საერთოდ წარმოადგენენ ინდური ენის უძველეს ძეგლს, ხოლო მათ შორის ყველაზე ძველი (რ ი გ ვ ე დ ა) შედგენილია ქ. წ. ათას წელზე ადრე; აქედან: **ვედაიზმ-ი** ან **ვედიზმ-ი**—ვედებზე დამყარებული რელიგიური მოძღვრება.

**ვედანტა** (სანსკრ. vedânta „ვედის ბოლო"), ინდოელთა ფილოსოფიის ერთერთი სისტემა — პანთეისტური მსოფლმხედველობის შემცველი.

**ვედეტ-ი** (იტ. vedetta), სამხედრო: მტრის ბანაკთან ახლო მდებარე საყარაულო.

**ვედრა** ან **ვედრო** (რუს. ведро), კოდა ან კასრი; სითხეთა საწყაო, — უდრის $12^{1}/_{2}$ ლიტრს.

**ვედური ენა**, იგივეა, რაც ძველი ინდური (იხ. ვედა).

**ვეზიკულა**, ლათ., ბუშტული; **ვეზიკულები** — ფილტვების საჰაერო ბუშტულები; აქედან: **ვეზიკულარული სუნთქვა** — ფილტვების ჩქამი ნორმალური სუნთქვისას.

**ვეზირ-ი**, არაბ., მაჰმადიანურ ქვეყნებში: მინისტრი.

**ვეზუვი** (ლათ. Vesuvius), მომქმედი ვულკანის სახელწოდება,—იმყოფება იტალიაში ნეაპოლის ახლო; აქედან: **ვეზუვიან-ი** — წახნაგოვანი სახის ერთი მინერალი, რომელიც მოიპოვება ვეზუვისთან და სხვ. ადგილებშიც, — ითვლება ძვირფას ქვად.

**ვეკსელ-ი**, იხ. ვექსილი.

**ვეკტორ-ი**, იხ. ვექტორი.

**ველარიუმ-ი**, ლათ., ტილოს დიდი ფარდები, რომელსაც გადააფარებდენ ხოლმე ძველად ამფითეატრს (იხ. 1) იქ მყოფ მაყურებელთა წვიმისა და მზისაგან დასაცავად.

**ველარული** ან **ველარ-ი ბგერა** (ლათ. ველუმ-ისაგან „აფრა, რბილი სასა"), ასე ეწოდება იმ ბგერას, რომლის წარმოთქმისას ენის-ზურგის უკანა ნაწილი აიწევა რბილი სასისაკენ (მაგ.: გ, ღ, ო, უ); უკანაენისმიერი ბგერა; აქედან: **ველარიზაცია** — გაუკანაენისმიერება; **ველარიზირება** — იგივე მოქმედება.

**ველბოტ-ი** (ინგლ. Whaleboat), გრძელი სწრაფ მავალი ნავი; ვეშაპზე სანადირო ერთანძიანი ხომალდი.

**ველენ-ი** (ფრ. vélin), პერგამენტის (ეტრატის) საუკეთესო ხარისხი; აქედან: **ველენ-ის ქაღალდი** — მკვრივი და მბზინვარე საწერი ქაღალდი, — პერგამენტის მსგავსი.

**ველეს-ი** ანუ **ვოლოს-ი**, რუს., ძველ სლავთა პირუტყვების მფარველი ღვთაება.

**ველზევულ-ი**, იხ. ბელზებელი.

(ინგლ. velveteen), ხავერდის მსგავსი ბამბეულის ქსოვილი.

**ველზეულ-ი**, იხ. ბელზებელი.

**ველოდრომ-ი** (ლათ. velox „სწრაფი", ბერძ. dromos „სირბილი"), საველოსიპედო მოედანი, — წარმოადგენს კიდეებიდან შიგნი დაქანებულ წრეს

**ველოსიპედ-ი**, ლათ. ხელოვნ. (velox.-ocis „სწრაფი", pes, pedis „ფეხი"), შესაჯდომი ორ ან მეტ-თვლიანი მოწყობილობა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ზედ-მჯდომს ფეხებით; აქედან: **ველოსიპედისტ-ი** — ველოსიპედით მავალი, ველოსიპედებით რბენაში შეჯიბრების მონაწილე.

**ველფები**, იხ. გველფები.

**ვენა, ვენები** (ლათ. ვენა „ძარღვი"), სისხლის ძარღვები, რომლებსაც მიაქვსთ სისხლი სხეულის ორგანოებიდან გულისაკენ.

**ვენდეტა** (იტ. ვენდეტტა), სისხლის აღების ჩვეულება კუნძულ კორსიკაზე და სამხრეთ-ევროპის სხვა ადგილებში.

**ვენდიდად-ი**, ავესტის ერთერთი ნაწილი (იხ. ავესტა).

**ვენედიგ-ი**, ჩრდ. იტალიის ერთერთი ქალაქი, — მდებარეობს ადრიატიკის ზღვის პირას; ქალაქი წარმოადგენს არხებით დაყოფილ 117 კუნძულს, რომელთა შორის მიმოსვლა წარმოებს გონდოლებით (იხ.); არის აგრეთვე 400 ხიდი; ცნობილია მრავალი შესანიშნავი ძველი ძეგლებით (ძველი საყდრებით, სასახლეებით და სხვ.).

**ვენერა** (ლათ. ვენუს,-ერის): 1) რომაელთა მითოლოგიით: სილამაზისა და ვნებიერი სიყვარულის ქალ-ღმერთი (უდრის ბერძენთა აფროდიტეს); **ვენერა მილოსელი** — კუნძულ მილოსზე პოვნილი შესანიშნავი ქანდაკება ვენერასი, — ინახება პარიზში; **ვენერა მედიცეისა** ან უკეთ **მედიჩთა** (იხ. მედიჩი) — ვენერას ქანდაკება, რომელიც ინახება ფლორენციაში და რომელიც მილოსელის აღმოჩენამდე ითვლებოდა ქალის საუკეთესო ქანდაკებად; 2) ერთერთი ცთომილი (პლანეტი), რომელიც დაინახება უიარაღო თვალით კაშკაშა ვარსკვლავის სახით: დილით — აღმოსავლეთით, საღამოთი — დასავლეთით.

**ვენერიული** ან უკეთ **ვენერული** ავადმყოფობანი (იხ. ვენერა) — სასქესო ორგანოების გადამდები ავადმყოფობანი, მაგ. ათაშანგი, სუსუნატი და შანკრი; აქედან: **ვენეროლოგ-ი** — ასეთ ავადმყოფობათა მკურნალი.

**ვენესექცია**, ლათ.-ევროპ. (გერმ. Venäsektion), ძარღვის გახსნა; სისხლის გამოშვება.

**ვენეცია**, იხ. ვენედიგი.

**ვენზელ-ი**, პოლ.-რუს. (вензель), ხვეულად დაწერილი დასაწყისი ასოები სახელისა და გვარისა.

**ვენოზური სისხლი** (იხ. ვენა), ვენებით გულისაკენ მოქცეული სისხლი; **ვენოზურობა** — : 1) ვენების სისხლით ავსება ;2) ვენების სისხლის თვისება .

**ვენტილაცია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. ventilation, ლათ. ventus „ქარი“), ჰაერის გაწმენდა რაიმე დახშულ შენობაში — საგანგებო მოწყობილობის — ვენტილატორის — საშუალებით; აქედან: ვენტილირება — იგივე მოქმედება.

**ვერანდა**, ევროპ., ღია ან შუშაბანდიანი აივანი.

**ვერატრინ-ი**, ახ. ლათ., შხამიანი თეთრი ფხვნილი, რომელიც მოიპოვება, მაგ. ხარისძირა ბალახისაგან ქიმიური გზით; იხმარება მედიცინაში.

**ვერბალური**, ლათ.-ევროპ. (ლათ. verbum-ისაგან „სიტყვა“, გრამატ.: „ზმნა“): 1) სიტყვიერი, ზეპირი (არაწერილობითი); სწავლების საქმეში: ვ ე რ ბ ა ლ უ რ მ ე თ ო დ ს უპირისპირებენ თვალსაჩინოებასა და ცდებზე დამყარებულს სწავლებას; 2) ზმნობრივი, ზმნითი.

**ვერბენა**, ახ. ლათ., ერთგვარი სადეკორაციო ლამაზი მცენარე.

**ვერდენ-ი** (ფრ. Verdun), აღმოსავლ. საფრანგეთის პირველხარისხოვანი სიმაგრე, რომელმაც მსოფლიო ომის დროს ათი თვის განმავლობაში გაუძლო გერმანელთა სასტიკ შეტევებს.

**ვერდიქტ-ი** (ლათ. vere dictum „მართლად თქმული“), განაჩენი, საბოლოო გადაწყვეტილება მსაჯულთა.

**ვერიზმ-ი** (იტ. verismo), იტალიის კომპოზიტორების ნატურალისტური მიმართულება ოპერაში, — მიმართულია ვაგნერის (იხ.) პრინციპების წინააღმდეგ; ვერისტები — ვერიზმის მიმდევარნი.

**ვერიფიკაცია**, ლათ.-ფრ. (vérification), სინამდვილის დადასტურება. დამოწმება; ვერიფიცირება — იგივე მოქმედება.

**ვერმილონ-ი**, ლათ.-ფრ. (vermillon), წითელი საღებავი.

**ვერმიშელ-ი** (იტ. vermicelli „ჭიები“): 1) ძალიან წვრილი მაკარონი; 2) გადატ. მნიშვნ. რუსეთში: საკანონმდებლო ან სხვა დაწესებულებაში უკამათოდ და სწრაფად მიღებული ნაკლებ-მნიშვნელოვანი კანონები ან საკითხები.

**ვერნიკე-ს ცენტრი**, სიტყვის გაგების ანატომიური ცენტრი თავის ტვინის ქერქში (აღმოაჩინა გერმ. ფსიქიატრმა Wernicke-მ), მისი დაზიანება იწვევს სიტყვის გაუგებრობას.

**ვერნისაჟ-ი** (ფრ. vernissage): 1) გალაქვა, ლაქით დაფარვა; მოჭიქვა; 2) jour de vernissage) — მხატვრული გამოფენის წინა-დღე, დანიშნული საპატიო სტუმრებისათვის.

**ვერსალ-ი** (ფრ. Versailles), საფრანგეთის ქალაქის სახელწოდება, პარიზიდან 17 კმ., — წინანდელ მეფეთა ადგილსამყოფელი; ცნობილია შესანიშნავი სასახლეებით, მუზეუმებით და სხვ.; ვერსალელები — ასე ეწოდა საფრანგეთის დროებითი მთავრობის წევრებს (ტიერის მეთაურობით), რომელნიც 1871 წ. იმყოფებოდენ ვერსალში და სასტიკად ებრძოდენ პარიზის კომუნას (იხ.); ვერსალის ხელშეკრულობა — ანტანტისა (იხ.) და გერმანიის შორის 1919 წ. სამშვიდობო ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც დამარცხებულ გერმანიას ჩამოერთვა მთელი რიგი პროვინციებისა, შეუმცირდა სამხედრო ძალები და დაედვა მძიმე კონტრიბუცია.

**ვერს-ი** (რუს. верста), რუსული სიგრძის საზომი, უდრის 500 საჟ. ანუ 1,067 კმ.

**ვერსია**, ლათ.-ფრ. (version), რაიმე ფაქტის ან ნაწარმოების განსხვავებულად გაგება, — გადმოცემა ან დალაგება.

**ვერსიფიკაცია** (ლათ. versificatio), ლექსთაწყობა; ლექსთაწყობის ხელოვნება ან მოძღვრება მის შესახებ; აქედან: ვერსიფიკატორ-ი — ლექსების შემდგენელი (ხშირად იგულისხმება ცუდი ლექსების შემდგენელი).

**ვერსტაკ-ი**, გერმ.-რუს. (გარუსულებული გერმ. Werkstatt), დაზგა (სახელოსნო სადურგლო მაგიდა სხვადასხვა მოწყობილობითურთ).

**ვერტიკალ-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) მათემატიკაში: შვეული წრფე (სწორი ხაზი); შვეული; ვერტიკალური — შვეული; პერპენდიკულიარული ჰორიზონტალური სიბრტყის მიმართ; 2) ასტრონომიაში: ცის სფეროს დიდი წრე, რომელიც გაივლის განსაზღვრული ადგილის ზენიტსა და მნათობზე.

**ვერფ-ი** (ჰოლ. werf), ნავსაშენი (ადგილი ზღვის ან მდინარის ნაპირზე, სადაც აშენებენ ან არემონტირებენ ხომალდებს).

**ვერშოკ-ი**, რუს., სიგრძის საზომი, უდრის 44,5 მილიმეტრს.

ვესპერ-ი, ლათ,. მწუხრის ვარსკვლავი (ვენერა, იხ.).

ვესტ-, გერმ.: 1) დასავლეთი (ემატება თავში გეოგრაფიულ სახელწოდებებს და აღნიშნავს „დასავლეთ"-); 2) დასავლეთის ქარი.

ვესტა, ლათ.: 1) რომაელთა მითოლოგიით: ოჯახისა და უმანკოებისქალღმერთი; 2) ერთ-ერთი მცირე პლანეტი.

ვესტალ-ი, ვესტალები (ლათ. vestales), ქურუმი-ქალები ვესტის ტაძარში, რომელნიც ქალწულობის აღთქმას სდებდენ და რომელნიც ინახავდენ ამ ტაძარში უქრობელ ცეცხლს.

ვესტალიები (მრავლ., ლათ. vestalia), ძვ. რომში: ვესტის საპატივცემო დღესასწაულები.

ვესტ-გუთები, იხ. გუთები.

ვესტიბულ-ი ან ვესტიბულუმ-ი ლათ.: 1) ძველ რომში: დახურული ეზო სახლის შესავლის წინ; 2) ახლა: საპარადო დერეფანი დიდ შენობებში; საგანგებოდ მორთული დიდი წინაოთახი, საიდანაც კარები გადის შენობის სხვადასხვა ნაწილებში.

ვესტმინსტერ-ი (ინგლ. Westminster), ლონდონის ნაწილი, სადაც მოთავსებულია სახელმწიფო უზენაესი დაწესებულებები (პარლამენტი, სამინისტრო); ვესტმინსტერის სააბატო — ლონდონის შესანიშნავი ტაძარი — ინგლისის შესანიშნავ პირთა დასაკრძალავი ადგილი.

ვეტერან-ი, ლათ. (vetus,-eris-ისაგან „ძველი"): 1) ძვ. რომში: ოც წელს ნამსახური სალდათი; ვეტერანებისაგან შედგენილი იყო საგანგებო რაზმები; 2) ახლა: დამსახურებული ჯარის კაცი; საერთოდ: დამსახურებული მოღვაწე.

ვეტერინარი (ლათ veterinarius), ბეითალი: ცხოველთა მკურნალი; ვეტერინარია — ბეითლობა: მედიცინის ნაწილი, რომელიც იკვლევს ცხოველთა ავადმყოფობას და მისი მკურნალობის საშუალებებს.

ვეტო, ლათ. („ვკრძალავ, არ ვიწყნარებ"): 1) ძვ. რომში: სახალხო ტრიბუნის სიტყვა, რომლითაც ძალა ერთმეოდა სენატის დადგენილებას; 2) საერთოდ: ერთი პირის უფლება — შეაჩეროს მოქმედება ხელისუფლების ან საკანონმდებლო დაწესებულების დადგენილება (დასავლეთ ევროპაში ეკუთვნის მეფეს ან პრეზიდენტს).

ვექსილ-ი (გერმ. Wechsel-ისაგან „ცვლა"), თამასუქი: წერილობითი ვალდებულება ამა თუ იმ თანხისა განსაზღვრულ ვადაზე.

ვექტორ-ი, ლათ.-ფრ. (vecteur), წრფის (სწორი ხაზის) ნაკვეთი, რომელსაც მინიჭებული აქვს გარკვეული გეზი.

ვეჩე, სლავ., ძველ სლავთა სახალხო ყრილობა.

ვიბორგის მოწოდება, რუსეთში მეფობის დროს: დათხოვნილი სახელმწ. სათათბიროს წევრების მიერ ქ. ვიბორგში (Выборг) 1906 წ. შედგენილი მოწოდება ხალხისადმი — მთავრობისათვის პასიური წინააღმდეგობის გაწევის (გადასახადებისა და ჯარისკაცების მიუცემლობის) შესახებ.

ვიადუკ-ი (ლათ. ვია „გზა", დუკო „მიმყავს"), თაღოვანი ხიდი კლდე-ღრეზე, მდინარეზე, ქუჩაზე და სხვ. (უმეტესად — რკინისგზისათვის).

ვიბრაცია (ახ. ლათ. vibratio), თრთოლა: დრეკად სხეულთა წესიერი რიტმიული რხევა; აქედან: ვიბრირება — იგივე მოქმედება; ვიბრანტ-ი — მთრთოლი, მთრთოლარე; ვიბროგრაფ-ი — თრთოლათა ჩამწერი მოწყობილობა; ვიბროსკოპ-ი — თრთოლათა საკვლევი მოწყობილობა.

ვიბრიონ-ი, ვიბრიონები, ლათ.-ევროპ., ხელოვნ.: ოდნავ მოღუნულ ბაქტერიათა ერთი ჯგუფი.

ვიგ-ი, ვიგები (ინგლ. whig), ინგლისის ლიბერალური პოლიტიკური პარტიის ძველი სახელწოდება, — წარმოიშვა 17 საუკუნეში.

ვივატ! (ლათ. ვივერე-საგან „სიცოცხლე"), იცოცხლოს! გაუმარჯოს!

ვივისექცია (ლათ. vivisectio „ცოცხალჭრა"), ცოცხალ ცხოველთა გაჭრა სამეცნიერო მიზნით (ფიზიოლოგიაში).

ვიზა, ლათ.-ევროპ. („ნახული, გასინჯული"): საერთოდ: აღნიშვნა რაიმე საბუთზე; კერძოდ. 1) საზღვარგარეთის პასპორტის შემოწმება კონსულის მიერ; 2) ამგვარად შემოწმებული საბუთი; აქედან: ვიზირება — აღნიშვნა, კონსულისათვის საბუთის წარდგენა.

ვიზავი (ფრ. vis-à-vis), პირისპირ.

**ვიზიონერ-ი**, ლათ.-ფრ. (visionnaire), საიდუმლო ხილვათა მორწმუნე ან მქონე.

**ვიზირ-ი** ან **ვიზიერ-ი** (ფრ. visiére), სამიზნებელი.

**ვიზიტაცია**, ლათ.-ფრ. (visitation „ნახვა, დათვალიერება“): 1) დაწესებულების დათვალიერება; 2) ექიმის ჩამოვლა საავადმყოფოში ავადმყოფებთან; 3) უცხოელთა სავაჭრო ხომალდების დათვალიერება.

**ვიზიტ-ი**, ლათ.-ფრ. (visite), დარბაზობა; მონახულება; მცირე ხნით სანახავად მისვლა, **ვიზიტერ-ი** (ფრ. visiteur) — მოდარბაზე, მნახველი და სხვ.; აქედან: **სავიზიტო ბარათი** — ბარათი, რომელზედაც აღნიშნულია სახელი, გვარი და მამის სახელი.

**ვიზუალური**, ლათ.-ფრ. (visuel), მხედველობითი.

**ვიკარი** (ლათ. vicarius), ქორეპისკოპოსი: ეპისკოპოსის მოადგილე, რომელიც მართავს ეპარქიას.

**ვიკინგები** (მრავლ., ძვ. სკანდინ. „მეომარი, გმირი“), სკანდინაველი მეომარი მეზღვაურები, რომელნიც 9-11 საუკუნეებში თავს ესხმოდნენ დასავლ.-ევროპის ნაპირებს.

**ვიკლეფ-ი** ან **ვიკლიფ-ი** (ინგლ. Wiklef ან Wiclif), ინგლისელი მღვდელი რეფორმატორი (14 საუკ.), — ებრძოდა პაპის უფლებებს, უარჰყოფდა წმინდანებს, ხატებს და სხვ.; რწმენის წყაროდ სთვლიდა მხოლოდ ბიბლიას; აქედან: **ვიკლეფიტები** — ვიკლეფის მიმდევარნი.

**ვიკონტ-ი** (ფრ. vicomte), აზნაურის ტიტული საფრანგეთსა და ინგლისში — საშუალო ბარონსა და გრაფს შორის.

**ვიკტ-**, იხ. ვიქტ-.

**ვილა** (ლათ. ვილლა), აგარაკი; სააგარაკო სახლი ქალაქს გარეთ.

**ვილაიეტ-ი**, თურქ., ოსმალეთის პროვინცია, რომელსაც განაგებს ფაშა; საფაშო.

**ვილან-ი**, **ვილანები** (ლათ. villani), საშ. საუკ. დასავლეთ ევროპაში: ყმა გლეხკაცობა.

**ვიმპელ-ი**, გერმ., გრძელი ვიწრო ალამი სამხედრო ხომალდებზე.

**ვინეგრეტ-ი** (ფრ. vinaigrette), ცივი საჭმელი, რომელსაც ამზადებენ დაჭრილი კართოფილისა, კიტრისა, ჭარხლისა და სხვ. მწვანილეულობისაგან და შეაზავებენ ძმრით, ერბოთი, მარილით და სხვ.; აჯაფსანდალი.

**ვინიეტკა** ან უკეთ **ვინეტ-ი** (ფრ. vignette), საშვენებელი მოსახულობა სურათის კიდეებზე ან წიგნში — თვითეული თავის დასაწყისსა და ბოლოში, — სათაურის სურათი; მოხატული დასაწყისი ასო.

**ვინკელ-ი**, გერმ., სადურგლო იარაღი; მკუთხავი.

**ვინტ-ი**, პოლონ.-რუს, (გერმ. Gewinde-საგან „ქედი, ღილი“): 1) ხრახნი — ლითონის ან ხის გარშემოქედეული ღერი; 2) ქაღალდის ერთგვარი თამაში.

**ვინტოვკა**, რუს. (იხ. ვინტი), ვინტისებრ ლულა-ქედეული თოფი; შაშხანი.

**ვიოლა**, ლათ.-ევროპ., ხემით დასაკრავი სიმებიანი ინსტრუმენტი, სიდიდით—საშუალო ვიოლინოსა და ვიოლონჩელს შორის.

**ვიოლინო**, იტ., ოთხსიმიანი ხემით დასაკრავი ინსტრუმენტი; **ვიოლონჩელ-ი** (იტ. violoncello), ასეთივე საკრავი — ვიოლინოზე დიდი და კონტრაბასზე პატარა; აქედან: **ვიოლონჩელისტ-ი** — მასზე დამკვრელი.

**ვირა**, გერმ.-სლავ., ფულადი ჯარიმა რაიმე დანაშაულობისათვის (მაგ. კაცის-კვლისათვის) ძველ რუსეთში.

**ვირაჟ-ი** (ფრ. virage „მობრუნება“): 1) საფოტოგრაფიო საქმეში: მარილების ერთგვარი ხსნარი — სურათის სხვა ფერის მისაცემად; 2) ავიაციაში: აეროპლანის ერთგვარი მანევრი (იხ.) ფრენის დროს.

**ვირგილიუს-ი** (70 — 19 ქ. წ.), შესანიშნავი რომაელი პოეტი—„ბუკოლიკას“ (იხ.) და „ენეიდას“ (იხ.) ავტორი.

**ვირემენტ-ი**, ფრ. („მობრუნება“), საბანკო ერთგვარი ოპერაცია — მიმდინარე ანგარიშის თანხის ერთი პირიდან მეორეზე გადატანა.

**ვირტუალური**, ლათ.-ფრ. (virtuel), შესაძლებელი; რასაც შეუძლია გამომჟღავნდეს, მოგვევლინოს.

**ვირტუოზ-ი**, ლათ.-ფრ. (virtuose), რაიმე ხელოვნებაში (განსაკუთრებით — მუსიკაში) ან სხვა საქმეში ზედმიწევნით დახელოვნებული პირი.

**ვირულენტ-ი** ან **ვირულენტური**, ლათ.-ფრ. (ლათ. virus-ისაგან „შხამი"), მედიცინაში: შხამიანი, შხამის წარმომქმნელი; **ვირულენტობა** — სასენო მიკრობების უნარი — წარმოშვან ორგანიზმისათვის მავნებელი პროდუქტები.

**ვისკი** (ინგლ. whiskey), ქერის ან ბრინჯის ერთგვარი არაყი.

**ვისკოზური**, ლათ.-ფრ., მწებვარე.

**ვისმუტ-ი**, იხ. ბისმუთი.

**ვისტ-ი** (ინგლ. whist „მუნჯი, მდუმარე"), ერთგვარი (ინგლისური) ქაღალდის თამაში.

**ვისცერალური** ან **ვისცერული** (ლათ. viscus,-eris-ისაგან „შინაგანობა", „ნაწლავები"), შინაგანობის, ნაწლავების შესახები.

**ვიტალიზმ-ი** (ლათ. vita-საგან „სიცოცხლე"; ფრ. vitalisme), მოძველებული მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებს მართავს მხოლოდ მასში არსებული „სასიცოცხლო ძალები"; აქედან: **ვიტალისტ-ი** — ვიტალიზმის მიმდევარი.

**„ვიტის ცეკვა"** (chorea Viti), ერთგვარი ნერვული ავადმყოფობა — გამოიხატება თავისა და ხელ-ფეხის კრუნჩხვითს მოძრაობაში (სახელწოდება მიიღო იმ წმინდანისაგან, რომელსაც საშ. საუკ. მიმართავდენ განკურნებისათვის).

**ვიტრინა** ან **ვიტრინ-ი** (ფრ. vitrine), მინის სახურავიანი ყუთი — შიგ მოთავსებულ სხვადასხვა საგანთა საჩვენებლად (მუზეუმებში, მაღაზიებში და სხვ.).

**ვიტრიფიკაცია** (ლათ. vitrificatio, vitrum „მინა"), ნივთიერების მინად გადაქცევა.

**ვიტრო**, ლათ.-ფრ. (ლათ. vitrum-ისაგან „მინა"), მხატვრობა მინაზე; მოხატული ფანჯრები.

**ვიქტორია** (ლათ. victoria): 1) რომაელთა გამარჯვების ქალ-ღმერთი; 2) ბაღის მსხვილი მარწყვი; 3) **ვიქტორია რეგია** — წყლის დიდი მცენარე (ფოთლების სიგრძე 2 მეტრამდე) მდინ. ამაზონის არემარეში (ამერიკაში), — ევროპაში ცოცხლობს ორანჟერიებში.

**ვიშკა**, სლავ.: 1) ძველად რუსეთში: საგრილობელი კოშკი სახლის-თავზე; 2) ახლა: საყარაულო დროებითი ხის ნაშენი; აგრეთვე: ნავთის ამოსაღებ მოწყობილობათა სათავისი; მაღალა.

**ვიშნუ**, ძვ. ინდ., ძველ ინდოელთა მზისა და კეთილის ღვთაება, — სამების მეორე პირი.

**ვიცე-**, ლათ. (ლათ. vicis-საგან „ცვლა"), ნაწილაკია, — ემატება რაიმე მაღალი თანამდებობის სახელწოდებას და აღნიშნავს: ნაცვალი, მოადგილე, თანაშემწე, მაგ. ვიცე-გუბერნატორი, ვიცე-პრეზიდენტი და სხვ.

**ვოდან-ი**, იხ. ოდინი.

**ვოდევილ-ი** (ფრ. vaudeville): 1) წინათ: სახუმარო და სატირული სიმღერა; 2) ახლა: სათეატრო პატარა პიესა — მსუბუქი სამხიარულო ხასიათისა; **ვოდევილისტ-ი** — ვოდევილების შემდგენელი.

**ვოიაჟ-ი** (ფრ. voyage), მოგზაურობა; აქედან: **ვოიაჟერ-ი** (voyageur „მოგზაური"), სავაჭრო სახლის მოსიარულე წარმომადგენელი (იხ. კომივოიაჟერი).

**ვოკაბულარი**, ლათ., რაიმე წიგნის (მაგ. ქრისტომათიის) ან მისი თვითეული ნაწილის ლექსიკონი.

**ვოკაბულ-ი**, **ვოკაბულები**, ლათ., დასაზეპირებელი უცხო ენის ცალკე სიტყვები მშობლიურ ენაზე თარგმანითურთ.

**ვოკალიზაცია**, ლათ.-ფრ. (vocalisation): 1) მუსიკაში: სიმღერით წარმოთქმა ცალკე ხმოვანთა — ვარჯიშობის მიზნით; 2) ფონეტიკაში: გახმოვნება, ხმოვნად ქცევა.

**ვოკალიზ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. vocalise), ხმის გასავითარებელი ვარჯიშობა.

**ვოკალიზმ-ი**, ლათ.-ევროპ., ამა თუ იმ ენის ხმოვანთა სისტემა.

**ვოკალისტ-ი**, ლათ.-ევროპ., დახელოვნებული მომღერალი.

**ვოკალური**, ლათ.-ევროპ., ხმითი, ხმით შესასრულებელი, სასიმღერო; მაგ. **ვოკალური მუსიკა** — სასიმღერო მუსიკა.

**ვოკზალ-ი**, იხ. ვაგზალი.

**ვოლან-ი** (ფრ. volant „მფრინავი"): 1) ერთგვარი ფრთებიანი სათამაშო; თვით ამ სათამაშოთი თამაში; 2) ქალის კაბის ნაწიბურის ერთგვარი მორთულობა.

**ვოლაპიუკ-ი**, ერთერთი მსოფლიო ხელოვნური ენის სახელწოდება (პასტორ Schleyer-ის მიერ 1880 წ. შედგენილი), — ძალიან გავრცელებული ესპერანტოს (იხ.) შექმნამდე.

ვოლონტერ-ი (ფრ. volontaire): 1) საერთოდ: თავის ნებით რაიმე საქმის ამსრულებელი; 2) მოხალისე ჯარისკაცი; 3) სავაჭრო საქმეში: უჯამაგირო მოსამსახურე.

ვოლტერ-ი (Voltaire, 1694—1778) შესანიშნავი ფრანგი სატირიკული მწერალი და ფილოსოფოსი, „ენციკლოპედიის" (იხ.) ერთერთი ავტორთაგანი; ეკლესიის კრიტიკითა და გონებისა და პიროვნების უფლების ქადაგებით ითამაშა დიდი როლი საფრ. დიდი რევოლუციის შემზადებაში; აქედან: ვოლტერიანელი — ვოლტერის მიმდევარი; გადატ. მნიშვნ.: თავისუფლად მოაზროვნე.

ვოლტ-ი: 1) ელექტრომამოძრავებელი ძალის ერთეული (სახელწოდება წარმომდგარია შესანიშნავი იტალიელი ფიზიკოსის, ვ ო ლ ტ ა-ს, საპატივცემოდ, 1745—1827); აქედან: ვოლტამეტრ-ი — ვოლტმზომი, გალვანური დენის სიძლიერის საზომი მოწყობილობა მისი ქიმიური მოქმედების მიხედვით; ვოლტმეტრ-ი — მგრძნობიარე გალვანომეტრი; 2) ფრ. volte — ცხენის სწრაფი მობრუნება ზედმჯდომის მიერ; აქედან: ვოლტიჟერ-ი (ფრ. voltigeur) — დახელოვნებული ცხენოსანი; აგრეთვე: თოკზე მავალი, ჯამბაზი; ვოლტიჟირება — ცხენზე ჯდომისას ან თოკზე სიარულისას სხვადასხვა სხეულმოძრაობის შესრულება.

ვოლუმინეზურ-ი ან ვოლუმინეზ-ი, ლათ.-ფრ. (volumineux,-euse), დიდი; დიდი მოცულობის მქონე; მრავალტომიანი (მაგ. წიგნი).

ვოლუნტარიზმ-ი (ლათ. voluntas-ისაგან „სურვილი, ნებისყოფა"), მიმართულება ფსიქოლოგიაში: ნებისყოფის უპირატესი მნიშვნელობა სულიერ მოვლენებში; ფილოსოფიაში: ნებისყოფა წარმოადგენს ყოველივე არსებულის საფუძველს; ვოლუნტარისტ-ი — ვოლუნტარიზმის მიმდევარი.

„ვოლხოვსტროი" (რუს. Волховстрой), რუსეთში: მდ. ვ ო ლ ხ ო ვ ზ ე, ლენინგრადიდან 114 ვერსის მანძილზე, აშენებული მძლავრი ჰიდრო-ელექტრული სადგური (დაიწყო შენება 1919 წელს); სახელწოდება ხელოვნურია.

ვომიტივ-ი, ლათ.-ფრ. (vomitive), პირის-საღებინებელი საშუალება (მედიცინაში).

ვორს-ი (რუს. вóрса), ბეწვი, ხაო.

ვოტან-ი, იხ. ოდინი.

ვოტუმ-ი, ლათ. („აღთქმა, სურვილი"): 1) კენჭის-ყრის დროს მიცემული ხმა; 2) ხმის უმეტესობით მიღებული რაიმე გადაწყვეტილება; აქედან: ვოტირება — ხმის მიცემა კენჭისყრის დროს.

ვუალ-ი (ფრ. voile), პირბადე, — ქალების პირისახეზე ჩამოსაფარებელი გამჭვირვალე ქსოვილი.

ვულგარული, ლათ.-ფრ. (vulgaire „ხალხური, ჩვეულებრივი, უბრალო" და სხვ.), ტლანქი, დაბალი ხარისხის, უწმაწური და სხვ.; აქედან: ვულგარიზაცია — : 1) საყოველთაო სახმარებლად შემოღება; 2) ტლანქი უწმაწური და სხვ. ასეთი სახით რაიმე წარმოდგენა; ვულგარიზირება — ასეთივე მოქმედება.

ვულვა, ლათ., ანატომიაში: დედაკაცის გარეთა სასქესო ორგანო.

ვულკან-ი (ლათ. Vulcanus): 1) ძვ. რომაელთა მითოლოგიით: ცეცხლისა და მეტალურგიის (იხ.) ღმთაება; 2) გეოლოგიაში: ცეცხლ-მფრქვევი მთა.

ვულკანიზაცია, ლათ.-ევროპ., კაუჩუკის დამუშავება გოგირდით — მეტი დრეკადობის მინიჭების მიზნით; ვულკანიზირება — იგივე მოქმედება; ვულკანიზირებული — ამგვარად დამუშავებული.

ვულკანიზმ-ი, ლათ.-ევროპ. (ფრ. vulcanisme), მოძღვრება, რომლის თანახმადაც დედამიწის ქერქის აგებულობა და ყოველგვარი ქანები (მთის ჯიშები) წარმოიქმნა მხოლოდ დედამიწის შინაგანი სითბოსა და ვულკანური პროცესების გამო.

ვუნდტ-ი, ვ. (1832—1920), შესანიშნავი გერმანელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი; შრომები: „ადამიანისა და ცხოველის სული", „ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლები", „ლოგიკა", „ხალხთა ფსიქოლოგია" და მრავალი სხვა.

# ზ

**ზადრუგა**, სერბ. („კავშირი"), ეკონომიურ და ტერიტორიულ ნიადაგზე დამყარებული გაერთიანება რამდენისამე (უმეტესად მონათესავე) ოჯახისა, — არსებობდა სამხრეთ სლავებში 16 საუკუნემდე; ახლა — მხოლოდ სერბებში.

**„ზავოდ"-ი**, რუს., ქარხანა.

**ზალა** ან **ზალ-ი**, ევროპ. (ფრ. salle, გერმ. Saal), დარბაზი: დიდი ოთახი კრებებისათვის ან გასართობებისათვის.

**„ზალოგ"-ი**, რუს., საწინდარი.

**ზალპ-ი**, ლათ.-ფრ. (salve; ქართულში — რუსულიდან), დაშენა: რამოდენიმე თოფით ან ზარბაზნით ერთბაში გასროლა; საერთოდ: ერთბაში მოქმედება.

**ზამბო**, ისპ., ზანგისა და მულატ-ქალისაგან შობილი (იხ. მულატი).

**ზამშა** ან **ზამშ-ი**, გერმ.-რუს. (გერმ. Sämischleder), ცხიმებით დამუშავებული (დარბილებული) ირმისა ან სხვა ნაზი ტყავი, რომლისაგანაც აკეთებენ ხელთათმნებს, ფეხსაცმელებს და სხვ.

**ზაპოროჟიე** (რუს. Запорожье), ქვემო-დნეპრის კუნძულების სახელწოდება; 16 საუკ. აქ შეიქმნა ზ ა პ ო რ ო ჟ ი ს ს ე ჩ-ი (Запорожская Сечь), რომელიც წარმოადგენდა ლტოლვილ გლეხთა და კაზაკთა დამოუკიდებელ თემს; ზ ა პ ო რ ო ჟ ი ე ლ ე ბ ი თავს ესხმოდენ ძარცვის მიზნით ოსმალეთსა და პოლონეთს; 17 საუკუნიდან მათი მეთაურობით უკრაინელი გლეხობა ებრძოდა პოლონეთის მემამულეებს.

**ზარათუშტრა**, საკუთარი სახელია ძველი ირანის რელიგიის, მ ა ზ დ ა ჰ ი ა ნ ო ბ ი ს ანუ მ ა ზ დ ა ი ზ მ ი ს (იხ.), დამაარსებელისა (მე-7 საუკ. ქ. წ.).

**„ზაჩეხ"-ი** — ზემო აჭარის მიდრო ელექტრული სადგური (ხელოვნურად შემოკლებული სიტყვა).

**ზებრა** ან **ზებრ-ი** (იტ. zebro, გერმ. zebra), ერთჩლიქიანი, ჯორის მსგავსი გარეული ცხოველი, — ცხოვრობს აფრიკაში; ჰკლავენ ხორცისა და ლამაზი (ზოლებიანი) ტყავისათვის.

**ზებუ** (გერმ. zebu), ერთ ან ორ-კუზიანი შინაური ხარი სამხრ. აზიასა და აღმოს. აფრიკაში.

**ზევგიტები** ან **ძევგიტები** მრავლ., ბერძ. zeygitai), ძველ ათენში: მესამე ცენზიანი კლასი სოლონის (იხ.) კანონების მიხედვით.

**ზევს-ი** ან უკეთ **ძევს-ი** (ბერძ. Zeys), ძვ. ბერძენთა მითოლოგიით: უზენაესი ღვთაება, ღმერთთა და ადამიანთა მამა, — უდრის რომაელთა იუპიტერს.

**ზელოტები** ან **ძელოტები** (მრავლ., ბერძ. zelôtes), ებრაელთა პოლიტიკური და რელიგიური პარტია ძველ პალესტინაში, — ებრძოდა რომაელებს დამოუკიდებლობისათვის.

**ზელტერ-ის** ან უკეთ **ზელტერს-ის წყალი** — სოფელ ზ ე ლ ტ ე რ ს ი ს მინერალური წყალი (პრუსიაში), რომელიც შეიცავს საჭმელ მარილს, სოდას და ნახშირმჟავა აირს (გაზს). — მზადდება ხელოვნურადაც.

**ზენდ-ავესტა**, იგივეა, რაც ავესტა (იხ.).

**ზენდ-ი** ან **ზენდური ენა**, ასე ეწოდება იმ ენას, რომელზედაც დაწერილია ავესტა (იხ.).

**ზენიტ-ი** ან უკეთ **ზენით-ი**, არაბ.: 1) ცის კამარის უმაღლესი წერტილი — დამკვირებლიდან შვეული (ვერტიკალური) მიმართულებით. 2) საერთოდ: რისამე უმაღლესი წერტილი: აქედან: **ზენითური** — ზენითის ხასიათის მქონე. **ზენითური** ან უკეთ **საზენითო ზარბაზანი** — აეროპლანების მიმართ სასროლი ზარბაზანი.

**ზეფირ-ი** ან **ძეფირ-ი** (ბერძ. zéphyros): 1) მითოლოგიით: დასავლეთის ქარის ღვთაება; 2) დასავლეთის ქარი; საერთოდ: თბილი ნიავი; 3) ერთგვარი თხელი უჯრედებიანი ბამბის ქსოვილი.

**ზიგზაგ-ი** (ფრ. zig-zag), იკანკელი, ტეხილი ხაზი.

**ზილბერგროშ-ი**, გერმ., ძველებური გერმანული მონეტა (ფული), დაახლოებ. 3 კაპ.

**ზილოტები**, იხ. ზელოტები.

**ზიმე** (ბერძ. zymé), დუღილის გამომწვევი ნივთიერება; **ზიმოლოგია** — ქიმიის დარგი, რო-

მელიც იკვლევს ორგანიულ ნივთიერებათა დუღილს.

**ზლოტ-ი**, პოლონ., პოლონური ფული, დაახლოებ. 15 კაპ.

**ზოანთროპია** ან **ძოანთროპია**, ბერძ. (ძოონ „ცხოველი", ანთროპოს „ადამიანი"), სულიერი დაავადება, რომლის დროსაც ადამიანს თავის თავი პირუტყვი ჰგონია.

**ზოდიაკ-ი** ან **ზოდიაქო** (ბერძ. zodiakòs), ასტრონომიაში: ეკლიპტიკის (იხ.) განგრძივ მდებარე ვარსკვლავედთა რიგი, — მზის ხილული მოძრაობის გზა; **ზოდიაკური სინათლე** —მკრთალი მოთეთრო სინათლე ზოდიაქოს გარემოში.

**ზოილ-ი** ან უკეთ **ძოილოს-ი**, ძვ. საბერძნეთში: გონება-მახვილი, მაგრამ ბოროტი და ღვარძლიანი კრიტიკოსი ჰომეროსის, პლატონის და სხვ. თხზულებათა IV ს. ქ. წ.; აქედან: უსამართლო კრიტიკოსის საზოგადო სახელი.

**ზოლა**, ემ. (1840—1902), შესანიშნავი ფრანგი რომანისტი, ნატურალიზმის წარმომადგენელი (მის მრავალ რომანთაგან ქართულად თარგმნილია „ნანა", „მაღაროში მომუშავენი" და რამდენიმე სხვა); სხვათა შორის დიდი სახელი მოიხვეჭა დრეიფუსის (იხ.) დაცვის გამო.

**ზონა** (ბერძ. zonê „სარტყელი"), 1) ეკვატორის პარალელური სარტყელი დედამიწის გარშემო; 2) დედამიწის ზედაპირის ესა თუ ის ნაწილი, რომელსაც ახასიათებს განსაზღვრული ჰავა; **ნეიტრალური** (იხ.) **ზონა** — თავისუფალი და ხელშეუხებელი ხაზი ორ სახელმწიფოთა ან ორი მეომარი ლაშქრის შორის.

**ზონდეკ-ი** (გერმ. Sonnendeck), გემის ბანზე გადაფარებული ტილო — მგზავრების მზისაგან დასაცავად.

**ზონდ-ი** (ფრ. sonde): 1) მედიცინაში: ჩხირისებრი ლითონის ხელსაწყო — ჭრილობათა, ძილების ან ღრუების გამოსაკვლევად ან გასაფართოებლად; 2) ტექნიკაში: არტეზიული ჭის (იხ.) სათხრელი და მიწის ქვედა ფენების საკვლევი ხელსაწყო; აქედან: **ზონდირება** — ზონდით მოქმედება მედიცინასა და ტექნიკაში; საერთოდ: რისამე წინასწარ გასინჯვა,—კვლევა.

**ზონტ-ი** (იხ. ზონდეკი; ქართულში — რუსულიდან): 1) ქოლგა; 2) ეტლის ასაწევი სახურავი; 3) ფარდული სახლის შესავალთან.

**ზონტიკ-ი** (იხ. ზონდეკ-ი), ქოლგა.

**ზოო-** (ბერძ. zoön „ცხოველი") — დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს ცხოველის შესახებ რასმე; მაგ. **ზოოგეოგრაფია**— მოძღვრება ცხოველთა გეოგრაფიული გავრცელების შესახებ; **ზოოგლიფ-ი** — მინერალის ნატეხი, რომელიც ჰგავს ცხოველს ან მის ნაწილს; **ზოოგრაფია** — ცხოველთა აღწერა; **ზოოთერაპია** — ცხოველთა მკურნალობა; **ზოოლატრია** — ცხოველთა თაყვანისცემა; **ზოოლით-ი**—გაქვავებული ცხოველი; **ზოოლოგია**— მეცნიერება, რომელიც იკვლევს ცხოველთა აგებულობისა, განვითარებისა და სიცოცხლის ზოგად კანონებს; აქედან: **ზოოლოგიური** — ზოოლოგიის ხასიათის მქონე; **ზოოლოგიური ბაღი**— სადაც ინახება სხვადასხვაგვარი ცოცხალი ცხოველები საკვლევად და საჩვენებლად; **ზოოლოგიური მუზეუმი**, სადგური და სხვ.; **ზოომაგნეტიზმ-ი** — ცხოველთა მაგნეტიზმი; **ზოოპალეონტოლოგია** — მეცნიერება ცხოველთა ამონათხარი ნაშთების შესახებ; **ზოოპათოლოგია**—მეცნიერება ცხოველთა ავადმყოფობის შესახებ; **ზოოფიტ-ი** — ცხოველ-მცენარე (პოლიპი, მედუზა და სხვ.); **ზოოფსიქოლოგია** —მეცნიერება ცხოველთა სულიერი ცხოვრების შესახებ; **ზოოტექნია** ან **ზოოტექნიკა** — მეცნიერება შინაური ცხოველთა მოშენება-მოვლის შესახებ; **ზოოტომია** — ცხოველთა ანატომია (იხ.); **ზოოქიმია** — ცხოველთა ქიმია (იხ.).

**ზოროასტრ-ი**, იგივეა რაც ზარათუშტრა (იხ.).

**ზუავ-ი** (ფრ. zouave), არაბულად ჩაცმული ჯარისკაცი საფრანგეთის ქვეითა ჯარში (სახელწოდება ალჟირის ერთერთი ტომისაგან, სადაც ფრანგებმა პირველად შექმნეს ასეთი ჯარი).

**„ზუბატოვშჩინა"**— ასე ეწოდა (1902 წ.) რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში — მუშათა მიმართ საპროვოკაციო მოქმედებას (ზუბატოვი იყო მოსკოვის პოლიციის საიდუმლო განყოფილების უფროსი).

**ზუბრ-ი**, რუს.: 1) თითქმის უკვე გადაშენებული გარეული ხარი; 2) გადატან. მნიშვნ: გადაშენების გზაზე მდგომი ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი.

**ზუმფ-ი** (გერმ. Sumpf „ჭაობა"), წყალ-ჩასადენი ორმო მაღაროს ფსკერზე.

# თ

**თაბაშირ-ი**, სპარს., გიპსი (იხ.).

**თაბუ** ან **ტაბუ**, პოლინეზ.: 1) რაიმე საგნის რელიგიური აკრძალვა ან ხელშეუხებლობა; 2) აკრძალული ან ხელშეუხებელი საგანი.

**თაბუნ-ი**, თათრ., ცხენის ჯოგი.

**თავმატოლოგია** (ბერძ. thayma,-tos „სასწაული"), მოძღვრება სასწაულთა შესახებ; **თავმატურგ-ი** — სასწაულთ-მოქმედი.

**თალასოკრატია** (ბერძ. thalassa „ზღვა"), ზღვაზე ბატონობა.

**თალერ-ი**, გერმ., ძველი გერმანული მონეტა (ფული). — უდრის 3 მარკას.

**თალეს-ი**, საკ. სახ., ძვ. საბერძნეთის ერთ-ერთი შვიდ ბრძენთაგანი (7—6 საუკ. ქ. წ.), ბერძენთა ასტრონომიის დამაარსებელი; მასვე მიაწერენ ხახუნის გზით ელექტრონის აღმოჩენას.

**თალვეგ-ი**, გერმ.: 1) მდინარის კალაპოტი; 2) მდინარის ყველაზე ღრმა ნაწილის აღმნიშვნელი ხაზი.

**თალია**, ბერძ., ძველ ბერძენთა კომედიისა და პოეზიის მუზა.

**თალიუმ-ი** ან **თალი**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. თალლოს „ტოტი"), მოლურჯო-თეთრი ფერის მინერალი (ქიმიაში); **თალოფიტ-ი** — მარტივი ფორმის მცენარე, რომელიც არაა დანაწევრებული (ღეროდ, ფესვად და ფოთლად), მაგ. სოკოები, წყალმცენარეები და სხვ.

**თალმუდ-ი**, ბერძ., ებრაელთა რელიგიისა და სამართლის კრებული, — შეიცავს მოძღვრებას რელიგიისა და ზნეობის წესების შესახებ, აგრეთვე — სხვადასხვა ხასიათის ცნობებს; აქედან: **თალმუდისტ-ი** — თალმუდის მცოდნე ან მისი მიმდევარი.

**თან-ი** (შოტლანდ. thane „რაინდი, აზნაური"), აზნაურის ტიტული საშ. საუკ. შოტლანდიაში; აგრეთვე — ანგლო-საქსებში.

**თეატრ-ი**, ბერძ. (თეატრონ „სანახაობის ადგილი"): 1) სასცენო წარმოდგენებისათვის საგანგებოდ მოწყობილი შენობა; 2) სასცენო ხელოვნება; 3) გადატან. მნიშვნ.: რაიმე (მაგ. საომარ) მოქმედებათა ადგილი; 4) საანატომიო თეატრი (იხ. ანატომია); **თეატრალ-ი** — თეატრის მოყვარული; **თეატრალური** ან **თეატრული** — : 1) თეატრისა ან სათეატრო ხელოვნების ხასიათის მქონე; 2) გადატან. მნიშვნ.: არაბუნებრივი, გადაჭარბებული.

**თეატროფონ-ი** (იხ. თეატრი), ოპერის მოსასმენი მოწყობილობა თეატრს გარეთ.

**თებერვლის რევოლუცია** — : 1) საფრანგეთში 1848 წ., რომლის შედეგიც იყო ივლისის მონარქიის დამხობა და მეორე რესპუბლიკის წარმოქმნა; ძალა-უფლება გადავიდა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ხელში; 2) რუსეთში 1917 წ. (ძვ. სტ. 27 თებერვ.): დაემხო თვითმპყრობელობა, — დასაწყისია რუსეთის დიდი რევოლუციისა.

**თეზა**, ბერძ.-ფრ. (thèse), საფრანგეთის უნივერსიტეტებში: სამეცნიერო ხარისხის მოსაპოებლად წარდგენილი შრომა; დისერტაცია (იხ.).

**თეზეე** ან უკეთ **თეზევს-ი**, ძვ. ბერძენთა ხალხური ეროვნული გმირი, — ატიკის სახელმწიფოს დამაარსებელი და მრავალ გმირობათა ჩამდენი.

**თეზის-ი** (ბერძ. თესის): 1) დებულება; 2) დებითი მომენტი დიალექტიკური განვითარების პროცესში (იხ. დიალექტიკა); 3) რაიმე ნაწარმოების ძირითადი აზრი.

**თეიზმ-ი**, ბერძ.-ევროპ., რწმენა ღვთისა, როგორც ყოვლის შემოქმედისა და მმართველისა; აქედან: **თეისტ-ი** — თეიზმის მიმდევარი.

**თეინ-ი**, ჩინ.-ევროპ., ჩაისა და ყავის ალკალოიდი (იხ.), — იხმარება მედიცინაში.

**თელეოლოგია**, იხ. ტელეოლოგია.

**თემა**, ბერძ.: 1) რაიმე ნაწარმოების ძირითადი აზრი ან მისი შინაარსის საგანი; 2) ამოცანა ან დავალება, რომელიც მოცემულია გასავითარებლად; 3) მუსიკაში: სამუსიკო ნაწარმოების ან მისი ნაწილის ასაგები მელოდია; გრამატიკაში: ფუძე; აქედან: **თემატიკური** — თემის ხასიათის მქონე, მის შესახები.

**თემიდა** ან **თემიდ-ი** (ბერძ. თემის), ძვ. ბერძენთა მართლმსაჯულების ქალ-ღმერთი; მართლმსაჯულება.

თეოგონია, ბერძ., მოძღვრება ღმერთების წარმოშობის შესახებ.

თეოდიცეა, ბერძ. ხელოვნ. („ღვთის გამართლება"). მოძღვრება იმის შესახებ, რომ ბოროტების არსებობა არ უარყოფს ღვთის სამართლიანობას.

• თეოდოლიტ-ი, ბერძ.-ევროპ., კუთხეთა ზუსტად გასაზომი საგეოდეზიო იარაღი.

თეოკრატია, ბერძ. („ღვთაების ბატონობა"), მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, სადაც უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის სამღვდელოებას, რომელიც განაგებს ღვთის სახელით; თეოკრატ-ი—თეოკრატიის მომხრე ან ამგვარად მმართველი; თეოკრატიული — თეოკრატიის ხასიათის მქონე; თეოკრატიზირება — თეოკრატიის ხასიათის მინიჭება.

თეოკრიტოს-ი, იხ. ბუკოლიკა და იდილია.

თეოლოგია, ბერძ. (თეოს „ღმერთი"), ღვთისმეტყველება; თეოლოგ-ი — ღვთისმეტყველი. თეოლოგიური — თეოლოგიის ხასიათის მქონე.

თეორემა, ბერძ. („განხილული"): 1) მათემატიკური ჭეშმარიტება, რომელიც გამომდინარეობს სხვა დამტკიცებულ ჭეშმარიტებათაგან; 2) ფილოსოფიაში: მეცნიერების ძირითად დებულებათაგან გამომდინარე მტკიცება.

თეორია, ბერძ. („ჭვრეტა, დაკვირვება"): 1) ამა თუ იმ მეცნიერების ან ხელოვნების ძირითადი დებულებანი; 2) ცდასა და დაკვირვებაზე დამყარებულ კანონთა მეცნიერული განზოგადება; მოძღვრება; 3) ფილოსოფიაში: ჭვრეტა საგანთა, რომელნიც გრძნობებით არ აღიქმებიან; 4) მოვლენათა ამხსნელი ზოგადი პრინციპი; აქედან: თეორიული — თეორიის ხასიათის მქონე. არის: ალბათობის თეორია (მათემატიკაში), შემეცნების თეორია (ფილოსოფიაში) და სხვ.; თეორეტიკოს-ი —: 1) ამა თუ იმ საქმისა ან მეცნიერების თეორიის მცოდნე; 2) განყენებულად მოაზროვნე, ცხოვრების სინამდვილეს დაშორებული; აქედან: თეორეტიკული ან თეორიული (იხ.).

თეოსოფია, ბერძ. (თეოს „ღმერთი", სოფოს „ბრძენი"), მოძღვრება, რომლის თანახმადაც ღვთისა და მსოფლიოს შემეცნება შესაძლებელია გრძნობითა და ფანტაზიით (იხ.).

თერაპია (ბერძ. თერაპეია „მოვლა"), მედიცინის დარგი: ავადმყოფის მკურნალობა სხვადასხვაგვარი (შინაგანი და გარეგანი, მხოლოდ— არა ქირურგიული) საშუალებებით; აქედან: თერაპევტ-ი — თერაპიის მცოდნე ექიმი; შინაგან ავადმყოფობათა სპეციალისტი ექიმი; თერაპევტიკა — იგივეა, რაც თერაპია.

თერმები (მრავლ., ბერძ.-ლათ. thermae): 1) ძველ რომში: სახალხო აბანოები, რომელთანაც მოთავსებული იყო სატანვარჯიშო, წიგნთსაცავი, ხელოვნების ნაწარმოებები და სხვ.; 2) მაღალი ტემპერატურის მქონე ბუნებრივად ცხელი წყლები, რომელშიც მინერალურ ნივთიერებათა ხსნარები ძალიან ცოტაა.

თერმიდორი-, ბერძ.-ფრ. (thermidor), საფრანგეთის სარევოლუციო კალენდრის მეთერთმეტე თვე (19 ივლისიდან 18 აგვისტომდე); ცნობილია 9 თერმიდორი 1794 წ. (27 ივლისი), როდესაც დაეცა რობესპიერის დიქტატურა.

თერმიული, ბერძ. (თერმოს „თბილი"), სითბოური; ტემპერატურის შესახები.

თერმობარომეტრ-ი, იხ. ბაროთერმომეტრი.

თერმოგენური ბაქტერიები, ბერძ., მნიშვნელოვანი სითბოს გამომყოფი ბაქტერიები.

თერმოგრაფ-ი, ბერძ., ტემპერატურის ცვლილებათა ჩამწერი მოწყობილობა.

თერმოდინამიკა, ბერძ., მათემატიკური ფიზიკის დარგი: მექანიკურ და სითბოურ მოვლენათა თანაშეფარდების თეორია.

თერმოელექტრობა, ბერძ., სითბოს გავლენით აღძრული ელექტრობა.

თერმოკაუტერ-ი, ბერძ.-ლათ., ქირურგიაში: მოსაწვავი ხელსაწყო.

თერმოლამფა, ბერძ., ლამფა-ღუმელი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ათბობს და ანათებს.

თერმომაგნეტიზმ-ი, ბერძ., სითბოს გავლენით გამოწვეული ელექტრო-მაგნეტური მოვლენები.

თერმომეტრ-ი, ბერძ., ტემპერატურის საზომი იარაღი.

თერმომულტიპლიკატორ-ი, ბერძ.-ლათ., ტემპერატურის უმცირეს ცვლილებათა აღმნიშვნელი ხელსაწყო.

თერმოპენეტრაცია, ბერძ.-ევროპ., მკურნალობაში: ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწი-

ლის გახურება ელექტრო-დენით ნებისმიერ ტემპერატურამდე.

**თერმოს-ი**, ბერძ., ორმაგ-კედლიანი ბოთლი — ტყავის ან ლითონის შემონაფენით, — ინახავს ერთსა და იმავე ტემპერატურას ხანგრძლივად.

**თერმოსკოპ-ი**, ორი ურთიერთ მახლობელი წერტილის ტემპერატურათა სხვაობის განმსაზღვრელი ხელსაწყო.

**თერმოსტატ-ი**, ბერძ., ამა თუ იმ სიერცეში ხანგრძლივად მუდმივი ტემპერატურის დამცველი მოწყობილობა; **თერმოსტატიკა** — მოძღვრება ტემპერატურათა წონასწორობის შესახებ.

**თერმოფილური ბაქტერიები**, ბერძ., ასე ეწოდება ბაქტერიებს (იხ.), რომელნიც ვითარდებიან მხოლოდ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე,— იმყოფებიან ჩვეულებრივ ცხელ წყლებში.

**თერმოქიმია**, ბერძ., ქიმიის დარგი: იკვლევს ქიმიური პროცესებით გამოწვეულ სითბოურ მოვლენებს.

**თესმოთეტ-ი** ან **თესმოთეტეს-ი**, ბერძ. („კანონმდებელი“), ძვ. ათენში (საბერძნეთში): ექვს უმცროს არქონტთაგან თვითეულის ტიტული, — მართლმსაჯულების მეთვალყურე.

**თეტ-ი, თეტები** (ბერძ. thés. thêtos „დაქირავებული“), სოლონის კანონმდებლობით: მეოთხე (ღარიბესი) კლასის მოქალაქენი.

**თეურგია**, ბერძ., ცრუ მოძღვრება, რომლის მიხედვით შესაძლებელია გავლენის მოხდენა ღმერთებზე და, საერთოდ, ზებუნებრივ ძალებზე; მისნობა; **თეურგ-ი** — თეურგიის მცოდნე და მიმდევარი.

**თორა**, ებრ. („მოძღვრება, სწავლა“), მოსე წინასწარმეტყველის კანონის (მისი ხუთი წიგნის) სახელწოდება.

**თორ-ი**, სკანდინ., გრგვინვისა და ჰექა-ქუხილის ღვთაება.

**თოტ-ი**, ეგვიპტ., ძველ ეგვიპტელთა სიბრძნისა და მეცნიერების ღვთაება.

**თუმან-ი**, სპარს., სპარსული ოქროს მონეტა (ფული), უდრის დაახლოებ. 3 მან. და 75 კ.

**თურანული ენები** — იგივეა, რაც ურალურ-ალტაური ენები (იხ. ალტაისტი).

**თურქული ენები**, ურალურ-ალტაურ ენათა ერთერთი ტოტი, რომელიც შეიცავს ოსმალურს, თათრულს, ყირგიზულს და მრავალ სხვას; აქედან: **თურქოლოგ-ი** — თურქთა და მათი ენების მცოდნე და მკვლევარი.

## ი

**იაგდტაშ-ი** (გერმ. Jagdtasche), სანადირო ჩანთა.

**იაგუარ-ი** (ბრაზ. iagoara), ამერიკული ვეფხი.

**იაზონ-ი**, საკ. სახ., ძველ ბერძენთა მითოლოგიით: არგონავტების (იხ.) წინამძღოლი, თესალიელი მეფის შვილი.

**იათაგანი**, იხ. იატაგანი.

**იაკ-ი**, მონღ., დიდი ტანის შავი ხარი ტიბეტსა და მონღოლეთში.

**იაკობინელები** (მრავლ.) — საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს: უკიდურესი მემარცხენე სარევოლუციო პარტია, — სახელწოდება მიიღო წმ. იაკობის მონასტრისაგან, სადაც ხდებოდა მათი კრებები; იაკობინელები აწარმოებდენ სასტიკ ბრძოლას კონტრ-რევოლუციასთან, შემოიღეს ტერორი; დაეკარგათ გავლენა რობესპიერის (იხ.) სიკვდილის შემდეგ; აქედან: **იაკობინიზმ-ი** ანუ **იაკობინელობა** — იაკობინელთა სარევოლუციო ტაქტიკის მიმდევრობა; შეურიგებელი რევოლუციონერობა.

**იამა**, ძვ. ინდ., ძველ ინდოელთა მითოლოგიით: სიკვდილის ღმერთი.

**იამბ-ი** (ბერძ. იამბოს), ლექსთწყობაში: ორმარცვლოვანი მუხლი, რომელშიც პირველი მარცვალი მოკლეა (ან უმახვილო), ხოლო მეორე — გრძელი (ან მახვილიანი); აგრეთვე — იამბებით დაწერილი ლექსი.

**იანიჩარები** (მრავლ., ოსმალ. „ახალი ჯარი“), ოსმალეთის საგანგებო ჯარი, რომელიც იცავდა სულტანის სასახლეს, — გაუქმდა 1862 წ. (შედგენილი იყო ოსმალეთში აღზრდილ და გამაჰმადიანებულ ტყვე ქრისტიანთაგან).

**იანკი** (ინგლ. Yankee), დაცინვითი სახელწოდება ჩრდილო-ამერიკელის მიმართ.

**იანსენიზმ-ი** — ჰოლანდიელი ეპისკოპოსის, კ ო რ ნ ე ლ ი უ ს  ი ა ნ ს ე ნ ი უ ს-ის (1535—1638), ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება წინასაგანგებულების შესახებ (ადამიანის მოქმედება არაა დამოკიდებული მის ნებისყოფაზე); აქედან: **იანსენისტები** — იანსენიზმის მიმდევარნი, — წარმოადგენდნენ ოპოზიციას არა მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის მიმართ, არამედ პოლიტიკურადაც (საფრანგეთში).

**იანუს-ი**, ლათ., ძველ რომაელთა მითოლოგიაში: დროისა და ყოველგვარი დასაწყისის ღვთაება (მისი სახელისაგან წარმოდგება წლის პირველი თვის, ი ა ნ ვ რ ი ს (Januarius), სახელწოდება), — გამოისახებოდა ორ-პირისახიანად (წინ და უკან); გადატ. მნიშვნ.: ორპირი ადამიანი.

**იარდ-ი** (ინგლ. yard), ინგლისურ-ამერიკული სიგრძის საზომი, უდრის 0,914 მეტრს.

**იარლიკ-ი** ან **იარლიყ-ი**, თათრ.: 1) მონღოლთა სახანოში: ხანის წერილობითი ბრძანება; 2) ეტიკეტ-ი (იხ.), სიქა.

**იარმარკა** ან **იარმუკა** (გერმ. Jahrmarkt), ბაზრობა: განსაზღვრულ დროსა და ადგილას დანიშნული დროებითი სავაჭრო ადგილი.

**იარუს-ი**, თურქ.-რუს. (ярус): 1) სახლის თვითეული სართული; 2) თეატრში: საჯდომთა რიგები თვითეულ სართულში; 3) გეოლოგიაში: ნიადაგის თვითეული ფენი.

**იატაგან-ი**, თურქ., მოკლე დაკლაკნილი ორპირიანი ხანჯალი.

**იატროლოგია** (ბერძ. იატროს „ექიმი"), მოძღვრება მკურნალობის შესახებ (ძველი ტერმინია); **იატროფიზიკოსები** და **იატროქიმიკოსები** — დასავლ. ევროპაში (17 საუკ.): ორი ურთიერთ მოწინააღმდეგე სამკურნალო მიმართულების მომხრენი, რომელნიც ცდილობდნენ აეხსნათ ორგანიზმის ყველა მოვლენები ფიზიკური (პირველნი) და ქიმიური (მეორენი) პროცესების ნიადაგზე.

**იაფეტური ენები** (სახელწოდება პირობითია: ემყარება ბიბლიურ ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ნოეს ერთერთ ვაჟს ერქვა ი ა ფ ე ტ ი): 1) ასე ეწოდებოდა წინეთ მეცნიერებაში ინდოევროპულ ენებს (იხ.); 2) აკად. ნ. ი. მ ა რ ი ს (დაიბ. 1860 წ.) თეორიით: სემიტურ ენათა ოჯახის მონათესავე შემდეგი ენები: I. ცოცხალი — ქართველური და სხვა კავკასური ენები (ქისტური, დაღესტნის ენები, აფხაზური-ჩერქეზული და სხვ.), ბასკური და ვერშიკული; II. გადაშენებული — ელამური, სუმერული, ქალდური და ეტრუსკული; აქედან: **იაფეტური ენათმეცნიერება** — მეცნიერება, რომლის საგანსაც წარმოადგენს იაფეტური ენები (იხ. 2); **იაფეტური თეორია** — აკად. ნ. ი. მ ა რ ი ს შექმნილი თეორია, რომლის მიხედვითაც უძველეს დროს არსებობდა ენათა დიდი ოჯახი და ამ ოჯახის ნაშთს წარმოადგენს იაფეტური ენები (იხ. 2); **იაფეტიდოლოგია** — : 1) ვიწროდ — იაფეტური ენათმეცნიერება; 2) ფართოდ — მოძღვრება, რომელიც იაფეტურ ენათა (იხ. 2) ფაქტებზე დამყარებით და ნივთიერ კულტურასთან დაკავშირებით იკვლევს მეტყველების ჩასახვა-განვითარებას; იაფეტიდოლოგიის ერთერთ მთავარ პრინციპთაგანს წარმოადგენს ენათა ურთიერთ შეჯვარედინების პრინციპი (შეჯვარედინებული ენის ნიმუშია, მაგ. იაფეტურ-ინდოევროპული სომხური და ასეთივე ალბანური); **იაფეტიდიზმები** (მრავლ.) — იაფეტურ ენათა დამახასიათებელი მოვლენები არაიაფეტურ ენებში.

**იაშმა** ან **იაშმ-ი**, არაბ., იასპი, — სხვადასხვა ფერის მინერალი — კვარცის (იხ.) ერთერთი სახეობა.

**იახონტ-ი**, არაბ.-რუს., იაგუნდი.

**იახტა** ან უკეთ **იახტ-ი**, ევროპ. (ინგლ. yacht), აფრიანი ან ორთქლმავალი პატარა გემი, უმთავრესად — ზღვაზე სასეირნოდ; ქართულად: ორჩხომელი; **იახტ-კლუბ-ი** — ასე ეწოდება საზოგადოებას, რომლის მიზანიცაა ზღვაოსნობის წახალისება და ხელის შეწყობა.

**იბის-ი**, ბერძ., ყარყატის ოჯახის ფრინველი, — ცხოვრობს შუა და სამხრეთ ამერიკაში.

**იგლ-ი** (ინგლ. eagle „არწივი"), ამერიკული ოქროს ფული, უდრის 10 დოლარს.

**იგნიპუნქტურა**, ლათ. ევროპ. (ლათ. იგნის „ცეცხლი", პუნგო „ვჩხვლეტ"), მედიცინაში: სნეულის კანის მოწვა.

**იგნორანცია** (ლათ. ignorantia), უცოდნელობა, ყურადღების მიუქცევლობა; აქედან: **იგნორირება** — ყურადღების არ მიქცევა, განზრახ გვერდის აელა და სხვ. ასეთი.

**იგუანა**, ისპ., ამერიკული დიდი ტანის ხვლიკი.

**იგუმენ-ი** (ბერძ. ēgoymenos „წინამძღვარი, ხელმძღვანელი“), მონასტრის წინამძღვარი ვაჟი; **იგუმენია** (რუსული დაბოლოებით) — ასეთივე ქალი.

**იდალგო**, იხ. ჰიდალგო.

**იდეა** (ბერძ., იდეინ-საგან „ხედვა“): 1) აზრი, ცნება, ზოგადი წარმოდგენა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ; რაიმე ნაწარმოების მთავარი აზრი; 2) ფილოსოფიაში: ნივთთა უცვლელი დასაბამი, ყოველისავე პირველსახე — გრძნობათათვის მიუწდომელი, მხოლოდ აზროვნებით შემეცნებადი.

**იდეალ-ი**, ბერძ.-ლათ. (იხ. იდეა): 1) სრულყოფილი რაიმე თვისების მხრივ (სილამაზის, სიკეთის და სხვ.); წარმოდგენა უაღრესი სრულყოფობის შესახებ; 2) ის, რაც შეიძლება იყოს ადამიანის მისწრაფების მიზნად. აქედან: **იდეალიზაცია** — რისამე იდეალად გახდა, უკეთესად წარმოდგენა, ეიდრე იგი სინამდვილეშია; **იდეალიზირება** — იგივე მოქმედება.

**იდეალიზმ-ი** (იხ. იდეა და იდეალი): 1) ჩვეულებრივ: მისწრაფება იდეალისადმი, სრულყოფობის ძიება; ცხოვრების სინამდვილეში მხოლოდ კარგი მხარეების დანახვა; სულიერი (გონებრივი, ზნეობრივი) და ზოგადი ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება — ნივთიერისა და კერძო ინტერესებთან შედარებით; 2) ფილოსოფიაში: მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც არსებულის საფუძველს წარმოადგენს არა მატერიალური დასაბამი, არამედ სულიერი; **იდეალისტ-ი** — : 1) ჩვეულებრივ: იდეალის მოტრფიალე, ცხოვრებაში მხოლოდ კარგის დამნახველი და სხვ.; გადატან. მნიშვნ.: ცხოვრების არ მცოდნე ადამიანი; 2) ფილოსოფ.: იდეალიზმის მიმდევარი; **იდეალისტური** — იდეალიზმის ხასიათის მქონე.

**იდეალური** (იხ. იდეა და იდეალი), სრულყოფილი, იდეალის დამაკმაყოფილებელი, მისი შესაფერი.

**იდეია**, იხ. იდეა.

**იდეიური**, იხ. იდეური.

**იდენტობა**, ლათ.-ფრ. (identité), იგივეობა, სრული ერთგვარობა; **იდენტური** — ერთი და იგივე, იგივეობითი; **იდენტიფიკაცია** — გაიგივება.

**იდეოგრამა**, ბერძ. (იხ. იდეა, გრამმა „საწერი ნიშანი, ასო“), მთელი სიტყვის წერილობითი გამომხატველი ნიშანი; აქედან: **იდეოგრაფია** — აზრის წერა, წერილობითი გამოხატვა არა ცალცალკე ბგერების, არამედ მთელი ცნებისა; იდეოგრამებით წერა.

**იდეოკრატიზმ-ი**, ბერძ. („იდეის მმართველობა“): 1) პირადი ან საზოგადოებრივი ცხოვრების დაქვემდებარება გონებისა და სამართლიანობის მოთხოვნილებისათვის; 2) ამგვარი მისწრაფება.

**იდეოლოგია**, ბერძ. („იდეათა მოძღვრება“): 1) ამა თუ იმ პიროვნების ან საზოგადოებრივი ჯგუფის (კლასის) აზრთა და შეხედულებათა სისტემა, რომელზედაც იგი (პიროვნება ან კლასი) ამყარებს თავის ინტერესებსა და მისწრაფებას; 2) საყოფაქცევო წესების სისტემა; **იდეოლოგ-ი** — : 1) ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის პოლიტიკური ან ეკონომიური პროგრამის დამცველი, მისი იდეოლოგიის გამომხატველი ან დამსაბუთებელი; 2) განყენებულად მოაზროვნე ადამიანი.

**იდეური**, ბერძ. (იხ. იდეა), იდეის ხასიათის მქონე; გადატ. მნიშვნ.: უანგარო.

**იდეფიქს-ი**, ბერძ.-ლათ. (ფრ. idéefixe), განუშორებელი იდეა; აზრი, რომელიც ფლობს გონებას ან რომლითაც შეპყრობილია იგი.

**იდილია** (ბერძ. eidyllion „პატარა სურათი“): 1) პოეტური პატარა ნაწარმოები მდაბიო ხალხის (უმთავრესად — მწყემსური) ყოფაცხოვრებიდან; იდილიის მამამთავრად ითვლება ბერძენი პოეტი თეოკრიტოს-ი (III საუკ. ქ. წ.); 2) გადატ. მნიშვნ.: მყუდრო უშფოთველი ცხოვრება; ამგვარი ცხოვრების გამოხატვა; აქედან: **იდილიური** — იდილიის ხასიათის მქონე; უბრალო, მარტივი, უშფოთველი და სხვ. ასეთი.

**იდიოლატრია** (იხ. იდიომი; ბერძ. ლატრეია „სამსახური, მონობა“), თვითგალმერთება.

**იდიომ-ი** (ბერძ. იდიომა.-ტოს. იდიოს „კერძო, განცალკევებული, საკუთარი"). ენათმეცნიერებაში: 1) ამა თუ იმ ენის ადგილობრივი კილო ან თავისებურობა: **იდიომატოლოგია**—მოძღვრება იდიომების შესახებ.

**იდიოპათია** (იხ. იდიომი; პათოს „ტანჯვა"), დამოუკიდებელი, პირველადი ფორმა ავადმყოფობისა; აქედან: **იდიოპათიური ავადმყოფობა** — ასეთია. მაგ. ფილტვების ანთება.

**იდიოსინკრაზია** (იხ. იდიომი; sygkrasis „შერევა"). ადამიანის სხეულის თავისებურობა, რომელიც მდგომარეობს რაიმე მოვლენისადმი არაჩვეულებრივს მგრძნობიარობაში (მაგ., სარკეში ჩახედვა თავბრუს ახვევს, მარწყვის ჭამა ტანზე გამოჰყრის, წამალს ვერ იტანს და სხვ.) ან არაჩვეულებრივს უგრძნობლობაში.

**იდიოტ-ი** (ბერძ. იდიოტეს „კერძო, უსწავლელი, გამოუცდელი"): 1) ძველ საბერძნეთში: კერძო პიროვნება (არასახელმწიფო მოხელე); 2) უცოდინარი; 3) ახლა: გონებასუსტი, გონებაჩლუნგი ადამიანი; 4) მედიცინაში: ვისაც იდიოტიზმის ნიშნები აქვს.

**იდიოტიზმ-ი** (იხ. იდიოტი): 1) ამა თუ იმ ენის თავისებურობა, მაგ. ისეთი გამოთქმა, რომლის სხვა ენაზე სიტყვა-სიტყვით თარგმნა არ შეიძლება (მაგ. „არა შეჯდა მწყერი ხესა..."); 2) მედიცინაში: თანდაყოლილი ან ბავშობაში შეძენილი სიჩლუნგე გონებისა (დამოკიდებულია, უმთავრესად, ტვინის ან მისი გარსის და თავისქალის განვითარების შეჩერებისაგან).

**იდოლოლატრია**, ბერძ.-ლათ. (იდოლუმ „კერპი"), კერპთაყვანისმცემლობა.

**იეგოვა** (ბერძ. იაჰვეჰ „მარად არსებული"), ებრაელთა ღმერთის ერთი სახელწოდებათაგანი.

**იეზუიტები** (მრავლ.. ლათ. societa Iesus ნური სექტის მიმდევარნი ქურთისტანსა და ამიერკავკასიაში, რომელთა რელიგიაც წარმოადგენს მაზდაჰიანობისა და მაჰმადიანობის ნარევს (იხ. ესენი).

**იეზუიტები** (მრავლ., ლათ. societas Iesus „იესოს საზოგადოება"): 1) კათოლიკური ორდენი, რომელიც დააარსა ე გ ნ ა ტ ე ლ ო ი ო ლ ა მ (Ignatius Loyola) 1534 წ. — რეფორმაციასთან საბრძოლველად და პაპის ბატონობის განსამტკიცებლად; თავისი მიზნებისათვის იეზუიტები არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებას (მათგან მომდინარეობს თქმა: „მიზანი ამართლებს საშუალებას"); 2) გადატ. მნიშვნ.: **იეზუიტ-ი** — ცბიერი, ორპირი და შეუბრალებელი ადამიანი; **იეზუიტიზმ-ი** — იეზუიტობა.

**იენ-ი**, იაპონური მონეტის (ფულის) ერთეული, უდრის დაახლოებ. 1 მან.

**იერარქია**, ბერძ.: 1) ხარისხ-თანამდებობათა მიმდევრობა საეკლესიო ორგანიზაციაში; 2) საერთოდ: თანამიმდევრობა უფროს-უმცროსობის მიხედვით; **იერარქ-ი** — უზენაესი სასულიერო პირი.

**იერემია**, საკ. სახ., ძველი აღთქმის ერთერთი წინასწარმეტყველი, რომელიც დარჩა ბაბილონელთა მიერ დანგრეულ იერუსალიმში და მოსთქვამდა გოდებითი სიმღერებით თავის სამშობლო ქალაქს; აქედან: **იერემიადა** — მოთქმა, გოდება; გოდებითი სიმღერა.

**იერიხონ-ი** ან **იერიქონი**, ძველი პალესტინის ერთერთი უძველესი და მდიდარი ქალაქი, რომლის გამაგრებული კედლები, ლეგენდის თანახმად, დაინგრა ებრაელთა საყვირების ხმაზე; აქედან: **იერიქონის საყვირი** — საერთოდ: დიდი და უსიამოვნო ხმა (იტყვიან დაცინვით).

**იერო-**, იხ. ჰიერო-.

**იერუსალიმ-ი** (ბერძ. Jeruschalajim „მშვიდობის სამყოფელი"), ძველი პალესტინის დედა ქალაქი, — ქრისტიანთა, მაჰმადიანთა და ებრაელთა საღვთო ქალაქი; იერუსალიმის ქრისტიანულ ნაწილში იმყოფება ქრისტეს საფლავის ტაძარი და გოლგოთა (იხ.).

**ივლისის ამბები** (რუსეთში 1917 წ.), ლენინგრადის (მაშინდელი პეტროგრადის) მუშათა რევოლუციური გამოსვლა (3—5 ივლისს) დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ. — **ივლისის რევოლუცია** — მოხდა პარიზში 1830 წ. (27 — 29 ივლ.), — დაემხო ბურბონთა (იხ.) დინასტია კ ა რ ლ ო ს X სახით და მსხვილი ბურჟუაზიის მიერ ტახტზე აყვანილ იქნა ორლეანელთა დინასტია ლ უ ი-ფ ი ლ ი პ ე ს სახით, რომლის მეფობა (1830 — 1848) ცნობილია ივლისის მონარქიის სახელწოდებით.

**ივნისის ამბები** (პარიზში 1848 წ.), პარიზის მუშათა აჯანყების (22 ივნისს) სისხლის-ღვრით

ჩაქრობა გენერალ კ ა ვ ე ნ ა კ-ის (Cavaignac) მეთაურობით.

**იზიდა**, ეგვიპ.-ბერძ. (ევროპულად: Isis), ძველ ეგვიპტელთა ქალღმერთი, ოზირისის მეუღლე. — დედამიწის ნაყოფიერების განსახიერება და მეცნიერებათა და ხელოვნებათა შემქმნელი.

**იზო-** (ბერძ. isos „მსგავსი, ერთნაირი, თანასწორი"), ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს: ერთნაირ-, თანაგვარ- და სხვ., მაგ.: **იზობარები** (მრავლ.) ანუ **იზობარომეტრული ხაზები** — აერთებენ დედამიწის ზედაპირზე იმ ადგილებს, რომლებშიაც დროის განსაზღვრულ ხანში საშუალო ბარომეტრული (იხ.) წნევა ერთნაირია; **იზოგლოსები** (მრავლ., იხ. გლოსა) — ხაზები, რომელნიც აერთებენ ამა თუ იმ ენის ერთნაირი მოვლენების მქონე ადგილებს; **იზოგონალური** ან **იზოგონალი** — ერთნაირკუთხიანი; **იზოგონები** (მრავლ.) ანუ **იზოგონური ხაზები** — აერთებს მაგნეტური გადახრის ერთნაირ ადგილებს დედამიწის ზედაპირზე; **იზოგრაფია** — : 1) იგივეა, რაც ფაქსიმილირება (იხ.), 2) ხელნაწერის დედნის აღდგენა; 3) ერთგვარი მხატვრობა ძველად — განსაკუთრებით ხატებისა; **იზოთერები** (მრავლ., ბერძ. თეროს „ზაფხული") — ზაფხულის ერთნაირ საშუალო ტემპერატურიანი ადგილების შემაერთებელი ხაზები დედამიწის ზედაპირზე; **იზოთერმები** (მრავლ.) — ერთნაირ ტემპერატურიანი ხაზების შემაერთებელი ხაზები დედამიწის ზედაპირზე; **იზომერები** (მრავლ.) — ერთნაირი შედგენილობის ორგანიული შენაერთები, რომლებსაც — მათ მოლეკულებში ატომთა სხვადასხვა დალაგების გამო — სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური თვისებები აქვსთ; აქედან: **იზომერია** — იზომერების წარმოქმნის უნარი; **იზომორფიზმ-ი** — თვისება ზოგიერთ სხეულთა — დაიდამნონ (დაკრისტალდენ) ერთნაირ ფორმაში სხვადასხვა ქიმიური შედგენილობისას; ასეთ სხეულებს ეწოდება **იზომორფული სხეულები**. — **იზოტროპული სხეულები** — ისეთი სხეულები, რომელთა თვისებები (დრეკადობა, სითბოს გამტარობა და სხვ.) ერთნაირია სამთავე ურთიერთ-პერპენდიკულარი მიმართულებით; **იზოქიმენები** (მრავლ., ბერძ. cheima „ზამთარი") — ზამთრის ერთნაირ საშუალო ტემპერატურიანი ადგილების შემაერთებელი ხაზები დედამიწის ზედაპირზე; **იზოქრომატული** (ბერძ. chrôma „ფერი") — ერთნაირ ფერიანი; **იზოქრომია** — გაზეთილი სურათის გაფერადება ზეთის საღებავებით; **იზოქრონიზმ-ი** — ერთდროულობა, ერთჟამიერობა; დროის ერთნაირი ხანგრძლიობა ორ მოვლენათა შუა; მაგ.: რხევათა **იზოქრონიზმ-ი** — რხევათა პერიოდების ერთნაირი ხანგრძლიობა; **იზოჰიფსები** (ბერძ. hypsos „სიმაღლე") — ერთნაირ ზღვისდონის სიმაღლიან ადგილთა შემაერთებელი ხაზები.

**იზოლაცია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. insula, იტ. isola „კუნძული", ფრ. isolation): 1) საერთოდ: განცალკევება, განშორიშორება, განმხოლოება; 2) ფიზიკაში: ელექტრიზირებული სხეულის განმხოლოება ცუდი გამტარის საშუალებით; აქედან: **იზოლატორ-ი** — : 1) სრულიად განცალკევებული ადგილი (ბინა, სათავსი, ოთახი...), მაგ. საავადმყოფოში, საპატიმროში და სხვ.; 2) ფიზიკაში: ცუდად გამტარი სხეული, მაგ. მინა, კაუჩუკი, ქაღალდი და სხვ.; **იზოლირება** — : 1) საერთოდ: განცალკევება, განშორიშორება, განმხოლოება; 2) ფიზიკაში: განმხოლოება, — ელექტრო-გამტარის განცალკევება სხვა გამტართაგან; **იზოლირებული** — განმხოლოებული; **მაიზოლირებელი** ანუ ო დ ე ნ ძ ი რ ი ა ნ ი ე ნ ე ბ ი — ასე ეწოდება ისეთ ენებს, სადაც სიტყვებს არა აქვსთ ფორმები, რის გამოც სიტყვათა ურთიერთ მიმართება გამოიხატება მახვილით, ინტონაციით, სიტყვათა რიგით და სხვ. (ასეთია, მაგ. ჩინური ენა).

**იკარ-ი** ანუ **იკაროს-ი**, იხ. დედალოსი.

**იკარია** ანუ **იკარეთი**, საკ. სახ., ფრანგი მწერლის, კ ა ბ ე-ს (Cabet, 1788 — 1856), უტოპისტური რომანით („იკარეთში მოგზაურობა"): კომუნისტურად აგებული სახელმწიფო; აქედან: **იკარისტები** — კაბეს უტოპისტური სოციალური მოძღვრების მიმდევარნი.

**იკონოგრაფია** (ბერძ. ეიკონ „გამოსახულება, ხატი" და გრაფეინ „წერა"), ძველი მხატვრობისა და ქანდაკების ძეგლების აღწერა; **იკონოლატრია** — გამოსახულებათა, მაგ. ხატების, თაყვანისცემა; **იკონოლოგია** — ძველ გამოსახულება-

თა (ხატების, ქანდაკებების და სხვ.) ახსნის მცოდნეობა.

**იკს-ი**, იხ. იქს-ი.

**ილეგალური** ან **ილეგალი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. illégal), კანონის საწინააღმდეგო, ნებადაურთველი, უკანონო (იხ. ლეგალური).

**ილიადა**, ბერძ. საკ. სახ., ძველ ბერძენთა შესანიშნავი პოემა, ეპიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუში.— მის ავტორად სთვლიან ჰ ო მ ე რ ო ს-ს (თუმცა მეცნიერთა აზრით, შესაძლებელია ნაკრები ნაწარმოები იყოს, და არა ერთი ავტორისა); მასში მოთხრობილია ი ლ ი ო ნ-თან ანუ ტ რ ო ი ა-სთან ბრძოლის მონაწილეთა (აგამემნონისა, აქილევსისა, ჰექტორისა და სხვ.) საგმირო საქმეები.

**ილირიზმ-ი** (ილლირიზმი), ლიტერატურული და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოძრაობა ხორვატებსა და სლოვინებში 19 საუკ. პირველ ნახევარში — სამხრეთ სლავების ურთიერთ დაახლოების მიზნით (ენობრივად, მეცნიერულად, პოლიტიკურად და სხვ.); სახელწოდება — ბერძ. Illyria-საგან.

**ილიტერატები** (მრავლ., ლათ. ილლიტერატა), ასოებით გამოუხატველი ბგერები, მაგ. კვნესა. ხვნეშა, სტვენა და სხვ.

**ილიუ-**, იხ. ილუ —

**ილოგიკური**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. illogique), ულოგიკო. ლოგიკის კანონების საწინააღმდეგო.

**ილოზოიზმ-ი**, იხ. ჰილოზოიზმი.

**ილოტები**, იხ. ჰელოტები.

**ილუზია** (ლათ. illusio „დაცინვა", illudere-საგან „თამაში"): 1) გრძნობის მცთარობა; რაიმე ნამდვილი შეგრძნებით გამოწვეული მცთარი გრძნობა; 2) ოცნება; აქედან: **ილუზიონ-ი** — იხმარება კ ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ ი ს მნიშვნელობით; **ილუზიონიზმ-ი** — ფილოსოფიაში: შეხედულება. რომლის მიხედვითაც გარემო-ქვეყანა მხოლოდ მოჩვენებითია და არსებობას არავითარი ღირებულება არა აქვს. — **ილუზორული** ან **ილუზიური** — მცთარი, მოჩვენებითი.

**ილუმინატ-ი** (ლათ. ილლუმინატუს, ილლუმინარე-საგან „განათება, განათლება"): 1) გაშუქებული; განათლებული; 2) **ილუმინატები** — ასე ეწოდათ ა დ. ვ ე ი ს ჰ ა უ პ ტ-ის მიერ 1776 წ. ბავარიაში დაარსებული რელიგ.-პოლიტ. საზოგადოების წევრებს, — ქადაგობდენ დეიზმსა და სრულს დემოკრატიულ თანასწორობას; გავრცელდა მთელს ევროპაში.

**ილუმინაცია** (ლათ. illuminatio „გაშუქება"): 1) ქუჩებისა და სახლების საზეიმო გაშუქება-გაჩირაღდნება სხვადასხვა ფერის ნათურებით; 2) სურათებისა და გრავიურების გაფერადება; აქედან: **ილუმინირება**—იგივე მოქმედება; **ილუმინატორ-ი**—: 1) საზღვაო: სქელი მინის სარკმელი ხომალდზე; 2) გამფერადებელი სურათისა და სხვ.

**ილუსტრაცია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. illustratio „ნათელის მოფენა"): 1) შინაარსის შესაფერი სურათი ნაბეჭდ ან ნაწერ ტექსტში; 2) თვალსაჩინო შესაფერი მაგალითი რისამე დასამტკიცებლად ან ასახსნელად; აქედან: **ილუსტრატორ-ი**— ილუსტრაციების მხატვარი (წიგნში, ჟურნალში და სხვ.); **ილუსტრირება** — : 1) რაიმე ნაბეჭდ ტექსტში შესაფერი სურათის ჩართვა; 2) შესაფერი მაგალითის მოყვანა რისამე დასამტკიცებლად ან ასახსნელად.

**იმაკულაცია** („უმწიკვლოება" ლათ. maculare-საგან „შემწიკვლა"), კათოლიკური ეკლესიის ერთერთი დოგმატი — ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვის შესახებ.

**იმამ-ი**, არაბ. („უფროსი, წინამძღვარი"). 1) მუსულმანთა სასულიერო პირი, მღვდელი; მუსულმანთა სასულიერო ხელისუფლების უფროსი; 2) ხალიფის ტიტული; აქედან: **იმამატ-ი** — : 1) მაჰმადის სასულიერო და საერო ხელისუფლება, რომელიც ეკუთვნის სუნიტების (იხ.) მოძღვრებით—საუკეთესო პირს (არჩევნების წესით), ხოლო შიიტების (იხ.) მოძღვრებით—მაჰმადის შთამომავლობას (მემკვიდრეობით); 2) **იმამობა**, იმამის ღირსება.

**იმანენტ-ი** ან **იმანენტური** (ლათ. იმანენსტის „შიგნი დარჩენილი. შიგ-მყოფი"): 1) საერთოდ: რისამე შიგნი მდებარე, მასთან შინაგნად დაკავშირებული, რაც საზღვრებს არ გადასცდება; მუდმივი, მდგრადი; 2) ფილოსოფიაში: ტრანსცენდენტურის (იხ.) საწინააღმდეგო, ე. ი. რაც ცდის საზღვრებს არ გასცდება.

**იმაჟინიზმ-ი** (ფრ. image „სახე, გამოსახულება, ხატება", imaginer „წარმოსახვა, წარმოდგენა"), ერთერთი თანამედროვე ლიტერატუ-

რული მიმართულებათაგანი (ინგლისური წარმოშობისა), რომლის თანახმად პოეტური შემოქმედების ერთად ერთი გამომხატველობითი საშუალება არის სახე, ხატება — შინაარსისა და აზრისაგან განთავისუფლებული.

**იმატერიალიზმ-ი**, ლათ.-ევროპ., ხელოვნ. (immaterialismus), მოძღვრება, რომელიც უარჰყოფს მატერიის (იხ.) არსებობას.

**იმატრიკულაცია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. immatriculation), სიაში შეტანა (მაგ. სტუდენტისა).

**იმბეცილობა** (ლათ. imbecillus-ისაგან), გონების სისუსტე, სულიერი განუვითარებლობის ერთი ფორმა; **იმბეცილური** — გონება-სუსტი.

**იმერსია** (ლათ. immersio), ჩაძირვა, ჩაშვება, ასტრონომიაში: მნათობის შესვლა ცის რომელიმე სხეულის ჩრდილში.

**იმიგრაცია** (ლათ. immigrare-საგან), ამა თუ იმ ქვეყანაში უცხოელთა ჩასახლება; **იმიგრირება** — ასეთივე მოქმედება; **იმიგრანტ-ი** — უცხო ქვეყანაში ჩასახლებული.

**იმიტაცია** (ლათ. imitatio), მიბაძვა, მიმსგავსება; ნაყალბი.

**იმობილიზაცია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. იმმობილის-ისაგან „უძრავი"): 1) მედიცინაში: სხეულის რომლისამე ნაწილის უძრავ მდგომარეობაში ჩაყენება, მაგ. შეხვევის საშუალებით; 2) იურიდ.: მოძრავი ქონების უძრავად ქცევა.

**იმორალიზმ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. იმმორალ „უზნეო"). ზნეობის უარყოფა; **იმორალური** — ზნეობის საწინააღმდეგო, არაზნეობრივი.

**იმორტელ-ი**, ლათ.-ფრ. (immortel „უკვდავი"), ერთგვარი მცენარეა, რომლის გამხმარი ყვავილები ინარჩუნებს პირვანდელ ფერს.

**იმპერატივ-ი** (ლათ. იმპერარე-საგან „ბრძანება"): 1) გრამატიკაში: ზმნის ბრძანებითი კილო; 2) ბრძანება, უსათუო მოთხოვნილება; შინაგანი იძულება; 3) ფილოსოფიაში: კატეგორიული იმპერატივი — გონების ან მოვალეობის უსათუო მოთხოვნილება (კანტით, იხ.). — **იმპერატიული მანდატი** — პირდაპირი დავალება, რომლის შესრულება სავალდებულოა დელეგატისათვის (იხ. მანდატი).

**იმპერატორ-ი**, ლათ. („მბრძანებელი, მმართველი"): 1) ძველ რომში რესპუბლიკის დროს: ძლევამოსილი მხედართმთავრის ტიტული; იულიუს კეისრის (101 — 44 ქ. წ.) შემდეგ — სახელმწიფოს მმართველის მემკვიდრეობითი ტიტული; 2) ახლა: დიდი სახელმწიფოს (იმპერიის) უზენაესი მბრძანებელი, ხელმწიფე.

**იმპერია** (ლათ. imperium): 1) ძვ. რომში: ხალხის უზენაესი ხელისუფლება; 2) ახლა: დიდი სახელმწიფო, რომლის სათავეშიაც დგას იმპერატორი.

**იმპერიალ-ი**, ლათ.-ევროპ. („სამეფო ან სახელმწიფო რამ"): 1) ძველებური რუსული ოქროს მონეტა (ფული), უდრიდა 10 მანეთს; 2) ერთგვარი როიალი (იხ.); 3) ქაღალდის ერთგვარი თამაში; 4) დასაჯდომი ადგილი ეტლის ან ვაგონის თავზე.

**იმპერიალიზმ-ი**, ლათ. ხელოვნ. (imperialismus), თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოს დაპყრობითი საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია: სხვა ქვეყნებისა და ხალხების დამორჩილების გზით — დაიპყროს საქონლის გასასაღებელი და ნედლეულის შესაძენი ბაზრები და წყაროები, მოათავსოს თავისი კაპიტალი ხელსაყრელი პირობებით სხვა ქვეყნებში და მოიპოვოს იქ იაფი მუშა ხელი. — ამის გამო ადგილი აქვს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გაძლიერებულ შეიარაღებას და ქიშპობის ნიადაგზე — მათ შორის შემაძრწუნებელ ომებს; აქედან: **იმპერიალისტ-ი** — იმპერიალიზმის მომხრე; **იმპერიალისტური** — იმპერიალიზმის დამახასიათებელი ან მისაგან გამომდინარე, მაგ. იმპერიალისტური ომები.

**იმპერფექტ-ი** (ლათ. imperfectum), გრამატიკაში: ზმნის ნამყო უსრული (დრო).

**იმპოზანტ-ი** ან **იმპოზანტური**, ლათ.-ფრ. (imposant), მნიშვნელოვანი შთაბეჭდილების მომხდენი; პატივისცემის, გაკვირვების ან მოკრძალების გამომწვევი რამ; დიადი.

**იმპონირება**, ლათ.-ევროპ. (გერმ. imponieren), შთაბეჭდილების მოხდენა; თავისადმი პატივისცემის ან მოკრძალების გამოწვევა (იხ. იმპოზანტი).

**იმპორტაცია**, ლათ.-ფრ. (importation), საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა; **იმპორტ-ი** — : 1) იგივე; 2) საგარეო შემოტანითი ვაჭრობა; 3) თვით შემოტანილი საქონელი; აქედან: **იმპორტირება** — იგივე მოქმედება; **იმპორტიორ-ი**

ან **იმპორტერ-ი** — საზღვარგარეთიდან საქონლის შემომტანი.

**იმპოტენტ-ი** (ლათ. impotens,-tis „უძლური“). სქესობრივად უძლური ვაჟი; **იმპოტენცია** — სქესობრივი უძლურება.

**იმპრესარიო**, იტ., თეატრის გამგე, სათეატრო წარმოდგენებისა, კონცერტებისა და სხვ. მომწყობი (უფრო ხშირად იგულისხმება სამუსიკო საქმის მომწყობი).

**იმპრესიონიზმ-ი** (ლათ.-ფრ. impression-ისაგან „შთაბეჭდილება“). მიმართულება ხელოვნების ყოველ დარგში (მხატვრობაში, ლიტერატურაში და მუსიკაში) 19 საუკ. 70 წლებიდან; მისი მიზანია — გადმოგვცეს ხელოვნის უშუალო შთაბეჭდილებანი და განცდანი, რომელნიც აღიძვრებიან მასში (ხელოვანში) მრავალფეროვანი სინამდვილის დაკვირვებით; **იმპრესიონისტ-ი** — იმპრესიონიზმის მიმდევარი.

**იმპროვიზაცია** (ლათ. improvisus-ისაგან „გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი“). პოეტური ან მუსიკალური ნაწარმოების წინასწარ-მოუმზადებლივ შედგენა და იმავე დროს წარმოთქმა (ან შესრულება); აგრეთვე — საჯარო სიტყვისა; წინასწარ-მოუმზადებლივ შესრულებული მუსიკალური პიესა; **იმპროვიზირება** — იგივე მოქმედება; **იმპროვიზატორ-ი** — ასეთი მოქმედი.

**იმპულს-ი** (ლათ. იმპულსუს „ჯახება“); 1) მოძრაობის გამომწვევი ჯახება; 2) **ნერვული იმპულსი**—ნერვული აღძვრის პროცესი; 3) საერთოდ: რაიმე მოქმედებისათვის მაიძულებელი მიზეზი.

**იმუნიზაცია, იმუნიზირება**, იხ. იმუნიტეტი.

**იმუნიტეტ-ი**, ლათ.-ევროპ. (ლათ. immunitas,-atis „ბეგარისაგან განთავისუფლება“): 1) საშ. საუკუნეებში: ბეგარის და ხარკისაგან განთავისუფლება; 2) საკანონმდებლო დაწესებულების წევრის ან უცხოეთის წარმომადგენლის შეუვალობა (ხელშეუხებლობა); 3) მედიცინაში: გადამდები სენის შეუთვისებლობა ორგანიზმის მიერ — თანდაყოლილი ან აცრის საშუალებით; აქედან: **იმუნიზაცია** — გადამდები სენისათვის ორგანიზმის შეუთვისებლად გახდა — აცრის საშუალებით; **იმუნიზირება** — იგივე მოქმედება; **იმუნური** — გადამდები სენის შეუთვისებელი.

**ინგალაცია**, იხ. ინჰალაცია.

**ინგლისური ავადმყოფობა**, იხ. რახიტი.

**ინგლისური მარილი**, გოგირდ-მჟავა მაგნეზია, — იხმარება მედიცინაში, როგორც სასაქმებელი საშუალება.

**ინგრედიენტ-ი** (ლათ. ინგრედიენს,-ტის), რაიმე ნარევის (უმთავრესად წამლის) შემადგენელი ნაწილი.

**ინდეკს-ი**, იხ. ინდექსი.

**ინდემნიტეტ-ი** (ლათ. ინდემნიტას „დაუზარალებლობა, დაუზიანებლობა“), პოლიტიკური პასუხისმგებლობის მოხსნა; **ინდემნიტური ბილ-ი** — ინგლისში პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც კანონიერდება თანამდებობის პირთა (უმთავრესად — მინისტრთა) უკანონო მოქმედებანი (იხ. ბილი).

**ინდეპენდენტები** (მრავლ., ლათ. ინდეპენდენტეს „დამოუკიდებელნი“), სარწმუნოებრივი სექტანტები (17 საუკ.) ჰოლანდიასა, ინგლისსა და ამერიკაში, — არ სცნობდენ სამღვდელოებას და მოითხოვდენ სრულს დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან; პოლიტიკაში რესპუბლიკური და დემოკრატიული იდეების მატარებელნი, — დიდ როლს თამაშობდენ ინგლისის რევოლუციაში.

**ინდეტერმინიზმ-ი**, ლათ.-ევროპ., ფილოსოფიაში: მოძღვრება ადამიანის ნების თავისუფლების შესახებ; **ინდეტერმინისტ-ი** — ინდეტერმინიზმის მიმდევარი (იხ. დეტერმინიზმი).

**ინდექს-ი** (ლათ. index,-icis „მაჩვენებელი“): 1) მაჩვენებელი, ნუსხა; საძიებელი (მაგ. წიგნისა); 2) რომის პაპის მიერ „აკრძალულ წიგნთა ინდექსი“ (სია, ნუსხა); 3) **ეკონომიური ინდექსი** ანუ ფასების ინდექსი — საქონლის ფასებისა ან ფულის ღირებულების რყევის მაჩვენებელი ცხრილი (ტაბულა).

**ინდიანისტ-ი**, ევროპ. (ფრ. indianiste), ინდოეთის ენისა და ლიტერატურის (უმთავრესად — ძველის) მცოდნე და მკვლევარი.

**ინდიგო**, ისპ., ერთგვარი ტროპიკული მცენარე, რომლის წვენისაგანაც კეთდება ცისფერი საღებავი.

**ინდივიდ-ი, ინდივიდუმ-ი** ან **ინდივიდუუმ-ი**, ლათ. („განუყოფელი“, dividere-საგან „გაყოფა“): 1) განუყოფელი არსება, ცალკე პიროვნე-

ბა (ადამიანი, ცხოველი ან მცენარე); დამოუკიდებლად აღებული პიროვნება; აქედან: **ინდივიდუალიზაცია** — განვითარება პიროვნულ თავისებურობათა, რომელნიც პიროვნებას განასხვავებენ სხვათაგან; **ინდივიდუალიზირება** — იგივე მოქმედება.

**ინდივიდუალიზმ-ი**, ლათ.-ევროპ. (იხ. ინდივიდი): 1) პიროვნების შეუზღუდველი განვითარება, საზოგადოებრიობისაგან მისი დამოუკიდებლობა; 2) ფილოსოფიაში: მოძღვრება, რომელიც თავისთავადს მნიშვნელობას ანიჭებს მხოლოდ ინდივიდს (პიროვნებას); სოციალური მოძღვრება, რომლის თანახმადაც ისტორიული პროცესის შინაარსს წარმოადგენს პიროვნების განვითარება და ამიტომ შეზღუდულ უნდა იქნეს სახელმწიფოსა და საზოგადოების გავლენა პიროვნებაზე; 4) ისტორიულ-პოლიტიკური მიმართულება, რომელიც პიროვნებას ანიჭებს გადამწყვეტ როლს ისტორიულ პროცესში; აქედან: **ინდივიდუალისტ-ი** — ინდივიდუალიზმის მიმდევარი.

**ინდივიდუალობა**, ლათ.-ევროპ. (იხ. ინდივიდ-ი); 1) თვითეული ინდივიდის (არსების) თავისებურობანი, რომელნიც ანსხვავებენ მას იმავე სახის სხვა ინდივიდთაგან; 2) ძლიერად გამოხატული პიროვნების თავისებურობანი; **ინდივიდუალური** — პიროვნული, დამახასიათებელი რამ მხოლოდ ცალკე პიროვნებისა, საგნისა ან მოვლენისათვის.

**ინდიკატივ-ი** (ლათ. indicativus), ზმნის თხრობითი (მოთხრობითი) კილო (გრამატიკაში).

**ინდიკატორ-ი**, ლათ. („მაჩვენებელი"): 1) ფიზიკაში: მანქანებში წნევის გამომკვლევი ხელსაწყო; 2) ქიმიაში: დამახასიათებელი რეაქციის მომცემი ნივთიერება; 3) გეოდეზიაში: მიზნის მდებარეობის მაჩვენებელი ხელსაწყო; **ინდიკატორული ძალა** — ორთქლის ძალის ერთეული (უდრის 75 კილოგრამომეტრს).

**ინდიკტ-ი**, იხ. ინდიქტი.

**ინდიფერენტიზმ-ი**, ლათ.-ევროპ. (ლათ. indifferens-ისაგან „განურჩეველი"), განურჩევლობა, გულგრილობა რაიმე მოვლენისადმი, განსაკუთრებით — პოლიტიკური, სარწმუნოებრივი ან ზნეობრივი საკითხებისადმი; **ინდიფერენტული** ან უკეთ **ინდიფერენტ-ი** — განურჩეველი, გულგრილი რისადმი; **ინდიფერენტულობა** ან უკეთ **ინდიფერენტობა** — იგივეა რაც ინდიფერენტიზმი.

**ინდიქტ-ი**, ლათ.: 1) ცნობება, საეკლესიო განცხადება: 2) ძვ. რომში: თხუთმეტწლეული ხანი, რომლის განმავლობაშიც რომაელები სამჯერ ჰკრეფდენ ხარკს დამორჩილებულ ხალხთაგან: 3) კონსტანტინე დიდის მიერ შემოღებული (312 წ.) თხუთმეტწლეული წელთაღრიცხვა — ნაცვლად წარმართული ოლიმპიადებისა, 4) საქართველოში: გამეფების ესა თუ ის წელი; **ინდიქტიონ-ი** — პასქალიაში: 532-წლიანი ხანი.

**ინდოევროპული ენები** (უწოდებენ აგრეთვე ი ნ დ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ს, ა რ ი ო ე ვ რ ო პ უ ლ ს ან ა რ ი უ ლ ს, იხ.) — გავრცელებულია ევროპაში, აზიის სამხრ.-დასავლეთ ნაწილში და ინდოეთში, სახელდობრ: ინდური, ირანული, სომხური, ალბანური, ბერძნული, იტალიკური (მათ შორის ლათინური), კელტური, გერმანიკული, ბალტიკური, სლავური (აგრეთვე — გადაშენებული: ტოქარული, თრაკიული და სხვ.); ამ ენათა მატარებელ ხალხს უწოდებენ ინდოევროპელებს; **ინდოევროპისტიკა** — მეცნიერება ამ ენათა შესახებ, ინდოევროპული ენათმეცნიერება; **ინდოევროპისტ-ი** — ამ ენათა მცოდნე და მკვლევარი.

**ინდოირანული ენები** (უწოდებდენ აგრეთვე არიულს, იხ.), ინდოევროპულ ენათა აღმოსავლური ჯგუფის ენები, სახელდობრ, ინდოეთისა და ირანისა.

**ინდონეზია**, ინდოეთის ანუ მალაის არქიპელაგი (იხ.).

**ინდოსამენტ-ი**, იტ.-ევროპ. (indossement „თამასუქის ზურგზე წარწერა", dosso-საგან „ზურგი"), თამასუქის გადაცემა სხვისთვის — მეორე გვერდზე გადაცემითი წარწერის საშუალებით; **ინდოსირება** — იგივე მოქმედება; **ინდოსანტ-ი** — თამასუქზე გადაცემითი წარწერის მქნელი, თამასუქის გადამცემი; **ინდოსატ-ი** ან **ინდოსატორ-ი** — ის პირი, ვის სახელზედაც გადაიცემა თამასუქი.

**ინდრა**, სანსკრ., ძვ. ინდოელთა მითოლოგიაში: ერთერთი უზენაესი ღვთაება, — ქვეყნის შემოქმედი და მპყრობელი.

**ინდუიზმ-ი**, ევროპ., ბრაჰმანიზმისაგან (იხ. ბრაჰმა) განვითარებული ინდოელთა რელიგია.

**ინდუქტ-, ინდუკც-**, იხ. ინდუქც-, ინდუქტ-.

**ინდულგენცია** (ლათ. indulgentia „მოწყალება, შეწყნარება"), საშ. საუკუნეებში: ცოდვათა შესანდობარი სიგელი, რომელიც ეძლეოდა ცოდვების მომნანიებელს რომის პაპის მიერ; გაიცემოდა აგრეთვე განსაზღვრული საფასურით: მყიდველს ეპატიებოდა წარსული და მომავალი ცოდვები.

**ინდულტ-ი** (ლათ. ინდულტუმ „პატიება, შეწყნარება"), საერთოდ: ვადის გაგრძელება რაიმე ვალდებულობის ასრულებისათვის; კერძოდ: პაპის მიერ ბოძებული პრივილეგია სასულიერო ან საერო პირებისათვის.

**ინდურაცია** (ახ. ლათ. induratio), გამაგრება, გამყარება.

**ინდუსტრია**, ლათ. („მოქმედიანობა, ღვაწლი, შრომის მოყვარეობა"), მრეწველობა, განსაკუთრებით — მსხვილი; **ინდუსტრიალიზმ-ი** — ეკონომიურ ცხოვრებაში მსხვილი მრეწველობის უპირატესობა; **ინდუსტრიალიზაცია** — ასეთი უპირატესობის მინიჭება; **ინდუსტრიალური** ან **ინდუსტრიული** — მრეწველობითი; **საინდუსტრიო** — სამრეწველო.

**ინდუქტიური**, იხ. ინდუქციური.

**ინდუქცია** (ლათ. inductio „შეყვანა"): 1) დასკვნა დაკვირვებისა ან ცდისაგან; 2) ლოგიკაში: აზროვნების ისეთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც კერძოობითი საფუძვლებიდან გამოიყვანება ზოგადი დებულება; კერძოდან ზოგადზე გადასვლა; 3) ფიზიკაში: რაიმე გამტარში ელექტრული დენის აღძვრა ელექტრიზირებული სხეულის სიახლოვით.

**ინდუქციური**, ინდუქციის (1, 2) ხასიათის მქონე, მაზედ დამყარებული; **ინდუქციური მეთოდი** — იხ. ინდუქცია 2; **ინდუქციური მეცნიერებანი** — ინდუქციურ მეთოდებზე დამყარებული. ცდითი მეცნიერებანი.

**ინერვაცია**, ლათ.-ფრ. (innervation, ლათ. nervus-ისაგან „ნერვი"): 1) ანატომიაში: ნერვული ბოჭკოების განვითარება ცხოველის ორგანოებში; ნერვებისა და ნერვული ბოჭკოების განრიგება ამა თუ იმ ორგანოში; 2) ფიზიოლოგიაში: ნერვების გავლენა ორგანიზმის მოქმედებაზე: **ინერვირება** — ნერვული იმპულსების (იხ.) გატარება ამა თუ იმ კუნთებში; 3) ბოტანიკაში: ძარღვების განშტოება მცენარის ფოთლებში.

**ინერტ-ი** ან **ინერტული**, ლათ.-ფრ. (inerte), უმოქმედო, უმოძრაო, მცონარე.

**ინერცია** (ლათ. inertia): 1) ფიზიკაში: სხეულთა თვისება, რომლის გამოც ა) სხეული უძრავია, სანამ რაიმე გარეშე მიზეზი არ გამოიყვანს მას ამ მდგომარეობიდან ან ბ) ჯახების გავლენით მოძრაობს წრფიულად (სწორ წირულად), სანამ გარეშე რამ მიზეზი არ დააბრკოლებს ამ მოძრაობას; 2) საერთოდ: ინერტობა, უძრაობა, უმოქმედობა და სხვ.; აქედან: **ინერციული** — ინერციის ხასიათის მქონე; **ინერტული** (იხ. ინერტი).

**ინვალიდ-ი** (ლათ. ინვალიდუს „უძლური, შეუძლო", ვალიდუს „ჯანსაღი, შემძლე"): 1) საერთოდ: შრომის უნარმოკლებული მოხუცებისა ან დასახიჩრების გამო; 2) განსაკუთრებით: სამხედრო სამსახურის ასრულების უნარდაკარგული.

**ინვენტარ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. inventaire, ლათ. invenire „პოვნა"): 1) ქონების აღწერილობა, სია (ჩვეულებრივ — მოძრავი ქონებისა) — თვითეული საგნის ფასის აღნიშვნით; ცოცხალი ინვენტარი — მაგ. სამუშაო საქონელი, მკვდარი ინვენტარი — მაგ. მანქანა, იარაღები და სხვ.; 2) რაიმე საქმისათვის (წამოწყებისათვის) საჭირო ნივთები.— **ინვენტურა** (ახ. ლათ. inventura) — ადგილზე მყოფი საქონლის სია; მთელი ქონების შემოწმება (ანგარიშ-სწორება) ინვენტარის მიხედვით (კომერციაში).

**ინვერსია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. inversio), საერთოდ: გარდაქმნა, გადასმა, გადაადგილება; 1) გრამატიკაში: სიტყვების გადასმა ლოგიკური ან კეთილხმოვნობის მიზნით; 2) მედიცინაში: ორგანოთა გადმობრუნება (მაგ. საშოს კედლებისა და სხვ.), ან შიგნეულობის თანდაყოლილი გადაადგილება (მაგ. გული მარჯვენა მხრით და სხვ.); 3) ქიმიაში: ლერწმის შაქრის გარდაქცევა მჟავებადების ზეგავლენით — გლუკოზისა და ფრუქტოზის ნარევად (იხ. ესენი).

**ინვესტიტურა**, საშ. ლათ. („შემოსვა"): 1) ფეოდალიზმის ხანაში: სასულიერო პირის ზეიმით მიყვანა უძრავი ქონების მფლობელად — ლეჰნის ჩაბარებისას (იხ. ლეჰნი); 2) საერო-

მფლობელთა უფლება თავის სამფლობელოში ეპისკოპოსთა და აბატების დანიშვნისა; 3) პროტესტანტებში: სასულიერო პირის თანამდებობაზე მიყვანის საზეიმო წესი.

**ინვოლუცია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. involutio). მედიცინაში: შეცვლილი ორგანოს დაბრუნება ნორმალურ მდგომარეობაში, შებრუნებული განვითარება (მაგ. საშვილოსნოსი მშობიარობის შემდეგ).

**ინიექცია**, ლათ.-ფრ. შეშხაპუნება (მაგ. წამლისა).

**ინიციალ-ი, ინიციალები** (ლათ. initialis დაწყებითი, დასაწყისი"), სახელგვარის ან სხვა რაიმე სახელწოდების თავკიდური (დასაწყისი) ასოები (მაგ.: პ. მ. — პეტრე მელიქიშვილი, ტ. ს. უ. — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

**ინიციატივა**, ლათ.-ევროპ. (ფრ. initiative), თაოსნობა; რაიმე საქმის პირველად დაწყება, მოთავეობა; **საკანონმდებლო ინიციატივა** — კანონპროექტის შეტანის უფლება პარლამენტში; **ინიციატორ-ი** — რაიმე საქმის დამწყები, მოთავე.

**ინკა**, პერუს (სამხრ. ამერიკაში) მეფეთა ტიტული ისპანელთა შესევამდე.

**ინკარნაცია**, ლათ., ხორცის შესხმა.

**ინკასო** (იტ. ინკასსო), კომერციაში: ვექსილით ვალაზე ფულის მიღება არა პირდაპირ გადამხდელისაგან, არამედ საბანკო დაწესებულებიდან, სადაც გადაცემულია ვექსილი საკომისიოდ; **ინკასირება** — ინკასოს მოხდენა.

**ინკვიზიცია** (ლათ. inquisitio, inquirere-საგან, „გამოძიება", „დაკითხვა"), რომის პაპების მიერ 12 საუკ. გასულს დაწესებული საეკლესიო სასამართლო, — მწვალებელთა (ერეტიკთა, იხ.) და ეკლესიისათვის სხვა მავნე პირთა სადევნელად და დასასჯელად, — მიმართავდა უსასტიკეს და შეუბრალებელ სასჯელსა და წვალებას; მოისპო 19 საუკ. დასაწყისში; გადატან. მნიშვნ.: ვისიმე შეუბრალებელი დატანჯვა, წვალება; **ინკვიზიტორ-ი** — : 1) საინკვიზიციო სასამართლოს წევრი; 2) გადატ. მნიშვნ.: შეუბრალებელი, სასტიკი მოსამართლე ან საერთოდ — ასეთი ადამიანი.

**ინკლინაცია** (ლათ. inclinatio „დახრა"): 1) გეომეტრიაში: ურთიერთისადმი დახრა ორი სიბრტყისა ან წირისა (ხაზისა) სიბრტყისადმი; 2) ასტრონომიაში: კუთხე, რომელსაც ჰქმნის პლანეტებისა და კომეტების ორბიტები დედამიწის ორბიტასთან (იხ.); **ინკლინატორ-ი** — მაგნეტური ისრის გადახრის საზომი მოწყობილობა.

**ინკოგნიტო**, ლათ.-იტ. („უცნობი"): 1) ფარულად, თავის პიროვნების გამოუმჟღავნებლად; 2) ვისაც არ სურს თავისი პიროვნება გამოამჟღავნოს და ამიტომ ატარებს სხვის სახელს, გვარს და სხვ.

**ინკორპორაცია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. incorporare-საგან „შესხეულება, შერიცხვა, შეერთება"): 1) განსახიერება, ხორცის შესხმა; 2) ახალი ტერიტორიის შეერთება სახელმწიფოსთან; 3) ახალი წევრის სწორუფლებიანად ჩარიცხვა რაიმე კავშირში, ჯგუფში და სხვ.; 4) ფარმაციაში: მშრალ და თხევად ნივთიერებათა შერევა; 5) ენათმეცნიერებაში: წინადადების ნაწილების განსახიერება ერთ სიტყვაში, სახელდობრ, ზმნაში (იხ. პოლისინთეტიზმი). — ახასიათებს, მაგ. ამერიკულ ენებს. — **ინკორპორირება** — შეერთება, ჩარიცხვა და სხვ., ინკორპორაციის მოხდენა.

**ინკრიმინირება**, ლათ.-ევროპ. (გერმ. incriminieren), დაბრალება, ბრალდება, რაიმე დანაშაულობაში ვისიმე მხილება.

**ინკრუსტაცია**, ლათ.-ევრ. (ლათ. incrustare-საგან „რისამე დაფარვა რაიმე ფენით, მაგ. გიპსით"): 1) სადაფის ან რაიმე ლითონის სამკაულების ჩაჭდობა ხესა, ძვალსა ან ქვაში; 2) მედიცინაში: ძვლისებრი ან ლორტილისებრი ნივთიერების წარმოქმნა; აქედან: **ინკრუსტირება** — იგივე მოქმედება.

**ინკუბაცია** (ლათ. incubatio, incubare-საგან „რაზედმე ან რაშიმე წოლა"): 1) ძველებური ჩვეულება: ტაძრებში ავადმყოფთა წოლა და ძილი განკურნების იმედით; 2) კრუხის ჯდომა კვერცხებზე; ბუნებრივი ან ხელოვნური გამოჩეკა წიწილებისა; აქედან: **ინკუბაციური** ან **საინკუბაციო პერიოდი** — : 1) ზოოლოგიაში: კვერცხში ჩანასახის განსავითარებლად საჭირო დრო; 2) მედიცინაში: ხანი რაიმე სენის შეყრასა და ავადმყოფობის გამოჩენას შუა; **ინკუბატორ-ი** — წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკი მოწყობილობა.

**ინკუნაბულები** (მრავლ., ლათ. incunabula,-orum „არტახები, აკვანი", გადატ. მნიშვნ.: „დასაწყისი, პირველი რამ"), ასე ეწოდება პირველ-

ნაბეჭდ წიგნებს — ბეჭდვის გამოგონებიდან 1520 წლამდე (იხ. გუტენბერგი).

**ინოზიტ-ი,** ბერძ. ხელოვნ. (is. inos-ისაგან „კუნთი, ძარღვი, ბოჭკო"), ქიმიაში: ხორცის შაქარი. — მოიპოება ცხოველსა და მცენარის ქსოვილებში.

**ინოვაცია** (ლათ. innovatio), განახლება, შეცვლა.

**ინოკულაცია** (ლათ. innoculatio, oculus-ისაგან „თვალი, კვირტი"): 1) ბოტანიკაში: დამყნა; 2) მედიცინაში: აცრა; **ინოკულირება**—იგივე მოქმედება; **ინოკულატორ-ი** — დამმყნელი, ამცრელი.

**„ინოროდეც-ი, ინოროდცები"** (რუს. „სხვა მოდგმისანი"), ასე უწოდებდა რუსეთის თვითმპყრობელური კანონმდებლობა რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ერებს.

**ინჟექტორ-ი** (ფრ. injecteur): 1) მედიცინაში: შესაშხაპუნებელი; 2) ტექნიკაში: ტუმბოს მსგავსი მოწყობილობა — წყლის სატუმბავად ორთქლის ქვაბში.

**ინჟინერ-ი** ან **ინჟენერ-ი** (ფრ. ingénieur, ლათ. ingenium-ისაგან „ნიჭი, გონიერება; გამოგონების უნარი" და სხვ.), უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პირი; **ინჟენერ-მექანიკოს-ი** — მანქანათა აგების სპეციალისტი; **ინჟენერ-ტექნოლოგ-ი** — ფაბრიკა-ქარხნების აგების სპეციალისტი; **ინჟენერ-ჰიდრავლიკ-ი** — წყალთ-შენობათა აგების სპეციალისტი და სხვ.

**ინსექტ-ი** (ლათ. insectum), მწერი; აქედან: **ინსექტოლოგია** — ზოოლოგიის დარგი: მოძღვრება მწერების შესახებ.

**ინსიგნი, ინსიგნიები** (ლათ. მრავლ. insignia), ხელისუფლებისა და ღირსების მაჩვენებელი ნიშნები, მაგ. გვირგვინი, კვერთხი და სხვ.

**ინსინუაცია** (ლათ. insinuatio, insinuare-საგან „ჩაწვდომა, შეპარვა"), ცილისწამება, ბოროტი და ეშმაკური ჩაგონება, ცრუ ხმების გავრცელება ვიზედმე და სხვა ასეთი; **ინსინუირება** — იგივე მოქმედება.

**ინსოლაცია** (ლათ. insolatio): 1) საერთოდ: გამზევება; მზის სხივების მოქმედება; 2) მედიცინაში: მზის სხივებით მკურნალობა; 3) ტექნიკაში: რაიმე ქიმიური სხეულის დამუშავება მზის სხივების ზედმოქმედებით; აქედან: **ინსოლატორ-ი** — მზის სხივთა ენერგიის გამოსაყენებელი მოწყობილობა.

**ინსპექტორ-ი,** ლათ., მეთვალყურე ანუ ზედამხედველი რაიმე დაწესებულებაში; **ინსპექტორატ-ი** და **ინსპექტურა** — ინსპექტორის თანამდებობა; დაწესებულების საზედამხედველო აპარატი (იხ.); აქედან: **ინსპექტირება** — დათვალიერება, მაგ. ჯარისა, შემოწმება და სხვ.; **ინსპექტრისა** (ფრ. inspectrice) — სასწავლებლის ზედამხედველი (უფროსი) ქალი.

**ინსპექცია** (ლათ. inspectio): 1) დაწესებულებაში მოქმედ წესთა შესრულების მეთვალყურეობა; 2) საზედამხედველო აპარატი ინსპექტორის მეთაურობით; ინსპექტორთა პირადი შემადგენლობა.

**ინსპირაცია** (ლათ. inspiratio): 1) ჰაერის შესუნთქვა; 2) რისამე საიდუმლოდ ჩაგონება; **ინსპირირება** — იგივე მოქმედება.

**ინსტანცია** (ლათ. instantia): 1) ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების თვითეული თანამიმდევრობითი საფეხური; 2) იურიდ.: სასამართლოში რაიმე საქმის მიმდინარეობის თვითეული საფეხური.

**ინსტინქტ-ი** (ლათ. instinctus): 1) საერთოდ: ალღო, შეუგნებელი მისწრაფება რისმესადმი; 2) ცხოველთა და ადამიანის თანდაყოლილი თვისება—შეუგნებელი, მაგრამ მიზანშეწონილი მოქმედება, რომელიც მიმართულია ორგანიზმის თავდაცვისაკენ; აქედან: **ინსტინქტურ-ი** — ინსტინქტის ხასიათის მქონე; შეუგნებელი, ბუნების მოთხოვნილებაზე დამყარებული, მაგ.: **ინსტინქტური მოქმედება, მისწრაფება** და სხვ.; **ინსტინქტურობა** — ინსტინქტის მიხედვით მოქმედების თვისება.

**ინსტიტუტ-ი** ლათ. (instituere-საგან „დადგენა, დაწესება"): 1) საერთოდ: დაწესებულება; 2) იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა, — განსაზღვრულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი (მაგ. ამბობენ: კერძო საკუთრების ინსტიტუტი, ოჯახის ინსტიტუტი და სხვ.); 3) ქალთა დახურული სასწავლებელი რევოლუციის წინა რუსეთში; 4) ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელთა (აგრეთვე ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებათა) სახელწოდება.

**ინსტიტუცია,-ები** (ლათ. institutio), რომის

იურისტების ნაშრომები სამოქალაქო სამართლის დარგში.

**ინსტრუქტ-, ინსტრუქც-,** იხ. **ინსტრუქტ-. ინსტრუქც-.**

**ინსტრუმენტ-ი** (ლათ. instruere-საგან „მოწყობა, აგება"). მოწყობილობა, იარაღი, ხელსაწყო — რაიმე ხელობაში, ხელოვნებაში ან სამეცნიერო მუშაობაში სახმარებელი; **სამუსიკო ინსტრუმენტ-ი** — მაგ. როიალი, ვიოლინო და სხვ.; **ინსტრუმენტაცია** — მუსიკალური ნაწარმოების დაწყობა (გადატანა) შესაფერ სამუსიკო ინსტრუმენტზე; **ინსტრუმენტირება** — იგივე მოქმედება; **ინსტრუმენტალური** ან უკეთ **ინსტრუმენტული** — ინსტრუმენტის ხასიათის მქონე; **საინსტრუმენტო** — ინსტრუმენტისათვის განკუთვნილი, გამოსადეგი. შესაფერი, მაგ. **საინსტრუმენტო მუსიკა** — ინსტრუმენტზე შესასრულებელი მუსიკა (ვოკალურის საწინააღმდეგო).

**ინსტრუქტორ-ი,** ლათ. (instruere-საგან „მოწყობა, აგება დაყენება"...), რაიმე საქმეში დახელოვნებული პირი. რომელიც სხვას ასწავლის ამ საქმის სწორად დაყენებას (მაგ. სასკოლო. სამეურნეო, სამხედრო ან სხვა საქმეში); აქედან: **ინსტრუქტირება** — დარიგება; მოვალეობის ახსნა; ინსტრუქტორის. როგორც ასეთის, საქმიანობა; **ინსტრუქცია** — დარიგება; სახელმძღვანელო წესები ამა თუ იმ მოვალეობის შესასრულებლად.

**ინსურგენტ-ი,** ლათ. insurgere-საგან „ადგომა. აჯანყება"), მეამბოხე, აჯანყებული; აქედან: **ინსურექცია** (ახ. ლათ. insurrectio) — ხალხის აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ.

**ინსცენირება,** ლათ.-გერმ. (inscenieren. იხ. სცენა): 1) სცენაზე დადგმა; 2) რაიმე ნაწარმოების სასცენოდ გადაკეთება; 3) რაიმე ამბის ან შემთხვევის ხელოვნურად წარმოდგენა.

**ინტეგრალ-ი,** ახ.-ლათ. (ლათ. integer-ისაგან „ხელუხლები, დაუზიანებელი. მთლიანი"). მათემატიკაში: რაოდენობა, რომლის დიფერენციალი უდრის მოცემულ სიდიდეს; **ინტეგრალური** — მთლიანი, განუყოფელი; **ინტეგრალური აღრიცხვა** — მათემატიკაში: უმაღლესი მათემატიკის დარგი, რომელიც იძიებს ინტეგრალებს; **ინტეგრაცია** — მთლიანობა, მთლიანობის დაცვა. — გაძლიერება: **ინტეგრირება** — იგივე მოქმედება; მათემატიკაში: ინტეგრალის მონახვა.

**ინტელექტ-ი** (ლათ. intellectus. intelligere-საგან „გაგება. შეგნება"), გონება. ადამიანის შემეცნების უნარი (გრძნობასა და ნებასთან დაპირისპირებით): **ინტელექტუალური** — გონებრივი. შემეცნებითი; **ინტელექტუალიზმ-ი** — : 1) საერთოდ გონებისათვის უპირატესობის მინიჭება; 2) ფილოსოფიაში: მოძღვრება. რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ სთვლის გონებას (უპირისპირდება ემპირიზმსა და სენსუალიზმს): 3) ფსიქოლოგიაში: ყველა ფსიქიური პროცესების ახსნა წარმოდგენების ნიადაგზე; **ინტელექტუალისტ-ი** — ინტელექტუალიზმის მიმდევარი.

**ინტელიგენტ-ი** (ლათ. intelligens.-ntis. იხ. წინა სიტყვა), ვინც გონებრივ შრომას ეწევა; ვინც ინტელიგენციას ეკუთვნის; განათლებული, განვითარებული; **ინტელიგენცია** — საზოგადოებრივი ჯგუფი. რომელიც ეწევა გონებრივ შრომას. — კლასობრივად — არაერთგვარი შედგენილობისა; საზოგადოების განათლებული ნაწილი.

**ინტენდანტ-ი,** ლათ.-ფრ. (intendant „გამგე, მმართველი"). სამხედრო მოხელე, რომელიც განაგებს ჯარისთვის სურსათისა და ამუნიციის (იხ.) მომარაგების ნაწილს; **ინტენდანტურა** ანუ **საინტენდანტო** — სამხედრო მმართველობის ნაწილი. რომელიც განაგებს ჯარისთვის სურსათისა და ამუნიციის მომარაგების საქმეს.

**ინტენსიური** ან **ინტენსივ-ი,** ლათ.-ფრ. (ლათ. intendere-საგან „დაჭიმვა"). დაჭიმული, ძლიერი. გაძლიერებული; მაგ. **ინტენსიური მეურნეობა** — ისეთი მეურნეობა. რომლის წარმოებრიობაც იზრდება ნიადაგისა და საწარმოო იარაღების გაუმჯობესებით (შეადარე ექსტენსიური მეურნეობა): **ინტენსიური სიდიდე** — სიდიდე. რომელიც იზომება მისი შინაგანი ძალის მიხედვით: აქედან: **ინტენსიურობა** ან **ინტენსიობა** — დაჭიმულობა, დამძაფრულობა, სიძლიერე: **ინტენსიფიკაცია** — გაძლიერება, დაჭიმულობის ანუ დამძაფრებულობის გადიდება (მე-

ურნეობაში — წარმოებრიობის აწევა ნიადაგისა და იარაღების გაუმჯობესობით).

**ინტენცია** (ლათ. intentio „განზრახვა“), ფილოსოფიაში: განზრახულობა; ობიექტისადმი ნებისყოფიით მიმართულობაში ყოფნა; **ინტენციონალიზმ-ი** — მოძღვრება განზრახულობის, მიზნობრიობის შესახებ.

**ინტერდიქტ-ი** (ლათ. interdictum „აკრძალვა“): 1) რომის სამართალში: დროებითი ყადაღა სადაო თანხებზე; 2) კათოლიკურ ეკლესიაში: საეკლესიო მოღვაწეობის აკრძალვა პაპის მიერ მთელს სახელმწიფოში ან მის ერთ-ერთ ნაწილში.

**ინტერეს-ი**, ლათ.-ევროპ. (გერმ. Inreteess; ლათ. interesse „რისამე შუა ყოფნა, მონაწილეობა“), 1) ცნობისმოყვარეობა, აღძრული ყურადღება; 2) მონაწილეობა; 3) ანგარება, სარგებლიანობა; 4) პროცენტი. — აქედან: **ინტერესანტ-ი** — ანგარებიანი ადამიანი; **საინტერესო** — მიმზიდველი, ყურადღების აღმძვრელი და სხვ.; **დაინტერესება** — : 1) ვისიმე რითმე: ვისიმე ყურადღების აღძვრა რაიმე მოვლენისადმი; 2) რითიმე: ყურადღების მიპყრობა რაზედმე ან ვიზედმე და სხვ.

**ინტერექს-ი**, იხ. ინტერრექსი.

**ინტერვალ-ი** (ლათ. intervallum): 1) შუალედი. ხანი; 2) მუსიკაში: ორი ტონის სიმაღლეთა თანაშეფარდება რხევათა რიცხვის შესაფერად; 3) სამხედრო: მანძილი ორი ჯარის ნაწილთა შუა ან ზარბაზნებსა და ბატარეებს შუა.

**ინტერვენცია** (ლათ. interventio): 1) საერთაშორისო შუამავლობა; 2) ერთი სახელმწიფოს ჩარევა სხვა სახელმწიფოს შინაგან საქმეში, — შეიარაღებული, დიპლომატიური და სხვ.

**ინტერვიუ** (ინგლ. interwiew „მონახულება, საუბარი“), გაზეთის წარმომადგენლის საუბარი ცნობილ მოღვაწესთან, მეცნიერთან და სხვ. — რაიმე საყურადღებო საკითხის გამო (საუბარი ქვეყნდება გაზეთში); **ინტერვიუერ-ი** — ინტერვიუს მომხდენი; **ინტერვიუირება** — ინტერვიუს მოხდენა.

**ინტერიმ-ი** (ლათ. interim „ამასობაში, ჯერჯერობით“): 1) დროებითი დადგენილებანი (რელიგიურ საქმეში), რომელთა საშუალებით კარლოს V-ს სურდა კათოლიკებისა და პროტესტანტების დაახლოება (XVI საუკ.); 2) დროებითი ღონისძიება, — ხელისუფლება; საერთოდ: დროებითი მდგომარეობა.

**ინტერლუდია** (ლათ. interludere-საგან „შუაზე თამაში“): 1) წინეთ: ინტერმედია (იხ.), 2) ახლა: დიდი პიესის მოქმედებათა შუა შესასრულებელი პატარა მუსიკალური პიესა.

**ინტერმედია** (ლათ. intermedius-ისაგან „შუაზე მყოფი“): 1) სათეატრო პიესის მოქმედებათა შუა შესასრულებელი პატარა წარმოდგენა.

**ინტერმეცო** (იტ. intermezzo), პატარა სამხიარულო ოპერა ან ბალეტი, რომელიც სრულდება მთავარი პიესის მოქმედებათა შუა.

**ინტერმისია** (ლათ. intermissio „შეწყვეტა, ხანგამოშვება“), ზოგიერთი ავადმყოფობისას ხანგამოშვება, როცა ავადმყოფობა არ მჟღავნდება გარეგნულად.

**ინტერნატ-ი**, ახ. ლათ., დახურული პანსიონიანი სასწავლებელი; **ინტერნ-ი** (ლათ. internus „შინაგანი“) — : 1) პანსიონიან სასწავლებელში მცხოვრები მოწაფე; 2) საავადმყოფოში მცხოვრები უმცროსი ექიმი.

**ინტერნაციონალ-ი**, ლათ.-ევროპ. („საერთაშორისო“): 1) მუშათა საერთაშორისო კავშირი: ა) I ინტერნაციონალი დაარსდა 1864 წ. 28 სექტემბერს ლონდონში; არჩეულმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო (1 ნოემბერს) მარქსის მიერ წარდგენილი პროექტი „მუშათა საერთაშორისო კავშირის“ პროგრამისა და წესდებისა, რომლის თანახმად დაწესებული გენერალური საბჭოს ნამდვილი ხელმძღვანელი იყო მარქსი; მიზანი: რევოლუციური სოციალიზმის პროპაგანდა და ყველა ქვეყნების მუშათა კლასის მოძრაობის ხელმძღვანელობა; ბ) II ინტერნაციონალი დაარსდა 1889 წ. პარიზში (16 წლის შემდეგ პირველის დაშლიდან), — აერთებდა ყველა სოციალისტურ პარტიებს; 1914 — 18 წ. წ. მსოფლიო ომის დროს მასში მოხდა განხეთქილება, უმთავრესად, იმისგამო, რომ სოციალისტურ პარტიათა უმრავლესობა მხარს უჭერდა თავიანთ მთავრობებს ომის საქმეში, — არსებობს დღეს უმთავრესად სოციალ-დემოკრატიულის სახით-დასავლეთ ევროპაში; გ) ეგრ. წოდებული 2½ ინტერნაციონალი („სო-

ციალისტურ პარტიათა საერთაშორისო გაერთიანება"), დაარსდა 1920 წ.,— მისი შეხედულებანი გამოთქმულია ბერნის (შვეიცარიაში) კონფერენციის მანიფესტში: სარევოლუციო ტაქტიკით ეჭირა საშუალო ადგილი I-სა და II-ე ინტერნაციონალს შუა, — შეუერთდა 1923 წ. II ინტერნაციონალს; დ) III ინტერნაციონალი — იგივეა რაც კომუნისტური ინტერნაციონალი (იხ.); 2) ინტერნაციონალი ეწოდება აგრეთვე პროლეტარიატის საერთაშორისო ჰიმნს (შედგენილია 1871 წ. Pottier-ისა (ტექსტი) და Degeyter-ის (მუსიკა) მიერ.

**ინტერნაციონალიზმ-ი**, ლათ.-ევროპ., საერთოდ: ყველა ეროვნებათა ინტერესების განუყოფელობის ცნობა; მისწრაფება ყველა ეროვნებათა გაერთიანებისადმი, ეროვნულ ზღუდეთა მოშლისადმი; კერძოდ და განსაკუთრებით: სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესთა ერთიანობა; აქედან: **ინტერნაციონალისტ-ი** — ინტერნაციონალიზმის მიმდევარი; **ინტერნაციონალური** — საერთაშორისო.

**ინტერნ-ი**, იხ. ინტერნატი.

**ინტერნირება** (ლათ.-გერმ. intenieren, ლათ. internus-ისაგან, იხ. ინტერნატი): 1) ამა თუ იმ ქვეყნის საზღვრებიდან მის შიგნი გადაგზავნა,— გადასახლება; 2) ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ განიარაღება სხვა სახელმწიფოს სამხედრო ნაწილისა, რომელმაც გადაიბიჯა ნეიტრალურ ხაზს, და მისი ჩასახლება ამ ქვეყნის შიგნი.

**ინტერნუნცი** (ლათ. internuncius „შუამავალი"), რომის პაპის რწმუნებული, — ელჩი; **ინტერნუნციატურა** — ინტერნუნცის წოდება და თანამდებობა.

**ინტერპელაცია** (ლათ. interpellatio „სიტყვის შეწყვეტინება, რისამე დაბრკოლება"), პარლამენტში: შეკითხვა მთავრობის მიმართ ამა თუ იმ საქმის გამო და მთავრობისაგან პასუხის მოთხოვნა; აქედან: **ინტერპელირება** — იგივე მოქმედება; **ინტერპელატორ-ი** — შემკითხველი.

**ინტერპოლაცია** (ლათ. interpolatio „სხვა სახის მიცემა, გადაკეთება..."): 1) ფილოლოგიაში: თხზულების ხელნაწერ ტექსტში არაავტორის მიერ ჩამატება სიტყვებისა, ფრაზებისა და სხვ.; 2) მათემატიკაში: შუალედ წევრთა ჩართვა — საძიებელ სიდიდეთა ნამდვილი მნიშვნელობის გამოსაკვლევად; აქედან: **ინტერპოლირება** — იგივე მოქმედება; **ინტერპოლატორ-ი** — ფილოლ.: ინტერპოლაციის მქნელი, ყალბის მქნელი.

**ინტერპრეტაცია** (ლათ. interpretatio), ახსნა, განმარტება; კრიტიკული გადმოცემა; ძველებური ქართულით: თარგმანება; **ინტერპრეტირება** — იგივე მოქმედება.

**ინტერპუნქცია** (ლათ. interpunctio), მოძღვრება სასვენ ნიშანთა ხმარების შესახებ.

**ინტერრექს-ი** (ლათ. interrex „შუა მეფე"), ძველ რომში გარდაცვლილი მეფის შემდეგ ახალის არჩევამდე მმართველი სენატორის წოდება (თვითეული სენატორი — ხუთხუთ დღეს).

**ინტერფერენცია**, ლათ.-ფრ. (interférence), ორი რხევითი მოძრაობის (მაგ. ბგერითი, სითბოური და სხვ. ტალღებისა) ურთიერთის მიმართ ზედმოქმედება, — მისი შედეგი შესაძლებელია იქნეს რხევის გაძლიერება ან დასუსტება; **ინტერფერირობა** — იგივე მოქმედება.

**ინტერცესია** (ლათ. intercessio), ჩარევა; გამოსარჩლება, თავდებობა.

**ინტიმიდაცია** (ფრ. intimidation), დაშინება, დაფრთხობა.

**ინტიმ-ი**, **ინტიმური** (ლათ. ინტიმუს „უშინაგანესი"), მახლობლური; გულითადი; მეგობრული და სხვა ასეთი; **ინტიმობა**, **ინტიმურობა** — მახლობლობა, გულითადობა და სხვ.

**ინტონაცია**, ლათ.-ფრ. (intonation): 1) მუსიკაში: ტონის სისწორე სიმღერაში ან რისამე ინსტრუმენტზე დაკვრისას; არასწორ ინტონაციას ეწოდება დეტონაცია (იხ., 2); 2) მეტყველებაში (აგრეთვე სიმღერაშიც): ხმის სიმაღლის აწევ-დაწევა, ხმის სახეცვალება სიმაღლის მიხედვით.

**ინტოქსიკაცია**, ლათ.-ბერძ., ხელოვნ., მოწამვლა (სუსტი ფორმით).

**ინტრანზიტივ-ი**, ლათ. („გარდაუვალი"), გრამატიკაში: გარდაუვალი ზმნა, ე. ი. ისეთი ზმნა, რომელსაც არ შეუძლია ჰქონდეს თავისთან პირდაპირი დამატების ბრუნვა.

**ინტრიგა**, ლათ.-ევროპ. (ფრ. intrigue): 1) განსაზღვრული მიზნით წარმოებული ხრიკი, ოინი; 2) ფარული კავშირი სიყვარულის ნიადაგზე; 3) სალიტერატურო ნაწარმოების კვანძი; — აქედან: **ინტრიგან-ი** — ინტრიგის (1) ჩამდენი ან მომწყობი ადამიანი; **ინტრიგირება** ან **ინტრიგობა** — ასეთივე მოქმედება.

**ინტროდუქცია** (ლათ. introductio), შესავალი სალიტერატურო ან სამუსიკო ნაწარმოებში.

**ინტროსპექცია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. introspection „შიგნი ხედვა"), თვითდაკვირება, დაკვირება თავისთავის სულიერ მოვლენებზე.

**ინტუბაცია**, ლათ.-ევროპ., ხელოვნ. (ტუბა „მილი"), მილის შეტანა ხორხში პირის გზით, — მიმართავენ დიფტერიტის (იხ.) დროს დახრჩობის თავიდან ასაცილებლად.

**ინტუიტივიზმ-ი** (იხ. ინტუიცია), ფილოსოფიაში: მოძღვრება უშუალო შემეცნების შესახებ, — მის თანახმად ცოდნა შესაძლებელია მხოლოდ ინტუიციის (იხ.) გზით.

**ინტუიცია** (ფრ. intuition, ლათ. intuēri „ხედვა, ჭვრეტა"), უშუალო შემეცნება (უპირისპირდება დისკურსს, იხ.) **ინტუიციური** — ინტუიციის ხასიათის მქონე, უშუალო შთაბეჭდილებიდან გამომდინარე; **ინტუიციური აზროვნება** — ეწოდება ისეთ აზროვნებას, რომლის დროსაც დასკვნა იაზროვნება უშუალოდ, ე. ი. არა ჩანს ყველა წინამძღვრები (უპირისპირდება დისკურსიულს, იხ.).

**ინფამია** (ლათ. infamia), სახელგატეხილობა.

**ინფანტერია** (ისპ., იტ. infanteria, ლათ. infans-ისაგან „ბავში, მსახური..."), ქვეითი ლაშქარი.

**ინფანტ-ი** (ისპ. infánte, ლათ. infans „უენო, ბალღი"), ისპანიასა და პორტუგალიაში: მეფის პირმშო. ვაჟის (აგრეთვე — სამეფო გვარეულობის პრინცთა) ტიტული; **ინფანტა** — იგივე ტიტული ქალისა.

**ინფანტილიზმ-ი**, ლათ. ხელოვნ. (იხ. ინფანტი), ბავშურობა; მედიცინაში: ფიზიკური (და ზოგჯერ სულიერი) განვითარების შეჩერება ბავშობის საფეხურზე.

**ინფარქტ-ი** (ლათ. infarctus „გატენილი; გაჩრილი; გაჩხირული.."), სისხლის შეჩერება, კაპილარების (იხ.) სისხლით ავსება (მედიცინაში).

**ინფექცია**, ლათ.-ევროპ. (ფრ. infection, ლათ. inficere-საგან „შერევა, გაქლენთა, დამართება..."), რაიმე სენის შეყრა მიკრობების (იხ.) საშუალებით; აქედან: **ინფექციური** — გადამდები.

**ინფეოდაცია** (იხ. ფეოდი), ლენის მფლობელობაში შეყვანა.

**ინფილტრაცია**, ლათ.-ფრ. (infiltration, იხ. ფილტრი), გაჟონვა, გაჟღენთა; მყარ სხეულში თხევადი ნივთიერების გაჯდომა: ორგანიზმის ქსოვილებში შეჟონვა (და გაჯდომა) წყლისა, სისხლისა, შარდისა და სხვ.

**ინფინიტივ-ი**, ლათ.-ევროპ., განუსაზღვრელი; გრამატიკაში: ზმნის განუსაზღვრელი ფორმა.

**ინფიქს-ი** (ლათ. infixus „ჩარჭობილი, ჩამაგრებული"), გრამატიკაში: ჩასართი (იხ. აფიქსი).

**ინფლაცია** (ლათ. inflatio „გაბერვა, გასივება"), ქაღალდის ფულის გადაპარბებული გამოშვება.

**ინფლუენცა**, იტ., იგივეა, რაც გრიპი (იხ.).

**ინფორმაცია**, ლათ.-ფრ. (information), ცნობება, შეტყობინება, ჩვენება; **ინფორმირება** — იგივე მოქმედება; **ინფორმატორ-ი** — შემტყობინებელი, ცნობათა მიმწოდებელი ვინმე; **საინფორმაციო** — ცნობათა მიმწოდებელი რაიმე, მაგ. **საინფორმაციო ბიურო** (იხ.).

**ინფუზია**, (ლათ. infusio, infundere-საგან „შესხმა, ჩასხმა..."): 1) სხეულის კანს ქვეშ, ვენებში ან ღრუებში სითხის შესხმა (მნიშვნელოვანი რაოდენობით); 2) დანაყენის მომზადება.

**ინფუზორიები** (მრავლ., ლათ. infusoria, იხ. ინფუზია), უმარტივესი ერთ უჯრედიანი მიკროსკოპული (უიარაღო თვალით უხილავი) ცხოველები, მრავალგვარი სახისა; ცხოვრობენ უმთავრესად წყალში.

**ინქოატიური** (ლათ. inchoativus), დაწყებითი, მაგ.: **ინქოატიური ზმნები** — მოქმედების დაწყების აღმნიშვნელი ზმნები (გრამატიკაში).

ინციდენტ-ი, ლათ.-ფრ. (incident), მოულოდნელი შემთხვევა, რომელიც აბრკოლებს საქმის წესიერ მსვლელობას; ჩვეულებრივ: უსიამოვნო შემთხვევა ან თავგადასავალი, დავა, ჩხუბი და სხვ.

ინჰალაცია, ლათ.-ევრ. (inhalare-საგან „შესუნთქვა"), მედიცინაში: სამკურნალო საშუალებათა შესუნთქვა ზოგიერთ შინაგან ავადმყოფობათაგან განკურნების მიზნით; აგრეთვე — ასეთი მკურნალობა; აქედან: ინჰალირება — ასეთივე მოქმედება; ინჰალატორ-ი — მოწყობილობა ინჰალაციისათვის.

იოანიტები (მრავლ., გერმ. Johanniter-Ritter), გერმანელთა უძველესი სასულიერო-რაინდული ორდენი, — დაარსდა იერუსალიმში XI საუკ.; იცავდა მლოცველებს და უვლიდა ავადმყოფებს; პალესტინიდან გაძევებული არსებობდა კუნძულ კვიპროსზე, როდოსზე და ბოლოს მალტაზე; მოისპო 19 საუკ. დასაწყისში.

იოგა, სანსკრ. („კავშირი, შეერთება..."), ბრაჰმანიზმის (იხ. ბრაჰმა) ერთ-ერთი ფილოსოფიური სისტემა, რომლის მიმდევარნი — იოგები — მიისწრაფვიან ხორციელობის დაძლევის გზით შეუერთონ ინდივიდუალური სული ღმრთიურ სულს; იოგიზმ-ი — თანამედროვე ინდოელ ფაკირთა მოძღვრება.

იოდ-ი, ბერძ.-ლათ. (iodum, ბერძ. ion-ისაგან „ია"), ერთ-ერთი ქიმიურ ელემენტთაგანი, — მოიპოვება ზღვის წყალში, ზღვის წყალმცენარეებში და სხვ.; იხმარება მედიცინაში; იოდიზმ-ი — იოდით მოწამვლა მისი საშუალებით მკურნალობის დროს; იოდოფორმ-ი — იოდის შერევით მომზადებული ღია ყვითელი ფერის ფხვნილი; უსიამოვნო მკვეთრი სუნის, — წარმოადგენს ძალიან კარგ ანტისეპტიკურ (იხ.) საშუალებას.

იომენ-ი (ინგლ. yeoman), ინგლისში: 1) საშ. საუკუნეებში — თავისუფალი მიწის მუშაკი; 2) შემდეგ — იჯარადარი, წვრილი მიწათმფლობელი.

იომენრი (ინგლ. yeomanry), 1) ცხენოსანი მილიცია ინგლისსა და შოტლანდიაში, — მიწათმფლობელთაგან შედგენილი; 2) ინგლისის მეფის გვარდია.

იონიური ან იონიკური სტილი — ხუროთმოძღვრებაში: ხასიათდება მსუბუქი და ლამაზი, ხვეული მორთულობით შემკული, სვეტებით (შეად. დორიული); იონიკური ფილოსოფიური სკოლა — ასე ეწოდება საბერძნეთის უძველეს ფილოსოფიურ სკოლას, რომელსაც ეკუთვნოდენ თ ა ლ ე ს ი, ა ნ ა ქ ს ი მ ა ნ დ რ ი, ა ნ ა ქ ს ი მ ე ნ ე ს ი და სხვ., — იკვლევდა გარემო ბუნების მოვლენებს.

იონები (მრავლ., ბერძ.): 1) ელექტროლიზის დროს: რაიმე სხეულის გალვანური დენის მოქმედებით დაშლის პროდუქტები; 2) ელექტრობით დატვირთული ატომები; იონიზაცია — იონების მიღების პროცესი.

იოტა ან იოტ-ი, ბერძ.: 1) ბერძნული i-ს სახელწოდება; 2) შუაენის მიერი სპირანტი (იხ.) — წარმოადგენს დავიწროებულ ი-ს და აღინიშნება ევროპული ტრანსკრიფციით (იხ) j-ს სახით (ქართულში — დაახლოებით: ჲ; აქედან: იოტაცია — ასეთი ბგერის წარმოქმნა ხმოვნის წინ; იოტირება — იგივე მოქმედება. 3) გადატან. მნიშვნ.: უმცირესი რამ სიდიდე.

იპეკაკუანჰა, ბრაზ., პირიდან სასაქმებელი საშუალება, — მოიპოვება ამერიკულ ზოგიერთ მცენარეთაგან.

იპო-, იხ. ჰიპო-.

ირადე, არაბ.-თურქ. („სურვილი"), სულტანის წერილობითი ბრძანება დიდი ვეზირისადმი, რომელიც აქვეყნებს მას თავისი სახელით.

ირადიაცია, ლათ.-ფრ. (irradiation): 1) საერთოდ — გამოსხივება; 2) ფიზიკაში: მხედველობითი მცთარობა — ნათელი საგნები ბნელ ფონზე (ველზე) გვეჩვენება უფრო დიდად იმავე სიდიდის ბნელ საგნებთან, რომელნიც ნათელ ფონზე იმყოფებიან; 3) მედიცინაში: ტკივილის შეგრძნების გავრცელება ნერვების გზით ამ ტკივილის წარმოქმნის ადგილიდან დაშორებით.

ირანული ენები — ასე ეწოდება ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის ერთ ჯგუფს. სახელდობრ: ძ ვ ე ლ ი ს პ ა რ ს უ ლ ი (შენახულია ლურსმულ წარწერებში დარიოსისა, კამბიზისა და სხვ.), ა ვ ე ს ტ ი ს ე ნ ა (იხ. ავესტა), საშუალო ირანული ანუ ფ ა ლ ა უ რ ი (არსაკიდებისა და სასანიდების დროინდელი); ა ხ ა ლ ი ს პ ა რ-

ს უ ლ ი, ქ უ რ თ უ ლ ი, ა ვ ღ ა ნ უ რ ი, ბ ა ლ უ ჯ ი (იხ.) და ო ს უ რ ი.

**ირაციონალ-ი** ან **ირაციონალური** (ლათ. irrationalis „არაგონიერი“): 1) გონიერების საწინააღმდეგო, გონებისათვის მიუწდომელი; გამოუხატველი; 2) უთანაზომიერო; **ირაციონალი სიდიდე**—სიდიდე, რომელიც არ გამოიხატება ზუსტად არც მთელით და არც წილადით; **ირაციონალი ბგერა** — უსახური ბგერა. — **ირაციონალიზმ-ი** — ფილოსოფიაში: შეხედულება, რომლის თანახმადაც სამყაროს საფუძვლად უდევს არაგონიერი დასაბამი; საერთოდ: შემეცნება გონიერების გარეშე — რწმენის გზით.

**ირეგულარ-ი** ან **იერგულარული**, ახ. ლათ. (ფრ. irrégulier), უწესრიგო, უმწყობრო; არაწესიერი; მაგ. **ირეგულარი ჯარი** — სამხედრო ხელოვნებაში გაუწვრთნელი ჯარი.

**ირედენტა** (იტ., სრული სახელწოდება: „Jtalia irredenta „განუთავისუფლებელი იტალია“), 1878 წელს შექმნილი პოლიტიკური პარტია იტალიაში, — **ირედენტისტები** — მისი მიმდევარნი, მოითხოვენ იტალიურად მოლაპარაკე ოლქების განთავისუფლებას უცხოელთა ბატონობისაგან და იტალიასთან მათ გაერთიანებას (განსაკუთრებით — ტრიესტისა და სამხრ. ტიროლისას); მომხრენი არიან რესპუბლიკისა; **ირედენტიზმ-ი** — საერთოდ: ამგვარი მოძრაობა.

**ირიგაცია** (ლათ. irrigatio): 1) მიწის ხელოვნურად მორწყვა; 2) ჭრილობის მობანა; **ირიგატორ-ი** — : 1) ხელოვნურად მოსარწყავი იარაღი; 2) რეზინის მილიანი ჰურჰელი — ჭრილობის მოსაბანად და ნაწლავებში სითხის შესაშვებად (იხ. კლისტირი).

**ირიდა** ანუ უკეთ **ირიდ-ი** (ბერძ. iris, iridos „ცისარტყელა“); 1) ძვ. ბერძენ. მითოლოგიით: ცისარტყელის განმასახიერებელი ქალ-ღმერთი, ღმერთების ფრთოსანი შიკრიკი; 2) ერთგვარი პეპელა. — **ირიდიუმ-ი** — ერთგვარი მოთეთრო მინერალი, ძნელსადნობი და ცისარტყელისებური ციმციმით; — **ირიზაცია** — ზოგიერთ ზღვის წყალმცენარეთა თავისებური ბრწყინვის მოვლენა.

**ირის-ი**, ბერძ. (იხ. ირიდა): 1) ანატომიაში: თვალის ფერადი გარსი; 2) ერთგვარი მსხვილცისფერ-ყვავილებიანი მცენარე; 3) ერთგვარი ტკბილეული — **ირიტ-ი** ან **ირიტის-ი** — თვალის ფერადი გარსის ანთება.

**ირიტაცია** (ლათ. irritatio), გადაჭარბებული აგზნებულობა.

**ირონია**, ბერძ.-ლათ., გონება-მახვილურიგესლიანი დაცინვა, როდესაც დამცინველი გარეგნულ სიდინჯეს იცავს; დადებითი ფორმით უარყოფის გამოთქმა, მაგ. დაცინვითი ქება; **ირონიზირება** — ამგვარი დაცინვა; **ირონიული** — დაცინვითი და სხვ.

**ირრადიაცია, ირრაციონალი, ირრეგულარი, ირრედენტა, ირრიგაცია, ირრიტაცია** — იხ. ირადიაცია, ირაციონალ-ი, ირეგულარი, ირედენტა, ირიგაცია, ირიტაცია.

**ისთმი-ს** ანუ **ისთმოს-ის თამაშობანი** (ბერძ. ta Isthmia), ასე ეწოდება ძველ ბერძენთა ხანგამოშვებითს სამხედრო და სატანთვარჯიშო ზეიმს კორინთის ყელზე.

**„ისკრა“**, რუს. („ნაპერწკალი“), რუსული სოც.-დემოკრატიული გაზეთის სახელწოდება, — გამოდიოდა შვეიცარიაში 1900 წლიდან პლეხანოვისა, ლენინისა და სხვ. რედაქტორობით; 1903 წლიდან (განხეთქილების შემდეგ) გადავიდა მენშევიკთა ხელში; იარსება 1905 წლამდე.

**ისლამ-ი**, არაბ. („თავდადება, გულმოდგინება (ღვთისადმი)“), მაჰმადის (571 — 632) სარწმუნოებრივი მოძღვრება, იგივეა რაც მაჰმადიანობა; ეწოდება აგრეთვე **ისლამიზმ-ი**.

**ისტერია** ან **ჰისტერია** (ბერძ. hystera-საგან „საშვილოსნო“), ნერვული ავადმყოფობა, რომელიც გამოიხატება სულიერი განწყობილების სწრაფ ცვალებადობაში, უმიზეზო სიცილსა და ტირილში, კრუნჩხვაში და სხვ.; უფრო ხშირად ემართება ქალებს (სახელწოდება დაკავშირებულია ძველ შეხედულებასთან, თითქოს ისტერია ემართებოდეს მხოლოდ ქალებს მათი საშქესო აპარატის მოშლის გამო); აქედან: **ისტერიიანი** — ვისაც ისტერია აქვს; **ისტერიული** — ისტერიის ხასიათის მქონე; **ისტერიკა** (რუს. დაბოლოებით) — ამგვარი ნერვიული შეტევა.

**ისტმ-**, იხ. ისთმ-.

**ისტორია** (ბერძ. historia): 1) მეცნიერება, რომელიც იკვლევს ხალხთა და სახელმწიფოთა წარსულ ცხოვრებას; 2) წარსული ცხოვრების მოვლენათა ერთობლიობა; 3) რომლისამე მოვლენის, მოძრაობის, მეცნიერების და სხვ. თანდათანობითი განვითარების გადმოცემა, მაგ. **ისტორია ავადმყოფობისა, ისტორია სოციალიზმისა, ისტორია ენათმეცნიერებისა** და სხვ.; **ისტორიკოს-ი** — ისტორიის მცოდნე და მკვლევარი; **ისტორიოგრაფია** — მეცნიერება, რომელიც იკვლევს საისტორიო ლიტერატურას, ისტორიის ამოცანებს და მეთოდებს; **ისტორიული** — ისტორიის ხასიათის მქონე; გადატ. მნიშვნ.: წარსული რამ; **საისტორიო** — ისტორიისათვის შესაფერი, გამოსადეგი, მისთვის განკუთვნილი.

**ისტორიული მატერიალიზმ-ი** — მარქსისა და ენგელსის (იხ.) სოციოლოგიური მოძღვრება, რომლის თანახმად ისტორიულ პროცესს საფუძვლად უდევს საწარმოო ძალების განვითარება; წარმოების ფორმები ჰყოფენ კაცობრიობას კლასებად, რომელთა ურთიერთ შორის ბრძოლა („კლასთა ბრძოლა") წარმოადგენს ისტორიის მთავარ შინარსს; იდეური ბრძოლა კი არის ამ ბრძოლის ანარეკლი.

**ისტპარტ-ი**, იხ. პარტისტი.

**იტალიანური ან იტალიური ენა** — იტალიის სალიტერატურო ენა, რომელიც განვითარდა იტალიის ხალხური ლათინურისაგან, სახელდობრ, ფლორენციული დიალექტისაგან; **იტალიანიზმ-ი** — იტალიური ენის თავისებურობა არაიტალიურ ენაში.

**იტალიკური ენები** — ასე ეწოდება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ ჯგუფს, რომელზედაც ლაპარაკობდენ ძველად შუა და სამხრეთ იტალიაში, სახელდობრ: ლათინური და უმბრულ-ოსკური.

**იტერაცია**, (ლათ. iteratio), განმეორება; **იტერატივ-ი ან იტერატიული ზმნები** — გრამატიკაში: ისეთი ზმნები, რომელნიც აღნიშნავენ განმეორებულ, მრავალჯერად მოქმედებას.

**იტინერარი ან იტინერარიუმ-ი**, ლათ. (iter, itineris-საგან „გზა"), გზის მაჩვენებელი აღწერილობა ან წარწერა.

**იუბილე**, ლათ.-ევროპ. (ლათ. jubilare-საგან „განცხრომა, ზეიმით დროს გატარება", ფრ. jubilé): 1) დღესასწაული რომლისამე პირის მოღვაწეობის ან ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად, ჩვეულებრივ — 25, 50, ან 100 წლის თავზე; 2) კათოლიკებში: ცოდვათა მიტევება რომში მიმსვლელ მლოცველთა, ძველად — ყოველი ასი წლის, შემდეგ — 50 წ. და 25 წლის გასვლისას; 3) ძველ ებრაელებში: ყოველი 50 წლის თავი, როდესაც ათავისუფლებდენ მონებს, აპატიებდენ ვალებს და სხვ.; აქედან: **იუბილარ-ი** — ვისაც იუბილეს უხდიან.

**იუდა ისკარიოტელი**, საკ. სახ., სახარებით: იესო ქრისტეს ერთი თორმეტ მოწაფეთაგანი, რომელმაც გასცა მასწავლებელი; იქცა საზოგადო სახელად გამცემის მნიშვნელობით.

**იუდეა**, საკ. სახ., ებრაელთა ძველი სამშობლო, სამხრეთ პალესტინაში; აქედან: **იუდეველი** — იუდეის მცხოვრები, იგივე ებრაელი; **იუდაიზმ-ი** — ებრაელთა სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა, აგრეთვე ებრაელთა ეროვნული მოძრაობა; **იუდოფილ-ი** — ებრაელთა მოყვარული, მათი მფარველი; **იუდოფობ-ი** — ებრაელთა მოძულე, მათდამი მტრულად განწყობილი (იხ. ანტისემიტიზმი).

**იუბკა**, იხ. იუპკა.

**იუველირ-ი** (გერმ. Juwelier), ძვირფასი ქვებისა ან ლითონებისაგან ნივთების გამკეთებელი ხელოსანი ან ასეთი ნივთების ვაჭარი; **საიუველირო ხელობა** — ძვირფასი ქვების დამუშავებისა და მათი სათანადო ბუდით შემოსვის ხელობა, აგრეთვე — ოქრო-ვერცხლის წვრილმანი ნივთების დამზადებისა.

**იულიანური ანუ იულიუს-ის კალენდარი** (იხ. კალენდარი).

**იუმორ-ი, იუმორისტ-ი**, იხ. ჰუმორი.

**იუნგა ან იუნგ-ი**, გერმ., ხომალდზე მოსამსახურე ბიჭი, რომელიც ემზადება მატროსად.

**იუნიორატ-ი** (ლათ. jiunior-ისაგან „უმცროსი"), სამემკვიდრეო წესი, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობა ერგება უმცროსს გვარში; გვარში უმცროსის მემკვიდრეობითი ხვედრი.

**იუნკერ-ი**, გერმ.: 1) მემამულე-აზნაური გერმანიაში, მიწათმფლობელთა პარტიის წევრი; 2) ახალგაზრდა გერმანელი აზნაური; 3)

სამხედრო სკოლის მოწაფე რევოლუციამდე რუსეთში.

**იუნონა** ან **იუნონ-ი** (ლათ. Juno,-ōnis), ძვ. რომაული მითოლოგიით: იუპიტერის მეუღლე ქალღმერთი — შობიარობისა და ქორწინების მფარველი (უდრის ძვ. ბერძენთა ჰერას, იხ.).

**იუპიტერ-ი**, ლათ., საკ. სახ.; 1) ძვ. რომაელთა მითოლოგიით: უზენაესი ღვთაება, ღმერთების მამა, გამარჯვებისა და უფლებათა მფარველი (უდრის ძვ. ბერძენთა ძევსს, იხ. ზევსი); 2) ასტრონომიაში: მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტი (იხ.).

**იუპკა**, არაბ.-ევროპ. (ფრ. jupe; რუსული დაბოლოებით), ქალის ქვედატანის სამოსი.

**იურიდიული** (ლათ. juridicus „მსაჯული"; jus, juris-საგან „უფლება, სამართალი"), უფლებრივი; ის, რაც შეეხება სამართალს ან სამართლის მცოდნეობას; კანონზე დამყარებული; **იურიდიული პირი** — დაწესებულება ან საზოგადოება, რომელსაც აქვს მოქალაქეობრივი უფლება-უნარიანობა.

**იურისდიქცია**, ლათ. (jurisdictio): 1) მართლმსაჯულების უფლება; თვით გარემო, რომელზედაც ვრცელდება ეს უფლება; 2) სამართლის ქვემდებარობა.

**იურისკონსულტ-ი** (ლათ. jurisconsultus), ამა თუ იმ დაწესებულების თანამშრომელი იურისტი (იხ.), რომელსაც მიმართავენ იურიდიული რჩევისათვის და რომელიც იცავს ამ დაწესებულების ინტერესებს.

**იურისპრუდენცია** (ლათ. jurisprudentia), სამართალთ-მეცნიერება — შეიცავს: სახელმწიფო, სამოქალაქო, სისხლის, საფინანსო და საერთაშორისო სამართალს; სამართლის ფილოსოფიასა და ისტორიას და სამართლის წარმოებას.

**იურისტ-ი**, საშ. საუკ. ლათ.: 1) კანონების მცოდნე პირი; 2) იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

**იურტა** ან **იურტ-ი**, (მონღ.?): 1) მომთაბარე ტომთა ადგილ-სამყოფელი; 2) მიწის ნაკერი კაზაკთა სოფელში; 3) ციმბირის ტომების მოძრავი კარავი. — დაფარული ნადირთა ტყავით ან ჩულით.

**იუსტინიან-ის კოდექსი** — ასე ეწოდება კანონთა კრებულს („Corpus juris"), რომელიც შედგენილ იქნა რომის იმპერატორის, იუსტინიან (Justinianus) პირველის (483 — 565), დავალებით იურისტების მიერ, — გამოქვეყნდა 534 წ., დიდი გავლენა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოთა კანონების დამუშავებაზე.

**იუსტირება**, ლათ.-გერმ. (justieren, ლათ. justus-ისაგან „წესიერი, სწორი..."), განსაზღვრულ სიმსხოზე დაყენება ლითონის ზოლისა, რომლისაგანაც ფული იჭრება.

**იუსტიცია** (ლათ. justitia), მართლმსაჯულება.

**იუფტ-ი** ან **იუხტ-ი**, პოლ.-რუს, (юфть ან юхта, პოლ. jucht-საგან), ერთგვარი რუსული ტყავი, — მზადდება ხარის ან ძროხის ქურქისაგან.

**იუფუიზმ-ი**, იხ. ევფუიზმი.

**იქს-ი**, ლათ. x-ის სახელწოდება, — იხმარება მათემატიკაში უცნობი ან საძიებელი სიდიდის აღსანიშნავად.

**იშიას-ი** (ბერძ. ischion-ისაგან „თეძო, თეძოს ძვალი"), მედიცინაში: საჯდომი ნერვის ნევრალგია (იხ.).

**იშტარ-ი**, იგივეა რაც ასტარტა (იხ.).

**იხთიოგრაფია**, ბერძ. (ichthys „თევზი"), თევზთა აღწერა (ზოოლოგიის დარგი); **იხთიოდონტები** (მრავლ.) — თევზის გაქვავებული კბილები; **იხთიოზის-ი** ან **იხთიოზ-ი** — კანის ერთგვარი ავადმყოფობა: კანზე წარმოიქმნება თევზის ან გველის ქერცლის მსგავსი ფენი; **იხთიოზავრ-ი** — უძველესი დროის ზღვის თევზხვლიკი; **იხთიოლ-ი** — მოშავო ფერის უსიამოვნო სუნის სითხე, — მოიპოება გამოხდის საშუალებით იმ მინერალთაგან, რომელნიც შეიცავენ გადაშენებულ თევზთა ნაშთებს, — იხმარება მედიცინაში კანის ავადმყოფობათა წინააღმდეგ და ანთების შესასუსტებლად; **იხთიოლით-ი** — გაქვავებული თევზი; აგრეთვე — თევზთ-ანაბეჭდიანი მინერალი; **იხთიოლოგია** — მოძღვრება თევზთა შესახებ (ზოოლოგიის დარგი); **იხთიოფაგ-ი** — ის, ვინც უმთავრესად თევზით იკვებება; **იხთიოცენტავრ-ი** ან **იხთიოკენტავრ-ი** — ბერძ. მითოლოგიით: ზღვის ურჩხული, რომელსაც კუდი თევზისა ჰქონდა და ტანი ცხენისა.

# კ

[1] კაბალა, არაბ.-ევროპ. (საშ. საუკ. ლათ. caballa „ბეგარა“): 1) თავდაპირველად: ყიდვა-გაყიდვა: სესხების ბარათი; 2) შემდეგ: მონობა, ყმობა.

[2] კაბალა (კაბბალა), ებრ.-ევროპ. (ებრ. kabbâlah „საიდუმლო მოძღვრება, გადმოცემა“), ებრაელთა მისტიკურ-რელიგიური მოძღვრება, — წარმოიშვა II საუკ. ქ. წ., გაძლიერდა საშ. საუკუნეებში; აქედან: კაბალისტიკა — მისნობა, საიდუმლოებრივი მოქმედება; კაბალისტ-ი — მისანი, გრძნეული, მისნობის მასწავლებელი.

კაბალერო (ისპ. kaballero), ისპანიაში: აზნაური, კავალერი.

კაბალისტიკა, იხ [2] კაბალა.

კაბარე, არაბ.-ფრ. (kabaret): 1) წინეთ: სასმელ-საჭმელის დუქანი; 2) ახლა: მცირე თეატრი, სადაც დგამენ სამხიარულო წარმოდგენებს სიმღერითა და მუსიკით.

კაბელ-ი (ინგლ. cable); 1) რკინის ან ფოლადის მავთულებისაგან დაწნული ბაგირი — მაღაროებიდან მადნის ამოსაღებად, ხომალდების საბუქსიროდ და სხვ.; 2) ელექტრონის იზოლირებული (იხ.) გამტარი სამიწისქვეშო ან საწყალქვეშო ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზებისათვის და ელექტროდენის გასატარებლად მიწის ქვეშ; კაბელტოვ-ი — : 1) ხომალდზე სიმძიმეთა ასაწევი მსხვილი ბაგირი; 2) 180 მეტრიანი მანძილი ზღვაზე.

კაბესტან-ი, ფრ., შვეული ოწინარი, რომელზედაც ეხვევა ღუზის ბაგირი.

კაბეტისტები (მრავლ.), კ ა ბ ე - ს უტოპიური კომუნიზმის მიმდევარნი (იხ. იკარია).

კაბინა ან უკეთ კაბინ-ი (ინგლ. cabin): 1) ტანთგასახდელი ჯიხური (დროებითი პატარა ოთახი, კარავი) ზღვის ნაპირზე მობანავეთათვის; 2) კაიუტა (იხ.) გემზე ან აეროპლანზე.

კაბინეტ-ი (ინგლ. cabinet): 1) სამეცადინო ოთახი; 2) სამეცნიერო დაწესებულებაში: ამა თუ იმ დარგში მუშაობისათვის განკუთვნილი ნაწილი. მაგ. მუზეუმში — ზოოლოგიური კაბინეტი, მინერალოგიური და სხვ.; 3) მთავრობა, მინისტრთა ერთობლიობა. — აქედან: კაბინეტური ან კაბინეტის, მაგ. რაიმე გეგმა — განყენებული, ცხოვრებას დაშორებული (იტყვიან აგრეთვე ამავე მნიშვნელობით: კაბინეტის კაცი, კაბინეტის მეცნიერი).

კაბოტაჟ-ი (ფრ. cabotage, ისპ. cabo „თავი, მწვერვალი, ცხვირი (ხმელეთისა),“ ნაპირის სიახლოვეს ნაოსნობა ზღვაში.

კაბოშონ-ი (ფრ. cabochon), გახეხილი ძვირფასი ქვა, რომელსაც დაცული აქვს ბუნებრივი ფორმა.

კაბრიოლეტ-ი, ლათ.-ფრ. (ლათ. caper-ისაგან „თხა“, ფრ. cabriole „ნახტომი.“), ორთვლიანი მსუბუქი ეტლი, ერთცხენიანი.

კადანს-ი, ლათ.-ფრ. cadence, ლათ. cadere-საგან „ვარდნა“), მუსიკაში: 1) დასკვნითი ფრაზა მუსიკალურ ნაწარმოებში; 2) სასვენი ნიშანი ნოტებში.

კადასტრ-ი, ლათ.-ევროპ. (cadastre), უძრავი ქონების აღწერა და შეფასება გადასახადის გაწერის მიზნით.

კადენცა, იტ., იგივეა რაც კადანსი (იხ.).

კადეტთა კორპუს-ი, იხ. კადეტი 2.

[1] კადეტ-ი (ფრ. cadet „უმცროსი; გამოუცდელი“): 1) საფრანგეთში: ახალგაზრდა აზნაური, რომელიც ემზადება სამხედრო წოდებისათვის; პრუსიაში წინეთ: სამხედრო სასწავლებლის მოწაფე; 2) რევოლუციამდე რუსეთში: კ ა დ ე ტ თ ა  კ ო რ პ უ ს ი - ს (ე. ი. საშუალო სამხედრო სასწავლებლის) მოწაფე.

[2] კადეტ-ი, ხელოვნურად შემოკლებული სახელწოდება რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის (იხ.) წევრისა (ეწოდება აგრეთვე კა-დე — შავად აღნიშნული ასოების რუსული გამოთქმით).

კადმიუმ-ი, ბერძ.-ლათ., მოლურჯო თეთრი ფერის ლითონი; — იხმარება, სხვათა შორის, კბილის წამლობის ტექნიკაში.

კადრ-ი, ლათ.-ფრ. (cadre, ლათ. quadrum-ისაგან „ოთხკუთხი; წესიერება, მწყობრობა“): 1) სამხედრო: ჯარის ცალკე ნაწილების მუდმივი (ე. ი. მშვიდობიანობის დროს) შემადგენ-

ლობა; 2) საერთოდ: რაიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის ძირითადი შემადგენლობა.

**კადრილ-ი**, ლათ.-ფრ. (quadrille), ერთგვარი ექვსფიგურიანი ფრანგული ცეკვა, — მოითხოვს მოცეკვავეთა ორ წყვილზე არა ნაკლებს).

**კადუცეი** ან **კადუცეუს-ი**, ლათ. ძველ რომში: ორ-გველშემოხვეული ფრთებიანი კვერთხი ჰეროლდებისა (იხ.). — წარმოადგენდა აგრეთვე ვაჭრობის სიმბოლოს.

**კავალერ-ი**, ლათ.-ფრ. (cavalier „ცხენოსანი“ ლათ. cavallus-ისაგან „ცხენი“): 1) წინეთ: მხედარი, რაინდი, აზნაური; 2) ორდენის (იხ.) მქონე პირი; 3) ვაჟი ქალის მიმართ (უპირისპირდება დამას, იხ. დამა 1); გადატ. მნიშვ. — მოარშიყე ვაჟი; 4) **კავალერები** (მრავლ.) — ინგლისში XVII საუკ. რევოლუციაში: მეფის მომხრენი, — ებრძოდენ პარლამენტის მომხრეებს. — **კავალერგარდები** (მრავლ.) — ცხენოსანთა გვარდიის ლეგიონი რევოლუციამდე რუსეთში; **კავალერია** — ცხენოსანი ლაშქარი; **კავალერისტ-ი** — ცხენოსანი ჯარის-კაცი, მხედარი.

**კავალეტო** (იტ. cavalletto „პატარა ცხენი“), სიმებიანი სამუსიკო ინსტრუმენტის ნაწილი: ჯორა.

**კავალკად-ი** (ფრ. cavalcade), ცხენოსან მოგზაურთა (ან მოსეირნეთა) გუნდი.

**კავარდაკ-ი**, თურქ.: 1) ერთგვარი შემწვარი საჭმელი; 2) არეულობა, უწესოება.

**კავატინა**, იტ., მოკლე სასიმღერო ლირიკული პიესა.

**კავერზა** (სლავ.?), მზაკვრობა, ცბიერობა, ოინი.

**კავერნა**, ლათ., ღრუ (სიცარიელე) ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებში, მაგ. ფილტვებში ტუბერკულოზის დროს; **კავერნოზული** — ღრუებიანი, დაჩვრეტილი, ნესტოვანი.

**კაზაკ-ი**, თურქ. („თავისუფალი კაცი“), **კაზაკები** — ასე ეწოდება შიდა რუსეთიდან და პოლონეთიდან ლტოლვილთა (ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზების გამო) შთამომავლობას: ლტოლვილნი სახლდებოდენ (XV საუკ-დან) რუსეთის განაპირა ადგილებში (დნეპრისა, დონისა, ურალისა და სხვ. მიდამოებში), შექმნეს თავისუფალი თემები; დამოუკიდებლობა თანდათან დაკარგეს (17-18 სს.) და გადაიქცენ რუსეთის მეფის ერთგულ სამხედრო მოსახლეობად. — **„კაზაჩოკ“** (რუსული დაბოლოებით) — კაზაკური სწრაფი ცეკვა.

**კაზარმა** (ევროპ.?), სამხედრო ნაწილების საცხოვრებელი შენობა; აგრეთვე — მუშების საერთო საცხოვრებელი ფაბრიკა-ქარხნებთან.

**კაზეინ-ი**, (ლათ. caseus-ისაგან „ყველი“), რძის ცილოვანი ნივთიერება.

**კაზემატ-ი** (იტ. casamatta „დახურული ბინა“, ფრ. casemate): 1) დამნაშავეთა მოსათავსებელი ქვის შენობა ციხეში; საპყრობილე, ცალკე დასამწყვდევი ოთახი; 2) ყველაზე უზრუნველყოფილი (მტრის მოქმედებისაგან), დაფარული ადგილი სიმაგრეში; აგრეთვე — სამხედრო გემების ბანზე მოჯავშნული დანაშენები.

**კაზიმირ-ი**, ფრ., მატყლის ერთგვარი თხელი ქსოვილი.

**კაზინო**, იტ. („პატარა სახლი“), კლუბი; ქალაქის სათამაშო სახლი; რესტორანი, სადაც მსუბუქ წარმოდგენებს სდგამენ.

**კაზუალ-**, **კაზუისტ-**, იხ. კაზუსი.

**კაზუარ-ი**, მალ., სირაქლემის ოჯახის მარბენალი ფრინველი.

**კაზუს-ი**, ლათ., შემთხვევა; აქედან: **კაზუალ-ი** ან **კაზუალური** (ფრ. casuel) — შემთხვევითი; **კაზუალიზმ-ი** — მოძღვრება, რომლის თანახმადაც ცხოვრების მთავარი ფაქტორი შემთხვევაა; **კაზუისტიკა** — : 1) კანონმდებლობისა, მეცნიერებისა, რელიგიისა და სხვ. ზოგადი პრინციპების გამოყენება კერძო შემთხვევებში; 2) გადატან. მნიშვ.: კერძო შემთხვევების მიხვეულ-მოხვეული და ხრიკიანი განმარტებით უკანონო (თავისთვის ხელსაყრელი) დასკვნების გამოყვანა. — **კაზუისტ-ი** — კაზუისტიკაში დახელოვნებული.

**კათალიკოს-ი** ან **კათოლიკოს-ი**, („საყოველთაო“), საქართველოსა და სომხეთში: უზენაესი მღვდელმთავრის ტიტული.

**კათარები** (მრავლ., ბერძ. კათაროს „წმინდა, უმწიკვლო“), ქრისტიანული სექტა საშ. საუკუნეებში, — ქადაგობდა ზნეობრივ სიწმინდეს, უარჰყოფდა საეკლესიო წესებსა და კერძო საკუთრებას; იდევნებოდა.

**კათარზის-ი** (ბერძ. კათაროს-ისაგან „წმინდა, სუფთა“), მედიცინაში: ტანში გაწმენდა; აქედან: კათარტიკა (მრავლ.) — გამწმენდი საშუალებანი.

**კათედრა**, ბერძ: 1) ეპისკოპოსის ტახტი საკურთხეველში; 2) ამაღლებული ადგილი დარბაზში პროფესორისათვის ან ორატორისათვის; 3) უმაღლეს სასწავლებელში: ესა თუ ის მეცნიერება, როგორც სასწავლო საგანი. — **საკათედრო ტაძარი** — მთავარი ტაძარი, სადაც უმთავრესად სწირავს ეპისკოპოსი.

**კათედერ-სოციალიზმ-ი** (იხ. კათედრა 2, 3 და სოციალიზმი), ე. ი. კათედრის ანუ კათედრული სოციალიზმი — ასე ეწოდება გერმანიაში უმთავრესად უნივერსიტეტის მეცნიერთა მოძღვრებას, რომელიც იზიარებს მარქსის თეორიის ეკონომიურ მხარეს, მაგრამ უარჰყოფს მის სოციალურ-პოლიტიკურსა და ფილოსოფიურ მხარეებს; **კათედერ-სოციალისტები** — ასეთი სოციალიზმის მქადაგებელნი და მიმდევარნი.

**კათეტერ-ი**, ბერძ., ლითონის ან კაუჩუკის წვრილი მილი საშარდე მილის გასაგანიერებლად ან მოსაწევავად.

**კათეტ-ი** (ბერძ. káthetot „ჩამოშვებული“), გეომეტრიაში: მართკუთხა (სწორკუთხა) სამკუთხედის ერთ-ერთი, მართი (სწორი) კუთხის წარმომქნელი, გვერდი. — **კათეტომეტრ-ი** — ორ წერტილს შუა ვერტიკალური მანძილის ზუსტად გასაზომი იარაღი.

**კათოდ-ი** (ბერძ. káthodos „დაღმართი“), გალვანური ელემენტის უარყოფითი პოლუსი.

**კათოლიკე**, ბერძ., კათოლიციზმის მიმდევარი, კათოლიკური ეკლესიის წევრი.

**კათოლიკური ანუ რომაულ-კათოლიკური ეკლესია** — ქრისტიანული ეკლესია, — უპირისპირდება თავისი დოგმატებითა და წესებით XI საუკუნიდან ბერძნულ-აღმოსავლურს, ანუ ე. წ. მართლმადიდებლურს, ხოლო XVI საუკუნიდან პროტესტანტულ (იხ.) ეკლესიას; კათოლიკური ეკლესია თავის უზენაეს უფროსს, რომის პაპს, სთვლის ქრისტეს მოადგილედ ამ ქვეყნად და უცოდველად.

**კათოლიციზმ-ი**, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრება.

**კაიზერ-ი**, გერმ., იმპერატორი (იხ.).

**კაიკ-ი**, თურქ., ერთგვარი გრძელი ნავი.

**კაიმან-ი**, ერთგვარი ნიანგი; იგივეა რაც ალიგატორი.

**კაიმ-ი**, თურქ., ოსმალური ქაღალდის ფული.

**კაინ-ი**, საკ. სახ., ბიბლიით: ადამის უფროსი ვაჟი, რომელმაც მოკლა თავისი უმცროსი ძმა აბელი. — **კაინიტები** (მრავლ.) — II საუკ. გნოსტიკური სექტის მიმდევარნი (იხ. გნოსტიციზმი), რომელიც კაინს, როგორც იეგოვას (იხ.) მოწინააღმდეგეს, სთვლიდენ უზენაესი სულიერი დასაბამის მატარებლად, ასეთადვე სთვლიდენ იუდა ისკარიოტელს (იხ.); თავისი თავი მიაჩნდათ კაინის სულიერ მემკვიდრედ.

**კაინიტ-ი**: 1) კაინიტთა სექტის წევრი ან მიმდევარი (იხ. კაინი); 2) **კ ა ი ნ ი ტ-ი** (ბერძ. კაინოს-ისაგან „უცხო, ახალი“) — ერთგვარი მინერალი, — დაფხვნილი სახით იხმარება ნიადაგის გასანოყიერებლად.

**კაინოზოური ერა**, ბერძ.-ლათ., გეოლოგიაში: დედამიწის განვითარების უახლოესი ხანა, — შეიცავს მესამეულს, ყინულოვანს და თანამედროვე პერიოდებს.

**კაიუკ-ი**, თურქ., იგივეა, რაც კაიკი.

**კაიუტა** (შვედ. kajuta), ოთახი ხომალდზე.

**კაკადუ**, მალ., თუთიყუშთა ჯიშის ქოჩრიანი ფრინველი.

**კაკაო**, მექსიკ., ამერიკული მცენარე, რომლის ლობიოსებრი მარცვალი ფხვნილის სახით იხმარება შოკოლადისა და სასმელი კაკაოს დასამზადებლად.

**კაკარდა**, იხ. კოკარდა.

**კაკოგრაფია** (ბერძ. კაკოს „ცუდი“, გრაფეინ „წერა“), შეცთომებით წერა; როგორც მეთოდი: მასწავლებლის მიერ განზრახ შეცთომებით რისამე დაწერა — მოწაფის მხრივ მეტი ყურადღების გამოწვევის მიზნით.

**კაკოდილ-ი**, ბერძ. ხელოვნ., ქიმიაში: გამჭვირვალე შხამიანი სითხე, წარმოადგენს დარიშხანის შენაერთს წყალბადსა და ნახშირბადთან, ჰაერზე ითება, აქვს საძაგელი სუნი.

**კაკოფონია** (ბერძ. კაკოს „ცუდი“, ფონე „ბგერა“), ბგერათა არაჰარმონიული, უსიამენო შეხამება; უკეთილხმოვნობა; ავხმოვნობა.

**კაკტუს-ი**, იხ. კაქტუსი.

**კალამანდრ-ი**, კუნძულ ცეილონის ხე, — ფრიად მაგარი და ლამაზი სახარატო მასალა.

**კალამბურ-ი**, ფრ., სიტყვებით თამაშზე დამყარებული ოხუნჯობა; ქართულად: ზმა; აქედან: **კალამბურისტ-ი** — ზმათა შედგენაში დახელოვნებული.

**კალამიტები** (მრავლ., ბერძ. კალამოს-ისაგან „ლერწამი"), გაქვავებული ლერწმები.

**კალანდრ-ი** (ფრ. calandre „სარეცხის საგორველი"), საუთოებელი ან ქაღალდისათვის, ქსოვილისათვის და სხვ. მბზინვარების მიმნიჭებელი მანქანა.

**კალდერონ-ი** (1600 — 1681), ესპანიის შესანიშნავი დრამატურგი.

**კალე**, არაბ.-თურქ., ციხე, სიმაგრე (ხშირად ემატება ქალაქის სახელს, მაგ. სოხუმ-კალე).

**კალედონია**, შოტლანდიის ძველი სახელწოდება.

**კალევალა**, ფინ. („კალევას ქვეყანა", ე. ი. ფინლანდია), ფინური შესანიშნავი პოემა, ხალხურ თქმულებათა მიხედვით შედგენილი და პირველად 1834 წ. გამოცემული, — ფრიად საყურადღებოა ეთნოგრაფიულად და მხატვრულად.

**კალეიდოსკოპ-ი** (ბერძ. კალოს „კარგი", ეიდოს „სახე, შესახედი", სკოპეინ „ხედვა"): 1) ოპტიკური (იხ.) მოწყობილობა სარკეებითა და ფერადი კენჭებით, — შიგ ჩახედვისას ჩანს ფერების ლამაზი შეხამება, რომელიც იცვლება თვითეული შეტრიალებით; 2) გადატ. მნიშვნ.: ამბებისა ან პიროვნებათა სწრაფი ცვლა; აგრეთვე შთაბეჭდილებათა გამუდმებული ცვლა, — სიჭრელე; **კალეიდოფონ-ი**, (ბერძ. ფონე „ბგერა") — ბგერათა რხევის თვალსაჩინოდ წარმომდგენი მოწყობილობა.

**კალენდარ-ი**, ლათ.-ევროპ. (გერმ. kalender, ლათ. calendae-საგან): 1) დროის აღრიცხვის სისტემა, დამყარებული ასტრონომიულ მოვლენებზე; 2) მთელი წლის თვეებისა და დღეების მაჩვენებელი — უქმე დღეებისა, ღირსშესანიშნავ შემთხვევათა და სხვა ცნობათა აღნიშვნით; 3) **იულიანური** ანუ **იულიუსის კალენდარი** — შედგენილია იულიოს კეისრის დროს („ძველი სტილი"); 4) **გრიგორიანული კალენდარი** (იხ.) — წინ უსწრებს იულიუსისას 13 დღით.

**კალენდები** (მრავლ., ლათ. calendae), ძვ. რომში: თვითეული თვის პირველი დღე.

**კალენკორ-ი** (ფრ. calencar), ერთფეროვანი ბამბის ქსოვილი.

**კალვილ-ი**, ლათ.-ფრ. (ლათ. calvus-ისაგან „მელოტი", ფრ. calville), ერთგვარი ჯიშის ვაშლი.

**კალვინიზმ-ი**, ჟენეველი (შვეიცარიაში) რელიგიური რეფორმატორის, კ ა ლ ვ ი ნ-ი ს (Calvin, 1509 — 1564), მოძღვრება, რომელიც გავრცელდა საფრანგეთში, ინგლისში, ჰოლანდიაში და სხვ. ამერიკაში: მოითხოვს სასტიკად თავშეკავებულ ცხოვრებას, უარჰყოფს წმინდანებს, გარეგნულ ღვთისმსახურებას და სხვ.; **კალვინისტ-ი** — კალვინიზმის მიმდევარი.

**კალი**, არაბ., კალიუმ მეტალის ჟანგი, — მყარი, თეთრი და ძალიან მწვავე ნივთიერებაა.

**კალიბრ-ი**, არაბ.-ევროპ. (ფრ. calibre): 1) ცეცხლით სასროლი იარაღის (თოფის და სხვ.) ლულის შიდადიამეტრი; 2) ზუსტად შესრულებული ნიმუში, რომელსაც ადარებენ ამა თუ იმ ნაკეთებს; 3) საერთოდ: ზომა, სიდიდე; გადატ. მნიშვნ.: ამა თუ იმ საგნის ღირსება. — აქედან **კალიბრირება** ან **დაკალიბრება** — ამა თუ იმ ნაკეთებისათვის ზუსტი ზომის მინიჭება კალიბრთან (იხ. 2) შედარების გზით.

**კალიგრაფია** (ბერძ. kalligraphia „ლამაზი წერა"), ლამაზად წერის ხელოვნება, სუფთად და ლამაზად წერა; **კალიგრაფ-ი** — ლამაზად მწერალი; სუფთად წერის მასწავლებელი.

**კალიუმ-ი**, ლათ., ერთერთი ტუტე ლითონთაგანი, ვერცხლისებრ-თეთრი ფერისა, მსუბუქი და რბილი, ჰაერზე ადვილად ჟანგდება.

**კალკ-ი**, ლათ. - ფრ. (ლათ. calx-ისაგან „კირი"), 1) ერთგვარი გამჭვირვალე ქაღალდი — ნახაზის ან სურათის პირის გადასაღებად; 2) ამგვარი ქაღალდით გადაღებული სურათი; აქედან: **კალკირება** — კალკით გადაღება.

**კალკულაცია**, ლათ. - ფრ. (calculation), რაიმე საქონლის ან ნაკეთების ერთეულის ღირებულობის გამოანგარიშება; საერთოდ: საქონლის დაფასება; **კალკულატორ-ი** — კალკულაციის შემდგენი, მთვლელი.

**კალომელ-ი** (ბერძ. კალოს „კარგი", მელას „შავი"), ქლოროვანი ვერცხლის-წყალი, — იხ-

მარება მედიცინაში, როგორც სასაქმებელი საშუალება.

**კალონ-**; იხ. **კოლონ-**.

**კალორია** ან **კალორ-ი**, ლათ. („სითბო"). სითბოს ერთეული: 1) დ ი დ ი  კ ა ლ ო რ-ი — სითბოს რაოდენობა, რომელიც ასწევს 1 კილოგრამი წყლის ტემპერატურას 1 გრადუსით; 2) მ ც ი რ ე  კ ა ლ ო რ-ი — სითბოს რაოდენობა, რომელიც ასწევს 1 გრამი წყლის ტემპერატურას 1 გრადუსით; აქედან: **კალორიმეტრია** — ფიზიკის დარგი, რომელიც იკვლევს სხეულთა სითბო-ტევადობას; **კალორიმეტრ-ი** — გამოყოფილი ან შთანთქმული სითბოს რაოდენობის გამოსაკვლევი იარაღი; **კალორული მანქანა** — ხელსაწყო, რომელსაც ამოძრავებენ ჰაერის გახურება-გაციების ცვლის გზით; **კალორიფერ-ი** (ფრ. calorifère) — დიდი შენობის გამთბობი მოწყობილობა გახურებული ჰაერით, რომელიც ნაწილდება მილების გზით.

**კალოტიპია** (ბერძ. kalós „კარგი", typos „ანაბეჭდი"), ფოტოგრაფიით გადაღების ერთგვარი ხერხი: ნეგატივის მიღება მეტისმეტად მგრძნობიარე ქაღალდზე, რომელსაც ეწოდება **კალოტიპიის ქაღალდი** — სწევს ფირფიტის მაგიეროზას.

**კალოშ-ი**, **კალოშები**, ევროპ.-რუს. (ფრ. galoshe, ქართულში რუს. калоша-საგან), ჩვეულებრივ ფეხსაცმელზე ჩასაცმელი რეზინის ფეხსაცმელი — იცვამენ ავდარში სისუფთავისა ან სითბოსათვის.

**კალპაკ-ი**, თურქ.-რუს., თალფაქი, — ერთგვარი ქუდი ან რისამე სახურავი, სარქველი და სხვ.

**კალსონ-ი** (ფრ. caleçon), ნიფხავი.

**კალცი** ან **კალციუმ-ი** (ახ. ლათ. calcium, ლათ. calx-ისაგან „კირი"), ქიმიური ელემენტი, მოყვითლო ფერის ბრჭყვიალა ლითონი.

**კალცინაცია** (ახ. ლათ. calcinatio, იხ. წინა სიტყვა), გამოწვა, გამოვარვარება; **კალცინირება** — იგივე მოქმედება.

**კამარილა** (ისპ. camarilla „პატარა ოთახი", ლათ. camera-საგან „ოთახი"): 1) ისპანიის მეფე ფერდინანდ VII-სთან დაახლოებულ პირთა ჯგუფი (19 საუკ. დასაწყ.); 2) გადატ. მნიშვნ.: სასახლის წრეები, რომელნიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოს საქმეთა მსვლელობაზე.

**კამბიო**, იტ., სესხების ბარათი; ვექსილი; აქედან: **კამბისტ-ი** — ვექსილებით მოვაჭრე.

**კამბუზ-ი**, ჰოლ., სამზარეულო ხომალდზე.

**კამედ-ი**, ბერძ.-რუს. (камедь), უფერო მწებვარე სითხე, — სდის ზოგიერთ მცენარეს.

**კამელია** — : 1) მუქ-მწვანე ფოთლებიანი და ლამაზ ყვავილებიანი მცენარე (სახელწოდება — ევროპაში მისი შემომტანის, Camellus-ისაგან 18 საუკ.); 2) გადატ. მნიშვნ.: საეჭვო ყოფა-ქცევის ქალი.

**კამერა**, ბერძ.-ლათ. („თაღი, კამარა; ოთახი"): 1) ოთახი რაიმე სახელმწიფო დაწესებულებაში, მაგ. სამოსამართლო ოთახი; 2) ცალკე ოთახი საპატიმროში; საკანი; 3) ფიზიკაში: კ ა მ ე რ ა  ო ბ ს კ უ რ ა — ბნელსაკანი, — ბნელი სათავსი ერთი პატარა ნახვრეტით, რომელშიც გავლილი შუქი ჰქმნის მოპირდაპირე კედელზე საგანთა გამოსახულებას.

**კამერარიუს-ი**, ლათ., ქონების გამგე ძველად.

**კამერგერ-ი**, იხ. **კამერჰერი**.

**კამერდინერ-ი** (ლათ. camera და გერმ. Diener- „მსახური"), ბატონთან დაახლოებული (მომვლელი, დამლაგებელი და სხვ.) მსახური მამაკაცი; ფარეში.

**კამერისტკა**, ისპ. (რუს. დაბოლოებით, იხ. კამერა), სასახლის ქალები ისპანიასა და პორტუგალიაში; საერთოდ: სასახლის ქალთა ტიტული; აგრეთვე — მაღალი წრის ქალის ფარეში-ქალი.

**კამერიუნკერ-ი** (იხ. კამერა და იუნკერი), საპატიო ტიტული სასახლეში.

**კამერპაჟ-ი** (იხ. კამერა და პაჟი), რევოლუციამდე რუსეთში: პაჟთა კორპუსის მოწაფე, რომელიც ინიშნებოდა სამორიგეოდ სასახლეში.

**კამერტონ-ი** (იხ. კამერა და ტონი), ორთითა ჩანგლის მსგავსი ფოლადის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა მუდმივსა და განსაზღვრული სიმაღლის ტონს.

**კამერული** ან უკეთ **ხაკამერო მუსიკა** („საოთახო მუსიკა", იხ. კამერა), დასაკრავი (წინეთ სასიმღეროც) მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც განკუთვნილია შესასრულებლად პატა-

რა სათავსში (არა თეატრში ან ტაძარში). — მოითხოვს ინსტრუმენტთა მცირე რიცხვს, მაგრამ დიდ დახელოვნებას.

**კამერფრაუ**, ლათ.-გერმ. (Kammerfrau), გარდერობის გამგე ქალი სასახლეში.

**კამერჰერ-ი**, ლათ.-გერმ. (Kammerherr), სასახლის მოხელის ტიტული.

**კამვოლური მატყლი** (გერმ. Kammwolle „ნაჩეჩი მატყლი"), ცხვრის გრძელი ნაჩეჩი მატყლი, რომლისაგანაც იქსოვება მატყლის რბილი ქსოვილები — **კამვოლური ქსოვილები**.

**კამზოლ-ი**, არაბ.-ევროპ. (ფრ. camisole), ერთგვარი ძველებური უღილებო ტანსაცმელი, — იცვამდენ ზედა ტანსაცმელს ქვეშ.

**კამიზარები** (მრავლ., ფრ. Camisards, არაბ.-ისპ. camisa-საგან „პერანგი" — იცვამდენ ღამით თავდასხმისას), ასე ეწოდათ სამხრ. საფრანგ. პროტესტანტ-გლეხებს, რომელნიც აუჯანყდენ საფრანგ. მთავრობას (1702 წ.) ჰუგენოტების წინააღმდეგ დევნის გამო.

**კამილავკა** (ბერძ. kamêlayca, kamêlos-ისაგან „აქლემი", ე. ი. „აქლემის მატყლის ქუდი"), სამღვდელო პირთა საგანგებო ქუდი, — ეძლევათ ჯილდოდ რაიმე დამსახურებისათვის.

**კამის-**, იხ. **კომის-**.

**კამლოტ-ი**, ბერძ.-ფრ. (camelote, ბერძ. kamêlos-ისაგან „აქლემი"), მატყლის ან ბამბის მსხვილი ქსოვილი.

**კამორა** — : 1) ბერძ.-სლავ. (камора „ოთახი, სათავსი") — ზარბაზნის უკანა ნაწილი, სადაც თავსდება მუხტი; 2) იტ. (camorro „გლეხი"), შეიარაღებული ბანდების საიდუმლო კავშირი ნეაპოლის სამეფოში, — თამაშობდა პოლიტიკურ როლსაც; მთავრობის მიერ არ იდევნებოდა. — **კამორისტ-ი** — კამორის (2) წევრი.

**კამპანია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. campaneus-ისაგან „ველი", ფრ. campagne): 1) ლაშქრობისა, ხომალდის ცურვისა ან არჩევნებისათვის საჭირო დრო — მათი ხანგრძლიობა; 2) გამოსვლათა რიგი რაიმე საკითხის ირგვლივ; ორგანიზაციული მუშაობა რაიმე საზოგადოებრივი ან პოლიტიკური საქმის შესასრულებლად, მიზნის მისაღწევად; 3) ჯგუფურად დროის გატარება, ლხინი; აგრეთვე — მოლხინეთა ჯგუფი (ეს მესამე მნიშვნელობა დაკავშირებულია ფრ. compagnie-სთან, იხ. კომპანია).

**კამპანიონ-ი**, იხ. კომპანია და სხვ.

**კამპეადორ-ი**, ისპ., მებრძოლი, გმირი.

**კამპოტ-ი**, იხ. კომპოტი.

**კამუფლეტ-ი**, ლათ.-ფრ. (camouflet), სამხედრო: მცირე აფეთქება მიწის ქვეშ, რომლის შედეგი არა ჩანს მიწის ზედაპირზე.

**კამფეთ-ი**, იხ. კანფეთი.

**კამფორა**, არაბ.-ლათ. (camphora), ქაფური, — მკვეთრ-სუნიანი უფერო ბლანტი ნივთიერება, — წარმოადგენს კამფორის ხის წვენს, მოიპოვება ხელოვნურადაც; იხმარება მედიცინასა და ტექნიკაში.

**კამფორკა** ანუ უკეთ **კამფორ-ი** (ჰოლ. komfoor): 1) საოთახო მოძრავი სამზარეულო; 2) სამოვარზე დასაცობი, რომელზედაც ჩაიდანი იდგმის.

**კანალ-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) საერთოდ — არხი, მილი; 2) ხელოვნური თხრილი წყლის გასაყვანად; 3) ზღვის ვიწრო ნაწილი ორ ნაპირს შუა; 4) თოფის ან ზარბაზნის ლულა; 5) მილისებრი ორგანო ცხოველის სხეულში, მაგ. სისხლის ძარღვები. — აქედან: **კანალიზაცია** — მიწის ქვეშ საგანგებო მილებისა და არხების გაყვანა — ჩანადენი წყლისა და უწმინდურების გასადენად.

**კანაპე**, ლათ.-ფრ. (canapé), ზურგიანი პატარა დივანი (იხ., 3).

**კანატ-ი**, ბერძ.-რუს., ბაგირი, მსხვილი თოკი

**კანდელაბრ-ი**, ლათ., დიდი შანდალი რამდენისამე სანთლისათვის.

**კანდიდატ-ი** (ლათ. candidatus „თეთრად ჩაცმული"): 1) რაიმე დაწესებულებაში (სამსახურში, მოწაფედ, წევრად და სხვ.) შესვლის უფლებიანი მსურველი პირი, რომელიც რიგშია ჩანიშნული; 2) პირველი (დაწყებითი) სამეცნიერო ხარისხი რუსეთში (წარს. საუკ. 80-იან წლებამდე); აქედან: **კანდიდატურა** — კანდიდატობა, კანდიდატად ყოფნა; კანდიდატის წოდება.

**კანვა** (ფრ. canevas, ლათ. cannabis-ისაგან „კანაფი"): 1) უჯრედებიანი თხელი ქსოვილი, რომელზედაც ჰქარგავენ; 2) სალიტერატურო ნაწარმოების ძირითადი გეგმა, ჩონჩხი; 3) საერთოდ: რისამე საფუძველი.

**კანვერტ-ი**, იხ. კონვერტი.

**კანვოი**, იხ. კონვოი.

**კანიბალ-ი**, ისპ.-ევროპ. (ფრ. cannibale): 1) წინეთ — კარაიბის კუნძულთა მცხოვრები; 2) შემდეგ — კაციჭამია, სასტიკი და შეუბრალებელი ადამიანი; **კანიბალიზმ-ი** — კაციჭამიობა.

**კანიკულები** (მრავლ.; ლათ. canis-ისაგან „ძაღლი"; canicula „ძაღლის ვარსკვლავედი" — მისი გაელვებით ხსნიდენ სიცხეებს), მოწაფეთა, დასასვენებელი დრო.

**კანიტელ-ი** (ფრ. cannetille): 1) მოოქრვილი ან მოვერცხლილი ძაფი ოქრომკედით საკერავად; 2) გადატ. მნიშვნ.: გრძელი მოსაწყენი საუბარი; რაიმე სამუშაოს დაგვიანება, გაჭიანურება.

**კანიფოლ-ი**, იხ. კოლოფონი.

**კანკან-ი**, ფრ., ერთგვარი უწმაწურმოძრაობიანი ფრანგული ცეკვა.

**კანკრიტები** (მრავლ., ლათ. cancer-ისაგან „კიბო"), ზღვის გაქვავებული კიბოები, — იხმარება მიწის სასუქად.

**კანონადა** (ფრ. canonnade; canon-ისაგან „ზარბაზანი"), სამხედრო: ერთბაში და ხშირი სროლა რამდენისამე ზარბაზნიდან. — **კანონირ-ი** (ფრ. canonnier, იხ. წინა სიტყვა) — მეზარბაზნე; არტილერისტი ჯარის კაცი; **საკანონირო ნავი** (ფრ. canonnière, იხ. კანონადა) — პატარა ზარბაზნებით შეიარაღებული მცირე სამხედრო ხომალდი.

**კანონ-ი**, ბერძ.: 1) საერთოდ: წესი; ძირითადი დებულება; ნიმუში; ნორმა; 2) იურიდ.: საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი განსაზღვრული წესი საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში; 3) მეცნიერებაში: ა) ბუნების ან საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მუდმივი და უცვლელი ურთიერთ-დამოკიდებულება (ანუ თანაშეფარდება), ბ) ამ მოვლენათა წარმომშობი ძალების შესწავლაზე დამყარებული ურყევი დებულება (მაგ. კანონი ფიზიკისა, ქიმიისა, ენათმეცნიერებისა და სხვ.); 4) საეკლესიო: ეკლესიის ესა თუ ის დადგენილება სარწმუნოების ან საეკლესიო წესების საქმეში; აგრეთვე — რომლისამე წმინდანის საეკლესიო გალობა; 5) სტამბაში: მსხვილი ასომთავრული. — აქედან: **კანონიზაცია** — უზენაესი საეკლესიო ხელისუფლების მიერ ვისიმე წმინდანად ჩარიცხვის წესი; **კანონიკ-ი** — : 1) კათოლიკეთა ეკლესიაში: საკათედრო ტაძრის მღვდელი. 2) მართლმადიდებელთა ეკლესიაში: საგალობელთა (კანონთა) შემცველი წიგნი; **კანონიკური** — საეკლესიო; ეკლესიის წესებთან და კანონებთან შეთანხმებული, მაგ.: **კანონიკური წიგნები** — ძველისა და ახალი აღთქმის საღვთოწერილის წიგნები, რომლებიც მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ ცნობილი არიან ღვთის შთაგონებით დაწერილად; **კანონიკური სამართალი** — იგივეა, რაც საეკლესიო სამართალი, ე. ი. კანონიკურ წიგნებში მოცემულ წესთა და დადგენილებათა ერთობლიობა; **კანონისტ-ი** — კანონიკური სამართლის მცოდნე.

**კანტატა**, იტ. მუსიკაში: გუნდისათვის, ორკესტრის ან ცალკე ხმისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები, — იწერება ჩვეულებრივ რაიმე საზეიმო შემთხვევის გამო.

**კანტ-ი**, ემანუელ (Kant, Emmanuel, 1724—1804), გერმანელი უდიდესი ფილოსოფოსი, კრიტიკული ფილოსოფიის დამაარსებელი, — მან პირველმა დაისახა მიზნად ადამიანის შემეცნების საზღვრების გარკვევა; კანტის ფილოსოფია წარმოადგენს საშუალო გზას ემპირიზმისა (იხ.) და რაციონალიზმისას (იხ.): მისი აზრით, ჩვენი შემეცნება ემყარება ცდას, მაგრამ მხოლოდ ცდას არ შეუძლია ახსნას შემეცნების ყველა პროცესები; ჩვენს გონებას აქვს ცდის უწინარესიც (აპრიორული) რამ — ესაა შემეცნების (დროისა, სივრცისა და მიზეზობრიობის) ფორმები. — აქედან: **კანტიანობა** ან **კანტიანიზმ-ი** — კანტის ფილოსოფიაზე დამყარებული მიმართულება; **კანტიანელი** ან **კანტიანისტ-ი** — ამ ფილოსოფიის მიმდევარი.

**კანტ-ი** (გერმ. Kante), კიდე, ნაწიბური. არშია.

**კანტილენა**, იტ., პატარა სიმღერა, რომანსი. რომელიც ზოგჯერ ჩაემატება ხოლმე დიდ მუსიკალურ ნაწარმოებში.

**კანტონ-ი**, ფრ.: 1) ადმინისტრატიული ერთეული საფრანგეთში (აგრეთვე — საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში, მაგ. ბაშკირეთში); 2) შვეიცარიის კავშირში შემავალ თვითეულ სახელმწიფოთა სახელწოდება; 3) ჩინ., საკ. სახ., სამხ.-აღმოს. ჩინეთის ერთერთი ქალაქის სახელწოდება (1½ მილ. მეტი მცხოვრები).

**კანტორ-ი**, ლათ. („მგალობელი, მომღერალი"), ცალკე მომღერალი ებრაელთა სინაგოგაში და ლუთერანთა ტაძარში.

**კანტორა** (ფრ. comptoire, comter-საგან „თვლა, ანგარიში..."; ქართულში — რუს. контора-საგან): 1) რაიმე დაწესებულების საფინანსო ან სამეურნეო ნაწილის საქმეთა საწარმოო განყოფილება; 2) რაიმე სავაჭრო წამოწყების განყოფილება სხვა ქვეყანაში ან სხვა ქალაქში; 3) რაიმე ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულების განყოფილება (მაგ. სახელმწიფო ბანკის კანტორა და სხვ.); აქედან: **კანტორშჩიკ-ი** (რუს. დაბოლოებით)— კანტორის მოხელე; **კანტორკა** (რუს. დაბოლოებით) — მაღალი დაქანებული საწერი მაგიდა.

**კანტროლ-ი**, იხ. კონტროლი.

**კანფეტ-ი** (იტ. confetto), შაქრისაგან, ხილეულისაგან და სხვ. დამზადებული ტკბილეული.

**კანცელარია** (ლათ. cancelli,-orum-ისაგან „ზღუდე", შემდეგ — „შკაფები"): 1) რაიმე დაწესებულების საქმეთა საწარმოო განყოფილება, სამდივანმწიგნობრო; აგრეთვე — მასში მომუშავე პირადი შემადგენლობა; აქედან — **კანცელარიზმ-ი** — რაიმე დაწესებულების მიერ ამა თუ იმ საკითხის გამორკვევა მხოლოდ მიწერ-მოწერის საშუალებით, რაც იწვევს საქმის გაჭიანურებასა და მის ზერელედ გადაწყვეტას; (იხ. ბიუროკრატიზმი); **კანცელარისტ-ი**—კანცელარიის მოხელე; **კანცელარული** — კანცელარიისათვის დამახასიათებელი, მაგ., კანცელარული ენა — მძიმე, მშრალი, საქმიანი ენა; **საკანცელარიო** — რაც კანცელარიისთვისაა საჭირო ან გამოსადეგი, მაგ. ნივთები (ქაღალდი, წიგნები, საწერი მოწყობილობა და სხვ.).

**კანცლერ-ი**, ლათ.-გერმ.: 1) საშ. საუკუნეებში: სასახლის უზენაესი თანამდებობის პირი, რომელსაც ებარა სახელმწიფო ბეჭედი; 2) საგარეო საქმეთა მინისტრი; მინისტრ-პრეზიდენტი (იხ.) გერმანიაში.

**კანცონა**, იტ.: 1) ერთგვარი წყობის ლირიკული ლექსი პროვანსსა და იტალიაში; 2) მუსიკაზე აწყობილი ლირიკული ლექსი; **კანცონეტა** (იტ. canzonetta), პატარა კანცონა.

**კაოლინ-ი**, ჩინ., ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭლის საკეთებელი თიხა.

**კაპელა** (ახ. ლათ. capella): 1) კათოლიკეთა სამლოცველო ან ტაძრის ნაწილი; 2) მომღერალთა გუნდი ან ორკესტრი; აქედან: **კაპელან-ი** — კაპელის მღვდელი ან მისი თანაშემწე; **კაპელდინერ-ი** (ლათ. capella და გერმ. Diener „მსახური") — საკონცერტო დარბაზში ან თეატრში ბილეთების ჩამომრთმევი და ადგილების მაჩვენებელი; **კაპელმეისტერ-ი** (ლათ. capella და გერმ. Meister „უფროსი"), ორკესტრის ან გუნდის ხელმძღვანელი ლოტბარი, — დირიჟორი (იხ.).

**კაპელ-ი** (ლათ. cupella-საგან „პატარა ჭურჭელი", გერმ. Kapelle ან Kupelle), სქელ კედლებიანი ძვლის ფერფლისაგან გაკეთებული პატარა ფინჯანი, — იხმარება ვერცხლისა და ოქროს სინჯის გამოსარკვევად ცეცხლზე; აქედან: **კაპელირება** — ვერცხლისა და ოქროს სინჯის გამორკვევა ცეცხლზე.

**კაპერ-ი**, ლათ.-ევროპ. (ჰოლ. kaper): 1) კერძო პირი, რომელმაც საკუთარი ხარჯით გააწყო ხომალდი ომის დროს — მოწინააღმდეგის სავაჭრო ხომალდების დასაჭერად; 2) თვით ასეთი ხომალდი.

**კაპილარები** (მრავლ., ლათ. capillus-ისაგან „თმა"), ბეწვმილები, — ძალიან წვრილი მილები ცხოველის ორგანიზმში; აქედან: **კაპილარობა**— ფიზიკაში: სითხეთა აწევისა ან დაშვების თვისება წვრილ მილებში; ბეწვოვნობა.

**კაპიტალ-ი**, ლათ.-ევროპ. (ლათ. კაპუტ-ისაგან „თავი"): 1) წარმოების იარაღი და საშუალებანი (ფული, მანქანები, ნედლეული და სხვ.), რომელნიც ჰქმნიან ზედმეტ ღირებულებას და კერძო საკუთრების არსებობისას წარმოადგენენ დაქირავებული შრომის საექსპლოატაციო (იხ.) იარაღს; 2) ჩვეულებრივ: ფულის მნიშვნელოვანი თანხა; 3) „კაპიტალ"-ი — კ. მარქსის მთავარი შრომა, რომელშიც განხილულია კაპიტალისტური წყობილება და დადგენილია მისი განვითარების კანონები, — წარმოადგენს მარქსისტული პოლიტიკური-ეკონომიის საფუძველს (I ტომი გამოვიდა 1867 წ., ხოლო II და III ტტ. მარქსის სიკვდილის შემდეგ, 1885 და 1895 წ. წ.).

**კაპიტალიზაცია**, ლათ.-ევროპ.: 1) ქონების ფულად ქცევა; 2) ქონების ღირებულობის განსაზღვრა მისი შემოსავლიანობის მიხედვით.

**კაპიტალიზმ-ი**, ლათ.-ევროპ., ხელოვნ., იგივეა, რაც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა, სახელდობრ: ისეთი საზოგადოებრივ-სამეურნეო წყობილება, რომელსაც ახასიათებს: 1) კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე, რომელნიც დაგროვილია საზოგადოების უმცირესობის (კაპიტალისტთა) ხელში; 2) დაქირავებული შრომა, ე. ი. მუშის მიერ თავისი შრომის გაყიდვა; 3) საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა, ე. ი. არსებობა მცირერიცხოვანი კლასისა, რომელიც ჰფლობს საწარმოო საშუალებებს, და მრავალრიცხოვანი კლასისა, რომელიც მას მოკლებულია და იძულებულია გაყიდოს თავისი ძალა; 4) წარმოების ანარქია (იხ. ანარქია). — აქედან: **კაპიტალისტ-ი** —: 1) კაპიტალის მფლობელი; საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა მესაკუთრე; 2) ჩვეულებრივ: მდიდარი.

**კაპიტალური** (ლათ. capitalis, caput-ისაგან —თავი"), მთავარი, საფუძვლიანი, ძირითადი, მტკიცე და სხვ.; მაგ.: კაპიტალური შრომა—ისეთი შრომა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სხვა შრომებს; ფუძე-მდებელი შრომა.

**კაპიტან-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. capitaine, ლათ. caput-ისაგან „თავი"): 1) ჯარების უფროსი საშუალო საუკუნეებში; 2) უფროსი ობერ-ოფიცრის (იხ.) წოდება ხმელეთის ჯარში; 3) ხომალდის უფროსი.

**კაპიტელ-ი**, ლათ.-გერმ. (ლათ. caput-ისაგან „თავი"): 1) ხუროთმოძღვრებაში: სვეტის თავი; 2) სტამბაში: მთლიანად ასომთავრულით ნაბეჭდი.

**კაპიტოლი ან კაპიტოლიუმ-ი**, ლათ. საკ. სახ., ძველი რომის ერთერთი ციხე-სიმაგრე, რომელშიც იყო იუპიტერის შესანიშნავი ტაძარი და მთავრობის დაწესებულებანი.

**კაპიტულარიები** (მრავლ., ლათ. კაპიტულარია, კაპიტულუმ-ისაგან), საშ. საუკუნეებში: კაროლინგური პერიოდის მეფეთა მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტები.

**კაპიტულაცია**, ლათ.-ევროპ., მეომარ მხარეთაგან ერთის მიერ თავისთავის დამარცხებულად ცნობა, დანებება; მოწინააღმდეგისათვის ციხე-სიმაგრის დანებება; **კაპიტულირება** —იგივე მოქმედება.

**კაპიტულ-ი** (ლათ. კაპიტულუმ „თავი, განყოფილება"): 1) კათოლიკე სასულიერო პირთა კოლეგია (იხ.) ეპისკოპოსთან; 2) რევოლუციამდე რუსეთში: დაწესებულება, რომელიც განაგებდა ორდენებით (იხ.) დაჯილდოების საქმეებს.

**კაპიშონ-ი** (ფრ. capuchon): 1) კათოლიკე ბერების ერთგვარი წოწოლა ქუდი; 2) წამოსასხამის საყელოზე მიკერებული ნაწილი, რომელიც გამოსადეგია თავზე დასახურავადაც.

**კაპკან-ი**, თურქ., ხაფანგი.

**კაპლან-ი**, იგივეა რაც კაპელანი (იხ.).

**კაპონირ-ი ან კაპონიერ-ი** (ფრ. caponnière), სამხედრო: ქვის შენობა სიმაგრის თხრილში, — აქვს მოგერიებითი დანიშნულება.

**კაპორ-ი**, ლათ.-ევროპ. (რუს. капор), ქალისა ან ბავშის ერთგვარი თავსახურავი.

**კაპოტ-ი**, ფრ.: 1) ქალის საშინაო კაბა, ხალათი; 2) ტექნიკაში: მანქანათა, ძრავებისა და სხვ. გადასახურავი.

**კაპრალ-ი** (ფრ. caporal), უნტერ-ოფიცრის (იხ.) წოდება ევროპის ზოგიერთ არმიაში.

**კაპრიზ-ი** (ფრ. caprice, ლათ. caper-ისაგან „თხა, ვაცი"), ახირებული სურვილი, ჟინი, ჯიუტობა, თვითნებურობა და სხვ. ასეთი; **კაპრიზიანი** — კაპრიზის მქონე; **კაპრიზობა** — ახირება, ჟინიანობა, თვითნებურობა და სხვა ასეთი რისამე გამომჟღავნება საქციელში.

**კაპრიჩიო** (იტ. capriccio, იხ. წინა სიტყვა), განსაზღვრული ფორმის არმქონე მუსიკალური ნაწარმოები.

**კაპსული ან კაფსულ-ი** (ლათ. capsula „პატარა ყუთი"): 1) ფისტონი; ლითონის პატარა თალფაქი, რომელშიც იმყოფება მფეთქარე შემადგენლობა,— იხმარება ფისტონიან თოფებში; 2) ჟელატინის (იხ.) ცალიერი აფსკა, რომლითაც ილებენ არასასიამოვნო გემოვნების წამალს; 3) ფაიფურისა ან ლითონის პატარა ჯამი, — იხმარება აფთიაქებში და ქიმიკოსების მიერ წამლებისა და სხვ. დასამზადებლად.

**კაპტაჟ-ი** (ფრ. captage), ამა თუ იმ წყაროს მიწისქვეშა კალაპოტის დაცვა სხვა წყაროთა და ნიადაგის გავლენისაგან წყალშეუვალი მილების საშუალებით, — იხმარება უმთავრესად სამკურნალო წყაროთათვის.

**კაპუტ,** ლათ.-ევროპ. (ლათ. caput „თავი“), გადატან. მნიშვნ.: რაიმე საქმის ან პიროვნების საუბედურო დასასრული, დაღუპვა და სხვ. ასეთი (იტყვიან განცალკევებით: კაპუტ!).

**კაპუცინ-ი,** საშ. ლათ.-ევროპ. (შეად. ფრ. capuce, capuchon): 1) იგივეა რაც ნასტურცია (იხ.); 2) ერთი ჯიშის ადვილად მოსაშინაურებელი მაიმუნი, — ცხოვრობს სამხრ. ამერიკაში; 3) კაპუცინები (მრავლ.)—ფრანცისკანელთა (კათოლიკე ბერთა ძმობა) ერთერთი შტო (სახელწოდება დაკავშირებულია კაპიშონთან, იხ.).

**კარაბინ-ი** (ფრ. carabine), შორს მცემი მოკლე თოფი, — იხმარება უმთავრესად კავალერიაში; კარაბინერები (მრავლ.) — ძველად ევროპაში: კარაბინებით შეიარაღებული ცხენოსანთა ნაწილები; ახლა იტალიაში: ჟანდარმები (იხ.).

**კარაველა,** ისპ., ძველებური სამანძიანი ხომალდი ისპანიასა და პორტუგალიაში.

**კარაიმები** (მრავლ.), ებრ., ებრაელთა მცირერიცხოვანი რელიგიური სექტა, რომელიც არ იწყნარებს თალმუდს (იხ.),—წარმოიშვა 8 საუკ. ქ. შ.

**კარაკატიცა** (ევროპ.?), ქართულში რუსულიდან: ერთგვარი მოლუსკი (იხ.), — ცხოვრობს ზღვის ნაპირებთან; შეიცავს სითხეს, რომლისაგანაც ამზადებენ წითელ საღებავს.

**კარაკოლ-ი,** ფრ., ცხენის მოტრიალება ერთ ადგილზე ზედმჯდომი მხედრის მიერ.

**კარაკულები** (მრავლ.), ფრ., ძნელად გასარჩევი ნაწერი, ცუდი ხელი.

**კარაკულ-ი,** თათრ., ბატკნის დამუშავებული ქურქი.

**კარამბოლ-ი,** ფრ., ბილიარდზე თამაში სამი ბურთით.

**კარამელ-ი,** ფრ., მაღალ ტემპერატურაზე დამწვარი შაქარი, — იხმარება სხვადასხვა სასმელებისა და კანფეტების დამზადებაში; ასე ეწოდება აგრეთვე ერთგვარ კანფეტს.

**კარანდაშ-ი,** თურქ., ფანქარი.

**კარანტინ-ი** (ფრ. quarantaine „ორმოციოდე, ორმოცდღიური“): 1) სანიტარული დაწესებულება, რომელშიც ამყოფებენ განსაზღვრულ ხანს ეპიდემია-გავრცელებული ადგილიდან მოსულ პირებს ან საქონელს; 2) ასეთ დაწესებულებაში ყოფნის ვადა.

**კარას-ი,** საშ. ლათ.-ევროპ., კარჩხანა (თევზია).

**კარატ-ი,** არაბ.-ევროპ., ძვირფასი ქვების წონის ერთეული, უდრის 205 მილიგრ.

**კარბოვანეც-ი,** უკრ., ერთი მანეთი.

**კარბოლეინ-ი,** ლათ. ხელოვნ. (carbo,-onis-საგან „ნახშირი“), ერთგვარი ხელოვნური სათბობი მასალა.

**კარბოლ-ის სიმჟავე** (ლათ. carbo-საგან „ნახშირი“), მკვეთრსუნიანი შხამიანი სითხე, რომელიც მოიპოება ქვანახშირის კუპრისაგან, — იხმარება როგორც სადეზინფექციო საშუალება (იხ. დეზინფექცია).

**კარბონარიები** (მრავლ.), იტ. („მენახშირეები“), ასე ეწოდა იტალიაში 19 საუკ. დასაწყ. შექმნილ საიდუმლო პოლიტიკურ საზოგადოებას, რომლის მიზანიც იყო ბურბონთა (იხ.) განდევნა ნეაპოლიდან, ავსტრიელთა— იტალიიდან და სხვ.; საერთოდ იბრძოდენ იტალიის დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის. 1830 წ. შემდეგ მიემხრენ სოციალისტურ მოძრაობას.

**კარბონატ-ი,** ლათ. ხელოვნ. (carbo-საგან „ნახშირი“): 1) ნახშირმჟავე მარილი; 2) ალმასის ერთი (შავი) სახეობა.

**კარბონიზაცია,** ლათ.-ევროპ. (carbo-საგან „ნახშირი“), ნახშირად ქცევა, დანახშირება; მცენარეული ნივთიერების დაშლა დანახშირების გზით; ხის ან ქვანახშირის მშრალი გამოხდა. — კარბონიზირება — იგივე მოქმედება.

**კარბუნკულ-ი** (ლათ. carbunculus „პატარა ნახშირი“): 1) წითელი ლალი; 2) ავთვისებიანი მუწუკი, ბედნიერა; 3) ერთგვარი სიმსივნე ცხოველთა სხეულზე.

**კარბურატორ-ი,** ლათ. ხელოვნ., შინაგანი წვის ძრავების მოწყობილობა, რომელშიც შეაქვსთ თხევადი სათბობი მასალა; კარბურირება — მიმატება ჩვეულებრივი აირისათვის (გაზისათვის) ისეთ ნახშირწყალბადოვან ნივთიერებათა, რომელნიც ანიჭებენ ალს განსაკუთრებულ სიკაშკაშეს.

**კარგო,** ისპ., ხომალდის ტვირთი.

**კარდ-ი,** ლათ.-ფრ. (carde), მავთულის მუსი (ჩოთქი), რომლითაც ჩეჩენ მატყლს, სელს და სხვას — მაუდზე ხაოს დადების მიზნით; საჩეჩელი — აქედან: კარდვა — საქსოვი მასალის ჩეჩა.

**კარდინალ-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) უმაღლესი სასულიერო ხარისხი რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში: კარდინალები ირჩევენ თავიანთი წრიდან რომის პაპს (იხ.); 2) ამერიკის ერთგვარი ჩიტის სახელწოდება.

**კარდინალური** (ლათ. cardinalis), ძირითადი, უმთავრესი.

**კარდიოგრაფ-ი** (ბერძ. კარდია „გული", გრაფეინ „წერა"), მედიცინაში: გულის მოძრაობათა გრაფიკულად (ხაზებით) აღმნიშვნელი ხელსაწყო; **კარდიოლოგია** — მოძღვრება გულის შესახებ; **კარდიტ-ი** — გულის ანთება.

**კარდიფ-ი**, ინგლ., ქვანახშირის ერთი სახეობა ინგლისში; სახელწოდება იმ ადგილისაგან, სადაც იგი მოიპოება (Cardiff).

**კარე** (ფრ. carré): 1) ოთხკუთხი; 2) საბრძოლო ქვეითა ჯარის ოთხკუთხი წყობა — მტრის ყოველი მხრიდან მოსაგერიებლად.

**კარეტა** (იტ. caretta), ფანჯრებიანი დახურული ეტლი.

**კართეზიელები** (მრავლ.), XI საუკუნეში დაარსებული ბერთა ძმობა საფრანგეთში კ ა რ ტ უ ზ ი ა უდაბნოში; ბერები სდებდენ განმარტოებისა და დუმილის აღთქმას.

**კარიატიდ-ი** (ბერ. karyatis,-idos), ხუროთმოძღვრებაში: ქალის ქანდაკება, რომელზედაც დაყრდნობილია შენობის კამარა.

**კარიდორ-ი**, იხ. კორიდორი.

**კარიერა** (ფრ. carrière; ქართულში რუსულიდან): 1) ცხოვრების ასპარეზი; 2) სამსახურში (ან სხვა რაიმე მოღვაწეობაში წარმატება, აქედან: **კარიერიზმ-ი** — ამა თუ იმ სამოღვაწეო ასპარეზზე (უმთავრესად სამსახურში) წარჩინებისადმი მისწრაფება; **კარიერისტ-ი** — ამგვარი წარჩინების მსურველი და მაძიებელი.

**კარიერ-ი** (ფრ. carrière): 1) ცხენის სწრაფი სირბილი, ჭენება; 2) საერთოდ: სწრაფი სვლა გზაზე, — ცხოვრებაში.

**კარიკატურა**, იტ.: 1) ვისიმე ან რისიმე განზრახ სასაცილო სახით დახატვა — ამა თუ იმ დამახასიათებელი თვისების გაზვიადებული წარმოდგენით; 2) სასაცილო მიბაძვა, დამახინჯება; აქედან: **კარიკატურული**, მაგ., გამოსახულება ვისიმე ან რისიმე; **კარიკატურისტ-ი** — კარიკატურის მხატვარი.

**კარიოზ-ი** (ლათ. cariosus „დამპალი"), მედიცინაში: ძვლის ქრონიკული ანთება, ძვლის მპამპლი; **კარიოზული** ან **კარიოზიანი** — ძვლის მპამპლით დაავადებული.

**კარკას-ი** (ფრ. carcasse „ჩონჩხი"): 1) ძვლებური ყუმბარა; 2) მავთული, რომლისაგანაც კეთდება ქალის ქუდის ფორმა; 3) ხომალდის ჩონჩხი: რკინის ჩონჩხი შენობისა; 4) ერთგვარი ხე, რომლის მერქანი ცნობილია განსაკუთრებული სიმაგრით, — ეწოდება რკინის ხე.

**კარკინოლოგია, კარკინომა**, იხ. კარცინოლოგია.

**კარლიკ-ი**, გერმ.-სლავ., ჯუჯა-კაცი, ძალიან პატარა ტანის ადამიანი; ამბობენ ხეზედაც და სხვ.

**კარლისტები** (მრავლ.), კარლოსის მიმდევარნი: საფრანგეთში კარლოს X-ისა (1830), ისპანიაში დონ-კარლოსისა (1833); რეაქციონული პოლიტიკური პარტია ისპანიაში.

**კარლსბადის მარილი** — მოიპოება ქ. კარლსბადის (ბოჰემიაში) მინერალური წყლისაგან, — გოგირდ-მჟავა ნატრიუმი: იხმარება როგორც სასაქმებელი საშუალება.

**კარმაზინ-ი** ან **კარმეზინ-ი**, არაბ.-ევროპ., მუქ-წითელი ფერის ძველებური ქსოვილი.

**კარმანოლ-ი** (ფრ. carmagnole): 1) სარევოლუციო სიმღერა საფრანგ. დიდი რევოლუციის დროს; აგრეთვე ცეკვა კარმანოლის ხმაზე: 2) უკიდურეს იაკობინელთა (იხ.) ტანსაცმელი (შავი შალვარი. წითელი ან სამფეროვანი ჟილეტი და წითელი ქუდი); სახელწოდება — ქალაქისაგან.

**კარმელიტები** (მრავლ.), კათოლიკურ ბერთა ძმობა. — დაარსდა კარმელ მთაზე 12 საუკ.; კარმელიტები სდებდენ შრომის აღთქმას. უარჰყოფდენ ხორცის ჭამას და საკუთრებას.

**კარმინ-ი**, არაბ.-ევროპ., კაშკაშა წითელი საღებავი, — იხმარება აქვარელისათვის (იხ.) მხატვრობაში. წითელი მელნისათვის და სხვ.; ქართულად ჰ ი ა ფ ე რ ი.

**კარნავალი** ან **კარნევალ-ი** (იტ. carnevale „ხორცის გამოთხოვება. დაურწყება"). ყველიერი კათოლიკურ ქვეყნებში. — დროს ატარებენ მასკარადებში და სხვადასხვა მხიარულ თამაშობა-გასართობებში; განსაკუთრებით გავრცელებულია იტალიაში.

**კარნიზ-ი**, ბერძ.-გერმ. (Karnies), ხუროთმოძღვრებაში: ლავგარდანი: 1) კედლის ზედა გამობურცული ნაწილი; ფანჯრებისა და კარების თავზე სხვადასხვაგვარი გამობურცული მორთულობა; 2) ვიწრო გრძელი ფიცარი ფანჯრის თავზე ფარდების ჩამოსაკიდებლად.

**კარონად-ი** (ფრ. caronade), ძველებური მოკლე ზარბაზანი (ქალ. Caro-საგან).

**კარპოლით-ი** (ბერძ. კარპოს „ნაყოფი", ლითოს „ქვა), გაქვავებული ნაყოფი; **კარპოლოგია** — ბოტანიკის დარგი: მოძღვრება ნაყოფთა შესახებ.

**კარსეტ-ი**, იხ. კორსეტი.

**კარტა** და **კარტ-ი**, ბერძ.-ევროპ. (იტ. carta, ფრ. carte): 1) **კარტა** — რუკა; ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც გამოსახულია დედამიწის ესა თუ ის ადგილი, ზღვა, ცა და სხვ.; არის კარტა (რუკა) გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული (იხ.), ზღვისა, ასტრონომიული (იხ.), გეოლოგიური (იხ.) და სხვ.; 2) **კარტ-ი** — სათამაშო ქაღალდი. — **კარტ-ბლანშ-ი** (ფრ. carte blanche „თეთრი კარტი") 1) ქაღალდის ღია თამაში, ე. ი. როცა მოთამაშე არ უმალავს კარტს მოწინააღმდეგეს; 2) გადატ. მნიშვნ.: ა) ვისიმე მიმართ გულახდილობა, საიდუმლო მოსაზრებათა გამომჟღავნება; ბ) ვისიმე მიმართ განუსაზღვრელი ნდობა რაიმე საქმეში.

**კარტეზიანობა**, ფრანგი ფილოსოფოსის, დ ე კ ა რ ტ ი ს (იხ.), მოძღვრება (კ ა რ ტ ე ზ ი უ ს ი სახელწოდებაა დეკარტისა ლათინურად): აქედან: **კარტეზიანელები** — დეკარტის ფილოსოფიის მიმდევარნი.

**კარტელ-ი**, ფრ.: 1) წერილობითი გამოწვევა დუელში: 2) საერთაშორისო ხელშეკრულება დამნაშავეთა და ტყვეთა გაცემის შესახებ; 3) შეჯიბრების წესი ასპარეზობის დროს; 4) მრეწველ-წამომწყებთა კავშირი — წარმოებისა და საქონლის გასაღების მოწესრიგების საშუალებით თავისუფალი კონკურენციის (იხ.) შესასუსტებლად.

**კარტეჩ-ი**, ლათ.-ევროპ. (გერმ. Kartätsche); თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; ერთგვარი საარტილერიო ყუმბარა: წარმოადგენს ტყვიებით გავსებულ თუნუქის ყუთს, რომლის გასროლის დროსაც ტყვიები გაიფანტება; ქართულად ფ ი ნ თ ი ხ ი.

**კარტ-ი**, იხ. კარტა.

**კარტოგრამა**, ბერძ. ხელოვნ. (იხ.კარტა; გრამმა „ნაწერი"), სტატისტიკურ კვლევაში: გრაფიკული (იხ.) გამოსახულება საკვლევი მოვლენისა რუკაზე (მაგ. პირობითი გაფერადება სათანადო ადგილებისა მოსახლეობის სიმჭიდროვის აღსანიშნავად); **კარტოგრაფია** — მოძღვრება გეოგრაფიული და სხვ. რუკების შედგენა-ხაზვის შესახებ; **კარტოგრაფ-ი** — რუკების შემდგენელი.

**კარტონ-ი**, ბერძ.-ევროპ. (იტ. cartone): 1) მკვრივი სქელი ქაღალდი; მუყაო; 2) ასეთი ქაღალდის კოლოფი; 3) წიგნის ყდა თხელი მუყაოსაგან; 4) მუყაოზე დახატული სურათი ნახშირით ან ფანქრით; აქედან **კარტონაჟ-ი** (ფრ. cartonnage) — მუყაოს ლამაზი კოლოფი; მუყაოს ყდა.

**კარტუზ-ი**, ევროპ. (გერმ. Karduse): 1) წინაფრიანი ბრტყელი ქუდი; 2) არტილერიაში: დენთის (თოფის წამლის) პარკი ზარბაზნის გასატენად; 3) ქაღალდის პარკი ფხვიერი ნივთიერებისათვის.

**კარტუშ-ი** (ფრ. cartouche): 1) სამხედრო: ვაზნა, პილზი (იხ.); 2) ვინეტი (იხ. ვინიეტკა) წიგნის ან მისი ნაწილების დასაწყისში ან ბოლოში; 3) ერთგვარი სახუროთმოძღვრო მორთულობა.

**კარუსელ-ი**, ლათ.-ფრ. (caroussel): 1) საშ. საუკუნეებში: სამხედრო გართობა — ცხენებით ჯირითი, დოღი; 2) ახლა: გასართობი — ხის ცხენებიანი და სკამებიანი წრე, რომელიც ტრიალობს თავისი ღერძის გარშემო.

**კარცერ-ი**, ლათ. („საპყრობილე"), მოკლე ხნით დასამწყვდევი ადგილი, ჩვეულებრივ — მოწაფეთა ან ჯარისკაცთათვის.

**კარცინოლოგია** (ბერძ. კარკინოს-ისაგან „კიბო"), ზოოლოგიის დარგი, — იკვლევს კიბოსებრ ცხოველებს; **კარცინომა** — მედიცინაში: ავთვისებიანი სიმსივნე, კიბო.

**კასა** (იტ. cassa): 1) საერთოდ: სალარო; 2) ფულის შესანახავი ყუთი ან შკაფი; 3) განსაზღვრულ ადგილას დაცული ნაღდი ფულის რაოდენობა; 4) კ ა ს ა ანუ ს ა კ ა ს ო წ ი გ ნ ი — ნაღდი ფულის შემოსავალ-გასავლის ჩასაწერი წიგნი; 5) ფულის გასაცემი და მისაღები ადგილი; 6) თ ე ა ტ რ ი ს და სხვ. კ ა ს ა — სადაც იყიდება თეატრში და სხვ. შესასვლელი

ბილეთები; 7) სტამბაში: უჯრებიანი ყუთი, რომელშიც აწყვია ჩამოსხმული ასოები ანუ შრიფტი (იხ.); 8) **დამზღვევი კასა** — დაწესებულება, რომელიც განაგებს დასაზღვევი თანხების გადახდევინების საქმეს და აძლევს სათანადო შემთხვევებში დახმარებას დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეს; 9) **საავადმყოფო კასა** — მუშა-მოსამსახურეთა დამზღვევი დაწესებულება ავადმყოფობის შემთხვევისათვის; 10) **ურთიერთ დამხმარე კასა** — პროფესიონალურ კავშირებთან არსებული დაწესებულება, რომელიც დახმარებას უჩენს კავშირის წევრებს.

**კასაცია**, იტ.-ფრ. (cassation, იტ. cassare-საგან „მოსპობა, გაუქმება"), სასამართლოს განაჩენის გაუქმება სათანადო წესების დაუცველობის გამო; **საკასაციო სასამართლო** — უზენაესი სასამართლო დაწესებულება, რომელსაც აქვს კასაციის უფლება; **საკასაციო საჩივარი** — საჩივარი კანონის არასწორად გამოყენებისა ან წესების დარღვევის შესახებ სასამართლოს დაბალ საფეხურებზე; **კასირება** — : 1) საკასაციო სასამართლოში გასაჩივრება; 2) სასამართლოს განაჩენის გაუქმება, დარღვევა.

**კასეტა** ან უკეთ **კასეტ-ი** (ფრ. cassette): 1) სინათლე-გაუვალი ყუთი საფოტოგრაფიო აპარატში — მგრძნობიარე ფირფიტების მოსათავსებლად; 2) ერთგვარი სახუროთმოძღვრო სამკაული კვადრატული ფოსოების სახით ჭერზე და კამარაზე.

**კასირ-ი**, იტ.-ევროპ. (იხ. კასა), კასის გამგე; ფულის მიმღებ-გამცემი; მოლარე.

**კასკა** (ფრ. casque), ჩაფხუტი, ჩაჩქანი; ერთგვარი სამხედრო ქუდი; აქედან: **კასკეტ-ი** (ფრ. casquette): 1) ჩაფხუტის მსგავსი ერთგვარი ქუდი; 2) ერთგვარი წინაფრიანი კეპი (იხ.).

**კასკად-ი** (ფრ. cascade): 1) ჩანჩქერი; მდინარის ზედიზედ ნახტომებით მიმდინარეობა; 2) ჩანჩქერის მსგავსად მოციმციმე ფეიერვერკის (იხ.) ცეცხლები.

**კასტა**, ლათ.-ევროპ., სხვა წოდებასთან შეურეველი ესა თუ ის კარჩაკეტილი წოდება, რომელიც იცავს უცვლელად წინაპართა ზნე-ჩვეულებას, კანონს და სხვას; საერთოდ: ესა თუ ის განცალკევებულად მდგომი ჯგუფი.

**კასტალიის წყარო**, ზღაპრული წყარო დელფში (საბერძნ.), — ძველ ბერძენთა რწმენით იგი ანიჭებდა ადამიანს პოეტური შემოქმედების უნარს.

**კასტანეტ-ი** (ფრ. castagnette), ერთგვარი ისპანური ხის დარტყმითი სამუსიკო ინსტრუმენტი.

**კასტელ-ი** (ლათ. castellum-ისაგან), გამაგრებული კოშკი, ციხე; აქედან: **კასტელან-ი** — : 1) კასტელის მფლობელი; შემდეგ 2) კოშკის ან შენობის ზედამხედველი; 3) კათოლიკური ტაძრის დარაჯი. — **კასტელანში** (რუს. დაბოლოებით) — თეთრეულის ზედამხედველი ქალი საავადმყოფოში, თავშესაფარი და სხვ.

**კასტეტ-ი** (ფრ. casse-tete), ხელის თითებზე წამოსაცმელი ლითონის იარაღი — ხმარობენ ხელდახელი ჩხუბის დროს.

**კასტიუმ-ი**, იხ. კოსტიუმ-ი.

**კასტორ-ი**, ლათ. („წავი"), მატყლის მკვრივი ქსოვილი.

**კასტორ-ი და პოლიდევკეს-ი**, იხ. დიოსკურები.

**კასტორის ზეთი** (იხ. კასტორი), ერთგვარი მცენარეული ზეთი, — სასაქმებელ საშუალებათა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული.

**კასტრატ-ი**, ლათ., დაკოდილი, დასაჭურისებული; **კასტრაცია** — დაკოდვა, დასაჭურისება; **კასტრირება** — იგივე მოქმედება.

**კასტრულ-ი** (გერმ. Kastroll), სპილენძის ან თუჯის ჭურჭელი, რომელშიც ხარშავენ საჭმელს.

**კატადიოპტრიკა**, ბერძ., ოპტიკის (იხ.) დარგი, — სწავლობს გარდატეხილისა და ანარეკლი შუქის შეერთებულ მოქმედებას (იხ. დიოპტრიკა).

**კატაკლაზ-ი** ან **კატაკლაზის-ი**, ბერძ., გამრუდება; ცხოველის ორგანიზმის ამა თუ იმ ასოს მოტეხა; აქედან: **კატაკლასტური აგებულობა** — ქანთა (მთის ჯიშთა) ისეთი აგებულობა, რომელიც შედეგია მთის წნევისა — ქანთა ტეხილები, ნალუნები და სხე.

**კატაკლიზმ-ი** (ბერძ. kataklysmós): 1) წარღვნა; 2) დიდი უეცარი ცვლილება, — გარდაქმნა (ბუნებაში ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში).

კატაკომბები (მრავლ.), ბერძ.-ევროპ., აკლდამები; ძველ დევნილ ქრისტიანთა სამლოცველო ადგილები მიწაში გათხრილ მღვიმე-გვირაბებში, აგრეთვე — მიცვალებულთა დასაკრძალავი ადგილები.

კატალეფსია ან კატალეფსის-ი, ბერძ., მედიცინაში: სხეულის გაშეშება; კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა ცნობიერების დაშლითურთ — ავადმყოფს ეკარგვის ნებისმიერი მოძრაობის უნარი, — გამოწვეულია, მაგალითად, ძლიერი შიშისა და ჰიპნოზის ზეგავლენით.

კატალექტები (მრავლ., ბერძ. katalekta), ძველ მწერალთა არასრული ნაწარმოებები; კატალექტური — არასრული, ნაწყვეტი, მაგ. კატალექტური ლექსი — ლექსთწყობაში: ლექსი, რომელსაც ბოლოში აკლია ერთი მარცვალი.

კატალიზ-ი ან კატალიზის-ი, ბერძ., ქიმიაში: ისეთი მოვლენა, როცა ესა თუ ის ნივთიერება თვითონ არ იცვლება ქიმიურად, მაგრამ აჩქარებს ან აგვიანებს ქიმიურ პროცესს; აქედან: კ ა ტ ა ლ ი ზ ი ს უ რ ა დ მოქმედ ნივთიერებებს ეწოდება კატალიზატორები.

კატალოგ-ი (ბერძ. katalogos), წიგნთსაცავში ან სხვაგან დაცული წიგნებისა ან ხელოვნების ნაწარმოებთა სია, — ნუსხა; აქედან: კატალოგიზაცია — კატალოგის შედგენა, კატალოგში შეტანა; კატალოგიზირება — იგივე მოქმედება: კატალოგიზატორ-ი — კატალოგის შემდგენელი.

კატაპლექსია ან კატაპლექსის-ი, ბერძ., მედიცინაში: დამბლის მაგვარი მდგომარეობა ცხოველისა ან ადამიანის, — გამოწვეულია შიშით.

კატაპულტა, ბერძ.-ლათ., ძველ ხალხთა ქვებისა და ისრების სატყორცნი მანქანა.

კატარაქტა, ბერძ.-ლათ.: 1) მედიცინაში: თვალის ავადმყოფობა, — მდგომარეობს თვალის ბროლის ამღვრევაში, მხედველობა სუსტდება; 2) მდინარის ჩანჩქერი ციცაბო ადგილებში; 3) ორთქლის მანქანების მოწყობილობა — მოძრაობის გასათანასწორებლად.

კატარ-ი (ბერძ. kata-rrein-საგან „ქვევით დენა"), რაიმე ორგანოს (ცხვირის, ყელის, ნაწლავების და სხვ.) ლორწოიანი გარსის ანთება; კატარალური ან უკეთ კატარული — კატარის ხასიათის მქონე.

კატასტროფა (ბერძ katastrophê). გადატრიალება, გარდაქმნა; შემაძრწუნებელი შემთხვევა; ერთბაში ცვლილება; საუბედუროდ რისიმე დაბოლოება; აქედან: კატასტროფათა თეორია ანუ კატასტროფიზმ-ი — გეოლოგიური თეორია, რომელიც ხსნის დედამიწის აგებულობის მოვლენებს შემთხვევითი და ერთბაში ცვლილებების გავლენით (უპირისპირდება ევოლუციურ თეორიას, იხ. ევოლუცია).

კატაფალკ-ი, იტ.-ევროპ. (ფრ. catafalque), კუბოს დასადგმელი ამაღლებული ადგილი; დასაკრძალავი ეტლი.

კატეგორია, ბერძ.: 1) რიგი; წყება; დარგი; განყოფილება, რომელიც შეიცავს რაიმე მხრივ მსგავს საგანთა კრებულს; 2) ფილოსოფიაში: გვარობითი ცნება; გონების აპრიორული (იხ.) ცნებანი, რომელნიც წარმოადგენენ აზრის აუცილებელ ფორმებს (კანტით, იხ.). — კატეგორიული — გადაწყვეტილი, გადაჭრითი; უცილობელი. — კატეგორიული იმპერატივი (იხ. იმპერატივი).

კატელოკ-ი, იხ. კოტელოკი.

კატერ-ი, პოლ., სანიჩბო ნავი; ერთანძიანი იალქნიანი ან ორთქლმავალი პატარა ხომალდი, კატარღა.

კატეტერ-ი, იხ. კათეტერი.

კატეტ-ი, კატეტომეტრ-ი, იხ. კათეტი, კათეტომეტრი.

კატეხიზის-ი (ბერძ. katechêsis), რომელსამე მოძღვრების კითხვა-პასუხით გადმოცემა; ამგვარად სწავლება (ჩვეულებრივ — ქრისტიანული მოძღვრებისა); კატეხიზმო (ბერძ.-ლათ. katechismus) — კითხვა-პასუხის ფორმით დაწერილი სასწავლო წიგნი, განსაკუთრებით — ქრისტიანული მოძღვრების შესასწავლად; აქედან: კატეხიზაცია — კითხვა-პასუხით სწავლება; კატეხიზირება — იგივე მოქმედება.

კატლეტ-ი ან კატლეთ-ი (ფრ. côtelette): 1) დაბეგვილი და შემწვარი ხორცის ნაჭერი ნეკნის ძვლითურთ; 2) დაკეპილი და მოხრაკული ხორცი, რომელსაც ურევენ გამხმარ დაფშვნილ პურს, კვერცხს და სხვ., — ფორმა აქვს მოგრძო პატარა ლავაშისა.

კატოდ-ი, იხ. კათოდი.

**კატოპტრიკა** (ბერძ. katoptrikê), ოპტიკის (იხ.) ნაწილი: მოძღვრება შუქთარეკლვისა და სარკეთა შესახებ.

**კატორგა** ან **კატორღა**, ბერძ.-რუს., რევოლუციამდე რუსეთში: მძიმე იძულებითი სამუშაოები, რომელსაც ასრულებინებდენ წინეთ პოლიტიკურსა და სხვა დამნაშავეებს უმეტესად ციმბირში (ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოისპო).

**კაუდალური** ან **კაუდალ-ი** (ლათ. კაუდა „კუდი"), კუდისკენ მიმართული, კუდის ახლოს ან კუდში მდებარე.

**კაუზალური** ან **კააუზალ-ი** (ლათ. causalis), მიზეზობრივი, რაიმე მიზეზით შეპირობებული; **კაუზალურობა** ან **კაუზალობა** — მიზეზობრიობა. — **კაუზალური მკურნალობა** — ავადმყოფობის ძირითადი მიზეზის მოსპობისაკენ მიმართული მკურნალობა. — **კაუზატივები** (მრავლ., ლათ. causativa), ასე ეწოდება გრამატიკაში ზმნის ფორმებს, რომელნიც აღნიშნავენ მოქმედების სხვისი საშუალებით შესრულებას, მაგ. ვაწერინებ, ვარეცხინებ და სხვ.

**კაუსტიკა** (ბერძ. kaystikos „მწვავე": 1) მედიცინაში: წყლულისა, ხორცმეტისა და სხვ. მოწვა მწვავე ნივთიერებით; 2) ფიზიკაში: გარდატეხილ ან ანარეკნ სხივთა გადაკვეთის ადგილი.

**კაუტსკი**, იხ. კაუცკი.

**კაუჩუკ-ი**, ამერიკულ-ევროპ. (ფრ. caoutchouc). რეზინა; ამერიკისა და ინდოეთის ზოგიერთ მცენარეთა ელასტიკური (იხ.) ფისი, რომლისაგანაც ამზადებენ მრავალგვარ ნივთებს.

**კაუცკი** (Kautsky), კ. ი. (დაიბ. 1854), ცნობილი გერმანელი ეკონომისტი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, გერმანიის სოც.-დემოკრატიის გამოჩენილი ხელმძღვანელი, მეორე ინტერნაციონალის ბელადი; მის შრომათაგან, სხვათა შორის, ცნობილია: „ერფურტის პროგრამა" (იხ.), „მარქსის ეკონომიური მოძღვრება", „აგრარული საკითხი" და მრ. სხვა; 1914 წლის შემდეგ მოჰყვა „დამოუკიდებელი" სოც.-დემოკრატიის რიგებში; რუსეთის რევოლუციისადმი განწყობილია მტრულად: მის წინააღმდეგ დაწერილია წერილები ლენინისა, ტროცკისა და სხვათა.

**კაფე**, არაბ.-ფრ. (café), ყავახანა; **კაფე-რესტორან-ი** — ისეთი კაფე, სადაც მოიპოება ცხელი და ცივი საჭმელები; **კაფე-შანტან-ი** — მსუბუქი და ზოგჯერ დაბალი ხარისხის დროს-გასატარებელი კაფე.

**კაფელ-ი** (რუს. кафель ან кафля გერმ. Kachel-ისაგან), ღრუ აგური, რომელიც გარედან მოჭიქულია, — იხმარება ღუმელებში, აგრეთვე — როგორც სახუროთმოძღვრო სამკაული.

**კაფსულ-ი**, იხ. კაპსული.

**კაქტუს-ი** (ბერძ. káktos), მრავალწლოვანი, ხორცოვან-ღეროიანი მცენარე, რომელსაც ფოთლები სუსტად აქვს განვითარებული; არსებობს რამდენიმე სახეობა, ზოგიერთის ნაყოფი იჭმება.

**კაშალოტ-ი**, ფრ., ვეშაპისებრთა ჯგუფის ძუძუმწოველი ცხოველი, — მისაგან მოიპოება ამბრა (იხ. სადაც შეცთომით დაბეჭდილია ამბარა), ზიპი და სპერმაცეტი (იხ.).

**კაშემირ-ი** ან **კაშმირ-ი**, მატყლის თხელი და რბილი ქსოვილი, — იქსოვება კაშმირში (ინდოეთშია) და ტიბეტში.

**კაშნე** (ფრ. cache-nez). ყელსახვევი შარფი (იხ.).

**კაჩეგარ-ი** (რუს. качегар). ცეცხლ-ფარეში; ცეცხლის შემკეთებელი.

**კაჩუჩა**, ისპ., ისპანური ხალხური ცეკვა..

**კებ-ი** (ინგლ. cab), ერთგვარი კაბრიოლეტი (იხ.); ერთცხენ-შესაბმელი ორგოგრიანი ეტლი.

**კეგელ-ი** ან **კეგლ-ი**, გერმ.: 1) სატამბო შრიფტის ზომა; 2) ერთგვარი თამაში ხის ბურთებით; აქედან: **კეგელბან-ი** (გერმ. Kegelbahn) — კეგლის სათამაშო ფიცარნაგი.

**კედრ-ი** (ბერძ. კედროს). წიწვოვანთა ოჯახის ხე, — მისი სხვადასხვა სახეობა იზრდება როგორც თბილ, ისე ცივ ქვეყნებშიც; ცნობილია სიმტკიცითა და ხანგრძლივობით, ზოგიერთი სახეობის ნაყოფი იჭმება.

**კეისარ-ი** (ლათ. caesar), რომის იმპერატორთა ტიტული.

**კეკს-ი**, იხ. კექსი.

**კეკ-უოკ-ი** (ინგლ. cake-walk), ერთგვარი ამერიკული ცეკვა.

**კელარი** (ლათ. cellarius), მონასტრის საჭეურნეო ნაწილის გამგე.

**კელია**, ბერძ.: 1) ბერ-მონაზონთა სენაკი (პატარა ოთახი); 2) გადატან. მნიშვნ.: მყუდრო და მდაბიო ბინა.

**კელნერ-ი** (გერმ. Kellner). რესტორანის მსახური, ლაქია.

**კელტები** (მრავლ., ლათ. celti), ინდო-ევროპული ტომის ხალხი, რომელსაც ძველად ეჭირა ევროპის დიდი ნაწილი (მაგ. თანამედროვე საფრანგეთში, ინგლისში და სხვ.); მათი ნაშთია დღეს ბრეტანში, ირლანდიაში და შოტლანდიაში; აქედან: კელტური ენები — ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის ერთი შტო, — ძველ და დღევანდელ კელტთა ენა.

**კემბრიკ-ი** (ინგლ. cambric), ბამბის თხელი ქსოვილი; ბატისტი.

**კენგურუ**, მალ., მაღალ-ფეხიანთა ოჯახის ბალახის მჭამელი პარკიანი ცხოველი ავსტრალიასა და პოლინეზიაში.

**კენოტაფი** (ბერძ. კენოს „ცარიელი", taphos „კუბო"), გარდაცვალებულის მოსაგონარი ძეგლი, რომელიც დადგმულია არა მის საფლავზე.

**კენოტოქსინ-ი** (ბერძ. კენოს „ცარიელი", იხ. ტოქსინ-ი), შხამიანი ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება ორგანიზმში ზომაზე მეტი დაღლის გამო.

**კენტავრები** (მრავლ.), ბერძ., ძველ ბერძენთა მითოლოგიით: თესალიის (საბერძნ.) ველური ხალხი — მხეცური მიდრეკილებებით; გამოიხატებოდა ცხენის სხეულითა და ადამიანის თავით.

**კეპი**, ფრ., ფართე წინაფრიანი სამხედრო ქუდი.

**კეპლერ-ი** (Kepler, 1571—1630), გამოჩენილი გერმანელი ასტრონომი, — მისი სახელით ცნობილია მის მიერ აღმოჩენილი და დადგენილი კანონები პლანეტთა მოძრაობისა მზის გარშემო.

**კერამიკა** (ბერძ. კერამოს-ისაგან „თიხა"), თიხის ჭურჭლეულობის კეთების ხელოვნება, ქართულად: მეკეცეობა; კერამოგრაფიკა — მხატვრობა თიხის ნაწარმოებზე.

**კერატინ-ი**, ბერძ. ხელოვნ. (კერას.-ატოს-ისაგან „რქა"), რქოვანი ქსოვილის მთავარი ნაწილი; აქედან: კერატიტ-ი ან კერატიტის-ი — თვალის რქოვანი გარსის ანთება; კერატოლითები (მრავლ.) — გაქვავებული რქები.

**კეროსინ-ი**, ბერძ.-რუს. (ბერძ. kêros-ისაგან „ცვილი"), სანათობელი ზეთი, რომელიც მოიპოება ნავთისაგან გამოხდისა და ქიმიური დამუშავების საშუალებით.

**კესონ-ი** (ფრ. caisson „ყუთი"), ხის ან ლითონის უფსკერო ყუთი, რომელშიც მოთავსებულია მუშები და რომელსაც უშვებენ მდინარის ან ზღვის ფსკერზე საწყალქვეშო სამუშაოსათვის.

**კეტა**, ბერძ.-ლათ., ორაგულის ოჯახის თევზი, — ცხოვრობს წყნარ ოკეანეში; აქედან: კეტის ხიზილალა — მსხვილ-მარცვალა წითელი ხიზილალა.

**კეტგუტ-ი** (ინგლ. catgut „ნაწლავის სიმი"), კარბოლის სიმჟავის ხსნარით გაჟღენთილი ძაფი ცხოველის ნაწლავისაგან, — იხმარება ჭრილობის ამოსაკერავად ოპერაციის დროს.

**კეფალ-ი**, ბერძ., ერთგვარი პატარა თევზი მჩხვლეტ-ფრთოვანთა ოჯახისა, — ცხოვრობს შავ ზღვაში, ხმელთაშუა ზღვაში და სხვ.

**კეფალიტის-ი**, ბერძ. ხელოვნ. (kephalê-საგან „თავი"), მედიცინაში: თავის ტვინის ანთება, — კეფალომეტრ-ი — ახლადშობილის თავის გასაზომი ხელსაწყო.

**კეფირ-ი**, თურქ., ძროხის რძისაგან მომზადებული სამკურნალო სასმელი.

**კექს-ი** (ინგლ. cake, მრავლ.), ერთგვარი ინგლისური ტკბილეული ნამცხვარი.

**კვაგა** (ჰოტენტ. quagga), სამხრეთ-აფრიკის გარეული ცხენი, იხ. ზებრა.

**კვადრანტ-ი** (ლათ. „ოთხკუთხის მკეთებელი"): 1) ასტრონომიაში: ცის მნათობთა სიმაღლის გასაზომი იარაღი; 2) მათემატიკაში: წრის მეოთხედი ნაწილი; 3) არტილერიაში: ზუსტად სამიზნებელი ხელსაწყო.

**კვადრატ-ი** (ლათ. quadratum), მათემატიკაში: მართკუთხი (სწორკუთხებიანი) ოთხკუთხედი; ამა თუ იმ რიცხვის (ან ალგებრული სიდიდის) თავისთავზე ერთჯერ ნამრავლი. — კვადრატული — კვადრატის ხასიათის მქონე: ოთხტოლ-გვერდიანი და ტოლ (მართ)-კუთხიანი; თავისთავზე ერთჯერ ნამრავლი.

**კვადრატურა**, ლათ., კვადრატული ფართობი, რომელიც უდრის არაკვადრატულ ფართობს. — წრის კვადრატურა — ისეთი კვადრატის აგება, რომელიც თავისი ფართობით უდრის განსაზღვრული რადიუსის წრეს — გადაუწყვეტადი ამოცანა; აქედან გადატ. მნიშვნ.: ყოველგვარი შეუძლებელი რამ.

კვადრიგა ან ქვადრიგა (ლათ. quadriga), ძველ რომაელთა ორგოგრიანი ოთხცხენ-შესაბმელი ეტლი.

კვადრივიუმ-ი ან ქვადრივიუმ-ი, ლათ., ოთხი სასწავლო საგანი საშუალო საუკუნეებში: მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია და ასტრონომია.

კვადრილიონ-ი ან ქვადრილიონ-ი, ლათ.-ფრ. მილიონი მეოთხე ხარისხში.

კვაკერები (მრავლ., ინგლ. quakers „მთრთოლნი"), ქრისტ. რელიგიური სექტის წევრები ინგლისსა და ამერიკაში, — უარჰყოფენ სამღვდელოებას, საეკლესიო წესებს, სამხედრო სამსახურს, განცხრომით ცხოვრებას და სხვ.; კვაკერთა სექტა წარმოიშვა 17 საუკუნეში.

კვალიტატიური — იხ. ქვალიტატიური.

კვალიფიკაცია, ლათ.-ევროპ. (ფრ. qualification, ლათ. qualis „როგორი"): 1) საერთოდ: რისამე აღნიშვნა განსაზღვრული ნიშნებით; რაიმე საგნის ან მოვლენის თვისება-ღირსების განსაზღვრა, — დახასიათება; კვალიფიცირება — იგივე მოქმედება; 2) სისხლის სამართალში: გამოყოფა ისეთ დანაშაულობათა, რომელთათვისაც სასჯელი ძლიერდება. — კვალიფიკაციური ან უკეთ კვალიფიცირებული — განსაზღვრული ღირსებებით აღჭურვილი, მაგ. კვალიფიცირებული მუშა — განსაზღვრულ ხელობაში დახელოვნებული, მომზადებული მუშა; კვალიფიცირებული შრომა — დახელოვნებული მუშა-სპეციალისტის შრომა. — საკვალიფიკაციო — ის, რაც კვალიფიკაციისათვისაა დანიშნული; — მაკვალიფიკაცირებელი — კვალიფიკაციის მომხდენი.

კვანტ-, იხ. ქვანტ-.

კვარტა ან ქვარტა (ლათ. quartus, a, um „მეოთხე"): 1) საერთოდ: რისამე მეოთხედი; 2) ფხვიერად და თხევად სხეულთა საზომი სხვადასხვა ქვეყნებში (უდრის 1½ ლიტრს); 2) მუსიკაში: დიატონიკური გამის (იხ.) მეოთხე საფეხური; მეოთხე სიმი სამუსიკო ინსტრუმენტებში.

კვარტალ-ი ან ქვარტალ-ი, ახ.-ლათ. (ლათ. quartus-ისაგან „მეოთხე"): 1) შენობებით დაკავებული მიწის ოთხკუთხი ნაჭერი; 2) ტყის ნაწილი ერთი გადასახვევიდან მეორემდე; 3) უბანი, ქალაქის ნაწილი, რომელსაც წინეთ განაგებდა უბნის ზედამხედველი; 4) გზებითა და ნაკადულებით შემოზღვრული ნაწილი ტყისა.

კვარტერ-ი ან ქვარტერ-ი (ლათ.-ინგლ. quarter „მეოთხედი"), ინგლისური ხორბლეულის საწყაო, უდრის 23 ლიტრს.

კვარტერონ-ი ან ქვარტერონ-ი (ისპ. cuarteron), ევროპელისა და მეტისისაგან (იხ. მეტისი) შობილი.

კვარტეტ-ი ან ქვარტეტ-ი (ლათ.-იტალ. quartetto): 1) ოთხი ხმისათვის ან ოთხი სამუსიკო ინსტრუმენტისათვის დაწერილი ნაწარმოები; 2) ასეთი ნაწარმოების ოთხი შემსრულებელი ერთად.

კვარტირმეისტერ-ი (ფრ. quartier „ბინა", გერმ. Meister), ჯარისკაცთა სადგომების გამგე.

კვარცი ან ქვარც-ი, გერმ., კაჟურისაგან შემდგარი მინერალი, — გარეგნობით ჰგავს მთის ბროლს. — ქვარციტ-ი — ქანი (მთის ჯიში), — წარმოადგენს სილაქვის სახეობას, იხმარება შენობათა შესამკობად.

კვას-ი, რუს., რუსული მჟავე სასმელი; აკეთებენ პურისაგან ან ხილეულისაგან; ბურახი.

კვასია ან ქვასია (quassia), მცენარე, შხამიანი ხე, რომლისაგანაც ამზადებენ ბუზების დასახოცი სითხეს; იხმარება აგრეთვე მედიცინაში.

კვატერნა ან ქვატერნა, ლათ., ლოტოს თამაშში: ერთ რიგში ოთხი დახურული ნომერი.

კვესტორ-ი ან ქვესტორ-ი (ლათ. questor): 1) ძველ რომში: ფინანსებისა და ხაზინის გამგე მოხელე; 2) სამეურნეო ნაწილის გამგე გერმან. უნივერსიტეტში; 3) ანგარიშის მწარმოებელი მოხელე საფრანგეთის პარლამენტში. — კვესტურა ან ქვესტურა — : 1) ქვესტორის თანამდებობა ან მისი ამ თანამდებობაში ყოფნის ხანგრძლიობა; 2) ქვესტორთა კრებული.

კვიეტიზმ-ი ან ქვიეტიზმ-ი (ლათ. quies,-tis-ისაგან „სიმშვიდე"): 1) რელიგიური მიმართულება 17 საუკ., — მოითხოვს ცხოვრების უარყოფას და სულის სრულს უმოქმედობას; 2) საერთოდ: სულის სიმშვიდე, გადაჭარბებული გულგრილობა ცხოვრების მოვლენებისადმი; აქედან: ქვიეტისტები (მრავლ.) — კვიეტიზმის (იხ. 1) მიმდევარნი.

კვინკვილიონ-ი ან ქვინქვილიონი, ლათ.-ფრ., მილიონი მეხუთე ხარისხში.

კვინტა ან ქვინტა (ლათ. quintus, a, um „მეხუთე"): 1) დიატონიკური გამის (იხ.) მეხუთე

საფეხური; 2) ვიოლინოს ყველაზე მაღალ-ტონიანი სიმი.

კვინტეტ-ი ან ქვინტეტ-ი (ლათ.-იტ., იხ. კვინტა. იტ. quintetto): 1) ხუთი ხმისათვის ან ხუთი სამუსიკო ინსტრუმენტისათვის დაწერილი ნაწარმოები; 2) ასეთი ნაწარმოების ხუთი შემსრულებელი ერთად.

კვინტ-ესენცია ან ქვინტ-ესენცია (ლათ. quintus „მეხუთე", იხ. ესენცია): 1) მეხუთე ელემენტი — მიწისა, ცეცხლისა, წყლისა და ჰაერის გარდა (ძველსა და საშ. საუკ. ფილოსოფიაში); 2) რაიმე ნივთიერების ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ექსტრაქტი (იხ.); 3) გადატ. მნიშვნ.: რისამე უმთავრესი რამ, მისი არსი; რისამე საუკეთესო ძირითადი ნაწილი.

კვიპაროზ-ი (ბერძ. kypárissos), მუდმივ მწვანე. წიწვოვანთა ოჯახის მაღალი ხე; მწუხარების ემბლემა.

კვირინალ-ი ან ქვირინალ-ი (ლათ. Quirinalis): 1) რომის ერთერთი შვიდ გორაკთაგანი, რომელზედაც აშენებულია მეფის სასახლე; ასე ეწოდება აგრეთვე თვით სასახლესაც; 2) გადატ. მნიშვნ.: იტალიის მეფის ტახტი რომის პაპისასთან დაპირისპირებით (იხ. ვატიკანი).

კვირიტები ან ქვირიტები (მრავლ., ლათ. quirites). ძველი რომის სრულუფლებიანი მოქალაქეები.

კვიტანცია (ფრ. quittance), ჩაბარების ხელწერილი.

კვორუმ-ი ან ქვორუმ-ი, ლათ.-ევროპ., რაიმე კრების დამსწრე წევრთა რიცხვი, რომელიც აუცილებელია ამ კრებაზე მიღებულ დადგენილებათა კანონიერებისათვის.

კითარა, ბერძ., ძველებური სამუსიკო სიმებიანი ინსტრუმენტი.

კი-ი, სლავ., ბილიარდზე სათამაშო ბირთვების საჯახებელი ჯოხი.

კიკიმორა, სლავ., სახლის ჭინკა, ალი; საერთოდ: საშინელება.

კიკლიკები ან ციკლიკები (მრავლ. ბერძ. kyklikós-ისაგან), ძველი პოეტები, ჰომეროსის მიბაძვით შემქმნელი პოემათა, რომელნიც შეიცავდენ მითიურ თქმულებათა მთელ ციკლს (იხ.).

კიკლოპ-ი, იხ. ციკლოპი.

კილვატერ-ი, ჰოლ., ხომალდის მიერ დატოვებული კვალი წყალზე; კილვატერული წყობა — სამხედრო ხომალდთა ისეთი წყობა, როცა ისინი ერთიმეორეს მისდევენ.

კილ-ი (გერმ. Kiel), საზღვაო ხომალდის ძირითადი ოთხწახნაგოვანი ძელი, რომელიც ანიჭებს ხომალდს მდეგრობას.

კილო, ბერძ.-ევრ. (ბერძ. chílioi-საგან „ათასი"): 1) ემატება ფრანგულ ზომათა ამა თუ იმ ერთეულს და ამრავლებს მას ათასჯერ, მაგ.: კილოგრამ-ი—ათასი გრამი (იხ.), კილოლიტრ-ი — ათასი ლიტრი (იხ.), კილომეტრ-ი — ათასი მეტრი (იხ.); 2) საყოველდღეო ცხოვრებაში კილო იხმარება კ ი ლ ო გ რ ა მ ი ს ნაცვლად.

კილოგრამომეტრ-ი (იხ. კილო, გრამი და მეტრი), მექანიკური მუშაობის საზომი ერთეული, სახელდობრ: ერთი კილოგრამის ამწევი ძალა ერთი მეტრის სიმაღლეზე.

კილოვატ-ი ან კილოუატ-ი — ათასი უატი (იხ.); კილოუატ-საათი — ელექტრო-ტექნიკაში: ენერგიის პრაქტიკული ერთეული, რომელიც მიიღება ერთ საათში ერთი კილოუატის სიძლიერისაგან.

კიმბალ-ი ან ციმბალ-ი (ბერძ. kymbalon), ძველ ებრაელთა დარტყმითი სამუსიკო ინსტრუმენტი, — წარმოადგენდა სპილენძის თეფშებს.

კიმოგრაფ-ი, ბერძ. ხელოვნ. (kyma „ტალღა", gráphō „ვწერ"), სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესთა გრაფიკულად აღმნიშვნელი ხელსაწყო, — წარმოადგენს გამურული ქაღალდით დაფარულ ტრიალა დაფს (იხმარება ფონეტიკურ კვლევაშიც).

კინემატიკა (ბერძ. kinēma,-atos „მოძრაობა"), მექანიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს მოძრაობას — მისი ფიზიკური მიზეზებისაგან (ე. ი. მისი გამომწვევი ძალებისაგან) დამოუკიდებლივ.

კინემატოგრაფ-ი (ბერძ. kinēma,-atos „მოძრაობა", gráphō „ვწერ"), ედისონის (იხ.) მიერ გამოგონილი და შემდეგ გაუმჯობესებული მოწყობილობა, რომელიც გადმოგვცემს ეკრანზე (იხ.) მოძრავ ფოტოგრაფიულ გამოსახულებებს: მოძრაობის შთაბეჭდილებას ჰქმნის ამ გამოსახულებათა ზედიზედ სწრაფი თანმიყოლება.

**კინეტიკა** (ბერძ. kinēsis-ისაგან „მოძრაობა"), მექანიკის ნაწილი, — იკვლევს საკითხებს ძალების შესახებ და ძალების გავლენით გამოწვეული მოძრაობის შესახებ; აქედან: **კინეტიკური** — მოძრაობის მიმნიჭებელი, მოძრაობითი; **კინეტიკური ენერგია** — მოძრაობის მოქმედი ძალა, ცხადი ენერგია (პოტენციური ენერგიისაგან განსხვავებულად); **აირთა (გაზთა) კინეტიკური თეორია** — თეორია, რომელსაც აირები (გაზები) მიაჩნია შედგენილად უმცირეს ნაწილაკთაგან, რომელნიც მოძრაობენ ყოველი მიმართულებით.

**კინეტოგრაფ-ი**, ბერძ. ხელოვნ. (kinēsis „მოძრაობა", graphō „ვწერ"), კინემატოგრაფისათვის სურათების გადასაღები ხელსაწყო.

**კინიკები** (მრავლ.), იგივეა რაც ცინიკები (იხ.).

**კინო**, კინემატოგრაფის შემოკლებული სახელწოდება — აქედან: **კინო-არტისტ-ი** — საკინემატოგრაფო მსახიობი; **კინო-სტუდია** — საკინემატოგრაფო მსახიობთა მოსამზადებელი სკოლა.

**კინობარი**, არაბ.-ბერძ., ერთგვარი მინერალი, გოგირდოვანი ვერცხლის წყალი, — იხმარება როგორც წითელი საღებავი; ქართულად: სინგური.

**კინტალის კონფერენცია**, იხ. ციმერვალდის კონფერენცია.

**კიოსკ-ი**, სპარს.-თურქ.: 1) აღმოსავლურ გემოზე მორთული ფანჩატური; 2) პატარა სახელდახელო სავაჭრო შენობა ქუჩაზე ან ბაღში.

**კიპარის-ი**, იგივეა რაც კვიპაროზი (იხ.).

**კიპერ-ი** (გერმ. köper), ირიბად ნაქსოვი ქსოვილი.

**კიპრეგელ-ი** (გერმ. kippen „ბარბაცი, რხევა", ფრ. règle „სახაზავი"), სატოპოგრაფიო ხელსაწყო ჰორიზონტალ და ვერტიკალ კუთხეთა მანძილის გამოსაკვლევად.

**კიპრიდა ან კვიპრიდ-ი**, ბერძ. საკ. სახ., აფროდიტის სახელწოდება კუნძულ კვიპროსის მიხედვით, სადაც გავრცელებული იყო მისი კულტი (იხ.).

**კიპსეკ-ი** (ინგლ. keepsake): 1) საჯიბე წიგნაკი; 2) ძვირფასად გამოცემული გრავიურებიანი წიგნი, ალბომი და სხვ.

**კირას-ი** (ფრ. cuirrasse), გულმკერდისა და ზურგზე ჩასაცმელი ჯავშანი; აქედან: **კირასირები** (მრავლ) — კირასებ-ჩაცმული მძიმე კავალერია.

**კირენაიკები ანუ კირენლები** (მრავლ.) — ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლა, რომელიც დააარსა ქ. კირენეში (kyrēnē) არისტიპოსმა (Aristippos), — სიამოვნება მიაჩნდათ უდიდეს სათნოებად (შემდეგ შეუერთდა ეპიკურელთა სკოლას, იხ. ეპიკურეიზმი).

**კირიელეისონ** (ბერძ. kyrie eleison), უფალო შეგვიწყალე!

**კირკა**: 1) გერმ. kirche-საგან — ლუტერანთა ტაძარი; 2) რუს. кирка — წერაქვი.

**კირილიცა** (სლავ. кириллица), ერთერთი ძველ სლავურ ანბანთაგანი, რომლის შედგენასაც მიაწერენ წმ. კირილეს (9 საუკ. ქ. შ.), იხ. გლაგოლიცა.

**კირშვასერ-ი** (გერმ. Kirschwasser „ალუბლის წყალი"), ალუბლისაგან გამონახადი სასმელი.

**კისეია**, თურქ., ბამბის თხელი ქსოვილი; მარმაში.

**კისტა ან უკეთ კისტის-ი** (ბერძ. kystis „ბუშტი"), მედიცინაში: პარკისებრი სიმსივნე, — ჩნდება ადამიანის ქსოვილებსა და ორგანოებში (უფრო ხშირად — ქალის საშვილოსნოში), — შეიცავს თხევად ან ფაფისებრ ნივთიერებას.

**კისტ-ი** (რუს. кисть), ფოჩი.

**კიტელ-ი** (გერმ. Kittel), საზაფხულო ზედატანის საცმელი, — იკერება ჩვეულებრივ მსუბუქი თეთრი მატერიისაგან.

**კიუვეტ-ი** (ფრ. cuvette), პატარა ვანა, აბაზანაკი — იხმარება, მაგ. ფოტოგრაფიაში.

**კიულოტ-ი** (ფრ. culotte „შალვარი"), მოკლე შალვარი, რომელსაც იცვამდენ საფრანგეთში მაღალი კლასების წარმომადგენლები 19 ს. დასაწყისამდე (იხ. სანკიულოტები).

**კიუმელი** (გერმ. Kümmel), ზირა-მცენარისაგან დამზადებული არაყი.

**კიურასო ან კურასაო** (Curaçao), კუნძულ კურასაოზე (კარაიბის ზღვაში) ფორთოხლისაგან დამზადებული ლიქორი (იხ.).

**კიფარა**, იხ. კითარა.

**კიფოზ-ი ან კიფოზის-ი** (ბერძ. kyphōs „მრუდე, მოღუნული"), ხერხემლის გამრუდება ტუბერკულოზის (იხ.) გამო.

კლავესინ-ი, ლათ.-ფრ., ძველებური სამუსიკო ინსტრუმენტი. რომლისაგანაც განვითარდა ფორტეპიანო (იხ.).

კლავიატურა, ლათ.-ევროპ. (ლათ. clavis-ისაგან „გასაღები, კლიტე"), სამუსიკო ინსტრუმენტის კლავიშების (იხ.) ერთობლიობა (ასე უწოდებენ აგრეთვე საწერი მანქანისა, ასაწყობი მანქანისა და სხვ. კლავიშებს).

კლავიკორდ-ი, ლათ.ბერძ. (ლათ. clavis „გასაღები", ბერძ. chordê „სიმი"), იგივეა რაც კლავესინი (იხ.).

კლავიშ-ი, ლათ.-ევროპ. (ლათ. clavis-ისაგან „გასაღები"). ხის ან ძვლის თვითეული ფირფიტა ფორტეპიანოზე, რომელიც ამ ფირფიტაზე თითის დარტყმით გამოსცემს შესაფერ ხმას (კლავიშები აქვს აგრეთვე საწერსა და ასაწყობ მანქანას და სხვ.).

კლაკა ან კლაკ-ი (ფრ. claque „ტაშის ცემა"). კლაკერთა (დაქირავებულ ტაშის დამკვრელთა) ჯგუფი თეატრში; აქედან: კლაკიორ-ი ან უკეთ კლაკერ-ი — დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კლაკის წევრი.

კლან-ი, კელტ., გვაროვნული თემი კელტებში (შოტლანდიაში, ირლანდიაში და სხვ.); საერთოდ: გვაროვნული თემი.

კლაპან-ი (რუს. клапан გერმ. Klappe-საგან). სარქველი: 1) რაიმე მანქანაში ან შთასაბერ სამუსიკო ინსტრუმენტში: ჭუჭრუტანის მჭიდროდ დასაცობი ამა თუ იმ სიდიდის მოძრავი ფირფიტა; 2) ანატომიაში: კლაპანები—ღრუების დასახშველი აპკისებრი ნაოჭები, მაგ. გულში. ვენებში და სხვ.

კლარეტ-ი (ინგლ. claret): 1) მსუბუქი, თეთრი შუშხუნა ღვინო; 2) ასე უწოდებენ ინგლისში ბორდოულ წითელ ღვინოებს (იხ. ბორდო).

კლარნეტ-ი (იტ. clarinetto), შთასაბერი სამუსიკო ინსტრუმენტი, — წარმოადგენს ჭუჭრუტანებიან ხის მილს.

კლას-ი (ლათ. classis „წყება, რიგი, წესრიგი"), ჯგუფი: 1) ერთგვარ საგანთა ან მოვლენათა ერთობლიობა; 2) ჯგუფი ერთნაირი მომზადების მქონე მოწაფეთა სკოლაში, რომელნიც გაკვეთილის დროს იმყოფებიან ერთ ოთახში; აგრეთვე — თვით ეს ოთახი; 3) საზოგადოებრივი ჯგუფი ადამიანთა, რომელთაც აერთიანებს მათი საერთო როლი წარმოებაში, ერთნაირი დამოკიდებულება წარმოების სხვა მონაწილეებთან. აქედან გამომდინარე ერთნაირობა მათი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებისა და სხვა კლასებთან მოპირდაპირობისა; კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს ორი ძირითადი კლასი: ბურჟუაზია და პროლეტარიატი (იხ.); აქედან: კლასთა ბრძოლა — ბრძოლა საზოგადოებრივ კლასთა შორის მათი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ურთიერთ დაპირისპირებისა და შეხლის გამო; კლასთა ბრძოლა იღებს სხვადასხვა ფორმებს იმის მიხედვით, თუ რა საშუალებებს მიმართავს ესა თუ ის კლასი თავისი ინტერესების დასაცავად და ხელისუფლების დასაპყრობად.

კლასიკ-ი ან კლასიკოს-ი, ლათ.-ევროპ. (ფრ. classique): 1) ძველი ბერძენი ან ძვ. რომაელი მწერალი; 2) სანიმუშო მწერალი: 3) კლასიციზმის (იხ.) მიმდევარი. — აქედან: კლასიკური—1) ძველი ბერძნული და რომაული; 2) სანიმუშო სამაგალითო, მშვენიერი. — კლასიკური სკოლა პოლიტიკურ ეკონომიაში—ასე ეწოდება ბურჟუაზიულ ეკონომისტთა — უმთავრესად ა დ ა მ ს მ ი თ-ი ს ა (Smith, 1723—1790) და დ ა ვ ი დ რ ი კ ა რ დ ო-ს (1772 — 1823) — შრომებს. რომლებმაც გზა გაუკაფეს კ. მ ა რ ქ ს ი ს მეცნიერულ პოლიტიკურ ეკონომიას.

კლასიფიკაცია (ლათ. classis და facere „კეთება"), განდასება: საგანთა და მოვლენათა დაჯგუფება კლასებად, გვარებად, სახეებად და სხვ. — მათი მსგავსებისა და განსხვავების მიხედვით: აქედან: კლასიფიცირება — იგივე მოქმედება.

კლასიციზმ-ი (ლათ. classicus-ისაგან), „კლასიკურობა": 1) მწერლობასა და ხელოვნებაში ისეთი მიმართულება, რომელიც მოითხოვს ნაწარმოებთა ფორმის დასრულებულობას და მუდმივობას, — რაც თავის მხრივ უნდა ემყარებოდეს კლასიკურ (სანიმუშოდ ცნობილ) ნაწარმოებთა შესწავლაზე: 2) ფ რ ა ნ გ უ ლ ი კ ლ ა ს ი ც ი ზ მ ი (ეწოდება აგრეთვე ც რ უ კ ლ ა ს ი ც ი ზ მ ი და ა ხ ა ლ ი კ ლ ა ს ი ც ი ზ მ ი) — ლიტერატურული მიმართულება, რომელიც გამოიხატება ძველი ბერძნული ნიმუშებისადმი მიბაძვაში (განსაკუთრ. ლირიკასა და დრამაში ) და რომელმაც განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია საფრანგეთში (17 ს.)-

3) სკოლაში: ძველ კლასიკურ (ბერძნულ და რომაულ) ენასა და მწერლობაზე დამყარებული განათლება.

**კლასობრივი ბრძოლა,** იხ. კლასი, კლასთა ბრძოლა.

**კლევერ-ი,** გერმ.-რუს., სამყურა (ბალახი).

**კლევრეტ-ი,** ბერძ.-ლათ. (ქართულში რუსულიდან), მომხრე, თანამოაზრე (უმეტეს ნაწილად — ცუდ საქმეში).

**კლეინოდები** (მრავლ., გერმ. Kleinod „განძი, საუნჯე"), სამხედრო ნიშნები ძველ პოლონეთსა და ზაპოროჟიელ (იხ.) კაზაკებში.

**კლეისტერ-ი,** გერმ., სახამებლისაგან (ან ფქვილისაგან) მომზადებული საწებავი მასალა, — წებო.

**კლეპსიდრა** (ბერძ. kléptein „პარვა, მალვა", hydór „წყალი"), ძველებური წყლის საათი.

**კლეპტომანია** (ბერძ. kléptein „პარვა", mania „სიგიჟე"), ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; აქედან: **კლეპტომან-ი** — ასეთი ავადმყოფობით შეპყრობილი.

**კლერ-ი** (ფრ. clair „ნათელი, სუფთა"), ძვლის დაწმენდილი ფერფლი, — იხმარება სასინჯი ფინჯნების დასამზადებლად.

**კლერიკ-ი** (ლათ. clericus), კათოლიკეთა სასულიერო პირი; აქედან: **კლერიკალ-ი** — მომხრე იმ პარტიისა, რომელსაც სურს მოუპოვოს გავლენა ეკლესიას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე სახელმწიფოში; **კლერიკალიზმ-ი** — კლერიკალთა მიმართულება; **კლერიკალური** — ეკლესიური, სასულიერო; **კლერიკალური პარტია** — პოლიტიკური პარტია, რომელსაც სურს სასულიერო ხელისუფლების გაძლიერება.

**კლერკ-ი,** ლათ.-ევროპ.: 1) საფრანგეთში — ახალგაზდა, რომელიც ემზადება ადვოკატის, ნოტარიუსის და სხვ. თანამდებობისათვის; 2) ინგლისში — საერთოდ: მცირე მოხელე; კანტორის მოხელე, მწერელი, ნოქარი და სხვ.; 3) სასულიერო პირი.

**კლერ-ობსკურ-ი** (ფრ. clair „ნათელი", obscur „ბნელი"), მხატვრობაში: სინათლისა და ჩრდილის შეხამება.

**კლეფტები** (მრავლ., ბერძ. kléptes „ქურდები"), ბერძენი ყაჩაღები, რომელნიც ებრძოდნენ ოსმალეთს საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის (იხ. არმატოლები).

**კლეცკ-ი, კლეცკები** (გერმ. Klötzchen; რუს. клёцка), კვერცხის ცილასა და ერბოზე მომზადებული ცომის ბურთულები წვენში.

**კლიაუზ-ი ან კლაუზ-ი** (რუს. кляуза, ლათ. clausula-საგან „დასკვნა, კანონის მუხლი"), დახლართული გარემოება ამა თუ იმ საქმეში; ცრუ დაბეზღება; შარი. — **კლაუზნიკ-ი** (რუს. დაბოლოებით) — შარიანი, მაბეზღარი და სხვა ასეთი.

**კლიენტელა,** ლათ., ღარიბთა და მდიდართა ისეთი ურთიერთობა ძველად, როცა ღარიბი იძულებული იყო მიემართა მდიდრის მფარველობისათვის, რის გამოც ხდებოდა მისგან დამოკიდებული.

**კლიენტ-ი** (ლათ. cliens,-ntis): 1) ძველ რომში: პატრიციისაგან დამოკიდებული ან მის მფარველობაში მყოფი პიროვნება; 2) თავისი საქმის გაძღოლის მიმნდობი სხვისათვის (მაგ. მარწმუნებელი—ადვოკატის მიმართ); 3) მუდმივი დამკვეთი ან მყიდველი (მაგ. მუშტარი გამყიდველის ან ხელოსნის მიმართ); აქედან: **კლიენტურა** — კლიენტთა ერთობლიობა.

**კლივაჟ-ი** (ფრ. clivage „გასკდომა, გაბზარვა"), ბუნებრივი ბზარი ძვირფას ქვაში.

**კლივერ-ი,** ჰოლ., სამკუთხი იალქანი ხომალდის წინა ნაწილზე.

**კლიზმა** (ბერძ. klysma „გამოვლება, გამორეცხა"), ოყნა: პირდაპირ ნაწლავში რაიმე სითხის შეტანა გამოწმენდის მიზნით; აგრეთვე — თვით სითხის შესატანი ხელსაწყო.

**კლიკა ან კლიკ-ი** (ფრ. clique), ცუდი მიზნებით შეკავშირებული ჯგუფი.

**კლიმატ-ი** (ბერძ. klima,-atos), ჰავა: ამა თუ იმ ქვეყნის მეტეოროლოგიური (იხ.) და ნიადაგის პირობები; აქედან: **კლიმატოგრაფია** — ჰავის აღწერა; **კლიმატოლოგია**—მეცნიერება, რომელიც იკვლევს ჰავის გავლენას ადამიანზე, მცენარეზე და სხვ.; **კლიმატოთერაპია** — ავადმყოფობათა მკურნალობა ჰავის შემწეობით.

**კლიმაქს-ი,** ბერძ. („კიბე"), თანდათანობით ასვლა, ამაღლება; გრადაცია (იხ.); აქედან: **კლიმაქტერიკული** (klimakterikós), თანდათანობით, ზრდადი: **კლიმაქტერიკული ხანა** — ქალის თვიურის შეწყვეტის ხანა; **კლიმაქტერიკული ასაკი**—

ქალის 40 — 50 წლის ასაკი, როცა მას უწყდება თვიური.

კლინიკა (ბერძ. klinê-საგან „საწოლი"), საავადმყოფო უმაღლეს სამკურნალო სკოლასთან, სადაც სწავლობენ მკურნალობას ავადმყოფებზე დაკვირვების გზით: აქედან: კლინიკური — კლინიკის ხასიათის მქონე; კლინიკაში მომხდარი ან შესრულებული; კლინიკური კვლევა — ამა თუ იმ ავადმყოფობის განვითარებისა, მსვლელობისა და სხვ. კვლევა თვით ავადმყოფზე. — კლინიცისტ-ი — კლინიკურ მუშაობაში დახელოვნებული მეცნიერი ექიმი.

კლინომეტრ-ი (ბერძ. klinein „დახრა, მოხრა", métron „ზომა, საზომი"), დახრის საზომი ხელსაწყო (მაგ. ხომალდის დახრისა).

კლიო (ბერძ. Kleió), ბერძნ. მითოლ.: ერთ-ერთი ცხრა მუზათაგანი — ისტორიის მუზა.

კლიპერ-ი (ინგლ. Clipper „მკრეჭელი"), სწრაფ-მავალი იალქნიანი სავაჭრო ხომალდი.

კლირ-ი, ბერძ.-რუს. (klêros „ნაწილი"), სამღვდელოება; საეკლესიო დასი; კლირიკ-ი — ეკლესიის მსახური სამღვდელოება; კლიროს-ი — ამაღლებული ადგილი საკურთხევლის წინ მგალობელთა გუნდისათვის.

კლისტირ-ი ან კლისტერ-ი (ბერძ. klystêr), იგივეა რაც კლიზმა (იხ.).

კლიტორ-ი (ბერძ. kleitoris), ქალის სავნებო: ქალის სასქესო ორგანოთა დანამატი, ესატყვისება ვაჟის სასქესო ასოს.

კლიუზები ან კლუზები (მრავლ., გერმ. Klüse), ხვრეტილები ხომალდის ბორტებში სალუზო ჯაჭვებისათვის.

კლიშე (ფრ. cliché), ხის ან ლითონის ფირფიტა, რომელზედაც ამოჭრილია რაიმე ნახატი და რომელიც იხმარება ამ ნახატის საბეჭდად.

კლოაკა, ლათ.: 1) მიწისქვეშა მილები უწმინდურების გასადენად; 2) უკანა ნაწლავის გაგანივრებული ნაწილი; 3) გადატ. მნიშვნ.: უწმინდურების, უწესურობის და უზნეობის ბუდე.

კლობუკ-ი, თურქ.-რუს., ბერების ერთგვარი ქუდი.

კლოზეტ-ი, იგივეა რაც ვატერკლოზეტი (იხ.).

კლოთო (ბერძ. Klêthê, klôthein „ქსოვა"), ერთ-ერთი სამ პარკათაგანი, რომელიც ქსოვდა სიცოცხლის ძაფს. — ბედისწერის ქალღმერთი (იხ. პარკა).

კლოპს-ი, გერმ., შემწვარი დაკეპილი ხორცი.

კლოუნ-ი (ინგლ. clown), ცირკის ხუმარა, მასხარა.

კლუბ-ი, ინგლ.: 1) განსაზღვრული კლასის, ხელობის ან მიმართულების ადამიანთაგან შედგენილი საზოგადოება, რომელიც იკრიბება დროგამოშვებით განსაზღვრულ ადგილას განსაზღვრული მიზნებისთვის (პოლიტიკური, სამეცნიერო ან დროს გასატარებლად); 2) შენობა, სადაც ასეთი კრებები ხდება.

კლუზები, იხ. კლიუზები.

კლუმბ-ი (ინგლ. clump), ყვავილების სხვადასხვა ფორმის ჯგუფები ბაღში.

კნასტერ-ი, გერმ., ერგვარი მოსაწევი თამბაქო.

კნეხტ-ი, კნეხტები, გერმ.: 1) მსახური; 2) საშ. საუკუნეებში: ყმა გერმანიაში; შემდეგ — დაქირავებული მეომარი.

კნიქს-ი ან კნიქხენ-ი, გერმ., მისალმება (ჩვეულებრივ — ახალგაზდა ქალის მიერ) მუხლის ოდნავი მოხრით.

კნოპკა (გერმ. Knopf, რუს. დაბოლოებით), ღილი: 1) ქუდიანი ლამაზი ლურსმანი, მაგ. ქაღალდის მისამაგრებლად მაგიდაზე; 2) ელექტრონის მოწყობილობის (მაგ. ზარის) ასამოქმედებლად თითის დასაჭირებელი.

კნუტ-ი, გერმ.-რუს. მათრახი, შოლტი.

კოაგულაცია, ლათ.-ევროპ., ცილოვან სითხეთა აჭრის პროცესი.

კოადიუტორ-ი, ახ.-ლათ., კათოლიკეთა სამღვდელო პირის მოადგილე.

კოალიცია, ლათ.-ფრ. (coalition „კავშირი"), სახელმწიფოთა ან პოლიტიკურ პარტიათა დროებითი კავშირი განსაზღვრული მიზნისათვის.

კობალტ-ი, ახ.-ლათ., ქიმიური ელემენტი: რკინაზე მაგარი თეთრი ლითონი, — გადაჰკრავს წითელი ფერი; იხმარება ჰპილენძის შენადნობისათვის და საღებავების დასამზადებლად.

კობზა, იგივეა რაც ბანდურა; კობზარ-ი — ბანდურისტი (იხ.).

**კობოლდ-ი, კობოლდები**, გერმ. მითოლოგიაში: ოჯახის და მთების ავი სულები, — აშინებენ და აჯავრებენ მცხოვრებლებს.

**კობრა**, პორტ., შხამიანი გველი ინდოეთში, — მისი ნაკბენი მომაკვდინებელია.

**კოგერერ-ი**, იხ. კოპერერი.

**კოგნატ-ი**, ლათ., ღვიძლი ნათესაობა, განსაკუთრებით — ქალის ხაზით (რომში); **გოგნაცია** — ნათესაობა პირდაპირი ხაზით.

**კოგორტა**, იხ. კოჰორტი.

**კოდა**, იტ., მუსიკალური ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი.

**კოდეინ-ი**, ბერძ.-ევროპ., ქიმიაში: ოპიუმის ერთერთი ალკალოიდთაგანი, — იხმარება მედიცინაში, როგორც ტკივილის გამყუჩებელი საშუალება.

**კოდექს-ი**, ლათ.: 7) ძველ რომში: საწერი ფიცარი; 2) განსაზღვრული წესით დალაგებული კრებული კანონებისა ან დადგენილებათა; აქედან: **კოდიფიკაცია** — მოქმედ კანონთა თავმოყრა, შეთანხმება და გამოცემა; **კოდიფიცირება** — იგივე მოქმედება; **კოდიფიკატორ-ი** — კანონთა კრებულის შემდგენელი.

**კოეფიციენტ-ი** (ახ.-ლათ. coefficiens,-ntis „ხელისშემწყობი“): 1) მათემატიკაში: ალგებრული ოდენობის წინ დასმული რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერაა აღებული ეს ოდენობა საკრების სახით; 2) ფიზიკაში: ერთი ფიზიკური სიდიდის მეორესთან შეფარდების ან დამოკიდებულობის მაჩვენებელი ნიშანი.

**კოზაკ-ი**, იხ. კაზაკი.

**კოზეტკა** (ფრ. causeuse „სასაუბრო“, რუს. დაბოლოებით), ორსაჯდომიანი პატარა სავარძელი.

**კოზირ-ი** —: 1) პოლ.-რუს. — ძლიერი კარტი ქაღალდის თამაშში; 2) რუს. კ ო ზ ი რ-ი ან კ ო ზ ი რ ო კ-ი — კარტუზის საჩრდილობელი. წინაფრა.

**კოზლა** (რუს. козлы): 1) ხარიხა, რომელზედაც აშენებენ ხიდებს; 2) მეეტლის საჯდომი ნაწილი ეტლისა.

**კოთურნ-ი, კოთურნები** (ბერძ. kóthornos). ძველ ბერძენთა და რომაელ მსახიობთა მაღალძირიანი ფეხსაცმელები.

**კოიკა**, გერმ.-რუს., ჩამოკიდებული საწოლი გემზე; საერთოდ: უზურგო საწოლი.

**კოიტუს-ი**, ლათ.: მედიცინაში: ქალვაჟის სქესობრივი შეერთება, ცხოველთა მაკინტლობა.

**კოკა**, ისპ., ერთგვარი მცენარე პ ე რ უ-ში (სამხრ. ამერიკაში), რომლის ფოთლებსაც აღმძვრელი თვისება აქვს; აქედან: **კოკაინ-ი** — კოკის ფოთლებისაგან დამზადებული ალკალოიდი. — მაანესთეზირებელი საშუალება; იხმარება აგრეთვე, როგორც სათრობი საშუალება; **კოკაინიზმ-ი** — მიდრეკილება კოკაინის, როგორც აღმძვრელი (სათრობი) საშუალების, ხმარებისადმი.

**კოკარდა ან კოკარდ-ი** (ფრ. cocarde). ნიშანი სამხედრო ან სამოქალაქო მოხელეთა ქუდზე.

**კოკეტკა ან უკეთ კოკეტ-ი** (ფრ. coquette). მოკეკლუცე ქალი, რომელიც ცდილობს თავი მოაწონოს მამაკაცს; **კოკეტობა** — ამ მიზნით კეკლუცობა.

**კოკკები** (მრავლ. ბერძ. kókkos „მარცვალი, კურკა“), ბურთისებრი ბაქტერიები (იხ).

**კოკლუშ-ი** (ფრ. coqueluche), მედიცინაში: ყივანა-ხველა.

**კოკონ-ი**, ფრ., აბრეშუმის ჭიის პარკი.

**კოკოს-ი**, ბერძ.-ევროპ., კოკოსის პალმის ნაყოფი; კ ო კ ო ს ი ს პ ა ლ მ ა — ერთგვარი ხე, რომლის ნაყოფს ხმარობენ საჭმელად, ნაყოფის ქერქი იხმარება სახარატო მასალად. ხოლო ბოჭკოები — თოკისა და ჭილობისათვის.

**კოკოტკა ან უკეთ კოკოტ-ი** (ფრ. cocotte). მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

**კოკს-, კოკც-**, იხ. კოქს-, კოქც-.

**კოლაპს-ი ან კოლაპსუს-ი** (ლათ. collapsus). მედიცინაში: გულის მოქმედების უეცარი შესუსტება.

**კოლბა ან კოლბ-ი**, გერმ., ბურთისებრი ყელიანი ჭურჭელი, — იხმარება ქიმიურ ლაბორატორიაში, სითხის გამოსახდელად და სხვ.

**კოლბერტიზმ-ი** — მერკანტილისტური (იხ.) და პროტექციონისტული (იხ.) ზომები, რომელსაც ავითარებდა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე **კოლბერ-ი** (Colbert. 1612 — 1683).

**კოლდ-კრემ-ი** (იხ. cold-cream „ცივი ნალები“). თეთრი ნაზი წასასმი — კანის დასარბილებელი კოსმეტიკური საშუალება.

კოლეგა (ლათ. collega), ამხანაგი—ხელობის, სამსახურის და სხვ. მიხედვით.

კოლეგია ან კოლეგიუმ-ი (ლათ. collegium, მრავლ. collegia): 1) უფლებითა და მოვალეობებით თანასწორ პირთა ჯგუფი; 2) რაიმე დაწესებულების სათავეში მდგომ თანასწორუფლებიან პირთა ჯგუფი, რომელიც განაგებს მას და სწყვეტს საკითხებს ხმის უმრავლესობით; 3) ზოგიერთ სასწავლებელთა სახელწოდება დასავლეთ ევროპაში. — კოლეგიალური ან კოლეგიური — ამხანაგური, ამხანაგურად გაკეთებული, თანასწორი მონაწილეობით შესრულებული რამ და სხვ.; კოლეგიალობა ან კოლეგიურობა — ამხანაგურობა, თანასწორი უფლებითა და მოვალეობით მონაწილეობა და სხვ. ასეთი.

კოლენკორ-ი, იხ. კალენკორი.

კოლეჟ-ი (ფრ. collège), საშუალო სასწავლებელი საფრანგეთსა და ბელგიაში; კოლეჟდე-ფრანს-ი (ფრ. Collège de France), საჯარო უფასო უნივერსიტეტი პარიზში.

კოლერ-ი ან უკეთ კულერ-ი (ფრ. couleur „ფერი. საღებავი"): 1) მხატვრობაში: ფერადების ტონი და სისქე; 2) კ ო ლ ე რ-ი (ფრ. colère „რისხვა") — ცხენის ერთგვარი სიშმაგე.

კოლეტ-ი (ფრ. collet): 1) ერთგვარი ფართე საყელო; 2) ზედატანის თეთრი სამელი ძველად — მოკლე და მსუბუქი.

კოლექტივ-ი (ლათ. collectivus), ერთი მიმართულებისა და შეხედულების პირთა კრებული; კოლექტიური — საერთო. — კოლექტივიზმ-ი — სოციალური მოძღვრება, რომლის თანახმადაც მიწა და საწარმოო იარაღები უნდა წარმოადგენდეს საერთო საკუთრებას, ხოლო მოსახმარი საგნები — თვითეული წევრის საკუთრებას მის მიერ დახარჯული შრომის მიხედვით; კოლექტივისტ-ი — კოლექტივიზმის მიმდევარი.

კოლექტორ-ი (ლათ. collector): 1) შემკრები; 2) ელექტრული ენერგიის შემკრები ნაწილი დინამო-მანქანისა; 3) უწმინდურების გასადენი მთავარი მილი.

კოლექცია (ლათ. collectio), რაიმე მხრივ (მეცნიერების ან ხელოვნებისთვის) საინტერესო ერთგვარ საგანთა კრებული; აქედან: კოლექციონერ-ი — კოლექციის შემკრები.

კოლეჯ-ი (ინგლ. college): 1) ინგლისში—ა) საშუალო სასწავლებელი, რომელიც ამზადებს უნივერსიტეტისათვის; ბ) საერთო საცხოვრებელი უნივერსიტეტთან; 2) ამერიკაში — უმაღლესი სასწავლებელი, უდრის ევროპის უნივერსიტეტს.

კოლიბრი, ისპ., დედამიწის ზურგზე ყველაზე პატარა ჩიტი სამხრეთ ამერიკაში, — შესანიშნავია თავის სილამაზით; ზოგიერთი სახეობა ცოტათი აღემატება კრაზანას.

კოლიე (ფრ. collier), ფარღული; ძვირფასი ყელზე ჩამოსაკიდი.

კოლიზეი-ი ან უკეთ კოლიზეუმ-ი, ლათ., ძველი რომის უდიდესი ამფითეატრი (იხ.), რომელიც იტევდა 100.000-მდე მაყურებელს; მასზე ხდებოდა გლადიატორთა შებრძოლება, ქრისტიანთა წამება, და სხვ.

კოლიზია (ლათ. collisio), შეჯახება გრძნობათა, ინტერესთა ან გარემოებათა.

კოლიმატორ-ი (ლათ. collimare-საგან), ფიზიკაში: სპექტროსკოპის მილი — პარალელურ სხივთა პრიზმაზე მისამართად.

კოლოდიუმ-ი, ბერძ.-ლათ. (ბერძ. kólla-საგან „წებო"), პიროქსილინის (იხ.) ხსნარი ეთერსა და სპირტში, — წარმოადგენს უფერულ სითხეს; იხმარება მედიცინასა და ფოტოგრაფიაში.

კოლოიდები (მრავლ., ბერძ. kólla „წებო" და eidos-ისაგან „სახე"), წებოსებრი სხეულები, რომელთაც არა აქვთ კრისტალიზაციის (იხ.) უნარი და რომელნიც ადვილად გადადიან თხევადი მდგომარეობიდან მყარში და პირიქით; ასეთია, მაგ.: ცილა, სახამებელი, წებო და სხვ.

კოლოკვიუმ-ი, იხ. კოლოქვიუმი.

კოლომბინა, იტ. („მტრედი"), იტალიური ხალხური კომედიის მოქმედი პირი, — არლეკინის (იხ.) სატრფო.

კოლონა (იტ. colonna): 1) ქვის, ხის ან ლითონის სვეტი შენობის დასამშვენებლად ან შენობის ზედა ნაწილის დასაჭერად; 2) ჯარის ნაწილების რაზმებად წყობა, რაზმეული; 3) ნაბეჭდი გვერდის სვეტი.

კოლონადა ან კოლონად-ი (ფრ. colonnade), თანაზომიერად გამწკრივებული სვეტები.

კოლონ-ი (ლათ. colonus „მიწის მუშა"), ძველ რომში იმპერიის ხანაში: მიწაზე მიმაგრებული გლეხი; აქედან: კოლონატ-ი —ბატონყმობის ერთგვარი ფორმა ძველ რომში, — ფეოდა-

ლიზმის წარმოქმნისას იცვალა ევროპაში ჩვეულებრივ ბატონყმობად.

კოლონია, ლათ. (იხ. წინა სიტყვა), ახალშენი: 1) ამა თუ იმ სახელმწიფოში უცხო ტომის მოსახლეობა. მაგ. გერმანელთა კოლონიები საქართველოში; 2) ამა თუ იმ ჯგუფის მოსახლეობა განსაზღვრულ ადგილას სახელმწიფოს ფარგლებში განსაზღვრული მიზნით, მაგ. საბავშო კოლონია, მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონია და სხვ.; 3) ძლიერი სახელმწიფოს მიერ დაპყრობილი ან მისაგან ეკონომიურად დამოკიდებული ქვეყანა, რომლიდანაც მფლობელ სახელმწიფოს გამოაქვს ნედლეული ან შეაქვს მასში კაპიტალი და საქონელი. — კოლონიალური ან საკოლონიო პოლიტიკა — სახელმწიფოთა მისწრაფება უცხო ქვეყნებში ახალ სამფლობელოთა შეძენისადმი — თავისი ნაწარმოების გასასაღებლად და კაპიტალის მოსათავსებლად; კოლონიზატორ-ი — ჩასახლებული; კოლონიზაცია — ნაკლებად კულტურული ქვეყნის დასახლება უფრო მეტად კულტურული ქვეყნიდან გადმოსახლებულთა მიერ; საერთოდ: კოლონიების ანუ ახალშენების დაარსება; კოლონიზირება — იგივე მოქმედება; კოლონისტ-ი — სხვა ქვეყნიდან ან ადგილიდან გადმოსახლებული; ახალშენის მცხოვრები.

კოლორატურა, ლათ. („შეფერილობა"), მუსიკაში: 1) მოქნილი ხმა, კრიმანჭული; 2) სასიმღერო ნაწარმოების შემკობა ასეთი ხმით.

კოლორიზაცია, ლათ.-ევროპ. (ფრ. colorisation), შეფერვა; რისთვისმე ფერის ცვალება.

კოლორიმეტრ-ი, ბერძ.-ლათ. (კოლორ „ფერი", მეტრონ „ზომა"), ხსნარებში შეფერვის სიძლიერის განმსაზღვრელი ხელსაწყო.

კოლორისტ-ი, ლათ.-ფრ. (coloriste), ფერადების შერჩევაში დახელოვნებული მხატვარი, ახალი კოლორიტის შემქმნელი ან მისი შექმნისათვის ხელისშემწყობი მხატვარი.

კოლორიტ-ი, ლათ.-ევროპ. (იტ. colorito): 1) ნახატის ელფერი, საერთო შთაბეჭდილება ფერადების მიხედვით — სუჟეტისაგან დამოუკიდებლივ; 2) საერთო ხასიათი, მაგ. ადგილისა, ეპოქისა და სხვ.; 3) სალიტერატურო ნაწარმოების ელფერი.

კოლოს-ი (ბერძ. colossós), უზარმაზარი რამ, ჩვეულებრივ — უზარმაზარი ქანდაკება; იტყვიან აგრეთვე დიდი ტანის კაცზე; აქედან: კოლოსალური — უზარმაზარი, ბუმბერაზი.

კოლოფონ-ი, ბერძ., მოყვითლო წითელი ფერის ფისი, რომელიც მიიღება ტერპენტინისაგან, — იხმარება ტექნიკაში და ხემის წასასმელად (მაგ. ვიოლინოს ხემისა); სახელწოდება — მცირე აზიის ქალაქ კოლოფონ-ისაგან.

კოლოქვიუმ-ი (ლათ. coolloquium „მოლაპარაკება"), გამობაასება; მეცნიერული საუბარი ცოდნის შემოწმების მიზნით.

კოლოცინთ-ი ან კოლოკინთ-ი, ბერძ., ტყის გოგრა, — შეიცავს მწარე სასაქმებელ ნივთიერებას — კოლოცინთინს.

კოლპაკ-ი, იხ. კალპაკი.

კოლპიტ-ი ან კოლპიტის-ი (ბერძ. kólpos-ისაგან „უბე, წიაღი.."), საშოს ანთება.

კოლპორტაჟ-ი (ფრ. colportage), ხელზე ვაჭრობა, განსაკუთრებით — წიგნებისა, გაზეთებისა და სხვ.

კოლუმბ-ი, ქრისტოფორ-ი (იტ. Cristoforo Colombo, 1446 ან 1451 — 1506), ამერიკის აღმომჩენი შესანიშნავი მეზღვაური, წარმოშობით გენუელი.

კომა: 1) ბერძ. kôma „ღრმა ძილი" — მძინარობა, ძილად მივარდნა ტვინის ზოგიერთი დაავადების გამო; აქედან: კომატოზური მდგომარეობა; 2) ბერძ. komma „მახვილი, მძიმე" — ა) გრამატიკაში: მძიმე; ბ) მუსიკაში: ამოსუნთქვის მაჩვენებელი ნიშანი.

კომანდა ან უკეთ კომანდო, ლათ.-ევროპ. (ლათ commendare „მინდობა", ფრ. commande. იტ. comando): 1) სამხედრო უფროსის სიტყვიერად თქმული მოკლე ბრძანება; 2) მცირე სამხედრო რაზმი; 3) ხომალდის ეკიპაჟი (იხ.); აქედან: კომანდირ-ი — ლაშქრის ნაწილის უფროსი; კომანდირობა — სამსახურის გამო რაიმე დავალებით ვისიმე სადმე წარგზავნა, მიელინება; კომანდობა — კომანდოს წარმოთქმა, ბრძანება, განკარგულების მოხდენა. — კომანდორ-ი — : 1) რაინდთა ორდენის უფროსი; 2) ზოგიერთი ორდენის უმაღლესი ხარისხის მქონე პირი.

კომანდიტური ამხანაგობა, ლათ.-ევროპ. (იტ. commandita „ნდობის ამხანაგობა"), ისეთი სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა, რომელშიც ზოგნი მონაწილეობენ მთელი თავისი ქონებით, ხოლო ზოგნი შეტანილი თანხით; კომანდიტერ-ი—

კომანდიტური ამხანაგობის დამაარსებელი ან წევრი.

**კომბინაცია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. combinare-საგან „გაწყვილება“): 1) სხვადასხვა საგანთა ან აზრთა შეხამება, შეერთება; 2) სხვადასხვაგვარ გარემოებათა შეპირისპირება და შეთანხმება; რთული გეგმა. — **კომბინირება** — იგივე მოქმედება.

**კომბინატ-ი** (იხ. წინა სიტყვა), წარმოების სხვადასხვა დარგის გაერთიანება საერთო ხელმძღვანელობით, რათა განსაზღვრული საქონლის დამზადების პროცესი მთლიანად თავსდებოდეს ამ გაერთიანებაში — ნედლეულის მოპოვებიდან დაწყებული თვით საქონლის დამზადებამდე.

**კომედია**, ბერძ.-ევროპ.: 1) სადრამო ნაწარმოებთა ერთერთი სახეობა. რომელიც ჩვეულებრივ გამოხატავს ცხოვრების უარყოფით მხარეებს და რომელიც აღძრავს ჩვენში სიცილსა და უარყოფით დამოკიდებულებას მასში მოქმედ პირთადმი; 2) გადატ. მნიშვნ.: სასაცილო ამბავი; თვალმაქცობა. — აქედან: **კომედიანტ-ი** — ბალაგანის (იხ.) მსახიობი; თვალმაქცი ადამიანი.

**კომენდა** (საშ. ლათ. commenda „მინდობა“), საეკლესიო მრევლი. რომლის შემოსავალსაც იღებდა საერო პირი. — **კომენდაცია** — საშ. საუკუნეების დასაწყისში: ერთგვარი ფორმა, რომლითაც მყარდებოდა ვასალის დამოკიდებულება სასულიერო ან საერო სენიორისაგან.

**კომენდანტ-ი**, ლათ.-ფრ., ციხის უფროსი; ქალაქის სამხედრო-სამილიციო წესიერების დამცველი ორგანოს გამგე; შენობის გამგე.

**კომენტარი** (ლათ. commentarius „მოკლე აღწერა“), რაიმე ნაწარმოების ახსნა-განმარტება, ძვ. ქართულად: თარგმანება; აქედან: **კომენტატორ-ი**—ამხსნელ-განმმარტებელი; **კომენტირება** — ასეთივე მოქმედება.

**კომერსანტ-ი**, ლათ.-ფრ. (commerçant); მსხვილი ვაჭარი; რთულ სავაჭრო საქმეთა მწარმოებელი.

**კომერცია** (ლათ. commercium), ვაჭრობა; რთულ სავაჭრო საქმეთა წარმოება; აქედან: **კომერციალიზმ-ი** ანუ კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი  ს ი ს ტ ე მ ა — ვაჭრობისათვის უპირატესობის მინიჭება და მისი წარმატებისათვის ზრუნვა მთავრობის მიერ. — **კომერციული** — სავაჭრო, ვაჭრული.

**კომეტა** (ბერძ. komêtês „გრძელთმიანი“), მანათობელი ცის სხეული, — გარეგნულად ჰგავს ვარსკვლავს, მაგრამ განსხვავდება მისაგან ე. წ. კუდით, სწრაფი მოძრაობით ცაზე და მოკლევნოვანი გამოჩენით დედამიწიდან დასანახავად (ქართულად ეძახიან კუდიან ვარსკვლავს).

**კომი** (ფრ. commis), ნოქარი; **კომივოიაჟერ-ი** (იხ. ვოიაჟერი) — სავაჭრო სახლის მოსიარულე ნოქარი, — ავრცელებს ამ სახლის ნაწარმოებს, იღებს შეკვეთებს და სხვ..

**კომიზმ-ი**, ბერძ.-ევროპ. (იხ. კომედია), სასაცილო სახით რისამე წარმდგენის უნარი; სასაცილოობა. — **კომიკ-ი** ან **კომიკოსი** (ბერძ. komikós): 1) კომიკური როლის ამსრულებელი მსახიობი; 2) სიცილის გამომწვევი ადამიანი, ოხუნჯი; **კომიკური** — სასაცილო; სახალისო.

**კომილფო** (ფრ. comme il faut „როგორც საჭიროა“), სათანადოდ, მართებულად, რიგიანად.

**კომინტერნ-ი** — კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი  ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი (იხ.).

**კომისარ-ი**, ლათ.-ფრ. (commissaire): 1) მთავრობის რწმუნებული პირი რაიმე განსაზღვრული საქმის შესასრულებლად; 2) საბჭოთა კავშირში: უზენაესი პასუხისმგებელი პირი, რომელიც სათავეში უდგას ერთერთ უწყებას (მაგ. განათლ. კომისარი, სამხედრო საქმეთა კომისარი და სხვ.). უდრის მინისტრს; 3) პოლიციის მოხელე საფრანგეთში.

**კომისარიატ-ი**, ლათ.-ფრ. (commissariat): 1) კომისრის საგამგებლო სახელმწიფო დაწესებულება, უწყება; **სახალხო კომისარიატი**—საბჭოთა კავშირში იგივეა, რაც სამინისტრო; 3) საპოლიციო დაწესებულებათა სახელწოდება საფრანგეთში.

**კომისია** (ფრ. commission „მინდობილობა, დავალება“): 1) გაყიდვა ან ყიდვა რისამე ვისიმე მინდობილობით; 2) დროებითი დაწესებულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკითხის დასამუშავებლად; დროებით არჩეულ პირთა კრებული რაიმე საგანგებო საკითხის ან საქმის განსახილველად, დასამუშავებლად და სხვ... — **კომისიონური** ან **კომისიური ვაჭრობა** — კომისიონერის საშუალებით საქონლის გაყიდვა; საკომი-

**სიო კანტორა** — სავაჭრო მინდობილობათა შემსრულებელი კანტორა; **საკომისიო საქონელი** — გასასყიდათ მიღებული სხვისი საქონელი (გამყიდველს ეძლევა განსაზღვრული გასამრჯელო).

**კომისიონერ-ი**, ლათ.-ფრ. (comissionaire). განსაზღვრული დავალების (მაგ. რისამე გაყიდვა, მონახვა, ბინის ქირაობა და სხვ.) შემსრულებელი, რომელსაც ამისთვის ეძლევა გასამრჯელო.

**კომიტეტ-ი**, ლათ.-ევროპ., რამოდენიმე პირთა დროებითი ან მუდმივი კრებული, რომელიც არჩეულია კრების ან რაიმე ორგანიზაციის მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, ხელმძღვანელად, რაიმე საკითხის წინასწარ დასამუშავებლად და სხვ.

**კომიციები** (მრავლ., ლათ. comitia), ძველ რომში: მოქალაქეთა ყრილობა სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად.

**კომოდ-ი** (ფრ. commode), გამოსაწევ-უჯრებიანი ჩვეულებრივ შკაფზე დაბალი ავეჯი.

**კომოდორ-ი** (ინგლ. commodore), ინგლისში და შეერთ. შტატებში: საზღვაო ესკადრის უფროსი.

**კომონერ-ი** (ინგლ. commaner), ინგლისში, 1) წარმოშობით არა წარჩინებულთა წრის მოქალაქე; 2) თემთა პალატის წევრი ან ვისაც უფლება აქვს გახდეს ასეთად.

**კომპაკტ-**, იხ. კომპაქტ-.

**კომპანია** (საშ.-ლათ. companium, ფრ. compagnie): 1) წრე, საზოგადოება; 2) სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა; აქედან: **კომპანიონაჟ-ი** (ფრ. compagnonnage): 1) ქარგალთა ამხანაგობა ძველად საფრანგეთში — საურთიერთო დახმარებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით; 2) ქარგლად ყოფნის ვადა. — **კომპანიონ-ი** — ამხანაგი; თანამონაწილე რაიმე საქმეში (მაგ. მგზავრობაში, საუბარში, სავაჭრო-სამრეწველო საქმეში და სხვ.).

**კომპარტია** — კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პარტია (იხ.).

**კომპას-ი**, ლათ.-ევროპ., ყიბლანა, — ქვეყნის მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო: მინის სახურავიან მრგვალ ყუთში თავისუფლად ტრიალობს დამაგნიტებული ისარი, რომლის ერთი ბოლო თავისი მიბრუნებით გვიჩვენებს ჩრდილოეთს.

**კომპატრიოტ-ი** (იხ. პატრიოტი), თანამემამულე; **კომპატრისტ-ი** — იგივე.

**კომპაუნდ-ი** (ინგლ. compound „რთული, შედგენილი“), ასე ეწოდება ორმაგი გაგანივრების ორთქლის მანქანებს.

**კომპაქტური** ან **კომპაქტ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. compacte). მჭიდრო, შეკუმშული; შეჯგუფული, ერთიმეორესთან ახლომყოფი.

**კომპენდიუმ-ი** ლათ., ამა თუ იმ მეცნიერების ან სამეცნიერო თხზულების მოკლე გადმოცემა.

**კომპენსაცია** (ლათ. compensatio „ანაზღაურება“): 1) ფიზიკაში: ძალთა მოქმედების გაწონასწორება; 2) საერთოდ: ანაზღაურება; **კომპენსირება** — იგივე მოქმედება.—**კომპენსატორ-ი** ანუ **კომპენსაციური საქანი** — შეთანასწორებული საქანი.

**კომპეტენტური** ან **კომპეტენტ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. compétent): 1) მცოდნე; 2) რაიმე საქმის გაკეთების ან გადაწყვეტის უფლების მქონე. — **კომპეტენტობა** — რაიმე საქმის გაკეთებისა ან გადაწყვეტისათვის საჭირო ცოდნის ქონა. — **კომპეტენცია** — ამა თუ იმ დაწესებულების ან პირის სამოქმედო ან საგამგებლო წრე.

**კომპილაცია** (ლათ. compilatio „მოპარვა, გაქურდვა“), სხვისი შრომების მიხედვით შედგენილი თხზულება; **კომპილირება** — ამგვარად თხზულების შედგენა; **კომპილატიური** ან **კომპილაციური** — კომპილაციის ხასიათის მქონე. — **კომპილატორ-ი** — კომპილაციის მქნელი.

**კომპლექს-ი** (ლათ. complexus „გარშემოვლება. შეერთება“), ერთი მთლიანის შემადგენელ ერთგვარ საგანთა ან მოვლენათა ერთობლიობა; **კომპლექსური** — კომპლექსის ხასიათის მქონე; **სწავლების კომპლექსური მეთოდი** — ერთჟამიერი სწავლება მოვლენათა, რომელნიც სინამდვილეში დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან (უპირისპირდება საგნობრივი სწავლების მეთოდს).

**კომპლექტ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. complet), სრული შემადგენლობა; წესის მიხედვით მართებული რიცხვი ადამიანთა ან საგანთა.

**კომპლექცია** ან **კომპლექსია**, ლათ.-ფრ. (complexion). ტანის აგებულობა.

**კოპლიკაცია**, ლათ.-ფრ. (complication), რთულ და აბნეულ გარემოებათა შეერთება; გართულება.

**კომპლიმენტ-ი** ლათ.-ფრ., ქათინაური, პირფერული შექება.

**კომპოზიტ-ი,** ლათ. („შედგენილი"). გრამატიკაში: რთული სიტყვა.

**კომპოზიტორ-ი,** ლათ. („შემთხზეელი"). სამუსიკო ნაწარმოებთა შემდგენელი.

**კომპოზიცია** (ლათ. compositio „შედგენა, შეერთება"): 1) მუსიკაში: სამუსიკო ნაწარმოების შედგენა: თვით მუსიკალური ნაწარმოები, მუსიკალური შემოქმედების თეორია; 2) საერთოდ ხელოვნებაში: სათანადო მასალის დალაგება ამა თუ იმ ხელოვნების კანონების თანახმად: აქედან: **კომპონირება** — სამეცნიერო ან სახელოვნო ნაწარმოების მასალათა დალაგების წინასწარ გათვალისწინება.— **კომპონენტ-ი, კომპონენტები** — ერთდამიერად მოქმედი ძალები; შემადგენელი ნაწილები.

**კომპონისტ-ი,** იგივეა, რაც კომპოზიტორი.

**კომპოსტ-ი,** ლათ.-ფრ., სხვადასხვა მასალისაგან (მცენარეული, მინერალური, ცხოველური) შედგენილი სასუქი ნიადაგისა.

**კომპოტ-ი,** ლათ.-ფრ. (compote). ხილეულის შაქრიანი ნახარში (წვენი).

**კომპრეს-ი** (ლათ. compressus „მოჭერა, მოკუმშვა, გარშემოხვევა"). ტილოს ან სხვა ქსოვილის რამდენჯერმე შეკეცილი და დასველებული ნაჭერი — ცივი ან თბილი — ავადმყოფის მტკივნეულ ადგილს დასადებად. — **კომპრესორ-ი:** 1) ძარღვების მოსაჭერი იარაღი ოპერაციის დროს (ქირურგიაში): 2) შეკუმშული აირით (გაზით) მოქმედი მანქანა; 3) ზარბაზნიდან გასროლის დროს უკუცურვის შემსუსტებელი მოწყობილობა.

**კომპრომეტირება,** ლათ.-ფრ. (compromettre). ვისიმე უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება, სახელის გატეხა: საზოგადოების ან კერძო პირის თვალში ვისიმე დაცემა (ვ ა კ ო მ პ რ ო მ ე ტ ი რ ე ბ ვისმე); **კომპრომეტირებული** — სახელგატეხილი და სხვ.

**კომპრომის-ი** (ლათ. compromissum „ურთიერთ აღთქმა"): 1) ურთიერთ დათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; 2) გარემოებებთან შეგუება; თავის რწმენაში დათმობა; აქედან: **კომპრომისული** — დათმობითი.

**კომუნა** (ლათ. communis „საერთო", ფრ. commune „თემი"): 1) თემი; ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ფლობს და სარგებლობს საერთო ქონებით თანასწორ-უფლებრივად; 2) საშ. საუკუნეებში: თვითმართველობიანი თემი; 3) პარიზის კომუნა: ა) საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს (1792 წ. 10 აგვისტომდე) ქალაქის (პარიზის) საზოგადოებრივი მმართველობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჟირონდა (იხ.); ბ) პარიზის რევოლუციური მთავრობა 1871 წ. 18 მარტიდან 27 მაისამდე, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის პირველ ცდას (როდესაც ამბობენ: პ ა რ ი ზ ი ს კ ო მ უ ნ ა, გულისხმობენ ამ უკანასკნელს).

**კომუნალურ-ი** ან **კომუნალ-ი,** ლათ.-ფრ. (communal). სათემო, საქალაქო, მაგ. **კომუნალური დაწესებულება** — ის, რაც არსებობს ამა თუ იმ თემის ან ქალაქის მცხოვრებთა საჭიროებისათვის და იმყოფება თვითმართველობის ან (საბჭოთა კავშირში) საბჭოს ხელში (მაგ. წყალსადენი, ელექტრონი და სხვ.).

**კომუნარ-ი,** ლათ.-ფრ. (communard): 1) კომუნის წევრი; 2) პარიზის 1871 წ. კომუნის მონაწილე.

**კომუნიზმ-ი,** ლათ.-ევროპ. (ფრ. communisme): 1) მოძღვრება და მუშათა მოძრაობა, რომლის მიზანიცაა კომუნისტური წესწყობილების დამყარება; 2) კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ანუ კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა — ისეთი წესწყობილება, რომელშიც საწარმოო იარაღები და საშუალებანი (მიწა, ქარხნები, გზები და სხვ.) ეკუთვნიან მთელს საზოგადოებას და არა კერძო პირებს; მასში მოსპობილია საზოგადოების კლასებად დაყოფა და ადამიანის ექსპლოატაცია (იხ.); ნაწარმოებთა განაწილება ხდება შემდეგი წესის მიხედვით: თვითეულს მოეთხოვება მისი უნარის მიხედვით, ხოლო თვითეულს მიეცემა მის მოთხოვნილებათა მიხედვით, ამგვარად მოწყობილ საზოგადოებაში აღარ იქნება საჭირო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.— **კომუნისტ-ი** — კომუნიზმის მიმდევარი ან კომუნისტური პარტიის წევრი; აქედან: **კომუნისტური** — რასაც კომუნიზმის ხასიათი აქვს, რაც მას შეეფერება; **კომუნისტური ინტერნაციონალი** (შემოკლებით: კომინტერნი) — მესამე ინტერნაციონალი, რომელიც წარმოადგენს კომუნისტურ პარტიათა საერთაშორისო გაერთიანებას: მისი უზენაესი ორგანოა მსოფლიო კონგრესი, რომელიც ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს მომდევნო კონგრესამდე. კომ. ინტერ. მოეწყო 1919 წ.; მისი მთა-

ვარი მიზანია — მსოფლიო პროლეტარიატის დარაზმვა სარევოლუციო ბრძოლისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, მთელს მსოფლიოში კომუნისტური წესწყობილების განხორციელების მიზნით. — **კომუნისტური მანიფესტი** — მარქსისა და ენგელსის მიერ 1847 წ. დაწერილი თხზულება, რომელშიც პირველად გამოითქვა მეცნიერული სოციალიზმის საფუძვლები და რომელიც საფუძვლად დაედო მუშათა მოძრაობის პროგრამას. — **კომუნისტური პარტია** — მუშათა კლასის პარტია, რომლის მიზანიცაა კომუნიზმის (იხ., 2) განხორციელება პროლეტარიატის დიქტატურის გზით. — **კომუნისტური წესწყობილება** ანუ **კ-ური საზოგადოება** (იხ. კომუნიზმი, 2).

**კომუნიკაცია** (ლათ. communicatio), შეტყობინება; ურთიერთობა. — **საკომუნიკაციო ხაზი** — გზა, რომლის საშუალებითაც ლაშქარს ურთიერთობა აქვს ბაზასთან (იხ., 2).

**კომუტატორ-ი** (ლათ. commutare-საგან „ცვალება“), ელექტროწრედის განმრთველი, ჩამრთველი ან დენის მიმართულების მცვლელი ხელსაწყო.

**კომფორტ-ი**, ლათ.-ევროპ. (ინგლ. comfort „გამხნევება, შემსუბუქება“), მშვიდი და სასიამოვნო ცხოვრებისათვის საჭირო გარეგნული პირობები (კარგი ბინა, მოწყობილობა და სხვ.); აქედან: **კომფორტაბლ-ი** ან **კომფორტული** — კომფორტის ხასიათის მქონე: წყნარი; მომარჯვებულად მოწყობილი და სხვ.

**კონგენერული** ან **კონგენერ-ი**, ლათ., თანაგვარი; მონათესავე. — **კონგენერაციული** ან **კონგენერაციის თეორია** — გეოლოგიაში: მოძღვრება ერთჟამიერი წარმოქმნის შესახებ.

**კონგლომერატ-ი**, ლათ. („შეგრაგნილი“): 1) გეოლოგიაში: სხვადასხვა ან ერთგვარი ქანის მომრგვალებული ნამტვრევებისაგან შედგენილი ქანი. — ნაწილები შეკავშირებულია ურთიერთთან რაიმე ნივთიერებით; 2) საერთოდ: სხვადასხვაგვარი ნაწილებისაგან შედგენილი რამ; ნარევი. — **კონგლომერაცია** — ნაწილების ერთიმეორესთან ისეთი შეერთება, როცა თვითეული ნაწილი ინარჩუნებს თავის სახესა და თვისებებს.

**კონგრეგაცია** (ლათ. congregatio „შეერთება, შეჯგუფება“): 1) კრება; საზოგადოება, კავშირი; სასულიერო ამხანაგობა; 2) ერთნაირ-წესდებიან კათოლიკურ მონასტერთა კავშირი; 3) კარდინალთაგან შედგენილი კომიტეტები, რომელთაც პაპა ანდობს საეკლესიო მმართველობის სხვადასხვა დარგის გამგებლობას.

**კონგრეს-ი** (ლათ. კონგრესსუს „კრება, შეხვედრა“): 1) ერთის სახელმწიფოს ფარგლებში ან სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების ყრილობა — პოლიტიკური, პარტიული, სამეცნიერო ან სხვა საკითხების განსახილველად; 2) შეერთ. შტატებში: ხალხის წარმომადგენელთა საკანონმდებლო კრება: პარლამენტი; 3) საფრანგეთში: სენატისა და დეპუტატთა პალატის შეერთებული კრება.

**კონდენსატორ-ი**, ლათ. („შემსქელებელი“): 1) ოპტიკური ხელსაწყო სინათლის შუქთა შესაკრებად განსაზღვრულ ფართობზე; 2) ხელსაწყო ელექტრობის შესაკრებად პატარა ფართობზე; 3) ორთქლის მანქანაში: ნამუშევარი ორთქლის დამნამებელი ხელსაწყო, — აქედან: **კონდენსაცია** — შეკრება, შემჭიდროება, ნამად ქცევა; **კონდენსირება** — იგივე მოქმედება.

**კონდიტერ-ი**, ლათ.-ევროპ. (ლათ. condire-საგან „გემრიელის მომზადება“), ტკბილი ნამცხვარისა და სხვა ტკბილეულობის მომზადებაში დახელოვნებული ან ასეთის გამყიდველი; აქედან: **საკონდიტრო** — მაღაზია, სადაც იყიდება სხვადასხვა ტკბილეულობა.

**კონდიცია**, ლათ.: 1) conditio (condo-საგან „ვადგენ, ვთხზავ“) — პირობა; 2) coditio (condio-საგან „ვამზადებ“) — გაკვეთილი კერძო ოჯახში, ჩვეულებრივ — ქალაქს გარეთ.

**კონდომ-ი** (ინგლ. ექიმის გვარი) მამაკაცის სასქესო ორგანოს დამცველი პარკისებრი აპკი, — მზადდება რეზინისა, თევზის ბუშტისა და სხვ.

**კონდომინუს-ი**, ლათ., თანამფლობელი; აქედან: **კონდომინატ-ი** —: 1) რაიმე ქონებაზე რამოდენიმე პირთა თანამფლობელობა; 2) რამოდენიმე სახელმწიფოთა თანამფლობელობა ან თანაგამგებლობა სხვა სახელმწიფოს ან ქალაქის მიმართ.

**კონდორ-ი**, ისპ., სამხრ. ამერიკის არწივის ერთი ჯიში.

**კონდოტიერ-ი** (იტ. condottière), დაქირავებული რაზმების წინამძღოლი იტალიაში (14-15 საუკ.).

კონდუიტ-ი, ლათ.-ფრ. (conduite „ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა“), მოწაფეთა ყოფაქცევის აღსანიშნავი წიგნი გიმნაზიებში.

კონდუქტორ-ი, ლათ.: 1) გამყოლი მოსამსახურე რკინისგზის ვაგონში, ტრამვაიზე და სხვ.; 2) გამტარებელი ელექტრო-მანქანებში.

კონეტაბლ-ი (ფრ. connétable), საფრანგეთში: 1) უმაღლესი სამხედრო ხარისხი 1627 წლამდე; 2) ცხენოსანთა ლაშქრის სარდალი უფრო ძველად.

კონვენტ-ი (ლათ. conventus): 1) კრება; ეროვნული კრების სახელწოდება დას. ევროპაში; 2) საფრ. დიდი რევოლუციის დროს 1792—95 წ.წ.—ეროვნული კონვენტი, რომელიც წარმოადგენდა რევოლუციურ მთავრობას, მასში ჟირონდისტები (იხ.) წარმოადგენდნენ მემარჯვენე ნაწილს, იაკობინელები (იხ.) — მემარცხენეს; კონვენტის დადგენილებით დასჯილ იქნა ლუდოვიკ XVI.

კონვენცია (ლათ. conventio „შეკრება“), ხელშეკრულობა სახელმწიფოთა შორის რაიმე კერძო საკითხის შესახებ, მაგ. საფოსტო, სარკინისგზო და სხვ.—კონვენციონალური ან კონვენციური — პირობითი, შეთანხმებითი.

კონვერგენცია ან კონვერგენც-ი, ლათ.-ევროპ. (გერმ. Konvergenz): 1) საერთოდ — ურთიერთ დაახლოება, შეხვედრა, დამთხვევა; 2) ბიოლოგიაში: ცხოველთა და მცენარეთა აგებულობის ნიშანთა დამთხვევა (მსგავსება) არა ნათესაობის ნიადაგზე, არამედ ცხოვრების პირობათა მსგავსების გამო.

კონვერსია (ლათ. conversio „მიმოქცევა; შეცვლა“), სესხის პირობების შეცვლა პროცენტების შემცირების სახით — ვალის ამღების სასარგებლოდ; აქედან: კონვერტირება—კონვერსიის მოხდენა.

კონვერტ-ი (ფრ. convert), ბარათების ან სხვა ქაღალდების ჩასადები ქაღალდის პარკი.

კონვიქტ-ი, ლათ. („საერთო საცხოვრებელი“). საშ. საუკუნეებში: 1) საერთო სუფრა უმაღლეს სასწავლებელთა პანსიონში; 2) პანსიონი, რომელიც ინახებოდა სახელმწიფო ან საქველმოქმედო ხარჯით (იხ. ბურსა).

კონვოი (ფრ. convoi). შეიარაღებული მხლებლები ან ყარაული; ამალა.

კონვულსია (ლათ. convulsio), კრუნჩხვა; კონვულსიური — კრუნჩხვითი.

კონიაკ-ი (ფრ. cognac), ღვინისაგან გამოხდილი უმაღლესი ხარისხის არაყი, რომელსაც უმატებენ შაქარს, ჩაის და რომს, — შეიცავს 70%-მდე სპირტს (სახელწოდება — საფრანგ. ქალაქ Cognac-ისაგან, სადაც მზადდება საუკეთესო კონიაკი).

კონიექტურა, ლათ.: 1) მოსაზრება, მიხვედრა; 2) დამახინჯებულის ან ნაკლოვანი ტექსტის აღდგენა საერთო მოსაზრებებისა და მიხვედრის გზით.

კონიკური, იხ. კონუსური.

კონიუგაცია (ლათ. conjugatio „შეუღლება, შეერთება“): 1) ბიოლოგიაში: უმარტივეს ცხოველთა განაყოფიერების საშუალება; 2) გრამატიკაში: ზმნის უღლილება.

კონიუნქტივა (ლათ. conjunctus-ისაგან „შეერთებული, შეუღლებული“). 1) ანატომიაში: თვალის შემაერთებელი ლორწოიანი გარსი, რომლის ანთებას ეწოდება კონიუნქტივიტ-ი; 2) კონიუნქტივიტ-ი — გრამატიკაში: ზმნის პირობითი კილო.

კონიუნქტურა (საშ. ლათ. conjunctura, იხ. წინა სიტყვა): 1) საერთოდ — ისეთი მდგომარეობა ან გარემოებათა ისეთი დამთხვევა, რომელიც გავლენას ახდენს რაიმე საქმის მსვლელობაზე; 2) კერძოდ—გარეგანი პირობების ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს პოლიტიკურ ან ეკონომიურ მოვლენებზე (მაგ. საქონლის ფასებზე, მათ გასაღებაზე და სხვ.).

კონიური, იხ. კონუსური.

კონკვ-, იხ. კონქვ-.

კონკლავ-ი (ლათ. conclave „ოთახი“), კარდინალთა შესაკრები ადგილი პაპის ამოსარჩევად; ასე ეწოდება თვით ამ კრებასაც. — კონკლავისტ-ი — კონკლავის წევრი.

კონკორდანს-ი, ლათ.-ფრ. (concordance „შეთანხმება, შესატყვისობა“), წიგნი, რომელიც შეიცავს ანბანურ რიგზე ჩამოწერილს საღვთო წერილის სიტყვებს, გამოთქმებს და სხვას — მათი მოძებნის გასაადვილებლად.

კონკორდატ-ი, ლათ.-ევროპ. (ლათ. concors-ისაგან „შეთანხმებული“), შეთანხმება პაპსა და საერო მთავრობას შორის. — კონკორდია — თანხმობა; ძველ რომში: თანხმობის ქალღმერთი.

**კონკრემენტ-ი,** ლათ.-ევროპ. (concrescere-საგან „შეზრდა“). შინაგან ორგანოებში (ნაწლავებში, საშარდე ბუშტში და სხვ.) გაქვავებული ნივთიერებანი.

**კონკრეტული** ან უკეთ **კონკრეტ-ი** (ლათ. concretus „შეზრდილი; წარმოშობილი, წარმოქმნილი“). კანთიედი: არსებული; ნამდვილი, ნივთობრივი, განსაზღვრული; — ცხადლივი (უპირისპირდება აბსტრაქტულს, იხ.); აქედან: **კონკრეტიზაცია** — კონკრეტად გახდა; **კონკრეტიზირება** — იგივე მოქმედება.

**კონკუბინატ-ი,** ლათ. („ერთად მწოლიარობა“), ქალვაჟის მეუღლეობა ჯორწინების გარეშე.

**კონკურენტ-ი** ლათ. concurrere-საგან „ერთად სირბილი, მონაწილეობა“), მეტოქე; **კონკურენცია** — მეტოქეობა.

**კონკურს-ი,** ლათ. („შეჯახება“). შეჯიბრება: ძიება რამდენისამე პირის მიერ ერთისა და იმავე ჯილდოსი, ადგილისა და სხვ.; **საკონკურსო** — შეჯიბრებითი. მაგ. **საკონკურსო გამოცდები** — გამოცდები ისეთ სასწავლებელში შესასვლელად, სადაც ადგილების რიცხვი ნაკლებია მსურველებისაზე.

**კონსერვატიზმ-ი,** ლათ.-ევროპ. (conservare-საგან „შენახვა, დაცვა“): 1) რაიმე დარგში (საზოგადოებრივ, სამეცნიერო და სხვ.) არსებული ფორმების უცვლელად დაცვის მომხრეობა; 2) პოლიტიკაში: არსებული წესწყობილების დაცვა; 3) საერთოდ — მტრული განწყობილება ყოველისავე ახლისადმი; **კონსერვატიული** — ამგვარი ხასიათის მქონე. — **კონსერვატორ-ი:** 1) საერთოდ — დამცველი, მაგ. სამეცნიერო კაბინეტების ან კოლექციების დამცველი; 2) არსებული ფორმების ან წესწყობილების დამცველი პიროვნება; კონსერვატიზმით გამსჭვალული. — **კონსერვატორია** — უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი.

— **კონსერვ-ი** — : 1) თვალების დასაცავი სათვალე; 2) ჰერმეტულად (იხ.) დახურულ ქურქელში შენახული საჭმელი (ხილი, ხორცი, თევზი და სხვა), რომელიც უხრწნელად ინახება რამდენისამე წლის განმავლობაში.

**კონსილიუმ-ი,** ლათ. („ბჭობა, თათბირი“), რამდენისამე ექიმის თათბირი მძიმე ავადმყოფის გამო — მისი ავადმყოფობის გამოსარკვევად ან მკურნალობის საშუალებათა გამოსანახავად.

**კონსისტენცია,** ლათ.-ევროპ. (ფრ. consistence): 1) რაიმე სხეულის შემადგენლობა; 2) სიმკვრივე.

**კონსისტორია** (ლათ. consistorium „სათათბირო კრება“): 1) რომის იმპერიაში: სახელმწიფო საიდუმლო საბჭო; 2) კარდინალთა უზენაესი კოლეგია; 3) ლუთერანთა საეკლესიო ხელისუფლების უზენაესი ორგანო ამა თუ იმ ქვეყანაში; 4) რევოლუციამდე რუსეთში ეპარქიის საქმეთა სამმართველო.

**კონსკრიპცია** (ლათ. conscriptio „სიაში ჩაწერა“): 1) საყოველთაო სამხედრო ბეგარა განსაზღვრული ასაკის პირთათვის; 2) სამხედრო ვალდებულთა აღწერა.

**კონსოლიდაცია** (ლათ. consolidatio): 1) გამაგრება, განმტკიცება; 2) რამდენისამე ძველი სახელმწიფო ვალის ერთ ახალ ვალად გასდა ან მოკლე-ვადიანის გრძელ-ვადიანისად.

**კონსოლ-ი** (ფრ. console), კედლის გამოზნექილობა ან გამონაშვერი — მასზე რისამე დასაპჯენად, მაგ. საათისათვის, ქანდაკებისათვის და სხვ.

**კონსომე** (ფრ. consommé), ხორცის მაგარი ბულიონი (იხ.).

**კონსონანს-ი,** ლათ.-ფრ. (consonance „შეთანხმოვნება“), მუსიკაში: ტონების თანხმოვნობა (უპირისპირდება დისონანს, იხ.). — **კონსონანტ-ი** — ფონეტიკაში: თანხმოვანი ბგერა; აქედან: **კონსონანტიზმ-ი** — ამა თუ იმ ენის თანხმოვანთა სისტემა.

**კონსორციუმ-ი,** ლათ. („ამხანაგობა“), საფინანსო დაწესებულებათა კავშირი რაიმე სავაჭრო-სამრეწველო საქმისათვის.

**კონსპექტ-ი,** ლათ. („ხილული, თვალში მოსახვედრი“), რაიმე თხზულების, ლექციის და სხვ. მოკლე შინაარსის გადმოცემა; **კონსპექტური** — კონსპექტის ხასიათის მქონე.

**კონსპირაცია** (ლათ. conspiratio „შეთანხმება; საიდუმლო შეთქმულობა“). შეთქმულობა; საიდუმლოს დაფარვა; **კონსპირაციული** — საიდუმლო, შეთქმულობითი.

**კონსტაბლ-ი** (ინგლ. constable), ინგლისში: ძველად უდრიდა საფრანგეთის კონეტაბლს (იხ.); ახლა — სასამართლოს ან პოლიციის მოხელე.

**კონსტანტა,** ლათ.-ევროპ. მათემატიკაში: მუდმივი სიდიდე.

**კონსტატაცია,** ლათ.-ფრ. (constatation), დამოწმება, დადასტურება; დადგენა; აქედან: **კონსტატირება** — იგივე მოქმედება.

**კონსტებლ-ი,** იხ. კონსტაბლი.

**კონსტელაცია,** ლათ.-ფრ. (constellation, ლათ. stella-საგან „ვარსკვლავი"): 1) ვარსკვლავედი; 2) ვარსკვლავთა ურთიერთ მიმართ მდებარეობა, რომლის მიხედვითაც წინასწარმეტყველებდნენ ასტროლოგები (იხ.); 3) გადატ. მნიშვნ.: სხვადასხვა ანგარიშგასაწევი გარემოება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს.

**კონსტიტუცია** (ლათ. constitutio „დაწესებულება, დადგენილება, აგებულობა"): 1) ადამიანის ფიზიკური ან სულიერი აგებულობა; 2) სახელმწიფოს ძირითადი კანონი; სახელმწიფოს წესწყობილების დამდგინებელ კანონთა კრებული; 3) წარმომადგენლობითი კრების მიერ მეფის უფლებათა შემოფარგვლა; აქედან: **კონსტიტუციური** — კონსტიტუციის ხასიათის მქონე, მასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე, მაგ. **კონსტიტუციური მონარქია** — ისეთი მონარქია (იხ.), სადაც მეფის უფლება შეზღუდულია პარლამენტის მიერ.—**კონსტიტუციონალიზმ-ი**—: 1) მონარქიული მმართველობა, სადაც მონარქის უფლება შეზღუდულია ხალხის წარმომადგენელთა მიერ; 2) მმართველობის ასეთი ფორმის მომხრეობა; **კონსტიტუციონალისტ-ი** — კონსტიტუციონალიზმის მომხრე. — **კონსტიტუციონალური** ან უკეთ **კონსტიტუციონალ-ი** — სხეულის მთელ აგებულობასთან დაკავშირებული, მაგ. **კონსტიტუციონალი ავადმყოფობანი** — ისეთი ავადმყოფობანი, რომელნიც შეიპყრობენ მთელს სხეულს.

**კონსტრიქტორ-ი,** ლათ. („შემკვრელი"): 1) ადამიანის სხეულის ბუნებრივი ხვრეტილების შემკვრელი კუნთი; 2) მახრჩობელა გველი.

**კონსტრუირება** (ლათ. construere-საგან), რისამე აშენება, დალაგება, აწყობა; აქედან:

**კონსტრუქცია** (ლათ. constructio), აგებულობა, აწყობილობა; რაიმე მასალის შესაფერი დალაგება.— **კონსტრუქციული** ან **კონსტრუქტივ-ი** — აგებითი, მშენებლობითი, აპრიორული (მაგ. მეთოდი). — **კონსტრუქტივიზმ-ი** — მეოცე საუკუნის ერთერთი მიმართულება ლიტერატურაში (აგრეთვე მხატვრობასა და სასცენო ხელოვნებაში), რომლის მიხედვითაც შემოქმედების მიზანი უნდა იყოს ცხოვრების მოწყობა; ხელოვნება უნდა იყოს საერთაშორისო და განუყრელად უკავშირდებოდეს თანადროულობას ყოველმხრივ (მეცნიერებას, ტექნიკას, პოლიტიკას და სხვ.).

**კონსულ-ი,** ლათ.: 1) უმაღლესი თანამდებობის პირი რომის რესპუბლიკაში; 2) საფრანგეთის მთავრობის თვითეული წევრი 1799—1804 წ.: დირექტორიის დაცემის შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლება ჩაბარდა სამ კონსულს; 3) თანამდებობის პირი, რომელიც ინიშნება სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოში მყოფ ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცავად, უმთავრესად — ეკონომიური და სამრეწველო ინტერესებისა.— **საკონსულო** — კონსულისათვის განკუთვნილი რამ; კონსულის ბინა და კანცელარია.

**კონსულტაცია** (ლათ. consultatio „თათბირი"): 1) თათბირი რამდენიმე სპეციალისტის რაიმე საქმის გამო; 2) რჩევა ან პასუხი მცოდნე პირისა ამა თუ იმ საქმის შესახებ; აქედან: **კონსულტანტ-ი** — : 1) კონსილიუმის (იხ.) მონაწილე წევრი; 2) სპეციალისტი, რომელიც აძლევს რჩევას იურიდიული ან ტექნიკური საკითხების შესახებ.

**კონტაგიუმ-ი,** ლათ., ავადმყოფობის შემყრელი, მისი აღმძვრელი რამ; აქედან: **კონტაგიოზური** — გადამდები, შემყრელი.

**კონტამინაცია,** ლათ.-ევროპ. (ლათ. contaminare-საგან „შერყვნა, შერევა"), ენათმეცნიერებაში: ანალოგიის (იხ. 3) ერთერთი სახე, როცა წარმოიქმნება ორისაგან შერეული ფორმა (მაგ. დაღმართი: აქ შერეულია ძველი ქართულის დ ა მ ა რ თ ი და ა ღ მ ა რ თ ი).

**კონტაქტ-ი,** ლათ.: 1) ურთიერთ შეხება, ურთიერთ კავშირი; 2) ერთსულოვნობა, შეთანხმებულობა რაიმე საქმეში.

**კონტექსტ-ი** (ლათ. contextus „დაკავშირებული; კავშირი"): 1) აზრების ურთიერთისაგან დამოკიდებულობა მეტყველებაში; 2) წიგნის ის ადგილი (ტექსტი), რომელთანაც აზრის მხრივ მჭიდროდ დაკავშირებულია გამოყოფილი სიტყვა ან წინადადება; 3) ურთიერთ დაკავშირებული ადგილების საერთო აზრი მეტყველებაში ან წიგნში.

**კონტ-ი,** ოგიუსტ (Comte, Auguste, 1798—1853), საფრანგეთის გამოჩენილი მათემატიკოსი

და ფილოსოფოსი. პოზიტივიზმის (იხ.) დამაარსებელი.

**კონტიგენტ-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) ამა თუ იმ დაწესებულების შემადგენელ პირთა რიცხვი, რომელიც განსაზღვრულია კანონით; პირადი შემადგენლობა; 2) თვითეული სახელმწიფოს ჯარების რიცხვი.

**კონტინენტ-ი**, ლათ.-ევროპ., ხმელეთი, მატერიკი (იხ.) — უპირისპირდება ზღვას და კუნძულს; აქედან: **კონტინენტალური** ან **კონტინენტური** — ხმელეთზე მყოფი ან ხმელეთის ხასიათის მქონე. — **კონტინენტალური** ან **საკონტინენტო სისტემა** — ასე ეწოდება ნაპოლეონ I-ის ზომებს (1806 წ.), მიმართულს ხმელეთ-ევროპის ბაზრის დახურვისაკენ ინგლისის ვაჭრობისათვის.

**კონტო**, იტ., ანგარიში; აქედან: **კონტო-ვოსტრო** — თქვენი ანგარიში: **კონტო-კორრენტე** — მიმდინარე ანგარიში; **კონტო-ლორო** — მათი ანგარიში; **კონტო-მიო** — ჩემი ანგარიში: **კონტო-მეტო** — საერთო ანგარიში: **კონტო-ნოსტრო** — ჩვენი ანგარიში.

**კონტორ-**, იხ. კანტორ-.

**კონტრ-**, **კონტრა** (ფრ. contre, ლათ. contra) — დაერთვის სხვა სიტყვას თავში და აღნიშნავს: წინააღმდეგი. მოპირდაპირე; წინააღმდეგ. პირისპირ და სხვ.

**კონტრაბანდ-ი** (იტ. contrabbando): 1) საბაჟო საზღვარზე ბაჟის გადაუხდელად საქონლის გატარება; 2) თვით ამგვარად გატარებული საქონელი. — აქედან: **კონდრაბანდისტ-ი** — კონტრაბანდის მქნელი.

**კონტრაბას-ი** (იტ. contrabbasso), სიმებიან სამუსიკო ინსტრუმენტთა შორის ყველაზე დიდი. ხემით დასაკრავი, — ოქტავით (იხ.) დაბალია ვიოლონჩელზე (იხ.); აქედან: **კონტრაბასისტ-ი** — კონტრაბასზე დამკვრელი.

**კონტრაგენტ-ი**, იხ. კონტრაჰენტი.

**კონტრადიქცია** (ლათ. contradictio), წინააღმდეგობა; ლოგიკური წინააღმდეგობა.

**კონტრადმირალ-ი** (იხ. კონტრ- და ადმირალი). სამხედრო ფლოტში უმაღლესი საადმირალო ხარისხი.

**კონტრაკამბიო**, იტ., უკუქცევითი თამასუქი.

**კონტრაკტ-**, იხ. კონტრაქტ-.

**კონტრაკც-**, იხ. კონტრაქც-.

**კონტრალტო**, იტ., ყველაზე დაბალი ხმა ქალის ხმებს შორის.

**კონტრამარკა**, ლათ.-ევროპ., ბილეთის მაგიერი ბარათი — თეატრში, ცირკში და სხვაგან შესასვლელად.

**კონტრამარშ-ი** (ფრ. contremarche), სამხედრო ძალების მოძრაობა — მტრის შეცთომაში შეყვანის მიზნით. — ზურგიდან სამოქმედოდ.

**კონტრაპუნქტ-ი**, ახ. ლათ., მუსიკის თეორიის დარგი: მოძღვრება ან ხელოვნება რამდენისამე დამოუკიდებელი მელოდიის ჰარმონიული შეხამების შესახებ. — **კონტრაპუნქტისტ-ი** — კონტრაპუნქტის მცოდნე, — მასწავლებელი.

**კონტრასიგნატურა**, ლათ.-ევროპ., სხვის მიერ ხელმოწერილი საბუთის შემტკიცება. **კონტრასიგნირება** — იგივე მოქმედება.

**კონტრასტ-ი** (ფრ. contraste). მაქსიმალური (უდიდესი) განსხვავება ორი საგნისა ან მოვლენისა ურთიერთისაგან.

**კონტრატემპო**, იტ.: 1) ფარიკაობაში: უდროოდ წარმოებული დარტყმა; 2) მუსიკაში: ტემპის (იხ.) შენელება.

**კონტრაფაქცია** (ლათ. contra-factio): 1) სიყალბის ჩადენა. განსაკუთრებით— სალიტერატურო დარგში; 2) სალიტერატურო, სამუსიკო და სხვ. ასეთ ნაწარმოებთა გამოცემა ავტორის ნებადაურთველად.

**კონტრაფორს-ი**, იხ. კონტრფორსი.

**კონტრაქტ-ი**, ლათ., ხელშეკრულობა, წერილობითი პირობა.

**კონტრაქტურა**, ლათ.-ევროპ., მედიცინაში: კუნთების დამოკლება, — კრუნჩხვა, რასაც შედეგად მოჰყვება სხეულის ავადმყოფი ნაწილების გამრუდება.

**კონტრაქცია** (ლათ. contractio „შეკუმშვა“), ენათმეცნიერებაში: ორი მეზობელი ხმოვნის შერწყმა ერთ ხმოვნად.

**კონტრაჰენტ-ი** (ლათ. con-trahere-საგან „შემოკრება, მორიგება“): 1) პირობის შემკვრელი პირი, 2) იჯარადარი.

**კონტრდანს-ი** (ფრ. contredanse). ერთგვარი ევროპული ცეკვა, რომელსაც ასრულებენ ერთიმეორის პირისპირ მდგომი წყვილები.

**კონტრვიზიტ-ი**, ფრ., სამაგიერო ვიზიტი.

**კონტრიბუცია** (ლათ. contributio), გადასახადი, რომელსაც იღებს 1) გამარჯვებული სა-

ხელმწიფო დამარცხებულისაგან — ომით გამოწვეული სამხედრო ხარჯების ასანაზღაურებლად — ან 2) გამარჯვებული მხედრობა მის მიერ დაკავებულ ადგილებში მცხოვრებთაგან.

**კონტრმინა** ან **კონტრმინ-ი** (ფრ. contremine). სამხედრო საქმეში: 1) მოწინააღმდეგის ნაღმების გასანადგურებელი ნაღმი: 2) ციხე-სიმაგრიდან გაყვანილი მიწისქვეშა გზა — მტრის ნაღმების მოსაძებნად და გასანადგურებლად (იხ. მინა ან მინი).

**კონტროვერზ-ი** ან **კონტროვერსია** (ლათ. controversia). საერთოდ: დავა, კამათი; შეუთანხმებლობა; კერძოდ: სარწმუნოებრივი კამათი.

**კონტროლ-ი** (ფრ. contrôle): 1) რისიმე შემოწმება ან მეთვალყურეობა: 2) დაწესებულება, რომლის მოვალეობასაც შეადგენს ვისიმე მოქმედების შემოწმება ან მეთვალყურეობა. — **კონტროლორ-ი** ან **კონტროლერ-ი** — შემმოწმებელი ან მეთვალყურე.

**კონტრ-რევოლუცია** (ფრ. contre-révolution). რევოლუციის მიერ დამხობილი კლასების ან ჯგუფების მოძრაობა — რევოლუციის მონაპოვართა მოსასპობად: აქედან: **კონტრ-რევოლუციონერ-ი** — კონტრ-რევოლუციის მომხრე.

**კონტრფორს-ი** ან **კონტრფორტ-ი** (ფრ. contre-fort). ხუროთმოძღვრებაში: კედლის შესამაგრებელი ქვის სვეტი: გვერდსამაგრი.

**კონტუზია** (ლათ. contusio „დაჟყლეტა; დაძეწკა"). დაშავება ბლაგვი იარაღისაგან ან ახლოს გავლილი ყუმბარისაგან; უჭრილობო ნატკენი: აქედან: **კონტუდირება** ან **კონტუზირება** — ამგვარად დაშავება: **კონტუზირებული** — ამგვარად დაშავებული.

**კონტურ-ი** (ფრ. contour). საგნის გარეგანი მოყვანილობის გადმომცემი ხაზი; გარემოხაზულობა.

**კონუს-ი** (ბერძ. kônos). გეომეტრიაში: გეომეტრიული სხეული, რომელიც წარმოიქმნება სწორკუთხოვანი სამკუთხედის კათეტის თავისგარშემო ტრიალით; აქედან: **კონუსური** — კონუსის ფორმის მქონე (შაქრისთავის მოყვანილობის).

**კონფედერაცია**, ლათ.-ფრ. (confédération): 1) საერთოდ — კავშირი; 2) კერძოდ — კავშირი ერთიერთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, შტატებისა, კანტონებისა და სხვ.; 3) პოლონეთის აზნაურთა გაერთიანება ძველად — თავის უფლებათა დაცვის მიზნით მეფისა ან სეიმისაგან (იხ.); აქედან: **კონფედერატები** (მრავლ.) — კონფედერაციის წევრები; მოკავშირენი. — **შრომის კონფედერაცია** — : 1) საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრის სახელწოდება, — წარმოიშვა 1894 — 95 წ.წ.; 1921 წელს გაიყო ორად: რეფორმისტულ და რევოლუციურ კონფედერაციებად; 2) იტალიის პროფესიონალური მოძრაობის ცენტრი, — დაარსდა 1906 წ.

**კონფეთ-ი**, იხ. კანფეთი.

**კონფერანს-ი** (ფრ. conférence). საჯარო მოხსენება, ლექცია. **კონფერანსიე** (ფრ. conférencer): 1) იგივე; 2) საჯაროდ მომხსენებელი პირი, ლექტორი; 3) სცენიდან წინასწარ მომხსენებელი იმისა, თუ რას დაინახავენ ან მოისმენენ დამსწრენი (ჩვეულებრივ — კონცერტებისა და სახალისო წარმოდგენების დროს).

**კონფერენცია** (საშ. საუკ. ლათინ. conferentia). სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა — განსაზღვრული საკითხების გარშემო სათათბიროდ და გადასაწყვეტად. — **კონფერენც-ზალ-ი** — საკონფერენციო, სათათბირო დარბაზი.

**კონფესია** (ლათ. confessio „აღიარება"), ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარება, მიღება; აქედან: **კონფესიონალიზმ-ი** — ამა თუ იმ სარწმუნოებრივი მოძღვრების მტკიცედ დაცვა; განსაზღვრული სარწმუნოების აღიარების მიჩნევა ზნეობის აუცილებელ პირობად. — **კონფესიონალისტ-ი** — კონფესიონალიზმის მომხრე.

**კონფეტი** (მრავლ., იტ. confetto). წვრილად დაჭრილი სხვადასხვა ფერის ქაღალდი, რომელსაც ერთიმეორეს აყრიან ცეკვისა და სხვა დროსტარების დროს.

**კონფექცია** (ლათ. confectio), დამზადება, შესრულება; **კონფექციური მრეწველობა** — მზა ტანსაცმელის მრეწველობა.

**კონფიგურაცია**, ლათ.-ფრ. (configuration): 1) საგნის გარეგანი ფორმა, მოყვანილობა; 2) ასტრონომიაში: ვარსკვლავთა მდებარეობა ვარსკვლავედების მიმართ.

**კონფიდენციალური** ან **კონფიდენციური** (ლათ. confidentia-საგან „თავისთავზე დანდობა, გამბედაობა", ფრ. confidentiel). საიდუმლო, გასანდობარი; რაც არ უნდა გახმაურდეს.

**კონფირმაცია** (ლათ. confirmatio „დადგენა, შემტკიცება"): 1) კათოლიკურ ეკლესიაში: მირონცხება მონათვლის შემდგომ; 2) ლუთერანულ ეკლესიაში: სარწმუნოების აღიარების წესი პირველი ზიარების უწინარეს; 3) სამხედრო სასამართლოს დადგენილების დამტკიცება უზენაესი ხელისუფლების მიერ.—**კონფირმირება**— იგივე მოქმედება.

**კონფისკაცია** (ლათ. confiscatio): 1) კერძო საკუთრების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ; 2) რაიმე ბეჭდვითი ნაწარმოების აკრძალვა ხელისუფლების მიერ. — **კონფისცირება** — იგივე მოქმედება.

**კონფლიქტ-ი**, ლათ., უთანხმოება, შეჯახება; განხეთქილება.

**კონფორმისტები** (მრავლ., ახ. ლათ.), ინგლისელი პროტესტანტები, რომელთაც აღიარეს (1562) ანგლიკანური ეკლესიის (იხ.) ყველა დებულებანი (უპირისპირდება დისენტერებს, იხ.).

**კონფორტატივ-ი**, ლათ.-ფრ. („გამმაგრებელი"), სქესობრივად აღმძვრელი საშუალება.

**კონფუციუს-ი** ან **კონფუცი** (ჩინურად კუნ-ფუ-ძი), ჩინელი ბრძენი, ჩინეთის სახელმწიფო რელიგიის დამაარსებელი (551 — 479 ქ. წ.); მის მოძღვრებას ახასიათებს ინტერესი ეთიკის (იხ.) საკითხებისადმი; ის ქადაგობს პრაქტიკულ კეთილგონიერებასა და წესრიგიანობას; გულგრილად ეპყრობა ზეგრძნობადსა და მისტიკურ საკითხებს; აქედან: **კონფუციანიზმ-ი** ან **კონფუციანობა** — კონფუცის მოძღვრება.

**კონქვისტადორები** (მრავლ.. ისპ. „დამპყრობელნი"), ისპანელი კოლონისტები ამერიკაში, რომელნიც 16 საუკუნიდან იპყრობდენ მთავრობის დაუხმარებლივ ახალ ადგილებს; აგრეთვე — მათი შთამომავლობა.

**კონქიოლოგია** (ბერძ. kógchē kogchylion „ნიჟარა"). ზოოლოგიის დარგი, — იკვლევს მოლუსკების ნიჟარებს და ნიჟაროვან მოლუსკებს.— **კონქოიდ-ი** — მათემატიკაში: მეოთხე ხარისხის მრუდი (ასე ეწოდა ნიჟარისებური სახის გამო).

**კონცენტრაცია**, ლათ.-ფრ. (concentration), ერთ ადგილას შეკრება, — თავმოყრა; შემჭიდროება. — **კაპიტალის კონცენტრაცია** — კაპიტალის თავმოყრა რამდენისამე მესაკუთრის ხელში; **ყურადღების კონცენტრაცია** —ყურადღების დაძაბვა, გაძლიერება: **წარმოების კონცენტრაცია**— დიდ წარმოება-საწარმოთა ზრდა მცირეთა დაღუპვის გზით. — **კონცენტრირება** — იგივე მოქმედება; **კონცენტრირებული** — კონცენტრაცია ქმნილი. — **საკონცენტრაციო ბანაკი** — ტყვების მოსათავსებელი ბინა.

**კონცენტრ-ი**, ლათ.-ევროპ.. ასე ეწოდება ერთისა და იმავე სასწავლო საგნის სხვადასხვა მოცულობის თვითეულ კურსს: მოსწავლე სწავლობს ჯერ მოკლე მოცულობის კურსს, შემდეგ უფრო გაფართოებულს. — **კონცენტრული** — : 1) კონცენტრის ხასიათის მქონე; 2) სხვასთან საერთო ცენტრის მქონე; აქედან: **კონცენტრული წრეები** — საერთო ცენტრის მქონე წრეები, — მდებარეობენ ერთიმეორის შიგნით.

**კონცეპტ-ი**, ლათ., საერთო წარმოდგენა, ცნება; გეგმა, სქემა.— **კონცეპტუალიზმ-ი** — ფილოსოფიური მოძღვრება. რომლის თანახმადაც ცნებები არიან ცნობიერების ნაყოფი და არსებობენ მხოლოდ მასში; აქედან: **კონცეპტუალისტ-ი** — ამ მოძღვრების მიმდევარი.

**კონცეპცია**, იხ. კონცეფცია.

**კონცერნ-ი**, ლათ.-ევროპ.. რამდენისამე მსხვილ წარმოება-საწარმოთა გაერთიანება ერთი კაპიტალისტის (ან კაპიტალისტთა ჯგუფის) ხელმძღვანელობით.

**კონცერტ-ი** (იტ. concerto): 1) ერთი ინსტრუმენტისათვის დაწერილი დიდი მუსიკალური ნაწარმოები (ჩვეულებრივ — ორკესტრის აკომპანიმენტით); 2) სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულება; 3) რამდენისამე სახელმწიფოს შეთანხმება ერთად სამოქმედოდ.— **კონცერტანტ-ი** — კონცერტის გამმართველი მომღერალი ან დამკვრელი. — **კონცერტინო** — : 1) ერთგვარი შთასაბერი სამუსიკო ინსტრუმენტი; 2) საკონცერტო პატარა ნაწარმოები. — **კონცერტმეისტერ-ი** — გამოცდილი მუსიკოსი ორკესტრში, ჩვეულებრივ — პირველი ვიოლინოს დამკვრელი.

**კონცესია** (ლათ. concessio „დათმობა, ნებართვა, თანხმობა"): 1) იჯარით გადაცემა მთავრობის მიერ კერძო პირისა ან კამპანიისათვის სახელმწიფო წამოწყებისა ან რაიმე წარმოებისა განსაზღვრული ვადით და მოგების განსაზღვრული ნაწილის გადახდით სახელმწიფოს სასარგებლოდ: აქედან: **კონცესიონერ-ი** — კონცესიის

აძლები; **კონცესიური** — კონცესიის ხასიათის მქონე: **საკონცესიო** — კონცესიისათვის განკუთვნილი, გამოსადეგი და სხვ.

**კონცეფცია** (ლათ. conceptio „თხზულება; აღქმა").: მოსაზრება; ცნებათა ჩამოყალიბება, ჩამოყალიბებული აზრები.

**კონხიოლოგია**, იხ. კონქიოლოგია.

**კოოპერატივ-ი**, ლათ.-ფრ. (coopérer-ისაგან „თანამშრომლობა, ხელისშეწყობა"): 1) სამეურნეო ორგანიზაცია, რომელიც აგებულია თანამშრომლობისა და თანამოზიარეობის წესით; 2) ჩვეულებრივ: სავაჭრო სახლი, რომლის მიზანიცაა წევრთათვის საქონლის იაფად მიწოდება — კერძო ვაჭრების შუამავლობის მოსპობისა და კერძო ბაზართან ბრძოლის გზით. — **კოოპერატორ-ი** — კოოპერაციის (იხ.) მცოდნე და მაზედ მომუშავე; **კოოპერირება** — კოოპერაციაში სამონაწილეოდ მოზიდვა, — მასში გაერთიანება.

**კოოპერაცია**, ლათ.-ფრ. (coopération, იხ. წინა სიტყვა): 1) რამდენისამე პირის თანამშრომლობა საერთო საქმეში; 2) გაერთიანება მწარმოებელთა ან მომხმარებელთა საერთო ეკონომიურ ინტერესთა ნიადაგზე — კერძო კაპიტალთან ბრძოლის მიზნით. — მომხმარებელთა კოოპერაციის მიზანია საქონლის განაწილება — მიაწოდოს წევრებს საუკეთესო და იაფ-ფასიანი საქონელი; მწარმოებელი კოოპერაციის მზანია— გააერთიანოს წვრილი მწარმოებლები საქონლის საერთოდ წარმოებისა და მისი ბაზარზე გასაღებისათვის. — 3) გადატან. მნიშვნ.: **კოოპერაცია**— მეცნიერება, რომელიც სწავლობს კოოპერაციის (იხ. 2) სხვადასხვა ფორმებს. — **კოოპერაციული** —კოოპერაციის (1, 2) ხასიათის მქონე; **კოოპერაციული ამხანაგობა** —არსდება საწარმოო ან სამომხმარებლო მიზნით თავისი წევრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კაპიტალისტთა და კერძო ვაჭართა შუამავლობის მოსპობის გზით.

**კოოპტაცია** (ლათ. cooptatio „არჩევა"), რაიმე კოლეგიის ან ორგანიზაციის წევრების მიერ შევსება ახალი წევრებით თავისი შემადგენლობისა — იმ კრების ან დაწესებულების მიუმართავად, რომელმაც აირჩია პირვანდელი შემადგენლობა; აქედან: **კოოპტირება** —იგივე მოქმედება; **კოოპტირებული** — კოოპტაციით მოწვეული და სხვა.

**კოორდინატები** (მრავლ., ლათ.): 1) გეომეტრიაში— მონაცემი წერტილის მდებარეობის განმსაზღვრელი სიდიდეები; 2) ასტრონომიაში — ფართობის, წრის (ხაზის) ან წერტილის მიმართ ცის-მნათობის მდებარეობის განმსაზღვრელი სიდიდეები; 3) გეოგრაფიაში — დედამიწის ზედაპირზე რაიმე წერტილის მდებარეობის განმსაზღვრელი სიდიდეები (სიგრძედი, სიგანედი და სხვ.).

**კოორდინაცია**, ლათ.-ფრ. (coordination), შეთანხმებული, მიზანშეწონილი მოქმედება, ურთიერთ შესატყვისობა, შეფარდებულობა. — **კოორდინირება** — იგივე მოქმედება.

**კოპერნიკ-ი**, ნიკ. (1473 — 1543), შესანიშნავი პოლონელი ასტრონომი: მისაგან მომდინარეობს თანამედროვე შეხედულება მზის სისტემის შესახებ.

**კოპიო** (ლათ. copia „სიმრავლე, მარაგი..."): 1) დედნიდან გადაწერილი ან გადაღებული; პირი; 2) სრული მსგავსება; ზუსტი განმეორება. — **კოპიისტ-ი** ან **კოპისტ-ი** — გადამწერი, დედნიდან პირის გადამღები; **კოპირება** — : 1) გადაწერა; პირის გადაღება; 2) გადატ. მნიშვნ.: მიბაძვა, სხვისი საქციელის გადმოღება.

**კოპროლითები** (მრავლ., ბერძ. კოპროს „სკორე, განავალი", ლითოს „ქვა"). უძველეს ცხოველთა გაქვავებული განავალი.

**კოპტები** (მრავლ.), ძველ ეგვიპტელთა შთამომავალი ხალხი, — ცხოვრობენ ზემო ეგვიპტეში; მათი ენა — **კოპტური** — განვითარდა ძველი ეგვიპტურისაგან; ამ ენაზე არსებობს ქრისტიანული ლიტერატურა (X საუკუნემდე).

**კოპულა**, ლათ. („კავშირი, თოკი"), გრამატიკაში: შემასმენლობის უღვლილებადი ნაწილაკი (ვარ, ხარ, არის; იყო და სხვ.), რომელიც აღნიშნავს დროსა და კილოს; ლოგიკაში: იგივე ნაწილაკი, რომლის მეოხებითაც პრედიკატი უკავშირდება სუბიექტს მსჯელობაში; მაერთი. — **კოპულაცია** — : 1) მებაღეობაში: დამყნის ერთგვარი წესი; 2) ბიოლოგიაში: ორი ერთგვარი უჯრედის შერწყმა გამრავლების მიზნით. — **კოპულირება** — იგივე მოქმედება.

**კორადიაცია**, ლათ.-ფრ. (corradiation), სხივთა შეერთება ერთ წერტილში.

**კორალი** (ბერძ. კორალლიონ), პოლიპების მიერ ზღვის ფსკერზე გამონაყოფი კიროვანი ნი-

ვთიერება სხვადასხვა ფერისა; მარჯანი; მისაგან კეთდება სამკაულები. — კორალინ-ი — ერთგვარი ორგანიული საღებავი ყვითელი და წითელი ფერისა. — იხმარება ქსოვილების შესაღებავად.

**კორან-ი**, იხ. ყურანი.

**კორდა**, ბერძ.-ფრ. (corde). ცხენის გასახედნად ხმარებული თოკი.

**კორდებალეტ-ი** (ფრ. corps de ballet). საბალეტო გუნდი; ბალეტში მოცეკვავეთა ჯგუფები — რაიმე როლის შესრულების გარეშე საბალეტო წარმოდგენაში.

**კორდეგარდ-ი** (ფრ. corps de garde), სამხედრო ყარაულის ბინა; სადარაჯო.

**კორდელიერები** (მრავლ., ფრ. cordeliers): 1) 13 საუკუნეში დაარსებული ფრანცისკანელ ბერთა ძმობა (ბერები წელზე ირტყამდენ თოკს, იხ. კორდა); 2) პოლიტიკური კლუბის წევრები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. წარმოადგენდენ უკიდურეს მემარცხნეებს (იკრიბებოდენ ფრანცისკანელთა მონასტერში.

**კორდიალური** ან **კორდიალ-ი**, ლათ.-ფრ. (ლათ. cor, cordis „გული"). გულის. გულიანი; გულითადი; **კორდიფორმული** — გულის მოყვანილობის მქონე.

**კორდიტ-ი** — ერთგვარი უკვამლო დენთი (თოფისწამალი).

**კორდონ-ი**, ფრ.: 1) ხუროთმოძღვრებაში: ქვის შენობის ზემო ნაწილზე შემოვლებული ქვისსარტყელი; 2) სამხედრო საქმეში: საზღვარზე ჯაჭვისებრ გამწკრივებული პატარა რაზმები — იცავს საზღვარს მტრის უცაბედი თავდასხმისაგან; აქედან: **კორდონისტ-ი** — საზღვრის დარაჯი.

**კორდუან-ი**, ისპ.-ფრ.. თხის რბილი ტყავი, რომელსაც წინეთ ამზადებდენ ისპანიის ქ. კორდოვაში.

**კორეკტ-**, იხ. კორექტ-.

**კორელაცია**, ლათ.-ფრ. (corrélation). საგანთა ან ცნებათა თანაშეფარდება, ურთიერთ შეფარდება; ურთიერთ შეპირობება (ორ ცვლად მოვლენას შორის ერთი მათგანის ცვლილებისას შეფარდებით იცვლება მეორეც); აქედან: **კორელაციური** — კორელაციაში მყოფი, თანაშეფარდებითი და სხვ. — **კორელატები** (მრავლ.) — კორელაციაში მყოფი ორი მოვლენა, თანაშეფარდებული, ურთიერთ შეპირობებული და სხვ.

**კორესპონდენტ-ი** (ლათ. correspondens,-ntis „თანამოპასუხე"): 1) მიწერ-მოწერის მწარმოებელი პირი. მაგ. რაიმე სავაჭრო ან სამრეწველო დაწესებულებაში; 2) ცნობების მიმწოდებელი სხვა ადგილიდან გაზეთში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში; 3) სამეცნიერო დაწესებულების (მაგ. აკადემიის) თანამშრომელი სხვა ადგილიდან; 4) **ბანკის კორესპონდენტ-ი** — ბანკის დავალებათა შემსრულებელი პირი ან დაწესებულება სხვა ადგილას. — აქედან: **კორესპონდენცია** — : 1) მიწერ-მოწერა; წერილები; 2) პერიოდული გამოცემისათვის მიწოდებული ცნობები სხვა ადგილიდან.

**კორექტ-ი**, ლათ.-ფრ. (correct), სწორი, უშეცთომო. შეუცთომელი; წესიერი, რიგიანი; აქედან: **კორექტივ-ი** — რაშიმე შესწორების შემტანი რამ, შესწორება.— **კორექტობა** — წესიერობა, რიგიანობა, ზრდილობიანობა; აქედან: **კორექტული** — წესიერი, რიგიანი, ზრდილობიანი. — **კორექტურა** — სასტამბო საქმეში: 1) აწყობის დროს დაშვებული შეცთომების გასწორება ამონაბეჭდში; 2) თვით ასეთი გასასწორებელი ამონაბეჭდი. — **კორექტირება** — ამონაბეჭდში შეცთომების გასწორება. — **კორექტორ-ი** — კორექტურის გამსწორებელი პირი.

**კორექტორიუმ-ი** (ახ. ლათ. correctorium), დამნაშავე ბერების დასამწყვდევი ოთახი კათოლიკურ მონასტერში.

**კორექტურა**, იხ. კორექტი.

**კორვეტ-ი**, ლათ.-ფრ. (corvette). ძველებური სამხედრო საანძიანი ხომალდი.

**კორიდორ-ი** (ფრ. corridor), დერეფანი.

**კორიფე-ი** ან **კორიფეოს-ი** (ბერძ. koryphaios): 1) საერთოდ — მეთაური, ხელმძღვანელი, უფროსი; 2) ძველად — გუნდის ხელმძღვანელი ტრაგედიაში; 3) ახლა — ხელოვნების ან სამეცნიერო დარგის უპირველესი. საუკეთესო წარმომადგენელი.

**კორნელ-ი**, პ. (Corneille, P., 1606 — 1684), შესანიშნავი ფრანგი დრამატურგი. ფრანგული კლასიციზმის მამათმთავარი და საფრანგეთის ეროვნული თეატრის შემქმნელი (მისი ტრაგედიებია: „სიდი", „პოლიევქტი", „როდოგუნი" და მრ. სხვ.).

**კორნეტ-ი**, ფრ.: 1) პირველი (დაბალი) საოფიცრო ხარისხი ზოგიერთ არმიაში; 2) ფრ.

cornette — ქალის თავის სამკაული ძველად, 3) იტ. cornetto — ლითონის შთასაბერი სამუსიკო ინსტრუმენტი; აქედან: კორნეტისტ-ი — კორნეტზე დამკვრელი.

**კოროლენკო,** ვ. გ. (1853 — 1921), გამოჩენილი რუსი მწერალი; მონაწილეობას იღებდა მე-80-ე წლების სარევოლუციო მოძრაობაში; მხატვრულ ლიტერატურაში წარმოადგენს ხალხოსნურ მიმართულებას. მისი საუკეთესო ნაწარმოებები: „მაკარის სიზმარი", „ბრმა მუსიკოსი", „ტყე ხმაურობს" და სხვ.... ზოგიერთი თარგმნილია ქართულად.

**კორონა,** ლათ., გვირგვინი; აქედან: **კორონაცია** — მეფედ კურთხევა.

**კოროცა** ან **კოროსა,** ისპ., ერთგვარი წოწოლა ქუდი, რომელსაც ახურავდენ დასაწვავად გაყვანილ ერეტიკოსებს (იხ.).

**კორპორანტ-ი,** ლათ.-ევროპ.: 1) საერთოდ — კორპორაციის (იხ.) წევრი; 2) კერძოდ — გერმანიის უნივერსიტეტში: საუნივერსიტეტო კორპორაციის წევრი სტუდენტი.

**კორპორაცია,** ლათ.-ფრ. (corporation), საზოგადოებრივი ჯგუფი პირთა, რომელნიც მჭიდროდ არიან ურთიერთ დაკავშირებულნი საერთო ინტერესებით, მიზნითა და მოვალეობებით, — აქვსთ წესდება და იურიდიული უფლებები; აქედან: **კორპორანტ-ი,** იხ. ზემოთ.

**კორპულენტ-ი** ან **კორპულენტური** (ლათ. corpulentus), ბრგე, წარმოსადეგი, ტანოვანი; მსუქანი: **კორპულენცია** — ბრგეობა, ტანოვნობა; სიმსუქნე.

**კორპუს-ი,** ლათ. („ტანი, სხეული"): 1) ადამიანის ან ცხოველის სხეული; 2) სამხედრო ერთეული, რომელიც შეიცავს სხვადასხვაგვარ იარაღიან ნაწილებს და განკუთვნილია დამოუკიდებელი სამხედრო მოქმედებისათვის; 3) სასტამბო საშუალო ზომის შრიფტი; 4) ცალკე შენობა; 5) კადეტთა ან პაჟთა კორპუს-ი — ასე ეწოდება ზოგიერთ საშუალო სამხედრო სასწავლებელს; 6) დიპლომატიური კორპუს-ი — იხ. დიპლომატია.

**კორპუსკულ-ი,** ლათ., პატარა სხეული.

**კორსაჟ-ი** (ფრ. corsage), ქალის ტანსაცმელის ზედა ნაწილი — ყელიდან წელამდე.

**კორსარ-ი** (იტ. corsare): 1) მეკობრე, ზღვის ავაზაკი; 2) საზღვაო სომალდების მდევნელი ხომალდი.

**კორსეტ-ი,** ფრ.: 1) ქალის უსახელოებო ზედატანის საცმელი, რომელიც შეკერილია ფოლადის და ძვლის ბრტყელ ჩხირებზე. — შემოიჭირება ზონრით; 2) მედიცინაში: გიპსისა ან სხვა მასალისაგან გაკეთებული გაუდრეკელი ბანდაჟი, — იცმება გულმკერდზე ხერხემლის გამრუდების თავიდან ასაცილებლად.

**კორსო,** იტ.: 1) მთავარი ქუჩის სახელი იტალიის ქალაქებში; 2) ეტლით ქალაქ გარეთ გასეირნება იტალიაში.

**კორტეჟ-ი** (ფრ. cortège), ამალა; საპატივცემო მხლებელთა სვლა; საერთოდ: საზეიმო სვლა მრავალთა.

**კორტესები** (მრავლ., ისპ.), სახალხო წარმომადგენლობა ისპანიისა (დეპუტატთა პალატა და სენატი) და პორტუგალიაში (პერებისა და დეპუტატთა პალატა).

**კორუნდ-ი,** ლათ., სხვადასხვა ფერის კრისტალური მინერალი, რომელიც ფერის მიხედვით ატარებს სხვადასხვა სახელს, მაგ. აღმოსავლური ალმასი, ზურმუხტი, ამეთისტი და სხ.

**კორუპცია** (ლათ. corruptio): 1) საერთოდ — წახდომა; გარყვნილობა, გახრწნილობა; 2) კერძოდ: თანამდებობის პირთა მექრთამეობა; დამახინჯება (მაგ. ტექსტისა).

**კოსინერები** (მრავლ., პოლონ.), ცელებით შეიარაღებული მებრძოლები 1863 წლის აჯანყების დროს პოლონეთში.

**კოსმეტიკა** (ბერძ. კოსმეინ-ისაგან „შემკობა"): 1) სხეულისა და პირისახის გამშვენიერების ხელოვნება სხვადასხვა ღონისძიებით (წასმით, დაზელით, დაბანით და სხვ.); 2) სხვადასხვა საშუალებანი სხეულისა და პირისახის გასამშვენიერებლად, მაგ., პომადა, პუდრი და სხვ.; აქედან: **კოსმეტიკური საშუალებანი** — მაგ. საპონი, სურნელოვანი სითხე, კბილის ფხვნილი, პუდრი და სხვ.

**კოსმიური** ან **კოსმოსური,** ბერძ., მსოფლიური, სამყაროს შესახები (იხ. კოსმოსი).

**კოსმოს-ი,** ბერძ.: 1) ძველ ბერძენთა წარმოდგენით: წესიერება, ჰარმონია; 2) შემდეგ: მსოფლიო, სამყარო. — აქედან: **კოსმოგონია** — მოძღვრება მსოფლიოს გაჩენის ან წარმოშობის შესახებ; **კოსმოგრაფია** — ხილული მსოფლიოს აღწერა; მეცნიერების დარგი, რომელიც აწვდის ზოგად ცნობებს ასტრონომიიდან, მეტეოროლო-

გიდან და ფიზიკური გეოგრაფიიდან; კოსმოლოგია, კოსმონომია — მოძღვრება მსოფლიოს მმართველი კანონების შესახებ.—**კოსმოპოლიტ-ი** („მსოფლიოს მოქალაქე") — ადამიანი, რომელიც არ სთვლის თავის თავს მხოლოდ ერთი ქვეყნის (ერთი ერის, თავის სამშობლოს) მოქალაქედ. არამედ მთელი მსოფლიოსად; აქედან: **კოსმოპოლიტიზმ-ი** — ზოგად-კაცობრიული მიზნების უპირატესობის აღიარება ეროვნულ მიზნებთან შეპირისპირებით.

**კოსტიოლ-ი**, ლათ.-პოლონ. (ლათ. costellum-ისაგან), კათოლიკური ტაძრის პოლონური სახელწოდება.

**კოსტიუმ-ი** ან უკეთ **კოსტუმ-ი** (ფრ. costume): 1) საერთოდ: ტანსაცმელი; 2) კერძოდ: ევროპული ტანსაცმელი (ვაჟის პიჯაკი, ჟილეტი და შალვარი; ქალის ჟაკეტი და შესაფერი კაბა); აქედან: **კოსტუმერ-ი** — სათეატრო მკერავალი ან მსახიობთათვის ტანსაცმელის შესახებ მზრუნველი.

**კოტელოკ-ი**, რუს., ერთგვარი მაგარ-და მომრგვალებულ-გვერდებიანი ევროპული ქუდი ვაჟისა.

**კოტეჯ-ი** (ინგლ. cottage): 1) სახლი ცალკე ოჯახისათვის ინგლისში; აგრეთვე — მუშებისათვის აშენებული სადგომი; 2) ქალაქ გარეთი პატარა სახლი ერთი ოჯახისათვის.

**კოტერია** (ფრ. coterie), რამოდენიმე პირთა ვიწრო წრე, რომელსაც დასახული აქვს რაიმე მიზანი — საიდუმლო რამ, გართობისა და სხვ.

**კოტიზაცია** (ფრ. cotisation): 1) ფასიანი ქაღალდების ბრუნვა ბირჟაზე; 2) ბირჟაზე მბრუნავი ფასიანი ქაღალდების საბირჟო ფასის დადგენა და ბიულეტენში შეტანა; აქედან: **კოტირება** — იგივე მოქმედება.

**კოტილიონ-ი** ან **კოტილონ-ი** (ფრ. cotillon), ერთგვარი ძველებური ცეკვა, — სრულდება ოთხი ან რვა პირის მიერ, შეიცავს ვალსის ფიგურებს.

**კოტირება**, იხ. კოტიზაცია.

**კოტლეტ-ი**, იხ. კატლეტი.

**კოტურნ-ი**, იხ. კოთურნი.

**კოფეინ-ი**, არაბ.-ევროპ., ყავის მარცვლებში შემავალი ალკალოიდი (იხ.), — იხმარება მედიცინაში, როგორც აღმძვრელი. საშუალება.

**კოქს-ი** (მრავლ. ინგლ. coke-ისაგან). გამოწვარი ქვანახშირი; ქვანახშირის მშრალი გამოხდის გზით მიღებული ნახშირბადოვანი მყარი ნივთიერება,—იხმარება როგორც წვადი მასალა; — აქედან: **კოქსვა** — კოქსის გამოხდა; ქვანახშირის კოქსად ქცევა.

**კოქსიტ-ი** ან **კოქსიტის-ი** (ლათ. coxa-საგან), მენჯ-ბარძაყის სახსრის ანთება.

**კოქცინელლა**, **კოქცინ-ი**, იხ. კოშენილ-ი.

**კოშევოი**, იხ. კოში.

**კოშენილ-ი**, ლათ.-ფრ. (cochenille), ერთგვარი მწერი, რომლისაგანაც კეთდება საღებავი კარმინი (ანუ კოშენილი).

**კოშერ-ი**, ებრ., სუფთა, წმინდა; ებრაული რელიგიით ნებადართული, მაგ. **კოშერული** ან **კოშერის ხორცი** — ებრაული წესით დაკლული ცხოველის ხორცი.

**კოშ-ი**, თურქ.,: 1) ზაპოროჟიელ (იხ.) კაზაკთა სამხედრო ბანაკი. მათი შესაკრებელი ადგილი; 2) თევზის საჭერი დაწნული კალათის მსგავსი მოწყობილობა. — **კოშევოი** — თურქ.-რუს., ზაპოროჟიელ კაზაკთა ატამანი (იხ.).

**კოშმარ-ი** (ფრ. cauchemar): 1) საზარელი სიზმარი, რომელსაც თან სდევს სულის-ხუთვა; ქართულად მ ა ჯ ლ ა ჯ უ ნ ა; 2) გადატ. მნიშვნ.: საზარელი რამ ამბავი.

**კოჩეგარ-ი**, იხ. კაჩეგარი.

**კოციტ-ი** (ბერძ. kôkytos „ცრემლის მდინარე"). ძვ. ბერძნული მითოლოგიით: ჯოჯოხეთის მდინარე. რომელზედაც ქარონს (იხ.) გადაჰყავდა მიცვალებულთა სულები.

**კოხინხინა**, საკ. სახ., ინდო-ჩინეთის ნახ.-კუნძულის სამხ.-აღმოსავლეთის ნაწილი; აქედან: **კოხინხინური ქათამი**.

**კოხ-ი ს ბ ა ც ი ლ - ი**, გამოჩენილი ბაქტერიოლოგის, რ ო ბ. კ ო ხ ი ს მიერ (1843—1910) აღმოჩენილი (1882 წ.) ტუბერკულოზის ბაცილი (იხ.).

**კოჰერენცია** (ლათ. cohaerentia „ნაწილთა ურთიერთ კავშირი"), ნაწილთა ურთიერთისაგან დამოკიდებულობა; შეჭიდულობა; შეჭიდულობის ძალა. — **კოჰერირება** — იგივე მოქმედება. — **კოჰეზია** — ლათ.-გერმ., რაიმე სხეულის ნაწილთა ან აზრთა ურთიერთ კავშირი.

**კოჰერერ-ი**, ლათ.-გერმ. (Kohärer ან Koherer. იხ. წინა სიტყვა), ერთერთი უმარტივესი

ტალღათა მიმღები უმავთულო ტელეგრაფიაში (იხ.).

**კოჰორტ-ი** (ლათ. cohors,-rtis), ძველ რომაელთა ლეგიონის მეათედი ნაწილი.

**კრაბ-ი** (ფრ. crabe), ერთგვარი კიბო, დიდი ტანისა; იჭმება.

**კრაგ-ი, კრაგები** (გერმ. Kragen „საყელო"), ტყავის გამაშები (იხ.), წვივებზე ჩასაცმელი ღილებიანი ყელები.

**კრაკ-ი:** 1) შვედ. krake — მითოლოგიური ურჩხული ზღვაში. — ჭყლაპავდა ხომალდებს; 2) საპანძიანი ხომალდი.

**კრაკოვიაკები** (მრავლ.), პოლონელთა ერთ-ერთი ტომი ქ. კრაკოვის ახლოს. — **კრაკოვიაკ-ი** — პოლონური ეროვნული ცეკვა.

**კრამარ-ი** (გერმ. Krämer-ისაგან), მეწვრილმანე ვაჭარი.

**კრამოლა,** ლათ.-რუს., არეულობა, ღალატი; **კრამოლნიკ-ი** — არეულობის გამომწვევი ან მონაწილე, მოღალატე.

**კრანბალკ-ი** (გერმ. Krahnbalken), წყლიდან ლუზის ამოსაღები მოწყობილობა.

**კრან-ი** (გერმ. Krahn): 1) რაიმე ჭურჭლიდან სითხის ან აირის (გაზის) გამოსაშვები ან დასაკავებელი მოწყობილობა; ონკანი; 2) დიდი სიმძიმეების ასაწევ-დასაწევი მანქანა.

**კრანიოლოგია** (ბერძ. kranion „თავისქალა"), მეცნიერება ადამიანის თავის-ქალის შესახებ; **კრანიომეტრია**—ადამიანის თავის-ქალის გაზომვა; **კრანიოტომია** — თავის-ქალის განკვეთა.

**კრაპ-ი** (გერმ. Krapp), ენდროს ძირისაგან დამზადებული წითელი საღებავი.

**კრატერ-ი,** ბერძ., ცეცხლ-მფრქვევი მთის ნაპრალი.

**კრახ-ი,** გერმ. („ტკაცანი, ბრაგვანი...") — იტყვიან მოულოდნელი მარცხის, დაღუპვის, გაკოტრების ან რაიმე სხვა უბედურების აღსანიშნავად.

**კრეატინ-ი,** ბერძ. ხელოვნ. (kreas,-atos-ისაგან „ხორცი"), ხერხემლიან ცხოველთა კუნთებისა, სისხლისა და ჯირკვლოვანი ორგანოების შემადგენელი ნივთიერება.—**კრეატინინ-ი**—შარდის შემადგენელი ნაწილი,— წარმოიქმნება კუნთებში მუშაობის დროს.

**კრეატორ-ი** (ლათ. creare-საგან „შექმნა"), შემოქმედი, შემქმნელი. — **კრეატურა** ან **კრეატურ-ი** — : 1) ვისიმე მიერ შექმნილი; 2) გადატ. მნიშვნ.: ისეთი ადამიანი, რომელიც წარმატებულია ცხოვრებაში არა პირადი ღირსებითა და დამსახურებით, არამედ გავლენიანი პირის მფარველობის წყალობით.

**კრედიტ-ი** (ლათ. credere-საგან „ნდობა, მინდობა..."): 1) ნდობა ამა თუ იმ პირის ან დაწესებულების გადახდის-უნარიანობაში; 2) საბუხჰალტრო წიგნებში: მარჯვენა გვერდი, სადაც იწერება გასავალი. — **კრედიტივ-ი** — : 1) დიპლომატიური აგენტის რწმუნებითი ბარათი; 2) ბანკის მიერ გაცემული საბუთი სხვა ბანკიდან განსაზღვრული თანხის მისაღებად. — **კრედიტორ-ი** — გამსესხებელი; ვალდებულობის თანახმად მოთხოვნის უფლების მქონე პირი — **საკრედიტო**.— კრედიტზე დამყარებული, მაგ. **საკრედიტო ბილეთები** — ქაღალდის ფულები, — იხმარება და მოქმედობს ლითონის ფულთან ერთად და მის თანასწორად; **საკრედიტო დაწესებულებანი** — სესხის უზრუნველყოფით გამცემი და საზარდად ფულადი შენატანის მიმღები დაწესებულებანი.

**კრედო,** ლათ. („მრწამს"): 1) მრწამსის სახელწოდება კათოლიკებში; 2) გადატ. მნიშვნ.; რწმენა, პრინციპი.

**კრევეტ-ი** (ფრ. crevette), გრძელ-კუდიანი ზღვის კიბო, — იჭმება.

**კრეზ-ი,** საკ. სახ. (ბერძ. Kroisos): 1) უამრავი სიმდიდრის პატრონი ლიდიის მეფე (VI ს. ქ. წ.); 2) გადატ. მნიშვნ.: ძალიან მდიდარი კაცი.

**კრეისერ-ი,** ლათ.-ევროპ. (ფრ. croiseur), სწრაფ-მავალი დიდი სამხედრო გემი; აქედან: **კრეისირობა**—სწრაფ-მავალი დიდი გემით ზღვაზე ცურვა სამხედრო ან სხვა მიზნებით.

**კრეიცერ-ი** (გერმ. Kreuzer), წვრილი ფული ავსტრიასა და გერმანიაში, უდრის დაახლოებით 1 კაპეიკს.

**კრემატორი** ან **კრემატორიუმ-ი,** ლათ. მიცვალებულთა გვამების დასაწვავი საგანგებო ღუმელი. — **კრემაცია** — გვამების დაწვა საგანგებო ღუმელში.

**კრემ-ი,** ლათ.-ფრ. (crème „ნაღები"): 1) ტკბილი საჭმელი, — დამზადებულია ნაღებში კვერცხისა და შაქრის გათქვეფით; 2) კანის შეურევლად დამზადებული წასასმი. — **კრემის ფერი** — ღია ყვითელი ფერი. — **კრემომეტრ-ი** —

რძეში ნაღების რაოდენობის გამომრკვევი იარაღი.

კრემლ-ი (რუს. Кремль), ციხე-ქალაქი ძველ რუსეთში; ცნობილია განსაკუთრებით მოსკოვის კრემლი, სადაც ძველად იყო სამეფო სასახლეები, ტაძრები და სხვ.; ახლა იქ იმყოფება საბჭოთა კავშირის უზენაესი ორგანოები (ცენტრ. აღმას. კომიტ., კომისართა საბჭო და სხვ.).

კრენ-ი, ლათ.-ევროპ. (ფრ. carène „ხომალდის ზღვისქვეშა ნაწილი“), ხომალდის გვერდზე გადახრა; ღრეცილობა; აქედან: კრენომეტრ-ი — ხომალდის ღრეცილობის საზომი იარაღი.

კრენდელ-ი (გერმ. Krengel; ქართულში რუსულიდან), სხვადასხვა ფორმის ტკბილი ნამცხვარი.

კრენზელ-ი (გერმ.?), მინის საჭრელი ალმასი.

კრენოლოგია (ბერძ. krênê „წყარო“), მეცნიერება სამკურნალო წყლების შესახებ.

კრეოზოტ-ი, ბერძ. ხელოვნ. („ხორცის შემნახველი“), უფერული შხამიანი სითხე, — მოიპოება, მაგალითად, ქვანახშირის კუპრისაგან და იხმარება ლპობა-გახრწნის საწინააღმდეგო საშუალებად, აგრეთვე — ჭლექის მკურნალობაში და სხვ.

კრეოლ-ი (ფრ. créole), თეთრკანიანთა შთამომავლობა ამერიკისა და აფრიკის კოლონიებში.

კრეპ-ი (ფრ. crêpe), აბრეშუმის, მატყლის ან ბამბის თხელი გამჭვირვალე ხუჭუჭა ქსოვილი. — კრეპონ-ი — კრეპის მსგავსი, მაგრამ უფრო მკვრივი ქსოვილი.

კრეპიტაცია (ლათ. crepitare-საგან „ბრახუნი, ხმაურობა, ჭრიალი...“): 1) გადატეხილი ძვლის ბოლოების ღრაჭუნი; 2) ავადმყოფური ხმაურობა ფილტვებში; 3) ართრიტიზმით დაავადებული სახსრების ტკაცუნი; აქედან: კრეპიტირობა — იგივე მოქმედება.

კრეს-ი, ევროპ. (გერმ. Kresse, ფრ. Kresson), წიწმატი.

კრესჩენდო, იტ., თანდათან გაძლიერება, მაგ. ბგერისა.

კრეტინ-ი, ლათ.-ევრ. (ფრ. crétin): 1) კრეტინიზმით (იხ.) შეპყრობილი ადამიანი; 2) დაბადებიდან გონებასუსტი, გონებაჩლუნგი, იდიოტი. — კრეტინიზმ-ი — განსაზღვრულ ადგილებში გავრცელებული ავადმყოფობა, რომელიც გამოიხატება ფიზიკურ სიმახინჯეში და გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობაში.

კრეტონ-ი (ფრ. cretonne), ბამბის სქელი ქსოვილი სხვადასხვა ფერისა, — იხმარება ავეჯეულობისათვის.

კრიზის-ი (ბერძ. Krisis „უთანხმოება, გადაწყვეტილება, გათავება...“): 1) საერთოდ — გარდატეხა; მძიმე გარდამავალი მომენტი; სახიფათო მდგომარეობა; 2) მედიცინაში: ავადმყოფობის მსვლელობაში სწრაფი ცვლილება, — ხასიათდება ტემპერატურის სწრაფი დაწევით; 3) ეკონომიური კრიზისი — გამოწვეულია კაპიტალიზმის ხანაში საქონლის ჭარბად დამზადებით, რასაც თან სდევს მრეწველობის შეჩერება და უმუშევრობა; 4) პოლიტიკური კრიზისი — ისეთი მდგომარეობა, როცა იცვლება მთავრობის მოღვაწეობის მიმართულება, რის გამო უნდა შეიცვალოს მთავრობაც; 5) სამინისტროს კრიზისი — მინისტრთა მთელი კაბინეტის გადადგომა და ახლის შედგენა (სიტყვა კ რ ი ზ ი ს-თან დაკავშირებულია კრიტერიუმი, კრიტიკა, იხ.).

კრიზისული (იხ. კრიზისი), კრიზისის ხასიათის მქონე; გარდატეხითი, გადამწყვეტი, სახიფათო და სხვ., მაგ.: კრიზისული მდგომარეობა —: 1) საერთოდ — სახიფათო, გამოუვალი მდგომარეობა; 2) ნივთიერების ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი მოგვევლინება ერთსა და იმავე დროს სითხისა და აირის (გზის) სახით. — კრიზისული ტემპერატურა — ისეთი ტემპერატურა, რომლის ზევითაც ნივთიერება შეიძლება იქნეს მხოლოდ აიროვან (გაზოვან) მდგომარეობაში და არავითარი წნევით არ შეიძლება მისი სითხედ ქცევა.

კრიკეტ-ი (ინგლ. cricet), ინგლისური ეროვნული თამაში დიდი ბურთებით.

კრილოვ-ი, ი. ა. Крылов И. А. 1768 — 1844), შესანიშნავი რუსი არაკების მწერალი, რომელმაც ამხილა მრავალი ზოგად-ადამიანური და საზოგადოებრივი ნაკლი და უსამართლობა; ზოგიერთი მისი არაკი გადმოაქართულა აკაკი წერეთელმა („კრილოვის არაკები“).

კრიმატოლოგია (ბერძ. კრიმა „მსჯელობა“), ლოგიკის ნაწილი: მოძღვრება მსჯელობის შესახებ.

კრიმ-ი (რუს. Крым), იხ. ყირიმი.

**კრიმინალ-ი** (ლათ. criminalis). სასისხლის-სამართლო დანაშაული; აქედან: **კრიმინალისტ-ი** — სისხლის-სამართლის სპეციალისტი,—კარგი მცოდნე; **კრიმინალისტკა** — სისხლის-სამართალი; **კრიმინალური** — სასისხლის-სამართლო; **კრიმინალური ანთროპოლოგია** — მეცნიერება, რომელიც იკვლევს სასისხლის-სამართლო დანაშაულობებს ბოროტ-მოქმედთა ანთროპოლოგიურ (იხ.) ნიშნებთან დაკავშირებით.

**კრინოლინ-ი**, ლათ.-ფრ. (ლათ crinis „თმა"): 1) ძუის ქსოვილი; ასეთი ქსოვილის კაბა; 2) ძველებური კაბა, რომელსაც განივრად იჭერდა შიგ ჩატანებული ფოლადის მავთულები.

**კრიოლით-ი**, ბერძ. ხელოვნ. (cryos „ყინული", lithos „ქვა"), ერთგვარი მინერალი, რომლისაგანაც მოიპოვება ალუმინი და სოდა. — **კრიოჰიდრატ-ი** (ბერძ. hydôr,-atos „წყალი") — სიცივისაგან გამყარებული ქიმიური ხსნარი — შემადგენელ ნაწილებად დაშლის გარეშე.

**კრიპტა** (ბერძ. kryptein-ისაგან „მალვა"): 1) ძველ ქრისტიანთა სალოცავი მიწისქვეშ აკლდამებში, აგრეთვე — მოწამეთა სასაფლაო. — **კრიპტოგამია** — „ფარული ქორწინება", ზოგიერთ მცენარეთა გამანაყოფიერებელი ორგანოების ფარული მდგომარეობა; აქედან: **კრიპტოგამები** (მრავლ.) — მცენარეები, რომელნიც ფარულად მრავლდებიან. — **კრიპტოგენები** (მრავლ.)—პარაზიტი ცხოველები, რომელნიც ცხოვრობენ სხვა ცხოველებში. — **კრიპტოგრაფია**— ფარული, საიდუმლო წერა; პირობითი ნიშნებით წერა (იხ. შიფრი). — **კრიპტონიმ-ი** — იგივეა რაც ფსევდონიმი (იხ.).

**კრისტალ-ი** (ბერძ. krystallos „ყინული, ყინულისებრი, ბროლი"), წესიერი მრავალკუთხედის ფორმის მქონე მყარი ერთგვაროვანი სხეული; აქედან: **კრისტალიზაცია** — თხევადი და აიროვანი (გაზოვანი) მდგომარეობიდან გადასვლა მყარ მდგომარეობაში, როცა წარმოიქმნება წესიერი გეომეტრიული ფორმები; **კრისტალოგენია** — მოძღვრება კრისტალების წარმოქმნის შესახებ; **კრისტალოგრაფია** —მინერალოგიის დარგი, რომელიც იკვლევს კრისტალებს; კრისტალთაღწერა. — **კრისტალოიდები** (მრავლ.) — კრისტალიზაციის უნარიანი ნივთიერებანი; **კრისტალოლოგია**—მეცნიერება კრისტალების შესახებ; **კრისტალომეტრია** — მეცნიერება კრისტალების გაზომვის შესახებ; **კრისტალოფიზიკა** და **კრისტალოქიმია** — კრისტალოლოგიის დარგები, რომელნიც იკვლევენ კრისტალურ სხეულთა ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს. — **კრისტალური** — : 1) კრისტალის ხასიათის მქონე; 2) გამჭვირვალე, სუფთა, წმინდა.

**კრიტერიუმ-ი**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. კრინეინ-ისაგან „განსხვავება, ამორჩევა, მსჯელობა, ახსნა...", იხ. კრიზისი), ნიშანი ან დებულება, რომელიც საფუძვლად უდევს რისამე დაფასებას ან რისამე მნიშვნელობის გამორკვევას, საზომი; მაგ. ჭეშმარიტების კრიტერიუმი ანუ საზომი არის ლოგიკის კანონები.

**კრიტიკა** (ბერძ. kritikê „გარჩევის, დაფასების ხელოვნება", იხ. კრიზისი და კრიტერიუმი): 1) რაიმე საგნის ან მოვლენის, ნაწარმოების და სხვ. დაფასება, გარჩევა; 2) ლიტერატურის ერთ-ერთი დარგი, რომელიც არკვევს ნაწარმოების მხატვრულ-ლიტერატურულ ღირებულებას; 3) გადატ. მნიშვნ.: უარყოფითი მსჯავრის გამოთქმა წერილობით ან სიტყვიერად, ლანძღვა, განქიქება; აქედან: **კრიტიკან-ი** — ვისიმე მოქმედების ან ნაწარმოების უმართებულო დამფასებელი, უსამართლო ან უვიცი კრიტიკოსი.—**კრიტიკოს-ი** ან **კრიტიკ-ი** — : 1) რაიმე ნაწარმოების (მხატვრული, ლიტერატურული, მეცნიერული და სხვ.) ან ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის დამფასებელი პირი; 2) უარყოფითი მსჯავრის გამომთქმელი, განმქიქებელი.

**კრიტიკული** (იხ. კრიტიკა): 1) კრიტიკის ხასიათის მქონე; კრიტიკის მიზნით წარმოებული; 2) კრიტიკის უნარიანი. — **კრიტიკული მდგომარეობა, კრიტიკული ტემპერატურა**, იხ. კრიზისული. — **კრიტიკული ფილოსოფია** ანუ **კრიტიციზმ-ი** — ფილოსოფიური მიმართულება, რომელსაც (დოგმატიზმის წინააღმდეგ) აუცილებლად მიაჩნია — წინასწარ შეამოწმოს ადამიანის გონების შემეცნებითი საზღვრები (იხ. კანტი).

**კროკეტ-ი** (ინგლ.-ფრ. croquet): 1) ერთგვარი ბისკვიტი (იხ.); 2) ერთგვარი თამაში ხის ბირთვებით, რომლებიც მოთამაშეებმა უნდა გააგორონ ხის ჩაქუჩის დარტყმით მიწაში ჩარჭობილი მავთულის თაღის ქვეშ.

**კროკი** (ფრ. croquis), ნაჩქარევად, საერთო მოხაზულობით შესრულებული ნახატი ან სხვა რაიმე ნაწარმოები. — **კროკირება**—: 1) ბირთვის

ბირთვზე ჯახება კროკეტში; 2) კროკის შესრულება.

**კროკოდილ-ი**, ბერძ., ნიანგი, — ხელიკების ოჯახის დიდი ტანის (10 მეტრამდე), ტროპიკულ ქვეყნებში მცხოვრები მიწა-წყლის ცხოველი. — **კროკოდილის ანუ ნიანგის ცრემლები** — ფარისევლური, არაგულწრფელი ცრემლები (ლეგენდით — კროკოდილი ტირის, როცა სჭამს ადამიანს).

**კრომველ-ი**, ოლივერ (Cromwel. 1599 — 1658). ინგლისის რევოლუციის მეთაური,—ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ომის დროს ინდეპენდენტების ჯარს და მეთაურობდა კარლოს I-ის სიკვდილით დასჯას.

**კრომლეხ-ი, კრომლეხები**, კელტ. („მოღუნული ქვა"), წინარე-ისტორიული უზარმაზარი გაუთლელი ქვებისაგან გაკეთებული ძეგლები, — გვხვდება ბრეტანსა და ინგლისში.

**კრონა** ან უკეთ **კრონი** (გერმ. Krone), სხვადასხვა ღირებულობის ვერცხლის და ოქროს ფული დასავლ. ევროპის ქვეყნებში (მაგ. გერმანიაში — ოქროსი, უდრის 10 მარკას, ინგლისში (crown) — ვერცხლის, უდრის 5 შილინგს და სხვ. მრავ.).

**კრონგლას-ი** (ინგლ. crown-glasse), მაღალი ხარისხის მინა, რომლისაგანაც აკეთებენ ოპტიკურ შუშებს.

**კრონვერკ-ი**, გერმ., ციხის გარშემო შემოვლებული ზღუდე-სიმაგრე.

**კრონოს-ი**, ბერძ. საკ. სახ., მითოლოგიით: ურანოსის ძე და ძევსის მამა; მან ჩამოაგდო ტახტიდან ურანოსი, ხოლო იგი (კრონოსი)—ძევსმა; კრონოსი ითვლებოდა დროის ღმერთად. — აქედან: **კრონიდები** (მრავლ.)—კრონოსის შვილები.

**კრონპრინც-ი**, გერმ., ტახტის მემკვიდრე გერმანიაში (რევოლუციამდე).

**კრონშტადტ-ის აჯანყება** — 1921 წ. კრონშტადტში (სამხედრო ნავსადგური და პირველხარისხოვანი სიმაგრე მდ. ნევის შესართავთან) მომხდარი მატროსების აჯანყება თეთრგვარდიელთა ჩაგონებით.

**კრონშტეინ-ი**, გერმ., ხუროთმოძღვრებაში: ქვის ირიბი ბიჯგი ბალკონისა, თაროსი, კედლის ლამპისა და სხვ.

**კრონცირკულ-ი**, გერმ.-ლათ.: 1) მრგვალი საგნების გასაზომი მრუდე-ფეხიანი ცირკული (იხ.); 2) მცირე წრეების სახაზავი პატარა ცირკული.

**კროპოტკინ-ი**, პ. ა. (1842 — 1920), გამოჩენილი რუსი მეცნიერი (გეოგრაფი) და რევოლუციონერი, ანარქიზმ-კომუნიზმის თეორეტიკოსი; გაიქცა რუსეთიდან ევროპაში 1876 წ.; იდევნებოდა იქაც; დაბრუნდა რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ. მისი შრომები იბეჭდებოდა ფრანგულად („პურის მოპოება", „მეამბოხის სიტყვები", „დიდი რევოლუცია" და სხვ.).

**კრუპ-ი** (ინგლ. croup), მედიცინაში: ხორხის ლორწოიანი გარსის მწვავე ანთება, რომელსაც თან სდევს ხორხის დავიწროება და სულის ხუთვა.

**კრუპ-ის ზარბაზანი** — ასე ეწოდება დიდი ყალიბის შორს მსროლელ ზარბაზანს, რომელსაც ამზადებდა მსოფლიოში უდიდესი ფირმის. კრუპ-ის (Crupp), ფოლადის მსხმელი ქარხნები (ფირმა დაარსებ. 1810 წ.).

**კრუპიე** (ფრ. croupier): 1) სათამაშო სახლში მოსამსახურე, რომელიც თვალს ადევნებს თამაშს, აძლევს მომგებს მოგებას და სხვ.; 2) საფრანგეთში: ფინანსიური წამოწყების საიდუმლო მონაწილე.

**კს-**, იხ. ქს-.

**კტ-**, იხ. ქტ-.

**კუბ-ი**, ბერძ.-ლათ. (cubus): 1) გეომეტრიაში: წესიერი ექვს-წახნაგოვანი სხეული, რომლის წახნაგები წარმოადგენენ კვადრატებს; 2) მათემატიკაში: რაიმე რაოდენობის მესამე ხარისხი. რუს. куб: 3) ტექნიკაში: გამოსახდელი მოწყობილობა (ქვაბი. ხუფი და საციებელი); 4) ქვის ღუმელში ჩაკეთებული ქვაბი წყლის გასაცხელებლად.—**კუბატურა** ან **კუბატურ-ი**—: 1) მოცულობის ზომა; კუბიკური მოცულობის გამოანგარიშება. მაგ.: **ბირთვის კუბატური**—განსაზღვრული ბირთვის მოცულობის მქონე კუბი; —**კუბიკური ან კუბური საზომები** — სხეულების მოცულობის საზომები; **კუბიკური ან კუბური ფესვი** — ოდენობა, რომლის მესამე ხარისხიც უდრის ფესვქვეშა ოდენობას.

**კუბიკულუმ-ი** (ლათ. cubare-საგან „წოლა") —: 1) ძველ რომაელთა დასაძინებელი ოთახი, 2) საიმპერატორო ლოჟა ძველად ცირკში; 3) ქრისტიანთა სასაფლაო აკლდამებში; აქედან:

კუბიკულარიუს-ი — ძველ რომაელთა მონა-კამერდინერი.

კუბიზმ-ი (იხ. კუბი 2). ახალი მიმართულება მხატვრობაში (ჩაისახა საფრანგეთში 1908 წელს), რომელიც (იმპრესიონიზმის წინააღმდეგ) ყურადღებას აქცევს ფორმათა მდეგრობას და გამოკვეთილობას: ნახატს საფუძვლად უდევს კუბის და საერთოდ გეომეტრიული ფიგურების ელემენტები; კუბისტ-ი—კუბიზმის მიმდევარი მხატვარი.

კუგუარ-ი, ამერ.-ევროპ. (ფრ. couguard). კატის ოჯახის მტაცებელი ცხოველი ამერიკაში; ამერიკული ლომი.

კუზენ-ი (ფრ. cousin). ბიძაშვილი ვაჟი (აგრეთვე — მამიდაშვილი და დეიდაშვილი).

კუზინა ან კუზინ-ი (ფრ. cousine), ბიძაშვილი ქალი (აგრეთვე — მამიდა- ან დეიდაშვილი).

კუ-კლუქს-კლან-ი — საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია ჩრდ. ამერიკის. შეერთ. შტატებში. — ებრძვის სოციალისტურ და კომუნისტურ მოძრაობას; გავლენა დიდი აქვს.

კუკულ-ი (ბერძ. koykoyllion), ბერების ერთგვარი, კაპიშონის მსგავსი, ქუდი.

კულაჟ-ი (ფრ. coulage), ჭურჭლიდან განადენი სითხე.

კულაკ-ი, თურქ.-რუს. („მუშტი; ძუნწი, ქვეყნის მჭამელი"), რუსეთში რევოლუციამდე: გლეხკაცის შრომის სხვადასხვა ფორმის ექსპლოატაციით გამდიდრებული სოფელში.

კულერ-ი, იხ. კოლერი.

კულეშ-ი, რუს., სუფის მსგავსი თხელი ფაფა.

კულინარი ან კულინარული (ლათ. culinarius. culina-საგან „სამზარეულო"), ის რაც შეეხება სამზარეულოს ან საჭმლის დამზადებას; კ უ ლ ი ნ ა რ ი ეწოდება აგრეთვე საჭმლების დამზადების კარგ მცოდნეს.

კულის-ი (ფრ. coulisse, couler-საგან „დენა, სრიალი..."): 1) ფასიანი ქაღალდების არაოფიციალური (ჩალური) ვაჭრობის ადგილი; 2) მანქანებში სვლის შესაცვლელი მოწყობილობა; 3) კულისები (მრავლ.) — მოძრავი დეკორაციები (იხ.) სათეატრო სცენაზე; გადატან. მნიშვნ.: ჩამოსაფარებელი. რომელიც ფარავს რაიმე მოქმედებას ან მდგომარეობას. — კულისიე —საბირჟო საქმეების ფარულად მომგვარებელი.

კულიჩ-ი, ბერძ.-რუს., სააღდგომო პური („პასკა").

კულმინაცია (ლათ. culmen-ისაგან „მწვერვალი"). ცის მნათობის გავლა დაკვირვების ადგილის მერიდიანზე. როცა მნათობი აღწევს უდიდეს ან უმცირეს სიმაღლეს.—აქედან: კულმინაციური წერტილი — : 1) მნათობის გავლის უმაღლესი ან უდაბლესი წერტილი; 2) საერთოდ, რისამე უმაღლესი წერტილი, მაგ. მიღწევის, განვითარების და სხვ.

კულონ-ი — ელექტრობის ერთეული: ელექტრობის რაოდენობა, რომელიც გაივლის გამტარში 1 წამში (სეკუნდში) დენის 1 ამპერის სიძლიერისას; სახელწოდება—შესანიშნავი ფრანგი ფიზიკოსის, კ უ ლ ო ნ-ის (Coulomb. 1736—1806) სახელისაგან.

კულტ-ი (ლათ. colere-საგან „დამუშავება; ცხოვრება. ზრუნვა, გამშვენიერება..."): 1) თაყვანისცემა. პატივისცემა, მაგ. წინაპართა კულტ-ი — მათი თაყვანისცემა, გაღმერთება; 2) რელიგიური წესების შესრულება, რელიგია.

კულტივატორ-ი, ლათ.-ფრ. (cultivateur). მიწის დასამუშავებელი: ერთგვარი გუთანი. — კულტივირება — დამუშავება, დანერგვა-გაშენება და სხვ.

კულტურა, ლათ. (იხ. კულტი): 1) საერთოდ — დამუშავება, მოვლა-მოშენება; მიწის გაუმჯობესება სამეურნეო მიზნით; ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების მოვლა-მოშენება, გაუმჯობესება: 2) განვითარება, განათლება; 3) მატერიალური, სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება; ასეთი განვითარების დონე. —კულტურკამპფ-ი (ლათ.-გერმ. Kulturkampf), კულტურისათვის ბრძოლა; კერძოდ — ასე ეწოდა პრუსიის მთავრობის ბრძოლას (70—80 წ. წ.). კათოლიკურ სამღვდელოებასთან.— კულტუროსანი — კულტურის მქონე. განათლებული — კულტურტრეგერ-ი (ლათ.-გერმ. Kulturträger „კულტურის მატარებელი"), კულტურის შემტანი, გამავრცელებელი (იტყვიან ხშირად დაცინვით). — კულტურული — განათლებული; მოვლილ-დამუშავებული, კულტურის მქონე. მაგ. კულტურული ხალხი — განათლებული, კულტურის მქონე ხალხი; ხელოვნურად მოშენებული, მაგ. კულტურული მცენარე.

კულუარ-ი (ფრ. couloir „საცერი, გასასვლელი, დერეფანი“). დარბაზი პარლამენტში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან სხდომების გარეშე დეპუტატები, მინისტრები, ჟურნალისტები და სხვ. — აზრთა გაზიარების მიზნით.

კუმის-ი, თურქ.-რუს. (кумыс), დამჟავებული ცხენის რძე. — ისმება სამკურნალო მიზნით.

კუნაკ-ი, თურქ., ამხანაგი, ნაცნობი.

კუნკტ-, იხ. კუნქტ-.

კუნსტკამერა (გერმ. Kunst „ხელოვნება“, ლათ. camera „თალი; ოთახი“), სიძველეთა და იშვიათ საგანთა შესანახი ადგილი; მუზეუმი.

კუნტუშ-ი, პოლ., პოლონელთა და უკრაინელთა ძველებური ყურთმაჯებიანი საცმელი.

კუნქტატორ-ი (ლათ. „დამგვიანებელი, ყოყმანა“), ასე ეწოდა ძველი რომის სარდალს, ფ ა ბ ი უ ს მ ა ქ ს ი მ უ ს ს, კართაგენთან ბრძოლაში ყოყმანისათვის.

კუპაჟ-ი (ფრ. coupage), სხვადასხვა ხარისხის ღვინოების შერევა; კუპირება — იგივე მოქმედება.

კუპაროს-ი (ფრ. couperose), გოგირდმჟავა მარილების საერთო სახელი; შაბიამანი (არის სპილენძის, რკინის და სხვ. შაბიამანი).

კუპე (ფრ. coupé), სარკინიგზო ვაგონში განცალკევებული განყოფილება.

კუპელაცია (ფრ. coupeller-საგან), ვერცხლისა და ოქროს გაწმენდა შენარევებისაგან; კუპელირება — იგივე მოქმედება.

კუპიდონ-ი (ლათ. cupido,-inis „ვნებიანი სურვილი“),: 1) ძველ რომში: სიყვარულის ღმერთი; 2) გადატ. მნიშვნ.: ლამაზი ბიჭი.

კუპიურ-ი (ფრ. coupure): 1) ნაჭერი, რისამე წილადოვანი ნაწილი; ფულის ნიშნები; 2) სალიტერატურო ან სამუსიკო ნაწარმოების შეკვეცა ხელნაწერში (მაგ. რედაქტორის, ცენზორის და სხვ. მიერ).

კუპლეტ-ი (ფრ. couplet): 1) ლექსის ან სიმღერის ტაეპი; 2) მსუბუქი სახალისო ხასიათის ლექსები — იკითხება ან იმღერება სათეატრო მსუბუქ წარმოდგენებში; აქედან: კუპლეტისტ-ი — კუპლეტების შემთხზველი ან შემსრულებელი.

კუპოლ-ი, ლათ.-ევროპ., გუმბათი.

კუპონ-ი (ფრ. coupon): 1) საერთოდ — ნაჭერი, ნაკვეთი; 2) სალოტერიო ან ფასიანი ქაღალდის მოსახევი ნაწილი, რომელსაც ცალკე ღირებულება აქვს; 3) დანომრული ადგილი თეატრში;; 4) მატერიის (ქსოვილის) ნაჭერი.

კუპრიტ-ი, ხელოვნ. (იხ. კუპაროსი), სპილენძის მადანი.

კურან-ი, იხ. ყურანი.

კურაჟ-ი (ფრ. courage): 1) გამბედაობა, სითამამე; 2) ცრუ გამბედაობა; აქედან: კურაჟობა — ცრუ მამაცობის გამოჩენა; ჯიუტობა.

კურატორ-ი, ლათ.: 1) საერთოდ — მზრუნველი, ზედამხედველი; 2) სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რევოლუციამდე რუსეთში; 3) კლინიკაში ავადმყოფის მეთვალყურე სტუდენტი-მედიკი.

კურგან-ი, თურქ.-რუს., გუმბათის მოყვანილობის გორაკი ძველი დროის საფლავზე. — გვხვდება სამხრ. რუსეთში და ციმბირში.

კურზალ-ი (ლათ.-გერმ. Kursaal), გასართობი შესაკრებელი დარბაზი კურორტებში (იხ.).

კურია, ლათ.: 1) ძველ რომში: პატრიციების რამდენიმე გვაროვნობის გაერთიანება; ქალაქის საბჭო; 2) რომის პაპის დაწესებულებათა საერთო სახელწოდება; 3) ამომრჩეველთა ჯგუფი ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით; აქედან: კურიალიზმ-ი — კურიებად (3) დაყოფაზე დამყარებული საარჩევნო სისტემა. — კურიალური — კურიების მიხედვით წარმოებული, მაგ. კურიალური არჩევნები. — კურიონ-ი — კურიის უფროსი ძველ რომში.

კურიერ-ი (ფრ. courier), შიკრიკი.

კურიოზ-ი (ლათ. curiosus „მეცადინი; ცნობისმოყვარე“, ფრ. curieux „უცნაური, საკვირველი“), საკვირველი, უცნაური ან სასაცილო რამ; კურიოზული — კურიოზის ხასიათის მქონე.

კურიონ-ი, იხ. კურია.

კურს-ი (ლათ. cursus „რბენა; მიმართულება...“): 1) ხომალდის სვლის მიმართულება; 2) რომლისამე მეცნიერების ან სასწავლო საგნის სისტემატიურად გადმოცემული შინაარსი; 3) ამა თუ იმ სასწავლებლის სასწავლო საგანთა ერთობლიობა; აგრეთვე — დრო, რომელიც საჭიროა მათ შესასწავლად; 4) ამა თუ იმ ავადმყოფობის განსაკურნებლად საჭირო დრო; 5) ფასიანი ქაღალდების ან მონეტის ღირებულე-

ბა განსაზღვრულ დროს.—კურსები (მრავლ.)—, 1) დროებითი ხასიათის სასწავლო დაწესებულება, მაგ. სამასწავლებლო, საბუხჰალტერო და სხვ.—კურსანტ-ი — კურსების მსმენელი; კურსისტ-ი — აგრეთვე; კურსისტკა (რუს. დაბოლოებით) -- კურსისტი ქალი.

კურსივ-ი, ლათ.-ევროპ., ხელით ნაწერის მსგავსი სასტამბო შრიფტი; გაკრული.

კურსორული (ლათ. cursor,-oris „სწრაფად მავალი, შიკრიკი"), ზედიზედ მიყოლებული, შეუჩერებელი, მაგ. კურსორული კითხვა — რისამე კითხვა უშენიშვნებოდ და აუხსნელად.

კურტაგ-ი (ფრ. cour „სასახლე", გერმ. Tag „დღე"), მიღების დღე სასახლეში.

კურტიე (ფრ. courtier): მაკლერი, შუამავალი; აქედან: კურტაჟ-ი (ფრ. courtage)—: 1) მაკლერობა, შუამავლობა; 2) სამაკლერო, საშუამავლო ხელფასი.

კურტიზან-ი (ფრ. courtisan): 1) სასახლის კარისკაცი; გადატ. მნიშვნელობით: პირფერი ადამიანი; 2) კურტიზანკა (ფრ. courtisane, რუს. დაბოლოებით): 1) კურტიზანი; 2) დიდკაცის საყვარელი; მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

კურტინა, ლათ.-ფრ. (courtine): 1) სიმაგრის კედლის ნაწილი ორ ბასტიონს შუა; 2) ბაღში— ხეებით სქლად დარგული ადგილი.

კურტკა, თურქ.-რუს., ერთგვარი მოკლეკალთებიანი ზედატანის საცმელი.

კურფიურსტ-ი (გერმ. Kurfürst „ამრჩევი თავადი"). გერმანიაში 1806 წლამდე: იმპერატორის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მფლობელი თავადი.

კუსტარ-ი (რუს. кустарь გერმ. Künstler-ისაგან „ხელოვანი"): 1) განცალკევებით, თავის სახლში მომუშავე; 2) შინამრეწველი; აქედან: კუსტარული მრეწველობა — შინამრეწველობა.

კუსტოს-ი ან კუსტოდ-ი (ლათ. custos,-odis „დარაჯი"), მუზეუმის ან წიგნთსაცავის დარაჯი, — ზედამხედველი.

კუტილ-ი ან კუტი (ფრ. coutil), ერთგვარი მკვრივი ქსოვილი,—იხმარება მატრაცებისა, ფეხსაცმელისა და სხვისათვის.

კუტუზკა, რუს., საპყრობილე.

კუფური ან კუფიური ანბანი — უძველესი არაბული ანბანი; სახელწოდება — ქალ. კ უ ფ ასაგან (დაარსებ. 7 საუკ. ქ. შ.), რომელიც წარმოადგენდა ხალიფების რეზიდენციას და სამეცნიერო ცენტრს; ცნობილია აგრეთვე კუფური ან კუფიური ხელა.

კუშ! (ფრ. couche!), დაწექ! (ეტყვიან ძაღლს).

კუშეტკა ან უკეთ კუშეტ-ი (ფრ.couchette), ტახტი; ხის საწოლი; გრძელი უზურგო სავარძელი.

კუშ-ი (ფრ. couche): 1) ფულის საკმაოდ დიდი თანხა; 2) ქაღალდის თამაშში: საწინდარი.

კუჩერ-ი ან ქუჩერ-ი (გერმ. Kutscher), მეეტლე.

კუხმისტერ-ი (გერმ. Küche „სამზარეულო", Meister „უფროსი"), მზარეული; სასადილოს შემნახველი კერძო პირი.

# ლ

ლა (la): 1) თანამედროვე ძირითადი გამის მეექვსე ნოტი; 2) ვიოლინოს მეორე სიმი; 3) ალტის, ბასის და კონტრაბასის პირველი სიმი (იხ. ესენი).

ლაბადისტები (მრავლ.), ფრანგი მისტიკოსის, ლ ა ბ ა დ ი-ს (Labadie, 1610—1674). მოძღვრების მიმდევარნი: ქადაგობდნენ კერძო საკუთრების მოსპობას და ზნეობრივ ცხოვრებას.

ლაბაზ-ი, გერმ. (?)-რუს., ფქვილის დუქანი, ფარდული, ბეღელი.

ლაბარდან-ი ან ლაბერდან-ი (ჰოლ. labberdaan), დამარილებული ვირთევზა (თევზია ერთგვარი).

ლაბიალური ან ლაბიალი ბგერები (ლათ. labium „ბაგე, ტუჩი"), ბაგეთა შემწეობით წარმოებული ბგერები, მაგ. ბ პ ფ (ბილაბიალი, იხ.), ვ (კბილბაგის მიერი); აქედან: ლაბიალიზაცია— ბგერათა ისეთი წარმოთქმა, როცა ბაგეები მომრგვალდებიან, მაგ. ო და უ -სათვის; ლაბიალიზირება —ბაგეთა მომრგვალება; ლაბიალიზირებუ-

ლი ხმოვნებია. მაგ. ო და უ. — ლაბიო-ველარ-ი ბგერა — ასე ეწოდება ველარულ (იხ.) თანხმოვან ბგერას. რომლის წარმოთქმისას ბაგეები მომრგვალდება.

**ლაბირინთ-ი** (ბერძ. labyrinthos): 1) ძველ ქვეყნებში: მრავალ-ოთახიანი რთული შენობა, რომელშიც მიუჩვეველს გზის გაკვლევა არ შეეძლო; 2) ბაღის დახლართული ბილიკები; 3) ანატომიაში: ყურის შიგნითა ნაწილი; 4) გადატ. მნიშვნ.: რთული, ძნელად თავგასართმევი საქმე ან მდგომარეობა.

**ლაბორანტ-ი** (ლათ. laborans,-ntis „მომუშავე"), ლაბორატორიაში მომუშავე, ლაბორატორიის გამგე. — **ლაბორატორია** — სამეცნიერო ცდებისა და კვლევის საწარმოებელი დაწესებულება; აქედან: **ლაბორატორიული** — ლაბორატორიის ხასიათის მქონე. მასში დამუშავებული; კერძოდ: **ხწავლების ლაბორატორიული მეთოდი** — იგივეა, რაც დ ა ლ ტ ო ნ-პ ლ ა ნ ი (იხ.).

**ლაბრადორ-ი**—მინდვრის შპათის (იხ.) ერთერთი სახეობა, მუქი რუხი ფერისა, — იხმარება შენობათა შესამკობად; მოიპოვება უმთავრესად ლ ა ბ რ ა-დორის ნახ.-კუნძულზე (ჩრდ.-ამერიკაში). — **ლაბრადორიტ-ი** — ლაბრადორის მსგავსი კრისტალურ-მარცვლოვანი ქანი.

**ლაგერ-ი**, გერმ.: 1) საერთოდ — ბანაკი; 2) ჯარისკაცთა სამრად განწყობილი ბინა; 3) მშვიდობიანობის დროს — ჯარისკაცთა საზაფხულო სამყოფელი კარეებში (ქართულად იტყვიან აგრეთვე: ლ ა გ ი რ ი).

**ლაგთინგ-ი** (შვედ. lag „კანონი", thing „კრება"), ნორვეგიის პარლამენტის ზედაპალატა.

**ლაგ-ი** (გერმ. Lage): 1) ხომალდის სვლის სიჩქარის გამოსარკვევი მოწყობილობა; 2) ბატარეა ხომალდის ქიმზე.

**ლაგოფთალმია** (ბერძ. lagôs „კურდღელი", ophthalmós „თვალი"), თვალების დაუხუჭველობა ძილის დროს.

**ლაგუნა**, იტ., ბუხტი ან უბე ზღვის დაბალი ნაპირების გასწვრივ, განცალკევებული ზღვისაგან სავსებით ან თითქმის; ამგვარად წარმოქმნილი ტბა.

**ლავა**, იტ. (lavare-საგან „რეცხა"), ცეცხლმფრქვევი მთიდან ამონთხეული გამდნარი ნივთიერება, რომელიც გაციების შემდეგ იქცევა მყარ სხეულად.

**ლავინა** (იტ. lavigna), თოვლის ზვავი.

**ლავირება**, ჰოლ.-გერმ. lavieren): 1) იალქნიანი ხომალდით ცურვა ქარის წინააღმდეგ, ტეხილი ხაზით, მიხვევ-მოხვევით; 2) გადატ. მნიშვნ.: მოხერხებულად დაბრკოლების მიხედვით მიხვეულ-მოხვეულად მოქმედება და სხვ.

**ლავრა** (ბერძ. layra), დიდი, პირველხარისხოვანი მონასტერი.

**ლავრ-ი** (ლათ. laurus), დაფნის ხე, დაფნა; აქედან: **ლავრეატ-ი** ან **ლაურეატ-ი** — : 1) ძველად: დაფნის გვირგვინით დაჯილდოებული პოეტი; 2) ახლა: უმაღლეს ჯილდო-მიღებული პოეტი, მხატვარი ან მსახიობი.

**ლავროვ-ი**, პ. ლ. (1823 — 1900), რუსეთის სარევოლუციო ხალხოსნური მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელი.

**ლავუაზიე** (Lavoisier, 1743 — 1794), შესანიშნავი ფრანგი ქიმიკოსი, — თანამედროვე მეცნიერული ქიმიის შემქმნელი და მრავალ ქიმიურ მოვლენათა აღმომჩენი; მას ეკუთვნის „ნივთიერების მარადისობის კანონის" დადგენა.

**ლაზარეთ-ი**, ბერძ.-ევროპ. (გერმ. Lazarett), საავადმყოფო; ჩვეულებრივ — მოძრავი სამხედრო საავადმყოფო (სახელწოდება — ბიბლიური კეთროვანი ლ ა ზ ა რ ე-საგან).

**ლათინები** (მრავლ., ლათ. latini), ინდო-ევროპელთა ტომის ერთერთი უძველესი ხალხი ლ ა ც ი უ მ-ში (იტალიაში), სადაც მდებარეობს რომი; აქედან: **ლათინური ენა** — ლათინთა ენა, ძველი რომაული; **ლათინისტ-ი**—ლათინური ენის ზედმიწევნით მცოდნე. — **ლათინიზმ-ი** —ლათინური ენის თავისებურობა (ეკლესიურად ლათინ-ი ნიშნავს კათოლიკეს).

**ლაიკა** (რუს. ?), ბატკნის ან ძაღლის მოქნილი ტყავი, — იხმარება უმთავრესად ხელთათმანისათვის.

**ლაკვი** — იგივეა, რაც ლაქია (იხ.).

**ლაკ-ი**, **ლაკირება** — იგივეა, რაც ლაქი. გალაქვა (იხ.).

**ლაკმუს-ი**, სპარს.-ევროპ. (გერმ. Lackmus), ლურჯად მღებავი ნივთიერება,—მოიპოვება სხვადასხვა ხავსისებრ მცენარეთაგან. — **ლაკმუსის ქაღალდი**—ლაკმუსით გაჟღენთილი ქაღალდი,— იხმარება მჟავისა და ტუტის ერთმანეთისაგან განსასხვავებლად (მჟავა ღებავს მას ლურჯად, ტუტე — წითლად).

**ლაკონიზმ-ი** (ბერძ. lakônismós), აზრის გამოთქმა მოკლედ, მკაფიოდ და ძლიერად; სხარტულად აზრის გამოხატვა (ამით ცნობილნი არიან ძველი ლაკონიელები ანუ სპარტელები); აქედან: **ლაკონიური** ან **ლაკონიკური** გამოთქმა აზრისა.

**ლაკრიმა-კრისტი** ლათ. („ქრისტეს ცრემლი"), ასე ეწოდება ერთგვარ ტკბილ ღვინოს იტალიისას.

**ლაკრიმატორიუმ-ი** ან **ლაკრიმარიუმ-ი** (ლათ. lacrima-საგან „ცრემლი"), საცრემლე, — ასე ეწოდება ძველებურ სასაფლაოებში პოვნილ ჰურჭელს (თიხისას ან მინისას), რომელშიც თითქოს აგროვებდენ დაღვრილ ცრემლებს.

**ლაკრიც-ი**, ლათ.-გერმ. (Lakritze), ძირტკბილის შესქელებული წვენი.

**ლაკუნა**, ლათ., ხარვეზი.

**ლაკტ-**, იხ. ლაქტ-.

[1]**ლამა**, ტიბეტ., სამღვდელო პირი (ქურუმი) ტიბეტში, მონღოლეთში და მეზობელ ქვეყნებში (იხ. დალაი-ლამა); აქედან: **ლამაიზმ-ი** — ბუდიზმის (იხ.) 15 საუკუნეში წარმოშობილი სექტა (ყოველგვარი მატერიალურის უარყოფა, სამღვდელოების უცოლობა, რთული იერარქია და სხ.); **ლამაიტ-ი, ლამაისტ-ი** — ლამაიზმის მიმდევარი.

[2]**ლამა** (პერუან. llama), აქლემის ოჯახის წვრილ-ჩლიქიანი მცოხნელი ცხოველი სამხრეთ ამერიკაში, — გამოყენებულია როგორც მზიდველი საქონელი; ხორცი იჭმება.

**ლამარკიზმ-ი**, გამოჩენილი ფრანგი ბუნებისმეტყველის, ლ ა მ ა რ კ-ის (Lamarck, 1774—1829), მოძღვრება ცოცხალი ორგანიზმის ცვალებადობის შესახებ: მთავარი მნიშვნელობა აქვს გარეგანი პირობებისა და ორგანოთა ვარჯიშის გავლენას.

**ლამბარდ-ი**, იხ. ლომბარდი.

**ლამბდა**, ლ ასოს სახელწოდება ბერძ. ალფაბეტში. — **ლამბდაციზმ-ი** — რ ბგერის ნაცვლად ლ-ს წარმოთქმა.

**ლამენტაცია** (ლათ. lamentatio „ქვითინი"): 1) წუხილი, გოდება, მწუხარებით ჩივილი; მოთქმა: 2) კათოლიკურ ეკლესიაში: დიდი ხუთშაბათის ღვთის-მსახურება.

**ლამპა** (ბერძ. lampás), სანათური; აქედან: **ლამპიონები** (მრავლ.) — ქაღალდის ან მინის ფერადი ფანრები, — იხმარება საილუმინაციოდ.

**ლამპას-ი** (ფრ.-გერმ. Lampasse), შალვრის სიგრძივ გვერდებზე დანაკერები ფერადი ზოლი.

**ლანგუსტ-ი**, ლათ.-ფრ. langouste), გრძელკუდიანთა ჯიშის დიდი კიბო, — გემრიელია.

**ლანდგერიხტ-ი**, გერმ., საეროზო სასამართლო გერმანიაში.

**ლანდგრაფ-ი**, გერმ., საშ. საუკუნეებში: ზოგიერთ მფლობელ გრაფთა ტიტული გერმანიაში.

**ლანდები** (მრავლ., ფრ. landes), ქვიშიანი და ჭაობიანი დაბლობები დასავლ. საფრანგეთში.

**ლანდვერ-ი** (გერმ. Land და Wehr), სათადარიგო ლაშქარი გერმანიასა და ავსტრიაში, — გაიწვევა ომის დროს.

**ლანდო** (ფრ. landau), გადასახსნელ-სახურავიანი ოთახი კაცის საჯდომი კარეტა.

**ლანდრიხტერ-ი**, გერმ., ლანდგერიხტის წევრი.

**ლანდსკნეხტ-ი** (გერმ. Land და Knecht): 1) დაქირავებული ჯარისკაცი გერმანიაში 15—17 საუკუნეებში; 2) ქაღალდის ერთგვარი თამაში.

**ლანდსთინგ-ი**, დან., პარლამენტის ზედა პალატა დანიაში.

**ლანდტაგ-ი**, გერმ.: 1) გერმანიაში თვითეულ შემავალ სახელმწიფოთა პარლამენტი; 2) ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები ავსტრიაში.

**ლანდფოხტ-ი** (გერმ. Landvogt), იმპერატორის მოადგილე ოლქში (გერმანიაში 17 საუკუნემდე).

**ლანდშაფტ-ი**, გერმ., სანახაობა ბუნებაში ან მისი გამოსახულება მხატვრობაში; პეიზაჟი (იხ.).

**ლანდშტურმ-ი** (გერმ. Land „მიწა; ქვეყანა", Sturm „შეტევა"), გერმანიასა და ავსტრიაში ომის დროს განსაკუთრებული საჭიროების გამო შედგენილი ლაშქარი.

**ლანისტა**, ლათ., ფარიკაობის მასწავლებელი ძველ რომში.

**ლანკასტერ-ის ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა**, იხ. ბელ-ლანკასტერის სწავლების მეთოდი.

**ლანოლინ-ი**, ლათ. ხელოვნ. (ლათ. lana-საგან „მატყლი"), ცხიმოვანი ნივთიერება, რომელიც მოიპოვება ცხვრის მატყლის ნარეცხის ჭუჭყისაგან, — უსუნო და უგემოო; გამოყენებულია მედი-

ცინასა და კოსმეტიკაში.(პუდრის, საპნის და სხვ. დასამზადებლად).

**ლანსელოტ-ი** ან **ლანსლო** (Lancelot du Lac), საშ. საუკუნეების მრავალ თქმულებათა და რომანების გმირი: ართურ მეფის „მრგვალი მაგიდის" ერთერთი წევრი რაინდი.

**ლანცეტ-ი** (ფრ. lancette „პატარა შუბი ან ლახვარი"), ორლესული საქირურგიო დანა.

**ლაოკოონ-ი** — საკ. სახ., ძველი ბერძნული მითოლოგიით: ორი უზარმაზარი გველის მიერ ორი ვაჟიშვილით ტროიაში დახრჩობილი ქურუმი,—დაისაჯა იმიტომ, რომ მან შეურაცხყო (შუბი ჩაჰკრა) ბერძნების მიერ აგებული ცხენი (იხ. დანაელთა საჩუქარი); 2) მარმარილოს შესანიშნავი ქანდაკება (I საუკ. ქ. წ.), რომელიც წარმოადგენს ლაოკოონის ბრძოლას გველებთან, 3) ლ ე ს ი ნ გ ი ს (იხ.) ერთერთი თხზულების სათაური, რომელშიც მან გამოთქვა თავისი შეხედულობა ხელოვნების შესახებ.

**ლაპაროტომია**, ბერძ. ხელოვნ. (laparê „საზარდული", tomê „განკვეთა"), ქირურგიაში: მუცლის ღრუს განკვეთა.

**ლაპიდარული** ან **ლაპიდარ-ი** (ლათ. lapis,-idis „ქვა"), ქვაზე წარწერისებური; აქედან: **ლაპიდარული სტილი** — აზრის მოკლე და მკაფიო გამოთქმა, ე. ი. ისეთი, როგორიცაა ძველებურ წარწერებში, ეპიტაფებში (იხ. ეპიტაფია; 2). — **ლაპიდაცია** (ლათ. lapidatio) — ვისიმე ჩაქოლვა.—**ლაპის-ი**—აზოტმჟავა ვერცხლი (ქართულად — „ჯოჯოხეთის ქვა"), — იხმარება მედიცინაში როგორც მოსაწვავი საშუალება. — **ლაპის-ლაზული** ანუ **ლაპის-ლაზურ-ი** — ლურჯი ფერის ქვა, რომლისაგანაც ამზადებენ ულტრამარინს (იხ.); ქართულად ლ ი ლ ა-ქ ვ ა.

**ლაპლას-ი**, პ.-ს. (Laplace, 1749 — 1827), შესანიშნავი ფრანგი მათემატიკოსი და ასტრონომი, ავტორი „მსოფლიოს სისტემის ახსნისა" („Exposition du système du monde", 1796), რომელშიც მან წამოაყენა კ ა ნ ტ-ლ ა პ ლ ა ს-ის თეორიის სახელით ცნობილი კოსმოგონიური (იხ.) თეორია.

**ლაპსუს-ი**, ლათ. („აცურება, ასხლეტა; შეცთომა"): 1) საერთოდ — შეცთომა; 2) ჩვეულებრივ — უნებლიეთი ან დაუდევრობითი შეცთომა, რომელიც არ გამომდინარეობს უცოდინარობიდან; მაგ. **ლაპსუს კალამი** — ამგვარი შეცთომა წერაში; **ლაპსუს ლინგვე** (ლათ. lingua „ენა")— ამგვარივე შეცთომა მეტყველებაში.

**ლაჟ-ი** (ფრ. l'agio, იტ. aggio-საგან), კომერციაში: განსხვავება ღირებულობაში ორი სხვადასხვაგვარი მონეტის გაცვლისას; ქართულად — სათაენი.

**ლარ-ი, ლარები** (ლათ. Lar, Lares), ძველ რომაელთა რწმენით: ოჯახის მფარველი გარდაცვალებულ წინაპართა სულები, — რომაელებს ედგათ მათი გამოსახულებანი ლარიუმზე (კერასთან თაროებზე).

**ლარინგალური** ან **ლარინგალ-ი ბგერა** (იხ. შემდეგი სიტყვა), ასე ეძახდენ წინეთ უკანაენისმიერ თანხმოვნებს (კ გ ქ ხ...), როგორც თითქოს ყელის წარმოებულებს, ნამდვილად კი ლარინგალია (ე. ი. ყელში წარმოებული), მაგ. ქართული ჰ.

**ლარინგიტ-ი** (ბერძ. larygx-ისაგან „სასუნთქი ყელი"), სასუნთქი ყელის ანთება. — **ლარინგოსკოპ-ი** — ყელში ჩასახედი მოწყობილობა; **ლარინგოსკოპია**—ლარინგოსკოპის საშუალებით ყელში ჩახედვა და დაკვირვება; **ლარინგოტომია** — სასუნთქი ყელის განკვეთა.

**ლარუს-ი**, პ. (Larousse, P., 1817 — 1875), ფრანგი ლექსიკოგრაფი, შემდგენელი დიდი (17 ტომიანი) ენციკლოპედიური ლექსიკონისა, რომელიც ხშირად იცემა (ახლა უკვე სხვათა რედაქტორობით) სხვადასხვა შემოკლებულის ან სპეციალურის სახით; განსაკუთრებით ცნობილია „Nouveau Petit Larousse illustré" (უკანასკნ. 1926 წ.).

**ლასალ-ი**, ფერდინანდ (Lassalle, Ferdinand, 1825 — 1864), შესანიშნავი გერმანელი სოციალისტი მეცნიერი და ორატორი, „გერმანიის მუშათა კავშირის" დამაარსებელი (1863), იდევნებოდა მთავრობის მიერ; მუშათა კრებებზე, თავისი გასამართლების დროს სასამართლოში და გამოკვლევებში მჭერმეტყველურად ამტკიცებდა მუშათა კლასის ბურჟუაზიისაგან დამოუკიდებელი მოქმედების უფლებას. მუშათა კლასის ეკონომიურ ბრძოლას ის არ სთვლიდა საიმედო საქმედ და კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნისათვის იმედებს ამყარებდა საპარლამენტო არჩევნებზე და მუშათა საწარმოო ასოციაციების შექმნაზე სახელმწიფო დახმარებით, რასაც მ ა რ ქ ს ი და ენ-

გ ე ლ ს ი ფარყოფითად უყურებდენ.—ლასალიანელები—ლასალის მოძღერების მიმდევარნი (იხ. გ ო თ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა და ე ი ზ ე ნ ა ხ ე ლ ე ბ ი).

ლასო, ისპ.-ევროპ. (გერმ. lasso), ტყავის ერთგვარი არკანი (იხ.) სამხრეთ ამერიკაში.

ლასტ-ი, გერმ.: 1) საზღვაო ტვირთის წონა, უდრის 120 ფუთს; 2) მარცვლეულის საწყაო ამერიკასა, ინგლისსა და დანიაში, უდრის დაახლოებით 17 — 25 ჰექტოლიტრს.

ლატანია (latania), პალმის ოჯახის მცენარე აფრიკაში.

ლატარია, იხ. ლოტერია.

ლატენტური ან ლატენტ-ი (ლათ. latens,-ntis), ფარული, გამოუმჟღავნებელი (იტყვიან ავადმყოფობაზე, სითბოზე და სხვ.).

ლატერალური ან ლატერალ-ი, ლათ., გვერდითი, მაგ. ლატერალი ბგერა — გვერდითი ბგერა (მაგ. ლ).

ლატერან-ი — პაპის ყოფილი სასახლე რომში (სახელწოდება — ამ სასახლის წინანდელ მფლობელთა გვარეულობისაგან).

ლატინ-, იხ. ლათინ-.

ლატიფუნდ-ი (ლათ. latus „ფართე", fundus „მიწის საკუთრება"): 1) ძველ რომში: მიწის დიდი სამფლობელო, რომელიც მუშავდებოდა მონების საშუალებით; 2) საერთოდ — კერძო პირთა მიწის დიდი სამფლობელო.

ლატონა, ლათ., მითოლოგიით: ღამისა და ყოველივე ფარულის ქალ-ღმერთი, უდრის ბერძნულ ლეტო-ს — აპოლონისა და არტემიდის დედას.

ლატუკა, იხ. ლაქტუკა.

ლატუნ-ი, გერმ., თითბერი.

ლაუნ-ტენის-ი (ინგლ. lawn „თხელი ქსოვილი", tennis „ბურთი"), ერთგვარი ინგლისური თამაში ბურთით: მოთამაშეთა ორ ჯგუფს შუაზე ჰყოფს ბადე-კედელი.

ლაურა, საკ. სახ., იტალიელი შესანიშნავი პოეტის. პ ე ტ რ ა რ კ ა-ს (1304 — 1374), სატრფო, რომელიც უკვდავყო პოეტმა თავის შემოქმედებაში, განსაკუთრებით—სონეტებში (იხ.).

ლაურეატ-ი, იხ. ლავრი.

ლაფეტ-ი (ფრ.-გერმ. Lafette), ზარბაზნის დასადგმელი გოგრებიანი დაზგა.

ლაფსუს-ი, იხ. ლაპსუსი.

ლაქ-ი, სპარს.-ევროპ. (ფრ. laque): 1) ფისის ხსნარი სპირტში, სკიპიდარში ან რაიმე ზეთში,— იხმარება ხის ან ლითონის ნივთის გასაპრიალებლად; აქედან: გალაქვა — ლაქის წასმა; 2) გადატ მნიშვნ.: ლაქ-ი ან ლაქა — წინწკლი, ჩირქი, ბუ- ჰყი (სახელის გალახვის მნიშვნელობით).

ლაქია, ევროპ. (ფრ. laquais): 1) მოსამსახურე, მოახლე ვაჟი; 2) გადატ. მნიშვნ.: ვისიმე მონა-მორჩილი, პირფერი ადამიანი.

ლაქტაცია (ლათ.-ფრ. lactation, ლათ. lac, lactis-ისაგან „რძე"), ძუძუს წოვება.— ლაქტობაცილინ-ი — ლათ. ხელოვნ. (lactobacillinum) რძე-მჟავის შენაერთი, — იხმარება უმთავრესად გამხმარი მიკრობებისაგან დამზადებული ფხვნილის სახით ან დამჟავებული რძის (მაწვნის) სახით (მეჩნიკოვის წინადადებით, იხ. მეჩნიკოვი); ლაქტომეტრ-ი — რძის ხარისხისა და შემადგენლობის გამოსარკვევი მოწყობილობა.—ლაქტოსკოპ-ი — რძეში ცხიმის რაოდენობის გამოსარკვევი მოწყობილობა.

ლაქტუკა (ლათ. lactuca), რთულ-ყვავილოვანი ოჯახის მცენარე, — შეიცავს ნარკოტიკულ სითხეს.

ლაცარონები (მრავლ., იტ. lazzaroni), ნეაპოლის პროლეტარები, — ხშირად თამაშობდენ მნიშვნელოვან როლს, მაგ. 1647 წ. აჯანყებაში (სახელწოდება — ბიბლიური კეთროვანი ლ ა ზ ა რ ე-საგან).

ლებელ-ი (ინგლ. label „მარკა, ბეჭედი, სიქა"), ბოიკოტის ერთი ფორმა: ორგანიზებული მუშები აღარ ყიდულობენ იმ ფირმების საქონელს, რომლისაც უკმაყოფილონი არიან (შეერთ. შტატებში ამ მიზნით შემოღებულია სიქის დადება იმ საქონელზე, რომელიც თავისუფალია ბოიკოტისაგან).

ლეგალიზაცია, ლათ.-ფრ. (légalisation), დაკანონება; რაიმე დოკუმენტის ან პიროვნების კანონიერად ცნობა; აქედან: ლეგალიზირება — იგივე მოქმედება. — ლეგალური ან ლეგალ-ი— კანონიერი; კანონით ნება დართული; არალეგალური — კანონით ნებადაურთველი.

ლეგალური მარქსიზმ-ი — ასე ეწოდება რუსეთის 90-იან წლების მარქსისტულ ლიტერატურას, რომელიც ცენზურულ პირობებთან შეგუებით ცდილობდა გაევრცელებია მარქსისტული იდეები.

**ლეგატ-ი** (ლათ. legare-საგან „წარგზავნა"): 1) ძველ რომში: სენატის ელჩი ან რწმუნებული მეზობელი ქვეყნების მიმართ; 2) პაპის ლეგატ-ი — პაპის რწმუნებული კათოლიკურ ქვეყნებში.

**ლეგენდა**, ლათ. („საკითხავი", legere-საგან „კითხვა"): 1) საშ. საუკუნეებში: ღვთისმსახურების დროს საკითხავი მოთხრობა წმინდანთა ცხოვრების შესახებ; 2) წარწერა ფულზე; 3) ზღაპრული ხასიათის ხალხური თქმულება.— აქედან: **ლეგენდარული** ან **ლეგენდური** — ლეგენდის ხასიათის მქონე, ჩვეულებრივ — გამოგონილი, დაუჯერებელი რამ.

**ლეგიონ-ი** (ლათ. legio,-onis): 1) ძველ რომში: თავდაპირველად — მთელი ლაშქარი, შემდეგ — ლაშქრის ნაწილი, დაახლოებ. სამიდან ექვს ათასამდე; 2) დიდი რიცხვი, უამრავი.— **ლეგიონერ-ი** — ლეგიონის ჯარისკაცი.

**ლეგირება** ან უკეთ **ლიგირება** (ლათ. legare-საგან „შეკვრა, შეერთება"), ოქროსა და ვერცხლის შედნობა უფრო დაბალ ლითონთან, ჩვეულებრივ — სპილენძთან.

**ლეგისტ-ი** (ლათ. lex, legis-ისაგან „კანონი"): 1) საშ. საუკუნეების იურისტი; 2) საერთოდ — კანონების მცოდნე. — **ლეგიტიმაცია** —: 1) რაიმე უფლების ან აქტის კანონიერად აღიარება; 2) ქორწინების გარეშე შობილის კანონიერად ცნობა. — **ლეგიტიმიზმ-ი** — საერთოდ: პოლიტიკური თეორია, რომელიც აღიარებს რომლისამე სამეფო დინასტიის არსებობის ისტორიულ უფლებას — ხალხის სურვილისაგან დამოუკიდებლივ; კერძოდ: ბურბონების დინასტიის მომხრეობა (საფრანგეთში); აქედან: **ლეგიტიმისტები** — ლეგიტიმიზმის მომხრენი.

**ლედა**, ბერძ. საკ. სახ., მითოლოგიით: ძევსის მიერ შეცთენილი სპარტანელი მეფის ლამაზი ცოლი, კასტორისა და პელიდევკის (იხ.) და აგრეთვე მშვენიერი ელენეს დედა.

**ლედი** (ინგლ. lady), ინგლისში: მაღალი წოდების ქალის ტიტული (ქართულად — ქალბატონი); საერთოდ—ქალის ზრდილობიანი დასახელება.

**ლედიტები**, იხ. ლუდიტები.

**ლევანტ-ი** (იტ. levante „აღმოსავლეთი"), ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროების ქვეყნები; აქედან: **ლევანტელები** — ლევანტის მცხოვრებნი. — **ლევანტინ-ი** — ერთგვარი აბრეშუმის ქსოვილი (აღმოსავლური).

**ლეველერები** (მრავლ., ინგლ. leveller „გამთანასწორებელი"). ასე ეწოდა წვრილ ბურჟუაზიულ-რადიკალურ პოლიტიკურ პარტიას ინგლისში 17 საუკ. რევოლუციის დროს: მოითხოვდნენ ქონებრივ გათანასწორებას.

**ლევიათან-ი**, ებრ.: 1) ბიბლიით—ურჩხული. ნიანგი ან ვეშაპი; 2) ინგლისელი ფილოსოფოსის, ჰ ო ბ ს-ის (Hobbes, 1588 — 1679), პოლიტიკური თხზულების სახელწოდება, რომელშიც სახელმწიფო წარმოდგენილია როგორც ყოვლის ჩამყლაპავი ვეშაპი; 3) ტექნიკაში. მატყლის სარეცხი მანქანა.

**ლევირატ-ი** (ლათ. levir „მაზლი"), ძველებური ჩვეულება. რომლის თანახმად ძმა ირთავდა ცოლად გარდაცვალებული ძმის ცოლს.

**ლევიტები** (მრავლ.) ებრ., ბიბლიით: იაკობის ძის, ლევი-ს, შთამომავლობა, რომელსაც ევალებოდა მღვდელ-მსახურება, — წარმოადგენდა სამღვდელო წოდებას.

**ლევკიტ-ი** (ბერძ. leykós-ისაგან „თეთრი"), ვულკანური თეთრი მინერალი. — **ლევკოი** ან **ლევკოიონ-ი** (ბერძ. leykós და ion „ია"), სხვადასხვა ფერის ყვავილებიანი სურნელოვანი მცენარე. — **ლევკომა** — ბისტი თვალის გარსზე. — **ლევკორეა** (ბერძ. leykós და rein-ისაგან „დენა"), თეთრი სითხის დენა ქალის სასქესო ორგანოებიდან.

**ლევრეტ-ი** (ფრ. levrette), ერთგვარი ჯიშის პატარა ლამაზი სათახო ძაღლი.

**ლეთა** ან **ლეთ-ი** (ბერძ. lēthē „დავიწყება"), ძვ. ბერძ. მითოლოგიით: ქვესკნელის მდინარე, რომელიც მიცვალებულთა სულებს ანიჭებდა ქვეყნურ ტანჯვათა დავიწყებას.—**ლეთარგია**— სიკვდილისაგან ძნელად გასარჩევი ავადმყოფური მდგომარეობა. როცა თითქმის წყდება სასიცოცხლო პროცესები: სღათას ძილი; აქედან: **ლეთარგიული** ძილი.

**ლეიბ-**, გერმ. („სხეული") — ეს სიტყვა იხმარება მხოლოდ სხვა სიტყვებთან. დაერთვის მათ თავში და აღნიშნავს: სამეფო სასახლესთან მყოფი. მისთვის განკუთვნილი და სხვ., მაგ.: **ლეიბ-გვარდია** — სასახლის გვარდია; **ლეიბ-მე-**

დიკი — სასახლის ექიმი; ლეიბ-ქირურგ-ი და სხვა.

**ლეიბნიც-ი** (1646—1716). სახელოვანი გერმანელი ფილოსოფოსი (მოძღვრება მონადების შესახებ. იხ. მონადა). მათემატიკოსი (უსასრულოდ მცირეთა ანალიზი და დიფერენციალური აღრიცხვა) და მრავალ სხვა დარგში მომუშავე და ახლის შემტანი (ისტორიაში, ფიზიკაში. გეოლოგიაში და სხვ.).

**ლეიდენ-ის ან ლეიდენური ბანკა**—ასე ეწოდება ელექტრობის კონდენსატორთა (ე. ი. ელექტრობის დამგროვებელ ხელსაწყოთა) ერთერთ სახეს (მისი პირველი მოწყობა (1745) ეკუთვნის ჰოლანდელ ფიზიკოსს მუშენბროკ-ს, ხოლო სახელწოდება მიიღო ჰოლანდიის ქალ. ლეიდენ-ისაგან. რომლის ერთმა მცხოვრებმა პირველად განიცადა ლეიდენის ბანკის დაცლის ჯახება).

**ლეიკემია ან ლევკემია** (ბერძ. leykós-ისაგან „თეთრი"). სისხლის ერთგვარი დაავადება, თეთრსისხლოვნობა, ე. ი. სისხლში თეთრი ბირთვების სიჭარბე. — **ლეიკომა** — იხ. ლევკომა. — **ლეიკოპათია ან ლევკოპათია** — იგივეა რაც ალბინიზმი (იხ.). — **ლეიკორეა**—იხ. ლევკორეა. —**ლეიკოციტები ან ლევკოციტები** (მრავლ., leykós და kytos-ისაგან „უჯრედი"), სისხლის შემადგენელი თეთრი ბირთვები. რომელნიც სპობენ ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებებს. — **ლეიკოციტოზ-ი ან ლევკოციტოზ-ი** — თეთრი ბირთვების გამრავლება სისხლში.

**ლეიტენანტ-ი** (ფრ. lieutenant „მოადგილე"): 1) უფროსი ოფიცრის პირველი ხარისხი დას. ევროპაში: 2) რევოლუციამდე რუსეთში. უფროსი ოფიცრის მეორე ხარისხი.

**ლეიტ-მოტივ-ი** (გერმ. leiten „ხელმძღვანელობა", იხ. მოტივი): 1) მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი მოტივი. რომელიც მეორდება მის სხვადასხვა ნაწილში; 2) საერთოდ — ძირითადი ან მთავარი სახელმძღვანელო აზრი.

**ლეკს-**, იხ. ლექს-.

**ლეკტ-**, იხ. ლექტ-.

**ლეკც-**, იხ. ლექც-.

**ლემა** (ბერძ. lēmma). მათემატიკაში: წინასწარი ანუ დამხმარე თეორემა, რომლის დამტკიცებაც საჭიროა სხვა უფრო მნიშვნელოვანი თეორემის დასამტკიცებლად.

**ლემურ-ი**, ლათ.: 1) ნახევრად-მაიმუნის ჯიში კუნძულ მადაგასკარზე; 2) **ლემურები** (მრავლ.) — : ა) ასეთი მაიმუნები; ბ) ძველ რომაელთა რწმენით — გარდაცვალებულთა სულები, ღამის მოჩვენებანი.

**ლენდ-ლორდ-ი** (ინგლ. land-lord), მსხვილი მიწათმფლობელი ინგლისში.

**ლენ-ი ან ლეჰნ-ი** (გერმ. Lehn), დას. ევროპაში ფეოდალიზმის დროს: მესაკუთრე სუზერენის მიერ თავისი ვასალისათვის გადაცემული სამფლობელო (მიწა), რომლითაც ვასალი სარგებლობდა სუზერენისადმი ერთგულებისა და სხვადასხვა ბეგარის მოხდის პირობებით; აქედან: **ლენური სისტემა** — მიწათმფლობელობისა და სახელმწიფოს მართვის სისტემა ფეოდალიზმის ხანაში (საშ. საუკ.). როცა მეფე ითვლებოდა სახელმწიფოს მიწა-წყლის უზენაეს მფლობელად (სუზერენად): მეფე ურიგებდა მიწას თავის ქვეშევრდომებს, განსაზღვრულ პირობით, რომელნიც იქცეოდენ სუზერენად თავისი ვასალების მიმართ (იხ. ვასალი და სუზერენი). — **ლენური სამართალი** — სუზერენსა და ვასალს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი სამართალი.

**ლენინ-ი** (ულიანოვი), ვლადიმერ ილიას-ძე (1870 — 1924), შესანიშნავი რუსი მოაზროვნე და რევოლუციონერი, რუსეთისა და საერთაშორისო სოციალური რევოლუციის ბელადი, დამაარსებელი და ხელმძღვანელი რუს. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიისა და შემდეგ რუს. კომუნისტური პარტიისა, მომწყობი და ხელმძღვანელი ოქტომბრის გადატრიალებისა. III ინტერნაციონალის (იხ.) შემქმნელი, ავტორი მრავალ შრომათა ეკონომიკაში, ფილოსოფიაში, რევოლუციის თეორიაში და სხვ. (უმრავლესობა თარგმნილია ქართულადაც).—**ლენინელ-ი** — ლენინის მოძღვრების მიმდევარი. — **ლენინიზმ-ი**— ლენინის სარევოლუციო მოძღვრება კლასთა ბრძოლის შესახებ იმპერიალიზმისა და მსოფლიო ომის ხანაში; ლენინიზმი არის იგივე მარქსიზმი. მაგრამ გაშუქებული და გამაგრებული ახალ (XX საუკ.) სარევოლუციო მოძრაობათა გამოცდილებით: აგრეთვე — გამართლებული პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებით და კომუნისტური აღმშენებლობით (საბჭ. კავშირში): ლენინიზმმა გააღრმავა მარქსიზმი

განსაკუთრებით შემდეგ საკითხებში: 1) პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების პირობები; 2) პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობა; 3) ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობა მსოფლიო რევოლუციისათვის, განსაკუთრებით — კოლონიალურ ქვეყნებში; 4) პარტიის დანიშნულება; 5) საბჭოთა წესწყობილება, როგორც ტიპი პროლეტარული სახელმწიფოსი გარდამავალ ხანაში, და მისი მნიშვნელობა; 6) ბრძოლა მარჯვენივი და მარცხნივი განხრების წინააღმდეგ კომუნისტურ მოძრაობაში და მრ. სხვ...

**ლენკესტრ-ის სწავლების მეთოდი** —იხ. ბელ-ლანკასტერის სწავლების მეთოდი.

**ლენტ-ი**, ბერძ.-რუს. (лента), რაიმე ქსოვილისა ან ქაღალდისაგან გაკეთებული ვიწრო და გრძელი ზოლი, სარტყელი, თასმა და სხვ.

**ლენჩ-ი** ან **ლონჩ-ი** (ინგლ. lunch), მეორე საუზმე ინგლისში, დაახლოებით შუადღის 12 საათზე.

**ლეოპარდ-ი**, ბერძ., აზიასა და აფრიკაში მცხოვრები მტაცებელი ცხოველი კატის ჯიშისა, თითქმის ვეფხის ოდენა; აზიურ ლეოპარდს უწოდებენ პანთერას; ქართულად — ჯიქი.

**ლეპრა**, ბერძ., კეთრი, კეთროვნება; აქედან: **ლეპროზორი** ან **ლეპროზორიუმ-ი**—კეთროვანთა განკერძოებული სავადმყოფო ან თავშესაფარი.

**ლეპტა** ან **ლეპტ-ი** (ბერძ. leptós-საგან „წვრილი"): 1) ძველი ბერძნული წვრილი ფული; 2) შეწირულება; წვლილი.

**ლერმონტოვ-ი** მიხ. იურ. (1814—1841). შესანიშნავი რუსი პოეტი, ძლიერი სულისკვეთების მატარებელი. მაღალი იდეალებისა, თავისუფლების და ბრძოლის მოტრფიალე, თანადროულობაში უიმედო და უარყოფით მოვლენათა მამხილებელი: მისი საუკეთესო თხზულებანი („მწირი", „დემონი", „ჩვენი დროის რაინდი" და სხვ.) დაწერილია კავკასიაში; „მწირისა" და „დემონის" შინაარსი დაკავშირებულია საქართველოსთან (ზოგიერთი თხზულება თარგმნილია ქართულად).

**ლერნე-ის ჰიდრა**, ბერძ. საკ. სახ., მითოლოგიით: ჰერკულესის მიერ მოკლული მრავალთავიანი გველი ლერნეის ჭაობში.

**ლესბიური** ან უკეთ **ლესბოსური სიყვარული**—არაბუნებრივი სქესობრივი ურთიერთობა ქალისა ქალთან. — გავრცელებული იყო ძველად კუნძულ ლესბოსზე.

**ლეტა, ლეტარგია**, იხ. ლეთა. ლეთარგია.

**ლექსიკა** (ბერძ... მრავლ. lexikón-ისაგან „სასიტყვებო"), ამა თუ იმ ენის სიტყვათა ერთობლიობა. — **ლექსიკონ-ი** — ანბანურ რიგზე დალაგებული ამა თუ იმ ენის სიტყვები; ქართულად ამბობენ: სიტყვათა კონა. — აქედან: **ლექსიკოგრაფ-ი** — ლექსიკონის შემდგენელი; **ლექსიკოგრაფია** — მეცნიერება, რომელიც იკვლევს და განსაზღვრული წესით ალაგებს ამა თუ იმ ენის სიტყვობრივ მასალას. — **ლექსიკოლოგ-ი** — ამა თუ იმ ენის სიტყვობრივი მასალის მკვლევარი ენათმეცნიერი; **ლექსიკოლოგია** — ენათმეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს რომლისამე ენის სიტყვობრივ შემადგენლობას, სიტყვათა აგებულობას და წარმოშობას. — **ლექსიკური** — ლექსიკის ხასიათის მქონე: სიტყვობრივი.

**ლექტორ-ი**, ლათ. („მკითხველი"): 1) ლექციის ან მოხსენების წამკითხველი (მთქმელი); 2) უმაღლეს სასწავლებელში: საგნის (უმეტესად—ახალი ევროპული ენის) უმცროსი მასწავლებელი.—**ლექტრისა** (ფრ. lectrice)—ლექტორი ქალი.

**ლექცია** (ლათ. lectio): 1) საჯარო კითხვა (თქმა) რაიმე თემაზე: 2) გაკვეთილი უმაღლეს სასწავლებელში. — აქედან: **ლექციური** — ლექციის ხასიათის მქონე. ლექციის სახით წარმოებული, მაგ. სწავლების ლექციური მეთოდი (უპირისპირდება ლაბორატორიულ მეთოდს, იხ.). — **სალექციო** — ლექციებისათვის განკუთვნილი. — დანიშნული, მაგ. სალექციო წიგნაკი — სტუდენტის წიგნაკი, სადაც იწერება უმაღლესი სასწაელებლის საგნები და მათი მკითხველი მასწაელებლის გვარი.

**ლეჰნ-ი**, იხ. ლენი.

**ლიან-ი** (ფრ. liane). ერთგვარი ტროპიკული მცენარე (განსაკუთრ. ამერიკაში). რომელიც გარს ეხვევა ხეებს.

**ლიანოს-ი** (ისპ. llano. მრავლ. llanos), უზარმაზარი ქვიშიანი ვაკეები სამხრ. ამერიკაში, რომელიც გაზაფხულიდან ზამთრის პი-

რამდე დაფარულია სძოვარი ბალახით. — ლანეროს-ი (მრავლ.) — იქ მცხოვრები მწყემსები.

ლიაპის-ი, იხ. ლაპიდარული, ლაპისი.

ლიბელა (ლათ. libella, libra-საგან „სასწორი"). იგივეა, რაც ვატერპასი (იხ.); აქედან: ლიბელირება — ლიბელის (ანუ ვატერპასის) საშუალებით საგანთა ჰორიზონტული (თარაზული) მდგომარეობის გამორკვევა.

ლიბელ-ი (ლათ. libellus): 1) წიგნაკი, პატარა თხზულება; 2) ძველ რომში: სასამართლოში დასმენა; 3) სალანძღავი, სახელისგამტეხი წერილი; პასკვილი (იხ.). — ლიბელისტ-ი — პასკვილის შემთხზველი.

ლიბერალ-ი, ლათ. („თავისუფალი"), თავისუფლად მოაზროვნე. ლიბერალიზმის მომხრე. — ლიბერალიები (მრავლ.)—ძველ რომში: ბაკქის (იხ.) საპატივცემო დღესასწაული (ლიბერ-ი — ბაკქის ზედმეტი სახელი); ლიბერალიზმ-ი — თავისუფალი მოაზროვნეობა: ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა, მიმართული ფეოდალური სახელმწიფოსა, ეკლესიისა და ბატონყმური დამოკიდებულების წინააღმდეგ — მოქალაქობრივი თანასწორობისა და რწმენის თავისუფლების დაცვის მიზნით; ამდენად ლიბერალიზმი უპირისპირდება კონსერვატიზმს (იხ.); მეორის მხრივ ლიბერალიზმი უპირისპირდება სოციალიზმს, რამდენადაც ლიბერალიზმი მომხრეა რეფორმებისა და პროგრესისა ბურჟუაზიული კანონიერებისა და კაპიტალისტური საზოგადოების ფარგლებში.

ლიბერტინ-ი, ლათ.: 1) ძველ რომში: განთავისუფლებული მონა; 2) რეფორმაციის ხანაში: თავისუფალი რელიგიური მიმართულების მომხრე; ლიბერტინები — კალვინიზმის მოწინააღმდეგეები ჟენევაში. — ლიბერტინიზმ-ი ან ლიბერტინაჟ-ი (ფრ. libertinage)—თავაშვებულობა, უზნეობა, ალვირ-ახსნილობა და სხვ.

ლიბიდო (ლათ. libido-inis), ენებიერი სქესობრივი სურვილი; აქედან: ლიბიდინისტ-ი — სქესობრივი სიყვარულის მოტრფიალე; ავხორცი.

ლიბკნეხტ-ი (Liebknecht): 1) ვილჰელმ-ი (1826 — 1900), გერმანელი, მუშათა კლასის გამოჩენილი ბელადი; 1848 წ. რევოლუციის მონაწილე, კ. მარქსის მოწაფე, გერმ. სოც.-დემოკრატ. პარტიის დამაარსებელთაგანი (იხ. ეიზენახელები). პარტიის ცენტრ. ორგანოს („Vorwärts"-ის) რედაქტორი, მრავალი შრომების ავტორი; 2) კარლოს-ი (1871 — 1919) — ვილჰელმის შვილი, სოც.-დემოკრ. პარტიის მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელი, რეიხსტაგის წევრი, არალეგალური ჯგუფის („სპარტაკის") დამაარსებელი, — მოუწოდებდა მუშებს მსოფლიო ომის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის; მოკლულ იქნა გერმანელი ოფიცრების მიერ როზა ლუქსემბურგთან (1870 — 1919) ერთად.

ლიბრაცია (ლათ. libratio „წონასწორობაში დაკავება"), მთვარის ლაქების პერიოდული რხევა.

ლიბრეტო (იტ. libretto „წიგნაკი"), მუსიკალური ნაწარმოებისათვის (ოპერისა ან ოპერეტისათვის) დაწერილი ტექსტი; ბალეტის შინაარსი; აქედან: ლიბრეტისტ-ი — ლიბრეტოს შემთხზველი.

ლიგა, ლათ.-ფრ. (ligue, ლათ. ligare-საგან „შეკვრა, შეერთება"), კავშირი ან საზოგადოება — პოლიტიკური, რელიგიური ან საზოგადოებრივი—რაიმე მიზნების განსახორციელებლად; აქედან: ერთა ლიგა — ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების თაოსნობით მსოფლიო ომის შემდეგ დაარსებული სახელმწიფოთა კავშირი — მომავალი ომების თავიდან ასაცილებლად, ერთა ლიგამ შინაგანი უთანხმოების გამო ვერ შეძლო ომების თავიდან აცილება და სახელმწიფოთა შეიარაღების შემცირება, რის შედეგიცაა მისი ავტორიტეტის თანდათანი დასუსტება.

ლიგირება, იხ. ლეგირება.

ლიგატურა, ახ.-ლათ. (ligare-საგან „შეერთება, შეკვრა"): 1) ოქროსა და ვერცხლის შენადნობი სხვა ლითონებთან, მაგ. სპილენძთან; 2) ქირურგიული ოპერაციების დროს ძარღვის შესაკრავი ერთგვარი ძაფი; 3) მუსიკაში: ერთნაირი სიმაღლის ნოტების შემაერთებელი ნიშანი; 4) წერასა და ბეჭდვაში: ორი (ან მეტი) ურთიერთ გადაბმული ასო.

ლიგნინ-ი (ლათ. ლიგნუმ-ისაგან „ხე, შეშა"), მერქანის შემადგენელი ნაწილი. —ლიგნიტ-ი მურა ქვა-ნახშირის ერთი სახეობა.

**ლიდერ-ი** (ინგლ. leader „ხელმძღვანელი"): 1) ინგლისში: გაზეთის მოწინავე სტატია; 2) პოლიტიკური პარტიის ბელადი.

**ლიდიტ-ი** (lyddite), ძლიერი საარტილერიო ფეთქადი ნივთიერება (სახელწოდება ინგლისის ქალაქის Lydd-ისაგან, სადაც აწარმოეს პირველი ცდები).

**ლიე** (ფრ. lieue), წინანდელი ფრანგ. სიგრძის საზომი, უდრის დაახლ. 4½ კილომეტრს.

**¹ლივერ-ი** (ინგლ. liver „ღვიძლი"), დაკლული საქონლის შიგნეულობა, რაც იჭმება; აქედან: **ლივერის ძეხვი** — შიგნეულობისაგან დამზადებული ძეხვი.

**²ლივერ-ი**, ლათ.-პოლონ. (liwar), თუნუქის ან მინის ჰურჭელი. — იხმარება სითხეების დიდი ჰურჭლიდან პატარაში გადასასხმელად.

**ლივრეა**, იტ., შინამსახურის ერთგვარი ტანსაცმელი. ჩვეულებრივ — გალონებიანი (იხ. გალუნი).

**ლივრ-ი** (ფრ. livre). ძველებური ფრანგული მონეტა, უდრიდა დაახლოებ. 1 ფრანკს.

**ლიზის-ი** (ბერძ. lysis „გარდაწყვეტა", „ხსნა"), მედიცინაში: ტემპერატურის თანდათანი დაწევა ავადმყოფობის დროს (უპირისპირდება კრიზისს, იხ., 2). — **ლიზოლ-ი** (lysolum) — სქელი ზეთოვანი ნივთიერება,— მოიპოება ქვანახშირისაგან და იხმარება როგორც სადეზინფექციო საშუალება.

**ლითიუმ-ი**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. lithos „ქვა"), ქიმიური ელემენტი: ტუტეთა ჯგუფის ვერცხლის ფერის მინერალი, — მოიპოება მინერალურ წყლებში, ჰარხალში და სხვ.; ლითიუმის მარილები იხმარება, როგორც შინაგანი წამალი ქვის გასახსნელად. — **ლითინ-ი** — ლითიუმის ჟანგი.

**ლითოგლიფიკა** (ბერძ. lithos „ქვა", glyphein „ამოჭრა"), ქვაზე რისამე ამოჭრის ანუ დაწერის ხელოვნება. — **ლითოგრაფ-ი** — : 1) ქვაზე მწერელი ან მხატვარი; 2) ქვიდან მბეჭდავი; **ლითოგრაფია** — : 1) ქვაზე ამოჭრილი ნაწერისა ან ნახატის გადაბეჭდვა; 2) დაწესებულება, სადაც ეს მუშაობა წარმოებს. — **ლითოგრაფიული ან სალითოგრაფიო ქვა** — ერთგვარი სწორ--წრეებიანი მკვრივი საკირე ქვა, რომელიც სათანადოდ გახეხილი იხმარება მასზედ სურათის ან ნაწერის აღსაბეჭდავად და რომლიდანაც ეს სურათი ან ნაწერი გადაიბეჭდება ქაღალდზე. — **ლითოლოგია** — მეცნიერება ქვების შესახებ. — **ლითოსკოპ-ი** — მედიცინაში: საშარდე ბუშტში ქვის გამოსაკვლევი ხელსაწყო. — **ლითოტომია** — საშარდე ბუშტიდან ქვის ამოჭრა – **ლითოტომ-ი**—სალითოტომიო ხელსაწყო.—**ლითოფაგია**—ქვის მჭამელობა, **ლითოფაგი** — ქვის მჭამელი. — **ლითოფანია**— 1) გამჭვირვალე სურათები ქვისაგან, ფაიფურისაგან ან მინისაგან გაკეთებულ საგნებზე; 2) ასეთი სურათების გამოყვანის ხელოვნება. — **ლითოფიტები** (მრავლ.) — გაქვავებული მცენარეები. — **ლითურგია** — ქვების დამუშავება

**ლიკანთროპია** (ბერძ. lykos „მგელი", ánthrôpos „კაცი"). ჭკუაზე შეშლილობის ერთი ფორმა. როდესაც ავადმყოფს წარმოუდგენია თავისითავი მხეცად, ჩვეულებრივ —მგლად; საშ. საუკუნეებში ლიკანთროპია ზოგჯერ იღებდა ეპიდემიურ ხასიათს.

**ლიკვ-**, იხ. ლიქვ-.

**ლიკიორ-ი**, იხ. ლიქიორი.

**ლიკტ-**, იხ. ლიქტ-.

**ლიკოპოდი ან ლიკოპოდიუმ-ი**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. lykos „მგელი", poys, podós „ფეხი"), ქვეშლეღვისის (მცენარეა) ფხვნილი. — იხმარება მედიცინაში. როგორც მისაყრელი საშუალება.

**ლილია**, ბერძ.-ლათ. (lilium), შროშანი; არსებობს მრავალგვარი სახე; ყველაზე ცნობილია თ ე თ რ ი ლ ი ლ ი ა, ქართულად ზ ა მ ბ ა ხ ი.

**ლილიპუტ-ი**, ევროპ., 1) ზღაპრული ქვეყანა და იქ მცხოვრები ჯუჯა-კაცები; 2) საერთოდ— პატარა ტანის კაცი; სახელწოდება ამოღებულია ინგლ. მწერლის სვიფტ-ის (Swift. 1667 — 1745) „გულივერის მოგზაურობ"-იდან.

**ლიმან-ი**, ბერძ.-რუს.: 1) ზღვისაგან გამოყოფილი უბე; 2) მდინარის გაფართოებული შესართავი ზღვასთან.

**ლიმბ-ი**, ლათ.: 1) გრადუსებად და მინუტებად დაყოფილი წრე კუთხმზომ იარაღებზე; 2) ასტრონომიაში: მზისა და მთვარის გარე-კიდეები.

**ლიმიტ-ი**, ლათ.-ფრ. (limite „საზღვარი"), კომერციაში: კრედიტის უმაღლესი ოდენობა, რომელიც ეხსნება ამა თუ იმ პირს ან დაწესებულებას; აქედან: **ლიმიტაცია** — შემოსაზღვრა, საზღვრის დადება; **ლიმიტირება** — იგივე მოქ-

მედება.—**ლიმიტედ** (ინგლ. „შემოსაზღვრული") — ეს სიტყვა იწერება რაიმე ამხანაგობის ფირმის შემდეგ და აღნიშნავს მისი წევრების განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

**ლიმნიგრაფ-ი** (ბერძ. limnê „ჭაობი, ტბა, აუზი"). ზღვის, ტბის ან მდინარის წყალთა დონის საზომი იარაღი. — **ლიმნოლოგია** — მეცნიერება წყალთა აუზების შესახებ, უმთავრესად — ტბებისა: **ლიმნოლოგ-ი** — ლიმნოლოგიის სპეციალისტი.

**ლიმონად-ი** ან **ლიმონათ-ი**, ფრ. ლიმონის წვენისა და შაქრისაგან დამზადებული გამაგრილებელი სასმელი (ასე ეძახიან აგრეთვე სხვა ხილის წვენისაგანსაც).

**ლიმონიტ-ი** (ბერძ. leimôn-ისაგან „მინდორი, საძოვარი"). ერთგვარი რკინის მადანი.

**ლიმფა** (ლათ. lympha „წყალი"), მოყვითალო ფერის სითხე ადამიანისა და ცხოველის სხეულის ლიმფატიკურ მილებში. — ასაზრდოებს ქსოვილებს.—**ლიმფატიკური მილები**—ლიმფის შემცველი წვრილი მილები, რომლებსაც შეაქვს სისხლში მასაზრდოებელი ნივთიერებანი. — **ლიმფატიკური ჯირკვლები**—ჯირკვლები, სადაც წარმოიქმნებიან ლეიკოციტები (იხ.).

**ლინგვისტ-ი** (ლათ. lingua-საგან „ენა"), ენათმეცნიერი; **ლინგვისტიკა** — ენათმეცნიერება: აქედან: **ლინგვისტიკური** ან **ლინგვისტური** — ენათმეცნიერული; **სალინგვისტიკო** ან **სალინგვისტო** — საენათმეცნიერო.

**ლინეიკა** (ლათ. linea-საგან, „ძაფი", „ხაზი", რუსული დაბოლოებით), ვიწრო და მოგრძო ფიცარი. სახაზავი.

**ლინზა** (გერმ. Linse „ოსპი"). ოსპისებრი ოპტიკური მინა. შემოსაზღვრული სფერული ზედაპირით. — წარმოადგენს ყოველგვარი ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილს.

**ლინოლეუმ-ი** (ლათ. linum „სელი" და oleum-ისაგან „ზეთი"). მუშამბისებრი ერთგვარი სქელი ქსოვილი. რომელიც ქვემოდან გაფისულია, ხოლო ზემოდან დაფარულია ნაყანგი სელის-ზეთისა და ფისის სქელი შენარევით, — იხმარება იატაკზე დასაფენად; უძლებს სინესტეს და ცუდი გამტარებელია სითბოსი. — **ლინონ-ი** — სელის ძალიან წმინდა (თხელი) ბატისტი.

**ლინოტიპ-ი**, ხელოვნ. (ლათ. linea „ხაზი" და typos-საგან „კვალი, ნიშანი, ანაბეჭდი..."), ერთგვარი ასოთ-საწყობი მანქანა, რომელიც სათანადო მოწყობილობის მეოხებით ერთიამიერად აწყობს მთელს სტრიქონს; დიდი უპირატესობა აქვს სისწრაფის მხრივ ჩვეულებრივ ხელით აწყობასთან შედარებით; ლინოტიპით იწყობა უმეტესად გაზეთები.

**ლინჩ-ის კანონი** (ინგლ. Lynch law). ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში: ასე ეწოდება ხალხის მიერ სასტიკ გასამართლებას კანონიერი ფორმების გარეშე, რასაც ადგილი აქვს უმთავრესად ნეგრების მიმართ, განსაკუთრებით — ქალის გაუპატიურებისათვის (გადმოცემით—დაწესებულია ჯონ ლინჩ-ის, 1736—96) მიერ; აქედან: **ლინჩვა** — ლინჩის კანონით გასამართლება.

[1]**ლირა** ან **ლირ-ი** (იტ. lira, ფრ. livre): 1) იტალიური — ვერცხლის მონეტა, უდრის ერთ ფრანკს; 2) ოსმალური — ოქროს მონეტა, უდრის დაახლოებ. 6 მანეთს.

[2]**ლირა** (ბერძ. lyra): 1) ძველ ბერძენთა სამუსიკო სიმებიანი ინსტრუმენტი, რომლის გამოსახულებაც წარმოადგენს პოეზიის ემბლემას; 2) ძველებური (16 — 18 საუკ.) მრავალსიმიანი ხემით დასაკრავი სამუსიკო ინსტრუმენტი დასავლეთ ევროპაში; გადატ. მნიშვნ.: 3) დიდი ვარსკვლავედის სახელწოდება ჩრდილოეთის ნახევარ სფეროში; 4) ახალ-ზელანდიის ერთი ფრინველი. რომლის კუდი ლირას წააგავს.

**ლირიზმ-ი**, იხ. შემდეგი სიტყვა.

**ლირიკა** (ბერძ. lyrikós-ისაგან „მელირე, ლირაზე დამკვრელი; სალირო, რაც ლირაზე დაიკვრება", იხ. ლირა), პოეტური შემოქმედების ერთი სახე. რომელიც გამოხატავს პოეტის სულიერ მოძრაობებს, მის გრძნობებს. — აქედან **ლირიზმ-ი** — : 1) ვისიმე ისეთი სულიერი მოძრაობები, როდესაც მას მოთხოვნილება აქვს გამოხატოს თავისი გრძნობები; მიდრეკილება გრძნობების გამოთქმისადმი; 2) ლირიკის თავისებურობანი; **ლირიკოს-ი** ან **ლირიკ-ი** — ლირიკის პოეტი; **ლირიკული** — ლირიკის ხასიათის მქონე. მაგ. **ლირიკული სიმღერები** — ასე ეწოდება ხალხურ სიმღერებს, რომელშიც გამოხატულია სულიერი განწყობილება.

**ლირიული** ან უკეთ **ლირიკული**, იხ. ლირიკა.

**ლისტერინ-ი** — ერთგვარი ხსნარი, რომელიც წარმოადგენს ანტისეპტიკურ (იხ.) საშუალებას: აქედან: **ლისტერიზაცია** — ქირურგიული ოპერაციებისა და ჭრილობების მთელის წესი, რომლის მიზანია ჭრილობაში მიკროორგანიზმების შესვლის თავიდან აცილება (სახელწოდება — შესანიშნავი ინგლ. ქირურგის, ლისტერ-ის (1827 — 1912), სახელისაგან).

**ლიტავრ-ი** (ბერძ.?; ქართულში რუსულიდან). დაფის მსგავსი სპილენძის ერთგვარი დარტყმითი სამუსიკო ინსტრუმენტი.

**ლიტანია** (ბერძ. litaneyein-ისაგან „თხოვნა, ხვეწნა...“). ლოცვა, ვედრება; პარაკლისი.

**ლიტერა** (ლათ. littera ან litera). ნაწერი ან ბეჭდური ასო; აქედან: **ლიტერატორ-ი** — მწერალი; **ლიტერატურა** — : 1) საერთოდ — მწერლობა; ამა თუ იმ ხალხის ან ეპოქის მწერლობითი ან ზეპირსიტყვაობითი შემოქმედების ერთობლიობა; 2) კერძოდ — კაზმული სიტყვიერება; 3) ამა თუ იმ საკითხის გამო დაწერილი თხზულებები. — **ლიტერატურული** — მწერლობითი, ლიტერატურის ხასიათის მქონე; **სალიტერატურო** — სამწერლობო: ლიტერატურისათვის განკუთვნილი, გამოსადეგი და სხვ.; მაგ. ლიტერატურული დილა ან საღამო — საგანგებოდ გამართული საჯარო კრებულება, სადაც დამსწრეთათვის იკითხება კაზმულ-სიტყვიერებითი ნაწარმოებები; სალიტერატურო კრებული — რომელშიც იბეჭდება კაზმულ-სიტყვიერებითი ნაწარმოებები, ე. ი. განკუთვნილია ამისთვის და სხვ.

**ლიტერ-ი** (იხ. ლიტერა): 1) საგანთა განსხვავების, სათვალავის ან რიგის აღმნიშვნელი ასო, მაგ. ლიტერიანი ვაგონი, ლოჟა და სხვ., ე. ი. ასოთი აღნიშნული; 2) რკინისგზით სამგზავრო მოწმობა, რომელიც ჩვეულებრივ ანიჭებს მოწმობის პატრონს განსაზღვრულ შეღავათს ან უპირატესობას.

**ლიტიუმ-ი**, იხ. ლითიუმი.

**ლიტო-**, იხ. ლითო-.

**ლიტრ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. litre). სითხეთა და მარცვლეულთა საწყაო, უდრის ერთი კილოგრამი წყლის მოცულობას.

**ლიტურგია** (ბერძ. leitoyrgia „საზოგადოებრივი სამსახური ან ბეგარა“). წირვა,—ქრისტიანული უმთავრესი ღვთისმსახურება; **ლიტურგიკა** — ღვთისმეტყველების დარგი: მოძღვრება საერთოდ ღვთისმსახურების და კერძოდ—წირვის შესახებ.

**ლიუ-**, იხ. ლე-.

**ლიფ-ი**, გერმ.-რუს. (лиф). ქალის ზედატანის უსახელოებო საცმელი. — ეკვრის ტანს მჭიდროდ.

**ლიფტ-ი** (ინგლ. lift). ადამიანის ან ტვირთის ზევით ამზიდი მანქანა, ჩვეულებრივ — რამდენიმე სართულიან შენობებში. — წარმოადგენს პატარა ოთახს, რომელიც მოძრაობს ჰაერის ან, უფრო ხშირად, ელექტრონის საშუალებით.

**ლიქვაცია**, ლათ.-ევროპ. (liquere-საგან „თხევადად ყოფნა“). თხევადი შენადნობისაგან შემადგენელი ნაწილების გამოვარდნა მარცვლების, ნემსების და სხვა სახით.

**ლიქვიდაცია**, ლათ.-ევროპ. (liquidus-ისაგან „თხევადი, მდინარი; წმინდა, ნათელი...“): 1) რისიმე შეწყვეტა, მოსპობა, გაუქმება, მოთავება და სხვ. ასეთი; 2) საბოლოო ანგარიშ-სწორება რაიმე საქმის შეწყვეტის გამო; 3) რაიმე კომერციული საქმის შეწყვეტა; 3) ბირჟაზე: რაიმე საქმეში მონაწილე პირთა ანგარიშ-სწორება. — **ლიქვიდირება** — იგივე მოქმედება. — **ლიქვიდაციური** — ლიქვიდაციის ხასიათის მქონე; **სალიქვიდაციო** — ლიქვიდაციისათვის განკუთვნილი; მაგ. სალიქვიდაციო ხარჯი — თანხა, რომელიც ეკუთვნის განსაზღვრული წესის მიხედვით მუშამოსამსახურეს სამსახურიდან დათხოვნის გამო და სხვ.—**ლიქვიდატორები** (მრავ.)—ასე ეწოდა სოც.-დემოკრატ. პარტიის ერთ მიმართულებას და კონსტიტუციური მონარქიის პირობებში და სხვათა მეთაურობით, რომელნიც მოითხოვდენ პარტიის არალეგალური მუშაობის მოსპობას და კონსტიტუციური მონარქიის პირობებში ბრძოლას.

**ლიქვიდური** ან **ლიქვიდ-ი** (იხ. ლიქვიდაცია), თხევადი, მდინარი; მოძრავი; ფონეტიკაში ლიქვიდური ბგერები ან ლიქვიდები ეწოდება ლ რ-ს (ქართულად ნ ა რ ნ ა რ ი ბ გ ე რ ე ბ ი).

**ლიქიორ-ი**, ლათ.-ფრ. (liqueur). მაგარი სასმელი, — წარმოადგენს ღვინის სპირტის შენარევს შაქართან, მცენარეულ ექსტრაქტებთან (იხ.) და სურნელოვან ზეთებთან.

**ლიქტორები** (ლათ. lictores). ძველ რომში: თავდაპირველად — მეფის მსახურნი და ამალა;

შემდეგ — მაღალი თანამდებობის პირთა საპატიო ახლებელნი.

**ლიცეი-ი** ან **ლიცეუმ-ი**, ბერძ.-ლათ. (lyceum): 1) ძვ. საბერძნეთის ქ. ათინაში: ასე ეწოდებოდა ბაღსა და გიმნაზიას (იხ. 1) აპოლონ ლიკეიელის ტაძრის ახლოს, — იქ მოძღვრობდა არისტოტელი; 2) დას. ევროპაში: საშუალო სასწავლებელი; 3) რევოლუციამდე რუსეთში: უმაღლესი იურიდიული სასწავლებელი. — **ლიცეისტ-ი** — ლიცეიში მოსწავლე.

**ლიცენზია**, იგივეა, რაც ლიცენცია (იხ. 2).

**ლიცენცია** (ლათ. licentia „თავისუფლება, ნებადართულობა"): 1) უნივერსიტეტებში ლექციების კითხვის უფლება; 2) საზღვარგარეთ საქონლის გატანის ან იქიდან შემოტანის ნებართვა; აგრეთვე — საქონლის შემოტანა-გატანის ბაჟზე დაკლება; 3) **პოეტური ლიცენცია** — პოეტის თავისუფლება, რაც გამოიხატება მის მიერ გრამატიკისა და ლექსთწყობის ზოგიერთი წესების დარღვევაში.

**ლიცენციატ-ი** (საშ. საუკ. ლათ. licentiatus „ნებართვის მქონე"): 1) საშუალო საუკუნეებში: უნივერსიტეტში ლექციების საკითხავად დაშვებული ბაკალავრი (იხ.); 2) შემდეგ და ახლა დასავლ. ევროპაში (მაგ. საფრანგეთში): სამეცნიერო ხარისხი და ამ ხარისხის მქონე (საშუალოა ბაკალავრსა და დოქტორს შორის).

**ლობაჩევსკის გეომეტრია**, ასე ეწოდება არაევკლიდურ გეომეტრიას, რომელიც შექმნა შესანიშნავმა რუსმა მათემატიკოსმა. ნ. ი. ლობაჩევსკიმ (Лобачевский, Н. И., 1793—1856), ყაზანის უნივ. პროფესორმა.

**ლობზიკ-ი**, გერმ.-რუს. (გერმ. Laubsäge), ერთგვარი ძალიან წვრილი (0,2 მილიმ. და მეტი) ხერხი.

**ლოგარითმ-ი** (ბერძ. lógos „სიტყვა, აზრი, ანგარიში...", arithmós „რიცხვი"), მათემატიკაში: მოცემული რიცხვის ლოგარითმი არის ხარისხის მაჩვენებელი, რომლითაც უნდა ავახარისხოთ რაიმე ფუძედ მიღებული რიცხვი, რომ მივიღოთ მოცემული რიცხვი, მაგ. 100-ის ლოგარითმი არის 2, თუ ფუძედ მიღებულია 10. — აქედან: **ლოგარითმირება** — ლოგარითმებზე მოქმედება, ლოგარითმის აღება.

**ლოგიკა** (ბერძ. logikê „მეტყველებითი, აზროვნებითი", იგულისხმება technê „ხელოვნება"), მეცნიერება, რომელიც იკვლევს და ადგენს აზროვნების ჭეშმარიტობის განმსაზღვრელ კანონებს; აქედან: **ლოგიკ-ი** ან **ლოგიკოს-ი** — ლოგიკის მკვლევარი ან მცოდნე; **ლოგიური** ან უკეთ **ლოგიკური** — ლოგიკის ხასიათის მქონე, ლოგიკის კანონებთან შეთანხმებული; თანამიმდევრობითი; გად. მნიშვ.: სწორი, მართებული, აზრიანი და სხვ. ასეთი; აგრეთვე — აზრის მიხედვითი, მაგ. **ლოგიკური მახვილი** — წინადადებაში ერთი სიტყვის უფრო ძლიერად წარმოთქმა, ვიდრე დანარჩენებისა. — **ლოგიცისტ-ი** — ასე ეწოდება ენათმეცნიერს და გრამატიკოსს, რომლის აზრითაც გრამატიკა უნდა აიგოს ლოგიკის ნორმების მიხედვით; აქედან: **ლოგიცისტური გრამატიკა** — ამგვარად აგებული გრამატიკა.

**ლოგოგრაფია** (ბერძ. lógos „სიტყვა; მოთხრობა, თქმულება...", gráphein „წერა") — ძველი ბერძნული მატიანე, — წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ეპიკური პოეზიიდან ისტორიულ პროზაში; აქედან: **ლოგოგრაფ-ი** — ძველ ბერძენთა მემატიანე. — **ლოგოგრიფ-ი** (griphos „ქსელი, ამოცანა") — საამოცანო სიტყვა, რომელიც იცვლის მნიშვნელობას ზოგიერთ ასოთა გადასმით ან გამოკლებით.—**ლოგოთეტ-ი** (ბერძ. tithêmi „ვდგამ", „ვმსჯელობ"), — მწერალი; კანცლერი ბიზანტიის იმპერიაში.— **ლოგოს-ი**— 1) ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში: მსოფლიო გონება, მსოფლიო კანონი, ბედისწერა; ცნება; 2) ახალ ფილოსოფიაში (ჰეგელით): არსებულის გონება; 3) სახარებით: ძე-ღმერთი, სამების მეორე პირი; ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება.— აქედან: **ლოგოლოგია** — მოძღვრება ლოგოსის შესახებ (სახარებით). — **ლოგოტიპია** (ბერძ. typos „კვალი, ანაბეჭდი..."), ძველებური ბეჭდვის ერთგვარი წესი, აწყობა მთელი სიტყვებით. — **ლოგოფერ-ი** (ბერძ. pherô „მომაქვს"), მიწის ქვეშ გადასაცემი სალაპარაკო მილი.

**ლოდარ-ი**, გერმ.-უკრ., ზარმაცი, არაფრისმკეთებელი, მუქთახორა.

**ლოველას-ი**, საკ. სახ.: 1) ინგლისელი მწერლის რიჩარდსონ-ის (Richardson, 1689—1761) ერთერთი რომანის („კლარისსა") გმირის სახელი; 2) გადატ. მნიშვ.: არშიყი, ქალის მოტრფიალე, შემცდენელი და სხვ. ასეთი.

**ლოზანის კონფერენცია**, შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში (Lausanne) სახელმწიფოთა წარმო-

მადგენლების ყრილობა 1922—1923 წ. წ., მოწვეული ახლო-აღმოსავლეთის საკითხების გამო (ოსმალეთის მიერ საბერძნეთის დამარცხებასთან დაკავშირებით); ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულობა, რომლის თანახმადაც: ოსმალეთს დაუბრუნდა სევრის ხელშეკრულობით (იხ.) წართმეული თითქმის ყველა სამფლობელოები ევროპაში, მცირე აზიაში გაუქმებულ იქნა საფრანგეთისა და იტალიის გავლენის ზონები და ანტანტამ უარი თქვა სომხებისათვის „ეროვნული კერა“-ს შექმნაზე; ოსმალეთი დათანხმდა ბოსფორისა (იხ.) და დარდანელის (იხ.) სრუტეების გახსნაზე სამხედრო გემებისათვის. კონფერენციის დროს ლოზანაში მოკლულ იქნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში ვ. ვ. ვ ო რ ო ვ ს კ ი — თეთრგვარდიელი კ ო ნ რ ა დ ი ს მიერ.

ლოზუნგ-ი, გერმ.: 1) სამხედრო საქმეში: პირობითი სიტყვა, რომლითაც ჯარისკაცი გაარჩევს თავისიანს მტრისაგან; 2) რომლისამე პიროვნების, ჯგუფის ან პარტიის მისწრაფებათა მოკლედ გამოთქმული დედააზრი (იხ. დევიზი).

ლოთრანგ-ი, იგივეა, რაც ლუთერანი (იხ.).

ლოიალური ან ლოიალ-ი (ფრ. loyal „კანონიერი; ერთგულური, პატიოსნური...“), კანონთან შეთანხმებული; არსებული წესწყობილების ერთგული და ყველა მის მოთხოვნილებათა შემსრულებელი; აქედან: ლოიალობა — არსებული წესწყობილების ერთგულება და სხვ.

ლოიდ-ი — ასე ეწოდება დასავლ. ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში საზოგადოებებს, რომელთა მიზანია საზღვაო დაზღვევის ოპერაციების წარმოება; სახელწოდება — ლონდონში 18 საუკუნეში არსებული ერთერთი კაფეს პატრონის გვარისაგან (Lloyd); ამ კაფეში იკრიბებოდენ სხვადასხვა ვაჭრები და საზღვაო მზღვეველები.

ლოკალური ან ლოკალ-ი (ლათ. locus-ისაგან „ადგილი“), ადგილობრივი; განსაზღვრული ადგილისა; ერთი ადგილით შემოსაზღვრული; აქედან: ლოკალიზაცია — დაკავშირება გარკვეულ ადგილთან; ამა თუ იმ საგნის, შთაბეჭდილების ან სხვა რისიმე მოთავსება სივრცის (ან დროის) განსაზღვრულ ადგილას (ან მომენტში). — ლოკატივუსი ან ლოკატივ-ი — ადგილობითი ბრუნვა (გრამატიკაში).

ლოკაუტ-ი (ინგლ. lock-out „გამოკეტვა; გამორიცხვა“), ფაბრიკა-ქარხნების დროებითი დაკეტვა სხვადასხვა მეპატრონეთა მიერ ურთიერთთან შეთანხმებით და მუშების დათხოვნა; მიზანია — მუშათა ეკონომიურ მოთხოვნილებების წინაამდეგ ბრძოლა.

ლოკომობილ-ი, ლათ. ხელოვნ. (locus „ადგილი“, mobilis „მოძრავი“), ორთქლის მოძრავი მანქანა,—რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სხვა მანქანები; — ლოკომოტივ-ი — ორთქლმავალი: გოგრებიანი ორთქლის მანქანა, რომელსაც მიაქვს რელსებზე რკინიგზის მატარებელი, — გამოგონილია ინგლისელი სტეფენსონ-ის (Stephenson. 1781 — 1848) მიერ 1814 წ. — ლოკომოტორული — მამოძრავებელი, ადგილიდან გადასაძვრელი.

ლოკონ-ი, გერმ.-რუს., დახუჭუჭებული თმა, კულული.

ლოკხ-, იხ. ლოქო-.

ლომბარდ-ი, ფრ., დაწესებულება, რომელიც იძლევა სესხს მოძრავი ქონების დაგირავებით; სახელწოდება — ლომბარდელი ვაჭრებისაგან, რომელთაც პირველად (13 საუკ.) შექმნეს ასეთი დაწესებულება.

ლომბერ-ი ან ლომბრ-ი, ისპ.-ფრ. (l'hombre), ქაღალდის ერთგვარი თამაში; აქედან: ლომბერ-ის მაგიდა — საერთოდ ქაღალდის სათამაშო მწვანე მაუდ-გადაფარებული მაგიდა.

ლოჟა (ფრ. loge; ქართულში რუსული ло-жа-დან); 1) რამდენისამე პირისათვის მოსათავსებელი საჯდომი ადგილი, მაგ. თეატრში; 2) პოლიტიკური ან რელიგიური საზოგადოების სახელწოდება ან მათ წევრთა შესაკრებელი ადგილი (მაგ. მასონთა ლოჟა, იხ.) — ლოჟემენტ-ი — ზარბაზნებისა და მსროლელთა სათარი თხრილი და მიწაყრილი.

ლორდ-ი, ინგლ. („უფროსი, ბატონი“): 1) ინგლისელი პერებისა (იხ.) და უმაღლესი წოდების აზნაურთა (ჰერცოგების, მარკიზების, გრაფების, ვიკონტების და ბარონების) მემკვიდრეობითი ტიტული, რომელიც გადადის გვარეულობის უფროს წარმომადგენელზე; 2) მაღალ თანამდებობებთან დაკავშირებული ტიტული, მაგ. ლორდ-არქიეპისკოპოსი, ლორდ-კანცლერი, ლორდ-მერი (ქალაქისთავი) და სხვ.

**ლორეტ-ი** (ფრ. lorette), მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

**ლორნეტ-ი**, გერმ.-ფრ. lorgnette), სახელურიანი დასაკეცი სათვალე; აქედან: **ლორნირება** — ლორნეტით ხედვა, — თვალიერება; **ლორნერ-ი** — ლორნეტით მხედველი.

**ლოტერია** (ფრ. lotterie), იღბალზე თამაში: კერძო ან სახელმწიფო დაწესებულების მიერ განსაზღვრული რიცხვით გამოშვებულ ბილეთებში მოგება ხვდება მხოლოდ რამდენსამე ბილეთზე (არის წაუგებელი ლოტერიაც).

**ლოტ-ი**, გერმ.: 1) წონის ერთეული, რუსეთში უდრის 3 მისხალს; 2) ტყვიის საპარბი, რომელიც მიებმის ლოტლინ-ზე (ერთგვარი თოკია),— წარმოადგენს წყლის სიღრმის საზომ მოწყობილობას.

**ლოტო** (იტ. lotto), ერთგვარი საჯარო თამაში. — მოთამაშეები ჰფარავენ მათ წინ მდებარე დანომრილ კარტებზე იმ ნომრებს, რომელსაც დაიძახებს ციფრების იღბალზე ამომღები, ე. ი. თამაშის საერთო ხელმძღვანელი.

**ლოტოს-ი**, ბერძ.: 1) ბოტანიკაში: წყლის ერთგვარი მცენარე, მრავალწლოვანი, ფარისებრ-ფოთლებიანი, — ეგვიპტელები და ინდოელები მას სთვლიდენ საღვთო მცენარედ; 2) უბიწოებისა და თავმდაბლობის სიმბოლო.—**ლოტოფაგები** (მრავლ.). — ბერძ. მითოლოგიით: ლოტოსის მჭამელი ზღაპრული ხალხი ჩრდ. აფრიკაში.

**ლოქსოდრომია** (ბერძ. loxós „ირიბი", drómos „სირბილი, რბენა") ან **ლოქსოდრომიული წირი** (ხაზი). ორმაგი სიმრუდის მრუდი, რომელიც დახაზულია ბირთვის ზედაპირზე და ჰკვეთს ყველა მერიდიანებს ერთისა და იმავე კუთხით.

**ლოღიკ-** იხ. ლოგიკ-.

**ლოცმა** (ჰოლანდ.-გერმ. Lothse-საგან), სალოცმანო ცოდნა. ე. ი. ცოდნა ზღვის ფსკერისა, მეჩეჩებისა, ნაპირებისა, ნავსადგურებისა და სხვ. — **ლოცმან-ი** (Lotshmann)—: 1) მეზღვაური, ხომალდის გამყოლი. რომელიც კარგად იცნობს სახიფათო ადგილებს; 2) ერთგვარი ეკალფრთებიანი თევზი. რომელიც თანსდევს ზღვის მტაცებლებს და იკვებება მათი განავალით.

**ლოხიები** ან **ლოქიები** (მრავლ. ბერძ., lóchos-ისაგან „სათარი; მშობიარობა"), საშვილოსნოს განაწმენდი (ლორწო, ჩირქი და სხვ.) ნამშობიარევს.

**ლუდიტები** (მრავლ.) — ინგლისში 19 საუკ. დასაწყისში: საფაბრიკო მანქანების მტერეული მუშები, რომელნიც ეკონომიური გაჭირვების მიზეზად სთვლიდენ მანქანების შემოღებას, — ისჯებოდენ სიკვდილით; სახელწოდება — ლ უ დ დ-ისაგან, რომელმაც დაამსხვრია საქსოვი მანქანა (18 საუკ.).

**ლუეს-ი**, ლათ., ათაშანგი, სიფილისი (იხ.).

**ლუვრ-ი**, ფრ. საკ. სახ. (Louvre), საფრანგეთის მეფეთა ყოფ. სასახლე; 1793 წლიდან წარმოადგენს ძვირფას კოლექციათა საცავს, — შესანიშნავია აგრეთვე როგორც ხუროთმოძღვრების ძეგლი.

**ლუზა** ან **ლუზ-ი** (ფრ. blouse), ბირთვის ჩასაგდები ბადისებრი პარკი ბილიარდის მაგიდაზე (იხ. ბილიარდი).

**ლუთერ-ი**, მარტინ (Luther, Martin, 1483—1546), შესანიშნავი გერმანელი რეფორმატორი (იხ. რეფორმაცია), ლუთერანობის დამაარსებელი და ბიბლიის მთარგმნელი; აქედან: **ლუთერან-ი** — ლუთერის მოძღვრების ანუ ლუთერანობის მიმდევარი; **ლუთერანობა** — ლუთერის მიერ შექმნილი ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც ქრისტიანობის ერთად ერთ წყაროდ სთვლის საღვთო წერილს, უარჰყოფს საეკლესიო იერარქიას და წმინდანთა თაყვანისცემას, საიდუმლოთაგან სცნობს მხოლოდ მონათვლასა და ზიარებას და სხვ., გავრცელებულია ჩრდ. გერმანიაში, სკანდინავიაში და სხვ.

**ლუი** ან **ლუიდორ-ი** (ფრ. Luis d'or), ძველებური ფრანგული ოქროს ფული სხვადასხვა ღირებულებისა (ლუი — 20 ფრანკი, ლუიდორი— 7 მანეთამდე).

**ლუკ-ი**, ჰოლანდ.: 1) ნახვრეტი გემბანში — შესასვლელად ან დასატვირთავად; ნახვრეტი ქიმში — ზარბაზნისათვის; 2) ასაწევი კარი იატაკში ან ჭერში.

**ლუმინატორ-ი**, ლათ. („სანათური"), ბინების გასანათებელი ნახვრეტი ხომალდში.

**ლუმპენ-პროლეტარიატ-ი** (გერმ. Lumpen— „ძონძი, ჩვარი", იხ. პროლეტარ-ი), დეკლასირებული (იხ.) მუშები, რომელნიც ცხოვრობენ შემთხვევითი ნაშოვრით ან მათხოვრობით,—წარმოებაში ჩაუბმელი ან წარმოებას მო-

[illegible] უმუშევარი მუშები; — წარმოადგენს კაპიტალისტური მეურნეობის აუცილებელ შედეგს.

**ლუნატიზმ-ი** (ლათ. luna-საგან „მთვარე"), ერთგვარი ავადმყოფობა, როდესაც მძინარე ადამიანი მოქმედობს როგორც ფხიზელი (დადის, ლაპარაკობს და სხვ.); ხალხის რწმენით შედეგია მთვარის გავლენისა; აქედან: **ლუნატიკ-ი** — ლუნატიზმით შეპყრობილი.

**ლუნეტ-ი**, ლათ.-ფრ. (lunette): 1) დურბინი; 2) სამხედრო საქმეში: ერთი მხრით გახსნილი საველე სიმაგრე.

**ლუპა** ან **ლუპ-ი**, ლათ.-ფრ. (loupe), ორმაგამოზნექილი გამადიდებელი შუშა, — იხმარება ძლიერ მცირე საგანთა დასანახავად.

**ლუპანარიუმ-ი** (ლათ. lupa-საგან „ძუ მგელი; როსკიპი ქალი"), **საროსკიპო სახლი.**

**ლუსტრა** (ლათ. lustrare-საგან „განათება"), რამდენიმე სასანთლიანი ჩამოსაკიდი სანათური; ხომლი, ჭაღი.

**ლუსტრ-ი** (ლათ. lustrum, იხ. ლუსტრა): 1) ძველ რომში: ერთგვარი მსხვერპლი, რომელსაც სწირავდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ; 2) ხუთი წლის ხანგრძლიობა; ხალხის აღწერა ხუთ წელიწადში ერთხელ; აქედან: **ლუსტრაცია** — უძრავი ქონების შემოსავლის გამორკვევა; 3) **ლუსტრ-ი** (ფრ. lustre), ქსოვილის მბზინვარება; აქედან — **ლუსტრირება** — მბზინვარების მინიჭება ქსოვილისათვის; **ლუსტრინ-ი** — მატყლის ან ბამბის ერთგვარი მბზინვარე ქსოვილი.

**ლუტერ-ი**, იხ. ლუთერი.

**ლუცერნა** ან **ლუცერნ-ი** (ფრ. luzerne), იონჯა (ბალახი).

**ლუციფერ-ი**, ლათ. („სინათლის მომტანი, ნათელმოსილი"): 1) პლანეტი ვენერის (იხ.) ძველი სახელწოდება; 2) სატანა, ეშმაკი; წყვდიადის მეუფე.

**ლუციფუგ-ი**, ლათ. („სინათლის გამქცევი"), სინათლე-მშიშარა; ღამის ცხოველი, რომელიც ვერ იტანს დღის სინათლეს.

## მ

**მაგაზინკა**, არაბ.-ევროპ. (ქართულში რუსულიდან. იხ. მაღაზია), ერთგვარი თოფი, რომელიც ერთჯამიერად შესაძლებელია გაიტენოს რამდენისამე გასროლისათვის, რისთვისაც მასში მოწყობილია ვაზნებიანი კოლოფი, ანუ ე. წ. მაღაზია.

**მაგდალინელი**, მ ა რ ი ა მ, — სახარებით: ცოდვილი, რომელმაც ცოდვები მოინანია და ქრისტეს მიმდევარი გახდა; აქედან: **მაგდალენიტები** (მრავლ.) — ცოდვების მომნანიებელ ქალთა ორდენი (12 საუკ.); **მაგდალინელთა თავშესაფარი** — ცოდვების მომნანიებელთა თავშესაფარი.

**მაგდებურგ-ის ნახევარსფეროები** — ატმოსფერული (იხ.) წნევის დასამტკიცებელი ხელსაწყო: ლითონის ორი ნახევარ-სფერო მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს; თუ შიგნიდან ჰაერი ამოქაჩულია, მათი დაცილება ძნელია (დამზადდა პირველად ქალ. მ ა გ დ ე ბ უ რ გ შ ი).

**მაგ-ი**, სპარსულიდან (ბერძ. mágos): 1) მოგვი; ძველ ირანელთა ქურუმი; 2) ჯადოქარი, მისანი; აქედან: **მაგია** — მისნობა; სასწაულებრივ მოვლენათა გამოწვევის ცრუ ხელოვნება, — გავრცელებული იყო განსაკუთრებით, ქალდეაში, ძველ ირანში და დას. ევროპაში (საშ. საუკუნეებში); განასხვავებდნენ თ ე თ რ მ ა გ ი ა ს (როცა მოქმედობდნენ უჩინარი კეთილი ძალებით) და შ ა ვ მ ა გ ი ა ს (ბოროტი ძალებით); აქედან: **მაგიური** ან **მაგიკური** — მისნური; მომჯადოებელი, მომხიბლველი და სხვ. ასეთი.

**მაგიკან-**, იხ. მოჰიკან-.

**მაგისტერ-ი** ან **მაგისტრ-ი**, ლათ. („უფროსი, მასწავლებელი, ხელმძღვანელი"): 1) ძველ რომში — ზოგიერთ თანამდებობის პირთა სახელწოდება; 2) საშ. საუკუნეებში: სასულიერო და რაინდულ ორდენთა უფროსის წოდება; 3) სამეცნიერო ხარისხი, დოქტორისაზე დაბალი (მაგ. რევოლუციამდე რუსეთში). — **მაგისტრალ-ი** — საერთოდ: მთავარი ხაზი, მაგ., რკინიგზის მთავარი ხაზი, წყალსადენის მთავარი მილი, ელექტრონის მთავარი გამტარი და სხვ. — **მაგისტრან-**

ტ-ი — სამაგისტრო ზეპირ-გამოცდებ-ჩაბარებული პირი, რომელსაც დისერტაცია არ ჰქონდა დაცული (მაგ. რევოლუციამდე რუსეთში). — **მაგისტრატ-ი** —: 1) ძველ რომში: სახელმწიფო თანამდებობა და მისი მქონე პირი; 2) დასავ. ევროპ.: სასამართლოს დაწესებულებანი ან თანამდებობის პირნი (საფრ., ინგლ.); ქალაქის დაწესებულებანი (გერმ., პოლონ.). — **მაგისტრატურა** —: 1) ძველ რომში — სახელმწიფო თანამდებობის პირთა ერთობლიობა; 2) ახლა: სასამართლოს თანამდებობის პირთა ერთობლიობა.

**მაგნატ-ი**, ლათ.-ევროპ. (magnus-ისაგან „დიდი"), წარჩინებული წოდების მსხვილი მამულების მფლობელი უნგრეთსა და პოლონეთში; 2) მსხვილი კაპიტალისტი.

**მაგნეზია** — ქიმიაში: მაგნიუმის ჟანგი; თეთრი მსუბუქი ფხვნილი, — იხმარება მედიცინაში (სახელწოდება — თესალიის კუთხის მ ა გ ნ ე ს ი ა-საგან).

**მაგნეტ-ი** (ბერძ. Magnētis lithos „მაგნეზიური ქვა", იხ. მაგნეზია): 1) რკინისა, ფოლადისა და ზოგიერთი სხვა ლითონების თავისკენ მიზიდვის უნარის მქონე სხეული; 2) გადატ. მნიშვნელ.: რაც მიმზიდველია; აქედან: **მაგნეტური** — მაგნეტის ხასიათის მქონე, მიმზიდველი. — **მაგნეტიზმ-ი** — : 1) უნარი ზოგიერთ სხეულთა მიიზიდონ თავისკენ ზოგი სხეული (რკინა, ფოლადი და სხვ.) და განჯახონ (უკუაგდონ) თავისაგან ზოგიერთი სხვა (ბისმუთი, სურმა და სხვ.); 2) ფიზიკის დარგი, რომელიც იკვლევს მაგნეტურ მოვლენებს. — **დედამიწის მაგნეტიზმი** — დედამიწის ბირთვის უნარი მიაქციოს მაგნეტური ისრის (კომპასში) ერთი ბოლო ჩრდილოეთისაკენ, ხოლო მეორე — სამხრეთისაკენ. — **ცხოველური მაგნეტიზმ-ი** — ცხოველის (ან ადამიანის) ნერვული სისტემის უნარი იმოქმედოს სხვისაზე (იხ. ბიომაგნეტიზმ-ი). — **მაგნეტიზირება ან დამაგნეტება** — 1) რკინის ან ფოლადისათვის მაგნეტის თვისების მინიჭება; 2) ცხოველში (ან ადამიანში) ცხოველური მაგნეტიზმის გამოწვევა ან ამ გზით მასზე ზემოქმედება; აქედან: **მაგნეტიზიორ-ი ან მაგნეტიზერ-ი** — ასეთის მოქმედი პირი.

**მაგნიტ-ი**, იგივეა, რაც მაგნეტი (იხ.).

**მაგნიუმ-ი**, ბერძ.-ლათ., ვერცხლისებრ-თეთრი მსუბუქი ლითონი, — იხმარება კაშკაშა სინათლისათვის.

**მაგნოლია** — ჩრდილო ამერიკული მარად მწვანე სურნელოვან-ყვავილებიანი ხე, — იზრდება ჩვენშიც (სახელწოდება — მეცნიერი ბოტანიკოსის მ ა გ ნ ო ლ-ისაგან).

**მაგოგ-ი**, იხ. გოგი და მაგოგი.

**მაგომეტ-**, იხ. მაჰმად-.

**მადამ** (ფრ. madame): 1) რევოლუციამდე საფრანგეთში: მეფის ქალის ტიტული; 2) ახლა: დამის ტიტული (იხ. დამა, 1); ქალბატონი, ქალბატონო; **მადმაზელ ან მადემუაზელ** (ფრ. mademoiselle) — 1) წინეთ საფრანგეთში: მეფის უფროსი ძმისწული ქალი; 2) ქალწული; უქმრო ქალის ტიტული; ქალწულო.

**მადაპოლამ-ი**, ევროპ., იგივეა, რაც მიტკალი.

**მადერა** — ერთგვარი ტკბილი და მაგარი ღვინო, — ამზადებდნენ წინეთ კუნძულ მადერაზე.

**მადმაზელ**, იხ. მადამ.

**მადონა** (იტ. madonna „ჩემო ქალბატონო"), ღვთისმშობელი, მისი გამოსახულება.

**მადრიგალ-ი**, იტ.: 1) წინეთ — უბრალო ხალხური ლექსი (14 საუკ.), შემდეგ — სატრფიალო ან სახუმარო ლექსი; 2) მუსიკალური სასიმღერო ნაწარმოები (16 საუკ.).

**მაესტრო**, იტ.: 1) მასწავლებელი, ხელოვანი; 2) იტალიაში: მუსიკოსისა, ლოტბარისა და სხვ. საპატიო ტიტული.

**მავზოლეი** (ბერძ. mausōleion): 1) კარიის მეფის, მ ა ვ ზ ო ლ ო ს-ის საპატივსაცემო ძეგლი, — აუგო მისმა ცოლმა; 2) საერთოდ — დიდებული ძეგლი.

**მავრ-ი** (ლათ. maurus), **მავრები** — არაბული წარმოშობის ჩრდ. აფრიკის ტომი.

**მაზდეიზმ-ი, მაზდაიზმ-ი ან მაზდაიანობა** — ზარათუშტრას (იხ.) მიერ შექმნილი და ავესტაში (იხ.) გადმოცემული ძველ ირანელთა დუალისტური რელიგია: მსოფლიო ისტორიის შინაარსს წარმოადგენს ორი დასაბამის — კეთილისა და ბოროტის — ბრძოლა, რომელიც გათავდება კეთილის გამარჯვებით, რასაც ადამიანმა ხელი უნდა შეუწყოს; გარეგნულის მხრივ — ცეცხლის თაყვანისცემა.

[1]**მაზ-ი** (რუს. мазь); წასასმი, — ქონიანი ან

ცხიმიანი ნახევრად თხევადი ნივთიერება რისამე წასასმელად ან დასაზელად.

**მაზ-ი** (რუს. мазь, ფრ. masse-ისაგან): 1) ბანქის თამაშში (იხ. ბანქი), ერთგვარი წამატება სათამაშო თანხაზე; 2) ბილიარდში: ერთგვარი კიი (იხილე).

**მაზოლ-ი** (გერმ.-რუს. мозоль), კანის გალიზიანებისაგან წარმოქმნილი მტკივნეული ხორცმეტი, აბედა.

**მაზოხიზმ-ი** — არანორმალური სქესობრივი აღძვრა: მაზოხიზმით შეპყრობილი ადამიანი — **მაზოხისტ-ი** — აღიძვრება სქესობრივად მხოლოდ მოპირდაპირე სქესის მიერ მიყენებული ტანჯვის საშუალებით, მაგ. ცემით, შეურაცხყოფით და სხვ.; სახელწოდება უნგრელი მწერლის ზ ა ხ ე რ-მ ა ზ ო ხ-ისაგან (Sacher-Masoch, 1836—1895), რომელმაც აღწერა ეს მოვლენა თავის თხზულებებში.

**მაზუთ-ი** (თურქ.?), შავი ნავთისაგან სანათობელი ზეთების გამოყოფის შემდეგ დარჩენილი ნივთიერება, — იხმარება როგორც სათბობი მასალა ორთქლმავალში, ორთქლის ქვაბებში და სხვ.

**მაზურიკ-ი**, გერმ.-რუს., ქურდი, გაიძვერა; ჯიბგირი.

**მაზურკა ან მაზურეკ-ი**, პოლონ.: 1) პოლონელთა ეროვნული ცეკვა; აგრეთვე — ამ ზომაზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები; 2) ერთგვარი პოლონური ნამცხვარი (სახელწოდება — პოლონელთა ტომის მ ა ზ უ რ-ებისაგან.

**მათემატიკა** (ბერძ. mathêma,-atos-ისაგან „შესწავლა, გაგება...“), მეცნიერება ოდენობათა შესახებ, მათ თვისებათა და შეფარდებათა; აქედან: **მათემატიკ-ი** ან **მათემატიკოს-ი** —: მათემატიკის მცოდნე და მკვლევარი ან მასწავლებელი. — **მათემატიკურ-ი** —: 1) მათემატიკის ხასიათის მქონე; 2) გადატან მნიშვნ.: ზუსტი, გარკვეული და სხვ.

**მათ-ი**, იხ. შამათ-ი.

**მაიაკ-ი** (რუს. маяк „მაჩვენებელი“), ზღვის კანდელი. — **მაიატნიკ-ი** — საქანი.

**მაიორ-ი**, ლათ.-ევროპ. („უფროსი“), შტაბის ოფიცრის წოდება (რუსეთში წინეთ). — **მაიორატ-ი** — მემკვიდრეობის ერთგვარი წესი, როდესაც ქონება (მამული) გადადის მთლიანად გვარეულობის ან ოჯახის უფროსი წევრის მფლობელობაში. — **მაიორდომ-ი ან მაჟორდომ-ი** —: 1) საშ. საუკ.: მეროვინგების დროს (5 — 8 საუკ.) სახელმწიფო უმაღლესი მოხელის ტიტული, მეფის სასახლეთა გამგე.

**მაისის დღესასწაული** ანუ პ ი რ ვ ე ლ-მ ა ი ს ო ბ ა — მუშათა საერთაშორისო დღესასწაული 1 მაისს — დაწესებულია სოციალისტურ პარტიათა ყრილობაზე პარიზში 1889 წ.

**მაკადამ-ი** — ქუჩებზე ქვაფენილის გაკეთების ერთგვარი წესი: ჯერ მოეგება მსხვილი ქვის ფენილი, შემდეგ — ღორღი და იტკეპნება საგანგებო საგორავით, — მოგონილია ამერიკელი ინჟენერის Mac Adam-ის (1756 — 1836) მიერ.

**მაკაკო**, პორტ., ერთგვარი ჯიშის მაიმუნი.

**მაკაო** — : 1) გრძელკუდიანი თუთიყუშის ჯიში; 2) ერთგვარი აზარტიანი ქაღალდის თამაში.

**მაკარონ-ი**, იტ.-ფრ., ძალიან წმინდად დაფქული თეთრი პურის ცომისაგან დამზადებული და გამხმარი მილაკები, — იტალიელთა ეროვნული საჭმელი. — **მაკარონული** — გადატ. მნიშვნელ.: დაცინვითი, სასაცილო; მაგ. **მაკარონული პოეზია** — ასე ეწოდება სახუმარო ლექსებს, რომელშიც შერეულია სხვადასხვა ენის სიტყვები და ფორმები; აქედან: **მაკარონიზმ-ი** — უცხო სიტყვების ჭარბად ხმარება მეტყველებასა და წერაში.

**მაკასარ-ის ზეთი** — თმის საზრდელი სურნელოვანი ზეთი; სახელწოდება მ ა კ ა ს ს ა რ-ისაგან (ცელებესზე).

**მაკეტ-ი** (ფრ. maquette): 1) სათეატრო დადგმისა და დეკორაციების მოდელი; 2) საერთოდ — მოდელი, ნიმუში.

**მაკი** — იგივეა, რაც ლემური (იხ., 1).

**მაკიაველი** (Machiavelli, 1469 — 1527), იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი. — **მაკიაველიზმ-ი** — მაკიაველის პოლიტიკური მოძღვრება: პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცების მიზნისათვის ყოველგვარი საშუალების (უზნეობის, ვერაგობის, მზაკვრობის და სხვ.) დასაშვებად აღიარება. მაკიაველის ასეთი შეხედულება მიმართული იყო საეკლესიო ხელისუფლების წინააღმდეგ და იტალიის ეროვნული ხსნისაკენ. — მდაბიური უკრიტიკო შეხედულებით: **მაკიაველიზმ-ი** — უპრინციპობა, ვე-

რაგობა, უზნეო პოლიტიკა და სხვ., მაკიაველისტ-ი — ასეთის მიმდევარი.

მაკლერ-ი, ჰოლ.-გერმ., შუამავალი სავაჭრო საქმეების მოგვარებისას, დალალი.

მაკრო- (ბერძ. macrós „გრძელი, დიდი, ხანგრძლივი")—დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს გრძელ-, დიდ- და სხვ., მაგ. მაკრობიები (მრავლ.; ბერძ. bios „სიცოცხლე") — ზღაპრული ქვეყნის მცხოვრებნი, რომელნიც დიდხანს ცოცხლობდენ; მაკრობიოტიკა — მოძღვრება ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ (მეჩნიკოვის, შტეინახის და სხვ. ცდები): მაკროკეფალ-ი ან მაკროცეფალ-ი (ბერძ. kephalê „თავი") — გრძელ- ან დიდთავა; მაკროკოსმ-ი ან მაკროკოსმოს-ი (ბერძ. kósmos „მსოფლიო წესრიგება; მსოფლიო"), მსოფლიო, გარესამყარო (უპირისპირდება მიკროკოსმოსს, იხ.); მაკროპოდები (მრავლ., ბერძ. poys. podós „ფეხი"), უკანაფეხებ-გრძელი მღრღნელი ცხოველები; მაკრომეტრ-ი — დიდი მანძილის გასაზომი იარაღი და სხვ.

მაკს-, იხ. მაქს-.

მაკულა, ლათ., ლაქა; აქედან: მაკულატურა—: 1) ბეჭდვის ან წერის დროს გაფუჭებული ქაღალდი; 2) გადატ. მნიშვნ.: უვარგისი თხზულება.

მალაგა — ქალაქ მალაგის (ისპანიაში) ტკბილი ღვინო.

მალაკან-ი, მალაკნები (რუს. молоканин, молокане), დუხობორებისაგან (იხ.) გამოყოფილი (18 საუკ. მეორე ნახევ.) რელიგიური სექტა რუსეთ'ში, — უარჰყოფენ მართმად. ქრისტიანობას, ჭეშმარიტების წყაროდ სთვლიან მხოლოდ საღვთოწერილს, არ სჭამენ ხორცეულს, არამედ მხოლოდ რძეს და კვერცხს (სახელწოდება молоко-საგან „რძე").

მალარ-ი ან უკეთ მალერ-ი (გერმ. Maler), მხატვრობის ხელობის მცოდნე, მღებავი; გადატ. მნიშვნ.: ცუდი მხატვარი.

მალარია (იტ. mala aria „ცუდი ჰაერი, ჭაობის ჰაერი"), ჭაობიანი ადგილების ციება, ციებცხელება.

მალაიურ-პოლინეზიური ენები — ასე ეწოდება დიდი ოკეანეს კუნძულებზე (მალაის არქიპელაგი, პოლინეზია, ახალი ზელანდია, მადაგასკარი და სხვ.) გავრცელებულ ენებს.

მალახიტ-ი ან მალაქიტ-ი (ბერძ. maláchê-საგან), მარმარილოს მსგავსი კაშკაშა მწვანე ფერის მინერალი, — იხმარება სვეტებისა, ლუმელებისა და სხვ. დასაფარავად სილამაზის მიზნით.

მალერ-, იხ. მალარ-.

მალვა, ლათ., ერთგვარი ლამაზ-ყვავილებიანი ბალახეული, — იხმარება მედიცინაშიც.

მალვაზია, იტ., მალვაზიური ტკბილი ღვინო. (კუნძ. მ ო რ ე ა-ზე).

მალთუს-ი, თ. რ. (Malthus, Th. R., 1766—1834), ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი. — მალთუსიანობა —მალთუსის საზოგადოებრივ-ეკონომიური მოძღვრება: მშრომელთა სილატაკის მიზეზია არა კაპიტალისტური წყობილება, არამედ მცხოვრებთა შეუფარდებელი გამრავლება, ვინაიდან საარსებო საშუალებანი იზრდება არითმეტიკული პროგრესიით, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი—გეომეტრიულით; ამიტომ საჭიროა ქორწინებისა და შვილიერობის შეზღუდვა ღარიბთათვის. მარქსიზმმა დაარღვია ეს მოძღვრება.

მალიარ-, იხ. მალარ-.

მალინა, რუს., ჟოლი.

მალტოზ-ი (ფრ. malt-ისაგან „ალაო"), ალაოს შაქარი, — იხმარება ბადაგის ნაცვლად.

მალტუს-, მალტუზ-, იხ. მალთუს-.

მამალიგა, რუმ., სიმინდის ფქვილის ღომი.

მამელუკები ან მამლუკები (მრავლ., არაბ.), თავდაპირველად (13 საუკ.) — სამხედრო ტყვეებისაგან შედგენილი ეგვიპტის სულტანის გვარდია, რომელიც შემდეგ — სულტანის მოკვლის შემდგომ—ფლობდა ეგვიპტეს 13—18 საუკუნის ბოლომდე. 1798 წ. დაამარცხა ნაპოლეონმა, 1811 წ. მოსპო მაჰმედ-ალიმ.

მამალიოლოგია (ბერძ. mámmê „დედა", ლათ. mamma „ძუძუ"), ზოოლოგიის დარგი, — იკვლევს ძუძუმწოვარ ცხოველებს.

მამზელ, იხ. მადმაზელ.

მამონა, სემ.-ბერძ. (mammônâs „სიმდიდრე"), სიმდიდრის ღმერთი; ამქვეყნიური სიკეთე, საამოვნება და სხვ.

მამონტ-ი, მონღ.-რუს., მეოთხეული პერიოდის გადაშენებული სპილოსებრი ცხოველი, სიმაღლით 4 მეტრამდე და სიგრძით 7-დე.

**მანანა** ან **მანა** (სემიტ.-ბერძ. manna „ნაწილი, საჩუქარი, ჯილდო“): 1) ბიბლიით: ებრაელების უდაბნოში მოგზაურობის დროს ციდან მარცვლებად ჩამოცვენილი გემრიელი საჭმელი (ცის მანანა); 2) ზოგიერთი ხიდან გამომდინარე ფისისებრი ტკბილი წვენი, — იხმარება მედიცინაში.

**მანგან-ი** ან **მანგანეზიუმ-ი**, იხ. მარგანეცი.

**მანდარინ-ი**, ინდ.-ევროპ.: 1) ჩინეთის მაღალი თანამდებობის მოხელე; 2) მომცრო ფორთოხალი.

**მანდატ-ი** (ლათ. mandatum „დავალება“): 1) რწმუნება, დავალება, ბრძანება; 2) საბუთი, რომელიც ადასტურებს რწმუნებას, დავალებას და სხვ.; 3) ქაღალდის ფული საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს.

**მანდოლინა**, იტ.-ფრ. (mandoline), ოთხსიმიანი სამუსიკო ინსტრუმენტი, — უკრავენ რქის პატარა ფირფიტით.

**მანდრაგორა**, ლათ., ერთგვარი მრავალწლოვანი ბალახი, რომლის ძირი ჰგავს ადამიანის სახეს, — საშ. საუკუნეებში იხმარებოდა როგორც სამკითხაო და საჯადოსნო საშუალება.

**მანდრილ-ი**, ისპ., ძაღლისებრი მაიმუნის ჯიში.

**მანევრ-ი**, **მანევრები** (ფრ. manoeuvre): 1) უომრობის დროს ჯარების სანიმუშო ბრძოლების გამართვა — სასწავლო მიზნით; 2) ომის დროს ჯარების მოძრაობა, რომელსაც მიზნად აქვს რაიმე სტრატეგიული ამოცანის უბრძოლოდ შესრულება; 3) რკინისგზის სადგურზე ვაგონების გადაძვრა — მატარებლის შესადგენად; 4) საერთოდ — ეშმაკობა, მოხერხებულობა და სხვ. ასეთი. — **მანევრირება** — მანევრების წარმოება.

**მანეკენ-ი**, ჰოლ.-ფრ. (mannequin; ჰოლ. mannekin „კაცუნა“): 1) მოძრავ-ასოებიანი ხის დიდი ტიკინა, — იხმარება მხატვართა და მკერვალთა მიერ; 2) გადატ. მნიშვ.: გაუწვრთნელი, მიუხვრელ-მოუხვრელი, გამოუყენებელი ადამიანი.

**მანეჟ-ი** (ფრ. manège „გახედნა“), დიდმოედნიანი შენობა — ცხენების გასახედნად და ცხენზე ჯდომის მისაჩვევად.

**მანერა** (ფრ. manière), ადამიანის მოძრაობის, მოქცევის, მუშაობის, თავისდაჭერის და სხვ. თავისებურობა; ხელოვნებაში: ამა თუ იმ მხატვრის განმასხვავებელი თვისება, მისი სტილი.

**მანია**, ბერძ. („სიშმაგე, სიგიჟე...“),: 1) ფსიქიური აშლილობა — თავშეუკავებელი სურვილებისა და ჩვეულების ქონა; 2) გრძნობათა და აზრების ერთ რაზედმე შეჩერებისადმი ავადმყოფური მიდრეკილება; აქედან: **მანიაკ-ი** — მანიით შეპყრობილი.

**მანიკურ-ი**, ლათ.-ფრ. (manicure), ხელისა და ფრჩხილების მოვლა — მათთვის სილამაზის მინიჭების მიზნით.

**მანიოვრ-**, იხ. მანევრ-.

**მანიპულაცია**, ლათ.-ფრ. (manipulation): 1) ხელებით რაიმე მოძრაობათა შესრულება — ამა თუ იმ მიზნით; 2) საერთოდ — რთული მოქმედების შესრულება. — **მანიპულირება** — იგივე მოქმედება.

**მანიფესტ-ი** (ლათ. manifestus-ისაგან „ცხადი, გამოაშკარავებული“): 1) მთავრობის ან საზოგადოებრივი ჯგუფის საზეიმო წერილობითი მიმართვა ხალხისადმი რაიმე ღირსშესანიშნავი შემთხვევის ან მათი რაიმე გადაწყვეტილების შესახებ; ასეთი რისამე საზეიმო გამოცხადება; 2) პარტიულ ან ლიტერატურულ მიმართულებათა გადმოცემა ან მათი თეორიული დასაბუთება წერილობითი სახით (იხ. კომუნისტური მანიფესტი). — **მანიფესტაცია** — რაიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის მიმართ უარყოფითი ან დადებითი დამოკიდებულების გამოხატვა საჯარო გამოსვლების სახით; **მანიფესტირება** — იგივე მოქმედება; **მანიფესტანტ-ი** — მანიფესტაციის მონაწილე.

**მანიქეიზმ-ი** ანუ **მანიქეველობა** — რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, შექმნილი მესამე საუკ. ქ. შ. სპარსელი მან-ის ან მანეს-ის მიერ ბაბილონურის, მაზდაპიანურისა (იხ. მაზდეიზმი) და ქრისტიანული რელიგიების ზეგავლენით; მანიქეიზმის საფუძველს წარმოადგენს ორი დასაბამის — კეთილისა და ბოროტის — მუდმივი არსებობა და მათ შორის დ ა უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ბრძოლა (ამ მხრივ იგი განსხვავდება მაზდეიზმისაგან); ვაჟი და ქალი შექმნილია ბოროტი ღვთაების მიერ; მათში არის კეთილის ნაპერწკლებიც, მაგრამ ხორცი მაინც უფლობს, განსაკუთ-

რებით — სქესობრივი ურთიერთობის მხრივ; კეთილი ღვთაების მიერ გამოგზავნილ წინასწარმეტყველთაგან ყველაზე უდიდესია ქრისტე... სპარსეთს გარდა მანიქეიზმი გავრცელდა ცენტ. აზიაში. მცირე აზიაში, ეგვიპტეში, ისპანიაში და სხვ.; მანიქეველთა (მანიქეიზმის მიმდევართა) სექტა სასტიკად იდევნებოდა, იგი დაგმო მსოფლიო კრებამ.

**მანკირობა**, ლათ.-ევროპ. (ლათ. mancus-ისაგან „სუსტი, ნაკლოვანი, მანკიერი"), თავის მოვალეობის ასრულებაში დაუდევრობა, უმიზეზოდ არ მისვლა სამსახურში, გაკვეთილზე და სხვა.

**მანომეტრ-ი** (ბერძ. mânós „შეუკუმშავი"), აირის (გაზის) დრეკადობის საზომი იარაღი.

**მანჟეტ-ი** (ფრ. manchette), პერანგის ან ცალკე გახამებული სამაჯური.

**მანსარდ-ი** — დაქანებულ-ჭერიანი ოთახი ან ბინა ზედა უკანასკნელ სართულში, — ეწოდა ფრანგი ინჟინერის მ ა ნ ს ა რ დ-ის (17 საუკ.) სახელი.

**მანტია**, ბერძ.-ევროპ., უსახელოებო წამოსასხამი. — **მანტილია** — ისპანელი ქალის თავისა და ზედატანის საბური; საერთოდ — ქალის უსახელობო მოსასხამი. — **მანტო** (ფრ. mannteau) — ქალის გრძელი ტანსაცმელი.

**მანტიკა** (ბერძ. mantikê), მკითხაობა.

**მანუ**, ინდ. („ადამიანი"), ინდური მითოლოგიით: პირველი ადამიანი; **მანუ-ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი** — ინდურ კანონთა კრებული, რომლის შედგენასაც მიაწერენ ზღაპრულ მანუ-ს.

**მანუსკრიპტ-ი** (ლათ. manu scriptum „ხელით დაწერილი"), ხელნაწერი.

**მანუსტუპრაცია**, ახ. ლათ., იგივეა, რაც ონანიზმი (იხ. მასტურბაცია).

**მანუფაქტურა** (ლათ. manus „ხელი", facere „კეთება", ე. ი. „ხელთნაკეთები"): 1) კაპიტალისტური მეურნეობის ისეთი ფორმა, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ხელოსნური წარმოებიდან მანქანურისაზე (დასავლ. ევროპ. 17 — 18 საუკ.): საქონელი მზადდება უმთავრესად ხელით (როგორც ხელოსნურ წარმოებაში), მაგრამ მუშები იმყოფებიან ერთ სათავესში და მათ შორის შრომა განაწილებულია; 2) ქსოვილთა საწარმოო ფაბრიკა; 3) სხვადასხვა ქსოვილთა ერთობლიობა.

**მანჩესტერ-ი** (Manchester), ხავერდის მსგავსი ბამბის ქსოვილი (ამავე სახელწოდების ქალაქისაგან ინგლისში). — **მანჩესტერ-ის ს კ ო ლ ა** — ინგლისში: პოლიტიკურ-ეკონომიური მოძღვრება და პარტია (19 საუკ. პირველ ნახევარში), რომელიც იცავდა სახელმწიფოს ჩაურევლობას ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში და საგარეო ვაჭრობის სრულს თავისუფლებას, — სახელწოდება ქალაქ მანჩესტერისაგან.

**მაჟორ-ი** ლათ.-ფრ. (majeur), მაგარი ტონი, ძირითადი ტონის დიდი ტერციის მქონე; მ ა ჟ ო რ უ ლ ა დ აგებული ნაწარმოები მსმენელს ამხნევებს და ახალისებს.

**მაჟორდომ-ი**, იხ. მაიორი, მაიორდომი.

**მარაზმ-ი**, ბერძ.-ლათ. (marainein-ისაგან „გამოშრობა. დაუძლურება"), ორგანიზმის საერთო დაუძლურება, — ვითარდება ავადმყოფობისაგან ან მოხუცებისაგან.

**მარასკინო**, იტ., ალუბლის დანაყენებისაგან დამზადებული ერთგვარი ლიქიორი.

**მარგანეც-ი** (ლათ.-გერმ. Manganerz-ისაგან „მანგანის ლითონი", ქართულში რუსულიდან): ქიმიური ელემენტი, — მუქ-რუხი ფერის მყარი ძნელ-სადნობი ლითონი.

**მარგარინ-ი**, ბერძ. ხელოვნ., სტეარინ-გამოცლილი ქონი, — მისგან ხელოვნურად მზადდება ერბო.

**მარგინალიები** (ლათ. მრავლ., margo,-inis-ისაგან „კიდე, არშია"), წიგნის არშიაზე შეტანილი შენიშვნები; **მარგინალური** ან **მარგინალი** შენიშვნები.

**მარენა**, რუს., ენდრო.

**მარზან-ი**, იტ.: 1) სასტამბო საქმეში: ხის კოჭი, რომელსაც ჩაუყენებენ იმ ადიგლას, სადაც არშია ან ხარვეზი უნდა გამოვიდეს; 2) ნაბეჭდი წიგნის არშია.

**მარიაჟ-ი** (ფრ. mariage): 1) ცოლქმრობა, ქორწინება; 2) ქაღალდის ერთგვარი თამაში.

**მარინა** (ლათ. mare-საგან „ზღვა"), მხატვრობაში: ზღვის სანახაობის გამომხატველი სურათი ან ასეთი მხატვრობა. — **მარინად-ი** (ფრ. marinade) — ერთგვარ ძმრიან სითხეში ხშულდებული (კონსერვირებული) ხორცი, თევზი ან

მწვანილი; წნილი. — **მარინიზმ-ი** — კაპიტალისტური სახელმწიფოს მისწრაფება დაეუფლოს ზღვებს. — **მარინისტ-ი** — ზღვის სანახაობათა მხატვარი.

**მარიონეტკა** (რუს. დაბოლოებით) ან **მარიონეტ-ი** (ფრ. marionette): 1) წინეთ — ღვთისმშობლის გამომხატველი ტიკინა საშ. საუკ. დრამაში; 2) შემდეგ — ამა თუ იმ როლის შემსრულებელი ტიკინა (სატიკინო თეატრში); 3) გადატ. მნიშვნ.: სხვისი სურვილის თანახმად მოქმედი ადამიანი.

**მარკა** (გერმ. Marc, ფრ. marque): 1) საშ. საუკუნეებში: სახელმწიფოს სანაპირო ოლქი; 2) ფულის ერთეული გერმანიაში, უდრის 46 და ნახევარ კაპ.; 3) საფოსტო ან საღერბო ნიშანი, 4) ფაბრიკის ნიშანი.

**მარკგრაფ-ი** (იხ. მარკა და გრაფი), მარკის (1) მმართველი საშ. საუკ.; შემდეგ — გრაფზე მაღალი ტიტული.

**მარკერ-ი** (ფრ. marqueur „შემნიშვნელი"): 1) დამთვლელი მოსამსახურე ბილიარდზე თამაშის დროს; 2) სასოფლო-სამეურნეო იარაღი (არნადის მსგავსი). — აღნიშნავს ხაზებს ან წერტილებს დარგვისა ან დათესვის წინ. — **მარკირება** — მარკერის, როგორც ასეთის, მოქმედება.

**მარკიზ-ი**, ფრ.: 1) marquis—გრაფისა და ჰერცოგის საშუალო ტიტული; 2) marquise— ა) მარკიზის ცოლი ან ქალი, ბ) მზისაგან დასაცავი ფარდული ფანჯრებზე გარედან; გ) რკინის ან მინის ფარდული სახლის შესავალზე.

**მარკიორ-ი**, იხ. მარკერ-ი.

**მარკიტანტ-ი** (იტ. merkatante „მოვაჭრე"), მოქმედ ლაშქარში მოვაჭრე საჭმელებით და სხვა წვრილმანით.

**მარკონ-ი** (Marconi, დაიბ. 1875 წწ.), უმავთულო ტელეგრაფის გამომგონი შესანიშნავი იტალიელი ინჟინერი.

**მარკს-**, იხ. მარქს-.

**მარკშეიდერ-ი** (გერმ. Marksheide „მიჯნა"). სამადნე მაღაროების მზომელი სპეციალისტი.

**მარლა** ან **მარლი** — სელის ან ბამბის ძალიან თხელი ქსოვილი (დამზადებულია პირველად საფ. მარლი-ში).

**მარმელად-ი** (პორტ. marmelo-საგან „კომში"), შაქარში მოხარშული ხილეულისა ან სილეულის წვენისაგან დამზადებული ტკბილეული.

**მაროდერ-ი** (ფრ. maraudeur), ომის დროს მშვიდობიან მცხოვრებთა ან დაჭრილ-მოკლულთა მძარცველი.

**„მაროჟნი"** (რუს. мороженое), ნაყინი.

**მარსელიოზა** ან **მარსელიეზ-ი** (ფრ. marseillaise), საფრანგეთის სარევოლუციო და შემდეგ ეროვნული ჰიმნი, — შედგენილია საფრ. დიდ რევოლუციის დროს (1792 წ.) რუჟე დე-ლილ-ის მიერ (Rouget de Lisle): პირველად პარიზში შეიტანეს მარსელის მოხალისეებმა.

**მარს-ი**, ლათ.: 1) ძველი რომაული მითოლოგიით: ომის ღვთაება; 2) მზის სისტემის ერთი დიდი ცთომილი (პლანეტი); 3) ჰოლანდ. — ბაქანი ანძაზე.

**მარსუპიალური ძვლები** ან უკეთ **სამარსუპიო ძვლები** (ლათ. marsupium-ისაგან „ქისა, პარკი"), პარკიან ცხოველთა წყვილი ძვალი, რომელსაც ეყრდნობა პარკი.

**მარტირიუმ-ი**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. mártys, mártyros „მოწმე, მოწამე"), წმინდა მოწამეთა დასასვენებელი ადგილი კათოლიკურ ეკლესიაში. — **მარტიროლოგ-ი** ან **მარტიროლოგიუმ-ი** — წმ. მოწამეთა ცხოვრების შემცველი კრებული.

**მარტის რევოლუცია** — ასე ეწოდება 1848 წლის რევოლუციას გერმანიის სახელმწიფოებში, — მან გამოიწვია პოლიტიკური რეფორმები.

**მარქსი**, კ ა რ ლ (Marx, Karl, 1818 — 1883), უდიდესი გერმანელი სოციოლოგი, ეკონომისტი და მუშათა კლასის ბელადი; მეცნიერული სოციალიზმის შემქმნელი, „კომუნისტური მანიფესტის" (იხ.), „კაპიტალის" და მრავალ სხვა შესანიშნავ გამოკვლევათა ავტორი, I ინტერნაციონალის (იხ.) დამაარსებელი; დასაფლავებულია ლონდონში. — **მარქსიზმ-ი** — კარლ მარქსის მოძღვრება, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნისტური ინტერნაციონალის (იხ.) მოღვაწეობას საერთოდ და რუსეთის კომ. პარტიისას — კერძოდ; მარქსიზმის ძირითადი საფუძვლებია: ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ა ნ უ დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ-

მი, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის ფილოსოფიას (მარქსისტული შემეცნების თეორიას) და რომლის ერთი ნაწილია ისტორიული მატერიალიზმი (იხ.); კლასთა ბრძოლის თეორია (იხ. კლასთა ბრძოლა); ეკონომიური მოძღვრება კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებისა და სოციალისტური წესწყობილების დამყარების აუცილებლობის შესახებ. მოკლედ და მარტივად მარქსიზმი მდგომარეობს შემდეგში: 1) მსოფლიოს შემეცნების საკითხში მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი უპირისპირდება იდეალიზმს, რადგანაც ჩვენი ცოდნა ჭეშმარიტია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ეთანხმება სინამდვილეს და რამდენადაც ის გამომდინარეობს გამოცდილებიდან, ე. ი. ჩვენი ცხოვრება განისაზღვრება გარე-სინამდვილით; მსოფლიოს (ბუნების და საზოგადოების) განვითარება მარქსიზმის ფილოსოფიით წარმოდგენილია დიალექტიკურად (ყოველი მოვლენა იმყოფება შინაგან წინააღმდეგობაში და თავისშივე შეიცავს თავისი გარყოფის დასაწყისს), მაგრამ მარქსის დიალექტიკა მატერიალისტური და რევოლუციურია: ყოველი განვითარება მიმდინარეობს ორი პრინციპის მიხედვით — ევოლუციურად და ნახტომებით, რომელთაგან თვითეული გულისხმობს მეორეს; კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას საფუძვლად უდევს საზოგადოების ეკონომიური აგებულობა; ყველა სხვა მოვლენები (მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია და სხვ.) წარმოადგენენ მის ზედნაშენს, ე. ი. წარმოქმნილნი არიან მხოლოდ ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე; 2) ეკონომიური მოძღვრების ქვაკუთხედია მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ: საწარმოო იარაღებისა და მიწაზე კერძო საკუთრების არსებობისას დაქირავებული მუშა ჰყიდის თავის შრომას მიწისა, ქარხნისა და სხვა მესაკუთრეს, მაგრამ ხელფასის სახით მუშა იღებს მხოლოდ ნაწილს მის მიერ შექმნილი ღირებულებისას. დანარჩენს კი ითვისებს მუქთად მესაკუთრე, რომლისთვისაც ეს ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს გამდიდრების წყაროს; საწარმოო საშუალებანი და იარაღები თავს იყრიან მცირერიცხოვან კაპიტალისტთა ხელში, რასაც თან სდევს მსხვილი წარმოების მიერ წვრილის თანდათანი მოსპობა და ექსპლოატირებული (იხ. ექსპლოატაცია) მასსის გამრავლება; 3) ექსპლოატაციის მოსასპობად პროლეტარიატი (იხ.) უნდა დაეუფლოს წარმოების საშუალებებსა და იარაღებს და შექმნას, პროლეტარიატის დიქტატურის (იხ.) გზით, უკლასობრივო და უსახელმწიფოებრივო კომუნისტური საზოგადოება. — **მარქსისტი** — მარქსიზმის მიმდევარი; **მარქსისტული** — მარქსიზმთან შეთანხმებული, მარქსიზმის ხასიათის მქონე და სხვ.

**მარშალ-ი** — 1) გერმანიაში (Marchalle): თავდაპირველად — საჯინიბოთა და ცხენოსან რაზმთა უფროსი, შემდეგ — მხედართმთავარი; 2) საფრანგეთში (maréchal) მთავარსარდალი და უმაღლესი სამხედრო ტიტული 1627—1790 წ.; კვლავ აღდგენილი ნაპოლეონ I-ის მიერ; 3) თავად-აზნაურთა წინამძღოლი რევოლუციამდე რუსეთ. დასავლ. გუბერნიებში და აგრეთვე საქართველოშიც 19 საუკუნეში.

**მარშ-ი** (ფრ. marche): 1) ჯარის ლაშქრული; რიტმიულად თანაზომიერი სვლა; 2) რიტმიულად თანაზომიერი სვლისათვის განკუთვნილი მუსიკალური ნაწარმოები; არის მარში საზეიმო, სამგლოვიარო და სხვ; 3) ბრძანება: **მარშ!** უდრის „გასწი!“. — აქედან: **მარშირობა** — თანაზომიერი ნაბიჯით სვლა.

**მარშრუტ-ი** (ფრ. marche „სვლა“, route „გზა“): 1) გასავლელი გზის განრიგება, გასაჩერებელი ადგილების აღნიშვნა და სხვ.; 2) საერთოდ — სამოგზაურო გეგმა, სვლის გეზი; გზის მაჩვენებელი და სხვ.

**მარციალური** ან **მარციალ-ი**, ლათ. (მარსისაგან, იხ., 1), სამხედრო; მამაცური.

**მასა** ან **მასსა** (ლათ. massa „გუნდა, ნაჭერი“): 1) ნივთიერების რაოდენობა რაიმე სხეულში; 2) უფორმო ნივთიერება; 3) უფორმო ნივთიერება, მასალა, რომლისგანაც კეთდება რაიმე საგანი, მაგ. თუჯის ან მინის გადნობილი მასსა; 4) სიმრავლე, გროვა, ბრბო, მრავალრიცხოვნობა რისიმე ან ვისიმე (მაგ. ადამიანებისა); ხალხი. — აქედან: **მასივ-ი**: — 1) დიდი ხელოვნური ლოდი, — იხმარება წყალქვეშა ნაშენისათვის; 2) ქვის მთლიანი მასსა მთის შედგენილობაში; 3) როგორც თვისება: **მასივ-ი**, **მასივური** ან **მასოვანი** — მძიმე, მკვრივი. — **მასიური** ან უკეთ **მასური**, **მასობრივი** — ჯგუფური,

მრავალრიცხოვნული, ბრბოული და სხვ. ასეთი.

**მასაჟ-ი** (ფრ. massage), დაზელა,—მკურნალობის მიზნით ავადმყოფის სხეულზე ფიზიკური ზედმოქმედება ხელით ან საგანგებო მოწყობილობით; აქედან: **მასირება** — იგივე მოქმედება; **მასაჟისტ-ი** — მზელელი, მასაჟის გამკეთებელი, **მასაჟისტკა** (რუს. დაბოლოებით) — მასაჟისტი ქალი.

**მასივ-ი, მასიური**, იხ. მასა.

**მასკა**, არაბ.-ევროპ. (ფრ. masque), ნიღაბი: აქედან: **მასკარად-ი** — საცეკვაო ან სხვა დროს-გასატარებელი კრებულება, რომლის მონაწილენიც ნიღბებ-აფარებულნი ან სხვადასხვა ტანსაცმელში არიან.

**მასკულინ-ი** ან **მასკულინუმ-ი**, ლათ. მამრობითი. მამრი (იგულისხმება სქესი); აქედან: **მასკულინიზაცია**—მდედრობით სქესში მამრობითის ნიშნების გამოწვევა, დედლის მამლად გადაქცევა, — ხდება სასქესო ჯირკვლების საგანგებო აცრის საშუალებით.

**მასობრივი**, იხ. მასა.

**მასონ-ი, მასონები**, იგივეა, რაც ფრანკ-მასონები (იხ.).

**მასორა**, ებრ., ებრაული ბიბლიის კრიტიკული და ახსნითი შენიშვნების კრებული; **მასორეტები** (მრავლ.) — მასორის ავტორები (ებრაელი მეცნიერები 7 — 8 საუკუნისა).

**მასტერ-ი**, ლათ.-ევროპ., თავის ხელობაში გაწვრთნილი ხელოსანი.

**მასტიკა** ან **მასტიკ-ი**, ბერძ-ევროპ. (ბერძ. mastiché „საღეჭი ფისი"): 1) ზოგიერთი ხისაგან გამომდინარე ფისი; 2) გატეხილი ჭურჭლის საწებავი ხელოვნურად დამზადებული ბლანტი ნივთიერება; 2) იატაკის საწმენდი ერთგვარი ცვილნარევი სითხე.

**მასტურბაცია** (ფრ. masturbation, ლათ. manus „ხელი", stuprare „გახრწნა"), იგივეა, რაც ონანიზმი (იხ.).

**მასშტაბ-ი**, იხ. მაშტაბი.

**მატადორ-ი**, ისპ. („დამკვლელი"), ხართან მებრძოლი (ისპანიაში), რომელიც სასიკვდილოდ დასჭრის ხარს.

**მატელოტ-ი**, (ფრ. matelote), ინგლისელ მატროსთა ცეკვა.

**მატემატიკა**, იხ. მათემატიკა.

**მატერია**, ლათ.; 1) ნივთიერება; 2) ნივთობრიობა, სხეულოვნება; გრძნობებით აღქმადი საფუძველი სამყაროსი; უპირისპირდება სულს ან ფორმას; 3) მატყლის, ბამბის და სხვა ქსოვილი; 4) მედიცინაში: ჩირქი. — **მატერიალ-ი** — მასალა — **მატერიალიზაცია** — რისთვისმე ნივთობრივი სახის მინიჭება, ხორცშესხმა, ხელშესახებად გახდა; განყენებული რისამე საგნობრივად წარმოდგენა. — **მატერიალიზირება** — იგივე მოქმედება.

**მატერიალიზმ-ი** (იხ. მატერია): 1) ფილოსოფიაში: მოძღვრება, რომლის თანახმადაც ყოველი მოვლენის საფუძველს წარმოადგენს მატერია (იხ. 1 და 2) და მისი მოძრაობა; იგი უარჰყოფს სულიერ მოვლენათა თავისთავადობას და სთვლის მათ (სულიერ მოვლენებს) მატერიის მოძრაობებით შეპირობებულ მეორად მოვლენებად (იხ. დიალექტიკური, ეკონომიური და ისტორიული მატერიალიზმი, აგრეთვე — მარქსიზმი); 2) საყოველდღეო ცხოვრებაში: ნივთიერი და კერძო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭება — სულიერ (გონებრივ, ზნეობრივ) და ზოგად ინტერესებთან შედარებით: მოვლენათა დაფასება ტლანქი სარგებლიანობის თვალსაზრისით და სხვ. — **მატერიალისტ-ი** — მატერიალიზმის მიმდევარი: 1) ფილოსოფიაში და 2) ცხოვრებაში. — **მატერიალისტური** — მატერიალიზმის ხასიათის მქონე, მასთან შეთანხმებული.

**მატერიალური** (იხ. მატერია): 1) მატერიის (1. 2) ხასიათის მქონე; ნივთობრივი, ხორც-შესხმული, ხორციელი და სხვ.; 2) გონებრივისა და სულიერის საწინააღმდეგო; 3) ნივთიერი, ქონებრივი, სარგებლიანობითი და სხვ. ასეთი.

**მატერიკ-ი**, რუს. (материк-საგან „დიდი, მკვრივი, ჯანსაღი..."), ხმელეთი.

**მატ-ი**, იხ. შამათი.

**მატინე** (ფრ. matinée „დილა"): 1) ქალის სადილაო ტანსაცმელი; 2) სადილაო კრებულება, — სალიტერატურო ან გასართობი.

**მატიცა**: 1) სერბ. („დედაფუტკარი"), კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოების სახელწოდება სამხრეთისა და ავსტრიის სლავიანებში (სერბიაში, ჩეხეთში და სხვ.); 2) რუს. — ძელი; ჭერის საყრდენი კოჭი.

**მატლო** ან **მატლოტ-ი**, იხ. მატელოტი.

მატრაც-ი (ლათ.-გერმ. (Matratze), მატყლით, რბილი თივით და სხვ. (არა ლინლით) გატენილი ლეიბი.

მატრიარქატ-ი (ლათ. mater „დედა" და archè „დასაბამი, უფროსობა"), ოჯახის ისეთი ძველი ფორმა, როდესაც მასში უფროსობდა დედაკაცი. —უპირისპირდება პატრიარქატს (იხ.); მატრიარქატი არსებობს დღესაც ზოგიერთ უკულტურო ხალხებში.

მატრიკულ-ი (ლათ. matrix-ისაგან „დედა, წყარო..."): 1) რაიმე საზოგადოების წევრთა სია; 2) კათოლ. ეკლესიაში: საეკლესიო დავთარი, სადაც იწერება დაბადებულთა, მონათლულთა და სხვათა სიები; 2) სტუდენტის სალექციო წიგნაკი.

მატრიმონი ან მატრიმონიუმ-ი (ლათ.), ქორწინება, ცოლქმრობა; აქედან: მატრიმონიალური ან მატრიმონული — საქორწინებო, საცოლქმრო; ცოლქმრობითი.

მატრიცა ან მატრიც-ი, ლათ.-ფრ. (matrice, იხ. მატრიკული). ლითონისაგან ჩამოსასხმელი რიამე ყალიბი, მაგ. საბეჭდი ასოებისა.

მატრონა, ლათ.: 1) წარჩინებული რომაელი ქალი; 2) კეთილშობილი მანდილოსანი.

მატროს-ი, ევროპ. (ლათ. mattarius-ისაგან „ჰილობზე მძინარი"), მეზღვაური ჯარისკაცი; სამხედრო ფლოტის ჯარისკაცი.

მატჩ-ი (ინგლ. match), შეჯიბრება ჭადრაკში ან რაიმე სპორტში (იხ.) გათამაშების განსაზღვრული რიცხვით.

მაუზერ-ი—ერთგვარი სწრაფმსროლელი თოფი და რევოლვერი, — ძმების მ ა უ ზ ე რ ების გამოგონილი (19 საუკ. დამლევს).

მაფია (იტ. mafia), სიცილიის საიდუმლო ყაჩაღური საზოგადოება, ნეაპოლის კამორის მსგავსი (იხ. კამორა, 2).

მაქსიმა (ლათ. maximus, a, um „უდიდესი, უმაღლესი. ძრიად დიდი" და სხვ.), ყოფაქცევის მოკლედ გამოხატული წესი, უმთავრესად ზნეობრივი ხასიათისა.

მაქსიმალიზმ-ი (იხ. მაქსიმა): 1) საერთოდ — უკიდურესობა; უკიდურესობის მომხრეობა; 2) პოლიტიკაში: შეხედულებათა და მოთხოვნილებათა უკიდურესობა; 3) კერძოდ რუსეთში: საზოგადოებრივ - პოლიტიკური მიმართულება (სოც.-რევოლუციონერთა ერთი ნაწილისა), რომელიც მოითხოვდა სოციალიზმის დაუყოვნებლივ და სრულ განხორციელებას; მაქსიმალიზმის მიმდევარნი — მაქსიმალისტები — მიმართავდენ ტერორს და ექსპროპრიაციას (იხ. 2).

მაქსიმალური ან მაქსიმალ-ი (იხ. მაქსიმა), უდიდესი.—მაქსიმალ-ი თერმომეტრ-ი—აღნიშნავს უდიდეს ტემპერატურას განსაზღვრული ხნის განმავლობაში. — მაქსიმუმ-ი — უდიდესი რიცხვი, სიდიდე ან ხარისხი.

მაღაზია, არაბ.-ევროპ. (ფრ. magasin), დიდი და კარგად მოწყობილი დუქანი; სავაჭრო სახლი.

მაშინა, ბერძ.-ევროპ. (იხ. მექან-; ქართ. რუსულიდან), მანქანა. — მაშინალური — მანქანისებურად შეუგნებელი, წინასწარ მოუფიქრებელი, უნებური და სხვ. — მაშინისტ-ი — მემანქანე. მანქანის მმართველი, ჩვეულებრივ—ორთქლის მანქანისა, მაგ. მატარებელზე.

მაშტაბ-ი (გერმ. Massstab „საზომი ჯოხი"), საზომი; ზომსადარი. — გეგმაზე ან რუკაზე აღნიშნული ხაზის შეფარდება მის ნამდვილ სიდიდესთან (ე. ი. ის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მცირეა გეგმაზე ან რუკაზე აღნიშნული ხაზის სიგრძე მის ნამდვილ სიგრძეზე).

მაჩტა (რუს. мачта, ჰოლ. mast-საგან), ხომალდის ანძა.

მაცა (ებრ. mazzâh), უფუარი ცომისგან დამზადებული ებრაელთა ლავაშისებრი სააღდგომო პური.

მაცერაცია, (ლათ. macerare-საგან „დალბილება, დალბობა"), მცენარეული ქსოვილის დალბობა — ბოჭკოებად დაშლის მიზნით; აქედან: მაცერირება — იგივე მოქმედება.

მაძინი, ჯ. (Mazzini, 1805 — 1872), გამოჩენილი იტალიელი პატრიოტი და რევოლუციონერი, დამაარსებელი საიდუმლო საზოგადოებისა („ახალგაზრდა იტალია"), რომლის მიზანიც იყო იტალიის სახელმწიფოთა ერთ რესპუბლიკად გაერთიანება.

მახინა, ბერძ.-ლათ. (machina „მანქანა; მოხერხება"), რაიმე დიდი, უზარმაზარი, ზორზოხი (იტყვიან ადამიანსა და ცხოველებზეც). — აქედან: მახინაცია (ლათ. machinatio „მოხერხებითი რამ გამოგონება"), მოხერხება, ხრიკები და სხვა ამგვარი რთული მოქმედებანი —

განსაზღვრული მიზნის მისაღწევად; მახინატორ-ი — მახინაციის მქნელი.

„მახნოვშჩინა", მახნოელობა — ასე ეწოდა უკრაინაში 1918 წ.-დან დაწყებულ შეძლებულ გლეხთა აჯანყებას ნესტორ მახნო-ს მეთაურობით. — მახნოელები არბევდენ ებრაელობას, ჰკლავდენ კომუნისტებს და მძარცველობდენ; წითელმა არმიამ დაამარცხა 1920 წ., ხოლო საბოლოოდ მოისპო 1921 წ. (მახნო გაიქცა რუმინეთში).

მახორკა, იხ. მოხორკა.

მაჰმად-ი (571 — 632), მაჰმადიანური რელიგიის (ისლამის) დამაარსებელი არაბი, დაიბ. მაქა-ში (მეკკა-ში), — მაჰმადიანობა — მაჰმადის რელიგიური მოძღვრება, — გადმოცემულია ყურანში (იხ.): ალიარებს ერთ ღმერთს და საიქიო ცხოვრებას; წესად უდებს ლოცვას, მარხულობას, წინადაცვეთას და ხშირ განბანას; ნებას რთავს მრავალცოლიანობისას, მაჰმადიანი — მაჰმადიანობის მიმდევარი.

მეგალითები (ბერძ. mégas „დიდი", lithos „ქვა"), უზარმაზარი ქვებისაგან აშენებული წინარე-ისტორიული ძეგლები (სასაფლაოები, სამლოცველოები და სხვ.); აქედან: მეგალითური ძეგლები.

მეგალ- ან მეგალო-, ბერძ. („დიდი, ძლიერი...")—ემატება სიტყვას თავში, მაგ.: მეგალო-ზავრ-ი (ბერძ. sauros „ხვლიკი"), ამონათხრებში პოვნილი უზარმაზარი ხვლიკი, სიგრძით 16 მეტრი; მეგალომანია (იხ. მანია) — განდიდების მანია: თავის თავის ავადმყოფური განდიდება; მეგალოფოტოტიპია (იხ. ფოტოტიპია) — პატარა ფოტოგრაფიული სურათის გადიდების ხელოვნება; მეგალოცეფალი (იხ. მაკროცეფალი), დიდთავიანი.

მეგასკოპ-ი (ბერძ. mégas „დიდი", skopein „ხედვა"), პატარა ძვირფას ქვათა გასასინჯი ოპტიკური მოწყობილობა.

მეგაფონ-ი (ბერძ. mégas „დიდი", phōnè „ბგერა"), შორეულ მანძილზე სალაპარაკო მოწყობილობა.

მეგერა, ბერძ. საკ. სახ. (megairein-საგან „ხარბობა"): 1) ბერძ. მითოლ.: ერთ ევმენიდთაგანი (იხ.), შურისძიების ქალ-ღმერთი; 2) გად. მნიშვ.: ბოროტი ქალი.

მედალ-ი, ლათ.-ფრ. (médaille), უმეტესად მრგვალი ლითონის ნიშანი, რომელზედაც ამობურცვით გამოხატულია ვისიმე სურათი ან წარწერა. — ეძლევა ჯილდოდ რაიმე დამსახურებისათვის. — მედალისტ-ი — ვისაც მედალი მიუღია. — მედალიონ-ი (ფრ. médaillon „დიდი მედალი"), ვერცხლისა ან ოქროს მომრგვალებული გასახსნელი კოლოფი, რომელშიც ჩვეულებრივ ვისიმე სურათია, — იკიდება ყელზე.

მედეა ან მედეია, ბერძ. საკ. სახ.: 1) კოლხეთის მეფის ლამაზი გრძნეული ასული.—შური იძია თავის ქმარზე (იაზონ-ზე) ღალატისათვის: დახოცა მასთან ნაყოლი შვილები; 2) გადატ. მნიშვ.: ლამაზი, იჭვიანი და შურის მაძიებელი ქალი.

მედიალური ან მედიალ-ი (ლათ. medius-ისაგან „შუათანა, საშუალო"). შუაზე მდებარე; გრამატიკაში: საშუალო გვარის (ზმნა). — მედიანა ან მედიან-ი—სამკუთხედის წვეროს შემაერთებელი ხაზი მოპირისპირე გვერდის შუაწერტილთან. — მედიანტ-ი — საშუალო ტონი ძირითადსა და მის ქვინტას შუა (მუსიკაში). — მედიატიზაცია — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა.—მედიატორ-ი—შუამავალი, მომრიგებელი; მედიაცია—შუამავლობა.

მედიევალ-ი (ფრ. médiéval „საშუალო საუკუნეებისა"), ერთგვარი მკაფიო სასტამბო შრიფტი.

მედიევიზმ-ი (ფრ. médiévisme), სიყვარული საშ. საუკუნეებისადმი; მედიევისტ-ი — საშუალო საუკუნეების ისტორიის, ლიტერატურის და საერთოდ კულტურის მცოდნე სპეციალისტი.

მედიკ-ი (ლათ. medicus: mederi-საგან „მკურნალობა"), მკურნალი, ექიმი; მედიკური (ანუ სამკურნალო) ფაკულტეტის სტუდენტი; აქედან: მედიკამენტ-ი — წამალი, სამკურნალო მასალა. — (იხ. ქვემოთ მედიცინა).

მედიმნ-ი, ბერძ., ფხვიერადი და მარცვლეული სხეულების საწყაო ძვ. საბერძნეთში, უდრიდა დაახლოებ. 51 ლიტრს.

მედიო, იტ.: 1) თვის შუა რიცხვი; 2) თამასუქის გადახდის საშუალო რიცხვი; 3) საშუალო ხარისხის საქონელი.

მედიოვალ-ი, იხ. მედიევალი.

მედიტაცია (ლათ. meditatio): 1) მოფიქრება, აწონ-დაწონა; 2) მჭვრეტელობა.

**მედიუმ-ი**, ლათ. („შუა ადგილი"): 1) შუამავალი; 2) მოქმედების არე; 3) სპირიტიზმში: შუამავალი ადამიანსა და სულებს შორის, ე. ი. ის პირი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული უნარი სულებთან ურთიერთობის; 4) გრამატიკაში: ზმნის საშუალო გვარი. — **მედიუმიზმ-ი** — სულებთან კავშირის უნარიანობის აღიარება ზოგიერთ ადამიანში; აგრეთვე — მედიუმობა.

**მედიჩი, მედიჩები**, მდიდარ ვაჭართა ცნობილი საგვარეულო ფლორენციაში 13 საუკუნიდან, — ბევრი მათგანი ცნობილია როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი და სხვ.; აქედან: **მედიჩთა ვენერა** — იხ. ვენერა.

**მედიცინა**, ლათ. (იხ. მედიკი), მეცნიერება ადამიანის ჯანსაღი და დაავადებული სხეულის შესახებ — ჯანსაღობის შენარჩუნებისა და ავადმყოფობის განკურნების მიზნით, — შეიცავს რამდენსამე დარგს.

**მედრესე**, არაბ., მაჰმადიანთა უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი.

**მედუზა** (ბერძ. médoysa), იხ. გორგო.

**მეზალიანს-ი** (ფრ. mésalliance), ურთიერთ შეუფერებელ პირთა დაქორწინება.

**მეზო-** (ბერძ. mésos „შუაგულში მყოფი, საშუალო..."), ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს: საშუალო, შუაზე და სხვ.. მაგ.: **მეზოდერმა** (ბერძ. dérma „ტყავი"), ჩანასახის უჯრედის შუა-ფენი: **მეზოკეფალ-ი** — საშუალო თავიანი (იხ. მაკროკეფალი); **მეზოლითური** (ბერძ. lithos „ქვა"), ქვის საშუალო ხანების ხასიათის მქონე; **მეზოძოური ხანა** (ბერძ. zôon „ცხოველი"), გეოლოგიაში: დედამიწის განვითარების ის ხანა, როცა პირველად ჩნდება ფრინველი, ძუძუმწოვარი და უზარმაზარი ქვემძრომი..

**მეზონინ-ი** (იტ. mezzanino), პატარა დანაშენი სახლზე, არამთლიანი სართული.

**მეზუზა**, ებრ., პატარა ფიცარზე დაწერილი ლოცვა, მორწმუნე ებრაელთა მიერ კარების თავზე მიკრული.

**მეთილ-ი**, ბერძ. ხელოვნ. (meta და hylê „ტყე, ხე"), ქიმიაში: ნახშირბადის ერთი ატომისა და წყალბადის სამისაგან შედგენილი რადიკალი, — შედის ხის სპირტში, ძმრის მჟავაში და სხვ. — **მეთილენ-ი** — ნახშირბადოვანი წყალბადი.

**მეთოდ-ი** (ბერძ. méthodos „კვლევის გზა, ხერხი"): 1) მოქმედების ესა თუ ის წესი ანუ გეგმა (მაგ. კვლევაში, სწავლებაში) განსაზღვრული მიზნის მისაღწევად; სამეცნიერო კვლევის მთავარი მეთოდებია: ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია (იხ. ესენი); სწავლებისა: აკროამატიკული, ევრისტიკული, კომპლექსური, ლაბორატორიული (იხ.). — **მეთოდიკა** —: 1) რაიმე მოვლენის საკვლევი ან რაიმე საგნის სწავლების მეთოდების ერთობლიობა; 2) პედაგოგიკის ნაწილი: ამა თუ იმ საგნის სწავლების წესები. — **მეთოდისტ-ი** —: 1) განსაზღვრული მეთოდების გამტარებელი კვლევასა ან სწავლებაში; 2) **მეთოდისტები** (მრავლ.) — 18 საუკ. წარმოშობილი ანგლიკანური სექტა, — აგებულია სახარების თანახმად დამუშავებულ წესებზე. — **მეთოდოლოგია** —: 1) ლოგიკაში: მოძღვრება სამეცნიერო კვლევის მეთოდების შესახებ; 2) მოძღვრება ამა თუ იმ მეცნიერების მეთოდების შესახებ (მაგ. მეთოდოლოგია ისტორიისა, ენათმეცნიერებისა და სხვ.).

**მეილ-ი** (ინგლ. mile), იგივეა, რაც მილი (იხ. მილი).

**მეისტერზინგერები** (მრავლ., გერმ. Meistersinger ან -sänger), მოქალაქეთა (ხელოსანთა) წრიდან გამოსული გერმანელი პოეტები 14—17 საუკ., — ჰქმნიდენ ცეხურ საზოგადოებებს; პოეზია დაუმორჩილეს მკაცრ წესებს და დააქვეითეს.

**მელაზმა** (ბერძ. mélas-ისაგან „შავი"), ავადმყოფური შავი ლაქები ადამიანის კანზე.

**მელამედ-ი** (ებრ. melammed), მასწავლებელი.

**მელანემია** (ბერძ mélas, mélanos „შავი" haima „სისხლი"), სისხლში შავი პიგმენტის ყოფნა მალარიის დროს. — **მელანიზმ-ი** — ცხოველის ტყავის ან თმის გაშავება შავი პიგმენტის ჭარბად განვითარების გავლენით. — **მელანიტ-ი** შავი გრანიტი. — **მელანომა** — ავთვისებიანი სიმსივნე. — **მელანურია** (ბერძ. oyron „შარდი"), შარდის ავადმყოფური სიშავე.

**მელანქოლია** (ბერძ. mélas „შავი", chólos „ნაღველი"), სულიერი აშლილობის ერთი სახე: უკიდურესად მჭმუნვარე და უიმედო სულიერ-

რი გაწწყობილება, გულგრილობა გარემოსადმი; აქედან: მელანქოლიკ-ი — მელანქოლიით შეპყრობილი; მელანქოლიური (სევდიანი) ტემპერამენტის ადამიანი.

**მელიზმა** ან **მელისმა**, ბერძ. („სიმღერა“), შემმკობი ნოტები (მუსიკაში).

**მელიორაცია**, ლათ.-ფრ. (ლათ. melior-ისაგან „უკეთესი“), გაუმჯობესება; მიწის თვისების გაუმჯობესება — სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კეთილმოწყობის მიზნებით, მაგ. ჭაობების ამოშრობა, გაპატივება და სხვ.; აქედან: **მელიორაციული** — მელიორაციის ხასიათის მქონე; **სამელიორაციო** — მისთვის განკუთვნილი, მაგ. **სამელიორაციო კრედიტი**.

**მელისა** (ბერძ. mélissa „ფუტკარი“), ბარამბო, — მცენარე, რომლისაგანაც მოიპოება მელისის ზეთი, — იხმარება მედიცინაში.

**მელოგრაფ-ი** (ბერძ. mélos „სიმღერა“, gráphō „ვწერ“), ნოტების დამწერი ან გადამწერი; **მელოგრაფია** — ნოტების წერა.

**მელოდეკლამაცია** (იხ. წინა სიტყვა და დეკლამაცია). ლექსის წაკითხვა მუსიკის თანაყოლებით.

**მელოდია** (ბერძ. mélos „სიმღერა“, ōdé „სიმღერა“), მუსიკაში: ტონების ისეთი თანამიმდევრობა მუსიკალურ ნაწარმოებში, რომელიც ახდენს მსმენელზე სასიამოვნო კეთილხმოვნობისა და მთლიანობის შთაბეჭდილებას, აქედან: **მელოდიკა** — მოძღვრება მელოდიის შესახებ; **მელოდიკონ-ი** — ერთგვარი კლავიშებიანი სამუსიკო ინსტრუმენტი; **მელოდიონ-ი** — ყუთის მსგავსი სამუსიკო ინსტრუმენტი, — გამოსცემს ხმას მასში მოთავსებული ტრიალა ღერძის ხახუნის საშუალებით ლითონის კბილებზე. — **მელოდიური** — მელოდიის ხასიათის მქონე, სასიამოვნო და სხვ.

**მელოდრამა** (იხ. წინა სიტყვა და დრამა): 1) წინეთ — მუსიკის თანაყოლებით შესასრულებელი სასცენო ნაწარმოები; 2) შემდეგ და ახლა — გადაჭარბებული მგრძნობიარობის გამომწვევი, ჩვეულებრივ — სატირალი, სასცენო ნაწარმოები, — აგებულია არაბუნებრივი შინაარსის შემთხვევებზე; აქედან — **მელოდრამული** — მელოდრამის ხასიათის მქონე.

**მელომანია** (ბერძ. mélos „სიმღერა, იხ. მანია), მუსიკის გადაჭარბებული სიყვარული; **მელომან-ი** — მელომანიით შეპყრობილი.

**მელპომენე** (ბერძ. Melpoménē. mélpein „ცეკვა-სიმღერით შექება“), ძვ. ბერძნული მითოლოგიით: ერთერთი ცხრა მუზათაგანი (იხ. მუზა), ტრაგედიისა და სასცენო ხელოვნების ქალ-ღმერთი.

**მემბრანა**, ლათ., თხელი ტყავი, აპკი.

**მემორანდუმ-ი**, ლათ. („დასამახსოვრებელი“): 1) დამახსოვრებელ ცნობათა ჩასაწერი ჯიბის წიგნაკი; 2) დიპლომატიური აქტი, რომელიც შეიცავს მთავრობის აზრს ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის შესახებ; 3) მოხსენებითი ბარათი.

**მემორია**, ლათ. („მეხსიერება“), რაიმე საქმის არსებითი მხარის შემცველი მოკლე ამონაწერი. — **მემორიალ-ი** —: 1) დღიური; 2) კომერციაში: ყოველდღიური სავაჭრო ოპერაციების წიგნი.

**მემუარები** (მრავლ.), ლათ.-ფრ. (mémoires): 1) სხვადასხვა ამბების თანადამსწრეთა (მომსწრეთა) მიერ წერილობითი გადმოცემა, ჩვეულებრივ — ღირსშესანიშნავი ამბებისა; 2) სამეცნიერო საზოგადოების ან დაწესებულების მიერ გამოცემული სამეცნიერო შრომათა კრებული.

**მენდელეევ-ი**, დ. ი. (1834—1907), შესანიშნავი რუსი ქიმიკოსი, „ელემენტთა პერიოდული სისტემის“ (1869 წ.) ავტორი.

**მენდელ-ი**, გრეგორ (1822 — 1884), ავსტრიელი ბერი ბოტანიკოსი, რომლის 1865-69 წ. წ. წარმოებულმა ცდებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს მხოლოდ 1900 წლიდან; აქედან: **მენდელიზმ-ი** — ასე ეწოდა მენდელის ცდების მეოხებით წარმოქმნილ მემკვიდრეობის თეორიას: ყოველი მცენარე ან ცხოველი წარმოადგენს მემკვიდრეობითი ნიშნების რთულ გადახლართვას; ორი მცენარის ან ორი ცხოველის შეჯვარედინებისას თვითეულ ამ ნიშანთაგანს შეუძლია დაჯგუფდეს (შეკომბინირდეს) სხვებისაგან დამოუკიდებლივ; შეჯვარედინების ახალ ფორმებში გვევლინება განსაზღვრული რიცხობრივი ურთიერთობა; ამიტომ შესაძლებელია წინასწარი გათვალისწინება შეჯვარედინებით მიღებული ფორმებისა და მათი რიცხვისაც კი.

**მენესტრელ-ი**, ლათ.-ფრ. („მსახური“), სა- საუკუნეებში: ვინმე დიდ-კაცის სამსახურში

მყოფი პოეტი-მუსიკოსი ან ტრუბადურების (იხ.) ნაწარმოებთა შემსრულებელი; შემდეგ — საერთოდ პოეტი.

**მენზულა**, ლათ. („პატარა მაგიდა"), ადგილის გრაფიკულად გადასაღები (სატოპოგრაფიო) ხელსაწყო.

**მენზურა**, ლათ.: 1) მუსიკაში — ზომა (ტაქტის გრძლობის ან ტონის სიმაღლის); 2) დუელის დროს ორ მებრძოლთა შორის მანძილის ზომა; ეწოდება თვით დუელსაც; 3) მ ე ნ ზ უ რ კ ა (რუს. დაბოლოებით) — საწყვისი, — დანაყოფებიანი მინის ჭურჭელი, იხმარება აფთიაქებში და ქიმიურ ლაბორატორიებში.

**მენთოლ-ი**, ბერძ.-ლათ. (mentha-საგან „პიტნა"), პიტნის ქაფური, — იხმარება როგორც ტკივილის დამაყუჩებელი საშუალება.

**მენინგიტ-ი** (ბერძ. mênigx-საგან „ტვინის გარსი"). ტვინის გარსის ანთება.

**მენისკ-ი** (ბერძ. mêniskos „პატარა მთვარე"): 1) ერთგვარი გამადიდებელი მინა, რომელსაც ერთი მხარე შეზნექილი აქვს, მეორე — ამოზნექილი; 2) სითხის გადახრილი ზედაპირი კაპილარულ ჭურჭელში; 3) გეომეტრიაში: ნახევარ-მთვარისებრი ნაკვეთი წრისა.

**მენიუ** (ფრ. menu), სასადილო ბარათი; საჭმელების სია სადილისათვის.

**მენორაგია** (ბერძ. mên „თვე", rhêgnynai „მსხვრევა..."), მტკივნეული და გადაჭარბებული დინება ქალის თვიურის დროს.

**მენსტრუაცია** (ლათ. menstruus „ყოველთვიური რამ"), ქალის თვიური.

**მენტოლ-ი**, იხ. მენთოლი.

**მენტორ-ი**, ბერძ., ოდისევსის მეგობრისა და ტელემაქის (ოდისევსის ვაჟის) მასწავლებლის სახელი; 2) გადატ. მნიშვნ.: ხელმძღვანელი, აღმზრდელი.

**მენუეტ-ი** (ფრ. menuet): 1) ძველებური ფრანგული ცეკვა; 2) მენუეტის შესაფერი მუსიკა.

**მენშევიზმ-ი** —: 1) ვიწრო მნიშვნელობით: მემარჯვენეული მიმართულება რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიაში 1903 წლიდან; 2) საერთოდ: ოპორტუნისტული (იხ.) მიმართულებანი მუშათა მოძრაობაში როგორც რუსეთში, ისე დასავლ. ევროპაში, — უპირისპირდება საერთოდ ბოლშევიზმს. — მენშევიკები (მრავლ.) — რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია, რომელიც წარმოიქმნა პარტიის მესამე ყრილობაზე (1903 წ.) საორგანიზაციო საკითხებში განხეთქილების გამო, — უმცირესობაში მოხვედრილმა ნაწილმა მიიღო ასეთი სახელი, უმრავლესობაში მოხვედრილებმა — ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი; შემდეგ მათ შორის უთანხმოება გაღრმავდა და წარმოიქმნა ორი პარტია: ბ ო ლ შ ე ვ ი კ თ ა — რევოლუციური და მ ე ნ შ ე ვ ი კ თ ა — ოპორტუნისტული (იხ.).

**მერგელ-ი**, გერმ., თითქმის ნახევრად მაგნეზია-ნარევი თიხა, — იხმარება ნიადაგის გასაპატიებლად, ცემენტისათვის და სხვ.; ქართულად ს ი ლ ა-თ ი ხ ა.

**მერ-ი** (ფრ. maire), საქალაქო ან სათემო თვითმართველობათა სათავეში მყოფი არჩევითი თანამდებობის პირი საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში. — მერია — საქალაქო ან სათემო სამართველო საფრანგეთსა და ინგლისში.

**მერიდიან-ი** (ლათ. meridianus „შუადღისა, საშუადღეო"), ეკვატორისადმი პერპენდიკულარი წარმოსახვითი წრე-ხაზი, რომელიც გაივლის ორთავე პოლუსში (იხ.), — საფუძვლად უდევს გეოგრაფიული სიგრძედის განსაზღვრას.

**მერინო, მერინოს-ი** (მრავლ.), ისპ.: 1) წმინდა-ბეწვიანი ისპანური ცხვრის ჯიში; 2) მაღალი ხარისხის მატყლის ქსოვილი.

**მერკანტილიზმ-ი** (ლათ. mercari-საგან „ვაჭრობა", ფრ. mercantile „სავაჭრო, ვაჭრული"): 1) მიდრეკილება ვაჭრული საქმიანობისადმი, გამორჩენის ძიებისადმი; 2) **მერკანტილიზმ-ი** ანუ მერკანტილური სისტემა — 16 — 18 საუკუნეების ეკონომიური მოძღვრება დასავლ. ევროპაში (ვაჭრული ბურჟუაზიის გამდიდრების ხანაში): ამა თუ იმ ქვეყნის სიმდიდრეს წარმოადგენს ფული (ოქრო და ვერცხლი), რომლის დაგროვება ქვეყანაში უნდა ხდებოდეს გაზიდვითი ვაჭრობის გაძლიერებით, საერთოდ — ვაჭრობის წესიერად დაყენებით. — აქედან: მერკანტილური — მერკანტილიზმის (იხ. 1) ხასიათის მქონე; მერკანტილისტური — მერკანტილიზმის (იხ. 2) ხასიათის მქონე.

**მერკური ან მერკურიუს-ი**, ლათ. საკ. სახ.: 1) ძველი რომის მითოლოგიით — ვაჭრობისა და ქურდობის ღმერთი, — ღმერთების შიკრიკი

(უდრის ბერძენთა ჰერმესს); 2) მზესთან ყველაზე მეტად ახლო-მდებარე ცთომილი; 3) ვერცხლის-წყალი.—აქედან: **მერკურიალიზმ-ი**—ვერცხლის წყლის შემცველი წამლების ხშირად მიღების გამო თანდათანი მოწამლვა.

**მეროვინგები** (მრავლ.) — ფრანკთა უძველესი სამეფო დინასტია (V—VIII საუკ.); სახელწოდება — მათი წინაპარის მ ე რ ო ვ ე უ ს-ისაგან.

**მესა** (იტ. messa „განტევება"). კათოლიკეთა წირვა; მესის დროს შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოები.

**მესალინა** (Messalina): 1) ძვ. რომის იმპერატორის კ ლ ა ვ დ ი უ ს-ის ცოლი; 2) გადატ. მნიშვნ.: გარყვნილი ქალი მაღალი წრიდან.

**მესია**, ებრ. („მირონცხებული, მეფე", ბერძ. messias), ქვეყნის მხსნელი, რომელსაც ელოდებიან ებრაელები; ქრისტე (ქრისტიანთათვის). — აქედან: **მესიანიზმ-ი** —: 1) მოძღვრება მესიის შესახებ; 2) ამა თუ იმ ერის რწმენა, რომ იგი მოვლენილია კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული დანიშნულებით, დიდი როლის შესასრულებლად.

**მესიდორ-ი** (ლათ. messis-საგან „მკის დრო, მკათათვე"), საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრის მეათე თვე (20 ივნ. — 20 ივლ.).

**მესმერიზმ-ი**—გერმანელი ექიმის, მ ე ს მ ე რ-ის (1733 — 1815), მოძღვრება ცხოველური მაგნეტიზმის (იხ.) არსებობის შესახებ.

**მეტა-** ან **მეტ-**, ბერძ., დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს: შუა, შემდეგ, თან და სხვ., აგრეთვე — ცვლილებას ან გადასვლას.

**მეტაბოლ-ი** (ბერძ. bolé „ტყორცნა"). ბგერის ამოვარდნა (ფონეტიკაში და ლექსთაწყობაში). **მეტაბოლიზმ-ი** — ნივთიერების ცვლა ორგანიზმში.

**მეტაგენეზის-ი** (იხ. გენეზისი), გამრავლების ისეთი ფორმა, როცა ერთი თაობა მრავლდება სქესობრივი განაყოფიერების გზით, ხოლო მომდევნო — უსქესობრივოთი (იხ. მეტა-).

**მეტათეზ-ი** ან **მეტათეზის-ი** (იხ. თეზისი), ფონეტიკაში — ბგერათგადასმა.

**მეტალ-ი**, ბერძ.-ლათ. (metallum), ლითონი; აქედან: **მეტალიზაცია**, **მეტალიზირება** — გალითონება; **მეტალოგრაფია** — ლითონთ-აღწერა. **მეტალოიდ-ი** — „ლითონისებრი" (არალითონი, მაგ. წყალბადი, მჟავბადი და სხვ.); **მეტალოფონ-ი** — სამუსიკო ინსტრუმენტი, — წარმოადგენს ლითონის ფირფიტებს, რომელიც გამოსცემს ხმას ჩაქუჩის დარტყმით; **მეტალურგია** — მეცნიერება ლითონთა მოპოვებისა და დამუშავების შესახებ.

**მეტამერია** (ბერძ. méros „ნაწილი"), იზომერიის ერთგვარი მოვლენა (იხ. მეტა- და იზო-).

**მეტამორფიზმ-ი** (ბერძ. morphé „სახე, ფორმა"), გეოლოგიაში: მინერალთა ცვლილება ქიმიური, ფიზიკური და მექანიკური პროცესების ზეგავლენით. — **მეტამორფოზა** — გარდაქცევა, სახეცვალება.

**მეტასტაზ-ი** (ბერძ. stasis „დგომა"), ავადმყოფობის გადანაცვლება სხეულის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას; აქედან: **მეტასტატიკური** ან **მეტასტაზური** — გარდამავალი; გადანაცვლებადი; **მეტასტაზური თერმომეტრი** — აღნიშნავს ტემპერატურას გრადუსის ერთი მეათასედის ($^1/_{1000}$) სიზუსტით.

**მეტაფიზიკა**, ბერძ. („რაც ფიზიკის შემდეგაა"): 1) ფილოსოფიაში: მოძღვრება არსის პირველ დასაბამთა შესახებ. — იკვლევს ცდის გარეშე მდებარე საგანთა და მოვლენათა საფუძვლებს (სახელწოდება შემთხვევითია — არისტოტელის თხზულებათა დალაგებისას ეს ნაწილი მოთავსდა ფიზიკის შემდეგ, იხ. მეტა-); 2) გადატ. მნიშვნ.: ბუნდოვანი და ძნელად გასაგები მსჯელობა განყენებული რისამე შესახებ.—**მეტაფიზიკოს-ი** — მეტაფიზიკის მცოდნე და მკვლევარი: მეტაფიზიკურად მოაზროვნე. — **მეტაფიზიკური** — მეტაფიზიკის ხასიათის მქონე.

**მეტაფორა** (იხ. მეტა-, ბერძ. phérein „წაღება"): 1) სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება — ცნებათა მსგავსების მიხედვით, მაგ. მ წ ვ ა ვ ე საკითხი; 2) თვით ასეთი სიტყვა.

**მეტაფრაზა** ან **მეტაფრაზ-ი** (იხ. მეტა-, ბერძ. phrázein „ახსნა, თქმა..."): 1) სიტყვასიტყვითი თარგმანი; 2) ლექსის პროზად გადმოცემა. — **მეტაფრასტ-ი** —: 1) სიტყვა-სიტყვითი მთარგმნელი; გადმომცემი; 2) ამა თუ იმ ავტორის კომენტატორი (იხ.).

**მეტაფსიქოზ-ი** (იხ. მეტა-. ბერძ. psyché „სუნთქვა, სული"), მოძღვრება ან რწმენა სულის

გადასახლების შესახებ ერთი ორგანიზმიდან მეორეში.

**მეტეკები** ან **მეტოიკები** (მრავლ., იხ. მეტ-, oikein „ცხოვრება, მოსახლეობა“), უცხოური მოსახლეობა ატიკაში (ძველ საბერძნეთში), — იხდიდენ განსაკუთრებულ გადასახადს.

**მეტემფსიქოზ-ი** (იხ. მეტ-, ბერძ. empsychos „სულიერი“) — იგივეა რაც მეტაფსიქოზი (იხ.).

**მეტეორ-ი** (ბერძ. meteōros „ჰაერში მყოფი“): 1) ატმოსფერის ყოველგვარი მოვლენა, მაგ. წვიმა, ცისარტყელა, ქარიშხალი და სხვ.; 2) პლანეტთაშორისი სივრციდან მიწაზე ჩამოვარდნილი გავარვარებული ქვა. — **მეტეორიზმ-ი** — მუცლის გაბერვა — ნაწლავებში გაზების (აირების) დაგროვების გამო. — **მეტეორიტები** ანუ **მეტეოროლითები** (მრავლ.) — პლანეტთაშორისი სივრციდან მიწაზე ჩამოვარდნილი ქვოვანი არ რკინოვანი მასები (იხ. მასა). — **მეტეოროგრაფია** — ატმოსფერულ მოვლენათა აღწერა. — **მეტეოროლოგია** — მეცნიერება ატმოსფერულ მოვლენათა (ტემპერატურისა, ბარომეტრული წნევისა, ჰაერის სინესტისა და სხვ. ცვლილებათა) შესახებ. — **მეტეოროსკოპ-ი** — ამინდის ცვლილებათა განსაზღვრული ხელსაწყო.

**მეტერლინკ-ი**, მ. (Maeterlinck, M., დაიბ. 1862 წ.), ცნობილი ბელგიელი სიმბოლისტი-დრამატურგი.

**მეტერნიხ-ი**, კ. (Metternich, K., 1773—1859), ავსტრიელი პოლიტიკური მოღვაწე, კანცლერი; პოლიტ. რეაქციის მეთაური ევროპაში საფრანგ. რევოლუციის შემდეგ ხანაში; ვენის კონგრესისა და „საღვთო კავშირის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი.

**მეტილ-**, იხ. მეთილ-.

**მეტის-ი** (ფრ. métis,-se): 1) თეთრ და შავკანიანთა (და საერთოდ ორი სხვადასხვა რასის ადამიანთა) შეჯვარედინებისაგან შობილი; 2) ცხოველის სხვადასხვა ჯიშის შეჯვარედინებისაგან დაბადებული; აქედან: **მეტისაცია** — მეტისების წარმოქმნა.

**მეტოდ-**, იხ. მეთოდ-,

**მეტონიმია** (იხ. მეტა-, ბერძ. onoma „სახელი“), ერთგვარი რიტორიკული ფიგურა: ერთი სიტყვის მეორეთი შენაცვლება. — დამყარებულია ცნებათა სიახლოვეზე. — **მეტონომასია** — : 1) საერთოდ — ადგილობრივი სიტყვის უცხოურით შეცვლა; 2) კერძოდ — სახელის ან გვარის გადათარგმნა უცხო ენაზე შინაარსის მიხედვით (მაგ. მგელაძე — Волков); ასეთი წესი გავრცელებული იყო ევროპაში 15—16 საუკ.

**მეტრანპაჟ-ი** (ფრ. métreur en pages „გვერდებად მზომი“), სტამბაში: აწყობილის გვერდებად შემკვრელი უფროსი ასოთამწყობი.

**მეტრდოტელ-ი** (ფრ. maître d'hôtel „სასტუმროს გამგე“): 1) სასახლის სამზარეულოს მეთვალყურე; 2) უფროსი ლაქია რესტორანსა ან სასტუმროში.

**მეტრეს-ი** (ფრ. maîtresse), საყვარელი (ხასა) ქალი.

**მეტრ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ბერძ. métron, ფრ. metre), სიგრძის საზომის ძირითადი ერთეული, უდრის პარიზის მერიდიანის ერთს მეორმოცმილიონედს (დაახლოებ. 22½ ვერშოკს). — აქედან: **მეტრული** — მეტრის ხასიათის მქონე; გადატ. მნიშვნ.: ათეულობითი; საზომ-საწონთა **მეტრული სისტემა** — ასე ეწოდება საზომ-საწონთა სისტემას, რომელიც შემოღებულ იქნა საფრანგეთში 1799 წ. და რომელსაც დაერქვა ასეთი სახელი (მეტრული) სიგრძის ერთეულისაგან (მეტრისაგან); ტევადობის ერთეულია ლიტრი (იხ.). საწონის — გრამი (იხ.), იხ. დეკა-, დეცი-. — **მეტროლოგია** — მოძღვრება სხვადასხვა ხალხთა საწონ-საზომთა და აგრეთვე ფულის ნიშნების შესახებ.

**მეტრიკა** (ბერძ. metrikē „მზომელობითი“, იგულისხმე „ხელოვნება“): 1) მოძღვრება ლექსთა წყობის შესახებ; 2) მ ე ტ რ ი კ ა (ლათ.-პოლონ.-რუს.) —: ა) დაბადებულთა, დაქორწინებულთა და გარდაცვალებულთა წიგნი; ბ) ამ წიგნიდან ამონაწერი ცნობები მოწმობის სახით; აქედან: **მეტრიკული** — მეტრიკის ხასიათის მქონე, მის შესახები რამ, მეტრიკიდან ამონაწერი და სხვ.

**მეტრიტ-ი** ან **მეტრიტის-ი** (გერმ. mētēr-ისაგან „დედა“), საშვილოსნოს ანთება (მედიცინაში).

**მეტრონომ-ი**, ბერძ. ხელოვნ. (იხ. მეტრი), ტემპის სიჩქარის ზუსტად დამდგენი მექანიკური ხელსაწყო, — იხმარება მუსიკაში და სხვ.

**მეტროპოლია** ან უკეთ **მეტროპოლის-ი** (ბერძ. mētēr „დედა“, polis „ქალაქი“): 1) სახელმწიფო ან ქალაქი თავისი კოლონიების მი-

ძართ; 2) ძველ რომში: პროვინციის მთავარი ქალაქი. — **მეტროპოლიტენ-ი** (ან მოკლედ **მეტრო**) — დიდ-ქალაქში მიწისქვეშა ან საჰაერო რკინის გზა.

**მეტროსკოპ-ი** (ბერ. mêtôr „დედა", skopein „ხედვა"), საშვილოსნოს საკვლევი სარკე; **მეტროსკოპია** — საშვილოსნოს კვლევა. — **მეტროტომია** (ბერძ. tomós „მკვეთრი") — საშვილოსნოს განკვეთა (ქირურგიაში).

**მეფისტოფელ-ი** ან მოკლედ **მეფისტო** (Mephistopheles), საკ. სახ., ხალხურ თქმულებებში და გ ო ე თ ე-ს „ფაუსტ"-ში ერთი მოქმედი პირი, — თანახლავს ფაუსტს: წარმოადგენს ბოროტ სულს, მძულვარესა და უარმყოფელს.

**მექანიზაცია** (იხ. მექანიკა): 1) ხელით შრომის შეცვლა მანქანურისად; 2) რაიმე მუშაობაში იმ ზომამდე გაჩვევა, რომ იგი სრულდება არა ცნობიერად, მაგრამ მართებულად; **მექანიზირება** — იგივე მოქმედება; გამანქანურება.

**მექანიზმ-ი** (იხ. მექანიკა): 1) მოძრაობის გადმცემი ან გარდამქნელი მოწყობილობა; 2) მანქანის მოწყობილობა, მისი ნაწილების ერთობლიობა.

**მექანიკა** (ბერძ. mêchanê-საგან „მანქანა"): 1) მეცნიერება სხეულთა მოძრაობისა და წონასწორობის შესახებ; 2) მანქანათა აგების თეორია. — **მექანიკ-ი** ან **მექანიკოს-ი** —: 1) მექანიკის სპეციალისტი; 2) მანქანათა აწყობისა და შეკეთების ხელოსანი. — **მექანიკური** —: 1) მექანიკის (მექანიკა, 1) ხასიათის მქონე; 2) მექანიზმით მოქმედი; 3) ადამიანის არანებისმიერი მონაწილეობით შესასრულებელი.

**„მეშჩან-ი"** (რუს. мещанин, место-საგან): 1) ქალაქის დაბალი წოდების წევრი, დაბალი ხარისხის მოქალაქე (რევოლუციამდე რუსეთში); **მეშჩანკა** — მეშჩანი ქალი; 2) გადატ. მნიშვნ.: წვრილმანი ადამიანი; დაბალი ხარისხის, შემოფარგლული გონებისა, ზნეობისა და სხვ. ასეთის მქონე ადამიანი (იხ. ფილისტერი); —აქედან: **მეშჩანიზმ-ი** ანუ **მეშჩანობა**—წვრილმანობა, შემოფარგლულობა მსოფლმხედველობისა და სხვა; **მეშჩანური** — მეშჩანის დამახასიათებელი, მაგ. **მეშჩანური მორალი** ანუ **ზნეობა**— მეშჩანთა (იხ. 2) წრეში მიღებული წესები ზნეობისა (ჩვეულებრივ იტყვიან ჩამორჩენილობისა, სიეწროვისა და სხვა ასეთი მნიშვნელობით).

**მეჩეთ-ი** ან **მეჩით-ი**, არაბ., მაჰმადიანთა ტაძარი.

**მეჩნიკოვ-ი**, ი. ი. (1845 — 1916), შესანიშნავი რუსი ბიოლოგი, ფაგოციტოზის (იხ.) თეორიისა და მრავალ სამეცნიერო და პოპულარულ შრომათა ავტორი; 1886 წლიდან მუშაობდა პარიზში. ფართო მასაში ცნობილია მის მიერ დასმული საკითხი ნაადრევი სიბერის შესახებ.

**მეცენატ-ი** (ლათ. საკ. სახ. Maecenas,-atis): 1) იმპერატორ ავგუსტის დროის (I საუკ. ქ. წ.) მოღვაწის გვარი, ცნობილია როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი; აქედან: 2) საერთოდ ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი.

**მეცო-სოპრანო** (იტ. mezza „ნახევარი", იხ. სოპრანო), ქალის ნასიმღერო ხმა — დაბალი დისკანტი (საშუალოა კონტრალტოსა და სოპრანოს შორის).

**მეხან-**, იხ. მექან-.

**მეჯლის-ი**, არაბ., სპარსეთისა და ოსმალეთის პარლამენტი.

**მი**, იტ., მუსიკაში: დიატონიკური გამის (იხ.) მესამე ნოტი.

**მიაზმა** (ბერძ. miasma „წაბილწვა, შემწიკვლვა"), ხრწნა-ლპობის გამო წარმოქმნილი შხამიანი ანაორთქლი. — წარმოადგენს ნიადაგს ჰავნე ბაქტერიებისათვის: აქედან: **მიაზმატიკური** ან **მიაზმური** — ავადმყოფობის შემყრელი, ინფექციური (იხ.).

**მიგრაცია** (ლათ. migratio), გადასახლება, მაგ. ცხოველთა რომლისამე ჯიშის ბინადრობის გამოცვლა, ფრინველთა გადაფრენა სხვა ქვეყანაში.

**მიგრენ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ბერძ. hemikrania „ნახევარ-თავი", ფრ. migraine), შაკიკი, — ნერვული ავადმყოფობა — ნახევარ-თავის ტკივილი

**მიდინეტკა** ან უკეთ **მიდინეტ-ი** (ფრ. midi-საგან „შუა დღე"). პარიზში: ასე ეწოდება საერთოდ მუშა-ქალს (მკერვალს, ნოქარს, მოდისტს და სხვ.), რომლის ნახვაც შესაძლებელია ქუჩებზე შუადღისას — მუშაობის სასადილოდ შეწყვეტის დროს.

**მიზანდრია** (ბერძ. misein „სიძულვილი“, anér, andrós „მამაკაცი“), ქალის ავადმყოფური სიძულვილი მამაკაცისადმი. — **მიზანთროპ-ი** (ბერძ. ánthrópos „ადამიანი“) — ადამიანთა მოძულე ადამიანი; **მიზანთროპია** — ადამიანთმოძულეობა.

**მიზგით-ი**, არაბ., იგივეა, რაც მეჩეთი (იხ).

**მიზერერე** (ლათ. „miserere mei, Deus—შემიწყალე, ღმერთო“), ერთერთი ფსალმუნის დასაწყისი; აგრეთვე—ამ სიტყვების შემცველი მუსიკალური ნაწარმოები.

. **მიზერული** ან უკეთ **მიზერ-ი**, ლათ., უბადრუკი, საცოდავი, უმნიშვნელო; ცოტა.

**მიზოგამია** (იხ. მიზანდრია, gámos „ქორწინება“), სიძულვილი ქორწინებისადმი.—**მიზოგინია** (ბერძ. gyné „ქალი“) — მძულვარება ქალისადმი.

**მით-ი** (ბერძ. mythos „მეტყველება, საუბარი, მოთხრობა, შინაარსი“): 1) ხალხური თქმულება, — შეიცავს ამა თუ იმ ხალხის უძველეს შეხედულებებს ქვეყნისა და ადამიანის წარმოშობის შესახებ, ღვთაებისა და ბუნების მოვლენათა შესახებ და სხვ.; 2) გადატ. მნიშვ.: ზღაპრული რამ მოთხრობა; აქედან: **მითიური**—: 1) მითის ხასიათის მქონე; 2) ზღაპრული. — **მითოლოგია** —: 1) ამა თუ იმ ხალხის მითები, ამ მითების ერთობლიობა; 2) მეცნიერება მითების შესახებ; **მითოლოგ-ი** — მითების მკვლევარი.

**მითრა**, საკ. სახ.. ძველ ირანელთა სინათლის ღვთაება (მაზდაჰიანობაში, იხ. მაზდეიზმი).

**მითრიდატ-ი** — შხამის ან მოწამლვის საწინააღმდეგო ერთგვარი საშუალება (სახელწოდება — პონტოს მეფის მითრიდატისაგან, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მიეჩვია ყოველგვარ საწამლავს — მოწამლვისაგან თავის დასაღწევად).

**მიკადო**, იაპ. („მბრძანებელი“), იაპონიის იმპერატორის ტიტული.

**მიკელ-ანჯელო**, იხ. მიქელ-ანჯელო.

**მიკოლოგია** (ბერძ. mycos ან mycés-ისაგან „სოკო“). მოძღვრება სოკოების შესახებ.

**მიკრო-** (ბერძ. mikrós „პატარა, სუსტი...“), დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს: მცირე, პატარა და სხვ..

**მიკრობ-ი** (იხ. მიკრო-, ბერძ. bios „სიცოცხლე“), იგივეა, რაც ბაქტერია (იხ.). — **მიკრობიოლოგია** — მიკროორგანიზმების შემსწავლელი ბიოლოგია.

**მიკროკეფალია** (იხ. მიკრო-, ბერძ. kephalé „თავი“), პატარა-თავიანობა, თავის-ქალისა და თავის ტვინის არასაკმარისი განვითარებულობა.

**მიკროკოკები**(მრავლ., იხ. მიკრო- და კოკები), ბაქტერიების ერთი სახეობა, — ბურთულეპისა და ოვალური ფორმისა.

**მიკროკოსმი** ან **მიკროკოსმოს-ი** (იხ. მიკრო- და კოსმოს-ი), ასე უწოდებდა ზოგიერთი ფილოსოფოსი ადამიანს, რომელშიაც, მათი აზრით, წარმოდგენილია მთელი მსოფლიო პატარა სახით (იხ. მიკროკოსმი).

**მიკროლითები** (მრავლ., იხ. მიკრო-, ბერძ. ლითოს „ქვა“), ძალიან მცირე კრისტალები ვულკანურ ქანებში.

**მიკრომეტრ-ი** (იხ. მიკრო- და მეტრი), უმცირეს სიდიდეთა საზომი ხელსაწყო; **მიკრომეტრია** — უმცირეს სიდიდეთა ზომვა.

**მიკრონ-ი**, ბერძ., მილიმეტრის ერთი მეათასედი ნაწილი.

**მიკროორგანიზმ-ი** (იხ. მიკრო- და ორგანიზმი), უიარაღო თვალით უჩინარი ცოცხალი სხეული.

**მიკროპსია** ან **მიკროოპსია** (იხ. მიკრო-, ბერძ. ópsis „მხედველობა“), მხედველობის ნაკლოვანობა,— საგნების მოჩვენება ნამდვილზე უფრო პატარად.

**მიკროსკოპ-ი** (იხ. მიკრო-, ბერძ. skopein „ხედვა...“), უიარაღო თვალით უჩინარ საგანთა გადიდებულად გამომსახველი ოპტიკური ხელსაწყო.—აგებულია შუქთა-ტეხის საფუძველზე. — **მიკროსკოპია** — მოძღვრება მიკროსკოპის ხმარების შესახებ. — აქედან: **მიკროსკოპიული** ან **მიკროსკოპული** —: 1) უიარაღო თვალით უჩინარი, ძალიან პატარა; 2) მიკროსკოპის საშუალებით წარმოებული. — **სამიკროსკოპო** ან **სამიკროსკოპიო**—მიკროსკოპისა ან მიკროსკოპიისათვის განკუთვნილი, მისთვის საჭირო, მაგ. **მიკროსკოპიული** ან უკეთ **სამიკროსკოპო** ანატომია — ორგანიზმთა მიკროსკოპის საშუალებით შემსწავლელი ანატომია (იხ.); **სამიკროსკოპიო** მასალა — მიკროსკოპიისათვის საჭირო მასალა.

**მიკროსპორები** (მრავლ., იხ. მიკრო- და სპორა), ბოტანიკაში: ზოგიერთი მცენარის მხო-

ლოდ მამრობითი სასქესო ორგანოების გამავითარებელი სპორები.

**მიკროფონ-ი** (იხ. მიკრო-, phônê „ბგერა"), სუსტი ხმის გამაძლიერებელი, —მისი გადამცემი მანძილზე.

**მიკროფოტოგრაფია** (იხ. მიკრო- და ფოტოგრაფია), უიარაღო თვალით უჩინარ საგანთა გადიდებული გამოსახულების მიღება ფოტოგრაფიის საშუალებით.

**მიკროფსია**, იხ. მიკროპსია.

**მიკროცეფალია**, იხ. მიკროკეფალია.

**მიკროქიმია** (იხ. მიკრო- და ქიმია), ქიმიური კვლევა მიკროსკოპის საშუალებით.

**მიკს-**, იხ. მიქს-.

**მილდიუ** (ინგლ. mildew „ობი, ჟანგი"), ვაზის ერთგვარი ავადმყოფობა: ვაზის ფოთლები ნაოჭიანდება და იფარება თეთრი ობით და შავი წინწკლებით.

**მილედი** (ინგლ. my lady „ჩემო ქალბატონო!"), ინგლისის მაღალი წრის ქალის, ლორდის ცოლის წოდება (მიმართვაში).

**მილი-** (შემოკლებულია ლათ.-ფრ. millième „მეათასედი"), საწონ-საზომთა მეტრულ სისტემაში: ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს რომლისამე ერთეულის მეათასედ ნაწილს, მაგ. **მილიარ-ი** (იხ. არი) — არ-ის მეათასედი; **მილიგრამ-ი** — გრამის მეათასედი; **მილილიტრ-ი** — ლიტრის მეათასედი; **მილიმეტრ-ი** — მეტრის მეათასედი.

**მილ-ი** ან **მილია** (ბერძ. milion), საგზაო სიგრძის საზომი, — სხვადასხვა სიდიდის სხვადასხვა სახელმწიფოში (ავსტრიაში — 7 ვერსზე ცოტა მეტი, რუსეთში — 7 ვერსი, ინგლისში — 1½ ვერსი, საფრანგეთში — იგივეა, რაც ლ ი ე; საზღვაო მილია უდრის 1½ ვერსზე ცოტა მეტს).

**მილიარდ-ი** (ფრ. milliard), ათასი მილიონი; **მილიარდერ-ი** — მილიარდის პატრონი ადამიანი.

**მილიონ-ი** (ლათ.-ფრ. million), ათასჯერ ათასი; **მილიონერ-ი**—მილიონის პატრონი ადამიანი.

**მილიტარიზმ-ი** (ლათ. militaris-ისაგან „სამხედრო"): 1) საერთოდ — სახელმწიფოში სამხედრო მოთხოვნილებათათვის უპირატესობის მინიჭება ყველაფერ სხვასთან შედარებით; 2) თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში იმპერიალიზმით გამოწვეული პოლიტიკა: სამხედრო შეიარაღებული ძალების გადიდება ახალი ბაზრებისა და კოლონიების მოსაპოებლად და მოპოებულის დასაცავად; აქედან: **მილიტარისტ-ი** — მილიტარიზმის მომხრე; **მილიტარისტული** — მილიტარიზმის ხასიათის მქონე, მისგან გამომდინარე, მისი შესაფერი; **მილიტარული** — სამხედრო.

**მილიცია** (ლათ. militia „ლაშქრობა, მხედრობა..."): 1) საყოველთაო გაწვევის წესით შედგენილი ლაშქარი, რომელიც სამხედრო სამსახურისათვის იწვრთნება ადგილობრივ მოკლე ვადაში; 2) საბჭოთა კავშირში: შინაგანი წესიერების დამცველი და ხელისუფლების განკარგულებათა შემსრულებელი ადმინისტრაციული ორგანო; აქედან: **მილიციონერ-ი** — მილიციის (1) მონაწილე ან მილიციაში (2) მოსამსახურე.

**მილორდ-ი** (ინგლ. my lord „ჩემო ბატონო!"), ლორდის წოდება (მიმართვაში).

**მილტონ-ი**, ჯ. (1608 — 1674), შესანიშნავი ინგლისელი პოეტი, რევოლუციის მონაწილე, „დაკარგული სამოთხისა" და „დაბრუნებულ სამოთხის" ავტორი.

**მიმეოგრაფ-ი** (ბერძ. mimeomai „ვბაძავ", graphô „ვწერ"), ხელნაწერის ან საწერ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის გასამრავლებელი ხელსაწყო.

**მიმეტიზმ-ი** (ბერძ. mimêtês „მიმბაძველი"), ზოოლოგიაში: ზოგიერთ ცხოველთა უნარი იცვალონ გარეგნულობა (ფერი, ფორმა) გარემოს მიხედვით, — შედეგია ბუნებასთან შეგუებისა; ზოგჯერ — ნებისმიერიც.

**მიმ-ი** (ბერძ. mimos): 1) ერთგვარი ხალხური ფარსი (იხ.) ძველ საბერძნეთსა და რომში, უმეტესად უწმაწური შინაარსისა; 2) მიმის შემსრულებელი მსახიობი ან საერთოდ — მიმიკით (იხ. მიმიკა) მოთამაშე მსახიობი. — **მიმიკა** — სახის-მეტყველება, პირისახის კუნთების მოძრაობა და ასეთი მოძრაობით სულიერ მოძრაობათა გამოხატვის ხელოვნება. — **მიმიკ-ი** ან **მიმიკოს-ი** — სახის-მეტყველი, მიმიკით (იხ. მიმიკა) მოთამაშე (იხ. მიმი, 2); აქედან: **მიმიკური** — სახის-მეტყველებითი, მიბაძვითი; მიმიკის ხასიათის მქონე.

**მიმოგრაფ-ი**, იხ. მიმეოგრაფი.

**მიმოზა** (ისპ. mimoso „ნაზი, ალერსიანი"): 1) ბოტანიკაში: ერთგვარი ტროპიკული მცენარე (ბალახი, ბუჩქოვანი ან ხე), რომლის ერთი სახეობა („მორცხვი მიმოზა") კუმშავს ფოთოლს ადამიანის შეხებისაგან; 2) გადატ. მნიშვ.: მეტის მეტად მგრძნობიარე, მორცხვი ადამიანი.

**¹მინა**—: 1) ფრ. mine—სახის გამომეტყველება; 2) ბერძ. mnâ—ძვ. ბერძნული მონეტა (ტალანტის 1/60); ძვ. ბერძნული წონის საზომი (100 დრახმა), დღევანდელ საბერძნეთში — 1½ კილოგრამი.

**²მინა** ან უკეთ **მინ-ი** (იხ.).

**მინარეტ-ი** ან **მინარეთ-ი**, არაბ., მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუეძინი (იხ.) მოუწოდებს მორწმუნეებს სალოცავად.

**მინდალ-ი**, ბერძ.-რუს., ნუში.

**მინეზინგერები** (მრავლ., გერმ. Minnesinger ან -sänger; Minne „სიყვარული"), გერმანიაში: 12-13 საუკუნის ლირიკოსი პოეტები, მომღერალი რაინდები, — უმღერდნენ უმთავრესად ქალის სილამაზეს და სიყვარულს; უდრის საფრანგეთის ტრუბადურებს (იხ.).

**მინერალ-ი** (ფრ. minéral), მიწის ქერქში შემავალი არაორგანიული მყარი ან თხევადი სხეული. — **მინერალიზაცია** — რაიმე საგნის გამინერალება ან მისთვის მინერალის თვისების მინიჭება; **მინერალიზირება** — იგივე მოქმედება. — **მინერალოგია** — მეცნიერება მინერალთა წარმოქმნისა, თვისებათა და სახეცვალებათა შესახებ; **მინერალოგ-ი** — მინერალოგიის სპეციალისტი, მკვლევარი.—**მინერალური**—მინერალის ხასიათის მქონე, მინერალის (ხსნარის სახით) შემცველი, მაგ. **მინერალური წყლები** — ხსნარის სახით მინერალის შემცველი წყლები, — იხმარება სამკურნალო მიზნით; **მინერალური სათბობი მასალა** — ქვანახშირი, მაზუთი, ნავთი.

**მინერვა**, ლათ. საკ. სახ., ძვ. რომაელთა სიბრძნის ქალ-ღმერთი.

**მინერ-ი**, იხ. მინ-ი.

**მინ-ი**, ევროპ. (ფრ. mine): 1) ასაფეთქებელი მოწყობილობა მიწის ან წყლის ქვეშ; 2) ნაღმი. — აქედან: **მინირება** — მიწის ან წყლის ქვეშ ასაფეთქებელი მოწყობილობის გაკეთება, ნაღმების ჩადება. — **მინერ-ი** (ფრ. mineur): 1) მენაღმე, ამფეთქებელი რაზმის ჯარისკაცი; 2) მაღნის მთხრელი.

**მინიატურა**, იტ. (ლათ. minium-ისაგან „სინგური", „სინგურის ნახატი"): 1) ძველი ხელნაწერი წიგნების ფერადებით მოხატული შემკულობა; 2) ფაქიზად შესრულებული პატარა ტანის მხატვრობა; 3) ცხოვრებიდან ამოღებული პატარა მოთხრობა; 4) გადატ. მნიშვ.: დაპატარავებული რამ. — **მინიატურისტ-ი** — მინიატურების მხატვარი ან მწერალი. — **მინიატურული** —: 1) მინიატურის (1, 2) ხასიათის მქონე; 2) ძალიან პატარა რამ.

**მინიმალური** ან **მინიმალ-ი** (ლათ. minimus-ისაგან „უმცირესი"), უმცირესი, სულ-მცირე; **მინიმალური თერმომეტრი** — აღნიშნავს უმცირეს ტემპერატურას, განსაზღვრული ხნის განმავლობაში. — **მინიმუმ-ი** — უმცირესი სიდიდე, ოდენობა ან ღირებულობა და სხვ.; **საარსებო მინიმუმ-ი** — ადამიანის აუცილებელ მოთხოვნილებათათვის საჭირო სახსარი.

**მინირება**, იხ. მინ-ი.

**მინისტერ-ი**, იხ. მინისტრი.

**მინისტერიალიზმ-ი** (იხ. მინისტრ-ი); ამა თუ იმ სოციალისტური პარტიის ლოიალობა თავის ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობისადმი და მთავრობაში შესვლის (მინისტრად ყოფნის) სურვილი.

**მინისტერიალები** (მრავლ., იხ. მინისტრი), საშუალო საუკუნეებში: 1) სამსახურ-ვალდებულები მეფისა და სხვა დიდკაცთა სასახლეში ან ლაშქარში; შემდეგ 2) არისტოკრატიის დაბალი ფენები, საიდანაც ინიშნებოდნენ მოურავებად და სხვა თანამდებობაზე.

**მინისტრ-ი** (ლათ. minister „დამხმარე; მსახური"). ბურჟუაზიულ ქვეყნებში: სახელმწიფო მმართველობის ერთი უწყების სათავეში მდგომი პირი (საბჭოთა კავშირში უდრის კომისარს); **პრეზიდენტ-მინისტრ-ი, პრემიერ-მინისტრი** — მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის თავმჯდომარე, პირველი მინისტრი; აქედან: **სამინისტრო** —: 1) რაიმე უწყების (განათლების, სამხედრო და სხვ.) მმართველი ცენტრალური დაწესებულება სახელმწიფოში; 2) მინისტრთა ერთობლიობა.

**მინორატ-ი** (ლათ. minor-ისაგან „უმცროსი. უმცირესი..."): 1) სამემკვიდრეო წესი, — ქონე-

ბა გადადის უმცროსზე ოჯახში ან გვარეულობაში; 2) თვით ამგვარად გადასული მემკვიდრეობა (ქონება).

**მინორიტები** (მრავლ., იხ. წინა სიტყვა), ფრანცისკანელ ბერთა სახელწოდება.

**მინორული** ან **მინორ-ი** (იხ. მინორატი), მუსიკაში: 1) რბილი, სევდიანი; 2) მ ი ნ ო რ უ ლ ი ტ ო ნ ი — ძირითადი ტონის მცირე ტერციის მქონე.

**მინოს-ი**, საკ. სახ., მითოლოგიით: 1) კრეტა კუნძულის სამართლიანი მეფე, — სიკვდილის შემდეგ — ქვესკნელის სამყაროს მსაჯული; 2) იმავე კუნძულის მეფე, რომელმაც დააწესა — ათინელთაგან ყოველ 9 წელიწადში 7 ქალწულისა და 7 ჭაბუკის წამოყვანა ხარკის სახით: მათ უშვებდენ ლაბირინთში, სადაც სჭამდა მათ **მინოტავრ-ი**—ნახევრად ხარი და ნახევრად ადამიანი ურჩხული.

**მინსტრელ-ი** — იგივეა, რაც მენესტრელი.

**მინუს-ი** ლათ. („უმცროსი, ნაკლები"): 1) გამოკლების ან უარყოფით სიდიდეთა აღმნიშვნელი ნიშანი („—") მათემატიკაში; ტემპერატურის ნულს ქვევით დაწევის აღმნიშვნელი ნიშანი თერმომეტრში; 2) გადატ მნიშვნ.: ნაკლი, ხარვეზი, ზარალი. — **მინუსკულ-ი**, ლათ. („ძალიან პატარა"), საწერი ან საბეჭდი პატარა ასო, ასომთავრული, ნუსხური.

**მინუტ-ი**, ლათ. („ძალიან მცირე" minuere-საგან „დამსხვრევა, შემცირება"): 1) საათის 1/60 ნაწილი, წუთი; 2) გრადუსის 1/60 ნაწილი (იხ გრადუსი, 2).

**მიო-** (ბერძ. mys, myós „თაგვი; კუნთი"), დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს „კუნთისა, კუნთებისა" და სხვ., მაგ. **მიოგრაფ-ი** (ბერძ. graphein „წერა"), კუნთების მოძრაობის გრაფიკულად გამომსახველი ხელსაწყო; **მიოდინამომეტრ-ი** — იხ. დინამომეტრი; **მიოზიტ-ი** — კუნთების ქსოვილის ანთება; **მიოკარდიტ-ი** — (ბერძ. კარდია „გული"), გულის კუნთის ანთება; **მიოლოგია** — ანატომიის ნაწილი, — მოძღვრება კუნთების შესახებ; **მიომა**—საშვილოსნოს კუნთოვანი ქსოვილის ანთება; **მიოტომია** — კუნთების განკვეთა.

**მიოპია** (ბერძ. myein „ხუჭვა", ópsis „მხედველობა"), სიბეცე.

**მიოცენ-ი** (ბერძ. meion „ნაკლები", kainós „ახალი"), გეოლოგიაში: დედამიწის წარმოქმნის ერთერთი ეპოქა—მესამეული სისტემის მეორე საფეხური.

**მირაბო** Mirabeau, 1749 — 1791), საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, შესანიშნავი ორატორი; დამფუძ. კრებაში ერის უფლებათა დამცველი, ხოლო საიდუმლოდ სასახლის წრეებთან შემარიგებელი ხაზის წამყვანი.

**მირაკლ-ი** (ლათ. miraculum-ისაგან „სასწაული"), საშ. საუკ. მისტერიის (იხ.) ერთი სახეობა, რომლის შინაარსს წარმოადგენდა რაიმე სასწაული ან წმინდანთა ცხოვრება.

**მირაჟ-ი** (ფრ. mirage): 1) მხედველობის ერთგვარი მცთარობა, რომელიც დამყარებულია ჰაერის არათანაბრად გახურებულ ფენებში შუქთ-ტეხაზე (საგნები გვეჩვენება გადიდებულად ან წაქცეულად და სხვ.); 2) მოჩვენებითი რამ.

**მირზა**, არაბ.: 1) სიტყვის თავში ნიშნავს ბატონს; 2) სიტყვის ბოლოში — ბატონიშვილს; 3) ცალკე — მწერალს, მდივანს (თურქესტანში).

**მირია-** (ბერძ. myriás „ძალიან ბევრი", myrioi „ათიათასი"), დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს 10.000, მაგ. **მირიაგრამ-ი** — 10.000 გრამი; **მირიამეტრ-ი** — 10.000 მეტრი და სხვ.

**მირიადა** ან **მირიად-ი** (ბერძ. myriás.-ádos „10.000"), უამრავი.

**მირიორამა** (იხ. მირია-, ბერძ. oráō „ვხედავ"), ერთგვარი მოწყობილობა, რომელშიც რამდენისამე ცალ-ცალკე ნახატისაგან გამოისახების მრავალი სხვადასხვა სურათი.

**მირმიდონები** (მრავლ., ბერძ. საკ. სახ. Myrmidónes; mýrmēx „ჭიანჭველა"): 1) ძვ. ბერძ. მითოლოგიით: თესალიის ერთი ტომთაგანი, — წარმოქმნილნი არიან ძევსის მიერ ჭიანჭველებისაგან; 2) **მირმიდონ-ი**—პატარა ტანის, მაგრამ გულზვიადი ადამიანი.

**მირტ-ი** (ბერძ. myrtos), თეთრ-სურნელოვანყვავილებიანი მუდამ მწვანე ბუჩქნარი ან ხე, — ცოლქმრული სიყვარულის სიმბოლო ძველ საბერძნეთში.

**მის** (ინგლ. miss), ქალწული, გაუთხოვარი ქალი (ინგლისში), უდრის მადმუაზელს (იხ. მადამ, 2).

მისია (ლათ. missio—mittere-საგან „გზავნა“): 1) ქრისტიან მქადაგებელთა წარგზავნა არაქრისტიანულ ქვეყანაში; თვით მქადაგებელთა მოსახლეობა ასეთ ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით; 2) ერთი სახელმწიფოდან მეორეში წარგზავნილ პირთა კრებული საგანგებო რამ მიზნით; 3) დავალება; დანიშნულება, სიცოცხლის მიზანი. — აქედან: მისიონერ-ი (ლათ.-ფრ. missionnaire) — ქრისტიანობის მქადაგებელი არაქრისტიანთა შორის.

მისის (შემოკლებული ინგლ. mistress „დიასახლისი, ქალბატონი“), ინგლისში: ქალბატონო! გათხოვილი ქალისადმი (ჩვეულებრივ დაერთვის თავში გვარს), — უდრის მადამს (იხ., 2).

მისს, მისსის, იხ. მის, მისის.

მისტერ, ინგლ., მიმართვა უტიტულო მამაკაცისადმი ინგლისში, ბატონო!

მისტერია — :1) ბერძ. mystêria — საიდუმლოებითი (მხოლოდ რჩეულ-მცოდნეთათვის) ღვთის მსახურება ძველ საბერძნეთში; 2) ლათ. ministerium-ისაგან („სამსახური, მსახურება“)— საშ. საუკუნეების დრამა დასავლეთ ევროპაში,— თავდაპირველად შინაარსს იღებდა სღვთო-წერილიდან.

მისტიკა (ბერძ. mystikós „საიდუმლოებითი“): 1) მოძღვრება საიდუმლოებით მოცულის, იდუმალის, ზებუნებრივის შესახებ; 2) მიდრეკილება ყოველგვარი საიდუმლოებითისადმი. — მისტიკ-ი ან მისტიკოს-ი — მისტიციზმის (იხ.) მიმდევარი ან მისტიკურად განწყობილი. — მისტიკური — საიდუმლოებითი, ბნელი. — მისტიფიკაცია (ლათ. facere „კეთება“), ვისიმე მოტყუილება, განზრახ ხუმრობით შეცთომაში შეყვანა; მისტიფიცირება — იგივე მოქმედება. — მისტიციზმ-ი — რელიგიურ - ფილოსოფიური მიმართულება ან რწმენა, რომლის თანახმადაც შესაძლებელია ღვთაების უშუალოდ წვდომა— არა გონების ან გრძნობების საშუალებით, არამედ თავისებური განცდით, რომელიც უჩნდება ზოგიერთ ადამიანს ექსტაზის (იხ.) მდგომარეობაში.

მისტრალ-ი, ლათ.-ფრ., ჩრდ.-აღმოსავლური ცივი და მავნებელი ქარი საფრანგეთში.

მისტრის, ინგლ.: 1) იგივეა, რაც მისის (იხ,); 2) იგივეა, რაც მეტრესი (იხ.).

მიტინგ-ი (ინგლ. meeting, meet „შეხვედრა, შეერთება“), საჯარო კრება, ყრილობა, უმთავრესად — პოლიტიკური ხასიათისა.

მიტკალ-ი, სპ.-რუს., დაუჩითავი ბამბის ქსოვილი (პრიკალზე უფრო წმინდა).

მიტრა: 1) ბერძ. — უმაღლეს სასულიერო პირთა თავსახურავი მღვდელმსახურების დროს; 2) ირან., იხ. მითრა.

მიტრალიოზა ან უკეთ მიტრალეზ-ი (ფრ. mitrailleuse „ფინდიხით მსროლელი“), გაუწყვეტლად მსროლელი რამდენიმე-ლულიანი ზარბაზანი.

მიტრიდატ-, იხ. მითრიდატ-.

მიტროპოლია (ბერძ. mêtêr „დედა“, polis „ქალაქი“), სამიტროპოლიტო, ე. ი. მიტროპოლიტ-ის — მნიშვნელოვანი ეპარქიის მმართველის — სამმართველო ოლქი (ეპარქია).

მიულჰაუზენ-ის კომუნა — 15 საუკ. მიულჰაუზენში (სამხრეთ გერმანიაში, Mülhausen) თ ო მ ა მ ი უ ნ ც ე რ-ის (Thomas Münzer) ხელმძღვანელობით აჯანყებულთა მიერ (ე. წ. „გლეხთა ომი“) დაარსებული კომუნა, — წარმოადგენდა ქრისტიანული კომუნიზმის განხორციელების ცდას.

მიურიდ-ი — მიურიდიზმის მიმდევარი; მორჩილი.

მიურიდიზმ-ი, არაბ.-თურქ., 19 საუკ. დასაწყისში დაღესტანში გაძლიერებული მუსულმანური სექტა (სუფისტური ხასიათის), რომელიც, სხვათა შორის, მოითხოვდა გაუწყვეტელ ბრძოლას ურწმუნოების წინააღმდეგ; შამილ იმამის (იხ.) მეთაურობით სექტა ებრძოდა რუსებს; დაიშალა შამილის შემდეგ.

მითფ-, იხ. მით-.

მიქელ-ანჯელო (Michel-angelo, 1475 — 1564), ოდესმე არსებულთაგან უდიდესი მხატვარი, მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი, იტალიელი (ფლორენციიდან),—სწერდა აგრეთვე ლექსებს. ახასიათებს შემოქმედების არაჩვეულებრივი ფართო გაქანება და (მეორე პერიოდში) ნატურალიზმი (იხ.).

მიქსა (ბერძ. myxa „ლორწო“); აქედან: მიქსობაქტერიები (მრავლ., იხ. ბაქტერია) — ლორწოს წარმომქმნელი ბაქტერიები; მიქსომიცეტები (მრავლ., იხ. მიკოლოგია) — ლორწოია-

ნი სოკოები, ცხოველთა და მცენარეთა საშუალო სხეულები; **მიქსორეა** (ბერძ. rein „დენა")—ლორწოს გამოყოფა.

**მიქსტ-ი**, ლათ.-ევროპ. (ლათ. mixtus „შერეული"), შერეული, მაგ. **მიქსტ-ვაგონი**, **მიქსტ-მატარებელი** — რბილი და მაგარი ადგილების შემცველი ერთი ვაგონი, სხვადასხვა დანიშნულების ვაგონების შემცველი მატარებელი.

**მიქსტურა** (იხ. მიქსტ-), რამდენისამე ნივთიერების შერევით დამზადებული თხევადი წამალი.

**მიშიაკ-ი** (რუს. мышьяк), დარიშხანა.

**მიჩმან-ი** (ინგლ. midshipman „შუა ხომალდის კაცი"), პირველი (დაბალი) საოფიცრო საფეხური დასავლ. ევროპის (და რევოლუციამდე რუსეთის) ფლოტში.

**მიცეტოლოგია**, იგივეა, რაც მიკოლოგია (იხილე).

**მიხაილოვსკი**, ნ. კ. (1842——1904), შესანიშნავი რუსი მოაზროვნე, სოციოლოგი, კრიტიკოსი და ჟურნალისტი; ნაროდნიკობისა და ნაროდოვოლცების (იხ.) თეორეტიკოსი და იდეოლოგი, მარქსიზმის მოწინააღმდეგე, სოც.-რევოლუციონერთა პარტიის საფუძვლის ერთერთი ჩამყრელთაგანი.

**მნემონიკა** (ბერძ. mnēmē-საგან „მეხსიერება"), მეხსიერების გაძლიერების ხელოვნება; აქედან: **მნემონიური** ან უკეთ **მნემონიკური** — დამახსოვრებითი. —**მნემოტექნიკა**—იგივეა, რაც მნემონიკა.

**მობილიზაცია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. mobilis-ისაგან „მოძრავი"): 1) სახელმწიფოს სამხედრო ძალების საომარ მდგომარეობაში გადაყვანა (სათადარიგოთა გაწვევა, ახალი ნაწილების შექმნა, შეიარაღება და სხვ.); 2) საერთოდ: მცხოვრებთა ამა თუ იმ ნაწილის გაწვევა რაიმე საქმის შესასრულებლად. — **მობილიზირება** — იგივე მოქმედება.

**მოგელ-ი**, იხ. მოპელ.

**მოგერ-ი**, იხ. მოჰერი.

**მოგიკან-**, იხ. მოჰიკან-.

**მოდა**, ლათ.-ფრ. (mode, იხ. მოდუსი), საზოგადოებრივი გემოვნების მუდმივ ცვალებადი მიმართულება. — შეეხება საერთოდ ცხოვრების გარეგან მხარეს და მჟღავნდება უმთავრესად ჩაცმულობა-მორთულობასა და მხატვრულ მრეწველობაში; მოდის გავრცელების საფუძველია წამბაძველობა. — აქედან: **მოდისტკა** (რუს. დაბოლოებით) ან უკეთ **მოდისტ-ი ქალი** — ქალების ტანსაცმელისა და ქუდების კერვაში დახელოვნებული ქალი. — **მოდური** — მოდის შესაფერი, მაგ. **მოდური** ან **მოდის ქუდი**.

**მოდალობა** ან **მოდალიტეტ-ი**, ლათ.-ევროპ. (გერმ. Modalität, იხ. მოდუსი), რისამე შესრულების, აზროვნების ან შეგრძნების გვარობა, მაგ. **მსჯელობის მოდალობა** — დარწმუნებულობის გვარობა მსჯელობაში, ე. ი. რაგვარად იაზროვნება კავშირი სუბიექტსა და ობიექტს შორის — როგორც აუცილებელი (იხ. აპოდიქტური მსჯელობა), როგორც შესაძლებელი (იხ. პრობლემატური მსჯელობა), თუ როგორც ნამდვილი (იხ. ასერტორული მსჯელობა); **შეგრძნების მოდალობა** — შეგრძნების განსხვავებულობა გრძნობის ორგანოთა მიხედვით.

**მოდელ-ი**, ლათ.-ევროპ. (იხ. მოდუსი): 1) ნიმუში; 2) რაიმე საგნის ძალიან დაპატარავებული სახით წარმოხატვა; 3) ცოცხალი ნიმუში, ე. ი. ადამიანი, რომელიც უპოზირებს (იხ. პოზირება) მხატვარს ან მოქანდაკეს; აქედან: **მოდელირება** —: 1) რისიმე მოდელის დამზადება; 2) ცოცხალ ნიმუშად ყოფნა.—**მოდელშჩიკ-ი** (რუს. დაბოლოებით) ან **მოდელერ-ი** — მოდელის (ნიმუშის) მკეთებელი; მანქანის სვლის (მოძრაობის) მომწესრიგებელი მოწყობილობა; აგრეთვე — სამუსიკო ინსტრუმენტში (მაგ. როიალში) ბგერის სიძლიერის გამაზომიერებელი მოწყობილობა.

**მოდერნიზირება** (ფრ. moderne-ისაგან „უახლესი, თანადროული", moderniser), განახლება, გათანადროულება, თანადროული გემოვნების მიხედვით გადაკეთება. — **მოდერნიზმ-ი** —: 1) ახალი დროის გემოვნების მიმდევრობა, განსაკუთრებით — ხელოვნებაში; 2) 19 საუკ. დასასრულისა და 20 საუკ. დასაწყისის ერთერთი მიმართულება ხელოვნებაში და მხატვრულ ლიტერატურაში. — **მოდერნისტ-ი** — მოდერნიზმის მიმდევარი.

**მოდისტკა**, იხ. მოდა

**მოდიფიკაცია** (ლათ. modificatio), სახეცვალება, ფორმის შეცვლა; **მოდიფიცირება**—იგივე მოქმედება.

მოდულაცია (ლათ. modulatio „მწყობრობა"), მუსიკაში: ერთი ტონის სხვა ტონით მწყობრულად შეცვლა; აქედან: მოდულირება—იგივე მოქმედება.

მოდულ-ი—მათემატიკასა და ხუროთმოძღვრებაში: მსახეელი.

მოდუს-ი (ლათ. modus „ზომა; საზღვარი; გვარობა, წესი..."), 1) ფილოსოფიაში: ნამდვილად არსებულის კერძოობითი გამოვლენა; მოდუსთა ერთობლიობა წარმოადგენს მთელს ბუნებას (სპინოზა); 2) გრამატიკაში: კილო (თხრობითი, ნატვრითი, პირობითი და ბრძანებითი); საერთოდ—გვარობა, წესი.

მოვეტონ-ი (ფრ. mauvais „ცუდი", ton „ტონი; საქციელი"). საზოგადოებაში მიუღებელი საქციელი — უზრდელობა.

მოზაიკა ან მოზაიკ-ი, ბერძ.-ევროპ. (ფრ. mosaïque), ფერად-ფერადი მასალით (კენჭებით, მარმარილოს ან მინის ნატეხებით და სხვ.) მხატვრობის ხელოვნება; აგრეთვე—თვით ასეთი მხატვრობა; ქართულად ს ა რ ო თ ი; 2) გადატ. მნიშვნ.: აკრელებული ნაშრომი.—მოზაიკური—მოზაიკის ხასიათის მქონე, მოზაიკით გაკეთებული.—მოზაისტ-ი—მოზაიკის ხელოვანი.

მოზოლ-ი, იხ. მაზოლი.

მოირა, ბერძ., მითოლოგიით: ბედისწერის ქალ-ღმერთი (იხ. პარკა, პარკები), ბედისწერა.

მოკკა ან უკეთ მოქა, არაბ., საუკეთესო ხარისხის არაბული ყავა (მ ო ქ ა ქალაქიდან).

მოლა, არაბ., მაჰმადიანთა სასულიერო პირი, — მღვდელი.

მოლბერტ-ი (გერმ. malen „ხატვა", Brett „ფიცარი"), სამ ფეხზე მოწყობილი სახატავი დაფა მხატვრისა.

მოლეკულ-ი, ლათ.-ფრ. (molécule), სხეულის (ნივთიერების) უმცირესი ნაწილაკი, რომელსაც ქიმიური აგებულობა ისეთივე აქვს, როგორიც თვით სხეულს,—იყოფა ატომებად (იხ.); აქედან: მოლეკულური—მოლეკულის ხასიათის მქონე; მოლეკულური ძალები—ფიზიკაში: მოლეკულთა მიზიდულობისა და უკუგდების ძალები.

მოლ-ი (იტ. molo), ზღვის ტალღებისაგან ნავსაყუდელის დამცველი ქვის ჯებირი.

მოლიერ-ი, ჟ. ბ. (Molière, 1622—1673), შესანიშნავი ფრანგი დრამატურგი, გამკიცხველი თავის მრავალრიცხოვან კომედიებში როგორც ზოგად-კაცობრიული, ისე მისი თანამედროვე უარყოფითი მოვლენებისა; მისი კომედიების მოქმედ პირთა სახელები იქცა ზოგად სახელებად, მაგ. ტარტუფი, მიზანთროპი, დონჟუანი და სხვ. (ზოგიერთი კომედია თარგმნილია ქართულად).

მოლიუსკ-, იხ. მოლუსკ-.

მოლოკან-, იხ. მალაკან-.

მოლოხ-ი, ბრ.: 1) ფინიკიელთა, კართაგენელთა და სხვ. მზის ღვთაება, რომელსაც მსხვერპლად სწირავდენ ცოცხალ ადამიანებს; 2) გადატ. მნიშვნ.: რაც დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

მოლუსკები (მრავლ., ლათ. mollis-ისაგან „რბილი"), რბილტანიანი უხერხემლო ცხოველები.

მომენტ-ი, ლათ. („დროის მოკლე ხანგრძლიობა"; მნიშვნელოვანი გარემოება"): 1) მეყი, ძლიერ მცირე დრო; 2) არსებითი გარემოება რაიმე მოვლენასა ან ცნებაში.—მომენტალისტ-ი—რისიმე სწრაფად შემსრულებელი.—მომენტალური ან მომენტური—ძალიან სწრაფი, მყისი, მეყსეული.

მონადა ან მონად-ი (ბერძ. monás,-ádos „განცალკევებული, ერთეული, უშლადი მთელი"): 1) ფილოსოფიაში (ლეიბნიცით): უმარტივესი, მარადიული, ინდივიდუალური და წარმოდგენისა და მისწრაფების უნარით აღჭურვილი არსი,—მისგან წარმოიშვის მთელი სინამდვილე; სულიერი ატომი; 2) უმარტივესი პლაზმატური ორგანიზმი.—მონადოლოგია—ლეიბნიცის ფილოსოფიური მოძღვრება მონადების შესახებ.

მონაკო, საკ. სახ., უმცირესი დამოუკიდებელი სამთავრო ევროპაში (გენუის უბის ნაპირზე), 22 კვადრ. კილომეტრი ტერიტორიისა და 23 ათასი მცხოვრების შემცველი; ქალაქი—მონტე-კარლო (იხ.).

მონანდრია (ბერძ. mónos „ერთი", anér, andrós „მამაკაცი"), ერთქმრიანობა.

მონარქ-ი (ბერძ. mónos „ერთი, ცალკეული", archein „მართველობა, მართვა"), მეფე, თვითმპყრობელი.—მონარქია—: 1) სახელმწიფო მართვა-გამგობის ისეთი ფორმა, როდესაც სახელმწიფოს სათავეში დგას ერთი პირი — მთელ-სიცოცხლივი და მემკვიდრეობითი ხელისუფლებით; 2) თვით ასეთი სახელმწიფო.—არსებობს

**აბსოლუტური მონარქია**, სადაც მონარქის ხელისუფლება შეუზღუდველია (ჩვეულებრივ ფეოდალურ სახელმწიფოებში), **კონსტიტუციური მონარქია**, სადაც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია სახელმწიფოს ძირითადი კანონით (კონსტიტუციით). —**მონარქიზმ-ი**—ერთპიროვნული მმართველობა სახელმწიფოსი; მონარქიის (იხილე, 1) მომხრეობა. — **მონარქისტ-ი** — მონარქიზმის მომხრე; **მონარქისტული** — მონარქისტისთვის დამახასიათებელი, მისი შესაფერი და სხვ. — **მონარქიული** — მონარქიის ხასიათის მქონე, ერთპიროვნული და სხვა.

**მონარხ-**, იხ. მონარქ-.

**მონასტერ-ი** (ბერძ. monastērion „განცალკევებით საცხოვრებელი"), ბერად აღკვეცილთა საერთო საცხოვრებელი

**მონეტა**, ლათ.: 1) იუნონის (იხ.) ზედმეტი სახელი; 2) იუნონ მონეტის ტაძარი (კაპიტოლიუმში), სადაც მოწყობილი იყო ფულის საჭრელი პირველი სახლი; აქედან 3) განსაზღვრული წონისა და სინჯის ლითონის ნიშანი, რომელსაც უშვებს მისი ღირებულებისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო.

**მონიზმ-ი** (ბერძ. mónos-ისაგან „მხოლოდ ერთი"), ფილოსოფიური მიმართულება,—აღიარებს არსებობის ე რ თ ს დასაბამს (უპირისპირდება დუალიზმს და პლურალიზმს, იხ.); **იდეალისტური მონიზმ-ი** დასაბამად აღიარებს სულის იდეას; **მატერიალისტური**—მატერიას.—**მონისტ-ი**—მონიზმის მომხრე; **მონისტურ-ი**— მონიზმის ხასიათის მქონე, მისგან გამომდინარე.

**მონო-** (ბერძ. mónos „ერთი, ერთადერთი"), დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს: ერთ-, ცალ- და სხვას ასეთს.

**მონოგამია** (ბერძ. gámos „ცოლქმრობა"), ერთცოლქმრიანობა.

**მონოგენიზმ-ი** (იხ. მონო-, ბერძ. génesis „წარმოშობა..."), ანთროპოლოგიაში: მოძღვრება, რომლის თანახმადაც ადამიანთა ყველა რასები წარმოშობილია ერთი პირვანდელი ტიპისაგან; **მონოგენისტ-ი**—მონოგენიზმის მომხრე.

**მონოგინია** (იხ. მონო-, ბერძ. gynē „ქალი, ცოლი"). ერთცოლიანობა.

**მონოგრამა** (იხ. მონო-, gramma „ნაწერი, ასო"), სახელისა და გვარის თავკიდური ასოებისაგან შედგენილი ნიშანი (იხ. ვენზელი).

**მონოგრაფია** (იხ. მონო-, graphein „წერა"), მეცნიერული ნაშრომი,—წარმოადგენს მეცნიერების რომელისამე კერძო საკითხის ყოველმხრივად დამუშავებას.

**მონოდრამა** (იხ. მონო-, დრამა), ერთ მოქმედ-პირიანი დრამა (ბერძნული დრამის განვითარების ერთერთი საფეხური).

**მონოთეიზმ-ი** (იხ. მონო-, ბერძ. theós), ერთღმერთიანობა, მხოლოდ ერთი ღმერთის აღიარება (უპირისპირდება პოლითეიზმს, იხ.); **მონოთეისტ-ი** — მონოთეიზმის მიმდევარი.

**მონოკლ-ი** (იხ. მონო-, ლათ. oculus „თვალი"): 1) ცალ თვალზე სახმარი სათვალე; 2) ქირურგიაში: ცალი თვალის სახვევი.—**მონოკულარული მხედველობა**—ცალი თვალით მხედველობა.

**მონოკრატ-ი, მონოკრატია** (ბერძ. kratein „ბატონობა"), იგივეა, რაც მონარქი, მონარქია.

**მონოლით-ი, მონოლითური** (იხ. მონო-, lithos „ქვა"), მთლიანი ქვა, მთლიანი ქვისაგან გაკეთებული; გადატ. მნიშვნ.: მთლიანი რამ, რომლის ნაწილები მკვიდრადაა ურთიერთ დაკავშირებული.

**მონოლოგ-ი** (იხ. მონო-, ბერძ. lógos „სიტყვა"). განცალკევებულად, მოსაუბრის დაუსწრებლივ თქმული სიტყვა; ჩვეულებრივ—ერთი მოქმედი პირის მიერ ჩატარებული სცენა (შეად. დიალოგი).

**მონომანია** (იხ. მონო- და მანია), ნაწილობრივი სულიერი დაავადება (ძველი ტერმინია, იხ. პარანოია); **მონომან-ი**—მონომანიით შეპყრობილი.

**მონომეტალიზმ-ი** (იხ. მონო-, მეტალი), სახელმწიფოში ფულის ერთეულად ერთი განსაზღვრული ლითონის (უმეტესად ოქროს) ფულის დაწესება (შეად. ბიმეტალიზმი).

**მონოპლან-ი** (იხ. მონო-, ბერძ. planē „მოგზაურობა..."), ერთ ჰორიზონტელ-სიბრტყიანი, ერთ წყება-ფრთებიანი აეროპლანი (შეად. ბიპლანი, მულტიპლანი).

**მონოპლეგია** (იხ. მონო-, ბერძ. plēgē „ჭრილობა, დანარტყამი"), ცალმხრივი სიდამბლე.

**მონოპოლია** (იხ. მონო., ბერძ. polein „გაყიდვა"), მხოლოდ ერთი პირის (ჯგუფის ან სახელმწიფოსი) უფლება—დაეუფლოს რასმე ან ისარგებლოს რითიმე (მაგ. ივაჭროს ამა თუ იმ საგნებით, აწარმოოს რაიმე და სხვ.); **მონოპოლიზირება**—ასეთი უფლების მოპოვება.—**მონოპოლისტ-ი**—მონოპოლიის მქონე; ბაზარზე კონკურენტების (მეტოქეების) არმყოლი.—**მონოპოლისტური კაპიტალიზმი**—კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი საფეხური: იზღუდება კონკურენციის თავისუფლება, რომელსაც სცვლის კაპიტალისტთა კავშირების მონოპოლია ფართო (სახელმწიფო და მსოფლიო) მაშტაბით (სინდიკატები, ტრესტები, კონცერნები).—**მონოპოლური**—მონოპოლიის ხასიათის მქონე.

**მონოსილაბიზმ-ი** (იხ. მონო-, ბერძ. syllabe „მარცვალი სიტყვაში"), ამა თუ იმ ენაში მხოლოდ (ან უპირატესად) ერთმარცვლოვანი სიტყვების არსებობა; **მონოსილაბური ენა**, მაგ. ჩინური ენა, რომელშიც სიტყვები მხოლოდ თითო მარცვლოვანია.

**მონოტეიზმ-**, იხ. მონოთეიზმ-.

**მონოტონურ-ი** ან **მონოტონ-ი** (იხ. მონო- და ტონი): 1) ერთფეროვანი ხმა სიმღერის ან კითხვა-ლაპარაკის დროს; 2) საერთოდ—ერთფეროვანი, მოსაწყენი.

**მონოფიზიტები** (მრავლ., იხ. მონო-, ბერძ. physis „ბუნება"), 5 საუკუნის ქრისტიანული სექტა,—აღიარებდა ქრისტეში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას; **მონოფიზიტ-ი**—ამ სექტის მიმდევარი.

**მონოქორდ-ი** (იხ. მონო-, ბერძ. chordê „სიმი"), ერთსიმიანი ინსტრუმენტი,—იხმარება სიმთა რხევის კანონების შესასწავლად.

**მონოქრომიზმ-ი** (იხ. მონო-, ბერძ. chrôs „ფერი"), ერთფეროვნობა; **მონოქრომული**—ერთფეროვანი.—**მონოქრომ-ი** (ბერძ. chrôma, -atos „საღებავი, ფერადი, ფერი"), ერთი ფერადით დახატული სურათი; აქედან: **მონოქრომატული**—ერთფერადიანი, ერთი ფერადით შესრულებული.

**მონპანსიე** ან **მონპასიე**, ფრ., ერთგვარი სურნელოვანი კანფეტი; სახელწოდება—გვარისაგან (Montpensier).

**მონროე**, ჯ. (Monroë J., 1759—1831), ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომლის დებულება („მონროეს დოქტრინა")—ამერიკის ჩაურევლობის შესახებ სხვის საქმეში და აგრეთვე ევროპის ჩაურევლობის შესახებ ამერიკის საქმეებში („ამერიკა ამერიკელებისათვის")—შეიქნა სახელმძღვანელო პრინციპად შეერთ. შტატების პოლიტიკაში.

**მონსტრ-ი**, ლათ.-ფრ. (monstre), ურჩხული; უზარმაზარი და მახინჯი.

**მონტანიარები** (მრავლ., ფრ. montagnard „მთიელი"), საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს: წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი მემარცხენე პოლიტიკური პარტია კონვენტში (ისხდენ მარცხნივ მაღალ რიგებში, ამიტომ ეწოდათ „მთიელები"), ებრძოდენ ჟირონდისტებს და კონტრრევოლუციას.

**მონტაჟ-ი**, იხ. მონტიორი.

**მონტე-კარლო**, საკ. სახ. ქალაქისა მ ო ნ ა კ ო-ში (იხ.),—ცნობილია სათამაშო სახლით.

**მონტესკიე**, შარლ (Montesquieu, Charles, 1689—1755), გამოჩენილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიულ-ფილოსოფიური სკოლისა (ბურჟუაზიულ საზოგადოებათ-მეცნიერებაში) და ხელისუფლებათა (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო) განაწილების შემქმნელი; შრომებიდან ყველაზე ცნობილია „l'Esprit des lois და Lettres persanes".

**მონტესორი**, მ. (Montessori, M, დაიბ. 1870), იტალიელი პედაგოგი ქალი, შემქმნელი სასკოლო ასაკამდე აღზრდის სისტემისა („მონტესორის სისტემა"), რომელსაც საფუძვლად უდევს სამი პრინციპი: ბავშის პიროვნულად შესწავლა, მისი თავისუფლება და თვითმოქმედება.

**მონტიორ-ი** (ფრ. monteur, monter-ისაგან „ასვლა; აწევა..."), მომწყობი, ამწყობი (მაგ. მანქანისა).—**მონტირება** ან **მონტაჟ-ი**—: 1) მანქანის აწყობა; 2) აუცილებელი რისამე მინიჭება ან მიწოდება, მაგ. ამუნიციისა ლაშქრისათვის და სხვ.; 3) ძვირფასი ქვის შემოსვა ბუდით.

**მონუმენტ-ი**, ლათ., რაიმე შემთხვევის ან რომლისამე პირის სახსოვრად აგებული ძეგლი, უმეტესად—დიდი; აქედან: **მონუმენტალური** ან უკეთ **მონუმენტურ-ი**—მონუმენტის ხასიათის მქონე; გადატ. მნიშვნ.: დიადი, მკვიდრი, საფუძვლიანი.

**მოპასან-ი**, გ. (Maupassant, G., 1850—1893), განთქმული ფრანგი მწერალი, მრავალი შესანიშნავი მოთხრობებისა და რომანების ავტორი; ცხოვრების სიმახინჯის გამკიცხველი და მასში მხოლოდ ბოროტებისა და ტანჯვის დამნახველი, იგი მიილტვის მიუწდომელი მშვენიერებისადმი (ზოგიერთი მოთხრობა თარგმნილია ქართულად).

**მოპრ-ი** (ხელოვნური რუს. სიტყვა)—რევოლუციის მებრძოლთა საერთაშორისო ორგანიზაცია, იხ. რემედას-ი.

**მოპს-ი**, ჰოლანდ.-გერმ., ბლაგვ-ცხვირპირიანი საოთახო ძაღლის ჯიში.

**მორალ-ი**, ლათ.-ევროპ., ზნეობა; ზნეობის წესთა ერთობლიობა; აქედან: **მორალიზაცია**, **მორალიზირება**—: 1) ზნეობის განმტკიცება; 2) რაშიმე ზნეობრივი მხარის ხაზგასმით აღნიშვნა. —**მორალისტ-ი**—ზნეობის მასწავლებელი ან მკვლევარი.—**მორალიტე**—საშ. საუკ. დრამის ერთერთი სახეობა, რომლის მოქმედი პირები განასახიერებდენ რაიმე სათნოებას ან ბიწიერებას. —**მორალური**—ზნეობრივი.

**მორატორიუმ-ი**, ახ.-ლათ., ვალის (ან სახელმწიფოსათვის გადასახადების) გადახდის გადადება. ვადის გაგრძელება.

**მორგანატული ან მორგანატიკული ქორწინება**, ახ.-ლათ. (გერმანულიდან), წოდებრივად უთანასწორო დაქორწინება, როცა ერთი მეუღლის უფლებები და ტიტული არ ენიჭება მეორეს.

**მორგ-ი** (ფრ. morgue), უცნობი გვამის დასასვენებელი ადგილი პარიზში.

**მორენ-ი** (ფრ. moraince). გლეტჩერის გვერდებზე (გასწვრივ) და ბოლოში დაგროვილი ქვის ნამსხვრევები.

**მორესკო**, იტ. („მავრული"), იგივეა, რაც არაბესკები (იხ.).

**მორზე-ს აპარატ-ი**, პირველი ელექტრომაგნეტური სატელეგრაფო აპარატი,—გამოიგონა (1836 წ.) ამერიკელმა ფიზიკოსმა მ о რ ზ ე მ (Morse, 1791—1872).

**მორ-ი ან უკეთ მორუს-ი**, თომას (Morus, Thomas, 1480—1535), ინგლისელი ჰუმანისტი, აღორძინების იდეალების გამომხატველი და პოლიტიკური მოღვაწე, ავტორი „უტოპია"-სი, სადაც წარმოდგენილია კომუნისტური საზოგადოების ფანტასტიკური გეგმა; ერთერთი პირველი სოციალისტ-უტოპისტთაგანი.

**მორისკები** (მრავლ., ისპ.), მავრების შთამომავლობა, მონათლული ქრისტიანულად.

**მორჟ-ი ან მორზ-ი**, ფინ.-ევროპ., ლომთევზა (ზღვის ცხოველია).

**მორს-ი** (გერმ.-რუს.?), ერთგვარი გამაგრილებელი სასმელი,—წარმოადგენს შაქარ-წყალში გაზავებულს ხილეულის წყალს.

**მორტირა ან მორტირ-ი** (ჰოლ. mortier), ერთგვარი მოკლე ზარბაზანი.

**მორტუს-ი** (ლათ. mortuus „მკვდარი"), გადამდებ სნეულებათა (განსაკუთრ. შავი ჭირით) საავადმყოფოში მოსამსახურე.

**მორფე-ი ან მორფეუს-ი** (ბერძ. morphê-საგან „სახე, გარეგნობა..."), ძველ ბერძენთა მითოლოგიით: ძილისა და სიზმრების ღმერთი.—აქედან: **მორფი ან მორფიუმ-ი**, **მორფინ-ი** — ოპიუმის მთავარი შემადგენელი კრისტალური ნივთიერება,—იხმარება როგორც ტკივილის გამაყუჩებელი და დასაძინებელი საშუალება.—**მორფინიზმ-ი** — ავადმყოფური მიდრეკილება მორფის ხმარებისადმი; აგრეთვე — მორფის არაზომიერი ხმარებით (ალმძვრელ საშუალებად) თანდათანი მოწამვლა; **მორფინისტ-ი** — მორფის ხმარებას ავადმყოფურად მიჩვეული და თანდათან მოწამლული.

**მორფოლოგია** (ბერძ. morphê „სახე, გარეგნობა, ფორმა"): 1) ბოტანიკის ერთი დარგი, — მოძღვრება მცენარეთა გარეგანი ფორმების შესახებ; 2) ანატომიის ერთი დარგი,—მოძღვრება სხეულისა და ცალკე ორგანოების ფორმის შესახებ; 3) გრამატიკის ნაწილი,—მოძღვრება ცალკე სიტყვის ფორმების შესახებ (სიტყვათ-წარმოება და სიტყვათ-ცვლა); **მორფოლოგიური**—მორფოლოგიის დამახასიათებელი, მისი შესაფერი და სხვ.; მაგ. **მორფოლოგიური კლასიფიკაცია ენათა** — ენათა განდასება (კლასიფიკაცია) სიტყვის ფორმათა წარმოების მიხედვით (იხ. გენეალოგიური).

**მოსკიტო**, ისპ. (ლათ. musca „ბუზი"), ცხელი ქვეყნების ერთგვარი კოღო,—ჰკბენს ცხოველსა და ადამიანს.

**მოსკოტილური ან მოსკატელური საქონელი** (რუს. москоть—საშ.-ბერძ. moscos-ისაგან), ასე ეწოდება საყოველდღეო ცხოვრებასა და სხვა-

დასხვა ხელოსნობაში სახმარ მასალას (სალებავს, წებოს, ზეთს და სხვ.).

**მოსლემ-ი**, არაბ., ისლამის მიმდევარი, მაჰმადიანი (იხ. ისლამი).

**მოტივ-ი**, ლათ.-ევროპ. (იტ. motivo—ლათ. movere-საგან „ამოძრავება"): 1) ადამიანის ამა თუ იმ მოქმედების ან საქციელის შინაგანი საფუძველი; 2) მუსიკაში: კილო, ძირითადი მელოდია; 3) საერთოდ ხელოვნებაში: უმთავრესი იდეა.—**მოტივაცია** — მოტივის (იხ.) დასახელება; დასაბუთება, მტკიცება; **მოტივირება** — იგივე მოქმედება.

**მოტო** (იტ. motto „სიტყვა"): 1) მოკლე გონება-მახვილი თქმა; 2) იგივეა, რაც ეპიგრაფი (2).

**მოტორ-ი**, ლათ. (movere-საგან „ამოძრავება"), ძრავი.—მამოძრავებელი მანქანა (ეხლახან აგრეთვე ავტომობილსაც); აქედან: **მოტორული** — მოძრაობითი, ძრაობითი; ასამოძრავებელი (ორთქლით, ელექტრობით) და სხვ...

**მოტოციკლეტ-ი** ან **მოტოციკლ-ი**, ლათ.-ბერძ.-ფრ. ხელოვნ. motocyclette), მოტორით ასამოძრავებელი ველოსიპედი (იხ. ბიციკლეტი).

**მოქა**, იხ. მოკკა.

**მოცარტ-ი**, ვოლფგანგ (Mozart, Wolfgang, 1756—1791). შესანიშნავი გერმანელი კომპოზიტორი, ავტორი ოპერებისა „ფიგაროს ქორწინება", „დონჟუანი" და მრავალ სხვათა.

**მოციონ-ი** (ლათ. motio „მოძრაობა"), გასეირნება და სხეულის ამოძრავება ჯანსაღობის მიზნით.

**მოხორკა** (რუს. махор ან უკეთ мохор-ისაგან „ფოჩი; ქვირტი"), მდარე ხარისხის თამბაქო.

**მოჰელ-ი**, ებრ., ბავშის წინადაცვეთის შემსრულებელი ებრაელებში.

**მოჰერ-ი** (ინგლ. mohair), ანგორული თხის მატყლი; აგრეთვე — მისი ქსოვილი.

**მოჰიკან-ი**, **მოჰიკანებ-ი** —: 1) ინდოელთა (ამერიკაში) უკვე გადაშენებული ერთერთი ტომი (მდ. ჰუდსონ-ზე), რომლის ცხოვრებიდან დაწერა რომანი („უკანასკნელი მოჰიკანთაგანი") ფ ე ნ ი მ ო რ  კ უ პ ე რ-მა (Fenimore Cooper, 1789—1851); 2) გადატ. მნიშვნ.: რითიმე შესანიშნავი თაობის უკანასკნელი წარმომადგენელი.

**მუარ-ი**, ინგლ.-ფრ. (moire, შეად. მოჰერი), ტალღისებრ პრიალა აბრეშუმის ქსოვილი; **მუარეტ-ი**—მუარის მსგავსი ქსოვილი.—**მუარირება** — რაიმე ქსოვილისა ან ქაღალდისათვის ტალღისებრი პრიალის მინიჭება.

**მუდირ-ი**, არაბ., ოლქის უფროსი ოსმალეთში.

**მუდრის-ი** ან **მუდერის-ი**, არაბ., მასწავლებელი, პროფესორი.

**მუეძინ-ი** (არაბ. მუეზზინ), მეჩეთის კოშკიდან (იხ. მინარეტი) მორწმუნეთა სალოცავად მომწოდებელი პირი მაჰმადიანებში.

**მუზა** (ბერძ. moysa), ბერძ. მითოლოგიით: ოლიმპზე მცხოვრები და აპოლონის ხელქვეითი თეითეული ცხრა დათაგანი, რომელნიც მფარველობდენ მეცნიერებასა და ხელოვნებას.—აქედან: **მუზაგეტ-ი** ან **მუსეგეტ-ი** (ბერძ. moysegétes „მუზათა ბელადი"): 1) აპოლონის ზედმეტი სახელი; 2) გადატან. მნიშვნ.: მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი.

**მუზეუმ-ი**, ბერძ.-ლათ. (ბერძ. moyseion-ისაგან „მუზათა ადგილსამყოფელი; მეცნიერებათა და ხელოვნებათა ტაძარი"): 1) რითიმე შესანიშნავი, იშვიათ და მეცნიერებისათვის საინტერესო საგანთა შესანახი და საკვლევ სამეცნიერო დაწესებულება; 2) სისტემატიურად დალაგებული თვით ასეთი საგნები.

**მუზიკ-**, იხ. მუსიკ-.

**მულატ-ი**, ისპ. (ლათ. mulus-ისაგან „ჯორი"), ფეთრკანიანი და შავკანიანი მშობლების შეერთებისაგან შობილი; **მულატკა** (რუს. დაბოლოებით) ან უკეთ მულატი ქალი.

**მულტიპლან-ი**, ლათ.-ბერძ., ხელოვნ. (ლათ. multus „ბევრი", იხ. მონოპლანი), სამზე მეტრიგ-ფრთებიანი აერპოლანი.

**მულტიპლიკატორ-ი**, ლათ. („გამმრავლებელი"): 1) რაიმე დედნიდან პირების გამმრავლებელი ხელსაწყო; 2) ფიზიკაში: გალვანომეტრი რამდენჯერმე შემოხვეული მავთულით.—აქედან: **მულტიპლიკაცია**—: 1) გამრავლება; 2) გალვანური დენის დაძაბვის სიძლიერის გამორკვევა. — **მულტიპლიცირება**—იგივე მოქმედება.

**მუმია**, არაბ.-ევროპ. (იტ. mummia): 1) ლპობა-ხრწნისაგან დაცული, ბალზამირებული გვამი (იხ. ბალზამი); ცნობილია, მაგ. ძველ

ეგვიპტელთა რამდენიმე-ათასწლოვანი მუმიები; 2) გადატ. მნიშვნ.: ძალიან გამხდარი, უსიცოცხლო ადამიანი.—**მუმიფიკაცია**—მუმიად (1) გადაქცევა; **მუმიფიცირება**—იგივე მოქმედება.

**მუნდირ-ი** (ფრ. monture, იხ. მონტიორი), სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურის პირთა განსაზღვრული ფორმის ზედატანსაცმელი.

**მუნდშტუკ-ი** (გერმ. Mundstück): 1) ლაგამი; 2) სატუჩე (სამუსიკო ინსტრუმენტისა, ყალიონისა და სხვ.).

**მუნიციპალიზაცია** (ლათ. municipium „საკუთარ-კანონებ-შენახული ქალაქი" ძველად იტალიაში): 1) საზოგადოებრივი (საქალაქო) თვითმართველობის შემოღება; 2) საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ კერძო წამოწყება-წარმოებათა (წყალსადენისა, ტრამვაისა და სხვა) გადასვლა ქალაქის საკუთრებად ან მის გამგებლობაში. — **მიწის მუნიციპალიზაცია** — რუსეთის სოციალ-დემოკრატ. პარტიის მეოთხე ყრილობაზე (1906) მიღებული პროექტი: მემამულეთა მიწების გადაცემა ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში, ხოლო გლეხების მიწების დატოვება მათივე საკუთრებად (იხ. ნაციონალიზაცია).—**მუნიციპალიზირება**—მუნიციპალიზაციის მოხდენა.—**მუნიციპალიტეტ-ი**—ქალაქის თვითმართველობა; მისი საბჭო და გამგეობა.—**მუნიციპალური**—ქალაქის თვითმართველობითი, მაგ. მუნიციპალური დაწესებულებანი.

**მურზა** (არაბ., იხ. მირზა), დაბალი აზნაურის წოდება (თურქეთში).

**მურიდიზმ-ი**, იხ. მიურიდიზმი.

**მუსავათ-ი**, არაბ. („თანასწორობა"), აზერბეიჯანის პოლიტიკური პარტია,—სათავეში უდგა აზერბეიჯანს 1917 წ. რევოლუციის შემდეგ გასაბჭოებამდე; **მუსავათისტ-ი**—მუსავათის მომხრე ან წევრი.

**მუსიკა**, ბერძ. („მუზათა ხელოვნება", იხ. მუზა): 1) ტონთა (მუსიკალურ ბგერათა) მასალისაგან ისეთი ნაწარმოების შექმნის ხელოვნება, რომელიც აღძრავს ადამიანში სხვადასხვა სულიერ განწყობილებასა და ემოციებს (იხ.); 2) ასეთი ხელოვნების ნაწარმოები.—აქედან: **მუსიკალური**—მუსიკის ხასიათის მქონე, მუსიკის მოთხოვნილებასთან შეთანხმებული, კეთილხმოვანი და სხვა, მაგ. **მუსიკალური ნაწარმოები**.—**მუსიკალური ბგერა**—ჰაერის ტალღათა განსაზღვრული სისწრაფის პერიოდული რხევისაგან მიღებული ბგერა (უპირისპირდება ჩქამს—არაპერიოდულისაგან მიღებულს); **მუსიკალური მახვილი**—ტონის სიმაღლეზე დამყარებული მახვილი.—**მუსიკანტ-ი** ან **მუსიკოს-ი**—მუსიკის მცოდნე ხელოვანი.—**სამუსიკო**—მუსიკისათვის (ან მუსიკალური ნაწარმოების შესასრულებლად) განკუთვნილი, გამოსადეგი და სხვ., მაგ. **სამუსიკო ინსტრუმენტი** ანუ იარაღი.

**მუსკატ-ი**, არაბ.-ევროპ. (ლათ. მუსკუს-ისაგან): 1) ვაზის ერთი ჯიში,—იძლევა ტკბილსა და სურნელოვან ღვინოს—**მუსკატელ-ს**; 2) ტროპიკული მაღალი ხე,—იძლევა სურნელოვან კაკალს, რომლისაგანაც ამზადებენ **მუსკატის ზეთს**.

**მუსკეტ-ი**, იხ. მუშკეტ-.

**მუსკულ-ი**, ლათ. („პატარა თაგვი"), კუნთი; აქედან: **მუსკულატურა**—კუნთების ერთობლიობა ორგანიზმში, კუნთების სისტემა.

**მუსკუს-ი**, არაბ.-ევროპ., მუშკი (იხ. 2).

**მუსლიმან-ი**, არაბ., მაჰმადიანი (იხ. მოსლემი).

**მუსლინ-ი** (ფრ. mousseline), წმინდა (თხელი) და მსუბუქი ქსოვილი; სახელწოდება ქალაქ მ ო ს უ ლ-ისაგან (Mossul).

**მუსოლინი**, ბენიტო (Mussolini, Benito, დაიბადა 1883 წ.), იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, ყოფილი სოციალისტი, ნაციონალისტთა ბელადი 1914 წლიდან; ფაშიზმის (იხ.) შემქმნელი და ხელმძღვანელი; პირველი მინისტრი, ნამდვილად-კი—იტალიის ფაქტიური დიქტატორი (1922 წლიდან).

**მუსონ-ი**, მუსონები, არაბ.-ფრ. (mousson), პერიოდული ქარი სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში,—ნახევარ წელს (ზაფხულობით) ქრის ოკეანედან, ხოლო მეორე ნახევარ წელს (ზამთრობით)—ხმელეთიდან.

**მუსულმან-ი**, არაბ., მაჰმადიანი (იხ. მოსლემი, მუსლიმანი).

**მუტატორ-ი**, ლათ. („მცვლელი"), ელექტროდენის ჩართვა-გამორთვის მოწყობილობა.

**მუტაცია** (ლათ. mutatio „ცვლილება"): 1) სწრაფი არათანდათანობითი ცვლილება ცოცხალი ბუნების განვითარებაში; 2) ხმის ცვლილება ჭაბუკობის ხანაში. — **მუტაციური** ·ს

მუტაციის თეორია—ჰუგო დე ფ რ ი ზ ი ს (Hugode Vries, დაიბ. 1848 წ.) ბიოლოგიური თეორია, რომელიც ცოცხალი ბუნების განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მუტაციას (იხილე, 1).

**მუტიზმ-ი** (ლათ. mutus-ისაგან „მუნჯი“), სიმუნჯე.

**მუტუაცია** (ლათ. mutuatio „სესხება“, mutuus „საურთიერთო“), ვისგანმე სესხება რისამე. — **მუტუალიზმ-ი**: 1) ერთგვარი სიმბიოზი (იხ.), როცა ორსავე თანამცხოვრებს სარგებლობა აქვს ერთიმეორისაგან; 2) პ რ უ დ ო ნ-ის (იხ.) გავლენით შექმნილი საურთიერთო დახმარების თეორია,—უპირისპირდება (უმთავრესად საფრანგეთში) მუშათა პოლიტიკურ ბრძოლასა და ორგანიზაციას. — **მუტუალისტები** (მრავლ.)—ქ. ლიონში 1833 წ. დაარსებული საიდუმლო საზოგადოების წევრნი (მიზანი—საყოველთაო თანასწორობა).

**მუფელ-ი**, ლათ.-ევროპ. (გერმ. Muffel), თიხისა და ფაიფურის საგანთა გამოსაწვავი ცეცხლგამძლე ჭურჭელი.

**მუფთი**, არაბ. („მეტყველი“), მეცნიერი ღვთისმეტყველი, ყურანის კარგი მცოდნე და განმმარტებელი.

**მუფტა**, გერმ.-რუს. (გერმ. Muff), ქურო: 1) ქალის ხელსათფუნებელი,—კეთდება ბეწვეულისაგან ან დაბამბული ქსოვილისაგან; 2) ტექნიკაში: ცილინდრულ საგანთა შესაერთებელი მილები.

**მუშკეტ-ი** (ფრ. mousquet), ძველებური (16 საუკ.) პატრუქიანი მძიმე თოფი; აქედან: **მუშკეტერ-ი** (ფრ. mousquetaire), მუშკეტით შეიარაღებული ჯარისკაცი; მუშკეტერები — 17-18 ს საფრანგეთის სამეფო გვარდიის ნაწილი, შედგებოდა აზნაურთაგან.

**მუშკ-ი**, არაბ.-სპარს.: 1) შუააზიაში მცხოვრები ირემისებრი ცხოველი; 2) ამ ცხოველის სათესლე ჯირკვლებისაგან მოპოებული სურნელოვანი ნივთიერება, — იხმარება მედიცინაში, როგორც აღმძვრელი საშუალება, და პარფიუმერიაში (იხილე).

**მუშკოოპ-ი** — მუშათა მთლიანი კოოპერატივი (ხელოვნურად შემოკლებული სიტყვა).

**მუშტაბელ-ი**, გერმ.-პოლონ., მხატვრის ხელის დასაყრდენი გრძელი ჯოხი ხატვის დროს. — ხელის ძაგძაგის თავიდან ასაცილებლად.

**მუშტუკ-ი**, იხ. მუნდშტუკი.

**მუჰამედ-ი**, იგივეა, რაც მაჰმადი.

**მხითარისტები** (მრავლ.), სომეხი მეცნიერის, მ ხ ი თ ა რ ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ე ლ-ის (1676-1749) მიერ წმ. ლაზარეს კუნძულზე (ვენეციის ახლოს) დაარსებული (1717) ბერთა ორდენი და ამ ორდენის წევრები; ორდენის მიზანია — სომეხთაშორის განმანათლებელი მოღვაწეობა და ძველი სომხური მწერლობის ძეგლთა დაცვა (ამ ორდენიდან გამოვიდა მრავალი მეცნიერი). — **მხითარისტ-ი**, მხითარისტთა ორდენის წევრი.

## ნ

**ნაბაბ-ი**, არაბ.: 1) პროვინციის მმართველი ინდოეთში; 2) გადატ. მნიშვნ.: მდიდარი ინდოელი; ინდოეთში გამდიდრებული; საერთოდ — მდიდარი კაცი.

**ნაგაიკა**, რუს., კაზაკის მოკლე-ტარიანი მათრახი,—დაწნული თასმისაგან (სახელწოდება — ნოღაელთა სახელისაგან).

**ნაგან-ი** — ერთგვარი შორსმსროლელი რევოლვერი; სახელწოდება — ბელგიელი (ლ ი ე ჟ-ში) თოფების მექარხნის Nagant-ისაგან.

**ნაგელ-ი**, გერმ., 1) ხის ჭანჭიკი ხომალდზე; 2) სადურგლო წკირი (ხის ლურსმანი).

**ნადელ-ი**, რუს., სახნავ-სათესი მიწის ნაჭერი, — მიეცათ გლეხებს სულობრივ ბატონყმობის მოსპობისას (1861 წ.).

**ნადირ-ი**, არაბ., ზენითის (იხ.) მოპირისპირე წერტილი, დამკვირებლის ფეხქვეშ მდებარე.

**ნავარქ-ი**, (ბერძ. nays „ხომალდი“, archein „ბატონობა“), ფლოტის უფროსი ძველ საბერძნეთში.

**ნავიგატორ-ი** (ლათ. navigare-საგან „ხომალდით ცურვა“). მეზღვაური. — **ნავიგაცია.** — 1) ზღვაოსნობა, ხომალდის მართვისა და უმოკლესი და უხელსაყრელესი საცურავი გზის ძიებნის ხელოვნება; 2) საზღვაოსნო ხანა (იქ, სადაც ზღვაოსნობა შეიძლება არა მთელი წლის განმავლობაში). — აქედან: **სანავიგაციო** — საზღვაოსნო.

**ნავმაქია** (ბერძ. naus „ხომალდი“, mache „ბრძოლა“), ძველ რომში: საზღვაო ბრძოლის წარმოდგენა ცირკში (არენა ივსებოდა წყლით).

**ნავროზი** ან **ნავრუზ-ი**, სპ. („ახალი დღე“), წლის პირველი დღე სპარსეთში (გაზაფხულის დღე-ღამის გასწორებისას).

**ნაზალური** ან **ნაზალ-ი** (ლათ. nasus „ცხვირი“), ცხვირისმიერი ე. ი. ცხვირის ღრუს მონაწილეობით წარმოთქმული (მაგ. ბგერა); **ნაზალიზაცია** — ცხვირისმიერობა; **ნაზალირება** — გაცხვირისმიერება; **ნაზალირებული** — გაცხვირისმიერებული.

**ნაზარეველი** — : 1) ქალ. ნაზარეთის მცხოვრები; ასე უწოდეს ქრისტეს; 2) **ნაზარეველები** — ასე უწოდებდნენ პირველ ქრისტიანებს მათი მოწინააღმდეგე იუდეველები; 3) ძველ იუდეველთა ერთი სექტის სახელი.

**ნაზირ-ი**, არაბ., ოსმალეთში: მეთვალყურე, მოსამართლე.

**ნაიადები** (მრავლ., ბერძ. Najás,-adas, naein „დენა“); 1) ძვ. ბერძნ. მითოლოგიით: წყლის ნიმფები; 2) ერთგვარი მოლუსკები (იხ.).

**ნაიბ-ი**, არაბ., საერო ან სასულიერო ხელისუფლის მოადგილე; მოსამართლე.

**ნაკაზ-ი**, რუს.: 1) ამორჩეულ პირთათვის ამომრჩეველთაგან მიცემული დავალებანი—სათანადო დაწესებულებაში დასაცავად; 2) შინაგანი განრიგების წესები რაიმე დაწესებულებაში.

**ნამაზ-ი**, სპ., მაჰმადიანთა ლოცვა (დღეში ხუთჯერ).

**ნამესტნიკ-ი**, რუს., მეფის მოადგილე (რუსეთში რევოლუციამდე).

**ნანსენ-ი**, ფრიტიოფ (Nansen, Fridtjof, დაიბ. 1861), განთქმული ნორვეგიელი მოგზაური და პოლარული ქვეყნების მკვლევარი (საერთაშორისო დახმარების მომწყობი საბჭოთა სახელმწიფოს დამშეულთათვის 1921-22 წ. წ.).

**ნანტ-ის ედიქტ-ი** — საფრანგეთის მეფის ჰენრიხ IV-ის მიერ 1598 წ. გამოცემული კანონი ჰუგენოტების (იხ.) რელიგიური თავისუფლების შესახებ, — გაუქმდა 1685 წ.; სახელწოდება — საფრანგ. ქ. ნ ა ნ ტ-ისაგან (Nantes). — [**ედიქტ-ი** (ლათ. edicere-საგან „გამოქვეყნება“) — უზენაესი ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული ბრძანება, კანონი (უმთავრესად — რელიგიის შესახებ)].

**ნაპოლეონდორ-ი** (ფრ. napoléon d'or), ოცფრანკიანი ოქროს ფული საფრანგეთში.

**ნაპოლეონ-ი** — : 1) ნ ა პ ო ლ ე ო ნ I ბ ო ნ ა პ ა რ ტ-ი (1769-1821), შესანიშნავი ფრანკი მხედართმთავარი და საფრანგეთის იმპერატორი (1804 წლიდან); იხ. ბრიუმერი; აწარმოებდა დაპყრობითს ომებს; დამარცხებული (1813 წ.) ევროპის კოალიციის მიერ, გადასახლებულ იქნა კუნძულ ელბაზე, საიდანაც გამოიქცა და იმეფა „ასი დღე“; ხელმეორედ გადასახლებულ იქნა წმ. ელენეს კუნძულზე, გარდაიცვალა იქვე. — **ნაპოლეონის კოდექსი**—1) ნაპოლეონ I-ის დროს (1804) დამუშავებული და შემოღებული სამოქალაქო კანონმდებლობა, — მოქმედობს დღესაც; 2) ნ ა პ ო ლ ე ო ნ III (1808-73)—საფრ. რესპუბლიკის პრეზიდენტი თებერვლის რევოლუციის (იხ. 1) შემდეგ, იმპერატორი 1852 წლიდან; ტყვედ წაყვანილი საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ს ე დ ა ნ-თან (1870), გაძევებულ იქნა საფრანგეთიდან. — **ნაპოლეონიზმ-ი** — ნაპოლეონთა ჯვარეულობისა და მათი პოლიტიკის მომხრეობა.

**ნარატივუს-ი** ან **ნარატივ-ი** (ლათ. narrare-საგან „მოთხრობა“), გრამატიკაში: 1) მოთხრობითი (ბრუნვა); 2) თხრობითი კილო (ზმნისა), იხ. მოდუსი.

**ნარდ-ი**, ინდ.-ებრ.-ევროპ.: 1) ბერძ. nárdos — სურნელოვან-ძირიანი მცენარე; მისი ძირისაგან დამზადებული სურნელოვანი ნივთიერება: 2) ცნობილი სათამაშო (ქართულში სპარსულიდან).

**ნართები** (მრავლ., ოსური?), საგმირო ეპოსის გმირები ჩრდილო-კავკასელებში, განსაკუთრებით — ოსებსა და ყაბარდოელებში; თქმულებებში ნართების შესახებ წარმოადგენენ მთელს ციკლს.

**ნარზან-ი**, კავკ., ნახშირ-მჟავის შემცველი სამკურნალო წყალი კისლოვოდსკ-ში.

**ნარკოზ-ი** (ბერძ. nárkē-საგან „გაშეშება, ძილის ძლიერი სურვილი"), ხელოვნური საშუალებებით (ეთერით, ოპიუმით, ჰაშიშით და სხვ.) გამოწვეული უგრძნობლობა, გაბრუებულობა; თვით ასეთი საშუალებანი. — **ნარკომანია** (იხ. მანია) — ასეთ საშუალებათა ხმარებისადმი (სასიამოვნო აღძვრის მიზნით) ავადმყოფური მიდრეკილება; **ნარკომან-ი** — ნარკომანიით შეპყრობილი. — **ნარკოტიზაცია**, **ნარკოტიზირება** — ნარკოზის გამოწვევა, დაძინება. — **ნარკოტიკა** — გამაბრუებელი, ნარკოზის გამომწვევი საშუალებანი. — **ნარკოტიკული საშუალებანი** — ქლოროფორმი, ეთერი და სხვ., — იხმარება მედიცინაში უმტკივნეულო ოპერაციების საწარმოებლად; ოპიუმი, მორფიუმი და სხვ. — ტკივილის გასაყუჩებლად. — **ნარკოტინ-ი** — შხამიანი ნივთიერება, ოპიუმის ერთი ალკალოიდთაგანი.

**ნარკომატ-ი** — სახალხო კომისარიატის შემოკლებული სახელწოდება რუსულად; აგრეთვე — **ნარკომ-ი**: სახალხო კომისარი.

**ნაროდნიკობა**, რუს. („ხალხოსნურობა"), საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმდინარეობა რუსეთში 19 საუკ. მეორე ნახევარში, — მის მეთაურთა (ნაროდნიკების) აზრით, რუსეთში არსებული თემობრივი მიწათმფლობელობა საშუალებას აძლევდა კაპიტალისტური განვითარების გვერდის ახვევისას და უშუალოდ სოციალისტურ კომუნაში გადასვლისას; მათი ტაქტიკა — სოციალიზმის ქადაგება ინტელიგენციასა და გლეხებში (საქართველოში ნაროდნიკებს ეწოდათ ტეტიათა მოტრფიალენი). — **ნაროდნიკული** — ხალხოსნური, ნაროდნიკობის ხასიათის მქონე.

**ნაროდოვოლცები** (მრავლ., რუს. „Народная воля"-საგან), ნაროდნიკული მოძრაობიდან 1879 წ. წარმოშობილი და პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე შემდგარი სარევოლუციო სოციალისტური პარტია რუსეთში; თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად პარტიამ მიიღო ტერორი (1881 წ. 1 მარტს მოკლეს ალექსანდრე II).

**ნარციზმ-ი**, ბერძ.-ლათ. ხელოვნ. (იხილე ნარცისი), სქესობრივი გრძნობის ნაადრევი განვითარება ბავშში, როცა ამ გრძნობის მატარებელი არ მოითხოვს დაკმაყოფილებას მოპირდაპირე სქესისაგან, არამედ კმაყოფილდება თავისი სხეულის ნაწილების დანახვით ან გალიზიანებით (ავტოეროტიზმი); სქესობრივი გრძნობები თავისი საკუთარი სხეულისადმი (იხ. ფროიდი, ფროიდიზმი).

**ნარცის-ი**, ბერძ.-ლათ. (narcissus): 1) ძვ. ბერძ. მითოლოგიით: ექოს მიერ (იხ.) უიმედოდ შეყვარებული და ამისათვის დასჯილი წარმტაცი სილამაზის ჭაბუკი, რომელიც მოკვდა — წყალში ერთხელ დანახულის თავისი თავის ძებნაში; გადატ. მნიშვნ.: თავის თავზე შეყვარებული ადამიანი; 2) ნარგიზი, — თეთრი და მუქ-ყვითელი ფერის ყვავილებიანი სურნელოვანი ბალის მცენარე.

**ნასიბ-ი**, არაბ., იღბალი, ბედისწერა.

**ნასტურცია** ან **ნასტურციუმ-ი**, ლათ. („ცხვირში შემწუხებელი"), ბალახვარდა, — ამერიკული წარმოშობის ერთგვარი ბალის-მცენარე, იჭმება სალათის და წნილის სახით.

**ნატაცია**, იხ. ნოტაცია.

**ნატივიზმ-ი** (ლათ. nativus-ისაგან „თანდაყოლილი"), ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის თანახმადაც ადამიანს თანდაყოლილი აქვს ზოგიერთი თვისება (მაგ. სივრცის აღქმის უნარი), და არა გამოცდილებით შეძენილი. — **ნატივისტ-ი** — ნატივიზმის მომხრე.

**ნატრ-ი**, ლათ.-ევროპ., ნატრიუმის ჟანგი, — ნატრიუმის შენაერთი მჟავბადთან; **ნატრიუმ-ი** — ვერცხლისებრ-თეთრი რბილი ლითონი, — ჟანგდება ჰაერზე სწრაფად (ქლოროვანი ნატრიუმი წარმოადგენს საჭმელ მარილს).

**ნატურა**, ლათ. („ბუნება"), აქედან: **ნატურალიზაცია** — : 1) ცხოველის ან მცენარის შეგუება უცხო ბუნებასთან; 2) სახელმწიფოს მიერ უცხოელისათვის სრული მოქალაქობრივი უფლებების მინიჭება. — **ნატურალიზმ-ი** —: 1) ეთიკური — ზნეობის აღიარება ბუნებრივი პირობების (და არა იდეალური ნორმების) შედეგად: ზნეობა გამომდინარეობს ადამიანის ინსტიქტიდან, ამიტომ ადამიანი არ უნდა იყოს შებოჭილი საზოგადოების მიერ; 2) ესთეტიკური (კერძოდ — ლიტერატურაში) — ხელოვნებაში (და ლიტერატურაში) ბუნებისა და ცხოვრე-

ბის ზედმიწევნითი სისწორით გამოხატვა; 3) **თეოლოგიური**—ბუნებისა და ღმერთის იგივეობის აღიარება.—4) **სოციოლოგიური**—ისტორიის აღიარება ბუნებრივი პროცესის შედეგად, სადაც ყველაფერი მიზეზობრივად არის შეპირობებული; 5) **ფილოსოფიური**—ბუნების აღიარება ყოველისავე (სულიერისა და ნივთიერისაც) პირველ წყაროდ და ერთადერთ სინამდვილედ; **ნატურალისტ-ი**: — 1) ბუნებისმეტყველი მეცნიერი; 2) ნატურალიზმის მიმდევარი.

**ნატურალური** (იხ. ნატურა), ბუნებრივი, არახელოვნური; ნივთიერი. — **ნატურალური** (ანუ **ნატურით**) **გადასახადი, გასამრჯელო, სარგო** — გადასახადი და სხვ. არა ფულით, არამედ რაიმე საგნით, საქონლით, შრომით და სხვ.; **ნატურალური მეურნეობა** — მეურნეობის ისეთი ფორმა, როდესაც რომელიმე საზოგადოებრივი ერთეული კმაყოფილდება თავისი საკუთარი ნაწარმოებით და თავის ნაწარმოებს ხმარობს მხოლოდ თვითონ (ე. ი. არაა გაცვლა-გამოცვლა) და არაა აგრეთვე შრომის განაწილება.

**ნატურიზმ-ი** (იხ. ნატურა), ბუნების ძალების გაღმერთება.

**ნატურფილოსოფია** (იხ. ნატურა და ფილოსოფია), ბუნების ფილოსოფია, — მეტაფიზიკის დარგი, რომელიც ხსნის ბუნების მოვლენებს არა ცდების გზით, არამედ მჭვრეტელობითად (სპეკულატიურად, იხ.).

**ნატურშჩიკ-ი** (იხ. ნატურა; რუს. დაბოლოებით), ცოცხალი მოდელი (იხ.) ანუ ნიმუში, ე. ი. მამაკაცი, რომელიც უპოზირებს (იხ. პოზირება) მხატვარს ან მოქანდაკეს; **ნატურშჩიცა** — ასეთივე ქალი.

**ნაფტალინ-ი** ან **ნაფთალინ-ი** (ბერძ. naphtha-საგან „ნავთი"), ძლიერ-სუნიანი კრისტალური თეთრი ნივთიერება პაწაწა ფოთლებისა ან ფხვნილის სახით, — მოიპოვება ქვანახშირის ფისისაგან; იხმარება მედიცინაში, ოჯახში (ტანსაცმელის დასაცავად ჩრჩილისაგან) და სხვ.

**ნაშატირ-ი**, არაბ., ნიშადური.

**ნაცია** (ლათ. natio,-onis), ერი. — **ნაციონალიზაცია**:—1) გაეროვნულება, გასახელმწიფოებრივება; 2) კერძო საკუთრების იძულებითი გადაცემა სახელმწიფოს საკუთრებად; **ნაციონალიზირება** — იგივე მოქმედება.—**ნაციონალიზმ-ი**— 1) თავისი ერის თავისებურობათა და ინტერესთა დაცვა, მისი გაერთიანებისა, გაძლიერებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმართული პოლიტიკა; 2) თავისი ერის ღირსებების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენა; 3) სახელმწიფოში გაბატონებული ერის ინტერესებით ხელმძღვანელობა და მცირერიცხოვანი ერების დაჩაგვრა. — **ნაციონალისტ-ი**—ნაციონალიზმის მომხრე.— **ნაციონალისტური** — ნაციონალიზმის ხასიათის მქონე.

**ნაციონალური** (იხ. ნაცია), ეროვნული. — **ნაციონალური გვარდია** — იხ. გვარდია. — **ნაციონალური კონვენტი**, — იხ. კონვენტი. — **ნაციონალური კრება** — საერთოდ: წარმომადგენლობითი საკანონმდებლო კრება; კერძოდ: საფრანგეთში 1789 წ. გენერალური შტატებისაგან (იხ.) წარმოქმნილი დამფუძნებელი კრება; აგრეთვე 1848 წ. რევოლუციის შემდეგი და 1871 წლისა და დამფუძნ. კრებების სახელწოდება. **ნაციონალური სახელოსნოები**—საფრანგეთში: უმუშევართათვის შექმნილი სახელოსნოები, პირველად 1789 წ. (იარსება ცოტა ხანს), მეორედ 1848 წ. დროებითი მთავრობის მიერ ლ უ ი ბ ლ ა ნ-ის (Louis Blanc, 1811-1882) ზეგავლენით (დაიხურა ოთხი თვის შემდეგ).

**ნეანდერთალ-ის რასა** — ეწოდება წინარეისტორიულ რასას (იხ.), რომლის არსებობასაც გულისხმობენ ნ ე ა ნ დ ე რ-ის დაბლობში (პრუსიაში) პოვნილი დოლიქოცეფალური (იხ.) თავის-ქალის მიხედვით.

• **ნეგატივ-ი** (ლათ. ნეგატივუს „უარყოფითი"), ფოტოგრაფიაში: საგნის უკუღმი გამოხატულობა შუქ-მგრძნობიარე ფირფიტაზე; თვით ასეთი ფირფიტა. — **ნეგატიური** — უარყოფითი.

**ნეგლიჟე**, ლათ.-ფრ. (négligé): 1) დაუდევრობა, გარეწრობა; 2) დილის საშინაო ტანსაცმელი.

**ნეგოციანტ-ი** (ლათ. negotians,-ntis „მოვაჭრე"), დიდი სავაჭრო საქმეებისა და შორეულ ქვეყნებთან ამ ნიადაგზე ურთიერთობის მქონე ვაჭარი. — **ნეგოციატორ-ი**: — 1) შუამავალი; 2) ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე ბანკირი. — **ნეგოციაცია**: — 1) შუამავლობა; 2) ფასიანი ქა-

ლოლდების გაყიდვა ან გადაცემა მესამე პირისათვის; ნეგოცირება — იგივე მოქმედება.

ნეგრ-ი (ლათ. niger-ისაგან „შავი", ფრ. nègre), ზანგი, შავკანიანი. — ნეგრიტოსები— (მრავლ.) — ინდოეთისა და დიდი ოკეანის კუნძულებზე ზანგების მსგავსი მცხოვრებნი.

ნევრალგია, ბერძ. ხელოვნ. (neyron „თოკი; ძარღვი, ნერვი", álgos „ტკივილი"), ნერვული ტკივილი სხეულის განსაზღვრულ ადგილას, მაგ. გაციების ნიადაგზე, ჩვეულებრივ, ხანმოკლე. — ნევრასთენია — (ბერ. asthéneia „სისუსტე"), ნერვული სისტემის მოშლილობა გონებრივი ან ფიზიკური დაღლილობის ნიადაგზე, — ხასიათდება, მაგ. უძილობით, ნევრალგიური მოვლენებით, ნებისყოფის დასუსტებით, სასქესო ორგანოების მოშლილობით და სხვ. — ნევრიტ-ი — ნერვული უჯრედის მორჩი, რომელიც ნერვულ აგზნებას ატარებს უჯრედიდან (შეად. დენდრიტი). — ნევრიტ-ი ან ნევრიტის-ი ნერვების ანთება. — ნევროგლია (ბერ. glia „წებო"), ნერვული სისტემის ნერვულ უჯრედთაშორისი შუალედის შემვსები ქსოვილი. ნევროზ-ი ან ნევროზის-ი—ნერვული სისტემის ავადმყოფობა ანატომიურად უჩინარი ცვლილებებისას. — ნევროლოგია — ნერვული სისტემის შემსწავლელი დარგი ანატომიისა.—ნევროპათ-ი (ბერძ. páthos „ტანჯვა") — ნერვებით ავადმყოფი. — ნევროპათია — ნერვული სისტემის ავადმყოფობათა საერთო სახელწოდება ანატომიურად უჩინარი ცვლილებებისას. — ნევროპათოლოგ-ი (იხ. პათოლოგი) — ნერვულ ავადმყოფობათა ექიმი ან მეცნიერი მკვლევარი. — ნევროპათოლოგია — მეცნიერება ნერვულ ავადმყოფობათა შესახებ. — ნევროსკლეროზ-ი (იხ. სკლეროზი) — ნერვული ქსოვილის გამყარება.

ნეირონები (მრავლ. ბერძ. neyron „თოკი, ძარღვი"). ნერვული სისტემის შემადგენელი ძირითადი ელემენტები.

ნეიტრალ-ი (ლათ. neuter-ისაგან „ორში არც ერთი, საშუალო") ან ნეიტრალური: — 1) ნეიტრალიტეტის (იხ.) დამცველი; 2) ქიმიაში: ნეიტრალი ნივთიერება — ისეთი ნივთიერება, რომელიც არ იძლევა არც მჟავა და არც მტუტე რეაქციას. — ნეიტრალიზაცია: — 1) ნეიტრალიტეტის მდგომარეობაში ჩაყენება; 2) ქიმიაში: მჟავა და ტუტე რეაქციების უნარის მოსპობა ხსნარში; 3) საერთოდ — რაიმე თვისების ან მოქმედების მოსპობა. — ნეიტრალიზირება ან ნეიტრალიზება — იგივე მოქმედება. — ნეიტრალიტეტ-ი (გერმ. Neutralität):— 1) ისეთი მდგომარეობა, როდესაც ვინმე მესამე არ ერევა ორთა შუა რაიმე დამოკიდებულობაში; მონაწილობის მიუღებლობა; ჩაურევლობა. მაგ. ესამე პირისა — ორი პირის კამათში, მესამე პარტიისა — ორი პარტიის ბრძოლაში, სახელმწიფოსი — სხვა სახელმწიფოთა ომში და სხვ.; შეიარაღებული ნეიტრალიტეტი — ასე ეწოდება ნეიტრალურის, მაგრამ სამხედრო მოქმედებისათვის მზად მყოფი სახელმწიფოს მდგომარეობას. — ნეიტრალური, იხ. ნეიტრალი, მაგ. ნეიტრალური ან ნეიტრალი ზონა, იხ. ზონა.

ნეკრო- (ბერძ. nekrós „მიცვალებული, მკვდარი, გვამი"), ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს მკვდრის, გვამის და სხ. შესახებ რასმე. მაგ.: ნეკრობიოზ-ი (ბერძ. bios „ცხოვრება") — ცოცხალ ქსოვილთა გაუხრწნელი სიკვდილი. — ნეკროლატრია (ბერძ. latréia „სამსახური"), მიცვალებულთა თაყვანისცემა. — ნეკროლოგ-ი (ბერ. lógos „სიტყვა"...) — 1) წინეთ — გარდაცვალებულთა სია: 2) შემდეგ და ახლა: მოკლე სტატია (გაზეთში, ჟურნალში) ახლად გარდაცვალებულის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. — ნეკროპოლ-ი (ბერძ. polis „ქალაქი") — დიდი სასაფლაოები ძველი ქალაქების მახლობლად. — ნეკროტომია (ბერძ. tomós „მჭრელი") — გვამთ-განკვეთა.

ნეკტ-, იხ. ნექტ-.

ნემეზიდა ან ნემესის-ი, ბერძ. საკ. სახ. („მართებული რისხვა, დასჯა..."), ძველი ბერძნული მითოლოგიით: მართლმსაჯულების ქალ-ღმერთი, მკაცრი სამართლიანობის განსახიერება.

ნეო- (ბერძ. neós „ახალი"). დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს ახალს, განახლებულს.

ნეოვიტალიზმ-ი, ბერძ.-ლათ., ვიტალიზმის (იხ.) ახალი სახე, — განვითარდა 19 საუკ. მეორე ნახევარში, ხსნის სიცოცხლის პროცესებს „სასიცოცხლო ძალების" შესატყვის ძალებზე დაყრდნობით.

**ნეოკათოლიციზმ-ი** — კათოლიციზმის (იხ კათოლიკური) ზოგიერთი დოგმატის უარმყოფელი მიმართულება.

**ნეოკანტიანობა**—კანტის (იხ.) ფილოსოფიიდან გამომდინარე თანამედროვე ფილოსოფიური მიმართულება.

**ნეოკლასიციზმ-ი** — ლიტერატურაში: ზოგადი სახელწოდება ახალ მიმართულებათა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან კლასიციზმის (იხ. 1. 2) განახლებასთან.

**ნეოლით-ი** ანუ **ნეოლითური ეპოქა** (ბერძ. lithos „ქვა"), ქვის საუკუნის გვიანდელი ხანა, როდესაც იხმარებოდა, სხვათა შორის, ლამაზად გათლილი ქვის იარაღები.

**ნეოლოგიზმ-ი** (იხ. ნეო.- ბერძ. lógos „სიტყვა)", ხელოვნურად შექმნილი ახალი სიტყვა ან უცხო ენიდან შემოტანილი გამოთქმა, ჩვეულებრივ — სამწერლობო ენაში.

**ნეოპლატონიზმ-ი** (იხ. ნეო-) — III საუკუნეში ქ. შ. წარმოშობილი ეკლექტიკური (იხ.) ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემებს პ ლ ა ტ ო ნ-ი ს (იხ.) ფილოსოფიაზე დაშყარებით (ყველაზე შესანიშნავი ნეოპლატონიკია პ ლ ო ტ ი ნ-ი, 205 — 270); აქედან: **ნეოპლატონიკ-ი** — ნეოპლატონიზმის მიმდევარი.

**ნეორომანტიზმ-ი** (იხ. ნეო და რომანტიზმი), 19 საუკ. დასასრულისა და 20 საუკ. დასაწყისის მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელიც უახლოვდება 19 საუკ. რომანტიზმს.

**ნეოფიტ-ი** (იხ. ნეო-, ბერძ. phytós „წარმოქმნილი, შობილი"); ახლად სჯულმიღებული, ახალმონათლული.

**ნეოფობია** (იხ. ნეო-, ბერძ. phóbos „შიში, ძრწოლა"), შიში ყოველგვარი განახლებისა, ახალი წესებისა და სხვ.; **ნეოფობ-ი** — ვისაც ეშინია ყოველგვარი განახლებისა.

**ნეპოტიზმ-ი** (ლათ. nepot,-otis-ისაგან „შვილიშვილი"), თავის ნათესავების მფარველობა სამსახურში (მათი სამსახურში მოთავსება, დაუმსახურებლივ წარმატების მიცემა და სხვ.).

**ნეპტუნ-ი**, საკ. სახ.: 1) ძვ. რომაული მითოლოგიით: ზღვათა ღვთაება (უძრის ბერძენთა პოსეიდონს); 2) მზისაგან ყველაზე მეტად დაშორებული პლანეტის სახელწოდება. — **ნეპტუნიზმ-ი**—გეოლოგიური მოძღვრება,—ხსნის დედამიწის ზედაპირის წარმოქმნას წყლის მოქმედებით.

**ნერვ-ი, ნერვები**, ბერძ.-ლათ. (nervus „ძარღვი, კუნთი; ძალა", იხ. ნევრალგია), თავისა და ხერხემლის ტვინის კუნთებთან და გრძნობის ორგანოებთან შემაერთებელი ძაფები. — **ნერვული** — 1) ნერვების ხასიათის მქონე, მათგან ან მათი შეოხებით წარმომდგარი; **ნერვული სისტემა** — ცოცხალი ორგანიზმის იმ ორგანოთა (ტვინისა და ნერვთა) ერთობლიობა, რომელნიც მართავენ მის სასიცოცხლო პროცესებს; **ნერვული ავადმყოფობანი** — ნერვული სისტემის ავადმყოფობანი, ასეთია, მაგ. დამბლა, ჰისტერია (იხ. ისტერია), ნევრასთენია (იხ.), შაკიკი და სხვ.; 2) გადატ. მნიშვნ.: **ნერვული ადამიანი** — ადვილად გასაღიზიანებელი, ფიცხი ადამიანი.

**ნესესერ-ი**, ლათ.-ფრ. (nécessaire „საჭირო აუცილებელი"), პატარა ყუთი — ქალის სახელსაქმო მოწყობილობის ან საპირფარეშო საგნების (სარკისა, სავარცხლისა, დანისა და სხვ.) ჩასაწყობად.

**ნესტორიანები**—ნესტორიანობის მიმდევარნი.

**ნესტორიანობა** — კონსტანტინოპოლის პატრიარქის. ნ ე ს ტ ო რ ი უ ს-ის მიერ (V საუკ.) შექმნილი მოძღვრება, რომლის თანახმადაც მარიამ ქალწული არ იყო მშობელი ღვთისა, არამედ იესო ქრისტეს ადამიანური ბუნების და (ნესტორიანობა, როგორც სექტა, ძალიან გავრცელდა აზიასა და არაბეთში).

**ნეტო** (იტ. netto „სუფთა"): 1) რაიმე საქონლის წმინდა წონა (შეფუთვის გარეშე); 2) წმინდა შემოსავალი (იხ. ბრუტო).

**ნეუტრუმ-ი** (ლათ. „ორში არც ერთი"), გრამატიკაში: საშუალო სქესი.

**ნექტარ-ი**, ბერძ.: 1) მითოლოგიით: ღმერთების სასმელი, უკვდავების წყალი; 2) ნექტარიების მიერ (იხ.) გამოყოფილი ტკბილი წვენი ყვავილებში. — **ნექტარიები** (მრავლ.) — ყვავილის სათაფლე ჯირკვლები.

**ნეფრალგია** (ბერძ. nefrós „თირკმელი", álgos „ტანჯვა), თირკმლების ტკივილი. — **ნეფრიტ-ი** — ერთგვარი მომწვანო მინერალი;

**ნეფრიტ-ი** ან **ნეფრიტის-ი** — თირკმლების ანთება. — **ნეფროტომია** — თირკმელთ-განკვეთა (ქირურგიაში).

**ნიაგარა**, საკ. სახ., ჩრდ.-ამერიკის შესანიშნავ-ჩანჩქერიანი (ნ ი ა გ ა რ ი ს ჩ ა ნ ჩ ქ ე რ ი; 50 მეტრი სიმაღ.) მდინარე.

**ნიბელუნგები** (მრავლ., გერმ. Nibelungen): 1) საკ. სახელი აურაცხელი განძის მფლობელის ზღაპრული ჯუჯა-ხალხისა რეინის ნაპირებზე („ნისლის ანუ ბნელეთის შთამომავლობა"); 2) „სიმღერა ნიბელუნგთა შესახებ" (Nibelungenlied), გერმანელთა შესანიშნავი ეპოსი (დაწერილია 12 საუკ. გასულს).

**ნიგილ-**, იხ. ნიჰილ-.

**ნიგროზინ-ი**, ხელოვნ. (ლათ. niger-ისაგან „შავი"), ერთგვარი შავი საღებავი.

**ნიგრომანტია**, ლათ.-ბერძ. (niger „შავი", mantéia „წინასწარმეტყველება"), ჯადოსნობა ბოროტი სულების შემწეობით (იხ. მაგია).

**ნიველირ-ი** (ფრ. niveleur, niveau-საგან „დონე"), დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა წერტილთა შეფარდებითი სიმაღლის გამოსაკვლევი ხელსაწყო; აქედან: **ნიველირება** — :1) ასეთი სიმაღლის კვლევა; 2) ერთ დონეზე დაყენება, დონე-სწორება.

**ნივოზ-ი**, ლათ.-ფრ. („თოვლის თვე"), მეოთხე თვე საფრანგ. რესპუბლიკური კალენდრით (22 დეკ. — 22 იანვარ.).

**ნიზამ-ი**, არაბ., მუდმივი (რეგულარული) არმია ოსმალეთში.

**ნიკეის კრება**—ქ. ნ ი კ ე ა-ში (მცირე აზიაში) მომხდარი: 1) პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება 325 წ., — მან დაგმო არიუსის მოძღვრება (იხ. არიანიზმი) და დაადგინა სიმბოლო სარწმუნოებისა; 2) მეორე — 787 წ., — მან დაგმო ხატთ-მებრძოლობა.

**ნიკელ-ი**, ევროპ., ქიმიური ელემენტი. — ვერცხლებრ-თეთრი ძნელსადნობი ლითონი (სახელწოდება — შემთხვევითია); აქედან **ნიკელირება** — მონიკელება.

**ნიკოტინ-ი**, ევროპ., თამბაქოს ალკალოიდი, ძლიერ შხამიანი ნივთიერება (სახელწოდება — საფრანგეთში პირველად 16 საუკ. თამბაქოს შემომტანის Nicot-ისაგან).

**ნიკს-**, **ნიკტ-**, იხ. ნიქს-, ნიქტ-.

**ნიმბ-ი** (ლათ. nimbus „ნისლი, ღრუბელი"), შარავანდი, — ნათელი წრე გმირისა და ღვთაების სურათის გარშემო ძველად (ქრისტიანულ მხატვრობაში — თავის გარშემო).

**ნიმფა**, **ნიმფები** (ბერძ. nymphē „ქალწული, ასული"), ძვ. ბერძნული მითოლოგიით: მეორეხარისხოვანი ქალ-ღმერთები, მაგ. მთებისა (ორეადები), მდინარეებისა (ნაიადები), ტყეებისა (დრიადები) და ბუნების სხვა ძალების განმასახიერებელი ქალწულები. — **ნიმფომანია** (იხ. მანია)—ქალის ავადმყოფური ვნებიერობა („საშვილოსნოს სიშმაგე").

**ნიობა** ან **ნიობე**, ბერძ. საკ. სახ., ძვ. ბერძნული მითოლოგიით: თება ქალაქის მეფის ა მ ფ ი ო ნ ი ს მეუღლე, გაამაყებული შვიდი ვაჟისა და შვიდი ქალის დედობის გამო; დასჯის სახით აპოლონმა 14-ვე ისრით გაუგმირა, თვითონ კი მწუხარებისაგან გაქვავდა — იქცა ქანდაკებად.

**ნიპელ-ი** ან **ნიპლ-ი** (ინგლ. nipple „ძუძუ, ცური"): 1) ფიზიკაში: გამტარი მაიზოლირებელი ლითონის მომჭერი ელექტრულ ნათურებში; 2) ტექნიკაში: ხრახნილ-ნაჭდევებიანი ლითონის მილი, — იხმარება სხვადასხვა მილების შესაერთებლად.

**ნირვანა**, სანსკრ. („სიცოცხლის ჩაქრობა"), ბუდდჰის მოძღვრებით (იხ. ბუდიზმ-ი): ადამიანის სრული შერწყმა ბუნებასთან, სულის აბსოლუტური სიმშვიდე — ეს უნდა იყოს ადამიანის მიზანი; სრული ნირვანა მიიღწევა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ.

**ნისტაგმ-ი** ან **ნისტაქსის-ი** (ბერძ. nistázein „თავის დახრა, ძილი"), თვალის კაკლის უნებური კრუნჩხვითი თრთოლა. — უჩნდებათ ბნელაში მომუშავეებს და მკერვლებს.

**ნიტრატები** (მრავლ., ბერძ. nitron-ისაგან „გვარჯილა"). ქიმიაში: აზოტ-მჟავა მარილები.

**ნიტრობენზოლ-ი** — ხელოვნურად მომზადებული მწარე-ნუშის სუნიანი ზეთი. — **ნიტრაცია** — ორგანულ ნივთიერებათა დამუშავება აზოტ-მჟავით. — **ნიტროგენ-ი** — იგივეა, რაც აზოტი. — **ნიტროგლიცერინ-ი** (იხ. გლიცერინი)—აფეთქებადი ნივთიერება, მიიღება აზოტის მჟავის გლიცერინზე მოქმედებით; იხმარება ტექნიკასა და მედიცინაში (იხ. დინამიტი). — **ნიტროკალციტ-ი** (იხ. კალცი) — კალციუმის გვარჯილა — **ნიტროლეუმ-ი** — იგივეა, რაც ნიტროგლიცე-

რინი. — **ნიტრომეტრ-ი** — მჟავბადოვან შენაერთებში შეცული აზოტის გამომრკვევი ხელსაწყო. — **ნიტრონაფთალინ-ი** (იხ. ნაფთალინი) — აზოტის მჟავით ნაფთალინის დამუშავების პროდუქტი, — იხმარება საღებავების დასამზადებლად და ასაფეთქებელ ნივთიერებათათვის.

**ნიუანს-ი**, იხ. ნუანსი.

**ნიუტონ-ი**, ისააკ (Newton, Isaac, 1642—1727), გენიალური ინგლისელი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი; მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმომჩენი, ანალიტიკური მექანიკისა და თეორიული ასტრონომიის საფუძვლების ჩამყრელი და სხვ.

**ნიქსები** (მრავლ., გერმ.), ჩრდ. გერმანულ მითოლოგიით: წყლის ბოროტი სულები.

**ნიქტოფიტები** (მრავლ., ბერძ. nyx, nykfós „ღამე", phytón „მცენარე"), მცენარეები, რომელნიც იშლებიან და სასიამოვნო სუნს იძლევიან მხოლოდ ღამით. — **ნიქტალოპია ან ნიქტალოპს-ი** (ბერძ. ópsis „მხედველობა") — თვალის ისეთი ავადმყოფობა, როცა ავადმყოფი ღამით უკეთ ხედავს, ვიდრე დღისით.

**ნიშა ან ნიშ-ი** (ფრ. niche), წალო: ხუროთმოძღვრებაში — გამოღრმავებული ადგილი კედელში რისამე (ქანდაკებისა, ავეჯეულობისა და სხვ.) შესადგმელად.

**ნიცშე**, ფრ. Nietzsche, Fr., 1844—1900). განთქმული გერმანელი ფილოსოფოსი, რომლის მოძღვრებასაც ახასიათებს უკიდურესი ინდივიდუალიზმი; ნ ი ც შ ე სასტიკად აკრიტიკებს თანამედროვე კაცობრიობის მორალს და აიდეალებს მძლავრ (სულიერად და ფიზიკურად) პიროვნებას („ზეკაცს"—Übermensch), რომელიც ანგარიშს არ უწევს საზოგადოებრივ წესებს; **ნიცშეანობამ** — ნიცშეს მოძღვრებამ — გავლენა მოიპოვა ახალ ლიტერატურაში.

**ნიჰილიზმ-ი** (ლათ. nihil-საგან „არაფერი"): 1) 12 საუკ. ერესი დასავლ. ევროპაში, — უარყოფდა ქრისტეში ადამიანურ ბუნებას; 2) ფილოსოფიაში: სინამდვილის უარმყოფელი ყოველგვარი მოძღვრება; 3) რუსეთში 19 საუკუნის 60-იანი წლების საზოგადოებრივი მიმდინარეობა, უარყოფდა საზოგადოებრივი ცხოვრების არსებულ საფუძვლებს; გამოხატულია ტ უ რ გ ე ნ ე ვ-ის (იხ.) რომანში „მამები და შვილები" ბაზაროვის სახით; 4) დასავლ. ევროპაში: რუსეთის სარევოლუციო მოძრაობათა სახელწოდება. — აქედან: **ნიჰილისტ-ი** — ნიჰილიზმის მიმდევარი.

**ნობელ-ი**, ალფრედ (Nobel, Alfred, 1833—1896), შვეციელი ინჟენერი ქიმიკოსი. დინამიტის გამომგონი, — მან დააწესა სიკვდილის წინ ნობელ-ის პრემია — ყოველწლიური ჯილდო სამეცნიერო, სალიტერატურო და სხვ. საუკეთესო ნაწარმოებისა და აღმოჩენისათვის.

**ნობილები** (მრავლ., ლათ. nobiles): 1) წარჩინებულ გვარეულობათა წევრები ძველ რომში; 2) ვენეციის რესპუბლიკის უმაღლესი წოდების წევრები. — **ნობილიტეტ-ი** — საერთოდ წარჩინებული. წოდება.

**ნოვატორ-ი**, ლათ., რაიმე დარგში ახლის შემომღები, არსებულის გარდამქმნელი პირი.

**ნოველა** (იტ. novella „ახალი"): 1) მარტივშინაარსიანი პატარა მოთხრობა; 2) ძველის შემვსები ან ნაწილობრივ შემცვლელი ახალი კანონი. — **ნოველისტ-ი** — ნოველების (იხ. 1) მწერალი.

**ნოზოგენეზის-ი ან ნოზოგენია** (ბერძ. nósos „ავადმყოფობა", იხ. გენეზისი). ავადმყოფობის წარმოშობა და განვითარება. — **ნოზოგრაფია** — ავადმყოფობის აღწერა.

**ნოკტ-**, იხ. ნოქტ-.

**ნოლ-ი**, იხ. ნული.

**ნომა** (ბერძ. nomé „საძოვარი"), მედიცინაში: ლოყის ლორწოიანი გარსის განგრენა.

**ნომად-ი, ნომადები** (ბერძ. nomás,-ádos „მოხეტიალე"), მომთაბარე ხალხი.

**ნომარქ-ი** (ბერძ. nómos „საძოვარი". archós „უფროსი, ბელადი"), ნომის (იხ. ნომი) უფროსი.

**ნომენ-ი**, ლათ., სახელი (გრამატიკაში).

**ნომენკლატურა**, ლათ. („დასახელება"), სახელწოდებათა ნუსხა (სია) ამა თუ იმ დარგში (მეცნიერებაში, ტექნიკაში, წარმოებაში და სხ.).

**ნომერ-ი ან ნუმერ-ი** (ლათ. numerus „რიცხვი"); 1) ამა თუ იმ საგნის რიგის მაჩვენებელი რიცხვი სხვა საგანთა შორის; 2) ოთახი სასტუმროში; 3) გაზეთის ან ჟურნალის განსაზღვრულ დროს (დღეს, თვეს...) გამოშვებული

ცალი. — **დანომვრა** — რაიმე საგანზე ნომრის (1) აღნიშვნა. — **ნომერაცია.** იხ. ნუმერაცია.

**ნომ-ი**, ბერძ.: 1) nomós „ოლქი" — ადმინისტრაციული ერთეული ძვ. ეგვიპტეში; 2) nómos „ჩვეულება, დადგენილება, მუსიკა" — ღმერთის საპატივცემო სიმღერა ძვ. საბერძნეთში.

**ნომინალიზმ-ი** (ლათ. nomen.-inis-საგან „სახელი"). საშ. საუკუნეების ფილოსოფიური მიმდინარეობა,—უარყოფდა ზოგადი ცნებების შესატყვისი რისამე არსებობას სინამდვილეში და ამტკიცებდა ყოველი სინამდვილის ინდივიდუალურობას (მისი წარმომადგენელია რ ო ს ც ე ლ ი ნ უ ს-ი, 11 საუკ.); **ნომინალისტ-ი** — ნომინალიზმის მიმდევარი.

**ნომინალური ან ნომინალ-ი** (ლათ. nominaris „დასახელებითი"): 1) არსებული ან მოქმედი მხოლოდ სახელით (და არა სინამდვილეში); 2) დარქმეული ან დასახელებითი ფასი (და არა საბაზრო ან კურსის მიხედვით).

**ნომოგრაფ-ი** (იხ. ნომი, ბერძ. graphein „წერა"), კანონების დამწერი. — შემკრები; **ნომოგრაფია** — კანონების წერა. — **ნომოკანონ-ი** — ეკლესიის შესახები საეკლესიო და სამოქალაქო კანონთა კრებული. — **ნომოთეტ-ი** (ბერ. tithêmi „ვდებ") — კანონმდებელი.

**ნონა** (ლათ. nonus, a, um „მეცხრე"), მუსიკაში: ჟამის მეცხრე საფეხური.—**ნონეტ-ი** (იტ. nonetto), ცხრა ხმისა ან ინსტრუმენტისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები. — **ნონიდი**, ფრ.. დეკადის (იხ.) მეცხრე დღე საფრანგეთში.

**ნონიუს-ი** — მაშტაბის ან წრის ნაწილების უმცირეს დაყოფათა საზომი ხელსაწყო; სახელწოდება პორტუგ. მეცნიერის ნ ო ნ ი უ ს-ისაგან (1492 — 1577); ამავე ხელსაწყოს უწოდებენ ვ ე რ ნ ი ე-ს (აგრეთვე გამომგონის გვარია, 1580 — 1537).

**ნონპარელ-ი** (ფრ. nonpareil „შეუდარებელი"). ძალიან წვრილი სასტამბო შრიფტი.

**ნონები** (მრავლ., ლათ. nonae „მეცხრეები"), ძვ. რომში: მეშვიდე დღე მარტისა, მაისსა, ივნისსა და ოქტომბერში; მეხუთე — დანარჩენ თვეებში (უწევდა იდების მეცხრე დღეს).

**ნორდ-ი**, გერმ., ჩრდილოეთი; აქედან **ნორდვესტ-ი** (იხ. ვესტ-) — ჩრდილო-დასავლეთი ან ჩრდილოდასავლური ქარი; **ნორდოსტ-ი** (იხ. ოსტ-)—ჩრდილო-აღმოსავლეთი ან ასეთი ქარი.

**ნორმა**, ლათ., წესი, ნიმუში; ზუსტი საზომი. — **ნორმალური ან ნორმალ-ი**—წესიერი, სანიმუშო; წესის ან ნიმუშის შესაფერი, მასთან შეთანხმებული.

**ნორმანები** (მრავლ., გერმ. Normannen „ჩრდილოელები"), საშ. საუკუნეებში: სკანდინავიის მცხოვრებნი, — გამბედავი მეზღვაურები, თავს ესხმოდენ ხშირად ევროპის ნაპირებს; ფლობდენ 11 საუკ. ინგლისს (ხანმოკლედ); რუსეთში ცნობილი არიან ვ ა რ ი ა გ ე ბ ი ს სახელით (იხ.).

**ნორმატიული ან ნორმატივ-ი**, ლათ.-ფრ. (იხ. ნორმა), ნორმების ან წესების დამდგენი; ნორმის ხასიათის მქონე; **ნორმატიული მეცნიერებანი** — მაგ. ლოღიკა და ეთიკა, რომელნიც, სათანადო მოვლენათა კვლევის გარდა, ადგენენ აზროვნებისა და მოქმედების ნორმებს.

**ნორმირება**, ლათ.-ევროპ. (გერმ. normieren, იხ. ნორმა), რაიმე მოქმედებისათვის წესების დადგენა; მოწესრიგება.

**ნოხო-**, იხ. ნოზო-.

**ნოსტალგია** (ბერძ. nóstos „შინდაბრუნება", álgos „ტკივილი", „მწუხარება"), ავადმყოფური სევდა სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო. — **ნოსტომანია** (იხ. მანია) — იგივეა, რაც ნოსტალგია.

**ნოტა ან ნოტ-ი**, ლათ.: 1) მუსიკაში: ტონის პირობითი ნიშანი, თვით ტონი; 2) **ნოტა** — დიპლომატური მიმართვა ერთი მთავრობისა მეორესადმი რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამო.

**ნოტაბლ-ი, ნოტაბლები** (ლათ.-ფრ. notable „შესამჩნევი, წარჩინებული"). სამი წოდების (სამღვდ., აზნაურთა და მესამე წოდების) სათათბირო დაწესებულება რევოლუციამდე საფრანგეთში.

**ნოტარიუს-ი**, ლათ. („სწრაფად მწერალი"), სხვადასხვაგვარი მოწმობებისა, აქტებისა და ხელშეკრულობათა შემდგენელი ან დამმოწმებელი თანამდებობის პირი. — აქედან: **ნოტარიალური ან ნოტარიალ-ი** — ნოტარიუსის მიერ დამოწმებული, მაგ. **ნოტარიალ-ი აქტი** — იურიდიული ძალის მქონე წერილობითი საბუთი (შინაურ აქტთან დაპირისპირებით). — **ნოტარიატ-ი**

— იურიდიული აქტების შემსრულებელი და დამმოწმებელი თანამდებობის პირები და დაწესებულებანი.

**ნოტაცია** (ლათ. notatio „აღნიშვნა, დაგმობა"). შენიშვნის მიცემა; დარიგება.

**„ნოტ"-ი** — შრომის მეცნიერული ორგანიზაცია (რუსული სახელწოდების პირველი ასოები: Н. О. Т.). — მისი მიზანია გამოიმუშაოს სხვადასხვაგვარი შრომისათვის ისეთი სამომჭირნეო ხერხი და წესები, რომლის წყალობითაც უმცირესი ძალის დახარჯვით მიღწეულ იქნეს უდიდესი შედეგები.

**ნოტიფიკაცია** (ლათ. notus „ცნობილი" და facere-საგან „კეთება, ქმნა"), ერთი სახელმწიფოს მიერ მეორესათვის რაიმე მნიშვნელოვანი განზრახულების ოფიციალურად შეტყობინება; **ნოტიფიცირება** — იგივე მოქმედება.

**ნოტოგრაფ-ი** (იხ. ნოტა, 1), ფორტეპიანოზე შესრულებული რისამე ჩამწერი ხელსაწყო.

**ნოუმენ-ი**, იხ. ნუმენ-ი.

**ნოქტამბულიზმ-ი** (ლათ. nox. noctis „ღამე". ambulare „სიარული"), იგივეა, რაც სომნამბულიზმი (იხ.).

**ნოქტურნ-ი** (ლათ. nocturnus „საღამური, ღამისა"): 1) ოცნების ხასიათის მქონე ნაზი მუსიკალური პიესა; 2) კათოლიკეთა ეკლესიაში: მწუხრის საგალობელი; 3) ღამის მომენტების გამომსახველი მხატვრობა.

**ნუაიად-ი** (ფრ. noyade „წყალში დახრჩობა"). პოლიტიკურ დამნაშავეთა (კონტრ-რევოლუციონერთა) წყალში დახრჩობა საფრანგ. დიდი რევოლუციის ხანაში.

**ნუანს-ი** (ფრ. nuance), ოდნავი განსხვავება; იერი, ელფერი (ტონისა, ფერისა, მეტყველებისა და სხვ.); აქედან: **ნუანსირება**—ნუანსის მოხდენა ოდნავი განსხვავების შექმნა.

**ნუგა** (ფრ. nougat), ნუშისა ან კაკლისაგან დამზადებული ტკბილეული.

**ნულ-ი** (ლათ. nullus „არცერთი, უმნიშვნელო, არავინ"): 1) მათემატიკური ნიშანი, — აღნიშნავს არყოფნას ციფრთა იმ რიგისას (ერთეულისას. ათეულისას და სხვ.), რომლის ადგილას იგი (ნული) ზის; 2) ფიზიკაში: რამე ხელსაწყოს დაყოფათა დასაწყისი წერტილი (მაგ. ნ უ ლ ი ს წ ე რ ტ ი ლ ი თერმომეტრზე გაყინვის წერტილი); 3) გადატ. მნიშვნ.: არარაობა, სრულიად უმნიშვნელო.

**ნუმენ-ი** (ბერძ. noumenon „აზრით წარმოსადგენი", noein-ისაგან „შენიშვნა, გაგება, ფიქრი"...). ფილოსოფიაში: საგნის მხოლოდ გონებით (და არა ცდით) მისაწვდომი არსი (დაპირისპირდება ფენომენს, იხ.).

**ნუმერაცია** (იხ. ნომერი): 1) არითმეტიკის ნაწილი: ყოველგვარ რიცხვთა აღნიშვნის წესები რაოდენობის ნიშანთა (ციფრების) საშუალებით; 2) სიტყვიერი ან წერილობითი ჩამოთვლა; 3) ერთნაირ საგანთა აღნიშვნა თანამიმდევრობითი ნომრებით. — **ნუმერირება** — ნუმერაციის მოხდენა, დანომრვა; **ნუმერ-ი** — იგივეა, რაც ნომერი.

**ნუმიზმატიკა**, ბერძ.-ლათ. (numisma,-atis-საგან „მონეტა"). მეცნიერება ძველი მონეტების (ფულის ნიშნების) და მედლების შესახებ, — იკვლევს მათ ტექნიკურისა, მხატვრულისა და ისტორიულის თვალსაზრისით, როგორც კულტურის ისტორიის ძეგლებს. — **ნუმიზმატ-ი** — ძველ მონეტებისა და მედლების შემკრები და მეცნიერულად შემსწავლელი. — **ნუმიზმატიკური** — ნუმიზმატიკის ხასიათის მქონე.; **სანუმიზმატიკო** — ნუმიზმატიკისათვის განკუთვნილი მაგ. **სანუმიზმატიკო** კაბინეტი.

**ნუნცი** ან **ნუნციუს-ი**, ლათ. („მაუწყებელი"), რომის პაპის ელჩი. **ნუნციატურა** — : 1) ნუნცის თანამდებობა; 2) მისი ადგილსამყოფელი (მაგ. პარიზის ნუნციატურა).

**ნუტაცია** (ლათ. nutatio „დახრა, რყევა"): 1) დედამიწის ღერძის პერიოდული რყევა — მთვარის მიზიდულობის გამო; 2) ბოტანიკაში: მცენარეთა მზისაკენ შებრუნება; 3) მედიცინაში: უნებური მოძრაობა თავისა.

# Ო

**ოაზის-ი**, ბერძ.: 1) მცენარეულობით შემოსილი პატარა მიწა უდაბნოში; 2) გადატ. მნიშ.: საამური ადგილი ან ამბავი მრავალ უსიამოვნოთა შორის.

**ობდუქცია** (ლათ. obducere-საგან „დახურვა, გახსნა, გაღება"), გვამის განკვეთა გამოკვლევის მიზნით; **ობდუცირება** — იგივე მოქმედება.

**ობელისკ-ი** (ბერძ. obeliskos „მწვეტიანი სარი; შამფური"), ეგვიპტეში: ოთხწახნაგა მაღალი (45 მეტრამდე), მთლიანი ქვისაგან გათლილი და ბოლოში წაწვეტილი სვეტი, ჩვეულებრივ—წარწერებით,—წარმოადგენდა ძეგლს.

**ობერ-**, გერმ. („ზედა"), ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს უფროსს, მთავარს, მაგ.: **ობერკონდუქტორ-ი** — უფროსი კონდუქტორი (იხ.); **ობეროფიცერ-ი** — უფროსი ოფიცერი (იხ.); **ობერჰოფმეისტერ-ი** — კარისკაცთა უფროსი სასახლეში და სხვ.

**ობერონ-ი**, გერმ.-ფრ.: 1) ელფების (იხ.) მეფე; 2) ურანოს პლანეტის ერთერთი თანამგზავრი.

**ობერტონები** (მრავლ., იხ. ობერ და ტონი), თანატონები, — ფიზიკასა და მუსიკაში: ძირითადი ტონის დამატებითი (ჩვეულებრივ—უფრო მაღალი) ტონები, რომელნიც ჰქმნიან ბგერის ტემბრს (იხ.).

**ობვენცია** (ლათ. obvenire-საგან „შეხვედრა, დახმარება"), ნებაყოფლობითი გადასახადი ეკლესიის სასარგებლოდ.

**ობიექტ-ი** (ლათ. obiectus „წინგდებული ან წინდებული; გამოჩინებული; საგანი"): 1) საგანი ან მოვლენა, რომელიც აღიქმება ან იაზროვნება; შესწავლის ანუ დაკვირვების საგანი; 2) გრამატიკაში: დამატება (უპირისპირდება სუბიექტს — აღმქმელს, მოაზროვნეს, შემსწავლელს, ქვემდებარეს). — აქედან: **ობიექტივაცია, ობიექტივირება**: 1) სუბიექტს გარეშე დაყენება; ჩვენი ცნობიერების ზოგიერთი მოვლენის ჩვენს გარეშე არსებულად აღიარება; 2) რისთვისმე ობიექტურობის მონიჭება; რაიმე საგნის ან მოვლენის მიუდგომლად შესწავლა. — **ობიექტივ-ი** — სხვადასხვა მოწყობილობის (მიკროსკოპის, საფოტოგრაფიო აპარატის და სხვ.) ოპტიკური მინა, რომელიც მიმართულია დაკვირვების საგნისაკენ. — **ობიექტივიზმ-ი** — რაიმე საგნის ან მოვლენის დაფასება მიუდგომლად, წინასწარ აღებული აზრის ან პირადი განწყობილების გარეშე (უპირისპირდება სუბიექტივიზმს). — **ობიექტიობა** — საგნის ან მოვლენის ჩვენს გარეშე არსებული თავისთავადი თვისებანი. — **ობიექტიური** — : 1) ჩვენს გარეშე არსებული, ნამდვილი; 2) მიუდგომელი; 3) გრამატიკაში: ობიექტური პრეფიქსი — დამატების მაჩვენებელი თავსართი ზმნაში. — **ობიექტიურობა** — მიუდგომლობა.

**„ობივატელ"-ი** (რუს. обыватель „მუდმივი მცხოვრები მესაკუთრე"), ვიწრო პირადი ინტერესებით გამსჭვალული ადამიანი, რომელიც ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას აფასებს მხოლოდ თავისი კეთილ-ცხოვრების თვალსაზრისით.

**ობლატკა** (რუს. დაბოლოებით) ან **ობლატ-ი** (ლათ. oblatus „მიტანილი", იგულისხმე პური): 1) კათოლიკებსა და ლუთერანებში: პატარა მრგვალი საზიარებელი ხმიადი; 2) არასასიამოვნო წამლის მისაღები აფსკა (იხ. კაპსული).

**ობლიგაცია** (ლათ. obligatio „შეკრულობა, დაბმულობა; ვალდებულობა"), ფასიანი ქაღალდი, — წარმოადგენს კერძო ან სახელმწიფო სავალო ვალდებულობას და შემოაქვს განსაზღვრული ურყევი შემოსავალი (განსხვავდება აქციისაგან, რომლის შემოსავალიც მერყეობს, იხ. აქცია); აქედან: **ობლიგაციონერი** — ობლიგაციის პატრონი, მფლობელი.

**ობლიტერაცია** (ლათ. obliterare-საგან „ასოს ამოშლა"), მედიცინაში: სხეულის ღრუების დახურვა შეზრდის გამო.

**ობოე** ან **ობოა** (ფრ. hautbois „მაღალი ხე"), ხისაგან გაკეთებული შთასაბერი სამუსიკო ინსტრუმენტი; **ობოისტ-ი** — ობოის დამკვრელი.

**ობოლ-ი** (ბერძ. obolós), ძველი ბერძნული მონეტა — დრაქმის 1/6, უდრიდა დაახლ. 6 კაპ.

**„ობორონეც-ი, ობორონცები“**, რუს. („თავდამცველნი“) — ასე ეწოდა რუსულად საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის მემარჯვენე მიმდინარეობას, რომელიც 1914 — 18 წწ. ომის დროს ემხრობოდა თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან შეთანხმებას — სამშობლოს დაცვის მიზნით.

**ობროგაცია** (ლათ. obrogatio „დაკითხვა“), კანონის გაუქმების ან შეცვლის შესახებ წინადადების შეტანა.

**ობრუსა**, ბერძ.-ლათ. (obrussa), ოქროს გასინჯვა ცეცხლზე.

**ობსერვატორია** (ლათ. observare-საგან „თვალდევნება, დაკვირვება“), ასტრონომიულ, მეტეოროლოგიურ და ფიზიკურ დაკვირვებათა საწარმოებელი საგანგებო დაწესებულება.—**ობსერვაცია** — დაკვირვება; **ობსერვაციული** — დაკვირვებითი; **საობსერვაციო** — სადამკვირებლო, მაგ. საობსერვაციო კორპუსი — მტრის მოძრაობათა თვალისმდევნებელი ნაწილი არმიისა.

**ობსიდიან-ი** — მინერალოგიაში: ნაირფერიანი ვულკანური მიწა,—წარმოადგენს ძალიან მაგარ მინერალს (სახელწოდება რომაელი ო ბ ს ი დ ი უ ს-ისაგან, რომელმაც პირველად მოიტანა იგი რომში).

**ობსკურანტ-ი** (ლათ. obscurare-საგან „დაბნელება“), ხალხის განათლების მტერი; ობსკურანტიზმის მომხრე. — **ობსკურანტიზმ-ი**—მტრობა ხალხის განათლებისა და ყოველგვარი გონებრივი წარმატებისადმი.

**ობსტრუქცია** (ლათ. obstructio „ჩამოფარება; დაბრკოლება“): 1) მედიცინაში: სხეულის მილებში სხვადასხვა წვენის ავადმყოფური დაგროვება, შეჩერება; ტანშეკრულობა, ყაბზობა; 2) კრებებზე: ბრძოლის ერთგვარი ხერხი — კრების ერთი ნაწილის მიერ დაბრკოლების შექმნა (კამათის განზრახ გაგრძელება, ხმაური და სხვ.) მოწინააღმდეგე ნაწილის მიმართ; ესაა აქტიური ობსტრუქცია, ხოლო პასიური ობსტრუქცია — კრების ერთი ნაწილის მიერ სხდომის მიტოვება კენჭის ყრის დროს — კვორუმის დაშლის მიზნით; ქიმიური ობსტრუქცია — მყრალ-სუნიანი სითხის დაღვრა კრების, ლექციის და სხვ. ჩასაშლელად. — **ობსტრუქციონიზმ-ი** — საპარლამენტო ბრძოლის ტაქტიკა, აქტიური ან პასიური ობსტრუქციის გამოყენება; **ობსტრუქციონისტ-ი** —ობსტრუქციის მონაწილე ან მომხრე.

**ობტურატორ-ი** (ლათ. obturare-საგან „დაკობა, დაცმა“), მედიცინაში — სასის დეფექტის დასაფარავი ლითონის ან კაუჩუკის მოწყობილობა.

**ობშლაგ-ი** (ჰოლანდ. opslàg; ქართულში რუსულიდან), გადანაკეცი სახელოზე ან კალთაზე.

**ოდა** (ბერძ. ôdê „სიმღერა, საგალობელი“): 1) ძველ საბერძნეთში: გუნდის სამღერი ლირიკული ლექსი; 2) შემდეგ: ლირიკული პოეზიის ერთი ფორმა, — ვისიმე ან რაიმე მომხდარი ამბის აღფრთოვანებული გრძნობებით და საზეიმო გამოთქმებით შექების შემცველი.

**ოდალისკ-ი**, თურქ., ტყვე ქალი ჰარამხანაში, კერძოდ — სულტანის ხასა მის ჰარამხანაში.

**ოდეკოლონ-ი** (ფრ. eau de Cologne „კოლნის წყალი“, ე. ი. პირველად კ ო ე ლ ნ შ ი დამზადებული, 18 საუკ.), სურნელოვანი სითხე, — წარმოადგენს ეთეროვანი ზეთების ხსნარს ალკოჰოლში.

**ოდელსთინგ-ი**, შვედ., ნორვეგიის პარლამენტის (სტორთინგის) ქვედა პალატა.

**ოდეონ-ი** (ბერძ. ôdeîon): ძველ საბერძნეთში — შენობა მუსიკალურ შეჯიბრებათათვის; 2) ახლა — საკონცერტო, საცეკვაო და სხვ. ამგვარ გასართობთა შენობა; 3) სდრამო თეატრის სახელწოდება პარიზში.

**ოდინ-ი ან ვოდან-ი**, საკ. სახ., ჩრდ.-გერმანელთა მითოლოგიაში: ქვეყნის გამჩენი უზენაესი ღვთაება.

**ოდისეია** (ბერძ. საკ. სახ., Odysseia), ძველ ბერძენთა შესანიშნავი ეპიკური პოემა. — მის ავტორად სთვლიან ჰომეროსს; მასში მოთხრობილია ითაკის მეფის ოდისევს-ის თავგადასავალი მრავალწლოვანი მოგზაურობის დროს ტროადან ითაკაში (იხ. ილიადა).

**ოდომეტრ-ი**, იხ. ჰოდომეტრი.

**ოდონტინ-ი**, ბერძ. ხელოვნ. (odoys.-ontos „კბილი“), კბილის საწმენდი ფხვნილი. —**ოდონტოთერაპია** (იხ. თერაპია) — კბილის ექიმობა. — **ოდონტოლით-ი** (იხ. ლით-) — : 1) ქვა კბილებზე (ღვინის ქვა ანუ ხაშური); 2) ზოგიერთ

გადაშენებულ ცხოველთა გაქვავებული კბილები (ყალბი ფირუზი). — **ოდონტოლოგია** — ანატომიის დარგი — მოძღვრება კბილების შესახებ. — **ოდონტოტექნია**—ხელოვნური კბილების ტექნიკა.

**ოვალ-ი** (ლათ. ovum-ისაგან „კვერცხი"), შეკრული მოგრძო-მრგვალი წირი (ხაზი), კვერცხის გარდანაკვეთის მსგავსი მოგრძო წრე. — **ოვალური**—ოვალის ფორმის მქონე. **ოვარიუმ-ი** (იხ. ოვალი), საკვერცხე; **ოვარიტის-ი** — საკვერცხის ანთება.

**ოვაცია** (ლათ. ovatio. ovis-საგან „ცხვარი"): 1) ძველ რომში — მცირე ტრიუმფი (იხ.): მცირე ომის გათავებისას მთავარსარდალს ეგებებოდენ და მსხვერპლად ცხვარი იწირებოდა; 2) რაიმე კრების ან დამსწრეთა მიერ ვისმესადმი მოწონების, თანაგრძნობის ან პატივისცემის ენთუზიაზმიანი (?) გამოხატვა.

**ოვენ-**, იხ. ოუენ-.

**ოვულაცია** (ლათ. ovum-ისაგან „კვერცხი"), მენსტრუაციის დროს კვერცხის პერიოდული გამოსვლა საკვერცხოდან საშვილოსნოში.

**ოზები** — იგივეა, რაც აზები (იხ.).

**ოზირის-ი**, საკ. სახ., ძველ ეგვიპტელთა უზენაესი ღვთაება, სინათლის განსახიერება, მიწათმოქმედებისა და კულტურის მფარველი.

**ოზოკერიტ-ი** (ბერძ. ózein „სუნის დენა", kerós „ცვილი"), მთის ცვილი, საამურ-სუნიანი მინერალი.

**ოზონ-ი** (ბერძ. ózein-ისაგან „სუნის დენა"), ქიმიაში: ძლიერ-სუნიანი ელექტრიზებული მჟავბადი,—იხმარება ჰაერის გასაწმენდად და ტექნიკაში — საღებავების გასაუფერულებლად. — აქედან: **ოზონატორ-ი** — ჰაერის მჟავბადისაგან ოზონის მოსაპოებელი ხელსაწყო, აგრეთვე — ჰაერის გასაწმენდი ოზონით. — **ოზონირება** — ოზონით ჰაერის გაწმენდა.

**ოთელო**, საკ. სახ. (Othello): 1) შექსპირის ამავე სახელწოდების ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირი. მავრი. — მან მოკლა თავისი ცოლი. დ ე ს დ ე მ ო ნ ა, უმართებულო ეჭვის ნიადაგზე: 2) საერთოდ — ეჭვიანი კაცი.

**ოიდიპოს-ი** ან **ოიდიპუს-ი**, საკ. სახ., ძვ. ბერძნული მითოლოგიით: 1) თება ქალაქის უბედური მეფე. უნებურად მამის მკვლელი და დედის ცოლად შემრთველი (იხ. ანტიგონა); 2) სოფოკლის ამავე შინაარსის ტრაგედია „ოიდიპოს მეფე" (თარგმნილია ქართულად პ. ქავთარაძის მიერ, „გვირგვინი" 1912 წ.).

**ოიდიუმ-ი**, ახ.-ლათ., ვაზის ერთგვარი ავადმყოფობა: ვაზს (და მტევანსაც) ედება ნაცრის მსგავსი ფიფქი; ქართულად — ვაზის ნაცარი.

**ოკაზიონალიზმ-ი** (ლათ. occasio,-onis-ისაგან „შემთხვევა"), მოძღვრება შემთხვევითი მიზეზების შესახებ; ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სულისა და სხეულის ურთიერთ ზეგავლენას ხსნის ღვთაების ჩარევის გზით.

**ოკაპია** — ახლად აღმოჩენილი ცენტრალურ აფრიკაში ჟირაფის ოჯახის ძუძუმწოვარი ცხოველი.

**ოკარინა**, იტ., თიხის შთასაბერი სამუსიკო ინსტრუმენტი.

**ოკეან-ი** ან **ოკეანე** (ბერძ. ôkeanós): 1) ძვ. ბერძნ. მითოლოგიით: წყლის სტიქიის ღვთაება; ჰომეროსით: დედამიწის გარშემომდინარე წყალი, ყოველის წყარო, მნათობთა ამოსავალ-ჩასავალი; 2) დედამიწის $^{3}/_{4}$ ნაწილის შემცველ ხუთ უდიდეს წყალსაცავთაგან თვითეულის სახელი: ა) ატლანტის, ბ) დიდი ანუ წყნარი, გ) ინდოეთის, დ) ჩრდილო ყინულიანი და ე) სამხრეთ ყინულიანი ოკეანები. — **ოკეანია** ანუ **ოკეანეთი** —: 1) ფართო მნიშვნელობით — ავსტრალია და ოკეანია; 2) ვიწრო მნიშვნ. — დიდი ოკეანის სამხრეთ-ნაწილის არქიპელაგები (მიკრონეზია. პოლინეზია, მელანეზია და ახალი ზელანდია). — **ოკეანელი** —ოკეანიის მცხოვრები. — **ოკეანიდები**—ოკეანის (1) ასულები, ნიმფები.

**ოკლუზია** (ლათ. occludere-საგან „დაკეტვა"): 1) ლითონთა უნარი შთანთქონ აირები (გაზები); აირშთანთქმა; 2) მედიცინაში: მილებში რისამე ჩახხორვა; 3) ფონეტიკაში: ხშვა.

**ოკს-**, **ოკტ-**, იხ. ოქს-, ოქტ-.

**ოკულარ-ი** (ლათ. oculus-ისაგან „თვალი, კვირტი"), დამკვირებლის თვალისაკენ მიმართული მინა ოპტიკურ ხელსაწყოში. — **ოკულაცია** — ბოტანიკაში: კვირტით დამყნა; **ოკულირება** — ასეთივე მოქმედება. — **ოკულისტ-ი**—თვალის ექიმი.

ოკულიარ-, ოკულიაც-, იხ. ოკულარ-, ოკულაც-.

**ოკულტაცია** (ლათ. occultare-საგან „დამალვა"), ასტრონომიაში: ვარსკვლავის დაბნელება. — **ოკულტიზმ-ი** — მოძღვრება ბუნების იდუმალი (ზებუნებრივი) ძალების შესახებ. — მისაწდომია თითქოს მხოლოდ საგანგებოდ მომზადებულთათვის. — **ოკულტისტ-ი** — ოკულტიზმის მიმდევარი.

**ოკუპაცია** (ლათ. occupatio,-onis „დაკავება, დაუფლობა"): 1) არავის კუთვნილი რისამე დაუფლება; 2) მოწინააღმდეგე ქვეყნის (ან მისი ნაწილის) დროებითი დაკავება რაიმე მიზნით, მხოლოდ — არა დაპყრობის; ოკუპირება— იგივე მოქმედება. — **ოკუპანტ-ი** —ოკუპაციის მომხდენი. — **საოკუპაციო** — ოკუპაციისათვის დანიშნული, მაგ. საოკუპაციო კორპუსი.

**ოლეანდრ-ი**, ბერძ.-ევროპ. (იტ. oleandro). თბილი ქვეყნების მუდმივ მწვანე თეთრი ან ვარდისფერ-ყვავილებიანი ბუჩქოვანი მცენარე; ჩვენში ზრდიან ორანჟერიებსა და ოთახებში.

**ოლეინ-ი**, ლათ. ხელოვნ. (oleum-ისაგან „ზეთი"). ზეთისებრი სითხე ცხოველთა და მცენარეთა ცხიმებში.

**ოლეოგრაფია** (ლათ. oleum „ზეთი", ბერძ. graphein „წერა"), ზეთის საღებავებით დახატული სურათიდან პირის გადმოღების ერთგვარი წესი.

**ოლეომარგარინ-ი**, იგივეა, რაც მარგარინი (იხ.).

**ოლიგარქია** (ბერძ. oligos „ცოტა, მცირერიცხოვანი", archein „ბატონობა"): 1) მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, როდესაც უზენაესი ხელისუფლება მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელშია; **ოლიგარქ-ი** — ოლიგარქიის წევრი.

**ოლიგემია** (ბერძ. oligos „ცოტა", haima „სისხლი"), სისხლნაკლებობა.

**ოლიმპელი**, ოლიმპის მცხოვრები; გად. მნიშვნ.: დიდებული (იხ. ოლიმპი).

**ოლიმპ-ი**, ბერძ. საკ. სახ. (Olympos). მთა თესალიაში; მითოლოგიით: ღმერთთა სამყოფელი. — **ოლიმპიად-ი** — წელთაღრიცხვის ოთხწლიანი ერთეული ძველ საბერძნეთში (776 წლიდან ქ. წ.).—**ოლიმპია**—ლამაზი ვაკე ე ლ ი დ-ის შუა ნაწილში, სადაც 4 წელში ერთხელ იმართებოდა ოლიმპიის თამაშობანი — ძველ ბერძენთა უდიდესი ეროვნული დღესასწაული სხვადასხვა დარგში შეჯიბრებითურთ. — **ოლიმპიური თამაშობანი** — იგივეა, რაც ოლიმპიის თამაშობანი; **ოლიმპური** — ოლიმპის დამახასიათებელი; გადატ. მნიშვნ.: დიადი, დიდებული (იხ. ოლიმპელი).

**ოლიფა**, ბერძ.-რუს. (олифа, ბერძ. aleiphein-ისაგან „ზეთით დაზელა"), სელის ან კანაფის მოხარშული ზეთი, — იხმარება საღებავების, სასრესად.

**ომბროფილ-ი** (ლათ.-ფრ. ombre „ჩრდილი", ბერძ. philos „მოყვარული"), ჩრდილიან პირობებში მცხოვრები მცენარე. — **ომბროფობი** (ბერძ. phobos „შიში") — ჩრდილ-მშიშარა მცენარე.

**ომეგა**, იხ. ალფა (2 და 3).

**ომელა**, რუს., ფითრი. — მუდამ მწვანე მცენარე სხვადასხვა ხეებზე.

**ომ-ი**, იხ. ოჰმი.

**ომლადინა**, სერბ. („ახალგაზრდობა"). საიდუმლო პოლიტიკური საზოგადოება სერბიაში წარს. საუკ. ნახევარში; მიზანი — სერბიის გაერთიანება და დამოუკიდებლობა.

**ომლეტ-ი** (ფრ. omelette). მოხრაკული ერბოკვერცხი.

**ომნიბუს-ი** („ყველას, ყველასათვის, საყველასო", ლათ. omnis-ისაგან „ყველა"). ორ პუნქტს შორის მიმსვლელ-მომსვლელი საზოგადოებრივი კარეტა.

**ომონიმ-**, იხ. ჰომონიმ-.

**ომოფაგ-ი** (ბერძ. omós „უმი", phagein „ჭამა"), უმი ხორცის მჭამელი.

**ომოფონ-**, იხ. ჰომოფონ-.

**ომფალ-ი** (ბერძ. omphalós „ბერკი, ჭიპი"). მითოლოგიით: ციდან ჩამოვარდნილი ქვა დ ე ლ ფ-ის ტაძარში, — დედამიწის ჭიპად ითვლებოდა. — **ომფალოტომია** — ჭიპის განკვეთა მშობიარობის დროს (მედიცინაში).

**ონაგრ-ი** (ბერძ. ónos „ვირი", agrios „გარეული"): 1) გარეული ვირი აზიაში; 2) ქვებისა და ისრების სასროლი საალყო მანქანა; 3) ერთგვარი ბალახეული.

**ონანიზმ-ი** — სქესობრივი გრძნობის არაბუნებრივი დაკმაყოფილება თავისი სასქესო ორ-

განოების გაღიზიანების საშუალებით; სახელწოდება ბიბლიური ო ნ ა ნ-ისაგან (ქართ. ა ვ ნ ა ნ), რომელიც დაიღუპა ამ ბიწიერების გამო; ქართულად — ჩუკუნება. — აქედან **ონანირება** — იგივე მოქმედება; **ონანისტ-ი** ან **ონანიტ-ი** — ასეთის მქნელი.

**ონეიროლოგია** (ბერძ. óneiros „სიზმარი"), მოძღვრება სიზმრების შესახებ.

**ონიქს-ი** (ბერძ. ónyx.-ychos „ფრჩხილი"), აქნეიონი. — აქატის შავ- და თეთრ-ზოლებიანი სახეობა.

**ონკოლ-ი** ან **ონკოლური ანგარიში** (ინგლ. on call „მოთხოვნამდე, შეტყობინებამდე"), პროცენტიანი ქაღალდების გირაოთი უზრუნველყოფილი მიმდინარე ანგარიში ბანკში.

**ონომასტიკონ-ი** („სახელის დარქმევაში დახელოვნებული", ბერძ. onoma,-atos-საგან „სახელი"): 1) ანბანზურად დალაგებული ლექსიკონი: 2) ლექსი ან სიმღერა სახელწოდების დღისათვის. — **ონომატოლოგია** —: 1) მოძღვრება სახელწოდებათა წარმოების შესახებ (წინეთ ასე უწოდებდნენ სიტყვათა-წარმოებას); 2) რაიმე დარგის ტერმინთა ნომენკლატურა.—**ონომატოპეია** (ბერძ. poiein „კეთება, შექმნა"), ენათმეცნიერებაში: ხმის მიმბაძველობით სიტყვათა წარმოქმნა: აქედან: **ონომატოპოეტური** (იხ. პოეტი) — ხმის მიმბაძველობითი.

**ონტოგენია** ან **ონტოგენეზის-ი** (ბერძ. ôn, ôntos „მყოფი, არსებული", იხ. გენეზისი), მოძღვრება ან ისტორია მცენარეულ ან ცხოველურ ცალკე ორგანიზმთა შესახებ მათი ჩანასახიდან დაწყებული განვითარების უკანასკნელ საფეხურამდე. — **ონტოლოგია** —ფილოსოფიაში: მეტაფიზიკური მოძღვრება არსის შესახებ.

**ოოლით-ი** (ბერძ. óon „კვერცხი", lithos „ქვა"), ხიზილალას მსგავსი წვრილმარცვლოვანი ქვაკირი. —**ოოლოგია** —მოძღვრება ფრინველთა კვერცხების შესახებ.

**ოპაკ-ი** (ლათ. opacus-ისაგან „ჩრდილიანი, გაუმჭვირვალი"), ფაიფურის ჭურჭლეულობის საკეთებელი ერთგვარი თეთრი თიხა.

**ოპალ-ი**, ბერძ.-ლათ. (opalus „ქვა"), სხვადასხვა ფერიანი ძვირფასი ქვა.

**„ოპეკუნ"-ი**, იხ. აპეკუნი.

**ოპერა**, იტ. (ლათ. opus,-eris-ისაგან „შრომა"): 1) მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოები, რომელიც იმღერება ორკესტრის თანაყოლით, —წარმოიქმნა 16 საუკ. ფლორენციაში; 2) გად. მნიშვ.: საოპერო თეატრი. — **ოპერა-ბუფ-ი** — კომიკური ოპერა ან კომიკური როლის შემცველი ოპერა (იხ. ბუფ-ი).

**ოპერატორ-ი**, ლათ., ოპერაციის მომხდენი.— მწარმოებელი. — **ოპერაცია** (ლათ. operatio)—: 1) მედიცინაში: ავადმყოფი სხეულის მკურნალობა საქირურგიო (იხ. ქირურგია) იარაღებით (განკვეთა, მოკვეთა, ამოჭრა და სხვ.); 2) ლაშქრისა ან რაზმის სამხედრო მოქმედება; 3) სავაჭრო, სამრეწველო, საფინანსო და სხვა ასეთი მოქმედება. — აქედან: **ოპერაციული** — ოპერაციის ხასიათის მქონე, მისი საშუალებით მოქმედი და სხვ., მაგ. **ოპერაციული ქირურგია**. — **საოპერაციო** — ოპერაციისათვის დანიშნული, მისთვის გამოსადეგი და სხვა, მაგ. **საოპერაციო ბაზა** — იხ. ბაზა (2); **საოპერაციო დარბაზი** — სადაც წარმოებს ქირურგიული ოპერაციები და სხვ. — **ოპერირება** — ოპერაციის მოხდენა. — წარმოება.

**ოპერეტა** (იტ. operetta), პატარა მხიარული ოპერა, რომელშიც სიმღერის გარდა არის უბრალო საუბარიც.

**ოპიატ-ი** (ბერძ.-ლათ. opium-ისაგან), მედიცინაში: ოპიუმის შემცველი წამალი.

**ოპი-ი, ოპი** ან **ოპიუმ-ი**, ლათ. (ბერძ. opós-ისაგან „წვენი"), ბანგი, — უმწიფარი ყაყაჩოს თავთავისაგან მიღებული გამყარებული რძიული წვენი; წარმოადგენს ძლიერ ნარკოტიკულ საშუალებას, — იხმარება მედიცინაში, როგორც ტკივილის მიმყუჩებელი და დასაძინებელი საშუალება; ზოგან გავრცელებულია მისი მოწევა, როგორც გამაბრუებელი საშუალებისა. — **ოპიოფაგ-ი** (ბერძ. phagein „ჭამა"), ოპიის მწეველი ადამიანი.

**ოპობალზამ-ი**, ბერძ. (იხ. ოპიი და ბალზამი), სამკურნალო და კეთილსურნელოვანი არაბული ბალზამი.

**ოპოზიცია** (ლათ. oppositio „დაპირისპირება, მოწინააღმდეგობა"): 1) საერთოდ — დამყარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესების წინააღმდეგ მოძრაობა, ამხედრება; ასეთი

ჩამდენი ჯგუფი, პარტია და სხვ.; 2) პარლამენტში ან სხვა რაიმე კრებულებაში: პარტიულად ან ჯგუფურად გაერთიანებული უმცირესობა, რომელიც ეწინააღმდეგება უმრავლესობის მოქმედებას; ასეთის ჩამდენი პარტია ან ჯგუფი. — **ოპოზიციონერ-ი** — ოპოზიციის წევრი, მონაწილე: **ოპოზიციონერული**—ოპოზიციონერის დამახასიათებელი, მისი შესაფერი და სხვ. — **ოპოზიციური** — ოპოზიციის ხასიათის მქონე, მისაგან გამომდინარე და სხვ.

**ოპონენტ-ი** (ლათ. opponens,-ntis „პირისპირ მდგომი, მოპირდაპირე"), მოკამათე მოხსენების ან დისპუტის (იხ.) დროს, ჩვეულებრივ — საწინააღმდეგო აზრის გამომთქმელი; **ოპონირება** — შეკამათება, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა.

**ოპორტუნიზმ-ი** (ლათ. opportunus-ისაგან „ხელსაყრელი, გამოსადეგი, სასარგებლო..."): 1) თავისი რწმენის და აგრეთვე სამოქმედო გეგმის (პროგრამის, პრინციპის) შეგუება გარემოებასთან, არსებულ სინამდვილესთან; 2) დათმობისა და შეთანხმების ტაქტიკა ამა თუ იმ პარტიისა არსებულ წესწყობილებასთან.— **ოპორტუნისტ-ი** — ოპორტუნიზმის მომხრე.

**ოპრიჩნინა**, რუს.: 1) რუსეთის მეფის ი ო ა ნ ე მ რ ი ს ხ ა ნ ი ს (1530 — 1584) მცველი რაზმი — ოპრიჩნიკები; 2) სახელმწიფოს ნაწილი, რომელიც გამოყო მანვე სამეფო გვარეულობისა და ოპრიჩნიკთა შესანახად, — ოპრიჩნინას ჰქონდა საგანგებო მმართველობა; მისი მიზანი — ბრძოლა ფეოდალურ ბოიარებთან (იხ. ბოიარინ) წვრილ აზნაურობაზე დაყრდნობით; ოპრიჩნიკები უსასტიკესი ზომებით სპობდენ მეფის წინააღმდეგ მიმართულ „ამბოხებასა და ღალატს", აქედან: **ოპრიჩნიკ-ი** — გადატ. მნიშვ.: მწვალებელი, ჯალათი და სხვ. ასეთი.

**ოპტანტ-ი** (ლათ. optans,-ntis „მსურველი" იხ. შემდეგი სიტყვა): 1) სურვილის გამომთქმელი ან ამა თუ იმ არჩევნის მომხდენი; 2) ქვეშევრდომობის მიმღები.

**ოპტატივ-ი** ან **ოპტატივუს-ი** (ლათ. optare-საგან „სურვილი"), გრამატიკაში: ნატვრითი კილო (ზმნისა), იხ. მოდუსი. — **ოპტაცია**—ვისიმე მიერ სურვილის განცხადება მთავრობის მიმართ — რაიმე უფლების (მაგ. ქვეშევრდომობის) მინიჭების შესახებ.

**ოპტიკა** (ბერძ. optomai-საგან „ვხედავ"), ფიზიკის დარგი: მოძღვრება სინათლის შესახებ, ე. ი. მხედველობისა და შუქის მოვლენათა კანონების შესახებ. — **ოპტიკ-ი** ან **ოპტიკოს-ი** —: 1) ოპტიკის სპეციალისტი მეცნიერი; 2) ოპტიკურ ხელსაწყოთა მკეთებელი. — **ოპტიკური**—: 1) ოპტიკის (ოპტიკა) დამახასიათებელი, მისაგან გამომდინარე; 2) მხედველობითი; 3) ოპტიკის კანონებზე დამყარებული. — **ოპტიკური ინსტრუმენტი** ან **ხელსაწყო** — ოპტიკის კანონების მიხედვით დამზადებული ხელსაწყო, — გვიჩვენებს საგანს დაახლოებულად, გადიდებულად ან არეკნილად (ტელესკოპი, მიკროსკოპი და სხვ.). — **ოპტიკური მცთარობა** — მხედველობითი მცთარობა. — **ოპტიკური მინა** —ამოზნექილი ან ჩაზნექილი მინა ოპტიკურ ხელსაწყოში. — **ოპტიმეტრ-ი** — მხედველობის სიძლიერის საზომი.

**ოპტიმატები** (მრავლ., ლათ. optimas,-atis). ძველი რომის წარჩინებულნი, არისტოკრატები.

**ოპტიმიზმ-ი** (ლათ. optimus-ისაგან „უკეთესი, მშვენიერი"): 1) ფილოსოფიაში — მოძღვრება, რომელსაც არსებული მსოფლიო (სინამდვილე) მიაჩნია საუკეთესოდ — ყველა შესაძლებელ მსოფლიოთა შორის; 2) საერთოდ — იმედიანი და მხნე სულიერი განწყობილება; ადამიანსა და გარემოებაში მხოლოდ კეთილის, სასიკეთო რისამე დანახვა (უპირისპირდება პესიმიზმს); აქედან: **ოპტიმისტ-ი** —ოპტიმიზმის მიმდევარი; იმედიანობით და სიმხნევით აღსავსე, ცხოვრებაში მხოლოდ კეთილის დამნახველი.— **ოპტიმისტური** — ოპტიმიზმის ხასიათის მქონე, მისაგან გამომდინარე; იმედიანი, მხნე და სხვ.

**ორაკულ-ი** (ლათ. oraculum, orare-საგან „თქმა, ხვეწნა"): 1) ძველ საბერძნეთსა და რომში —ღვთაების წინასწარმეტყველება პასუხების სახით, რომელსაც აძლევდენ ქურუმები შემკითხველებს; თვით ადგილი, სადაც ეს ხდებოდა, განსაკუთრებით — ცონბილია დ ე ლ ფ-ის ორაკული (საბერძნ.); 2) წინასწარმეტყველი; 3) სამკითხაო წიგნი.

**ორანგ-უტან-ი**, მალ. („კაცი ტყისა"), თითქმის ადამიანის ტოლა გრძელხელებიანი ადამიანისებრი მაიმუნი.

**ორანჟერია**, არაბ.-ევროპ. (ფრ. orangerie „საფორთოხლო"), შუშის-სახურავიანი შენო-

ბა — თბილი ქვეყნების მცენარეთა სიცივისაგან დასაცავად.

**ორატორ-ი**, ლათ. („სიტყვიერად გადამცემი ელჩი", orare-საგან „ლაპარაკი"): 1) საჯაროდ მოლაპარაკე; 2) საჯარო მჭერმეტყველი. — **ორატორია** — : 1) წინეთ — სასულიერო შინაარსის მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოები; 2) ახლა—არასასცენო სასიმღერო მუსიკალური ნაწარმოები (სასულიერო ან საერო). — **ორატორული** — მჭერმეტყველური, მჭერმეტყველობითი.

**ორბიტა**, ლათ. („ურმისთვლის ნაკვალევი; გზა"): 1) ასტრონომიაში — ცის-მნათობის გზა; 2) ანატომიაში: თვალის ბუდე.

**ორგან-ი**, ბერძ.-ლათ. (საშ.-საუკ. organum): რთული სამუსიკო ინსტრუმენტი, — იკვრება საგანგებო საბერველითა და კლავიატურით (იხ.).— **ორგანისტ-ი**—: 1) ორგანზე დამკვრელი; 2) ორგანის ხელოსანი.

**ორგანიზ-, ორგანიულ-, ორგანულ-** — იხ. ორგანო.

**ორგანო** (ბერძ. órganon „იარაღი; სამუს. ინსტრ.; órganos „მოქმედი, მუშა" — érgein-ისაგან „შრომა, მოქმედება..."): 1) ცხოველური ან მცენარეული სხეულის განსაზღვრულ აგებულობიანი და დანიშნულებიანი ნაწილი; 2) საშუალება ადამიანთა შორის ურთიერთობისა საზოგადოებაში ან ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის და სხვა, მაგ.: **ბეჭდვითი ორგანო** — გაზეთი, ჟურნალი; **ხელისუფლების ორგანოები** — სხვადასხვა გვარი დაწესებულებანი; მმართველი ერთეულები თვით დაწესებულებაში და სხვ.. — **ორგანიზატორ-ი** — რაიმე დაწესებულების, კრების, პარტიის და სხვ. ასეთის მიზანშეწონილად მომწყობი. —**ორგანიზაცია**—: 1) მოწყობა, დაწესება, დაარსება; 2) რამდენისამე ორგანოს ერთ მთლიანად გაერთიანება; 3) მიზანშეწონილი მთლიანი; 4) საერთო საქმიანობით და მიზნებით გაერთიანებული ჯგუფი ადამიანთა; 5) ცოცხალი სხეულის აგებულობა. — **ორგანიზაციული** — მოწყობილი. მთლიანი და სხვ.; ორგანიზაციის ხასიათის მქონე. — **საორგანიზაციო** — ორგანიზაციისათვის განკუთვნილი. — **ორგანიზირება** ან **ორგანიზება** — დაწესება, დაარსება; მიზანშეწონილად მოწყობა, გაერთიანება და სხვ.; ორგანიზაციის (1, 2, 3, 4) შექმნა; აქედან: **ორგანიზირებული** ან **ორგანიზებული** — მოწყობილი, მოწესრიგებული; გაერთიანებული, ორგანიზაციაში შემავალი. — **ორგანიზმ-ი** — : 1) ურთიერთ განუყრელად დაკავშირებულისა და ურთიერთ დამოკიდებული ნაწილებისაგან შედგენილი მთლიანი; ორგანოთა ერთობლიობა; 2) არსებობისა და გამრავლების ორგანოების (იხ.) მქონე მცენარეული ან ცხოველური ერთეული, ინდივიდი (იხ.). — **ორგანიული** ან **ორგანული** — : 1) მწყობრი, ურთიერთთან კანონზომიერად და მიზანშეწონილად შეკავშირებული. ორგანიზმისებურად მოწყობილი; 2) თანდაყოლილი; 3) მცენარეული ან ცხოველური. — **ორგანული ნივთიერება** — მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმებში შეცული ნივთიერება: უმთავრესად — აზოტისა, მჟავბადისა, ნახშირბადისა და წყალბადის ქიმიური ნაერთი. — **ორგანული ნაშთები** — მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების უძველესი ნაშთები მიწაში. — **ორგანული ქიმია** — იკვლევს ნახშირბადოვან ნაერთებს.

**ორგანოგენია**, ბერძ. (იხ. ორგანო და გენეზისი), მოძღვრება ორგანოთა წარმოქმნისა და განვითარების შესახებ. — **ორგანოგენები** (მრავლ.) — ორგანულ ნივთიერებათა მთავარი ელემენტები (აზოტი, მჟავბადი, ნახშირბადი და წყალბადი). — **ორგანოთერაპია** (იხ. თერაპია)—მედიცინაში: ავადმყოფობათა მკურნალობა ორგანოთაგან და ქსოვილთაგან გამონაწურით. — **ორგანონ-ი** —: 1) არისტოტელის ლოგიკის სახელწოდება; 2) რაიმე მეცნიერების არსებითი შინაარსის გადმოცემა.—**ორგანოპლასტიკა** —ქირურგიაში: რომლისამე დაკარგული ორგანოს (მაგ. ცხვირის) ხელოვნურად აღდგენა (იხ. პლასტიკა).

**ორგბიურო** (შემოკლებული სიტყვა) — საორგანიზაციო ბიურო (იხ., 3).

**ორგია**, ბერძ. მრავლ.: 1) ძველ საბერძნეთში — ღვთისმსახურების ერთგვარი წესი; შემდეგ — ბაქის (იხ.) საპატივცემო მხიარული დღესასწაული; 2) ახლა — თავაშვებული ხასიათის ქეიფი; უზნეური დროსტარება.

**ორდა**, თურქ.-რუს., ურდო; ბანაკი.

**ორდალი, ორდალიები**, საშ. საუკ. ლათ.-ევროპ., საშუალო საუკუნეებში: დანაშაულ-

ბაში ეჰემიტანილის ერთგვარი გასამართლება— სახიფათო მდგომარეობისაგან (ცეცხლისა, წყლისა, დუღილისაგან...) უვნებლად გადარჩენა სწყვეტდა საკითხს, დამნაშავეა თუ არა ეჰემიტანილი.

**ორდენ-ი**, გერმ. (ლათ. ordo,-inis-ისაგან „რიგი; წესი, წესიერება, წოდება...“); 1) განსაზღვრული მიზნისა და ცხოვრების წესების მქონე სასულიერო ან საერო ძმობა (ბერთა, რაინდთა); 2) ხელისუფლების მიერ ვისთვისმე მიცემული რაიმე დამსახურების ნიშანი, მაგ. **წითელი დროშის ორდენი** საბჭოთა კავშირში; 3) სახუროთმოძღვრო სტილის სახელწოდება.—**ორდენთა კაპიტული**—იგივეა, რაც კაპიტული (იხ., 2).

**ორდერ-ი**, ლათ.-ფრ. (ordre, იხ. ორდენი), წერილობითი ბრძანება ან მინდობილობა რისამე მისაღებად ან სისრულეში მოსაყვანად.

**ორდინარეც-ი**, ლათ.-ევროპ. (რუს. დაბოლოებით, ლათ. ordinare-საგან „მოწესრიგება, დანიშვნა, ბრძანება“), სამხედრო პირი, — ახლავს უფროსს სხვადასხვა დავალებათათვის.

**ორდინარული** ან **ორდინარ-ი** (ლათ. ordinarius „წესიერი, მართებული; ჩვეულებრივი“), ჩვეულებრივი; საშუალო ხარისხის. — **ორდინარული** ან **ორდინარი პროფესორი** — პროფესორის თანამდებობის ერთერთი (საშუალო) საფეხური — ექსტრაორდინარსა და დამსახურებულ პროფესორს შორის.

**ორდინატა** ან **ორდინატ-ი**, ლათ. („წესიერი, სწორი“), მრუდის რომლისამე წერტილიდან მისი ღერძისადმი სწერივად (პერპენდიკულარულად) გაყვანილი წრფე (სწორი ხაზი).

**ორდინატორ-ი**, ლათ. („მომწყობი, გამგე“), საავადმყოფოს ერთერთი განყოფილების გამგე ექიმი.

**ორდონანს-ი**, ლათ.-ფრ. (ordonance), კანონის ძალის მქონე ბრძანება მეფისა (რევოლუციამდე საფრანგეთში).

**ორეადები** — იხ. ნიმფა.

**ოროგრაფია** (ბერძ. óros,-eos „მთა“, graphein „წერა“). ფიზიკური გეოგრაფიის დარგი: მთების აღწერილობა.

**ორეოლ-ი** (ლათ. aureolus-ისაგან „ოქროსი, შესანიშნავი“), შარავანდი, — ნათელი წრე თავის გარშემო წმინდანთა გამოსახულობაზე.

**ორთო-** (ბერძ. orthós „სწორი, სწორად მდგომი; მართალი...“), ემატება ბერძნული წარმოშობის სიტყვებს და აღნიშნავს სწორს, მართალს, პირდაპირს და სხვ. ასეთს.

**ორთობიოტიკა** (იხ. ორთო-, ბერძ. bios „ცხოვრება“), წესიერად, ჰიგიენის თანახმად ცხოვრება. — **ორთოგონალური**, **ორთოგონალ-ი** ან **ორთოგონური** (იხ. ორთო-, ბერძ. gônia „კუთხე“), მართკუთხი (სწორკუთხი).

**ორთოგრაფია** (ბერძ. graphein „წერა“), მართლწერა.

**ორთოდოქსალური** ან **ორთოდოქსური**, იხ. ორთოდოქსია.

**ორთოდოქსია** (იხ. ორთ-, ბერძ. doxa „რწმენა, აზრი“), მართლ-მორწმუნეობა, — განსაზღვრულ დებულებათა უკრიტიკოდ აღიარება და სასტიკად დაცვა — რელიგიურ, სამეცნიერო, პოლიტიკურ და სხვა დარგებში; აქედან: **ორთოდოქს-ი** — მართლ-მორწმუნე; ორთოდოქსიის მომხრე. — **ორთოდოქსალური** ან **ორთოდოქსური** — მართლ-მორწმუნეობითი. — **ორთოდოქსური მარქსიზმი** — მარქსისა (და ენგელსის) მოძღვრების თანამიმდევრობითი განვითარება, რომელიც აღიარებს მარქსისა (და ენგელსის) მიერ დადგენილ კანონთა ურყეობას (უპირისპირდება რევიზიონიზმს, იხ.).

**ორთოეპია** (იხ. ორთო-, ბერძ. épos „სიტყვა“), მართლ-მეტყველება.

**ორთოპედია** (იხ. ორთო-, ბერ. paideyein „აღზრდა; სწავლება, წვრთნა“), მედიცინის დარგი: ადამიანის სხეულში გამრუდებათა შესწავლა და მკურნალობა. — აქედან: **ორთოპედისტ-ი** — ორთოპედიაში დახელოვნებული. — **ორთოპედიული** — ორთოპედიის შესაფერი, მისგან გამომდინარე; **საორთოპედიო** — ორთოპედიისთვის განკუთვნილი, მაგ. **საორთოპედიო ინსტიტუტი** — სხეულის გამრუდებათა შემსწავლელი და გამსწორებელი დაწესებულება.

**ორთოსკოპ-ი** (იხ. ორთო-, ბერძ. skopein „ხედვა“), თვალის ფერადი გარსის საკვლევი იარაღი; **ორთოსკოპია** — : 1) ასეთის კვლევა; 2) თავის-ქალის გაზომვა — მისი მოხაზულობის მისაღებად.

**ორთოქრომატული ფირფიტები** (იხ. ორთო-, ბერძ. chrôma,-atos „ფერი, სალებავი...“), სუსტ-შუქ-მგრძნობიარე ფირფიტები.

**ორიგინალ-ი** (ლათ. origo,-inis-საგან „წარმოშობა, წარმოქმნა, დასაბამი"): 1) პირველადი, პირველყოფილი; თავისებური, იშვიათი; 2) დედანი (უპირისპირდება პირს); 3) გადატ. მნიშვნ.: თავისებური ან ახირებული ადამიანი; **ორიგინალური** (ან **ორიგინალ-ი**)—ორიგინალის ხასიათის მქონე. — **ორიგინალური** ან **ორიგინალი ნაწარმოები** — დამოუკიდებელი ნაწარმოები (არა-ნაბაძი, არა-ნათარგმნი).

**ორიენტალისტ-ი** (ლათ. orientalis-ისაგან „აღმოსავლური"). აღმოსავლურ ენათა, ისტორიისა, ლიტერატურისა და კულტურის მცოდნე მკვლევარი. —**ორიენტალური** ან **ორიენტული**— აღმოსავლური.

**ორიენტაცია**, ლათ.-ფრ. (orientation, ლათ. oriens,-ntis-ისაგან „აღმოსავლეთი" — ე. ი. „აღმოსავლეთისაკენ მიბრუნება"): 1) გარემოპირობების გაცნობა, მდგომარეობაში და ადგილმდებარეობაში გარკვევა; 2) მოქმედების გეზის აღება; აქედან: **ორიენტირობა** — იგივე მოქმედება. — **საორიენტაციო** ან **საორიენტირო** — დაახლოებითი, არაზუსტი, საერთო წარმოდგენის მომცემი (იტყვიან, მაგ. ბიუჯეტის შესახებ).

**ორიონ-ი**, ბერძ., ერთერთი კაშკაშა და ლამაზი თანავარსკვლავედი.

**ორიფლამა**, ლათ.-ფრ. (oriflamme, ლათ. aurum „ოქრო", flamma „ალი, ცეცხლი"), წინეთ — საფრანგეთის მეფეთა დროშა; ახლა — ქუჩის გარდიგარდმო ჩამოსაკიდი დიდი დროშა.

**ორკესტრაცია**, იხ. ორკესტრი.

**ორკესტრ-ი** (ბერძ. orchêstra): 1) გუნდის ადგილი სცენას და მაყურებელს შორის ძვ. ბერძნულ თეატრში; 2) ახლა—პარტერისა და სცენის შუა ადგილი მუსიკოსებისათვის; 3) სამუსიკო საკრავთა ან დამკვრელთა გუნდი. — **ორკესტრიონ-ი** — სხვადასხვა საორკესტრო ინსტრუმენტების შემცველი მექანიკური სამუსიკო ინსტრუმენტი. — **ორკესტრაცია** (ფრ. orchestration) — რაიმე მუსიკალური ნაწარმოების საორკესტროდ გადამუშავება; **ორკესტრირება** — : 1) იგივე მოქმედება; 2) კომპოზიტორის მიერ პარტიების განაწილება ინსტრუმენტთა შორის.

**ორლეანიზმ-ი** — საფრანგეთში: ორლეანელთა დინასტიის მომხრეობა. — **ორლეანისტ-ი** — ორლეანიზმის მომხრე.

**ორმუზდ-ი**, იხ. აჰურამაზდა.

**ორნამენტაცია**, იხ. ორნამენტი.

**ორნამენტ-ი** („მორთულობა" ლათ. ornare-საგან „შემკობა, მორთვა"): 1) ხუროთმოძღვრებაში: ცხოველთა, მცენარეთა ან გეომეტრიულ ფიგურათა გამოსახულების მქონე მხატვრული ან ქანდაკებრივი სამკაული; იგივე საოჯახო მხატვრულ ნივთებზე; 2) მუსიკაში: მელოდიის შესამკობი (ტრელი, ფორშლაგი და სხვ., იხ. ესენი). — **ორნამენტიკა** — მოძღვრება სახუროთმოძღვრო შესამკობელთა შესახებ. — **ორნამენტაცია** (ფრ. ornementation) — : 1) ორნამენტთა ერთობლიობა; 2) ორნამენტით რისამე შემკობა; **ორნამენტირება** — იგივე მოქმედება.

**ორნითოლოგია** (ბერძ. órnis,-ithos „ფრინველი"), ზოოლოგიის დარგი: მოძღვრება ფრინველთა შესახებ; **ორნითოლოგ-ი** — ორნითოლოგიის მცოდნე მკვლევარი. — **ორნითომანტია** (ბერძ. mantéia მკითხაობა"), ფრინველთა გაფრენის ან გალობის მიხედვით მკითხაობა.

**ოროგრაფია**. იხ. ორეოგრაფია.

**ოროსკოპ-**, იხ. ჰოროსკოპ-.

**ორფეი** ან **ორფეუსი**, ბერძ. საკ. სახ. (Orpheys,-eôs), მითოლოგიით: გრძნეული მომღერალი და ლირის დამკვრელი, — თავის დაკვრით ამოძრავებდა ბუნებას და ამშვიდებდა მხეცებს; აქედან: **ორფეონ-ი** — :1) ერთგვარი სამუსიკო ინსტრუმენტი; 2) ზოგიერთ სასიმღერო საზოგადოებათა სახელწოდება დასავლ. ევროპაში. — **ორფეუმ-ი** — საკონცერტო დარბაზი. — **ორფიკები** (მრავლ.) — რელიგიურ-მისტიკური სექტის წევრი პოეტები და ფილოსოფოსები ძვ. საბერძნეთში (7 საუკ. ქ. წ.); სექტების დამაარსებლად სთვლიდენ ო რ ფ ე უ ს ს (იხ. ორფეი).

**ორფოგრაფია**, იხ. ორთოგრაფია.

**ორქესტრა**, იხ. ორკესტრი (1).

**ორქიდალგია** (ბერძ. orchis „კვერცხი", álgos „ტკივილი"), მედიცინაში: კვერცხების ტკივილი; — **ორქიდეა** („კვერცხის მსგავსი") — ბოტანიკაში: ერთლებნიანი მრავალწლოვანი ტროპიკული მცენარე; არსებობს რამდენისამე

ათასი გვარისა. — ორქიტის-ი — კვერცხის ანთება; ორქოტომია — კვერცხების ამოკვეთა, დაკოდვა.

ორღელ-ი, იხ. ორგანი.

ოსანნა, ებრ: („გვიხსენ"), ლოცვით ძახილი ან მისალმება (მაგ. ქრისტეს მიმართ).

ოსმი ან ოსმიუმ-ი, ბერძ.-ლათ. (ბერძ. osmė „სუნი"), პლატინთა ჯგუფის თავისებურ-სუნიანი მოლურჯო-თეთრი მძიმე მაგარი ლითონი; აქედან: ოსმოლოგია —მოძღვრება სუნიან და სურნელოვან ნივთიერებათა შესახებ. — ოსმოზას-ი ან ოსმოს-ი — ფიზიკურ ქიმიაში: 1) ნახევრადგაღწევადი ფოროვანი აპკით გაყოფილი სითხეების ურთიერთ გაღწევა და შერევა; 2) ასეთი გაღწევა; ოსმოტიური ან უკეთ ოსმოსური წნევა — იმ სითხის ნაწილაკთა წნევა, რომელმაც ვერ გაღწია ნახევრად-გაღწევადი აპკი (იხ. ენდოსმოსი).

ოსტ-, ოსტ-ი, გერმ., აღმოსავლეთ-, აღმოსავლეთი (იხ. ნორდ-ი).

ოსტალგია (ბერძ. ostéon „ძვალი", álgos „ტკივილი"), ძვლების ტკივილი, ტეხა; ოსტეიტის-ი —ძვლების ქსოვილის ანთება; ოსტეოგრაფია — ძვლების ან ჩონჩხის აღწერა; ოსტეოკლაზია (ბერძ. klásis „გადატეხა") — კან-ქვეშა ძვლის გარდატეხილობის ოპერაცია. — ოსტეოლოგია — ხერხემლიანთა ანატომიის დარგი: მოძღვრება ძვლების შესახებ; ოსტეომალაკია (ბერძ. malakós „რბილი, ნაზი"), ძვლების ავადმყოფური დარბილება; ოსტეოტომია — ძვლების განკვეთა, გაჭრა; ოსტიტ-ი — იხ. ოსტეიტის-ი.

ოსტ-გუთები, იხ. გუთები.

ოსტერია, იტ., სასტუმრო ან სამიკიტნო იტალიაში.

ოსტრაკიზმ-ი (ბერძ. óstrakon-ისაგან „თიხის ფირფიტა"), ძველ საბერძნეთში: სამშობლოდან მავნე პირების განდევნის წესი (6—4 საუკ. ქ. წ.) კენჭის ყრით (ხმის მიცემა წარმოებდა თიხის ფირფიტებზე განსადევნელის სახელის წარწერით); განდევნილი (ჩვეულებრივ 10 წლით) დაბრუნებისას არ ჰკარგავდა მოქალაქობრივ უფლებებს.

ოსტროვსკი, ალ. ნიკ. (Островский, Ал. Ник., 1823—1886), გამოჩენილი რუსი დრამატურგი; მისმა მრავალრიცხოვანმა პიესებმა, რომლებშიც გამოხატულია უმთავრესად ვაჭართა, „მეშჩანთა" (იხ.) და მოხელეთა ყოფა-ცხოვრება. საფუძველი ჩაუყარეს რუსულ რეალისტურ თეატრს (ზოგიერთი მისი პიესა იდგმება ქართულ სცენაზეც, მაგ. „შემოსავლიანი ადგილი" და სხვ.).

ოტალგია (ბერძ. oys, ôtós „ყური", álgos „ტკივილი"). მედიცინაში: ყურის ტკივილი; ოტიატრია (ბერძ. iatréia „მკურნალობა"), ყურის მკურნალობა; ოტოლოგია — მოძღვრება ყურის სნეულებათა შესახებ; ოტოსკოპ-ი (ბერძ. skopein „ხედვა"), ყურის ღრუს საკვლევი სარკე; ოტოფონ-ი (ბერძ. phōnė „ბგერა") — სმენის გასაძლიერებელი მოწყობილობა ყრუთათვის.

ოტელო, იხ. ოთელო.

ოტომან-ი, ოტომანები, იგივეა, რაც ოსმალო, ოსმალოები; სახელწოდება — ო ს მ ა ნ-ისა ან ო თ მ ა ნ-ისაგან (Othman, 1288—1326), რომელმაც მიიღო სულტანის ტიტული და ითვლება ოსმალეთის იმპერიის დამაარსებლად; აქედან: ოტომანთა იმპერია — ოსმალეთი.

ოუენ-ი, რობერტ (Owen, Robert, 1771—1858), ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი; მან თავის საკუთარ ფაბრიკაში გააუმჯობესა მუშათა მდგომარეობა და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მუშებისათვის ზრუნვა ხელსაყრელია თვით ფაბრიკანტისათვის; დააარსა კომუნისტური თემი ჩრდ. ამერიკაში, მაგრამ უშედეგოდ; მის შრომათაგან ცნობილია „ადამიანის ხასიათის წარმოქმნის შესახებ", სადაც ამტკიცებდა, რომ ადამიანი არის შედეგი აღზრდისა და გარემო-პირობათა. — ოუენიზმ-ი — ოუენის სოციალური მოძღვრება; ოუენისტ-ი—მისი მიმდევარი.

ოფთალმია (ბერძ. ophthalmós „თვალი"). თვალის ანთება. — ოფთალმოლოგია — ანატომიის დარგი: მოძღვრება თვალის შესახებ. — ოფთალმოსკოპ-ი (ბერძ. skopein „ხედვა") — თვალის საკვლევი ხელსაწყო (თვალის სარკე).

ოფიტები (მრავლ., ბერძ. óphis-ისაგან „გველი"), ქრისტიანული გნოსტიკური სექტის (2—7 საუკ.) წევრები, — მიღებული ჰქონდათ გველის კულტი (იხ.), როგორც კაცობრიობის პირველი

განმანათლებლისა (იგულისხმება ბიბლიური ევის შემცთენელი გველი); აქედან: **ოფიტიზმ-ი** — ოფიტების მოძღვრება.

**ოფიცერ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. officiér), საერთო სახელწოდება უნტეროფიცერზე უმაღლესი სამხედრო ხარისხებისა დასავლ. ევროპაში (და რევოლუციამდე რუსეთში). — **ოფიცრობა** — : 1) ოფიცრად ყოფნა; ოფიცრის წოდება; 2) ოფიცერთა ერთობლიობა.

**ოფიციალ-ი** (საშ. საუკ. ლათ. officialis, ძვ. ლათ. officium-ისაგან „სამსახურის გაწევა, მოვალეობა, თანამდებობა"), კათოლიკეთა ტაძრის მსახური ან მნათე, აგრეთვე — ეპისკოპოსის მოადგილე მოხელე საერო საქმეებში. — **ოფიციალური ან ოფიციალ-ი** — :1) მთავრობისაგან გამომდინარე, მაგ. **ოფიციალური პრესა** — მთავრობის ბეჭდვითი ორგანოები; **ოფიციალური ცნობები** — მთავრობის ცნობები და სხვა; 2) თანამდებობითი, სამსახურის მიხედვითი, რაიმე დაწესებულებისაგან გამომდინარე, მაგ. **ოფიციალური საბუთი, საუბარი, ქაღალდი** და სხვ.; 3) გადატ. მნიშვნ: არაუბრალო, ცივი (მაგ. ცივად შეხვედრა), განსაზღვრული წესების დაცვითი.

**ოფიციანტ-ი** (საშ. საუკ. ლათ. officians-ისაგან, იხ. ოფიციალი), მსახური (ლაქია) რესტორანში ან საჯარო საზეიმო სადილ-ვახშმისას.

**ოფიციოზ-ი** (ლათ. officiosus, „სამსახურის გამწევი. მასიამოვნებელი, სათანადო, მართებული"), არაუშუალოდ მთავრობისაგან გამომდინარე, მაგრამ მისი მოსაწონი ან შესაფერი რამ, მაგ. ბეჭდვითი ორგანო, რომელიც გამოხატავს მთავრობის შეხედულებებს, — ემორჩილება მის შთაგონებას; **ოფიციოზური** — ოფიციოზის ხასიათის მქონე. ნახევრად ოფიციალური (იხ., 1), მაგ. **ოფიციოზური გაზეთი**.

**ოფორტ-ი** (ფრ. eau fort „მაგარი წყალი", იგულისხმება — არაყი, აზოტმჟავის ხსნარი): 1) მასტიკით დაფარულ ლითონის დაფაზე გრავირების (იხ.) ერთგვარი წესი: სურათი ამოიჭმება მაგარი არაყით (აზოტმჟავის ხსნარით); 2) ამგვარად შესრულებული გრავიური (იხ.) — **ოფორტისტ-ი** — ოფორტის შემსრულებელი ხელოვანი.

**ოქლო-**, იხ. ოხლო-.

**ოქრა**, იხ. ოხრა.

**ოქსიგენ-ი** (ბერძ. oxys „მკვეთრი, წვეტიანი; მჟავე", génos „წარმოშობა"), ქიმიაში: მჟავბადი. — **ოქსიდ-ი** — ჟანგეული, — რაიმე ელემენტის შენაერთი მჟავბადთან; **ოქსიდაცია** — :1) ჟანგვა, — მჟავბადის შეერთება სხვა სხეულთან; 2) ლითონის რაიმე ნივთის ზედაპირის მოჟანგვა — გარეშე გავლენისაგან (დაჟანგვისაგან) დაცვის (ზოგჯერ სილამაზის) მიზნით; **ოქსიდირება** — იგივე მოქმედება.

**ოქტავა ან ოქტავ-ი** (ლათ. octavus, მ. viii „მერვე"): 1) დიატონიკური (იხ.) გამის მერვე ტონი; მანძილი რვა ტონს შუა; 2) მამაკაცის ხმათა შორის ყველაზე დაბალი; 3) ლექსთწყობის ერთგვარი ფორმა. — **ოქტანტ-ი**: 1) წრის (წრეწირის) მერვედი; 2) ცისმნათობთა შორის კუთხური მანძილის გასაზომი იარაღი.

**ოქტაედრ-ი** (ბერძ. octô „რვა", hédra „საჯდომი, ადგილსამყოფელი; ფუძე"), რვაწახნაგოვანი სხეული.

**ოქტიდი**, ლათ.-ფრ. ხელოვნ. (octidi), დეკადის მერვე დღე საფრანგეთის სარევოლუციო კალენდრით.

**ოქტომბრის გაფიცვა** — ასე ეწოდა რუსეთის 1905 წ. მუშა-მოსამსახურეთა საერთო გაფიცვას, — მისი შედეგი იყო 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომლითაც მეფე აღუთქვამდა ხალხს საკანონმდებლო ორგანოს (სახელმწ. სათათბიროს) მოწვევას, პიროვნების ხელშეუხებლობას და რწმენისა, სიტყვისა, კრებისა და კავშირის თავისუფლებას.

**ოქტომბრის რევოლუცია** — 1917 წ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთში მოხდენილი გადატრიალება, რომლის შედეგიც იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა; მის აღსანიშნავად მიღებულია 25 ოქტ. (7 ნოემბ.) სადღესასწაულო დღედ, როგორც სოციალისტური რევოლუციის დასაწყისი.

**ოქტრუა** (ფრ. octroi „ბოძება, ჩუქება; გადასახადი შემოტანილ საქონელზე..."): 1) წინეთ — ერთგვარი სავაჭრო მონოპოლია; 2) შემდეგ და ახლა ზოგიერთ დასავლ. ევროპის სახელმწიფოებში: საქალაქო ან სათემო გადასახადი შემოტანილ საქონელზე. — **ოქტროირება** — :

1) რაიმე უფლების მინიჭება, ბოძება; 2) რაიმე კანონის გამოცემა უზენაესი უფლების ძალით; ოქტროირებული კონსტიტუცია—სახელმწიფოს მმართველის მიერ ბოძებული კონსტიტუცია. თითქოს თავისი ნებით და არა ხალხის ზეგავლენით.

**ოხლოკრატია** (ბერძ. óchlos „ბრბო", kratein „პატრონობა, მართვა"), არაორგანიზებული ლუმპენ-პროლეტარიატის (იხ.) ბრბოს ბატონობა.

**ოხრა** (ბერძ. óchrós „ფერმკრთალი, უფერული"), ყვითელი ან წითელი ბუნებრივი მინერალური საღებავი (მზადდება ხელოვნურადაც).

**„ოხრანკა"**, რუს. („სადამცველო დაწესებულება"), რუსეთში 19 საუკ. მე-90-ე წლებიდან თებერვლის რევოლუციამდე: საპოლიციო დეპარტამენტის ერთი განყოფილება — სარევოლუციო მოძრაობასთან საბრძოლველად.

**ომმ-ი**, გ.-ს. (Ohm, G.-S., 1787 — 1854), გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსი, შესანიშნავ შრომათა ავტორი გალვანურ ელექტრო-წრედის თეორიაში; მისი სახელით ცნობილია: გამტართა წინააღმდეგობის საზომი ერთეული ომი გალვანური დენის გავლისას.

# პ

**პა** (ფრ. pas „ნაბიჯი"): 1) სათანადო ხელოვნური ნაბიჯი ცეკვაში; 2) ზოგიერთი ცეკვის სახელწოდების პირველი ნაწილი, მაგ. პა-დეტრუა (pas de trois „სამთაცეკვა").

**პაგანიზმ-ი** (ლათ. პაგანუს-ისაგან „სოფლელი; წარმართი"): 1) წარმართობა, კერპთაყვანისმცემლობა; 2) წარმართული მსოფლმხედველობა.

**პაგანინ-ი**, ნ ი კ ო ლ ო (1784 — 1840), გენიალური იტალიელი დამკვრელი, ვიოლინოსთვის რამდენიმე მუსიკალ. ნაწარმოების ავტორი.

**პაგინაცია** („დაგვერდვა", ლათ. პაგინა-საგან „გვერდი, ფურცელი"): 1) წიგნის გვერდების დანომვრა; 2) წიგნის გვერდების რიგზე თანმიყოლება. — აქედან: **პაგინირება** — იგივე მოქმედება.

**პაგოდა**, სპ. (?)-პორტ.: 1) ინდოელთა, ჩინელთა და იაპონელთა ტაძრის სახელწოდება ევროპაში; აგრეთვე—მდიდრულად შემკული კერპისა; 2) პაგოდის-გამოხატულებიანი ოქროს ფული ინდოეთში, უდრის დაახლოებით 2½ მანეთს.

**პაგონ-ი**, იხ. პოგონი.

**„პაგრომ"-ი**, იხ. პოგრომი.

**პადეჟან-ი** (ფრ. pas de géant „გიგანტის, ბუმბერაზის ნაბიჯი", იხ. პა), ერთგვარი ირგვლივი საქანელა.

**„პოდიეზდ"-ი** (რუს. подъезд), სახლის გარეთა კარი და შესასვლელი, რომელთანაც შესაძლებელია ცხენით ან ეტლით მისვლა — შიგნი შესასვლელად; მისავალი.

**პავანა**, ისპ. (pavon-ისაგან „ფარშავანგი"): 1) ძველებური ისპანური ნელი ცეკვა, — ცეკვავდენ გრძელ ტანსაცმელებში; 2) ასეთი ცეკვის შესაფერი მუსიკა.

**პავიან-ი**, ევროპ., აფრიკის ერთგვარი მოკლე-კუდიანი მაიმუნის ჯიში, — თავი მიუგავს ძაღლისას.

**პავილიონ-ი** ან **პავილონ-ი** (ფრ. pavillon): 1) ტალავარი, — გუმბათოვან-სახურავიანი ერთგვარი ფანჩატური; 2) სახლის პატარა ლამაზი მინაშენი; 3) საგამოფენო საგნების მოსათავსებელი ადგილი ფანჩატურის სახისა; 4) შთასაბერი სამუსიკო ინსტრუმენტის ქვედა ძაბრულა.

**პავლიკიანობა** — სომხეთში (7 საუკ.) წარმოქმნილი ქრისტიანული გნოსტიკურ-მანიქეველური სექტა; აღიარებდა ხილული მსოფლიოს გამჩენის ბოროტი ღვთაების არსებობას; — უარყოფდა წმინდანთა თაყვანისცემას, ჯვარს, ხატებს, დღესასწაულებს, ბერობას და სხვ.; იმოწმებდა პავლე მოციქულის ეპისტოლეებს (აქედან სახელწოდებაც); მოისპო 12 საუკ. — აქედან: **პავლიკიანელი** — ამ სექტის მიმდევარი.

**პავლოვ-ი**, ი. პ. (დაიბ. 1849 წ.), გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგი, პირობითი რეფლექსი-

ბის (იხ.) მოძღვრების ავტორი; ცნობილია აგრეთვე შესანიშნავი შრომებით მომნელებელ ჯირკვალთა და უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების შესახებ.

**პათეტ-, პათო-,** იხ. პათოსი.

**პათოსი** (ბერძ. pathos „უბედურება, ტანჯვა; სულიერი ღელვა, გრძნობა, ვნება"): 1) ძლიერი სულიერი მოძრაობა, აღფრთოვანებული სიმხნევე, ღრმა ვნებიერი განცდა და სხვა ასეთი; 2) გადატ. მნიშვნ.: არაგულწრფელი აღფრთოვანების გარეგნული (სიტყვიერი) გამოხატულება; გაზვიადებული გრძნობით მეტყველება. — **პათეტიური** ან **პათეტიკური** — ვნებიერი, აღფრთოვანებული; გრძნობებზე მოქმედი. — **პათოგენია** (ბერძ. გენოს „წარმოშობა") — მოძღვრება ავადმყოფობათა წარმოშობის შესახებ; **პათოგენიური** ან **პათოგენ-ი მიკრობები** — ავადმყოფობათა გამომწვევი მიკრობები. — **პათოლოგია** — მოძღვრება ავადმყოფურ მოვლენათა შესახებ; **პათოლოგ-ი** — პათოლოგიის მცოდნე და მკვლევარი; **პათოლოგიური** — ავადმყოფური, არანორმალური; **პათოლოგიური ანატომია** (იხ. ანატომია, 3).

**პაი,** თურქ., ხვედრი, წილი; ულუფა.

**პაიაც-ი,** გერმ. (pajazzo, იტ. pagliacco „ჩალით გატენილი ტომარი"), კლოუნი, ტლანქი მასხარა.

**პაკეტ-ი** ან **პაკეთ-ი,** გერმ.-ევროპ. (ფრ. paquet): 1) ქაღალდის ბრტყელი პარკი შიგ ჩადებული წერილით ან მთავრობის რაიმე დაწესებულების ქაღალდით; 2) ფოსტით გასაგზავნი რისამე ერთი შეკვრა.

**პაკოტილ-ი** (ფრ. pacotille, წინა სიტყვისაგან), მცირე-ფასიანი, დაბალი ხარისხისა; მაგ. **პაკოტილური** ან **პაკოტილო საქონელი.**

**პაკტ-ი,** იხ. პაქტი.

**პაკჰაუზ-ი** ან **პაკჰაუს-ი,** გერმ. („ტვირთის სახლი", გერმ. Pack „შეკვრა, ფუთა"), საქონლის ან სხვა რაიმე მარაგის მოსათავსებელი ადგილი რკინიგზის სადგურზე, საბაჟოში და სხვ.; ტვირთსაწყობი.

**პალადა** ან უკეთ **პალას-ი** (ბერძ. პალლას,-ადოს): 1) ათენა ქალღმერთის (იხ.) ზედმეტი სახელწოდება; 2) ერთერთი მცირე პლანეტთაგანი. — **პალად-,** იხ. პალას-.

**პალადინ-ი,** ევროპ. (ლათ. პალატინუს-ისაგან „სასახლის კარის კაცი"): 1) ართურ მეფისა და კარლოს დიდის ლეგენდური მხლებელი; შემდეგ — რაინდი; 2) გადატ. მნიშვნ.: ვისიმე ან რაიმე იდეის დამცველი.

**პალანკინ-ი,** ინდ.-ევროპ. (ფრ. palanquin), ეტლის მაგიერი საპატიო პირთა სატარებელი დახურული ტახტრევანდი იაპონიასა, ინდოეთსა და ჩინეთში.

**პალას-ი** (იხ. პალადა); აქედან: 1) **პალადიონ-ი** (ბერძ. პალლადიონ), ათენა ქალღმერთის გამოსახულება ძველ საბერძნეთში (მისი ქონა თავდები იყო საზოგადოებრივი კეთილდღეობისა); 2) **პალადიუმ-ი** (ბერძ.-ლათ.), ქიმიაში: პლატინის მსგავსი, მაგრამ უფრო რბილი და დნობადი ლითონი.

**პალატა,** ლათ.-რუს.: 1) ზოგიერთ დაწესებულებათა სახელწოდება რევოლუციამდე რუსეთში (საკონტროლო პალატა, სახაზინო და სხვ.); 2) წარმომადგენლობითი კრებულების სახელწოდება კონსტიტუციურ სახელმწიფოებში, მაგ. ინგლისში: *ზედა პალატა* — ლორდთა პალატა; *ქვედა პალატა* — თემთა პალატა...; 3) *საზომ-საწონთა პალატა* — საზომ-საწონის ერთეულების დამცველი და სახელმწიფოში მათი სისწორით გამოყენების თვალყურის მდევნებელი დაწესებულება; 4) *წიგნის პალატა* — სახელმწიფოში დაბეჭდილ წიგნთა ცალების მომგროვებელი და დამცველი დაწესებულება.

**პალატალიზაცია,** ლათ.-ევროპ. (ლათ. პალატუმ-ისაგან „სასა"), ფონეტიკაში: ბგერის გასასისმიერება (გაშუაენისმიერება), დარბილება; **პალატალიზირება** ან **პალატალიება** — იგივე მოქმედება; **პალატალიზებული** — დარბილებული (გაშუაენისმიერებული). — **პალატალური** ან **პალატალი** — რბილი (შუაენისმიერი); **პალატალობა** — სირბილე (შუაენისმიერობა). — **პალატოგრამა** (ბერძ. გრამმა „ასო, ნაწერი...") — ფონეტიკაში: ხელოვნურად შეღებილ (ან ხელოვნურ) სასაზე აღბეჭდილი კვალის სურათი.

**პალატინატ-ი,** იხ. პალატინი.

**პალატინ-ი** (ლათ. პალატინუს): 1) საკ. სახ.- ერთერთი გორაკი, რომელზედაც დაარსდა რომი;

შემდეგ — იმპერატორთა სასახლეები იქვე; 2) ბიზანტიაში ძველად — სასახლის კარისკაცი, საპატიო გვარდიის ჯარისკაცი; 3) გერმანიაში (საშ. საუკ.)—პფალცგრაფი (იხ.); 4) უნგრეთში ძველად—დიდებული; 5) პოლონეთში—მთავარსარდალი. — **პალატინატ-ი** — პფალცგრაფობა, საპფალცგრაფო.

**პალატკა** (რუს. ?), კარავი.

**პალაცო** (იტ. პალაცცო), მდიდრული სასახლე.

**პალე**, ლათ.-ფრ. (palais), სასახლე; აქედან: **პალე-როიალ-ი** (royal „სამეფო"), საკ. სახ. საფრანგეთის სამეფო სასახლისა (17 — 18 საუკ).

**პალეო-** (ბერძ. palaiós „ძველი, ძველებური, უწინდელი"), აქედან: **პალეობოტანიკა** (იხ. ბოტანიკა) — პალეონტოლოგიის დარგი: იკვლევს განათხრებში პოვნილ უძველეს მცენარეებს. — **პალეოგრაფია** (ბერძ. graphein „წერა") — მოძღვრება ძველებურ დამწერლობათა და საერთოდ ძველ ხელნაწერთა გარეგნული მხარის შესახებ.—**პალეოზავრ-ი** (ბერძ. sayros „ხვლიკი") — განათხრებში პოვნილი უზარმაზარი ხვლიკი. — **პალეოზოონ-ი** ან **-ძოონ-ი** zoon „ცხოველი") — უძველესი დროის ცხოველი; აქედან: **პალეოზოური** ან **პალეოძოური ფორმაცია** ანუ **ხანა** — გეოლოგიაში: დედამიწის განვითარების ერთერთი (მეორე) უძველესი ხანა, რომელსაც ახასიათებს გაქვავებულ მცენარეთა და ცხოველთა არსებობა; **პალეოზოოლოგია** ან **-ძოოლოგია** (იხ. ზოოლოგია) — პალეონტოლოგიის დარგი: იკვლევს განათხრებში პოვნილ უძველეს ცხოველებს. — **პალეოლითური ხანა** — ქვის ხანის უძველესი პერიოდი, როცა ადამიანის საოჯახო და სხვა იარაღები კეთდებოდა გაუთლელი ქვისგან (შეად. ნეოლითური). — **პალეონტოლოგია** (იხ. ონტოლოგია) — მოძღვრება დედამიწაზე უძველეს დროში არსებულისა და გადაშენებული ორგანიზმების შესახებ. — **პალეოფიტოლოგია** (ბერძ. phytón „მცენარე") — იგივეა, რაც პალეობოტანიკა.

**პალესტრა** (ბერძ. palaistra), სატანვარჯიშო სკოლა ძველ საბერძნეთში.

**პალი**, ინდ., საშუალო ინდური ენა (იხ. სანსკრიტი და პრაკრიტი).

**პალიატივ-ი** (ლათ. პალლიუმ-ისაგან „ფართე წამოსასხამი; საბანი"), რაიმე ბოროტების (მაგ. ავადმყოფობის) დროებით შემამსუბუქებელი (მიმყუჩებელი) საშუალება; აქედან: **პალიატიური** — პალიატივის ხასიათის მქონე, მაგ.: **პალიატიური ზომები** ან **ღონისძიებანი** — არაძირითადი მიზეზების წინაალმდეგ მიმართული ღონისძიებანი; **პალიატიური მკურნალობა** — ავადმყოფობის არაძირითადი მიზეზების მკურნალობა.

**პალიმპხესტ-ი** ან **პალიმფსესტ-ი** (ბერძ. palimpseston; palin „უკანვე, ხელმეორედ, კვლავ", psdein „შლა, ფხეკა"). წარწერა-გადარეცხილი და საწერ მასალად ხელმეორედ გამოყენებული პერგამენტი (ეტრატი); ამომქრალი პირველნაწერის აღდგენა-გაცხოველება შესაძლებელია ქიმიური საშუალებებით (ცნობილია პროფ. ი. ჯავახიშვილისა და პროფ. ა. შანიძის მიერ 1923 წ. და შემდეგ აღმოჩენილი ქართ. ხ ა ნ მ ე ტ ი-ანი და ჰ ა ე მ ე ტ ი-ანი პალიმფსესტები).

**პალინგენეზის-ი** (იხ. წინა სიტყვა და გენეზისი). რწმენა და მოძღვრება მსოფლიოს ხელახლად წარმოქმნის შესახებ (აღდგენისა — მისი დაღუპვის შემდეგ) დროის განსაზღვრულ პერიოდებში.

**პალინდრომ-ი** (ბერძ. პალინ „უკანვე ხელმეორედ...", დრომოს „სირბილი"). ასე ეწოდება ისეთ სიტყვას ან ფრაზას, რომელსაც ერთი და იგივე აზრი აქვს, წაღმა წაიკითხავ თუ უკუღმა, მაგ. ა რ ა, ი გ ი და სხვ.; **პალინდრომია**—მედიცინაში: იგივეა, რაც რეციდივი (იხ.).

**პალისად-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. palissade „მესერი"). სამხედრო საქმეში: მესერის მაღალი ღობე — მტრისაგან თავის დასაცავად. — **პალისადნიკ-ი** (რუს. დაბოლოებით და მნიშვნელობით). მესერით შემოღობილი პატარა ბაღი სახლის წინ ან გასწვრივ.

**პალისანდრ-ი** ანუ **პ ა ლ ი ს ა ნ დ რ ი ს ხ ე**, ევროპ. (ფრ. palissandre), სამხრეთ-ამერიკის მუქ-მიხაკის ფერი ხე, რომლის მერქანისაგანაც მზადდება კარგი ავეჯეულობა.

**პალიტრა** (იტ. პალეტტა, რუს. დაბოლოებით), ოვალი (იხ.) ფორმის თხელი პატარა ფიცარი, რომელზედაც მხატვარი სრესს და ურევს საღებავებს.

**პალმა,** ლათ.: 1) ბოტანიკაში: მაღალი უტოტებო ფოთლების სქელ-ქოჩრიანი ტროპიკული მცენარე; არის ათასამდე სახისა; 2) გადატ. მნიშვნ.: მშვიდობიანობის ემბლემა. — **პალმეტები** (მრავლ.) — ხუროთმოძღვრებაში: პალმის ფოთლებისებრი ორნამენტი (იხ.).

**პალტო** (ფრ. paletot), მამაკაცის ან ქალის სახელოებიანი გრძელი გარესაცმელი.

**პალუბა,** რუს., ხომალდის ბანი; გემბანი.

**პამელა,** საკ. სახ., რიჩარდსონის (იხ. ლოველასი) ამავე სახელწოდების რომანის მოქმედი პირის. სათნოიანი ქალის სახელი; გადატ. მნიშვნ.: სათნოიანი ქალი.

**პამიდორ-ი** (ფრ. pomme d' amour „სიყვარულის ვაშლი", ქართულში — რუსულიდან), წითელ-, მეავე- და ცვრიან-ნაყოფიანი ბოსტნეული.

**პამპა,** მრავლ. პამპას-ი, პერუან.-ისპ., სამხრეთ ამერიკის ხშირ- და მაღალ-ბალახიანი გაშლილი ველები. — **პამპერო** — სამხრეთის ცივი ქარი პამპასში.

**პამფლეტ-ი,** ლათ.-ევროპ. (ძვ. ფრანგ. palme-feuillet „ხელში დასაკავებელი ფურცელი (ლათ. palma — „ხელი"), ინგლ. pamphlet), რაიმე საზოგადოებრივ პოლიტიკური მოვლენის ან, უმეტესად, გამოჩენილი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული მწვავე-სატირიკული პატარა თხზულება: აქედან: **პამფლეტისტ-ი** — პამფლეტების შემდგენელი.

**პან-** (ბერძ. pân „ყოველი, ყველა, სრული; სრულიად"), ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს ყოვლად, სრულად, ყველა და სხვ. ასეთს.

**პანაგია,** ბერძ. („ყოვლად წმინდა"), ეპისკოპოსის მიერ გულზე სატარებელი ღვთისმშობლის (ან მაცხოვრის) ხატი.

**პანათენები** (მრავლ., ბერძ. Pan-athênaia), ძვ. ათენაში: უმთავრესი ეროვნული დღესასწაული ათენა ქალღმერთის საპატივცემოდ (იხ. პან-).

**პანამა,** საკ. სახ.: 1) ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკა (დაარსებ. 1903 წ.) და 2) მისი მთავარი ქალაქი; 3) პ ა ნ ა მ-ის ყ ე ლ ი — აერთებს ჩრდ. და სამხრ. ამერიკას; 4) პ ა ნ ა მ-ის ა რ ხ ი — ჰკვეთს პანამის ყელს (გახსნილია სანავიგაციოდ 1914 წლიდან); 5) გადატ. მნიშ.: -ასე ეწოდა საქვეყნოდ გახმაურებულ იმ ბოროტმოქმედებას, რომელმაც გამოიწვია პანამის არხის გათხრის შეჩერება. გათხრა დაიწყო 1881 წ. პარიზში დაარსებული სააქციო საზოგადოების მიერ; შეჩერდა 1889 წ. უსახსრობის გამო, (რადგან უამრავი ფული დახარჯულიყო საფრანგეთის მინისტრებისა, დეპუტატებისა, ჟურნალისტებისა და სხვათა მოსასყიდად); 6) ფართე-არეებიანი ძვირფასი საზაფხულო უჭმუჭნი ქუდი, — იწნება სამხრ.-ამერიკის ზოგიერთი ხის ფოთლების ბოჭკოებისაგან.

**პანამერიკანიზმ-ი** (იხ. პან-), ამერიკის ყველა სახელმწიფოთა ინტერესების გაერთიანებისაკენ მიმართული მოძრაობა (იხ. მონროე).

**პანაცეა,** ლათ. (ბერძ. პან-აკეია-საგან „ყოვლის განკურნება"): 1) ძვ. ბერძნული მითოლოგიით: ყოვლის გამკურნებელი ქალღმერთი, ესკულაპის (იხ., 1) ქალი; 2) წამალი, რომელიც თითქოს ყოველ ავადმყოფობას არჩენს; 3) გადატ. მნიშვნ.: უებარი საშუალება ყოველი ბოროტების წინააღმდეგ (იხ. პან-).

**პანგერმანიზმ-ი** (იხ. პან-), პოლიტიკური თეორია და მოძრაობა, მიმართული გერმანიკული რასის ყველა ხალხთა გაერთიანებისაკენ — მსოფლიო პოლიტიკაში პირველობის მიზნით.

**პანგლოს-ი** (პანგლოსს), ვოლტერის (იხ.) რომანის („Candide") ერთერთი ოპტიმისტი (იხ.) მოქმედი პირი; აქედან საერთოდ წრეს გადასული ოპტიმისტი.

**პანდემია** (იხ. პან-, ბერძ. დემოს „ხალხი"), საყოველთაო ეპიდემია (იხ.), — **პანდემური** — მთელი ხალხის შესახები, საყოველთაო.

**პანდემონიუმ-ი,** ბერძ.-ლათ. (იხ. პან- და დემონი): 1) ჯოჯოხეთის სატახტო ქალაქი მილტონის (იხ.) „დაკარგული სამოთხით"; 2) გადატ. მნიშვნ.: გარყვნილების და ბოროტების ბუდე.

**პანდექტები** (მრავლ., ბერძ. პანდექტეს „ყოვლის შემცველი"), იუსტინიანის (იხ.) კოდექსის ერთი ნაწილი.

**პანდიტ-ი,** სანსკრ., მეცნიერი ბრაჰმანი; საერთოდ — ნასწავლი, მეცნიერი (ინდოეთში).

**პანდორა** (იხ. პან-, ბერძ. დორონ „საჩუქარი"), ძვ. ბერძ. მითოლოგიით: ღმერთებისაგან შექმნილი და ყოველი ნიჭით შემკული ქალი,

რომელმაც ცნობისმოყვარეობის გამო გახსნა ძევსის ნაჩუქარი ყოველი უბედურების შემცველი ყუთი (პ ა ნ დ ო რ ი ს ყ უ თ ი); ამგვარად გავრცელდენ ქვეყანაზე ადამიანთა უბედურებანი (ყუთში დარჩა მხოლოდ იმედი).

**პანეგირიკ-ი** (ბერძ. panêgyris-ისაგან „საყოველთაო დღესასწაული"): 1) ძველად — საჯაროდ თქმული საზეიმო-შექებითი სიტყვა — ამა თუ იმ პიროვნების საპატივცემოდ ან რაიმე შემთხვევის აღსანიშნავად; 2) შემდეგ და ახლა — წერილობითი ან საჯარო-ზეპირი გადაჭარბებული შექება (ჩვეულებრივ — პირფერული); აქედან: **პანეგირიკული** — პანეგირიკის ხასიათის მქონე; **პანეგირისტ-ი** — პანეგირიკის მთხზველი.

**პანელ-ი**, ევროპ. (ლათ. pannus-ისაგან „ქსოვილის ნაჭერი"): 1) სახლის შიგნი-კედლის ქვედა ნაწილის შემოფიცრულობა; 2) ქუჩის გასწვრივი საქვეითო ფენილი.

**პანელინიზმ-ი** (იხ. პან- და ელინი), ბერძნებით დასახლებული ქვეყნების გაერთიანებისადმი მისწრაფება — დიდი საბერძნეთის შექმნის მიზნით.

**პანზოოტია** (იხ. პან- და ზოო-), ცხოველთა საყოველთაო სენი.

**პანთეიზმ-ი** (იხ. პან-, ბერძ. theós „ღმერთი"), ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც აიგივებს ღმერთსა და მსოფლიოს: ღმერთი ყოველივეშია და ყოველივე ღმერთშია; მსოფლიო არის ღმერთის გარეგნული გამომჟღავნება; ბუნების გარეშე ღმერთი არ არსებობს; აქედან: **პანთეისტ-ი** — პანთეიზმის მომხრე; **პანთეისტური** — პანთეიზმის შესაფერი, მისგან გამომდინარე.

**პანთეონ-ი** (იხ. წინა სიტყვა): 1) ძველ რომში: ყველა ღმერთების საპატივცემოდ აგებული ერთი ტაძარი; 2) ახლა — ამა თუ იმ ერის ა) დიდების ტაძარი, — აგებული დიდებულ ადამიანთა საპატივცემოდ, ბ) დიდებულ ადამიანთა სასაფლაო.

**პანთერა**, ბერძ.-ლათ., კატის ოჯახის ლეოპარდის მსგავსი მტაცებელი ცხოველი.

**[1]პან-ი**, ბერძ., საკ. სახ., ძვ. ბერძნული მითოლოგიით: ტყეებისა, მინდორ-ველის და მწყემსთა მფარველი ღვთაება; აგრეთვე — შიშის მიზეზი; აქედან: **პანიკა** ან **პანიკ-ი** (ბერძ. პანიკოს „უეცარი, საშიშარი")— ერთბაშად მომცველი ძლიერი შიში, თავზარი — ერთი პირისა ან, უფრო ხშირად, საყოველთაო (ომის ან რაიმე კრების დროს); აქედან: **პანიკური** შიში.

**[2]პან-ი**, პოლ., ბატონი; **პანი** — ქალბატონი; **პანნა** — გაუთხოვარი ქალი.

**პანიკა, პანიკური** — იხ. [1]პანი.

**პანინი**, საკ. სახ., შესანიშნავი ინდოელი გრამატიკოსი (4 საუკ. ქ. წ.).

**პანისლამიზმ-ი** (იხ. პან- და ისლამი), ყველა მაჰმადიანთა გაერთიანებისაკენ მიმართული პოლიტიკურ-რელიგიური მოძრაობა — მაჰმადიანობის გავრცელებისა და თავის სახელმწიფოთა დაცვის მიზნით.

**პანკარტა** (იხ. პან- და კარტა): 1) განცხადება, აფიშა; 2) საბირჟო ფასების განცხადება.

**პანკრატიები** (მრავლ., იხ. პან-, ბერძ. კრატოს „ძალა"), ძველ ბერძენთა ათლეტიკური შეჯიბრებანი, — მიმართავდენ თავდაცვის ან შეტევის ყოველგვარ საშუალებებს.

**პანკრეას-ი** (იხ. პან-, ბერძ. კრეას „ხორცი"), კუჭქვეშა ჯირკვალი; **პანკრეატინ-ი** — კუჭქვეშა ჯირკვლის წვენი.

**პანო**, ლათ.-ფრ. (panneau, იხ. პანელი), ხუროთმოძღვრებაში: ბორდიურებით (იხ.) ან მხატვრული ორნამენტებით შემკული ზედაპირი კედლისა, კარებისა და სხვ.

**პანოპლია** (იხ. პან-, ბერძ. hóplon „იარაღი"); 1) რაინდის სრული საჭურველი; 2) იარაღთა კოლექცია მუზეუმში ან კერძო სახლში.

**პანოპტიკუმ-ი**, ლათ.-ბერძ. (იხ. პან- და ოპტიკ-), ერთგვარი მოძრავი მუზეუმი, შემცველი მრავალგვარ საგანთა, განსაკუთრებით — ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ცვილის ფიგურებისა.

**პანორამა** (იხ. პან-, ბერძ. horāma „სანახაობა"): 1) ღრუ ცილინდრისებური მოყვანილობის დიდი დეკორაცია, რომლის შუაგულში მყოფ მნახველს დეკორაციაზე გამოსახული საგნები ეჩვენება სინამდვილედ; 2) გამადიდებელ მინაში ბუნებრივი სიდიდით დანახული საგნები სურათზე; 3) ბუნების ლამაზი სანახაობა, ჩვეულებრივ — მაღლობზე მდგომი მნახველის გარშემო.

**პანსიონ-ი**, ფრ. (ლათ. პენსიო, -ონის „გადასახადი"): 1) სასწავლებელი მოწაფეთა საერთო

საცხოვრებლითურთ; 2) კერძო ბინა, სადაც ჰკვებენ და ყოველგვარად უვლიან მცხოვრებთ განსაზღვრულ ფასად; აქედან: **პანსიონერ-ი** — პანსიონში მცხოვრები 1) მოწაფე ან 2) კერძო პირი.

**პანსლავიზმ-ი** (იხ. პან- და სლავები), სლავური ტომის ყველა ხალხთა გაერთიანებისაკენ მიმართული პოლიტიკური მოძრაობა; **პანსლავისტ-ი** — პანსლავიზმის მომხრე.

**პანსპერმიზმ-ი** (იხ. პან- და სპერმა), მოძღვრება პლანეტთაშორისს სივრცეში ცოცხალ ჩანასახთა არსებობის შესახებ.

**პანტაგრუელ-ი** (Pantagruel), საკ. სახ., რ ა ბ ლ ე-ს (იხ.) რომანის მთავარი გმირი, — უზრუნველი, გაუმაძღარი და ცხოვრების მიზნად მხოლოდ ხორციელი დატკბობის დამსახველი; აქედან: **პანტაგრუელიზმ-ი** — პანტაგრუელობა; **პანტაგრუელისტ-ი** — პანტაგრუელის ხასიათების მქონე.

**პანტე-**, იხ. პანთე-.

**პანტოგრაფ-ი** (ბერძ. პან. პანტოს „ყველა, ყველაფერი“, graphein „წერა“), ყოველგვარი ნახატისა და ნახაზის სხვადასხვა მაშტაბით საკოპირო (იხ. კოპიო) ანუ პირის გადამღები მექანიკური მოწყობილობა.

**პანტომიმა** ან **პანტომიმ-ი** (ბერძ. პანტომიმოს „ყოვლის მბაძავი“, იხ. წინა სიტყვა და მიმ-). სხეულსახვა: 1) სასცენო წარმოდგენა, რომელშიც მსახიობები გამოხატავენ თავიანთ გრძნობასა და აზრებს არა სიტყვით, არამედ სხეულის მოძრაობებით; 2) საერთოდ — მუნჯური სცენა. — აქედან: **პანტომიმური** — სხეულსახვითი.

**პანტომორფია** (ბერძ. პან, პანტოს „ყველა, ყველაფერი“, მორფე „სახე. გარეგნობა“), ყოველგვარი ფორმის მიღების უნარი. — **პანტოფაგია** (ბერძ. phagein „ჭამა“), ყველაფრის მჭამელობა. — **პანტოფობია** (ბერძ. phobos „შიში, ძრწოლა“). ყველაფრის შიში. ყველაფრისადმი მძულვარება.

**პანჩა-ტანტრა**, სანსკრ. („ხუთ-წიგნა“), ინდურ იგავ-არაკთა შესანიშნავი კრებული (შექმნილია არა უგვიანეს 6 საუკ ქ. შ.), რომლის მრავალი სუჟეტი შესულია მსოფლიო ლიტერატურაში, — თარგმნილია მრავალ (აღმოსავლ. და დასავლ.) ენაზე.

**პაპა**, ევროპ.: 1) მამა; 2) პაპა ან უკეთ **პაპ-ი** (ფრ. pape) — რომაულ-კათოლიკური ეკლესიის უფროსი; ითვლება პეტრე მოციქულის უცოდველ მოადგილედ; ირჩევა კარდინალებისაგან (იხ.). ცხოვრობს რომში (იხ. ვატიკანი). — **პაპიზმ-ი** — რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მოძღვრება; აგრეთვე — მოძღვრება პაპის უცოდველობის შესახებ; **პაპისტ-ი** — პაპის ან პაპიზმის მომხრე.

**პაპიე-მაშე** (ფრ. papier „ქაღალდი“. mâché „დაღეჭილი; დაქუცმაცებული“), წებო-, გიპს- და სახამებელ-შერეული მასსა დაქუცმაცებული ქაღალდისა, — იხმარება მრავალგვარ საგანთა (სათამაშოებისა, კოლოფებისა, ორნამენტებისა და სხვ.) საძერწავად.

**პაპილოტ-ი** (ფრ. papillote, ლათ. papilio-საგან „პეპელა“), თმის დასახვევი ქაღალდი თმის დახუჭუჭების დროს.

**პაპინ-ის ქვაბი** — ასე ეწოდება ფრანგი ფიზიკოსის პაპინ-ის (1647 — 1712) მიერ გამოგონილს დამცავ-სარქვლიან ორთქლის ქვაბს. რომელშიც ტემპერატურა აღწევს 200-300 გრადუსამდე.

**პაპიროს-ი**, ევროპ.-რუს., თამბაქოთი გატენილი თხელი ქაღალდის წერილი მილი.

**პაპირუს-ი**, ლათ. (ბერძ. papyros-ისაგან „ჭილი“): 1) წყლის ერთგვარი მცენარე. — იზრდება აბაშეთში. ეგვიპტეში და სხვ.; 2) ამ მცენარისაგან დამზადებული საწერი მასალა (ქაღალდის მაგიერი).

**პაპისტ-ი**, იხ. პაპა (2).

**პაპკა** (გერმ. Pappe-საგან, რუს. დაბოლოებით): 1) სქელი მუყაო ანუ კარტონი (იხ. 1. 2); 2) მუყაოს ყდა; 3) მუყაოს პორტფელი (იხ.) — ქაღალდების ჩასაწყობად.

**პაპუა**, მრავლ. პაპუას, მალ. („ხუჭუჭა, ბანჯგვლიანი“), მელანეზიის რასის შავკანიანი მოსახლეობა ახალ-გვინეაში (ენობრივად განცალკევებულად მდგომი მელანეზიელთაგან): კულტურულად — უდაბლეს საფეხურზე.

**პაპულა**, ლათ., მუწუკი; **პაპულოზური** — მუწუკებიანი.

**პაჟ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. page): 1) საშ. საუკუნეებში: რაინდის (ან მისი მეუღლის) მხლებელი ჭაბუკი, დავალებათა შემსრულებე-

ლი და სარაინდო ხელოვნების შემსწავლელი; 2) პაჟთა კორპუსის (იხ. კორპუსი) მოწაფე რევოლუციამდე რუსეთში; 3) იუპკის შეკეცილად დასაჭერი დუგმიანი ზონარი.

**პარა-** ან **პარ-**, ბერძ., დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს: -თან, ახლოს; -კენ; გადასვლას ან ცვლილებას; უპირატესობას; წინააღმდეგობას და სხვ.

**პარაბოლ-ი** (იხ. პარა-, ბერძ. bolē „სროლა, ტყორცნა"): 1) დამრიგებლობითი ხასიათის პატარა იგავი; 2) გეომეტრიაში: წრიული კონუსის შემქმნელისადმი სწვრივი (პარალელური) სიბრტყის მიერ ამ კონუსის გარდაკვეთით მიღებული მრუდი; 3) სამხედრო საქმეში: გასროლილი ყუმბარის ან ტყვიის მრუდი წირი (ხაზი).— **პარაბოლური** — პარაბოლის ხასიათის (ფორმის) მქონე.

**პარაბულია** (იხ. პარ- და აბულია), ნებისყოფის მოქმედების აშლა.

**პარაგენეზის-ი** (იხ. პარა- და გენეზისი), მინერალოგიაში: განსაზღვრული კანონზომიერება ლითონთა განრიგებაში (თანამდებარეობისა და თვისებათა მიხედვით).

**პარაგრამა** (იხ. პარა-, ბერძ. გრამმა „ნაწერი"): 1) თხზულების ჩანამატი; 2) ასოს (ბგერის) შენაცვლება სიტყვაში; უდრის აგრეთვე ანაგრამას (იხ.).

**პარაგრაფ-ი** („მინაწერი", იხ. პარა-, ბერძ. graphein „წერა"): 1) რაიმე ტექსტის ნაწყვეტი, რომელსაც აქვს თავისთავადი მნიშვნელობის შინაარსი. — აღინიშნება ჩვეულებრივ §-ნიშნით; 2) თვით ამ §-ნიშნის სახელწოდება; 3) იურიდ.: კანონის მუხლი.

**პარად-ი**, ლათ.-ფრ. (parade. ლათ. პარარესაგან „მომზადება"). სამხედრო ჯარის საზეიმო დათვალიერება.— აქედან: **პარადული** — ზეიმის, დღესასწაულის ხასიათის მქონე; **საპარადო** — საზეიმო, სადღესასწაულო, საუკეთესო (მაგ. ტანსაცმელი, შეხვედრა და სხვ.). — აქედან: **პარადირობა** — : 1) სხვის მოსაწონად კეკლუცობა; უკეთესად თავის ჩვენება; 2) საპარადო მარშით სვლა.

**პარადიგმა** (იხ. პარა-. ბერძ. დეიგმა, -ატოს „ნიმუში"), გრამატიკაში: განსაზღვრული უღლილების (პირველის, მეორისა და სხვ.) ან ბრუნების (ბრუნების) სანიმუშო სიტყვა.

**პარადოქს-ი** (იხ. პარა-, doxa „აზრი, მოსაზრება"). საყოველთაოდ მიღებულის საწინააღმდეგო თავისებური აზრი, რომლის ჭეშმარიტობა შესაძლოა გამომჟღავნდეს მხოლოდ ყურადღებით ჩაკვირვების საშუალებით.—**პარადოქსული** — პარადოქსის ხასიათის მქონე. — **პარადოქსომანია** (იხ. მანია)—პარადოქსების სიყვარული.

**პარაზიტ-ი** (იხ. პარა-, ბერძ. სიტოს „საჭმელი, საკვები"): 1) სხვა ორგანიზმის ხარჯზე (სხვისი წვენით, სისხლით) მცხოვრები ორგანიზმი— მცენარე ან ცხოველი, რომელიც დროებით ან სამუდამოდ ბინადრობს სხვა მცენარის ან ცხოველის სხეულზე (ან სხეულში). ასეთია, მაგ. ფოთლის სოკო, გლისტი, ტილი და სხვ.; 2) გადატ. მნიშვნ.: მუქთახორა უსარგებლო ადამიანი. — **პარაზიტიზმ-ი** — : 1) ამგვარი მოვლენა მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებაში; 2) მუქთახორობა, პარაზიტად ყოფნა. — **პარაზიტირება** ან **პარაზიტობა** — სხვის ხარჯზე ცხოვრება და სხვ.. — **პარაზიტული** — მუქთახორული: პარაზიტის ხასიათის მქონე.

**პარაკსიზმ-ი**, იხ. პაროქსიზმი.

**პარალალია** (იხ. პარა-. ბერძ. ლალეინ „ტიკტიკი"). ნაკლოვანი, გაურკვეველი წარმოთქმა (ბგერათა, სიტყვისა).

**პარალელ-ი** (იხ. პარ-, ბერძ. allēlon „ერთიერთ"): 1) გეომეტრიაში: თანსწორივა წირი (ხაზი). — ყველა თავის წერტილებში თანასწორად დაშორებული წირი (ხაზი) მეორე წირისაგან. რომელიც იმავე სიბრტყეში იმყოფება; 2) გეოგრაფიაში: დედამიწის ბირთვზე თვითეული აზრობრივ გაყვანილ წრეთაგანი, რომელნიც თანასწორად არიან დაშორებულნი ეკვატორისაგან; 3) შედარება, შეპირისპირება. — **პარალელიზმ-ი** — : 1) პარალელობა, თანსწორიობა; 2) ორი თანამდევი მოვლენის უცვლელი შეფარდება; 3) ერთისა და იმავე აზრის სხვადასხვა სიტყვებით განმეორება. — **პარალელური**— პარალელის თვისებების მქონე; თანსწორივი.

**პარალელეპიპედ-ი** (იხ. პარალელი, ბერძ. epipedon „ზედაპირი. პირეული"). გეომეტრიაში: ექვსი პარალელოგრამით შემოსაზღვრული სხეული. — **პარალელოგრამ-ი** (ბერძ. გრამმა

„ნაწილი, ნიშანი, ფიგურა“) — ოთხკუთხედი, რომლის მოპირდაპირე გვერდები თანასწორი და თანსწორივია.

**პარალიჩ-ი** (რუს. დაბოლოებით) ან **პარალიზ-ი** (იხ. პარა-, ბერძ. lysis „დაყოფა, მოსპობა“), დამბლა; აქედან: **პარალიზური** — პარალიზის დამახასიათებელი. მისგან წარმოშობილი: **პარალიტიკ-ი** — დამბლიანი, დამბლა დაცემული. — **პარალიზაცია** — დასუსტება, მოქმედების შეჩერება: **პარალიზირება** ან **პარალიზება** (ვ ა პ ა რ ა ლ ი ზ ე ბ) — იგივე მოქმედება.

**პარალოგია** (იხ. პარა- და ლოგიკა), მცთარი დასკვნა. შეცთომა. — **პარალოგიზმ-ი** — გარეგნულად (ფორმით) ყალბი დასკვნა.

**პარამეტრ-ი** (იხ. პარა- და მეტრი), გეომეტრიაში: ანალიზურ გეომეტრიაში შემავალი ყოველი მუდმივი სიდიდე.

**პარამნეზია** (იხ. პარ- და ამნეზია), მედიცინაში: მეხსიერების ერთგვარი ავადმყოფობა — არარსებული მოვლენების მახსოვრობა.

**პარანოია** (იხ. პარა-, ბერძ. ნოეინ „ფიქრი, აზროვნება“), მედიცინაში: სულიერი აშლილობის ერთგვარი ფორმა, რომელიც ხასიათდება განსაზღვრული მიმართულების ბოდვითი იდეებით — სხვა მხრივ ნორმალური აზროვნების დაუკარგველად.

**პარანომია** (იხ. პარა-, ბერძ. nómos „წესი, ჩვეულება“), კანონთ-წინააღმდეგობა, კანონების წინააღმდეგობა.

**პარაპეტ-ი** (იტ. პარაპეტტო): 1) მოაჯირი ხიდისა. აივნისა, მდინარის გასწვრივ და სხვ.; 2) იგივეა რაც ბრუსტვერი.

**პარასიფილის-ი** (იხ. პარა- და სიფილისი), მედიცინაში: ათაშანგის სიმპტომების არმქონე, მაგრამ მის შედეგად წარმოქმნილი ავადმყოფობანი.

**პარასოლ-ი** (იტ. პარასოლე), მზისაგან თავდასაცავი ქოლგა.

**პარატაქსის-ი** (იხ. პარა-, ბერძ. táxis „წყობა, რიგი“), გრამატიკაში: წინადადებათა ისეთი შეხამება, როცა ისინი ურთიერთ დამოკიდებულნი არ არიან ანუ მათ შორის დამოკიდებულობა არაა გამოხატული გარეგნულად (ფორმალურად).

**პარატიფ-ი** (იხ. პარა- და ტიფი), ტიფის მსგავსი, მაგრამ უფრო მსუბუქად მიმდინარე ავადმყოფობა.

**პარატონერი** (ფრ. paratonnerre), მეხამრიდი. მეხის ამცდენი მოწყობილობა.

**პარაფიმოზ-ი** ან **პარაფიმოზის-ი** (იხ. პარა- და ფიმოზი), მედიცინაში: მამაკაცის სასქესო ასოზე ჩუჩის გადმოუწეველობა — მისი შესივების გამო („ისპანიური საყელო“).

**პარაფინ-ი**, ლათ.-ეროპ., ხელოვნ. (ფრ. paraffine). მყარ და თხევად ნახშირბადთა ნარევი ცვილისებრი თეთრი ნივთიერება, — მოიპოება შავი ნავთისაგან, ხის მშრალი გამოხდიდან და სხვ.; იხმარება, მაგ. სანთლის წარმოებაში, ქაღალდის გასაჟღენთად და სხვ.. — **პარაფინ-ი ს ზეთი** — პარაფინის შემცველი გამონახადი შავი ნავთისა, სხვადასხვა ფისისა და სხვ., — იხმარება როგორც წასასმი და აგრეთვე — განათებაში.

**პარაფონია** (იხ. პარა-, ბერძ. phonê „ბგერა“), მუსიკაში: უკეთილხმოვნობა.

**პარაფრაზ-ი** ან **პარაფრაზის-ი**, ბერძ. (იხ. პარა- და ფრაზა): 1) თხზულების რომლისამე ნაწილის (ფრაზის, ნაწყვეტის) შეცვლილი სახით გადმოცემა — რაიმე (მაგ., ადვილად გაგებინების) მიზნით; 2) თავისუფალი (დედანზე უფრო ვრცელი) თარგმანი; 3) მუსიკაში: თემის გავრცელება, დამუშავება; შემკობა. — **პარაფრაზირება** — იგივე მოქმედებანი.

**პარაქრონიზმ-ი** (იხ. პარა-, ბერძ. chrónos „დრო“), შეცთომა დათარიღებაში.

**პარაქსიზმ-ი**, იხ. პაროქსიზმ-ი.

**პარაშიუტ-ი** ან **პარაშუტ-ი** (ფრ. parachute), დიდი ქოლგისებრი საჰაერო მოწყობილობა, — იხმარება ჰაერიდან ძირს ვარდნის შესანელებლად.

**პარგელიები**, იხ. პარჰელიები.

**პარდონ**, ფრ., უკაცრავად! მაპატიე! ან მაპატიეთ!

**პარეზის-ი**, ბერძ., მედიცინაში: მსუბუქი დამბლა.

**პარენქიმა** (იხ. პარ-, ბერძ. égchymos „ცერიანი, წვნიანი“): 1) ანატომიაში: ცხოველთა შინაგანი ორგანოების, მაგ. ფილტვებისა, ჰაჰების და სხვ. ნესტოვანი ქსოვილი; 2) ბოტანიკაში: თხელკედელა მრავალკუთხოვანი ან ვარ-

სკელავისებრი უჯრედებისაგან შედგენილი ქსოვილი.

**პართენოგენეზის-ი** (ბერძ. parthénos „ქალწული“, იხ. გენეზისი), ზოგიერთ მწერთა და დაბალ ცხოველთა გამრავლება გაუნაყოფიერებლად. — **პართენონ-ი** — ათინა ქალ-ღმერთის სახელობის ტაძარი ძველს ათენაში (ნანგრევები დაცულია დღემდე).

**პარი**, ფრ., ნაძლევი, სანაძლეო.

**პარია, პარიები**, ინდ. საკ. სახ.: 1) სამხრეთ ინდოეთის ერთერთი ტომი; 2) უდაბლესი ათვალწუნებული წოდება; 3) პ ა რ ი ა: საერთოდ— უუფლებო და ყველას მიერ უსამართლოდ დევნილი ადამიანი.

**პარიეტალური** ან **პარიეტული** (ლათ. პარიეს, -ეტის „კედელი“), ანატომიაში: კედლური, საკედლო (რაიმე ორგანოს მიმართ).

**პარიზის კომუნა**, იხ. კომუნა (2, ბ.).

**პარიზის კონგრესი** (ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს მ უ შ ა თ ა წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი ს ა) — პირველი საერთაშორისო ყრილობა (ქ. პარიზში 1889 წ. 14-20 ივლისს) I ინტერნაციონალის (იხ.) დაშლის შემდეგ; ამ კონგრესმა დაადგინა მუშათა პირველ-მაისობა (იხ. მაისის).

**პარიკ-ი**, რუს. (გერმ. Perrücke ან ფრ. perruque-საგან), სხვისი თმებისაგან ხელოვნურად გაკეთებული თავზე გადასაფარებელი. — იხმარება, მაგ. მელოტის დასაფარავად, მსახიობების მიერ და სხვა.; **პარიკმახერ-ი** (გერმ. Perrückenmacher „პარიკის მკეთებელი“), მეპარიკე და მკრეჭელ-მპარსველი; დალაქი.

**პარირება**, ევროპ. (ლათ. parare-საგან „მზადება, შეიარაღება“); 1) ფარიკაობაში: დარტყმის თავიდან აცდენა; 2) საერთოდ — დავაში მოწინააღმდეგის საბუთების დარღვევა; ბრალდების თავიდან მოცილება და სხვ.

**პარის-ი**, ბერძ. საკ. სახ.; 1) მითოლოგიით: პრიამოსის (ტროიას მეფის) შესანიშნავი ლამაზი ვაჟი, რომელმაც მშვენიერი ელენეს მოტაცებით გამოიწვია ტროიას ომი; 2) გადატ. მნიშვნ.: ლამაზი ვაჟი.

**პარიტეტ-ი** (ლათ. პარიტას,-ატის „თანასწორობა“); 1) თანასწორუფლებიანობა, თანასწორ მდგომარეობაში ყოფნა; 2) კომერციაში: თანასწორ-ფასიანობა. — **პარიტეტული** — თანასწორი, მაგ. **პარიტეტული წარმომადგენლობა** — თანასწორ-რიცხვოვანი წარმომადგენლობა.

**პარკა, პარკები**, ლათ. საკ. სახ. (parca,-ae), მითოლოგიით: ადამიანის ბედ-იღბლის სამი ქალღმერთი (ჰესიოდით — დები: კ ლ ო თ ო, ლ ა ქ ე ზ ი ს და ა ტ რ ო პ ო ს), იგივეა რაც მოირები (იხ.).

**პარკეტ-ი** (ფრ. parquet. პარკ-ისაგან. იხ.), პატარა ფიცრებით მკიდროდ და განსაზღვრული თანმიყოლებით დაგებული (დაფენილი) იატაკი.

**პარკ-ი**, ევროპ.: 1) შემოკავებული და საგანგებოდ მოვლილი სასეირნო პატარა ტყე; 2) აეროპლანებისა და ვაგონების სადგომი; 3) სამხედრო საწყობი. რომელიც თან სდევს ლაშქარს და აწვდის მას სხვადასხვა მასალას (საარტილერიო, საველე. საინჟინერო. საალყო და სხვ.).

**პარლამენტ-ი** (საშ.-ლათ. პარლამენტუმ — პარლარე-საგან „ლაპარაკი“), ხალხის წარმომადგენელთა უზენაესი საკანონმდებლო კრება კონსტიტუციურ (და რესპუბლიკურ) ბურჟუაზიულ ქვეყნებში, — იგი აგრეთვე კონტროლს უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებას; ჩვეულებრივ პარლამენტი შედგენილია ორი პალატისაგან (იხ. პალატა, 2) — ზ ე დ ა (შედგენილია უშუალოდ ხალხის მიერ არჩეულთაგან) და ქ ვ ე დ ა (შედგენილია ვიწრო გაბატონებულ წრეთა წარმომადგენლებისა, მონარქის მიერ დანიშნულთა ან მემკვიდრეობით უფლების მქონეთაგან). — აქედან: **პარლამენტარიზმ-ი** — : 1) მმართველობის სისტემა. როცა პარლამენტი წარმოადგენს არა მხოლოდ საკანონმდებლოს, არამედ მთავრობის მოქმედებათა თვალყურის მდევნელ ორგანოს; 2) პარლამენტური წყობილების თავისებურობანი. — **პარლამენტარისტ-ი** — პარლამენტარიზმის მომხრე. — **პარლამენტარული** ან უკეთ **პარლამენტური** — პარლამენტის ხასიათის მქონე. — **პარლამენტიორ-ი** ან უკეთ **პარლამენტერ-ი** (ფრ. parlementaire). ომის დროს მოწინააღმდეგე მხარესთან გაგზავნილი მოციქული — მოლაპარაკების ან რისამე შეტყობინების მიზნით.

**პარნას-ი**, ბერძ. საკ. სახ. (Parnassós): 1) მაღალი მთა ფოკიდაში (საბერძნეთში), რომელიც ძველი ბერძნების რწმენით წარმოადგენდა ღვ-

დამიწის შუაგულსა და აპოლონისა და მუზების (იხ) სამყოფელს; 2) გადატ. მნიშვნ.: პოეზია. — აქედან: **პარნასელები** (მრავლ., Parnassiens) — ასე ეწოდა პოეტთა ერთ ჯგუფს საფრანგეთში (19 საუკ. მეორე ნახევარში) მათ მიერ გამოშვებული ლექსთა კრებულის „თანამედროვე პარნასი"-ს („Parnasse contemporain") გამო: უარჰყოფდენ ყოველგვარ მორალურ-პედაგოგიურ მიზნებს პოეზიაში, იცავდენ წმინდა ხელოვნების დებულებას („ხელოვნება ხელოვნებისათვის") და ფორმის სისრულეს; მათ შორის უმთავრესნი არიან: ლ ე კ ო ნ ტ დ ე ლ ი ლ-ი (Lecont de Lisle, 1818 — 1894), კ. მ ე ნ დ ე ს-ი (C. Mendès. 1842 — 1909), ს ი უ ლ ი პ რ ი დ ო მ (Sully Prudhomme. 1839 — 1907) და რამდენიმე სხვა.

**პაროდია**, ბერძ. („საწინააღმდეგო სიმღერა", იხ. პარ- და ოდა): 1) ერთგვარი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ავტორი ხუმრულად ან დაცინვით ჰბაძავს ვისიმე ნაწარმოებს — მისი გარეგნული ფორმის დაცვით, მაგრამ სასაცილო შეუფერებელი შინაარსის შეტანით მასში; 2) საერთოდ — რისამე სასაცილო მიბაძვა; შინაარსის დამმახინჯებელი გარეგნული მიბაძვა. — აქედან: **პაროდირება** (ვ ა პ ა რ ო დ ი რ ე ბ) — იგივე მოქმედება; **პაროდისტ-ი** — პაროდიების მთხზველი.

**პაროკსიზმ-ი**, იხ. პაროქსიზმი.

**პაროლ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. parole „სიტყვა, მეტყველება"). პირობითი საიდუმლო სიტყვა (ან მთელი წინადადება), — ეცნობება გუშაგს (დარაჯს), რათა მან შეძლოს თავისიანის გარჩევა მტრისაგან; პაროლი გამოყენებულია, განსაკუთრებით, ომის დროს; აგრეთვე — ფარულ კონსპირაციულ წრეებში, სადაც პაროლი ეცნობება წრის ყველა წევრებს.

**პარომ-ი**, იხ. პორომი.

**პაროს-ი ს მარმარილო** — კუნძულ პაროსის ძალიან მაგარი თეთრი მარმარილო.

**პაროტიტ-ი** ან უკეთ **პაროტის-ი** (იხ. პარ-, ბერძ. oys, ὠτός „ყური"), ყურის ახლო ჯირკვლის ანთება; ყბაყურა.

**პაროქსიზმ-ი** (იხ. პარ-, ბერძ. oxys „წვეტიანი, მკვეთრი; უეცარი"): 1) ავადმყოფობის შეტევა, ე. ი. ავადმყოფობის პროცესის ხანგამოშვებითი უკიდურესი გაძლიერება; 2) უეცარი და ძლიერი სულიერი აღძვრა.

**პარსი, პარსები**, საკ. სახ: 1) ირანული ტომის მცირერიცხოვანი ხალხი (100-ათასამდე), რომლის ნაწილი ცხოვრობს აღმოსავლ. სპარსეთის კუთხეებში, ნაწილი — ჩრდ.-დასავლ. ინდოეთში; აღიარებენ ზარათუშტრას რელიგიას (იხ. მაზდეიზმი), რომელსაც ეწოდება აგრეთვე — პარსთა რელიგია. 2) პ ა რ ს ი — მათი ენა ირანული (იხ.) წარმოშობისა.

**პარტა** (რუსულიდან), მოწაფის სასკოლო დაფერდებული მაგიდა.

**პარტეიტაგ-ი** (გერმ. Partei „პარტია", Tag „დღე", იხ. პარტია). გერმანიაში: საერთოდ — პარტიის ყრილობა; კერძოდ — სოც.-დემოკრატიული პარტიის ყოველწლიური ყრილობა.

**პარტენ-**, იხ. პართენ-.

**პარტერ-ი** (ფრ. par-terre „მიწაზე"): 1) თეატრში: საჯდომი ადგილები ქვედა სართულში სცენის წინ; აგრეთვე — თვით იქ მსხდომი მაყურებლები; 2) ბილიკებით დასერილი ყვავილნარი ბაღში.

**პარტია**, ლათ.-ევროპ. (ლათ. pars,-tis „ნაწილი", ქართულში რუსულიდან): 1) განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასის მოწინავე პირთაგან შედგენილი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც გამოხატავს და იცავს ამ კლასის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ინტერესებს — მის მიერ მიღებული პროგრამისა და ტაქტიკის (იხ.) მიხედვით; 2) ერთისა და იმავე ხელობის ან მდგომარეობის პირთა ერთობლიობა, მაგ. ტუსალთა პარტია; 3) ერთეამიერად გადაგზავნილი ან მიღებული საქონლის რაოდენობა, მაგ. წიგნების პარტია, პურპლეულის პარტია და სხ.; 4) მუსიკაში: მუსიკალური პიესის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ერთი მომღერლისათვის ან ერთი ინსტრუმენტისათვის, მაგ. სატენორო პარტია; 5) თვითეული ხელი რაიმე თამაშში (მაგ. კარტის, ბილიარდზე და სხვ.), აგრეთვე — მოთამაშეთა შემადგენლობა. — **პარტიული**, იხ. ქვემოთ.

**პარტიზანა**, ლათ.-იტ. (partigiana), ალებარდის (იხ.) მსგავსი ძველი საომარი იარაღი საფრანგ., ინგლ. და შოტლანდიაში. — **პარტიზან-ი** — : 1) პარტიზანით შეიარაღებული მეომარი იქვე; 2) პარტიზანული (იხ.) ომის მონაწილე; ლათ.-ფრ. partisan — რისიმე მომხრე

ან მიმდევარი. — **პარტიზანული ომი** — პატარა მსუბუქი რაზმების ცალცალკე საომარი მოქმედება — არმიისაგან დამოუკიდებლივ; მისი მიზანია — მოწინააღმდეგის შევიწროება მოულოდნელის თავდასხმით, გზებისა და ხიდების გაფუჭებით და სხვ.

**პარტიკულარიზმ-ი** (ლათ. პარტიკულა-საგან „ნაწილაკი"): 1) საერთოდ — ნაწილობრიობა, განკერძოებულობა; 2) ღვთისმეტყველებაში: მოძღვრება, რომლის თანახმადაც ცხონებისათვის განკუთვნილია ადამიანთა მხოლოდ ნაწილი; 2) პოლიტიკაში: სახელმწიფოში შემავალი ნაწილების მისწრაფება პოლიტიკურად დამოუკიდებელი არსებობისადმი. — **პარტიკულარისტ-ი** — პარტიკულარიზმის მომხრე.—**პარტიკულარული** ან უკეთ **პარტიკულარ-ი** — განკერძოებული; კერძო (არასახელმწიფო სამსახურში მყოფი).

**პარტისტ-ი**, ხელოვნური სიტყვა: პარტიის ისტორია — რუსეთის კომუნისტური პარტიისა და ოქტომბრის რევოლუციის (იხ.) ისტორიის კომისია (დაარსებ. 1920 წ. 25 სექტ.) — აქვს ჟურნალები და ბეჭდავს გამოკვლევებს რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიიდან.

**პარტიტურა** ან **პარტიტურ-ი**, ახ.-ლათ. (ლათ. pars,-tis-ისაგან „ნაწილი"), მუსიკალურ ნაწარმოებში შემავალი პარტიების (იხ. პარტია, 4) ერთობლივი წერილობითი გამოსახვა.

**პარტიული** (იხ. პარტია): 1) პარტიის ხასიათის მქონე, მისგან ან მის პროგრამისაგან გამომდინარე; 2) პარტიის წევრი; 3) მიკერძებითი.

**პარტნიორ-ი** ან უკეთ **პარტნერ-ი**, ლათ.-ინგლ. (partner), თანამონაწილე; ამხანაგი; კომპანიონი.

**პარუსინა**, ბერძ.-რუს., ერთგვარი სქელი ტილო.

**პარტრეთ-ი**, იხ. პორტრეტი.

**პარფენ-**, იხ. პართენ-

**პარფიუმერია** (ლათ.-ფრ. parfum-ისაგან „კეთილსურნელება; სასიამოვნო სუნი"): 1) სასიამოვნო სუნიან და სხეულის გასამშვენიერებელ საშუალებათა წარმოება, მაგ. საპნისა, საცხებლისა და სხვ.; 2) თვით ასეთი საგნები ან 3) მაღაზია, სადაც ასეთი საგნები იყიდება. — **პარფუმერ-ი** — სასიამოვნო სუნიან და სხეულის გასამშვენიერებელ საშუალებათა დამზადებელი ან ასეთებით მოვაჭრე. — **საპარფიუმერიო მაღაზია** — იგივეა რაც პარფიუმერია (3).

**პარცელა**, ახ.-ლათ. (parcella. ლათ. pars-ისაგან „ნაწილი"), მიწის ძალიან მცირე ნაჭერი; აქედან: **პარცელაცია**—მიწის დაქუცმაცება მცირე ნაჭრებად; **პარცელირება** — იგივე მოქმედება.

**პარციალური** ან **პარციალ-ი**, ახ.-ლათ. (partialis. ლათ. pars-ისაგან „ნაწილი"), ნაწილ-ნაწილადი, ნაწილობრივი, ცალკეული.

**პარჰელიები** (იხ. პარ-, ბერძ. ჰელიოს „მზე"), თანამზეები; რამდენისამე მზის ერთეამიერი გამოჩენა. — წარმოადგენს ატმოსფეროს ორთქლებში მზის დისკოს არეკნილობის მოვლენას.

**პასად-ი** (ფრ. passade. ლათ. passus-ისაგან „ნაბიჯი"). ცხენით წინ და უკან სვლა მანეჟში (იხ.).—**პასაჟ-ი** (ფრ. passage „გასავლელი") — 1) ორი გასწვრივი ქუჩის შემაერთებელი გადახურული გადასასვლელი, რომლის ორივე მხრივ, ჩვეულებრივ, ჩამწკრივებულია მაღაზიები; 2) მუსიკაში: მუსიკალური ტონების ჰარმონიული მონაცვალეობა; ჩქარი მუსიკალური ფრაზა (იხ.); 4) რაიმე მხრივ შესამჩნევი ადგილი წიგნში, სტატიაში ან ლაპარაკში; 5) უეცარი რამ ამბავი, არაჩვეულებრივი შემთხვევა. — **პასაჟირ-ი** (ფრ. passager), მიმოსვლის ამა თუ იმ საშუალებით (რკინისგზით, გემით, ეტლით და სხვ.) მიმავალი მგზავრი, ჩვეულებრივ — განსაზღვრული ფასით. — აქედან: **საპასაჟირო მატარებელი** — საშუალო სიჩქარის მატარებელი პასაჟირებისათვის. — **პასატები** (მრავლ., ისპ. passada „გადასვლა", გერმ. Passat-) ან **პასატის ქარები**—განსაზღვრული მუდმივობით მქროლი ქარები, რომელთა მიმართულება არ იცვლება მთელი წლის განმავლობაში: ჩრდილო ნახევარსფეროში — ჩრდ.-აღმოსავლეთიდან, სამხრეთ ნახევარ-სფეროში — სამხ.-აღმოსავლეთიდან.

**პასექ-ი**, ებრ.: 1) ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის მოსაგონრად დაწესებული დღესასწაული; 2) აღდგომა; 3) სააღდგომო კულიჩი (იხ.), აგრეთვე — საგანგებოდ მომზადებული სააღდგომო ხაჭო (ქართულად ამბობენ: პ ა ს კ ა).

**პას-ი, პას!** — ძახილი კარტის თამაშის დროს: უარის თქმა თამაშში მონაწილეობაზე განსა-

ზღვრულ დროს; საერთოდ — თავისთავის დამარცხებულად გამოცხადება (ფრ. je passe „თავს ვიკავებ"); აქედან: დაპასვა — იგივე მოქმედება (ქართულად ამბობენ: ფასს დაფასვა).

**პასიანს-ი**, ლათ.-ფრ. (patience „მოთმინება, ამტანლობა"), სათამაშო ქაღალდის (კარტის) გაშლა ერთი პირის მიერ განსაზღვრული წესით, აგრეთვე — მკითხაობა; არსებობს მრავალგვარი პასიანსი, — მოითხოვს დიდ მოთმინებას.

**პასივ-ი** (ლათ. passivus „ვნებითი"): 1) კომერციაში: ამა თუ იმ იურიდიული ერთეულის ვალები და ვალდებულებანი, უპირისპირდება აქტივს (იხ.); 2) გრამატიკაში: ვნებითი გვარი (ზმნისა); 3) პ ა ს ი ვ-ი ან პ ა ს ი უ რ ი — უმოქმედო ან სხვისი გავლენით მოქმედი, უპირისპირდება აქტიურს (იხ.). — აქედან **პასივობა** ან **პასიობა** — უმოქმედობა, სხვისი გავლენის ქვეშ ყოფნა; უინტერესო განურჩეველი დამოკიდებულება რაიმე მოვლენისადმი.

**პასკა**, იხ. პასექი (3).

**პასკვილ-ი**, იხ. პასქვილი.

**პასპარტუ** (ფრ. passe-partout „გაიარე ყველგან"): 1) ყოველი კლიტისთვის (ბოქლომისთვის) გამოსადეგი გასაღები; 2) ყველგან შესასვლელი ბილეთი; 3) მუყაოსაგან გაკეთებული შუაზე ამოჭრილი ჩარჩო — სურათებისა, გრავიურებისა და სხვა რისამე ჩასასმელად.

**პასპორტ-ი** (ფრ. passeporte), პირადობის მოწმობა. — **პასპორტისტ-ი** — პასპორტების ჩამწერი მოხელე სათანადო დაწესებულებაში (მაგ. მილიციაში).

**პასტა**, იტ. („ცომი"): 1) საერთოდ — ცომისებრი რამ ნივთიერება, განსაკუთრებით — ამგვარი წამლეული; 2) გიპსით გადმონაღები მოსახულობა, მაგ. ჩუქურთმისა, მონეტისა და სხვ. — **პასტელ-ი** — : 1) ფერადი ფანქარი; 2) ასეთი ფანქრით შესრულებული სურათი საგანგებო ქაღალდზე — **პასტელური მხატვრობა**.

**პასტერ-ი**, ლ უ ი (Pasteur, Louis, 1822 — 1895), შესანიშნავი ფრანგი ქიმიკოსი და ბაქტერიოლოგი, გადამდებ სნეულებათა შესახებ თანამედროვე მოძღვრების დამაარსებელი. — აქედან: **პასტერიზაცია** — ზოგიერთ სითხეებში (რძე, ღვინო და სხვ.) ბაცილების განვითარების თავიდან აცილების წესი — ამ სითხეების განსაზღვრულ დონემდე გაცხელების საშუალებით, — აღმოჩენილია პ ა ს ტ ე რ-ის მიერ; **პასტერიზირება** ან **პასტერიზება** — იგივე მოქმედება. — **პასტერიზატორ-ი** — საპასტერიზაციო ორმაგ-კედლებიანი და მჭიდრო-თავსახურიანი ქვაბი. — **საპასტერიზაციო** — პასტერიზაციისათვის განკუთვნილი.

**პასტერნაკ-ი** (ლათ. pastinaca, ქართულში — რუსულიდან), ერთგვარი მწვანილი, ქოლგოვანთა ოჯახიდან.

**პასტეტ-ი** ანუ **პაშტეტ-ი** (იხ. პასტა), ხაჭაპურისებრ დამზადებული ერთგვარი ხორცეულიანი ნამცხვარი.

**პასტილა**, რუს. (ლათ. pastillus-ისაგან), შაქარში მოხარშული ხილეულისაგან დამზადებული კვერისებრი ფორმის ტკბილეული. — **პასტილ-ი** (ფრ. pastille), პატარა კვერის ფორმის საწუწნი რაიმე წამლეული.

**პასტორალ**, იხ. პასტორი.

**პასტორ-ი**, ლათ. („მწყემსი"), პროტესტანტების (იხ. პროტესტანტი, 2) მღვდელი. — 1) **პასტორალ-ი** — სხვადასხვა ფორმის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თავის შინაარსად იღებს ან აიდეალიზირებს (იხ. იდეალი) მწყემსურ ცხოვრებას (იხ. ბუკოლიკა); 2) მუსიკაში: ამგვარივე შინაარსის მუსიკალურ-დრამული ნაწარმოები. — **პასტორატ-ი** — : 1) პასტორის წოდება და თანამდებობა; 2) მისი ბინა და მრევლი.

**პასქა**, ბერძ., იგივეა, რაც პასექი (იხ.): აქედან: **პასქალია** — აღდგომისა და სხვა მოძრავ ქრისტიანულ დღესასწაულთა დღეების გამოსაანგარიშებელი ცხრილი (ტაბულა).

**პასქვილ-ი** (იტ. pasquillo), ცილისწამების ხასიათის მქონე თხზულება, ჩვეულებრივ — ანონიმური (სახელწოდება — (გადმოცემით) ვინმე იტალიელი ავ-ენა მეწაღის Pasquino-საგან. I საუკ.). — **პასქვილური** — შეურაცხმყოფელი; **პასქვილანტ-ი** — პასქვილების შემდგენელი.

**პატენტ-ი** (ლათ. პატენს,-ნტის „ღია, ცხადლივი"), მთავრობის მიერ კერძო პირისათვის ან რაიმე დაწესებულებისათვის მიცემული სიგელი (მოწმობა), რომელიც ანიჭებს მიმღებს რაიმე

განსაზღვრულ უფლებას, მაგ. რაიმე გამოგონებით სარგებლობისას ან აქციზ-დადებული საქონლის გაყიდვისას და სხვ. (იხ. აქციზი). — აქედან: **პატენტიანი** — : 1) პატენტის მქონე, 2) გადატ. მნიშვნ.: საყოველთაოდ ცნობილი. — **პატენტიზირება** ან **პატენტირება** — პატენტის მიცემა; **პატენტირებული** — პატენტიანი.

**პატერ-ი**, ლათ. („მამა"), კათოლიკეთა მღვდელი.—**პატერიკ-ი**—წმინდა ადამიანების ცხოვრებათა კრებული.

**პატეტ-**, იხ. პათეტ-.

**პატო-**, იხ. პათო-.

**პატრანტაშ-ი**, იხ. პატრონტაში.

**პატრეტ-ი**, იხ. პორტრეტი.

**პატრ-ი**, იგივეა, რაც პატერი.

**პატრიარქ-ი** (ბერძ. patria „ტომი, გვაროვნობა", archê „დასაწყისი, უფროსი"): 1) მამათმთავარი; 2) გვაროვნული თემის უფროსი; 3) მართმადიდებელ ქრისტიანთა დამოუკიდებელი ეკლესიის უფროსი; 4) გადატ. მნიშვნ.: პატივსაცემი მოხუცი. — **პატრიარქალური** —: 1) ძველებური მარტივ ზნე-ჩვეულებიანი; 2) პატრიარქატის (იხ.) ხასიათის მქონე; პატრიარქალური ოჯახი — მამის ბატონობაზე დამყარებული ოჯახი. — **პატრიარქატ-ი**—: 1) გვაროვნული ერთეულის ან ოჯახის ისეთი აგებულობა, როდესაც გვარეულობაში ოჯახის უფროსი — მამა ბატონობს; 2) პატრიარქის (3) სამმართველო ოლქი.

**პატრიმონიუმ-ი**, ლათ., გვაროვნული სამემკვიდრეო ქონება; მამული; **პატრიმონიალური**— სამემკვიდრეო: მემკვიდრეობითი.

**პატრიოტ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ბერძ. patriôtês „თანამემამულე"), თავის სამშობლო ქვეყნის მოყვარული ადამიანი; მამულიშვილი; **პატრიოტკა** (რუს. დაბოლოებით) — პატრიოტი ქალი. — **პატრიოტიზმ-ი**—თავისი სამშობლოსადმი სიყვარული; მამულიშვილობა. — **პატრიოტული** — მამულიშვილური.

**პატრისტიკა**, ბერძ., სღვთისმეტყველო მეცნიერება, — იკვლევს წმინდა მამათა ცხოვრებასა და მოძღვრებას.

**პატრიცი, პატრიციები** (ლათ. patricius „მამათა შთამომავალი"): 1) ძველ რომში: უფლებრივ და ქონებრივ უპირატესობათა მქონე უმაღლესი წოდება; 2) საშ. საუკუნეებში: ქალაქის წარჩინებულთა წოდება დასავლ. ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში. — **პატრიციატ-ი** — პატრიციების წოდება, მათი ერთობლიობა.

**პატროლოგია**—იგივეა, რაც პატრისტიკა.

**პატრონა**, იხ. პატრონი (3).

**პატრონატ-ი, პატრონესა**, იხ. პატრონი.

**პატრონ-ი** (ლათ. პატრონუს „დამცველი, მფარველი"): 1) ძველ რომში: კლუნტის (იხ., 1) მფარველი"): 1) ძველ რომში: კლიენტის (იხ., 1) შემდეგ: ამა თუ იმ ეკლესიის ან ქვეყნის მფარველი წმინდანი; 3) **პ ა ტ რ ო ნ ი** ანუ **პ ა ტ რ ო ნ ა** — ვაზნა (თოფისა) და 4) საპყრობი ან ბუდე (ელექტრონათურისა). — **პატრონატ-ი**—1) მფარველობა: 2) პატრონის (მფარველის) წოდება, პატრონთა ერთობლიობა; 3) საქველმოქმედო დაწესებულება, მაგ. პატიმართა დამხმარე.—**პატრონესა** ან **პატრონეს-ი** (ფრ. patronesse), ქველმოქმედი ქალი.

**პატრონიმიკა** (მრავლ.) ან **პატრონიმიკონ-ი**, ბერძ. („მამისეული სახელი"). მამის-სახელი, მამისსახელი; **პატრონიმიკული**—მამისსახელობითი.

**პატრონტაშ-ი** (იხ. პატრონი, 3; გერმ. Tasche „ჯიბე, ჩანთა"). სავაზნე ჩანთა.

**პატრულ-ი** (ფრ. patrouiller-საგან „ტალახში, წუმპეში გათხუპნა"), ჯარისკაცთა მზვერავი ან ღამით სამხილავო რაზმი.

**პატუა** (ფრ. patois), კილოკავი; ადგილობრივი მეტყველების თავისებურობა.

**პაუზა**, ბერძ.-ლათ. („შეწყვეტა"): 1) ბგერის შეწყვეტა, შეჩერება; 2) მუსიკაში: სიჩუმის ნიშანი.

**პაუპერ-ი**, ლათ., ღარიბი, ღატაკი.—**პაუპერიზაცია**—გაღატაკება. — **პაუპერიზმ-ი**—მასიური სიღატაკე; სიღატაკე მრავალთა,—შედეგია კაპიტალისტურ საზოგადოებაში სიმდიდრის უთანასწორო განაწილებისა.

**პაფოს-**, იხ. პათოს-.

**პაქიდერმია** (ბერძ. pachys „სქელი", იხ. დერმა), კანის ავადმყოფური გასქელება.—**პაქიდერმები** (მრავლ.)—სქელკანიანი ძუძუმწოვარი ცხოველები (მაგ. სპილო, ღორი...).—**პაქიმენინგიტ-ი** (იხ. მენინგიტ-ი)—თავის ან ხერხემლის ტვინის სქელი გარსის ანთება.—**პაქიპოდები** (მრავლ., ბერძ. poys. podós „ფეხი"), სქელფეხა ცხოველები.

**პაქტ-ი** (ლათ. pactum, იხ. პაციფიზმი). ხელშეკრულობა; სამშვიდობო ხელშეკრულობა; კავშირი.

**პაშტეტ-ი**, იხ. პასტეტ-ი.

**პაჩკა** (გერმ. Pack-ისაგან „შეკვრა, ფუთა" —რუს. დაბოლოებით), რაიმე საგანთა ერთი შეკვრა; დასტა.

**პაციენტ-ი** (ლათ. patiens, -ntis „ამტანი, მომთმენი"), ავადმყოფი ექიმის მიმართ (ესა და ეს ავადმყოფი ამა და ამ ექიმის პაციენტია).

**პაციფიზმ-ი** (ლათ. pax, -cis-ისაგან „მშვიდობიანობა; უომრობა"), მისწრაფება სახელმწიფოთა შორის ომიანობის მოსპობისადმი კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში; ასეთი მიმდინარეობა.—**პაციფისტ-ი**—პაციფიზმის მომხრე და მისი მქადაგებელი.

**პახი-**, იხ. პაქი-.

**პეგას-ი** (ბერძ. Pēgasos), საკ. სახ.: 1) მითოლოგიით: ფრთოსანი ცხენი; მერანი; 2) პოეტური შთაგონების სიმბოლო; 3) ჩრდ. ნახევარ-სფეროს თანავარსკვლავედი.

**პედაგოგ-ი** (ბერძ. pais, paidôs „ბავში, agôgós „წამყვანი, ხელმძღვანელი"): 1) ძველ საბერძნეთში: ბატონის ბავშის მომვლელი მონა; 2) შემდეგ და ახლა: მასწავლებელი, აღმზრდელი; პედაგოგიკის მცოდნე; აქედან: **პედაგოგია**—ბავშთა აღმზრდელობა, მასწავლებლობა; **პედაგოგიური** — აღმზრდელობითი, — **საპედაგოგიო**—საღმზრდელო; **საპედაგოგო**—პედაგოგთათვის განკუთვნილი, მაგ. საპედაგოგო საბჭო.—**პედაგოგიკა**—სწავლა-აღზრდის მეცნიერება; აქედან: **პედაგოგიკური**—პედაგოგიკის ხასიათის მქონე, მისგან გამომდინარე და სხვ.

**პედალ-ი**, ლათ. („საფეხე", პეს, პედის-ისაგან „ფეხი"): 1) ფორტეპიანოს (და ზოგიერთი სხვა სამუსიკო ინსტრუმენტის) ერთგვარი საფეხე ბერკეტი — ბგერის სიძლიერისა და გრძლიობის შესაცვლელად; 2) ფეხით ასამოძრავებელი ბერკეტი დაზგებში, ველოსიპედში და სხვ.

**პედანტ-ი**, ბერძ.-ევროპ. („აღმზრდელი"), ისეთი ადამიანი, რომელიც რაიმე საქმეში მეტ მნიშვნელობას აქცევს წვრილმანს ან გარეგნულობას, ვიდრე არსებითს და მთავარს; აგრეთვე — ძველი წესების ბრმა მიმდევარი და ზუსტად შემსრულებელი, ამის გამო — ჩამორჩენილი; აქედან: **პედანტიზმ-ი** — პედანტობა; პედანტის დამახასიათებელი თვისებები, — **პედანტობა** — წვრილმანობა და სხვ. — **პედანტური** — პედანტისათვის დამახასიათებელი.

**პედელ-ი**, გერმ. (ახ.-ლათ. პედელლუს „მსახური, შიკრიკი"): 1) საშ. საუკ.: მსახური სასამართლოში; 2) უმცროსი მოსამსახურე უმაღლეს სასწავლებელში.

**პედერასტია** (ბერძ. pais, paidós „ბიჭი", erastês „მოყვარული; საყვარელი..."), არაბუნებრივი სასქესობრივი ურთიერთობა ვაჟისა ვაჟთან; **პედერასტ-ი** — ამგვარი ურთიერთობის მქონე.

**პედიატრია** (ბერძ. pais, paidos „ბავში, iatreia „მკურნალობა"), მედიცინის დარგი: ბავშის ავადმყოფობათა კვლევა და მკურნალობა; აქედან: **პედიატრ-ი** — ბავშის ავადმყოფობათა სპეციალისტი ექიმი.

**პედიკიურ-ი** (ლათ. pes, pedis „ფეხი", იხ. მანიკიური), ფეხის (ფრჩხილების) მოვლა სილამაზის მიზნით.

**პედოლოგია** (იხ. პედიატრია), მეცნიერება ბავშის ფიზიკური და სულიერი აგებულობის შესახებ, — ემყარება უმთავრესად ბიოლოგიის საფუძვლებზე. — **პედოლოგ-ი** — პედოლოგიის სპეციალისტი.

**პეიზაჟ-ი** (paysage, pays-საგან „ქვეყანა, ადგილი..."): 1) სანახაობა ბუნებაში; 2) მხატვრობაში: ბუნების გამოსახულება; აქედან: **პეიზაჟისტ-ი** — პეიზაჟების მხატვარი.

**პელაგიანიზმ-ი** — მეხუთე საუკ. შექმნილი (პელაგიუს-ის მიერ) მწვალებლური მოძღვრება, — წინააღმდეგია ღვთაებრივი წინასწარგანგებულებისა. — **პელაგიანები** (მრავლ.) — პელაგიანიზმის მიმდევარნი.

**პელაგური** ან **პელაგიკური** (ბერძ. პელაგოს „ზღვა"), ზღვისა, ზღვისეული; ზღვის ზედმოქმედებით წარმოქმნილი.

**პელაზგები** ან **პელასგები** (მრავლ., ბერძ. პელასგოი), საბერძნეთში ბერძნების დასახლებამდე მოსახლე ხალხი.

**პელეკან-ი** ან **პელიკან-ი**, ბერძ.-ლათ.: 1) ვარხვი (დიდი ტანის მცურავი ფრინველი); გადატ. მნიშვნ.; 2) ძველებური ზარბაზანი; 3) მო-

ნის ორყელიანი სითხეთა გამოსახდელი ჭურჭელი; 4) კბილის საქრობი იარაღი.

პემზა (გერმ. Bims-ისაგან—Bimsstein „სახეხი ქვა"), მინქაფა, — ერთგვარი მინისებრი ნესტოვანი მინერალი, იხმარება სადურგლო საქმეში ხის ნივთების საპრიალებლად.

პენალ-ი, ლათ.-გერმ., კალმებისა, ფანქრებისა და კალმისტარების შესანახი ყუთი.

პენატ-ი, პენატები (ლათ. Penates), ძველ რომაელთა რწმენით: ოჯახის მფარველი და მისი კეთილდღეობისათვის მზრუნველი ღმერთები.

პენელოპა, ბერძ. საკ. სახ.: 1) ოდისევსის (იხ.) ერთგული მეუღლე, — ელოდა ქმრის დაბრუნებას 20 წლის განმავლობაში; აქედან: 2) ერთგული ცოლი.

პენი (ინგლ. penny), ინგლისური მონეტა, დაახლოვებ. 4 კაპ.

პენია, რუს. (ლათ. poena-საგან „სასჯელი"), ჯარიმა — გადასახადის დროზე გადაუხდელობისათვის; ქართულად ს ა უ რ ა ვ ი.

პენის-ი, ლათ. (წინეთ „კუდი"), ანატომიაში: მამაკაცის სასქესო ორგანო.

პენიტენციარიუმ-ი (ლათ. poenitentia-საგან „მონანიება"), გამასწორებელი დაწესებულება; საპატიმრო. — პენიტენციური სისტემა — დამნაშავეთა გასწორების სისტემა საპატიმროში დამწყვდევის გზით.

პენს-ი (ინგლ. pence), იხ. პენი.

პენსია, ლათ. (იხ. პანსიონი), მთელსიცოცხლივი სარგო, — ეძლევა სათანადო დაწესებულებისმიერ მის ყოფილ მოსამსახურეს ან (ამის სიკვდილის შემდეგ) მის ქვრივსა და შვილებს. — საპენსიო — პენსიისათვის განკუთვნილი და სხვ., მაგ. საპენსიო კასა — საიდანაც კასის წევრი (ან მისი ქვრივი და შვილები) იღებს (იღებენ) დახმარებას. — პენსიონერ-ი—ვინც პენსიას იღებს.

პენსნე (ფრ. pince-nez „ცხვირზე მოსადები"), ცხვირზე მოსაჭერიანი (და არა ყურებზე მისადებიანი) სათვალეები.

პენტა- (ბერძ. პენტე „ხუთი"), ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს: ხუთ-, ხუთიანი და სხვ., მაგ: პენტაგონ-ი (ბერ. gōnia „კუთხე"), ხუთკუთხედი. — პენტაგრამა (ბერძ. გრამმა „ნაწერი") — : 1) ხუთ-კუთხედი, რომლის გვერდებზე აგებულია ტოლფერდა სამკუთხედები; 2) საშ. საუკ.: ატარებდენ ამულეტად (იხ.). — პენტად-ი — ხუთწლიანი ხანგრძლიობა.—პენტაედრ-ი (ბერძ. hedra „საჯდომი, ფუძე"), ხუთწახნაგა. — პენტაქორდ-ი (იხ. ქორდა) — : 1) ხუთსიმიანი სამუსიკო ინსტრუმენტი ძვ. საბერძნეთში; 2) ხუთტონიანი სისტემა მუსიკაში.

პეპერმენთ-ი, (ლათ.-ინგლ. peppermint), პიტნის კვერი.

„პეპესოველები" (მრავლ.) — ასე ეწოდება შემოკლებით პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებს (რუსული წარმოთქმით); ეს პარტია დაარსდა 1893 წელს; 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გაიყო ორ ნაწილად: მემარცხენე (სოციალისტურ) და მემარჯვენე (ნაციონალისტურ) ფრაქციებად.

პეპლოს-ი (ბერძ.) ანუ პეპლუმ-ი (ლათ.), მსუბუქი ქსოვილის ძველებური უსახელოებო ბერძნული ტანსაცმელი ქალისა.

პეპსინ-ი, ბერძ, ხელოვნ. (pepsis „მონელება"), ცილეულის გამხსნელი ნივთიერება კუჭის წვენში. —პეპტონ-ი —საჭმელზე პეპსინის ზედმოქმედებით წარმოქმნილი ნივთიერება კუჭში.

პერგამენტ-ი — ეტრატი, — საგანგებოდ დამუშავებული ცხოველთა ტყავი, რომელიც ძველად იხმარებოდა საწერ მასალად (ქაღალდის მაგიერ);. ახლა მზადდება მცენარეულისაც, — იხმარება სახაზავად, შესახვევად და სხვ. (სახელწოდება ქალაქ პ ე რ გ ა მ ო ს-ისაგან).

პერ-ი, ლათ.-ევროპ. (ფრ. pair, ლათ par, paris „ტოლი, თანასწორი"), ინგლისელ წარჩინებულთა (საფრანგეთში 1848 წლამდე) უმაღლესი ტიტული.

პერი-, ბერძ., ემატება სიტყვას თავში და ღნიშნავს: ახლო, გარშემო, ყველგან და სხვ.

პერიგასტრიტ-ი (იხ. პერი- და გასტრიტი), კუჭის გარეთა გარსის ანთება.

პერიგეი ან პერიგე (იხ. პერი-, ბერძ. gē „მიწა"), მთვარის ორბიტის (იხ.) დედამიწასთან უახლოესი წერტილი.

პერიგელიუმ-ი, იხ. პერიჰელიუმი.

პერიდერმა (იხ. პერი- და დერმა), ბოტანიკაში: ხეთაგანს მცენარეებში (უმეტესად კანში განვითარებული) ქსოვილთა ერთობილობა.

პერიდრომ-ი (იხ. პერი-, ბერძ. drómos „სირბილი“), დახურული დერეფანი შენობის გარშემო.

პერიეკები ან პერიოიკები (მრავლ., იხ. პერი-, oikos „სახლი, ბინა“), ძველ საბერძნეთში: დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც მოკლებული იყო მოქალაქეობრივ უფლებებს — პირადი თავისუფლებისა და საკუთრების უფლების შენარჩუნებით.

პერიკარდი ან პერიკარდიუმ-ი, ბერძ.-ლათ. (იხ. პერი-, ბერძ. კარდია „გული“), გულის მფარავი სეროზული (იხ.) გარსი; პერიკარდიტ-ი — პერიკარდიუმის ანთება.

პერიმენინგიტ-ი (იხ. პერი- და მენინგიტი), ხერხემლის ტვინის გარსთა ანთება.

პერიმეტრ-ი (იხ. პერი- და მეტრი): 1) წრეწირი (წრეხაზი); 2) რაიმე გეომეტრიული ფიგურის გვერდების ჯამი.

პერინეფრიტ-ი (იხ. პერი- და ნეფრიტი), თირკმლის გარსის ანთება.

პერიოდ-ი (იხ. პერი-, ბერძ. hodós „გზა“): 1) ხანა, დროის განსაზღვრული ხანგრძლიობა: ა) ისტორიაში — ორი ღირსშესანიშნავი შემთხვევის შორის, ბ) ასტრონომიაში — პლანეტის სრული წრიული მოძრაობისა, გ) მედიცინაში — ავადმყოფობის ხანგამოშვებითი განმეორების ვადისა; 2) გრამატიკაში: განსაზღვრული თანამიმდევრობით დალაგებული რამდენისამე წინადადებისაგან შედგენილი რთული წინადადება; 3) მათემატიკაში: პერიოდული წილადის უსასრულოდ განმეორებული ნიშანი. — პერიოდული — ხანგამოშვებითი, განსაზღვრულ ვადაში განმეორებითი. — პერიოდული გამოცემები — ისეთი ბეჭდვითი ნაწარმოებები, რომელნიც გამოიცემიან განსაზღვრულ დროგამოშვებით, მაგ. ყოველდღიურად, ყოველკვირეულად და სხვ. (გაზეთები, ჟურნალები).

პერიოიკები, იხ. პერიეკები.

პერიპატეტიკოსები (მრავლ., „გარეშემო მოსიარულენი, მოსეირნეები“; იხ. პერი-, ბერძ. პატეინ „სიარული“), არისტოტელის (იხ.) ფილოსოფიური სკოლის მიმდევარნი (გადმოცემით — არისტოტელი მოძღვრობდა სეირნობისას). — პერიპატეტიზმ-ი — არისტოტელის ფილოსოფიური სისტემა.

პერიპეტია (ბერძ. peri-péteia „ფრენა, ვარდნა; ცვლილება“): 1) ბედ-იღბლის სწრაფი ცვლილება; 2) ადამიანის ცხოვრებაში რაიმე მოულოდნელი გარემოება ან გართულება; 3) სასცენო ნაწარმოების ნასკვის გახსნა, განკვანძვა.

პერისკოპ-ი (იხ. პერი-, ბერძ. skopein „ხედვა“), ოპტიკური მოწყობილობა — წყალქვეშიდან წყლის ზედაპირზე და გარეშემო საგნების დასანახავად. — პერისკოპული მინა — ერთგვარი მინა სათვალეებისათვის, — მისი საშუალებით დაინახება თავმოუბრუნებლივ გვერდზე მყოფი საგნები.

პერისტალტიკა (იხ. პერი-, ბერძ. stellein „ლაგება, მოწესება“), მედიცინაში: ნაწლავების განსაზღვრული წესით შეკუმშვითი მოძრაობანი, რომელნიც ხელს უწყობენ მათში მოსანელებელი საჭმლის გადაძვრას (იხ. ანტიპერისტალტიკური მოძრაობა).

პერისტილ-ი (იხ. პერი-, ბერძ. stylos „სვეტი“): 1) შენობის სვეტებ-შემოვლებული შიგნითა ნაწილი ძვ. საბერძნეთში; 2) ახლა — ერთის მხრივ სვეტებიანი დახურული დერეფანი.

პერიტონეუმ-ი, ბერძ.-ლათ. (იხ. პერი-, ბერძ. teinein „დაჭიმვა“), მუცლის სეროზული აპკი. აქედან: პერიტონიტ-ი — პერიტონეუმის ანთება.

პერიფერია (იხ. პერი-, ბერძ. pherein „წაღება“): 1) ფართობის ნაწილის შემომზღუდველი შეკრული მრუდი (წირი); 2) გარეთა ნაწილი (უპირისპირდება შიგნითს, ცენტრალურს), ცენტრიდან დაშორებული; პერიფერიული — პერიფერიის ხასიათის მქონე; განაპირა.

პერიფრაზ-ი, იხ. პარაფრაზი.

პერიჰელიუმ-ი, ბერძ.-ლათ. (იხ. პერი-, ბერძ. hélios „მზე“), პლანეტის (ან კომეტის) ორბიტის მზესთან უახლოესი წერტილი.

პერკუსია (ლათ. percussio, percutere-საგან „დარტყმა; განგმირვა“), მედიცინაში: თითით ან პატარა საგანგებო ჩაქუჩით სხეულზე დაკაკუნება — შინაგანი ღრუების მდგომარეობის გამოსარკვევად; პერკუტირება — იგივე მოქმედება.

პერლამუტრ-ი, გერმ. (Perlmutter, Perle „მარგალიტი“, Mutter „დედა“), სადაფი.

პერლუსტრაცია (ლათ. პერლუსტრარე-საგან „შემოვლა; გასინჯვა“), ფოსტაში წერილების საიდუმლო გასინჯვა; პერლუსტრირება — იგივე მოქმედება.

**პერმანენტული** ან **პერმანენტ-ი** (ლათ. პერმანერე-საგან, პერმანენს,-ნტის). მუდმივი, უცვლელად მყოფი. უცვლადი, უწყვეტი—**პერმანენტული რევოლუცია** — განუწყვეტელი რევოლუცია, — გერმანელი სოც.-დემოკრატის პ ა რ ვ უ ს-ისა (გარდაიცვ. 1925 წ.) და ტ რ ო ც კ ი-ს (იხ.) თეორია რუსეთის რევოლუციის უწყვეტლობის შესახებ — გამოითქვა ჯერ კიდევ 1905 წ. რევოლუციის მიმართ; ეს თეორია ანგარიშს არ უწევს გლეხობის რევოლუციურ მნიშვნელობას და საერთაშორისო პირობებს; ამიტომ ლ ე ნ ი ნ-მა სასტიკად გააკრიტიკა იგი.

**პერნიციოზული** (ლათ. perniciosus „დამღუპველი"), მედიცინაში: ავთვისებიანი (რაიმე ავადმყოფობა).

**პეროვსკაია**, ს. ლ. (Перовская, С. Л., 1854 — 1881), გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი ქალი, „ნაროდნაია ვოლია"-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი; ალექსანდრე II-ის მკვლელობაში (1881 წ. 1 მარტს) მონაწილეობისათვის სიკვდილით დასჯილ იქნა.

**პერონ-ი** (ფრ. perron. pierre-საგან „ქვა"). შენობაზე მიდგმული საფეხურებიანი დაბალი ბანი, ჩვეულებრივ — გადახურული, — უკეთდება თეატრს მისავალთან და რკინის გზის სადგურს — მატარებლის გასაჩერებელთან.

**პერპენდიკულარ-ი** (ლათ. pendĕre-საგან „ჩამოკიდება"). გეომეტრიაში: მართშვეული, — წრფე (სწორი ხაზი). რომელიც წარმოქმნის მართკუთხეს (სწორ კუთხეს) სხვა წრფესთან ან სიბრტყესთან; აქედან: **პერპენდიკულარული** — მართშვეულური, მართშვეული.

**პერსეია** ან **პერსევს-ი**, ძვ. ბერძ. მითოლოგიით: 1) ძევსის ვაჟი. მედუზის (იხ.) მკვლელი; 2) ჩრდილო ნახევარ-სფეროს თანავარსკვლავედის სახელწოდება.

**პერსიფლირება**, ლათ.-ფრ. (persifler—ლათ. sibilare-საგან „სტვენა"), დაცინვა, ვისიმე და მასხარავება; **პერსიფლაჟ-ი** — იგივე.

**პერსონა**, ლათ. („ნიღაბი"): 1) პირი, პიროვნება; 2) ვინმე დიდი პიროვნება, — **პერსონალ-ი** —რაიმე დაწესებულების პირადი შემადგენლობა; **პერსონალიზირება** — ვისიმე განსახიერება; ვისიმე წარმოდგენა მიბაძვით; **პერსონალური** — პირადი; ცალკე პიროვნებისათვის განკუთვნილი ან რაც მას შეეხება.—**პერსონაჟ-ი** (ფრ. personnage)—სასცენო ნაწარმოების მოქმედი პირი.— **პერსონიფიკაცია**—განპიროვნება; ზოგადი (განყენებული) ცნების ან უსულო საგნის პიროვნების სახით წარმოდგენა; **პერსონიფიცირება** — იგივე მოქმედება.

**პერსპექტივა** ან **პერსპექტივ-ი**, ლათ.-ევროპ. (ლათ. perspectus „კარგად ცნობილი" — perspicere-საგან „რაშიმე გახედვა; განხილვა"): 1) საგანთა გამოსახულება სიბრტყეზე ისე, როგორც ისინი ეჩვენებიან სივრცეში თვალს განსაზღვრული წერტილიდან; 2) დამნახველიდან შორს მყოფი საგნების სანახაობა; 3) გადატ. მნიშვნ.: მოსალოდნელი მომავალი. — აქედან: **პერსპექტიული**—პერსპექტივის ხასიათის მქონე.

**პერტურბაცია** (ლათ. perturbatio „აშლა, არევა"): 1) ასტრონომიაში: შეშფოთება, — პლანეტთა და მის თანამგზავრთა მოძრაობაში წესიერების დარღვევა — სხვა პლანეტთა მიმზიდველობითი გავლენის გამო; 2) საერთოდ— აღრევა, შფოთი; გადატრიალება; წესიერების დარღვევა და სხვა ასეთი.

**პერუნ-ი**, სლავ., სლავების მითოლოგიით: ჭექა-ქუხილის ღმერთი; შემოქმედი.

**პერფექტ-ი** (ლათ. perfectus, a. um „სრული; დამთავრებული; ძალიან კარგი"). გრამატიკაში — ნამყო სრული. — **პერფექტიბილიზმ-ი** — მოძღვრება ადამიანის უსასრულოდ განვითარების შესახებ. — **პერფექციონისტები** (მრავლ. „სრულყოფილნი"), ასე ეწოდება 1831 წ. შეერთებ. შტატებში წარმოშობილ სექტას, — უარჰყოფენ ეკლესიას. ყველა წევრებს თანასწორად სთვლიან და განზოგადოებული აქვსთ ქონება (და 1879 წლამდე—ცოლშვილიც).

**პერფორატორ-ი** (ლათ. perforare-საგან „გაბურღვა. გახვრეტა"): 1) ტექნიკაში — საბურღავი მანქანა; 2) ქირურგიაში: დაუბადებელი (მკვდარი ან ზოგჯერ ცოცხალი) ბავშის თავის გასახვრეტი იარაღი — ძნელი მშობიარობის დროს. — **პერფორაცია** — ქირურგიული ოპერაცია ამ იარაღის საშუალებით.

**პერცეპცია** ან **პერცეფცია** (ლათ. perceptio „მიღება; შეგნება"), ფსიქოლოგიაში: აღქმა; შეუგნებელი აღქმა (განსხვავდება აპერცეფციისაგან, იხ.).

პესიმიზმ-ი (ლათ. pesssimus-ისაგან „ყველაზე უარესი, უვარგისი“): 1) ფილოსოფიაში: ქვეყნიერებისა და სიცოცხლის ბოროტებად აღიარება (უპირისპირდება ოპტიმიზმს, იხ.); 2) საერთოდ — ცხოვრებაში უიმედობა, სასოწარკვეთა, იმედდაკარგულობა. — პესიმისტ-ი — პესიმიზმის მომხრე; სასოწარკვეთილი, იმედდაკარგული.

პესტალოცი, (Pestalozzi, 1746 — 1827), შესანიშნავი შვეიცარიელი პედაგოგი, სწავლებაში თვალსაჩინოების და შრომითი მეთოდის შემქმნელი.

პეტარდა ან პეტარდ-ი, ლათ.-ევროპ. (ლათ. perdere-საგან „ჰაერის გაშვება“): 1) ძველებური ყუმბარა; 2) სანიშნებელი (სასიგნალო) პატარა ყუმბარა — მატარებლის გასაჩერებლად (მაგ. რაიმე მოსალოდნელი ხიფათის დროს) და სხვ.

პეტიტ-ი, ფრ., სასტამბო წვრილი შრიფტი.

პეტიცია (ლათ. petitio „ძიება, თხოვნა“), მცხოვრებთა განსაკუთრებული ნაწილის მიერ უზენაესი ხელისუფლებისადმი მიმართული ერთობლივი თხოვნა.

პეტრარკა, ფრანჩესკო (Petrarca, Francesco, 1304 — 1374), ადრეული აღორძინების შესანიშნავი იტალიელი პოეტი და მეცნიერი, თანამედროვეთა შორის არაჩვეულებრივი პოპულარობის მქონე; განსაკუთრებით ცნობილია მისი სონეტები და მათ შორის — ლაურასადმი (იხ. ლაურა).

პეტრაშევცები (მრავლ., რუს. петрашевцы) — ასე ეწოდა 19 საუკუნის 40-იან წლებში პეტერბურგში (ლენინგრადში) არსებული პოლიტიკური წრის („პროპაგანდის საზოგადოება“) წევრებს,—მათი მიზანი იყო დასავლ.-ევროპ. სოციალისტური სისტემების (სენ-სიმონის, ფურიესი და სხვ.) შესწავლა და გავრცელება; 1849 წ. 21 კაცი (მათ შორის შესანიშნავი რუსი მწერალი დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ი, 1821—1881) გაგზავნილ იქნა კატორღაში (სასიკვდილო განაჩენის შეცვლით).

პეტრიფიკაცია (ბერძ. petra „ქვა“ და ლათ. facere-საგან „კეთება“), გაქვავება. — პეტროგრაფია — გეოლოგიის დარგი: იკვლევს ქვის ქანებს; პეტროგრაფ-ი — პეტროგრაფიის სპეციალისტი. — პეტროლეუმ-ი (ლათ. ოლეუმ „ზეთი“), ნავთი.

პეჰლევი, იხ. ფალაური ენა.

პიანინო, იტ., პატარა ტანის ფორტეპიანო (იხ.), რომელშიც სიმები გაბმულია შვეულად (ვერტიკალურად); აქედან: პიანისტ-ი—პიანინოზე (ან ფორტეპიანოზე) დამკვრელი; პიანისტკა (რუს. დაბოლოებით) — პიანისტი ქალი.

პიარები ანუ პიარისტები (მრავლ., ლათ. pius-ისაგან „სათნოიანი, კეთილმორწმუნე“). კათოლიკური ორდენის (17 საუკ.) წევრები, — სდებენ ახალგაზრდობის უფასოდ სწავლების აღთქმას.

პიასტრა, იტ., სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ღირებულობის მონეტა, მაგ. ისპანიური და მექსიკური — 2 მანეთამდე; ოსმალური და ეგვიპტური დაახლოებით 10 კაპეიკი.

პიგმე-ი, პიგმეები( ბერძ. pygmē-საგან „მუშტი“), ძვ. ბერძნული მითოლოგიით: 1) მუშტის ტოლა ჯუჯა-კაცთა ტომი ოკეანის ნაპირებზე; 2) გად. მნიშვ.: ფიზიკურად ან გონებრივად უმნიშვნელო ადამიანი.

პიგმენტ-ი, პიგმენტები, ლათ. (პიგმენტუმ „საღებავი ნივთიერება“): 1) ტექნიკაში: სხვადასხვაგვარი მღებავი ნივთიერება; 2) ბიოლოგიაში: ორგანიზმში გამომუშავებული მღებავი ნივთიერებანი, რომელნიც აფერადებენ კანს, თმას, ფოთოლს და სხვ.

პიედესტალ-ი (ფრ. piéd-estal „ფეხის დასადგმელი; შესაბჯენი“), ქანდაკების ან სვეტის ფუძე; კვარცხლბეკი; აქედან: პ ი ე დ ე ს ტ ა ლ ზ ე ა ყ ვ ა ნ ა — განდიდება.

პიეზომეტრ-ი (ბერძ. piezein „მოჭერა; წნევა“, იხ. მეტრი). სითხეთა კუმშვადობის გამოსარკვევი ხელსაწყო.

პიემია (ბერძ. pyon „ჩირქი“, haima „სისხლი“), სისხლის დაჩირქებითი მოწამვლა.

პიესა (ფრ. pièce „ნატეხი, ნაწილი“, ნაწყვეტი...“). სათეატრო დრამული ან მუსიკალური ნაწარმოები.

პიეტეტ-ი, ევროპ. (ლათ. pietas,-tis „კეთილმორწმუნეობა, სათნოიანობა, მოწიწება“), მოწიწებითი პატივისცემა ამა თუ იმ პიროვნებისა, ჩვეულებისა ან სხვა რაიმესადმი, — პიეტიზმ-ი — : 1) რელიგიური მიმართულება გერ-

მანიაში (17 საუკ.),—უარყოფდა ქრისტიანული ეკლესიის წესებსა და ფორმალიზმს, ქადაგობდა შინაგან სათნოებას, მოქმედიან სიყვარულს და ზნეობრივ სრულყოფას (გადაგვარდა ცრუ-სათნოებად და. ფარისევლობად); აქედან: 2) ცრუ-კეთილმორწმუნეობა, ფარისევლობა.— **პიეტისტ-ი** — 1) პიეტიზმის მიმდევარი; 2) ცრუსათნოიანი ადამიანი.

**პითაგორ-ი** (ბერძ. საკ. სახ. **Pythagóras**, 6 საუკ. ქ. წ.), შესანიშნავი ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი; პითაგორის მოძღვრება: ცხოვრების ყოველი მოვლენა დამყარებულია რიცხვობრივ შეფარდებებზე, ვინაიდან რიცხვები წარმოადგენენ არსებულის წარუვალ შინაარსს; სული უკვდავია და იწმინდება ერთი სხეულიდან მეორეში გადასახლების გზით; დედამიწა მრგვალია და ბრუნავს შუაგული ცეცხლის გარშემო. — **პითაგორეიზმ-ი** ან უკეთ **პითაგორიიზმ-ი**—პითაგორის მოძღვრება; **პითაგორელები** (მრავლ.) — პითაგორის მოძღვრების მიმდევარნი, რომელთაც შექმნეს იტალიური ფილოსოფიური სკოლა. — **პითაგორ-ის ტაბულა** (ანუ ცხრილი) — გამრავლების ცხრილი; **პითაგორ-ის თეორემა** — „ჰიპოტენუზის კვადრატი ეთანასწორება კათეტთა კვადრატების ჯამს“.

**პითია** (ბერძ. **Pythia**): 1) წინასწარმეტყველი ქურუმი ქალი დელფის ტაძარში; 2) საერთოდ წინასწარმეტყველი ქალი: — **პითი-ის** (**პითიური**) ანუ **დელფ-ის** (**დელფიური**) **თამაშობანი** — ძველ ბერძენთა ეროვნული მნიშვნელოვანი დღესასწაული (ოლიმპიურს შემდეგ—პირველი) აპოლონის პატივსაცემად ქ. დელფში.

**პითეკანთროპ-ი**, („მაიმუნი ადამიანი“), ბერძ. ხელოვნ. (**Pithêkos** „მაიმუნი“, იხ. ანთროპ-), განათხრებში პოვნილი (კუნძულ იავა-ზე) ადამიანის მსგავსი არსება.

**პითომეტრ-ი** (ბერძ. **pithos** „თიხის კასრი“, იხ. მეტრი), კასრების ტევადობის საზომი იარაღი.

**პითონ-ი**, ბერძ. საკ. სახ. (**Pythôn**): 1) მითოლოგიით—აპოლონის მიერ მოკლული ვეშაპი; 2) დიდი ტანის უშხამო გველი ტროპიკულ ქვეყნებში.

**პიკა**, ევროპ., შუბი. — აქედან: **პიკადორ-ი** — შუბით შეიარაღებული ხართან მებრძოლი მხედარი. — **პიკანტური** (ფრ. **piquant**): 1) მკვეთრი; 2) მიმზიდველი, გრძნობების (ვნების) აღმძვრელი. — **პიკე** (ფრ. **piqué**) — ერთგვარი ამობურცვით-მოსახული მკვრივი მატყლის ქსოვილი. — **პიკეტ-ი** (ფრ. **piquet** „ზედაბოლო-წამახული სარი“) — :1) პატარა დამცველი რაზმი; 2) ძველებური კარტის თამაში; 3) ფრ. **piquette** — ხილეულ-შენარევი ერთგვარი მჟავე ღვინო საფრანგეთში).

**პიკოლო** (იტ. **piccolo**): 1) პატარა ფლეიტა (იხ.); 2) ოფიციანტის თანაშემწე პატარა ბიჭი რესტორანში.

**პიკნიკ-ი** (ფრ. **piquenique**), ქალაქ გარეთ ღროსტარების მიზნით გასეირნება; პატარა ქეიფი.

**პიკულ-ი** ან **პიკლ-ი** (ინგლ. **picle**). წნილად ჩადებული მწვანილი.

**პიკტოგრაფია**, იხ. პიქტოგრაფია.

**პილასტრ-ი** (ფრ. **pilastre**, ლათ. **pila** „სვეტი“), კედლის-სვეტი, — ცალმხრივ კედელში შეჭრილი ოთხკუთხი სვეტი.

**პილიგრიმ-ი** (იტ. **pellegrino**, ლათ. **peregrinus** „უცხოელი“), წმინდა ადგილებში მოგზაური მლოცველი.

**პილონ-ი**, **პილონები** (ბერძ. **pylôn** „შესავალი“), ხუროთმოძღვრებაში: 1) წარკვეთილი პირამიდისებრი საკუთხე კოშკები ეგვიპტეში ტაძრების წინ — ალაყაფის კარების ნაცვლად; 2) სვეტები (ზოგჯერ ქანდაკებიანი) ხიდის თავსა და ბოლოში ორივე მხრივ.

**პილოტ-ი**, ევროპ. (ფრ. **pilote**): 1) იგივეა, რაც ლოცმანი (იხ.); 2) აეროპლანის მმართველი.

**პილულ-ი** (ლათ. **pilula**), ბირთვისებრ დამრგვალებული რაიმე წამალი გადაყლაპვის გასაადვილებლად.

**პინაკოთეკ-ი**, ბერძ. (**pinax** „დაფა, ფიცარი“, **thêkê** „დასადები ან ჩასადები, ყუთი“): 1) ძვ. საბერძნეთში — ღმერთებისთვის შეწირული სურათების შესანახი ბინა; 2) ახლა — სამხატვრო გალერია (იხ.).

**პინგვინ-ი** (ლათ. **pinguis**-ისაგან „მსუქანი“), დიდი ტანის მცურავი ფრინველი, — ფრენა არ შეუძლია; ცხოვრობს აფრიკაში, ამერიკაში და სამხრ.-ინდოეთში.

**პინდარ-ი** ან **პინდაროს-ი**, საკ. სახ., ძვ. საბერძნეთის უდიდესი ლირიკოსი პოეტი (521 — 441 ქ. წ.). განსაკუთრებით ცნობილია რელიგიური და საზეიმო ხასიათის ოდებით (იხ. ოდა); აქედან: **პინდარიზმ-ი** — პინდარის მიმბაძველობა; **პინდარული** — მაღალ გრძნობათა გამომხატველობითი. ზეიმური.

**პინია** (ლათ. pinus-ისაგან „ფიჭვი"), ფიჭვის ერთი სახეობა, იტალიური კედრი, იძლევა გემრიელ ნაყოფს: — **პინინ-ი** — ფიჭვის ფისი.

**პინიონ-ი** ან უკეთ **პინონ-ი** (ფრ. pignon), ხუროთმოძღვრებაში: წაწვეტილი გამონაშვერი სახლის კედელს ზევით; სათავე.

**პინცეტ-ი** (ფრ. pincette): 1) ქლიბი, — საქირურგიო მაშაკი; 2) მესაათის მაშაკი.

**პიონერ-ი**, **პიონერები**, ევროპ. (ინგლ. pioneer. ფრ. pionnier „ქვეითად მავალი"): 1) ჩრდილო ამერიკაში პირველად დასახლებულნი და კულტურის შემტანნი; 2) საერთოდ — გზის პირველი გამკვლევი რაიმე საქმეში, რაიმე საქმის დამწყები, მოწინავე; 3) სამხედრო საქმეში: ლაშქრის წინ მავალი მესანგრე ჯარის კაცები; 4) ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა პ ი ო ნ ე რ ე ბ ი — ბავშვთა 15 წლამდე კომუნისტური მოძრაობა საბჭოთა კავშირში: ფიზიკური და საზოგადოებრივი აღზრდის მიზნების მქონე ორგანიზაციები.

**პიპეტკა** (რუს. დაბოლოებით) ან უკეთ **პიპეტ-ი** (ფრ. pipette „პატარა მილი, მილაკი"), წაწვეტილი მინის მილაკი — სითხის ჭურჭლიდან ჭურჭელში გადასასხმელად; აგრეთვე — სითხის (მაგ. რაიმე წამლის) წვეთობრივ სასხმელი მილაკი.

**პიჟონ-ი** (ფრ. pigeon „მტრედი"), გამოუცდელი, გულუბრყვილო ახალგაზრდა ვაჟი.

**პირამიდ-ი** (ეგვიპ.-ბერძ. pyramis,- idos): 1) ოთხკუთხ-ფუძიანი თავწაწვეტილი უზარმაზარი ქვის ძეგლი ძველს ეგვიპტეში (აგრეთვე — ძველს მექსიკაში); პირამიდები წარმოადგენდენ ფარაონთა (მეფეთა) სასაფლაოს; აქედან: 2) გეომეტრიაში: მრავალკუთხ-ფუძიანი და სამკუთხ-გვერდებიანი მრავალწახნაგა გეომეტრიული სხეული, რომლის მწვერვალში თავს იყრიან სამკუთხთა მწვერვალები. — აქედან: **პირამიდალური** ან უკეთ **პირამიდული** — პირამიდის ფორმის მქონე.

**პირამიდონ-ი**, ბერძ. ხელოვნ. (ბერ. pyr „ცეცხლი"), სიცხის დასაწევი და თავის ტკივილის აწინააღმდეგო ფხვნილი წამალი.

**პირატ-ი** (ბერძ. peiratês; peiratô „ვეძებ, ვცდი, ვისწრაფვი..."), ზღვის ყაჩაღი, მეკობრე — **პირატობა** — ზღვაზე ყაჩაღობა.

**პირგელიო-**, იხ. პირჰელიო-.

**პირატ-ი** (ბერძ. peiratês; peiraô „ვეძებ, ხლი". pyretos „ცხელება"), ციებ-ცხელების საწინააღმდეგო საშუალებანი; **პირეტიკული** — ციებ-ცხელების საწინააღმდეგო.

**პიროგ-ი**, რუს., ერთგვარი საჭაპურისებრი ნამცხვარი.

**პიროგენურ-ი** (ბერძ. pyr, pyrós „ცეცხლი", იხ. გენეზისი). ცეცხლისაგან წარმოქმნილი. — **პიროდინამიკა** (იხ. დინამის) — მოძღვრება ცეცხლის ძალების შესახებ. — **პიროელექტრობა** — სითბოს საშუალებით აღძრული ელექტრობა. — **პიროკსილინ-ი**, იხ. პიროქსილინი. — **პიროლატრია** (ბერძ. latreia „სამსახური") — ცეცხლის თაყვანის-მცემლობა. — **პირომანია** — ცეცხლის წაკიდების ავადმყოფური სურვილი. — **პირომანტია** (ბერძ. manteia „მკითხაობა") — ცეცხლით მკითხაობა. — **პირომეტრ-ი** (იხ. მეტრი) — მაღალი ტემპერატურის (360 — 400-ზე ზევით) საზომი ხელსაწყო; **პირომეტრია** — მაღალ ტემპერატურათა მზომელობა. — **პიროსკოპ-ი** (ბერძ. skopein „ხედვა") — იგივეა, რაც პირომეტრი. — **პიროტექნიკა** (იხ. ტექნიკა) — ტექნიკური ქიმიის დარგი: მისი საგანია წვადი და ფეთქადი ნივთიერებების დამზადება (მაგ. დენთისა ანუ თოფის წამლისა; რაკეტებისა და სხვ.). — **პიროფორ-ი** (ბერძ. phorós „წამღები, მტარებელი") — თვითაალებადი ქიმიური შენაერთი. — **პიროქსილინ-ი** — ფეთქადი ნივთიერება, რომელიც მოიპოება აზოტის მჟავის მოქმედებით ბამბასა და სხვა მცენარეულ ნივთიერებებზე.

**პირონიზმ-ი** — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსის, პ ი რ ო ნ-ის (Pyrrôn, 4—3 ს. ქ. წ.), სკეპტიცისტური მოძღვრება: ყოველი აღქმა, შემეცნება და შეხედულებანი პირობითია; ამიტომ ადამიანმა თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი მსჯელობისაგან და უნდა მიისწრაფოდეს სულიერი სიმშვიდისა და სურვილთა აღკვეთი-

სადში (იხ. ატარაქსია); აქედან: **პირონისტ-ი** — პირონიზმის მიმდევარი.

**პიროს-ის გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა** — ასე ეწოდება გამარჯვებას, რომელმაც გამარჯვებულს დიდი მსხვერპლი დაალებინა და დაასუსტა იგი. [პ ი რ ო ს - ი (Pyrros, 318 — 272) — ეპირის მეფე, რომელმაც დაამარცხა რომაელები, მაგრამ თვითონაც ძლიერ დაზარალდა].

**პირუეტ-ი** (ფრ. pirouette): 1) ცეკვაში: თითის წვერებზე შემოტრიალება; 2) ცხენზე მჯდომარის მიერ ცხენის შემოტრიალება უკანა ფეხებზე.

**პირჰელიომეტრ-ი** (ბერძ. pyr „ცეცხლი", helios „მზე", იხ. მეტრი). მზის გამოსხივების ანუ დედამიწის ზედაპირთან მზის სითბოს რაოდენობის საზომი მოწყობილობა.

**პისტოლეტ-ი**, ფრ., დამბაჩა (ქართულად ამბობენ: ფისტო, ფისტოლი; აგრეთვე — ფიშტო).

**პისტონ-ი**, იხ. ფისტონი.

**პისუარ-ი** (ფრ. pissoir). შარდის გადასასხმელი ადგილი.

**პისციკულტურა** (ლათ. piscis „თევზი", იხ. კულტურა), მეთევზეობა; თევზების ხელოვნური მოშენება. — **პისცინა** — სათევზე ტბა ან აუზი.

**პიტიახშ-ი**, სპ., განაპირა კუთხის მმართველი.

**პიტეკანთროპ-ი**, იხ. პითეკანთროპი.

**პიტო-**, იხ. პითო-.

**პიუპიტრ-ი**, იხ. პუპიტრი.

**პიურე** (ფრ. purée). მოხარშული და დასრესილი მწვანილეული და სხვ.

**პიფაგორ-**, იხ. პითაგორ-.

**პიფერო** (იტ. piffero), ობოეს მსგავსი სამუსიკო ინსტრუმენტი; **პიფერარი** — პიფეროზე დამკვრელი იტალიელი მოგზაური მუსიკოსი.

**პიქტოგრაფია** (ლათ. pictus „დახატული", ბერძ. graphein „წერა"). სურათოვანი დამწერლობა; იგივეა, რაც იდეოგრაფია (იხ. იდეოგრამა).

**პიჯაკ-ი** (ინგლ. peajecket). ვაჟის ზედატანის საცმელი — თეძოებამდე.

**პლაგიატ-ი** (ლათ. plagium „მოტაცება"): 1) სხვისი ლიტერატურული (ან მხატვრული და მეცნიერული) ნაწარმოების მითვისება; 2) სხვისი ნაწარმოებით სარგებლობა ავტორის მოუხსენიებლად; აქედან: **პლაგიატორ-ი** — ასეთის მქნელი; **პლაგიირება** — პლაგიატის ჩადენა.

**პლაზმა ან პლასმა** (ბერძ. პლასმა,-ატოს „გამონასახი, წარმონაქმნი"): 1) სისხლის უწითელ- და უთეთრ-ბურთულებო თხევადი ნაწილი; 2) მცენარეული ან ცხოველური სხეულის უმარტივესი ქსოვილის ფორმა; 3) მუქი-მწვანე ზურმუხტი. — აქედან: **პლაზმატური ან პლაზმური უჯრედები** — სახეცვლილი ლიმფოციტები, — გროვდებიან ფხვიერ შემაერთებელ ქსოვილში ქრონიკული ანთების დროს. — **პლაზმოგამია** (ბერძ. გამოს „ქორწინება, შეუღლება") — იხ. პლასტოგამია. — **პლაზმოგონია** (ბერძ. გონოს „წარმოშობა") — პლაზმისაგან (2) ორგანიზმის წარმოქმნა. — **პლაზმოდი ან პლაზმოდიუმ-ი** —: 1) ბოტანიკაში: ლორწოვან სოკოთა ლორწოიანი გარსი; 2) **მ ა ლ ა რ ი ი ს პ ლ ა ზ მ ო დ ი** — სისხლის პარაზიტი, — ჰქმნის მალარიას.

**პლაკატ-ი** (ლათ. placare-საგან „დაწყნარება, შერიგება"): 1) წინეთ — პასპორტი; 2) ახლა — საყოველთაო ცნობისათვის გამოკრული განცხადება, ზოგჯერ — დასურათებული; სააგიტაციო ლოზუნგებიანი სურათი. — **პლაკე** (ფრ. plaqué) — მოვერცხლილი ან მოოქრული ნივთი. — **პლაკირება** —: 1) მოვერცხლვა ან მოოქრვა; 2) უბრალო ხისაგან გაკეთებულ რაზედმე ძვირფასი ხის თხელი ფენის გადაკვრა; 3) დაფერდებული ადგილის მობელტვა.

**პლანერ-ი** (ფრ. planeur — planer-ისაგან „ჰაერში ლივლივი"): 1) უმოტორო და უვინტო საფრენი მოწყობილობა; 2) (ფრ. planer-საგან „გაპრიალება") — გამპრიალებელი ხელსაწყო.

**პლანეტა ან უკეთ პლანეტ-ი** (ბერძ. planētos „მოხეტიალე"), ასტრონომიაში: ცთომილი, — მზის გარშემო მბრუნავი და მისგან შუქისა და სითბოს მიმღები ციური სხეული. მაგ. მერკური, ვენერა (2), დედამიწა, მარსი და სხვ., **პლანეტარიუმ-ი** — მზის სისტემის თვალსაჩინოდ წარმომდგენი მოდელი. — **პლანეტოიდ-ი** — იგივეა, რაც ასტეროიდი (იხ.). — **პლანეტური წელი** — პლანეტის მიერ მზის გარშემო შემოვლის დროის ხანგრძლიობა.

**პლან-ი** (ლათ. პლანუს „სწორი, ვაკე; ადვილად გასაგები, ცხადი..."), გეგმა. — **პლანიმეტრია** (იხ. მეტრი) — ერთ სიბრტყეზე მოთავსე-

ბულ წირთა (ხაზთა) და ფიგურათა შემსწავლელი ნაწილი გეომეტრიისა. — პლანირება — 1) დაგეგმვა; 2) ქაღალდის გაპრიალება (იხ. პლანერი (2). — პლანირობა (იხ. პლანერი (1) — ავიაციაში: მოტორ-ამორთული სრიალით ფრენა; აქედან: პლანირობით დაშვება — საფრენი მოწყობილობის სრიალით დაშვება. — პლანისფერო (იხ. სფერო) — დედამიწის ან ცის გლობუსის (იხ.) გამოსახულობა რუკაზე.

პლანკა, ლათ.-ევროპ. (გერმ. Planke), წვრილი ვიწრო ფიცარი, თამასი.

პლანტაჟ-ი, ლათ.-ფრ. (plantage, ლათ. plauta-საგან „მცენარე"), რისამე გადასარგავად მიწის დამუშავება. — პლანტაცია (ლათ. plantatio „დარგვა, გადარგვა") — : 1) საერთოდ — განსაკუთრებულად მოსავლელი მცენარეულობით (ბამბით, ჩაით, ბრინჯით...) დათესილ-დარგული მიწა; 2) კერძოდ — მონათმფლობელობითი მეურნეობა ამერიკაში. — პლანტატორ-ი —:1) პლანტაციის მფლობელი; 2) გადატ. მნიშვნ.: მებატონე, მონობის მომხრე.

პლანშეტ-ი, ლათ.-ფრ. (planchette, იხ. პლანკა): 1) ქაღალდ-გადაკრული ფიცარი სამფეხზე, — მასზე იხატება გეგმები (დაგეგმვის დროს); 2) ლითონის ფირფიტა კორსეტში.

პლაჟ-ი (ფრ. plage),ზღვის ნაპირი, განსაკუთრებით — კურორტებზე.

პლასტ-ი, რუს., ფენი; აქედან: პლასტინკა — :1) საერთოდ — ბრტყელი და ვიწრო რამ, მაგ. ფიცარი; 2) ტექნიკაში — ფირფიტა; ფენი.

პლასტიკა (ბერძ. plastikê „ძერწვითი, ქანდაკებითი", იგულისხმება téchnê ხელოვნება"): 1) გარეგან ფორმათა გამოსახვა ძერწვის, ქანდაკებისა, ჩამოსხმისა და სხვ. საშუალებით; 2) გარეგან ფორმათა თანშეზომილად გამოსახვის ხელოვნება; 3) სხეულის მოძრაობათათვის სილამაზისა და გამომხატველობის მინიჭების ხელოვნება. — პლასტიკური — :1) პლასტიკის ხასიათის მქონე; 2) გადატ. მნიშვნ.: მოქნილი, რბილი; მინიჭებული ფორმის შემნახველი, მაგ. პლასტიკურია თიხა, ცვილი და სხვ. — პლასტიკური ხელოვნებანი — ქანდაკება, მხატვრობა, ცეკვა და სხვ. — პლასტოგამია (ბერძ. გამოს „ქორწინება") — ბიოლოგიაში: ერთუჯრედიან ორგანიზმთა პლაზმოდიუმების (იხ.). წარმოქმნის უნარი.

პლასტირ-ი (ბერძ.-საშ. ლათ. plastrum „გიპსი"; ქართულში — რუსულ. пластырь-ისაგან), მალამო, სალბუნი.

პლატან-ი, ბერძ.-ლათ. (platanus), ჭანდარი (ხეა).

პლატინა, ბერძ.-ევროპ. (ისპ. plata „ვერცხლი"), ყველაზე მძიმე კეთილშობილი ლითონი (ქიმიური ელემენტი), მოთეთრო ფერისა; ოქროზე უფრო ძვირფასი. — იხმარება ძნელ-დნობადი ჭურჭლეულობისათვის; ბუნებაში განცალკევებულად (სხვასთან შეურევლად) არ მოიპოვება.

პლატო, ბერძ.-ფრ. (plateau, ბერძ. platys „ბრტყელი, ფართე"), ზეგანი, — ვაკე მთაადგილი, ვაკე მაღლობი.

პლატონ-ი (Platôn, 427 — 347 ქ. წ.), ძველი საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი, სოკრატის მოწაფე და არისტოტელის მასწავლებელი, იდეალისტური ფილოსოფიის ავტორი; მისი მოძღვრება გადმოცემულია მხატვრულად დიალოგის (იხ.) ფორმით მის სხვადასხვა ნაწარმოებში („კრიტონი", „ფედონი", „გორგიასი", „სახელმწიფო" და სხვ.). — პლატონის მოძღვრება: ნამდვილად არსებობს მხოლოდ ზოგადი, იდეა, რაც წარმოადგენს ცალკეულ ნივთთა წარუვალ შინაარსს; ცალკეული ნივთი არის იდეის გამოვლენა; ყველა იდეები გაერთიანებულია კეთილის იდეაში, რომელსაც პლატონი აიგივებს ღვთაებასთან. ადამიანის სულის ერთი — ღვთაებრივი — ნაწილი წინარე-არსებული და უკვდავია, — იგი მიისწრაფვის იდეათა ამ სამყაროში, საიდანაც წარმოიქმნა; შემეცნება არის იდეათა სამყაროში წინარე-არსებობის მოგონება. ორი დანარჩენი — გრძნობითი — ნაწილი მომაკვდავია. სათნოებათაგან უმთავრესია (სულის ნაწილების შესაფერად): გონიერება, სიმამაცე და ზომიერება; მათ გასავითარებლად აუცილებელია სახელმწიფო, სადაც უფლობს გონიერება (სიბრძნე, მეცნიერება, ფილოსოფია), რომელსაც განასახიერებს მმართველი ბრძენი კლასი; დანარჩენი ორი კლასი (აგრეთვე სულის დაყოფასთან შეფარდებით) ზრუნავენ სახელმწიფოს დაცვისა და ქონებრივი ინტერესებისათვის; ასეთ სახელმწიფოში არაა კე-

რძო საკუთრება, არც ოჯახი; უნდა განიდევნონ პოეტები და მხატვრები. — **პლატონიზმ-ი** — : 1) პლატონის მოძღვრება; 2) არაგრძნობიერი მაღალი სიყვარული (ხორციელთან დაპირისპირებით). — **პლატონიკ-ი** — პლატონიზმის მიმდევარი. — **პლატონიკური** ან **პლატონური** — იდეალური, სულიერი, არაგრძნობიერი; უმოქმედო, განუხორციელებელი; მაგ. **პლატონური სიყვარული** — იხ. პლატონიზმი (2); **პლატონური სურვილი** — განუხორციელებელი სურვილი.

**პლატფორმა**, ბერძ.-ევროპ. (ფრ. plateforme, იხ. პლატო და ფორმა): 1) ბაქანი; ფიცარნაგი; 2) სარკინიგზო ღია და უკედლო ვაგონი; 3) ამა თუ იმ პარტიის პროგრამა.

**პლაფონ-ი**, ბერძ.-ლათ.-ევროპ. (ფრ. platond, „ჭერი", იხ. ფონი), მოხატულ-მოჭანდაკებული ჭერი.

**პლაშკოტ-ი** ან **პლაშკოუტ-ი**, ჰოლ., ბრტყელფსკერიანი ნავი; **პლაშკოუტ-ის ხიდი** — ღუზებით დამაგრებულ პლაშკოტებზე გაკეთებული ხიდი.

**პლაშჩ-ი**, რუს., განიერი ზედა წამოსასხამი.

**პლაც-ი**, ბერძ.-ევროპ. (გერმ. Platz „ადგილი, მოედანი"), დიდი მოედანი, ჩვეულებრივ — სამხედრო სავარჯიშოდ. — **პლაცდარმ-ი**, გერმ.-ფრ. (place d'armes), ციხე-სიმაგრის წინ ან შიგნი შესაკრები მოედანი; აგრეთვე — ომის დროს: სამოქმედოდ ჯარის გასაშლელი ადგილი. — **პლაცკარტ-ი** (იხ. კარტა) — დანომრილი ადგილი მატარებელში.

**პლეადა**, იხ. პლეიადი.

**პლებეი** ან უკეთ **პლებ-ი** ან **პლებს-ი**, მრავლ. **პლებები** (ლათ. plebs, plebis): 1) ძველ რომში: თავისუფალი მოსახლეობის დაბალი — თავდაპირველად უუფლებო — კლასი (უპირისპირდებოდა პატრიციებს),—ებრძოდენ მუდამ პატრიციებს, რომელთაც გაუთანასწორდენ უფლებრივად III საუკ. ქ. წ.; 2) დაბალი წოდება, მდაბიო ხალხი. — აქედან: **პლებეიური**, **პლებური** ან **პლებსური** — პლებთა დამახასიათებელი, მათი შესაფერი, მათგან გამომდინარე და სხვ., გადატ. მნიშვნ.: ტლანქი; ბრბოული.

**პლებისციტ-ი** (ლათ. plebs, plebis „მდაბიო ხალხი, ბრბო", scitum „გადაწყვეტილება"): 1) ძველ რომში: პლებთა გადაწყვეტილება კომიციებში (იხ.); 2) შემდეგ და ახლა: რაიმე საზოგადოებრივი ან პოლიტიკურ საკითხის გადაწყვეტა საყოველთაო დაკითხვის (კენჭისყრის) საშუალებით.

**პლებს-ი**, იხ. პლებეი.

**პლედ-ი** (ინგლ. plaid): 1) შოტლანდური წამოსასხამი; 2) სქელი შალი — მხრებზე წამოსასხამად, ფეხებზე შემოსახვევად და სხვ.

**პლევრა** (ბერძ. pleyrá „გვერდი"), ანატომიაში: ფილტვის გარე-ზედაპირისა და გულმკერდის ღრუს შიდა ზედაპირზე გადაფარებული გარსი. — **პლევრიტ-ი** — პლევრის ანთება. — **პლევროპნევმონია** (იხ. პნევმა) — პლევრისა და ფილტვის ერთდამიერი ანთება.

**პლეთორა** (ბერძ. plēthein-ისაგან „გავსება"), მედიცინაში: სისხლ-სავსეობა, სისხლის სიჭარბე; აქედან: **პლეთორული** — სისხლ-სავსეობითი.

**პლეიად-ი**, **პლეიადები**, ბერძ. საკ. სახ. (Pleiádes), მითოლოგიით: ძევსის მიერ თანავარსკვლავედის სახით მოთავსებული შვიდი მშვენიერი ქალწული; 2) ასტრონომიაში: შვიდი ვარსკვლავის ჯგუფი კუროს ეტლში (თანავარსკვლავედში); 3) 16 საუკ. ფრანგ. პოეტთა წრე; 4) გადატ. მნიშვნ.: განსაზღვრული ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა (მწერალთა, მეცნიერთა და სხვ.) ჯგუფი.

**პლენარული** ან **პლენარ-ი** (იხ. პლენუმი) — სრული, სრულრიცხოვანი: საერთო (იტყვიან სხდომის ან კრების შესახებ).

**პლენუმ-ი** (ლათ. plenus.u um „სრული. სავსე"), რაიმე საზოგადოების, წრის, პარლამენტის და სხვ. საერთო კრება, სრული შემადგენლობით.

**პლეონაზმ-ი** (ბერძ. პლეონასმოს „გადაჭარბება"). მრავალსიტყვაობა, ერთ მნიშვნელობიან სიტყვათა ხშირი ხმარება მეტყველებასა ან წერაში. — **პლეონასტური** ან **პლეონაზმური** — მრავალსიტყვაობითი.

**პლეორამა** (ბერძ. plein „ნავით ცურვა", horâma „სანახაობა"), ერთგვარი პანორამა, — მხედველს ჰგონია, რომ მიცურავს ნავით.

**პლეოქროიზმ-ი** (ბერძ. plēon „მეტი", chrōs „ფერი"), ზოგიერთ კრისტალთა ფერის ცვლის უნარი შუქტეხის გამო.

**პლერომა**, ბერძ.: 1) გადაჭარბებული სიმ-

სექტე; 2) პირველადი ქსოვილის შიდა-ფენი მცენარის საზარდ წერტილებში.

**პლესიმეტრ-ი** (ბერძ. plēssein „დარტყმა", იხ. მეტრი), მედიცინაში: ლითონის ან ძვლის პატარა ფირფიტა, — იხმარება ექიმების მიერ აუსკულტაციის (იხ.) დროს.

**პლეტორა**, იხ. პლეთორა.

**პლეხანოვ-ი**, გ. ვ. (1850—1918), გამოჩენილი რუსი მარქსისტი, რევოლუციური მარქსიზმის ფუძემდებელი რუსეთში; სავსებით გაწყვიტა კავშირი რუსულ ხალხოსნურ მოძრაობასთან 1883 წ., დააარსა „შრომის განთავისუფლების ჯგუფი"; 1901 წ. თანამშრომლობდა „ისკრა"-ში ლენინთან, მარტოვთან და სხვებთან ერთად; 1903 წ. პარტიაში განხეთქილებისას იგი მოექცა „უმცირესობის" (მენშევიკთა) სათავეში; აქვს მრავალი შესანიშნავი შრომები, მაგ. „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა", „ჩვენი უთანხმოება", „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის" და მრავ. სხვა.

**პლიაჟ-ი**, იხ. პლაჟი.

**პლინთუს-ი** ან **პლინთ-ი**, ბერძ.-ლათ. (იხ. პლიტა), ხუროთმოძღვრებაში: 1) სვეტის ფუძე; 2) შეფიცრულობა, რომელიც ჰფარავს იატაკის შენაერთს კედელთან; 3) შენობის გარეთა ნაწილის ქვედა წანაშვერი.

**პლიოცენ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ბერძ. პლეიონ „მეტი", კაინოს „ახალი"; გერმ. pliozäne), გეოლოგიაში: მესამეული სისტემის ზედა ფენი (შეად. ეოცენი და მიოცენი).

**პლისე** (ფრ. plissé), დანაოჭებული ზოლები ქსოვილზე ან ტანსაცმელზე, ჩვეულებრივ — ქალებისაზე.

**პლის-ი**, ევროპ.-რუს (გერმ. Plüsch), სელის ან ბამბის-ფუძიანი ხავერდის მსგავსი ხაოიანი ქსოვილი.

**პლიუს-ი**, იხ. პლუსი.

**პლიუშ-ი**, იხ. პლუში.

**პლიტა** (რუს. плита — ბერძ. plinthos-ისაგან „აგური", იხ. პლინთუსი): 1) მაგარი მასალის (ქვის, ლითონის...) სქელი ფიცარი; ფილა; 2) სამზარეულო პლიტა: ა) თუჯის ნახვრეტებიანი ფიცარი, რომელსაც ქვეშიდან უნთებენ ცეცხლს,—მასზე დგამენ კასტრულებს; ბ) თუჯის ფიცარგადაფარებული ღუმელისებრი დაბალი ნაშენი სამზარეულოში (ან ოთახში) მთელი თავისი მოწყობილობით (ცეცხლსანთებით, ქვაბით და სხვ.).

**პლომბ-ი**, ფრ. (ლათ. plumbum-ისაგან „ტყვია"): 1) ტყვიის დამღა (ანუ ბეჭედი), რომელსაც ჩამოჰკიდებენ რაიმე საქონელზე საბაჟოში; საქონლიანი ვაგონის საკეტზე ჩამოკიდებული ასეთივე დამღა; 2) ავადმყოფი კბილის ღრუს ამოსავსები ერთგვარი მასალა (ლითონი, კაუჩუკი და სხვ.). — აქედან: **პლომბვა** — პლომბის გაკეთება (საქონელზე, ვაგონზე ან კბილში); **დაპლომბილი**.

**პლომბირ-ი** (ფრ. plombière), დაშაქრულხილეულიანი ნაყინი.

**პლუვიოზ-ი** (ფრ. pluviôse — ლათ. pluvia-საგან „წვიმა"), საფრანგეთის სარევოლუციო კალენდრის მეხუთე თვე (20 იანვრიდან 20 თებერვლამდე). — **პლუვიომეტრ-ი** (იხ. მეტრი), მეტეოროლოგიაში: წვიმსაზომი (ხელსაწყო), — ატმოსფერული ნალექის (იხ.) რაოდენობის საზომი იარაღი.

**პლუმაჟ-ი** (ლათ. plumage — ფრ. pluma-საგან „ფრთა"), ფრთებისაგან გაკეთებული სამკაული ქუდზე ან ტანსაცმელზე.

**პლურალ-ი**, **პლურალის-ი** (ახ. ლათ. pluralis — იგულისხმება numerus „რიცხვი"), გრამატიკაში: მრავლობითი (რიცხვი).—**პლურალიზმ-ი** — :1) ფილოსოფიაში — მოძღვრება, რომელიც აღიარებს მსოფლიოს დასაბამთა მრავლდობას (უპირისპირდება მონიზმს): 2) უმრავლესობისათვის გადამწყვეტი უფლების მინიჭება.

**პლუს-ი** (ლათ. plus, pluris „მეტი"): 1) მათემატიკაში: შეკრების ნიშნის (+) სახელწოდება; ამა თუ იმ სიდიდის დადებითობის მაჩვენებელი ნიშანი; 2) ფიზიკაში: ნულის ზევით ტემპერატურის მაჩვენებელი ნიშანი; 3) გადატ. მნიშვნ.: უპირატესობა.

**პლუტარქ-ი** ან **პლუტარქოს-ი** (დაახლოებ. 50—120 წ. ქ. წ.), ცნობილი ბერძენი მწერალი, მრავალ-ნამგზავრი და დიდი ცოდნით აღჭურვილი, საბერძნეთისა და რომის გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრების აღმწერი.

**პლუტოკრატ-ი** (ბერძ. ploytos „სიმდიდრე", kratein „ფლობა"), სიმდიდრის წყალობით გა-

ბატონებული ან გავლენის მქონე ადამიანი. — **პლუტოკრატია** — : 1) მმართველობის ისეთი ფორმა სახელმწიფოში, როცა ძალა-უფლება ეკუთვნის მხოლოდ მდიდართა კლასს; 2) მდიდართა ერთობლიობა.

**პლუტონ-ი**, საკ. სახ. (Ploytôn), ძვ. ბერძნ. მითოლოგიით: ქვესკნელის ღვთაება. — **პლუტონიზმ-ი** — გეოლოგიაში: მოძღვრება, რომლის თანახმად დედამიწის ქერქი წარმოქმნილია არა მხოლოდ წყლის, არამედ მიწის გულში მყოფი გამდნარი მასის მოქმედებითაც (შეადარე ნეპტუნიზმი); აქედან: **პლუტონისტ-ი** — პლუტონიზმის მომხრე; **პლუტონური** — ვულკანური, მიწის გულიდან ცეცხლფრქვევის მოქმედებით წარმოქმნილი; **პლუტონური ჯიშები** ანუ **პლუტონიტები**—დიორიტი, პორფირი და სხვ.

**პლუშ-ი**, ლათ.-ევროპ. (გერმ Plüsch). ხა·ხევარ-ხავერდი, — ხავერდისაზე უფრო გრძელხაოიანი აბრეშუმის ქსოვილი (იხ. პლისი).

**პნევმა** (ბერძ. pneyma,-atos „სუნთქვა; ჰაერი, ქროლა; სული...“) — აქედან: **პნევმატიკა** — მექანიკის დარგი, — იკვლევს აირთა (გაზთა) მოძრაობის კანონებს. — **პნევმატიკური** ან **პნევმატური** — : 1) პნევმატიკისაგან გამომდინარე; 2) ჰაერითი; შეკუმშული ჰაერით მოქმედი; **პნევმატური მანქანა** — ჰაერტუმბო; **პნევმატური მკურნალობა** — გაუხშოებული ანუ შესქელებული ჰაერით მკურნალობა; **პნევმატური სალტე** — ჰაერით გაბერილი სალტე (მაგ. ეტლისა); **პნევმატური ფოსტა**— მიწისქვეშა საგანგებო მილებში შეკუმშული ჰაერის საშუალებით სასწრაფოდ წერილების გადაცემა (არის ევროპის დიდ ქალაქებში).—**პნევმატოთერაპია** (იხ. თერაპია) — იგივეა, რაც პნევმატური მკურნალობა; **პნევმატომეტრ-ი** (იხ. მეტრი) — ჩასუნთქულისა და ამოსუნთქული ჰაერის მოცულობის საზომი მოწყობილობა. — **პნევმოგრაფ-ი** (ბერძ. graphein „წერა“) —სუნთქვითი მოძრაობის გრაფიკულად გამომსახველი ხელსაწყო. — **პნევმოთორაქს-ი** (ბერძ. thôrax „ჯავშანი, სამკერდე“) — პლევრის ღრუში ჰაერის დაგროვება — **პნევმოკოკები** (მრავლ., იხ. კოკები) — ფილტვების კრუპოზული ანთების აღმძვრელი ბაქტერიები; **პნევმონია** ან **პნევმონიტ-ი** — ფილტვების ანთება. — **პნეიმო-**, იხ. პნევმო-.

**პო**, იხ. პოე

**პოგონ-ი**, პოლ.(?) (ქართულში — რუსულიდან), სამხედრო ტანსაცმელის მხრებზე დაკერებული ზოლი (ეპოლეტის ადგილას).

**„პოგრომ“-ი**, რუს. („დანგრევა, დარბევა, ამოჟლეტა“): *ებრაელთა პოგრომი* — ასე ეწოდა რუსეთში მეფობის ხანაში მთავრობის მიერ ხშირად მოწყობილს ებრაელთა დარბევას, რომლის მიზანიც იყო უკმაყოფილო ხალხის რევოლუციური სულისკვეთების სხვა მხრივ მიმართვა (ასეთი იყო. მაგ. 1881 წლისა და 1905 წლის დარბევა ებრაელთა).

**პოდაგრა**, ბერძ. („ფეხების დამჭერი“: poys, podos „ფეხი“, agrein „დაჭერა“), მედიცინაში: ხელ-ფეხის სახსრების ავადმყოფური ტეხა, განსაკუთრებით — თითებში; აქედან: **პოდაგრიკ-ი** ან **პოდაგრისტ-ი** — პოდაგრით შეპყრობილი; **პოდაგრული** — პოდაგრის ხასიათის მქონე.

**პოდესტა**, იტ. (ლათ. potestas,-atis-საგან „ხელისუფლება“), ქალაქის-თავი იტალიაში.

**„პოდიეზდ“-ი**, იხ. პადიეზდი.

**პოდპოლკოვნიკ-ი**, რუს., მეშვიდე კლასის სამხედრო ხარისხი რევოლუციამდე რუსეთში, — პოლკოვნიკზე დაბალი ერთი კლასით.

**პოდპორუჩიკ-ი**, რუს., მეცამეტე კლასის სამხედრო ხარისხი რევოლუციამდე რუსეთში, — პორუჩიკზე დაბალი ერთი კლასით (იხ. პორუჩიკი).

**პოე** ან **პო**, *ედგარ* (1809 1849), ცნობილი ამერიკელი პოეტი. მან დიდი გავლენა მოახდინა ახალ ლიტერატურაზე (ზოგიერთი მისი ნაწარმოები თარგმნილია ქართულად).

**პოეზია**, ლათ.-ევროპ. (ბერძ. poiêsis-საგან „კეთება, შექმნა, შემოქმედება; თხზულება“ poiein „კეთება, შექმნა, თხზვა“): 1) ხელოვნების დარგი, რომელიც ა) ჰქმნის ნაწარმოებს *სიტყვითი* მასალისაგან (ამით განსხვავდება იგი, მაგ. მხატვრობისაგან, რომელიც ჰქმნის ფერადებით, ხაზებით და სხვ.; ქანდაკებისაგან, რომელიც ჰქმნის მარმარილოსაგან, გიპსისაგან და სხვ.), ბ) წარმოადგენს *მხატვრული სახეებით* აზროვნებას და ამიტომ გ) უმთავრესად მოქმედობს ადამიანის *გრძნობასა* და *წარმოსახვაზე* (ამით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი პროზისაგან, რომელიც წარმოადგენს ცნებებით აზროვნებას და მოქმედობს

ადამიანის გონებაზე, იხ. პროზა); პოეზიას აქვს სამი დარგი: ეპოსი, ლირიკა და დრამა (იხ. ესენი); 2) გადატ. მნიშვნ.: ცხოვრების კარგი მხარე; ლამაზი, მხატვრული რამ; აქედან: **პოეზიური** (და არა პოეტური)—პოეზიის ხასიათის მქონე, მისი შესაფერი და სხვ., გადატ. მნიშვნ.: ლამაზი, მხატვრული, მაგ. **პოეზიური სანახაობა** — ლამაზი, წარმტაცი სანახაობა.—**პოემა** (ბერძ. poiema, იხ. პოეზია) — ეპიკური ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოები, მთლიანი შინაარსის პოეტური მოთხრობა, უმთავრესად, — ლექსითი ფორმით: 1) ძ ვ ე ლ ი- და ა ხ ა ლ ი-კ ლ ა ს ი-კ უ რ ი პ ო ე მ ი ს ძირითად შინაარსად აღებულია დიდ მნიშვნელოვანი რაიმე შემთხვევა ეროვნულ ან სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, შეტანილია მასში სასწაულებრივი ელემენტები, ბუნების აღწერილობანი და ეპიზოდები (იხ.); 2) რ ო მ ა ნ ტ ი კ უ ლ ი პ ო ე მ ი ს ძირითადი შინაარსი აღებულია უმთავრესად რაინდული ცხოვრებიდან; მასში გამოხატულია უმთავრესად რელიგიური, სიყვარულისა და რაინდული სახელოვნობის გრძნობები; 3) ა ხ ა ლ ი დ რ ო ი ს პ ო ე მ ა (19 საუკუნიდან) — წარმოადგენს პოეტურ მოთხრობას ავტორის მიერ მოგონილი პიროვნების პირადი ცხოვრების შესახებ; მასში დიდი ადგილი ეთმობა პირადული განცდების გადმოცემას და ლირიკულ წიაღსვლებს; აქედან განვითარდა რეალისტური (იხ.) პოემა. — **პოეტ-ი** (ბერძ. poiêtês „შემქმნელი; მოლექსე"), მგოსანი, — მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული, მხატვრული სახეებით მოაზროვნე მწერალი; **პოეტესა** ან **პოეტეს-ი** (ფრ. poétesse), მგოსანი ქალი. — **პოეტიზირება** — მხატვრულ სახეებში რისამე წარმოდგენა; გადატ. მნიშვნ.: რისამე უკეთესად, უფრო ლამაზად წარმოდგენა, ვიდრე იგი სინამდვილეშია; **პოეტიზირებული** — მხატვრულ სახეებში წარმოდგენილი და სხვ. — **პოეტიკა** — პოეზიის თეორია,— მოძღვრება პოეტური შემოქმედების წარმოშობისა, კანონებისა და ფორმების შესახებ. — **პოეტური** — პოეტისათვის დამახასიათებელი, მისგან გამომდინარე, მაგ. **პოეტური შემოქმედება**.

**პოზა**, ლათ.-ევროპ. (ფრ. pose), სხეულის ესა თუ ის მდგომარეობა (იტყვიან ცოცხალ (ჩვეულებრივ — ადამიანის) სხეულის შესახებ, განსაკუთრებით — სხეულის ხელოვნურად ანუ განზრახ დაყენების შესახებ, მაგ. ს ა ს ც ე ნ ო ანუ ს ა თ ე ა ტ რ ო პ ო ზ ა).—აქედან: **პოზირება** — მხატვრისა ან მოქანდაკის მოდელად ყოფნა; **პოზიორობა** — სხეულის არაბუნებრივი დაყენება განზრახ — ვისთვისმე თავის მოწონების მიზნით. — **პოზიტურა** — სხეულის მდგომარეობა ან დაყენება.

**პოზიტივ-ი** (ლათ. positivus): 1) საერთოდ — დადებითი; 2) ფოტოგრაფიაში — ნეგატივიდან მიღებული გამოსახულობა, სადაც ნათელი ადგილები გამოსულია ნათლად, ხოლო ბნელი —ბნელად. — **პოზიტივიზმ-ი** — ფილოსოფიაში: ოგიუსტ კონტის მიერ (იხ.) შექმნილი მოძღვრება, რომლის თანახმადაც შემეცნების გამოსავალი წერტილია მხოლოდ გამოცდილებაზე (ცდაზე) დამყარებული ფაქტები, ხოლო შემეცნების საგანია მხოლოდ მოვლენები (ე. ი. მხოლოდ შეგრძნებადი რამ) და ამ მოვლენათა ურთიერთშორის კანონზომიერი კავშირი; აქედან: **პოზიტივისტ-ი**—პოზიტივიზმის მიმდევარი. — **პოზიტიური** ან **პოზიტივ-ი** — დადებითი, ფაქტებზე დამყარებული.

**პოზიტურა**, იხ. პოზა.

**პოზიცია** (ლათ. positio,-onis): 1) საერთოდ—მდებარეობა, ადგილი; 2) სამხედრო საქმეში: ჯარის მიერ საბრძოლოდ დაკავებული ადგილი; 3) ფარიკაობაში: ერთერთი მოფარიკავის მიერ დაკავებული ადგილი; 4) მუსიკაში: ხელის მდგომარეობა სიმებიანი საკრავის ან ფორტეპიანოს დაკვრისას; 5) ცეკვაში: სხეულის (განსაკუთრებით — ფეხების) დაყენება; 6) ამა თუ იმ პარტიისა, ჯგუფისა ან კერძო პირის დგომა განსაზღვრულ თვალსაზრისზე. — **პოზიციონური** ან უკეთ **პოზიციური** — პოზიციის დამახასიათებელი, მასზე მდგომარე, მაგ. **პოზიციური ომი** — ისეთი ომი, როდესაც მებრძოლი მხარეები ომობენ გამაგრებულ ადგილუცვლელ პოზიციებზე, მაგ. სანგრებში.

**პოზუმენტ-ი**, ევროპ.-რუს., ოქრომკედით ნაქსოვი ლენტი, — იხმარება ტანსაცმელის შესამკობად, განსაკუთრებით სამხედროსი (იხ. გალუნი).

**პოინტერ-ი**, იხ. პონტერი.

პოლარიზაცია (ფრ. polarisation, იხ. პოლუსი): 1) შუქის პოლარიზაცია—ბუნებრივი შუქის სახეცვალება მისი არეკლვისა, გარდატეხისა ან ორმაგ-გარდატეხისას; 2) გალვანური პოლარიზაცია—გალვანური ელემენტის მოქმედების დასუსტება წყალბადის გამოყოფის გამო დადებითს ფირფიტაზე.—პოლარიზატორ-ი — შუქის საპოლარიზაციო ხელსაწყო. — პოლარიზირება — პოლარობის თვისების მინიჭება; პოლარიზირებული ან პოლარიზებული — პოლარობა-მინიჭებული. — პოლარობა — ზოგიერთ სხეულთა უნარი გამოიჩინონ განსაზღვრული თვისებები ზოგიერთ წერტილში უფრო ძლიერად, ვიდრე დანარჩენებში.

პოლარული, იხ. პოლუსი, პოლუსური.

პოლემარქ-ი (ბერძ. pólemos „ომი", archós „უფროსი"), მხედართ-მთავარი ძველ საბერძნეთში.

პოლემიკა (ბერძ. polemikê „საბრძოლო", იგულისხმება téchnê „ხელოვნება"), წერილობითი (ბეჭდვითი) კამათი რაიმე საზოგადო ინტერესის მქონე საკითხის გამო. — აქედან: პოლემიზირება—იგივე მოქმედება.—პოლემიკური — პოლემიკის ხასიათის მქონე; დაობითი; საპოლემიკო — სადაო; პოლემიკისათვის განკუთვნილი. — პოლემისტ-ი — პოლემიკაში გაწრთვნილი, დახელოვნებული.

პოლი- (ბერძ. polys „ბევრი, მრავალი, საყოველთაო..."), ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს „მრავალ".

პოლიანდრია (ბერძ. anêr, andrós „მამაკაცი, ქმარი"), მრავალ-ქმრიანობა.

პოლიართრიტ-ი (იხ. პოლი- და ართრიტი), ადამიანის სხეულის რამდენისამე სახსრის ანთება.

პოლიარქია (ბერძ. archein „მართვა"), მრავალთა უფროსობა (უპირისპირდება მონარქიას).

. პოლიგამია (იხ. პოლ-, ბერძ. gónos „ქორწინება"), მრავალცოლიანობა ან მრავალ-ქმრიანობა (უფრო ხშირად — პირველის მნიშვნელობით); აქედან პოლიგამისტ-ი — მრავალცოლიანი ან პოლიგამიის მომხრე. — პოლიგამიური — პოლიგამიის ხასიათის მქონე. პოლიგამიური მცენარეები—ორსქესოვანი ყვავილების მქონე მცენარეები.

პოლიგენიზმ-ი ან პოლიგენია, ბერძ. ხელოვ. (იხ. პოლი- და გენეზისი), ერთი რისამე სხვადასხვა წარმოშობა; რაიმე მოვლენის (მაგ. სოციალურის) წარმოქმნა სხვადასხვა ადგილას ერთიერთისაგან დამოუკიდებლივ.

პოლიგინია (იხ. პოლი-, ბერძ. gyně „ქალი, ცოლი"), მრავალცოლიანობა.

პოლიგლოტ-ი (იხ. პოლი-, ბერძ. glótta ან glóssa, იხ. გლოსა): 1) მრავალ ენათა მცოდნე; 2) რამდენსამე ენაზე ერთისა და იმავე ტექსტის შემცველი წიგნი; პოლიგლოტური — მრავალ-ენოვანი.

პოლიგონ-ი (იხ. პოლი-, gônia „კუთხე"): 1) მრავალკუთხა; 2) ზარბაზნის სროლაში საvarჯიშო ადგილი.

პოლიგრაფ-ი (იხ. პოლი,- graphein „წერა"), დედნიდან პირის გადამღები მანქანა; პოლიგრაფია — საიდუმლო ნიშნებით წერის ან მათი გარჩევის (წაკითხვის) ხელოვნება.

პოლიდევკეს-ი, იხ. დიოსკურები.

პოლიდაქტილიზმ-ი (იხ. პოლი- და დაქტილი), ზედმეტთითიანობა ხელზე ან ფეხზე.

პოლიდიპსია (იხ.პოლი-, ბერძ. dipsa „წყურვილი"), ავადმყოფურად გადაჭარბებული წყურვილი.

პოლიედრ-ი (იხ. პოლი-, ბერძ. hêdra „საჯდომი, ფუძე"), მრავალწახნაგა.

პოლითეიზმ-ი (იხ. პოლი-, ბერძ. theos „ღმერთი"), მრავალ-ღმერთიანობა, მრავალ ღმერთთა თაყვანისმცემლობა (უპირისპირდება მონოთეიზმს); აქედან: პოლითეისტ-ი — პოლითეიზმის მიმდევარი; პოლითეისტური — პოლითეიზმის შესაფერისი, მისგან გამომდინარე.

პოლითემ-ი, იხ. პოლიფემი.

პოლიკლინიკა (ბერძ. pólis „ქალაქი", იხ. კლინიკა); 1) საქალაქო სამკურნალო სხვადასხვა სნეულებით დაავადებულთათვის; 2) სხვადასხვა ავადმყოფობათა სამკურნალო დაწესებულება უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტთან ან ცალკე.

პოლიკრატია (იხ. პოლი-, ბერძ. krátos „ხელისუფლება"), მრავალთა ბატონობა.

პოლიმერები ან პოლიმერიული სხეულები (მრავალ-, იხ. პოლი-, ბერძ. méros „ნაწილი"), ქიმიაში: პოლიმერიის უნარის მქონე სხეულები.

—პოლიმერია—ისეთი მოვლენა, როდესაც ნაერთის ელემენტებს ერთნაირი პროცენტული შედგენილობისას აქვსთ სხვადასხვა მოლეკულური წონა და ამ ნაერთისაგან ადვილად შეგვიძლია მივილოთ პირვანდელი მარტივი ნაერთი.—პოლიმერიზაცია — ზოგიერთ ქიმიურ ნაერთთა უნარი — გართულდენ, გაორდენ ან საერთოდ გამრავლდენ განსაზღვრულ შემთხვევებში.

პოლიმეტრ-ი (იხ. პოლი- და მეტრი), რთულ გაზომვათა ხელსაწყო.

პოლიმორფიზმ-ი (იხ. პოლი-, ბერძ. mórphē „სახე"), მრავალსახეობა; მრავალ-ფორმიანობა: 1) ზოოლოგიაში — ერთისა და იმავე სახეობის ცხოველთა სხვადასხვა ფორმიანობა; ჭიანჭველებში: დედალ-მამალს გარდა არსებობს კიდევ სხვა ფორმისაც; 2) მინერალოგიაში: ქიმიურად ერთნაირ სხეულთა უნარი — მიიღონ სხვადასხვა კრისტალური ფორმები. — პოლიმორფული — მრავალფორმიანი და სხვ.

პოლინომ-ი (იხ. პოლი-, ბერძ. nómos „წყობა"), მათემატიკაში: მრავალწევრი.

პოლიოპია ან პოლიოპსის-ი (იხ. პოლი-, ბერძ. ópsis „მხედველობა"), თვალის ავადმყოფობა — საგნის გაორებულად მოჩვენება. — პოლიოპტრ-ი — საგნის მრავლად მომაჩვენებელი მინა.

პოლიპ-ი, პოლიპები (იხ. პოლი-, ბერძ. poys, podós „ფეხი"): 1) სიმსივნე ან ნაზარდი სხეულის ლორწოიან გარსზე, უმეტესად — ცხვირში: 2) ღრუნაწლავიანთა კლასის ზღვის ადგილ-უცვლელი ცხოველები; ცხოვრობენ განცალკევებით ან კოლონიებად.

პოლირება (ლათ. polire-საგან „რისთვისმე სიგლუვის მინიჭება"), რისამე მყარი პირეულის (ზედაპირის) გაპრიალება; გალაქვა. — პოლირებული — გაპრიალებული. — საპოლირო — რისამე გასაპრიალებლად გამოსადეგი, მაგ. საპოლირო ქაღალდი.

პოლის-ი (ფრ. police), დამზღვევი საზოგადოების მიერ გაცემული მოწმობა; წერილობითი ხელშეკრულობა დამზღვევ საზოგადოებასა და მაზღვევარს შორის.

პოლისინთეტიზმ-ი (იხ. პოლი- და სინთეზი), ენათმეცნიერებაში: მრავალგაერთიანებულობა, — ასე ეწოდება ზოგიერთ ენათა თვისებას — გააერთიანონ მთელი წინადადების ყველა ნაწილები ერთ სიტყვაში, სახელდობრ — ზმნაში (იხ. ინკორპორაცია, 5). — აქედან: პოლისინთეტური ენები — მრავალგამაერთიანებელი ენები (ასეთია, მაგ. ჩრდ. ამერიკის ენები).

პოლისკოპ-ი (იხ. პოლი-, skopein „ხედვა"), საგნის მრავლად მაჩვენებელი ოპტიკური მინა.

პოლისმენ-ი (ინგლ. policeman), პოლიციის მოხელე ინგლისში (იხ. პოლიცია).

პოლისპასტ-ი (იხ. პოლი-, ბერძ. spaein „წევა, თრევა"), მრავალ-ჭოჭონაქი, — წარმოადგენს რამდენისამე ჭოჭონაქისაგან შემდგარ სიმძიმის ასაწევ ან დასაძვრელ მანქანას.

პოლისტილონ-ი (იხ. პოლი-, ბერძ. stylos „სვეტი"), ხუროთმოძღვრებაში: მრავალ სვეტებიანი შენობა.

პოლიტბიურო — რუს. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის პოლიტიკური ბიურო, — სწყვეტს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებს.

პოლიტეიზმ-ი, იხ. პოლითეიზმი.

პოლიტეკონომია — პოლიტიკური ეკონომია.

პოლიტექნიკა (იხ. პოლი და ტექნიკა), ტექნიკურ ცოდნათა ერთობლიობა. — პოლიტექნიკ-ი ან პოლიტექნიკოს-ი — პოლიტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, სტუდენტი. — პოლიტექნიკუმ-ი — უმაღლესი სხვადასხვა განყოფილებიანი სპეციალური სასწავლებელი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს (ინჟენრებს) ტექნიკის სხვადასხვა დარგებში.—პოლიტექნიკური ინსტიტუტი—იგივეა, რაც პოლიტექნიკუმი; პოლიტექნიკური ფაკულტეტი—უნივერსიტეტის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც ამზადებს ისეთსავე სპეციალისტებს, როგორსაც პოლიტექნიკუმი.

პოლიტიკა (ბერძ. pólis-ისაგან „ქალაქი, სახელმწიფო"; politikē „მოქალაქობრივი ან სახელმწიფოებრივი" — იგულისხმება technē „ხელოვნება"): 1) ძველ საბერძნეთში: სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ხელოვნება; მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ; 2) შემდეგ და ახლა: მოძღვრება სახელმწიფოებრივი მიზნების მისაღწევ საშუალებათა შესახებ; სახელმწიფოს (ან სხვა რაიმე საზოგადოებრივი ერთეულის ან დაწესებულების) მოქმედებათა განსაზღვრული მიმართულება; 3) გადატ. მნიშვნ.: კერძო პიროვნების მოქმედებათა ხასიათი ვისიმე მიმართ-

არაპირდაპირი ხერხიანი მოქმედება წინასწარ-დასახული მიზნის მისაღწევად. — **ეკონომიური პოლიტიკა** —: 1) მეცნიერება, რომელიც არკვევს სახელმწიფოს მიერ დასახული ეკონომიური მიზნების მისაღწევ საშუალებებს; 2) სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები ქვეყნის ეკონომიური განვითარების ამა თუ იმ მიმართულების მისაცემად. — **პოლიტიკან-ი** —: 1) ვისაც თავი პოლიტიკის მცოდნედ მოაქვს: 2) ვინც პოლიტიკაში ხელმძღვანელობს პირადი ანგარებით; 3) ინტრიგანი; **პოლიტიკანობა** — პოლიტიკანად ყოფნა ან ამგვარად მოქმედება. — **პოლიტიკ-ი ან პოლიტიკოს-ი** (ბერძ. politikós): 1) პოლიტიკის მცოდნე; სახელმწიფო საქმეების აქტიური მონაწილე, სახელმწიფო მოღვაწე, მაგ. დიპლომატი, დეპუტატი და სხვ.; 2) გადატ. მნიშვნ.: ხერხიანად მოქმედი ადამიანი სხვასთან ურთიერთობაში. — **პოლიტიკური** — პოლიტიკის ხასიათის მქონე, მისგან გამომდინარე, მისი შესაფერი და სხვ.: **პოლიტიკური გეოგრაფია**, იხ. გეოგრაფია. — **პოლიტიკური ეკონომია** — მეცნიერება კაპიტალისტური მეურნეობის წარმოშობისა, განვითარებისა, არსებისა და მოსპობის შესახებ, — შეიცავს შემდეგ დარგებს: ა) წარმოება, ბ) გაცვლა-გამოცვლა, გ) განაწილება და დ) მოხმარა (იხ. ეკონომიური პ ო ლ ი ტ ი კ ა). — **პოლიტიკური ინდიფერენტიზმი** (იხ.). — პოლიტიკური ცხოვრებისადმი გულგრილობა. — **პოლიტიკური კლუბი** — იხ. კლუბი. — **პოლიტიკური პარტია** — საზოგადოების ამა თუ იმ კლასის ინტერესთა გამომხატველი და დამცველი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს განსაზღვრული პროგრამა და სამოქმედო გეგმა. — **პოლიტიკური სიკვდილი** — დამნაშავის მიერ მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებათა დაკარგვა. — **პოლიტიკური წონასწორობა** — სახელმწიფოთა შორის ისეთი ურთიერთობის დამყარება, როცა თავიდან აცილებულია ცალკეული მათგანის გაძლიერება სხვისი დასუსტების ნიადაგზე და ამგვარად უზრუნველყოფილია უომრობა.

**პოლიტიპაჟ-ი**, ბერძ.-ფრ. (polytypage, იხ. პოლი- და ტიპი), წიგნში ჩართული გრავიური (იხ.).

**პოლიტურა ან პოლიტურ-ი** (იხ. პოლირება): 1) საპრიალებელი ლაქი; 2) რაიმე საგნის ხელოვნური გლუ პრიალა ზედაპირი.

**პოლიუს-ი, პოლიუცია**, იხ. პოლუსი, პოლუცია.

**პოლიფაგია** (იხ. პოლი-, ბერძ. phagein „ჭამა“), ავადმყოფური გაუმაძღრობა.

**პოლიფემ-ი** (ბერძ. polyphêmos „მრავალმეტყველი; ძლიერ მყვირალა“), საკ. სახ., მითოლოგიით: ოდისევსის მიერ დაბრმავებული ციკლოპი (იხ.).

**პოლიფონია ან პოლიფონიზმ-ი** (იხ. პოლი-, ბერძ. phônê „ბგერა“), მუსიკაში: მრავალხმოვანობა; **პოლიფონიური მუსიკა** — ურთიერთ დამოუკიდებელ მელოდიათაგან შედგენილი მუსიკალური ნაწარმოები.

**პოლიქორდ-ი** (იხ. პოლი- და ქორდა), ხემით დასაკრავი ძველებური ათსიმიანი სამუსიკო ინსტრუმენტი.

**პოლიქრომიზმ-ი** (იხ. პოლი-, ბერძ. chrôs „ფერი“), იგივეა, რაც პლეოქრომიზმი; **პოლიქრომია** (ბერძ. chrôma,-atos „ფერი“): 1) მრავალფეროვნობა; 2) ხუროთმოძღვრო ან ქანდაკებითი ნაწარმოების გაფერადების ხელოვნება; აგრეთვე ბეჭდვა სხვადასხვა ფერადებით. — **პოლიქრომატული ან პოლიქრომული** — მრავალფეროვანი.

**პოლიშინელ-ი** (ფრ. polichinelle — იტ. pulchinella-საგან), იტალიური (და შემდეგ ფრანგული) ხალხური კომედიის მოქმედი პირი, მასხარა; **პოლიშინელის საიდუმლო** — ყველასათვის ცნობილი საიდუმლო.

**პოლიცია** (გერმ. Polizei — ბერძ. politeia-საგან, იხ. პოლიტიკა), ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოები რევოლუციამდე რუსეთში და ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღესაც, — იცავს საზოგადოებრივ წესიერებას და საკუთრებას.—**პოლიციელი** —პოლიციის მოხელე, პოლიციაში მოსამსახურე (ინგლისში—პოლისმენი, იხ.) — **პოლიციური** — პოლიციის ხასიათის მქონე; **საპოლიციო** — პოლიციისათვის განკუთვნილი, მისთვის გამოსადეგი და სხვ. — **პოლიცმეისტერ-ი** (გერმ. Polizeimeister) — საქალაქო პოლიციის უფროსი.

**პოლკა**; ჩეხ.-რუს. (полька). ბოჰემიაში წარმოშობილი ერთგვარი ცეკვა. — გავრცელებულია ევროპაში; აგრეთვე — ასეთი საცეკვაო მუსიკა; **პოლკა-მაზურკა** — ერთგვარად შეცვლილი პოლკა (ზოგიერთი ფიგურების მიმატებით).

**პოლკ-ი**, სლავ. (ქართულში — რუსულიდან), სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული,—შედგენილია 3 ან 4 ბატალიონისაგან (ქვეითი) და 4, 5 ან 6 ესკადრონისაგან (ცხენოსანი); ქართულად მიღებულია ლ ე გ ი ო ნ ი. — **პოლკოვნიკ-ი** — მეექვსე კლასის სამხედრო ხარისხი რევოლუციამდე რუსეთში; პოლკის უფროსის თანამდებობის მქონე პირი.

**პოლონეზ-ი** (ფრ. polonaise): 1) ერთგვარი პოლონური ცეკვა; აგრეთვე ასეთი საცეკვაო მუსიკა; 2) ქალის ერთგვარი ქურქი.

**პოლონიზაცია**, გაპოლონელება; **პოლონიზირება** — იგივე მოქმედება. — **პოლონიზმ-ი** არაპოლონურ ენაში შეტანილი პოლონური ენის თავისებურობა.

**პოლუს-ი** (ლათ. polus — ბერ. pólos-ისაგან „ღერძი; ცა"): 1) დედამიწის წარმოსახვითი ღერძის თვითეული ბოლო-წერტილი—სამხრეთ- და ჩრდილო-პოლუსი; **მაგნიტის პოლუსები** — მაგნეტის მოპირდაპირე ბოლოები, რომელთაგან ერთში თავს იჩენს დადებითი მაგნეტიზმი, ხოლო მეორეში — უარყოფითი; 2) გადატ. მნიშვ.: **ორი პოლუსი** — ორი ურთიერთ საწინააღმდეგო მოვლენა.—**პოლარული, პოლური** ან უკეთ **პოლუსური** — პოლუსზე ან მასთან ახლომდებარე: მაგ.: **პოლური, პოლუსური ბრწყინვალება** ანუ **ნათელი**; **პოლუსური ექსპედიცია** — პოლუსური ქვეყნების საკვლევად წარმოებული ექსპედიცია; **პოლუსური ვარსკვლავი** — ჩრდ. პოლუსის ახლომდებარე დიდი ვარსკვლავი — დიდი რვილის თანავარსკვლავედში; **პოლუსური ქვეყნები** — პოლუსების ახლო (მათ გარშემო) მდებარე ქვეყნები.

**პოლუქს-ი** (ლათ. Pollux), იგივეა, რაც პოლიდევკესი (იხ. დიოსკურები).

**პოლუცია** (ლათ. pollutio — polluere-საგან. „გასვრა, შემწიკვლა"): 1) მამაკაცის მიერ თესლის უნებლიე დანთხევა (ღამით — შედეგია სქესობრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობისა, დღისით — შედეგია ონანიზმისა ან სასქესო ორგანოთა ავადმყოფობისა): 2) დ ე დ ა კ ა ც ი ს პ ო ლ უ ც ი ა გამოიხატება საშვილოსნოს შეკუმშვაში და ლორწოს გამოყოფაში.

**პომიდორ-ი**, იხ. პამიდორი.

**პომადა** (ფრ. pommade), ცხიმოვან და სურნელოვან ნივთიერებათაგან დამზადებული წასასმი თმისათვის, ბაგეთათვის და სხვ.

**პომოლოგია**, ლათ.-ბერძ. (ლათ. pomum „ხის. ნაყოფი; ხეხილი"). ხეხილთ-მცოდნეობა: მოძღვრება ხეხილის მოშენებისა და გაუმჯობესების შესახებ; **პომოლოგ-ი** — პომოლოგიის მცოდნე, — სპეციალისტი.

**პომპა**, ბერძ.-ლათ.: 1) საზეიმო გარეგნულობა. მდიდრულობა; მედიდურობა; აქედან: **პომპეზური** (ფრ. pompeux,-euse). საზეიმო გარეგნულობიანი. მედიდური და სხვ.: 2) **პომპა** ან **პომპ-ი** (გერ. Pumpe) — ტუმბო (სითხის საქაჩავი მილი).

**პომპადურ-ი** (Pompadour): 1) საკ. სახელი ლუდოვიკ XV-ის საყვარლისა (18 საუკ.), რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა საფრანგეთის მართვა-გამგეობის საქმეებში; აქედან — გადატ. მნიშვნ.: 2) ქალების ლამაზი ხელის-ჩანთა; 3) ქალის თმების ერთგვარი (ზევით აწეული) ვარცხნილობა; 4) თვითნება ადმინისტრატორი.

**პომპონ-ი**, ფრ.: 1) მატყლის ან აბრეშუმის ბირთვი—ქალის მორთულობის სამკაული: 2) თოფის ლულის ტიზი.

**პონი** (ინგლ pony). პატარა ტანის ლამაზი ცხენის ჯიში, უმთავრესად — შოტლანდიასა და ირლანდიაში.

**პონსეტ-ი** (ფრ. poncette). ნახშირის მტვრით საპონსირო (იხ.) პარკი: **პონსირება** — 1) მინქაფით რისამე გაპრიალება (იხ. პემზა): 2) სურათის კოპირება (იხ.) ნახშირის მტვრისა და დახვრეტილი ქაღალდის საშუალებით: აქედან: **პონსირებული** — ამგვარად კოპირებული სურათი; **საპონსირო** — პონსირებისათვის გამოსადეგი, მისთვის საჭირო.

**პონსო** (ფრ. ponceau „ყაყაჩო"), კაშკაშა-წითელი ფერი; ასეთივე საღებავი.

**პონტერ-ი** (ინგლ. pointer), სანადირო ძაღლის (მეძებრის) ერთი ჯიში.

**პონტიორ-ი** ან **პონტერ-ი** (ფრ. pointeur), კარტის აზარტიან თამაშში განსაზღვრული

თანხის ჩამსელელი ილბალზე: პონტირება — ამგვარი მოქმედება.

**პონტიფექს-ი**, ლათ. („ხიდის მკეთებელი“ — pons.-tis „ხიდი“ და facere „კეთება“); ძველ რომში: 1) თავდაპირველად — შენობათა საქმეების გამგე; 2) შემდეგ — ქურუმთა უზენაესი კოლეგიის წევრი; ქურუმთ-უფროსი; 3) ახალი რომის პაპის ტიტული. — **პონტიფიკატ-ი** — პაპობა, საპაპო; პაპის ღირსება (ყოვლად უსამღვდელოება).

**პონტონ-ი** (ლათ. ponto.-onis „ხიდი ნავებზე“): 1) ბრტყელძირიან ნავებზე გაკეთებული ხიდი — სამხედრო ჯარის გადასაყვანად: 2) თვითეული ასეთ ნავთაგანი: აქედან: **პონტონერ-ი** — საპონტონო სამუშაოზე მომუშავე ჯარისკაცი; **პონტონიერ-ი** — ხიდის ფულის (მასზე გასვლისათვის) გადამხდევინებელი.

**პონჩ-ი** ან **პოენჩ-ი** (ინგლ. punch), ინგლისური ხალხური თეატრის მოქმედი პირი, ხუმარა, მასხარა (იხ. პოლიშინელი).

**პონჩიკ-ი**, პოლ., ერბოში გამომცხვარი და შაქარ-მოყრილი მრგვალი მურაბიანი (ან სხვა რაიმე ტკბილეულიანი) ფუნჩულა.

**პოპლინ-ი** (ფრ. popeline), მატყლის ან აბრეშუმის ერთგვარი ქსოვილი.

**პოპულარ-ი** (ლათ. popularis „ხალხური“), ხალხში საყოველთაოდ ცნობილი; ადვილად გასაგები; ყველასათვის გასაგებად მოთხრობილი რამ. — **პოპულარიზაცია** — : 1) რაიმე აზრების ფართოდ გავრცელება ხალხში; 2) რაიმე ძნელად გასაგების ადვილად გასაგები ფორმით გადმოცემა; **პოპულარიზირება** — ასეთი მოქმედება. — **პოპულარიზატორ-ი** — ასეთის მოქმედი. — **პოპულარული** — იგივეა, რაც პოპულარი. — **პოპულაციონისტ-ი** — მ ა ლ თ უ ს ი ს მოძღვრების მოწინააღმდეგე ინგლისში (იხ. მალთუსი).

**პოპური** (ფრ. pot-pourri „ხორც-მწვანილის შერეული საჭმელი: შერეული სუნის ინანთი“ — pot „ქოთანი“, pourrir „ლპობა“): მუსიკაში: შინაგანი კავშირის არმქონე ნაკრები მუსიკალური ნაწარმოები, რომელშიც წარმოდგენილია ერთისა ან რამოდენისამე მუსიკალური ნაწარმოების ნაწყვეტები.

**პორ-ი**, **პორები**, იხ. ფორი, ფორები.

**პორნოგრაფია** (ბერძ. pórnos „მემრუშე მამაკაცი“, pórnē „მემრუშე დედაკაცი“, graphein „წერა“). ქვენა-გრძნობათა აღმძვრელი გამოხატულობა ქალ-ვაჟის ურთიერთ სასქესო დამოკიდებულობისა — ლიტერატურაში, მხატვრობაში და სხვ.; **პორნოგრაფ-ი** — ამგვარი ნაწარმოების ავტორი; **პორნოგრაფიული** — პორნოგრაფიის ხასიათის მქონე; ქვენა-გრძნობათა აღმძვრელი. — **პორნოკრატია** (ბერძ. kratein „ბატონობა“) — : 1) ლამაზ მეძავ ქალთა გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე; 2) ზნეობრივი გარყვნილების ხანა.

**პორომ-ი**, რუს., მდინარეზე გადასასვლელი ბრტყელ-ძირიანი ნავი ან ტივი, ჩვეულებრივ — გაბმული ბაგირის საშუალებით; ბორანი.

**პორტა**, ლათ. („ქალაქის ალაყაფის კარები“), ასე ეწოდება ევროპაში ოსმალეთის მთავრობას ან სასახლეს — ბაღდადის სასახლეში შესავლის სახელწოდებიდან, სადაც ჩასმულია ქაბის ქვა. — **პორტალ-ი** — სვეტებითა და ქანდაკებებით მორთული მთავარი შესავალი დიდ შენობაში.

**პორტ-არტურ-ი** (ან -ართურ-ი), სიმაგრე (წინეთ ჩინეთისა) ყვითელი ზღვის ნაპირას; 1898 წლიდან ეკუთვნოდა რუსეთს; რუსეთ-იაპონიის ომის (1904 — 1905) შემდეგ **პორტსმუთ-ის** (Portsmouth. ჩრდ. ამერიკის ქალაქი) **ზავის** გამო (1905) გადაეცა იაპონიას.

**პორტატიული** ან **პორტატივ-ი**, ლათ. portare-საგან „ტარება“), ადვილად სატარებელი: საჯიბე.

**პორტერ-ი**, ინგლ., ინგლისური შავი მაგარი ლუდი.

**პორტვეინ-ი** (გერმ. Portwein „პორტოს ღვინო“), მეწამული ფერის მაგარი ღვინო (სახელწოდება — პორტუგალიის ქალ. ო პ ო რ ტ ო -სა ანუ პ ო რ ტ ო -საგან).

**პორტ-ი** (ლათ. პორტუს), ნავსადგური.

**პორტიე** (ფრ. portier), კარის დარაჯი, შვეიცარი. — **პორტიერ-ი** (ფრ. portière), კარის ფარდა.

**პორტიკ-ი** (ლათ. porticus „დახურული დერეფანი“), სვეტებიანი (ზოგჯერ თაღებიანი) დერეფანი.

**პორტმანე-ი** ან უკეთ **პორტმონე** (ფრ. porte-monnaie — ლათ. portare-საგან „ტარება"; ფრ. monnaie „ფული"), საფულე ქისა.

**პორტო**, იტ., საფოსტო ხარჯი წერილის ან სხვა რაიმე ნაგზავნისათვის.

**პორტო-ფრანკო** (იტ. porto „ნავსადგური", იხ. პორტი; franco „თავისუფალი"): 1) უბაჟოდ საქონლის შემოტანა-გატანის უფლების მქონე ნავსადგური; 2) თვით ასეთი უფლება.

**პორტპლედ-ი**, ფრ.-ინგლ. (იხ. პლედი), მაფრაშა. — მკვრივი ქსოვილისაგან შეკერილი სამგზავრო ნივთების (ტანსაცმელის, საბნის, ბალიშის და სხვ.) შესაკრავი.

**პორტრეტ-ი** (ფრ. portrait). ადამიანის ნამდვილი გამოსახულობა — მხატვრობითი, ქანდაკებითი ან ფოტოგრაფიული; **პორტრეტისტ-ი** — პორტრეტების ხელოვანი.

**პორტსიგარ-ი**, ფრ.-ისპ. (იხ. სიგარა). ლითონის ბრტყელი კოლოფი ან ტყავის ასეთივე პარკი — პაპიროსების (სიგარების) ჩასაწყობად და თან სატარებლად.

**პორტსმუთ-ი**, იხ. პორტ-არტური.

**პორტულაკ-ი**, ლათ., დანდური (მცენარეა).

**პორტუპეია** (ფრ. porter „ტარება", épée „ხმალი"; ქართულში — რუსულიდან), ხმლის ჩამოსაკიდი სამხრე თასმა.

**პორტფელ-ი** (ფრ. porter „ტარება", feuille „ქაღალდის ფურცელი..."), — ჩალათა: 1) ქაღალდების ჩასაწყობი და სატარებელი ტყავის ჩანთა; 2) გადატ. მნიშვნ.: მინისტრის თანამდებობა; **უპორტფელო მინისტრი** — მინისტრთა კაბინეტის ხმის-უფლებიანი წევრი, რომელსაც არ აბარია განსაზღვრული სამინისტრო.

**პორტშეზ-ი** (ფრ. porter „ტარება", chaise „სკამი"), სკამისებრი ძველებური ტახტრევანდი (იხ. პალანკინი).

**პორუჩიკ-ი**, რუს., მეთორმეტე კლასის სამხედრო ხარისხი რევოლუციამდე რუსეთში.

**პორფირ-ი** (ბერძ. porphyra): 1) ძოწეული, — მეფეთა სადღესასწაულო წამოსასხამი; აგრეთვე — სამეფო ღირსების სიმბოლო; 2) კრისტალური წარმონაქმნებით დაწინწკლული ვულკანური ქანი (მთის ჯიში).

**პორცია** (ლათ. portio,-onis „თვითეულის ნაწილი"), კერძ. საჭმლის განსაზღვრული რაოდენობა. — **პორციონ-ი** — ჯარისკაცის დღიური ულუფა.

**პოსეიდონ-ი**, საკ. სახ., ძველ ბერძ. მითოლოგიით: წყალთა ღმერთი, ზღვათა მფლობელი — უდრის რომაელთა ნეპტუნს (იხ.).

**პოსესია** (ლათ. possessio,-onis), ფლობა, მფლობელობა; სამფლობელო ბატონყმობის წესით. — **პოსესიონური** ან **პოსესიური** გლეხები რუსეთში ბატონყმობის დროს: სახაზინო მიწაზე აშენებულ ქარხნებსა და ფაბრიკებში სამუშაოდ დაბეგრილი გლეხები; — **პოსესიური უფლება** — იმავე ხანში: კერძო პირთა უფლება — სახაზინო მიწისა და მასზე მიწერილი ყმების დაუფლებისა; **პოსესიური ქარხნები** — იმავე ხანაში: სახაზინო მიწაზე კერძო პირთა მიერ აშენებული ქარხნები, სადაც მუშაობდნენ პოსესიური გლეხები. — **პოსესორ-ი** — მფლობელი; პოსესიური ქარხნის მფლობელი.

**პოსიბილისტები** (მრავლ., ლათ. possibilis „შესაძლებელი") — საფრანგეთის ზომიერი სოციალისტური პარტია (დაარსებ. 1882 წ.).

**პოსტამენტ-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) სვეტის ფუძე, კვარცხლბეკი; 2) ვაზის (იხ. ვაზა), ქანდაკების ან სხვა რისამე დასადგმელი.

**პოსტდილუვიური** (ლათ. post „შემდეგ", იხ. დილუვი), დილივიურის მომდევნო. — **პოსტპლიოცენ-ი** (იხ. პლიოცენი) — მეოთხეული გეოლოგიური ხანა, რომელშიც გვხვდება ადამიანის არსებობის პირველი ნიშნები.

**პოსტ-ი**, ლათ.-ევროპ.: 1) თანამდებობა; დიდი თანამდებობა; 2) საგუშაგო.

**პოსტილა**, იხ. პასტილა.

**პოსტსკრიპტუმ-ი** (ლათ. post „შემდეგ", scriptum „დაწერილი"), გათავებული წერილის (ბარათის) ბოლოს მინაწერი, რომელიც იწყება ჩვეულებრივ P. S. ასოებით.

**პოსტულანტ-ი** (ლათ. postulare-საგან „მოთხოვნა"), მომთხოვნელი, მაძიებელი. — **პოსტულატ-ი** — ისეთი დებულება, რომლის დამტკიცებაც არ შეიძლება, მაგრამ რომლის მიღება აუცილებელია შემდეგი მტკიცების შესაძლებლობისათვის. აქედან: **პოსტულირება** — პოსტულატის დადგენა. — **პოსტულაცია** — საერთოდ — მოთხოვნა; კერძოდ — რომის პაპის მიერ სა-

სულიერო ხარისხის მინიჭება ისეთი პირისათვის, რომელსაც ამისი უფლება არა აქვს.

**პოტაშ-ი** (გერმ. Pott „ქოთანი", Asche „ნაცარი"). ნახშირ-კალიუმის მარილი. — მიიღება ხისა და ბალახეულის ნაცრის გამოტუტვით; იხმარება მინის, საპნის, საღებავებისა და სხვ. დამზადების საქმეში.

**პოტებნია**, ალ. ათ. (Потебня, 1835—1891). შესანიშნავი უკრაინელი ენათმეცნიერი; განსაკუთრებით ცნობილია მისი „Записки по русской грамматике" და „Мысль и язык".

**პოტენტატ-ი** (ლათ. potentatus), მფლობელი პიროვნება; დიდებული. — **პოტენცია** (ლათ. potentia „ძალა, გავლენა..."), რაიმე მოქმედების უნარი; ძალის გამოჩინების შესაძლებლობა; ფარული ძალა. — **პოტენციალ-ი** — ფიზიკაში: ელექტრო-ძალის დაძაბვის ხარისხი გამტარში. — **პოტენციალური** ან უკეთ **პოტენციური** — ფარული, გამოჩინებადი; **პოტენციური ძალა** — განსაზღვრულ პირობებში გამოჩინებადი ფარული ძალა.

**პოტერნ-ი** (ფრ. poterne), სამხედრო საქმეში: 1) მიწისქვეშა ფარული სავალი ციხე-სიმაგრეში, საიდანაც შიგმყოფი ჯარი აწარმოებს მტრისათვის შეუმჩნეველ გამოხტომას; 2) ასეთი სავალის კარი.

**პოტ-ის ავადმყოფობა** — ასე ეწოდება ხერხემლის ჩირქოვან ანთებას, რომელსაც თან სდევს მისი გამრუდება; სახელწოდება — ინგლისელი ექიმის Pott-ის (18 საუკ.) სახელისაგან.

**პოჩტა**, იხ. ფოსტა.

**პრაგმატიზმ-ი** (ბერძ. prágma,-atos-ისაგან „მოქმედება"): 1) ისტორიულ კვლევაში: ისტორიული ამბების განხილვა მათი ურთიერთთან მიზეზობრივად დაკავშირების გზით; 2) ფილოსოფიაში: მოძღვრება, რომლის თანახმადაც რაიმე დებულების ჭეშმარიტობის კრიტერიუმია მისი პრაქტიკული გამოყენება. — **პრაგმატიკ-ი** — პრაგმატიზმის მიმდევარი. — **პრაგმატიკული** ან **პრაგმატული** — პრაგმატიზმის ხასიათის მქონე; **პრაგმატული ისტორია**—იხ. პრაგმატიზმი (1); **პრაგმატული სანქცია** (იხ. სანქცია) — ისეთი კანონი, რომელიც სამუდამოდ ძალაში უნდა დარჩეს.

**პრაზემ-ი** (ბერძ. prásios-ისაგან „მწვანე"), მომწვანო ფერის ნახევრად ძვირფასი ქვა.

**პრაკრიტ-ი** (ინდ. prâkrta „ბუნებრივი"). ძველი ინდური ენის ხალხური კილოების სახელწოდება; ერთერთი მათგანის განვითარებას წარმოადგენს პალი კილო, რომლითაც დაწერილია ბუდიზმის (იხ.) ლიტერატურა; მათგანვე განვითარდა ახალი ინდური ენები.

**პრაპორშჩიკ-ი**, რუს. („მედროშე" — ძველი რუს. прапор-ისაგან „დროშა"), პირველი (დაბალი) საოფიცრო ხარისხი (14 კლასისა) რევოლუციამდე რუსეთში.

**პრაქტიკა**, საშ.-ლათ. (ბერძ. praktikós „რისამე კეთების უნარიანი, საქმიანი, მოსაქმე, გამოცდილი..."): 1) საერთოდ—გამოცდილება რაიმე საქმეში, ვარჯიში; დახელოვნება; 2) კერძოდ—ექიმის ან ვექილის მუშაობა; აგრეთვე — მათ პაციენტთა და კლიენტთა ერთობლიობა; 3) მეცნიერულ დასკვნათა ცხოვრებაში გამოყენება (უპირისპირდება თეორიას). — აქედან: **პრაქტიკანტ-ი** — რაიმე დარგში მოვარჯიშე, რომელიც ემზადება ამ დარგში სამოღვაწეოდ.— **პრაქტიკ-ი** ან **პრაქტიკოს-ი** — : 1) რომელსამე დარგში დახელოვნებული ადამიანი: გამოცდილი, ნავარჯიშევი; 2) თეორიულ ცოდნათა საქმეში გამომყენებელი ადამიანი.—**პრაქტიკიანი**— პრაქტიკის მქონე (მაგ. ექიმი). — **პრაქტიკული** — 1) ვარჯიშობითი; 2) საქმეში გამოსაყენებელი, გამოყენებითი (უპირისპირდება თეორიულს); 3) ქონებრივი შეძენისაკენ მიმართული. — **პრაქტიციზმ-ი** — საქმიანობის უნარი; თავისი ცხოვრების მიზანშეწონილად და ხელსაყრელად მოწყობის უნარი. — **პრაქტიკუმ-ი** — წინასწარი საპრაქტიკო ვარჯიშობა რაიმე დარგში (მაგ. საუნივერსიტეტო რომელსამე საგანში). — **საპრაქტიკო** — პრაქტიკისათვის განკუთვნილი, მისთვის გამოსადეგი და სხვ.

**პრეგნანტ-ი** (ლათ. praegnans,-ntis „ორსული, მაკე"), ნაყოფიერი; შინაარსიანი; მნიშვნელოვანი.

**პრედესტინაცია** (ლათ. prae „წინ; წინასწარ", destinatio „დადგენა, დანიშვნა"). წინასწარგანგებულობა: ადამიანის ბედისწერის იმთავითვე გადაწყვეტილობა; **პრედესტინირება** — იგივე მოქმედება. — **პრედეტერმინიზმ-ი** (იხ.

დეტერმინიზმი) — მოძღვრება წინასწარგანგებულობის შესახებ.

**პრედიკატ-ი** (ლათ. prae-dicare-საგან „გამოცხადება, თქმა..."). გრამატიკაში და ლოგიკაში: შემასმენელი; **პრედიკატული** — შემასმენლის (პრედიკატის) თვისების მქონე: **პრედიკატულობა** — შემასმენლის თვისება ((პრედიკატულობის ფორმებია დროისა და კილოს ფორმები). — **პრედიკაცია** — პრედიკატის მიკუთვნება სუბიექტიესათვის: **პრედიცირება** — იგივე მოქმედება.

**პრედიქცია** (ლათ. prae-dictio), წინასწარმეტყველება.

**პრევალირობა** (ლათ. prae-valēre-საგან „მეტი ძალის, უპირატესობის ქონა"), დაძალვა, ჯობნა; ფლობა.

**პრეზენს-ი** (ლათ. praesens,-ntis თანმყოფი; ახლანდელი..."), გრამატიკაში: აწმყო (დრო). — **პრეზენტ-ი** — საჩუქარი, ძღვენი, ძღვნილი; — **პრეზენტირება** ან **პრეზენტობა** — ჩუქება, ძღვნა (იტყვიან. მაგ. წიგნის შესახებ: გ პ რ ე ზ ე ნ ტ ო ბ — გიძღვნი. გიპრეზენტე — მოგიძღვენი — **პრეზენტაბელი** — წარსადგენი. — **პრეზენტანტ-ი** — ვექსილის წარმდგენი. — **პრეზენტაცია** — წარდგენა.

**პრეზერვატივ-ი** (ლათ. prae-servare-საგან „წინასწარ დაცვა. დაფარვა"). მედიცინაში: 1) საერთოდ — წინასწარ დამცველი რამ საშუალება: 2) კერძოდ — კონდომი (იხ.). — **პრეზერვაცია** — წინასწარ დაცვა.

**პრეზიდენტ-ი** (ლათ. prae-sidēre-საგან „წინჯდომა"): 1) თავმჯდომარე; 2) განსაზღვრული ვადით არჩეული მეთაური რესპუბლიკისა, სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. — **პრეზიდიუმ-ი** (ლათ. praesidium „დამცველი, შემწე...") — რაიმე კრების ან დაწესებულების მეთაურთა შემადგენლობა. სახელდობრ: თავმჯდომარე. მისი მოადგილე (ერთი ან მეტი) და მდივანი (ერთი ან მეტი).

**პრეზუმპცია** ან **პრეზუმფცია** (ლათ. praesumptio „მოლოდინი, წინასწარ დაშვება"): 1) საეჭვებისო წინნამძღვრებზე დამყარებული დებულება; 2) იურიდ.: რაიმე საეჭვებისო ფაქტის სარწმუნოდ აღიარება, სანამ არ დამტკიცებულა საწინააღმდეგო.

**პრეისკურანტ-ი** (გერმ. Preis „ფასი", ფრ. courant „მიმდინარე"). რაიმე გასაყიდი საქონლის სია — ფასების აღნიშვნითურთ.

**პრეისტორია** (ლათ. prae „წინ, წინარე"... იხ. ისტორია). წინარე-ისტორია, ე. ი. კაცობრიობის განვითარების ის ხანა. რომლის შესახებაც არ მოგვეპოვება იმ დროინდელი წერილობითი ცნობები. — **პრეისტორიული** — პრეისტორიის დროინდელი, მისი ხასიათის მქონე.

**პრეიუდიციუმ-ი** (ლათ. prae-judicium), წინასწარი მსჯელობა ან გადაწყვეტილება. **პრეიუდიციალური** ან **პრეიუდიციური საკითხი** — სასამართლოში: ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც აღემატება ამა თუ იმ სასამართლოს კომპეტენციას და ამიტომ იგი წინასწარ უნდა გადაწყდეს სათანადო სასამართლოში.

**პრელატ-ი** (ლათ. praelatus „უპირატესობის მქონე"), უმაღლეს სასულიერო პირთა საპატიო წოდება (კათოლიკებში); აქედან **პრელატურა** — პრელატობა.

**პრელიმინარიები** (მრავლ., ლათ. prae „წინ, წინასწარ" და limen,-inis „ზღურბლი, საზღვარი"), წინასწარი თათბირები ან მოლაპარაკება; მოსამზადებელი მოქმედებანი; აქედან: **პრელიმინარიული** ან **პრელიმინარი** — წინასწარი.

**პრელუდია** (ლათ. prae-ludere-საგან „დასაწყისში თამაში". იხ. ინტერლუდია): 1) მუსიკაში — მუსიკალური ნაწარმოების მოკლე შესავალი; 2) საერთოდ — შესავალი.

**პრემია** (ლათ. praemium „ჯილდო; ნადავლი; უპირატესობა"): 1) ფულადი ჯილდო საუკეთესო ნაწარმოებისათვის — სამეცნიერო, ხელოვნების, ტექნიკის ან რომელსამე სხვა დარგში; 2) პერიოდული გამოცემის ან რაიმე ნაყიდი საქონლის უფასო დამატება. — აქედან: **პრემირება** — პრემიით დაჯილდოება; **პრემირებული** — პრემიით დაჯილდოებული; გადატ. მნიშვნ.: საუკეთესო. — **პრემიალური** — დაჯილდოებითი, მაგ. **პრემიალური სისტემა** ხელფასისა — ჯამაგირს გარდა ჯილდოს მიცემის წესი — შრომის ნაყოფიერებაში წახალისების მიზნით. — **პრემიანტ-ი** ან **პრემიატ-ი** — პრემიით დაჯილდოებული.

**პრემიერა** (ფრ. première „პირველი") ახალი პიესის პირველად წარმოდგენა.

**პრემიერ-ი** (ფრ. premier „პირველი"): 1) **პრემიერ-მინისტრი** — პირველი მინისტრი კონსტიტუციურ სახელმწიფოებში, მინისტრთა კაბინეტის მეთაური; 2) პირველი მსახიობი დასში.

**პრეპარანტ-ი** (იხ. შემდეგი სიტყვა).

**პრეპარატ-ი** (ლათ. prae-parare-საგან „წინასწარ მომზადება"). საერთოდ — წინასწარ დამზადებული რამ, მაგ.: 1) სამკურნალო მიზნით დამზადებული საშუალება; 2) სათანადოდ დამუშავებული ნაწილი ორგანიზმისა (ადამიანის, ცხოველის ან მცენარის) — კვლევისა და შესწავლის მიზნით და სხვ. — **პრეპარანტ-ი, პრეპარატორ-ი** — პრეპარატების დამზადებელი. — **პრეპარირება** — პრეპარატების დამზადება.

**პრერაფაელიზმ-ი** (ლათ. prae „წინ, უწინ" და საკ. Raffaello-საგან, იხ. რაფაელი). ინგლისური მიმართულება პოეზიასა და მხატვრობაში 19 საუკ. მეორე ნახევარში, — მოითხოვდა რ ა ფ ა ე ლ ი ს წინამორბედ იტალიელ ხელოვანთა უშუალობის აღდგენას; დამახასიათებელია მისტიციზმი და პოეზიის დაახლოება მხატვრობასა და მუსიკასთან; **პრერაფაელიტები** (მრავლ.) — პრერაფაელიზმის მიმდევარნი (მათი მეთაურია ინგლისელი მხატვარი და პოეტი რ ო ს ე ტ ი — Rossetti, 1828 — 1882).

**პრერიალ-ი** (ფრ. prairie „ველი, მინდორი"), მეცხრე თვე საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრით (20 მაისიდან — 18 ივნისამდე). — **პრერიები** (მრავლ.) — უზარმაზარი ბალახიანი ველები ჩრდ. ამერიკაში.

**პრეროგატივ-ა** (ლათ. prae-rogare-საგან „წინასწარ გამოკითხვა"), უპირატესობა, პრივილეგია; განსაკუთრებული უფლების მქონებლობა.

**პრესა**, ლათ.-ევროპ. (ფრ. presse — ლათ. premere-საგან „დაჭერება, შევიწროება, მოჭერა"; გადატ. მნიშვნ.: ბეჭდვა), პერიოდული ბეჭდვითი გამოცემები (გაზეთები, ჟურნალები და სხვ.); მათი ერთობლიობა.

**პრესვიტერ-ი** ან **პრესბიტერ-ი** (ბერძ. presbyteros „უხუცესი"), ხუცესი, მღვდელი; აქედან: **პრესბიტერიანები** (მრავლ.), პრესბიტერიანიზმის მიმდევარნი; **პრესბიტერიანიზმ-ი** ან **პრესბიტერიანობა** — საეკლესიო იერარქიის (კერძოდ — ეპისკოპოსობის) უარმყოფელი პროტესტანტული მოძღვრება ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში (16 საუკ.). — უარყოფს აგრეთვე საეკლესიო წესებს და მოითხოვს მოქალაქეთა მონაწილეობას საეკლესიო საქმეებში; მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინგლისის რევოლუციაში (17 საუკ.).

**პრეს-ი** (იხ. პრესა). საწნეხი: საწნევი მოწყობილობა — რაიმე ნივთიერების გასამკვრივებლად, სითხის გამოსაწურავად, რაიმე საგნის ფორმის შესაცვლელად და სხვ. — **პრეს-პაპიე** (ფრ. papier „ქაღალდი") — : 1) ლითონის ან ქვის ბრტყელი მძიმე რამ ნივთი, — დაიდება ქაღალდებზე — მათი გაბნევის თავიდან ასაცილებლად; 2) პ რ ე ს-პ ა პ ი ე ს ეძახიან აგრეთვე მელნით ნაწერის საშრობ მოწყობილობას.

**პრესტიჟ-ი** (ფრ. prestige „გრძნობათა მცთარობა; მოხიბლვა; ავტორიტეტი" — ლათ. praestigiae-საგან „მოჩვენება..."), ვისიმე ან რისიმე (პიროვნების, პარტიის, მთავრობის) ავტორიტეტი, გავლენიანობა; **პრესტიჟიანი** — გავლენიანი, პატივცემული.

**პრეტენდენტ-ი** (ლათ. prae-tendere-საგან „წინ გაშლა, გაჭიმვა..."), რისამე (ქონების, ტახტის...) მიღებების მსურველი, მაძიებელი: რაზედმე თავისი უფლების განმცხადებელი. აქედან: **პრეტენზია** (ფრ. prétention): 1) რისამე მიღებების სურვილის მქონებლობა; რაზედმე თავისი უფლების განცხადება, ძიება; საჩივარი; 2) თავის თავზე გადამეტებული წარმოდგენის მქონებლობა. — **პრეტენციოზული** ან **პრეტენციოზ-ი** (ფრ. prétentieux,-euse) — პრეტენზიის (იხ. 2) მქონე; უმართებულოდ დიდ მოთხოვნილებათა მქონე; გულზვავი.

**პრეტორ-ი**, ლათ. („წინამძღოლი", ლათ. prae-ire-საგან „წინსვლა). ძველ რომში: 1) წინეთ — მთავარსარდალი; 2) შემდეგ — უმაღლესი მოსამართლის უფლებიანი პირველი (კონსულს შემდეგ) თანამდებობის პირი: **პრეტორია** — პრეტორის სასხდომო ადგილი. — **პრეტორიანები** (მრავლ.) ანუ **პრეტორიანთა კოჰორტი** (იხ. კოჰორტი) — ძველ რომში: იმპერატორ-

და ლეიბ-გვარდია (იხ.), რომელმაც შემდეგ მოიპოვა დიდი გავლენა სახელმწიფო საქმეებზე: ხშირად აჰყავდა მას ტახტზე იმპერატორი და ხშირადვე აგდებდა იგი მას ტახტიდან: იყო შემთხვევები ლეიბ-გვარდიის მიერ იმპერატორის მოკვლისა.

**პრეფეკტ-**, იხ. პრეფექტ-.

**პრეფერანს-ი**, ლათ.-ფრ. (préférence „უპირატესობა"), ქაღალდის (კარტის) ერთგვარი თამაში სამთა ან ოთხთა შორის, — დამყარებული ერთი ფეროვნების უპირატესობაზე დანარჩენთან შედარებით.

**პრეფექტ-ი** (ლათ. praefectus „მეთაური, უფროსი"): 1) ძველ რომში — ოლქის (სახელმწიფოს ერთერთ დიდ ნაწილთაგანის) უფროსი; სახელმწიფოს საადმინისტრაციო მმართველობის ერთი ნაწილის გამგე და სხვ.; 2) ახლა საფრანგეთსა და იტალიაში — დეპარტამენტის (იხ.) გამგე; 3) პარიზის საქალაქო პოლიციის უფროსი. — აქედან: **პრეფექტურა** — : 1) ძველ რომში — პრეფექტის საგამგებლო ოლქი; 2) პრეფექტის თანამდებობა; პრეფექტის სამმართველო.

**პრეფიქს-ი** (ლათ. praefixum — praefigere-საგან „წინიდან მიმაგრება, მიჰედა..."): 1) გრამატიკაში — ერთერთი აფიქსთაგანი (იხ.), სახელდობრ — თავსართი; პრეფიქსია, მაგ. ვ ვ ნ ა ხ ე-ში (სუბიექტური, ე. ი. ქვემდებარის აღმნიშვნელი) და მ მ ნ ა ხ ა-ში (ობიექტური, ე. ი. დამატების აღმნიშვნელი); 2) კომერციაში — ვექსილის გადახდა ვადამდე.

**პრეცედენტ-ი**, ლათ. („წინამორბედი"—praecedere-საგან „წინსვლა"), ადრინდელი შემთხვევა, რომელზედაც ემყარება მისი მაგვარი მომდევნო შემთხვევა ან რომელიც ამართლებს მომდევნოს.— **პრეცესია** — ასტრონომიაში: დღეღამ-სწორების სწრება, — გაზაფხულის ყოველწლიური დადგომა წინაწლისაზე ადრე.

**პრიანიკ-ი**, ბერძ.-რუს. (пряник), თაფლიანი პურის-ცომის ტკბილეული ნამცხვარი.

**პრიამ-ი** ან უკეთ **პრიამოს-ი**, საკ. სახ., ძვ. ბერძნული მითოლოგიით: ტროიას (იხ.) უკანასკნელი მეფე, — მოკლულ იქნა ტროიას აღებისას.

**პრიაპოს-ი**, საკ. სახ., ძვ. ბერძნული მითოლოგიით: დიონისოსის ძაეი, ნაყოფიერებისა და ენებიერების ღვთაება. — აქედან: **პრიაპიზმ-ი** — მამაკაცის ავადმყოფური სქესობრივი აღძრულობა.

**პრივატ-დოცენტ-ი** (ლათ. privatus „კერძო", docere „სწავლება"). შტატის გარეშე მყოფი მეცნიერი მასწავლებელი უმაღლეს სასწავლებელში (იხ. დოცენტი).

**პრივატული** ან **პრივატ-ი** (იხ. წინა სიტყვა), კერძო, პირადი (უპირისპირდება საზოგადოებრივს, სახელმწიფოებრივს, სამსახურობრივს და სხვ.). — **პრივატისიმ-ი** (privatissimum) — პროფესორის მიერ კერძოდ თავის სახლში მცირერიცხოვან მსმენელთათვის წარმოებული მეცადინობა (ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და სხვ.).

**პრივილეგია** (ლათ. pivilegium—privus „განცალკევებული განსაკუთრებული". lex, legis „კანონი"): 1) რომლისამე წოდებისათვის (კლასისათვის), დაწესებულებისა ან პიროვნებისათვის კანონით ან ადათით მინიჭებული უპირატესობა სხვებთან შედარებით; 2) რისამე გამომგონის მიერ მოპოებული განსაკუთრებული უფლება თავისი გამონაგონით სარგებლობისა განსაზღვრული დროის განმავლობაში. — **პრივილეგიური** ან **პრივილეგიანი** — პრივილეგიის მქონე.

**პრიზ-ი** (ფრ. pris — prendre-საგან „აღება"): 1) რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებულის მიერ მიღებული ჯილდო; 2) ომის დროს მტრისათვის წართმეული ტვირთიანი ხომალდი.

**პრიზმა** (ბერძ. prisma — „ნახერხი; სამკუთხა სვეტი" — priein-ისაგან „ხერხვა"): 1) გეომეტრიაში: მრავალწახნაგა, რომლის ორი წახნაგი წარმოადგენს ურთიერთის ტოლს და სწორივ მრავალკუთხედს, ხოლო დანარჩენი წახნაგები — პარალელოგრამებს; 2) ფიზიკაში: ორი სწორივი სიბრტყით შემოსაზღვრული არე. — **პრიზმატული** ან **პრიზმული** — პრიზმის ფორმის მქონე; პრიზმის მიერ წარმოქმნილი.

**პრიმა** (ლათ. primus. a. um „პირველი"): 1) მუსიკაში—პირველი ანუ ძირითადი ხმა; პირველი ვიოლინო და სხვ.; 2) პირველი კლასი საშუალო სკოლაში (გერმანიაში); 3) პირველ (მაღალ) ხარისხოვანი საქონელი. — აქედან: **პრიმა-ბალერინ-ი** — პირველი (საუკეთესო) მოცე-

კვავე ბალერინი (იხ.). — **პრიმა-დონა** — პირველი მომღერალი ქალი ოპერასა ან ოპერეტაში; პირველი მსახიობი ქალი დასში (იხ. დონ). — **პრიმარი** — პირველადი. — **პრიმას-ი** — კათოლიკურ ეკლესიაში: პირველი (ხარისხით ან უფლებით) ეპისკოპოსი. — **პრიმატ-ი** — : 1) საერთოდ — პირველობა, უპირატესობითი მდგომარეობა ან მნიშვნელობა; 2) რომის პაპის უპირველესობა, უზენაესობა.

**პრიმიდი,** ფრ. ხელოვნ., დეკადის (იხ.) პირველი დღე.

**პრიმიტივ-ი** (ლათ. primitivus-ისაგან „პირვანდელი, ადრინდელი..."). სუსტად განვითარებული სამხატვრო ტექნიკის მქონე მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი. — **პრიმიტიული** — : პირველყოფილი, უბრალო; მარტივი; ტლანქი.

**პრინც-ი,** ლათ.-ევროპ. (ლათ. princeps „პირველი, უწარჩინებულესი...", ფრ. prince, გერმ. Prinz), ბატონიშვილი, — მეფის შვილი ან სამეფო გვარეულობის წევრი (დასავლ. ევროპაში); თავადი. — **პრინცესა** ან **პრინცეს-ი** — (ფრ. princesse) — პრინცის ცოლი ან ქალი.

**პრინციპალ-ი** (ლათ. principalis „უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი...", იხ. წინასიტყვა): 1) უფროსი რომელსამე დაწესებულებაში; 2) მთავარი ხმა მუსიკალურ ნაწარმოებში.

**პრინციპატ-ი** (ლათ. principatus „პირველობა. ბატონობა...", იხ. პრინცი), რომის იმპერიის პირველი ხანა, როდესაც იმპერატორი ითვლებოდა რესპუბლიკის მხოლოდ პირველი თანამდებობის პირად. — წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს რესპუბლიკიდან მონარქიულ წესწყობილებაზე.

**პრინციპ-ი** (ლათ. principium „დასაწყისი, დასაბამი...", იხ. პრინცი): 1) ძირითადი დებულება, სახელმძღვანელო აზრი; 2) მოქმედების სახელმძღვანელო წესი; ზნეობის ძირითადი წესი. — **პრინციპიალური** ან **პრინციპული** — : 1) პრინციპის ხასიათის მქონე. მასზე დამყარებული, მისგან გამომდინარე; 2) ძირითადი, დასაბამითი; 3) პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ან პ რ ი ნ ც ი პ ი ა ნ ი — თავისი რწმენის თანახმად მოქმედი, მაგ. პ რ ი ნ ც ი პ ი ა ნ ი ა დ ა მ ი ა ნ ი (უპირისპირდება უ პ რ ი ნ ც ი პ ო ს).

**პრიორ-ი** (ლათ. prior.-oris „პირველი ორთაგან; უკეთესი"). იგუმენის (იხ.) შემდეგ პირველი პირი კათოლიკეთა მონასტერში. წინამძღვარი; **პრიორინა** ან **პრიორინ-ი** — ასეთივე ქალი (ქალთა მონასტერში). — **პრიორიტეტ-ი** — პირველობა.

**პრისტავ-ი** (რუს. приставить-ისაგან „მიყენება; რისიმე სათვალყუროდ ვისიმე დაყენება..."). ბოქაული (რევოლუციამდე რუსეთში).

**პრიტან-ი** ან **პრიტანის-ი** (ბერძ. prytanis „მეთაური, მმართველი..."), ძველ ათინაში (საბერძნ.): თვითეული წევრი ორმოცდაათ არჩეულ მოღვაწეთაგან, რომელნიც მორიგეობით თავმჯდომარეობდნენ კრებებზე სასამართლოში და სხვ.. — **პრიტანეუმ-ი** — ძვ. საბერძნეთის ქალაქებში: პრიტანისთა (იხ. პრიტანი) და დამსახურებულ მოღვაწეთა სასადილო სახლი.

**პრობ-ი** (გერმ. Probe — ლათ. probare-საგან „გამოცდა"). სინჯი; **პრობვა** — გასინჯვა: სინჯის აღნიშვნა (მაგ. შენადნობში ოქროსა ან ვერცხლის რაოდენობისა). — **პრობირკა** (რუს. დაბოლოებით) — სასინჯი, — მინის ერთ ბოლოდახურული მილაკი ქიმიურ ლაბორატორიებში სახმარად.

**პრობკა,** გერმ.-რუს., საცობი.

**პრობლემა,** ბერძ. („გამონაშვერი; წინადადება, ამოცანა..."): 1) ჯერ გადაუწყვეტელი ან ძნელად გადასაწყვეტი რაიმე საკითხი რომელსამე მეცნიერებაში; 2) რაიმე პასუხგასაცემი საკითხი, გადასაწყვეტი ამოცანა. — **პრობლემატური** ან **პრობლემური** — დაუმტკიცებელი; საეჭვო. — **პრობლემატური მსჯელობა** — ისეთი მსჯელობა, რომელშიც კავშირი სუბიექტსა და ობიექტს შორის იაზროვნება, როგორც შესაძლებელი.

**პრო-** (ბერძ. pro), ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს წინ, უწინ, ადრე და სხვ. ასეთს.

**პროგიბ-,** იხ. პროჰიბ-.

**პროგიმნაზია** (იხ. პრო- და გიმნაზია. 2), ოთხ- (ხუთ- ან ექვს-) კლასიანი საშუალო სასწავლებელი რევოლუციამდე რუსეთში.

**პროგნათია** ან **პროგნათიზმ-ი** (იხ. პრო-, ბერძ. gnathos „ყბა. ლოყა..."). ყბებისა და კბი-

ლების ირიბად წინ გამოშვერილობა. — ახასიათებს ადამიანთა დაბალ რასებს. — პროგნათები (მრავლ.) — პროგნათიზმიანი რასები.

**პროგნოზ-ი**, ბერძ. (იხ. პრო-. gnōsis „გაგება, შემეცნება..."): 1) საერთოდ — რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების შესახებ წინასწარმეტყველება — განსაზღვრულ მონაცემებზე დამყარებით; 2) კერძოდ — ავადმყოფობის დასასრულის წინდაწინვე გამოცნობა. — მისი მსვლელობის მიხედვით; აქედან: **პროგნოსტ-ი** — პროგნოზში დახელოვნებული; **პროგნოსტიკა** — პროგნოზის ცოდნა, — ხელოვნება.

**პროგრამა** (ბერძ. prógramma „განცხადება, ბრძანება", იხ. პრო-, gramma „ნაწერი"): 1) სკოლაში: სასწავლო საგნების ნუსხა — მათი შინაარსისა, სწავლების თანამიმდევრობისა და კლასობრივ განრიგების აღნიშვნითურთ; 2) რაიმე კრებაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა; 3) თეატრში შესასრულებელი რისამე ნუსხა (მაგ. კონცერტში); პიესის მოქმედ პირთა ნუსხა; 4) სამოქმედო გეგმა. — **გაზეთის ან ჟურნალის პროგრამა** — მათში გასაშუქებელ საკითხთა ერთობლიობა; მათი მიმართულება. — **პარტიის პროგრამა** — ძირითადი პრინციპები და მიზნები, რომლისთვისაც იბრძვის ესა თუ ის პარტია და რომელიც სავალდებულოა პარტიის ყველა წევრებისათვის. — **პროგრამა-მაქსიმუმ-ი** (იხ. მაქსიმუმი) — პარტიის ყველა მოთხოვნილებათა და საბოლოო მიზნების შემცველი პროგრამა; **პროგრამა-მინიმუმ-ი** (იხ. მინიმუმი) — არა ყველა მოთხოვნილებათა, არამედ უახლოეს განსახორციელებელ მიზანთა შემცველი პროგრამა. — აქედან: **პროგრამული** — პროგრამის ხასიათის მქონე, მისგან გამომდინარე და სხვ.. **საპროგრამო** — პროგრამისთვის განკუთვნილი, მისთვის გამოსადეგი და სხვ.

**პროგრეს-ი** (ლათ. progressus „წინსვლა"). წარმატება, დაწინაურება; თანდათანი გაუმჯობესება გონებრივად, ზნეობრივად, ეკონომიურად, პოლიტიკურად და სხვ.; აქედან: **პროგრესირობა** — იგივე მოქმედება; **პროგრესისტ-ი** — : 1) პროგრესის მომხრე და დამცველი; 2) პროგრესული ან პროგრესისტული პარტიის წევრი. — **პროგრესული** — წინსვლითი, წარმატებითი და სხვ.: **პროგრესული ასიმილიაცია** — ფონეტიკაში: ისეთი ასიმილიაცია (იხ.), როდესაც მომდევნო ბგერა ემსგავსება წინამავალს (მაგ. გატეხა — გატყდა). — **პროგრესული ან პროგრესისტული პარტია** — ბურჟუაზიულ ფარგლებში ზომიერი და მშვიდობიანი რეფორმების მომხრე პოლიტიკური პარტია.

**პროგრესია** (ლათ. progressio „წინსვლა; თანდათანი გაძლიერება"), მათემატიკაში: თანდათანობით ზრდად ან კლებად სიდიდეთა ან რიცხვთა რიგი, რომელშიც ორი მეზობელი წევრის ფარდობა მუდმივია; (იხ. არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესია). — აქედან: **პროგრესიული** — პროგრესიის ხასიათის მქონე; მაგ. **პროგრესიული გადასახადი** — შემოსავლის კლებაზე გადასახადი; **პროგრესიული დამბლა** — ტვინის ნახევარ-სფეროთა დაავადებით შეპირობებული სულიერი ავადმყოფობა.

**პროდრომ-ი**, ბერძ. („წინამორბედი", იხ. პრო-, drómos „რბენა"): 1) ტაძრის წინა ფასადი (იხ.); 2) რაიმე მეცნიერების ან თხზულების შესავალი; 3) მედიცინაში: რაიმე ავადმყოფობის წინასწარმაუწყებელი რამ ნიშანი.

**პროდუქტ-ი** (ლათ. pro-ducere-საგან „წინწაყვანა, გამოყვანა; წარმოქმნა"), ნაწარმი: 1) ბუნების მიერ ან შრომით წარმოქმნილი რამ; შრომის შედეგი, — ნაყოფი; 2) ქიმიაში — ნივთიერების ქიმიურად გარდაქმნის შედეგი. — აქედან: **პროდუქტიული** (ფრ. productif, -ive), ნაყოფიერი; სასარგებლო. — **პროდუქცია** — : 1) რაიმე ღირებულების წარმოქმნა, — წარმოება; 2) განსაზღვრული დროის განმავლობაში წარმოქმნილ პროდუქტთა რაოდენობა; 3) წარმოებრივი მოქმედება.

**პროექტ-ი** (ლათ. projectus „წინ გამოწეული; თვალსაჩინო..."): 1) გეგმა, განზრახულება; წინასწარ მოფიქრებული, დამუშავებული გეგმა. მაგ. რაიმე შენობის გეგმისა ან ხარჯთაღრიცხვის შესახებ წერილობითი ახსნა-განმარტება; 2) დასაბუთებული ახსნა-განმარტებიანი წინადადება რაიმე ზომების მისაღებად ან კანონის გამოსაცემად — **კანონ-პროექტი**. — **პროექტირება** — : 1) პროექტის შედგენა ან მისი წარდგენა წინადადების სახით; 2) გეომეტრიაში:

პროექციის (იხ.) დახაზვა: დაგეგმაზრება. — **პროექცია** (ლათ. projectio). გეომეტრიაში: რაიმე საგნის გამოსახულება სიბრტყეზე. — **საპროექციო აპარატი** — ეკრანზე (2) გადიდებულ გამოსახულებათა საჩვენებელი ოპტიკური მოწყობილობა.

**პროვანს-ი**, საკ. სახ. (ფრ. Provence. იხ. პროვინცია). ძველი პროვინცია საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში. — **პროვანსალური** ან **პროვანსული ენა** — რომანულ ენათა ჯგუფის ერთერთი ენა, რომელზედაც შეიქმნა ტრუბადურთა (იხ.) პოეზია — **პროვანსული ლიტერატურა**, რომელიც ახლად აღორძინდა მხოლოდ 19 საუკ. მეორე ნახევრიდან. — **პროვანსული ზეთი**—ზეითუნის ზეთი საუკეთესო ხარისხისა (პროვანსიდან.

**პროვიანტ-ი**, იტ.-გერმ., სანოვაგე; მხედრობის საკვები სურსათი. — **პროვიანტმეისტერ-ი** (გერ. Meister) — პროვიანტის გამგე.

**პროვიდენციალიზმ-ი** (ლათ. providentia-საგან „წინასწარგანჭვრეტა, მზრუნველობა; განგებულება“). ისტორიული მიმართულება, რომელიც ხსნის ისტორიულ მოვლენებს განგების უშუალო ჩარევით. — **პროვიდენციალური** ან **პროვიდენციული** — განგებისაგან მოვლენილი; წინასწარგანგებითი, აუცილებელი. საბედისწერო.

**პროვიზია** (ლათ. provisio — providere-საგან „წინასწარხილვა, ზრუნვა, მომზადება...“): 1) სანოვაგე; 2) საკომისიონერო გასამრჯელო (იხ. კომისიონერი).— **პროვიზორ-ი**—: 1) აფთიაქის გამგე; 2) ფარმაცევტულ (საფთიაქო) მეცნიერებათა კურსდამთავრებული პირი. — **პროვიზორული** — წინასწარი, დროებითი: მაგ. **პროვიზორული მთავრობა** — დროებითი მთავრობა; **პროვიზორული ორგანოები** — ორგანოები, რომლებიც უჩნდება ორგანიზმს განვითარების ხანაში და შემდეგ ეკარგება.

**პროვინცია** (ლათ. provincia „მინდობილი სამოქმედო ასპარეზი“): 1) ძველ რომში—იტალიის გარეშე მდებარე რომის მიერ დაპყრობილი ქვეყნები; 2) შემდეგ და ახლა: ა) თვითეული საადმინისტრაციო ოლქის სახელწოდება ზოგიერთ სახელმწიფოში; ბ) სახელმწიფოს ყოველი კუთხე დედაქალაქთან დაპირისპირებით. — **პროვინციალ-ი** — : 1) კათოლიკური მონასტრის უფროსი პროვინციაში; 2) ერთი უმაღლეს წოდებათაგანი იეზუიტთა ორდენში; 3) პროვინციის მცხოვრები, პროვინციელი; 4) გადატ. მნიშვნ.: მდაბიო, გამოუცდელი, გულუბრყვილო, უხეში და სხვ. ასეთი ადამიანი. — **პროვინციალური** — პროვინციალის ხასიათის მქონე, მისი შესაფერი და სხ.; **პროვინციული** — პროვინციის ხასიათის მქონე რამ, მისგან გამომდინარე და სხვ. — **პროვინციალიზმ-ი** — : 1) სალიტერატურო ენაში არშესული კუთხური სიტყვა, გამოთქმა ან ფორმა; 2) პროვინციელობა, კუთხურ თავისებურობათა მქონებლობა: გად. მნიშვნ.: ჩამორჩენილობა და სხვ. ასეთი.

**პროვოკატორ-ი**, იხ. პროვოკაცია.

**პროვოკაცია** (ლათ. provocatio — pro-vocare-საგან „გამოწვევა ბრძოლაში ან შეჯიბრებაში; წაქეზება; სხვა სასამართლოსადმი მიმართვა“): 1) ძველ რომში — მაგისტრატის აპელაცია (იხ.) სახალხო ყრილობისადმი; 2) რაშიმე გამოწვევა; 3) წაქეზება რაიმე მოქმედებისათვის გაცემის ან ღალატის მიზნით: კერძოდ — მთავრობის აგენტის ან კერძო პირის მიერ ხალხის ან კერძო პირის განზრახ წაქეზება მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის — გაცემის მიზნით. - აქედან: **პროვოცირება**—პროვოკაციის გაწევა: **პროვოკატორ-ი** — 1) რაშიმე გამომწვევი: 2) პროვოკაციის (3) გამწევი; 3) სარევოლუციო ორგანიზაციაში საჯაშუშო მიზნით წევრად შესული პირი.

**პროზა** (ლათ. prorsus-ისაგან „წინ მიბრუნებული“): 1) ჩვეულებრივი მეტყველების ფორმა, გაულექსავი (პოეზიასთან დაპირისპირებით; იხ. პოეზია. 1: ბ და გ): 2) გადატ. მნიშ.: ჩვეულებრივი, მოსაწყენი რამ: საყოველდღეო ცხოვრების მოსაწყენი მხარე (უპირისპირდება პოეზიას, 2). — აქედან: **პროზაული** ან **პროზული** — : 1) პროზით დაწერილი; 2) პროზის ხასიათის მქონე; გაულექსავი, არაპოეზიური (იხ. პოეზიური).—**პროზაიზმ-ი**, **პროზაიზმები**—პროზაული გამოთქმები პოეზიურ მეტყველებასა და მწერლობაში. — **პროზაიკ-ი** ან **პროზაისტ-ი** —: 1) პროზის მწერალი; 2) ცხოვრების სილამაზით გაუტაცებელი. მოვლენათა პრაქტიკული თვალსაზრისით დამფასებელი ადამიანი: **პროზაიკუ-**

ლი ან პროზაისტული — პროზაიკისათვის (პროზაისტისათვის) დამახასიათებელი, მისი შესაფერი და სხვ.

**პროზეკტორ-ი**, იხ. პროზექტორი.

**პროზელიტ-ი**, ბერძ.-ევროპ. (ბერძ. prosélytos „მოახლოებული..."). ახლად სჯულ-შეცვლილი: ვინც სხვა სარწმუნოება მიიღო ან სხვა პარტიას მიეკედლა და იცავს ახალ რწმენას განსაკუთრებულის გულმოდგინებით. — **პროზელიტიზმ-ი** — განსაკუთრებული გულმოდგინება თავის სარწმუნოებაზე სხვათა მოსაქცევად.

**პროზექტორ-ი** (ლათ. pro-sector „მომკვეთი, მომჭრელი..."). ანატომიის პროფესორის მეცნიერი თანაშემწე. პრეპარატების დამმზადებელი; საანატომიო თეატრის (იხ. ანატომია) გამგე ექიმი. — **პროზექტურა** — მიცვალებულთა გვამების გასაჭრელი ოთახი; საანატომიო თეატრი.

**პროთეზ-ი, პროთეზის-ი**, ბერძ. („მიდგმა, შიმატება..."): 1) სხეულის ნაკლისი ნაწილის მაგიერი ხელოვნური (მაგ. ხელოვნური ფეხი); 2) პ რ ო თ ე ზ ი ს ი — ენათმეცნიერებაში: ფონეტიკურად გაჩენილი ბგერა სიტყვის დასაწყისში.

**პროკანცლერ-ი** (ლათ. pro „წინ, მაგივრად...", იხ. კანცლერი), კანცლერის მოადგილე.

**პროკვესტორ-ი ან პროქვესტორ-ი** (იხ. წინა სიტყვა და კვესტორი). ძველ რომში — ქვესტორის მოადგილე, დროებითი ქვესტორი.

**პროკლამაცია** (ლათ. pro-clamare-საგან „ყვირილი, ხმამაღლა საჯაროდ წარმოთქმა..."): 1) საზეიმოდ რისამე გამოქვეყნება; 2) ხალხისადმი მიმართული წერილობითი მოწოდება, ჩვეულებრივ — სარევოლუციო მოქმედებისათვის. — **პროკლამირება** — გამოქვეყნება; ხალხისადმი მოწოდებით მიმართვა.

**პროკლიტიკა**, ბერძ., გრამატიკაში: უმახვილო წინა სიტყვა, რომელიც მომდევნო სიტყვასთან ერთად წარმოადგენს ერთ მთლიანს წარმოთქმაში (იხ. ენკლიტიკა).

**პროკონსულ-ი** (ლათ. pro „მაგივრად...", იხ. კონსული), ძველ რომში — პროვინციის გამგე, კონსულის მოადგილე.

**პროკრუსტ-ი ან პროკრუსტეს-ი**, საკ. სახ., ძველ ბერძნ. მითოლოგიით: ატიკელი ყაჩაღი, რომელიც აწამებდა მის ხელში ჩავარდნილ მგზავრებს შემდეგნაირად: სარეცელზე დაწვენილს მოსჭრიდა ფეხებს, თუ იგი სარეცელზე გრძელი აღმოჩნდებოდა, ხოლო მოკლეს გასჭიმავდა სარეცლის სიგრძემდე (პ რ ო კ რ უ ს ტ-ის ს ა რ ე ც ე ლ ი).

**პროკს-, პროკტ-**, იხ. პროქს-, პროქტ-.

**პროკურა ან პროკურაცია** (ლათ. procurare-საგან „მზრუნველობა, მართვა..."). წერილობითი რწმუნებულობა. — **პროკურატორ-ი** — : 1) ძველ რომში — საიმპერატორო ქონებათა მოურავი პროვინციებში და საფინანსო ნაწილის გამგე; 2) რწმუნებული სასამართლოს საქმეებში. — **პროკურატურა** — : 1) კანონის ასრულების მეთვალყურე და კანონის დამრღვევთა პასუხისგებაში მიმცემი სახელმწიფო ორგანო; 2) პროკურორის წოდება და თანამდებობა; 3) პროკურორთა ერთობლიობა სახელმწიფოში. — **პროკურისტ-ი** — სავაჭრო სახლის რწმუნებული. — **პროკურორ-ი** (ფრ. procureur) — : 1) პროკურატურის (1) წევრი; 2) ბრალმდებელი სასამართლოს საპაექრო პროცესში.

**პროლეგომენა** (ბერძ. მრავლ., pro-légō „წინასწარმეტყველება; წინასიტყვაობა"). რაიმე ნაწარმოების (უმთავრესად — სამეცნიერო შრომის) შესავალი, — წინასიტყვაობა, რომელიც არკვევს ნაწარმოების შინაარსს.

**პროლეტარ-ი** (ლათ. proletarius — proles-ისაგან „შვილი, შთამომავლობა..."): 1) ძველ რომში — ქონებრივად უკანასკნელი (მეექვსე) კლასის წარმომადგენელი მოქალაქე; პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი თავისუფალნი იყვნენ გადასახადისა და, თავდაპირველად, სამხედრო ბეგრისაგან; სახელმწიფოსათვის მათი მნიშვნელობა გამოიხატებოდა მხოლოდ შვილების ყოლაში (აქედან სახელწოდებაც); 2) ახალ ხანაში ეს სახელწოდება დამკვიდრდა საფრანგ. რევოლუციის დროს; 3) კაპიტალისტურ საზოგადოებაში: საწარმოო საშუალებათა არამქონე ადამიანი, რომელიც თავს ირჩენს თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით. — აქედან: **პროლეტარიატ-ი** — საკუთრების (საწარმოო საშუალებათა) არამქონე და თავისი ძალის გამყიდველი მუშათა კლასი. — **პროლეტარიზაცია** — გაპროლეტარება, პროლეტარად (2) გახდომა (ე. ი. საკუთრების დაკარგვა

და თავის-რჩენა სამუშაო ძალის გაყიდვით); **პროლეტარიზირება**—იგივე მოქმედება. — **პროლეტკულტ-ი** — პროლეტარული კულტურის ინსტიტუტის შემოკლებული სახელწოდება საბჭოთა კავშირში. — ხელს უწყობს პროლეტარული ხელოვნების განვითარებას.

**პროლოგ-ი** (იხ. პრო-, ბერძ. lógos „სიტყვა"): 1) ძველ ბერძნულ ტრაგედიაში — მაყურებელთადმი წარმოდგენის დაწყების წინ მიმართული სიტყვა პიესის შინაარსის შესახებ; 2) ახლა — რაიმე თხზულების შესავალი, უმთავრესად — დრამისა; 3) სვინაქსარი (იხ).

**პროლონგაცია** (ლათ. prolongare-საგან „გაგრძელება" — longus „გრძელი"), ვადის გაგრძელება, ვადის გადადება.

**პრომეთე** ან **პრომეთეოს-ი**, საკ. სახ. (Prometheys), ძვ. ბერძ. მითოლოგიით: იაფეტ ტიტანის (იხ.) ძე, ღმერთების სურვილის წინააღმდეგ ადამიანისთვის ციდან ცეცხლის მომტაცებელი; მან ასწავლა ადამიანს მრავალი ხელობა და ხელოვნება; ამიტომ იგი ითვლება კაცობრიობის პირველ განმანათლებლად; სასჯელის სახით პრომეთეოსი მიჯაჭვულ იქნა ძევსის მიერ კავკასიის მთაზე, სადაც ძევსისვე მიერ მიჩენილი ძერა დღეგამოშვებით ძიძგნიდა წინა დღით გამთელებულ მის ღვიძლს. ჰერკულესმა მოკლა ძერა და გაანთავისუფლა პრომეთეოსი.

**პრომეს-ი** (ფრ. promesse—ლათ. promittere-საგან „აღთქმა, დაპირება"): 1) მოგების მისაღები საბუთი; 2) სახელობრივი ობლიგაცია.

**პრომილე**, იხ. pro mille (დამატებაში).

**პრომოცია** (ლათ. promovere-საგან „წინ გადაძვრა, წინ წაწევა..."): 1) სამეცნიერო ხარისხის (მაგისტრის ან დოქტორის) მიღება ან მინიჭება; 2) საერთოდ — აღმატება. საპატიო წოდების მინიჭება. — **პრომოვირება** — იგივე მოქმედება.

**პრომულგაცია** (ლათ. promulgatio), გამოქვეყნება. მაგ. კანონისა.

**პრონაცია** (ლათ. pronare-საგან „წინ დახრა"), ანატომიაში: ბრუნვა წინ და შიგნით; **პრონატორები** (მრავლ.) — პრონაციის მწარმოებელი კუნთები.

**პრონომენ-ი**, ლათ. (pro „ნაცვლად", nomen „სახელი"). გრამატიკაში: ნაცვალსახელი.—**პრონომინალური** ან **პრონომინალ-ი** — ნაცვალსახელითი. — **პრონომინაცია** — საკუთარი სახელის ნაცვლად მისი დამახასიათებელი სიტყვის ხმარება, მაგ. „დედა-ქალაქი" (ტფილისის ნაცვლად).

**პრონონს-ი** (ფრ. prononcer-საგან „წარმოთქმა"). მეტყველებაში ბგერათა წარმოთქმის ხასიათი.

**პრონუნციამენტო** ან **პრონუნსიამენტო**. ისპ. (ლათ. pronunciare-საგან „გამოქვეყნება..."): 1) მოწოდება ხალხისადმი ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყების შესახებ ისპანიასა და სამხრ.-ამერიკის სახელმწიფოებში; 2) საერთოდ — აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ; სამხედრო გადატრიალება.

**პროპაგანდა** (ლათ. propagare-საგან „გაშენება, გავრცელება"): 1) 17 საუკ. რომში დაარსებული სასულიერო საზოგადოება კათოლიციზმის გავრცელების მიზნით; 2) რაიმე მოძღვრების ან იდეის გავრცელება მიმდევართა მოპოვების მიზნით. — აქედან: **პროპაგანდირება** — პროპაგანდის გაწევა, რაიმე მოძღვრების ან იდეის ქადაგება და სხვ. — **პროპაგანდისტ-ი** — პროპაგანდის გამწევი პირი. — **პროპაგაცია** — გავრცელება.

**პროპედევტიკა** (ბერძ. pro-paideyein-ისაგან „წინასწარ აღზრდა,—სწავლება"), წინასწარ მოსამზადებელი კურსი რაიმე მეცნიერების შესასწავლად ანუ მისი შესავალი. — **პროპედევტიკული** — მოსამზადებელი.

**პროპელერ-ი**, ინგლ. (ლათ. pro-pellere-საგან „წინ გადენა, წინ გარეკა..."), მოტორით ამოძრავებელი აეროპლანის ხრახნილი.

**პროპილეა** ან **პროპილა** (ბერძ. მრავლ., pro-pylaia ან -pyla „წინა კარები"). ხუროთმოძღვრებაში: სვეტებიანი დერეფანი ტაძრის შესავლის წინ.

**პროპინაცია** (ლათ. propinare-საგან „სმა, სასმელად მიპატიჟება..."), მაგარი სასმელების გამოხდისა და გაყიდვის განსაკუთრებული უფლება.

**პროპლაზმა** ან **პროპლასმა** (იხ. პრო- და პლაზმა). თიხის მოდელი, რომლის მიხედვითაც ხელოვანი ჰქმნის ნაწარმოებს.

**პროპორცია** (ლათ. pro-portio. იხ. პორცია): 1) ორი შეფარდების (არითმეტიკულისა ან გეომეტრიულის) თანასწორობა; 2) საერთოდ — ნა-

წილთა თანშეზომილობა, წესიერი თანაშეფარდება; აქედან: **პროპორციონალური** ან უკეთ **პროპორციული** — პროპორციის ხასიათის მქონე: **არჩევნების პროპორციული სისტემა**—არჩევნების ისეთი წესი, რომელიც უზრუნველჰყოფს უმცირესობის მონაწილეობას რომელსამე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში: წარმომადგენლებს ირჩევენ არა მხოლოდ ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტიიდან (ან ჯგუფიდან), არამედ ყველა მონაწილე პარტიებიდან (ან ჯგუფებიდან).—მიცემულ ხმათა შესაფერისად (უპირისპირდება მაჟორიტარულ სისტემას).

**პროჟექტორ-ი**, ლათ.-ფრ. (projecteur; იხ. პროექტი). საგანგებოდ მოწყობილი, მოძრავი ძლიერ-სინათლიანი ელექტრული ნათურა, — იხმარება შორეულ საგანთა გასაშუქებლად.

**პრორექტორ-ი** (ლათ. pro „ნაცვლად", იხ. რექტორი). რექტორის მოადგილე ან თანაშემწე პროფესორი.

**პროროგაცია** (ლათ. pro-rogatio „გადადება, ვადის გაგრძელება..."), სახელმწიფოს უფროსის უფლება გადადოს საკანონმდებლო კრების სხდომები რამდენისამე ხნით, — ცხადდება ჩვეულებრივ მთავრობისა და საკანონმდებლო კრების კონფლიქტის (იხ.) დროს.

**პროსილოგიზმ-ი** (იხ. პრო- და სილოგიზმი), წინასწარი სილოგიზმი.

**პროსკრიფცია** ან **პროსკრიპცია** (ლათ. proscriptio „წერილობითი გამოცხადება" — scribere-საგან „წერა"). ძველ რომში: სამშობლოდან გასაძევებელ დამნაშავეთა (უმთავრესად — პოლიტიკურთა) და სიკვდილ-მისჯილთა სიის საჯარო გამოცხადება. — **პროსკრიფციული სიები**—ხელისუფლების მოწინააღმდეგობის გამო კანონს გარეშე გამოცხადებულ მოქალაქეთა სიები.

**პროსოდია** (ბერძ. prosōdia „მინამღერი; მახვილი"), მეტრიკის (იხ.) დარგი, — შეიცავს მოძღვრებას ბგერისა, მარცვლისა, მახვილისა, მარცვლის ხანგრძლიობისა, ინტონაციისა და პაუზის შესახებ.

**პროსპექტ-ი** (ლათ. prospectus „სანახაობა"—prospicere-საგან „წინ ან შორს ხედვა"): 1) სწორი, გრძელი და ფართე ქუჩა; ქართულად იხმარება გ ა მ ზ ი რ ი: 2) რაიმე წამოწყების გეგმისა ან ბეჭდვითი გამოცემის შინაარსისა და მიზნების მოკლედ გადმოცემა ცალკე ფურცელზე ან წიგნაკის სახით.

**პროსტაზის-ი** (ბერძ.) ან **პროსტატა**, ბერძ.-ლათ., ანატომია'ში: წინამდებარე ჯირკვალი; აქედან: **პროსტატიტის-ი** — პროსტაზისის ანთება.

**პროსტილ-ი** ან **პროსტილიონ-ი** (იხ. პრო-, ბერძ. stylos „სვეტი"): 1) სვეტებიანი შესავალი. მაგ. ტაძრისა; 2) სვეტების რიგი კედლის განგრძივ გარედან.

**პროსტიტუცია** (ლათ. prostituere-საგან „გამოფენა საჯაროდ, — გასაყიდად..."), ქალის მიერ თავისი სხეულის გაყიდვა მამაკაცის სქესობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მეძაობა; ხელობად ქცეული ასეთი საქციელი ქალისა. — **პროსტიტუტკა** (რუს. დაბოლოებით) ან **პროსტიტუტ-ი** — პროსტიტუციის გამწევი მეძავი ქალი.

**პროსტრაცია** (ლათ. prostratio — pro-sternere-საგან „დამხობა, დამცირება..."), ძალღონის გამოლევა, უკიდურესად დასუსტება.

**პროსცენიუმ-ი**, ბერძ.-ლათ. (იხ. პრო- და სცენა). სცენის წინა ნაწილი, ავანსცენა (იხ.).

**პროტაგონისტ-ი** (ბერძ. prōtos „პირველი", agonistēs „მებრძოლი"), ძველ ბერძნულ დრამაში: მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი.

**პროტაზის-ი**, ბერძ. („წინმდგარი"): 1) ძველ ბერძნულ დრამაში: განკვანძვის წინა ნაწილი; დასაწყისი, შესავალი; 2) გრამატიკაში: რთული წინადადების წინა ნაწილი, — წარმოითქმება ხმის ამაღლებით.

**პროტევს-ი**, საკ. სახ.: 1) ძვ. ბერძნული მითოლოგიით — ნებისმიერად სახის მცვლელი ზღვის ღვთაება; 2) გადატ. მნიშვნ.: ცვალებადი ადამიანი, თავისი რწმენისა და შეხედულებათა შემცვლელი.

**პროტეზ-ი**, იხ. პროთეზი.

**პროტეი**, იხ. პროტევსი.

**პროტეინ-ი**, ბერძ.-ლათ. ხელოვნ., ცხოველისა ან მცენარის ძირითადი ცილეული ნივთიერება.

**პროტექტ-**, **პროტექც-**, იხ. პროტექტ-, პროტექც-.

**პროტეჟე** (ფრ. protégé — ლათ. protegere-საგან „დაფარვა, დაცვა"). ვისიმე მფარველობის ქვეშ მყოფი პირი. — **პროტეჟირება** — პროტექციის გაწევა (იხ. პროტექტორი).

**პროტესტანტ-**, იხ. პროტესტი.

**პროტესტ-ი**, ევროპ. (ლათ. protestari „ჩვენება, მოწმობა, გამოაშკარავება..."): 1) უკმაყოფილების საჯაროდ გამოცხადება — ვისიმე მიერ უსამართლოდ ან შეურაცხმყოფელად მიჩნეული დადგენილების ან მოქმედების წინააღმდეგ; 2) პროკურორის წერილობითი განცხადება — სასამართლოში საქმის წარმოების წესების დარღვევის წინააღმდეგ; 3) თ ა მ ა ს უ ქ ი ს პ რ ო ტ ე ს ტ-ი — კრედიტორის ოფიციალური განცხადება თამასუქის გამცემის მიერ დროზე გადაუხდელობის შესახებ. — **პროტესტანტ-ი** — : 1) პროტესტის განმცხადებელი; რისიმე წინააღმდეგ ამხედრებული; 2) **პროტესტანტები** — პროტესტანტიზმის მიმდევარნი. — **პროტესტანტიზმ-ი** რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საწინააღმდეგო მიმდინარეობა და მისგან განდგომილი ეკლესია დასავლეთ-ევროპაში. — წარმოიშვა 16 საუკუნეში; თავდაპირველად ასე ეწოდა ლ უ თ ე რ ა ნ ო ბ ა ს (იხ.), ხოლო შემდეგ — სხვა სექტებსაც: კალვინიზმს (იხ.), პრესბიტერიანიზმს და სხვ. (იხ. პრესვიტერი). — **პროტესტანტობა** —: 1) პროტესტანტად ყოფნა; 2) პროტესტანტიზმი; 3) პროტესტანტთა (2) ერთობლიობა. — **პროტესტანტული** — პროტესტანტის ან პროტესტანტიზმის ხასიათის მქონე, მათგან გამომდინარე და სხვ. — **პროტესტაცია** — რისამე წინააღმდეგ საჯაროდ პროტესტის გამოცხადება. — **საპროტესტო** — პროტესტისათვის განკუთვნილი, მისთვის გამოსადეგი.

**პროტექტორი** (ლათ. protegere-საგან, იხ. პროტეჟე): 1) მფარველი; 2) ინგლისში ძველად: რეგენტის (იხ.) ტიტული. — აქედან: **პროტექტორატ-ი** — : 1) ძლიერი სახელმწიფოს მფარველობა სუსტი სახელმწიფოს მიმართ, რაც ხშირად უდრის სუსტის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას და მფარველი სახელმწიფოსათვის ექსპლოატაციის საგნად გახდომას. — **პროტექცია** (ლათ. protectio) — გავლენიანი პირის მფარველობა ვისიმე მიმართ; **პროტექციის გაწევა** — გავლენიანი პირის მიერ ამა თუ იმ პირის გამორჩენა, წინ წაწევა, მაგ. რაიმე თანამდებობაზე დანიშვნინება. ხშირად — სათანადო ღირსებების უქონლობის მიუხედავად. — **პროტექციონიზმ-ი** — მფარველობითი სისტემა: სახელმწიფოს მიერ თავისი მრეწველობის მფარველობა — უცხოურ შემოზიდულ საქონელზე დიდი ბაჟის დადებით, აგრეთვე თავისი მრეწველობისათვის დახმარების გაწევით, გადასახადებისაგან განთავისუფლებით და სხვ.; მიზანია — უცხოური საქონლის მეტოქეობისაგან დაცვა და თავისი დამუშავებითი მრეწველობის წახალისება (პროტექციონიზმი განვითარდა 17 საუკ. მეორე ნახევრიდან). — აქედან: **პროტექციონისტ-ი** — პროტექციონიზმის მომხრე; **პროტექციონული** ან **პროტექციული** — მფარველობითი.

**პროტო-** (ბერძ. prōtos „პირველი, წინა..."). ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს პირველს, უფროსს, პირვანდელს და სხვ.; აქედან: **პროტისტ-ი, პროტისტები** (ბერძ. prōtistos „უპირველესი..."). ერთუჯრედიანი ორგანიზმები: პროტოზოები და პროტოფიტები (იხ.).

**პროტოგენური** (იხ. პროტო-, ბერძ. génos „შთამომავალი, ტომი..."). პირველ-შობილი, პირველ-წარმონაქმნი; უწინარეს-შობილი და სხვ.

**პროტოგრაფ-ი** (იხ. პროტო-, ბერძ. graphein „წერა"). დაკარგული, მაგრამ სხვა ხელნაწერებში ამა თუ იმ სახით შენახული ძველებური ხელნაწერი.

**პროტოდიაკონ-ი** (იხ. პროტო- და დიაკონი), საკათედრო ტაძრის უფროსი დიაკონი, მთავარდიაკონი.

**პროტოზოა** ან **პროტოძოა** (მრავლ., იხ. პროტო- და ზოო-), უმარტივესი ცხოველური ორგანიზმები — უორგანოებო და უქსოვილო.

**პროტოკოკკ-ი** (იხ. პროტო- და კოკკები), ერთუჯრედიანი წყალმცენარე.

**პროტოკოლ-ი**, ბერძ.-ევროპ. (იხ. პროტო-, ბერძ. kollaō „ვაწებებ, ვაერთებ..."). ოქმი; აქედან: **პროტოკოლისტ-ი** — : 1) ოქმის დამწერი; 2) ლიტერატურაში: სინამდვილის უმცირეს წვრილმანთა აღმწერი მწერალი.

**პროტოპლაზმა** (იხ. პროტო და პლაზმა), ყოველგვარი ცხოველურისა და მცენარეული უჯრედის ძირითადი ნივთიერება. — შედგენილია

ცილეულ ნივთიერებათა, ნახშირბადისა, წყალბადისა და სხვათაგან; მატარებელია სასიცოცხლო თვისებებისა, ფრიად მგრძნობიარეა, მრავლდება.

**პროტოპოპ-ი** (იხ. პროტო-, რუს. поп „მღვდელი“), დეკანოზი (იხ. დეკანი).

**პროტოტიპ-ი** (იხ. პროტო- და ტიპი), რისამე პირველადი ნიმუში, პირველსახე.

**პროტოფიტები** (მრავლ., იხ. პროტო-, ბერძ. phytón „მცენარე“), უმარტივესი მცენარეული ორგანიზმები.

**პროტოძოა**, იხ. პროტოზოა.

**პროტუბერანცები** (მრავლ.), ლათ.-ევროპ. (ლათ. tuber-ისაგან „სორცმეტი, კოპი. კუზი“), ასტრონომიაში: კაშკაშა გამონაშვერები მზის დისკოზე, — წარმოადგენენ მზის ზედაპირიდან საშინელის სისწრაფით ამონთხეულ გავარვარებულ მანათობელ უზარმაზარ მასსას ორთქლისას.

**პროფან-ი** (ლათ. pro „წინ“ და fanum-ისაგან „ტაძარი“; ე. ი. „ტაძრის წინმდგომი“), რაიმე განუსწავლელი, უვიცი ადამიანი. — აქედან: **პროფანაცია** — უვიცობისა ან დაუდევრობის გამო რისამე უღირსად კარგის შებღალვა, ურიგოდ გაგება ან ამგვარადვე გადმოცემა და სხვ.; **პროფანირება** — იგივე მოქმედება (მაგ. ვ ა პ რ ო ფ ა ნ ი რ ე ბ რ ა ს მ ე — რაიმე კარგს ვბღალავ, ვაქვეითებ და სხვ.); **პროფანატორ-ი** — ასეთის მქნელი.

**პროფესია** (ლათ. professio,-onis „საჯარო გამოცხადება თავისი წოდებისა.. მდგომარეობისა...“), ადამიანის ესა თუ ის მუდმივი ხელობა ან მოსაქმეობა, რომლითაც ის თავს ირჩენს; აქედან: **პროფესიონალ-ი** — ერთ რაიმე დარგში მუდმივად მომუშავე და დახელოვნებული ადამიანი; **პროფესიონალური** ან **პროფესიული** — პროფესიის ხასიათის მქონე; ამა თუ იმ ხელობის ან მოსაქმეობის დამახასიათებელი, მაგ.: **პროფესიული ავადმყოფობანი** — ამა თუ იმ ხელობით ან მოსაქმეობით გამოწვეული ავადმყოფობანი (მკერავთა ხერხემლის გამრუდება, ქიმიკოსთა აირით მოწამვლულობა და სხვ.); **პროფესიული განათლება** (ან მოკლედ: **პროფგანათლება**) — განსაზღვრული პროფესიისათვის საგანგებოდ მომზადება (უპირისპირდება საერთო განათლებას); **პროფესიული კავშირები** (ან მოკლედ: **პროფკავშირები**) — ერთისა და იმავე პროფესიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირები, რომელთაც მიზნად აქვსთ: თავისი წევრების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მათში შეგნებული დისციპლინის შთანერგვა, ამა თუ იმ წარმოების მართვა-გამგეობაში მონაწილეობა და სხვ. (პროფესიული კავშირები წარმოიშვა პირველად ინგლისში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად; რუსეთში და ჩვენში ჩაისახა წარს. საუკ. 90-იან წლებში, ხოლო შესამჩნევად განვითარდა 1905 წლიდან). — **პროფესიული მოძრაობა** (ან მოკლედ: **პროფმოძრაობა**) — პროფესიულ კავშირთა წარმოქმნა და განვითარება. — **პროფესიული ჰიგიენა** — ჯანსაღობის შენარჩუნების წესები ამა თუ იმ პროფესიასთან შეფარდებით (იხ. ჰიგიენა).

**პროფესორ-ი** (ლათ. professor — profiteor-ისაგან „ვაცხადებ რასმე ჩემს ხელობად...“): 1) ძველ რომში — მასწავლებელი; 2) საერთოდ: უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო ხარისხიანი შტატის მასწავლებელი (დასავლ. ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში პროფესორი ეწოდება აგრეთვე გიმნაზიის მასწავლებელსაც). — **პროფესურა** — : 1) პროფესორის თანამდებობა; 2) საპროფესორო კათედრა (იხ.); 3) პროფესორთა ერთობლიობა.

**პროფილაქტიკა** (ბერძ. pro-phylasso-საგან „ვყარაულობ რასმე ან ვისმე; თავიდან ვიცილებ...“): 1) მედიცინის დარგი, — იკვლევს ავადმყოფობის შეყრის საწინააღმდეგო საშუალებებს; 2) ავადმყოფობის შეყრის წინააღმდეგ წინასწარ ზომების მიღება; აქედან: **პროფილაქტიკური** — პროფილაქტიკის ხასიათის მქონე, წინასწარ დაცვითი.

**პროფგანათლება**, იხ. პროფესია.

**პროფილ-ი**, ლათ.-ევროპ. (ფრ. profil, ლათ. filum-ისაგან „ძაფი“): 1) ხუროთმოძღვრებასა და ხაზვაში: შვეული (ვერტიკალური) გარდანაკვეთი; 2) ადამიანის სახის (ან სხვა რაიმე საგნის) გვერდითი მოხაზულობა: მხედველის მიმართ ნახევრად მობრუნებული.

**პროფინტერნ-ი** — პროფესიულ კავშირთა წითელი ინტერნაციონალი, — დაარსდა კომინტერნის (იხ.) თაოსნობით 1921 წელს (უპირისპირდება ამსტერდამის ინტერნაციონალს. იხ.).

**პროფკავშირები**, იხ. პროფესია.

**პროფმოძრაობა**, იხ. პროფესია.

**პროქვესტორ-ი**, იხ. პროკვესტორი.

**პროქსიმალური** ან **პროქსიმალ-ი** (ლათ. proximus-ისაგან), უახლოესი.

**პროქტიტ-ი** ან **პროქტიტის-ი**, ბერძ., პირდაპირი ნაწლავის (ყითას) ანთება.

**პროცედურა**, იხ. პროცესი.

**პროცენტ-ი** (ლათ. pro „ნაცვლად...", centum „ასი", ე. ი. „ასზე, ასის ნაცვლად"): 1) რაიმე რიცხვის მეასედი ნაწილი, — აღინიშნება %; მაგ. 40-ის 5% უდრის 40-ის $^5/_{100}$-ს, ე. ი. 2-ს ($40 \times {}^5/_{100} = 2$); 2) სარგებელი, რომელიც იანგარიშება ყოველ ასეულ მანეთზე. კაპეიკზე და სხე.; საერთოდ — სარგებელი. — აქედან: **პროცენტული** — პროცენტის ხასიათის მქონე; **პროცენტიანი** — პროცენტის მომცემი, მაგალითად: პროცენტიანი ქაღალდები — სახელმწიფოს მიერ (ან ბანკების, სააქციო საზოგადოებების და სხე. მიერ) გამოშვებული სავალო ვალდებულებანი, რომელთაც შემოაქვთ განსაზღვრული პროცენტი.

**პროცეს-ი** (ლათ. processus—procedere-საგან „წინსვლა..."): 1) რაიმე მოვლენის განვითარების მსვლელობა; 2) რაიმე მიზნის მისაღწევად საჭირო მოქმედებათა ერთობლიობა; 3) საჩივარი სასამართლოში, რაიმე საქმის გარჩევის მსვლელობა; 4) ქიმიაში: რაიმე ნივთიერების გარდაქმნა ან სახეცვალება — ძალთა ურთიერთ-მოქმედების გამო. — **პროცედურა** (გერმ. prozedur, რუს. დაბოლოებით) — : 1) მსვლელობა; 2) ხანგრძლივად მიმდინარე რამ საქმე; 3) საქმის წარმოება სასამართლოში; 4) რაიმე საქმის გაჭიანურება. — **პროცესია** (ლათ. processio „წინსვლა") — საჯარო მრავალრიცხოვნული სვლა რაიმე შემთხვევის გამო, მაგ. ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო  პ რ ო ც ე ს ი ა (ვისიმე დასაფლავების დროს), ს ა ზ ე ი მ ო  პ რ ო ც ე ს ი ა და სხე. — **პროცესუალური** ან **პროცესუალ-ი** (გერმ. prozessual, იხ. ზემოთ პროცესი, 3).

**პროჰიბიციონისტ-ი** (ლათ. prohibitio.-onis-ისაგან „შეკავება, ხელის შეშლა..."): 1) ვაჭრობის აკრძალვითი სისტემის (ე. ი. მაღალი საბაჟო გადასახადების) მომხრე; 2) **პროჰიბიციონისტები** (მრავლ.) — ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების პოლიტიკური პარტია. რომლის მიზანია — მაგარი სასმელების მოსპობა და ქალისათვის ამრჩევლობითი უფლების მინიჭება.

**პრუდონ-ი, პ.-ჟ.** (Proudhon, P.-J., 1809 — 1865), განთქმული ფრანგი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, ანარქიზმის ერთერთი თეორეტიკოსთაგანი; მუტუალიზმის (იხ.) შემქმნელი: კაპიტალიზმის ბოროტებას ხედავდა გაცვლა-გამოცვლის არსებულ ფორმებში; ამიტომ მასთან საწინააღმდეგოდ მან წამოაყენა აზრი უფასო კრედიტისა და გამცვლელი ბანკების შექმნის შესახებ; პ რ უ დ ო ნ ი ს მოძღვრება კრიტიკულად განიხილა და უარყო კ. მ ა რ ქ ს მ ა. — **პრუდონისტ-ი** — პრუდონის მოძღვრების მიმდევარი.

**პსალმუნ-ი**, იხ. ფსალმუნი.

**პსევდო-**, იხ. ფსევდო-.

**პსიქ-, პსიხ-**, იხ. ფსიქ-.

**პტაჰ-ი**, ეგვიპტ., ძველ ეგვიპტეში: ხელოვანთა და ხელოსანთა ღვთაება; აგრეთვე — სინათლისა, ცეცხლისა, ჭეშმარიტებისა და სხვ.; მისი განსახიერება იყო აპისი (იხ.).

**პტეროდაქტილ-ი** (ბერძ. pterón „ფრთა, ბუმბული", იხ. დაქტილი), უძველესი დროის განათხრებში პოვნილი მფრინავი ქვეწარმავალი, პტეროზავრთა ჯიშისა; **პტეროზავრ-ი** — იმავე დროის მფრინავი ხვლიკი.

**პტიალინ-ი** (ბერძ. ptyō-საგან „ვაფურთხებ"), ნერწყვის ფერმენტი (იხ.), რომელსაც აქვს უნარი სახამებლის შაქრად გადაქცევისა.

**პუანტ-ი** (ფრ. pointe „წვეტი, წვერი..."), მოცეკვავე ქალის ფეხის წვერებზე დადგომის მომენტი.

**პუბერტეტ-ი** (ლათ. pubes.-eris-ისაგან „მოწიფული, ასაკოვანი"), სქესობრივი სიმწიფე; აქედან: **პუბერტეტული ჯირკვალი** — სქესობრივი სიმწიფის ჯირკვალი.

**პუბლიკა** (ლათ. publicus-ისაგან „საჯარო, სახალხო..."), ადამიანთა მრავალრიცხოვანი კრებულება, ხალხი, მაგ. თეატრში წარმოდგენის

მაყურებელნი.—აქედან: პუბლიკაცია—რისამე ბეჭდვითი სახით გამოქვეყნება, განცხადება.—პუბლიცისტ-ი—თანადროული პოლიტ. და საზოგადოებრივი საკითხების გამო მწერალი ლიტერატორი, უმთავრესად—გაზეთებსა და ჟურნალებში; პუბლიცისტიკა—ლიტერატურის დარგი, რომლის საგანსაც წარმოადგენს თანადროული პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხები.

**პუდელ-ი**, გერმ., გრძელ- და ხუჭუჭ-ბეწვიანი ნათახი ძაღლის ჯიში.

**პუდინგ-ი** (ინგლ. pudding), ინგლისური ტკბილეული,—მზადდება რაიმე ფქვილში დასრესილი კვერცხისა, რძისა და სხვადასხვა საკაზმისაგან.

**პუდლინგება** (ინგლ. puddle-საგან „ამღვრევა“), ტექნიკაში: თუჯისაგან რკინის მოპოების ერთგვარი ხერხი საპუდლინგო ღუმელ-ში დნობის გზით.

**პუდრ-ი** (ფრ. poudre), ბრინჯის სახამებლის ფქვილისებრ წმინდა, ცარც-ნარევი ფხვნილი,—იხმარება კანის (მაგ. პირისახეზე) გასათეთრებლად.—**პუდრეტ-ი** (ფრ. poudrette)—მიწის ერთგვარი სასუქი ფხვნილი,—მზადდება ადამიანის გამხმარი განავლისაგან—თიხისა, კირიბა და სხვ. შერევით.

**პულარკა** ან უკეთ **პულარ-ი** (ფრ. poularde), საგანგებოთ ნასუქი ვარია.

**„პულემიოტ“-ი**, რუს., ტყვია-მფრქვევი: სწრაფმსროლელი თოფი,—ისვრის წუთში (მინუტში) 600-მდე.

**პულვერიზაცია**, ლათ.-ფრ. (pulvérisation—ლათ. pulvis,-eris-საგან „მტვერი“): 1) რაიმე სითხის ფრქვევა, მისი მტვრად ქცევა; 2) რაიმე მყარი ნივთიერების ფხვნილად ქცევა.—აქედან: პულვერიზირება—იგივე მოქმედება; პულვერიზატორ-ი—საპულვერიზაციო მოწყობილობა; საფრქვევი.

**პულზომეტრ-ი**, ლათ.-ბერძ. ხელოვნ. (ლათ. pulsare „ცემა...“, იხ. მეტრი), ორთქლის წნევით მოქმედი წყალ-ამწევი მოწყობილობა.

**პულკა** (ფრ. poule, რუს. დაბოლოებით), პარტია კარტის თამაშში.

**პულმონია** (ლათ. pulmo,-onis-ისაგან „ფილტვი“), ფილტვების ქლექი.

**პულპა**, ლათ. („ხორცი“): 1) ანატომიაში: კბილის რბილეული; 2) ცხოველის ან ხეხილის რბილეული.

**პულს-ი** (ლათ. pulsus „ცემა“), სისხლის პერიოდული მოძრაობა არტერიებში,—გამოწვეულია გულის მოქმედებით; პულსს შევიგრძნობთ, როგორც ერთგვარ მცირე ჯახებას; პულსის სიხშირეს სინჯავენ ექიმები (უმეტესად მაჯაზე—აქედან: მ ა ჯ ი ს ც ე მ ა) გულის მოქმედების გამოსარკვევად.—აქედან: პულსაცია—გულისა და არტერიების წესიერი შეკუმშვა-გაფართოება; პულსირება—იგივე მოქმედება. პულსომეტრ-ი—პულსის რაოდენობის გამომრკვევი მოწყობილობა.

**პულტ-ი**, ლათ.-ევროპ., დაფერდებული მაგიდა; კერძოდ: ნოტების დასადები დაზგა დაკვრის დროს.

**პულჩინელა**, იტ., იგივეა, რაც პოლიშინელი (იხილე).

**პუმა**, პერუან., იგივეა, რაც კუგუარი (იხ.).

**პუნქტ-ი** (ლათ. punctum „წერტილი...“): 1) რითიმე მნიშვნელოვანი ადგილი; 2) კანონის ან ხელშეკრულობის თვითეული მუხლი.—აქედან: პუნქტირ-ი—ერთიერთ ახლო მდებარე წერტილებისაგან შედგენილი ხაზი; წყვეტილი ხაზი.—პუნქტუალური—ზედმიწევნითი.— პუნქტუაცია—სასვენი ნიშნები ნაწერსა ან ნაბეჭდში; სასვენი ნიშნების დასმა.

**პუნშ-ი**, ინდ.-ინგლ. (punch), ხუთი ნივთიერების (არაყისა, წყლისა, ლიმონის წვენისა, შაქრისა და ტკბილეულის) შერევით დამზადებული მაგარი სასმელი.

**პუპიტრ-ი** (ფრ. pupitre), წიგნების, ნოტების და სხვ. დასადები დაფერდებული ჩარჩოიანი მაგიდა.

**პურიზმ-ი** (ლათ. puris-ისაგან „წმინდა, სუფთა; უცოდველი...“): 1) ზნეჩვეულებათა სიწმინდის დაცვა; 2) ენის სიწმინდის დაცვა—მისაგან უცხო ელემენტების (სიტყვებისა, გამოთქმების) განდევნის გზით.—აქედან: პურისტ-ი—პურიზმის მომხრე.

**პურიტანები** (მრავლ., ლათ.-ინგლ., იხ. წინა სიტყვა): 1) ზნეჩვეულების უკიდურესის სისასტიკით დამცველი პროტესტანტული სექტა ინგლისში (იგივეა, რაც პრესბიტერიანები, იხ. პრესვიტერი); 2) გადატ. მნიშვნ.: ზნეობის სისას-

ტიკით დამცველი ადამიანები (უმთავრესად — გარეგნულის მხრივ). — **პურიტანიზმ-ი** ან **პურიტანობა** — იხ. პრესბიტერიანიზმი.

**პურპურ-ი**, ბერძ.-ლათ. (purpura): 1) ძვირფასი წითელი ფერის საღებავი, — მოიპოვებოდა ძველად მოლუსკებისაგან (იხ.); 2) ასეთი საღებავით შეღებილი ძვირფასი ქსოვილი. — **პურპურის ფერის** — მეწამული. **პურპურინ-ი** — ქიმიაში: წითელი ნივთიერება, - მოიპოვება ენდროს ძირებისაგან.

**პუსტულა**, ლათ. („ბუშტი"). მედიცინაში: მუწუკი; **პუსტულოზური** — მუწუკოვანი.

**პუტილოვ-ის ქ ა რ ხ ა ნ ა** (ლენინგრადში)— ერთი უდიდესი რკინის დამმუშავებელ ქარხანათაგანი საბჭოთა კავშირში, — წარმოადგენს მუშათა პატარა ქალაქს; მან დიდი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროს (ახლა ეწოდება „წ ი თ ე ლ ი პ უ ტ ი ლ ო ვ ე ც"-ი).

**პუტჩ-ი** (გერმ. Putsch). ნოკლებნიანი მცირე აჯანყება.

**პუფ-ი** (ფრ. pouf): 1) მრგვალი რბილი ტაბურეტი; 2) მონაჭორი რამე, ტყუილი, ყალბი ცნობა და სხვა ასეთი.

**პუშკინ-ი**, ა. ს. (1799 — 1837), უდიდესი რუსი პოეტი, მაღალი ღირსების მრავალ მხატვრულ ნაწარმოებთა შემქმნელი, რუსული სალიტერატურო ენის მრავალ მხრივ გადამხალისებელი და მომდევნო მთელ რუსულ ლიტერატურაზე დიდი გავლენის მომხდენი; იდეურად უახლოვდებოდა დეკაბრისტებს (იხ.); იდევნებოდა მთავრობის მიერ (მრავალი მისი ნაწარმოები თარგმნილია ქართულადაც).

**პფალც-ი** (გერმ. Pfalz), მეფეების სასახლეთა და ციხე-კოშკების სახელწოდება საშუალო საუკუნეებიდან; აქედან: **პფალცგრაფ-ი** (იხ. გრაფი) — მეფის მიერ დანიშნული წარჩინებული მოხელე და მსაჯული საშუალო საუკუნეებში; შემდეგ — მემკვიდრეობითი თანამდებობა.

**პფენიგ-ი** (გერმ. Pfennig), წვრილი მონეტა გერმანიაში, უდრის დაახლოებ. ½ კაპ.

# ჟ

**ჟაბო** (ფრ. jabot), წმინდა ქსოვილის საყელო ანუ გულ-მკერდის მოსართავი.

**ჟაკერია** (ფრ. jaquerie), გლეხთა აჯანყება თავად-აზნაურობის წინააღმდეგ საფრანგეთში (მე-14 ს.).

**ჟაკეტ-ი** (ფრ. jaquette): 1) მამაკაცების ტანისამოსი, რომელიც წელქვეით ანუ მუხლებამდის ჩამოდის; 2) ქალის მოკლე ზედა-ტანსაცმელი.

**ჟაკ-მენ-ი**, ერთგვარი სითხე, იხმარება ბაღვენახების სამკურნალოდ სოკოების წინააღმდეგ.

**ჟაკო**, ნაცრის ფერი თუთიყუში. — ძლიერ გონიერია.

**ჟაკონეტ-ი** (ფრ. jaconas), ბამბის წმინდა ქსოვილი. იხმარება ყელსახვევად და საყელოდ.

**ჟაკოტო**, ჟან ჟოზეფ (Jacotot, 1770 — 1840), ცნობილი ფრანგი პედაგოგი. შეიმუშავა სწავლების ახალი მეთოდი, რომელიც უპირატესობას აძლევს ბავშვის გონებრივ თვითმოქმედებას და მეხსიერების განვითარებას.

**ჟალონ-ი** (ფრ. jalon), სარი ნიშნათ დარჭობილი; მარგილი ანუ პალო; **ჟალონები** (მრავლ.). — ბოძები, რომლებსაც ჯარისკაცები არჭობენ გზა-და-გზა და ამით გზას უკვლევენ მომავალ ჯარებს; აქედან: **ჟალონერ-ი** — ჟალონის მატარებელი ჯარისკაცი.

**ჟალუზები**, მრავლ. (ფრ. jalousie). გარდიგარდმო ფიცრებისაგან გაკეთებული ფანჯრის დარაბა შუქის და ჩრდილის მისაყენებლად.

**ჟანა დარკ-ი** (Janne d'Arc, 1412 — 1431). ორლეანელი ქალწული, — საფრანგეთის სახელგანთქმული გმირი ქალი სოფელ დომრემიდან. დაიბადა გლეხის ოჯახში. თავი ისახელა საფრანგეთსა და ინგლისს შორის ატეხილ ასწლიან ომში: საფრანგეთის ჯარს წინ მიუძღოდა და ამხნევებდა. დამარცხებულ იქნა ინგლისის ჯარი და ამრიგად განთავისუფლდა ორლეანი მტრისაგან. ბოლოს ჟანა დარკი ინგლისელებმა

ტყვედ წაიყვანეს და ქ. რუანში საჯაროდ დასწვეს (1431 წ. მაისის 30). როგორც ჯადოქარი.

**ჟანდარმ-ი**, ფრ. (gens d'armes): 1) ძველად მძიმედ შეიარაღებული რაინდი; 2) თანამედროვე მნიშვნელობით — სახელისნო და სახელმწიფო საიდუმლოებათა აგენტი; გადატ. მნიშვ.: სასტიკი და უსამართლო სახელმწიფო მოხელე. აქედან: **ჟანდარმერია** — ჟანდარმების რაზმი.

**ჟანნა დ'არკ-ი**, იხ. ჟანა დარკი.

**ჟან-ჟაკ რუსსო**, იხ. რუსო ჟ.-ჟ.

**ჟანრ-ი**, ფრ. (genre): 1) ყოველდღიური ცხოვრების ასახვა მის სხვადასხვა ტიპიურ ფორმაში. ამისდა მიხედვით ჟანრი შეიძლება იყოს ისტორიული და თანამედროვე; 2) მწერლის ან მხატვრის საკუთარი წერის მანერა; აქედან: **ჟანრისტ-ი** — ყოველდღიურ ცხოვრების მოვლენათა ტიპიურ ფორმებში ამსახველი.

**ჟანტილიომ-ი**, ფრ. (gentilhomme), კეთილშობილი, აზნაური; განათლებული და ზრდილობიანი კაცი.

**ჟარარაკა**, შხამიან გველების ჯიში ბრაზილიაში.

**ჟარგონ-ი** (ფრ. jargon), დამახინჯებული ენა, მაგ. ქ უ რ დ უ ლ ი ჟ ა რ გ ო ნ ი; ადგილობრივი დიალექტი ანუ გამოთქმა; ქურდ-ბაცაცების მიერ გამოგონილი პირობითი ენა.

**ჟასმინ-ი** (ლათ. jasminum), თეთრი სურნელოვანი მცენარე. ხარობს თბილ ქვეყნებში, მაგ. ინდოეთს, ყირიმსა, კავკასიაში და სხ...

**ჟელატინ-ი** (ლათ. gelatina), ერთგვარი დაწმენდილი წებო; იხმარება ფოტოგრაფიასა და ჰექტოგრაფიაში, აგრეთვე საჭმელ-სასმელის ფერის მისაცემად. ადვილად იხსნება ცხელ წყალში, იკუმშება ცივში.

**ჟელე** (ფრ. gelée), ხილეულის ტკბილი წვენი, გაციებული (შედედებული) და ჟელატინნარევი.

**ჟენევა** (ფრ. Genève, გერმ. Genf), შვეიცარიის ერთერთი კანტონის (იმავე სახელწოდების) სატახტო ქალაქი.

**ჟენევის კონვენცია.** — ქ. ჟენევაში 1864 წ. დადებული ხელშეკრულობა, რომელსაც ხელს აწერდნენ 16 სახელმწიფოს წარმომადგენელნი. ამ ჟამად ხელშეკრულობა მიღებულია 32 სახელმწიფოს მიერ. საფუძვლად უძევს ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა დახმარება. განურჩევლად ეროვნებისა და ქვეშევრდომობისა. ორგანიზაცია, რომელიც ამ დახმარებას ეწევა, აღჭურვილია განსაკუთრებული უფლებებით და სათანადო ნიშნით (წითელი ჯვარით აქედან „წ ი თ ე ლ ი ჯ ვ ა რ ი").

**ჟენევის კონგრეს-ი**, ქ. ჟენევაში 1866 წ. შემდგარი პირველ ინტერნაციონალის ყრილობა. სადაც ჩამოყალიბებულ იქნა ინტერნაციონალის წესდება, 8 საათ. სამუშაო დღის დაკანონება და, საერთოდ, შრომის პირობების გაუმჯობესება.

**ჟერმინალ-ი** (ფრ. germinal, ლათ. germen, germ), საფრანგეთის პირველ რესპუბლიკის კალენდრის მეშვიდე თვე (მარტის 21-დან — აპრილის 19-დე).

**ჟესტ-ი** (ფრ. geste): 1) ტანის მიმოხვრა ან ხელის გაქნევა ამა თუ იმ სულიერი განცდის ან ლაპარაკის დროს; აქედან: **ჟესტიკულაცია** — იგივე ხელის გაქნევა; 2) (რუს. жесть) თუნუქი, ფურცლებად დაჭრილი რკინა.

**ჟეტონ-ი** (ფრ. jeton): 1) რაიმე შემთხვევის ან გარემოების სამახსოვრო მედალი; 2) ლითონის პატარა ფირფიტა; 3) ჯილდო შეჯიბრში.

**ჟივიო**, სერბ., ვაშა!

**ჟილეტ-ი** (ფრ. gilet), მოკლე უსახლებო ჩასაცმელი; იხმარება ტანისამოსის (მაგ. — სერთუკის) ქვეშ.

**ჟირაზოლ-ი** (ლათ. girare; sol), მოცისფერო და წითური ლალი ანუ საფირონი.

**ჟირანდოლ-ი** (ფრ. girandol): 1) დიდი შანდალი რამდენიმე სასანთლით; 2) ერთგვარი შადრევანი, რამდენიმე მილისაგან შემდგარი; 3) ძვირფას ქვებისაგან დამზადებული ქალის სამკაული.

**ჟირანტ-ი**, იხ. ჟირო.

**ჟირაფ-ი** (ეგვიპტ. soraphe), ძუძუმწოვარია ჯიშის გარეული ცხოველი აღმოს. აფრიკაში. იკვებება ხის ფოთლებით და ტოტებით. აქვს პატარა თავი და გრძელი კისერი. სიმაღლით აღწევს 5-6 მეტრს.

**ჟირო**, იტ., თამასუქის გადაცემის წარწერა ანუ ინდოსამენტი (in doso). აქედან: — **ჟირანტ-ი** ანუ ი ნ დ ო ს ა ნ ტ-ი, ე. ი. თამასუქის გადამცემი პირი.

**ჟირონდისტები** (მრავლ.) ანუ **ჟირონდა** — (ფრ. Girondins), საფრანგეთის რევოლუციის

დროს წარმოშობილი პოლიტიკური პარტია. სახელწოდება მიიღო დეპარტამენტ ჟ ი რ ო ნ დ ისაგან, საიდანაც იყვნენ ამ პარტიის პირველი დამაარსებელნი;—თეორიაში ემყარებოდენ ჟანჟაკ რუსოს (იხ.) მოძღვრებას, პრაქტიკაში ატარებდენ ზომიერ დემოკრატიულ ხაზს. ამ ნიადაგზე შეეჯახნენ მ ო ნ ტ ა ნ ი ა რ ე ბ ს (იხ.) და ამ ბრძოლაში დაიღუპნენ (იხ. კომუნა).

**ჟოკეი** (ინგლ. jukey): 1) მეჯინიბე ანუ ცხენების გამხედნავი; 2) დოღში მონაწილე ცხენოსანი: აქედან: — **ჟოკეი-კლუბ-ი** - დოღ-ცხენოსნობის მოყვარულთა საზოგადოება.

**ჟორესი**, ჟან Jean Jaurès. 1059 1914). თამაშე. ძველად — მოხეტიალე მუსიკოსი, სხვის ნაწარმოების შემსრულებელი: თანამ. მნიშვნ.:— თვალთმაქცი. მატყუარა. მასხარა.

**ჟორეს-ი**, ჟან (Jean Jaurès, 1859 1914). საფრანგეთის სოციალისტების ბელადი. გამოჩენილი ორატორი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, გაზ. „Humanité"-ს დამაარსებელი. გაილაშქრა საერთაშორისო ომის წინააღმდეგ, რის გამოც მოკლეს 1914 წ. ომის დაწყების წინ.

**ჟორესისტ-ი** — ჟორესის მომხრე.

**ჟორჟ-ზანდ-ი** (George Sand, 1804 — 1876), საფრანგეთის ცნობილი მწერალი ქალი — რომანისტი. თავის ნაწერებში (რომანებში) მჭერმეტყველურად ჰქადაგებდა ადამიანის გრძნობათა თავისუფლებას და იბრძოდა ძველი ტრადიციის წინააღმდეგ. მისი შემოქმედების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს იდეალიზმი და ფანტასტიური ელემენტი. მაგრამ ამასთანავე მასში ჩაქსოვილია სინამდვილე და დაკვირვების უნარი. მის მრავალ ნაწარმოებში ცნობილია „Indiana", „Valentine", და სხვ.

**ჟუირ-ი** (ფრ. jouir), ფუქსავატი მოქეიფე, ლარდიმანდი.

**ჟუპელ-ი**, ფრ.: 1) პირდაპ. მნიშვნ.: ასოთუბული გოგირდი ანუ კუპრი: მდუღარე; ცეცხლი; 2) გადატ. მნიშვნ.: საფრთხობელა, შეშინების მიზნით შექმნილი.

**ჟიურ-ი**, ფრ.: 1) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: 2) მხატვრულ ან მუსიკალურ ნაწარმოებთა შემფასებელი კომისია.

**ჟურნალ-ი** (ფრ. journal): 1) დღიური: 2) პერიოდულად გამოცემული სალიტერატურო, სამეცნიერო კრებული; 3) საბუღალტრო დავთარი. სახელმწიფო დაწესებულებაში ხმარებული; 4) სამეცნიერო ან მთავრობის სხდომების აღწერა; 5) მოწაფეების ნიშნების აღსანიშნი დავთარი. აქედან: **ჟურნალისტ-ი** (ფრ. journaliste): 1) პერიოდული გამოცემის ხელმძღვანელი; 2) პერიოდული გამომცემლობის თანამშრომელი: 3) საბუღალტრო დავთრის მწარმოებელი.

**ჟურფიქს-ი** (ფრ. jour-fixe). სადარბაზო დღე. სტუმრების მისაღები დრო.

## რ

**რა** (ეგვპ.). ძვ. ეგვიპტელთა მზის ღმერთი

**რაბაბ-ი** (არაბ.). არაბული სიმებიანი საკრავი.

**რაბინ-ი** (ებრ. რაბი), ებრაელთა მოძღვარი ანუ სასულიერო პირი, — ძველი სარწმუნოების და სჯულის მქადაგებელი, დამცველი და ამხსნელი. ძველად სასამართლოს ფუნქციებსაც ასრულებდა; **რაბინიზმ-ი** — რაბინთა მიერ შექმნილი სწავლა-მოძღვრება, ებრაელთა ძველი ტრადიციების ჩამოყალიბება ერთ სისტემაში.

**რაბლე** (François Rabelais, 1495 — 1553). ფრანგი მწერალი სატირიკოსი. თავის რომანებში ამასხარავებს საშუალო საუკუნოების ფეოდალურ საზოგადოებას და ებრძვის ცრუმორწმუნეობას (სქოლასტიკურ სწავლა-განათლებას).

**რაგა** (სანსკრ. Râga), ინდოეთის მუსიკაში — სხვადასხვა მუსიკალურ ხმების და კილოების განსახიერება.

**რაგუ** (ფრ. ragoût): 1) ხორცისაგან შემზადებული საჭმელი სოუსით; 2) ერთგვარი ჯიშის თუთიყუში.

**რადა** (პოლონ. Rada). საბჭო, ყრილობა: ზაპოროჟელ ყაზახთა და უკრაინელთა სათათბირო კრება.

**რადი** ანუ **რადიუმ-ი** (ლათ. radiare-საგან „გამოკრთომა“), მეცნიერ კიურის მიერ 1899 წ. აღმოჩენილი მარტივი ქიმიური ელემენტი; აქვს გამოსხივოსნობის უნარი, უჩინარია, როგორც რენტგენის სხივები. ქიმიურად მოქმედობს ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, გადის ყველა არაგამჭირვალე სხეულში და აძლევს საგანს სხივოსნობის ენერგიას. მოქმედობს მცენარეულობის ქლოროფილზე; **რადიანტ-ი** — ცაზე მეტეორების გაგრძელებათა შეხვედრის წერტილი; **რადიაცია** — გამოსხივოსნება. მზის სხივების გამოკრთომა.

**რადიკალ-ი** (ლათ. radix — ფესვი): 1) მათემატიკური ნიშანი $\sqrt{}$, რიცხვიდან ძირის ამოფესვა; 2) პოლიტიკაში — უკიდურესი ლიბერალი, ძირითად რეფორმების მომხრე; 3) ქიმიაში — ატომთა ჯგუფი (შენაერთთა ჯგუფი), რომელიც რეაქციის დროს უცვლელი რჩება.

**რადიკალიზაცია** — ძირითადი გარდაქმნა, არსებითად შეცვლა; **რადიკალიზმ-ი** — უკიდურესი ანუ უკომპრომისო პოლიტიკური მიმართულება. უპირისპირდება ოპორტუნიზმს ანუ პოსიბილიზმს; აქედან: **რადიკალური** — : 1) ძირითადი; 2) უკიდურესი.

**რადიო** (ლათ. radio), უმავთულო ტელეგრაფი და ტელეფონი, რომელიც ელექტრო-მაგნიტურ ტალღების საშუალებით მუშაობს; **რადიო-აპარატ-ი** — რადიოს მიმღები ან გადამცემი ხელსაწყო.

**რადიოაქტივობა** — ზოგიერთ სხეულის ერთგვარი გამოსხივოსნობა, თვალთუჩინარ სხივებით მოქმედება მაგ. ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე და სხვ.

**რადიოგრაფია** (ლათ.-ბერძ.), რენტგენის სხივებით ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე ამა თუ იმ სურათის გადმოცემა; **რადიო-თერაპია** — რადიო-სხივებით მკურნალობა; **რადიო-კონცერტ-ი** — რადიოს საშუალებით გადმოცემული კონცერტი ან მუსიკა.

**რადიომეტრ-ი**, ლათ.-ბერძ.: 1) ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ა-ში — ცის პლანეტების მანძილის გასაზომი იარაღი; 2) ფ ი ზ ი კ ა-ში — ინგლისელ ფიზიკოს-ქიმიკოს კრუქსის (დაიბ. 1832 წ.) მიერ გამოგონილი სინათლის და სითბოს სხივთა საზომი;

**რადიოსკოპ-ი** — ადამიანის შინაგან ორგანოთა ანუ უხილავ საგანთა რენტგენის სხივებით გამომკვლევი იარაღი. — **რადიო-ტელეგრამა** რადიოს საშუალებით გადაცემული დეპეშა. **რადიო-ტელესკოპ-ი** — შორეულ საგანთა საჭვრეტი ხელსაწყო რადიოს საშუალებით.

**რადიუს-ი** (ლათ. radius), მათემატიკაში: — ცენტრისა და წრის წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზი.

**რაზინ-ი**, დონელი ყაზახი, რუსის ხალხის მიერ ს ტ ე ნ კ ა რ ა ზ ი ნ-ად წოდებული, მეთაურობდა ყაზახ-გლეხების აჯანყებას სამხრეთ რუსეთში მე-17 ს. თავის მრავალრიცხოვან რაზმებით გაბატონდა მდ. დონის და ვოლგას ნაპირებზე, დაიპყრო ცარიცინი, ასტრახანი, სარატოვი, სიბირსკი და მოსკოვზე გალაშქრებას აპირებდა. გადამწყვეტ ბრძოლაში მთავრობის ჯარებმა დაამარცხეს და სიკვდილით დასაჯეს (1671 წ.).

**რაია** ანუ **რაიატ-ი** (არაბ. „ჯოგი“), დაპყრობილ ქრისტიანების სახელწოდება ოსმალეთში: სპარსეთში — საერთოდ ყველა ქვეშევრდომის სახელი.

**რაიგრას-ი** (ინგლ. Raygrass), მაღალი მცენარე; იძლევა დიდ მოსავალს და იხმარება საქონლის საკვებად.

**რაინა**, ანძაზე აღმართული გარდიგარდმო ხე. აფრების მისამაგრებლად.

**რაიონ-ი** (ფრ. Rayon): 1) ოლქი; 2) რაიმე განსაკუთრებული ნიშნის მატარებელი კუთხე (სამოქალაქო ან სამხედრო); 3) ქალაქის ნაწილი ანუ უბანი; აქედან: **რაიონული** — უბნის, საუბნო.

**რაის-ი**, ოსმ., მეხომალდე.

**რაიხენზახ-ი**, გერმ., ალპების შესანიშნავი წყალვარდნილი.

**რაკა**, ბერძ.: 1) აკლდამა, ეკლესიაში განსაკუთრებული ადგილი წმინდანთა ნეშტის მოსათავსებლად; 2) ებრაელთა საგინებელი სიტყვა: — ფუქსავატი, უვარგისი; 3) ინდოელთა ქალღმერთი, იხსენიება რიგვედაში; 4) არაყის მსგავსი სასმელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

**რაკეტა** (ფრ. raquete), საფანტის ფხვნილით გატენილი ლულა. ბოლოდან ცეცხლის მოკიდების დროს ჰაერში მიფრინავს და იქ სკდება.

ჩამაროებს ილუმინაციის დროს და სათამაშოდ; აგრეთვე შორს გასატყორცნი ყუმბარა (ომის დროს).

**რაკურს-ი** (ფრ. raccourcir-დან „შეკვეცა"). საგნების შეკვეცა მხატვრობაში მათი ირიბი მდებარეობის გამო.

**რამა** (სანსკრ. Râma — „ლამაზი. მშვენიერი"): 1) ინდოეთის მითოლოგიის სამი გმირის სახელწოდება; 2) ხუროთმოძღვრებასა და მხატვრულ ნაწარმოებაში: ხის ან სხვა მასალისაგან გაკეთებული ჩარჩო ამა თუ იმ საგნის ჩასასმელად (სარკის. სურათის და სხვ).

**რამაზან-ი** ანუ **რამადან-ი**, არაბ.-ოსმ., მაჰმადიანთა მე-9-ე თვე, საიდანაც ეწყობათ ორმოც-დღიანი მარხვა.

**რამაიანა** — ინდური ეპოპეა ინდოელ გმირის რამის შესახებ. მის ავტორად ასახელებენ ინდოეთის პოეტს — ვალმიკს (მე-IV ს. ქ. წ.).

**რამზეს-ი** ანუ **რამეზეს** (ეგვიპ. მზის შვილი), შვიდი ფარაონის ზოგადი სახელწოდება. (16 — 13 ს. ქ. წ. ). მათი მეფობის დროს ეგვიპტემ თავის ძლიერების და დიდების უმაღლეს ხარისხს მიაღწია.

**რამიფიკაცია** (ramifier—განშტოება). ამა თუ იმ ორგანოს სხვადასხვა შტოებად დაყოფა, მაგ. რომელიმე მცენარის, ხის ტოტის, ადამიანის სხეულის ვენების, რკინიგზის გზის და სხვ.

**რამპა** (ფრ. rampe): 1) სანათურების მწკრივი სცენის წინა ნაწილის (ავანსცენის) გასაშუქებლად; 2) კიბის მოაჯირი.

**რამს-ი** (ფრ. rams), ბანქოს ერთგვარი თამაში.

**რანგ-ი** (გერმ. Rang), ხარისხი, ღირსება. რიგი, მაგ. ადამიანების ან საგნების სხვადასხვა რანგებად დაყოფა მათი ღირსების მიხედვით.

**რანდევუ** (ფრ. rendez-Wous): 1) პაემანი, შეხვედრა, მაგ. ჯარის ნაწილების უფროსთა შეხვედრა სათათბიროდ; გემების ერთ ადგილას თავმოყრა ქარიშხლის დროს; 2) მიჯნურთა შესახვედრი დრო და ადგილი, წინასწარ შეთანხმებით.

**რანეტ-ი**, ფრ. (rainette). მომცრო ვაშლის საუკეთესო ჯიში.

**რანჟირ-ი** (ფრ. ranger „განწესრიგება"), ჯარის კაცთა მწკრივად დაყენება სიმაღლის მიხედვით.

**რანტ-ი** (გერმ. Rand). ფეხსაცმელის გარშემო გაკეთებული გვირისტი.

**რანტიე** (ფრ. rentier), კაპიტალის შემოსავლით მცხოვრები ადამიანი (იხ. რენტა).

**რაპალოს ხელშეკრულება**, 1922 წ. იტალიის ქ. რაპალოში დადებული ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის შორის სავაჭრო ურთიერთობის აღსადგენად და სამხედრო ზარალის ანაზღაურებლად. ამ ხელშეკრულებით გერმანიამ იცნო საბჭოთა რუსეთი იურიდიულად (de iure).

**რაპირა** (ფრ. rapière), საფარიკაო დაშნა გაწვეტიანებული ბოლოთი (იხმარებოდა უმთავრესად გერმანელ სტუდენტებში დუელის დროს).

**რაპორტ-ი** (ფრ. rapporter), პატაკი, — დაბალი მოხელის წერილობითი ან ზეპირი მოხსენება უფროსის წინაშე.

**რაპპ-ი** (Rappern), შვეიცარიის ფული. პირველად გამოვიდა მე-15 ს. ფრაიბურგსა და ბაზელში. ამ ჟამად უდრის ფრანგულ სანტიმს, ე. ი. ფრანკის 1/100-ს.

**რაპსოდები** (ბერძ. rhapsodos), სხვადასხვა გმირულ ლექსების და პოემების მომღერლები ძველ საბერძნეთში. მღეროდნენ უმთავრესად ჰომეროსის „ილიადა"-ს და „ოდისეა"-ს, სადაც ბერძნების და ტროადელების ომია აღწერილი; აქედან: **რაპსოდია**—ერთგვარი მუსიკალური ნაწარმოები სხვადასხვა ეროვნული მოტივებით, მაგ. ლისტის უ ნ გ რ უ ლ ი  რ ა პ ს ო დ ი ე ბ ი.

**რასა** (ფრ. race, გერმ. Rasse): 1) ჯიში, ტომი, მოდგმა; 2) ხალხთა ბუნებრივი დაჯგუფება, მაგ. ინდო-ევროპული, კავკასიური, მონღოლური და სხვ.; აქედან: **რასული**—შთამომავლობითი, მოდგმისებური.

**რასინ-ი**, ჟ ა ნ (Racine, Jean Baptiste, 1659 — 1699), მოლიერის შემდეგ უდიდესი პოეტი საფრანგეთში (17 ს.), სახელგანთქმული დრამატურგი და ფრანგული კლასიციზმის საუკეთესო წარმომადგენელი. მის ნაწერებში შესანიშნავია: „ანდრომახა", „იფიგენია", „ფედრა", „ატალია" და სხვ...

**რასკოლ-ი** (რუს. раскол). განხეთქილება. გათიშვა, სარწმუნოებრივ ნიადაგზე სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფა (რუსეთში პეტრე დიდის დროს, გამოწვეული საეკლესიო რეფორმების ცხოვრებაში გატარებით). — აქედან: **რასკოლნიკ-ი** — ურჩი, მოწინააღმდეგე; თანამედროვე მნიშვნელობით: პარტიის მთლიანობის დამრღვევი ანუ გამთიშველი.

**რასპუტინ-ი** (გ რ ი გ ო რ  რ ა ს პ უ ტ ი ნ) — ტობოლის გუბ. რუსი გლეხი, სექტანტი და ცრუმორწმუნე. თავი წმინდანად გამოაცხადა, დაუახლოვდა ნიკოლოზ II სასახლეს, მოიპოვა პირადი გავლენა მეფე-დედოფალზე და რევოლუციის წინა წლებში რუსეთის ფაქტიური მმართველი შეიქნა. მოკლეს 1916 წ.

**რატიფიკაცია** (ლათ. ratificatio). დადასტურება. მთავრობის რწმუნებულის მიერ დადებული ხელშეკრულების დამტკიცება უზენაესი ხელისუფლებისგან.

**რატიხიუს-ი** (გერმ. Ratichius). ცნობილი გერმანელი პედაგოგი (1571—1635); აქედან: **რატიხიუსის მეთოდი**—მეთოდი, რომელიც ემყარება თვალსაჩინოებას: ჯერ უნდა შეისწავლებოდეს საგანი და მერე ცნება, ჯერ სამშობლო ენა და მერე უცხო. ამით ცდილობდენ ბავშვში აზროვნების და ცნობისმოყვარეობის განვითარებას.

**რატმან-ი** (გერმ. Rathmann). მაგისტრატი, ქალაქის საბჭოს წევრი.

**რატუშა** (გერმ. Rathaus). ქალაქის საბჭო ანუ სახლი. სადაც ქალაქის მმართველობა მოთავსებული.

**რაუტ-ი** (ფრ. raut, ინგლ. rout). საღამოშეჯლისი ანუ ზეიმი, რომელსაც მართავენ უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს დიდი მოხელენი (მაგ. მინისტრები). სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებით, უცხო სტუმრის პატივსაცემად, ანდა რაიმე გარემოების აღსანიშნავად.

**რაფაელ-ი** (რაფაელო სანტი, 1483 — 1520), იტალიის უდიდესი მხატვარი და მოქანდაკე, მისი ნახატები უმთავრესად რელიგიური შინაარსისაა, მაგ. „მადონა“ (ღვთისმშობელი). „წმ. ოჯახი“, „ფერისცვალება“ და სხვ....

**რაფინად-ი** (ფრ. raffiner), ფჰანდა, მაღალი ხარისხის შაქარი.

**რაფსოდები**, იხ. რაპსოდები.

**რაყიფ-ი**, 1) სამიჯნურო სიმღერა ირ[illegible]ში: 2) მოქიშპე მიჯნური ანუ მოტრფიალე.

**რაშკეტ-ი**, ჩარჩო, რომელშიაც ათავსებენ ტიპოგრაფიულ ანაწყობს გამოტოვებული ადგილებით.

**რაშკული** (გერმ. Reisskohle). ნახშირის ფანქარი სახატავად.

**რაციონალიზმ-ი** (ლათ. ratio — „გონება“): 1) აზროვნების მეთოდი, რომლის მიხედვით შემეცნების ერთად-ერთ წყაროდ აღიარებულია გონება; 2) ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც იკვლევს ჭეშმარიტებას განყენებული აზროვნების საშუალებით ფაქტებისა და დაკვირვების გარეშე; 3) სარწმუნოებრივი საკითხების გონების თვალით გაშუქება.—რაციონალიზმის უდიდესი წარმომადგენელია დეკარტი (იხ.): აქედან: **რაციონალიზაცია** — ამა თუ იმ საქმის ანუ წარმოების გონიერულად მოწესრიგება. გად. მნიშვნ.: გაუმჯობესება, მომჭირნეობა; **რაციონალისტ-ი** — რაციონალიზმის მიმდევარი: **რაციონალური** — გონიერული, მიზანშეწონილი. (იხ. კანტი).

**რაციონ-ი** (ფრ. ration): 1) ჯარისკაცის ულუფა; 2) საჭმლის განსაზღვრული რაოდენობა ცხენებისთვის.

**რახატ-ლუკუმ-ი**, შაქრით და ფქვილით შეზავებული ტკბილეული.

**რახიტ-ი**, იხ. რახიტიზმი.

**რახიტიზმ-ი** (rachis — ხერხემალი). ბავშვის ავადმყოფობა — ძვლების გარბილება კირის ნივთიერების შემცირების გამო: **რახიტიკ-ი** — რახიტიზმით დაავადებული.

**რაჯ-ი** (სანსკრ. râja — მეფე), ინდოეთის მფლობელი. მთავარი: ინდოელ მთავრის ტიტული.

**რე**, იტ., მუსიკაში — ძირითად. დიატონური გამის მეორე ნოტა.

**რეა** (ბერძ.): 1) ლეგენდარული გოლიათი ქალღმერთი, ურანის და გეას ასული; 2) სატურნის მეხუთე თანამავალი; 3) ანძის მისამაგრებელი ძელი გემზე.

**რეაბილიტაცია** (ლათ. rehabilitare). წართმეულ უფლების ანუ შელახულ ღირსების აღდგენა, ძველი მდგომარეობის დაბრუნება, თავის გამართლება.

**რეაგენტ-ი**, იხ. რეაქტივი.

**რეალ-ი** (ესპან. real): 1) ესპანური ფულის ნიშანი. უდრის დაახლოებით 25 ფრანგულ სანტიმს; 2) შრიფტის შესანახი მაგიდა სტამბაში.

**რეალიზაცია** (ლათ.-ფრ. réalisation): 1) გეგმის ან აზრის განხორციელება, სისრულეში მოყვანა; 2) ფასიან ქაღალდების განაღდება ანუ ფულად ქცევა, მაგ. კაპიტალის რეალიზაცია.

**რეალიზმ-ი** (ლათ. realis): 1) აზროვნების მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უძევს სინამდვილის შესწავლა; 2) ფილოსოფიაში რეალიზმი აღიარებს საგნების დამოუკიდებელ არსებობას, ადამიანის სუბიექტიურ აზროვნების გარეშე; 3) ხელოვნებაში — მოითხოვს სინამდვილის სწორე ასახვას, ეწინააღმდეგება ნომინალიზმს; აქედან: **რეალისტ-ი** — რეალიზმის მიმდევარი; **რეალური** — ნამდვილი, ფაქტებზე დამყარებული.

**რეაქტივ-ი** ანუ **რეაგენტ-ი** (ლათ. reactivum), ქიმიური ნივთიერება — ამჟღავნებს სხვა ნივთიერების არსებობას ხსნარში,

**რეაქცია**, ლათ. (reactio), წინააღმდეგობის გაწევა, გამძლეობა: 1) ქიმიაში — ნივთიერების ცვალებადობა მეორე ნივთიერების ზეგავლენის გამო; 2) პოლიტიკაში — ძველი წესწყობილების დაცვა, პროგრესის და წინმსვლელობის საწინააღმდეგო მოძრაობა. — აქედან: **რეაქციონერი** — ძველი წესწყობილების მოტრფიალე; **რეაქციონური** — ძველი წესწყობილების დაცვისადმი მიდრეკილი; 3) ბიოლოგიაში — ორგანიზმის გამოპასუხება გარეშე გაღიზიანებაზე.

**რებუს-ი** (ფრ. rébus), სურათებისაგან შემდგარი ამოცანა, გასართობად და გონების საცარჯიშოდ.

**რეგალია** (ლათ. regalis — rex): 1) სამეფო ღირსების ნიშნები: გვირგვინი, კვერთხი, ღერბი და სხვ; 2) სახელმწიფოს მონოპოლური უფლება ზოგიერთ საგანზე, მაგ. სამთამადნო წარმოება, ფოსტა-ტელეგრაფი, ფულის მოჭრა და სხვ..

**რეგენერატორ-ი** (ლათ. regenerator): 1) ახლად წარმომშობი, გარდამქმნელი, აღმორძინებელი; 2) აპარატი, რომელიც შთანთქავს სითბოს და გამოსცემს მას საჭიროებისამებრ. აქედან: **რეგენერაცია** — დარღვეული ქსოვილის აღდგენა ორგანიზმის მიერ.

**რეგენტ-ი** (ლათ. regens): 1) მეფის მაგიერი მმართველი მისი ავადმყოფობის ან მცირეწლოვანობის გამო; 2) მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი, ლოტბარი.

**რეგისტრ-ი** (ლათ. registrum): 1) ხმის მოცულობა; 2) ფისგარმონის ხელსაწყო ხმის ასამაღლებელ-დასადაბლებელი; 2) შემოსულ ქაღალდების ჩასაწერი წიგნი.

**რეგისტრატორ-ი**, ლათ.: 1) რეგისტრაციის მაწარმოებელი, შემოსულ-გასულ ქაღალდების აღმნიშვნელი; 2) სხვადასხვა მოვლენის ავტომატიურად აღმნიშვნელი აპარატი, მაგ. ასტრონომიაში — თერმოგრაფი (იხ.), ანემოგრაფი (იხ.) და სხვ.

**რეგისტრატურა** — განყოფილება, სადაც სწარმოებს რეგისტრაცია; — **რეგისტრაცია** —: 1) აღრიცხვა; 2) შემოსულ-გასულ ქაღალდების დავთარში რიგზე ჩაწერა.

**რეგლამენტ-ი** (ფრ. réglement): 1) წესდება, დადგენილება; 2) ყრილობის მიერ შემუშავებული წესი; აქედან: **რეგლამენტაცია** (ფრ. réglamentation) — რეგლამენტისადმი დამორჩილება, მოქმედების ჩამოყალიბება კანონიერ ფორმებში.

**რეგრეს-ი** (ლათ. regressus): 1) უკან დახევა, ჩამორჩენა, პროგრესის საწინააღმდეგო მოვლენა. — აქედან: **რეგრესული** — ჩამორჩენილი, დაქვეითებული; 2) სათამასუქო უფლებაში თამასუქის უკანასკნელ მფლობელის მიერ მოთხოვნილების წამოყენება იმავე თამასუქის უწინდელ მფლობელთა წინააღმდეგ, როდესაც მას არ შეუძლიან პროტესტის შემდეგ ვალის განაღდება.

**რეგულა** (ლათ. regula), თვიური დაწმენდა ქალის სასქესო ორგანოსი (იხ. მენსტრუაცია).

**რეგულარიზაცია** (ლათ. rego), განწესრიგება, წესის დამყარება; აქედან: **რეგულარული** წესიერი, წესთან შეთანხმებული; **რეგულარული ჯარი** — მუდმივი, გაწრთვნილი ჯარი; **რეგულატორ-ი** —: 1) მანქანის მექანიურ მუშაობის მომწესრიგებელი ხელსაწყო; 2) ასტრონომიაში

დროის ზუსტი გასაზომი; გად. მნიშვნ.: ყოველგვარი მომწესრიგებელი ძალა.

**რედაქტორ-ი** (ლათ. redigo, redactum—„შეკრება, მოწესრიგება"): 1) პერიოდულ გამოცემის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და მიმართულების მიმცემი; აქედან: **რედაქცია**—: 1) პერიოდულ გამომცემლობის სამმართველო ანუ შენობა; 2) დასაბეჭდ მასალის გადათვალიერება-შესწორება, გადაკეთება.

**რეჯებ-ი**, არაბ., მაჰმადიანთა კალენდრის მე-7-ე თვე.

**რედიკულ-ი** (ლათ. rediculum - ბადე), ქალების ხელში დასაჭერი ჩანთა, ცხვირსახოცის, პუდრის და სხვ. ნივთების ჩასაწყობად.

**რედიფ-ი**, არაბ., ოსმალეთის სათადარიგო ჯარის სახელწოდება.

**რედუიტ-ი** (ფრ. réduit—„თავსაფარი"). პატარა სიმაგრე დიდი სიმაგრის შიგნით მოთავსებული, სადაც თავს აფარებენ იმ შემთხვევაში. თუ მტერმა დიდი სიმაგრე აიღო.

**რედუტ-ი** (ფრ. redoute). მრავალკუთხედის მსგავსი სიმაგრე.

**რედუტ-კალე**— შავი ზღვის ნაპირას მდებარე სიმაგრე. მდ. ხოპის შესართავთან (ზუგდიდის მაზრ.).

**რედუქტორ-ი** (ლათ. reductor): 1) სადოსტაქრო იარაღი ამოვარდნილ სხეულის ნაწილის გასასწორებლად; 2) ორთქლმავლის სვლის შესამცირებელი ხელსაწყო.

**რედუქცია** (ლათ. re-ducto—უკან დახევა): 1) გ ე ო მ ე ტ რ ი ა შ ი—ამა თუ იმ ფიგურის შემცირება, ანუ განმარტივება; 2) მ ე დ ი ც ი ნ ა შ ი—ნორმალურ მდგომარეობაში ჩაყენება; 3) ქ ი მ ი ა შ ი—მჟავბადთან შეერთებით ლითონის აღდგენა ანუ მიღება: 4) ფასის დაწევა საქონელზე; 5) მრავალხმოვან პარტიტურის გადაკეთება მცირერიცხოვან მუსიკალურ ინსტრუმენტზე.

**რეესტრ-ი** (ფრ. registre), შემოსულ-გასულ ქაღალდების ჩასაწერი წიგნი. დავთარი, სია (იხ. რეგისტრი).

**რევანშ-ი** (ფრ. revanche), სამაგიეროს გადახდა, შურის ძიება. ჯავრის ამოყრა.

**რევენტუს-ი**, ჰოლ., სქელი ტილო აფრების გასაკეთებლად.

**რევერანს-ი** (ლათ. reverens—„პატივსაცემი"), ოავაზიანი თავის დაკვრა მუხლის ჩაკეცვით.

**რევერენდა** (ლათ. reverandus—„ღირსეული"), შავი ფერის მანტია ანუ წამოსასხამი (სძარობენ ლუთერანულ ეკლესიის სასულიერო პირნი).

**რევერს-ი** (ლათ. reversio—უკან დაბრუნება, მობრუნება): 1) ხელწერილი; 2) თამასუქის გამოყიდვის ვალდებულება განსაზღვრულ ვადაში.

**რევიზია** (ლათ. reviso—გადასინჯვა, ხელახლად გადათვალიერება): 1) სახალხო აღწერა: 2) ამა თუ იმ დაწესებულების საქმეთა გადასინჯვა და მათი შემოწმება; აქედან: **რევიზორ-ი**—რევიზიის მწარმოებელი პირი.

**რევიზიონიზმ-ი**—ზომიერი პოლიტიკური მიმდინარეობა გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიაში —ბერნშტეინის მეთაურობით. მოითხოვს მარქსის მოძღვრების გადასინჯვას (რ ე ვ ი ზ ი ა ს) და აღიარებს კლასთა თანამშრომლობა სოციალურ რეფორმების ნიადაგზე; აქედან: **რევიზიონისტ-ი**—რევიზიონიზმის მომხრე (იხ. ბერნშტეინი).

**რევმატიზმ-ი** (ბერძ. rheumatismus), კუნთების და სახსრების დაავადება, უმთავრესად გაციებით გამოწვეული.

**რევოლვერ-ი** (ინგლ. revolve—ტრიალი), ხელით სასროლი ერთლულიანი იარაღი. ჩახმახის წინ გაკეთებული აქვს ბორბალი. ისვრის ზედი-ზედ, რავდენჯერმე, ხელახლად გაუტენლივ. გამოიგონა ამერიკელმა კოლტმა (1814-62). შემდეგში გააუმჯობესეს ნაგანმა და სხვ.

**რევოლუცია** (ლათ. revolutio—„გადაბრუნება, გადატრიალება"), არსებულ წესწყობილების ძირითადი გარდაქმნა და მის მაგიერ ახალი წყობილების შემოღება, გაბატონებულ კლასის დამხობა და ძალა-უფლების გადასვლა დაჩაგრულ და შევიწროვებულ კლასების ხელში (მაგ. ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს დ ი დ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა—1789 წ., ი ნ გ ლ ი ს ი ს—1642 წ. და 1688 წ., გ ე რ მ ა ნ ი ი ს—1848 წ., რ უ ს ე თ ი ს—1917 წ. და სხვ.; აქედან: **რევოლუციონერ-ი**—რევოლუციის მომხრე, რევოლუციაში მონაწი-

ლე; რევოლუციონური რევოლუციის უფლე-სებით აღჭურვილი.

**რევტრიბუნალ-ი** — რევოლუციონური ტრი-ბუნალი (იხ. ტრიბუნალი).

**რეზერვ-ი** (ლათ. reservare „მომარაგე-ბა"), მარაგი, სათადარიგო ჯარი.

**რეზერვუარ-ი** (ლათ.-ფრ. réservair). აუზი; გაზების და სითხეების სათავსი.

**რეზექცია** (ლათ. resectum — „მოჭრა, მო-კვეთა"), სადოსტაქრო ოპერაცია; ამა თუ იმ ორგანოს დაავადებულ ნაწილის ამოჭრა, მაგ. ძვლის, სახსრის და სხვ.

**რეზიგნაცია** (ლათ. resignare — „ბეჭდის ახსნა, გაუქმება"), თავის სურვილით უფლებებ-ზე ხელის აღება, პირად ბედნიერების და სია-მოვნების უარისყოფა; თავის თავის ღვთის ანა-ბრად მიტოვება და ბედზე მიგდება.

**რეზიდენტ-ი**, ლათ., უცხო მთავრობის წარ-მომადგენელი ანუ რწმუნებული, მესამე ხარის-ხის დესპანი.

**რეზიდენცია** (ლათ. residere — დაბინავება), სატახტო ქალაქი, მეფის ან სახელმწიფოს უზე-ნაეს წარმომადგენლის (პრეზიდენტის) მუდმი-ვად საცხოვრებელი ადგილი.

**რეზინა** (ლათ. resina): 1) ხის წებოსაგან დამზადებული ნივთიერება, კალოშების, ტა-ნისამოსის ან სხვა საჭიროებისათვის; 2) საშლე-ლი ფანქრით ან მელნით დაწერილისა.

**რეზოლუცია** (ლათ. resolutio): 1) განაჩენი, გადაწყვეტილება; 2) ამა თუ იმ საკითხზე დას-კვნის გამოტანა ოფიციალური პირის ან დაწე-სებულების მიერ.

**რეზონ-ი** (ფრ. raison), დედა-აზრი, საფუძვე-ლი; აქედან: **რეზონ დ'ეტრი** (raison d'être) — გასამართლებელი საბუთი, აზრი, მნიშვნელობა; **რეზონური** — საფუძვლიანი, სწორი, ჭკვიანური.

**რეზონანს-ი** (ლათ. resonantia), ხმის ანუ ბგერის ანარეკლი, გამოხმაურება; აქედან: **რე-ზონატორ-ი** — ბგერის გამაძლიერებელი ხელ-საწყო.

**რეზონერ-ი** (ფრ. raisonneur). ზედმეტი მსჯელობის მოყვარული ადამიანი; აქედან: **რე-ზონერობა** — ზედმეტი მსჯელობა.

**რეზულტატ-ი** (ფრ. résultat). რაიმე საქმის ან გარემოების შედეგი; დასკვნა.

**რეზუმე** (ლათ. resumere — „განმეორება"). ნალაპარაკევის მოკლე შინაარსი; მთავარი აზრის სხარტად გადმოცემა.

**რეი**, იხ. რაინა.

**რეიდ-ი** (ინგლ. road), ნავსადგურისაგან და-შორებული ადგილი გემების გასაჩერებლად.

**რეინ-ი** (გერმ. Phein). უდიდესი მდინარე გერმანიაში.

**რეის-ი**, პორტ.: 1) პორტუგალიაში ფული = 0,15 კაპ.; 2) გერმ. — გემის სვლის მი-მართულება ზღვაზე.

**რეის-ეფენდ-ი**, ოსმ., საგარეო საქმეთა მინი-სტრი ოსმალეთში.

**რეისფედერ-ი** (გერმ. Reissfeder): 1) სახაზა-ვი კალმები, რომელნიც ერთმანეთს ბურღის საშუალებით უახლოვდებიან; 2) ლითონის ბუ-ნი ფანქრის ჩასადებად.

**რეიტერ-ის სააგენტო** — ინგლისის სატელე-გრაფო საზოგადოება. ჰკრებს და ავრცელებს ახალ ამბებს დიდი ბრიტანეთის და ჩრდილო-ამერიკის ტერიტორიაზე. აღჭურვილია მონო-პოლური უფლებით ამ დარგში.

**რეიხსვერ-ი**, გერმ. Reichsiveher). გერმანიის სახელმწიფო ლაშქარი.

**რეიხსკანცლერ-ი** (გერმ. Reichscanzler). სა-ხელმწიფოს კანცლერი ანუ პირველი მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარე გერმანიაში.

**რეიხსრატ-ი** (გერმ. Reichsrath). უზენაესი საკანონმდებლო დაწესებულება ავსტრიაში (პარლამენტი).

**რეიხსტაგ-ი** (გერმ. Reichstag). გერმანიის პარლამენტი ანუ უზენაესი საკანონმდებლო და-წესებულება.

**რეიხსტალერ-ი** (გერმ. Reichsthaller), ვერ-ცხლის ფული ძველ გერმანიასა და სკანდინა-ვიის ქვეყნებში.

**რეკვიემ-ი** (ლათ. requiem — „განსვენება"), განსასვენებელი ლოცვა ანუ საგალობელი კა-თოლიკურ ეკლესიაში.

**რეკვიზიტ-ი** (ლათ. requisitum „პოთ-ხოვნილება"): 1) მსახიობის მოსართავი ნივთები; 2) თამასუქის აუცილებელი ნიშნები (მაგ. თა-რიღი, ჯამი, ადგილი, ხელმოწერა და სხვ); **რე-კვიზიტორ-ი** — რეკვიზიტის პომზადებელი ანუ გამგე (თეატრში).

**რეკვიზიცია** (ლათ. requisitio). მთავრობის მიერ კერძო საკუთრების ჩამორთმევა საზოგადოებრივ საჭიროებისათვის: დაპყრობილ ქვეყანაში სურსათ-სანოვაგის ძალით აკრება ჯარებისთვის.

**რეკლამა** (ლათ. reclamare — „ხმა-მაღლა ყვირილი"), განცხადება გაზეთში ან სხვა ორგანოში საგანგებო ყურადღების მისაპყრობად: ამა თუ იმ საგნის ან პიროვნების. მაგ. არტისტის მუსიკოსის, მომღერლის და სხვ. საჯაროდ ქებადიდება.

**რეკოგნოსციროვკა** (ლათ. recognitio — „გაშინჯვა, დათვალიერება", რუს. დაბოლოებით): 1) მტრის ბანაკის დაზვერვა ომის დროს; 2) ამა თუ იმ ადგილმდებარეობის ტეხნიკური გამოკვლევა რაიმე გეგმის განსახორციელებლად.

**რეკომენდაცია** (ფრ. recommandation), წარდგენა, დახმარების აღმოჩენა. თავდებად დადგომა უფროსის წინაშე; აქედან: **რეკომენდატორ-ი** — რეკომენდაციის გამწევი.

**რეკონვენცია** (ფრ. reconvention). მიგებებითი სარჩელი. მომჩივარზე სარჩელის შეტანა.

**რეკონსტრუქცია** (ლათ. reconstructio), გადაშენება, აღდგენა.

**რეკორდ-ი** (ინგლ. record), უაღრესი გამარჯვება სხვადასხვა შეჯიბრში, მაგ. სირბილში, ცურვაში. ჭადრაკის თამაშში, დოღში და სხვ.

**რეკრეაცია** (ლათ. recreatio), დასვენება მეცადინეობის შემდეგ, გაკვეთილების დროებით შეწყვეტა ბავშვების სათამაშოდ; აქედან: **რეკრეაციული დარბაზი** — მოწაფეების დასასვენებელი ოთახი სასწავლებელში.

**რეკრედიტივ-ი**, ლათ., ელჩის რწმუნების გამაუქმებელი ბარათი. უპირისპირდება აკრედიტივს (იხ.).

**რეკრუტ-ი** (ფრ. recrue), ახლად გაწვეული ჯარისკაცი.

**რეკტ-**, იხ. რექტ-.

**რელატივიზმ-ი** (ლათ. relatio „შეფარდება"), ფილოსოფიური მიმართულება — დამყარებული საგნების ურთიერთ შორის შეფარდებაზე ანუ ცოდნის რელატივობაზე (relativité): აქედან: **რელატიური** — შეფარდებითი.

**რელაცია** (relatio), მოხსენება, თხრობა; აქედან: **რელატორ-ი** — მომხსენებელი.

**რელიგია** (ლათ. religio), სარწმუნოება, ადამიანის სულიერი კავშირი ღვთაებისადმი და ამ კავშირის გამოსახვა გარეგნულ ფორმებში (იხ. კულტი), რელიგიის ისტორიული ფორმები: 1) **ფ ე ტ ი შ ი ზ მ ი** (იხ.); 2) **პ ო ლ ი თ ე ი ზ მ ი** (იხ.); 3) **მ ო ნ ო თ ე ი ზ მ ი** (იხ.); აქედან: **რელიგიური** — სარწმუნოებრივი.

**რელიკვები** (ლათ. reliquiae). წმინდანთა ნეშტი, ტანსაცმელი და სხვ.

**რელიეფ-ი** (ფრ. relief): 1) დაბლობ-მაღლობების გამოსახვა სიბრტყეზე; 2) დედამიწის ზედაპირის მოყვანილობა; აქედან: **რელიეფური** — თვალსაჩინოდ წარმოდგენილი.

**რელს-ი** (ინგლ. rail), რკინის გზის ლიანდაგი.

**რემარკა** (ფრ. remarquer — „შენიშვნა"). შენიშვნები წიგნის ან რვეულის ნაპირებზე.

**რემბრანდტი** (1609—69), სახელგანთქმული ჰოლანდიელი მხატვარი.

**რემედას-ი**, რევოლუც. მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება.

**რემედიუმ-ი** (ლათ. remedium), ფულის ნორმალური წონის კანონით ნებადართული შემცირება.

**რემესა** ანუ **რიმესა**, ლათ.-ფრ., ფულის გადასხდა თამასუქის საშუალებით; აქედან: **რემიტენტ-ი** — ის პირი, ვისაც გადასაგზავნი თამასუქით ფული უნდა მიეცეს.

**რემიზ-ი**, ფრ. (remise): 1) ბანქოს თამაშის დროს დაჯარიმება; 2) ქსელის გასაბამი ხელსაწყო საფეიქრო დაზგაში.

**რემინგტონ-ი**, ფილ. (დაიბ. 1816 წ.) — ამერიკელი გამომგონი საბეჭდ მანქანების, თოფების და სხვ.; ამავე სახელწოდების საბეჭდი მანქანა; აქედან: **რემინგტონისტ-ი** ან **რემინგტონისტკა** (რუს. დაბოლ.) — რემინგტონზე მომუშავე ვაჟი ან ქალი.

**რემონტ-ი** (ფრ. remonter): 1) შენობების ან მანქანების შეკეთება; 2) ცხენოსანთა ჯარის რაზმებად დაწყობა.

**რენან-ი**, ერნ. (Renan. 1823—92), ცნობილი ფრანგი მწერალი — ფილოსოფოსი. სახელი გაითქვა თავისი თხზულებით „ცხოვრება იესოსი". თარგმნილია ევროპის ყველა ენაზე, ქართულად — ია ეკალაძის მიერ.

**რენეგატ-ი** (იტ. renegato): 1) განდგომილი, ძველი რწმენის უარმყოფელი ადამიანი. თავის მსოფლმხედველობის მოღალატე; აქედან: **რენეგატობა** — რწმენის ან შეხედულობის უარყოფა, განდგომა.

**რენესანს-ი** (ფრ. renaissance—„აღორძინება"), ხელოვნებისა და მეცნიერების აღორძინება ანუ განახლება დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით იტალიაში მე-14 — 16 ს. ს. თავის იდეალს რენესანსი ეძებდა ანტიკურ (ძველი) ქვეყნების შემოქმედებაში და ჰბაძავდა მას. რენესანსის საუკეთესო წარმომადგენელნი იყვნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგში: მიქელ ანჯელო, რაფაელი, ლეონარდო-და-ვინჩი, ბოკაჩიო, დანტე, პეტრარკა და სხვ.

**რენომე** (ფრ. renommée), პატიოსანი სახელი, კარგი რეპუტაცია (იხ.).

**რენტა** (ფრ. rente „შემოსავალი"): 1 მიწის ან სახლის შემოსავალი; 2) გაცემულ თანხის ან გექირავებულ ქონების შემოსავალი (სარგებელი); აქედან: **რენტიე** ანუ **რენტიორი** — რენტით მცხოვრები.

**რენეტ-ი**, იხ. რანეტ-ი.

**რენტგენ-ი**, ვილჰელმი (1845 — 1923), გერმანელი ცნობილი ფიზიკოსი, 1895 წ. აღმოაჩინა უხილავი სხივები, ე. წ. „X ს ხ ი ვ ე ბ ი", რომელნიც გადიან არაგამჭვირვალე საგნებში; იწოდება აღმომჩენისავე სახელით — **რენტგენ-ის სხივები**.— **რენტგენოლოგია** — რენტგენის სხივების საშუალებით ადამიანის სხეულის შინაგანი ნაწილების გაშუქება და შესწავლა.

**რეომეტრ-ი**, ბერძ.: 1) წყლის ჰიდრავლურ ძალის საზომი იარაღი ანუ მდინარეთა სიჩქარის გასაზომი; 2) ელექტრონის ნაკადის ძალის საზომი იარაღი.

**რეომიურ-ი**, რენე-ანტუანი (1683 — 1757), ფრანგი ფიზიკოსი და ბუნებისმეტყველი. ამ სახელითვე ცნობილია მის მიერ გამოგონილი თერმომეტრი, დაყოფილი 80° მენაკად (გრადუსად).

**რეორგანიზაცია**, ლათ., გარდაქმნა, გადახალისება, გადაკეთება; აქედან: **რეორგანიზატორ-ი** — რეორგანიზაციის მომხდენი.

**რეოხკოპ-ი**, იხ. მულტიპლიკატორი.

**რეოსტატ-ი**, ლათ., ელექტროდენის რეგულატორი ანუ მომწესრიგებელი ხელსაწყო.

**რეოფორ-ი**, ლათ. გალვანურ ბატარეის შემაერთებელი მავთული.

**რეპარაცია** (ლათ. reparare „აღდგენა"). ზარალის ანაზღაურება ფულის ან სხვა სახით; აქედან: **რეპარაციული გადასახადი** — საომარი მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

**რეპატრიაცია**, ლათ., ემიგრანტების (იხ.) სამშობლოში დაბრუნება.

**რეპერტუარ-ი** (ფრ. répertoire — „ცხრილი, ნუსხა"): 1) მუსიკალურ ან დრამატიულ ნაწარმოებთა (პიესების) სია, რომელიც უნდა შესრულებულ იქნეს თეატრში განსაზღვრულ დროს განმავლობაში; 2) მსახიობის ყველა როლი.

**რეპეტიცია** (ლათ. repetitio): 1) ამა თუ იმ პიესის ანუ მუსიკალური ნაწარმოების მომზადება; **გენერალური რეპეტიცია** — უკანასკნელი სანიმუშო შესრულება; 2) განვლილი კურსის განმეორება; აქედან: **რეპეტიტორ-ი** — მასწავლებელი, მოწაფის ხელმძღვანელი განვლილი კურსის განსამეორებლად.

**რეპლიკა** (ფრ. répliquer): 1) პასუხზე პასუხის გაცემა, სიტყვის შებრუნება, მოსწრებული, სხარტი შენიშვნა შუალაპარაკის დროს; 2) მსახიობის როლის უკანასკნელი სიტყვა, რომლის შემდეგ მეორე მსახიობი იწყებს თავის როლს, აქედან: რ ე პ ლ ი კ ი ს მ ი ც ე მ ა.

**რეპორტ-ი** (ინგლ. report), შესყიდულ ფასიან ქაღალდების ძვირად გაყიდვა.

**რეპორტერ-ი** (ინგლ. reporter — მომხსენებელი). გაზეთის თანამშრომელი. რომელიც რედაქციას სხვადასხვა ცნობებს და ახალ ამბებს აწვდის.

**რეპრეზენტანტ-ი** (ფრ. représentant), წარმომადგენელი, მოადგილე; **რეპრეზენტაბელური** — წარმოსადეგი, ლამაზი; **რეპრეზენტატიული სისტემა** — სახელმწიფოებრივ მართველობის წარმომადგენლობითი ანუ პარლამენტარული სისტემა; **რეპრეზენტაცია** — წარმომადგენლობა, წარმოდგენა; აქედან: **რეპრეზენტაციული ფულები** — წარმომადგენლობითი ფულება.

**რეპრესია** (ლათ. repressio). შევიწროება. სასტიკი ზომების მიღება; აქედან: **რეპრესიული** — შემავიწროვებელი, იძულებითი.

**რეპრესალიები** (ფრ. représaille): 1) შემავიწროვებელი ზომების მიღება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ; 2) შურის ძიება ამა თუ იმ მოქმედების საშუალებით.

**რეპრიზ-ი** (ფრ. reprise): 1) წართმეული ქონების ხელახლად დაბრუნება ზღვაზე ომის დროს; 2) მუსიკალური პიესის მთავარი ნაწილის დაბრუნება.

**რეპრიმანდ-ი** (ფრ. réprimande). საყვედურის გამოცხადება, შენიშვნა.

**რეპროდუქცია** (ლათ. reproductio): აღდგენა; 2) წარმოების განმეორება; აქედან: **რეპროდუქციული** — აღდგენითი, განმეორებითი, — **რეპროდუცენტ-ი** — აღმდგენი.

**რეპტილიები**, მრავლ. (ლათ. reptilia), ქვეწარმავალნი; აქედან: **რეპტილური პრესა** — ისეთი ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც ქედს იხრის ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე და მონურად ემორჩილება მთავრობას.

**რეპუტაცია** (ფრ. reputation). საზოგადოების შეხედულება ანუ აზრი ამა თუ იმ პიროვნებაზე; საზოგადოებაში დამსახურებული სახელი.

**რეჟიმ-ი** (ფრ. regime, ლათ. regimen): 1) სახელმწიფოებრივ მართველობის წესწყობილება; 2) ცხოვრების წესი, ნაკარნახევი ავადმყოფისადმი ექიმის მიერ. მაგ. დიეტა (იხ.) და სხვ.

**რეჟისორ-ი** (ფრ. régisseur), პიესის დადგმის ხელმძღვანელი, როლების განმანაწილებელი, მსახიობთა გამწრთვნელი და სხვ.; აქედან: **რეჟისურა** — : 1) პიესის დადგმის ხელმძღვანელობა, გაწრთვნა-მომზადება და სხვ.; 2) რეჟისორთა კოლეგია.

**რესკონტრო** (ლათ. rescontro): 1) თანხის გადატანა ერთი ანგარიშიდან მეორეზე; 2) საანგარიშო დავთარი.

**რესკრიპტ-ი** (ლათ. rescriptum), მეფის სიგელი ანუ წერილი ამა თუ იმ ქვეშევრდომის სახელზე; **რესკრიპცია** (ფრ. rescription): 1) საფრანგეთის რევოლუციის დროის სახელმწიფო ვალდებულებანი; 2) წერილობითი თავდები ფულის მიღების დროს.

**რესპექტაბელური** (ინგლ. respectable), პატივსაცემი, ღირსეული.

**რესპირაცია** (ლათ. respirare „სუნთქვა"), ჰაერის ამოსუნთქვა და ჩასუნთქვა; აქედან: **რესპირატორ-ი** — ბადის მსგავსი ხელსაწყო, რომელსაც ავადმყოფს სახეზე აცმევენ გამთბარ და სუფთა ჰაერის სასუნთქად.

**რესპუბლიკა** (ლათ. res-publica „საზოგადოებრივი საქმე"), სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ფორმა, სადაც უმაღლესი ძალა-უფლება ერთ პიროვნებას-კი არ ეკუთვნის, არამედ რომელიმე წოდებას ან მთელ ხალხს. ამისდა მიხედვით რესპუბლიკა შეიძლება იყოს არისტოკრატული, დემოკრატიული და სოციალისტური. პირველის მაგალითს წარმოადგენს ძვ. სპარტა, ათინა (საბერძნეთში), ვენეცია, გენუა (იტალიაში), მეორის — თანამედროვე შვეიცარიის, ამერიკის და სხვ., მესამის — საბჭოთა კავშირი; აქედან: 1) **რესპუბლიკანელი** — : ა) რესპუბლიკანურ წყობილების მომხრე, დამცველი; ბ) რესპუბლიკანურ სახელმწიფოს მოქალაქე; 2) **რესპუბლიკანიზმ-ი** — აზროვნების რესპუბლიკანური მიმართულება; 3) **რესპუბლიკანური** ანუ **რესპუბლიკური** — რესპუბლიკის შესახები ანუ მისგან წარმოქმნილი.

**რესტავრატორ-ი** (ლათ. restaurare „აღდგენა"): 1) ძველ დაზიანებულ მხატვრულ ნაწარმოებთა აღმდგენი; 2) დამხობილ წეს-წყობილების ან დინასტიის აღმდგენი; აქედან: **რესტავრაცია** — აღდგენა ძველი მთავრობის, გადაყენებულ დინასტიის (იხ.), დამხობილ წეს-წყობილების და სხვ.

**რესტიტუცია** (ლათ. restitutio), უფლების აღდგენა ანუ ძველი მდგომარეობის დაბრუნება.

**რესტორან-ი** (ფრ. restaurant), სასადილო, მაგარ სასმელებით სავაჭრო; აქედან: **რესტორატორ-ი** — რესტორანის პატრონი.

**რესურს-ი** (ფრ. ressource), ცხოვრების წყარო ანუ საშუალება.

**რეტირადა** (ფრ. retirer), უკან დახევა; ფეხისადგილი.

**რეტორიკა**. იხ. რიტორიკა.

**რეტორსია** (ფრ. rétorsion), საპასუხო გადახდა, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის საწინააღმდეგოდ ზომების მიღება.

**რეტორტა** (ლათ. retortus), სითხის გამოსახდელი ხელსაწყო ქიმიურ ლაბორატორიაში (მინის ან ლითონის).

**რეტროგრად-ი** (ლათ.-ფრ. retrograder „უკან დახევა"), გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანი, ძველი წესწყობილების მომხრე, რეაქციონერი (იხ.); აქედან: **რეტროგრადობა** — ჩამორჩენილობა, დაქვეითება, — უპირისპირდება პროგრესს ანუ წინმსვლელობას.—**რეტროსპექტიული** (ლათ. retro-aspicere—„უკუ ხედვა"), წარსულის თვალის გადავლება. უკუქცევითი პიმოხილვა.

**რეტუშ-ი** (ფრ. retoucher „შესწორება"), ფოტოგრაფიული სურათის (ნეგატივის) ხელით შესწორება ანუ გაშალაშინება.

**რეფერატ-ი** (ლათ. referre — „მოხსენება"), საჯარო მოხსენება ამა თუ იმ სამეცნიერო ან საზოგადოებრივ საკითხზე; აქედან: **რეფერენტ-ი** — მომხსენებელი.

**რეფერენდუმ-ი** (ლათ.), საკანონმდებლო წესით გადაჭრილ საკითხების საბოლოო დასტური ხალხის უშუალო ხმის მიცემით (მაგ. შვეიცარიაში).

**რეფლექს-ი** (ლათ. reflectere „გამოკრთომა"). გარეშე გაღიზიანებით გამოწვეული უნებლიეთი და არა-შეცნობილი მოძრაობა; **რეფლექსია** — შუქის გამოკრთომა ანუ ანარეკლი; აქედან: **რეფლექსური** — უნებლიეთი; **რეფლექსოლოგია** (ლათ.-ბერძ.) — ადამიანის ფსიქიურ ანუ სულიერ მოვლენათა შესწავლა ბიო-სოციოლოგიური თვალსაზრისით, ე. ი. მისი გარეგან მოქმედების, მიმიკის, ხმის და სხვ. ნიშნების მიხედვით (იხ. ბიჰევიორიზმი).

**რეფლექტორ-ი**, ლათ.. 1) შუქის ამნარეკლი; შორეულ საგანთა მჭვრეტი იარაღი (მაგ. ასტრონომიაში).

**რეფორმა** (ლათ. reformare): 1) გარდაქმნა; 2) სახელმწიფო წესწყობილების თანდათანობითი შეცვლა საკანონმდებლო გზით; აქედან: **რეფორმატორ-ი** — გარდამქმნელი ანუ რეფორმების მომხრენი.

**რეფორმატული ეკლესია**—ცვინგლისა (1484 1531) და კალვინის (1509 — 64) მიერ დაარსებული ეკლესია. განირჩევა ლუთერანულ ეკლესიისაგან უკიდურესი პიმართულებით, მაგალითად: სრულიად უარჰყოფს სარწმუნოების გარეგნულ მხარეს. რეფორმატული სარწმუნოება გავრცელებულია შვეიცარიას, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიას, ჰოლანდიასა, შოტლანდიაში და სხვ.; **რეფორმისტ-ი**— რეფორმების მომხრე (იხ. რეფორმა 1, 2).

**რეფორმაცია** (ლათ. reformacio — „გარდაქმნა"). რელიგიური მოძრაობა მე-16-ე საუკ. მიმართული ფეოდალურ რეჟიმის და კათოლიკური (რომის) ეკლესიის განუსაზღვრელი ბატონობის წინააღმდეგ. რეფორმაციის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო მარტინ ლუთერი (1483—1546). 1519 წ. ლუთერმა თავის მრავალრიცხოვან მიმდევრებით საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი კათოლიკურ ეკლესიასთან და ამით საძირკველი ჩაუყარა ახალ სარწმუნოებრივ მოძღვრებას, რომელსაც პ რ ო ტ ე ს ტ ა ნ ტ ი ზ მ ი ეწოდა. შემდეგში ეს უკანასკნელი დაიყო ორ შტოდ: ლ უ თ ე რ ა ნ უ ლ და რ ე ფ ო რ მ ა ტ უ ლ ეკლესიებად.

**რეფრაქტორ-ი** (ლათ. refringere — „კარჩათეხა"). ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ა შ ი: დურბინდი ანუ შორმჭვრეტი იარაღი, ჭოგრი, რომელშიაც შორეულ საგნების, მაგ. ვარსკვლავთა გამონაკრთომი სხივების გარდატეხა ხდება (იხ. ტელესკოპი).

**რეფრაქცია** (ლათ. refringere). სხივების გარდატეხა.

**რეფრიჟერატორ-ი** (ლათ. refrigerare —„გაციება"), საყინულე, სასმელების გასაციებელი მოწყობილობა ღვინის სარდაფებში.

**რექტიფიკატორ-ი** (ლათ. rectus-facere „გასწორება, დაწმენდა"). სპირტის ხელახლად გამოსახდელი (დასაწმენდი) მოწყობილობა; აქედან: **რექტიფიკაცია** — : 1) სითხის ხელმეორედ გამოხდა: 2) მრუდი ხაზის ნამდვილი სიგრძის პოვნა.

**რექტორ-ი** (ლათ. rector, regere — „მართვა"), უმაღლეს სასწავლებლის მმართველი პროფესორი.

**რეჩიტატივ-ი** (ლათ. recitare — „ხმა-მაღლა კითხვა“), ერთგვარი მღერა, რომელიც ლაპარაკს წააგავს; **რეჩიტატორ-ი** (ლათ. recitator), ხმამაღლა მკითხველი ანუ სიმღერით მოლაპარაკე.

**რეჩ პოსპოლიტა**, პოლ., პოლონეთის სახელმწიფოს ისტორიული სახელწოდება.

**რეცენზია** (ლათ. recensio—„განხილვა, გარჩევა“), მხატვრულ ან მეცნიერულ ნაწარმოების მოკლე განხილვა-შეფასება; აქედან: **რეცენზენტ-ი** — რეცენზიის დამწერი.

**რეცეპტ-ი** (ლათ. recipere — receptum — „მიღება“), ექიმის მიერ გამოწერილი ბარათი წამლის დასამზადებლად და მისაცემად; აქედან: **რეცეპტურა** — სწავლა წამლების შემზადების შესახებ.

**რეცეპცია** (ლათ. receptio). მიღება, მაგ. რომის სამართლის რეცეპცია—მისი მოქმედ კანონად გამოცხადება და მიღება საფრანგეთს, გერმანიასა და სხვ. ქვეყნებში.

**რეციდივ-ი** (ლათ. recidivus — „განმეორება“): 1) სისხლის სამართლის დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა; 2) ავადმყოფობის შექცევა; აქედან: **რეციდივიზმ-ი** — მოვლენათა განმეორება; **რეციდივისტ-ი** — დანაშაულობის ხელმეორედ ჩამდენი სასჯელის მოხდის შემდეგ; გამოუსწორებელი ანუ პროფესიონალური ბოროტმოქმედი.

**რიგვედა**, სანსკრ., ინდოელთა საღვთო სჯულის წიგნების უძველესი ნაწილი.

**რიგორიზმ-ი** (ლათ. rigor — „სისასტიკე, სიმტკიცე“), უაღრესი ზნეობრივი სიმტკიცე და სისასტიკე; აქედან: **რიგორისტ-ი** — : 1) სასტიკი ზნეობის ადამიანი; 2) მოვალეობის მტკიცე აღმასრულებელი.

**რიგსდაგ-ი**, დან., დანიის პარლამენტი.

**რიდიკულ-ი**, იხ. რედიკული.

**რივიერა**, ლათ.-იტ., ხმელთა შუა ზღვის ნაპირი ნიცადან სპეციამდე. — განთქმული ჰავით და სილამაზით.

**რითმა**, ბერძ., ბგერათა შეთანხმება ანუ შეწყობა, ლექსების კეთილხმოვანი დაბოლოვება; აქედან: **რითმიული** — კეთილხმოვანი, შეწყობილი.

**რიკარდო, დავიდ** (1772—1823), ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი, ე. წ. კლასიკური სკოლის დამაარსებელი პოლიტიკურ ეკონომიაში. მეცნიერულად დაამუშავა ღირებულების, კაპიტალის და მიწის რენტის თეორია. ყველა ამ საკითხს რიკარდო უდგებოდა კაპიტალისტური თვალსაზრისით და იცავდა თავისუფალ ვაჭრობას. შემდეგში მარქსმა განავითარა რიკარდოს თეორია და მისცა მას სოციალისტური დასაბუთება.

**რიკოშეტ-ი** (ფრ. ricochet — „აცდენა“): 1) ზარბაზნის ტყვიის ასხლეტა; 2) საერთოდ სხეულის ტეხილი ხაზით მოძრაობა. გადატ. მნიშვნ.: მიზნის აცდენა, როცა ერთს უმიზნებენ — მეორეს ხვდება.

**რიმესა**, იხ. რემესა.

**რინოკეფალ-ი**, ბერძ., მახინჯი, ცხვირ-გამრუდებული ადამიანი.

**რინოლოგია** (ბერ. Rhinologia), სწავლა ცხვირის აგებულობის და დაავადების შესახებ.

**რინოპლასტიკა** (ბერძ. Rhinoplastica), დაზიანებული ცხვირის ხელოვნურად გაკეთება.

**რინოსკოპ-ი** (ბერძ. Rhinoscop), ცხვირის ღრუს მაჩვენებელი სარკე.

**რისკ-ი** (ფრ. risque), გამბედაობა, ალალბედად მოქმედება, საშიშ ნაბიჯის გადადგმა. იხ. ვაბანკი.

**რიტმ-ი**, ბერძ., ზომა, თანასწორობა: 1) პოეზიაში — ბგერათა თანასწორ-ზომიერი ამაღლება-დადაბლება; 2) მუსიკასა და ცეკვაში — ტაქტი, თანასწორზომიერი რხევა; აქედან: **რიტმიული** — შეწყობილი, ზომიერი.

**რიტორ-ი**, ბერძ., მჭევრი, მჭევრმეტყველი, ორატორი (იხ.); **რიტორიკა** — მჭევრმეტყველების მეცნიერება; აქედან: **რიტორიული**—მჭევრმეტყველური.

**რიტუალ-ი** (ლათ. ritus — „რელიგიური წესი“). საეკლესიო წესი ანუ ცერემონიალი.

**რიფები**, მრავლ.: 1) წყალქვეშა ვიწრო ქვის ტიხრი; 2) იალქნის თოკები; 3) მუსულმანურ სარწმუნოების ხალხი მაროკოში.

**რობესპიერ-ი, მაქსიმილიან** (Robespierre, 1758—94), საფრანგეთის რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე, დამფუძნებელი კრების და კონვენტის წევრი. როგორც იაკობინელთა კლუბის ხელმძღვანელი, აწარმოებდა სასტიკ ტერორს

ჟირონდისტების (იხ.) წინააღმდეგ და უკანასკნელ წლებში შეიქნა რევოლუციონურ მთავრობის ფაქტიური მმართველი. ბოლოს დასაჯეს გილიოტინით თავის მიმდევრებთან ერთად (1794).

**რობინზონ-ი**, ინგლისელ მწერლის დანიელ დეფოს (1661—1731) რომანის „რობინზონ კრუზო"-ს (თარგმნილია ქართულად) მთავარი გმირი; აქედან: **რობინზონადა** — დეფოს რომანის გმირის რობინზონის მიბაძვა; საზღაპრო თავგადასავალი იმ სახით, როგორც ეს რობინზონ კრუზომ განიცადა.

**როგაცია** (ლათ. rogalio), კანონ-პროექტი ძველ რომში.

**როდბერტუს-ი** ანუ **როდბერტუს-იაგენცოვ-ი** (1805—75), გამოჩენილი გერმანელი ეკონომისტი და სახელმწიფოებრივი სოციალიზმის მთავარი თეორეტიკოსი.

**როდენ-ი**, ოგიუსტ (დაიბ. 1840 წ.), სახელგანთქმული ფრანგი მოქანდაკე. ცნობილია მისი ქანდაკებანი: „ადამიანის შექმნა", „ბჭენი ჯოჯოხეთისანი", „ევა" და სხვ.

**როდოდენდრონ-ი** (ლათ. Rhododendron), იელი, — ვარდისფერ ან იისფერ ყვავილებიანი მცენარე, ქოლგის მოყვანილობისა, მაგარი ფოთლებით.

**როზენკრეიცერები**, მრავლ. (გერმ. Rosenkreuser), მე-17 ს. საიდუმლო საზოგადოება, რომლის მიზანი იყო სამარადისო ბედნიერების დამყარება.

**როზეოლა** (ლათ. roseola), წითელი ლაქები სხეულზე გადამდებ სნეულების დროს.

**როზეტ-ი**, ფრ., ერთგვარ მოყვანილობის ალმასი ბრტყელი ძირით და მრავალი წახნაგით ზევიდან.

**როზეტკა** (ფრ.-ლათ. rosette, რუს. დაბოლ.): 1) არქიტექტურა-ში — ჩამოსხმული ან გამოქანდაკებული ორნამენტი ვარდის მოყვანილობისა. იხმარება შენობის გასალამაზებლად; 2) ვარდის მოყვანილობის ფანჯარა ფერადი მინებით; 3) არქიტექტურული მოსართავი კედლებზე, გრეხილი; 4) ვარდის მოყვანილობის არშია; 5) შანდალზე ჩამოცმული რგოლი სანთლის ღვენთისაგან დასაცავად.

**როზმარინ-ი** (ლათ. rosmarinus), მუდმივ მწვანე და სურნელოვანი მცენარე (სამხრეთ ევროპაში), საიდანაც სურნელოვან ზეთს, სპირტს და მალამოს ამზადებენ.

**როიალ-ი** (ფრ.), ერთგვარი მუსიკალური სიმებიანი ინსტრუმენტი, აწყობილი შვიდი ოქტავით, სამკუთხიანი, სიგრძით 3 არშინამდის (იხ. ფორტეპიანო).

**როიალიზმ-ი** (ფრ. royal — მეფური), მეფისადმი ერთგულება, მეფური ხელისუფლების მომხრეობა; აქედან: **როიალისტები** (მრავლ.) — მეფის განუსაზღვრელი ძალა-უფლების მომხრენი; საფრანგეთში — ბურბონთა დინასტიის მომხრენი (იხ. ლეგიტიმიზმი).

**როკოკო**, ფრ. (rococo), ერთგვარი სტილი დეკორატიულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში, განვითარდა საფრანგეთში — ლუი XV (1710—74) დროს. როკოკოს სტილის დამახასიათებელია: მდიდარი და მოხდენილი ჩუქურთმები, ლია, მხიარული ფერები, მოოქროვება და სხვ. ამ სტილით ამზადებენ ავეჯს, ფაიფურს და სხვ.

**როკ-ფელერ-ი**, გამოჩენილი ამერიკელი მილიარდერი.

**როლ-ი** (ფრ. rôle): 1) მსახიობის მიერ ამა თუ იმ გმირის სცენაზე განსახიერება; 2) ადამიანის განსაკუთრებული მოქმედება ანუ დანიშნულება სახელმწიფოში, საზოგადოებაში და სხვ.

**რომან-ი** (ფრ. roman): 1) ლიტერატურულ ნაწარმოებთა ერთგვარი ფორმა, სადაც მხატვრულად აღწერილია ხალხის ზნე-ჩვეულება. რაიმე ფანტასტიური ისტორია, მიჯნურთა თავგადასავალი და სხვ.; 2) სასიყვარულო ამბავი, გამიჯნურება; აქედან: **რომანიული** — სასიყვარულო, სატრფიალო. — **რომანისტ-ი**—: 1) რომანების მწერალი; 2) რომანულ ენების მცოდნემკვლევარი.

**რომანიზაცია** (ლათ. romanitas), რომაელთა კულტურის გავლენა სხვა ხალხზე.

**რომანიზმ-ი** (ლათ. romanus): 1) საშუალო საუკუნოების სხვადასხვა მოვლენათა და დაწესებულებათა რომაულ გავლენით ახსნა; 2) რომანული ენების თავისებურობა; 3) რომანიული ხასიათი.

**რომანოვები**, მრავ., რუსეთის სამეფო დინასტია (1613—1917), რომლის პირველი წარმომადგენელი იყო მიხეილ თევდორეს-ძე რო-

მანოვი, უკანასკნელი — ნიკოლოზ II. რომანოვების ტახტი დაემხო 1917 წ. თებერვლის რევოლუციის დროს.

**რომანული ენები**, ლათინურიდან წარმოშობილი ენები: ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული.

**რომანს-ი** (ფრ. romance): 1) ლირიული ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 2) მოკლე ლირიული სასიმღერო ლექსი.

**რომანტიზმ-ი** (ფრ. romantisme): 1) ერთგვარი მიმართულება ევროპიულ ლიტერატურაში (მე-19-ე ს. პირველ ნახევარს), რომელსაც ახასიათებს პოეტურ შემოქმედების თავისუფალი ფორმა, გრძნობის და ფანტაზიის გაბატონება. უპირისპირდება ცრუ-კლასიკურ პოეზიას; 2) თავისებური სულიერი განწყობილება, უნიადაგო იდეალიზმისადმი მისწრაფება; აქედან: **რომანტიული** — მეოცნებე; **რომანტიკ-ი** ანუ **რომანტიკოსი** (ფრ. romantique): 1) რომანტიზმის მიმდევარი ლიტერატურაში; 2) მეოცნებე, ფანტაზიორი.

**რომაული ციფრები**, რომაელების მიერ შემოღებული და დღემდის ხმარებული რიცხვები (I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX და სხვ.).

**რომბ-ი**, ბერძ., გეომეტრიული თანასწორგვერდიანი ოთხკუთხედი, მოპირდაპირე პარალელური გვერდებით (ორი მოპირდაპირე კუთხე ბლაგვია და ორიც მახვილი); **რომბოიდები** — მრავ., — მოვრძო რომბის მაგვარი სხეულები არა-თანასწორ გვერდებით; **რომბიული სისტემა** — რომბის მაგვარი მოყვანილობის კრისტალური ჯიშები; **რომბოედრ-ი** — ექვს რომბოიდალურ სიბრტყიანი გეომეტრიული სხეული.

**რომეო**, საკ. სახ., შექსპირის ტრაგედიის „რომეო და ჯულიეტა"-ს მთავარი გმირი.

**რომ-ი**, იტ.: 1) თანამედროვე იტალიის და ძველ რომაელების სატახტო ქალაქი; აქედან: **რომის სამართალი** — ძველ რომაელების მიერ შედგენილი კანონთა კრებული (იხ. იუსტინიანის კოდექსი); 2) ინგლ., სპირტის მაგარი სასმელი.

**რონდო** (ფრ. rondeau): 1) ლექსთაწყობის ერთგვარი ფორმა, შესდგება 13 იამბიკურ სტროქონისაგან ორი რითმით; 2) მუსიკალურ ნაწარმოების განსაკუთრებული ფორმა, შესდგება ორ თემასაგან. ამასთანავე მთელი შინაარსი ერთ თემას ირგვლივ ტრიალებს.

**როსინანტა**, ესპ., დონკიხოტის ცხენის სახელწოდება; გადატ. მნიშვნ.: ჯანდაგი ცხენი.

**როსტბიფ-ი**, ინგლ., საქონლის სუკი, ოდნავ შემწვარი და სისხლ-ნარევი.

**როტა** (გერმ. rotte), გუნდი, ჯარის ნაწილი.

**როტაცია** (ლათ. rotare — „სრბოლა"), საგნის წრისებური მოძრაობა თავის ღერძის გარშემო; პლანეტების მოძრაობა მზის გარშემო; აქედან: **საროტაციო მანქანა** — მანქანა, სადაც ორთქლის ძალა წრისებურ მოძრაობას იწვევს უშუალოდ, მაგ., გაუმჯობესებული სწრაფლმბეჭდავი მანქანა მოძრავი ბორბლით.

**როტმისტრ-ი**, ევროპ., ცხენოსანთა ესკადრონის უფროსი, ობერ-ოფიცრის ხარისხი, უდრის ქვეითა ჯარის კაპიტანს.

**როტონდა** (ლათ. rotundus — „მრგვალი"): 1) მრგვალ-გუმბათიანი შენობა; 1) ქალების უსახელოებო გრძელი წამოსასხამი.

**რუბენს-ი**, საკ. სახ., ცნობილი ფლამანდიელი მხატვარი (1577 — 1640). დასტოვა 1500-დე სურათი, მხატვრობის სხვადასხვა გვარისა.

**რუბიკონ-ი** (ლათ. rubico): 1) ჩრდ. იტალიაში მდინარე, რომელიც იულიოს კეისარმა გადალახა (49 წ. ქ. წ.), წინააღმდეგ სენატის დადგენილებისა; 2) გადატ. მნიშვნ.: სიძნელის გადალახვა, გაბედულ ნაბიჯის გადადგმა.

**რუბინ-ი** (ლათ. rubens — „წითელი"), ძვირფასი ძოწეულის ფერი ქვა, გამჭვირვალე.

**რუბრიკა** (ლათ. rubrica — „წითელი საღებავი"): 1) განყოფილება ანუ კარი ძველ რომში — კანონის პირველი სიტყვა ან სათაური. იწერებოდა ჩვეულებრივ წითელი მელნით; აქედან: რ უ ბ რ ი კ ა, ანუ „წითელი საღებავი".

**რუდიმენტ-ი** (ლათ. rudimentum — დასაწყისი, პირველი ცდა), ჩანასახი ორგანო, განუვითარებელი ნაწილი ადამიანის სხეულისა, მაგ., კუდი, ბრმა ნაწლავი და სხვ., აქედან: **რუდიმენტური** — განუვითარებელი, უსარგებლო, პირველყოფილი.

**რუინა** (ლათ. ruina — დამხობა), ძველ შენობების და ციხე-ქალაქების ნანგრევები.

**რულეტკა** (ფრ. roulette): 1) ერთგვარი აზარტული თამაში (იხ. აზარტი); 2) რულეტის სათამაშოს ხელსაწყო; 3) საზომი ლენტა — პატარა კოლოფში დახვეული; 4) ხვეული.

**რუმინია**, იგივე რუმინეთი, მდ. დუნაის ნაპირას მდებარე სახელმწიფო. სატახტო ქალაქი — ბუქარესტი.

**რუმპელ-ი** (ლათ. rumpere — შეჩერება, მობრუნება), საჭის მოსაბრუნებელი ბერკეტი გემზე.

**რუნები**, სკანდ., (მრავლ.): 1) ძველი გერმანული ხელნაწერები; 2) ფინეთის ხალხური სიმღერები.

**რუპია**, ინდ., ვერცხლის ანუ ოქროს ფული ინდოეთში.

**რუპორ-ი**, პოლ., ხმის გასაძლიერებელი მილი.

**რუსები** (მრავლ.), რუსეთის მკვიდრი მოსახლეობა, სლავიანურ-ფინურ მოდგმის ხალხი; **რუსეთი** (ქართ. დაბოლ.).—აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე ქვეყანა. საზღვრავს: ჩრდილოეთით — ჩრდილო-ყინულის ოკეანე და თეთრი ზღვა, დასავლეთით — ბალტიის სახელმწიფოები, პოლონეთი და რუმინეთი, სამხრეთით — შავი ზღვა და კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით — ურალის ქედი.

**რუსიფიკაცია**, გარუსება, რუსული ენის და ზნე-ჩვეულების ძალით გავრცელება; **რუსიფიკატორ-ი** — რუსიფიკაციის მომხრე; **რუსოფილი**, რუს.-ბერძ. — რუსეთის მოსიყვარულე; **რუსოფილობა** — რუსეთის სიყვარული; **რუსოფობია**, რუს.-ბერძ. — რუსეთის სიძულვილი; **რუსოფობ-ი** — რუსეთის მოძულე.

**რუსო**, ჟ ა ნ ჟ ა კ (Rousseau, 1712—78), სახელგანთქმული ფრანგი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოაზროვნე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინამორბედი და სულის ჩამდგმელი. სახელი გაითქვა თავის თხზულებებით: „საზოგადოებრივი ხელშეკრულება" — „Du contrat social", „ემილი", „ახალი ელოიზა", „აღსარება", „მსჯელობა" და სხვ., სადაც იგი მჭერმეტყველურად ასაბუთებდა და იცავდა ხლხის სუვერენიტეტს (ძალა-უფლებას), თავისუფლებას, ძმობას, ერთობას და სხვ., ებრძოდა ცივილიზაციის უარყოფით მხარეებს და კაცობრიობას მოუწოდებდა ბუნებისა და პირველყოფილ ადამიანის თავისუფალ ცხოვრებისაკენ.

**რუტინა** (ფრ. routine): 1) ერთ ადგილას შეჩერება; 2) დაძველებული ზნე-ჩვეულება და აზროვნება; აქედან: **რუტინერ-ი**—რუტინის მომხრე, ჩვეულების მორჩილი; 2) ახალის მტერი და ძველი ადათების მომხრე.

**რუფაიები**, ოსმ., მრავლ., მტირალი დერვიშები (იხ. დერვიში).

# ს

**საადი**, საკ. სახ. (1184—1291), სახელგანთქმული სპარსელი მგოსანი. მის ნაწარმოებთა შორის შესანიშნავია „გიულისტან" (ვარდის ბაღი), „ბოსტან" (ხეხილის ბაღი) და მრ. სხვ.

**საბაოთ-ი**, ებრ. („ძალა", „მხედრობა"). ღვთაების ერთ-ერთი სახელწოდებათაგანი.

**საბეიზმ-ი** ან **საბაიზმ-ი** (ებრ. saba — „მხედრობა", „ანგელოზთა მხედრობა ცაში"), ცის მნათობთა თაყვანისცემა, გავრცელებული იყო ბაბილონს, ასურეთსა, არაბეთში და სხვ.

**საბეელები** — : 1) სამხრეთ არაბეთის მცხოვრებნი ძველად, ეხლა: იემენის მცხოვრებნი: 2) ვარსკვლავთა თაყვანისმცემელნი.

**საბელიანელები**, მრავლ., მე-III-ე საუკ. ეპისკოპოსის საბელიუსის (Sabellius) მიერ აფრიკაში დაარსებული ქრისტიანული სექტა, ღვთაების ერთპიროვნობის მღიარებელი; აქედან: **საბელიანიზმ-ი** — საბელიანების მოძღვრება.

**საბინები**, მრავლ., (ლათ. sabini), ძველად (ქრ. დაბ. წ.) შუა იტალიაში მცხოვრები ხალხი. ინდო-ევროპიული ოჯახის.

**საბოტაჟ-ი** (ფრ. sabot — „ხის ფეხსაცმელი", „ცუდი რამ ნივთი", saboter — „ხის ფეხსაცმელის კეთება", sabotage—„ცუდად კეთება"): 1) საქმის ნაჩქარევად და ცუდათ შესრულება; 2) ერთგვარი გაფიცვა, რომელიც გამოიხატება გულ-აცრუებულ მუშაობაში, მანქანების

ან მასალის განზრახ დაზიანებაში, საქმის წარმოების დაბრკოლებაში და სხვ.; აქედან: **საბოტაჟნიკ-ი** (რუს. დაბოლოებით) — საბოტაჟის ჩამდენი.

**საგა**, სკანდ.: 1) ხალხური ზეპირგადმოცემა ანუ ეპოსი; 2) სკანდინავიურ მითოლოგიის ქალღმერთი.

**საგიტალური** (ლათ. sagittare-დან), სხეულის შუა ხაზი, მედიალურის პარალელური, სხეულს სჭრის წინა-უკანა მიმართულებით.

**სადიზმ-ი**, ფრ., პათოლოგიური სქესობრივი გრძნობა, როდესაც ადამიანი სქესობრივ სიამოვნებას განიცდის სხვისი ტანჯვით. [სახელწოდება წარმოსდგა ფრანგ მწერალ მ ა რ კ ი ზ დ ე-ს ა დ-ისაგან (1740 — 1814), რომელიც შეპყრობილი იყო ამ სენით]; აქედან: **სადისტ-ი** — სადიზმით დაავადებული.

**სადუკეველნი**, მრავლ., ებრ., ძველ ებრაელთა რელიგიური სექტა, ბაბილონის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ დაარსებული: უარჰყოფდა გადმოცემას, საიქიო ცხოვრებას, საეკლესიო წესებს, ასკეტიზმს, სულის უკვდავებას და სხვ., კანონიერად მიაჩნდა მხოლოდ მოსე წინასწარმეტყველის ხუთი წიგნი. ჰქადაგებდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებით დატკბობას. ამ სექტას ეკუთვნოდა უმაღლეს სასულიერო წოდების, არისტოკრატიის და განათლებული საზოგადოების ნაწილი.

**სავოიარები**, მრავლ., ფრ. (savoie): 1) საფრანგეთის და შვეიცარიის საზღვარზე მცხოვრები ხალხი; 2) მოხეტიალე მუსიკოსები.

**სავონაროლა**, ი ე რ ო ნ ი მ ე (1452 — 98), ცნობილი იტალიელი რეფორმატორი. სასტიკად ჰკიცხავდა სამღვდელოებას, მთავრობის და მდიდარ ხალხის უზნეო ცხოვრებას, ჰქადაგებდა თავდაჭერილ — ასკეტურ ცხოვრებას და მოითხოვდა თეოკრატიულ-რესპუბლიკანურ სახელმწიფოს დაარსებას. შეიპყრეს პაპის ალექსანდრე (VI) ბორჯიას განკარგულებით და დასწვეს, როგორც ერეტიკოსი (1498 წ. მაისის 22).

**საკვოიაჟ-ი** (ლათ. saccus—„პარკი" და ფრ. voyage — „მგზავრობა"): 1) ტყავის ან ტილოს სამგზავრო ჩანთა; 2) კაპარჭი.

¹ **საკ-ი** (ლათ. saccus — „ჩანთა, ტომარა"): 1) პარკი, ტომარა; 2) ს ა მ თ ა მ ა დ ნ ო მრეწველობაში — საქაჩავი; 3) ს ა მ ხ ე დ რ ო საქმეში — მიწით სავსე ტომარა ტყვიისაგან დასაფარავად.

² **საკი** — : 1) ერთგვარი ჯიშის მაიმუნი სამხრეთ ამერიკაში; 2) იაპონელთა სასმელი არაყი, ბრინჯისაგან დამზადებული.

**საკია-მუნი** ანუ **შაკია-მუნი**, ინდოელთა სარწმუნოების დამაარსებელის ბუდას სახელწოდება. (იხ. ბუდიზმი).

**საკოს-ი**, ბერძ., არქიელის საეკლესიო ზედაჩასაცმელი წირვის დროს.

**საკრამენტალური** (ლათ sacramentum), საღვთო, საეკლესიო, ანუ წმ. საიდუმლოების შესახები.

**საკს-**, იხ. საქს.

**საკუნტალა**, სანსკ.: 1) სანსკრიტელ პოეტ კალიდასის პოემის „საკუნტალა"-ს მთავარი გმირი ქალი.

**სალადინ-ი**, ი უ ს უ ფ (1137-93), ეგვიპტის და სირიის სულთანი. დაიპყრო მესოპოტამია და გაიმარჯვა ჯვაროსანთა ომში.

**სალათ-ი** (ევროპ. salat), ერთგვარი ბოსტნეული (მწვანილი), საჭმელში უმად სახმარი, — შეზავებული ძმრით, შაქრით და სხ.

**სალამ-მალეჰ-ი**, არაბ., მშვიდობა თქვენდა! თათრული მისასალმებელი სიტყვა; **სალამლიკ-ი**, ანუ **სელამლიკ-ი** — 1) მაჰმადიანებში — მისაღები, სასტუმრო ოთახი; 2) ოსმალეთის სულთნის საზეიმო გამოსვლა სტამბოლის მეჩეთიდან (რევოლუციამდე).

**სალამანდრა** (ლათ.-ბერძ. salamandra), ქვეწარმავალთა ჯიშის, ხვლიკის მაგვარი, ლაყუჩებიანი ცხოველი, ამფიბიების ოჯახისა (იხ. ამფიბი).

**სალდათ-ი** ანუ უკეთ **სოლდატ-ი** (იტ. soldato), ჯარისკაცი.

**სალდო**, იტ.: 1) ნაშთი, განსხვავება შემოსავალსა და გასავალს (კრედიტის და დებეტის), აქტივის და პასივის შორის; 2) ანგარიშის გასწორების შემდეგ მიღებული ნაშთი.

**სალვადორ-ი**, იხ. სან-სალვადორ-ი.

**სალვარსან-ი**, იგივე „606", პროფ. ერლიხის (დაიბ. 1854 წ., გერმანელი) მიერ აღმოჩენილი

საშუალება (დარიშხანის პრეპარატი) ათაშანგის წინააღმდეგ.

**სალვე** (ლათ. salve — „სალამი, გამარჯვება"): 1) ძვ. რომაელთა მისასალმებელი სიტყვა; 2) ღვთის მშობლის ლოცვა კათოლიკურ ეკლესიაში.

**სალვინი, ტ ო მ ა ზ ო** (Salvini, 1829-1895), სახელგანთქმული მსახიობი და ტრაგიკული როლების (ოტელოს, მაკბეტის, ჰამლეტის და სხ.) გენიალური შემსრულებელი.

**სალიერი, ა ნ ტ ო ნ ი ო** (Salieri, 1750-1825), ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი. დასწერა 40 ოპერაზე მეტი.

**სალიური კანონი** (Lex salica), სალიერ ფრანკების ხალხური კანონმდებლობა, რომლის მიხედვით ქალები მოკლებულნი იყვნენ მემკვიდრეობის უფლებას. ამ კანონის ძალით საშუალო საუკუნოებში (მაგ., საფრანგეთში) სამეფო ტახტის მემკვიდრეობა მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე გადადიოდა.

**სალიცილ-ის** (ანუ სალიციუმ-ის) **სიმჟავე**, ქიმიაში — ერთგვარი ქიმიური შენაერთი. იხმარება მედიცინაში ქინაქინის მაგიერ და როგორც ოფლის გამომწვევი საშუალება (სალიცილის ნატრი), იხმარება აგრეთვე ტექნოლოგიაში, მაგ. ღვინის, ლუდის და სხ. დაყენების დროს.

**სალიცინ-ი**, ქიმ., მოიპოვება ბზის და ტირიფის ძირკვებში, საიდანაც ამზადებენ თეთრ კრისტალურ ნივთიერებას. იხსნება წყალსა და სპირტში. იხმარება მედიცინაში.

**სალოლ-ი**, ქიმ., სალიციუმის სიმჟავის ფენოლის ეთერი, იხმარება მედიცინაში რევმატიზმის წინააღმდეგ და სიცხის დასაწევად.

**სალონ-ი** (ფრ. salon — „დარბაზი"): 1) მისაღები ოთახი, სადარბაზო; 2) ლიტერატურული ან პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც თავს იყრის ამა თუ იმ ცნობილ პირის ბინაზე. გავრცელებული იყო საფრანგეთში მე-18-ე საუკ., მაგ., ქ-ნ ჟ ო ფ რ ე ნ ი ს ს ა ლ ო ნ ი და სხ.; 2) სამხატვრო ნაწარმოებთა ყოველწლიური გამოფენა, მაგ. ლუვრში.

**სალტო-მორტალე** (ლათ. saltus — „გადახტომა" და mortalis — „სასიკვდილო"): 1) მალაყი, თავდაყირა ხტომა; 2) გად. მნიშვნ.: გაბედული და საშიში ნაბიჯი.

**სალუტ-ი** (ლათ. salus — „მისალმება"), მისალმება ზარბაზნის სროლით ან სხვა რაიმე საშუალებით (დროშების დახრა). — **სალუტაცია** (ლათინ. salutatio — „სალამი"): 1) სამხედრო სალამი უფროსის წინაშე ხმლის ამოღებით, დროშების დახრით ან სროლით; 2) ძველად — წარჩინებულ პირთა ან მეფისადმი მისალმება მნახველთა მხრივ.

**სამავედა**, იხ. ვედები.

**სამარიანები** ანუ **სამარიტები**, მრავლ., პალესტინის ისრაელები, რომლებმაც ებრაელთა სამეფოს განადგურების შემდეგ (VIII საუკ. ქრ. წ.) ასურელების მიერ, კერპთაყვანისმცემლობა მიიღეს. ამის გამო სამარიელებსა და იუდეველთა შორის დიდი სიძულვილი არსებობდა.

**სამოედები** ანუ **ხაზავები**, მრავლ., ურალო-ალტაის ფინური მოდგმის ველური ხალხი ჩრდილოეთ რუსეთში, სარწმუნოებით კერპთაყვანისმცემელნი. მისდევენ ირმის მოშენებას, მეთევზეობას, ნადირობას და სხ.

**სამოსტინიზმ-ი**, უკრაინ., პოლიტიკური მოძრაობა სამხრეთ რუსეთში. მოითხოვს უკრაინის დამოუკიდებლობას. — აქედან: **სამოსტინიკები** — უკრაინის დამოუკიდებლობის მომხრენი.

**სამუმ-ი** (არაბ. სამმულ-ი), ჩრდ.-აღმოსავლური ცხელი ქარი; ჰქრის ზაფხულში დღე-ღამის გათანასწორების დროს არაბეთს, სირიას, მესოპოტამიასა და სახარაში.

**სამშიტ-ი** (ლათ. Buxus), ბზის ხე. ცნობილია სიმკვრივით და გამძლეობით. იზრდება ცხელ ქვეყნებში, მაგ. სამხრეთ ევროპაში, სპარსეთსა, მცირე აზიასა და საქართველოში (აფხაზეთში) მდ. ბზიბის ნაპირებზე. სამშიტიდან აკეთებენ როიალებს და სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ბზრიალებს, საფეიქრო მოწყობილობასა და სხ.

**სანატორია** (ლათ. sanare-დან „მკურნალობა"), საგარაკო ადგილას მოთავსებული სამკურნალო დაწესებულება, სადაც სწამლობენ ყოველგვარ ავადმყოფს, განსაკუთრებით ჭლექით დაავადებულებს სუფთა ჰაერით, ზღვის აბანოებით და სხ.

**სანგვინიკ-ი** (ლათ. sanguis — „სისხლი"), ცოცხალი ტემპერამენტის ადამიანი, ფიცხი. —

აქედან: **სანგვინიური** — ცოცხალი, მოძრავი, ადვილად აღმგზნები.

**სანდალია** (ბერძ.), ძვ. ბერძნების და რომაელების ფეხსაცმელი, ქალამანის მსგავსი.

**სანიტარია** (ლათ. sanitas — „ჯანმრთელობა"): 1) საზოგადოებრივი ჰიგიენა, საზოგადოებრივ ჯანმრთელობის დაცვა; 2) ომში — საექიმო პერსონალის შემადგენლობა; აქედან: **სანიტარ-ი** — : 1) სანიტარულ წესების მეთვალყურე ექიმი, მოწყალების და, ან სხვა მოხელე; 2) ჯარში მოსამსახურე, დაჭრილთა და ავადმყოფთა მომვლელი. — **სანიტარული** — საექიმო, სამკურნალო; ჯანმრთელობის პირობების შესახებ.

**სანკტ-**. იხ. სანქტ-.

**სანკიულოტები** (ფრ. sans-culotte — „უნიფხოები"), ასე უწოდებდენ საფრანგეთის რევოლუციის დროს არისტოკრატები უკიდურეს მემარცხენე რევოლუციონერებს და, საერთოდ, დაბალი წოდების ხალხს.

**სან-სალვადორ-ი**, რესპუბლიკა წყნარ ოკეანეს ნაპირას, ცენტრალურ ამერიკაში. სცხოვრობენ სხვადასხვა რასის ხალხნი, განსაკუთრებით ინდოელები.

**სანსკრიტ-ი** ანუ **სანსკრიტული** ენა, უძველესი ენა ინდო-ევროპულ ენებში, რომლითაც დაწერილია ინდოელების სალმრთო სჯულის წიგნები. — **სანსკრიტოლოგ-ი** — სანსკრიტულ ენის მკვლევარი, მცოდნე.

**სანტიმ-ი**, ფრ., ფრანგული ფული, უდრის ფრანკის ერთ მეასედს.

**სანტიმენტალიზმ-ი** (ფრ. sentiment — „გრძნობა""), მე-18-ე საუკ. წარმოშობილი ლიტერატურული მიმდინარეობა ინგლისში. ამ მიმდინარეობის დამახასიათებელია გადაჭარბებული გრძნობიერება და გულჩვილობა. — აქედან: **სანტიმენტალისტ-ი** — სანტიმენტალიზმის მიმდევარი მწერლობაში; — **სანტიმენტალობა** — გულჩვილობა, გრძნობიერება; — **სანტიმენტალური** — გულჩვილი, მგრძნობიერი.

**სანტიმეტრ-ი**, ბერძ., სიგრძის საზომი ერთეული, უდრის ერთ მესამედ მეტრს, ანუ სამ მერვედ ვერშ.

**სანჩო-ბანჩო** ანუ **სანხო-პანჩო**, ესპანელ მწერლის ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი ს რომანის „დ ო ნ-კ ი ხ ო ტ ი"-ის გმირი, სულელი და გულუბრყვილო; გონებრივ კარჩაკეტილობის განსახიერება.

**სანქცია** (ლათ. sanctio — „დაკანონება"). კანონის ან რაიმე გადაწყვეტილების დადასტურება უმაღლესი ხელისუფლების მიერ.

**სანჯაყ-ი**, ოსმ., ოლქი; ტერიტორიის ადმინისტრაციული ნაწილი ოსმალეთში.

**საპ-ი**, ცხენის გადამდები სენი. შეიძლება ადამიანსაც გადაედოს.

**საპიორ-ი** (ფრ. sapeur), მესანგრე, ჯარისკაცი, რომელიც ომის დროს საინჟენერო სამუშაოს ასრულებს; აქედან: **საპიორთა ბათალიონი** — ციხე-სიმაგრეთა, თხრილების, გზების და სხვ., გამკეთებელი ჯარის რაზმი.

**საჟენ-ი**, რუს., სიგრძის ზომა, უდრის 3 არშ.

**სარაევო**, ავსტრო-ჰუნგრეთის დიდი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი სერბიის საზღვარზე, სადაც 1914 წ. სერბიის ქვეშევრდომმა პრინციპმა მოჰკლა ავსტრო-ჰუნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი მეუღლითურ, რასაც მოჰყვა მსოფლიო იმპერიალისტური ომი.—აქედან: ს ა რ ა ე ვ ო ს ტ რ ა გ ე დ ი ა.

**სარაი**, თათრ.: 1) ფიცრული შენობა; 2) „ოქროს ურდოს" დედაქალაქი, მე-13-ე საუკ. დაარსებული.

**სარაცინები**, არაბ. (მრავლ.), „ბედნიერ არაბეთში" მცხოვრები ხალხი. საშუალო საუკუნეებში ამ სახელს ატარებდენ არაბები, შემდეგ საერთოდ — ოსმალები.

**სარბაზი**, **სარბაზები**, სპ., ქვეითა მწყობრი ჯარი სპარსეთს, ბუხარასა და, საზოგადოთ, მთელ შუა აზიაში.

**სარდანაპალ-ი**, გადმოცემით — ასურეთის უკანასკნელი მეფე, ქეიფის და ფუფუნების მოყვარული. მიდიელთა აჯანყების დროს ნინევიაში მომწყვდეულმა დასწვა სასახლე თავისი ცოლებითურ და უამრავ საუნჯით და თვითონაც შიგ დაიწვა.

**სარდარაზმ-ი**, სპ., დიდი ვეზირი.

**სარდელ-ი** ანუ **სარდინა**, წვრილი, ქაშაყის ჯიშის თევზი. მრავლად მოიპოვება ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე (რუს. დაბოლ.: ს ა რ დი ნ კ ა).

**სარდინია** — :1) ხმელთაშუა ზღვის კუნძული; 2) ძველად — იტალიის ჩრდილო-დასავლე-

თით მდებარე სამეფო, ეხლა — იტალიის პრო-ვინცია.

სარკაზმ-ი, ბერძ., მწარე, გესლიანი დაცინ-ვა.—აქედან: სარკასტიული — დამცინავი, ბო-როტი, გამკილავი.

სარკოლემა, გარდიგარდმო ზოლიან კუთხე-ებრივ ბოჭკოების გამჭვირვალე აპკი.

სარკომა (ლათ. sarcoma), კიბოს მაგვარი მავნე სიმსივნე, იზრდება ძალიან ჩქარა. მკურნა-ლობენ ოპერაციის საშუალებით (ამოჭრა).

სარკოფაგ-ი (ბერძ. sarx—sarcos—„ხორცი". ფაგენ—„მჭამელი, შთანთქმელი"): 1) ქვის აკლ-დამა (ძვ. საბერძნეთს, რომს, ეგვიპტესა და სხ.), სადაც მიცვალებულთა გვამებს ასვენებდენ. სარ-კოფაგის კირნარი ქვა ხელს უწყობდა გვამის დაშლასა და გახრწნას: 40 დღის განმავლობაში არარაფერი რჩებოდა გარდა კბილებისა.

სარმატები ანუ სარტები, მრავლ., ვისლის და ვოლგის შუა მცხოვრები უძველესი ხალ-ხი, სხვადასხვა ტომთა შთამომავალი.

სასანიდები, მრავლ., სპარსელ მეფეთა დი-ნასტია (3—7 ს. ქრ. შემ.).

სატანა, ებრ.: 1) ეშმაკი; 2) ბოროტი სული. —აქედან: სატანიური, — უაღრესად ბოროტი.

სატინ-ი (ფრ. satin), ატლასის მსგავსი, პრიალა აბრეშუმის, მატყლის ან ბამბის ქსო-ვილი.

სატირა (ლათ. satira), ლიტერატურული ნა-წარმოები, რომელშიც ავტორი დასცინის და ჰკიცხავს თანამედროვე საზოგადოების ან რო-მელიმე პიროვნების უარყოფით მხარეებს. — აქედან: სატირიული — დამცინავითი, გამკიცხავი. — სატირიკოსი — სატირების მთხზველი.

სატირიაზის-ი — მამაკაცის სულიერი ავად-მყოფობა — სქესობრივი გრძნობის უკიდურესი გაღიზიანება და დაუცხრომლობა (იხ. ნიმფო-მანია).

სატირები (მრავლ. ბერძ.): 1) ბერძნულ მი-თოლოგიაში — ტყის და მინდვრის სულები, ბაკ-ქის (ბახუსის) თანამგზავრნი. ხატავდენ მახინჯ ადამიანის სახით, თხის რქებით, წვერით და კუ-დით; 2) გადატ. მნიშვნ. — ავხორცი ადამიანი.

სატისფაქცია (ლათ. satisfactio), დაკმაყოფი-ლება, სიამოვნება; შეურაცხყოფის დამაკმაყო-ფილებელი მოქმედება.

სატრაპია, სპ., ძველად სპარსეთში — ოლქი. ანუ ადმინისტრაციული ერთეული, რომელზე-დაც დაყოფილი იყო სპარსეთის სახელმწიფო; აქედან: სატრაპ-ი — : 1) ოლქის მართველი. აღჭურვილი განუსაზღვრელი უფლებით ძველ სპარსეთში; 2) გადატ. მნიშვნ.: დესპოტი და თვითნება მოხელე, ადმინისტრატორი.

სატურნ-ი (ლათ. saturnus, saturnius): 1) ძვ. რომაელთა ხვნა-თესვის ღმერთი. შეესაბამება ბერძენთა კ რ ო ნ ო ს ს; 2) მზის სისტემის ერთ-ერთი მნათობი. დანახვა შეიძლება შეუიარაღე-ბელი თვალით. მკრთალი მოყვითალო ფერისაა.

სატურნალიები, მრავლ. (ლათ. saturnalia— „დღესასწაული"): 1) სატურნის სადღესასწაუ-ლო ზეიმი ძვ. რომში; 2) გადატ. მნიშვნ.: უზო-მო ქეიფი, რომელსაც თან სდევს ლოთობა და გარყვნილება.

საფირ-ი ანუ უკეთ საპფირ-ი (ფრ. saphir). საფირონი, ძვირფასი გამჭვირვალე ქვა.

საფო ანუ საპფო, საკ. სახელი (ბერძ. Sappho), სახელგანთქმული მგოსანი ქალი (მე-7-ე ს. ქ. წ. ძვ. საბერძნეთში, კუნძულ ლეს-ბოსზე). შექმნა ლექსთაწყობის განსაკუთრებუ-ლი ფორმა, რომელიც ცნობილია მისი სახელ-წოდებით. ფაონისადმი უიმედო სიყვარულით გატაცებული, ლევკადის კლდიდან გადავარდა.

საქსები, მრავ., მდ. ელბაზე მე-2-ე საუკ. მცხოვრები ძვ. გერმანული მოდგმის ხალხი, რო-მელმაც ინგლისელებთან ერთად მე-5-ე საუკ. დაიპყრო ბრიტანეთის კუნძული. — აქედან: ა ნ გ ლ ო-ს ა ქ ს ე ბ ი (იხ. ანგლო-საქსური ენა).

საქსიფრაჟინ-ი, ქიმიაში: ერთგვარი ასაფეთ-ქებელი შენაერთი.

საქსონია (გერმ. sachsen): 1) გერმანიის იმ-პერიის (ამ ჟამად რესპუბლიკის) ერთი შემადგე-ნელი ნაწილი, — უაღრესად სამრეწველო და კულტურული ცენტრი მთელ გერმანიაში. გან-თქმულია სხვადასხვა სამეცნიერო წიგნების გა-მომცემლობით (ქ. ლეიპციგი). საქსონიის დე-დაქალაქია დ რ ე ზ დ ე ნ ი, რომლის სამხატვრო გალერეიაში ინახება რაფაელის სურათი მ ა-დ ო ნ ა.

სახალინ-ი, საკ. სახელი: — დიდ ოკეანეს კუნძული. ციმბირის აღმოსავლეთით.

**სახარა**, საკ. სახელი: — აფრიკის დიდი უდაბნო, კონტინენტალური ჰავით და მწირი მცენარეულობით.

**სახარინ-ი**, ხელოვნურად დამზადებული კრისტალური ფხვნილი, შაქარზე 500-ჯერ ტკბილი, აღმოჩენილი ფალბერგის მიერ 1878 წ., იხმარება საექიმო მიზნით, ზოგიერთ შემთხვევაში — შაქრის მაგიერ, როგორც სუროგატი (დამხმარე ნივთიერება).

**საზარ-ი** ანუ **საარ-ი**, სპ., მზის მისასალმებელი სიმღერა ანუ დუდუკის ერთგვარი დაკვრა განთიადისას.

**სეანს-ი** (ფრ. seance): 1) პირდაპირი მნიშვნელობით — სხდომა; 2) გადატ. მნიშვნ.: საერთოდ — განსაზღვრული დრო წარმოდგენის თეატრში ან კინოში, ჰიპნოზით ან ელექტრონით მკურნალობის, მხატვრის მიერ სურათის გადაღების და სხვ.

**სეგმენტ-ი** (ლათ. segmentum — secare — „მოკვეთა"), მათემატიკაში: წრის მონაკვეთი, ქორდით და რკალით განსაზღვრული; აქედან: **სეგმენტაცია** — დანაწილება, განაყოფიერების შემდეგ კვერცხის გაყოფა 2 უჯრედად, შემდეგ თვითეულ უჯრედის კვლავ ორად გაყოფა და სხვა.

**სეგნერ-ის ბორბალი** — ფიზიკოს სეგნერის მიერ გამოგონილი ხელსაწყო, ცილინდრის მსგავსი. სითხის დაწოლის გამო, ტრიალებს თავის ღერძის გარშემო.

**სევრ-ი** (ფრ. sèvres), საფრანგეთის ქალაქი მდ. სენას ნაპირას ვერსალის ოლქში, განთქმული ფაიფურის ჭურჭლის ქარხნით და მე-18-ე საუკ. დაარსებულ კერამიკულ მუზეუმით.

**სევრის ხელშეკრულობა**, 1920 წ. აგვისტოს 10-ს ქ. სევრში დადებული ხელშეკრულობა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ურთიერთ შორის ოსმალეთის განაწილების შესახებ. ამ ხელშეკრულობის ძალით საფრანგეთმა მიიღო, სირიის გარდა, ოსმალეთის ტერიტორიის მდიდარი ნაწილი ალექსანდრეტის ახლო, ხმელთაშუა ზღვაზე და მდიდარი კონცესიები ჰერაკლიაში. ინგლისმა მიიღო მანდატი მესოპოტამიაზე, საბერძნეთს შეუერთდა აღმოსავლეთი ფრაკია და ნახევარ კუნძული გალიპოლი. სევრის ხელშეკრულობა გადასინჯულ და ნაწილობრივ შეცვლილ იქნა ლოზანის კონფერენციაზე. იხ. ლოზანის კონფერენცია.

**სეზონ-ი** (ფრ. saison): 1) წელიწადის ოთხი დრო — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი; 2) სამკურნალო, სამოსწაველო, სავაჭრო, სათეატრო ან სხვა მიზნისთვის განსაზღვრული დრო.

**სეიდ-ი**, არაბ., მაჰმადის შთამომავალთა საპატიო ტიტული.

**სეიმ-ი**, პოლ., პარლამენტის სახელწოდება პოლონეთს, ფინლანდიასა და ლატვიაში.

**სეისმოგრაფ-ი** ან **სეისმომეტრ-ი**, ბერძ., მიწისძვრის ძალის და მიმართულების აღმნიშვნელი ხელსაწყო. — **სეისმოლოგია** — ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილი — სწავლა მიწისძვრის შესახებ.

**სეიფ-ი** — უწვავი ყუთი ძვირფას ნივთების ან ფასიან ქაღალდების შესანახად ბანკებში.

**სეკარის სითხე**, პროფ. ბიუხნერის წესით ცხოველების სათესლე ჯირკვლებიდან დამზადებული სითხე სიბერის, სისუსტის, ნერვიულ აშლილობის და სხ. ავადმყოფობათა წინააღმდეგ.

**სეკვენცია** (ლათ. secui — „თანმიყოლება, რიგის დაცვა, თანმიმდევრობა"), მუსიკაში: ამა თუ იმ მოტივის თანდათანობითი განმეორება გამის საფეხურებზე აღმავალ ან დამავალ მიმართულებით.

**სეკვესტრ-ი** (ლათ. sequestrum), სადავო ქონების შეკვრა ან სხვა პირზე გადაცემა, ვიდრე მომჩივართა საქმე გადაწყდება სასამართლოს წესით; აქედან: **სეკვესტრიზაცია**: ყადაღის დადება ქონებაზე.

**სეკრეტ-ი** (ლათ. secretus — „საიდუმლო"): 1) საიდუმლო; 2) სამხედრო საქმეში: დასაზვერად გაგზავნილი საიდუმლო რაზმი.

**სეკრეტარ-ი**, ლათ., სასამართლოს ან სხვა დაწესებულების საქმეთა მმართველი, ანუ მდივანი, სხდომის ოქმების შემდგენელი და ჩამომწერი; აქედან: **სეკრეტარიატ-ი** — სამდივნო.

**სეკრეცია** — ჯირკვლების ნაღური.

**სეკს-**, იხ. სექს-.

**სეკტ-**, იხ. სექტ-.

**სეკულარიზაცია** (ლათ. secularis), საეკლესიო და სამონასტრო ქონების საერთო კუთვნილებად აღიარება.

**სეკუნდა** (ლათ. secundum): 1) წუთის ერთი მესამოცედი ნაწილი; 2) მ უ ს ი კ ა შ ი: მეორე ხმა, ანუ ინსტრუმენტი; 3) მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა შ ი: კუთხე=წუთის ერთ მესამოცედს, ანუ კუთხური მენაკის (გრადუსის) $^1/_{3600}$-ს.

**სეკუნდანტ-ი**, ლათ., დუელში დამსწრე მოწმე, ანუ შუამავალი.

**სელევკიდები**, მრავლ., სირიელ მეფეთა დინასტია, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მის მიერ დაპყრობილ აზიურ ქვეყნებში. ს ე ლ ე ვ კ ი დ ე ბ ი ს ს ა მ ე ფ ო დაიშალა 1 საუკ. ქრ. წ. და 64 წ. პომპეუსის მიერ რომის პროვინციად იქნა გამოცხადებული.

**სელენა**, ბერძ., ბერძენთა მითოლოგიური მთვარის ქალღმერთი, ჰელიოსის ასული; აქედან: **სელენიზმ-ი** — სამთვარეული ბნედა. — **სელენოგრაფია** — მთვარის აღწერა ასტრონომიაში.

**სელექცია** (ლათ. selectio — „არჩევა"), ცხოველთა ან მცენარის ხელოვნური შერჩევა ჯიშების გასაუმჯობესებლად; აქედან: **სელექციური** (ან შ ე რ ჩ ე ვ ი თ ი) **თეორია**—ბუნებრივი შერჩევის თეორია, რომლის მიხედვით ყველაზე უფრო მძლე და ბუნებასთან შეგუებული ორგანიზმები არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებულნი რჩებიან და მრავლდებიან. (იხ. დარვინიზმი).

**სელიმ-ალექ-ი**, იხ. სალამ-მალექი.

**სელტერ-ის წყალი**, იხ. ზელტერის წყალი.

**სელფაქტორ-ი** (ინგლ. selfacting — „თვითმოქმედი"), თვითმოქმედი საქსოვი მანქანა.

**სელჯუკები**, მრავლ., შუა აზიიდან წამოსული თურქული ტომის ხალხი. გაძლიერდნენ საშუალო საუკუნეებში და დაიპყრეს სხვადასხვა ქვეყანა: პალესტინა, სირია, მცირე აზია და, ბოლოს, დასახლდნენ დღევანდელს ოსმალეთის ტერიტორიაზე.

**სემაფორ-ი** (ბერძ. sēma-phoros — „დროშის მატარებელი"): 1) რკინის გზაზე, სადგურის მახლობლად განათებული ფრთიანი სვეტი, მომავალი მატარებლის ნიშნის მისაცემად; 2) მაღალი ალქნები ზღვის ნაპირას გემების ნიშნის მისაცემად

**სემესტრ-ი** (ლათ. semestris-sex-mensis — „ექვსი თვე"), უმაღლეს ან სხვა სასწავლებლის სამოსწავლო წლის ნახევარი; აქედან: **სემესტრალური** — ნახევარწლედი, სემესტრის შესახები.

**სემიელები**, იხ. სემიტები.

**სემინარია** (ლათ. seminarium): 1) სასულიერო საშუალო სასწავლებელი სასულიერო პირთა მოსამზადებლად; 2) **სამასწავლებლო სემინარია** — მასწავლებელთა მოსამზადებელი სკოლა; აქედან: **სემინარისტ-ი** — სემინარიის მოწაფე, სემინარიელი.

**სემინარიუმ-ი**, ლათ., უნივერსიტეტში: პრაქტიკული ვარჯიში პროფესორის ხელმძღვანელობით.

**სემირამიდა**, საკ. სახელი, ასურეთის მითიური დედოფალი, მეუღლე მეფე ნინისა, სასტიკი და ვნებიანი ქალი. გამეფდა ქმრის სიკვდილის შემდეგ და მართავდა სახელმწიფოს თავის მცირეწლოვან შვილის — ნინიასის მაგიერ. გაილაშქრა სპარსეთზე, ინდოეთზე, ეგვიპტეზე და სხ. ააშენა ქ. ბაბილონი და მორთო იგი მშვენიერი „დ ა კ ი დ უ ლ ი ბ ა ღ ე ბ ი თ".

**სემიტები**, მრავლ., ძველად ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე მცხოვრები ხალხი: ებრაელები, ფინიკიელები, არაბები და სხ.; აქედან: **სემიტიზმ-ი** — სემიტური რასების დამახასიათებელი თვისებანი (იხ. ანტისემიტიზმი).

**სენა**, საკ. სახ.: საფრანგეთში — მდინარე მრავალ შენაკადით, რომელზედაც მდებარეობს ქ. პარიზი.

**სენატ-ი** (ლათ. senatus): 1) უზენაესი სახელმწიფოებრივი დაწესებულება ძვ. რომში რესპუბლიკის დროს; 2) ზედა-პალატა: საფრანგეთს, ჩრდილო-ამერიკასა და სხ.; 3) უზენაესი სასამართლო რუსეთში რევოლუციამდე; აქედან: **სენატორ-ი** — სენატის წევრი.

**სენ-ბერნარ-ი** (saint Bernard), ძველი მონასტერი ალპის მთების ხეობაში. დაარსებულია მე-16-ე ს. წმ. ბერნარის მიერ. ამ ხეობაში უგზოობის გამო მრავალი მგზავრი იღუპება და მონასტერი ეხმარება მათ ძაღლების (ს ე ნ-ბ ე რ ნ ა რ ი ს ჯიშის) საშუალებით, რომელნიც პოულობენ გზადაკარგულ და თოვლში გაყინულ მგზავრებს.

**სენ-გოტარდ-ი**, საკ. სახ., ალპების მწეერვალი შვეიცარიის საზღვარზე.

**სენზორული**, იხ. სენსორული.

**სენეკა**, ფილოსოფოსი (4 წ. ქრ. წ. და 65 წ. ქრ. შემ.), ნერონის აღმზრდელი და მასწავლებელი. ნერონის წინააღმდეგ შეთქმულება დასწამეს და სიკვდილი მიუსაჯეს. სენეკამ თვით მოიკლა თავი. როგორც ფილოსოფოსი, სენეკა იცავდა ელექტიკურ მიმართულებას და ატარებდა საშუალო ტენდენციას სტოიციზმსა და ეპიკურეიზმს შორის (იხ. სტოიციზმი და ეპიკურეიზმი).

**სენიორ-ი**, იგივე სინიორ-ი (ლათ. senior — „უფროსი"), საშუალო საუკუნეების ფეოდალი, წარჩინებული და მაღალ-ხარისხოვანი; აქედან: **სენიორია**—ფეოდალის სამფლობელო, მამული.

**სენკევიჩ-ი**, ჰ ე ნ რ ი ხ (1846-1914), ცნობილი პოლონელი რომანისტი. მის ნაწერთაგან შესანიშნავია „ცეცხლითა და მახვილითა" (თარგ. ქართულად გრ. ყიფშიძის მიერ), „ვიდრე ხვალ უფალო" — Quo vadis?", „წარღვნა" და სხ.

**სენსაცია** (ლათ. sensatio — „გრძნობა"), ძლიერი შთაბეჭდილება, აღგზნება; აქედან: **სენსაციური** — არაჩვეულებრივი, სენსაციის გამომწვევი.

**სენ-სიმონ-ი** (Saint-Simon, 1760 — 1825), ფრანგულ უტოპიურ სოციალიზმის უდიდესი წარმომადგენელი. მოითხოვდა კერძო საკუთრების და კლასთა ბრძოლის გაუქმებას და ისეთ საზოგადოების დაარსებას, რომელიც დამყარებული იქნებოდა ასოციაციის (კავშირების) პრინციპზე. ამ მიზნის მისაღწევად უცილობელ საპიროებად მიაჩნდა მთავრობის რეფორმები და საზოგადოების აღზრდა ახალი რელიგიის (სოციალიზმის) საფუძვლებზე; აქედან: **სენ-სიმონიზმ-ი** — სენ-სიმონის სწავლა-მოძღვრება.

**სენსუალიზმ-ი** (ლათ. sensus-დან „გრძნობა"), ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელსაც შემეცნების ერთად-ერთ წყაროდ მიაჩნია ადამიანის შეხებითი გრძნობა. ამისდა მიხედვით ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე არის ადამიანის სუბიექტიური გრძნობის შედეგი, და არა საგნების ობიექტიური (ნამდვილი) თვისება; აქედან: **სენსუალისტ-ი** — სენ-სუალიზმის მიმდევარი.

**სენტენცია** (ლათ. sententia „აზრი, მსჯელობა"), განსაზღვრული აზრი ზნეობრივ ყოფაქცევის შესახებ.

**სენტიმენტალიზმ-ი**, იხ. სანტიმენტალიზმი.

**სეპარატიზმ-ი** (ლათ. separatio — „გამოყოფა, გამოკვეთა"), სრული ჩამოშორება ანუ გამოყოფა ამა თუ იმ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის სახით; განაპირა ქვეყნის ცენტრისაგან მოწყვეტა. — აქედან: **სეპარატიული** — დამოუკიდებელი, განცალკევებული;—**სეპარაცია** — გამოყოფა, განცალკევება.

**სეპარატორ-ი** (ლათ. separare—„გამოყოფა"), კარაქის გამოსახდელი ხელსაწყო.

**სეპტ-**, იხ. სეფტ.

**სერაფიმ-ი**, ებრ., ექვს-ფრთიანი ანგელოზი.

**სერბაზ-ი**, იხ. სარბაზი.

**სერბია**, იგივე სამხრეთ სლავია (საკ. სახ.) ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მდებარე სახელმწიფო. სატახტო ქალაქი — ბ ე ლ გ რ ა დ ი.

**სერენადა** (იტ. serenata), საღამო ჟამის სამიჯნურო სიმღერა აკომპანიმენტით.

**სერვანტეს-ი**, მ ი გ უ ე ლ დ ე ს ა ვ ე დ რ ა (Servantes, 1547 — 1616), სახელგანთქმული ესპანელი მწერალი. მის მრავალ ნაწარმოებთა შორის შესანიშნავია უკვდავი რომანი „დონკიხოტ-ი" (იხ.). თარგმნილია ყველა ენაზე, ქართულად — ნ. ავალიშვილის მიერ.

**სერვიზ-ი** (ლათ. servire-დან „მსახურება"), სასადილო ან ჩაის ჭურჭელი.

**სერვილიზმ-ი** (ლათ. servilis — „მონობა"), ძლიერთა წინაშე მონურად ქედის მოხრა შიშით ანუ გამორჩენის მიზნით.

**სერვიტუტ-ი** (ლათ. servitus-იდან—„მონობა, დამორჩილება, ბეგარა"), სხვისი ქონებით სარგებლობის უფლება, მაგ. სხვის მამულში გზის გაყვანის, სიარულის, შეშის მოჭრის და სხვ. უფლება; აქედან: ს ა ს ე რ ვ ი ტ უ ტ ო უ ფ ლ ე ბ ა.

**სერდარ-ი**, სპ., სპარსეთში—მთავარსარდალი.

**სერია** (ლათ. series), რიგი, განყოფილება, წყება, მაგ.: ს უ რ ა თ ე ბ ი ს ს ე რ ი ა პროექტორში, ფ ა ს ი ა ნ ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი ს ს ე რ ი ა და სხვ.

**სერიოზული** (ლათ. serius), დინჯი, დარბაისელი, მოფიქრებული.

**სეროზული** (ლათ. serum-იდან „შრატი"), შრატისებრი; აქედან: **სეროთერაპია** — შრატით მკურნალობა, გადამდებ სენის აცრა შრატით.

**სერპანტინ-ი** (ლათ. serpentinus-იდან „გველისებური"): 1) ერთგვარი ცეკვა; 2) ცეკვის დროს ხალხში გადასასროლი ქაღალდის წვრილი ზონარი; 3) მუქი, მწვანე ფერის მინერალი.

**სერჟანტ-ი** (ფრ. sergent), უნტერ-ოფიცრის ხარისხი საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში.

**სერტიფიკატ-ი** (ლათ. sertus—„ერთგული" და „facere"—„ქმნა"):1) ოფიციალური მოწმობა რაიმე გარემოების დამადასტურებელი; 2) სავაჭრო პალატის და საკონსულოს მიერ გაცემული მოწმობა საქონლის რაოდენობის და ღირსების შესახებ.

**სესია** (ლათ. sedere, sessio), პარლამენტის ან სასამართლოს სხდომების განსაზღვრული ვადა.

**სესტერციები**, მრავლ. (ლათ. sestertius), წვრილი ვერცხლის ფული ძველ რომში, დაახლ. 8 კაპ.

**სეტერ-ი** (ლათ. seta-დან „ჯაგარი"), გრძელ ბეწვიანი ლამაზი, სანადირო ძაღლი.

**სეტლმენტ-ი** (ინგ. settlment — „მდებარეობა, მოსახლეობა"), ევროპაელთა მოსახლეობის ადგილი კოლონიალურ ქვეყნებში, მაგ., ჩინეთში, — არ ემორჩილება ადგილობრივ კანონებს და სარგებლობს ექსტერიტორიალური უფლებით. იხ. ექსტერიტორიალობა.

**სეფტაკორდ-ი** (ლათ.-ფრ.), მუსიკალური ტერმინი — ძირითადი ტონის, ტერციის, კვინტის და სეფტიმის აკორდი.

**სეფტიმა** (ლათ. septimus—მეშვიდე), მუსიკ. ტერმ. — გამის პირველი და მეშვიდე ნოტის შუა არსებული ინტერვალი.

**სექსტა** (ლათ. sextus — მეექვსე), მუსიკალ. ტერმ.: მეექვსე ტონი, გამის მეექვსე ნოტა, გამის პირველ და მეექვსე ნოტის შუა არსებული ინტერვალი.

**სექსუალური** (ლათ. sexus — „სქესი"), სქესობრივი.

**სექტა** (ლათ. secta — „მოძღვრება, სკოლა"): 1) ერთი და იგივე მოძღვრების მაღიარებელთა კავშირი, მაგ., ეპიკურელთა სექტა; 2). გაბატონებულ სარწმუნოებისაგან განდგომილი ჯგუფი, მაგ. ლუთერანული, ანაბაპტისტური სექტა და სხ — აქედან: **სექტანტ-ი** — ამა თუ იმ სექტის მიმდევარი. — **სექტანტური** — ჯგუფური, განდგომილი.

**სექტორ-ი** (ლათ. sector — „გამკვეთი"), მათემატ. ტერმინი: წრის ნაწილი, განსაზღვრული ორი რადიუსით და მათ შუა მდებარე ოდრიკალით.

**სექცია** (ლათ. sectio — „დანაწილება"), საზოგადოების, კრილობის ან დაწესებულების მიერ გამოყოფილი ნაწილი ამა თუ იმ საკითხის დასამუშავებლად.

**სეცესია** (ლათ. secessio, secedere — „განშორება"), ჩამოშორება, განცალკევება; **სეცესიონისტები**, მრვ., სახელმწიფოს, რომელიმე საზოგადოების, პარტიისაგან და სხ. განდგომილნი და დამოუკიდებლად არსებული ჯგუფები.

**სვარაჯისტ-ი**, ინდ., ინდოეთის ეროვნულ დამოუკიდებლობის დამცველი. აქედან: ს ვ ა რ ა ჯ ი ს ტ ე ბ ი ს პ ა რ ტ ი ა.

**სვედენბორგიანელები**, მრავლ., ამერიკულ ბუნებისმეტყველ და მისტიკოს ე მ ა ნ უ ე ლ ს ვ ე დ ე ნ ბ ო რ გ ი ს (1688 — 1772) მიმდევრები ინგლისსა და ჩრდილო-ამერიკაში.

**სვიტა** (ფრ.-ლათ. suite-sequi), ამალა, მეფის მხლებელნი.

**სვიფტ-ი**, ჯ ო ნ ა ტ ა ნ (Swift, 1667 — 1745), სახელგანთქმული ინგლისელი სატირიკოსი მწერალი. შესანიშნავია მისი „გულივერის მოგზაურობა". თარგმნილია ყველა ენაზე. არის ქართულადაც.

**სი**, იტ., მუსიკაში: გამის მეშვიდე ნოტა.

**სიამ-ი**, ინდო-ჩინეთის კუნძულზე მდებარე სახელმწიფო, ნომინალურად დამოუკიდებელი. ფაქტიურად ევროპიელებისა და ამერიკელების კოლონია.

**სიბარის-ი**, მდიდარი ქალაქი ძველად სამხრეთ იტალიაში. — აქედან: **სიბარიტ-ი**, ბერძ., მდიდარი, ნებიერი, ფუფუნებით მცხოვრები ადამიანი.

**სიბილა** (ლათ. Sibylla), მითიური წინასწარმეტყველი ქალღმერთი ძველ საბერძნეთსა და რომში.

**სიგარა**, ესპ., დაგრეხილი გლარჯის (თამბაქოს) ფოთოლი მოსაწევად.

**სიგმა**, ბერძ.: 1) ანბანის ერთგვარი ასო Σ; 2) მათემატიკაში — ჯამის მაჩვენებელი ნიშანი

**სიგნალ-ი** (ლათ. „signum". ფრ. signal — „ნიშანი"), მანძილზე ცნობის მისაცემი პირობითი ნიშანი. — აქედან: **სიგნალიზაცია** — პირობითი ნიშნით ცნობის მიცემა; — **სიგნალისტ-ი** — სიგნალის მიმცემი.

**სიგნატურა** (ლათ. signum — „ნიშანი"): 1) სახელი ანუ ნიშანი, მოთავსებული წერილის ბოლოში მისი ავტორის ან შინაარსის შესაწონებლად; 2) აფთიაქიდან გაცემულ წამალზე დართული ქაღალდი, ასლი იმ რეცეპტისა, რომლის მიხედვით დამზადებულია წამალი.

**სიდერიზმ-ი** (ლათ. sidus-siderus — „ცის მნათობი, ვარსკვლავი"): 1) ძე-16—17-ე საუკ. გავრცელებული მოძღვრება ვარსკვლავთა გავლენის შესახებ ადამიანის ბედზე; 2) არა ორგანიულ ბუნების (რკინა და სხ. მინერალები) მოქმედება ადამიანზე; 3) მესმერის (იხ. მესმერიზმი) მიერ შემოღებული მკურნალობა გამაგნიტებულ რკინის ვანებით.

**სიზიფ-ი** (ბერძ., საკ. სახელი). კორინთის დამაარსებელი მითიური გმირი, ბოროტმოქმედებისთვის ღმერთების მიერ დასჯილი: მისჯილი ჰქონდა მაღალ მთაზე ლოდის აგორება, რომელიც უკანვე გორდებოდა. — აქედან: **სიზიფ-ის შრომა** — უსარგებლო, უნაყოფო შრომა.

**სიკოფანტ-ი**, ბერძ.: 1) ძვ. ათინაში—ლეღვის გატანის მეთვალყურე (აკრძალული იყო ლეღვის გატანა); 2) ჯაშუში.

**სიკს-**, იხ. სიქს.

**სილეზია**, პრუსიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ვერსალის ზავის შემდეგ პოლონეთს შეუერთდა: შესანიშნავია ქვანახშირით.

**სილიკატები**, მრავლ. (ლათ. silex), დედამიწის ქერქის შემადგენელი ნაწილი — რთული მინერალები.

**სილოგიზმ-ი**, ბერძ., ლოღიკაში — რთული მსჯელობა, შესდგება სამი წინადადებისაგან: დიდი წინნამძღვარი, მცირე წინნამძღვარი და დასკვნა.

**სილუეტ-ი** (ფრ., საკ. სახ. silhouette), ადამიანის ან რომელიმე საგნის ჩრდილის ნახატი.

**სილფები** (sylphe), მით., საშუალო საუკუნოების რწმენით—ჰაერში მცხოვრები სტიქიური სულები, ადამიანთა მორჩილნი.

**სილფიდა**, იხ. სილფები.

**სილურიის ეპოქა** (ბერძ. siluris—„თევზი"), დედამიწის ზურგის უძველესი ფორმაცია (პალეოზოურ ჯგუფისა), სადაც სჭარბობს ზღვის ცხოველებისა და მცენარეულობის ნაშთები.

**სიმბიოზ-ი**, ბერძ., სხვად-სხვაგვარ ორგანიზმის ერთად ცხოვრება, მაგ.: ა) **პარაზიტიზმ-ი** (იხ. პარაზიტი), ბ) **მუტუალიზმ-ი** (იხ. მუტუაცია).

**სიმბოლიზმ-ი** (ბერძ.-ლათ.), ერთგვარი მიმართულება ხელოვნებასა და ლიტერატურაში მე-19-ე ს. დამლევს დასავლეთ ევროპაში. სიმბოლიზმის დამახასიათებელი თვისებანი: სინამდვილის ასახვა მეტაფორებით და სიმბოლებით, ფორმის უპირატესობა შინაარსზე, თავისებური ლექსთაწყობა და სხ.; აქედან: **სიმბოლისტ-ი** — სიმბოლიზმის მიმდევარი.

**სიმბოლო**, ბერძ., საგნის ანუ ცნების არა პირდაპირი ნიშანი, მაგ.: ლომი — სიძლიერის სიმბოლოა, აქედან: — **სიმბოლიური**—გადატანითი, სიმბოლებით გამოხატული.

**სიმეტრია**, ბერძ., თანაზომიერება, სისწორე, სითანაბრე; აქედან: **სიმეტრიული** — სწორი, თანაზომიერი.

**სიმონია**, ბერძ., საეკლესიო თანამდებობის შეძენა ფულით.

**სიმპატია**, ბერძ.: 1) თანაგრძნობა; 2) ადამიანის ან საგნისადმი კეთილი განწყობილება; აქედან: **სიმპატიური** — მიმზიდველი, კეთილშობილი.

**სიმპატიკური ნერვული სისტემა**, საჭმლის მონელების და სისხლის მიმოქცევის მომაწესრიგებელი ნერვული სისტემა. მდებარეობს ხერხემლის ორივე მხარეზე და მიდის შტოებად თითქმის მთელ ორგანიზმში.

**სიმპტ-**, იხ. სიმფტ.

**სიმულაცია** (ლათ. simulatio — „თვალთმაქცობა"), თვალთმაქცობა, თავის ავადმყოფად მოჩვენება; აქედან: **სიმულანტ-ი** — თვალთმაქცი, თავის ავადმყოფად მომჩვენებელი.

**სიმფონია**, ბერძ., მუსიკალური ნაწარმოები, დაწერილი მთელი ორკესტრისათვის, მაგალ.: ბ ე თ ხ ო ვ ე ნ ი ს  ს ი მ ფ ო ნ ი ა და სხ.; აქედან: **სიმფონიური** — შეხმატკბილებული, სიმფონიის შესახები.

**სიმფტომ-ი**, ბერძ., შინაგან (ფარულ) მოვლენის განსაზღვრული გარეგანი ნიშანი, მაგ.

ივალმყოფობის სიმპტომი; აქედან: **სიმპტომატური** — ნიშნობრივი, დამახასიათებელი.

**სინაგოგა**, ბერძ., ებრაელთა სამლოცველო, ტაძარი.

**სინას მთა**, მთის მწვერვალი სინაის ნახევარ კუნძულზე (არაბეთში), სადაც, საღვთო წერილის გადმოცემით, მოსე წინასწარმეტყველმა ათი მცნება მიიღო.

**სინდესმოლოგია** (ბერძ. sindesmos — „კავშირი", logos — „სიტყვა"), იგივე **სინოსტეოლოგია** — ანატომიის ნაწილი: სწავლა ადამიანის სხეულის სახსრების შესახებ.

**სინდიკალიზმ-ი**, ბერძ., მუშათა პროფესიონალური მოძრაობა, განსაკუთრებით საფრანგეთში. წინააღმდეგ ტრედ-იუნიონიზმისა (იხ.), სინდიკალიზმი ჰქადაგებს კლასთა ბრძოლას, უარჰყოფს პარლამენტარულ გზას და ბრძოლის ერთადერთ მეთოდად — გაფიცვას აღიარებს; აქედან: **სინდიკალისტ-ი** — სინდიკალიზმის მიმდევარი, მომხრე.

**სინდიკატ-ი**, ბერძ.: 1) მუშათა პროფესიონალური კავშირი საფრანგეთში; 2) ევროპასა და ამერიკაში — მსხვილ მწარმოებელთა გაერთიანებული კავშირი ფასების აწევისა და ბაზრის მოპოვების მიზნით; 3) საბჭოთა რუსეთში — სახელმწიფო ტრესტების გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს მიზანშეწონილ, წინასწარ დაგეგმილ, ვაჭრობასა და ნაწარმოების ბითუმად გასაღებას.

**სინედრიონ-ი**, ბერძ., (sin — ერთად, edra — საჯდომი), ძველ ებრაელთა უზენაესი სამსჯავრო, სასულიერო და საერო საქმეების გადასაწყვეტად.

**სინეკდოხა**, ბერძ., რიტორიული ფორმა, როდესაც მთელი იხმარება ნაწილის მაგიერად და შებრუნებით, მაგ. მრავლობითი რიცხვის ხმარება მხოლოობითის მაგიერ და პირ იქით.

**სინეკურა** (ლათ. sine-cura — უზრუნველობა), შემოსავლიანი ან ჯამაგირიანი თანამდებობა, რომელიც არ მოითხოვს ჯაფასა და ენერგიას.

**სინემატოგრაფ-ი**, იხ. კინემატოგრაფი.

**სინთეზ-ი**, ლათ.: 1) საერთოდ — შეერთება, დაკავშირება; 2) ლოღიკაში — ცნებათა შეერთება ახალი ცნების მისაღებად. უპირისპირდება ანალიზს; 3) ქიმიაში — მარტივ ელემენტთა შეერთებით რთულ ქიმიურ სხეულის მიღება; აქედან: **სინთეტიური** — სინთეზის საშუალებით მიღებული. იხ. პოლ-სინთეტიზმი.

**სინთეტიკური ენები** — იხ. პოლისინთეტიზმი.

**სინიორ-ი**, იხ. სენიორი.

**სინიორია**, იხ. სენიორია.

**სინკლიტ-ი**, ბერძ., უმაღლეს თანამდებობის პირთა შემადგენლობა.

**სინკრეტიზმ-ი**, ბერძ.: 1) სხვადასხვა, ერთი მეორის საწინააღმდეგო, ფილოსოფიურ სისტემების ხელოვნური გაერთიანება და ერთ მთლიან სისტემაში ჩამოყალიბება; 2) მედიცინაში — სხეულის ორი ნაწილის სწრაფი შეხორცება.

**სინოდ-ი**, ბერძ., უმაღლესი საეკლესიო მართველობა ძველ რუსეთსა და დღევანდელ საბერძნეთს, რუმინეთსა და სერბიაში.

**სინოლოგია**, ბერძ., მეცნიერება ჩინურ ენისა და ლიტერატურის შესახებ; აქედან: **სინოლოგ-ი** — ჩინურ ენის მცოდნე, მკვლევარი.

**სინონიმ-ი**, ბერძ., ერთ და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვა სიტყვები, მაგ.: პოეტი — მგოსანი, პრესა — ბეჭდვითი სიტყვა და სხ.

**სინოსტეოლოგია**, იხ. სინდესმოლოგია.

**სინოფსის-ი**, ბერძ.: 1) მოკლე ამონაწერი; 2) საეკლესიო წესთა კრებული.

**სინოპტიური ქარტა**, მეტეოროლოგიური რუკა — სხვადასხვა ქვეყნის ამინდის აღმნიშვნელი ერთსა და იმავე დროს.

**სინტაქსის-ი** (ბერძ. sin-tasso — ვაერთიანებ. წესრიგში მომყავს), გრამატიკის ნაწილი, რომელიც იკვლევს სიტყვებისა და წინადადებათა შეერთების წესებს.

**სინტეზ-ი**, იხ. სინთეზი.

**სინუს-ი** (sinus — „ღრუ, ჩაზნექილობა"). პერპენდიკულიარი, დაშვებული წრის კიდურიდან წრის დიამეტრზე, რომელიც გადის მეორე კიდურზე.

**სინქრონიზმ-ი**, ბერძ., ისტორიულ მოვლენათა ერთდროულობა; აქედან: **სინქრონიული მეთოდი** — სხვადასხვა ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს მომხდარ ამბების შედარების მეთოდი.

**სიონ-ი**, ებრ., 1) პალესტინაში — მთა, რომელზედაც იერუსალიმის ტაძარია აშენებული; 2) იერუსალიმის სახელწოდება.

**სიონიზმ-ი**, ებრ., ებრაელთა ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობა, წარმოშობილი მე-19-საუკ. დამლევს ანტისემიტიზმის (იხ.) და ებრაელთა დევნის ნიადაგზე. მიზნად ისახავს ებრაელთა გაერთიანებას და პალესტინაში დამოუკიდებელ ებრაულ სახელმწიფოს დაარსებას; აქედან: **სიონისტ-ი** — სიონიზმის მიმდევარი.

**სირენა** (ლათ. siren): 1) ბერძნულ მითოლოგიაში — ზღვის მომღერალი ქალთევზი, რომელიც სიმღერით ხიბლავდა მეზღვაურებს და ღუპავდა; 2) ხომალდის საყვირი გასაფრთხილებელ და დასახმარებელ ნიშნის მისაცემად.

**სირია**, მცირე აზიაში — მდ. ევფრატის და ხმელთა შუა ზღვის შუა მდებარე ქვეყანა.

**სიროფ-ი** ანუ **სიროპ-ი** (ფრ. sirop), მოდუღებული შაქრის წვენი.

**სისტემა**, ბერძ.: 1) ცნებათა თანამიმდევრობა ძირითად აზრის მიხედვით; 2) მთლიანი ერთეული, რომლის თვითეული ნაწილი ექვემდებარება საერთო წესრიგს, მაგ. ფ ტ ო ლ ო მ ე უ ს ი ს  ს ი ს ტ ე მ ა, კ ო პ ე რ ნ ი კ ი ს და სხ.; **სისტემატიზაცია** — მოვლენათა მთლიან ერთეულში ჩამოყალიბება; წესის დამყარება: — **სისტემატიკა** (რუს. დაბ.)—ზოოლოგიის და ბოტანიკის ნაწილი: ორგანიულ ფორმათა განვითარების შესწავლა და მათი დაჯგუფება მსგავს ნიშნების მიხედვით; აქედან: **სისტემატიური** — წესრიგზე დალაგებული, მეცნიერულად დასაბუთებული.

**სისტოლა**, ბერძ., საექ. ტერმ. — გულის გუნთების ავადმყოფური შეკუმშვა.

**სიტი**, ინგ., ლონდონის ძველი ნაწილი, სადაც მოთავსებულია ბანკები და სავაჭრო დაწესებულებანი.

**სიტუაცია** (ლათ. situs — მდებარეობა): 1) მდგომარეობა; 2) ადგილმდებარეობა.

**სიუზერენ-ი**, იხ. სუზერენი.

**სიურპრიზ-ი**, იხ. სურპრიზი.

**სიფილიდოლოგ-ი**, ბერძ., ვენერიულ ავადმყოფობათა სპეციალისტი ექიმი; **სიფილიდოლოგია** — მეცნიერება ათაშანგის შესახებ.

**სიფილის-ი**, ბერძ., ათაშანგი ანუ ვენერიული ავადმყოფობა, რომელიც გადადის სქესობრივ კავშირის საშუალებით და მემკვიდრეობით; აქედან: **სიფილიტიკ-ი** — ათაშანგით დაავადებული.

**სიფონ-ი** (ბერძ. siphon — მილი): 1) შუშხუნა სასმელების შესანახი მინის ჭურჭელი ონკანით; 2) სითხის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასასხმელი მინის მილი.

**სიქსტ-ის მადონა** — ღვთისმშობლის სურათი რაფაელისა. ინახება დრეზდენის სამხატვრო გალერეიაში.

**სიქსტ-ის კაპელა** — რომის პაპის სიქსტ IV-ის მიერ დაარსებული სამლოცველო ვატიკანში. ცნობილია სურათებით და ჩუქურთმებით.

**სიცილია** — უდიდესი კუნძული ხმელთა შუა ზღვაში. ეკუთვნის იტალიას.

**სკალპ-ი** (ლათ. scalpere — „გადაძრობა“). ადამიანის თავიდან თმიანად გადამძვრალი კანი; აქედან: **სკალპელ-ი** — პატარა სადოსტაქრო დანა — ლანცეტი (იხ.).

**სკანდალ-ი** (ბერძ. scandalon — „ცუდი, ბოროტი მაგალითი“), წესრიგის დარღვევა, აურზაურის ატეხა — ჩხუბი; **სკანდალისტ-ი** — სკანდალების მომხდენი, მოჩხუბარი ადამიანი.

**სკეფტიციზმ-ი** ანუ **სკეპტიციზმ-ი** (ბერძ. scepticos — „იჭვიანი, უნდობი, გაუბედავი“), ერთგვარი ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც უარჰყოფს ნამდვილ, ჭეშმარიტ ცოდნის შესაძლებლობას; **სკეფტიკ-ი** ანუ **სკეპტიკ-ი** — სკეფტიციზმის მიმდევარი; **სკეფტიკური** — იჭვიანი, ურწმუნო.

**სკვერ-ი** (ინგ. square), პატარა ბაღი გაშენებული ქალაქ ადგილას საზოგადოებრივ დანიშნულებისათვის.

**სკვითები** ანუ **სკიფები** (ბერძ., საკ. სახ., მრავლობ.), ძველად შავი ზღვის და კასპიის ჩრდილოეთით მცხოვრები ველური ხალხი.

**სკინია**, ბერძ., მოსე წინასწარმეტყველის მიერ აგებული მოძრავი ეკლესია.

**სკიპტრა**, **სკიფტრა**, ბერძ., სამეფო კვერთხი.

**სკლეროზ-ი**, ბერძ., ამა თუ იმ ორგანოს ქსოვილების გამაგრება და გათხვიერება. მაგალ. გულის, არტერიების, ტვინის და სხ. სკლეროზი.

**სკომოროხ-ი**, რუს., რუსეთში მე-16-17-ე საუკ. ქუჩებში მოხეტიალე მომღერალი — მუსიკოსი, მასხარა, მოცეკვავე.

**სკრიფკა** ან **სკრიპკა** (რუს.), იგივე ვ ი ო ლ ი ნ ო (იტ. violone), მუსიკალური საკრავი, ოთხ-სი-

...ბიანი, აწყობილი კვინტებით (mi, la, re, sol).

**სკროფულოზი** (ლათ. scrophulosis). სერავანდი.

**სკრუპულ-ი** (ლათ. scrupulum), სააფთიაქო წონა, 3 გრანი.

**სკრუპულოზური**, ლათ., ზუსტი, ზედმიწევნითი, წვრილმანი.

**სკულპტორ-ი ან სკულფტორ-ი** (ლათ. sculptore — „გამოკვეთა"), მოქანდაკე; **სკულპტურა ან სკულფტურა** — ხელოვნების დარგი: მოქანდაკეობა.

**სკუპშჩინა**, სერბ., საკანონმდებლო წარმომადგენლობა (პარლამენტი) სერბიაში.

**სლავიანები**, მრავ., ინდო-ევროპიულ (არიულ) მოდგმის ხალხნი, მცხოვრებნი აღმოსავლეთ ევროპაში: ველიკორუსები, უკრაინელები, პოლონელები, სერბიელები, ხორვატები, ბოლგარები, სლოვაკები და სხ.

**სლავიანოფილობა**, მრავ., ერთგვარი ლიტერატურული მიმდინარეობა რუსეთში, მე-19-ე საუკ. 40-50 წ. წ., უარჰყოფდა დასავლეთ ევროპის ცივილიზაციას და იდეალად ისახავდა რუსეთის თავისებურ-ნაციონალურ ფორმების დაცვას (მაგ. „ობშჩინას" და სხ.). სლავიანოფილობის დამაარსებელნი და მქადაგებელნი იყვნენ კირეევსკი, ხომიაკოვი, ძმ. აქსაკოვები, სამარინი და სხ. ეწინააღმდეგებოდენ „ზ ა პ ა დ ნ ი კ ე ბ ს", რომელნიც პირიქით, დასავლეთ ევროპის უპირატესობას ჰქადაგებდენ (გერცენი, გრანოვსკი, ბელინსკი და სხ.). იხ. პანსლავიზმი. სლავიანოფილობის მიმდევრებს ეწოდებოდათ სლავიანოფილები.

**სლუდა** — გრანიტის შემადგენელი ნაწილი, — წმინდა ქვა, გამჭვირვალე და თხელი მინასავით.

**სმეტა**, რუს., შემოსავალ-გასავალის ანგარიში, მოსალოდნელ ხარჯების აღრიცხვა. იხ. ბიუჯეტი.

**სმიტ-ი, ა დ ა მ** (Smith Adam, 1723—90), ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი. მის თხზულებათა შორის შესანიშნავია „ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების გამოკვლევა". ხალხის ნამდვილ სიმდიდრეს ხედავდა შრომის განაწილებასა და თავისუფალ კონკურენციაში.

**სოდომ-გომორ-ი**, უძველესი ქალაქები პალესტინაში — საღვთო წერილის („დაბადების") გადმოცემით დასჯილ იქნენ ციდან მოვლენილ ცეცხლით საშინელ გარყვნილებისათვის; აქედან: **სოდომ-გომორ-ის ცოდო** — არაბუნებრივი სქესობრივი კავშირი.

**სოკრატ-ი**, სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსი (469—399 წ. ქ. წ.). მისი ფილოსოფიური მოძღვრების მთავარი დებულება ცოდნის უპირატესობაში გამოიხატება. ჭეშმარიტი ცოდნა წყაროა სიკეთის და ადამიანის ყველა დანარჩენ ზნეობრივ თვისებისა. ამ ცოდნის მიღწევა შეიძლება კითხვა-პასუხის საშუალებით, რომელსაც სოკრატული მეთოდი ეწოდება. წინააღმდეგ სოფისტებისა, სოკრატი ჰქადაგებდა ზნეობრივ სიმტკიცესა და კანონიერებას. სოკრატს დასწამეს ახალგაზრდობის გარყვნა და მიუსაჯეს სიკვდილი. ერთმა მოწაფეთაგანმა (კრიტონმა) ურჩია საპყრობილიდან გაქცეულიყო, მაგრამ სოკრატმა უარჰყო ეს რჩევა და მშვიდად საწამლავი დალია. სოკრატის სწავლა-მოძღვრება გადმოცემულია პლატონის „დიალოგებში" და ქსენოფონტის „Memorabilia"-ში.

**სოლარული** (ლათ. solaris—„მზიური"), მზიური, მზისგან წარმომდგარი; აქედან: **სოლარული თეორია** — მოძღვრება, რომელიც ზღაპრულ გმირებისა და ღმერთების გაჩენის საფუძვლად აღიარებს მზეს და მზიურ მოვლენებს (სითბო, სინათლე და სხ.).

**სოლარიუმ-ი** (ლათ. solarium): 1) ძვ. რომში — აივანი სამხრეთისაკენ; 2) მზის საათი; 3) საავადმყოფო, სადაც მზით მკურნალობენ.

**სოლდატ-ი**, იხ. სალდათი.

**სოლენოიდ-ი**, ფიზიკაში — სპირალური მავთული. მოქმედებს მაგნიტივით, როდესაც მასში ელექტრონი გაივლის.

**სოლიდარობა** (ლათ. solidare—„განმტკიცება შეკავშირება"): 1) აზრთა, შეხედულებათა ან ინტერესთა თანხმობა: 2) ურთიერთ პასუხისმგებლობა; აქედან: **სოლიდარული** — შეთანხმებული.

**სოლიპსიზმ-ი**, იხ. სოლიფსიზმი.

**სოლისტ-ი** (იტ. solo). მუსიკალური პიესის, სიმღერის ან ცეკვის მარტოდ შემსრულებელი არტისტი.

**სოლიფსიზმ-ი**, ლათ.-ევროპ., მეტაფიზიკური მოძღვრება, რომლის მიხედვით რეალუ-

რად მხოლოდ საკუთარი შეგნება ანუ „მ ე ო ბ ა" არსებობს. ამ „მეობის" გარეშე ყველაფერი საეჭვოა და უარსაყოფი.

**სოლო** (იტ. solo), მუსიკალური პიესის, სიმღერის ან ცეკვის მარტოდ შესრულება.

**სოლო-ყელხილი**, თამასუქი ერთი ხელმოწერით.

**სოლომონ-ი**, საკ. სახ., ებრაელთა მეფე (993—953 წ. ქრ. წ.), განთქმული სიბრძნით; გადატ. მნიშვნ.: საერთოდ — ბრძენი, შორსმჭვრეტი ადამიანი.

**სოლონ-ი**, საკ. სახ. (ბერძ. Solon, 640-559 წ. ქრ. წ.), ცნობილი ათინელი კანონმდებელი და „პირველი არქონტი" (იხ. არქონტი). გააუქმა არისტოკრატიის პრივილეგიები, მოსპო მევახშეობა და საძირკველი ჩაუყარა დემოკრატიულ წესწყობილებას: მთელი ხალხი ქონებრივ ცენზის მიხედვით ოთხ კლასად გაჰყო, დაარსა „400"-თა საბჭო და სახალხო სასამართლო.

**სოლფეჯიო** (იტ. solfeggio), ნოტების უტექსტოდ მღერა.

**სომნამბულ-ი** (ლათ. somnus—„ძილი" და ambulare „სეირნობა"), მთვარეული, ძილში მოსიარულე ადამიანი; **სომნამბულიზმ-ი** — ერთგვარი ავადმყოფობა — ძილში სიარული ისევე როგორც ფხიზლად.

**სონატა** (იტ. sonata), სამ ან ოთხ ნაწილისაგან შემდგარი მუსიკალური პიესა, მაგ. მ ო ც ა რ ტ ი ს ს ო ნ ა ტ ე ბ ი.

**სონეტ-ი**, იტ., ლირიული 14 სტრიქონიანი ლექსი, შეიცავს 4 ტაეპს: ორ ოთხ-სტრიქონიანსა და ორ სამ-სტრიქონიანს.

**სოპრანო** (იტ. sopra—„მაღალი"), ქალის მაღალი ხმა.

**სორბონა**, უმაღლესი სასულიერო სკოლა, დაარსებული რობერ სორბონის მიერ 1253 წ. პარიზში; ეხლა ამ სახელით ცნობილია პარიზის უნივერსიტეტი.

**სოფა**, არაბ., რბილი სკამი, — სავარძელი.

**სოფიზმ-ი**, ბერძ. (sofisma — „ხელოვნური, ცრუ და ორჭოფი აზრი, ცბიერი"): 1) ყალბი დასკვნა, რომელიც ფორმალურად სწორეა. შეცდომა დაფარულია ერთერთ წინამძღვარში; 2) ცრუ მტკიცება; **სოფისტიკა** — სოფიზმებით მტკიცება, ყალბი მსჯელობა; **სოფისტები** (მრავლ.)—: ა) მჭერმეტყველების (რიტორიკის) მასწავლებლები ძვ. საბერძნეთში (5 საუკ.); ბ) უპრინციპო ადამიანები, რომელნიც შავს თეთრად მოაჩვენებდენ, თეთრს—შავად; აქედან: სოფისტური მსჯელობა—ყალბი მსჯელობა.

**სოფიოს ტაძარი**—აიასოფიას ტაძარი სტამბოლში, კონსტანტინე დიდის მიერ აშენებული (325 წ.), შესანიშნავი არქიტექტურით და სიმდიდრით. ჯვაროსანთა ომის დროს თურქებმა გაძარცვეს და მეჩეთად გადააკეთეს.

**სოფოკლე**, სახელგანთქმული ბერძენი დრამატურგი (496—406 წ. ქრ. წ.). მის ნაწარმოებში შესანიშნავია „ანტიგონე", „ოიდიპოს მეფე" (თარგმნილია ქართულად) და სხ.

**სოციალ-დემოკრატია** ანუ **სოციალ-დემოკრატიული პარტია** (ლათ. socialis — „საზოგადოებრივი" და ბერძ. demos—„ხალხი"; krateo — „ემართავე"), საერთაშორისო მუშათა პოლიტიკური ორგანიზაცია. დაარსდა პირველად გერმანიაში 1869 წ. მიზნად დასახული აქვს სოციალიზმის განხორციელება. ამ მიზნის მისაღწევად სოც.-დემოკრ. პარტია აწარმოებს ბრძოლას ყველა ბურჟუაზიულ პარტიის წინააღმდეგ და მოითხოვს: ა) პ ო ლ ი ტ ი კ უ რ დ ა რ გ შ ი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას, ბ) ე კ ო ნ ო მ ი უ რ დ ა რ გ შ ი — 8 საათის სამუშაო დღეს, საწარმოო იარაღებს, მიწის და კაპიტალის გადაცემას საზოგადოების ხელში, არაპირდაპირ გადასახადების გაუქმებას და პროგრესიულ გადასახადის შემოღებას შემოსავლის კვალობაზე, სოციალურ დაზღვევას და სხ., გ) ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ დ ა რ გ შ ი—ერთა თვითგამორკვევას.—აქედან: **სოციალ-დემოკრატი** — სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიმდევარი.

**სოციალიზმ-ი** (ლათ. socialis — „საზოგადოებრივი"), პოლიტიკურ-ეკონომიური მოძღვრება, რომელიც მოითხოვს კერძო საკუთრების, სახელდობრ საწარ. იარაღების, კაპიტალის, ქარხნების, მიწის, მაღაროების და სხ. საზოგადოების კუთვნილებად გამოცხადებას, დაქირავებულ შრომის მოსპობას და ყოველნაირ პრივილეგიის გაუქმებას (იხ. მარქსიზმი). — აქედან: **სოციალისტ-ი** — სოციალიზმის მიმდევარი; **სოციალისტური** — სოციალიზმის საფუძველზე დამყარებული.

**სოციალ-რევოლუციონერები**, ანუ სოციალისტ-რევოლუციონერები, იგივე ესერები, რუსეთში—ხალხოსნურ რევოლუციონერთა პარტია, წარმოიშვა XX ს. დასაწყისში. აერთიანებდა უმთავრესად გლეხობასა და ინტელიგენციას. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდა ტერორის საშუალებით. ეკონომიურ დარგში მოითხოვდა მ ი წ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ზ ა ც ი ა ს, ე. ი. მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას და სახელმწიფოს ხელში გადაცემას.

**სოციალური** (ლათ. socialis), საზოგადოებრივი; აქედან: სოციალური პოლიტიკა ანუ მოკლედ სოცპოლიტიკა — სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ქონებრივ, წოდებრივ და უფლებრივ უთანასწორობის მოსპობასა და შემსუბუქებას; სოციალური დაზღვევა ანუ მოკლედ სოცდაზღვევა — სახელმწიფოს ან სხვა დაწესებულების მიერ მუშების სავალდებულო დაზღვევა, რაიც უზრუნველყოფს მათ ავადმყოფობის, უმუშევრობის და სხ. შემთხვევაში.

**სოციალ-ფედერალიზმ-ი**, პოლიტიკური წამართულება, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ხალხის ურთიერთ ნებაყოფლობით ეროვნულ გაერთიანებას სოციალისტურ საფუძველზე ავტონომიური (იხ.) უფლებით; აქედან: **სოციალ-ფედერალისტ-ი** — სოციალ-ფედერალიზმის მომხრე.

**სოციოლოგია** (ლათ. societas—„საზოგადოება, კავშირი“ და ბერძ. lógos „სიტყვა“), მეცნიერება საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

**სპაზმა** (ბერძ. spao — „ვიწევ“), კუნთების უნებლიეთი შეკუმშვა.

**სპანემია** (ბერ. spanos—„მცირე-რიცხოვანი, იშვიათი“ და aima — „სისხლი“), სისხლის ბურთების და ძარისებრ ქსოვილთა შემცირება.

**სპარტა**, სახელმწიფო და ქალაქის სახელწოდება ლაკონიაში (პელოპონესის ოლქი). დაარსდა მე-X-ე ს. ქრ. წ. და გაძლიერდა VI-V საუკ. ქრ. წინ. ლიკურგის მიერ შემოღებულ კანონების შემდეგ სპარტანელებში განვითარდა სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და სამხედრო სული. მოქალაქის აღზრდა ბავშობიდანვე სახელმწიფოს ხელში იყო, რომელიც აწარმოებდა მის სასტიკ ფიზიკურ განვითარებას; აქედან: **სპარტანული** (გადატ. მნიშვნ.) — მომთმენი, ამტანი, მამაცი. სასტიკი.

**სპარტაკ-ი** (Spartacus), საკ. სახ., გლადიატორების (იხ.) წინამძღოლი ძვ. რომში (I ს. ქრ. წინ). მეთაურობდა მონების რაზმებს და აწარმოებდა სახელოვან ბრძოლას რომის პატრიციების (იხ. პატრიცი) წინააღმდეგ. დაამარცხა რამდენჯერმე მთავრობის ჯარები და ბოლოს ძლეულ იქნა გადამწყვეტ ბრძოლაში ლიცინიუს კრასის მიერ. სპარტაკი ჩაკეტილი იყო სამხრეთ იტალიის ვიწრო გასავალში, სადაც იგი დაეცა ბრძოლის ველზე 60.000 მონასთან ერთად. ტყვედ წაყვანილები ჯვარზე გააკრეს, ხოლო გაქცეულები შეიპყრეს და დახოცეს; აქედან: **სპარტაკელები** (მრავლ., თანამედროვე მნიშვნელობით)—რევოლუციონური ორგანიზაცია, დაარსებული გერმანიაში საერთაშორისო იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ. სპარტაკელების ორგანიზაცია მიემხრო ჯერ „დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს“, შემდეგ—კომუნისტურ პარტიაში გადავიდა.

**სპეკტ-**, იხ. სპექტ.

**სპეკულაცია** (ლათ. speculare — „ცქერა, თვალყურის დევნება“): 1)ვაჭრობა, რომელიც მიზნად ისახავს ფასების ხელოვნური აწევით და ნაკლები შრომის გაღებით მეტი მოგების მიღებას; აქედან: **სპეკულანტ-ი**—ჩარჩი, მოვაჭრე; 2) ფილოსოფიაში — განყენებული აზროვნება.

**სპეკულუმ-ი** (ლათ. speculum — „სარკე“), ლითონის სარკე, ადამიანის სხეულის შინაგან ღრუების დასათვალიერებლად (იხმარება მედიცინაში).

**სპენსერ-ი**, ჰ ე რ ბ ე რ ტ (Spencer, 1820—1903), ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, სინთეტიურ ფილოსოფიის დამაარსებელი. თავის ნაწერებში ცდილობდა ბუნების ევოლუციონური კანონებით აეხსნა საზოგადოებრივი მოვლენები.

**სპერმა** (ბერძ. sperma — „თესლი“), მამაკაცის სასქესო ჯირკვლებიდან გამომდინარე სითხე (თესლი); **სპერმატოზოიდ-ი** — მამაკაცის თესლში (სპერმა) მოძრავი წამწამოვანი სხეულები; **სპერმატოლოგია** (სპერმა და logos — „სიტყვა, აზრი“)—მეცნიერება ადამიანის თესლის შესახებ; **სპერმატოპათია** (სპერმა და patho —

„ტანჯვა")—ავადმყოფური თესლის დენა; **სპერმატორეა** (სპერმა და reo — „დენა") — თესლის დენა; **სპერმატოხეზის-ი** — თესლის შეხუთვა.

**სპერმაცეტ-ი**, ბერძ., ვეშაპის თავის თეთრი და ელვარე ცხიმოვანი ნივთიერება. ხმარობენ სანთლების გასაკეთებლად და მედიცინაში.

**სპერმინ-ი**, ბერძ., ორგანიული ნივთიერება, მოიპოვება ადამიანის და ცხოველთა საკვერცხე ჯირკვლებში, ელენთასა და სხ. წარმოადგენს პ რ ო უ ნ ს ე კ ა რ-ის სითხის მთავარ შემადგენელ ნაწილს და იხმარება ნერვულ ავადმყოფთა სამკურნალოდ.

**სპექტაკლ-ი** (ლათ. spectar-დან „ჰვრეტა", ფრ. spectacle) წარმოდგენა, თეატრალური სანახაობა.

**სპექტრ-ი** (ლათ. spectrum „მოჩვენება, ლანდინი"), სამ-წახნაგოვან მინის პრიზმაში გარდატეხილი მზის სხივის ცისარტყელისებური ფერადი გამოხატულება; აქედან: **სპექტრალური** — სპექტრის შესახები.

**სპექტრალური ანალიზ-ი**, სხეულის შემადგენლობის გამოკვლევა, მის მიერ გამოკრთომილი სხივთა სპექტრის ანალიზის საშუალებით.

**სპექტროსკოპ-ი**, ბერძ.-ლათ., ფიზიკური ხელსაწყო სპექტრალურ ანალიზის მოსახდენად.

**სპეც-ი** (ლათ. species — „გვარი, სახეობა"), იგივე **სპეციალისტ-ი**—თეორეტიულად და პრაქტიკულად მომზადებული ადამიანი ამა თუ იმ დარგში, მაგ. ინჟინერი, ექიმი და სხ.; აქედან: **სპეციალობა** — რომელიმე საქმის საფუძვლიანად ცოდნა; **სპეციალი** ან **სპეციალური** — განსაკუთრებული, სპეციალობის შესახები.

**სპეციალიზაცია**, ლათ.: 1) ერთ რომელიმე დარგში დახელოვნება; სამოქმედო ასპარეზის ერთი პროფესიით განსაზღვრა; 2) შრომის სხვადასხვა ფუნქციებად დაყოფა.

**სპეციფიკაცია**, ლათ.: 1) ნედლი მასალის გადამუშავება და ახალი სახის მიცემა; 2) დაწვრილებითი აღწერა სავაჭრო საქონლის, თამასუქების, საპროცენტო ქაღალდების და სხ.

**სპეციფიური**, ლათ., განსაკუთრებული, ერთი საგნის ან ადამიანისათვის დამახასიათებელი.

**სპიკერ-ი** (ინგ. speaker — „მოლაპარაკე, ორატორი"), ინგლისის პარლამენტის (თემთა პალატის) თავმჯდომარე.

**სპინოზა**, ბარუხ ანუ ბენედიქტე (Spinoza Baruch, 1632 — 77), სახელგანთქმული ფილოსოფოსი, ტომით ებრაელი. ებრაელთა დევნის გამო გადასახლდა ჰოლანდიას (ჰააგაში), სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა. სპინოზას ფილოსოფიური სისტემის მთავარი დებულება გამოიხატება ერთ სუბსტანციის აღიარებაში, რომელსაც იგი ღმერთს (Deus) უწოდებს. მთელი ბუნება თავისი მრავალი მოვლენით, მაგ. სული და ნივთიერება, მხოლოდ ამ გარდუვალი რეალობის ანუ სუბსტანციის სხვადასხვაობაა— (მოდუსი); აქედან: **სპინოზიზმ-ი** — სპინოზას მოძღვრება.

**სპირალ-ი**, ლათ., ხვია, ბრტყელი, მრუდი ხაზი, რომელიც უძრავ წერტილის გარშემო უთვალავ ხვეულებს აკეთებს; აქედან: **სპირალური** — ხრახნილისებური.

**სპირიტიზმ-ი** (ლათ. spiritus — „სული"), ერთგვარი სწავლა-მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს, რომ შესაძლებელია გარდაცვალებულთა სულებთან კავშირის გაბმა, მედიუმების ანუ საიდუმლო ძალით დაჯილდოებულ ადამიანების საშუალებით; აქედან: **სპირიტ-ი** — სპირიტიზმის მიმდევარი. იხ. მედიუმი.

**სპირიტუალიზაცია**, ლათ., განსულიერება.

**სპირიტუალიზმ-ი**, ლათ., მეტაფიზიკური მოძღვრება, რომელიც აღიარებს სულის უპირატესობას სხეულზე. უპირისპირდება მატერიალიზმს; აქედან: სპირიტუალისტ-ი — სპირიტუალიზმის მიმდევარი.

**სპირომეტრ-ი**, ლათ.-ბერძ., ფილტვების სუნთქვის ძალის საზომი იარაღი.

**სპირტომეტრ-ი**, ლათ.-ბერძ., სპირტის ხვედრითი წონის საზომი ხელსაწყო.

**სპიჩ-ი**, ინგლ. (spiech), საზეიმო სიტყვა.

**სპლინ-ი**, ბერძ.-ინგ. (spleen—„ელენთა, ნაღველი"), ერთგვარი სულიერი ავადმყოფობა, მელანქოლიის მსგავსი: ნაღვლიანობა. — გავრცელებულია ინგლისში.

**სპონდილიტ-ი** (ბერძ. spondielas — „ხერხემალი"), ხერხემლის ძვლის დაავადება.

**სპორადული**, ბერძ., გაბნეული, ცალკე, თვითეული, შემთხვევითი.

**სპორტ-ი**, ინგ. (sport), ფიზიკური ვარჯიში, მაგ. ფეხბურთი, რბენა, ლოლი და სხ.

**სპორტსმენ-ი** (ინგ. sportsman), სპორტის მოყვარული.

**სტაბილიზაცია** (ლათ. stabilire — „განმტკიცება"): 1) წონასწორობის დამყარება; ამა თუ იმ მდგომარეობის განმტკიცება; 2) ფულის კურსის განმტკიცება ანუ ერთ დონეზე შეჩერება.

**სტაგირიტ-ი**, ფილოსოფოს არისტოტელის სახელწოდება ქალაქ ს ტ ა გ ი რ ა ს (stagira) მიხედვით, სადაც იგი დაიბადა (მაკედონიაში).

**სტადია**, ბერძ.: 1) განვითარების საფეხური; 2) ძვ. საბერძნეთში — სიგრძის ზომა=87½ საჟენს.

**სტადიონ-ი** (ბერძ. stadion), საგანგებოდ მოწყობილი მოედანი ფიზიკურ ვარჯიშობისათვის.

**სტავროლით-ი** (ბერძ. stauros — „ჯვარი" და lithos — „ქვა"), ერთგვარი მინერალი ჯვარედინი ფორმისა.

**სტალ-ი**, იგივე **მადამ დე-სტალ-ი** (M-me de Stal, 1766 — 1817), სახელგანთქმული ფრანგი მწერალი ქალი. ნაპოლეონ ბონაპარტის დროს საფრანგეთიდან გაძევებული, უცხოეთში ცხოვრობდა, როგორც ემიგრანტი, 10 წლის განმავლობაში. მის ნაწერებში შესანიშნავია: „De l'Allemagne", „Carinne où l'Italie" და სხვა.

**სტაკატო**, იტ., კაკანი, მუსიკაში — წყვეტილი ტონთა რიგი.

**სტალაგმიტები**, მრავლ. (ბერძ. stalagma — „წვეთი"), ჩამონაჟონ კირნარისაგან მიღებული კონუსისებრი სვეტები გამოქვაბულში. კონუსის წვერი მიმართულია ქვევიდან ზევით.

**სტალაქტიტები**, მრავ. (ბერძ. stalaktos — „წვეთებად მიმდინარე"), ჩამოწვეთილი კირნარისაგან მიღებული კონუსის მაგვარი სხეულები გამოქვაბულში; წვეროები მიმართულია ფსკერისაკენ.

**სტანდარტ-ი** ანუ **შტანდარტ-ი** (ინგ. standart — დროშა): 1) გემზე აღმართული სახელმწიფო დროშა; 2) საქონლის რაოდენობის საზომი ერთეული; აქედან: **სტანდარტიზაცია** — ტეხნიკურ მრეწველობაში — ნაწარმოების დამზადება ერთნაირი მოდელით (ყალიბით) მუშაობის გასაადვილებლად.

**სტანსები**, მრავლ. იტ., ლექსთაწყობის ერთგვარი ფორმა — თვითეული ტაეპი შეიცავს 8 სტრიქონს.

**სტანცია** (ლათ. stare — „დგომა"): 1) სადგური, მატარებლის გასაჩერებელი ადგილი; 2) განსაკუთრებული მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულება, მაგ., შრატის დასამზადებელი, საამრეშუმო და სხ. სტანცია.

**სტაჟ-ი** (ლათ. stagium), აუცილებელი დრო, რომელიც უნდა განვლოს ამა თუ იმ პირმა სპეციალობის ხასიათის მისაღებად განსაზღვრულ დარგში, მაგ. ვექილის, მეცნიერული და სხვა სტაჟი.

**სტატია**, ლათ.: 1) სამეცნიერო ანუ საზოგადოებრივი ხასიათის წერილი ყოველდღიურ გაზეთში ან პერიოდულ გამოცემაში; 2) განსაზღვრული მუხლი კანონთა კრებულში, საბუღალტრო წიგნებში და სხ.

**სტატივ-ი** (ლათ. stativus — „ერთ ადგილას მდგომი"), სამიწათმზომელო იარაღების საყრდენობი.

**სტატიკა** (ლათ. stare-დან „დგომა"), მექანიკის ნაწილი სხეულთა წონასწორობის შესახებ. უპირისპირდება დინამიკას; აქედან: **სტატიური** — უძრავი, წონასწორი.

**სტატისტ-ი** (ახ. ლათ. stare-დან—„დგომა"), უსიტყვო როლის ამსრულებელი სცენაზე.

**სტატისტიკა** (ბერძ. statizein—„აღნიშვნა"), მასიურ მოვლენათა რიცხვობრივი შესწავლა და ამ რიცხვების მეცნიერულად დამუშავება; აქედან: **სტატისტიკოსი** — სტატისტიკის მცოდნე; **სტატისტიკური** — რიცხვობრივი; სტატისტიკის შესახები.

**სტატსდამა**, ევროპ., სეფე-ქალი, სამეფო კარის წარჩინებული მანდილოსანი.

**სტატსკი** (გერმ. staat-დან „სახელმწიფო"), სამოქალაქო, არა სამხედრო; **სტატს-სეკრეტარ-ი** — სამეფო კარის მდივანი; **სტატს-სეკრეტარიატ-ი** — სამეფო კარის სამდივნო.

**სტატუა** (ლათ. statua—stare — „დგომა"), ქანდაკება.

**სტატუტ-ი** (ლათ. status—მოქმედების წესი), დებულება, რეგლამენტი, კანონი.

**სტაფილოკოკები**, მრავლ., ერთგვარი ბაქტერიები.

**სტაციონარული** (ლათ. státio — „უძრავად დგომა“), მუდმივი, უძრავი, მყარი; აქედან: **სტაციონარული ავადმყოფი** — საავადმყოფოში მწოლიარე და არა გარედან მოსიარულე ავადმყოფი.

**სტაციონერ-ი** (ლათ.-ფრ. station), ერთ ადგილას გაჩერებული ხომალდი; წესიერების მეთვალყურე სამხედრო გემი.

**სტეარინ-ი** (ბერძ. stear — „ქონი“), ქონეულობისაგან შემდგარი მაგარი ნივთიერება; აქედან: **სტეარინ-ის სანთელი** — ქონისაგან გაკეთებული სანთელი.

**სტეგანოგრაფია** (ბერძ. steganos — „საიდუმლო“ და grapho — „ვწერ“), საიდუმლო ნიშნებით წერა.

**სტელა** (ბერძ. stêlê), ძეგლად აღმართული სვეტი.

**სტენია** (ბერძ. sthenos — „ძალა“), ორგანიზმის არა-ნორმალურად გაძლიერებული მუშაობა; აქედან: **სტენიური** — მძაფრი, ავადმყოფური მუშაობა ორგანიზმისა.

**სტენოგრამა** — განაგონის სიტყვა-სიტყვით დანაწერი. იხ. სტენოგრაფია.

**სტენოგრაფია** (ბერძ. stenos — „ვიწრო, მჭიდრო“ და grapho „ვწერ“), ნალაპარაკევის სიტყვა-სიტყვით ჩაწერა განსაკუთრებული ნიშნების საშუალებით; აქედან: **სტენოგრაფიული** — სიტყვა-სიტყვითი; **სტენოგრაფ-ი** —: 1) სტენოგრაფიის მცოდნე; 2) სწრაფლმბეჭდი მანქანა.

**სტენკა რაზინ-ი**, იხ. რაზინი.

**სტერეოგრაფია** (ბერძ. stereos — „მაგარი“, grapho — „ვწერ, ვხატავ“), სხეულთა პერსპექტიული ასახვა სიბრტყეზე.

**სტერეომეტრია** (ბერძ. stereos — „მაგარი“; metron — „ზომა“), გეომეტრიის ნაწილი — სხეულთა მოცულობის შესახებ.

**სტერეოსკოპ-ი** (ბერძ. stereos — „მაგარი“, skopein — „ჭვრეტა“), ოპტიკური იარაღი: იძლევა საგნის რელიეფურ გამოხატულებას ერთიგვარი მინის საშუალებით, რომლის წინ ათავსებენ ერთი საგნის ორ გამოხატულებას; აქედან: **სტერეოსკოპული** — რელიეფური, სტერეოსკოპის შესახები.

**სტერეოტიპ-ი** (ბერძ. stereos — „მაგარი“. tipos — „ხასიათი“), სტამბაში აწყობილ ასოთა გვერდის ჩამოსხმული ლითონის ფირფიტა წიგნის დასაბეჭდათ, რომლის საშუალებით შეიძლება მრავალი ეგზემპლარის დაბეჭდვა ხელახლად აუწყობლივ; აქედან: **სტერეოტიპია** — ამგვარი გზით მომზადებულ ლითონის ფირფიტებით ბეჭდვა; **სტერეოტიპული** — სტერეოტიპით ნაბეჭდი; გად. მნიშვნ.: ზედმიწევნით მსგავსი.

**სტერილიზაცია** (ლათ. sterilis — „უნაყოფო, უზიანო“), ნივთის ან სითხის დაწმენდა დუღილის ან სხვა ძლიერ მოქმედ ქიმიურ ნივთიერებათა საშუალებით, მაგ. ბამბის, რძის და სხ. ს ტ ე რ ი ლ ი ზ ა ც ი ა; აქედან: **სტერილიზატორ-ი** — სასტერილიზაციო მანქანა.

**სტერლინგ-ი** (ინგ. sterling), ინგლისური ფული=9 მ. 50 კ. იანგარიშება გირვანქობით. 1 გ ი რ. ს ტ ე რ ლ ი ნ გ ი იყოფა 20 შილლინგად, 1 შილლინგი — 12 პენსად.

**სტეტოსკოპ-ი** (ბერძ. stethos — „მკერდი“, skopeo — „ვჭვრეტ“), გულის და ფილტვების გასასინჯი იარალი.

**სტეფენსონ-ი**, ჯ ო რ ჯ (Stephenson, G. 1781 — 1848), ინგლისელი მექანიკოსი, ორთქლმავლის გამომგონი.

**სტიგმატიზაცია** (ლათ. stigma — „ნიშანი, დაღი“), ჯვარცმულ ქრისტეს ჭრილობების გამოსახვა საკუთარ სხეულზე შთაგონების ძალით. ამ ავადმყოფობით იყვენ შეპყრობილნი საშუალო საუკუნეებში ზოგიერთი ქალნი, რელიგიურ ფანატიზმით გატაცებულნი.

**სტილ-ი** (ლათ. stilus „წვეტიანი ჯოხი“): 1) მწერლის თავისებური ენა ანუ წერის მანერა; 2) ამა თუ იმ ეპოქის ან ერის დამახასიათებელი თვისება და გემოვნება ხუროთმოძღვრებაში, მხატვრობაში და სხ., მაგ. ბ ი ზ ა ნ ტ ი უ რ ი, მ ა ვ რ ი ტ ა ნ უ ლ ი და სხვ. სტილი; 3) ქრონიკონი ანუ წელთაღრიცხვა — ძველი (ი უ ლ ი უ ს-ის) და ახალი (გ რ ი გ ო რ ი ა ნ უ ლ ი) სტილით.

**სტილისტიკა**, ახ. ლათ., მეცნიერება ენის სიწმინდისა და სიფაქიზის შესახებ; აქედან: **სტილისტ-ი** — ლამაზი სტილის პატრონი.

**სტილომეტრ-ი** (ბერძ. stylos „სვეტი“ და metreo — „ვზომავ“), სვეტების გასაზომი ხელსაწყო.

**სტიმულ-ი** (ლათ. stimulus — წაქეზება), შინაგანი წამქეზებელი ძალა, აღმგზნები მიზეზი.

**სტიპენდია** (ლათ. stips — „ფულადი ჯილდო“ და pendere — „ფულის გადახდა“), ფულადი დახმარება ღარიბ მოსწავლისადმი უმაღლეს სასწავლებელში კურსის გავლის დროს; აქედან: **სტიპენდიანტ-ი** — სტიპენდიის მიმღები.

**სტიქია**, ბერძ., ბუნების ძალნი: ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი; აქედან: **სტიქიური** — ბუნებრივი, მძლავრი, შეუცნობელი.

**სტიხ-ი** (ბერძ. stichos — „რიგი, მწკრივი“): 1) ტაეპი, ლექსის სტრიქონი, განსაზღვრული ზომით აწყობილი; 2) საღმრთო სჯულის წიგნებში, მაგალითად სახარებაში, თვითეული თავის შემადგენელი მუხლი.

**სტიხია**, იხ. სტიქია.

**სტოიციზმ-ი** (ბერძ. stoa), ფილოსოფიური სკოლა ძველ საბერძნეთში (დაარსებული ზენონის მიერ მე-4-ე საუკ. ქრ. წ.). ჰქადაგებდა ზნეობრივ სიმტკიცეს, ყოველნაირ უბედურების და ტანჯვის გულგრილად ატანას და ბედისწერისადმი მორჩილებას. ამ მოძღვრებას დიდი გავლენა ჰქონდა შემდეგ რომში, სადაც მას აღიარებდენ ეპიქტეტი (I საუკუნ.), სენეკა (2 — 66 წ.) და იმპერატორი მარკ ავრელიუსი (121 — 180): აქედან: **სტოელნი** ანუ **სტოიკები** (მრავლ.) — სტოიციზმის მიმდევრები; **სტოიკური** — მტკიცე, შეურყეველი.

**სტომატიტ-ი** (ბერძ. stoma-დან „პირი“), პირის ღრუს ლორწოიანი გარსის ანთება.

**სტომალოსკოპ-ი**, ბერძ., პირის ღრუს, უმთავრესად კბილების, გამოსაკვლევი იარაღი.

**სტოპ!** (ინგ. stop!). შესდექ! გაჩერდი!

**სტორა** ანუ შტორა, იტ., ფანჯრის ფარდა, ზონარით ჩამოსაშვები და ასაწევი.

**სტორტინგ-ი**, შვედ., პარლამენტის სახელწოდება ნორვეგიაში.

**სტრაბონ-ი** (Strabon. 60 წ. ქრ. წ. და 20 წ. ქ. შ.), ძველი ბერძენი გეოგრაფი. მოგზაურობდა აღმოსავლეთსა და იტალიაში. დასტოვა ისტორიული შრომა—47 წიგნში მოთავსებული 17 ტომიანი გეოგრაფია, სადაც შეკრებილია ძვირფასი მასალა და ცნობები ძველი ქვეყნების შესახებ.

**სტრადივარიუს-ი** (Stradivari, 1644 — 1736), ვიოლინოების სახელგანთქმული ოსტატი. ამავე სახელით ცნობილია მის მიერ გაკეთებული ვიოლინო.

**სტრატეგია** (ბერძ. stratigia — „ჯარების ხელმძღვანელობა“). მეცნიერება ომის წარმოების და ლაშქრობის შესახებ; აქედან: **სტრატეგ-ი** — მხედართწინამძღვარი, მთავარსარდალი; **სტრატეგიული** — საომარ წესებზე დაფუძნებული, სამხედრო მოქმედებისთვის გამოსადეგი.

**სტრატიგრაფია**, ბერძ., გეოლოგიის ნაწილი: იკვლევს დედამიწის განვითარების საფეხურებს.

**სტრატილატ-ი** (ბერძ. stratilatis — მთავარსარდალი). ჯარების წინამძღოლის საპატიო ტიტული.

**სტრატოკრატია** (ბერძ. stratos — „ჯარი“ და krateo — „მართვა“), სამხედრო წოდების გაბატონება სახელმწიფოში.

**სტრატონ-ი** (ძვ. საბერძნეთში, — ათენაში, — მე-III-ე ს. ქრ. წ.), ფილოსოფოსი — ბუნებისმეტყველი. „ფიზიკოსად“ წოდებული.

**სტრეპტოკოკ-ი**, ლათ., წერტილების მსგავსი მიკრობი. აკინძულია ჯაჭვივით და შემოფარგლულია გარსით. იწვევს სხვადასხვა ავადმყოფობას, მაგ., ჯალათმას და სხ.

**სტრინდბერგ-ი**, ა ვ გ უ ს ტ (Strindberg, დაიბადა 1849). ცნობილი შვედელი მწერალი, ნატურალისტური სკოლის წარმომადგენელი ლიტერატურაში.

**სტრიქნინ-ი**, ახ. ლათ., ალკალოიდი, მზადდება ერთგვარ მცენარისაგან. ძლიერი შხამია.

**სტრიქტურა** (ლათ. stringere-დან „შევიწროება“). ამა თუ იმ მილის (მაგ. საშარდე) დავიწროება ანუ შეკუმშვა ადამიანის ორგანიზმში მისი დაავადების დროს.

**სტროებოსკოპ-ი**, ბერძნ., სტამფერის მიერ გამოგონილი ოპტიკური ხელსაწყო (სათამაშო), ცილინდრის მოყვანილობის, გვერდზე ამოჭრილი ადგილებით. ცილინდრის შიგნით მოთავსებულია ზონარი მთელ რიგ მოქმედების გამომხატველი სურათებით. ცილინდრის ტრიალის დროს თვითეული სურათის შთაბეჭდილება უერთდება შემდეგს და ამნაირად მთელ ზონარს ეძლევა ცოცხალი სურათის სახე.

**სტრონციან-ი**, სტრონციუმის ნაჟანგი.

**სტრონციუმ-ი**, ახ. ლათ., ყვითელი ფერის ლითონი (sr).

**სტროფა** (ბერძ. strepho-დან „მიბრუნება"), ლექსთაწყობის ფორმა, ჩვეულებრივ, შესდგება ოთხი სტრიქონისაგან, გარითმულია 1 და 3, 2 და 4 სტრიქონები.

**სტრუქტურა** (ლათ. struere-დან „აშენება"), აგებულება, წყობა (მაგ. ორგანიზმის, საზოგადოების და სხ.).

**სტუდენტ-ი** (ლათ. studere-დან „სწავლა"), უმაღლეს სასწავლებლის მსმენელი.

**სტუდია** (studere-დან „სწავლა"), სამხატვრო, სამუსიკო და სხ. სკოლა.

**სტუარტ-ი** (ინგ. Stuart), ძველი შოტლანდიელი მეფის საგვარეულო ინგლისში (1603—88 წ. წ.).

**სუ** (ფრ. sou), საფრანგეთში სპილენძის ფული=ფრანკის ერთ მეოცედს.

**სუბდომინანტ-ი**, მუსიკ. — გამის მეოთხე საფეხური, დიატონური გამის პირველი ტეტრაქორდის უკანასკნელი ნოტა.

**სუბვენცია** (ლათ. subvenire-დან „დახმარება"), საზოგადო საქმისათვის გაცემული დახმარება.

**სუბიექტ-ი** (ლათ. subjectum, subjecere-დან „დაქვემდებარება"): 1) გ რ ა მ ა ტ ი კ ა შ ი — ქვემდებარე; 2) ლ ო გ ი კ ა შ ი — ჩვენი საკუთარი თვითშემეცნება, რომელიც უპირისპირდება გარეშე საგნებს (ობიექტს); 3) მოქმედი პირი. — აქედან: სუბიექტიური — პირად შთაბეჭდილებაზე დამყარებული, თავისებური, უპირისპირდება ო ბ ი ე ქ ტ ი უ რ ს.

**სუბიექტივიზმ-ი** (ლათ. subjicere — „დაქვემდებარება"): 1) აზროვნების მეთოდი (იგივე ს უ ბ ი ე ქ ტ ი უ რ ი მ ე თ ო დ ი), რომელსაც მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ზნეობრივი (ეთიური) ელემენტი შეაქვს; 2) მოვლენათა გაშუქება პირად შთაბეჭდილების და განცდის მიხედვით.

**სუბ-ინსპექტორ-ი**, ლათ., ინსპექტორის ხელქვეითი ანუ თანაშემწე.

**სუბ-კომისია**, ლათ., ქვე-კომისია, მთავარ კომისიის ხელქვეითი.

**სუბლიმაცია** (ახ. ლათ. sublimis-დან, — „მაღალი, ამაღლებული"), ფილოლოგიაში — ერთი სახის ენერგიის გარდაქმნა მეორე სახედ.

**სუბორდინაცია** (ლათ. sub „ქვეშ" და ordinare „ბრძანებლობა"), დაქვემდებარება, უმცროსის დამორჩილება უფროსისადმი.

**სუბრეტა** (ლათ. sobrius — „ფხიზელი" და ფრ. soubrette): 1) ძვ. იტალიასა და შემდეგ ფრანგულ კომედიებში — ეშმაკი, ყოჩაღი და ქალბატონის ნდობით აღჭურვილი მოსამსახურე გოგოს ტიპი; 2) მარდი და გაქნილი მოსამსახურე გოგო.

**სუბსიდია** (ლათ. subsidium — „დახმარება"), ნივთიერი დახმარება.

**სუბსტანცია** (ლათ. substantia), ფილ. ტერმინი: სამყაროს უპირველესი და მარადიული საწყისი (დასაბამი), უპირისპირდება ცვალებადს და გარდამავალს.

**სუბსტიტუცია** (ლათ. sub-stituere „შედგმა, შენაცვლება"), იურიდ. ტერმ.: საკუთარ უფლებათა გასხვისება სასყიდლით.

**სუბსტრატ-ი**, იხ. სუბსტანცია.

**სუბტილური** (ლათ. subtilis), ნაზი, მსუბუქი, სათუთი, ფაქიზი.

**სუბტროპიკული**, ქვეტროპიკული; ზომიერ-ჰავიანი; აქედან: სუბტროპიკული ზონა — ზომიერ-ჰავიანი სარტყელი დედამიწისა.

**სუდან-ი** (არაბ. ბელედ-ერ — შავკანიანთა ქვეყანა), ჩრდილო-აფრიკის შუა ნაწილი, ნილოსიდან გვინეამდე. დასახლებულია ზანგთა სხვადასხვა ტომებით. წინად დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ეხლა — საფრანგეთისა და ინგლისის კოლონიაა.

**სუდრა** ანუ **შუდრა**, დაბალი წოდების ხალხი ძველ ინდოეთში: ხელოსნები, დღიურად მომუშავენი, მიწის მუშები და სხ.

**სუეცის არხი**, ხმელთაშუა და წითელი ზღვების შემაერთებელი არხი. ფრანგ ინჟინერის ლესეპსის (1805—94) მიერ გაყვანილი თანახმად იმ პროექტისა, რომელიც შემუშავებული იყო ავსტრიელ ინჟინერ ნეგრელლის მიერ (ვარდ. 1858 წ.).

**სუვენირ-ი** (ფრ. souvenir), დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამგე, უზენაეს ხელისუფლების მატარებელი.

**სუვერენიტეტ-ი** (ფრ. souveraineté), სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; უზენაესი უფლება.

სუზერენ-ი (ფრ. suzerain), საშუალო საუკუნეების ფეოდალი მეფე, რომელსაც ემორჩილებოდენ მისი ვასალები, ხოლო, სამაგიეროდ, სუზერენი მოვალე იყო დახმარება და მფარველობა გაეწია ვასალისათვის. იხ. ვასალი.

სუიტა (მუსიკ. ტერმ.), მოკლე მუსიკალურ ნაწარმოებთა (პიესების) კრებული.

სულემა, ორქლოროვანი სინდიკი ($HgCl_2$). მიიღება სინდიკის სიმჟავის გახსნით მარილის სიმჟავეში. ძლიერი შხამია. იხმარება სადეზინფექციოდ.

სულთან-ი ანუ სულტან-ი (არაბ., „ბატონი, მბრძანებელი"), მონარქის სახელწოდება მაჰმადიანურ ქვეყნებში.

სუმა (ლათ. summa — „ჯამი"): 1) მათემატიკაში — ერთგვარ რაოდენობათა შეერთების შედეგი; 2) ფულის განსაზღვრული რაოდენობა. საზოგადოთ — თანხა.

სუმბურ-ი, ქაოსი. ბუნდოვანობა, სისულელე.

სუმერიელები, მრავლ. — უძველესი ხალხი მესოპოტამიაში, რომელთაც 40 საუკ. ქრ. წ. საფუძველი ჩაუყარეს ბაბილონის კულტურას და ლურსმული წერა შემოიღეს. ზოგიერთ მეცნიერის (არქეოლოგის) გამოკვლევით, ქართველი ხალხი და ქართული ენა ენათესავება სუმერიელების ძველ კულტურასა და ენას.

სუნ-იატ-სენ-ი, სახელგანთქმული ჩინელი რევოლუციონერი (1866 — 1925), ჩინეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადი და გომინდანის (იხ.) პარტიის დამაარსებელი.

სუნიტები, მრავლ., არაბ., მაჰმადიანური სექტა, რომელიც, ყურანის გარდა, სარწმუნოების წყაროდ ალიარებს ზეპირ გადმოცემას (სუნას) მაჰმადის შესახებ.

სუპერ-არბიტრ-ი (ლათ. super — „ზემოდ, მაღლა" arbiter — „შუაკაცი, მოსამართლე"), სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარე.

სუპერ-ინტენდენტ-ი, ლათ., მაღალი თანამდებობის სასულიერო პირი პროტესტანტებს შორის; ეკლესიების ზედამხედველი მთელ ოლქში.

სუპერ-ნატურალიზმ-ი ან სუპრა-ნატურალიზმ-ი, ახ. ლათ., ზესთაბუნებრივ ძალთა არსებობის რწმენა; აქედან: სუპრა-ნატურალისტ-ი — სუპრა-ნატურალიზმის მიმდევარი.

სუპერ-ფოსფატ-ი (ქიმ.), ძვლის ან საერთოდ ფოსფორ-ნარევ ნივთიერებისაგან დამზადებული მარილები. იხმარება ნიადაგის გასაპოხიერებლად.

სუპრემატია, ლათ., პირველობა, მეთაურობა, მაგ. რომის პაპის სუპრემატია კათოლიკურ ეკლესიაში.

სურა, არაბ., ყურანის თავი (მთელი ყურანი დაყოფილია 115 სურად. — იხ. ყურანი).

სურიკ-ი (ქიმ.), წითელი საღებავი.

სურმა (ქიმ.), თეთრი ფერის ქიმიური ელემენტი — sb, ხვედრითი წონა=6,7.

სუროგატ-ი (ლათ. surrogo — „ერთი პირის მაგივრად მეორის არჩევა"), მაღალი ღირსების საგნის შეცვლა დაბალი ღირსების საგნით, მაგ. ნამდვილი ყავის მაგიერ მუხის რკოს ხმარება, შაქრის მაგიერ — სახარინის და სხ.

სუსპენზორ-ი (ლათ. suspendere-დან — „ჩამობმა, ჩამოკიდება"), მამაკაცის ჩამოსულ სასქესო ორგანოს ასაბმელი თასმა-ბადე.

სუტენერ-ი (ფრ. souteneur), ოღრაში, როსკიპ ქალთა გამქირავებელი კაცი.

სუფიქს-ი (ლათ. suffixus). გრამატიკაში — სიტყვის ბოლოსართი.

სუფლიორ-ი (ფრ. souffler-დან — „კარნახი"), მოკარნახე, განსაკუთრებული პირი, რომელიც წარმოდგენის დროს თეატრში არტისტებს როლებს უკარნახებს.

სუფრაჟიზმ-ი (ინგ. suffragette), ქალთა მოძრაობა ინგლისში. მიზნად ისახავს ქალების გათანასწორებას უფლებებში მამაკაცებთან (იხ. ემანსიპაცია); აქედან: სუფრაჟისტკა (რუს. დაბ.) ანუ სუფრაჟისტ-ი — სუფრაჟიზმის მომხრე ქალი ანუ კაცი.

სფერო (ბერძ. sphaira — „ბურთი, რგვალი სხეული"): 1) ბურთის ზედაპირი. ბურთი; 2) დედამიწის ბურთი; 3) გად. მნიშვნ.: სამოქმედო ასპარეზი; აქედან: სფერული — ბურთისებური.

სფერიული ტრიგონომეტრია, სწავლა სფერულ სამკუთხედის კუთხეების და გვერდების შორის დამოკიდებულების შესახებ.

სფეროიდალური მდგომარეობა სითხეთა (ფიზ.). გავარვარებულ ლითონზე დანთხეული სითხის წვეთის სფერული მდგომარეობა. აღნიშნულ სითხის წვეთი ბურთისებურ (სფერულ) ფორმას იღებს და არ განიცდის აორთქლებას.

სფეროიდ-ი (ბერძ. sphaira — „ბურთი" და eidos — „მსგავსება"), პოლიუსებ-შეწეული ბურ-

თი, რომელიც მიიღება ელიპსის ბრუნვით თავის ღერძის ირგვლივ (იხ. ელიპსოიდი).

**სფიგმოგრაფ-ი** (ბერძ. sphygmos — „მაჯის ცემა“ და grapho — „ვწერ“). მაჯისცემის საზომი ხელსაწყო.

**სფიგმომეტრ-ი**, იხ. სფიგმოგრაფი.

**სფინქს-ი** (ბერძ. sphigx — sphigsis — „შეკვრა, შებოჭვა, დახრჩობა“): 1) ეგვიპტის ზღაპრული ცხოველი, ადამიანის თავით და ლომის ტანით; 2) ფრთოსანი ვეშაპი თებესში (ძვ. საბერძნეთში); ოიდიპოს მეფის დროს; 3) გად. მნიშვ.: ამოცანა, ძნელად ამოსაცნობი არსება.

**სქემა** (ბერ. scheo-დან „დაჭერა“), გეგმა, ჩონჩხი; საგნის ზოგადი ასახვა; აქედან: სქემატიური — ზოგადი.

**სქიზმა** (ბერძ. schisma — „გაყოფა, უთანხმოება, გათიშვა“): 1) განხეთქილება, განსაკუთრებით რელიგიური ხასიათისა; 2) კათოლიკებში — მართლმადიდებლობა; აქედან: სქიზმატიკ-ი —: ა) განდგომილი; ბ) კათოლიკებში — მართლმადიდებელთა სახელწოდება.

**სქოლასტიკა** (ბერძ. scholi-დან „სკოლა“), საშუალო საუკუნოების საეკლესიო ფილოსოფია. მისი შინაარსი შეზღუდული იყო ღვთისმეტყველებით და სხვადასხვა რელიგიურ დოღმატების ირგვლივ განყენებული მსჯელობით; აქედან: სქოლასტიკური — განყენებული, მშრალი, მეტაფიზიკური.

**სქოლიო** (ბერძ. scholion — „ახსნა, განმარტება“). მოკლე შენიშვნები ამა თუ იმ კლასიკურ ნაწარმოების გვერდებზე ტექსტის შესამოწმებლად ან განსამარტავად; აქედან: სქოლასტ-ი — სქოლიების შემდგენელი.

**სცენა** (ლათ. scena): 1) თეატრის ამაღლებული ნაწილი, სადაც იდგმის წარმოდგენა; 2) დრამატიულ ნაწარმოების ანუ პიესის მოქმედების ნაწილი; აქედან: სცენიური — სცენაზე წარმოსადგენი.

**სცენარიუმ-ი**, ლათ.: 1) მოქმედ პირთა სია პიესაში შენიშვნებით, თუ ვინ როდის უნდა გამოვიდეს სცენაზე; 2) კინო-სურათებისათვის დაწერილი პიესა.

**სცენარიუს-ი**, ლათ.: 1) სცენის გარეშე, კულისებში, მყოფი პირი, რომელიც მსახიობებს სცენაზე შესვლის ვადას ანიშნებს; 2) სათეატრო დეკორაციების მხატვარი.

**სცენოგრაფია** (ლათ. scena — „სცენა“ და ბერძ. grapho — „ვწერ“), საგნის პერსპექტიული გამოხატვა სიბრტყეზე.

**სცილა და ქარიბდა**, ბერძ., სიცილიის სრუტის ნაპირას მდებარე ორი სახიფათო კლდე. ბერძენთა გადმოცემით, ამ ადგილას ორი საზარელი ვეშაპი ცხოვრობდა, რომელნიც მეზღვაურებს შთანთქავდენ. ს ც ი ლ ა ს და ქ ა რ ი ბ დ ა ს შ ო რ ი ს გ ა ს ვ ლ ა — ამ ხიფათისაგან გადარჩენას მოასწავებდა; აქედან გად. მნიშვ.: სცილას და ქარიბდას შორის ყოფნა — გამოუვალი მდგომარეობა ანუ ორ ცეცხლ შუა ყოფნა.

**სხიზმა**, იხ. სქიზმა.

**სხოლასტიკა**, იხ. სქოლასტიკა.

**სხოლიო**, იხ. სქოლიო.

## ტ

**ტაბელ-ი** (ლათ. tabula-დან „დაფა“), განრიგება, ცხრილი, სია.

**ტაბეს-ი** (ლათ. tabes), ხერხემლის ტვინის დაავადება (tabes darsualis); აქედან: ტაბეტიკ-ი — ტაბესით დაავადებული.

**ტაბლ დ'ოტ-ი** (ფრ. table d'hôte). საერთო სუფრა სასტუმროში.

**ტაბორ-ი**, ოსმ.: 1) ბოშების ოჯახთა შეჯგუფება; 2) ოსმალეთში — ქვეითა ჯარის ბატალიონი.

**ტაბორიტები**, რელიგიური სექტა ჩეხეთში მე-XV-ე საუკ. იოანე ჰუსის უკიდურესი მიმდევრები: უარჰყოფდენ როგორც სასულიერო, ისე საერო იერარქიას.

**ტაბუ**, იხ. თაბუ.

**ტავერნა** (ლათ. taverna). სამიკიტნო.

**ტავტოლოგია**, ბერძ.. ერთი და იგივე ცნების გამოხატვა სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირ მნიშვნელოვანი სიტყვებით, მაგ.: მარადიული — უკვდავი; აქედან: ტავტოლოგიური — თანაბარ მნიშვნელოვანი, განმეორებითი. იხ. პლეონაზმი.

**ტაიგა,** ულრანი ნაძვის ტყე ციმბირში.

**ტაიფუნ-ი** ანუ **ტიფონ-ი** (გეოგრ.), ძლიერი გრიგალი ჩინეთის და იაპონიის ზღვაზე.

**ტაკს,** იხ. ტაქს.

**ტაკტ,** იხ. ტაქტ.

**ტალანტ-ი** (ბერძ. talanton): 1) ადამიანის ნიჭი ანუ უნარი ამა თუ იმ დარგში; 2) ოქროსა და ვერცხლის ზოდი; 3) სავაჭრო წონა ძვ. საბერძნეთში=6.000 დრაქმას.

**ტალასოკრატია,** იხ. თალასოკრატია.

**ტალეირან-ი** (Talleyrand, 1754—1833), გამოჩენილი ფრანგი დიპლომატი, საფრანგეთის წარმომადგენელი ვენის კონგრესზე, სადაც მან საკვირველი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა. ტალეირანს ეკუთვნის შემდეგი აფორიზმი: „დიპლომატებს ენა იმიტომ აქვთ, რომ თავისი აზრი დამალონ".

**ტალერ-ი,** იხ. თალერი.

**ტალისმან-ი,** არაბ., თილისმიანი, ჯადოქრული ნივთი.

**ტალმან-ი,** ფინ., ფინლიანდიის სეიმის თავმჯდომარე.

**ტალმუდ-ი,** იხ. თალმუდი.

**ტალონ-ი** (ლათ. talus), წერილობითი საბუთი, რომლის ძალითაც მისი მფლობელი ფულის ან საქონლის მიღების უფლებას იძენს.

**ტამბურ-მაჟორ-ი** (ფრ. tambour — „დოლი" და majeur — „მთავარი"), სამხედრო მედოლეთა უფროსი.

**ტამპლიერთა ორდენი** ანუ **ტამპლიერები,** მრავ. (ფრ. temple-დან — „ტაძარი"), რაინდთა ორდენი, დაარსებული საჯვაროსნო ომების დროს მე-XII-ე საუკ. მათი პირველი საცხოვრებელი ბინა იყო იერუსალიმი, სწორედ ის ადგილი, სადაც აღმართული იყო ძველად სოლომონის ტაძარი. აქედან წარმოსდგა ტამპლიერთა ორდენის სახელწოდება.

**ტამპონ-ი,** ევროპ., — ფილთა, ბამბის ან მარლის ხვეული ჭრილობაში ჩასადები სისხლის ან ჩირქის ამოსაწმენდათ.

**ტანგეიზერ-ი,** იხ. ტანჰეიზერი.

**ტანგენს-ი** (ლათ. tangere-დან — „შეხება"); ტრიგონომეტრიული ოდენობა. გამოხატავს შემხები ხაზის მონაკვეთის შეხებას საწყის A წერტილიდან კუთხის გვერდის გაგრძელების გადაკვეთამდე რადიუსთან შეფარდებით.

**ტანინ-ი,** ფრ., მუხის ქერქის, ჩაის ან სხვა მცენარისაგან მიღებული მოყვითალო ფხვნილი. იხმარება ფოტოგრაფიაში, მედიცინაში და სხ.

**ტანკა** ანუ **ტანკი,** ჯავშნიანი სამხედრო მანქანა. მოძრაობს ერთგვარ დაკბილულ რკინის ზონრის საშუალებით.

**ტანტალ-ი** ანუ **ტანტალოსი** (ლათ. Tantalus). მითოლოგიური პიროვნება — ფრიგიის მეფე, რომელმაც, ძველი თქმულებით, ღმერთებს ნადიმზე თავისი შვილის ხორცი მიართვა, რისთვისაც იგი სასტიკად დაისაჯა: ღმერთებმა ჯოჯოხეთში ჩააგდეს, სადაც სიმშილითა და წყურვილით იტანჯებოდა და ვერ სწვდებოდა წყალსა, რომელიც მის ირგვლივ მოიპოვებოდა: აქედან: ტ ა ნ ტ ა ლ ი ს ტ ა ნ ჯ ვ ა.

**ტანტიემა,** ფრ., ამა თუ იმ დაწესებულების (მაგ., ბანკის) მოსამსახურეთა დაჯილდოება წარმოების მოგების მიხედვით.

**ტანც-კლას-ი,** გერმ., საცეკვაო სკოლა.

**ტანცმეისტერ-ი,** გერმან., ცეკვის მასწავლებელი.

**ტანჰეიზერ-ი:** 1) ჯვაროსანთა ომში მონაწილე ტრუბადური (იხ.); 2) ვაგნერის ოპერის „ტანჰეიზერ"-ის მთავარი გმირი.

**ტაპიერ-ი** ანუ **ტაპიორ-ი** (ფრ. taper — „რახუნი"), როიალზე დამკვრელი გასართობ სახლებსა და ლუდხანებში.

**ტარა,** ევრ., საქონლის შესახვევ მასალის (ტილოსი, ყუთების და სხ.) წონა; საერთო (ბრუტო) და ხალასი (ნეტო) ნაწილის შორის არსებული განსხვავება.

**ტარან-ი,** ბერძ.: 1) კედლის სარღვევი საომარი იარაღი. იხმარებოდა ძველად საბერძნეთში; 2) ხომალდის ქვედა ნაწილის ჭიმი მტრის გემების ზიანის მისაყენებლად.

**ტარანტელა** (იტ. tarantella), ნეაპოლიტანური სწრაფი ცეკვა. პირველად შემოიღეს ქალ. ტარენტში.

**ტარიფ-ი** (ფრ.-ინგ. tariff): 1) გიბრალტარის სრუტესთან მდებარე პატარა ქალაქის სახელწოდება. მავრების (არაბების) ბატონობის დროს ისპანეთში, ზემოდ აღნიშნულ სრუტესთან ჩასაფრებულნი იყვნენ არაბნი, რომელნიც ხარკს

აძლევინებდენ გამვლელ გემებს, საქონლის ხარისხის და რაოდენობის მიხედვით. აქედან წარმოსდგა სიტყვა ტ ა რ ი ფ ი, ანუ ფასების ცხრილი, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის სახელმწიფო დაწესებულება (მაგ. რკინის გზა) ანუ კერძო კომპანია ქირას ან გადასახადს ახდევინებს ბარგის, საქონლის, მგზავრების და სხ. გადაგზავნაში; 2) შემოსაზიდი და გასაზიდი საქონლის ცხრილი სათანადო ბაჟის აღნიშვნით.

ტარპე-ის კლდე, კაპიტოლის მთის ნაპრალი ძველ რომში. ძველად ამ კლდიდან აგდებდენ სახელმწიფო დამნაშავეთ.

ტარტარ-ი, ბერძ. მითოლოგიაში: ქვესკნელთა სამეფო, სადაც იგზავნებოდენ ცოდვილი სულები.

ტარტიუფ-ი (ფრ.-იტ. tartufe — „ცუდი კაცი"), მოლიერის კომედიის („ტარტიუფი") მთავარი გმირი — ორპირობისა და გაიძვერობის განსახიერება; გადატ მნიშვნ.: ფარისეველი და ზნე-დაცემული ადამიანი.

ტატუირობა, ინგ.-ფრ., სხეულის დახატვა ან ამოწვა სხვადასხვაგვარ წარუშლელ ნიშნებით. გავრცელებულია ველურებში.

ტაუტოლოგია, იხ. ტავტოლოგია.

ტაქსა (ლათ. taxare — „შედარება"), ნიხრი, ან საქონელზე დაწესებული ფასი; აქედან: ტაქსატორ-ი — ტაქსის დამდები, გამნიხრავი: ტაქსაცია — : ა) მიწის ან ტყის ფასების განსაზღვრა; ბ) მეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს ამა თუ იმ მამულის ნიადაგს, მცენარეულობას და სხ. იმავე მამულის შესაფასებლად.

ტაქსომეტრ-ი, ლათ.-ბერძ., განვლილ მანძილის საზომი ხელსაწყო.

ტაქტ-ი (ლათ. tactus-იდან „შეხება, მოქმედება"): 1) ბგერათა ხანგრძლივობის ზომა, რიტმი; 2) თავის დაჭერის უნარი და ზრდილობიანობის გრძნობა საზოგადოებაში.

ტაქტიკა, ლათ.: 1) მეცნიერება საომარ საშუალებათა და სამხედრო წესების გამოყენების შესახებ; 2) პოლიტიკური პარტიის მოქმედების საშუალებანი ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად; აქედან: ტაქტიკ-ი — ტაქტიკის მცოდნე, წინდახედული ფრთხილი ადამიანი.

ტაქტომეტრ-ი, იხ. მეტრონომი.

ტაციტ-ი, პ უ ბ ლ ი ი  კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ი (55 - -120), სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი. მის მრავალ ისტორიულ ნაწერში შესანიშნავია: „Germania", „Historiai" და „Annales".

ტახ-, იხ. ტაქ.

ტეატრ-ი, იხ. თეატრი.

ტევტონები, მრავლ., გერმანელთა უძველესი ტომი. ცხოვრობდენ ბალტიის ზღვის ნაპირებზე.

ტევტონთა ორდენი, რაინდთა ორდენი. დაარსებული საშუალო საუკუნოებში (1199 წ.) ჯვაროსნულ ომების დროს.

ტეზეი, იხ. თეზეი.

ტეზის-ი, იხ. თეზისი.

ტეიზმ-ი, თეიზმი.

ტეკ, იხ. ტექ.

ტელეგრამა (ბერძ. tele — „შორს" და gramma — „ნაწერი"), დეპეშა, ტელეგრაფის საშუალებით მიღებული ცნობა.

ტელეგრაფ-ი (ბერძ. tele — „შორს" და grapho — „ვწერ"), ცნობების შორს მანძილზე გადამცემი ელექტრო-მაგნიტური მოწყობილობა; აქედან: ტელეგრაფისტ-ი — ტელეგრაფზე მომუშავე კაცი.

ტელეოლოგია (ბერძ. teleios — „უკანასკნელი" და logos — „სიტყვა, სწავლა"), იდეალისტურ-ფილოსოფიური მოძღვრება მსოფლიოში ყველა მოვლენის მიზანშეწონილობისა და ჰარმონიულობის შესახებ.

ტელესკოპ-ი (ბერძ. tele — „შორს" და skopeo „ვსჭვრეტ"); ასტრონომიული ჭოგრი — საჭვრეტი მილი ცის მნათობთა დასაკვირვებლად.

ტელეფონ-ი (ბერძ. tele — „შორს" და phone — „ბგერა"), ელსმენი, — ადამიანის ნალაპარაკევის და, საზოგადოდ, ბგერის შორს მანძილზე გადამცემი ელექტრო-მაგნიტური მოწყობილობა.

ტელეფონოგრამა, ტელეფონით გადაცემული დეპეშა.

ტელეფოტოგრაფია (ბერძ. tele — „შორს", photo — „სურათი" და grapheo — „ვწერ"), ელექტრულ ნაკადის საშუალებით სურათების გადაცემა შორეულ მანძილზე.

ტელ-ი, ვ ი ლ ჰ ე ლ მ-ი ანუ ვილჰელმ ტელ-ი, შვეიცარიელთა ეროვნული გმირი. სახელი გაითქვა ჰაბსბურგებთან (იხ.) ბრძოლაში შვეიცარიის დამოუკიდებლობისათვის XIV ს.

ტემა, იხ. თემა.

ტემბრ-ი, ლათ.-ფრ., ბგერათა თავისებურობა.

ტემპერამენტ-ი (ლათ. temperamentum — „ზომიერება, საშუალო"), ამა თუ იმ პიროვნების ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურობა. ტემპერამენტი შეიძლება იყოს: ა) ს ა ნ გ ვ ი ნ ი - კ უ რ ი — მსუბუქი, ადვილად აღმგზნები; ბ) ქ ო - ლ ე რ ი უ ლ ი — მტკიცე, ნერვული და ძლიერი; გ) მ ე ლ ა ნ ქ ო ლ ი უ რ ი — მოწყენილი, ნაღვლიანი და სუსტი; დ) ფ ლ ე გ მ ა ტ ი უ რ ი — მძიმე, ზარმაცი და უსიცოცხლო.

ტემპერატურა, ლათ., სითბო-სიცივის ხარისხი. გამოიხატება გრადუსებში და იზომება თერმომეტრის საშუალებით.

ტემპ-ი (იტ. tempo). მოქმედების სისწრაფის ხასიათი; მუსიკაში — ბგერათა მოძრაობის ზომა.

ტენ-ი, ი პ ო ლ ი ტ ე (Taine, 1828 — 93), სახელგანთქმული ფრანგი ფილოსოფოსი და კრიტიკოსი. მის მრავალ ნაწერში შესანიშნავია: „ლექციები ხელოვნების შესახებ".

ტენდენცია (ლათ. tendere-დან — „გაწევა"): 1) განსაზღვრულ მიზნისკენ მისწრაფება; 2) წინასწარ მიღებული აზრი ანუ მსჯელობა; ტენდენციური — განსაზღვრულ მიზნისკენ მიმართული.

ტენდერ-ი (ინგ. tender). გემის ან ორთქლმავალის თანამგზავრი განსაკუთრებული ხომალდი ან ვაგონი წყლის და სათბობ მასალის მარაგით.

ტენის-ი ანუ ლაუნ-ტენის-ი (ინგ. tennis), ბადისებრ ტარიან ფირფიტების საშუალებით ბურთაობა გაშლილ ადგილას.

ტენორ-ი (იტ. tenore): 1) მამაკაცის მაღალი დიაპაზონის ხმა; 2) ტენორით მომღერალი მსახიობი.

ტეოგონია, იხ. თეოგონია.

ტეოდიცეა, იხ. თეოდიცეა.

ტეოდოლიტ-ი, იხ. თეოდოლიტი.

ტეოკრატია, იხ. თეოკრატია.

ტეოკრიტ-ი, იხ. თეოკრიტოსი.

ტეოლოგია, იხ. თეოლოგია.

ტეორემა, იხ. თეორემა.

ტეორია, იხ. თეორია.

ტეოსოფია, იხ. თეოსოფია.

ტერაპია, იხ. თერაპია.

ტერასა (ლათ. terra — მიწა), აივანი, ბანი, ერდო.

ტერიტორია (ლათ. terra-დან „მიწა, ხმელეთი"). სახელმწიფოს, ოლქის, ქალაქის ან თემის კუთვნილი მიწა-წყალი ამა თუ იმ საზღვრებში; აქედან: ტერიტორიალური — ადგილობრივი.

ტერმები, იხ. თერმები.

ტერმიდორ-ი, იხ. თერმიდორი.

ტერმინ-ი (ლათ. terminus — „საზღვარი, ბოლო"), განსაზღვრულ მნიშვნელობის სიტყვა, ხმარებული მეცნიერებასა ან ხელოვნებაში ამა თუ იმ ცნების აღსანიშნავად.

ტერმინოლოგია, ლათ.-ბერძ., სპეციალურ სიტყვათა ანუ გამოთქმათა კრებული მეცნიერების ან ხელოვნების დარგში.

ტერმიული, იხ. თერმიული.

ტერმობარომეტრ-ი, იხ. თერმობარომეტრი.

ტერმოგენური ბაქტერიები, იხ. თერმოგენური ბაქტერიები.

ტერმოგრაფი, იხ. თერმოგრაფი.

ტერმოდინამიკა, იხ. თერმოდინამიკა.

ტერმოელექტრობა, იხ. თერმოელექტრობა.

ტერმოკაუტერ-ი, იხ. თერმოკაუტერი.

ტერმოლამფა, იხ. თერმოლამფა.

ტერმომაგნეტიზმ-ი, იხ. თერმომაგნეტიზმი.

ტერმომეტრ-ი, იხ. თერმომეტრი.

ტერმომულტიპლიკატორ-ი, იხ. თერმომულტიპლიკატორი.

ტერმოპენეტრაცია, იხ. თერმოპენეტრაცია.

ტერმოს-ი, იხ. თერმოსი.

ტერმოსკოპ-ი, იხ. თერმოსკოპი.

ტერმოსტატ-ი, იხ. თერმოსტატი.

ტერმოფილური ბაქტერიები, იხ. თერმოფილური ბაქტერიები.

ტერმოქიმია, იხ. თერმოქიმია.

ტერორ-ი (ლათ. teror — „შიში"). პოლიტიკური ბრძოლის ერთგვარი მეთოდი, რომელსაც ახასიათებს ძალადობა, მკვლელობა, დატუსაღება და სხ., აქედან: ტერორისტ-ი — ტერორის მომხრე.

**ტერპენტინ-ი** (ლათ. terpentin), ფიჭვის ხისაგან გამოჟონილი სითხე; აქედან: ტერპენტინის ზეთი — სკიპიდარი.

**ტერპსიხორა** ან **ტერფსიქორა** (ბერძ. terpo — „ალვაფრთოვანებ", ხორო — გუნდი), ბერძნულ მითოლოგიაში — ფერხულის ქალ-ღმერთი.

**ტერსიტ-ი**, მახინჯი და ლირფი ბერძენი, რომელმაც ტროადის ომში ცილი დასწამა აქილეს. ამისათვის აქილევსმა მოჰკლა იგი; აქედან — გად. მნიშვნ: ზნედაცემული და მახინჯი ადამიანი.

**ტერცია** (ლათ. tertius-იდან „მესამე"): 1) სეკუნდის $^1/_{30}$ ნაწილი; 2) სტამბის ერთგვარი შრიფტი № 16; 3) მუსიკაში — ინტერვალი სამჟანამიმყოლ ტონთა შორის.

**ტესმოტეტი**, იხ. თესმოთეტი.

**ტესტამენტ-ი** (ლათ. testamentum — „მოწმობა"): 1) ანდერძი; 2) კათოლიკებში — ძველი და ახალი აღთქმის სახელწოდება.

**ტეტანია**, ლათ., ერთგვარი ნერვული ავადმყოფობა, რომელსაც თან სდევს კრუნჩხვა. ძუძუმწოვარა ბავშვებს ემართებათ, უმთავრესად. ხელოვნური კვების გამო. უკანასკნელ დროს მის მიზეზად ალიარებენ შინაგან სეკრეციის ფარისებრ ჯირკვლის დაავადებას.

**ტეტანუს-ი**, ერთგვარი ავადმყოფობა (СТОЛБНЯК). წარმოსდგება მიწის ან ჟანგის ჩაკრობით კანში (მაგ. წაჭრევის დროს).

**ტეტრარქია** (ბერძ. tetras — „ოთხი", archo — „ვმართავ"), ოთხის მართვა-გამგებლობა; მთელი სახელმწიფოს დაყოფა ოთხ სამმართველოდ; აქედან: ტეტრარქ-ი — სახელმწიფოს ერთი ოთხ-მმართველთაგანი.

**ტეურგია**, იხ. თეურგია.

**ტექნიკა** (ბერძ. techni — „ოსტატობა. ხელოვნება"), დახელოვნება ამა თუ იმ წარმოების დარგში, ხელოსნობაში და სხ.; აქედან: ტექნიკ-ი ან ტეხნიკ-ი — პრაქტიკულად გამოწვრთნილი ადამიანი ამა თუ იმ დარგში. მაგ. საინჟინრო ხელობაში, მედიცინაში და სხ.

**ტექნოლოგია** ან **ტეხნოლოგია** (ბერძ. techni — „ხელოვნება" და logos — „სიტყვა"). მეცნიერება ნედლი მასალის დამუშავების ხერხების შესახებ; აქედან: ტეხნოლოგ-ი — ტეხნოლოგიის მცოდნე.

**ტექსტ-ი** (ლათ. texere-textus — „შენება, დაწნა"): 1) საღმრთო წერილის სიტყვები: 2) ამა თუ იმ თხზულებიდან ამოღებული ადგილები; 3) მუსიკაზე გადაღებული სიტყვები.

**ტექსტილური წარმოება**, საფეიქრო ან სხვადასხვა ქსოვილის წარმოება (მაგ. ბამბეულობის, მატყლეულობის, აბრეშუმის და სხ.).

**ტვენ-ი**, მ ა რ კ (1835 — 1910), ცნობილი ამერიკელი ჰუმორისტი მწერალი.

**ტიბარები**, იგივე თუბალები, მრავლ., იაფეტური ტომის ხალხი, ქართველების შორეული წინაპრები. ცხოვრობდენ IX საუკ. ქრ. წ. ჰქონდათ საკუთარი კულტურა. სარწმუნოება და სხ. — ასურელებთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იძულებულნი იყვნენ გადმოსახლებულიყვნენ სამხრეთიდან დღევანდელ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში (იბერია-ში).

**ტიბეტ-ი**, შუა აზიის ერთერთი კუთხე. ეკუთვნის ჩინეთს. სამხრეთით და დასავლეთით საზღვრავს ჰიმალაის მთები. ჩრდილოეთით — კუენ-ლუნის, აღმოსავლეთით — ჩინეთი.

**ტიერ-ი**, ა დ ო ლ ფ (Thiers, 1727 — 1877). საფრანგეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი, არჩეული ვერსალის მთავრობის თავმჯდომარედ. ხელმძღვანელობდა სისხლისმღვრელ ბრძოლას პარიზის კომუნის წინააღმდეგ.

**ტიმოკრატია** (ბერძ. time — „ხარისხი, ღირსება" და krateo — „ვმართავ"): 1) მდიდართა ბატონობა; სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, როდესაც ყველა უფლება განისაზღვრება მოქალაქეთა ქონებრივი მდგომარეობით; აქედან: ტიმოკრატიული — შეძლებულ კლასთა ბატონობაზე დამყარებული.

**ტიმპან-ი** (ბერძ. tympo — „ვარტყამ"): 1) ძველად ებრაელებში მუსიკალური საკრავი; ტყავ-გადაკრული ქვაბის მსგავსი საკრავი იარაღი; 2) ყურის აპკი; 3) ტიპოგრაფიაში — ხის ჩარჩოზე გადაკრული ქაღალდი.

**ტინდალ-ი**, ჯ ო ნ (Tindal. 1820 — 93), ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი. დაამუშავა დიამაგნეტიზმი. სინათლის პოლარიზაცია. გამოიკვლია ალპების მყინვარები და სხ.

**ტინქტურა** (ლათ. tingere — „დანამვა, და-

ლბობა"), წამალი სპირტის, წყლის და ცხიმის შემადგენლობით.

**ტიპ-ი** (ბერ. typos-იდან — „დარტყმა, დაღი, ანაბეჭდი"): 1) ნიმუში, საზოგადო სახე; 2) საგანი, მოვლენა ან პიროვნება, რომელიც შეიცავს მის თანამონათესავე საგანთა ან მოვლენათა მთელი ჯგუფის დამახასიათებელ ნიმუშებს; აქედან: **ტიპიური** — ზოგადი, საერთო, ამა თუ იმ საგნების ან მოვლენათა მთელი ჯგუფის დამახასიათებელი.

**ტიპოგრაფია** (ბერძ. typos — „ანაბეჭდი" და grapho — „ვწერ"). სტამბა, წიგნების, ჟურნალების და სხ. საბეჭდი; აქედან: **ტიპოგრაფ-ი** — ტიპოგრაფიის პატრონი, წიგნების მბეჭდავი; **ტიპოგრაფიული** — ტიპოგრაფიის შესახები.

**ტიპოლითოგრაფია**, ბერძ., სურათების ან ნაწერების ბეჭდვა ქვის საშუალებით.

**ტიპოლითები**, მრავლ., საბეჭდი ქვები.

**ტიპომეტრ-ი** (ბერძ. typos — „ანაბეჭდი" და metreo — „ვზომავ"), სასტამბო ასოების საზომი ხელსაწყო.

**ტირადა** (იტ. tirata): 1) გრძელი და აღფრთოვანებული სიტყვა; 2) დრამაში — ძლიერი მონოლოგი.

**ტირანია** (ბერძ. tyranos), სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ერთგვარი ფორმა ძვ. საბერძნეთში. ისტორიულად ტ ი რ ა ნ ი ა ნიშნავს ხელისუფლების ძალით მითვისებას ანუ უზურპაციას. ტირანიის დამახასიათებელია: ძალადობა, შიში და მოქალაქეთა კანონის გარეშე დაყენება; აქედან: **ტირან-ი** — მოძალადე, უზენაესი უფლების მიმთვისებელი, უზურპატორი; **ტირანიული** — მკაცრი, სასტიკი.

**ტირაჟ-ი** (ფრ. tirer-დან — „წევა, გაწევა"): 1) ლატარიის გათამაშება; 2) ბეჭდვითი გამოცემის (მაგ., გაზეთების, ჟურნალების, წიგნების და სხ.) რაოდენობა.

**ტირე**, ფრ., მართლწერის ნიშანი (—), იხმარება ჩართულ სიტყვათა ან წინადადებების განსაცალკევებლად.

**ტირ-ი** (ფრ. tirer — „სროლა"): 1) საგანგებოთ მოწყობილი შენობა მიზანში სროლის შესასწავლად; 2) უძველესი ქალაქი ფინიკიაში.

**ტიტანები**, მრავლ., ბერძნულ მითოლოგიაში — ურანისა (ცის) და გეას (დედამიწის) შვილები. განიზრახეს ძევსის დამხობა, მაგრამ მის მიერ დამხობილ და ჩაყრილ იქმნენ ჯოჯოხეთში; აქედან გადატ. მნიშვნ.: **ტიტან-ი** — დევ-გმირი, ზუმბერაზი. გიგანტი: **ტიტანიური** — უზარმაზარი, დევგმირული.

**ტიტანიკ-ი** — ინგლისის უზარმაზარი გემი — დაიღუპა 1912 წ. აპრილის 15-ს ყინულის მთასთან დაჯახების გამო ატლანტიურ ოკეანეში. დაიხრჩო 1490 ადამიანი.

**ტიტულ-ი** (ლათ. titulus — „სათაური, წარწერა"): 1) ხარისხი, ღირსება; 2) წიგნის სათაური.

**ტიუდორები** (Tudor), მრავლ., ინგლისში — სამეფო საგვარეულო (1485—1603), რომელსაც ეკუთვნოდა ელისაბედ დედოფალი (1558—1603). ტიუდორების შემდეგ ინგლისის სამეფო ტახტი — სტიუარტების ხელში გადავიდა.

**ტიულერ-ი** (ფრ. Tuileries), საფრანგეთის მეფეთა სასახლე პარიზში. ამ ჟამად საფრანგეთის პრეზიდენტის რეზიდენცია.

**ტიფ-ი** (ბერძ. typhos — „გაბრუება, გონების დაკარგვა, განცვიფრება"), სახადი, გადამდები სნეულება. სამგვარია: პ ა რ ტ ა ხ ტ ი ა ნ ი, მ უ ც ე ლ ა და შ ე ქ ც ე უ ლ ი (შებრუნებითი).

**ტოგა** (ლათ. toga), ძველად რომში — წარჩინებულთა (პატრიციების) წამოსასხამი.

**ტოკოლოგია** (ბერძ. tokos — „მშობიარობა" და logos — „აზრი"), მეანობა, მეცნიერება მშობიარობის და მოლოგინების შესახებ.

**ტოკსინი**, იხ. ტოქსინი.

**ტოლერანტობა** (ახ. ლათ. tolerantia — „მოთმენა"), სარწმუნოების თავისუფალი აღიარება; სხვის რწმენისადმი თავისუფლად მოპყრობა.

**ტოლ-ი**, არქიტექტ., გაფისული მუყაოს ფირფიტა ჰერის სახურავად.

**ტოლმაჩ-ი**, აღმოსავლურ ენათა მთარგმნელი; საზოგადოთ — თარჯიმანი.

**ტოლსტოი**, გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე (Толстой, Л. Н., 1828 — 1910), სახელგანთქმული რუსი მწერალი. ჰქადაგებდა პირველყოფილ ქრისტიანობის აღდგენას და ცხოვრების გამარტივებას. მის მრავალ ნაწარმოებს შორის ცნობილია: „ომი და ზავი", „ანნა კარენინა", „აღდგომა", „კრეიცერის სონატა" და სხ.

**ტომატ-ი**, იხ. პამიდორი.

**ტომ-ი** (ბერძ. tomy — „გაჭრა, გაკვეთა"), ცალკე წიგნი, ერთად შეკინძულ თხზულებათა კრებული.

**ტონა**, ევროპ.: 1) დასავლეთ ევროპაში — მარცვლეულთა წონის ერთეული. უდრის 1.000 კილოგრამს ანუ 61,05.

**ტონაჟ-ი**, გემის დატვირთვა გამოხატული ტონებით.

**ტონელ-ი** ანუ **ტუნელ-ი** (ინგლ. tunnel-დან —„ძაბრი, მილი"), მიწის ქვეშა ხვრელი ორი ადგილის შესაერთებლად; გვირაბი.

**ტონ-ი**, ლათ.-ბერძ.: 1) მუსიკაში — ბგერა. ბგერის ცვალებადობა; 2) ფერადების საერთო შერჩევა სურათებში; 3) საზოგადოებაში — თავის დაჭერა; 4) ზნე-ჩვეულების, სტილის ან აზროვნების განსაკუთრებული მიმართულება.

**ტონუს-ი** (ბერძ. tonos — „დაჭიმვა, სიმძაფრე"), სხეულის ორგანოების და ქსოვილთა ნორმალური მდგომარეობა, მათი სიმძაფრე.

**ტოპოგრაფია** (ბერძ. topos — „ადგილი" და grapho — „ვწერ"): 1) მეცნიერება ადგილმდებარეობის აღწერილობის შესახებ; 2) რომელიმე ადგილის დაწვრილებითი აღწერა; აქედან: **ტოპოგრაფ-ი** — ტოპოგრაფიის მცოდნე; **ტოპოგრაფიული** — ტოპოგრაფიის შესახები.

**ტორეადორ-ი** (ლათ. taurus — „ხარი", ესპ. toro-დან „ხარი"), ხარებთან მებრძოლი მხედარი ესპანეთში.

**ტორ-ი** (ინგლ. tory), ინგლისის კონსერვატიული პოლიტიკური პარტიის ძველი სახელწოდება. იხ. ვიგი.

**ტორიჩელ-ი** (1608—47), სახელგანთქმული იტალიელი მათემატიკოს-ფიზიკოსი, გალილეის (იხ.) მოწაფე. აღმოაჩინა ატმოსფერული დაწოლის კანონი; — **ტორიჩელ-ის სიცალიერე** — სიცალიერე სინდიყით სავსე ბარომეტრის, ანუ თერმომეტრის მილში.

**ტორკვატო ტასო** (Torquato Tasso, 1544—95), სახელგანთქმული იტალიელი პოეტი, „განთავისუფლებული იერუსალიმი"-ს ავტორი.

**ტორმოზ-ი**, მუხრუჭი; მატარებლის, ეტლების და სხვა მანქანათა მოძრაობის შესასუსტებელი მოწყობილობა.

**ტორპედო**, ესპ.: 1) წყალში ჩაშვებული ყუმბარა, იხმარება გემების ასაფეთქებლად; 2) წყალქვეშა სანაღმო ნავი.

**ტორს-ი**, ევრ.: 1) უთავო და უხელფეხო ტანი; 2) აპოლონის უხელფეხო ქანდაკება, ინახება რომის ვატიკანში.

**ტორტ-ი** (ლათ. tortus — „გრეხილი"), ტკბილეულობით შეზავებული რგვალი ანუ სხვა მოყვანილობის ნამცხვარი.

**ტორფ-ი** (გერმ. Torf), ნახშირის მსგავსი, დაბალი ხარისხის საწვავი მასალა. მიიღება ჭაობის მცენარეთა ლპობისაგან.

**ტორც-ის ქვაფენილი**, გათლილი ქვის ოთხკუთხედებით მოკირწყლული ქუჩა.

**ტოსტ-ი** (ინგლ. tost), სადღეგრძელო, ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა.

**ტოტალიზატორ-ი**: 1) ერთგვარი შეჯიბრი დოღ-ცხენოსნობაში. თვითეულ მონაწილეს შეაქვს მის მიერ არჩეულ ცხენის სახელობაზე განსაზღვრული თანხა, რომელსაც მოიგებს ან წააგებს იმის მიხედვით, თუ ვისი ცხენი გაიმარჯვებს; 2) სანაძლეოს რაოდენობის აღმრიცხველი დოღ-ცხენოსნობაში.

**ტოტემ-ი**, ამა თუ იმ ცხოველის ან ფრინველის (მაგ. გველის, არწივის, ხარის და სხ.) გამოხატულება, როგორც რელიგ. ნიშნის. ძველ ღერბებზე, ფარებზე, კოშკებზე და სხ.: აქედან: **ტოტემიზმ-ი** — ცხოველების გაღმერთება (გავრცელებულია პირველყოფილ ხალხთა შორის — მაგ. კანადელ ინდიელებში).

**ტოტლებენ-ი**, რუსის გენერალი, რომელიც გამოგზავნილი იყო ეკატერინე II-ის მიერ საქართველოში (18 საუკ.) ერეკლე მეფის დასახმარებლად ოსმალეთის წინააღმდეგ ასპინძის ომის დროს. ტოტლებენმა უღალატა ერეკლეს და თავისი ჯარით გაბრუნდა ისევ რუსეთში.

**ტოუერ-ი** ანუ **ტაუერ-ი** (ინგლ. tower „ციხე, კოშკი"), ძველად ინგლისელ მეფეთა სასახლე ლონდონში, მე-16-ე საუკ. გადაკეთებული საპყრობილედ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, ამჟამად თოფხანა.

**ტოქსიკა** (ბერძ. toxikon-იდან — „შხამი"), შხამიან ნივთიერებათა საერთო სახელწოდება; აქედან: **ტოქსიკაცია** — მოწამვლა, მოშხამვა.

ტოქსიკოლოგია (ბერ. toxikon — „შხამი“, logos — „სიტყვა“), მეცნიერების დარგი საწამლავების და შხამიან ნივთიერებათა მოქმედების შესახებ.

ტოქსინ-ი, ბერძ., სხვადასხვა ბაქტერიის მოქმედებით გამოწვეული შხამი ორგანიზმში.

ტრაგედია ანუ ტრაღედია, ბერძ., ძველ საბერძნეთში — დრამატიული ნაწარმოების ერთგვარი სახე, რომელიც დაკავშირებული იყო გუნდის რიტუალურ (სარწმუნოებრივ) სიმღერასთან ბახუსის ან დიონისეს სადიდებლად (იხ. ბაქჰი, აგრეთვე დიონისი). ამ რიტუალის შესრულების დროს ღმერთებს მსხვერპლად სწირავდენ თხას (tragos), საიდანაც წარმოსდგა სიტყვა ტ რ ა გ ე დ ი ა; თანამედროვე მნიშვ.: ისეთი დრამატიული ნაწარმოები, რომელშიაც გამოხატულია ადამიანის თავგანწირული ბრძოლა სხვადასხვა დამაბრკოლებელ პირობასთან, როცა ეს ბრძოლა ამა თუ იმ გმირის სიკვდილით თავდება. ტრაგედიული ნაწარმოებთა უდიდესი ავტორები იყვნენ ძველად (საბერძნეთში) ესქილი, სოფოკლე და ევრიპიდი, ახალ საუკუნოებში — კორნელი, რასინი (საფრ.), შექსპირი (ინგ.) და სხ. (იხ. ყველა).

ტრაგიკომედია ან ტრაღიკომედია, ბერძ., ტრაღიკულ და კომიკურ ელემენტების შემცველი დრამატიული ნაწარმოები.

ტრადიცია (ლათ. traditio — „გადაცემა“), ადათი, ზნე-ჩვეულება; ერთხელ მიღებული და განმტკიცებული ჩვეულება; აქედან: ტრადიციული — ძველთაგანვე მიღებული, ჩვეულებრივი, მამა-პაპის მიერ განმტკიცებული.

ტრაექტორია, ახ. ლათ., სასრბოლე, გარეშე ძალის ზედგავლენით მოძრავ წერტილის მიერ განვლილი მანძილი, მაგ. ყუმბარის გასროლის ხაზი.

ტრავერს-ი (ფრ. traverser-დან — „გზის გადაჭრა“): 1) თხრილებში გაკეთებული მიწის ყორე მტრისაგან თავის დასაცავად; 2) საზღვაო საქმეში — ხომალდის პერპენდიკულარული მიმართულება ზღვაზე.

ტრავმა (ბერძ. trauma-დან — „ჭრილობა“), სხეულის რომელიმე ნაწილის გარეგანი დაზიანება: ღრძობა, ამოვარდნა და სხვ.; აქედან: ტრავმატიული — გარემექანიურ მიზეზებით გამოწვეული დაზიანება.

ტრაზიბულ-ი, პელოპონესის ომის დროის ათინელი მხედართმთავარი, რომელმაც გაანთავისუფლა საბერძნეთი 30 ტირანისაგან 411 წ. ქრ. წ. 388 წ. მოკლულ იქნა კილიკიის აჯანყებაში.

ტრაკტ-ი, იხ. ტრაქტ-ი.

ტრალ-ი, ევროპ., ზღვის ფსკერისა და ხლართების გამოსარკვევი მოწყობილობა. იხმარება აგრეთვე ზღვის ფსკერის გასაწმენდად.

ტრამვაი (ინგლ. tramuy). ელექტრული მოწყობილობის რკინის გზა ქალაქში მიმოსვლისათვის.

ტრამპლინ-ი, ზამბარაკით მოწყობილი ერთგვარი ამაღლებული გორაკი. იხმარება ტანვარჯიშობაში ხტომის დროს.

ტრანზიტ-ი (ლათ. transitus — „გადასვლა, გადატანა“), საქონლის გადატანა ერთი სახელმწიფოდან მეორეში, მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავლით; აქედან: ტრანზიტული საქონელი — ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასატანი საქონელი, მესამე სახელმწიფოს საზღვარზე გავლით.

ტრანს-ი (ლათ. trans — „იქითური“), სიტყვის თავსართი „იქით“, „გადაღმა“, მაგ. ტ რ ა ნ სალპები, ტ რ ა ნ სკავკასია, ტ რ ა ნ სატლანტიკური და სხ.

ტრანსაქცია (ლათ. transactio), მხარეთა შორის შეთანხმება ანუ ხელშეკრულობის დადება.

ტრანსკრიფცია (ლათ. transcriptio — „გადაწერა“): 1) ერთი ალფაბეტის შეცვლა მეორით, მაგ. სანსკრიტულ სიტყვების ლათინურ ასოებით გამოსახვა; 2) მუსიკაში — ვოკალურ ან ინსტრუმენტალურ თხზულების გადაღება ფორტეპიანოზე ან სხვა რომელიმე ინსტრუმენტზე.

ტრანსლაცია (ლათ. translatio), გადაყვანა ანუ გადაცემა. მაგ. რადიოთი გადაცემა, ტუსაღების გადაყვანა და სხვ.

ტრანსმისია (ლათ. transmissio): 1) გადაცემა. მაგ. უფლების გადაცემა ერთი პირისაგან მეორისადმი; 2) გადამცემი მექანიზმი.

ტრანსმუტაცია (ლათ. transmutatio — „გადანაცვლება, გარდასახვა“), ბიოლოგ. ტერმ.: ცხოველთა და მცენარეთა ცვალებადობა გარეშე

პირობებთან შეგუების გამო (ლამარკის თეორია).

**ტრანსპარანტ-ი** (ლათ. trans — „შუა“ და parere — „მოჩვენება“): 1) საწერ ქაღალდის ქვეშ დასაგები სქელხაზიანი ფურცელი სწორი სტრიქონების გასაყვანად; 2) გამჭვირვალე სურათი.

**ტრანსპლანტაცია** (ლათ. transplantatio), გადანერგვა, ცხოველთა და მცენარეთა ორგანოების დამყნობა მონათესავე ორგანიზმზე.

**ტრანსპოზიცია** (ლათ. transpositio), მუსიკალურ ნაწარმოების ერთი ტონიდან მეორეზე გადატანა.

**ტრანსპორტ-ი** (ლათ. transportare-დან „გადაზიდვა, გადატანა“): 1) საქონლის ან სურსათსანოვაგის გადაზიდვა ერთი ადგილიდან მეორეზე; 2) ბუხჰალტერიის საანგარიშო წიგნებში ჯამის ერთი ფურცლიდან მეორეზე გადატანა.

**ტრანსპორტირ-ი** (ლათ. transportare-დან — „გადატანა“), ლითონის ან ქაღალდის ნახევარწრე გრადუსებათ დაყოფილი. იხმარება გეომეტრიაში კუთხეების გასაზომად.

**ტრანსფერტ-ი** (ლათ. transfere-დან — „გადაგზავნა“). 1) თანხის გადაგზავნა ერთი ბანკიდან მეორეში; 2) გადასაგზავნი ბილეთი.

**ტრანსფიგურაცია**, ლათ., გარდაქმნა; რელიგ. მნიშვნ. — ფერისცვალება.

**ტრანსფორმაცია** (ახ. ლათ.), ფორმათა ცვალებადობა ანუ გარდაქმნა.

**ტრანსფორმიზმ-ი** (ახ. ლათ.), ბიოლოგიური კანონი მცენარეთა და ცხოველების სახეთა თანდათანობითი გარდაქმნის შესახებ. (იხ. დარვინიზმი და ლამარკიზმი); აქედან: **ტრანსფორმისტ-ი** — ტრანსფორმიზმის მიმდევარი.

**ტრანსფუზია**, ლათ.: 1) ერთი ორგანიზმის სისხლის შეშხაპუნება მეორეში; 2) გაზების შესვლა ფორმების საშუალებით (იხ. დიფუზია).

**ტრანსცედენტალური**, ლათ., ფილოს. ტერმ.: განყენებული, აპრიორული, ცდის გარეშე მყოფი.

**ტრანშეა** (ფრ. trancher-დან „მოკვეთა“). სანგარი, ჩასასაფრებელი თხრილი.

**ტრაპეზა** (ბერძ. trapeza — „მაგიდა, სუფრა“): 1) საზოგადოთ—ნადიმი; 2) ბერ-მონაზონთა სასადილო ოთახი.

**ტრაპეცია** (ბერძ. trapezion): 1) გეომეტრიული ოთხკუთხედი, სადაც ორი გვერდი პარალელურია და ორიც — არა-პარალელური: 2) მაღალ ბოძებზე გადებული ძელი ტანვარჯიშობისათვის.

**ტრაპ-ი** (ჰოლ. trap — „კიბე“), გემებსა და ხომალდებზე სახმარი კიბე, ხმელეთზე ჩამოსასვლელად.

**ტრას-ი**, ვულკანური ნაცელი, იხმარება ჰიდრავლიურ დუღაბის და ხელოვნურ საალმშენებლო ქვების დასამზადებლად.

**ტრასანტ-ი, ტრასატ-ი** — იხ. ტრატა.

**ტრატა**, იტ., გადასაგზავნი თამასუქი, ე. ი. სათამასუქო ვალდებულება, სადაც ერთი პირი (ტრასანტ-ი) ავალებს მეორეს (ტრასატს) ფულის გადახდას მესამე პირის (რემიტენტის) სასარგებლოდ.

**ტრაურ-ი** (გერ. Traur — „მწუხარება“), მწუხარების გამოსახვა გარეგნული ნიშნებით, მაგ., შავი ტანისამოსით და სხვ.

**ტრაფარეტ-ი**, იტ., დაჩხვლეტილ მუყაოს ან ლითონის თარგი. იხმარება კედლების სახატავად. გად. მნიშვნ. ძველი, გადაღეჭილი აზრი ან შეხედულება; აქედან: ტრაფარეტული — დაძველებული, გაცვეთილი აზრი.

**ტრაქეა**, ბერძ., სასუნთქი მილი, ხორხი. აქედან: **ტრაქეიტ-ი** — სასუნთქი მილის ანთება.

**ტრაქეოტომია**, ბერძ., სასუნთქი მილის ანუ ყელის ოპერაცია.

**ტრაქომა** (ბერძ. trachoma), თვალების ერთგვარი ავადმყოფობა (გადამდებია), რომელიც გამოიხატება ქუთუთოების ლორწოიან გარსის ანთებაში.

**ტრაქტ-ი** (ლათ. tractus — „მანძილი“), გზა, მიმართულება.

**ტრაქტატ-ი** (ლათ. tractare-დან „განსჯა“, „გაკვლევა“ ): 1) ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულობა; 2) მეცნიერული თხზულება.

**ტრაქტირ-ი**, ჰოლ., საჭმელ-სასმელთა სავაჭრო, დუქანი, სამიკიტნო.

**ტრაქტორ-ი**, ორთქლის მანქანა მიწის მოსახნავად, წისქვილების ასაბრუნებლად და სხვ.

**ტრაქცია** (ლათ. tractus-დან — „თრევა, წაღება“), რკინის გზით ხალხის ან ტვირთის გადაზიდვა.

**ტრაღედია**, იხ. ტრაგედია.

ტრედ-უნიონ-ი (ინგ. Trade Union — „ხელოსანთა კავშირი“), მუშათა პროფესიონალურ კავშირების სახელწოდება ინგლისში და ჩრდილოეთ ამერიკაში. ტრედ-უნიონების კავშირი დაარსდა პირველად ინგლისში მე-18 ს. დამლევს; აქედან: ტრედ-უნიონიზმ-ი — რეფორმისტული მიმართულება მუშათა პროფესიონალურ მოძრაობაში. მიზნად ისახავს მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას რეფორმების საშუალებით; ტრედ-უნიონისტ-ი — ტრედ-უნიონის წევრი.

ტრელ-ი, იტ., მუსიკაში — ორი მოსაზღვრე ბგერის სწრაფი ცვალებადობა.

ტრენიროვკა (რუს. დაბოლოვ.), იხ. ღრესირება.

ტრეპანაცია, ბერძ., თავის სარქველის ოპერაცია. ძვლის ამოღება, ტვინის სიმსივნის განკვეთა და სხვ.

ტრესტ-ი (ინგლ. trust): 1) მსხვილ მწარმოებელთა გაერთიანება ურთი-ერთ შორის კონკურენციის მოსასპობად და მონოპოლურ ფასების დაარსების მიზნით. 2) საბჭოთა კავშირში — ამა თუ იმ წარმოების გაერთიანება დიდი მასშტაბით. მიზნად ისახავს წარმოების მიზანშეწონილ ორგანიზაციას.

ტრიადა (ბერძ. trias), ფილოს. ტერ.: დიალექტური განვითარების სამწევროვანი ფორმულა: თეზისი (დებულება), ანტითეზისი (თეზისის მოპირდაპირე ცნება) და სინთეზი (გაერთიანება). იხ. ჰეგელი.

ტრიანგულაცია (ლათ. triangulus — „სამკუთხედი“), გეოდეზიაში მიღებული ოპერაცია, სახელდობრ, ამა თუ იმ ადგილის გეგმის გადაღება, აღნიშნულ ადგილის სამკუთხედებად დაყოფის საშუალებით.

ტრიარქია, ბერძ., სამთა ბატონობა.

ტრიას-ი, ბერძ., გეოლოგიური სისტემა — სამ სართულიან ფენებად დაყოფილი. შეიცავს გაქვავებულ ქვეწარმავალთა ნაშთებს.

ტრიბა, (ლათ., tribus), რომის ხალხის დაყოფის ერთი ნაწილთაგანი.

ტრიბუნა, ლათ., ამაღლებული ადგილი პარლამენტში ან სხვ. სიტყვის წარმოსათქმელად.

ტრიბუნალ-ი, ლათ.: 1) ძველად რომში — ამაღლებული ადგილი სასამართლოში, სადაც მსაჯულები ისხდნენ; 2) უმაღლესი კოლეგიალური სამსჯავრო; აქედან: რევოლუციონური ტრიბუნალი ან რევტრიბუნალი.

ტრიბუნ-ი (ლათ. tribunus), ძველად რომში — ერთგვარი თანამდებობა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ხალხის ინტერესების დაცვა; ხალხის წინამძღოლი; ტრიბუნატ-ი, ძვ. რომში — ტრიბუნის თანამდებობა.

ტრიგონომეტრია (ბერძ. trigonon — „სამკუთხედი“ და metreo „ვზომავ“), მათემატიკური მეცნიერება სამკუთხედის კუთხეებსა და გვერდებ შორის დამოკიდებულების შესახებ.

ტრიერ-ი (ფრ. trieur), მცენარეთა თესლეულობის გასაწმენდი მანქანა.

ტრივიალური (ლათ. trivialis-დან) უბრალო, ტლანქი, უმსგავსი. (იხ. ვულგარული).

ტრიკირ-ი, (ბერძ. treis — „სამი“ keros — „სანთელი“), სამ-სანთლიანი შანდალი.

ტრიკლინიუმ-ი, ბერძ., რომაელთა სანადიმო დარბაზი.

ტრიკო (ფრ. trikoter — „ქსოვა“), მაუდის მსგავსი ქსოვილი.

ტრიკოტაჟ-ი, ფრ., საზოგადოთ: ყოველგვარი ქსოვილი.

ტრილიონ-ი, ფრ., რიცხვი — ათასი ბილიონი.

ტრილოგია (ბერძ. treis — „სამი“ და logos — „სიტყვა“), ძველად საბერძნეთში — სამი ტრაგედიის გაერთიანება; თანამ. მნიშვნ. — სამი დრამატიული ნაწარმოები, რომელიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთი დედა-აზრით ანუ სიუჟეტით.

ტრიმესტრ-ი, ლათ., წელიწადის მესამედი.

ტრიმეტრ-ი (ბერძ. treis „სამი“ და metron „ზომა“), ექვს-ტაეპოვანი იამბიკური ლექსთაწყობა.

ტრიო, იტ., სამი ხმისათვის ან სამი ინსტრუმენტისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები.

ტრიოლეტ-ი, ფრ.-იტ., რვა-სტროქონიან ლექსთაწყობის ფორმა — პირველი სტრიქონი მეორდება მესამის შემდეგ, მეექვსე სტრიქონის შემდეგ — პირველი და მეორე.

ტრიპერ-ი (Tripper) იგივე ჰ ო ნ ო რ ე ა, სუსუნატი, საშარდე მილის ლორწოიან გარსის

ხნთება ჩირქის დენით. გადამდები სენია. ვრცელდება სქესობრივ ურთიერთობის საშუალებით და აგრეთვე გადამდებ ნივთიერებათა (ჩირქი, შარდი და სხვ.) უშუალო შეხებით. ამ სენის გამომწვევ ბაცილებს ეწოდება კ ო ნ ო კ ო კ ე ბ ი.

ტრიპსინ-ი, იხ. ტრიფსინი.

ტრისტან-ი და იზოლდა, კელტური ზღაპარი, რომელიც გავრცელებული იყო საშუალო საუკუნეებში. მოგვითხრობს თავდავიწყებით სიყვარულის ამბავს. (თარგ. ქარ. გ. ქიქოძის მიერ).

ტრიტონ-ი (ბერძ. triton), ბერძნულ მითოლოგიაში — ზღვის ღმერთი ადამიანის სახით და თევზის კუდით — პოსეიდონის და ამფიტრიტის შვილი.

ტრიუკ-ი (ინგლ. truk), კინოსა და თეატრში—მოხერხებული გადახტომ-გადმოხტომა; აკრობატული ოინები, ფოკუსი.

ტრიუმ-ი, ჰოლ., გემის ფსკერი, ქვედა ნაწილი, ბარგის და სხვა საჭირო მასალის მოსათავსებლად.

ტრიუმვირატ-ი (ლათ., trium — „სამი" და vir — „მამაკაცი"), ძველ რომში — სახელმწიფოს მართვა-გამგეობა სამი პირის (მაგისტრის) მიერ; აქედან.: ტრიუმვირები, მრავლ. — ტრიუმვირატის წევრები. პირველი ტრიუმვირები— იულიუს კეისარი, პომპეუსი და კრასი.

ტრიუმო (ფრ. trumeau), დიდი დასადგმელი სარკე.

ტრიუმფ-ი (ლათ. Triumphus), ძველად რომში — ომში გამარჯვებულ სარდლის ზეიმით შეხვედრა; აქედან: ტრიუმფატორ-ი — გამარჯვებული სარდალი, რომელსაც ზეიმს უმართავენ; ტრიუმფალური — საზეიმო, სადღესასწაულო.

ტრიფსინ-ი, კუჭის ქვედა ჯირკვლებისაგან გამომუშავებული საჭმლის მოსანელებელი ნივთიერება.

ტრიქინა ან ტრიხინა (Trichina spiralis), ღორის ხორცში ან სხვა ცხოველის ორგანიზმში გაჩენილი რგვალი ძაფისებრი ჭია. ტრიქინის ემბრიონები ჩნდება აგრეთვე ადამიანის კუჭსა და ნაწლავებში და იწვევს ერთგვარ დაავადებას; აქედან: ტრიქინოზის-ი — ტრიქინით მოწამვლა ანუ დაავადება.

ტროა ანუ ი ლ ი ო ნ-ი (ბერძ. Troia Ilion), მითიური სატახტო ქალაქი ტროადაში მცირე აზიის ჩრდ.-აღმოსავლეთით ჰელესპონტის და ედრემიდის სრუტეებს შუა.

ტროადის ომი, ჰომიროსის მიერ აღწერილი ომი (იხ. ილიადა და ოდისეა) ტროადელთა და ბერძენთა შორის 1193-1184 წ. ქრ. წ. ომი დამთავრდა ბერძენთა გამარჯვებით და ილიონის განადგურებით.

ტრომბოზ-ი (Trombosis), შედედებულ სისხლის მიერ სისხლის მიმოქცევის შეჩერება გულის არესა, არტერიებსა და ვენებში; აქედან: ტრომბინაცია — არტერიული სისხლის მილების დაცობა.

ტრომბონ-ი (იტ. trombon — „მილი"), ორმილიანი სასულე საკრავი, ერთი მეორეში თავისუფლად მოძრაობს სხვადასხვა ტონის მისაღებად.

ტრონ-ი (ბერძ. tpronas, ლათ. thronus—სავარძელი), სამეფო ტახტი.

ტროპ-ი (ბერძ. tropos —„მიმოხილვა"), რიტორიული ფორმა, როდესაც სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით იხმარება — ნართაული სიტყვა ტროპის სახეობანი: მეტაფორა, ჰიპერბოლა, მეტონიმია, სინექდოხა და სხ.

ტროპარ-ი, ბერძ., მოკლე საეკლესიო საგალობელი ამა თუ იმ დღესასწაულის შინაარსის გადმოცემით.

ტროპიკ-ი (ბერძ. tropos — „მობრუნება"), ეკვატორის პარალელურად გავლებული წრეწირი 23° და 27° სიგანეზე; აქედან: ტროპიკული — ტროპიკთა შორის მოთავსებული; ტროპიკული ზონა — დედამიწის სარტყელი ცხელი ჰავით და მდიდარი მცენარეულობით.

ტროტუარ-ი, ევროპ., ქუჩის ორივე მხრივ მოკირწყლული საცალფეხო გზა.

ტროფეე (ბერძ. trophaium — „გამარჯვების ნიშანი"), ომში წართმეული მტრის დროშა, იარაღი, ქონება და სხ.; გად. მნიშვნ. — ნანადირევის ტყავი, რქები და სხვ.

ტროქეა, ბერძ., ერთი გრძელი და ერთი მოკლე მარცვლისაგან შემდგარი ლექსის ტაეპი.

ტრუბადურები (ფრ. troubadour), საშუალო საუკუნეთა პოეტები. სამხრეთ საფრანგეთში (პროვანსში).

ტრუიზმ-ი (ინგლ. truism), საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, ცხადი და უბრალო აზრი.

ტრუკ-სისტემა, ინგლ., მუშების ხელფასის განსაზღვრა ნატურით, მაგ. სანოვაგით, ტანისამოსით და სხვ., რასაც შედეგად მოსდევს შრომის უაღრესი ექსპლოატაცია.

ტრუპა, ევროპ., დრამატიულ მსახიობთა, მომღერალთა ან მუსიკოსთა დასი.

ტუალეტ-ი (ფრ. toilette): 1) ქალთა საპირფარეშო მაგიდა; 2) საზოგადოთ—მორთულობა, ჩაცმულობა.

ტუბერკულოზ-ი, ლათ, ჭლექი, ფილტვების სნეულება, კოხის ჯოხებით გამოწვეული; აქედან: ტუბერკულოზური — ჭლექიანი, ტუბერკულოზით დაავადებული.

ტუზ-ი — : 1) ბანქოს თამაშში — უფროსი ქაღალდი; 2) გადატ. მნიშვნ.: ბობოლა კაცი, გაელენიანი ადამიანი.

ტუნდრა, თოვლის უდაბნო ჩრდილოეთ ქვეყნებში (მაგ. ციმბირში).

ტუნელ-ი, იხ. ტონელი.

ტუნიკა (ლათ. tunica), ძვ. რომში — ტოგას ქვეშ ჩასაცმელი მოკლე ტანისამოსი.

ტურბინა (ლათ. turbo-დან „ხვეული“), ჰიდრაულიური ძრავი — წყლით საბრუნებელი ბორბალი, იხმარება მანქანის ასამოძრავებლად.

ტურგენევი, ივ. სერ. — (Тургенев, И. С. 1784 — 1845), ცნობილი რუსი მწერალი — რომანისტი. მის თხზულებებში შესანიშნავია: „Отцы и дети“, „Дворянское гнездо“, „Накануне“ და სხე.

ტურისტ-ი (ფრ. tour-დან — „მიმოსვლა“), თავის გასართობად ან სამეცნიერო მიზნით გატაცებული მოგზაური.

ტურმალინ-ი, ევროპ., სილიკატების ჯგუფის ძვირფასი ქვა ვარდისფერი, შავი, მწვანე და სხ. მოიპოვება ამერიკას, ბრაზილიასა და ურალზე. იხმარება ძვირფას სამკაულების დასამზადებლად.

ტურნე, ფრ.: 1) საზოგადოთ—გარშემოელა; 2) მსახიობთა მოგზაურობა სხვადასხვა ქალაქში წარმოდგენების გამართვის მიზნით.

ტურნიკ-ი, ფრ. ტანვარჯიშობაში—ორ ბოძზე გადებული რკინის ძელი სავარჯიშოდ.

ტურნიკეტ-ი (ფრ. tourniquet): 1) სისხლის მდინარების შესაწყვეტი სადოსტაქრო იარაღი; 2) შესავალ-გასავალ ადგილას გაკეთებული რკინის ან ხის ბორბალი თითო-თითო ადამიანის გასატარებლად.

ტურნირ-ი, ევროპ.: 1) რაინდთა შეჯიბრი საშუალო საუკუნეებში; 2) გად. მნიშვნ. — ყოველნაირი შეჯიბრი, ასპარეზობა, მაგ., მოჭადრაკეთა და სხ.

ტურნურ-ი, ფრ., პატარა ბალიში, ქალები ხმარობენ გავაზე შემოსაჭერად ტანის ლაზათიანობისათვის.

ტუშ-ი, ფრ.-გერმ.: 1) შავი სამხატვრო საღებავი; 2) სადღეგრძელოს დროს მუსიკით მისალმება.

## უ

უაილდ-ი ან უალდ-ი, ო ს კ ა რ (1856-1900), ცნობილი ინგლისელი მწერალი; მის ნაწერებში შესანიშნავია „დორიან გრეის პორტრეტი“, „სალომე“ (თარგმნილია ქართ. გრ. რობაქიძისაგან, აგრეთვე პავ. დადეაძის მიერ) და სხ.

უატ-ი, ჯ ე მ ს (Watt, 1736 — 1819), ცნობილი ინგლისელი მექანიკოსი — ორთქლის მანქანის პირველი გამომგონი. ამავე სახელით იწოდება უატის მანქანების ორთქლის ძალის ერთეული.

უდომეტრ-ი, იხ. პლუვიომეტრი.

უვერტიურა (ფრ. ouverture), მუსიკალური ნაწარმოების შესავალი (მაგ. ოპერის, სიმფონიურ კონცერტის და სხ.).

უზურპაცია (ლათ. usurpare-დან — „სარგებლობა, მითვისება“), ძალა-უფლების ან ქონების არაკანონიერი გზით ხელში ჩაგდება; აქედან: უზურპატორ-ი — ძალა-უფლების ან ქონების მიმთვისებელი.

**უზუფრუქტ-ი** (ლათ. usufructus), იურ. ტერმ.: ძველად რომში — სხვის ნივთის ხმარების და მფლობელობის უფლება მისი არსების შეუცვლელად (პირადი სერვიტუტი, იხ.).

**უიტსტონ-ი,** ინგლისელი მექანიკოსი, ტელეგრაფის მანქანის გამომგონი. ამავე სახელით იწოდება მის მიერ გამოგონილი მანქანა.

**უკრაინა,** მალოროსიის სახელწოდება, შედის საბჭოთა კავშირში.

**ულიანოვ-ი,** იხ. ლენინი.

**ულტიმატუმ-ი** (ლათ. ultimus-დან — „უკანასკნელი, უკიდურესი"), უკანასკნელი სიტყვა, ანუ წინადადება, რომლის დაუკმაყოფილება იწვევს განხეთქილებას სახელმწიფოთა შორის; ულტიმატური—გადაწყვეტილი, უკანასკნელი.

**ულტრა** (ლათ. ultra — „უკიდურესი"), უკიდურესი, გადაჭარბებული. იხმარება ზოგიერთ სიტყვის თავსართად, მაგ., **ულტრანატურალიზმ-ი** — გადაჭარბებული, უკიდურესი ბუნებრიობა; **ულტრანაციონალიზმ-ი** — უკიდურესი ნაციონალიზმი; **ულტრარეაქციონერ-ი** — უკიდურესი რეაქციონერი და სხ.

**უმბრ-ა** (ლათ. umbra — „ჩრდილი"), მუქი ყავისფერი საღებავი (რკინის ოხრისაგან დამზადებული).

**უნდერვუდ-ი,** უნდერვუდ-ის ქარხანაში დამზადებული საწერ-საბეჭდი მანქანა, — რემინგტონი (იხ.).

**უნდინა** (ლათ. unda-დან — „ტალღა"), ალქაჯი, წყლის ქალღმერთი.

**უნია** (ახ. ლათ. unio-დან — „შეერთება"): 1) პოლიტიკაში — ორ ან რამოდენიმე სახელმწიფოს შეერთება საგარეო პოლიტიკაში სოლიდარობის დამყარების მიზნით; 2) რამოდენიმე ეკლესიის შეერთება საერთო სარწმუნოების და ხელმძღვანელობის ნიადაგზე.

**უნიატები** (მრავლ.), პოლონეთის მართლმადიდებელი მოსახლეობა, რომელიც 1594 წ. რომის ეკლესიას (კათოლიკებს) შეუერთდა.

**უნივერსალ-ი** (ლათ. universalis — „საყოველთაო"), პოლონეთსა და მალოროსიაში—უძრავ ქონების სიგელი.

**უნივერსალიზმ-ი** (ლათ. universalis-დან — „საზოგადო, საყოველთაო"): 1) მთელი სამყაროს შემეცნება გონებით; აქედან: **უნივერსალისტ-ი** — უნივერსალიზმის მომხრე; **უნივერსალური** — საყოველთაო, მრავალმხრივი.

**უნივერსიტეტ-ი** (ლათ. universitas-დან — „გაერთიანება, კორპორაცია"), უმაღლესი სასწავლებელი, სადაც იკითხება ლექციები სხვადასხვა დარგის მეცნიერებაზე.

**უნიკუმ-ი** (ლათ. unicus-დან — „ერთად-ერთი, მხოლოდი"): 1) თავისებური, იშვიათი საგანი; 2) რომელიმე გამოცემის ერთადერთი ეგზემპლარი.

**უნიონისტები,** მრავლ. (ახ. ლათ. unus-დან— „ერთი"): 1) სახელმწიფოებრივ მთლიანობის მომხრენი და განაპირა კუთხეების ავტონომიურ მართველობის მოწინააღმდეგენი; 2) ირლანდიის ავტონომიის მოწინააღმდეგე კონსერვატორების სახელწოდება ინგლისში.

**უნისონ-ი** (ლათ. unus-დან „ერთი" და sonus — „ბგერა"), მუსიკაში — ორი ბგერის ინტონაციაში შეერთება; საზოგადოთ — შეწყობა; გად. მნიშვ.: ერთსულოვნობა, შეთანხმება.

**უნიტარიზმ-ი** (ლათ. unus-დან — „ერთი"): 1) სახელმწიფო მართვა-გამგეობის გაერთიანებული ფორმა. უპირისპირდება ფედერალიზმს (იხ.); 2) ფიზიკაში—ფრანკლინის სწავლა-მოძღვრება ელექტრობის შესახებ; 3) რელიგიაში — მოძღვრება ღვთაების ერთპიროვნობის შესახებ; აქედან: **უნიტარული** — გაერთიანებული.

**უნიფიკაცია** (ფრ. unification), გაერთიანება, სხვადასხვა მეცნიერულ ფაქტების და მოვლენების საერთო მცნებაში ასახვა.

**უნტერ-ი** (გერმ. unter-დან „დაბლა, ქვევით"), ზოგიერთ სიტყვის თავსართი, დაბალი ხარისხის აღსანიშნავად, მაგ. **უნტერ-ოფიცერ-ი** —ოფიცერზე უმცროსი მოხელე.

**უნცია** (ლათ. uncia-დან — „მეთორმეტე"): 1) სააფთიაქო გირვანქის ერთი მეთორმეტედი— = 28,35 გრამს = 7 მისხალს.

**უპას-ი** (მალ. upas-დან — „შხამი"), კუნძული იავას ერთგვარი ხის (უ პ ა ს ი ს) შხამიანი წვენი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ისრებზე უსვამენ მოსაშხამავად.

**ურაგან-ი**, ეგრ., ძლიერი გრიგალი — ქარიშხალი ზღვასა და ხმელეთზე.

**ურალო-ალტაური ენები** — იხ. თურანული ენები.

**ურან-ი** (ბერძ. Uranos): 1) მზის სისტემის ყველაზე დიდი და შორეული მნათობი ოთხი თანამგზავრით (ურანოსი), დედამიწაზე 70-ჯერ დიდი, აღმოჩენილი 1741 წ. გერშელის მიერ; 2) ბერძ. მითოლოგიაში: კრონოსის, ციკლოპების და ტიტანების მამა ღმერთი — გეას შვილი და მისივე მეუღლე; 3) შავი ფერის ლითონი, ადვილად იხსნება სიმჟავეში.

**ურანია** (ბერძ. Urania), ბერძნულ მითოლოგიაში — ვარსკვლავთმრიცხველობის მუზა. სახავდენ ცისფერ ტანისამოსით, ვარსკვლავიანი გვირგვინით და გლობუსით ხელში.

**ურანიზმ-ი**, ბერძ., სქესობრივი გრძნობის გაუკუღმართება, იგივე ჰომოსექსუალიზმ-ი; — საკუთარი სქესისადმი მიდრეკილება და სქესობრივი კავშირი; აქედან: **ურნინგები** — ამ სენით შეპყრობილი ქალები.

**ურანოგრაფია** (ბერძ. uranos -დან „ცა“ და grapho — „ვწერ“), ვარსკვლავთმრიცხველობის ნაწილი — მნათობთა აღწერა; **ურანოლოგია** (იხ. uranos და logos — „სწავლა, აზრი“) სწავლა ციურ მნათობთა და მოვლენათა შესახებ; **ურანომეტრია** (იხ. uranos და metreo — „ვზომავ“) — მოძღვრება ციურ მნათობთა გაზომვის შესახებ; **ურანოსკოპია** (იხ. uranos და skopeo — „ვჭვრეტ“) — ციურ მნათობთა დაკვირვების შესახები სწავლა; აქედან: **ურანოსკოპ-ი** — ციურ მნათობთა დასაკვირვებელი ხელსაწყო.

**ურართელები**, იგივე ალაროდიელები (მრავლ.), იაფეტური მოდგმის ქართველთა უძველესი ტომი. ცხოვრობდენ არარატის მიდამოებში, ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო — კალდუ, კულტურა, მწიგნობრობა და სხ.

**ურატები**, მრავლ. (ბერძ. uron-დან — „შარდი“), შარდის სიმჟავის შემადგენელი მარილები.

**ურბანიზმ-ი** (ლათ. urbs — urbanus — „ქალაქი, ქალაქური“), ერთგვარი ლიტერატურული მიმართულება, რომლის მთავარ თემას შეადგენს თანამედროვე ქალაქური ცხოვრების აღწერა და მხატვრულ ფორმებში ასახვა.

**ურემია** (ბერძ. uron-დან „შარდი“), სისხლის მოწამვლა შარდის შეხუთვის ნიადაგზე.

**ურნა** (ლათ. urna „ყუთი“): 1) ლარნაკი მიცვალებულთა დამწვარ სხეულის ფერფლის შესანახად; 2) საარჩევნო ბარათების ან კენჭის ჩასაგდები ყუთი.

**უტილიზაცია** (ლათ. utilis-დან — „სასარგებლო“), სარგებლობა, გამოყენება.

**უტილიტარიზმ-ი** (ლათ.-ფრ.) მორალურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ზნეობრივ ყოფა-ქცევის მთავარ მიზნად აღიარებს სარგებლობისადმი მისწრაფებას. უტილიტარიზმ-ის წარმომადგენელნი არიან: ბენტამ-ი (1748—1832) და ჯონ სტუარტმილი (1806—73); აქედან: **უტილიტარისტ-ი** — უტილიტარიზმის მიმდევარი; **უტილიტარული** — სასარგებლო, პრაქტიკული.

**უტოპია**, ბერძ.: 1) ოცნების მხარე, ფანტაზია; 2) თომას მორის (1480—1535) რომანი, რომელშიაც მხატვრულად აღწერილია იდეალური სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება; **უტოპისტ-ი** — მეოცნებე, ცხოვრებაში გამოუყენებელ აზრების მქადაგებელი; **უტოპიური** — საოცნებო, მიუღწეველი; **უტოპიური სოციალიზმ-ი** — უტოპიურ ნიადაგზე დამყარებული სოციალიზმი. უპირისპირდება მეცნიერულ სოციალიზმს, რომელიც, პირიქით, ფაქტების სინამდვილესა და ეკონომიურ საფუძვლებზეა აგებული. პირველის მეთოდი არის იდეალისტური, მეორის — მატერიალისტურ-დიალექტური. უტოპიურ სოციალიზმის წარმომადგენელნი იყვნენ: სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი და სხ.; მეცნიერულ სოციალიზმის: კ. მარქსი, ფრ. ენგელსი და სხ. იხ. სოციალიზმი.

# ფ

ფა, იტ., მუსიკაში — დიატონურ გამის მეოთხე ტონი.

ფაბიანელები, მრავლ., ინგლისში — სიდნეის, ბეატრისა უებეს, შოუს, უელსის და სხ. მიერ 1883 წ. დაარსებული სოციალისტური საზოგადოება. თვით სახელწოდება წარმოსდგა რომაელ სარდალ ფაბიუს კუნქტატორისაგან, რომელიც ისტორიაში ცნობილია თავისი სიდინჯით და აუჩქარებლობით. ფაბიანელების საზოგადოების მიზანი იყო: ინგლისის კონსტიტუციის განვითარება დემოკრატიული მიმართულებით და ზომიერი სოციალიზმის მშვიდობიანური ქადაგება. ფაბიანელები უარჰყოფენ კლასთა ბრძოლას და რევოლუციას, აღიარებენ კლასთა შორის თანამშრომლობას. 1918 წლიდან მხარს უჭერენ მუშათა პარტიას.

ფაბრა (გერმ. Farbe-დან „ფერი"), წვერულვაშის გასაშავებელი საღებავი.

ფაბრიკა (ლათ. fabricare-დან — „დამუშავება"), საწარმოო დაწესებულება, სადაც სწარმოებს ნედლი მასალის გადამუშავება მანქანების საშუალებით; აქედან: ფაბრიკანტ-ი — ქარხნის პატრონი; ფაბრიკატ-ი — საქარხნო ნაწარმოები, დამუშავებული საქონელი; ფაბრიკაცია — ამა თუ იმ საქონლის დამუშავება ქარხანაში.

ფაბულა (ლათ. fabula): 1) თხზულების მოკლე შინაარსი; 2) იგავ-არაკი.

ფაგოტ-ი, მუსიკ., ერთგვარი სასულე ხის საკრავი; აქედან: ფაგოტისტ-ი — ფაგოტზე დამკვრელი.

ფაგოციტები, მრავლ. მედიც., სისხლის შემადგენელი თეთრი ბურთულები, შთანთქავენ ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს და იცავენ ორგანიზმს დაავადებისაგან; აქედან: ფაგოციტოზ-ი—თეთრი ბურთულების (ფაგოციტების) გამრავლება სისხლში.

ფადიშაჰ-ი,—თვითმპყრობელი მეფე, მბრძანებელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ფაეტონ-ი (ბერძ. phaethon — „ბრწყინავი, მანათობელი"): 1) ბერძ. მითოლოგიაში: ჰელიოსის და კლიმენის შვილი; 2) მსუბუქი და ახდილი ეტლი; 3) ერთგვარი გრძელ-ბოლოიანი ფრინველი. ცხოვრობს ტროპიკულ ქვეყნებში.

ფავნ-ი (ლათ. Faunus), რომაულ მითოლოგიაში — ტყის და მინდორ-ველის ღმერთი. ხატავდენ რქებით და თხის ფეხებით.

ფავორ-ი (ლათ. favor — „შეწყნარება, კეთილგანწყობილება"), მოწყალება, კეთილგანწყობილება; აქედან: ფავორიტ-ი — საყვარელი, მეფის სასახლეში მიღებული კაცი ან ქალი.

ფაზა ან ფაზისი, ბერძ.: 1) ამა თუ იმ მოვლენის განვითარების ერთერთი საფეხური; 2) მთვარის და, საერთოდ, ცის მნათობთა მოჩვენებითი ცვალებადობა.

ფაიანს-ი (ფრ. faïence), საუკეთესო თიხის, თაბაშირის, ცარცის და ქვიშის ერთგვარი ნარევი, აგრეთვე მისგან დამზადებული ჭურჭელი. სიტყვა „ფაიანსი" წარმოსდგა იტალიის ქალაქ ფ ა ე ნ ც ო-დან, სადაც ამზადებენ ფაიანსის ჭურჭლეულობას.

ფაკელ-ი (ბერძ. phakelos-დან — „კონა"), საილუმინაციო მაშხალა; აქედან: ფაკელცუგ-ი (გერმ.), ძველად ევროპაში — მაშხალებით სიარული ზეიმის დროს.

ფაკირ-ი, ინდოეთსა და სპარსეთში — მოხეტიალე ბერი.

ფაკს, იხ. ფაქს.

ფაკტ-ი, იხ. ფაქტი.

ფაკულტატური, არასავალდებულო, ნებაყოფლობითი.

ფაკულტეტ-ი (ლათ. facultas — „უნარი, შესაძლებლობა, საშუალება"), უმაღლეს სასწავლებელში — მეცნიერების რომელიმე დარგის სპეციალური განყოფილება, მაგ., საექიმო, იურიდიული, საინჟინერო ფაკულტეტი და სხ.

ფაკცია, იხ. ფაქცია.

ფალანგა (ბერძ. phalagga): 1) ძველად საბერძნეთში — ოთხკუთხედის მსგავსად დაწყობილი ქვეითა ჯარი; 2) იზბას ჯიშის შხამიანი მწერი; 3) ფურიეს მოძღვრებაში — სოციალისტური თემის სახელწოდება (იხ. ფურიე); 4) სხეულის კიდურების სახსრები.

ფალანსტერები, მრავლ., ფურიეს სოციალისტურ თემის (ფალანგის) საერთო საცხოვრებელი ბინა.

ფალაური, იგივე პეხლევი, სასანიდების დროის სპარსული ლიტერატურული ენა, III—VII ს. ქრ. შემ.

ფალ-ი (ჰოლ. val), აფრების ასაწევი თოკი.

ფალოპ-ის მილები, დედაკაცის სასქესო ორგანოს ნაწილი — კვერცხების გამტარებელი მილები საკვერცხედან საშვილოსნოში.

ფალსიფიკაცია (ფრ. falsification), სიყალბე, ცუდი ხარისხის საქონლის გასაღება ნამდვილ საქონლად; აქედან: ფალსიფიკატორ-ი — სიყალბის ჩამდენი, ყალბი საქონლის გამსაღებელი.

ფალსტაფ-ი, შექსპირის პიესის („ჰენრიხ IV" და „ვინძორის ნათლიდედები") მთავარი მოქმედი პირი: მკვეხარა და უზნეო ადამიანის განსახიერება; გად. მნიშვნ.: მკვეხარა და გარყვნილი ადამიანი.

ფალშ-ი (ლათ. falsus-დან—„სიყალბე"), სიყალბე, მატყუარობა, არა-გულწრფელობა.

ფალცეტ-ი, მუსიკ. ტერ., მაღალი ბგერა ანუ ყელით სიმღერა.

ფამილიარობა (ლათ. familiaris — „ოჯახური"), თავისუფალი, უბრალო ანუ მეგობრული მოპყრობა.

ფანატიზმ-ი (fanaticus — „აღგზნებული"), ბრმად გატაცება ამა თუ იმ იდეიით ან რელიგიური რწმენით; აქედან: ფანატიკოსი—ბრმათმორწმუნე და სხვის რწმენის უარმყოფელი.

ფანერა, გერმ., მუხის ან კაკლის ხის თხელი ფირფიტა. იხმარება ავეჯის გადასაკრავად..

ფანზა, ჩინ.: 1) ჩინეთში—ხის ან ქვის ქოხი; 2) ჩინური აბრეშუმის ქსოვილი.

ფანტაზია (ბერძ. fantasia), ოცნება, ადამიანის შემოქმედებითი ნიჭი, პოეტურ ან მუსიკალურ ნაწარმოების თხზვა; აქედან: ფანტაზიორ-ი — მეოცნებე, განუხორციელებელ იდეების მოტრფიალე.

ფანტასმაგორია (ბერძ. phantasma-დან „მოჩვენება" და agora — „კრებული"): 1) ფანტასტიური, სინამდვილისაგან დაშორებული, მოჩვენებითი; 2) ფერების და ჩრდილების ჯადოსნური თამაში.

ფანტასტ-ი, ბერძ., უკიდურესი ფანტაზიორი, ოცნებით გატაცებული ადამიანი.

ფანტები, მრავლ. (გერმ. Pfand — „გირაო"), ერთგვარი გასართობი — თამაშობის ყველა მონაწილე იძლევა გირაოს, რომელიც უბრუნდება მოთამაშეს ამა თუ იმ პირობის შესრულების შემდეგ.

ფანტომ-ი, ბერძ.: 1) მოჩვენება, მოლანდება; 2) ადამიანის ორგანიზმის მოდელი. იხმარება ანატომიის შესასწავლად.

ფანფარა (ფრ. fanfare): 1) მოკლე საზეიმო და ძლიერ-ხმოვანი მუსიკალური ნაწარმოები; 2) საყვირით ნიშნის მიცემა.

ფანფარონ-ი (ფრ. fanfaron), ცრუ მკვეხარა; ქარაფშუტა.

ფანჩატანტრა, იხ. პანჩა-ტანტრა.

ფარადეი, მიხეილ (1791 — 1867), სახელგანთქმული ინგლისელი ფიზიკოსი, ახალგაზრდობაში წიგნების მკაზმავი. 1827 წ. მიწვეულ იქნა ლონდონს სამეფო ინსტიტუტის პროფესორად, აქვს მრავალი გამოკვლევა ელექტრომაგნეტიზმის და ელექტროლიზის შესახებ.

ფარადიზაცია, ნერვულ ავადმყოფობათა მკურნალობა ინდუქტიურ ელექტრობით.

ფარაონ-ი, ეგვ., ძველად — ეგვიპტელ მეფეთა სახელწოდება; გადატ. მნიშვნ.: თვითმპყრობელ და სასტიკ მმართველის ზოგადი სახელწოდება.

ფარენჰეიტ-ი, გაბრიელ-დანიელ (1686 — 1736), ჰოლანდიელი ფიზიკოსი, რომელმაც პირველად დაამზადა სინდიყიანი თერმომეტრი, მისივე სახელით წოდებული. დაყოფილია 212 გრადუსად, იხმარება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფარვატერ-ი, ჰოლ., ყველაზე ღრმა და ნაოსნობისათვის გამოსადეგი ადგილი მდინარეში ან ზღვის უბეში.

ფარისეველი, ებრ., ძველად ებრაელებში — რელიგიური სექტა, რომელიც უპირატესობას აძლევდა სარწმუნოების გარეგნულ წესების შესრულებას; გადატ. მნიშვნ.: პირმოთნე და ფლიდა ადამიანი.

ფარმაკოგნოზია (ბერძ. pharmakon — „წამალი" და gnosis—„ცოდნა"), მეცნიერება წამლეულთა შემადგენლობის შესახებ.

ფარმაკოდინამიკა (ბერძ. pharmakon — „წამალი“ და dynamis — „ძალა“), მეცნიერება წამლების მოქმედების შესახებ ადამიანის ორგანიზმზე.

ფარმაკოლოგია (ბერძ. pharmakon — „წამალი“ და logos — „აზრი“), მეცნიერება სამკურნალო წამლების შესახებ; აქედან: ფარმაკოლოგ-ი — ფარმაკოლოგიის მცოდნე; ფარმაკოლოგიური — ფარმაკოლოგიის შესახები.

ფარმაკოპეა (ბერძ. pharmakon—„წამალი“ და poieo — „ვაკეთებ“), სამკურნალო წამლების დამზადების სახელმძღვანელო.

ფარმაცია, ბერძ., მეცნიერება წამლეულთა დამზადების შესახებ; აქედან: ფარმაცევტ-ი — ფარმაციის მცოდნე, წამლების დამამზადებელი.

ფარს-ი (ფრ. farce): 1) ხუმრობა, მასხრობა; 2) სახუმარო და მსუბუქი შინაარსის თეატრალური პიესა.

ფართინგ-ი (ინგ. farthing), ინგლისური ფული=$^1/_4$ პენსს=1 კაპ.

ფარტუკ-ი, გერმ., წინსაფარი, ტანისამოსის ზემოდან ჩასაცმელი.

ფარფორ-ი, იგივე ფაიფურ-ი, არაბ., მაღალი ხარისხის თიხა კაოლინის და თეთრი თიხის შემადგენლობით. იხმარება ჭურჭლეულის დასამზადებლად.

ფასად-ი (იტ. facciata, ფრ. façade), შენობის წინა ნაწილი.

ფასონ-ი (ფრ. façon): 1) საგნის ფორმა ანუ გარეგანი შეხედულება, მაგ. ტანისამოსის ფასონი; 2) ლაპარაკის მანერა.

ფასციები, მრავლ. (ლათ. fascia-დან — „კონა“), ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილის შემაერთებელი ქსოვილები.

ფატ-ი (ლათ. fatus — „სულელი“), ფუქსავატი ადამიანი.

ფატა,—: 1) ქალის თავზე მოსახვევი; 2) თავმოსართავი გამჭვირვალე ლეჩაქი.

ფატალიზმ-ი (ლათ. fatum-დან—„ბედი, ბედისწერა“), რწმენა ბედისწერის არსებობის შესახებ, — ალიარებს მოვლენათა აუცილებლობას და უარჰყოფს ადამიანის ნების თავისუფლებას (იხ. დეტერმინიზმი); აქედან: ფატალისტ-ი— ფატალიზმის მომხრე.

ფატუმ-ი (ლათ. fatum), ბედისწერა.

ფაუნა, ლათ., ამა თუ იმ ქვეყნის ცხოველთა სამეფო.

ფაუსტ-ი (გერმ. Faust): 1) საშუალო საუკუნეებში — ლეგენდარული ბრძენი - ჯადოქარი, რომელმაც სული ეშმაკს მიჰყიდა; 2) გოეთეს (იხ.) თხზულების „ფაუსტ“-ის მთავარი გმირი, ჭეშმარიტების და თავისუფლების მაძიებელი. „ფაუსტი“ თარგმნილია (გერმანულიდან) ქართულად დავ. ონიაშვილის მიერ, არის ჰ. მირიანაშვილის თარგმანიც.

ფაქსიმილე (ლათ. facere — „კეთება“ და similis — „მსგავსი“), ხელნაწერის დედანის ასლი.

ფაქტ-ი (ლათ. facere — „ქმნა, კეთება“), უტყუარი ამბავი, ნამდვილად მომხდარი; აქედან ფაქტიური — ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტად მომხდარი.

ფაქტორია, ლათ., უცხოელთა სავაჭრო კანტორა შორეულ და კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანაში.

ფაქტორ-ი, ლათ.: 1) მოქმედი ძალა, მიზეზი; 2) ვაჭრობაში — შუამავალი, კომისიონერი; 3) სტამბაში — მუშაობის მეთვალყურე, ხელმძღვანელი.

ფაქტურა, ლათ., მუშტართან გაგზავნილ საქონელზე დართული ფასების სია. ჩვეულებრივ, იგზავნება ორი ეგზემპლარი: ერთში აღნიშნულია ცალეულთა წონის ფასი, მეორეში — საერთო.

ფაშა, თურქ., ოსმალეთში — უმაღლეს მოხელეთა ტიტული, უმთავრესად სამხედრო პირის; აქედან: ფაშალიყ-ი — საფაშო, ფაშის მართველობაში მყოფი ოლქი.

ფაშიზმ-ი (ლათ. fascis — „კონა, კავშირი“), ბურჟუაზიის დიქტატორული მართველობის ერთ-ერთი ფორმა, — უარჰყოფს პოლიტიკურ ბრძოლის პარლამენტარულ ფორმებს და ალიარებს აშკარა ძალმომრეობას. დაარსდა პირველად იტალიაში (1919 წ.) მუსოლინის (იხ.) მეთაურობით.

ფდეროდაქტილ-ი, იხ. პტეროდაქტილი.

**ფები** (ბერძ. Phoibos), იგივე ა პ ო ლ ო ნ-ი, ბერძნულ მითოლოგიაში—მზის, ხელოვნების და მედიცინის ღმერთი.

**ფედერალიზმ-ი** (ლათ. foedus — „კავშირი, ხელშეკრულობა"), სოციალ-პოლიტიკური სისტემა, რომლის თანახმად სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ნაწილთა თავისუფალ კავშირს; აქედან: **ფედერალისტ-ი** — ფედერალიზმის მომხრე; **ფედერალური** — საკავშირო.

**ფედერაცია**, ლათ., დამოუკიდებელ ოლქების ან სახელმწიფოების თავისუფალი და ნებაყოფლობითი გაერთიანება ერთ კავშირში.

**ფეერია**, თეატრალური ნაწარმოები, თვალის მომჭრელი სანახაობით; აქედან: **ფეერიული** — ჯადოსნური, თვალის მომჭრელი.

**ფეიები**, მრავლ., კელტურ და რომაულ მითოლოგიაში — ტყისა და ველ-მინდვრების კეთილი სულები — ფ ე რ ი ე ბ ი.

**ფეიერბახ-ი**, ლუდვიგ (1804 — 72), ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი. თავის თხზ-ში „მატერიალისტურ შემეცნების პრინციპები" და სხ. საძირკველი ჩაუყარა მატერიალისტურ აზროვნებას და შექმნა მთელი მიმდინარეობა ფილოსოფიაში. სოციალურ საკითხებში ფეიერბახის იდეალისტურ ფილოსოფიის შეხედულებას იზიარებდა.

**ფეიერვერკ-ი**, გერმ., ერთგვარი ფერადი ასაფეთქებელი ნივთიერება, იხმარება საილუმინაციოდ.

**ფელახები**, მრავლ. (არაბ.), ეგვიპტის და არაბეთის მცხოვრები მიწის მუშა-გლეხები.

**ფელდ-ეგერ-ი** (გერმ. Feldjager), შიკრიკი.

**ფელდ-მარშალ-ი** (გერმ. Feldmarschall), უმაღლესი სამხედრო ხარისხი.

**ფელდფებელ-ი**, გერმ., უფროსი უნტეროფიცერი.

**ფელდშერ-ი** (გერმ. Feldscherer), ექიმის თანაშემწე დაბალი საექიმო განათლებით.

**ფელეტონ-ი**, ფრ., მოკლე საგაზეთო ამბავი ყოველდღიურ საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ; აქედან: **ფელეტონისტ-ი** — ფელეტონების მწერალი; **ფელეტონური** — ზერელე, ფელეტონისებურად დაწერილი.

**ფელუგა**, საბერძნეთსა და ოსმალეთში — აფრიანი ნავი.

**ფემიდა**, იხ. თემიდა.

**ფემინიზმ-ი** (ლათ. femina-დან „დედაკაცი"), სოციალისტური მოძრაობა, რომელიც მოითხოვს ქალთა უფლებრივ გათანასწორებას მამაკაცებთან (იხ. ემანსიპაცია); აქედან: **ფემინისტ-ი** ან **ფემინისტკა** (რუს. დაბ.) — მამაკაცებთან ქალთა უფლებრივ გათანასწორების მომხრე; **ფემინისტური** — ფემინიზმის შესახები.

**ფემინინ-ი**, ლათ., მდედრობითი. უპირისპირდება მასკულინს (იხ.).

**ფენაცეტინ-ი**, მედიც., თეთრი კრისტალური ნივთიერება. იხმარება მედიცინაში თავის ტკივილის წინააღმდეგ.

**ფენიები**, მრავლ., ირლანდიელთა ნაციონალურ-რევოლუციონური საზოგადოება მე-19-ე ს. მიზნად ისახავდა ირლანდიის დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამ მიზნით აწარმოებდა სასტიკ ბრძოლას ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. (იხ. ჰომრული).

**ფენიქს-ი**, ბერძ., ეგვიპტურ მითოლოგიაში— ერთგვარი ფრინველი,— სიკვდილის დროს თავს ცეცხლში იწვავდა და თავისივე ფერფლიდან ხელმეორედ სდგებოდა. წარმოადგენდა მარადიულ განახლების და უკვდავების სიმბოლოს.

**ფენოლ-ი**, იხ. კარბოლის სიმჟავე.

**ფენიკულურ-ი**, იხ. ფუნიკულიორი.

**ფენოლოგია**, ბერძ., ბიოლოგიის ნაწილი — იკვლევს ცხოველთა და მცენარეთა სამეფოს მეტეოროლოგიურ (ჰაეის) პირობებზე დამოკიდებულებას.

**ფენომენ-ი** (ბერძ. pheno — „მოვლინება, გამოცხადება"): 1) ბუნების მოვლენა; 2) არაჩვეულებრივი, იშვიათი მოვლენა; 3) ფილოსოფიაში — ამა თუ იმ მოვლენის შეცნობა გარეგან გრძნობების საშუალებით (და არა განყენებული გონებით). უპირისპირდება ნ უ მ ე ნ ს; აქედან: **ფენომენალური** — არაჩვეულებრივი, იშვიათი. **ფენომენალიზმ-ი**, ბერძ., ერთგვარი მიმართულება იდეალისტურ ფილოსოფიაში. შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ მოვლენათა შემეცნება და არა საგნის „თავის თავად" შეცნობა. უპირისპირდება ნ უ მ ე ნ ა ლ ი ზ მ ს.

**ფეოდალიზმ-ი**, ახ. ლათ., სოციალურ-ეკონომიური წესწყობილება, რომელიც გაბატონებული იყო საშუალო საუკუნეებში და ისტორიულად წინ უძღოდა კაპიტალიზმს. ფეოდალიზმის თვისებებს შეადგენს მიწათმფლობელობა (ფეოდი) და ნატურალური მეურნეობა; აქედან: **ფეოდალ-ი** — საშუალო საუკუნეების მსხვილი მემამულე; **ფეოდალური** — ფეოდალიზმის შესახები, ბატონყმური.

**ფეოდი**, ახ. ლათ., ფეოდალის სამფლობელო, საკუთენო მამული.

**ფერეინ-ი** (გერმ. Verein — „კავშირი"). კავშირი, საზოგადოება.

**ფერენგები**, მრავლ., ევროპიელთა ოსმალური სახელწოდება.

**ფერმა** (ლათ. firmus-დან — „მაგარი"): 1) სასოფლო-სამეურნეო იარაღებით და შენობებით მოწყობილი მამული; 2) რაციონალურად (მეცნიერულად) დაყენებული სოფლის მეურნეობა, მაგ. ყველის, კარაქის და სხ. სასოფლო-პროდუქტების წარმოება; 3) ალმშენებლობაში — სხვადასხვა ნაწილთა ერთობლიობა; აქედან: **ფერმერ-ი** — ფერმის პატრონი.

**ფერმატა**, იტ. მუსიკ., შეჩერების ანუ პაუზის ნიშანი.

**ფერმენტები**, მრავლ. (ლათ. fermentum-დან — „ხაში"), დუღილით და გახრწნით გამომწვევი ორგანიული ნივთიერებანი; აქედან: **ფერმენტაცია**—დუღილის და გახრწნის გამოწვევა ფერმენტების საშუალებით.

**ფესკა**, თურქ., აღმოსავლურ ქვეყნებში რგვალი, პატარა ფუნჯიანი ქუდი, წითელი ფერისა.

**ფეტიშიზმ-ი**, ევრ., უსულო საგნების გაღმერთება; აქედან: **ფეტიშ-ი** — გაღმერთებული საგანი, კერპი, სათაყვანო საგანი; **ფეტიშისტ-ი** — კერპთაყვანისმცემელი, უსულო საგნის მაღმერთებელი.

**ფეტრ-ი**, ფრ., მაღალი ხარისხის საქუდე მასალა.

**ფეშენაბელური** (ინგ., fashionable), მაღალ საზოგადოებაში მიღებული, არისტოკრატული, თავაზიანი.

**ფეხნერ-ი**, გუსტავ-თეოდორი (1801 — 87), გერმანელი ფილოსოფოსი და ფიზიკოსი—ფსიქო-ფიზიკის დამაარსებელი.

**ფეხტმეისტერ-ი** (გერმ. fechten — „ბრძოლა" და Meister—„უფროსი"), ფარიკაობის მასწავლებელი, დაშნის კარგი მხმარებელი.

**ფეხტოვანება** — ფარიკაობა.

**ფთა, ფთაჰ-ი**, იხ. პტაჰი.

**ფიაკრ-ი**, ფრ., დაქირავებული ეტლი. სახელწოდება წარმოსდგა პარიზის მეეტლეთა მფარველ წმ. ფიაკრისაგან.

**ფიალ-ი** (ბერძ. phialis); ფიალა, ღვინის სასმელი თასი.

**ფიასკო**, იტ.: 1) მარცხი; 2) ძველ იტალიაში—ღვინის სარწყაო, უდრიდა 2,3 ლიტრს= $3^2/_3$ ბოთლს.

**ფიბრა** (ლათ. fibra-დან — „ძაფი, ქსოვილი"): 1) ცოცხალ ორგანიზმის შემაერთებელი ქსოვილის ძაფები; 2) ძარღვი, ნერვი.

**ფიბრინ-ი** (ლათ. fibra — „ძაფი, ქსოვილი"), ცილოვანი ნივთიერება — სისხლის შემადგენელი ნაწილი: იწვევს მის შედედებას ანუ შეკუმშვას მილებიდან გარედ გადმონთხევის დროს.

**ფიბროზ-ი** (ახ. ლათ. fibra-დან — „ძაფი"), მცენარეთა ქსოვილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; აქედან: **ფიბროზული ქსოვილი**—ცხოველთა ორგანიზმის ძაფისებრი შემაერთებელი ქსოვილი.

**ფიგარო**, — 1) ბომარშეს (Beaumarchis, ფრანგი დრამატურგი 1732-99) კომედიის «სევილიელი დალაქი»-ს მთავარი გმირი, — გაქნილი, მოხერხებული და ოხუნჯი ადამიანის განსახიერება; 2) პარიზის ერთერთ ფრიად გავრცელებულ გაზეთის სახელწოდება; 3) ქალის მოკლე და უსახელოებო ჩასაცმელი.

**ფიგლიარ-ი**, პოლ., მანჭია, მასხარა, ოინბაზი ადამიანი.

**ფიგურა** (ლათ. figura): 1) სხეულის გარეგანი ფორმა; 2) მათემატიკაში — ყოველმხრივ განსაზღვრული სიბრტყე.

**ფიგურანტ-ი**, ლათ.-ფრ., ბალეტში — მეორე ხარისხოვანი მოცეკვავე, სტატისტი.

**ფიდიუს-ი** (500 — 430 წ. ქრ. წ.), სახელგანთქმული ბერძენი მოქანდაკე, პერიკლეს თანამედროვე. მის ქანდაკებათაგან შესანიშნავია „ათინა", „ძევსი" და სხ. ინახება ბრიტანეთის მუზეუმში.

**ფიზიატრია** (ბერძ., physis-დან — „ბუნება“ და iatros — „ექიმი“), ბუნებრივი ძალებით მკურნალობა; აქედან: **ფიზიატრ-ი** — ბუნებრივ ძალებით მკურნავი ექიმი; **ფიზიატრული** — ფიზიატრიის შესახები.

**ფიზიკა** (ბერძ. physikos-დან „ბუნებრივი“), მეცნიერება, რომელიც იკვლევს სხეულთა მდგომარეობის და მოძრაობის კანონებს, მათი ნივთიერების შეუცვლელად; **ფიზიკოსი** — ფიზიკის მცოდნე; **ფიზიკური** — ფიზიკის შესახები.

**ფიზიოგენია** ან **ფიზიოგონია** (ბერძ. physis-დან „ბუნება“ და genesis-დან „წარმოშობა“), მეცნიერება ბუნების წარმოშობის შესახებ.

**ფიზიოგნომიკა** ან **ფიზიოგნომია** (ბერძ. physis-დან „ბუნება, სახე“ და gnomon-დან „მცოდნე“), ადამიანის ხასიათის ამოცნობა სახის მოყვანილობის მიხედვით; აქედან: **ფიზიოგნომისტ-ი** — ფიზიოგნომიის მცოდნე.

**ფიზიოგრაფია** (ბერძ. physis-დან—„ბუნება“ და grapho-დან — „ვწერ“), ბუნების მოვლენათა აღწერა; აქედან: **ფიზიოგრაფ-ი** — ბუნების აღმწერი; **ფიზიოგრაფიული** — ფიზიოგრაფიის შესახები.

**ფიზიოთერაპია**, ბერძ., მკურნალობა ფიზიკური მეთოდებით: ჰაერით, მზით, სინათლით და სხ.; აქედან: **ფიზიოთერაპევტიული** — ფიზიოთერაპიის შესახები.

**ფიზიოკრატები**, მრავლ. (ბერძ. physis-დან— „ბუნება“ და krateo — „ვმართავ“), მე-18-ე ს. ფრანგი ეკონომისტები, რომლებიც სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ მიწათმოქმედებას აღიარებენ. ფიზიოკრატულ სკოლის დამაარსებელი იყო კენე (Quesnay, 1694 — 1774), რომელმაც გაილაშქრა მ ე რ კ ა ნ ტ ე ლ ი ზ მ ი ს (იხ.) წინააღმდეგ; აქედან: **ფიზიოკრატიზმ-ი** — ფიზიოკრატების მოძღვრება; **ფიზიოკრატიული** — ფიზიოკრატიზმის შესახები.

**ფიზიოლოგია** (ბერძ. physis-დან „ბუნება“ და logos-დან — „სწავლა“), მეცნიერება ცხოველთა ან მცენარეთა ორგანიულ პროცესების შესახებ; აქედან: **ფიზიოლოგ-ი** — ფიზიოლოგიის მცოდნე; **ფიზიოლოგიური** — ფიზიოლოგიის შესახები.

**ფიზიონომია**, ბერძ., ადამიანის სახე, მისი გამომეტყველება ანუ ხასიათი; აქედან: **ფიზიონომისტ-ი** — ადამიანის სახის გამომეტყველებით მისი ხასიათის გამომცნობი.

**ფიზკულტურა**, ბერძ., ფიზიკური კულტურა — ტანვარჯიში, რბენა, ჯირითი და სხ.

**ფიქს-**, იხ. ფიქს-.

**ფიკუს-ი** (ლათ. ficus), ლეღვის ხე.

**ფილადელფია**, ჩრდ. ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი. უჭირავს მესამე ადგილი ნიუიორკსა და ჩიკაგოს შემდეგ.

**ფილაკტ-**, იხ. ფილაქტ-.

**ფილანტროპია**, ბერძ. phileo-დან „მიყვარს“ და anthropos-დან „ადამიანი“), კაცთმოყვარეობა, ქველმოქმედება; აქედან: **ფილანტროპ-ი** — კაცთმოყვარე, ქველმოქმედი; **ფილანტროპიული** — საქველმოქმედო, კაცთმოყვარეობის გრძნობით გამსჭვალული; **ფილანტროპომანია** — კაცთმოყვარეობისა და ქველმოქმედების გრძნობით გატაცება.

**ფილარმონიული საზოგადოება**, (ბერძ. phileo-დან „მიყვარს“ და harmonia-დან — ჰარმონია, იხ.), მუსიკის მოყვარულთა საზოგადოება.

**ფილატელია**, ბერძ., საფოსტო მარკების მოგროვება საკოლექციოდ.

**ფილაქტერია** (ბერძ. phylasso-დან „დაცვა“), ებრაელებში — ერთგვარი კოლოფები, რომელშიაც მოთავსებულია პერგამენტზე დაწერილი ათი მცნება. იკეთებენ ლოცვის დროს შუბლსა და მკლავზე.

**ფილები**, მრავლ. ბერძ., ძვ. საბერძნეთში — ბერძენთა ტომების დაყოფა სხვადასხვა გვარეულობად.

**ფილეი** ანუ **ფილე**, ფრ.: 1) ბადისებური ქსოვილი ანუ არშია; 2) საქონლის ხორცის საუკეთესო, რბილი ნაწილი, ხერხემლის ანათალი.

**ფილერ-ი**, ჯაშუში, მზვერავი; აქედან: **ფილერობა** — ჯაშუშობა, მზვერაობა.

**ფილიალ-ი**, ლათ., განყოფილება, შემადგენელი ნაწილი, მაგ. ბანკის ან სავაჭრო დაწესებულების ფილიალი; აქედან: **ფილიალური** — ცენტრზე დამოკიდებული.

**ფილიაცია** (ლათ. filius — „შვილი“): 1) ჩამომავლობა, მშობლებსა და შვილებს შორის არსებული კავშირი; 2) აზრთა ერთი მეორეზე დამოკიდებულება.

**ფილიპიკა**, მაკედონელ მეფის ფილიპეს წინააღმდეგ მიმართული დემოსთენის მამხილებელი სიტყვა; გად. მნიშ.: ძლიერ მამხილებელი სიტყვა; აქედან მრავლ.: ფ ი ლ ი პ ი კ ე ბ ი.

**ფილისტერ-ი**, გერმ., შეზღუდულ აზროვნების და ყოველდღიურ წვრილმანებში ჩაფლულ ადამიანის სახელწოდება; აქედან: **ფილისტერული** — წვრილმანი, ყოველდღიური, ვიწრო ფარგლებში მოქმედი.

**ფილისტიმელები**, მრავლ., სემიტური და ეგვიპტურ წარმოშობის ხალხი, მცხოვრები ძველად პალესტინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ბიბლიის გადმოცემით. ფილისტიმელები მუდმივ მტრულ განწყობილებაში იყვნენ ისრაელებისადმი.

**ფილმა**, ევროპ., ფოტოგრაფიული ლენტა, მოთავსებული კინემატოგრაფიულ აპარატში; კინემატოგრაფის მთლიან სურათების ანუ პიესების სახელწოდება.

**ფილოგენია ანუ ფილოგენეზის-ი**, ბერძ., ცხოველთა და მცენარეთა განვითარება; დაბალ ფორმების მაღალ ფორმებად გარდაქცევა ევოლუციის საშუალებით; ამა თუ იმ გვარეობის ევოლუციის მოკლე განმეორება; აქედან: **ფილოგენეტიური** — მსგავსი, მონათესავე.

**ფილოლოგია**, (ბერძ. phileo-დან „მიყვარს" და logos-დან — „სიტყვა"), ენათმეცნიერება, ამა თუ იმ ერის ლიტერატურის შესწავლა, მაგ., ბერძნების, რომაელების და სხ. (კ ლ ა ს ი კ უ რ ი ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა); **ფილოლოგ-ი** — ენების და ლიტერატურის მკვლევარი, ფილოლოგიის მცოდნე; **ფილოლოგიური** — ფილოლოგიის შესახები.

**ფილონ-ი** —: 1) ალექსანდრიელი ბერძენი ფილოსოფოსი, ცხოვრობდა 200 წ. ქრ. წ. მისი მოძღვრების თანახმად, ღვთის და მსოფლიოს შორის შუამავალი არის სიტყვა — ლ ო გ ო ს ი ანუ უმაღლესი არსი; 2) საეკლესიო სამოსი.

**ფილოსოფია** (ბერძ. phileo-დან — „მიყვარს" და sophia-დან „სიბრძნე"), სიბრძნისმეტყველება, მეცნიერება სამყაროს არსის შესახებ. ისტორიულად ფილოსოფია წარმოიშვა აღმოსავლეთში, ხოლო განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია საბერძნეთში; აქედან: **ფილოსოფოს-ი** — ფილოსოფიის მცოდნე, ღრმად მოაზროვნე; **ფილოსოფიური** — ფილოსოფიის შესახები.

**ფილდეკოს-ი**, თხელი და გამჭვირვალე ქსოვილი.

**ფილოქსერა**, ფოთლის მწერი. ეკუთვნის ხორთუმოვან ოჯახს. ცხოვრობს ვაზის კვირტში და ფესვებში. სჭამს მის ფოთლებს და იწვევს ვაზის დაავადებას და გახმობას.

**ფილტრ-ი** (იტ. filtro): 1) საწურავი, სითხის გასაწური ხელსაწყო; 2) ფორიანი სხეულები (ქაღალდი, ბამბა და სხ.). იხმარება სითხეების გასაწმენდათ; აქედან: **ფილტრაცია** — სითხეების ფილტრით დაწმენდა; **ფილტრატ-ი** — დაწმენდილი სითხე.

**ფინალ-ი** (ლათ. finis-დან — „დასასრული"): 1) დაბოლოება, დამთავრება; 2) მუსიკალურ ნაწარმოების, ბალეტის და სხ. დასასრული.

**ფინანსები**, მრავლ. ფრ.: 1) სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ჯამი; 2) ფული, შემოსავალი; აქედან: **ფინანსისტ-ი** — ფინანსიურ საქმის მცოდნე-სპეციალისტი; **ფინანსიური** — ა) ფინანსების შესახები; ბ) საშემოსავლო; გ) ფულადი.

**ფინიკია**, ლიბანის მთებსა და ხმელთა შუა ზღვის შორის მდებარე ქვეყანა, სირიის ნაწილი. ფინიკიის მცხოვრებნი ძველად განთქმულნი იყვნენ ზღვაოსნობით და ვაჭრობით.

**ფინიშ-ი** (ინგ. finish), უკანასკნელი გადამწყვეტი მომენტი შეჯიბრში.

**ფიორდ-ი** (დან. fiord-დან), ზღვაში ღრმად შეჭრილი ვიწრო უბე, კლდოვან ნაპირებით. გვხვდება სკანდინავიის და ფინლანდიის ნახევარ კუნძულებზე.

**ფირდუს-ი** (940 — 1020), სპარსეთის გამოჩენილი პოეტი, „შაჰ-ნამე"-ს ავტორი. იხ. შაჰ-ნამე.

**ფირმა**, იტ., სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების სახელწოდება.

**ფირმან-ი**, თურ., ხონთქრის ბრძანება.

**ფისგარმონია ან ფისჰარმონია**, ბერძ., ორღანოს მსგავსი სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი — კლავიშებით და რეგისტრით. ხმარობენ კათოლიკურ ეკლესიებში წირვის დროს.

**ფისკ-ი** (ლათ. fiskus-დან — „სალარო, ყულაბა"): 1) ძვ. რომში — იმპერატორის კერძო

ხაზინა; 2) თანამედროვე მნიშვნ. — სახელმწიფოს ხაზინა; აქედან: ფისკალური — სახაზინო, სახელმწიფო ხაზინის შესახები.

ფისკალ-ი, ლათ., რუსეთში — : 1) პეტრე დიდის მიერ შემოღებული სახელმწიფო მოხელეთა საიდუმლო მეთვალყურე; 2) ჯაშუში.

ფისტულა, ლათ.; 1) ყელის მაღალი ბგერა; 2) ღრმა ჭრილობა, ანუ იარა.

ფიტობიოლოგია, (ბერძ. phyton-დან — „მცენარე" და biologia-დან — ბიოლოგია, იხ.), მეცნიერება მცენარეთა ცხოვრების შესახებ.

ფიტოგეოგრაფია ბერძ., მცენარეთა გეოგრაფია, მეცნიერება მცენარეთა დედამიწაზე გავრცელების შესახებ.

ფიტოლითი ანუ ფიტოლიტ-ი (ბერძ. phyton — „მცენარე" და lithos — „ქვა"), გაქვავებული მცენარე.

ფიქსატუარ-ი (ფრ. fixatoir-დან), თმის საცხები მალამო.

ფიქსაცია, ლათ., ერთ მდგომარეობაში გაჩერება, განმტკიცება.

ფიქცია (ლათ. fixus-დან — „გამოგონება"): 1) გამოგონება, შეთხზვა; 2) არა არსებულის მიჩნევა ნამდვილ ფაქტად; აქედან: ფიქტიური — მოჩვენებითი, ყალბი, არა ნამდვილად არსებული.

ფიხტე, იოჰან გოტლიბ-ი (Fichte, 1762 — 1814), ცნობილი გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსი, გერმანიის ერის გაერთიანების მქადაგებელი.

ფლაგ-ი (გერმ. Flagge), დროშა, ნიშანი.

ფლაგმან-ი (გერმ. Flagge — „დროშა" და Mann — „კაცი") — საზღვაო-სამხედრო ხარისხი, ხომალდზე დროშის აღმართვის უფლებით.

ფლაგშტოკ-ი (გერმ. Flagge- „დროშა", და stock — „ჯოხი"), დროშის ასამართი ძელი.

ფლაკონ-ი, ლათ., მინის ან ფაიფურის პატარა ჭურჭელი ჩუქურთმით. იხმარება კოსმეტიკურ საშუალებათათვის.

ფლამარიონ-ი, კამილ (Flammarion, 1842-1925), გამოჩენილი ფრანგი ასტრონომი. ცნობილია აგრეთვე თავის ფანტასტიური, ასტრონომიული რომანებით.

ფლანგ-ი, სამხ. ტერმ., ჯარის განაპირა ნაწილი.

ფლანერ-ი (ფრ. flaneur), მოხეტიალე ადამიანი.

ფლანკერ-ი, სამხ. ტერმ., ცხენოსანთა ჯარის შიკრიკი.

ფლეგმა, ბერძ.: 1) მოდუნება, უგრძნობლობა; 2) ზანტი და დინჯი ადამიანი; 3) ლორწოიანი სითხე — სისხლის შემადგენლობაში; აქედან: ფლეგმატიკ-ი — დინჯი, გულგრილი ადამიანი; ფლეგმატიური — ზანტი, უსიცოცხლო.

ფლეგმონა, მედიც., კანის ქვეშ ცხიმოვან ქსოვილის ანთება.

ფლეიტა, მუსიკ., ხის სასულე საკრავი; აქედან: ფლეიტისტ-ი — ფლეიტაზე დამკვრელი.

ფლერ-ი, ფრ., აბრეშუმის გამჭვირვალე ქსოვილი.

ფლექსია, ლათ., გრამატიკაში — სიტყვის ცვალებადი ნაწილი, იცვლება ბრუნვის და კანკლედობის მიხედვით; აქედან: ფლექსიური — ფლექსიის შესახები.

ფლიგელ-ი, გერმ., არქიტექტურაში: მთავარი შენობის პატარა მინაშენი.

ფლიგელადიუტანტ-ი, გერმ., მეფის მხლებელი უფროსი ოფიცერი.

ფლირტ-ი (ინგლ. flirt), საარშიყო ხუმრობა ანუ თამაში.

ფლიუგერ-ი, იხ. ფლუგერი.

ფლიუს-ი, იხ. ფლუსი.

ფლობერ-ი, გუსტავ (Flaubert, 1821 — 1880), ცნობილი ფრანგი რომანისტი, რეალისტური სკოლის და ნატურალისტური რომანის მეთაური.

ფლორა (ლათ. flos-დან — „ყვავილი"): 1) ძველად რომში — ყვავილების და გაზაფხულის ქალღმერთი; 2) ამა თუ იმ ქვეყნის მცენარეთა სამეფო.

ფლოტ-ი, ლათ.-ფრ., სამხედრო ან სავაჭრო გემების კრებული; ფლოტილია (ფრ.) — : ა) მცირე-რიცხოვანი ფლოტი; ბ) საომარ ხომალდთა კრებული.

ფლუგერ-ი, გერმ.: 1) ქარის მიმართულების მაჩვენებელი ფირფიტა; 2) გად. მნიშვნ.: მერყევი ადამიანი.

ფლუორესცენცია, ფიზ., ზოგიერთ სხეულის (მაგ. ქლოროფილი, ქინაქინა, ნავთი და სხ.) თვისება, რომლის მიხედვით ეს სხეულები გამოსცე-

მენ განსაზღვრულ სინათლეს მზის სხივების მოქმედების დროს.

ფლუს-ი, მედიც., ღრძილების სიმსივნე, კბილების დაავადებით გამოწვეული.

ფლუქტუაცია, ლათ.,-ფრ.: 1) სითხეთა მერყევი მოძრაობა; 2) მედიცინაში — სითხის რყევა დაჩირქებულ ადგილას თითის დაჭერის დროს.

ფოიე, ლათ.-ფრ., თეატრში — ანტრაქტების დროს დასასვენებელი დარბაზი.

ფოკუს-ი (ლათ. fokus-დან — „სახლი, კერა"): 1) ფიზიკაში — სფერულ სარკეების მთავარ ღერძზე მდებარე წერტილი, რომელშიაც გარდიკვეთებიან ყველა ანარეკლი სხივები; 2) ხელის სიმარდეზე დამყარებული, ჯამბაზური მოქმედება; აქედან: ფოკუსნიკ-ი — ფოკუსების მკეთებელი.

ფოლიანტ-ი, (ლათ. folium-დან — „ფურცელი"), ქაღალდის თაბახის ოდენა წიგნის ფორმატი ანუ ძველი ხელნაწერი.

ფოლკეტინგ-ი, დანიის პარლამენტში—ქვედა პალატა.

ფოლკლორ-ი, ინგ.: 1) ხალხურ ზღაპრების და სხ. კრებული; 2) ეთნოგრაფიის ნაწილი, რომელიც იკვლევს უძველეს ადათებს და ცრუმორწმუნოებას ზღაპრების, თქმულებების და ანდაზების მიხედვით.

ფონდ-ი (ლათ. fundus-დან — „საფუძველი"): 1) ძირითადი თანხა; 2) სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდები; 3) სახელმწიფოს განკარგულებაში დატოვებული მიწის ნაკვეთები (საფონდო მიწა).

ფონ-ი, ფრ.: 1) საფუძველი, ნიადაგი; 2) ქსოვილის ან სურათის ძირითადი ფერი; 3) კეთილშობილთა გვარების თავსართი გერმანიაში.

ფონეტიკა, ბერძ., ენათმეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს ბგერათა მოვლენების კანონებს (ასოების და მარცვლების ბგერის თვალსაზრისით), მათ წარმოშობას და განვითარებას; აქედან: ფონეტიური—ბგერადი, ფონეტიკის შესახები.

ფონოგრაფ-ი (ბერძ. phone-დან — „ბგერა" და grapho-დან — „ვწერ"), 1877 წ. ედისონის მიერ გამოგონილი ბგერების ჩასაწერი (სიტყვების, მუსიკის და სხ.) და კვლავ გასამეორებელი ხელსაწყო. შემდეგში გაუმჯობესებულ იქნა გრამოფონ-ის სახით (იხ.).

ფონოლოგია, ბერძ., იხ. ფონეტიკა.

ფონომეტრ-ი (ბერძ. phone-დან „ბგერა" და metreo-დან „ვზომავ"), ბგერათა ძალის გასაზომი ხელსაწყო.

ფორა, იტ., იგივე bis! — ვაშა! — გამეორების თხოვნა.

ფორდ-ი, ჰენრი, ცნობილი ამერიკელი მილიარდერი, ავტომობილების მეფედ წოდებული. სახელი გაითქვა წარმოების რაციონალიზაციით და შრომის ნორმალური მოწესრიგებით თავის ქარხნებში; ამავე სახელით ცნობილია მის ქარხანაში გაკეთებული ავტომობილი.

ფორები, ბერძ., სხეულთა მოლეკულებს (იხ.) შორის არსებული წვრილმანი შუალედები.

ფორმა (ლათ. forma-დან „სახე"): 1) საგნის ან მოვლენის გარეგანი სახე; 2) ნიმუში; 3) ამა თუ იმ დაწესებულებაში სახმარი ტანისამოსი; აქედან: ფორმალიზმ-ი — გარეგნულ წესების დაცვა შინაარსის საზიანოდ; ფორმალისტ-ი — ფორმალიზმის მომხრე, გარეგან წესების დამცველი; ფორმალური — გარეგნული ფორმის შესახები.

ფორმატ-ი (ლათ. forma-დან — „სახე, ნიმუში"), საგნის ზომა (გაზეთის, წიგნის და სხ.).

ფორმაცია, ლათ.: 1) ამა თუ იმ ფორმის შექმნა ანუ წარმოშობა; 2) გეოლოგიაში — დედამიწის ფენების ერთობლიობა.

ფორმულა, ლათ.: 1) ამა თუ იმ ცნების ან კანონის ზუსტი და ზოგადი განმარტება, რომელიც შეიცავს ყველა კერძო შემთხვევას; 2) ალგებრული გამოთქმა, სადაც ყველა მოსახდენი ოპერაციები აღნიშნულია ასოებით, უცნობის ამოსახსნელად; 3) ქიმიაში — სხეულის შემადგენლობის ასოებით გამოსახვა, მაგ. გოგირდის სიმჟავე $H_2SO_4$.

ფორმულიარ-ი (ლათ. formula-დან), სახელმწიფო სამსახურის საბუთი.

ფორპოსტ-ი, იხ. ავანპოსტი.

ფორსმაჟორ-ი, ფრ., გარდუვალი დაბრკოლება.

ფორტ-ი (ლათ. fortis-დან — „მაგარი, ძლიერი"): 1) ციხე-სიმაგრე (დამოუკიდებელი); 2) ციხის ერთ-ერთი ნაწილი.

ფორტე (იტ. forte): 1) მუსიკაში—ძლიერად; 2) მაღლა.

ფორტელ-ი, გერმ., ოინი, თვალთმაქცობა.

ფორტეპიანო, იტ., კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი (როიალი, პიანინო და სხ.).

ფორტიფიკაცია (ლათ. fortis-დან — „ძლიერი“ და facere-დან — „ქმნა“), სამხედრო მეცნიერება — ციხე-სიმაგრეთა აგების შესახებ.

ფორტუნა (ლათ. fors-იდან — „შემთხვევა“), ძველად რომში — ბედნიერების ღმერთი; ბედი, ბედნიერება.

ფორუმ-ი (ლათ. forum-დან), ძვ. რომში — სახალხო მოედანი სხვადასხვა სახელმწიფო საქმეთა გადასაწყვეტად.

ფორშლაგ-ი (გერ. for-იდან „წინ“ და schlag-იდან „დარტყმა“): 1) წინა აფრის გადამჭიმავი თოკი; 2) მუსიკაში — ნოტების შელამაზება,—მელოდიის შესამკობი.

ფორშმაკ-ი, გერმ., თბილი საუზმე, დაკეპილი ხორცით, თევზით და სხ. დამზადებული.

ფორშტატ-ი, გერმ., ქალაქის მიდამო.

ფოსგენ-ი, ქიმ., მახრჩობელა გაზი, ნახშირბადის და ქლორის ნაჟანგის შემადგენლობისა.

ფოსფორისცენცია, ახ. ლათ., ზოგიერთ სხეულის თვისება—სინათლის გამოკრთომა ბნელში.

ფოსფორ-ი (ბერძ. phos-დან — „სინათლე“, phero-დან „მომაქვს“), ქიმიაში — მარტივი სხეული. გამჭვირვალე და უფერული. ანათებს ბნელში, მოიპოება ჟანგბადში, ძვლებში და სხ.

ფოტოგენ-ი, ბერძ., ნავთი.

ფოტოგრაფია, ბერძ., phos-იდან — „სინათლე“ და grapho-დან—„ვწერ“), სინათლით წერვა; მგრძნობიარე ფირფიტაზე სინათლის ზედმოქმედებით მიღებული გამოხატულება. გამოგონილია 1839 წ. დ ა გ ე რ-ის მიერ; აქედან: ფოტოგრაფ-ი — ფოტოგრაფიის მცოდნე, სურათების გადამღები; ფოტოგრაფიული — სრული სინამდვილით ასახული.

ფოტოთერაპია, ბერძ., მედიცინაში — სინათლით მკურნალობა.

ფოტომეტრ-ი (ბერძ. phos-დან — „სინათლე“ და metreo-დან — „ვზომავ“), სინათლის ძალის გამზომი ხელსაწყო.

ფოტოსფერო, ბერძ., მზის ატმოსფერო, შესდგება ორთქლისა და გავარვარებული გაზებისაგან.

ფოტოტელეგრაფ-ი, ბერძ., შორეულ მანძილზე სურათის გადამცემი ელექტრონის ხელსაწყო.

ფოტოლიტოგრაფია, ბერძ., სურათის გადატანა ლიტოგრაფიულ ქვაზე ფოტოგრაფიის საშუალებით.

ფოტოტერაპია, იხ. ფოტოთერაპია.

ფოტოტიპია, ბერძ., ერთგვარი ბეჭდვა —ფოტოგრაფიულად დამზადებულ ნიმუშით სურათის გადაღება.

ფოტოფობია (ბერძ. phos — „სინათლე“, phobeo — „მეშინიან“), სინათლის შიში, თვალის დაავადება, როდესაც იგი სინათლეს ვერ უძლებს.

ფოტოფონ-ი, ბერძ., სინათლის საშუალებით ბგერათა შორის მანძილზე გადასაცემი მოწყობილობა.

ფოტოქიმია, ბერძ., ქიმიის ნაწილი — სინათლის სხივთა ქიმიური მოქმედება.

ფოტოცინკოგრაფია, ბერძ., თუთიის კლიშეების ერთგვარი დამზადება რუქების საბეჭდათ.

ფოხტ-ი, იხ. ფოგტი.

ფრაგმენტ-ი (ლათ. fragmentum — „ნატეხი, ნაჭერი“), ძველი ნაწარმოების ნაშთი ანუ ნაწყვეტი.

ფრაზა (ბერძ. phrasis), წინადადება, აზრი გამოთქმული სიტყვებით.

ფრაზეოლოგია (ბერძ. phrasis — „ფრაზა“; logos — „სიტყვა“), ამა თუ იმ ენის დამახასიათებელი ფრაზების კონსტრუქცია; გად. მნიშვ.: უშინაარსო ყბედობა.

ფრაზიორ-ი, ლამაზად, მაგრამ უშინაარსოდ მოლაპარაკე ადამიანი; ყბედი.

ფრაკ-ი, გერმ., მამაკაცის საზეიმო ჩასაცმელი წინ ამოჭრილი და უკან გრძელი კალთებით.

ფრანკ-ი, ფრ., ფრანგული ვერცხლის ფული: უდრის 20 სუ-ს ანუ 100 სანტიმს, — 37½ კაპ.

ფრანკლინ-ი, ბენიამინ (Franklin, 1706 — 1790), ცნობილი ჩრ.-ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი. ამერიკის დამოუკიდებლობის ერთი დამაარსებელთაგანი. გამოიგონა მეხთ-ამრიდი და სხ. ელექტრული მოწყობილობა.

**ფრანკლინიზაცია**, მედიც., სტადიურ ელექტრობის გამოყენება ნერვულ ავადმყოფთა სამკურნალოდ.

**ფრანკ-მასონები**, ფრ., მრავლ., რელიგიურ-მისტიურ საზოგადოებათა წევრნი. გავრცელებულნი იყვნენ დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით საფრანგეთში მე-18-19 საუკ. მიზნად ისახავდენ ზნეობრივ თვითგაუმჯობესებას, ქველმოქმედების და განათლების გავრცელებას. ებრძოდენ ოფიციალურ ეკლესიას და მონარქიულ აბსოლუტიზმს.

**ფრანკო** (იტ. franco): 1) ფასდაუდებელი, უბაჟო; 2) საქონლის მიწოდების და ფასის გადახდის პუნქტი, მაგ. ფრანკო-ტფილისი, ფრანკო-ვაგონი და სხ.

**ფრანტ-ი**, პოლ., კოხტად ჩაცმული კაცი.

**ფრანცისკანელები**, მრავლ., 1208 წ. წმ. ფრანცისკ ასიზელის მიერ დაარსებული ბერების ორდენი იტალიაში.

**ფრაპ-ი**, ფრ., ერთგვარი ბანქოს თამაში.

**ფრატრია** (ბერძ. phratria-დან — „ძმობა“), ძველ საბერძნეთში — ფილების (იხ.) დაყოფა ცალკე ერთეულებად.

**ფრაქტურა** (ლათ. fractura): 1) მედიც. ძვლების დამტვრევა; 2) გერმანული წერის მახვილკუთხიანი გოტიური შრიფტი. უპირისპირდება ლათინურ მრგვალ ასოებს (ანტიკურს).

**ფრაქცია** (ლათ. fractio), ნაწილი, ჯგუფი; პარლამენტის ან რომელიმე პარტიის ცალკე ჯგუფი; აქედან: ფრაქციონერ-ი—ფრაქციის წევრი; ფრაქციური — ჯგუფური.

**ფრახტ-ი** (გერმ., Fracht-დან), საქონლის გადასაზიდი ქირა.

**ფრებელ-ი**, ფრიდრიხ (Fröbel, 1787—1826), სახელგანთქმული გერმანელი პედაგოგი, პესტალოცის მოწაფე; საბავშო ბაღების დამაარსებელი.

**ფრეგატ-ი**, ევროპ.: 1) ძველებური სამანძიანი ხომალდი; 2) ერთგვარი ფრინველი, მტაცებელ ჯიშისა. ცხოვრობს ცხელ ქვეყნებში, დაფრინავს ზღვაზე და იკვებება თევზებით.

**ფრეილინა** (გერმ. Fräulein), სეფე-ქალი, სამეფო სასახლის მანდილოსანი.

**ფრენელ-ი**, ოგიუსტ-ჟან (1788—1872), ფრანგი ფიზიკოსი — სინათლის რყევის და პოლიარიზაციის აღმომჩენი.

**ფრენოლოგია** (ბერ., phren — „სული, გონება“ და lego-დან — „ვლაპარაკობ“), დ-რ ჰალის მიერ განვითარებული თეორია, რომელიც ადამიანის ხასიათს და ნიჭს მისი თავის ქალის მოყვანილობას უკავშირებდა. ეს თეორია უარყოფილია თანამედროვე მეცნიერების მიერ; აქედან: ფრენოლოგ-ი — ფრენოლოგიის მცოდნე.

**ფრესკები**, იტ., კედლის მხატვრობა.

**ფრიზ-ი**, იტ.-ფრ.: 1) არქიტექტურაში — სვეტის თავი; 2) საარტილერიო იარაღის წინ გამოწეული რგვალი ქიმი; 3) სქელი მატყლის ქსოვილი.

**ფრიტრედერები**, მრავლ., ინგლისში მე-19-ე საუკ. — თავისუფალ ვაჭრობის მომხრენი. (იხ. მანჩესტერის სკოლა).

**ფროიდიზმ-ი**, იგივე ფრეიდიზმ-ი, გამოჩენილ ავსტრიელ (ვენა) მეცნიერის Freud-ის მოძღვრება, რომლის თანახმად ადამიანის ცხოვრების მიმართულება და შინაარსი (ხელოვნება, მეცნიერება, პოლიტიკა და სხ.) მჭიდროდ დაკავშირებულია მის მიზიდულებებთან, უმთავრესად სქესობრივ გრძნობასთან. ამის მიხედვით ისტორიის და კულტურის მამოძრავებელ ძალად აღიარებულია არა ობიექტური სოციალ-ეკონომიური კატეგორიები, არამედ — სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მომენტები. ფროიდიზმის კვლევა-ძიების მეთოდია ფსიქო-ანალიზი, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანის მოქმედებაში ქვეცნობიერი სფერო გამომხატველია მისი ნამდვილი ზრახვების, რომ მას წმინდა ბიოლოგიური ხასიათი აქვს და აშენებულია სექსუალურ (იხ.) მიზიდულობაზე.

**ფრონდა**, ფრ.: 1) ისტორ. მნიშვნ. — საფრანგეთის არისტოკრატიის მიერ დაწყებული ბრძოლა მეფის წინააღმდეგ მე-17-ე ს-ში; 2) თანამედროვე მნიშვნელობით — ჩუმი და გაუბედავი უკმაყოფილება არსებულ ხელისუფლებასთან ახლო მდგომ წრეებში.

**ფრონტ-ი** (ლათ. frons — „შუბლი, წინა ნაწილი“), სამხედრო ხაზის მოწინავე რიგი, მტრის პირისპირ მდგომი, მოწინავე; ბ) მედიცინაში — პირისპირ მდგომი, მოწინავე; მედიცინაში — ვერტიკალური, საგიტალურის მოპირდაპირე.

**ფრონტონ-ი**, ლათ., არქიტექტურაში—კედლის ნაწილი, რომელიც სახურავის ორი დახრილობით ანუ დაქანებით არის შემოფარგლული ფრონტონს სამ-კუთხოვანი ფორმა აქვს.

ფრუქტოზა, ლათ., ნაყოფში არსებული შაქარი. ქიმ. $C_6H_{12}O_6$.

ფსალმუნ-ი (ბერძ., psalma-დან), საღვთისმეტყველო წიგნი, დავით მეფის (წინასწარმეტყველის) მიერ დაწერილი; საღვთო საგალობელი.

ფსევდო (ბერძ. pseudos-დან „ცრუ, ყალბი"), სიტყვის თავსართი. ნიშნავს ც რ უ ს.

ფსევდოკლასიციზმ-ი, ბერძ., იგივე ც რ უ-კ ლ ა ს ი ც ი ზ მ-ი მე-16 საუკ. წარმოშობილი ლიტერატურული მიმბაძველობითი მიმართულება საფრანგეთში. ბაძავდენ ძველ ბერძენ კლასიკოსებს. განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია ლუი XIV-ის (1643—1715) დროს.

ფსევდონიმ-ი (ბერძ., pseudos-დან—„ცრუ" და onoma-დან — „სახელი"), გამოგონილი სახელი, მწერლის ან სხვა მოღვაწის მეორე სახელი, რომელსაც აწერენ თვის ნაწარმოებს.

ფსევდოპოდები (ბერძ. pseudos — „ყალბი" და podos-დან — „ფეხი"), ცრუფეხებიანი მარტივი ცხოველები (პროტოპლაზმები).

ფსიქეა (ბერძ. psycho-დან — „სუნთქვა"), ბერძნულ მითოლოგიაში — ულამაზესი ქალი, რომელიც ცოლად შეირთო სიყვარულის ღმერთმა ამურმა. ფსიქეა წარმოადგენდა ადამიანის სულის სიმბოლოს. ხატავდენ ლამაზ ქალის სახით პეპელას ფრთებით.

ფსიქიატრია (ბერძ. psyche-დან „სული" და iatreia-დან „მკურნალობა"), მეცნიერება სულიერ ავადმყოფობათა წარმოშობის და მათი მკურნალობის შესახებ; აქედან: ფსიქიატრ-ი — ფსიქიატრიის მცოდნე, სულიერ ავადმყოფობათა მკურნალი.

ფსიქიკა (ბერძ. psyche-დან — „სული"), ადამიანის სულიერ მოვლენათა მთლიანობა; აქედან: ფსიქიური — სულიერ ცხოვრების შესახები.

ფსიქოგენეზის-ი, ბერძ., მეცნიერება ადამიანის სულიერ ცხოვრების თანდათანი განვითარების შესახებ.

ფსიქოზ-ი, ბერ., სულიერი დაავადება.

ფსიქოლოგია (ბერძ., psyche-დან—„სული" და logos-დან — „სიტყვა, სწავლა"), მეცნიერება სულიერ მოვლენათა შესახებ; აქედან: ფსიქოლოგ-ი — ფსიქოლოგიის მცოდნე, სულიერ მოვლენათა დამკვირვებელი; ფსიქოლოგიური — ფსიქოლოგიის შესახები.

ფსიქონევროზ-ი, ბერძ., სულიერი აშლილობა.

ფსიქოპატ-ი, ბერძ., სულით დაავადებული ანუ ნერვებ-აშლილი ადამიანი.

ფსიქოპათოლოგია, ბერ., მეცნიერება სულიერ ავადმყოფობათა შესახებ.

ფსიქოფიზიკა, ბერძ., მეცნიერება სულიერ და ფიზიკურ მოვლენათა შორის კავშირის არსებობის შესახებ.

ფუგა (გერმ. fugen-დან „წაყვანა"), მუსიკალური ნაწარმოები, რომელშიც ძირითადი თემა მეორდება თანდათან სხვადასხვა ხმებით.

ფუგას-ი (ლათ. fugare-დან „გაქცევა"), ასაფეთქებელი ნივთიერება ანუ ნაღმი, ჩაფლული მიწის ხვრელში. იხმარება სამხედრო ოპერაციების დროს.

ფულგურიტ-ი (ლათ. fulgur-დან „ელვა"), ძაბრის მაგვარი ორმო, მეხისგან ამოთხრილი.

ფუნდამენტ-ი (ლათ., fundus-დან „საფუძველი"), საძირკველი, საფუძველი; აქედან: ფუნდამენტალური — საფუძვლიანი, ძირითადი.

ფუნიკულერ-ი ანუ ფუნიკულიორ-ი, ევროპ., ციცაბო აღმართზე გაყვანილი დაკბილული რკინის გზა.

ფუნქცია (ლათ. tunctio-დან „დანიშნულების მიცემა"): 1) სხეულის რომელიმე ორგანოს სპეციალური მოქმედება; 2) მათემატიკაში — ცვალებადი სიდიდე, ერთი რაოდენობის მეორეზე დამოკიდებულება; აქედან: ფუნქციონალური — ფუნქციის შესახები, დამოკიდებული.

ფურაჟ-ი, სამხ., ცხენების სურსათ-სანოვაგე.

ფურგონ-ი, ფრ., გადახურული ეტლი საქონლის ან სხვადასხვა ტვირთის გადასაზიდათ.

ფურია, ბერძ. მითოლოგიაში — შურის-ძიების ქალღმერთი (იხ. ევმენიდები, აგრეთვე ერინიები); გად. მნიშ.: ბოროტი, ავი დედა-კაცი.

ფურიე, ფრანსუა-შარლ-ი (Fourier 1772—1837), საფრანგეთის უტოპიურ სოციალიზმის წარმომადგენელი. თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას ფურიე უპირისპირებდა მომავალ საზოგადოებას, რომელიც დამყარებულია კოლექტიურ შრომასა და მეურნეობაზე. ამ ახალ საზოგადოებას ფურიე უწოდებს „ფ ა ლ ა ნ-გ ა"-ს (თემს), რომელიც ცხოვრობს განსაკუთრებულ ფ ა ლ ა ნ ს ტ ე რ ე ბ-ში.

ფუროր-ი, ლათ., აღტაცება, აღფრთოვანება, ძლიერი შთაბეჭდილება.

**ფუტბოლ-ი**, ინგ., ფეხბურთი, ერთგვარი თამაში; აქედან: **ფუტბოლისტ-ი** — ფუტბოლის მცოდნე; ფეხბურთის მოთამაშე.

**ფუტ-ი**, ინგლ., სიგრძის ზომა = ერთ მეშვიდედ საჟენისას = 12 დუიმს.

**ფუტურიზმ-ი**, ლათ., მე-19-ე საუკ. დასაწყისში წარმოშობილი ლიტერატურული მიმართულება, როგორც პროტესტი დაძველებულ ლიტერატურულ ფორმების და ტრადიციების წინააღმდეგ. მიზნად ისახავს სრულიად ახალ ფორმების და შინაარსის შექმნას (იხ. დეკადენტობა); აქედან: **ფუტურისტ-ი** — ფუტურიზმის მიმდევარი; **ფუტურისტული**—ფუტურიზმის შესახები.

## ქ

**ქააბა**, არაბ., მაჰმადიანთა სამლოცველო ქ. მექაში. მუსლიმანთა ძველი გადმოცემით, ამ სამლოცველოში შენახულია ზეციდან ჩამოტანილი ქვა.

**ქალდუ**, ბაბილონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მდ. ეფრატის აღმოსავლეთ ნაპირას (მესოპოტამიაში), ქართველთა უძველესი სამშობლო; აქედან: **ქალდეველნი** (მრავლ.)—სემიტურ მოდგმის ხალხი, ქალდუს მცხოვრებნი. VII საუკ. ქრ. წ. ჰქონდათ დიდი კულტურა.

**ქალიფატ-ი**, არაბ., ქალიფის საბრძანებლო, არაბთა ქალიფების მიერ დაარსებული მუსლიმანთა სახელმწიფო.

**ქალიფ-ი**, არაბ., სულთანის ტიტული, — მუსლიმანთა უმაღლესი მბრძანებელი პირი ანუ მეფე, აღჭურვილი საერო და სასულიერო უფლებით.

**ქამელეონ-ი**, ზოოლოგ.: 1) ერთგვარი ჯიშის ხვლიკი, რომელიც დროგამოშვებით ფერს იცვლის ადგილ-მდებარეობის მიხედვით; 2) გადატ. მნიშვნელობით: ადამიანი, რომელიც ხშირად იცვლის რწმენას და აზრებს ამა თუ იმ გარემოების მიხედვით.

**ქამიტები**, მრავლ., ჩრდილოეთ აფრიკის ხალხთა საერთო სახელწოდება. ქამიტებს მიაკუთვნებენ: ბერძნებს, ეგვიპტელებს, ტუარეგებს და ეფიოპებს.

**ქანაანი**, ბიბლ., პალესტინის ძველი სახელწოდება — „აღთქმის ქვეყანა“.

**ქაოს-ი**, ბერძ., უწესოება, აღრევა, აურ-ზაური; აქედან: **ქაოტიური** — უწესრიგო, მოუწყობელი.

**ქარავან-ი**, სპარს.: 1) აღმოსავლეთში—მოგზაურ ვაჭართა ჯგუფი დატვირთული აქლემებით; 2) ერთი მიმართულების მქონე ხომალდების ჯგუფი; აქედან: **ქარავან-სარაი** — აღმოსავლეთში — მოგზაურ-ვაჭართა დასასვენებელი სახლი.

**ქარაკირ-ი** ანუ **ხარაკირ-ი**, თვითმკვლელობის ერთერთი ფორმა იაპონიაში. სასიკვდილოდ გამზადებული იფაშვავს მუცელს დანით და იქვე მდგომი მეგობარი ჰკვეთს მას თავს. ეს ადათი გავრცელებული იყო ძველად იაპონიაში.

**ქარაკტერ-ი**, ბერძ.: 1) საგნის დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობა; 2) ადამიანის ინდივიდუალური თვისება; 2) ნებისყოფა, ენერგია; აქედან: **ქარაქტერული** — დამახასიათებელი.

**ქარიბდა**, იხ. სცილა და ქარიბდა.

**ქარტა**, იხ. კარტა.

**ქარტია** (ბერძ. chartis-დან „ქაღალდის ფურცელი“): 1) ძველი ხელნაწერი, დახვეული ეტრატი; 2) საშუალო საუკ. სხვადასხვა პოლიტიკურ უფლებათა დამამტკიცებელი სახელმწიფოებრივი აქტი, მაგ: ინგლისში — თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს დ ი დ ი ქ ა რ ტ ი ა; 3) კონსტიტუცია, — სახელმწიფოს კანონთა კრებული.

**ქარტოგრაფია**, იხ. კარტოგრაფია.

**ქედივ-ი**, სპარს., ეგვიპტის მართველის ტიტული.

**ქემალ-ფაშა**, საკ. სახ., თურქთა ნაციონალურ მოძრაობის ბელადი, ოსმალეთის მთავრობის თავმჯდომარე; აქედან: **ქემალისტები**, მრავლ., ქემალ-ფაშის მიმდევარნი.

**ქეოფს-ი**, ეგვიპტის მეფე 3.000 წ. ქრ. წ. მემფისის მახლობლად ააშენა უზარმაზარი პირამიდა, მისივე სახელით წოდებული. პირამიდის სიმაღლე=144 მეტრს; აქედან: **ქეოფს-ის პირამიდა**.

ქერუბიმ-ი, ებრ., მთავარანგელოსი, ანგელოსთა უმაღლესი ხარისხი.

ქვალიტატიური (ფრ. qualitatif), თვისებითი, საგნების ბუნების შესახები.

ქვანტ-ი, ფიზ. ტერმ., მეცნიერ პლანკის ჰიპოთეზით (იხ.) სხივურ ენერგიის გავრცელება ხდება არა ერთბაშად, არამედ ნაწილობრივ. ფიზიკურ ამ ნაწილს ეწოდება კ ვ ა ნ ტ-ი.

ქვარტა, იხ. კვარტა.

ქვარც-ი, იხ. კვარცი.

ქვესტორ-ი, იხ. კვესტორი.

ქვიეტიზმ-ი, იხ. კვიეტიზმი.

ქვორუმ-ი, იხ. კვორუმი.

ქიმერა, ბერ.: 1) ბერძნულ მითოლოგიაში— სამთავიანი ცხოველი, ნახევრად ლომის და ნახევრად თხის ტანით და გველეშაპის კუდით; 2) ფუჭი, უნაყოფო ოცნება.

ქიმია, ბერძ., მეცნიერება ნივთიერებათა გარდაქმნის შესახებ; აქედან: ქიმიკოს-ი—ქიმიის მცოდნე; ქიმიური — ქიმიის შესახები.

ქიროლოგია, ბერძ., cheir — „ხელი" და logos — „სიტყვა"), აზრის გადაცემის ხელოვნება ნიშნებით.

ქირომანტია (ბერძ. cheir—„ხელი". manteia —„მკითხაობა"), ხელის გულზე მკითხაობა მისი ხაზების მიხედვით; აქედან: ქირომანტ-ი—ქირომანტიის მცოდნე, ხელის გულზე მკითხავი.

ქიროტონია, ბერძ., ხელდასხმა, სასულიერო პირთა კურთხევა.

ქირურგია (ბერძ. cheir-დან — „ხელი" და ergon-დან — „შრომა"), დასტაქრობა, მედიცინის დარგი, რომელიც მიმართავს მექანიკურ საშუალებებს ანუ ოპერაციებს ამა თუ იმ ავადმყოფობის მკურნალობის დროს; აქედან: ქირურგ-ი — დასტაქარი, ქირურგიის მცოდნე.

ქლამიდა, ბერძ., ძველად საბერძნეთში — ცხენოსანთა წამოსასხამი.

ქლორ-ი (ბერძ. chloros-დან — „მწვანე"), მოყვითალო მწვანე ფერის მახრჩობელა გაზი. იხმარება გასათეთრებლად და სადეზინფექციოდ.

ქლოროფილ-ი (ბერძ. chloros-დან „მწვანე" და phillon-დან „ფოთოლი"), მცენარის მწვანე პიგმენტი (იხ.), მწვანე ფერის მიმცემი.

ქლოროფორმ-ი, ბერძ., უფერული და ჰაერგვარი სითხე. იხმარება ქირურგიულ ოპერაციების დროს ტკივილების გასაყუჩებლად.

ქორდა (ბერძ. chorde), გეომეტრ.—რკალის ბოლოების შემაერთებელი სწორე ხაზი.

ქორეოგრაფია (ბერძ. choreia-დან—„ცეკვა" და grapho-დან „ვწერ"): 1) ბალეტის და სხვადასხვა ცეკვის ხელოვნება; აქედან: ქორეოგრაფ-ი — საცეკვაო ხელოვნების მცოდნე.

ქორეა, ბერძ., ლექსთწყობის ფორმა, ორმარცვლიანი — ერთი გრძელი, მეორე—მოკლე.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრება. წარმოიშვა პალესტინაში და შემდეგ გავრცელდა ძველ რომის იმპერიაში. პირველ საუკუნეებში დევნილი იყო ცეცხლითა და მახვილით, ხოლო მე-IV-ეს ს. კონსტანტინე იმპერატორის მიერ გამოცხადებულ იქნა ბატონებულ სარწმუნოებად.

ქრისტომატია, ბერძ., სხვადასხვა მწერლის თხზულებათა კრებული, შედგენილი სკოლებში სახმარ სახელმძღვანელოდ.

ქრომატიზმ-ი, ბერძ. ფიზიკ., მზის თეთრი სხივის არეში გარდატეხით სპეციალურ ფერების მიღება.

ქრომატიული გამა — თორმეტ-საფეხურიანი გამა, რომელშიაც ტონები დაშორებულნი არიან ერთმანეთზე ერთი და იგივე მანძილით.

ქრომ-ი, ბერძ., რუხი ფერის კრისტალური ლითონი. იხმარება სამღებროში და ტყავეულობის წარმოებაში..

ქრომოტიპია, ტიპოგრაფიაში — რამოდენიმე (3 — 4) საღებავით ბეჭდვა.

ქრონიკა (ბერძ. chronos-დან „დრო"): 1) მატიანე; 2) გაზეთში ან სხვა გამოცემაში მიმდინარე ამბების აღნუსხვა; აქედან — ქრონიკერ-ი — ა) ქრონიკების მწერალი; ბ) მემატიანე, ისტორიულ ამბების აღმწერი; ქრონიკული—მუდმივი, ხანგრძლივი.

ქრონოგრაფ-ი, ბერძ., chronos-დან—„დრო" და grapho — „ვწერ"), სხვადასხვა მოვლენის მექანიურად აღმნუსხველი ხელსაწყო.

ქრონოლოგია (ბერძ. chronos-დან—„დრო" და logos-დან—„სიტყვა"): 1) მეცნიერება დროთა აღრიცხვის შესახებ; 2) ბუნების ამა თუ იმ მოვლენის ან ისტორიულ ამბების აღნიშვნა დროში; აქედან: ქრონოლოგ-ი — ქრონოლოგი-

ის მცოდნე და შემდგენი; **ქრონოლოგიური** — ქრონოლოგიის შესახები, თანდათანობითი, ერთი მეორის მიმდევნო დროში.

**ქრონომეტრ-ი** (ბერძ. chronos-დან და metreo-დან — „ვზომავ"), ზუსტი საათი, იხმარება მეცნიერულ კვლევა-ძიების დროს.

**ქრონომეტრაჟ-ი**, ბერძ., დროის ზუსტი გაზომვა, რომელიც იხარჯება წარმოების ამა თუ იმ დარგში. ქრონომეტრაჟი არის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მთავარი საფუძველი.

**ქრონოს-ი**, იხ. კრონოსი.

**ქრონოსკოპ-ი**, ბერძ., პატარა დროის შუალედების გამზომი ხელსაწყო. ზომავს სეკუნდის ერთ მეასედ ნაწილამდე. იხმარება ასტრონომიაში, ფსიქოტეხნიკაში, ფიზიოლოგიაში და სხ.

**ქსენოკრატია** (ბერძ. xenos-დან — „უცხოელი" და krateo-დან „ვმართავ"), უცხოელთა გაბატონება.

**ქსენონ-ი**, ბერძ., სასტუმრო. იხ. ლაზარეთი.

**ქსენძ-ი**, პოლ., კათოლიკების მღვდელი.

**ქსილოგრაფია** (ბერძ. xylon-დან „ხე" და grapho-დან „ვწერ"), ხეზე ასოების და ჩუქურთმების ამოჭრის ხელოვნება; აქედან: **ქსილოგრაფ-ი** — ქსილოგრაფიის ოსტატი.

**ქსილოლიტ-ი**, ბერძ., სააღმშენებლო მასალა, შესდგება დაქუცმაცებული ხის, ცემენტის და მაგნიუმის ქლოროვან ნაერთისაგან.

**ქსილომეტრ-ი** (ბერძ. xylon-დან „ხე" და metreo — „ვზომავ"), ხეების მერქნის მოცულობის გასაზომი ხელსაწყო.

**ქტიტორ-ი**, ბერძ., ეკლესიის მნათე.

## ღ

**ღაზავათ-ი**, იხ. გაზავათი.

**ღენერალ-ი**, იხ. გენერალი.

**ღერბ-ი**, გერმ., სახელმწიფოს, წოდების ან გვარეულობის სიმბოლიური ნიშანი.

**ღრამატა** (ბერძ. grammata-დან), სიგელი, ყრილობის განაჩენი.

**ღრამატიკა**, იხ. გრამატიკა.

**ღრაფ-ი**, იხ. გრაფი.

## ყ

**ყაზარმა**, იხ. კაზარმა.

**ყაზახ-ი**, იხ. კაზაკი.

**ყარაბინა**, იხ. კარაბინა.

**ყიზილბაშ-ი**, თურქ.: 1) წითელთავა, — სპარსელების დაცინვითი წოდება ოსმალთა შორის; 2) თაღლითი, ორპირი, გაიძვერა.

**ყიფჩაყები**, მრავლ., ძველად სამხრეთ რუსეთში მცხოვრები ხალხი (პოლოვცები).

**ყირიმი**, შავი ზღვის ნაპირას (სამხრეთ რუსეთში) მდებარე ნახევარკუნძული. განთქმულია თავისი რბილი ჰავით და ტროპიკული მცენარეულობით.

**ყურან-ი** ანუ **კურან-ი**, მუსლიმანთა სარწმუნოების მეტყველო წიგნი არაბულ ენაზე. ქართულად ნათარგმნია პ. მირიანაშვილის მიერ.

## შ

**შაბაშ-ი**, ებრ.-სპარს.: 1) ებრაელთა უქმე დღე — შ ა ბ ა თ ი; 2) საქმის დათავება.

**შაბლონ-ი**, ფრ., ნიმუში, ტრაფარეტი (იხ.), ყველასათვის ცნობილი ფორმა; აქედან: **შაბლონური** — გაცვეთილი, ჩვეულებრივი.

**შაითან-ი**, თათრ., ეშმაკი, ბოროტი სული.

**შამათი**, იხ. შახმატი.

**შამანიზმ-ი**, სანსკრ., უძველესი წარმართული რელიგია. გავრცელებულია ჩრდილო და შუა აზიაში. გამოიხატება კეთილ და ბოროტ სუ-

ლების თაყვანისცემაში მოგვების (შამანების) საშუალებით.

**შამპან-ი** (ფრ. Champagne), ჩრ. საფრანგეთის ერთერთი პროვინცია, განთქმულია საუკეთესო შუშხუნა ღვინით; აქედან: **შამპანიური**— შამპანიაში დამზადებული ღვინო.

**შამპინიონ-ი** (ფრ. champignon-დან), ქამა სოკო. სოკოს ერთგვარი ჯიში. ამოდის ნეხვიან და, საერთოდ, ნოყიერ ნიადაგზე.

**შამპუნ-ი**, ინგლ,. სოდა-ნარევი სურნელოვანი წყალი, იხმარება თავის დასაბანად.

**შანკირ-ი** (ფრ. chancre, ლათ., cancer-დან— „კიბო"), ერთგვარი იარა სასქესო ორგანოზე. არჩევენ რბილ და მაგარ შანკირს. ეს უკანასკნელი სიფილისის პირველდაწყებითი იარაა.

**შანს-ი** (ფრ. chance), გამარჯვების შესაძლებლობა.

**შანსონეტკა** (ფრ. chansonette, რუს. დაბ.), მსუბუქი ჟანრის მომღერალი ქალი.

**შანტაჟ-ი**, ფრ., ფულის დატყუება მუქარის ან სხვა საშუალებით; აქედან: **შანტაჟისტ-ი** — მატყუარა, ფულის დამტყუებელი.

**შარაბან-ი** (ფრ. char à banc), პატარა ეტლი რამდენიმე საჯდომი ადგილით.

**შარადა**, ფრ., ერთგვარი გამოცანა—მარცვლების შეერთებით მთელი წინადადების გაგება.

**შარიათ-ი**, მაჰმადიანთა სასულიერო და სამოქალაქო კანონთა კრებული, დამყარებული ყურანზე.

**შარლატან-ი**, ფრ., მატყუარა.

**შარმანკა**, ფრ.: 1) არღანი, საკრავი ინსტრუმენტი; 2) მსუბუქი ეტლი.

**შარნირ-ი**, მექან., საკისარი, აზარმაცის წვერის სამაგრებელი.

**შარჟ-ი**, ფრ., ამა თუ იმ საგნის ან პიროვნების სასაცილო ფორმით გამოხატვა.

**შარტრეზ-ი**, ფრ., მწვანე ფერის ლიკიორი, რომელსაც ამზადებენ საფრანგეთში. სახელწოდება მიიღო Grande Chartreuse-ს მონასტრისაგან.

**შარფ-ი**, გერმ.: 1) გრძელი აბრეშუმის ქსოვილი ყელზე წამოსადებად; 2) ოქრომკედის ზონარი სამხედრო პირთა მხარზე გადასადებათ.

**შაფერ-ი**, გერმ., ეჯიბი, მეჯვარე, — მეფის ან პატარძლის ტოლამხანაგი ქორწილში.

**შაფრან-ი**, ევროპ.: 1) ზაფრანა, მოყვითალო ფერის მცენარე. იხმარება სამღებროში და ტკბილეულობის შესაფერადებლად; 2) წითელი ვაშლის ჯიში.

**შახ-ი**, იხ. შაჰი.

**შახერმახერ-ი**, ებრ., გაქნილი ვაჭარი, ჩარჩი.

**შახმატ-ი**, ჭადრაკი — ერთგვარი თამაში ოთხკუთხიან დაფაზე. წარმოადგენს ბრძოლას თეთრსა და შავ ფიგურებს შორის, რომელნიც მოძრაობენ დაფაზე განსაზღვრულ მიმართულებით და წესით. თამაში თავდება მეფის დატყვევებით; აქედან: შ ა ჰ მ ა თ ი, ანუ შამათი. ე. ი. მეფე მოკვდა.

**შახტა** (გერმ. schachte-დან): 1) მაღარო, მიწის ქვეშ გაჭრილი თხრილი სხვადასხვა მადნეულობის დასამუშავებლად; 2) დომენის ღუმელის შიგნითა მოწყობილება.

**შაჰ-ი**, სპ., სპარსეთის მეფის ტიტული.

**შაჰმათი**, იხ. შახმატი.

**შაჰ-ნამე**, სპ., „მეფეთა წიგნი, სპარსელ პოეტის ფირდუსის (იხ.) დიდებული ეპიური პოემა, რომელშიაც მოთხრობილია სპარსელ მეფეთა და გმირთა ცხოვრება. მისი ქართული ვერსიები გამოცემულია იუსტ. აბულაძის რედაქციით.

**შედევრ-ი**, ფრ., საუკეთესო, სამაგალითო ხელოვნური ნაწარმოები.

**შეველიურა** (ფრ. chevelure — „თმა"), ქოჩორი, თმის ხელოვნური დაყენება.

**შევრო** (ფრ. chevron), თხის მოქნილი ტყავი, იხმარება ფეხსაცმელის შესაკერად.

**შეილოკ-ი**, შექსპირის დრამის „ვენეციელი ვაჭარი"-ს მთავარი გმირი, გულქვა და ჩარჩი ადამიანის განსახიერება.

**შეიხ-ი**, არაბ., არაბთა თემის უფროსი.

**შეიხ-ულ-ისლამ-ი**, უმაღლესი სასულიერო პირი ოსმალეთში.

**შერიფ-ი** (არაბ. წმიდა, კეთილშობილი): 1) მაჰმადის შთამომავალთა სახელწოდება; 2) მთავარი მოსამართლე ინგლისის საგრაფოებში.

**შეფ-ი** (ფრ. chef-დან), სამხედრო ნაწილის უფროსის სახელწოდება საფრანგეთში.

**შეფენები**, მრავლ., გერმ., ნაფიც მსაჯულთა სახელწოდება გერმანიაში.

**შექსპირ-ი**, ვილიამ ანუ უილიამ (Shakespeare, William — 1576 — 1612), სახელგანთქმული ინგლისელი პოეტი, დრამატურგი, მრავალრიცხოვან დრამების ავტორი. მათ შორის შესანიშნავია: „ჰამლეტი", „მაკბეტი", „იულიუს კეისარი", „ოტელო", „მეფე ლირი" და სხ. თარგმნილია ქართულად ივ. მაჩაბელის მიერ.

**შვეიცარ-ი**, გერმ., მეკარე, სასტუმროს კარის დარაჯი.

**შივა** ანუ **სივა**, ინდოეთში — ღვთაების ერთ-ერთი სამ პიროვნებათაგანი, გამანადგურებელი ძალის განსახიერება.

**შიიტები**, მრავლ., არაბ., მუსლიმანთა სექტა, უარყოფს ყველა გადმოცემას, გარდა ყურანისა. გავრცელებულია განსაკუთრებით სპარსეთში.

**შილერ-ი**, ფრიდრიხ (Schiller — 1759 — 1805), ცნობილი გერმანელი პოეტი — დრამატურგი, რომანტიულ სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გოეთესთან (იხ.) ერთად ქ. ვეიმარში. დასწერა მრავალი დრამა, მათ შორის აღსანიშნავია „ყაჩაღები" (თარგ. ქართ. ნ. ავალიშვილის მიერ), „დონ კარლოსი", „ვილჰელმ ტელი" (თარგმნ. ქართ. ს. შანშიაშვილის მიერ) და სხ. შილერი ცნობილია აგრეთვე როგორც დიდებული ლირიკოსი.

**შილინგ-ი**, ინგლისური ვერცხლის და სპილენძის ფული,=დაახლ. 46 კაპ.

**შილიონ-ის ციხე**, შვეიცარიაში ჟენევის ტბასთან — ძველად პოლიტიკურ დამნაშავეთა საპყრობილე.

**შიმპანზე**, ადამიანის მსგავს მაიმუნთა ჯიში, ცხოვრობს გვინეის ტბებში და კონგოში.

**შინა**, გერმ., რკინის ან რეზინის რკალი ეტლის თვლის გარშემო.

**შირმა**, გერმ., მოძრავი ტიხრი ოთახის გასაყოფად. წარმოადგენს დასაკეც ჩარჩოს, რომელზედაც გადაჭიმულია ტილო.

**შიფრ-ი**, (არაბ. sifr-დან „ციფრი"), პირობითი ნიშანი სხვადასხვა საიდუმლო ამბის გადასაცემად. იხმარება დიპლომატიურ მიწერმოწერასა და სამხედრო საქმეებში.

**შკალა**, იგივე სკალა, იტ.: 1) მუსიკაში — გამა; 2) ფიზიკურ ხელსაწყოებზე (თერმომეტრი, ბარომეტრი) მიმაგრებული სახაზავი, დაყოფილი გრადუსებად.

**შკუნა**, ინგლ., ხომალდი ორ უკან-გადახრილი ანძით.

**შლეიფ-ი**, გერმ., კაბის გრძელი ბოლო.

**შლიახტა**, პოლ., ძველი თავადაზნაურობა პოლონეთში.

**შლისელბურგ-ის სიმაგრე**, ქ. შლისელბურგის ახლოს აგებული ციხე (რუსეთში). თვითმპყრობელობის დროს პოლიტიკურ დამნაშავეების საპყრობილეს წარმოადგენდა.

**შლიფოვკა** (გერმ. schleifen-დან — „გაშალაშინება", რუს. დაბ.), გაშანდაკება, გაშალაშინება.

**შლიუზ-ი** (გერმ. Schleuse-დან), ჯებირი, წყლის საგუბარი.

**შლუპკა** (ინგლ. sloop. რუს. დაბ.), მსუბუქი ხომალდი მოსასმელი ნიჩბებით.

**შოვინიზმ-ი**, ფრ., გადაჭარბებული პატრიოტიზმი, უკიდურესი ნაციონალიზმი; აქედან: **შოვინისტ-ი** — უკიდურესი ნაციონალისტი, სხვა ერისადმი მტრულად განწყობილი; **შოვინისტური** — ვიწრო პატრიოტული, უაღრესად ნაციონალისტური.

**შოსე** (ფრ. chaussée), გზატკეცილი.

**შოფერ-ი**, ფრ., ავტომობილის მესაჭე.

**შპაგა** (ბერძ. spathe-დან „მახვილი"), დაშნა გრძელი და წვრილი, ორივე მხრით გალესილი.

**შპალერა**, გერმ.: 1) მწკრივი (მაგ., ჯარის კაცების აღლუმის დროს); 2) თანაბრად გადაკაფული ხეების მწკრივი; 3) კედელზე გასაკრავი ფერად-ყვავილებიანი ანუ ვარაყიანი ქაღალდი.

**შპატ-ი** (გერმ. spath-დან): 1) სილიკატების ჯიშის მინერალთა საერთო სახელწოდება; 2) ცხენების ავადმყოფობა, უკანა ფეხების სახსრების დაკორძება.

**შპატელ-ი** (ლათ. spatula — „ნიჩაბი"), ძვლის ან ხის პატარა ნიჩაბი. იხმარება საღებავების ასარევად, ან და აფთიაქებში — მალამოს წასაცხებად.

**შპაცები**, მრავლ., (ლათ. Spatia-დან „შუალედი"). სტამბაში — ლითონის თხელი სოლები სიტყვების შორის ცალიერ ადგილების ამოსავსებად ან ხაზგასმულ პწკართა დასაყოფად.

**შპიონ-ი** (იტ. spione, ფრ. espion); ჯაშუში, მზვერავი.

**შპიცრუტენ-ი** (გერმ. Spitze-დან „წვეტი" და Ruthe-დან — „სარი, სვეტი"): 1) წკეპლა; 2) დალტურსმული მათრახი, რომლითაც პეტრე დიდის დროს რუსეთში სჯიდენ სხვადასხვა დამნაშავეებს.

**შპრიც-ი** (გერმ., spitzen-დან — „შეშხაპუნება"), კანქვეშ შესაშხაპუნებელი ხელსაწყო.

**შპონები**, მრავლ., სტამბაში—ლითონის ფირფიტები პწკარების ერთი მეორისაგან დასაშორებლად.

**შრაპნერ-ი** ანუ **შრაპნელ-ი**, ინგლისელ არტილერისტის შრაპნერის მიერ გამოგონილი საარტილერიო ასაფეთქებელი ყუმბარა, რომელიც გატენილია ტყვიებით.

**შრიფტ-ი** (გერმ. schrift — schreiben — „წერა") — სასტამბო ასოები ერთნაირი ზომის და ფორმატის.

**შტაბ-ი** (გერმ. Stab), ჯარის სამართველო ანუ ბინა, სადაც მოთავსებულია სამართველო.

**შტაბს-კაპიტან-ი**, გერმ.-ლათ., მეოთხე ხარისხის სამხედრო პირი.

**შტალმეისტერ-ი** (გერმ. stall-დან „საჯინიბო" და Meister-დან „უფროსი"), სამეფო კარის მეჯინიბე.

**შტამპ-ი**, გერმ., ლითონზე ან ქაღალდზე ასოების და სხვა ნიშნების (მაგ. ფულის, ვენზელების და სხ.) გამოსაყვანი აპარატი.

**შტანდარტ-ი**, იხ. სტანდარტი.

**შტატები**, მრავლ. (გერმ. staaten), სხვადასხვა ოლქები, რომლებიც შედიან ერთ სახელმწიფოებრივ კავშირში, მაგ., ჩ რ დ.-ა მ ე რ ი კ ი ს შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი შ ტ ა ტ ე ბ ი.

**შტატ-ი**, გერმ.: 1) სამართველო; 2) ამა თუ იმ დაწესებულების მოსამსახურეთა საერთო რიცხვი ანუ დებულება მათი რიცხვის და შრომის ხელფასის შესახებ.

**შტეინახ-ი**, ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ვენის მეცნიერთა აკადემიასთან არსებული ექსპერიმენტალურ ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. 1910 წ. გამოაქვეყნა თავისი პირველი გამოკვლევა სასქესო ჯირკვლების გადანერგვის შესახებ, რომელმაც დიდი სენსაცია გამოიწვია ბიოლოგთა შორის. 1920 წ. გამოაქვეყნა შრომა გაახალგაზრდავების შესახებ.

**შტემპელ-ი** (გერმ. Stämpel). ბეჭედი. დაღი.

**შტირნერ-ი**, მაქს (1806 — 56), გერმანელი ფილოსოფოსი, ანარქისტ-ინდივიდუალისტი. მის თხზულებათაგან შესანიშნავია „მხოლობითი (პიროვნება) და მისი საკუთრება".

**შტრეიკბრეხერები**, მრავლ., გერმ., გაფიცულ მუშათა ორგანიზაციის მთლიანობის დამრღვევი მუშათა ჯგუფები, რომლებიც გაფიცვას თავს ანებებენ და სამუშაოზე მიდიან; აქედან: **შტრეიკბრეხერობა** — გაფიცვის ჩაშლა.

**შტრიხ-ი** (გერმ. Strich), ხაზი.

**შტუნდა**, გერმ., ბაპტიზმის (იხ. ბაპტისტები) მსგავსი სექტა, გავრცელებულია უმთავრესად უკრაინაში; აქედან: **შტუნდისტები** (მრავლ.) — ამ სექტის მიმდევრები.

**შტურმ-ი** (გერმ. Sturm). იერიში. გადამწყვეტი ბრძოლა.

**შტურმან-ი** (ჰოლ. stuur-დან „საჭე" და man-დან „კაცი"), გემის მესაჭე. სავაჭრო ფლოტის კაპიტანის თანაშემწე.

**შულერ-ი** (გერმ. Schüler). მატყუარა ბანქოს თამაშში; საზოგადოთ: გაქნილი, მატყუარა ადამიანი.

**შხერები** (შვედ. skär — „კლდე"). კლდეებით გარშემორტყმული პატარა კუნძულები, გვხვდება განსაკუთრებით შვეციის, ფინლანდიის და ნორვეგიის ნაპირებთან.

# ჩ

**ჩადრი**, თურქ., წამოსასხამი, რომლითაც მაჰმადიანი ქალები პირისახეს იფარავენ.

**ჩაილდ-ჰაროლდ-ი**, ბაირონის (იხ.) თხზულების „ჩაილდ-ჰაროლდ"-ის მთავარი გმირი, სასოწარკვეთილ ადამიანის განსახიერება.

**ჩალმა**, თურქ., აღმოსავლეთ ქვეყნებში — გრძელი თავზე შემოსახვევი სახურველი.

**ჩარდაშ-ი**, ვენგ., ვენგერთა ეროვნული ცეკვა.

**ჩარტიზმ-ი**, პოლიტიკური მოძრაობა ინგლი-

სელ მუშებ შორის 1836 — 1846 წ. მიზნად ისახავდა პოლიტიკურ უფლებების მოპოვებას და ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას.

**ჩეკ-ი**, ინგლ., ბანკიდან ფულის მისაღები ბარათი (ორდერი).

**ჩემოდან-ი**, სპ., ტყავის სამგზავრო ყუთი.

**ჩემპიონ-ი**, ინგ., შეჯიბრში—გამარჯვებული; აქედან: **ჩემპიონატ-ი** — სხვადასხვაგვარ სპორტში შეჯიბრი პირველობაზე.

**ჩინგისხან-ი**, მონღოლთა დიდი იმპერიის დამფუძნებელი (1155 — 1227). გაილაშქრა ჩინეთზე, რუსეთზე და სხ. ქვეყნებზე.

## ც

**ცარიზმ-ი**, პოლ., თვითმპყრობელობა, პოლიტიკური სისტემა, მონარქის განუსაზღვრელ უფლებებზე დაფუძნებული.

**ცეზარ-ი** ანუ **კეისარ-ი**, კაიუს-იულიუს (100 — 44 წ. ქრ. წ.) რომის სახელგანთქმული სარდალი. დაიპყრო ესპანეთი, გალია და სხვ. ქვეყნები. პლებსის (იხ. პლებეი) და ჯარის დახმარებით გამეფდა რომში და გაილაშქრა სენატის წინააღმდეგ; მოკლულ იქნა 44 წ. ქრ. წ. სენატის შენობაში შეთქმულთა მიერ.

**ცეზურა** (ლათ. caesura-caedere-დან „განკვეთა"). ლექსთაწყობაში — შეჩერება, პაუზა, ლექსის დაყოფა ნაწილ-ნაწილად.

**ცეიხჰაუზ-ი** (გერმ. Zeug-დან „იარაღი, ნივთი" და Haus-დან „სახლი"), სამხედრო სურსათსანოვაგის და იარაღის შესანახი შენობა.

**ცელიბატ-ი** (ლათ. coelibatus-coelebs), უცოლობა, კათოლიკურ სამღვდელოების უცოლოდ ცხოვრება.

**ცელულოზა** (ლათ. cella — „უჯრედი"): 1) მცენარის უჯრედოვან გარსების მთავარი შემადგენელი ნაწილი; 2) ქსოვილისებური ნივთიერება, რომელიც მიიღება ხეების მერქანის და ბამბის გადამუშავებისაგან.

**ცელულოიდ-ი**, ლათ., აზოტურ სიმჟავით დამზადებული უჯრედი. გამჭვირვალე, მაგარი და მოქნილი ნივთიერება. იხმარება სავარცხლების, სახაზავ სამკუთხედების და სხ. გასაკეთებლად ძვლის მაგიერ.

**ცელს-ი**, შვედელი ასტრონომი და ფიზიკოსი (1701 — 44). ამ სახელითვე იწოდება თერმომეტრი (ცელს-ის თერმომეტრ-ი), რომელიც დაყოფილია 100 გრადუსად.

**ცემენტ-ი** (ლათ. caementum), დუღაბი, განსაკუთრებით დამზადებული კირი. იხმარება საშენებლო მასალად.

**ცენზ-ი** (ლათ. census-censere — „დაფასება"), მოქალაქეთა ქონების შეფასება და ამის მიხედვით სხვადასხვა უფლების მინიჭება. ცენზი შეიძლება იყოს ქონებრივი, განათლების, ჩამომავლობითი და სხ.

**ცენზურა** (ლათ. censere-დან — „გასინჯვა, განხილვა"), მთავრობის დაწესებულება, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ბეჭდვითი სიტყვას ანუ პრესას; აქედან: **ცენზორ-ი** — ბეჭდვითი სიტყვის მეთვალყურე.

**ცენტავრები**, მრავლ., იხ. კენტავრები.

**ცენტნერ-ი** (ლათ. centum-დან — „ასი"): 1) გერმანიაში — წონის ერთეული=50 კილოგრამს; 3) ინგლისში — 3 ფ. და 3 გირვ.

**ცენტრ-ი** (ლათ. centrum — „შუა ადგილი"): 1) მათემატიკაში — წერტილი, რომელიც თანაბარ მანძილით არის დაშორებული წრე-წირისაგან; 2) პარლამენტში—პოლიტიკური პარტია, რომელსაც შუა ადგილი უჭირავს მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებ შორის; აქედან: **ცენტრალური** — ა) ცენტრში მოთავსებული; ბ) გადატ. მნიშვნ.: მთავარი.

**ცენტრალიზაცია** (ლათ. centralisatio), ერთ ადგილას შეჯგუფება, თავყრილობა; აქედან: **ცენტრალისტ-ი** — ცენტრის გაძლიერ. მომხრე.

**ცენტროფუგა**. ტექნ., ერთგვარი აპარატი, რომელიც ცენტროსირბოლი ძალის საშუალებით აშორებს ერთმანეთს თხიერ და მაგარ ნივთიერებას.

**ცენტუმვირები** (ლათ. centumvir), ძველად რომში — ასეული, რომელიც არჩევდა მფლობელობის, მემკვიდრეობის და სხ. სამოქალაქო საქმეებს.

**ცენტურია** (ლათ. centurio), რომაელ ხალხის ასეულებად დაყოფა; აქედან: **ცენტურიონ-ი** — ასის თავი.

ცეპელინ-ი, საჰაერო ხომალდი, სახელწოდება მიიღო მის გამომგონ გერმანელ გრაფ ც ე პ ე ლ ი ნ-საგან.

ცერბერ-ი (ლათ. Cerberus), ბერძნულ მითოლოგიაში: სამ-თავიანი ძაღლი, ქვესკნელის დარაჯი; გადატ. მნიშვნ.: ერთგული დარაჯი.

ცერებრალ-ი (ლათ. cerebrum), ტვინი, ტვინისებური.

ცერემონია (ლათ. caeremonia-დან „ადათი“), საზეიმო წესრიგი ანუ ჩვეულება.

ცერემონიალ-ი, ლათ., საზეიმო სვლის ანუ მოქმედების წესი.

ცერემონმეისტერ-ი, ლათ.-გერმ., სამეფო კარის მოხელე, სადღესასწაულო ზეიმის მომწესრიგებელი.

ცერერა (ლათ. Cere), ძვ. რომში — მიწათმოქმედების მფარველი ქალღმერთი.

ცეხ-ი (გერმ. Zeche) საშ. საუკ. ამქარი, ამა თუ იმ დარგის ხელოსნების საზოგადოება თავის განსაზღვრული წესებით და ადათებით.

ცვინგლ-ი, ულრიხ (1484 — 1531), შვეიცარიელი რეფორმატორი, რომელმაც კალვინთან (იხ.) ერთად დაარსა რეფორმისტული ეკლესია. დაიღუპა კათოლიკურ კანტონებთან ბრძოლაში; აქედან: ცვინგლიანიზმ-ი — ცვინგლის მოძღვრება.

ციან-ი (ბერძ. Kyanos-დან „ცისფერი“), წყალბადის და აზოტის შეერთება. ძლიერი შხამია. იხმარება ფოტოგრაფიაში.

ცივილიზაცია (ლათ. civilis-დან — „სამოქალაქო“), კაცობრიობის განვითარების მაღალი საფეხური, რომელიც გამოიხატება სოციალ-პოლიტიკურ, ტეხნიკურ და მორალურ წინმსვლელობაში. იხ. პროგრესი.

ცივილისტ-ი (ლათ. civilis-დან), სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი.

ციკლ-ი (ბერძ. kyklos-დან „წრე“), ამა თუ იმ მოვლენის (მაგ. ასტრონომიაში) პერიოდული განმეორება.

ციკლონ-ი, გეოგრ., გრიგალი, ძლიერი ქარი.

ციკლოპ-ი (ბერძ. kyklos—„წრე“ და ops—„თვალი“), ბერძნულ მითოლოგიაში — ცალთვალა უზარმაზარი დევ-გმირი.

ცილინდრ-ი (ლათ. Cylindrus): 1) გეომეტრიაში — გეომეტრიული სხეული ორი წრისებრი ფუძით და მრუდი წახნაგით; 2) ორთქლის მანქანის მთავარი ნაწილი, რომელშიც მოძრაობს დგუში ორთქლის საშუალებით; 3) მამაკაცთა ქუდი, ცილინდრის მოყვანილობისა.

ციმბალები, მუსიკ., ერთგვარი სიმებიანი ინსტრუმენტი. უკრავენ ჯოხებით.

ციმერვალდ-ის კონფერენცია — შვეიცარიის დაბა ციმერვალდში 1915 წ. სექტ. 9 — 11 იტალიის სოციალისტების ინიციატივით მოწვეული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, რუსეთის და სხ. სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელნი. კონფერენციამ დაგმო საერთაშორისო ომი და მოუწოდა მთელი ქვეყნის მუშებს გაილაშქრათ მის წინააღმდეგ.

ცინიზმ-ი (ბერძ. kynismos-kyon-kynos-დან — „ძაღლი“): 1) უსირცხვილობა, ლირფობა; 2) ცინიკთა მოძღვრება. იხ. ცინიკები.

ცინიკები, მრავლ., ძვ. საბერძნეთში—380 წ. ქრ. წ. ანტისფენის მიერ დაარსებულ ფილოსოფიურ სკოლის მიმდევარნი, რომელნიც ბედნიერებას ფუფუნების და ყოველდღიურ სიამის უარყოფაში ხედავდენ. მიზნად ისახავდენ განმარტოებულ და სადა ცხოვრებას. ცინიკებში გამოჩენილი იყო ფილოსოფოსი დიოგენი (იხ.); თანამედროვე მნიშვნელობით: ცინიკი ნიშნავს უსირცხვილო, უზრდელ და ბილწ ადამიანს.

ცინკ-ი (გერმ. Zink), თუთია, — რუხი ფერის ლითონი.

ცინკოგრაფია, გერმ.-ბერძ., თუთიის ფირფიტებზე ქიმიურ საშუალებით სურათების ბეჭდვა.

ცინცინატ-ი, გამოჩენილი რომაელი სარდალი, რომელმაც სამშობლო იხსნა ეკვების თავდასხმისაგან. ცნობილი იყო სიღარიბით, პატიოსნებით და ერთგულებით კანონებისადმი.

ცირკ-ი (ბერძ. Kyrkos-დან „წრე“): 1) ძველად რომში — საჯიროთო მოედანი, სადაც სწარმოებდა სხვადასხვა ხასიათის შეჯიბრი, მაგ. გლადიატორთა ბრძოლა, ველურ მხეცებთან შებმა და სხ.; 2) ამჟამად — თეატრალური დაწესებულება, სადაც სწარმოებს ცხენების ჯირითი, კლოუნთა თამაში და სხ.

ცირკულარ-ი (ახ. ლათ. circulare-circularis-დან — „წრე“), უფროსის მიერ ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებათათვის დაგზავნილი

წერილობითი ბრძანება; აქედან: ცირკულარული — ბრძანებითი, ყველასათვის სავალდებულო.

ცირკულაცია (ლათ. circulatio, circulus-დან — „წრე"). მიმოქცევა, წრისებრი მოძრაობა; აქედან: სისხლის ცირკულაცია — სისხლის მიმოქცევა.

ცირკულ-ი (ლათ. circus — „წრე"), ფარგალი. — მათემატიკური იარაღი წრის შემოსახაზად.

ცირცეა, ბერძ.-ლათ., ბერძენთა მითოლოგიაში — ჯადოქარი, კუნძულ ეას დედოფალი, რომელმაც შეიყვარა ოდისევსი და მისი თანამგზავრნი გადააქცია ღორებად.

ცისტერნა (ლათ. cisterna): 1) დაცემენტებული აუზი წყლის შესანახად; 2) ნავთის გადასაზიდი ცილინდრისებრი ლითონის ქვაბი.

ციტადელ-ი (იტ.-ფრ. citadelle), ციხის შიგნითა სიმაგრე. — უკანასკნელი თავდასაცავი ადგილი.

ციტატა (ლათ. citatum-citare), ამა თუ იმ ნაწარმოებიდან ამონაწერი ადგილი, სიტყვასიტყვით.

ციტოლოგია, ბერძ., მოძღვრება უჯრედის შესახებ.

ციტრა, იტ., ლითონის სიმებიანი საკრავი, გიტარის მსგავსი.

ციფერბლატ-ი (გერმ. Ziffer — „რიცხვი" და Blatt — „ფურცელი"), საათის დაფა, რომელზედაც ციფრებით აღნიშნულია საათები, წუთები და წამები.

ციფრ-ი, არაბ., რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი.

ციცერონ-ი, მარკ ტულიუსი (106 — 43 წ. ქრ. წ.), ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, დიდებული ორატორი და მწერალი. რესპუბლიკანურ წესწყობილების მომხრე. იბრძოდა ანტონიუსის წინააღმდეგ, რისთვისაც გაძევებულ და მოკლულ იქნა.

ცოლფერეინ-ი (გერმ. Zolle-დან „საბაჟო" და Verein-დან — „კავშირი"), გერმანულ სახელმწიფოების საბაჟო კავშირი.

ცუკატ-ი, პოლ., დაშაქრული ხილეული.

## ძ

ძევს-ი, იხ. ზევსი.

ძოო, იხ. ზოო.

## ჯ

ჯაზ-ბანდ-ი, ზანგების ცეკვა და მუსიკა. გავრცელებულია ევროპაში.

ჯენტლმენ-ი (ინგლ. Gentleman), ზრდილობიანი მამაკაცი.

ჯენტრ-ი (ინგლ. Gentry), ინგლისში — წვრილი აზნაურობა, ინტელიგენტთა კლასი, კეთილშობილება.

ჯინგო, ინგლ., უკიდურესი და მეომარ გუნებაზე განწყობილი პატრიოტის სახელწოდება ინგლისსა და ამერიკაში; აქედან: ჯინგოიზმ-ი — იგივე შ ო ვ ი ნ ი ზ მ-ი (იხ.).

ჯიოკონდა, გამოჩენილ იტალიელ მხატვრის ლეონარდო-და-ვინჩის (1452 — 1519) სურათი მომღიმარი ქალის. ინახება ლუვრის მუზეუმში (საფრანგეთი).

## ხ

ხალვა ანუ უკეთ ჰალვა, ბერძ., ერთგვარი ტკბილეული — თაფლში გალესილი ნიგოზი.

ხალიფატ-ი, იხ. ქალიფატი.

ხალიფ-ი, იხ. ქალიფი.

ხამელეონ-ი, იხ. ქამელეონი.

ხან-ი, თურქ., თათართა და მონღოლთა მეფის ტიტული.

ხანუმ-ი, სპ., სპარსეთში — მთავრის ცოლი; ქალბატონი.

ხაოხ-ი, იხ. ქაოსი.

**ხარაკირ-ი,** იხ. ქარაკირი.

**ხარაკტერ-ი,** იხ. ქარაქტერი.

**ხარტია,** იხ. ქარტია.

**ხილიაზმ-ი,** იხ. ჰილიაზმი.

**ხიმერა,** იხ. ქიმერა.

**ხიმია,** იხ. ქიმია.

**ხირურგია,** იხ. ქირურგია.

**ხირომანტია,** იხ. ქირომანტია.

**ხლოროფილ-ი,** იხ. ქლოროფილი.

**ხორეა,** იხ. ქორეა.

**ხორეოგრაფია,** იხ. ქორეოგრაფია.

**ხრესტომატია,** იხ. ქრესტომატია.

**ხრომატიზმ-ი,** იხ. ქრომატიზმი.

**ხრონოლოგია,** იხ. ქრონოლოგია.

**ხრონოს-ი,** იხ. ქრონოსი.

## ჰ

**ჰააგა,** ჰოლანდიის (ნიდერლანდიის) სატახტო ქალაქი. **ჰააგის სამშვიდობო კონფერენცია**—მოწვეული იყო 1899 წ. საერთაშორისო მშვიდობიანობის მიზნით. ომის თავიდან ასაცილებლად, ევროპის სახელმწიფოების მიერ დაარსებულ იქნა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ა ა რ ბ ი ტ რ ა ჟ ო ტ რ ი ბ უ ნ ა ლ ი.

**ჰაბეას-კორპუს-ი** (ლათ. Habeas corpus-დან), 1679 წ. ინგლისში გამოცემული კანონი, რომლის თანახმად ყოველი დაპატიმრებული დაკითხულ უნდა იქნეს 24 საათის განმავლობაში და განთავისუფლებული თავდებობის ქვეშ.

**ჰაბსბურგები,** მრავლ., გერმანია-ავსტრიის მეფეთა დინასტია. მეფობდა 1273—1918 წ., ე. ი. ავსტრო-ჰუნგრეთის დაშლამდე ცალ-ცალკე რესპუბლიკებად საერთაშორისო ომის შემდეგ.

**ჰაგიოგრაფია** (ბერძ. hagios—„წმიდა", grapho—„ვწერ"). წმიდათა ცხოვრების აღწერა.

**ჰადეს-ი,**—: 1) ბერძნულ მითოლოგიაში—ქვესკნელის ღმერთი. შეესაბამება რომაელთა პლუტონს: 2) ქვესკნელთა სამეფო—ჯოჯოხეთი.

**ჰაეროდინამიკა,** იხ. აეროდინამიკა.

**ჰაეროდრომ-ი,** იხ. აეროდრომი.

**ჰაეროლითები,** იხ. აეროლითები.

**ჰაეროლოგია,** იხ. აეროლოგია.

**ჰაერონავტიკა,** იხ. აერონავტიკა.

**ჰაეროპლან-ი,** იხ. აეროპლანი.

**ჰაერობლან-ი,** იხ. აეროპლანი.

**ჰაეროსტატიკა,** იხ. აეროსტატიკა.

**ჰაეროფონ-ი,** ბერძ., ედისონის მიერ გამოგონილი ხელსაწყო ადამიანის ხმის 6—7 ვერსის მანძილზე გადასაცემად.

**ჰავან-ი** (გერმ. Hafen), ზღვის უბე, გემების თავშესაფარი ადგილი ქარიშხალის და ღელვის დროს.

**ჰავას-ის სააგენტო** (agence Havas), 1830 წ. პარიზში ჰავასის მიერ დაარსებული სატელეგრაფო საზოგადოება საერთაშორისო ამბების ჩასაწერ-გადასაცემად.

**ჰაიდ-პარკ-ი,** ინგლ., დიდი სასეირნო და სამიტინგო ბაღი ლონდონში.

**ჰაიდამაკ-ი,** იხ. გაიდამაკი.

**ჰაიდუკ-ი,** იხ. გაიდუკი.

**ჰაკ,** ინგლ., რკინის კავები გემზე ძელების გასამართავად.

**ჰალენ-ი,** კლავდიუსი (131—200) ცნობილი რომაელი მკურნალი. აქვს დაწერილი მრავალი ტრაქტატი მედიცინაში. მე-18-ე საუკუნემდე სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით.

**ჰალვა,** იხ. ხალვა.

**ჰალსტუხი** (გერმ. Halstuch). საყელო; ყელზე მოსახვევი ქსოვილი.

**ჰალუცინაცია** (ლათ. Halucinatio). ბოდვა, მოლანდება, მცდარი გრძნობა, რომლის ობიექტი ანუ გამომწვევი მიზეზი სინამდვილეში არ არსებობს. (იხ. ილუზია).

**ჰამლეტ-ი,** შექსპირის ტრაგედიის „ჰამლეტ"-ის მთავარი გმირი, დანიის პრინცი—ინტელიგენტი, კეთილშობილ, მერყევ და უნებისყოფო ტიპის განსახიერება.

**ჰამილტონ-ი,** ვილიამ (Hamilton. 1788—1858), შოტლანდიელი ფილოსოფოსი. „ბუნებრივ რეალიზმი"-ს ავტორი.

**ჰამსუნ-ი,** კნუტ (დაიბ. 1866 წ.), ცნობილი ნორვეგიელი მწერალი — ბელეტრისტი. მის ნაწარმოებში შესანიშნავია „პან“, „მისტერიები“ და სხ.

**ჰანზა** (ძვ. გერმ. Hansa — „კავშირი“), ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქთა სავაჭრო ხელშეკრულობა საშუალო საუკუნეებში (1241 წ.) მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობის საწარმოებლად.

**ჰანიბალ-ი,** სახელგანთქმული კართაგენელი სარდალი (247 — 183 წ. ქრ. წ.), დაიპყრო ესპანეთი, გადალახა ალპის მთები და გაილაშქრა იტალიაზე. დამარცხებულ იქნა რომაელ სარდალ სციპიონ აფრიკანელის მიერ; აქედან: **ჰანიბალ-ის** ფიცი — ჰანიბალის მიერ დადებული ალთქმა რომთან შეურიგებელ ბრძოლის შესახებ; გად. მნიშვნ.: შურისძიების და შეურიგებელ ბრძოლის ფიცი.

**ჰარმონია** (ბერძ.: Harmonia-harmozo — „მოწესრიგება“), მუსიკაში — კეთილხმოვანება, რამოდენიმე ტონის შეერთება ერთ აკორდში; საზოგადოთ — თანხმობა, შეწყობა; აქედან: **ჰარმონიზაცია** — შეწყობა; **ჰარმონიული** — კეთილხმოვანი, შეწყობილი.

**ჰარპუნ-ი** (ინგლ. harpoon — „ჩანგალი“), მახვილი, ლახვარი, ვეშაპებსა და ზღვის ცხოველებზე სანადირო ჩანგალი.

**ჰაუბიც-ი** (გერმ. Haubitze, სამხ.), ერთგვარი ფორმის ზარბაზანი, მოკლე და განიერ ლულიანი.

**ჰაუპტვახტ-ი** (გერმ. Haupt — „მთავარი“ და Wache — „დარაჯი“): 1) სამხედრო პირთა საპატიმრო; საყარაულო.

**ჰაუპტმან-ი,** ჰერჰარტ (დაიბ. 1862 წ.), გერმანელი დრამატურგი. მის ნაწარმოებში შესანიშნავია „ფეიქრები“, „დაძირული ზარი“, „ჰანელე“ და სხ. (ნათარგმნია ქართულად ივ. ახალშენიშვილის-მიერ და სხვათაგან).

**ჰაფიზ-ი,** არაბ.: 1) სახელგანთქმული სპარსელი პოეტი მე-14-ე საუკ.; 2) ყურანის ამხსნელ-განმმარტებელი.

**ჰაშიშ-ი,** არაბ., ხაშხაშის. ფურცლებისაგან გაკეთებული ცომი, მათრობელი და გამაბრუებელი თვისებისა.

**ჰაჯი,** არაბ., მექაში მყოფ მაჰმადიანის სახელწოდება.

**ჰება** (ბერძ. hebe), ბერძნულ მითოლოგიაში — სიჭაბუკის ქალღმერთი.

**ჰეგელ-ი,** გეორგ-ვილჰელმ-ფრიდრიხ (1770 — 1831), გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტურ ფილოსოფიის დამაარსებელი. ჰეგელის აზრით, მთელი სამყარო და კაცობრიობა აბსოლუტურ იდეის განხორციელებას წარმოადგენს. ეს განხორციელება სწარმოებს დიალექტიურ განვითარების საშუალებით. ყოველი მოვლენა თავდაპირველად დადებით ცნებას წარმოადგენს (თეზისი), შემდეგ იგი უარყოფს თავის თავს (ანტითეზა) და ბოლოს გადადის სინთეზში. აქედან წარმოსდგება ბუნების მარადიული განვითარება და კაცობრიობის შეუჩერებელი წინსვლა ანუ პროგრესი; აქედან: **ჰეგელიანიზმ-ი** — ჰეგელის ფილოსოფიური მოძღვრება.

**ჰეგემონია** (ბერძ. hegemonia, hegeomai-დან), წინამძღოლობა, პირველობა.

**ჰედონიზმ-ი** (ბერძ. hedone — „სიამოვნება, მხიარულება“), ბერძენ ფილოსოფოსის არისტიპის (435 — 360 წ. ქრ. წ.) მოძღვრება, რომელიც ცხოვრების მიზნად სიამოვნებასა და მხიარულებას სახავდა.

**ჰეიზერ-ი** (გერმ. heiss-დან — „ცხელი“), მიწიდან ამონახეთქი ცხელი შადრევანი—ისლანდიას, ახალ ზელანდიასა და ჩრდილო ამერიკაში.

**ჰეინე,** ჰენრიხ (Heyne, 1797 — 1856), გამოჩენილი გერმანელი პოეტი, ტომით ებრაელი, უდიდესი ლირიკოსი და სატირიკოსი. ლირიკულ ლექსებს გარდა ჰეინე სწერდა აგრეთვე პროზით სხვადასხვა პოლიტიკურ ხასიათის წერილებს, სადაც იგი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა თანამედროვე ცხოვრებას.

**ჰეკატა,** ბერძ., ბერძნულ მითოლოგიაში — თავდაპირველად — მთვარის ქალღმერთი, შემდეგ — ჯადოსნობის და საიდუმლოების სიმბოლო.

**ჰეკატომბა** (ბერძ. hekaton — „ასი“ და bus „ხარი“): 1) ძველად საბერძნეთში — საჯარო მსხვერპლშეწირვა ასი ხარის დაკვლით; 2) საზოგადოთ — საზეიმო მსხვერპლის შეწირვა.

**ჰეკელ-ი,** ერნესტ (1834 — 1919), გამოჩენილი გერმანელი ბიოლოგი და ზოოლოგი, ეგრედწოდებულ ბიოგენეტიურ კანონის (იხ.) ავტო-

რი. მის ნაწერებში შესანიშნავია „მსოფლიო ამოცანები" (Welträtseln) და სხ.

**ჰეკუბა**, ტროადის მეფის პრიამის ცოლი, ჰექტორის და პარისის დედა.

**ჰელესპონტ-ი** (ბერძ. Hellespontos), დარდანელის სრუტის ძველებური სახელწოდება.

**ჰელვეციუს-ი**, კლოდ-ადრიანი (Helvetius, 1715—71), ფრანგი ფილოსოფოსი—მატერიალისტი, სენსუალისტურ სკოლის (იხ.) წარმომადგენელი.

**ჰელეა**, ბერძ., ძველ ათინაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; აქედან: **ჰელესტები** (მრავლ.) — ჰელეას წევრები.

**ჰელიოგრაფია** (ბერძ. helios — „მზე" და grapho — „ვწერ"), — ასტრონომიის ნაწილი— მზის აღწერა.

**ჰელიომეტრ-ი** (ბერძ. helios — „მზე" და metrein — „ზომვა"), მზისა და მთვარის დიამეტრების საზომი ხელსაწყო.

**ჰელიოს-ი**, ბერძ.: 1) მზე; 2) ძველად საბერძნეთში — მზის ღმერთი.

**ჰელიოსკოპ-ი** (ბერძ. helios — „მზე" და skopeo — „ვჭვრეტ"), ასტრონომიაში — მზის საჭვრეტი ხელსაწყო ფერადი შუშებით, საიდანაც შეიძლება მზეზე ლაქების შემჩნევა და დაკვირვება.

**ჰელიოტროპ-ი**, (ბერძ. helios — „მზე", trope — „ბრუნვა"): 1) ერთგვარი მცენარე — წვრილ ფოთლებიანი და თეთრი სუნელოვანი ყვავილებით; 2) მომწვანო ფერის მინერალი წითელი ლაქებით. ხმარობენ ბეჭდებად.

**ჰელიოტროპიზმ-ი** (ბერძ. helios „მზე" და trope — „მობრუნება"), ზოგიერთ მცენარეთა თვისება მზის მიმართ პირის მიბრუნების და ზურგის შექცევისა.

**ჰელიოქრომია**, ბერძ., ფერადი ფოტოგრაფიული სურათების დამზადება.

**ჰელმჰოლც-ი**, გერმან ლუდვიგ (Helmholtz 1821 — 95), ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი და ფიზიოლოგი, რომელმაც დაამტკიცა ენერგიის დაცულობის კანონი.

**ჰელოტები** (ბერძ. eilos). ძველად სპარტაში — მონები, რომელნიც წამოყვანილი იყვნენ ქ. ილოსიდან; გადატ. მნიშვნ.: უფლება-აყრილი მოქალაქე.

**ჰემოგლობინ-ი**, სისხლის წითელ ბურთულებში არსებული სამღებრო ნივთიერება—დიდი მნიშვნელობა აქვს სუნთქვის ფიზიოლოგიაში. ადვილად ითვისებს მჟავბადს ჰაერიდან და გადასცემს მას ქსოვილებს.

**ჰემოროი** (ბერძ. haimorroia)—სისხლის დენა, უკანა ტანისა და სწორე ნაწლავის ვენების დაავადება (გაგანიერება).

**ჰეპატოგრაფია**, ბერძ., ღვიძლის აღწერა.

**ჰეპტარქია**, ბერძ., შვიდი კაცისაგან შემდგარი მართველობა.

**ჰერა**, (ბერძ. Hera). ზევსის მეუღლე. ღმერთების დედოფალი.

**ჰერაკლ-ი**, იხ. ჰერკულესი.

**ჰერაკლიტ-ი** (500 წ. ქრ. წ.), ბერძენი ფილოსოფოსი ეფესიდან. მისი მოძღვრებით სამყარო ნივთიერ ელემენტების მუდმივ ცვალებადობას წარმოადგენს. ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება. ქვეყნიერების საფუძველი ცეცხლია. მთელი სამყარო ამ ცეცხლის მარადიული მოძრაობაა.

**ჰერალდიკა** (ლათ. heraldus, გერმ. Herold), მეცნიერება ღერბების შედგენის და ახსნის შესახებ.

**ჰერბარიუმ-ი** (ლათ. herba-დან „ბალახი"), გამხმარ მცენარეთა კოლექცია; აქედან: **ჰერბარიზაცია** — გამხმარ ბალახების მოგროვება საკოლექციოდ.

**ჰერკულეს-ი**, ბერძ. მითოლოგიაში — ნახევრად ღმერთი და დიდი ძალის მქონე; გად. მნიშვნ.: ფიზიკურად ძლიერი ადამიანის ზოგადი სახელწოდება.

**ჰერმანდად-ი** (ლათ. hermanus-დან „ძმა"), ქალაქთა კავშირი ესპანეთში მე-13 — 15 ს. თავდაცვის მიზნით.

**ჰერმაფროდიტიზმ-ი**, ბერძ., ერთ სქესში ორივე სქესის შეერთება, ორსქესიანობა; აქედან: **ჰერმაფროდიტ-ი** — ორივე სქესის ორგანოთა მქონე ადამიანი.

**ჰერმენევტიკა** (ბერძ. hermeneuo-დან — „ახსნა, გადათარგმნა"), მეცნიერება სხვადასხვა ტექსტების და საღვთო სჯულის ახსნა-განმარტების შესახებ.

**ჰერმეს-ი** (ბერძ. Hermes), ბერძნულ მითოლოგიაში — იგივე მერკური. გაიძვერობის, ვაჭრობის და სიზმრის ღმერთი.

ჰერმეტიკა, ბერძ., იგივე ალქიმია (იხ.).

ჰერმეტული, ბერძ.: 1) ჰერმეტიკის შესახები; 2) მჭიდროთ დახურული, დაცული, რომ ჰაერი ვერ შევიდეს.

ჰერნიოლოგია, ბერძ., მედიც., მეცნიერების დარგი თიაქრის შესახებ.

ჰეროლდ-ი, ძვ. გერმ.: 1) ძველად—მთავრობის ან მეფის გადაწყვეტილებათა (ომის, ზავის ან სხ.) მაუწყებელი; 2) საშუალო საუკ. — რაინდთა შეჯიბრში გამარჯვებულთა სახელის საჯაროდ მაუწყებელი; 3) ამჟამად — მთავრობის სახელით ამა თუ იმ დიდი ამბის საჯაროდ მაუწყებელი.

ჰეროდოტე (Herodotos, დაახლ. 485 — 425 წ. ქრ. წ.), სახელგანთქმული ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამად" წოდებული. შემოიარა მრავალი ქვეყანა, დასწერა ისტორიული და გეოგრაფიული გამოკვლევანი სხვადასხვა ქვეყნების შესახებ, სხვათა შორის საქართველოზედაც.

ჰეროსტრატ-ი, საკ. სახ., ეფესელი ბერძენი, რომელმაც დასწვა ცნობილი დიანა ეფესელის ტაძარი საისტორიო სახელის მოსახვეჭად.

ჰერცოგ-ი (გერმ. Herzog): 1) გერმანიაში— დამოუკიდებელ სამთავროს უფროსი; 2) საფრანგეთს, ინგლისს, იტალიასა და ესპანეთში— აზნაურობის ტიტული.

ჰესპერიდები, მრავლ., ბერძ. მითოლოგიაში — ატლანტის და ჰესპერიდის ქალიშვილები. ცხოვრობდენ კუნძულ გორგონზე ოქროს ვაშლოვან ბაღში, რომელსაც სდარაჯობდა ასთავიანი დრაკონი.

ჰეტერა (ბერძ. hetaira), ძველად საბერძნეთში — გამრთობი კურტიზანი ქალი, სხეულით მოვაჭრე.

ჰეტერია, ბერძ., 1814 წ. დაარსებული საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საბერძნეთის განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან.

ჰეტეროგენეზის-ი ანუ ჰეტეროგენია, ბერძ.: 1) ცხოველთა სასქესო ორგანოების მორიგეობითი ცვლა (იხ. პარტენოგენეზისი); 2) ცოცხალ ორგანიზმის თვითჩასახვა; აქედან: ჰეტეროგენური — ჰეტეროგენიის შესახები, სხვადასხვაგვარი.

ჰეტმან-ი, პოლ.: 1) ძველად პოლონეთში — ჯარების უფროსი და სამხედრო მინისტრი; 2) უკრაინელ ყაზახთა წინამძღოლი.

ჰეფესტ-ი, ბერძ.: 1) ვულკანი; 2) ცეცხლის და ლითონის ნაწარმოების ღმერთი.

ჰექსამეტრ-ი (ბერძ. hexametron), ექვს-ტაეპიანი ლექსი. ჰექსამეტრით დაწერილია ჰომიროსის „ილიადა" და „ოდისეა".

ჰექსლ-ი, ტომას ჰენრი (1825 — 95), გამოჩენილი ინგლისელი ბიოლოგი და ზოოლოგი, დარვინის (იხ. დარვინიზმი) თანამშრომელი და მისი იდეების პოპულარიზატორი.

ჰექტარ-ი, ბერძ., ფრანგული მიწის საზომი ერთეული. უდრის დაახლოებით ორ დღიურს (2197 კვ. საჟ.).

ჰექტოგრაფ-ი, ბერძ., ნაწერის ასლის გადასაღები ხელსაწყო.

ჰექტოლიტრ-ი (ბერძ. hekaton „ასი" და ფრ. litre — „ლიტრი"), სითხეთა და ხორბლეულთა საზომი ერთეული=100 ლიტრს.

ჰექტომეტრ-ი (ბერძ. hekaton-დან „ასი" და metreo — „ვზომავ"), ფრ. სიგრძის ზომა=100 მეტრს.

ჰექტორ-ი, ბერძ., პრიამის შვილი, ტროადის ომის ერთერთი გმირი.

ჰიალოგრაფია (ბერძ. hialos — „მინა", grapho — „ვწერ"), მინაზე ასოების ამოჭრა პლავიკის სიმჟავის საშუალებით.

ჰიბრალტარ-ი, იხ. გიბრალტარი.

ჰიბრიდები, მრავლ. (ლათ. hybrida), ორი სხვადასხვა ჯიშის მცენარის ან ცხოველთა შეერთებისაგან მიღებული შთამომავლობა.

ჰიგიენა (ბერძ. hygies-დან „ჯანსაღი"), მეცნიერება ჯანმრთელობის შესახებ; აქედან: ჰიგიენური — ჯანმრთელობის შესახები.

ჰიგრომეტრია (ბერძ. higros — „ნოტიო", metreo — „ვზომავ"), მეცნიერება ჰაერის სინოტივის გაზომვის შესახებ; აქედან: ჰიგრომეტრ-ი — ჰაერის სინოტივის გასაზომი ხელსაწყო.

ჰიგროსკოპ-ი, იხ. ჰიგრომეტრი.

ჰიდალგო (ისპ. hidalgo), ესპანეთში დაბალი აზნაურობა.

ჰიდრა (ბერძ. hydor-დან „წყალი"): 1) ბერძნულ მითოლოგიაში — ცხრათავიანი გველ-

ლაშაპი, მოკლულ იქნა ჰერაკლეს მიერ; 2) გად. მნიშვნ.: დაუძლეველი ბოროტება.

**ჰიდრავლიკა** (ბერძ. hydor-დან — „წყალი“), სწავლა სითხეთა მოძრაობის და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ; აქედან: **ჰიდრავლიკ-ი** — ინჟინერი, წყლის მამოძრავებელ მანქანების გამკეთებელი; **ჰიდრავლიური** — ჰიდრავლიკის შესახები, წყლით სამოძრავებელი.

**ჰიდროგრაფია** (ბერძ. hydor-დან „წყალი“ და grapheo — „ვწერ“), გეოგრაფიის ნაწილი, წყლების და მდინარეების აღწერა; აქედან: **ჰიდროგრაფ-ი** — ა) ჰიდროგრაფიის მცოდნე; ბ) წყლის ან გემის სისწრაფის გასაზომი ხელსაწყო.

**ჰიდროდინამიკა** (ბერძ. hydro—„წყალი“ და dynamis—„ძალა“), მექანიკის ნაწილი—იკვლევს სითხეთა მოძრაობის კანონებს.

**ჰიდროლოგია** (ბერძ. hydor — „წყალი“ და logos — „სიტყვა, სწავლა“), მეცნიერება დედამიწის ზედაპირზე არსებულ წყლების შესახებ.

**ჰიდრომედუზა**, იხ. მედუზა.

**ჰიდროსკოპია** (ბერძ. hydor — „წყალი“, skopeo — „ვხედავ“), წყლის შემადგენელ ნაწილების კვლევა.

**ჰიდროსტატიკა**, ბერძ., ფიზიკის ნაწილი — მეცნიერება სითხეთა წონასწორობის შესახებ; აქედან: **ჰიდროსტატიური** — სითხეთა წონასწორობის შესახები.

**ჰიდროთერაპია**, ბერძ., წყლით მკურნალობა.

**ჰიდროტეხნიკა**, ბერძ., მექანიკის ნაწილი — წყლის ძრავების და შენობათა აგების ხელოვნება, მაგ. არხების, ჯებირების, წყალსადენების და სხ.

**ჰიდროფობია** (ბერძ. hydor — „წყალი“, phobeo — „შიში“), წყლის შიში, ერთგვარი ფსიქიური დაავადება.

**ჰიდროფონ-ი**, ბერძ., Pares-ის მიერ გამოგონილი ტელეფონის მსგავსი ხელსაწყო წყლის შლების დაზიანებულ ადგილების აღმოსაჩენად.

**ჰიენა**, ზოოლ. (ბერძ. hyaina), მტაცებელ ჯიშის ძუძუმწოვარა ცხოველი. იკვებება საფლავიდან ამოთხრილი გვამებით.

**ჰიეროგლიფები**, მრავლ. (ბერძ. Hieroglyphos, hieros — „საღვთო“, glypho—„ამოჭრა“), ძველი ეგვიპტური ნაწერები — სხვადასხვა ფიგურების და ნიშნების საშუალებით; გად. მნიშვნ.: ძნელად გასარკვევი ხელთნაწერი.

**ჰილდ-ი** (ძვ. გერმ. Gilde, ინგლ. Guild): 1) ვაჭართა ხარისხი ქონების მიხედვით; 2) გერმანიაში — ხელოსანთა თვითეული დარგი.

**ჰილზ-ი** (გერმ. Hülse — „კანი“): 1) თამბაქოს (გლარჯის) ჩასადები ქაღალდის მილი; 2) საფანტით გატენილი ქაღალდის მილი (იხ. რაკეტა).

**ჰილიაზმ-ი** ანუ **ხილიაზმ-ი** (ბერძ. chilioi — „ათასი“), მოძღვრება ქრისტეს მეორედ მოვლინების და ბატონობის შესახებ დედამიწაზე ათასი წლის განმავლობაში.

**ჰიმენეი** (ბერძ. Hymen), ბერძნულ მითოლოგიაში — ქორწინების ღმერთი.

**ჰიმნ-ი** (ბერძ. himnos—hymneo-დან „ქება“): 1) ძველად საბერძნეთში — ღვთაების სადიდებელი სიმღერა; 2) საზოგადოთ — საზეიმო-სადღესასწაულო ხასიათის მუსიკა.

**ჰიპასპისტები**, ბერძ.: 1) ძველად საბერძნეთის ჯარში — შეიარაღებულ მონების რაზმები; 2) ალექსანდრე დიდის ჯარში — მეფის მხლებელი ქვეითა ჯარის რაზმი.

**ჰიპერბოლა** (ბერძ. hyper-ballein — „მიზანს იქით სროლა“): 1) გაზვიადება, გადიდება; აქედან: **ჰიპერბოლური** — გაზვიადებული, გადიდებული; 2) მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა შ ი — მრუდე ხაზი, მიღებული კონუსების გადაკვეთით.

**ჰიპერესტეზის-ი** ანუ **ჰიპერესტენია** (ბერძ. hyper-დან „მეტისმეტად“ და aistanesthai — „შეგრძნება“), გრძნობის უკიდურესი გაღიზიანება, უაღრესი გრძნობიერება.

**ჰიპერტროფია** (ბერძ. hyper — „მეტისმეტად“, trepho — „ვკვებავ“), სხეულის ორგანოთა არანორმალური კვება და ზრდა.

**ჰიპნოზ-ი** (ბერძ. hypnos-დან „ძილი“), შთაგონება, ადამიანის ორგანიზმის ძილისებური მდგომარეობა, ხელოვნურად გამოწვეული ვისიმე შთაგონებით ანუ ზეგავლენით. ჰიპნოზის დროს ადამიანი ჰკარგავს საკუთარ ნებისყოფას და ემორჩილება შთამგონებელს; აქედან: **ჰიპნოტიზმ-ი** — სწავლა ჰიპნოზის შესახებ; **ჰიპნოტი-**

**ზიორ-ი** — შთამგონებელი, ჰიპნოზის საშუალებით მოქმედი.

**ჰიპოდრომ-ი**, ბერძ., დოღ-ცხენოსნობის და საჯირითო მოედანი.

**ჰიპოთეზა** (ბერძ. hypothesis-hypotithemi — „დაშვება, წინასწარ მიღება"): 1) რომელიმე მოვლენის წინასწარ აღიარება ამა თუ იმ ფაქტების მიხედვით; 2) წინასწარ დაშვება იმ ფაქტის, რომელიც ჯერ კიდევ დამტკიცებას მოითხოვს; აქედან: **ჰიპოტეთური**—საეგებიო, პირობითი.

**ჰიპოთეკა**, ან **ჰიპოტეკა** (ბერძ. hypotheke-hypotithemi — „შენაცვლება"), გირაო, ვალის უზრუნველყოფა უძრავ ქონებით.

**ჰიპოკრატ-ი**, ძველად საბერძნეთში — გამოჩენილი მკურნალი (460 — 377 წ. ქრ. წ.), მედიცინის მამათმთავარი.

**ჰიპოტაქს-ი**, იხ. პარატაქსი.

**ჰიპოტენუზა** (ბერძ. hypoteinousa-hypoteino — „დაპირისპირება"), გეომეტრიაში—სწორკუთხიან სამკუთხედში სწორე კუთხის პირდაპირ მდებარე გვერდი.

**ჰიპოპოტამ-ი**, იხ. ბეგემოტი.

**ჰიპოხონდრია** (ბერძ. hypochondria), ერთგვარი სულიერი ავადმყოფობა, მუდამ ნაღვლიანი სულიერი განწყობილება.

**ჰიპსომეტრია** (ბერძ. hipsos — „სიმაღლე", metreo — „ზომვა"). სიმაღლის გაზომვა; აქედან: **ჰიპსომეტრ-ი** — რენიუ-ს მიერ გამოგონილი სიმაღლის საზომი ხელსაწყო.

**ჰირშ-დუნკერ-ის კავშირები** — მუშათა პროფესიონალური კავშირები, დაარსებულნი მე-19-ე ს. მე-60-ე წლებში ჰირშ-დუნკერ-ის მიერ. გერმანიაში. მიზნად ისახავდენ მუშათა ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას მშვიდობიანი გზით და რეფორმების საშუალებით.

**ჰისტერია**, იხ. ისტერია.

**ჰისტოლოგია** (ბერძ. histos — „ქსოვილი" და logos — „სიტყვა, სწავლა"), მეცნიერება ცხოველთა და მცენარეთა მიკროსკოპიულ აგებულების შესახებ; აქედან: **ჰისტოლოგ-ი** — ჰისტოლოგიის მცოდნე; **ჰისტოლოგიური** — ჰისტოლოგიის შესახები.

**ჰისტრიონ-ი** (ლათ. histrio), ძველად რომში — მასხარა — მსახიობი.

**ჰიტოპადეშა**, ინდურ იგავ-არაკების და სხვადასხვა თქმულებათა კრებული.

**ჰიუმორ-ი**, იხ. ჰუმორი.

**ჰიქსები**, მრავლ., სუმერიელ რასის ხალხი, რომელთაც ეგვიპტე ეპყრათ 500 წ. განმავლობაში მე-16-ე საუკ. ქრ. წ.

**ჰიჯრა** ანუ **ჰიჯრ-ი**, არაბ., მაჰმადიანთა წელთაღრიცხვის დასაწყისი (622 წ. ქრ. შ.).

**ჰობბს-ი** (Hobbes, 1588 — 1679), ინგლისელი ფილოსოფოსი, „ლევიაფან"-ის ავტორი. ჰქადაგებდა ფილოსოფიაში — მატერიალიზმს, მორალურ დარგში — ეგოიზმს, პოლიტიკაში — დესპოტიზმს და აბსოლუტიზმს (იხ.).

**ჰოგენცოლერნები**, მრავლ., პრუსიის მეფეთა დინასტია. განაგებდა პრუსიას და გერმანიას 1918 წლამდე. ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ვილჰელმ II.

**ჰოდომეტრ-ი** (ბერძ. hodos — „გზა", metron — „ზომა"), განვლილ მანძილის საზომი იარაღი.

**ჰოლფშტრომ-ი**, იხ. გოლფშტრომი.

**ჰომეოპატია** ანუ **ჰომეოპათია**, მკურნალობის ერთგვარი წესი, შემოღებული მე-19-ე საუკ. ექიმ ჰანემანის (1755—1843) მიერ. ავადმყოფობის სამკურნალოდ ხმარობენ ისეთ წამლეულს, რომელიც იწვევს ჯანსაღ ორგანიზმში აღნიშნულ ავადმყოფობის მსგავს მოვლენას. მკურნალობის ეს მეთოდი მეცნიერების მიერ უარყოფილია.

**ჰოლბახ-ი** (1723 — 89), გამოჩენილი ფრანგი ბუნებისმეტყველი — მატერიალისტი. მის ნაწერებში აღსანიშნავია „ბუნების სისტემა". თანამშრომლობდა „ენციკლოპედია"-ში, სადაც იგი ათავსებდა წერილებს ქიმიის, ფიზიოლოგიის და მედიცინის შესახებ.

**ჰომეროს-ი** (მე-9-ე საუკ. ქრ. წ.); სახელგანთქმული ბერძენი პოეტი. დასწერა უკვდავი პოემა „ილიადა" და „ოდისეია", სადაც გალექსილია ტროადელების და ბერძნების ომი; აქედან — **ჰომერიული სიცილი**—არაჩვეულებრივი, ძლიერი სიცილი.

**ჰომოგენური**, ბერძ. ქიმ., ერთგვაროვანი, ერთნაირ შემადგენლობის ნივთიერება.

**ჰომოლოგია**, ბერძ., ცხოველთა და მცენარეთა ორგანოების მსგავსება, რომელიც დამყარებულია ერთნაირ წარმოშობაზე, მაგ. ხელები, წინა ფეხები და სხ., **ჰომოლოგიური მწკრივი**

(ქიმ.) — ქიმიურ შენაერთთა მწკრივი, ერთნაირ შემადგენლობის, თვისების და რეაქციის.

**ჰომონიმები** (ბერძ. homonymos, homos — „მსგავსი", onoma — „სახელი"), ერთნაირად წარმოსათქმელი, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები, მაგ.: ბ ა რ ი — მიწის საბარავი იარაღი და ბ ა რ ი — დაბლობი ადგილი.

**ჰომოსექსუალიზმ-ი**, ბერძ., არანორმალური სქესობრივი მიდრეკილება ერთ და იმავე სქესის პირთა შორის.

**ჰომოფონ-ი**, ბერძ., homophonia. იხ. სოლო.

**ჰომრულ-ი**, ინგ., დამოუკიდებელი თვითმართველობა; პოლიტიკური მოძრაობა ინგლისსა და ირლანდიაში, რომელიც მიზნად ისახავდა ირლანდიის დამოუკიდებლობის განხორციელებას შინაურ საქმეებში და მოითხოვდა ირლანდიაში — საკუთარ პარლამენტის დაარსებას. ჰომრული გატარდა ცხოვრებაში 1920 წ.

**ჰონვედ-ი** (უნგრ. gon — „სამშობლო", ved — „დაცვა"), სათადარიგო ჯარი უნგრეთში.

**ჰონორარ-ი** (ლათ. honor-დან „პატივი"), თავისუფალ პროფესიის ხალხთა (მწერლები, მხატვრები და სხ.) შრომის ჯილდო.

**ჰოპლიტ-ი** (ბერძ. hoplites), ძველად საბერძნეთში — მძიმედ შეიარაღებული ქვეითა ჯარისკაცი.

**ჰორელიეფ-ი**, გამობურთული ქანდაკება კედელზე.

**ჰორიზონტ-ი** (ბერძ. horizo დან „ვსაზღვრავ"): 1) ცის და დედამიწის საზღვარი ანუ მათი შეერთების მოჩვენებითი ხაზი; აქედან: **ჰორიზონტალური** — პერპენდიკულიარის მართობი ხაზი.

**ჰორნ-ი** (გერმ. Horn): 1) მუსიკალური ინსტრუმენტი კლარნეტის (იხ.) მსგავსი; 2) განსაკუთრებულ მოწყობილობის ღუმელი ქარხნებში და ლაბორატორიებში.

**ჰოროსკოპია** (ბერძ. hora — „დრო" და scopeo — „ვჭვრეტ"), ადამიანის ბედის წინასწარმეტყველება ციურ მნათობთა მდებარეობის მიხედვით.

**ჰორტენზია**, ბოტ., ლამაზ ყვავილებიანი მცენარე, იაპონიიდან გადმონერგილი. სახელწოდება წარმოსდგა ჰოლანდიის დედოფლის ჰორტენზიის სახელიდან.

**ჰოსპიტალ-ი** (ლათ. hospitium), სამხედრო საავადმყოფო.

**ჰოტელ-ი** (ფრ. Hôtel), სასტუმრო.

**ჰოტენტოტები**, მრავლ., ზანგთა მოდგმის ხალხი. ცხოვრობენ სამხრეთ აფრიკაში.

**ჰოფმარშალ-ი** (გერმ. Hofmarschall), სამეფო კარის მოხელე ძვ. გერმანიაში, წესრიგის დამცველი სხვადასხვა ცერემონიების დროს.

**ჰოფმეისტერ-ი**, გერმ., სასახლის შტატის მეთვალყურე ძვ. გერმანიაში.

**ჰოხ**, გერმ., ვაშა!

**ჰუანო**, იხ. გუანო.

**ჰუგენოტები**, მრავლ. (ფრ. huguenots), კალვინის (იხ.) მოძღვრების მიმდევრები საფრანგეთში (იხ. ბართლომეს ღამე). ნანტის ედიქტით 1598 წ. უზრუნველყოფილ იქნა ჰუგენოტების რელიგიური თავისუფლება, რომელიც გაუქმებული იყო ისევ 100 წლის შემდეგ. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ (1789 წ.) მოუპოვა მათ საბოლოოდ სრული მოქალაქეობრივი უფლებები.

**ჰუმანიზმ-ი** (ახ. ლათ. humanismus-homos-დან — „ადამიანი"), ადამიანის პიროვნების განმანთავისუფლებელი დიდი კულტურული მოძრაობა დასავლეთ ევროპაში მე-14 — 16 ს. ს. (იხ. რენესანსი).

**ჰუმანიტარული მეცნიერებანი** — მეცნიერებანი, რომელნიც შეისწავლიან ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ისტორიას და ფსიქოლოგიას.

**ჰუმორ-ი** (ინგ. humor-დან), დაცინვა, გამასხარავება, ამა თუ იმ მოვლენის სასაცილო მხარეების აღნიშვნა; აქედან: **ჰუმორისტ-ი** — ჰუმორიულ თხზულებათა მწერალი.

**ჰუნები**, მრავლ., შუა აზიიდან წამოსული ველური ხალხი, რომელიც შემოესია დასავლეთ ევროპას მე-4-ე ს-ში და გამოიწვია ეგრედწოდებული „ხ ა ლ ხ თ ა დ ი დ ი გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა". ჰუნების წინამძღოლი იყო ატილა.

**ჰუსარ-ი**, იხ. გუსარი.

**ჰურ-ი**, სპ.-არაბ., მაჰმადიანთა სამოთხის მზეთუნახავი ქალი.

**ჰუს-ი**, ი ა ნ (Hus, 1369 — 1415), ჩეხელი რეფორმატორი. იბრძოდა კათოლიკურ ეკლესიის და რომის პაპის ბატონობის წინააღმდეგ. დასწვეს 1415 წ.

# უცხო ანდაზა-თქმები

(გერმანული, ინგლისური, იტალიური, ლათინური, პოლონური, რუსული, ფრანგული).

## A

**A. M.**, ლათ., artium magister=მაგისტრი ხელოვნებათა; A. L. L. M — artium liberalium magister=მაგისტრი თავისუფალ ხელოვნებათა.

**Ab antiquo**, ლათ., ძველთაგან.

**Ab ovo**, ლათ., „კვერცხიდან", — დასაბამიდან, დაწყებისთანავე.

**A bras ouverts**, ფრ., ხელ-გულ გაშლით.

**Ab imo pectore**, ლათ., გულის სიღრმიდან.

**Ab initio**, ლათ., დასაბამიდანვე.

**Ab initio nullum, semper nullum**, ლათ., არარაისგან არ იქნების არარაიცა.

**Ave!** ლათ., იბედნიერე!

**A vue**, ფრ., წარდგენისთანავე.

**Ad absurdum**, ლათ., შეუსაბამო დასკვნა.

**Adagio** — იხ. ადაჟიო.

**Ad augusta per angusta**, ლათ., უმაღლეს შდგომარეობას დიდის გაჭირვებით აღწევენ (ე. ი. ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია).

**Ad calendas graecas**, ლათ., „ბერძენთ კალენდებამდე" (ე. ი. არასოდეს, ვინაიდან ბერძენთ კალენდები არა ჰქონიათ).

**A dessein**, ფრ., განზრახვით, მიზნით.

**Ad gloriam**, ლათ., დიდებისათვის.

**Ad hoc**, ლათ., უწყებულ შემთხვევისათვის, საგანგებოდ ამა თუ იმ მიზნისათვის.

**Ad hominem**, მტკიცება, რომელიც ემყარება არა ობიექტურ მოცემულობას, არამედ საფუძვლებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ რაიმე მნიშვნელობა იმ პირისთვის, რომლის დაჯერებას სცდილობენ.

**Ad honores**, ლათ., პატივისცემისთვის.

**Ad infinitum**, ლათ., დაუბოლოვებლად, დაუსრულებლად.

**A discrétion**, ფრ., სრულს განკარგულებაში, შეხედულებისამებრ.

**Ad libitum**, ლათ., სურვილისამებრ, არჩევანზე.

**Ad litteram**, ლათ., სიტყვა-სიტყვით.

**Ad meliorem**, ლათ., უკეთესობისთვის.

**Ad patres**, ლათ., მამა-პაპასთან, წიაღსა შინა აბრაამისა (ე. ი. გარდაცვალება).

**Ad referendum**, ლათ., მოხსენებისთვის.

**Ad rem**, ლათ., არსებითი; გადაწყვეტილი.

**Ad unguem**, ლათ., ფრჩხილებამდე, დაწვრილებით სისწორემდე.

**Ad usum**, ლათ., სახმარებლად. A. U. Delphini — დოფინისთვის, ბატონიშვილისთვის (ლათინთა კლასიკოსების გამოცემულ თხზულებებზე წარწერილი, რომლებიც ლიუდოვიკოს XIV შვილისთვის იყო დანიშნული. იხმარება დაცინვით იმ თხზულებათა დასახასიათებლად, რომლებიც უხერხულ, უწმაწურ გამოთქმათაგან გაწმენდილია).

**Ad valorem**, ლათ., ღირსებისამებრ.

**Aequo animo**, ლათ., დამშვიდებით, გულგრილად.

**Aeternum vale**, ლათ., უკანასკნელი პატიება.

**Agent provocateur**, ფრ., აგენტი—პროვოკატორი—წამქეზებელი ჯაშუში, საიდუმლო პოლიციის წევრი, რომელიც მოხერხებით ჩაერევა ხალხში, პარტიაში, მიეთვისება ვისმეს, რათა წააქეზოს, შეიტყოს მისი აზრი სახელმწიფო მართველობის შესახებ და თუ მთავრობის საწინააღმდეგო შენიშნა რამ — დაასმინოს როგორც მოღალატე, ან უკანონობა ჩაადენინოს, ააჯანყოს, რომ მთავრობას ხელში ჩაუგდოს.

**A giorno**, იტ., ცხადად, მზიურ დღესავით ნათელი.

**Agitato**, იტ., აღელვებით (მუსიკაში).

**Agnus Dei**, ლათ., ღვთის კრავი, — კათოლიკეთა წირვის ლოცვა, აგრეთვე — კრავისა და ჯვრის სურათი.

**Aquila non captat muscas**, ლათ., არწივი ბუზებს არ იჭერს. (ე. ი. გონიერი კაცი წვრილმალს არ გამოეკიდება).

**Aide — toi et le ciel t'aidera**, ფრ., ხელი გაანძრიე — ღმერთიც შეგეწევა.

**A capriccio**, იტ., ძალადობით.

**A la baisse**, ფრ., დაწევა (ფასიან ქაღალდების ბირჟაზე).

**A la bonne heure**, ფრ., გზა მშვიდობისა.

**A la guerre comme à la guerre**, ფრ., გარემოებას შეეწყე (ე. ი. სადაც წახვიდე—იქაური ქუდი დაიხურე); ომში ისე მოიქეც, როგორც ომს შეეფერება.

**A la hausse**, ფრ., აწევა (ფასიან ქაღალდების ბირჟაზე).

**A la lettre**, ფრ., ასო-ასოთ (სრულის სისწორით).

**A la longue**, ფრ., ერთ დროს, დაბოლოს.

**A la mode**, ფრ., დროის შესაფერად, მოდის გვარად.

**A la fin**, ფრ., დაბოლოს, დასასრულ.

**Alea jacta est**, ლათ., წილი ნაყარია! ბედზეა მიგდებული.

**Alias (Alius dictus)**, ლათ., სხვანაირად წოდებული, ტყუილი სახელი.

**Alibi**, იხ. ალიბი.

**Allons!**, ფრ., წავიდეთ!

**A livre ouvert**, ფრ., მოუმზადებლად, კაფიად, უცებ.

**Allegretto**, იტ., მხიარულად (მუსიკაში).

**Allegro**, იტ., სწრაფად.

**Alliance israélite universelle**, ფრ., ებრაელთა საერთაშორისო კავშირი, კრემიეს მიერ 1860 წ. პარიზში დაარსებული, რომლის მიზანიც იყო: ებრაელთა უფლებების საყოველთაო გათანასწორება და მათი დევნისაგან დაცვა. უფრო ქველმოქმედებითი ხასიათისა.

**All right**, ინგ., კმარა! ყოველივე რიგზეა! კარგი!

**Alma mater**, ლათ., „მაწოვარი დედა“—ადამიანთა მფარველი დედა ღმერთი, მოწაფეთა სულიერ-ხორციელად მკვებავი (უმაღლესი სასწავლებელი).

**Al pari**, ლათ., თანასწორი, თანაბარი! ფასიან ქაღალდების ღირებულებისა და ბირჟაზე შეფასების ერთნაირობა.

**Alpha et omega** —იხ. ალფა და ომეგა (ალფა-ში, 3).

**Altera pars**, ლათ., მეორე მხარე.—იხ. Audiatur et altera pars.

**Alter ego** — იხ. ალტერ ეგო.

**Amicus Plato, sed magis amicus veritas**, ლათ., პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო დიდი მეგობარია (ე. ი. ჭეშმარიტება ყველაზე მაღლაა).

**Ancien régime**, ფრ. ძველი დრო, დრომოჭმული სახელმწიფო წყობილება.

**Andante**, იტ. მშვიდათ! (მუსიკაში). იხ. ანდანტე.

**Animato**, იტ., ცოცხლად (მუსიკაში).

**Ante Christum**, (A. C.), ლათ., ქრისტეს დაბადებამდე.

**A part**, ფრ., გვერდზე, განკერძოებით.

**A parte**, ლათ., ცალკე, ნაწილ-ნაწილ.

**A posteriori**, ლათ., შემდეგ; გამოცდის თანახმად, ცდის გზით.

**Après nous le déluge**, ფრ., „ჩვენს შემდეგ თუნდა წარღვნაც!“ (ე. ი. ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნუ იქნება, — ჩვენ ჩვენი დრო გვეყოფა და მერე რაც უნდა იყოსო).

**A priori** — იხ. აპრიორი.

**Argumentum ad crumenam**, ლათ., ქისით დამტკიცება (ე. ი. საბუთების უქონლობის გამო ფულის გაღება — მოქრთამვა).

**Argumentum ad hominem**, ლათ., დამტკიცება არა არსებითი შინაარსის, არამედ დასაჯერებელ პიროვნების პირად თვისებათა მიხედულებით.

**Argumentum bacilinum**, ლათ., კეტით დამტკიცება (ე. ი. საბუთებით დამტკიცების მაგიერ მიბერტყვა—ცემა)

**Arrière pénsée**, ფრ., ფარული აზრი.

**Ars longa, vita brevis**, ლათ., მეცნიერება ფართოა,—სიცოცხლე მოკლე, ხელოვნება საუკუნოა, სიცოცხლე მოკლე.

**Artes liberales**, ლათ., თავისუფალი ხელოვნება (საშუალო საუკუნეებში 7 საერო მეცნიერება: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა,

გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია და მუსიკა).

**A tout prix**, ფრ., რადაც არ უნდა დაჯდეს.

**A tort et à travers**, ფრ., უანგარიშოთ, შეუგნებლად, წაღმა-უკუღმა.

**A fortiori**, ლათ., მით უმეტეს.

**Audiatur et altera pars**, ლათ., მეორე მხარესაც მოვუსმინოთ.

**Au revoir!**, ფრ., მშვიდობით! ნახვამდე!

**A uso**, ლათ., ჩვეულებისამებრ.

**Aurea mediocritas**, ლათ., შუალა, საშუალო ღირსების.

**Au naturel**, ფრ., ბუნებრივი სახით.

**Auto da fe**, ისპ., საქმენი სარწმუნოებისანი! — იხ. აუტოდა-ფე.

**Aut Caesar, aut nihil**, ლათ., კეისარი ან არაფერი (ე. ი. ყველაფერი ან არაფერი).

**Aut hoc, aut super hoc**, ლათ., ამით ან ამაზე! (ფარით ან ფარზე!) — სპარტანელ დედების დარიგება, რომლითაც შვილებს ომში ისტუმრებდენ—ან გაიმარჯვე ან ფარით მოგიტანონო (ე. ი. სიკვდილი ან გამარჯვებაო).

**Ave Maria**, ლათ., კათოლიკეთა ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ.

**Avenue**, ფრ., პროსპექტი, ფართე ქუჩა, — გამზირი.

**A vol d'oiseau**, ფრ., თვალის დაკვრით.

**Ave Caesar morituri te salutant!**, ლათ., „იდღეგრძელე კეისარო, სასიკვდილოდ განწირულნი გესალმებიან“! იხ. Morituri te salutant.

## B

**Bas-bleu**, ფრ., ლურჯი ჩულქი, — სწავლულ მანდილოსანთა წოდება (დაცინვით).

**Bal-masqué**, ფრ., ბალ-მასკარადი, — ნიღაბოსანთა მეჯლისი.

**Bal-paré**, ფრ., სადღესასწაულო მეჯლისი ნიღაბებით.

**Beati sunt possidentes**, ლათ., ნეტარ არიან შეძლებულნი.

**Bel esprit**, ფრ., ჭკუა-მახვილი კაცი.

**Bémolle** — იხ. ბემოლი.

**Bête noire**, ფრ., საძაგელი; საზიზღარი კაცი.

**Billet doux**, ფრ., სამიჯნურო ბარათი.

**Bis!**, ფრ., გაიმეორე! კიდევ ერთხელ!

**Bis dat qui cito dat**, ლათ., ორგზის იძლევა, ვინც ჩქარა იძლევა, ე. ი. დროით იძლევა.

**Bon appetit!**, ფრ., გაამოს!

**Bon mot**, ფრ., მახვილი სიტყვა.

**Bona fide**, ლათ., სინიდისის ქვეშ, გულწრფელად.

**Bon-gré, mal-gré**, ფრ., ძალაუნებურად.

**Bonne mine au mauvais jeu**, ფრ., თავისი უკმაყოფილებისა თუ წყენის მოხერხებით დაფარვა.

**Bon ton**, ფრ., ზრდილობა, თავაზიანობა.

**Bouton d'amour**, ფრ., „სიყვარულის მუწუკი“.

**Brevi manu**, ლათ., მოკლედ.

**Buvons chantons, dansons et aimons**, ფრ., ვსვათ, ვიმღეროთ, ვიცეკვოთ და სიყვარულს გავყვეთ.

## C

**Calma, con calma, calmato**, მუსიკ., მშვიდათ, აუჩქარებლივ.

**Calore, con calore, caloposamente, caloroso**, მუსიკ., გასულდგმულებით, გრძნობით, ფიცხად.

**Candidamente, candid**, მუსიკ., სადათ, ბუნებრივად, არაყალბად.

**Cantabile**, იტ., მღერით. (მუს.).

**Carpe diem**, ლათ., მიიღე დღე, — ისარგებლე დროთი, იმხიარულე! ჰწყვიტე 'კმაყოფილების ყვავილები.

**Carte blanche!**, ფრ., 1, მოქმედების სრული თავისუფლება; განუსაზღვრელი რწმუნებულება; 2, ღია ფურცელი, გაელენიან პირის

ანუ დაწესებულების მიერ ხელმოწერილი ბლანკი, რომლის მქონებელს თვითმოქმედების უფლება ენიჭება.

**Caveant Consules!**, ლათ., ფხიზლად კონსულებო! (ე. ი. მმართველნო, გაფრთხილდით, მარჯვეთ იყავით).

**Casus belli**, ლათ., ომის მიზეზი, ომის გამოცხადების საბაბი.

**C-dur**, მუსიკ. (ფრანგ.=ut majeur=იტ. do maggiore)=მაჟორის (იხ.) ჩვეულებრივ გამმის (იხ.) პირველი, ძირითადი ტონი (იხ.)—დიდის ტერციით (იხ.), C. mole (=ფრ.—mineur—იტ. minore)—იგივე ნოტა, ხოლო მცირე (მინორული) ტერციით.

**Caeterum censeo, Carthaginem esse delendam**, ლათ.,: 1) „ვიმეორებ: კართაგენი უნდა დაემხოს!" — ასე ათავებდა ყოველ თავის სიტყვას კატონი რომის სენატში; 2) ახლა იხმარება, როდესაც საზოგადოებრივ ან სახელმწიფო მწვავე საკითხის გადაწყვეტას მოითხოვენ.

**Cercle vicieux**, ფრ., ჯადოქრული წრე; გაუვალი მდგომარეობა.

**Chacun à son goût**, ფრ., ყველას თავისი გემოვნება აქვს.

**Chambre introuvable**, ფრ., შეუდარებელი პალატა, — 1815-16 წ. საფრანგეთის პარლამენტი, ბურბონთა მეორედ მობრუნების დროს, რეაქციონერობით ცნობილი.

**Chantant**, ფრ., მომღერალი, **café chantant** — კაფე-შანტანი (იხ. 361 სვ.).

**Changez les dames**, ფრ., გამოცვალეთ ქალბატონები! — კადრილის ცეკვის დროს მეექვსე ფიგურა.

**Chargé d'affaires**, ფრ., საქმეთა რწმუნებული.

**Charmant**, ფრ., საუცხოვო, მშვენიერი!

**Cher**, ფრ., საყვარელი, ძვირფასი; **mon cher** — ჩემო სასურველო.

**Cher ami**, ფრ., საყვარელო მეგობარო; ძვირფასი მეგობარი.

**Chercher midi à quatorze heures**, ფრ., ვეძიოთ გუშინდელი დღე.

**Chevalier d'industrie**, ფრ., გაიძვერა, მატრაბაზი, მატყუარა, ქურდ-ბაცაცა.

**Chef d'oeuvre**, ფრ., ხელოვნების სამაგალითო ნაწარმოები. იხ. შედევრი.

**Chiaramente, con chiarezza, chiara, chiare**, მუსიკ. ნათლად, სუფთად.

**Citato loco, C. L.**, ნაჩვენებ ადგილას, იქვე.

**Code civie**, ფრ., სამოქალაქო კანონთა კოდექსი.

**Code criminell**, ფრ., სისხლის სამართლის კანონების კოდექსი.

**Cogito, ergo sum**, ლათ., ვაზროვნებ. მაშასადამე ვარსებობ! (ძირითადი საფუძველი დეკარტის ფილოსოფიისა).

**Collège de France**, ფრ., კოლეჯ-დე-ფრანსე. — პარიზის სამეცნიერო-სამოსწავლო დაწესებულება, სადაც პროფესორები რაიმე პროგრამით არ არიან შებორკილნი, რომელთა ლექციები ყველას შეუძლიან მოისმინოს უფასოდ.

**Comme il faut**, ფრ., როგორც საჭიროა, რიგიანი; თავაზიანი, ზრდილი.

**Comme un rochez de bronze**, ფრ., ბრინჯაოს კლდის მსგავსი (შეუდრეკელია, ვითარცა ტინი).

**Common-law**, ინგ., ჩვეულებითი სამართალი.

**Congregatio de propaganda fide** — პაპის ერთერთი კომისიათაგანი, უცხო ქვეყნებში რომაულ-კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად შემდგარი.

**Conditio sine qua non**, ლათ., აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც ესა თუ ის საქმე არ გაკეთდება.

**Contraria contrarius curantur** — წინააღმდეგი წინააღმდეგით იკურნება.

**Corpus delicti**, ლათ., დანაშაულობის ნიშნები.

**Contradictio in adjecto**, ლათ., შინაგანი წინააღმდეგობა განმარტებასა და განმმარტებელის შორის.

**„Contrat Social"** — „საზოგადოებრივი ხელშეკრულება", — ჟ. ჟ. რუსოს (1671—1741) თხზულება, 1762 წ. გამოცემული, რომლის მთავარი აზრი იყო: საზოგადოებასა და სახელმწიფოს საფუძვლად უძევს ხელშეკრულება, მის წევრთა მიერ შექმნილი ურთიერთის თავისუფლების სათავდებოდ (ეს თხზულება ქენევის მთავრობამ დასწვა).

**Cor cordium**, ლათ., გული გულთა, — ლორდ ბაირონის (1788—1824) მიერ ინგლისის გამოჩე-

ნილ პოეტის პერსი ბიშ შელლის (1792—1822) საფლავის ქვაზე წარწერილი სიტყვები.

**Corpus juris civilis** — იუსტინიანე დიდის (483—565) მიერ შეკრებილ-გამოცემული კანონთ კრებული, თანამედროვე ევროპის სამოქალაქო სამართლის საფუძვლად მიღებული.

**Coup de maître**, ფრ., ოსტატური ხერხი.

**Coup d'état**, ფრ., გადატრიალება, სახელმწიფო წესწყობილების მოულოდნელი შეცვლა.

**Coup de théâtre**, ფრ., მოულოდნელი შემთხვევა; ოინი, თვალთმაქცობა.

**Credo**, ლათ., — იხ. კრედო.

**Credo quia absurdum**, ლათ., მწამს, რომ ეს სისულელეა! (ეკლესიის ზოგიერთ მამათა უკიდურესი ზიზღი ადამიანის გონებისადმი).

**Crême brulée**, ფრ., დამწვარ შაქრით შეზავებული კრემი (იხ.).

**Crescendo** — იხ. კრესჩენდო.

**Curriculum vitae**, ლათ., ცხოვრება-მოღვაწეობის მოკლე აღწერა.

# D

D—1) რომაულ ციფრებში — 500; 2) იურისტების ენით — დიგესტები (იხ. 211 სვ.); 3) ბუხჰალტერიაში — Debet, — დებეტი (იხ. 186 სვ.); 4) საერთაშორისო დეპეშების გადაცემაში — „საჩქაროდ"; 5) რეცეპტებზე — D=datur — დაე მიეცეს; 6) პატარა d ინგლისურ ფულის ანგარიშში — პენსი (იხ.), ხოლო გერმანულში პფენიგი (იხ.), — სავაჭრო ანგარიშებში და სხვ.

**D, re**, მუსიკ., დიატონიკურ გამის (იხ.) მეორე ტონი.

**Da capo**, მუსიკ., პიესა გაიმეორე დაწყებიდან ნიშნამდე (da capo ae segro).

**Dame de compagnie**, ფრ., თანამცხოვრები ამხანაგი ქალი.

**Dames d'honneur**, ფრ., საპატიო მანდილოსნები.

**Danse macabre**, ფრ., მიცვალებულთა როკვა, (თუ სიკვდილის ცეკვა?).

**Da ist der Hund begraben**, გერ., აი, ძაღლი სადა მარხია! (ე. ი. აი, რაშია საქმე, ანუ ჩვენებურად: აი, ძაღლის კუდი სადა მარხია!).

**Das ist eine alte Geschichte**, გერ., ეს ძველი ამბავია.

**Das leben ist ein Krieg**, გერ., ცხოვრება ომია.

**Decrescendo**, იხ. დეკრესჩენდო.

**De gustibus non est disputandum**, ლათ., გემოვნებაზე არა ცილობენ (ე. ი. კაცია და გუნებაო).

**De-jure** — უფლებით. იხ. დე-იურე.

**Déjeuné**, ფრ., საუზმე.

**De mortuis aut bene, aut nihil**, ლათ., მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვა, ან არაფერი.

**De piano**, სუბუქად, გაუძნელებლად.

**De profundis**, ლათ., კათოლიკეთა შესანდობარი საგალობელი.

**De te fabula narratur**, ლათ., ლაპარაკი შენზეა.

**De facto**, ლათ., ნამდვილად, უკვე არსებული (მაგ., როცა რომელიმე ახალ სახელმწიფოს წარმოშობას არსებულნი სახელმწიფონი უკვე მომხდარად, დაფუძნებულად, აღიარებენ). (იხ. დეფაქტო 205 სვ.).

**Deus ex machina**, ლათ., „მანქანის ღმერთი",—გაჭირვებულ მდგომარეობიდან მოულოდნელად გამოსვლა, უცბად შეცვლილი გარემოება.

**De visu**, ლათ., ნახულის თანახმად.

**Delirium tremens**, ლათ., ანთება ლოთობისაგან.

**Delizioso,-sa, samente, con delizio**, მუსიკ., რაც შეიძლება საამოდ და ნაზად.

**Delto** ანუ **dito**, იტ., იგივე, ზემოხსენებული; ანგარიშებსა და სავაჭრო დავთრებში — ზემორე დაწერილის განმეორება.

**Diminuendo**, იტ., კილოს დაწევა, ხმის დადაბლება — დასუსტება.

**Diem perdidi**, ლათ., „დღე დავკარგე!" — რომაელთა მეფის ტიტეს მიერ წარმოთქმული სინანული, როცა მთელ დღეს ერთი კეთილი საქმეც ვერ გააკეთა.

**Divide et impera**, ლათ., „განჰყავი და იუფლე!" (ე. ი. ერნი თუ მტერნი აცალკევე, თუ გსურს მათში იბატონო).

**Dixi**, ლათ., მოვრჩი (ე. ი. ვსთქვი),—რომაელ ორატორის სიტყვის დასასრულის გამოხატვა.

**Dixi et salvavi animam meam**, ლათ., ვთქვი და სული დავიმშვიდე.

**Dis**, მუს. Re diése, dis-dur-ის და dis-moll-ის გამის პირველი საფეხური.

**Dolce far niente**, იტ., ნეტარი უსაქმურობა, უსაქმობით მიყუჩება, საამო არაფრის კეთება.

**Doloroso**, იტ., მწუხარედ (მუსიკაში).

**Dominus vobiscum**, ლათ., „უფალი თქვენთანა!" კათოლიკეთა მღვდლების მიმართვა ხალხისადმი ღვთისმსახურების დროს.

**Doppio movimento**, d. tempo, მუსიკ., გაორკეცებულის სისწრაფით.

**Do ut facias**, გაძლევ რომ გამიკეთო.

„**Drama per musica**" — წარმოდგენა (ახლანდელი ოპერა, პირველად მე-16-ე საუკ. მიწურულს ფლორენციაში მოგონილი).

**Duolo, con duolo**, მუსიკ., მგლოვიარედ, მოთქმით და მწუხარებით.

**Dura lex, sed lex**, ლათ., თუმც კანონი სასტიკია, მაინც კანონია.

**Duro**, ლათ. მძაფრად, უხეშად.

# E

**E**—1) აღმოსავლეთის ქარისა და მხრის მაჩვენებლი); 2) E ანუ mi—ნოტები; E—სკრიპკის პირველი სიმი ანუ კონტრაბასის — ქვედა სიმი; 3) კომპასში—E=est—აღმოსავლეთი; 4) ქიმიაში—ერთი ლითონის აღმნიშვნელი.

**Eau-de cologne** — სურნელოვანი წყალი (პირველად ქ. კელნში ამზადებდენ).

**Ede, bibe, lude**, ჭამე, სვი, იმხიარულე! (ეპიკურელთა რწმენა. იხ. ეპიკურეიზმი).

**E duobus malis minimum eligendum est**, ლათ., ორი ბოროტებისაგან ერთი უნდა აირჩეს.

**Ecce homo**, ლათ., „ესე კაც არს!" — პონტოელ პილატეს სიტყვა, როცა იესო ქრისტე, გვემა-წამების შემდეგ, ეკლის გვირგვინ-დადგმული, ხალხს წარუდგინა.

**Egalité**, ფრ., თანასწორობა.

**Ego** — მე.

**En arrière!**, ფრ., უკან! დაიხიე!

**En avant!**, ფრ., წინ!

**En bloc**, ფრ., მთლიანად, სულ ერთად.

**En famille**, ფრ., შინაურულად, ოჯახურად.

**En grand**, ფრ., დიდძალი, ბევრეული.

**En gros**, ფრ., ერთად.

**En masse**, ფრ., მრავლად, უამრად.

**En miniature**, ფრ., უმცირესი რაოდენობით.

**En permanence**, ფრ., განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ.

**En profil**, ფრ., გვერდიდან.

**Entre-nous**, ფრ., ჩვენს შორის.

**Entente cordiale**, ფრ., გულითადი თანხმობა.

**Entre nous soit dit**, ფრ., ჩვენში ითქვას.

**En face**, ფრ., პირში.

**Enfant terrible**, ფრ.: 1) საშინელი ყმაწვილი, საზარელი ბავში; მშფოთარი, ავზნე; 2) მატრაკვეცა მოლაყბე, რომელიც თავის გამოსვლით არღვევს ოჯახის, პარტიისა ანუ სხვ. ინტერესებს.

**En flagrantdélit**, ფრ., დანაშაულობის ადგილზე.

**Eo ipso**, ლათ., სწორედ მისით, სახელდობრ იმით, თავისთავად.

**E pur si muove!** იტ., 1, „და მაინც ბრუნავს!" — გალილეო გალილეის (1564—1642. იხ.) მიერ წარმოთქმული სიტყვები, ინკვიზიციის წინაშე, როცა დამუქრებით შემკრთალი გადუდგა კოპერნიკის სწავლას, რომლის გამოკვლევითაც დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს; 2, თავის რწმენა-შეხედულების უკიდურესობამდე დაცვა.

**Ergo**, ლათ., მაშასადამე!

**Errare humanum est**, ლათ., შეცდომა კაცის თვისებაა.

**Errata**, ლათ., შეცდომები, შეცდომით ნაბეჭდი.

**Es ist eine alte Geschichte**, გერმ., არა ახალი — ძველია.

**Est modus in rebus**, ლათ., ყოველივეს ზომა აქვს, ნამუსიც კაი საქონელია.

**Etats généraux**—იხ. გენერალური შტატები.

**Et caetera** — და სხვანი.

**Etc** — და სხ.

**Evrêka** — იხ. ევრიკა.

**Evviva!** ლათ., გაუმარჯოს!

**Ex**— იხ. ექს.

**Ex cathedra**, ლათ., კათედრიდან.

**Ex nihilo nihil**, ლათ., არარაისგან არარაიცა (ე. ი. არარაისგან არ იქნების არარაიცა).

**Ex oriente lux**, სინათლე აღმოსავლეთით.

**Exposition**—გამოფენა. იხ. ექსპოზიცია.

**Experientia est optima rerum magister**, ლათ., გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია.

**Ex professo**, ლათ., საქმის სრულის ცოდნით.

**Ex officio**, ლათ., მოვალეობის გამო, ვალდებულების ძალით, ოფიციალურად.

**Extra** — იხ. ექსტრა.

**Extra ecclesiam nulla salus**, ლათ., „გარეშე ეკლესიისა არაა ხსნა!", — საეკლესიო დებულება, რომელიც ყველა არა კათოლიკეს სასიკვდილოდ სწირავდა.

**Ex ungue leonem**, ლათ., ლომი ბრჭყალებით იცნობა.

# F

**F**—1) ფარენგეიტის სიცხისმზომის (თერმომეტრის) აღმნიშვნელი; მუსიკაში: F და f — forte—მძლავრად; FF ანუ ff — fortissimo— ძლიერ მძლავრად, მაღლა; 3) ქიმიაში — F ანუ Fe—ფტორი (?); 4) წიგნის საქმეში: f ანუ fol., folio, in folio — წიგნის ფურცელთა ზომა·

**Fa** — მუსიკაში: დიატონური გამის მეოთხე ნოტის სახელწოდება; Fa bémol=Fes, ნოტა Fa ბემოლით; Fa majeur=Fa-dur; Fa-mineur=F-mole, Fa dièze.

**Favori,- itto**, მუსიკ., საყვარელი. იხ. ფავორიტი.

**Far niente**, იტ., საამო უსაქმურობა.

**Faute de mieux**, ფრ.. უკეთესის უქონლობის გამო.

**Faute d'argent**, ფრ., უფულობის გამო.

**Faux pas**, ფრ., შემცდარი ნაბიჯი.

**Façon de parler**, ფრ., გარეგანი სახე სიტყვისა, გამოთქმის ფორმა.

**Fastosamente, fastoso**, მუსიკ., დიდებულად, დიდრაჯულად.

**Fait accompli**, ფრ., მომხდარი ამბავი, უკვე გადაწყვეტილი (დიპლომატიურ ურთიერთობაში ასე იტყვიან იმ საქმეზე, რომელიც საიდუმლოდ, შინაურულად უკვე გაკეთებულია და მოულოდნელად საქვეყნოდ გამოაცხადებენ).

**Feci quod potui**, ლათ., რაც შემეძლო—ყოველივე ვქმენ.

**Festina lente**, ლათ., მძიმედ უჩქარე! (საქმეს საჭირო დრო მოახმარე, რომ უკეთესად გააკეთო).

**Fixe**, ფრ., მყარი, გარკვეული, მუდმივი; jour fixe—დანიშნული დღე (ე. ი. სტუმართა მისაღები დღე); prix fixe — გადაწყვეტილი ფასი, შეუვაჭრებელი ღირებულება; idée fixe განუშორებელი აზრი, ერთგვარი შეშლილობა, როცა აზრი დაიფლობს ადამიანის გონებას, ნებისყოფასა და გრძნობას. იხ. იდეფიქსი.

**Fiando filare, filato,-ta**, მუსიკ. ხმის გაგრძელება ისე, რომ მიაღწიოს უმაღლესსა და უდაბლეს დონემდე და წინააღმდეგ.

**Fiat justitia, pereat mundus**, ლათ., დაე, აღსრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც დაიქცეს ქვეყნიერება.

**Fiat lux!** ლათ., იყავნ ნათელი!

**Fiat voluntas tua!**, ლათ., იყავნ ნება შენი!

**Fiebile, fiebilmente**, მუსიკ., მდურვით (ჩივილით), მწუხარედ; Largo flebile — გაგრძელებით და მდურვით (ჩივილით).

**Fieramente, fiero, za**, მუსიკ., ამაყად.

**Fierezza, con fierezza**, მუსიკ., სიამაყით, გაბედვით, ამაყად.

**Fierissimo**, მუსიკ., საგანგებო სიამაყით და სიძლიერით, კეთილშობილობის დაცვით.

**Floco**, მუსიკ., ხრინწიანად.

**Flessibile, con flessibilitá**, მუსიკ., რბილად, მორბილებითა და სიცხოველით (სიცოცხლით).

**Fin de siècle**, ფრ., საუკუნის ბოლო, — ახალი განათლების შედეგი: გედის უკანასკნელი ამოძახილი.

**Finis**, ლათ., ბოლო.

**Finis coronat opus**, ლათ., ბოლო აგვირგვინებს საქმეს.

**Finita la comedia**, იტ., დასრულდა კომედია, გათავდა.

**Five ó'clock tea**, ინგ., ნასადილევის ჩაი.

**Flagrante delicto**, ლათ., დანაშაულის ადგილზე, დანაშაულობის დროს.

**Fondamento**, იტ., ძირითადი ბანი.

**Force**, ფრ., ძალა, **par force**—ძალით, ძალდატანებით.

**Force majeur**, ფრ., უძლეველი ძალა ე. ი. კაცისა და კაცის ძალთა მაღლა (გრიგალი, ქარიშხალი, ტალღები და სხ.).

**Forte**, მუსიკ., მძლავრად, ხმამაღლა; **f. possibile** — რაც შეიძლება ძლიერად.

**Fortes fortuna adjuvat**, ლათ., მამაცს ბედი ჰშველის (ჰსწყალობს).

**Fortissimo**, იტ., ძლიერ მაგრა.

**Fortiter in re, suaviter in modo**, ლათ., მაგრა, დაჟინებით (მოიქეც) საქმეში, ხოლო რბილად, საამოდ მის აღსრულებაში.

**Francamente, franca,-o**, იტ., თამამად, შეუდრეკელ რწმენით.

**Franchezza, con franchezza**, მუსიკ., გაბედვით.

**Franco**, იტ., თავისუფლად.

**Frescamente, fresco**, მუსიკ. მხიარულად, სიახლით.

**Fraternité**, ფრ., ძმობა.

**Fuoco** ანუ **foco**, იტ., ცეცხლი, სიცხოველე; **con fuoco** — მუსიკ. ცეცხლით, მხურვალედ: **con fuoco, ma non presto** — მხურვალედ, ხოლო არა მეტად სწრაფად; **allegro con fuoco** — მხურვალედ; **allegro**-ს მოძრაობის დაცვით.

## G

**Gala**, ფრ., დღესასწაული; ზეიმი.

**Galant-homme**, თავაზიანი, სათუთი ყოფაქცევისა.

**Gaudeamus igitur**, ლათ., დეე, ვიმხიარულოთ! (სტუდენტების სიმღერა).

**Grande dame**, ფრ., დიდრაჯი ქალბატონი.

**Grand-merci**, ფრ., დიდათ გმადლობთ!

**Guerre aux chataux paix aux chaumières**, ფრ., ბრძოლა სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს! (საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროის გლეხთა მოწოდება).

**Gutta cavat lapidem**, ლათ., წვეთი ქვას გახვრეტს.

**Gutta cavat lapidem non vi, sed saepe cadendo**, ლათ., წვეთი ქვას ხვრეტს არა ძალით, არამედ ხშირი წვეთებით.

## H

**Habeas corpus** — იხ. ჰაბეას კორპუს.

**Habent sua fata libelli**, ლათ., წიგნებს თავისი ხვედრი აქვს, ე. ი. წიგნის ბედი მისი ღირსებისა და სავსეობისაგან არის დამოკიდებული; ბედს ვერ წაუხვალ.

**Habitus non fecit monaschum**, ლათ., ტანისამოსი არ ქმნის ბერს, — კაცს ადგილი არ ამშვენებს.

**Hands off**, ინგ., ხელი შორს!

**Hip-hip-hip! hurrah!**, ინგ., სამჯერ განმეორებული უდრის ჩვენებურ ვ а შ ა-ს.

**H. I.**, ლათ., **hoco loco** — სწორედ ამ ადგილას.

**Hoc volo, sic jubeo, sit pro ratione voluntas,** ლათ., იუვენალის სატირებიდან: მე ესა მსურს, ასე გიბრძანებ ყოველგვარ მსჯელობის (საფუძვლის) გარეშე, იყავნ ნება ჩემი!

**Home rule,** ინგ., თვითმართველობა, — იხ. ჰომრული.

**Homme,** ფრ., კაცი, **h. d'affaires** — რწმუნებული, საქმის კაცი, დალალი, მომჭახრაკებელი (საქმეთა), **h. du monde** — მაღალი წრის კაცი, **h. d' esprit** — მახვილი გონების კაცი, ჭკუიანი კაცი; **h. de qualité** — წარჩინებული კაცი, დიდებული; **h. de coeur** — მამაცი, კეთილშობილი კაცი; **h. de lettres** — მწიგნობარი, მწერალი; **h. d'état** — სახელმწიფო მოღვაწე.

**Homo homini lupus est,** ლათ., კაცი კაცისათვის მგელია.

**Homo proponit, Deus disponit,** ლათ., კაცი ბჭობდა, ღმრეთი იცინოდა.

**Homo novus,** ლათ.,ახალი კაცი; მატრაკვეცა, მეტიჩარა.

**Homo sapiens,** ლათ., მოაზრე კაცი.

**Homo sum, humani nihil a me alienum puto,** ლათ., კაცი ვარ, კაცური არრა მეუცხოება-რა.

**Honneur et patrie,** ფრ., პატივი და მამული, — საფრანგეთის საპატიო ორდენის დევიზი.

**Honny soit qui mal y pense,** ფრ., სცხვენოდეს, ვინც ამაზე ცუდათ იფიქროს. ინგლისური. ზორტის (?) ორდენი', დევიზი.

**Honores mutant mores,** ლათ., დიდება, პატივისცემა სცვლის ხასიათს, ზნეს (ე. ი. ადამიანის ზნეზე ცუდათ მოქმედებს).

**Honoris causa,** ლათ., პატივისთვის, ღირსებისთვის.

**Honus habet onus,** ლათ., პატივი — ვალდებულია, დიდება სიმძიმეს ატარებს (ე. ი. პატივისცემა სიმძიმესთანაა შეერთებული).

**Horribile dictu,** საზარელია თქმა, საშიშია წარმოთქმა.

**Hoch,** გერ., ვაშა!

**Hôtel garni,** ფრ., მორთული სახლი.

**Hôtel,** ფრ.: 1) სასტუმრო; 2) H. de ville — საქალაქო საბჭოს დარბაზი, საბჭო; 4) H. Dieu — საავადმყოფო; ინვალიდების თავშესაფარი; 5) H. des invalides — დავრდომილთა სახლი პარიზში.

## J

**ibidem** — იქვე.

**Idée fixe,** ფრ., აკვიატებული, განუყრელი აზრი, ერთი აზრით გატაცება.

**Idem** — იგივე.

**Idem per idem,** ლათ., კვლავ იგივე.

**Impromptu,** ლათ., მოუმზადებლად გაკეთებული.

**Improvisamente, improviso,** მუსიკ., უცებ, მოულოდნელად; imp, improviso,-zione — მოუმზადებლად დაკვრა.

**In abstracto,** ლათ., საზოგადოთ, განყენებულად.

**In vino veritas,** ლათ., ღვინოშია ჭეშმარიტება.

**Ingénue,** ფრ., 1, უმანკო, გულუბრყვილო გასათხოვარი ქალი; 2, ასეთი ქალის როლი (სცენაზე).

**Indifferente,- temente, con indifferenza,** მუსიკ.: გულგრილად, ცივად

**Incognito** — იხ. ინკოგნიტო.

**Income tax,** ინგ., საშემოსავლო გადასახადი ინგლისში.

**In corpore,** ყველა, ყველა ერთად, სრული შემადგენლობით.

**Index** — იხ. ინდექსი.

**In folio,** ბეჭდური ფურცლის ნახევარი.

**Inde ira,** ლათ., აი მიზეზი მრისხანებისა.

**In medias res,** ლათ., პირდაპირ საქმის არსით.

**In natura,** ლათ., არსი საგნისა; ცხადლივ, სინამდვილით.

**In hoc signo vinces,** ლათ., ამ ნიშნით დაამარცხებ.

**In octavo**, ლათ., ბეჭდური ფურცლის მერვედი.

**In quarto**, ლათ., ბეჭდური ფურცლის მეოთხედი.

**In pleno**, ლათ.; სრულად, სრულის შემადგენლობით.

**In spe**, ლათ., იმედით.

**In statu nascendi**, ლათ., ჩასახვის, შექმნის წუთიდან.

**In saecula saeculorum**, ლათ., უკუნითი უკუნისამდე.

**In statu quo**, ლათ., წინანდელს მდგომარეობაში, როგორც იყო.

**Inter arma silent leges**, ლათ., სადაც იარაღი ლაპარაკობს, მუნ კანონი მდუმარეობს.

**Inter canem et lupum**, ლათ., ძაღლსა და მგელს შორის (ე. ი. ბნელ-წყვდიადისას).

**Intrepido**, მუსიკ. გაბედვით, რწმენით.

**In vino veritas**, ლათ., ღვინოშია ჭეშმარიტება.

**In facto**, ლათ., ნამდვილად, საქმით.

**Incidit in Scylam, qui vult vitare Charybdam**, ლათ., ვინც სცილას აცდენას მოისურვებს ქარიბდაში გადაეშვება (იხ. სცილა და ქარიბდა).

**Ipso facto**, ლათ., ფაქტის ძალით, ფაქტიურად.

**Ipso jure**, ლათ., კანონის ძალით.

**Irresoluto**, მუსიკ., გადაუწყვეტლად, გაურკვევლად, ხანდისხან—: დაყოვნება.

**Italia fara da sel** იტალ., იტალია საკუთარი ძალ-ღონით ამაღლდება.

**Izba poselska**, პოლ., პოლონელთა წარმომადგენლების საკანონმდებლო კრება დეპუტატთა ყრილობის მაგიერი.

## J

**J'acuse!** ფრ., მე ბრალსა ვსდებ.

**Jeu de mots**, ფრ., სიტყვის თამაში.

**Jeunesse dorée**, ფრ., ოქროს ახალგაზრდობა. უსაქმური, მოქეიფე ახალგაზრდობა.

**Jour fixe**, ფრ., დანიშნული დღე. იხ. ჟურფიქსი.

**Jurare in verba magistri**, ლათ., მასწავლებლის სიტყვით დაფიცება.

**Jus gentium**, ლათ., ხალხთა სამართალი.

**Jus primae noctis**, ლათ., პირველი ღამის უფლება, — მთავრის უფლება, რომლის ძალითაც ყველა მის ქვეშევრდომთა პატარძლები ჯვარისწერის პირველ ღამეს მასთან გაათევდენ.

**Jus privatum**, ლათ., კერძო სამართალი.

**Juste milieu**, ფრ., შუაგული, — ყველა დასის სასიამოვნო წესი.

## K

**Kulturkampf** — იხ. კულტურკამფი.

**King street**, ინგ., ინგლისის კომუნისტური პარტიის ბიუროს ბინა.

## L

**La** — იხ. ლა.

**Labour party** — ბრიტანეთის მუშათა პარტია.

**Laisser faire, laisser passer**, ფრ., ნება მიეცით ყველას, რაც უნდა აკეთოს, ე. ი. თავისუფლებას ნურაფერში ჰბორკავთ, — მანჩესტერელთა (იხ.) მოქმედების ძირითადი საფუძველი.

**Lagrimabile, lagrimando, lagrimoso, lamentabile. lamentevole lametoso**, მუსიკაში. მდურვით, ტირილით.

**Languendo, languente**, მუსიკ.: 1, მინაზებით, სულისკვეთებით; 2, ბგერათა გაჭიანურებით, მოძრაობის შეფერხებით.

**La vertu sans argent est un meuble inutile**, ფრ., სათნოება უფულოდ უსარგებლო ავეჯია.

**Lapsus calami**, ლათ., უნებლიეთი შეცდომა მართლწერაში; ბორძიკი აეტორისა, „აფუ მე"; სხვათა ცნობათა გადმოცემის დროს ფაქტიური შეცდომა.

**Lapsus linguae**, ლათ., შეცდომა ლაპარაკში ანუ რაიმე ცნობის გადმოცემის დროს, წამოყრანტალება.

**Largo**, მუსიკ.: სრულად, გაგრძელებით; **L. bi molto** — Largo-ზე მძიმედ; **L. ma non troppo** — არც აგრე გაგრძელებით; **L. un poco** — ცოტა გაგრძელებით.

**L'argent n'a pas de maître**, ფრ., ფულს ბატონი არ ჰყავს, — ე. ი. ვისაც ფული აქვს—ბატონიც ისაა.

**L'argant tu n'est pas Dieu, me tu es un peu plus que Dieu!**, ფულო, ღმერთი არა ხარ, მაგრამ ღმერთზე მეტი კი შეგიძლიან.

**La Déclaration des droits de l'homme et du citoyen**, ფრ., აღიარება ადამიანის და მოქალაქის უფლებათა, იხ. დეკლარაცია (1).

**La nation une, indivisible** — ერი ერთი — განუყოფელი.

**Lazzaroni**, იტ., ბოგანო, უსახლკარო; ნეაპოლის დაბალი ხალხის ზიზღით მოსახსენები წოდება.

**Lasciate ogni speranza voi ch'entrate**, იტ., „აქ შემომსვლელო, იმედი გადიწყვიტე!" [ჯოჯოხეთის კარიბჭის წარწერა დანტეს (1265—1321) „ღვთაებრივი კომედი"-ით].

**Last but not least**, ინგ., უკანასკნელი, ხოლო არა უმცირესი.

**Légion d'honneur**, ფრ., საპატიო ლეგიონის ორდენი საფრანგეთში (ნაპოლეონ I-ის მიერ შემოღებული, სამოქალაქო და სამხედრო დამსახურებულ პირთა დასაჯილდოვებლად).

**Leggeramante, leggiermente**, მუსიკ., სუბუქად და ცოცხლად.

**Leggerezza, con legerezza**, მუსიკ.: სისუმბუქითა და სიცოცხლიანობით.

**Leitmotiv** — იხ. ლეიტმოტივი.

**Leno**, მუსიკ.: უძლურად, სუსტად, უფერულად.

**Lentamente**, მუსიკ.: მძიმედ, წყნარად.

**Lentando**, მუსიკ.: შეგვიანებით.

**Lento**, მუსიკ..: ძლიერ წყნარად.

**Le roi régne et ne gouverne pas**, ფრ., მეფე მეფობს, კი არ განაგებს (ისეთი ქვეყნების მეფეთა დასახასიათებლად, სადაც მეფე სახელით არის, სამეფოს ნამდვილად ხალხის წარმომადგენლები განაგებენ).

**Lesso**, მუსიკ.: ულონოდ, სუსტად, მქრალად.

**Lesto**, მუსიკ.: ჩქარა; **L. lesto**—უაღრესად ჩქარა.

**Le style — c'est l'homme**, ფრ., სიტყვა თვით ადამიანია, — კაცი ლექსით გამოიხატება, სიტყვაში ჩამოიქნება ადამიანის ხასიათი.

**L'état — c'est moi**, ფრ., „სახელმწიფო—მე ვარ!" — ლიუდოვიკო XIV-ის (1638—1715) მიერ წარმოთქმული სიტყვები. (თვითმპყრობელი მეფის თვითნებობისა და მტარვალობის გამომხატველი).

**Lettres de cachet**, ფრ., დაბეჭდილი ბრძანებები, — საიდუმლო ბრძანება დაპატიმრების, გაძევების ან გადასახლების შესახებ გაუსამართლებლად საფრანგეთის რევოლუციის დაწყებამდე (1789 წ.).

**Lex**, ლათ., კანონი.

**Lex nature**, ლათ., ბუნების შჯული.

**Liberalium artium magister**, ლათ., თავისუფალ ხელოვნებათა და მხატვრობის მაგისტრი (იხილე).

**Liberté, fratérnité, égalité**, ფრ., „თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა", საფრანგეთის 1789 წ. რესპუბლიკელთა (იხ.) დროშის წარწერა, ახლანდელი რესპუბლიკის (საფრანგეთის) სახელმწიფო დევიზი.

**Liberum veto**, ლათ., „თავისუფალი აკრძალვა", — პოლონეთის სეიმის წევრთა (შლიახტის, იხ.) უფლება, რომლის წარმოთქმითაც ჰბორკავდენ ან აუქმებდენ კრების დადგენილებას.

**Liberum arbitrum**, ლათ., თავისუფალი ნებით, საკუთარი შეხედულებით.

**Littera scripta manet**, ლათ., რაც კალმით დაიწერება — ცულით ვერ ამოიშლება.

**Limonade gazeuse**, ფრ., გამაგრილებელი შუშხუნა სასმელი, მჟავბადის განმანთავისუფლებელი.

**Live, lievemente**, მუსიკ.: სუბუქად.

**Lirico**, მუსიკ.: ლირიული, საზეიმო.

**Lictissimo,** მუსიკ.: ძლიერ მხიარულად, ცოცხლად.

**Litterae non crubescunt,** ლათ., ქაღალდი ყველაფერს იტანს.

**Licentia poëtica,** ლათ., პოეტური თავისუფლება. (იხ. ლიცენცია, 3).

**Loci communes,** ლათ., ადვილად დასახსომებელი.

**Loco citato,** ლათ., ხსნებულს წიგნში ანუ ადგილას.

**L'union fait la force,** ფრ., ძალა ერთობაშია.

**Lugubre,** მუსიკ.: მწუხარედ.

## M

**Madame, Mademoiselle, M-lee** — იხ მადამ.

**Maestro,** იტ., 1, მასწავლებელი (განსაკუთრებით მუსიკისა); საუცხოო მუსიკოსი; 2, დახელოვნებული ოსტატი.

**Maëstoso,** იტ., დიდებულად, საზეიმოდ.

**Magister dixi,** ლათ., „მასწავლებელმა სთქვა", „მოძლეარმა ბრძანა", — საშუალო საუკუნეთა სწავლულთ დასამტკიცებელი საბუთი.

**Magna Charta libertatum,** ლათ., სახელმწიფოს მართვის ძირითადი წესდება (დებულება). ინგლისის მეფის იოანე უმიწაწყლოს მიერ 1205 წ. ბოძებული სიგელი, რომელიც განსაზღვრავდა ხელისუფლების კომპეტენციას ქვეშევრდომთა მიმართ.

**Maman,** ფრ., დედა, დედილო, დედიკო.

**Ma chère,** ფრ., ჩემო ძვირფასო.

**Maître,** ფრ., მასწავლებელი. უფალი.

**Maître-d'hôtel,** ფრ., სახლთუხუცესი. იხ. მეტრდოტელი.

**Manumissio,** ლათ., მონათა განთავისუფლების სიგელი.

**Manu militari,** ლათ., შეიარაღებულის ხელით.

**Manu propria,** ლათ., თვითნებობით, თავის ძალით.

**Manus manum lavat,** ლათ., ხელი ხელსა ჰბანს.

**Mariage d'amour,** ფრ., სიყვარულით ქორწინება.

**Mariage de raison,** ფრ., ანგარიშით ქორწინება.

**Martellato martellare,** მუსიკ.: ყოველი ნოტის ჩამონაკვეთით დაკვრა, მტკიცედ ჩამოყალიბება.

**Mater dolorosa,** ლათ., კათოლიკებში: მწუხარე ღვთისმშობლის გამოხატულება; მწუხარე ღვთისმშობელი; მწუხარე დედა.

**Mauvais genre,** ფრ., ცუდი ყოფა-ქცევა, ცუდი გემოვნება.

**Maximum**—იხ. მაქსიმუმი.

**Mea culpa, mea maxima culpa,** ლათ., ჩემი ცოდვა — ჩემი უდიდესი ცოდვაა.

**Medice, cura te ipsum,** ლათ., მკურნალო თვითონ განიკურნე.

**Melodiosamente, melodioso,** მუსიკ.: გალობით, საამოდ, კეთილხმოვანად.

**Memento mori,** ლათ., გახსოვდეს სიკვდილი.

**Meno,** მუს.: ნაკლებ, მაგ. Meno mosso — მძიმედ, ნაკლები სისწრაფით, ვიდრე ადრე; M. presto — ნაკლები სიჩქარით, M. forte — ნაკლები სიძლიერით; ხოლო მძიმე ანუ სუსტი დაკვრის დროს უკუბრუნვითი მნიშვნელობა აქვს: M. piano — არც ეგრე სუსტად, წყნარად, როგორც ადრე.

**Mens sana in corpore sano,** ლათ., სალი ჰკუა — სალ სხეულშია.

**Menu,** ფრ., საჭმელ-სასმელთა ნუსხა (სასადილოში ან საპატიო ნადიმებზე).

**Merçi,** ფრ., გმადლობთ.

**Messa voce** ანუ **messa di voce,** მუსიკ.: გაბმითი სიმღერა piano-დან დაწყებული forte-მდე მისვლა და piano-თი დამთავრება.

**Messieurs,** ფრ., ბატონებო, მოწყალეო ხელმწიფენო!

**Mezza-voce,** იტ., მუსიკ.: ნახევარი ხმით სიმღერა.

**Mezzo-soprano** — იხ. მეცო-სოპრანო.

**Mise en scène**, ფრ., დადგმა (პიესისა სცენაზე).

**Minimum** — იხ. მინიმუმი.

**Modus in rebus est; est modus in rebus**, ლათ., ნივთიერებათა შორის ზომიერება, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ე. ი. საქციელი, სიტყვა და სხვ. გარემოებას შეუთანხმე, ყოველივეში ზომიერება დაიცე, გონიერება გამოიჩინე.

**Modus vivendi**, ლათ., შეთანხმება კამათის დროებით მისაყუჩებლად, ცხოვრების წესი.

**Monsieur**, ფრ., ძველად: საფრანგეთის მეფის უფროსი ძმის წოდება, ახლა: ყველა მოქალაქისადმი მისამართი სიტყვა—„ბატონო".

**Mon cher**, ფრ., საყვარელო, ძვირფასო, — ჩემო ძვირფასო!

**Moral insanity**, ინგ., ზნეობრივი შეშლილობა.

**Morendo**, მუსიკ.: მიმკვდარებით, ე. ი. ხმის თანდათანობითი დაკლება, მიმკვდარება საბოლოოდ დასრულებამდე.

**Morituri te salutant** — „შენ მოგესალმებიან სასიკვდილოდ დასჯილნი", — რომაელ გლადიატორთა სიტყვები, რომლებსაც წარმოსთქვამდენ ხოლმე ბრძოლის დაწყებამდე მეფის ლოჟასთან გავლის დროს.

**Multum, non multa**, ლათ., ბევრი, არა ბევრნი (ე. ი. საქმე სიმრავლეში კი არა, ღირსებაშია).

**Mundus volt decipi, ergo decipiatur**, ლათ., ქვეყანას სურს მოტყუება, მაშინ, დაე მოტყუვდეს.

**Mutatis mutandis**, ლათ., „შეიცვალოს რაც უნდა შეიცვალოს", ე. ი. აუცილებელ ცვლილებათა შემდეგ.

**Mutato nomine de te fabula, narratur** ლათ., სხვა სახელით საკუთრივ შენზეა ლაპარაკი.

# N

**N** — 1) იხ. Nord; 2) ქიმიური ნიშანი აზოტისა (იხ.); 3) ვაჭრობაში — Netto (იხ. ნეტო).

**NN** — „ვილაც", — სწერენ, როცა უცნობ პირზე ლაპარაკობენ, არ სურთ სახელითახსენონ.

**Nascuntur poetae, fiunt oratores**, ლათ., მგოსანი იბადება, — მჭევრმეტყველი განისწავლება.

**Nature morte**, ფრ., „მკვდარი ბუნების" (ხორცის, ხილის, დახოცილ ფრინველის და სხ.) მხატვრობა.

**Natura non facit saltum**, ლათ., ბუნებამ ნახტომი არ იცის, — ყოველივე თანდათანობით ვითარდება.

**Naturale, naturalmente, con naturalezza**, მუსიკ.: ბუნებრივად, სადათ, უბრალოდ.

**NE** — ჩრდილო-აღმოსავლეთის და ჩრდ.-აღმ. ქარის მაჩვენებელი ნიშანი.

**Nec plus ultra**, ლათ., უკიდურეს საზღვრამდე, უმწვერვალესობამდე.

**Nemo**, ლათ., არავინ.

**Netto** — იხ. ნეტო.

**Nervus probandi**, ლათ., მთავარი ამძვრელი მიზეზი.

**Nihil humani a me alienum puto** — იხ. Homo sum და სხ.

**Nil novi sub sole**, ლათ., მზის ქვეშეთ ახალი არაფერია.

**Nil admirari**, ლათ. „არაფერი გაგვიკვირდეს" (მიზანი, რომელსაც, ვითომც, პითაგორე, 580 — 500 წ. ქ. უწ., ესწრაფებოდა).

**Nihil**, ლათ., არაფერი.

**Negligente, — mente**, მუსიკ.: უხალისოდ, უნდილად.

**Noblesse oblige**, ფრ., კეთილშობილება გვავალებს, ე. ი. უმაღლესი მდგომარეობა განსაკუთრებულ მოვალეობასაც გვაკისრებს.

**Nolens volens**, ლათ., ძალა-უნებურად, გინდა თუ არა.

**Noli me tangere**, ლათ., 1, ნუ მახლებ ხელსა (მიმოზა, იხ.); 2, გრძნობიერი ადგილი, გარემოება, რომელსაც არ უნდა შეეხონ.

**Nomina sunt odiosa**, ლათ., „სახელები გვძაგს", — არ უნდა ვახსენოთ მათი სახელები, ვისზედაც რაიმე ცუდს ლაპარაკობენ.

**Non bis in idem**, ლათ., 1, არ შეიძლება ერთსა და იმავე მდგომარეობაში ორგზის ყოფნა (ბერძენთა ფილოსოფოსის ჰერაკლიტეს, V საუკ. ქრ. უწ., სწავლა); 2, ერთისა და იმავე დანაშაულისათვის კაცს ორჯერ არ ასამართლებენ.

**Non multa, sed multum**, ლათ., ბევრნი არა, ბევრი რიცხვით ცოტა, ღირსებით ბევრი (ე. ი. ბევრს რამეს ნუ მოჰკიდებ ხელს, რასაც დაიწყებ — კარგად გააკეთე; სწავლის დროს: ბევრ საგანს ნუ მოეკიდები, რასაც ასწავლი — კარგად ასწავლე; ცოტა იყოს და კარგი); მცირე სიტყვებით ბევრია ნათქვამი.

**Nonsens**, ლათ., უაზრობა.

**Non omnia possumus omnes**, ლათ., ყველას ყველაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან.

**Non possumus**, ლათ., არ შეგვიძლიან (გადაწყვეტილი უარი).

**Non plvs ultra** — იხ. **Nec plus ultra**.

**Nord, N** — ჩრდილოეთი, ჩრდილოეთის ქარი.

**Nord-west, NW** — ჩრდილო-დასავლეთი; ჩრდილო-დასავლეთის ქარი.

**Nosce te ipsum**, ლათ., იცან თავი შენი.

**Nota bene, N B, N. b.** ლათ., კარგად შენიშნე, — წერილის ამა თუ იმ ადგილას მინაწერი, როცა სურთ დანიშნულ ადგილს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეინონ.

**Notre Dame**, ფრ., ჩვენი ქალბატონი, — ღვთისმშობლის და მის სახელობის ეკლესიების წოდება კათოლიკებში.

**Nulla regula sine exceptione**, ლათ. ანდაზა: უგამონაკლისო არ არის წესი.

**Nulla dies sine linea**, ლათ., არც ერთი დღე უმეცადინოდ (ე. ი. არც ერთი დღე არ მოსცდე).

**Nul! terre sans seigneur**, ფრ., არ არის მიწა უბატონოდ, ე. ი. ყოველ მიწას ვინმე ჰფლობს.

**NW** — ჩრდილო-დასავლეთის მხრისა და ქარის მაჩვენებელი ნიშანი.

## O

**O** — ქიმიაში: მჟავბადის ნიშანი; გეოგრაფიაში, მეზღვაურთ ენით: აღმოსავლეთი, აღმოსავლეთის ქარი (**ost**).

**Oderiant dum meturant**, ლათ., „ვძულდე, ოღონდ, ეშინოდეთ!" (გერმანიის ყოფ. იმპერატორის ვილჰელმ II-ის წარწერა საკუთარ სურათზე).

**Odi profanum vulgus**, ლათ., მძაგს გაუნათლებელი ბრბო (ჰორაციუსის ლექსიდან).

**Obsequium amicos, veritas obium parit** ლათ., პირმოთნეობა ჰქმნის მეგობრებს, სიმართლე — მტრებს.

**Oleum et operam perdidi**, ლათ., ქონი და დრო დავკარგე (ე. ი. ეაი რა ტყუილად ვიშრომე!).

**Omnia vivum esse ovo**, ლათ., ყველა ცოცხალი კვერცხიდან გამოვიდა.

**Omnia in majorem Dei gloriam**, ლათ., „ყოველივე ღვთის სადიდებლად!"

**Omnia mea mecum porto**, ლათ., „ყოველივე ჩემი თან დამაქვს!" [ბრძენ ბიასის მიერ წარმოთქმული სპარსთაგან გაქცევის ჟამს, იმ აზრით, რომ ყოველი თავისი გონებითი და ზნეობითი ღირსება თან მიჰქონდა]; კაცს შინაგანი ღირსება თან ახლავს, ვერ წაერთმევა.

**Opera et studio**, ლათ., შრომითა და მეცადინეობით.

**Ora et labora**, ლათ., ილოცე და იშრომე.

**Ordre de bataille**, ფრ., ბრძოლის წესი, ბრძანება.

**O sancta simplicitas!** ლათ., ოჰ, წმიდაო უბრალოებავ! (ჰუსის (იხ.) მიერ წარმოთქმული მანდილოსნის დანახვის დროს, რომელმაც გულმოდგინების ნიშნად მთელი შეკვრა შეშა მოიტანა კოცონის შესაკეთებლად, რომელზედაც ჰუსს სწვავდენ).

**Ost** — იხ. **O**.

**O, tempora, o mores!** ლათ., ოჰ დროებანი, ოჰ, ზნეობანი!

# P

P — იტ. მუსიკ.: piano; pp — pianissimo; P. a. — ლათ. per annum ან pro anno — ყოველწლიურად; P. c. — (გერმანელებში, ფრანგებში და სხ.): ვაჭრობაში /— პროცენტი, P (ანუ Ph) — ქიმიაში: ფოსფორის ნიშანი: Pb — კალისა, Pd — პალლადის, Pt — პლატინის; Ps — Pinx — ძველებურ სურათებზე, გრავიურებზე (იხ.) და სხ. ნიშნავს „დახატა" (მიეწერება დამხატავის ვინაობა).

**Pactolus tibi fluat**, ლათ., მუდმისად მდინარებს შენთვის ბედნიერების წყარო.

**Panem et circenses**, ლათ., პური და გასართობი (ძველი რომის ხალხის მოთხოვნილება, მეფისადმი შეძახილი).

**Pardon**, ფრ., უკაცრავად! მომიტევეთ! მაპატიეთ!

**Pari, al pari** — ფასიანი ქაღალდის კურსი ბირჟაზე, როცა მისი საბირჟო ფასი ნომინალურს უდრის.

**Par excellence** — უმეტესად, უარესად.

**Par exemple** — მაგალითად.

**Parole d,honneur**, ფრ., პატიოსანი სიტყვა.

**Parvenu**, ფრან., უთვისტომო, მეტიჩარა.

**Pars pro toto** — ნაწილი მთელის მაგიერ.

**Partie de plasir**, ფრ., სამხიარულო გასეირნება, გამგზავრება.

**Partitio**, მუსიკ.: ხმათაებრ განაწილება.

**Pas de deux**, ფრ., წყვილის პა (ორთა ცეკვა ანუ განსაკუთრებული შემოტრიალება).

**Pas de trois**, ფრ., სამთა პა (იხ.).

**Pas seul**, ფრ., ერთის ცეკვა (ბალეტში ან სასცენო ცეკვაში).

**Passionato**, მუსიკ.: ვნებით, გრძნობით.

**Pater familias**, ლათ., ოჯახის მამა.

**Патронов не жалеть**, რუს., პატრონები არ დაიშუროთ! — რუსეთის დიქტატორის, გენ. დ. ტრეპოვის მიერ ნათქვამი 1905 წ. ოქტომბრის დიდი გაფიცვის დროს განმანთავისუფლებელ მოძრაობის მონაწილეთა დასათრგუნავად.

**Pectus facit theologum**, ლათ., ღვთისმეტყველს გული ჰქმნის, ე. ი. კაცი ღვთისმეტყველად რწმენით შეიქმნება.

**Per occasionem**, ლათ., შემთხვევით.

**Per pedes Apostolorum**, ლათ., მოციქულთა გზით, მაგალითებრ.

**Pérsona grata**, ლათ., დამსახურებული, საზოგადოებაში ცნობილი პირი.

**Per fas et nefas** — უკეთური თუ კეთილი საშუალებით.

**Perpetuum mobile**, ლათ., საუკუნო, შეუჩერებლივ მოძრავი მანქანა.

**Per se**, ლათ., თავისთავად.

**Petitio principii**, ლათ., დასკვნა მისი, რაც ჯერ კიდევ დასამტკიცებელია.

**Pia desideria**, ლათ., კეთილი სურვილნი.

**Piano** — იხ. პიანო.

**Pianissimo** — იხ. პიანისიმო.

**Piéce-á-tiroir**, ფრ., 1) გამოსაწევი უჯრა; 2) დაქსაქსული დრამატიული ნაწარმოები, რომელშიაც უფრო დიდი ყურადღება მიქცეული აქვს ცალკე სცენების განვითარებას, ვიდრე მოქმედების მთლიანობას.

**Plenus venter non studet libenter**, ლათ., მაძღარ კუჭს სწავლა არ ეკარება.

**Post hominum memoriam**, ლათ., უხსოვარ დროიდან.

**Post nubella Phebus**, ლათ., ბურუსის შემდეგ მზე კაშკაშებს, წვიმის შემდეგ — გამოიდარებს.

**Post hoc, ergo propter hoc**, ლათ., ამის შემდეგ საჭიროა, ამის გამო (წინასწარი მოვლენის უკანასკნელის მიზეზად მიჩნევა).

**Post factum**, ლათ., მას შემდეგ რაც შემთხვევა მოხდა; ნაგვიანებზე.

**Post scriptum, P. S.**, იხ. პოსტსკრიპტუმი.

**Pour le roi, pur la patrie**, ფრ., მეფისა და სამშობლოსათვის.

**Pour passer le temps**, ფრანგ., დროების გასატარებლად.

**P. P. S.** ანუ **PPS** — პოლონეთის სოციალისტური პარტია.

**Primo ocupanti**, ლათ., პირველ მფლობელობის უფლება.

**Primus vivere, deinde philosophari,** ლათ., ჯერ ცხოვრება, მერე ბრძნობა.

**Primus esse, dum philosophari,** ლათ. ჯერ უნდა ვჭამო, მერე ვიფილოსოფოსო (სენეკას მიერ თქმული).

**Primus inter pares,** ლათ., პირველი თანასწორთა შორის.

**Principium rationis sufficientis,** ლათ., ლოღიკაში: საკმაო საფუძვლიანობის პრინციპი.

**Prix fixe,** ფრ., უვაჭრელად, ფასგადაკვეთით, ფასდაუკლებლად.

**Pro aris et focis,** ლათ., ვიბრძოლოთ საკურთხევლისა და კერისათვის, ე. ი. მამულისათვის.

**Pro domo sua,** ლათ., შინაურობაში, თავის ოჯახისათვის, საკუთარი თავისა და საქმის დასაცავად.

**Pro domo** — სათავისოდ, სათავისახლოდ.

**Proximus est sibi quisque; proximus sum egomet mihi,** ლათ., თავისი პერანგი ტანზე ახლოა.

**Profession de foi** — რწმენის აღსარება, საკუთარი აზრ-შეხედულების ახსნა-გადაცემა.

**Pro forma,** ლათ., შესახედავად, ზრდილობის დასაცავად.

**Pro memoria** — სამახსოვროდ.

**Pro pauperos** — ღარიბთათვის.

**Point d'honneur,** ფრ., პატიოსნობის შესახები საქმე; პატიოსნობის საკითხი.

## Q

**Qualis rex, talis grex,** ლათ., როგორიც მწყემსი, ისეთი ფარა (ე. ი. როგორიც ბერი, ისეთი ერი).

**Qui vivra verra,** ფრ., ვინც იცოცხლებს — ნახავს.

**Qui pro quo,** ლათ., არეულობა, ახვლანჯულ-დახვლანჯულობა; გაუგებრობა, ერთი მეორის ადგილას.

**Qui terre a, guerre a,** ფრანგ., ვისაც მიწა აქვს — ომიც აქვს.

**Quod erat demonstrandum,** ლათ., რაც უნდა დაგვემტკიცებინა.

**Quod licet bovi, non licet Jovi,** ლათ., რაც ხარს შეჰფერის, იუპიტერს არ შეშვენის.

**Quousque tandem,** ლათ., როდემდის! ანუ „როდემდის იბოროტმოქმედებ ჩვენის მოთმინებით?“ (ციცერონის მიერ შეძახილი კატილინის მიმართ).

**Quo vadis?** ლათ., ვიდრე ხვალ?

**Quos vult perdere Jupiter dementat prius,** ლათ., ვის დასჯასაც იუპიტერი მოინდომებს, ჯერ გონებას წაართმევს (ე. ი. კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, უმალ ჭკუა გაუქრება).

**Quos ego!** ლათ., აი, თქვენა! (მრისხანე შეძახილი ნეპტუნოსისა ქართა მიმართ, რომელნიც მისი სურვილის წინააღმდეგ გამძაფრდენ).

**Quod capita, tot sensus,** ლათ., რამდენიც თავია — იმდენი ჭკუა; რაც თავია — ის ჭკუა.

## R

**Raddolcendo,** მუსიკ.: შერბილებით, დატკბობით.

**Raddbato,** მუსიკ., გაორკეცებით.

**Rallentando,** მუსიკ., შეგვიანებით, ცოტცოტა, ნელნელა, მძიმემძიმედ.

**Rapiadamente, rapido,** მუსიკ.: ჩქარა, სწრაფად.

**Rattenendo, rattenuto,** მუსიკ., დაყოვნებით, შეკავებით.

**Res ipsa loquitur** — საქმე თვით ლაპარაკობს.

**Reservatio mentalis,** ლათ., აზროვნული შესწორება ფიცის დროს, როცა მოფიცარი სიტყვით ერთს ამბობს, გულში, აზრით-კი მის საწინააღმდეგოს გაივლებს, (მაგ., მკვლელს ეკითხებიან: „შენ მოჰკალ თუ არა ეს კაცი?“ —

არა, არ მომიკლავს, გულში კი უმატებს: არ მომიკლავს მის დაბადებამდე).

**Raison d'être**, ფრ., საბუთი არსებობისა, — საფუძველი, აზრი არსებობისათვის; რომელიმე მოვლენის საკმაო საბუთი.

**Reductio ad absurdum**, ლათ., წინააღმდეგობის საშუალებით დამტკიცება, უმართებულო დასკვნამდე მიყვანა, სისულელემდე მისვლა.

**Requiescat in pace**, ლათ., დაე, განისვენოს მშვიდობით.

**Rendez-vous**, ფრ., იხ. რანდევუ.

**Reform bill**, ინგ., ცვლილების მომხდენი კანონ-პროექტი.

**Repetitio est mater studiorum**, ლათ., განმეორება დედაა სწავლისა, ე. ი. სწავლა შეიძინება ხშირი განმეორებით.

**Res nullius cedit primo ocupanti**, ლათ.. უპატრონო საქონელი მისია, ვინც პირველად დაეპატრონება.

**Respublica**, ლათ., სახელმწიფო, საზოგადო საქმე.

**Rex**, ლათ., მეფე, ხელმწიფე.

**Rira bien qui, rira le dernier**, ფრანგ., კარგად ის გაიცინებს, ვინც ბოლოს გაიცინებს.

**Risum teneatis, amici!** ლათ., შეიკავეთ სიცილი, მეგობრებო! — მკითხველის ანუ მსმენელისადმი მიმართვა საყურადღებო, მაგრამ სასაცილოდ ასაღებ საქმის, მოვლენის და სხ. შესახებ.

**Rule Britannia**, ინგ., იბატონე ბრიტანიავ! — ინგლისელთა ეროვნული სიმღერა, რომლის დასამღერელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: rule Britannia, Britannia rule the waves! Britons never shall be slaves — იბატონე ბრიტანიავ, ბრიტანიავ იუფლე ზღვები! ბრიტანელნი არ ოდეს არ იქნებიან მონები.

# S

S — სამხრეთი, სამხრეთის ქარის ნიშანი; saint, sanctus — წმიდა; ქიმიაში — S — გოგირდის ნიშანი; sb — სტიბია (?); მუსიკაში — S — solo ანუ segno (ნიშანი S)=dal S — ნიშნიდან S, als — ნიშნამდე s.

**Savoir-faire**, ფრ., საქმის გაკეთების უნარი.

**Savoir-vivre**, ფრ., ცხოვრების უნარი, ადამიანებთან ურთიერთობის ხერხი.

**Salve**, ლათ., 1) სალამი! გიხაროდენ! კეთილი მობრძანება! (ძვ. რომაელებში, — და ახლაც სხვა ხალხთა შორის, — მისასალმებელი წარწერა კარიბჭეზე, შესავალში, იატაკზე და სხ.); 2) სალვთისმსახურო ლოცვა კათოლიკებში.

**Salus publica — Suprema lex**, ლათ., საზოგადოებრივი კეთილდღეობა — უმაღლესი კანონია.

**Sanctum sanctorum**, ლათ., წმიდათა წმიდა.

**Sans façon**, ფრ., უთავაზოდ, უზრდელად, უმართებულოდ, დაურიდებლად.

**Sans phrases**, ფრ., სადათ, ულოყროდ.

**Sapienti sat**, ლათ., ჭკვიანი მიხვდება, ჭკვიანისთვის კმარა.

**Sauve qui peut!** ფრანგ., „ვისაც შეგიძლიან — თავს უშველე!"

SE — სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარის და მხრის მაჩვენებელი ნიშანი.

**Semper idem**, ლათ., ყოველთვის იგივე.

**Se non è vero, è ben trovato**, იტ., ეს თუ მართალი არ არის, კარგად ხოა მოგონილი, — ჯორდანო ბრუნოს (იხ.) მიერ ნათქვამი.

**Si vis pacem, para bellum**, ლათ., თუ მშვიდობა გსურს, ომისათვის მზად იყავ.

**Sic**, ლათ, ასე, აგრე! (ამ სიტყვით, ფრჩხილებში, შეცდომაზე ანუ ნაწერიდან მოყვანილ ადგილთა შეუსაბამობაზე მიუთითებენ ხოლმე.

**Sic transit gloria mundi**, ლათ., ასე მიდის ქვეყნიური დიდება (ლათინთა საგალობელი პაპის კურთხევის დროს, — ამავე დროს ძენძს სწვავენ).

**Sic volo, sic jubeo**, ასე მსურს, ასე გიბრძანებ, ე. ი. ჩემი ნება ყველაზე უმაღლესია.

**Sic vos, non vobis,** ლათ., ასე თქვენ არა თქვენთვის, ასე შრომობთ, მაგრამ არა თქვენთვის! — ეტყვიან იმ ადამიანებს, რომლებიც შრომობენ, მაგრამ მათი ნაშრომის ნაყოფი, სახელი და დიდება, სხვებსა ჰხვდება.

**Similia similibus curantur,** ლათ., მსგავსი მსგავსით იკურნება! (ე. ი. რაიც ავადმყოფობას აღძრავს, იგივე ჰკურნავს, — ჰომეოპატიის (იხ.) საფუძველი.

**Sine ira et studio,** ლათ., გაურისხებლად და მიუკერძებლად.

**Sine qua non,** ლათ., ურომლისოდაც არ შეიძლება (მაგ. პირობა, რომლის უქონლადაც არ შეიძლება იოლას წავიდეთ).

**Sint ut sunt, aut non sint,** ლათ., დაე, აგრე იყოს ან სულაც ნუ იქნება (სურვილი — ერთხელვე დადგენილი წესი და ხასიათი არ შეიცვალოს).

**Sit pro ratione voluntas,** ლათ., რომაელთა სატირიკოსის იუვენალის (60 — 130 წ.) ლექსის ნაწყვეტი: „იყავ ნება ჩემი გონებისა მაგიერ", რომელიც გამოხატავს ძლიერ ნებისყოფას, რაიც არავითარ წინააღმდეგობას არ ურიგდება.

**Smania, con smania, smanioso,** მუსიკ., შმაგად, ძლიერად და სისწრაფით.

**Smorzando,** მუსიკ., ხმის თანდათანი ჩანელება. რომ დაბოლოს სრულიად აღარ განისმოდეს.

**Snellamente, con snellezza,** მუსიკ., ცქვიტად, ცოცხლად და მკაფიოდ, წმინდათ.

**Soave, — vemente,** მუსიკ., რბილად, საამოდ, ნაზად.

**Soit-disant,** ფრ. ეგრედწოდებული (ე. წ.), საეგებიო.

**Sordamente,** მუსიკ., ყრუდ.

**Sospirando,-rante, to sospirevolle,** მუსიკ., სულთქმით, ამოოხვრით.

**Spirito, con spirito,** მუსიკ., ფიცხად, აღფრთოვანებით და ძალუმად.

**St** იგივე **sanctus** — წმიდანი.

**Standard,** ინგ., დროშა (ინგლისურ სახელგანთქმულ გაზეთის წოდება).

**Standart of Life,** ინგ., ცხოვრების დონე, —ის უკიდურესი მოთხოვნილებანი, რომლით დაკმაყოფილებაც აუცილებელია ადამიანის სულიერ-ხორციელ ძალღონისა და კულტურულ მდგომარეობის უწყებულ დონეზე შენარჩუნებისათვის.

**Status** — მდგომარეობა, გარემოება.

**Status quo ante,** ლათ., „მდგომარეობა, რომელშიაც საქმე იმყოფებოდა წინად", წინანდელი მდგომარეობა, — წინად არსებული მდგომარეობის დაბრუნება (იტყვიან, როცა ჰსურთ გამოხატონ დაბრუნება მდგომარეობისა, რომელიც იყო რაიმე დიდი მოვლენის — ომის, რევოლუციის და სხ. უწინ).

**Status in status,** ლათ., სახელმწიფო სახელმწიფოში. (წრესგასული, განუსაზღვრელი, დამოუკიდებლობა რომელიმე წოდების, სამეურნეო მართველობის ანუ სახელმწიფოს რომელიმე ნაწილის).

**Struggle for life,** ინგ., ბრძოლა არსებობისათვის.

**Sturm und Drang,** გერმ., ქარიშხალი და მიწოლა.

**Sol lucit omnubus,** ლათ., მზე ყველას უნათებს („დიდთა და მცირეთ მზე სწორედ მოეფინების").

**Sub specie aeternitatis,** ლათ., მარადისობის თვალთახედვით.

**Sui generis,** ლათ., თავისებური, თავისგვარი.

**Summum jus, summa injuria,** ლათ., ბევრია სასამართლო, ბევრია უსამართლობაც, ანუ: უკიდურესი კანონიერება — უდიდესი უსამართლობაა (ე. ი. თუ კანონს სიტყვა-სიტყვით უკიდურესობამდე მივყევით უდიდეს უსამართლობას მივახწევთ).

**Suum cuimque,** ლათ., ყველას თავისი.

**Souffre douleur,** ფრ., ადამიანი, რომელსაც უძნელესი სამუშაო აწევს თავზე, მასხარად აგდებული, დაბრიყვებული.

**Sttoggiando,** მუსიკ.. დიდებულად, ბრწყინვალედ.

**Sforzo, con sforzo,** იტ., ძლიერად და გაბედვით.

**Succès de vogue**, ფრ., ბრწყინვალე გამარჯვება.

**Suffrage universell**, ფრ., საყოველთაო ხმის მიწოდება; საყოველთაო არჩევნები.

**Succès d'éstime**, ფრ., პირობითი გამარჯვება, — როცა ნაწარმოებს იწონებენ არა მისი ღირსებისათვის, არამედ მისი ავტორის წინანდელი დამსახურებისათვის.

# T

**T** — 1) ვაჭრობაში — ტარა (იხ.); 2) მუსიკაში — ტენორი (იხ.).

**Table d'hôte**, ფრ., საზოგადო სასადილო მაგიდა სასტუმროებში.

**Tabula rasa**, ლათ., იგავურად იტყვიან: წმინდა ფიცარი, სუფთა ფურცელი, რაზედაც რაც გვინდა დაეწერავთ. აქედან: წმინდა სული ბავშისა, ადვილად მოსაზნექ-ალსაზრდელი, რომელსაც ღაბადებით არავითარი თანდაყოლილი წარმოდგენანი არა აქვს და მათ იძენს ნელ-ნელა, გარეგან შთაბეჭდილებათა გზით.

**Taedium vitae**, ლათ., სიცოცხლის ზიზღი.

**Tacitu consensu**, ლათ., ჩუმი თანხმობით.

**Tamen est laudanda — voluntas**, ლათ., თავისუფლება ხოტბაზე (ქებაზე) ღირსეულია.

**Tel est notre plaisir** ანუ **Car tel est notre bon plaisir**, ფრ., „ასეთია სურვილი ჩვენი, ასეთია ნება ჩვენი", — მეფის ბრძანებათა დამამტკიცებელი დებულება საფრანგეთში დიდ რევოლუციამდე (1789 წ.).

**Tempestoso, temetoso,-stosamente**, მუსიკ., მქუხარედ, ქარიშხლის მსგავსად.

**Tempi passati**, ლათ. წარსული, წარსულნი დრონი.

**Tempora mutantur et nos mutamur in illio**, ლათ., დრონი იცვლებიან და მასთან ჩვენც ვიცვლებით.

**Tenebroso,-amente**, მუსიკ., საიდუმლოდ, გაურკვევლად.

**Tenero, teneramente, con tenerezza**, მუსიკ., ნაზად, სინაზით.

**Terra incognita**, ლათ., უცნობი მხარე; უცნობი ნაწილი. სრული უცოდინარობა რაიმე დარგში.

**Tertium comparationis**, ლათ., წერტილი შედარებისა, — ის საზოგადო დებულება, რაიც საშუალებას გვაძლევს ურთიერთს შევადაროთ ორი საგანი ან მოვლენა.

**Tertium non datur**, ლათ., „მესამე არ დაიშვება", — სხვა არჩევანი არაა. ითქმის იმ შემთხვევის აღსანიშნავად, როცა ორი მოსაზრება ერთი მეორეს აბათილებს და მესამის ხმარება შეუძლებელია.

**Tertius gaudens**, ლათ., „მესამე მომხიარულე" (ორის ჩხუბში მესამე მოლხინე, რომელიც ერთნაირად სძულს ორივეს).

**Test-act**, ინგ., ფიცის კანონი (1673 წ.), რომლის ძალითაც მოხელენი ფიცს სდებდენ, რომ მათ არა სწამთ წმიდა ნაწილთა არსებობა (შემოღებული იყო კათოლიკეთა განსადევნელად ყოველგვარ სათანამდებო სამსახურიდან).

**Testimonium paupertatis**, ლათ., სიღატაკის მოწმობა, — გადატ. მნიშვნელობით: ჭკუამოკლეობა.

**Tête-à-tète**, ფრ., თვალდათვალ, პირისპირ, მარტოდ-მარტო.

**That is the question**, ინგ., აი საკითხი.

**Tiers-état**, ფრ., მესამე წოდება, — საფრანგეთის რევოლუციის დროს ხალხის ის ნაწილი (გლეხები და მოქალაქენი), რომელიც არც თავადაზნაურობას ეკუთვნოდა, არც სამღვდელოებას (მისგან ბოლოს წარმოსდგა ბურჟუაზია).

**Time is money**, ინგ., დრო — ფულია! (ანდაზა).

**Timeo Danaos et dona ferentes**, ლათ., „მეშინის დანაელთა — თვით საჩუქრის მომტანელთა", ანუ მეშინის დანაელთა მაშინაც კი, ოდესაც საჩუქარს მოგვიტანენ (იხ. დანაელთა საჩუქარი); გადატ. მნიშვნელობით: ერიდე და უფრთხილდი მტერს მაშინაც კი, როცა ვითომ სიკეთესა და სიყვარულს აღმოგიჩენს.

**Times,** ინგ. „დროებანი“, — ინგლისის უგავლენიანესი გაზეთი (ჯონ ვოლტერის მიერ დაარსებული 1783 წ. სათაურით London dialy universel register, ხოლო 1786 წლიდან ახლანდელი სახელით იწოდა).

**Timidamente, timido, con timidita,** მუსიკ., კრძალვით, გაუბედავად.

**Tiré à quatre épingles,** ფრ., მოპრანჭული, გაპარპაშებული (ჩაცმა-დახურვით).

**To be or not to be,** ინგ., „ყოფნა არყოფნა“ (შექსპირის ტრაგედიის „ჰამლეტ“-ის გმირის ჰამლეტის ცნობილი მონოლოგის დაწყებითი სიტყვები).

**Tour à tour,** ფრ., ერთი მეორის მიდევნით რიგზე.

**Tour de-force,** ფრ., ძალდატანება.

**Tout pour le peuple, tout par le peple,** ფრ., ყველაფერი ხალხისთვის, ყოველივე ხალხით.

**Tranquilliamente, trancuillo, con tranquilita,** მუსიკ., მშვიდათ, აუჩქარებლივ.

**Trade mark,** ინგ., საქარხნო ნიშანი.

**Tremando, tremolare, tremolato, tremolo,** მუსიკ., ქრქოლით, ერთის ანუ რამდენიმე ხმის აქრქოლება.

**Tres faciunt collegium,** ლათ., სამნი უკვე საზოგადოებას შეადგენენ.

**Tristemente, con tristezza,** მუსიკ. მწუხარედ, მწუხარებით.

**Truck System,** იხ. ტრუკსისტემა.

**Tu quoque,** ლათ., შენც ეგრე!

**Tu quoque Brutus,** ლათ., შენცა ბრუტუსო! — იულიოს კეისრის (100 — 44 წ. ქრ. წ.) მიერ წარმოთქმული იუნუს ბრუტოსის მიმართ, როცა მოსაკლავად თავდასხმელთა შორის ისიც შენიშნა.

**Tu l'a voulu, George Dandin!,** ფრ., ეს თვით გინდოდა ჟორჟ დანდენ! (ე. ი. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენის თავითაო).

**Tutti quanti,** იტ., და სხვა ყოველივე.

## U

**Ubi bene, ibi patria,** ლათ., სადაც კარგაა— იქაა სამშობლო.

**Ubi lex, ibi poena,** ლათ., სადაც კანონია, იქვეა ჯარიმა.

**Usus est tyranus** — ჩვეულება — მტარვალია (ჩვენებურად—ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია).

**Ultima volte,** მუსიკ., უკანასკნელად.

**Ultima ratio,** ლათ., უკანასკნელი საბუთი, უკიდურესი სახსარი.

**Ungulbus et rostro,** ლათ., ბრჭყალებით და ნისკარტით (ე. ი. ყოველის ღონისძიებით).

**Und der König absolut, wenn er unsern Willen thut,** გერმ., მეფე განუსაზღვრელის უფლებით სარგებლობს, ვიდრე ჩვენს სურვილთ ანებივრებს.

**University Extension,** ინგ., საუნივერსიტეტო ცოდნის გაფართოება. (მისწრაფება, რომ ხალხი უმაღლეს განათლებას ეზიაროს).

**Unitis viribus,** ლათ., შეერთებულის ძალღონით. (შეერთ. შტატების სახელმწიფო დევიზი).

**Uncle Sam,** ინგ., ბიძია სამი, — ჩრ.-ამერიკელთა ხუმრობითი წოდება.

**Unum et idem** — ერთი და იგივე.

**Urbi et orbi,** ლათ., ყველას და ყოველივეს; ყოველ გზა-ჯვარედინზე.

**Ut desint vires, tamen est laudanda voluntas,** ლათ., დაე, ძალღონე ნუ გეყოფა, კეთილი სურვილი ხომ გეპოება“ (რისამე გასამართლებლად).

## V

**Vade in pace**, ლათ., წარვედ მშვიდობით.

**Vae victis!**, ლათ., ვაი დამარცხებულთ!

**Vae mihi**, ლათ., ვაი მე!

**Vale**, ლათ., გამარჯვებით, იყავ მშვიდობით.

**Vanitas vanitatum**, ლათ., ამაო ამაოებათა.

**Vanitas vanitatum et omnia vanitas**, ლათ., ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაო!

**Variété**, ფრ., ნაირფეროვნობა, ნარევი.

**Veni, vidi, vici**, ლათ., მოვედ, ვნახე, ვძლიე! (იულიუს კეისარის სიტყვები მითრიდატ VI შვილის მეფე ფარნაკის დამარცხების შემდეგ რომის სენატისადმი მიწერილი.

**Veto** — იხ. ვეტო.

**Vis-à-vis** — იხ. ვიზავი.

**Viribus unitis**, ლათ., საერთო ძალღონით.

**Vita brevis, ars longa**, ლათ., სიცოცხლე მოკლეა, მეცნიერება გრძელი.

**Vita somnium breve**, ლათ., სიცოცხლე მოკლე სიზმარია.

**Victrix causa diis placuit, sed victa Catoni**, ლათ., ღმერთი გამარჯვებულსა სწყალობს, ხოლო კატონი დამარცხებულთ.

**Volens-nolens**, ლათ., ნებაუნებლიეთ.

**Voluntas regis — suprema lex**, ფრ., მეფის სურვილი — უმაღლესი კანონია.

**Vox populi — vox Dei**, ლათ., ხმა ერისა — ხმა ღვთისა.

## W

**W, West** — დასავლეთი, დასავლური ქარი.

**Whig**, ინგ., ვიგი, ინგლისის ლიბერალური პარტიის წევრი.

# შემოკლებული სიტყვები

ამერ.-ევროპ. — ამერიკულ-ევროპული.
არაბ. — არაბული.
არაბ.-ბერძ. — არაბულ-ბერძნული.
არაბ.-ევროპ. — არაბულ-ევროპული.
არაბ.-თურქ. — არაბულ-თურქული.
არაბ.-იტ. — არაბულ-იტალიური.
არაბ.-ლათ. — არაბულ-ლათინური.
არაბ.-რუს. — არაბულ-რუსული.
არაბ.-სპარს. — არაბულ-სპარსული.
არაბ.-ფრ. — არაბულ-ფრანგული.
არქ., არქიტექტ. — არქიტექტურული, არქიტექტურაში.
აღმ., აღმოს. — აღმოსავლეთ, აღმოსავლეთი ან აღმოსავლური.
ახ. — ახალი
ახ. ლათ. — ახალ-ლათინური.
ბერ., ბერძ. — ბერძნული.
ბერძ.-ევროპ. — ბერძნულ-ევროპული.
ბერძ.-ინგლ. — ბერძნულ-ინგლისური.
ბერძ.-იტ. — ბერძნულ-იტალიური.
ბერძ.-ლათ. — ბერძნულ-ლათინური.
ბერძ-რუს. — ბერძნულ-რუსული.
ბერძ.-სლავ. — ბერძნულ-სლავიანური.
ბერძ.-ფრ. — ბერძნულ-ფრანგული.
ბიბლ. — ბიბლიური.
ბიოლოგ. — ბიოლოგიური.
ბიოლ. ტერმ. — ბიოლოგიური ტერმინი.
ბოტ. — ბოტანიკური, ბოტანიკაში.
ბრაზ. — ბრაზილიური.
გადატ. მნიშვ. — გადატანითი მნიშვნელობით.
გეოგრ. — გეოგრაფიული.
გერმ. — გერმანული.
გერმ.-რუს. — გერმანულ-რუსული.
დაბ., დაბოლ. — დაბოლოებით.
დან. — დანიური.
დას. — დასავლეთ, დასავლეთი, დასავლური.
ებრ. — ებრაული.
ებრ.-ბერძ. — ებრაულ-ბერძნული.
ეგვ. — ეგვიპტური.
ევრ., ევროპ., ევრპ. — ევროპული.
ე. წ. — ეგრეთწოდებული.
ვენგრ. — ვენგრული.
ზოოლ., ზოოლოგ. — ზოოლოგიური.
თათრ. — თათრული.
თურქ. — თურქული.
თურქ.-რუს. — თურქულ-რუსული.
თურქ.-სპ. — თურქ.-სპარსული.
თურქ.-უკრ. — თურქულ-უკრაინული.
იაპ., იაპონ. — იაპონური.
ინგ., ინგლ. — ინგლისური.
ინგლ.-გერმ. — ინგლისურ-გერმანული.
ინგლ.-ფრ. — ინგლისურ-ფრანგული.
ინდ. — ინდური.
ინდ.-არაბ. — ინდურ-არაბული.
ისლ., ისლანდ. — ისლანდური.
ისპ. — ისპანური.
ისპ.-ევროპ. — ისპანურ-ევროპული.
იტ. — იტალიური.
იტ.-ფრ. — იტალიურ-ფრანგული.
იურიდ. — იურიდიული, იურისპრუდენციაში.
იურ. ტერმ. — იურიდიული ტერმინი.
იხ. — იხილე.
კავკ. — კავკასური.
კელტ. — კელტური.
კელტ.-ინგ. — კელტურ-ინგლისური.
კომერც. — კომერციული, კომერციაში.
ლათ. — ლათინური.
ლათ.-ბერძ. — ლათინურ-ბერძნული.
ლათ.-გერმ. — ლათინურ-გერმანული.
ლათ.-ევროპ. — ლათინურ-ევროპული.
ლათ.-ისპ. — ლათინურ-ისპანიური.
ლათ.-იტ. — ლათინურ-იტალიური.
ლათ.-პოლ. — ლათინურ-პოლონური.
ლათ.-ფრ. — ლათინურ-ფრანგული.
მალ. — მალაიური.
მდ. — მდინარე.

მედიც. — მედიცინა, მედიცინაში, მედიცინური.
მით. — მითოლოგიური, მითოლოგიაში.
მონღ. — მონღოლური.
მონღ.-ტიბეტ. — მონღოლურ-ტიბეტური.
მრ., მრავ., მრავლ. — მრავლობითი.
მუს., მუსიკ. — მუსიკალური.
მუს. ტერმ. — მუსიკალური ტერმინი.
მღ., მღვდ. — მღვდელი.
მხ., მხოლ. — მხოლობითი.
პერუან. — პერუანული.
პოლინეზ. — პოლინეზიური.
პოლ., პოლონ: — პოლონური.
პოლ.-რუს. — პოლონურ-რუსული.
პორტ. — პორტუგალური.
პროვან. — პროვანსალური.
რომ. — რომაული.
რელ., რელიგ. — რელიგიური.
რელიგ. მნიშვნ. — რელიგიური მნიშვნელობით.
რუმ. — რუმინული.
რუს. — რუსული.
რუს. დაბ. — რუსული დაბოლოებით.
საექ. ტერმ. — საეჭიმო ტერმინი.
საკ. სახ. — საკუთარი სახელი.
სამხ. ტერმ. — სამხედრო ტერმინი.
სამხ. — სამხრეთ, სამხრეთი, სამხრული.
სანსკრ. — სანსკრიტი, სანსკრიტული.
საშ. საუკ. — საშუალო საუკუნოები, საშუალ საუკუნოებში.
სერბ. — სერბული.
სემ.-ბერძ. — სემიტურ-ბერძნული.
სემიტ. — სემიტური.
სკანდ. — სკანდინავიური.
სკანდ.-გერმ. — სკანდინავურ-გერმანული.
სლავ. — სლავური.
სომხ. — სომხური.
სპ. — სპარსული.
სპარს.-ევროპ. — სპარსულ-ევროპული.
ს., სს., — საუკუნე, საუკუნოებში.
სხ., სხვ. — სხვა, სხვანი.
ტიბეტ. — ტიბეტური.
უკრ. — უკრაინული.
უნგრ. — უნგრული.
უწ. — უწინარეს.
ფიზ. — ფიზიკური.
ფიზ.-ტერმ. — ფიზიკური ტერმინი.
ფილ. — ფილოსოფიური.
ფილ. ტერმ. — ფილოსოფიური ტერმინი.
ფინ. — ფინური.
ფრ., ფრან. — ფრანგული.
ფრ.-გერმ. — ფრანგულ-გერმანული.
ფრ.-რუს. — ფრანგულ-რუსული.
ქ., ქალ. — ქალაქი.
ქრისტ. — ქრისტე, ქრისტიანული.
ქრ. შ. — ქრისტეს შემდეგ.
ქრ. წ. — ქრისტეს წინ.
შეად. — შეადარე.
შვედ. — შვედური.
შოტლ. — შოტლანდური.
ჩეხ. — ჩეხური.
ჩინ. — ჩინური.
ჩრდ. — ჩრდილო, ჩრდილოეთი, ჩრდილოური.
ჩრდ.-ამერ. — ჩრდილო-ამერიკა, ჩრდილო-ამერიკის.
ჩრდ.-დასავ. — ჩრდილო-დასავლეთი, ჩრდილო დასავლეთის.
ძვ. — ძველი.
წ. — წელი, წელს.
ხელ., ხელოვ., ხელოვნ. — ხელოვნური.
ჰოლ., ჰოლანდ. — ჰოლანდური.
ჰოლ.-ფრ. — ჰოლანდურ-ფრანგული.
ჰოტენტ. — ჰოტენტოტური.

ფრჩხილებში ჩასმული რიცხვები: ხაზს წინ — დაბადების წელი, ხაზს შემდეგ—მიცვალება.

# შენიშნული შეცთომების გასწორება.

| გვერდი | სტრიქონი | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|
| 1 | 10 ზევიდან | (ფრ. à bas jour) | (ფრ. abat-jour) |
| 4 | 13 „ | (ოსური?); | (ოსური?): |
| 5 | 8 „ | აუცილობელი | უცილობელი |
| „ | 15 „ | აბსტინენტი-ი | აბსტინენტ-ი |
| „ | 16 ქვევიდან | მათემათიკა | მათემატიკა |
| 6 | 9 ზევიდან | აგასფერ-ი | აგასფერ-ი ან უკეთ აჰასვერ-ი |
| 7 | 10 ქვევიდან | გავლა | გავლისა |
| 12 | 16 ზევიდან | ადიუტანთა | ადიუტანტთა |
| 19 | 5 ქვევიდან | ლათ.-ფრ., | ლათ.-ფრ., გავლენა; |
| 23 | 20 „ | გულს | გულზე |
| 26 | 19 ზევიდან | ალლაჰ, | ალლაჰ!, |
| „ | 25 „ | საკუნოებში | საუკუნეებში |
| 27 | 12 „ | მათემათიკური | მათემატიკური |
| 28 | 14 ქვევიდან | ალიქვოტური | ალიქვანტური |
| 34 | 19 „ | იჭმება | იჭმევა |
| 35 | 17 ზევიდან | ამბარა | ამბრა. |
| 42 | 3 ქვევიდან | მრავალ | მრავლ. |
| 45 | 21 „ | ანარქო-სო-ციალისტ-ი | ანარქო-სოციალისტი |
| 65 | 22 „ | antresol | entresol |
| 68 | 3 ზევიდან | appereption | apperception |
| „ | 8 „ | ურთი-ერთობა | ურთიერთობა |
| „ | 10 „ | ვუნდმა | ვუნდტმა |
| „ | 9 ქვევიდან | applaudissment | applaudissement |
| 70 | 14 „ | მომქმედსა | მოქმედსა |
| 71 | 2, 7, 33 ქვევიდან | à | â |
| 74 | 1 ზევიდან | ანვითარებდენ | ავითარებდენ |
| 77 | 11 „ | არითმეტიკული | არითმეტიკულ |
| 85 | 10 „ | assignàtion | assignation |
| * | 29 „ | რეგრესიულს და პროგრესიულს | რეგრესულს და პროგრესულს |
| 87 | 21 „ | სვა | სხვა |
| 94 | 8 „ | და შეეხბა | და რომელიც შეეხება |
| „ | 5 ქვევიდან | სადც | სადაც |
| „ | 10 „ | ნაწარმები | ნაწარმოები |
| 95 | 18 ზევიდან | ჯონ-სტუარტ-მილის | ჯონ-სტუარტ მილის |

| | | | |
|---|---|---|---|
| 101 | 13 ქვეიდან | ბ ა კ ა ლ ი-ი | ბ ა კ ა ლ-ი |
| 107 | 4 ზევიდან | წითელ-ნაყოფიანი. | წითელ-ნაყოფიანი; კოწახური |
| 112 | 9 ქვევიდან | =კაზმული | =კაზმულ |
| „ | 10 ზევიდან | ვერულამელი | ვერულამელი (1561-1626). |
| 115 | 14 „ | Beranger | Béranger |
| „ | 20 „ | ქამატური | ქამიტური |
| 123 | 8 ქვევიდან | ფრ. ბლანკ | ფრ. blanc |
| 125 | 2 ზევიდან | პარტითა | პარტიათა |
| „ | 15 ქვევიდან | იზოლიაცია | იზოლაცია |
| 128 | 14 ზევიდან | ევროპიული | ევროპული |
| 130 | 16 ქვევიდან | Bohemie | Bohemia |
| 136 | 21 ზევიდან | bridge) | bridge „ხიდი“) |
| „ | 2 ქვევიდან | ერთრეთ | ერთერთ |
| 138 | 12 „ | poetique | poétique |
| 142 | 7 ზევიდან | rime | rimé |
| 149 | 21 „ | წარმოსდგა; | წარმოსდგა: |
| 151 | 15 „ | შემკობა | შემკულობა |
| 158 | 14 „ | გადამრავლებულს | გამრავლებულს |
| 169 | 14, 23 ქვევიდან | ვერტერი | ვერთერი |
| 186 | 22 ზევიდან | débarcadér | debarcadère |
| 190 | 2 ქვევიდან | decadence | décadence |
| 192 | 12 ზევიდან | deck | Deck |
| 193 | 13 „ | décompsition | décomposition |
| 205 | 20 „ | ნებისყოფაზედ | ნებისყოფაზე |
| 214 | 14 ქვევიდან | diliganse | diligence |
| 221 | 11 ზევიდან | ditpensation | dispensation |
| 222 | 13 ზევიდან | différentiele | différentielle |
| 229 | 20 ქვევიდან | ს ი ნ ა თ ლ ე | ს ი ნ ა თ ლ ი ს |
| 230 | 22 ზევიდან | ფრ. duine | ფრ. dune |
| 231 | 16, 15 ქვევიდან | გამოცთა გამომ-ცთელი | გამოცდა გამომცდელი |
| „ | 4 „ | ბიბლიიისა | ბიბლიისა |
| 234 | 19 ზევიდან | eykleidês | Eykleidês |
| 238 | 17 ქვევიდან | ცთილობდა | ცდილობდა |
| „ | 1 ზევიდან | კომანდა | კომანდო |
| 249 | 12 ზევიდან | ეპი. | ეპი |
| 255 | 18 ქვევიდან | საერიშო | საიერიშო |
| 256 | 8 „ | ენათა | ენათა ელემენტები და რომლის |
| „ | 15 „ | ხიმნჯური | ხიმინჯური |
| „ | 12 ქვევიდან | eskhatos | èschatos |
| 257. | 8 „ | éfude | étude |
| 258 | 24 ზევიდან | ბერძ. | ებრ. |
| „ | 26 „ | ე ფ ო დ-ი, ბერძ. | ე ფ ო რ-ი, ეფორები, ბერძ., (ამოიშა-ლოს ძველ ებრაელთა მღვდლე-) |
| 261 | 9 ქვევიდან | ე ქ ს პ რ ო მ ტ -ი, ლათ. (ex, promtus | ე ქ ს პ რ ო მ პ ტ -ი, ლათ. (ex, promptus |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 263 | 6 | ქვევიდან | ლათ.-ფრ. extrême? | ლათ. extra-საგან |
| 264 | 8 | ზევიდან | excès | excès |
| 265 | 4 | „ | რისკება | რისკობა |
| 267 | 3 | ქვევიდან | ვალკირიება | ვალკირიები |
| 271 | 15 | ზევიდან | წყალგაევუალ | წყალგაუვალი |
| 273 | 14 | ქვევიდან | (ინგლ. | ვ ე ლ ვ ე ტ ი ნ -ი (ინგლ. |
| 279 | 3 | ზევიდან | visiére | visière |
| „ | 21 | „ | გიკინგები | ვიკინგები |
| 284 | 1 | „ | პირის-სალებინე-ბელი | პირიდან-სასაქმებელი |
| 288 | 2 | „ | zoôn, | zôon |
| 292 | 14 | „ | თ ე რ მ ი დ ო რ ი- | თ ე რ მ ი დ ო რ -ი |
| 293 | 8 | ქვევიდან | მოძლ. | მონლ. |
| 290 | 13 | „ | იეგოვა (ბერძ. | იეგოვა ან იეჰოვა (ებრ. |
| „ | 11 | „ | იეზუიტები (მრავლ., ლათ. societa Iesus | იეზიდები (მრავლ.) მუსულმა- |
| 300 | 10 | „ | (ბერძ. | (ებრ. |
| 301 | 10 | ქვევიდან | უნარი | მოვლენა |
| „ | 3 | „ | ურთიერთ პერპენ-დიკულარი | კრისტალური ღერძის |
| 302 | 8 | ზევიდან | იზოქრომი- | იზოქრონი- |
| 315 | 5 | ზევიდან | ცროველსა და მცენარის | ცხოველურსა და მცენარეულს |
| 317 | 14 | ქვევიდან | ლათ. | (ლათ. |
| 319 | 14 | ზევიდან | Inretess | Interesse |
| 327 | 14 | „ | იერგულარული | ირეგულარული |
| „ | 19 | „ | Italia | Italia |
| 328 | 2 | „ | ტკბილეული | ტკბილეული. |
| 330 | 7 | ქვევიდან | ლთა. | ლათ. |
| 335 | 18 | ზევიდან | ცხენოსანთა: | ცხენოსანთა |
| 337 | 21 | ქვევიდან | káthetot | káthetos |
| 338 | 10 | ზევიდან | რომელიც | რომელნიც |
| „ | „ | „ | იეგოვას | იეჰოვას |
| 339 | 10 | ქვევიდან | kalender | Kalender |
| 341 | 18 | „ | galoshe | galoche |
| 347 | 4 | ზევიდან | comter | compter |
| 359 | 15 | ზევიდან | casse-tete | casse-tète |
| „ | 26 | „ | კა ს ტ ა ტ-ი | კ ა ს ტ რ ა ტ-ი |
| 353 | 9 | „ | ნეიბსმიერი | ნებისმიერი |
| „ | 26 | „ | გატალოგის | კატალოგის |
| 360 | 16 | ქვევიდან | რომელსამე | რომლისამე |
| 361 | 13 | ზევიდან | კააუზალი | კაუზალი |
| 362 | 21 | „ | качегар | кочегар |
| 367 | 4 | ქვევიდან | შემქმნელი | შემქმნელნი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 370 | 7 | | Curagao | Curaçao |
| 375 | 1 | | Klêthê | Klôthô |
| 377 | 8 | ზევიდან | გოგნაცია | კოგნაცია |
| 379 | 11 | ქვევიდან | კოლექტივსიტ-ი | კოლექტივისტ-ი |
| 382 | 11 | „ | კომანდირობა | კომანდირება |
| 385 | 5 | ზევიდან | comissionaire | comissionnaire |
| 391 | 9 | ქვევიდან | convert | couvert |
| 392 | 21 | ზევიდან | კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი-ვ ი ტ-ი | კ ო ნ ი უ ქ ტ ი ვ-ი |
| 396 | 2 | „ | ხელონება | ხელოვნება |
| 400 | 18 | „ | conférencer | conférencier |
| 409 | 21 | „ | მაგარ-და მო- | მაგარ- და |
| 414 | 18 | ქვევიდან | გზის | გაზის |
| 415 | 4 | ზევიდან | კრიმინილისტკა | კრიმინალისტიკა |
| 417 | 10 | „ | Cromwel | Cromwell |
| „ | 24 | „ | კ რ ო გ ლ ა ს-ი | კ რ ო ნ გ ლ ა ს-ი |
| 428 | 15 | „ | ოთაბი | ოთხი |
| „ | 25 | „ | თვითეულ შემა-ვალ სახელმწიფოთა | შემავალის თვითეული სახელმწიფოს |
| 436 | „ | „ | ლ ე ნ ი ნ-ი | ლ ე ნ ი ნ-ი, ნ. |
| 443 | 21 | ქვევიდან | lingua | lingua |
| 446 | 6 | ზევიდან | რამდენიმე სარ-თულიან | რამდენიმე-სართულიან |
| | 15 | ქვევიდან | და კონსტიტუციუ-რი მონარქიის პირობებში | დ ა ნ ი, ს, მ ა რ ტ ი ნ ო ვ ი ს, მ ა რ-ტ ო ვ ი ს, პ ო ტ რ ე ს ო ვ ი ს |
| 463 | 20 | „ | mannteau | manteau |
| 465 | 7 | „ | Marksheide | Markscheide |
| 484 | 5 | ზევიდან | mètreur | metteur |
| 490 | 23 | ქვევიდან | „დაბრუნებულ | „დაბრუნებული |
| 499 | 12 | „ | melécule | molécule |
| 501 | 19 | ზევიდან | იუნონ მონეტის | ი უ ნ ო ნ მ ო ნ ე ტ-ის |
| 503 | 1 | ქვევიდან | Nonroê | Monroê |
| 505 | 14 | „ | morainee | moraine |
| 511 | 2 | ზევიდან | Hugode | Hugo de |
| „ | 12 | „ | ერთიმერისაგან | ერთიმეორისგან |
| 518 | 9 | ქვევიდან | ნეგლიუჟე | ნეგლიჟე |
| 521 | 7 | „ | nepot | nepos |
| 524 | 22 | „ | ბუდდჰის | ბუდდჰას |
| 527 | 16 | ზევიდან | eis | lis |
| „ | 21 | „ | ნომი- | ნომო- |
| 540 | 8 | „ | ოპერაცის | ოპერაციის |
| 545 | 10 | ქვევიდან | ordonance | ordonnance |
| 549 | 5 | ზევიდან | ლოცვით | ლოცვითი |
| 551 | 4 | „ | officiér | officier |

| | | | |
|---|---|---|---|
| 553 | 19 ქვევიდან | დამკვრელი | დამკვრელი ვიოლონისტი |
| 570 | 25 ზევიდან | ზედა | ქვედა |
| „ | 27 „ | ქვედა | ზედა |
| 571 | 13 ზევიდან | Lecont | Leconte |
| „ | 14 „ | პრი- | პრიუ- |
| 581 | 5 ქვევიდან | მისადებიანი | მოსადებიანი |
| 583 | 12 ზევიდან | პ ე რ ი ა კ ა რ- დ ი ტ-ი | პ ე რ ი კ ა რ დ ი ტ-ი |
| 592 | 8 ზევიდან | პირატ-ი (ბერძ. peiraès; peirâô „ვეძებ" | პირეტიკა (ძერძ. pyr-საგან ცეც- |
| 600 | 7 ქვევიდან | წ. ქ. წ. | წ. ქ. შ.\ |
| 604 | 23 ზევიდან | პოზტივ-ი | პოზიტივ ი |
| 610 | 2 ქვევიდან | მი- | პო- |
| 615 | 22 „ | ėpėc | ėpėc |
| 624 | 16 ზევიდან | pivilegium | privilegium |
| 625 | 17 „ | პრინც-ი | პ რ ი ნ ც-ი |
| „ | 23 „ | princupalis | principalis |
| 641 | 10 ქვევიდან | prozedur | Prozedur |
| 649 | 13 ზევიდან | ჟორეს-ი Jean Iaures, 1858-1917), | ჟ ო ნ გ ლ ე რ-ი (ფრ. Ionglem), გამრთობი, მო- |
| 653 | 8 ქვევიდან. | (ფრ. rendez-Wous): | (ფრ. rendez-vous): |
| 662 | 7 ზევიდან | (გერ. Phein), | (გერმ. Rhein), |
| 667 | 11 „ | დაბრუნება. | განმეორება, |
| 673 | 19 ქვევიდან | Kreuser), | Kreuzer), |
| 676 | 12 „ | ანუ კარი ძველ რომ- | ანუ კარი; 2) ძველ რომ- |
| 691 | 9 ზევიდან | ხასიათის | ხარისხის |
| 734 | 12 „ | (ინგლ. uauuy) | (ინგლ. tramwy), |
| 740 | 19 ქვევიდან | ყვა ტროპიხ | ყვა. ტროპის |
| 741 | 3 „ | პირეელი | პირველი |
| 750 | 4 „ | და ადამიანი. | დი ადამიანი. |
| 755 | 12 ზევიდან | Vrein | Verein |
| 756 | 19 ქვევიდან | Beaumerchis | Beaumarchais |
| 767 | 1 ზევიდან | სტადიურ | სტატიურ |
| 770 | 23 „ | tunctio | functio |
| 789 | 18 ქვევიდან | ავსუტრო- | ავსტრო- |

## წყაროები:

1. ბერძნულ-რუსული ლექსიკონი ვეისმანისა; 2. ენციკლოპედიური — ბროკჰაუზ-ეფრონისა (ზოგი), გრანატისა, იუჟაკოვისა (ზოგი), პავლენკოვისა, როსტომაშვილის (ზოგი); 3. ლათინურ-რუსული — გეორგისა, შულცისა; 4. რუსულ-ქართული — ჩუბინაშვილის, სახოკიასი; 5. უცხო სიტყვათა — გავკინის, დუბროვსკის, მიხელსონ-ბურდონის, ჩუდინოვისა და სხ.; 6. ფრანგულ-რუსული — ნ. მაკაროვისა; 7. ქართულ-რუსული — დ. ჩუბინაშვილისა; 8. სხვადასხვა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები; 9. მოკლე კომერც. სიტყვარი ნ. ა. ბლატოვის სიტყვარიდან, ტფ. 1920 წ.; 10. შრომანი პროფესორთა: ივ. ბერიტაშვილის, ალ. ნათიშვილის, შ. ნუცუბიძის, დ. უზნაძის და სხ.; 11. Слов. профраб., 1925 г.; 12. Сл. ин. сл., М. Е. Леберг, Лен.-Мос. 1926 г.; 13. ლ. ცაგარელი — სამხედრო-სატეხნიკო ლექსიკონი.